НИКО ЧУБИНАШВИЛИ

СЛОВАРЬ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

С РУССКИМ ПЕРЕВОДОМ

РЕДАКЦИЯ И ИССЛЕДОВАНИЕ
А. А. ГЛОНТИ

Государственное издательство
„САБЧОТА САКАРТВЕЛО"
19 ТБИЛИСИ 61

ნიკო ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონი

1. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული მუშაობა. ნიკო ჩუბინაშვილი XIX საუკუნის პირველი ოთხი ათეული წლის გამოჩენილი მთარგმნელი, არქეოლოგოსი და ლექსიკოგრაფოსი იყო. მშობლიურ ქართულთან ერთად მან კარგად იცოდა რუსული, ბერძნული, ლათინური ენები. ჩუბინაშვილების ოჯახი XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში ტრადიციულად მწიგნობართა ოჯახი იყო[1] და ნიკოსაც ფართო ზოგადი განათლება ჰქონდა მიღებული. ლექსიკოგრაფია მას სიყრმიდანვე შეჰყვარებია, ხოლო მთელი გატაცებით ამ მუშაობაში 1812 წლიდან ჩაბმულა.

პროფ. ა. ცაგარელი, პირველი ბიოგრაფოსი სახელოვანი ლექსიკოგრაფოსისა, მიუთითებს, რომ ნიკო 1825 წლამდის მოღვაწეობდა თბილისში და უმთავრესად სახელმძღვანელოებსა და დამხმარე წიგნებს ადგენდა, 1825—1837 წლებში მოღვაწეობდა პეტერბურგში და მუშაობდა ქართულ ლექსიკოგრაფიასა და გრამატიკაში, ხოლო 1842—1845 წლებში საქართველოსა და პალესტინაში არქეოლოგიურ ძიებას ეწეოდა[2].

ამ ცნობაში ძირითადად სწორადაა გადმოცემული მეცნიერის მოღვაწეობის მთავარი ეტაპები, მაგრამ მასში მცირე კორექტივის შეტანა მაინცაა საჭირო. ნ. ჩუბინაშვილს ლექსიკოგრაფიული მუშაობა 1825 წლიდან კი არ დაუწყია, როგორც ფიქრობდა პროფ. ა. ცაგარელი, არამედ ამაზე გაცილებით ადრე. ირკვევა, თავისი ძირითადი ლექსიკოგრაფიული ნაშრომები (ქართული და რუსულ-ქართული ლექსიკონები) ნ. ჩუბინაშვილს 1812—1825 წლებში დაუმთავრებია, ხოლო მომდევნო წლებში მათ რედაქციასა და გადაწერას შესდგომია.

ლექსიკოგრაფიული და მთარგმნელობითი მუშაობა ნიკო ჩუბინაშვილს ერთდროულად დაუწყია. თარგმანებზე მუშაობა ორივე ენის—ქართულისა და რუსულის—ლექსიკისა და გრამატიკული წყობის საფუძვლიან ცოდნას მოი-

---

[1] 1782—1891 წლებში ჩუბინაშვილების ოჯახში გვყავს მწიგნობართა სამი თაობა: მღვდელი დ ა ვ ი თ ი, მისი შვილები: ი ე ს ე (ცნობილი გრამატიკოსი, ავტორი ქართული ენის ბეჭდური გრამატიკისა) და ნ ი კ ო ლ ო ზ ი (ჩვენი ლექსიკოგრაფოსი), იესეს შვილი დ ა ვ ი თ ი (პირველი ქართველი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში, გამოჩენილი ფილოლოგოსი და ისტორიკოსი). იხ. А. Цагарели, Сведения о памятниках груз. письменности, т. I, вып. III, СПб., 1894, შესავალი, გვ. 1.

[2] А. Цагарели, Сведения, т. I, вып. III, СПб., 1894, გვ. LXVII,

თხოვდა და ავტორიც დიდი ინტერესით დასწაფებია მათ გულმოდგინედ შესწავლას. ნ. ჩუბინაშვილს, უწინარეს ყოვლისა, დოკუმენტებისა და წიგნების თარგმნა უხდებოდა ან ქართულიდან რუსულად (ეს უფრო!), ან, პირიქით, რუსულიდან ქართულად. ჩქარა დაუმსახურებია ქართული და რუსული ენების საუკეთესო სპეციალისტისა და მთარგმნელის სახელი. ასე იცნობდა მას, მაგალითად, ისეთი ავტორიტეტი, როგორიც იოანე ბაგრატიონი იყო. ი. ბაგრატიონის თხზულებაში „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის", რომელიც „კალმასობის" განუყოფელი ნაწილია, ნ. ჩუბინაშვილი ერთ-ერთ გამოჩენილ მთარგმნელადაა მოხსენებული საკუთარ ძმასთან, იესესთან, ერთად. თხზულებაში ჩამოთვლილია: „ახალნი მთარგმნელნი ქართველნი: მეფის ძე დავით, მირიან, ავალიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გოდერძი ფირალოვი, იოანე ბაზლიძე, ჩუგუნისშვილი გიორგი, ნიკოლაოზ ჩუგუნისშვილი და იესე მღვდელი, ძმა აწისი, და მიხაილ ფალავანდოვი..." [1].

აქ მოხსენებული ნიკოლაოზ ჩუგუნისშვილი სწორედ ნიკოლოზ ჩუბინაშვილია. ეს მცირე შეცდომა გვარის მართლწერაში, ალბათ, ძველის გადამნუსხავს მოუვიდა. რომ ეს გვარი ჩუბინაშვილია და არა ჩუგუნისშვილი, ამას, სხვათა შორის, ისიც მოწმობს, რომ სწორედ ნიკოს ჰყავდა ძმა მღვდელი, იესე, მწიგნობარი, მთარგმნელი და გრამატიკოსი, მამა პროფ. დ. ჩუბინაშვილისა. იესეს ნაშრომებიც ფართოდ იყო ცნობილი. მას 1816 წელს თავის დროისათვის საინტერესო ქართული გრამატიკაც გამოუცია [2].

პირველი ცნობა ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული შრომის შესახებ ეკუთვნის მარი ბროსეს. დ. ჩუბინაშვილის სამენოვანი ლექსიკონის წინასიტყვაობაში ბროსე წერს: „В наше время труд Орбелиани был значительно исправлен и пояснен природным грузинским дворянином Н. Д. Чубиновым, служившим при Министерстве Иностранных дел переводчиком" [3].

ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებიდან ჩანს, რომ ნ. დ. ჩუბინაშვილი ფართო ლექსიკოგრაფიულ მუშაობას ეწეოდა, ადგენდა როგორც ქართულ-რუსულ, ისე რუსულ-ქართულ ლექსიკონებს. მისი სამაგიდო სახელმძღვანელო იყო საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი" და „Словарь Российской Академии". ეს ორი ნაშრომი მისთვის შთაგონების წყარო გამხდარა და თავისი ორიგინალური ლექსიკოგრაფიული შრომები მათი უშუალო გავლენით შეუდგენია. შემდეგი ცნობა ნ. ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონის შესახებ მის ძმისშვილს, პროფ. დ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის [4]. მაგრამ არც ერთი ავტორი, რომელიც კი შეხებია ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიულ თხზულებებს, კონკრეტულად

---

[1] პირველად ეს „მცირე უწყება" გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა („ძველი საქართველო", I, თბ., 1909). ახალი გამოცემა: ი. ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედ., II, თბ., 1948, გვ. 213.

[2] А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873, გვ. 39—41.

[3] დ. ჩუბინოვი, ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონი, СПб., 1840, ბროსეს წინასიტყვაობა.

[4] დ. ჩუბინოვი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб., 1887, ლიტერატურის საძიებელში დასახელებულია ლექსიკონი ნიკოლოზ ჩუბინოვისა (გვ. VI).

არაფერს ამბობს მათ შესახებ, მათს სახელწოდებებსა და მოცულობასაც არ გვამცნობს. ამ საკითხს არ შეხებია არც მისი ბიოგრაფოსი პროფ. ა. ცაგარელი, რომელსაც ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ისტორიის მიერ დავიწყებული მოღვაწის გახსენებაში[1].

ჩვენს მიზანს აქ არ შეადგენს ნ. ჩუბინაშვილის ბიოგრაფიის გადმოცემა. მისი ბიოგრაფია საკმარისად სრულად შეადგინა და გამოსცა პროფ. ა. ცაგარელმა[2]. ამ ბიოგრაფიიდან გავიხსენებთ მხოლოდ ორიოდე ცნობას. ნიკო დაბადებულა 1790 წელს თბილისს და გარდაცვლილა 1847 წელს პეტერბურგს.

1807 წელს ნ. ჩუბინაშვილმა დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი და იმავე წლის 1 დეკემბერს იქვე დაინიშნა რუსული ენის მასწავლებლად. 1807—1825 წლებში ეწევა თარგმნითსა და ლექსიკოგრაფიულ მუშაობას თბილისში, 1825—1837 წლებში მუშაობას განაგრძობს პეტერბურგში — საგარეო საქმეთა სამინისტროში — მთარგმნელად, 1837 წელს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ბრუნდება თბილისს და განაგრძობს არქეოლოგიურ მუშაობას, 1845 წლის მაისში მოგზაურობს პალესტინაში და აღწერს ჯვარის მონასტრის სიძველეებს[3]. შემდეგ ისევ ბრუნდება პეტერბურგს,

---

[1] მხედველობაში გვაქვს ა. ც ა გ ა რ ლ ი ს ნაშრომი: Сводения о памятниках грузинской письменности, I, вып. III, СПб., 1894, სადაც ჩუბინაშვილების არქივია გამოყენებული.

[2] ი ქ ვ ე.

[3] საინტერესო თავგადასავალი აქვს ნ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ ჯვარის მონასტრის აღწერილობას. იწყება იგი ასე: „ჟამსა ყოფისა ჩუენისასა წმიდასა ქალაქსა იეროსალიმს 1845 წელსა მაისის 3—4 და შემდგომადცა რაოდენ გზისმე წარვედით მოხილვად ჯვარის მონასტრისა, რომელიცა არს სავალი ნახევარ ჟამისა და ძველად დაფუძნებულ არს ქართველთაგან, ვითა აღწერს მოსრული აქა 1757—1758 ქართველი მთავარეპისკოპოსი ტიმოთე“ (S 1676). ამ აღწერილობის პირი 1889 წელს „წასაკითხად და გარდასაწერად“ არ. ქუთათელაძისათვის უჩვენებია მცხეთის დედათა მონასტრის ხაზინადარს ნოსიმე მონაზონს. ქუთათელაძემ „აღწერილობის“ ავტორად მიიჩნია ბერი ალექსანდრე ლორთქიფანიძე და „აღწერილობის“ ტექსტი კომენტარებითურთ მაშინვე გამოაქვეყნა (ა. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, ჯვარის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე, „ივერია“, №№ 70,72,73, 1889 წლის აპრილი). „აღწერილობის“ ავტორის საკითხს 1893 წელს შეეხო ისტორიკოსი თ. ჟორდანიაც და იგი პლ. იოსელიანს მიაკუთვნა. „პლატონ იოსელიანის იერუსალიმის აღწერა ბ-ნმა არ. ქუთათელაძემ, არ ვიცით, რა საბუთით, ვიღაც ლორთქიფანიძე ბერს მიაკუთვნაო“ (თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, მოკლე ცნობანი ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში და ხმლით აღება იერუსალიმის ქალაქისა ქართველთაგან 1527 წელს, „ივერია“, № 9, 1893 წლის იანვარი). სამწუხაროდ, აქ თ. ჟორდანიასაც შეცდომა მოუვიდა. მან ვერ გაითვალისწინა, რომ პლ. იოსელიანი პალესტინაში მოგზაურობდა 1848—1849 წლებში და არ შეეძლო ამ აღწერილობის შედგენა 1845 წლის მაისში. საკითხის გადაწყვეტაში სიცხადე შეიტანა პროფ. ა. ცაგარელმა, რომელმაც მიუთითა, რომ „აღწერილობა“ ნ. ჩუბინაშვილს ეკუთვნისო (Сведения, т. I, вып. III, СПб., 1894, გვ. IX, შნშვ.). „აღწერილობის“ ავტოგრაფი ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S 1676), შეიცავს 4 გვერდს და თან ახლავს ჯვარის მონასტერში დაცული 16 ქართული ხელნაწერის მოკლე ანოტაცია. გამოცემულია იგი ორჯერ: ერთი არ. ქუთათელაძის („ივერია“, №№ 70, 72,73, 1889 წლის აპრილი) და მეორე პროფ. ა. ცაგარლის მიერ (Свед., т. I, вып. III, გვ. 44—52). აქ, სხვათა შორის, ნ. ჩუბინაშვილი გვაწვდის პირველ ცნობებს გ. მერჩულის

სადაც გარდაიცვალა 1847 წელს. ასეთია ნ. ჩუბინაშვილის ცხოვრების მთავარი მომენტები. თავისი ლექსიკოგრაფიული შრომები მან ძირითადად 1812—1825 წლებში დაამთავრა. შემდეგ მათი პირები გადაიღო, ალბათ, დასაბეჭდად, მაგრამ ვერცერთის დაბეჭდვა ვერ მოახერხა.

ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული შრომებიდან ყველაზე ძვირფასი წინამდებარე ქართული ლექსიკონია. არა ნაკლები მნიშვნელობისაა ავტორის მეორე კაპიტალური თხზულებაც: Полный российско-грузинский словарь, რომელიც აგრეთვე გამოუქვეყნებელი დარჩა.

2. ცნობები ხელნაწერის შესახებ. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული შრომების შესახებ სანდო და სარწმუნო ცნობები პირველად პროფ. ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა 1894 წელს. ეს ცნობები დაცულია პროფ. დ. ჩუბინაშვილის არქივში[1], რომლის გამომზეურებამდის ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობი იყო. პროფ. ა. ცაგარლის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები ფარდას ხდის ბურუსით მოცულ მრავალ საკითხს და, პირველ რიგში, ყურადღებას გვაქცევინებს ნ. ჩუბინაშვილის, როგორც დიდი მეცნიერი ლექსიკოგრაფოსის, უმწიკვლო მოღვაწეობაზე.

ნ. ჩუბინაშვილი თავის ერთ კერძო წერილში, რომელიც პროფ. ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა, ჩამოთვლის იმ ნაშრომებს, რომლებიც მას 1837 წელს, პეტერბურგიდან გამომგზავრების დროს, ძმისშვილის — დავითისათვის დაუტოვებია. იგი წერს: დავუტოვე „კიდევ ქართული და რუსული ლექსიკონი, საბა ორბელიანის ლექსიკონიდამ შედგენილი, რომელშიაც ლათინურად, ბერძულად და სომხურად მოწერილია ამა ენების ლექსები, ქართულში ხმარებული. ამ წ ი გ ნ ი ს ფ ა ს ი ს დ ა დ ე ბ ა ც ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა მ ი ტ ო მ, რ ო მ ა მ ა ზ ე დ ა ც დ ი დ ი შ რ ო მ ა გ ა მ ი წ ე ვ ი ა ჩ ე მ ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი“[2]. აქედან ჩვენ ვტყობილობთ: ნ. ჩუბინაშვილს შეუდგენია ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომელზედაც მას დიდი შრომა გაუწევია და რომელზედაც ფასის დადებაც ძნელია. ეს ნაშრომი მას პეტერბურგიდან გამომგზავრებისას შესანახავად ჩაუბარებია დავით ჩუბინაშვილისათვის. შემდეგ თავისი ნაშრომი ავტორს აღარ დაბრუნებია. მართალია, ამ ნაშრომს, როგორც აღვნიშნეთ, იმოწმებდნენ მარი ბროსე და დავით ჩუბინაშვილიც, მაგრამ არაფერი უთქვამთ ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის ღირსებისა და შენახვის ადგილის შესახებ.

სახელგანთქმული თხზულების „გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ შესახებ. ეს თხზულება პირველად ნ. ჩუბინაშვილმა აღმოაჩინა (А. Ц а г а р е л и, Свед., I, вып. III, გვ. 49, 50; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 132) და არა ნიკო მარმა, როგორც ამას ფიქრობდნენ ერთ დროს. ნ. მარმა ეს თხზულება მხოლოდ შემდეგ ხელმეორედ იპოვა და გამოსცა ვრცელი მეცნიერული აპარატითა და რუსული თარგმანით (ТР, VII, СПб., 1911). ნ. ჩუბინაშვილმა პირველად გადმოიღო აგრეთვე ჯვარის მონასტრის კედლის ფრესკებიდან შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც 1958 წელს გამოაქვეყნა ბ. კ ა ნ დ ე ლ ა კ მ ა („საბჭოთა ხელოვნება“, 8, 1958, გვ. 9—11).

[1] А. Ц а г а р е л и, Свед., I, вып. III, СПб., 1894.

[2] А. Ц а г а р е л и, იქვე, გვ. 32. დაყოფა ჩვენია, ა. ღ.

სად შეიძლება შენახულიყო ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი, ან როგორ შეიძლებოდა მისი მოძებნა?

ხელნაწერი შეიძლება შენახულიყო მხოლოდ დ. ჩუბინაშვილის არქივში, რადგან იგი შესანახავად სწორედ პირადად დავითს ჰქონდა გადაცემული. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ავტორს ლექსიკონი ორ პირად ჰქონდა გადაღებული (მესამე პირის შესახებ ცნობა არა გვაქვს!), ერთი, ალბათ, „შავს" წარმოადგენდა, მეორე კი — დასაბეჭდად გამზადებულს, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ოდნავი სხვაობა უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ვემყარებით ხელნაწერის ორივე ავტოგრაფულ პირს. ერთი ამჟამად ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოფ. წ. კ. საზ. ფონდის დავით ჩუბინაშვილისეულ კოლექციაში (S 3709), მეორე — ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწ. განყ. იოანე ბატონიშვილისეულ კოლექციაში (№ 271).

1. S 3709 მოზრდილი ხელნაწერია. გადაწერილია ავტორის ხელით სუფთად — ქაღალდის ორივე გვერდზე. სულ 207 ფურცელს შეიცავს. ლექსიკონს წინ ერთვის ვრცელი შესავალი (17 ფურცელი), სადაც გადმოცემულია ავტორის კონცეფცია ქართული ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკის შესახებ. იწყება ასე: „ქართული ლექსიკონი. საბა-სულხან ორბელიანისაგან შეთხზული და მცირედ გამართული სისტემისაებრ მისისა, გარნა კჳალად მოქენე უმეტეს განმართჳსა და უმჯობესად შესრულებისა" (ფ. 1). ა-ს მასალის დაწყების წინ ასეთი წინათქმაა: „შესავალი ქართული ლექსიკონისა. ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ სისტემისაებრ საბა-სულხან ორბელიანისა. ხოლო ნაცჳლად იტალიანურთა ლექსთა, მისგან ზედმოწერილთა, დაირთვიან მხოლოდ ლექსნი ბერძულნი ანუ ლათინურნი, ქართულად მიღებულნი, მათითავე ასოებითა. არამედ ამგუარნი ლექსნი სომეხთა ანუ თურქთა ენისანი ზედვე მოწერილ არიან ქართულითა ასოებითა. ხოლო განსარჩეველად სომხურთა ლექსთა წინ უზისთ ასო ს, თურქთა — ასო თ" (ფ. 21). მთავრდება ჶ ასოთი: „ჶ უ ტ ლ ა რ ი ბუდე ან კოლოფი, შთასადებელი და შესანახავი ძვირფასთა ნივთთა და მისთანათა, футляр" (ფ. 207). გადაწერის თარიღი უცნობია, მაგრამ არის ნიშნები ვიფიქროთ, რომ გადაწერილია 1818—1825 წლების შუალედში. ამ პერიოდში დაუმთავრებია ავტორს ეს ნაშრომი. დ. კარიჭაშვილს ხელნაწერი საბა ორბელიანის ლექსიკონად მიაჩნია[1]. პროფ. ა. შანიძის დასკვნით იგი წარმოადგენს საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის „სულ ახალ რედაქციას"[2], მაგრამ მკვლევარი არაფერს ლაპარაკობს მისი ავტორის შესახებ. ა. შანიძე ამბობს: „სულხანის ლექსიკონის გამავრცობელ-გადამკეთებელთაგან შეიძლება დასახელებულ იქმნენ იოანე ბატონიშვილი (მისი კოლექციის № 253 ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში) და დავით რექტორი (ტფ. უნივერსიტეტის მუზეუმი საეკლესიო ფონდიდან № 288), მაგრამ ცოტად თუ ბევრად

[1] დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, კატალოგი ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნთსაცავისა, თბ., 1905, გვ. 303.

[2] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა და პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედ., თბ., 1928, ა. შ ა ნ ი ძ ი ს წინასიტყვაობა, გვ. VI.

სხვა პირთაც შეუვსიათ იგი"[1]. სამწუხაროდ, ნ. ჩუბინაშვილის გვარი აქ დასახელებული არ არის.

2. № 271 ასევე მოზრდილი ხელნაწერია. ისიც ავტორის ხელითაა გადაწერილი სუფთად—ქაღალდის ორივე გვერდზე. შესავალი აკლია, იწყება პირდაპირ ლექსიკონით. ხელნაწერი კატალოგში მოხსენებულია დ. და ნ. ჩუბინაშვილების ლექსიკონად (Словарь Д. и Н. Чубинашвили!). ახლავს ასეთი წინათქმა: „წინადასაბამი ქართულის ლექსიკონისა რუსულის თარგმანითურთ, ხოლო რომელნიცა ლექსნი ბერძულნი ან ლათინურნი პოვნილ არიან ქართულად მიღებულნი, იგინი მათითავე ასოებითა მიწერილ არიან ნაცულად იტალიანურთა, საბასაგან ზედმოწერილთა, და რომელნიცა თურქთა ანუ სომეხთა ლექსნი არიან მიღებულნი, იგინი ქართულის ასოებით ზედმოწერილ არიან ესრეთ, თურქთა ლექსთა წინ უზის ასო თ. დალათუმცა იყუნენ იგინი არაბულნი, ჩუენ მიგვიღია თურქთაგან, ხოლო სომხურთა ლექსთა წინ უზის ასო ს განსარჩეველად" (ფ. 1r). ეს პირი, ჩანს, ოდნავად შემოკლებულია. ან პირვანდელ ვარიანტს წარმოადგენს, ან შემდეგაა გადაწერილი უფრო შემოკლებულად. S 3709 გაცილებით მდიდარი ხელნაწერია, ვიდრე № 271. პროფ. ა. შანიძეს № 271 ხელნაწერი S 3709-ის მსგავსად საბა ორბელიანის ლექსიკონის ახალ რედაქციად მიაჩნია[2].

როგორ მოხვდა იოანე ბატონიშვილის კოლექციაში ეს ხელნაწერი უშესავლოდ? შესავალი — მთელი გამოკვლევაა, რომელშიაც ავტორი ფრიად ძვირფას ცნობებს გვაწვდის ქართული ენის გრამატიკული სისტემისა და ლექსიკის შესახებ. ავტორს არ შეიძლება თან არ გაეყოლებინა ლექსიკონისათვის თავისი „შესავალი", მითუმეტეს, რომ უიმისოდ გაჭირდებოდა ლექსიკონის ყოველმხრით გაგება და დაფასება.

№ 271 ხელნაწერისათვის უნდა იყოს ავტორის მიერ გადაწერილი „შესავალის" ის პირი, რომელიც ამჟამად სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწ. განყ. ბროსეს კოლექციაშია დაცული (H 55). ხელნაწერი 17 ფურცელს შეიცავს და ავტოგრაფულია. იწყება ასე: „ქართული ლექსიკონი საბა-სულხან ორბელიანისაგან შეთხზული და მცირედ განმართული სისტემისაებრ მისისა, გარნა კ῀დ მოქენე უმეტეს განმართვისა და უმჯობეს შესრულებისა" (ИВ АН СССР, H 55, ფ. 1)[3]. ამას მიჰყვება შემდეგ მთელი მსჯელობა, რომელიც იწყება ასე: „სისტემა საბასი არს ესრეთ"... ხელნაწერისათვის ბროსეს ასეთი მინაწერი გაუკეთებია ფრანგულად: „Remarques sur le dictionnaire de Soulkhan Saba par Tchoubinof (l'oncle) Interprète au Ministère des affaires étrangères, 1843". „შესავალი"

---

[1] ა. შანიძე, იქვე, გვ. VI.

[2] ა. შანიძე, იქვე, გვ. VI.

[3] შდრ.: Р. Р. Орбели, Собрание грузинских рукописей Института востоковедения АН СССР, „Ученые записки ИВ", IX, М.-Л., 1954, 60; Р. Р. Орбели, Грузинские рукописи ИВ АН СССР, I, М.-Л., 1956, 144—145.

ოდნავ, რედაქციულად თუ განსხვავდება მისი იმ პირისაგან, რომელიც S 3709-ს ახლავს [1].

ამრიგად, ნ. ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონი ორი ავტოგრაფული ნუსხის სახითაა დაცული: ერთი ინახება თბილისში (S 3709), მეორე—ლენინგრადს (საჯარო ბიბლიოთეკა, № 271; აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, H 55). ორივე ხელნაწერი სრული სახისაა. H 55 ხელნაწერი № 271-ის შესავალია, რომელიც ცალკე ინახება. როგორია ავტოგრაფების ურთიერთდამოკიდებულება?

3. ავტოგრაფების ურთიერთმიმართება. ნ. ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონის ავტოგრაფული ნუსხების შედარება გვაჩვენებს მათს ოდნავ რედაქციულ სხვაობას. სრული ჩანს S 3709, ხოლო მისი რამდენიმედ შემოკლებული ვარიანტია № 271. ორივე ხელნაწერი ავტოგრაფულია, მაგრამ, ეტყობა, ნ. ჩუბინაშვილს მეორე პირი ცოტათი შეუსწორ-შეუმოკლებია. ირკვევა, S 3709 ხელნაწერს იგი დასაბეჭდად მომზადებულად თვლიდა, ხოლო № 271-ს—მის შემოკლებულ პირად. მათი შედარება ასეთ სურათს იძლევა.

S 3709 — თბილისისა	№ 271—ლენინგრადისა
შესავალი ქართული ლექსიკონისა	**წინადასაბამი ქართულისა ლექსიკონისა**
ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, სისტემისაებრ საბა-სულხან ორბელიანისა. ხოლო ნაცულად იტალიანურთა ლექსთა, მისგან ხედმოწერილთა, დაირთვიან მხოლოდ ლექსნი ბერძულნი ანუ ლათინურნი, ქართულად მიღებულნი, მათითავე ასოებითა. არამედ ამგუარნი ლექსნი სომეხთა ანუ თურქთა ენისანი ზედვე მიწერილ არიან ქართულითა ასოებითა. ხოლო განსარჩეველად სომხურთა ლექსთა წინ უზისთ ასო ს და თურქთა—ასო თ.	რუსულის თარგმანითურთ, ხოლო რომელნიცა ლექსნი ბერძულნი ან ლათინურნი პოვნილ არიან ქართულად მიღებულნი, იგინი მათითავე ასოებითა მოწერილ არიან ნაცულად იტალიანურთა, საბასაგან ზედმოწერილთა, და რომელნიცა თურქთა ანუ სომეხთა ლექსნი არიან მიღებულნი, იგინი ქართულის ასოებით ზედმოწერილ არიან ესრეთ, თურქთა ლექსთა წინ უზის ასო თ. დალათუმცა იყუნენ იგინი არაბულნი, რამეთუ ჩუენ მიგვიღია თურქთაგან, ხოლო სომხურთა ლექსთა წინ უზის ასო ს განსარჩევლად.
ა	**ა**
ა არს ხმოვანი ასო, დადებული თავად ყოველთა ენათა ანბანსა შინა. ქართულად ასოსა ამას ზედა ქარაგმიანნი ლექსნი არიან ესენი: ა҃დ — ა რ ა მ ე დ, ა҃ნ — ა მ ი ნ.	ა არს ხმოვანი ასო და პირველად დადებული ყოველთა ენათა ანბანსა შინა. ასოსა ამასა ზედა ქარაგმიანნი ლექსნი ქართულად არიან ესენი: ა҃დ—ა რ ა მ ე დ, ა҃ნ—ა მ ი ნ.

---

[1] დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ე უ ლ კოლექციაში დაცულია ნ. ჩუბინაშვილის ამ „შესავალის“ კიდევ ერთი ავტოგრაფი. იგი უნდა იყოს შავი, რადგან არც დასრულებულია და არც იდენტური სხვა პირებისა (S 3724, ფ. 31—58). ეს ხელნაწერთა ფრაგმენტების კრებულია. ფ. 31—40—უჭირავს „შესავალის“ შავს, ხოლო ფ. 42—58—სალექსიკონო მასალას. ამ ტექსტის შედარება S 3709-ისა და H 55-ის ტექსტთან ამჟღავნებს მათს ოდნავ რედაქციულ სხვაობას.

ამას ასოსა ზედა არიან ორნი მარცვალნი ზედდადებულნი ზმნათანი: ალ, ალმო; მდაბიურად: ა, ამო. ვითარ: ალვალ, ალმოვალ; ალვსწერ, ალმოვსწერ. გინა: ავალ, ამოვალ; ავსწერ, ამოვსწერ. არამედ სახელზმნათა შინა უკეთუ იპოვების სხვა ლ, მაშინცა პირველი ლ სრულად დაიტევების. მაგალ.: ალება (ალვილებ), ალელვება (ალვალელვებ), ამალლება (ალვამალლებ) და არა ალლება, ალლელვება, ანუ ალმალლება და სხ. კუალად ითქმის: აექჳნ, აუარებდით ნაცულად ალექჳნ, ალუარებდით და სხ.

ა ბოლოდ სახელთა ხმარებული შესცულის მათ: 1. მდედრობითად, ვითარ მეფე — მეფა, კაბუკი — კაბუკა, იგი—იგია და სხ. 2. კნინობითად, ანუ შეურაცხებითად, უფროჲს სათჳთოთა სახელთა. მაგალ.: დავით სარდალი, სოლომონ მდივანბეგი, ანუ მდედრობითნი: თამარ მეფე, მარიამ ბატონიშვილი და სხ. ამათ შინა ასო ა უხამს არს, ხოლო დავითა მზარეული, სოლომონა ხაბაზი, თამარა დალალი, მარიამა მექათმე და სხ. არიან კნინობითნი. ამისგან ჰსჩანს, რაოდენ უსაფუძველო არს ჰაზრი, რათა ასოჲთა ა განირჩეოდენ ნიადაგ მდედრობითნი სახელნი. 3. რომელთამე რთულთა სახელთა შინა ბოლოს ი შეიცულების ა-ზედა. მაგალ.: გველთევზა, ძაღლნიორა, ორცხობილა, ხარისთუალა და სხ.

ა? კითხვითი მარცუალი, მდაბიურად ხომ? ჰჱ? (იოან. 21,15), გიყუარმეა? (ფსალ. 49,13), ვსჭამოა? ვსუაა? და სხ.

ა შემოკლებული ზმნისაგან არს. სახელთა და ზმნათა ბოლოს ხმარებული, უფროჲს მდაბიურსა შინა საუბარსა, ვითარ სახლია, ქალაქია ნაცულად სახლი არს, ქალაქი არს; ანუ ცივია, თბილია ნაცულად ცივი არის, თბილი არის; კუალად ცივა, თბილა ნაცულად სიცივე არის, სითბო არის; ეგრეთვე: მოსულა, მომზადებულა, განსრულებულა და სხ. ნაცულად მოსრულ არს, მომზადებულ არს, განსრულებულ არს.

ამის გამო ხმარებულ არს ლექსი აობა, ნაცულად არსება.

ასოსა ამას ზედა არიან ორნი ზედდადებულნი ზმნათანი: ალ, ალმო, მდაბიურად; ა, ამო. მაგალ.: ალვალ, ავალ, ალმოვალ, ამოვალ; ალვსწერ, ავსწერ, ალმოვსწერ, ამოვსწერ. შეისწავე, უკეთუ მათ ლექსთა შინა, რომელთაც დაერთვის ალ, იპოვების სხვა ასო ლ, მაშინ პირველი ლ სრულიად დაიტევების, უფროჲს სახელზმნათა შინა. მაგალ.: ალება, ამალლება, ალელვება და არა: ალლება, ალმალლება, ალლელვება, ანუ აუარებდით ნაცულად ალუარებდით, აექჳნ ნაცულად ალექჳნ.

ა ბოლოდ სახელთა ხმარებული, შესცუალებს მათ: 1. მდედრობითად, ვითარ მეფე--მეფა, კაბუკი—კაბუკა, იგი — იგია და სხ. 2. კნინობითად, ანუ შეურაცხებითად, უფროჲს სათჳთოთა სახელთა, ვითარ დავით — დავითა, სოლომონ—სოლომონა, ზურაბ—ზურაბა და სხ. კუალად რთულთა შინა სახელთა დასასრულის ი შეიცულების ა, ვითარ გველთევზა, ძაღლნიორა, ხარისთუალა, ორცხობილა და სხ.

ა? კითხვითი მარცუალი, [მ]დაბიურად ხომ? ჰჱ? (იოან. 21,15), გიყუარმეა? (ფსალ. 49,13); ვსჭამოა? ვსუაა? და სხ.

ა შემოკლებული ზმნისაგან არს, სახელთა და ზმნათა ბოლოს ხმარებული, უფროჲს [მ]დაბიურსა ლაპარაკსა შინა, ვითარ ქალაქია, სახლია ნაცულად ქალაქი არს, სახლი არს; ანუ ცივია, თბილია ნაცულად ცივი არს, თბილი არს; კუალად ცივა, თბილა ნაცულად სიცივე არის, ანუ სითბო არის; ეგრეთვე მოსულა ნაცულად მოსრულ არს, ამაღლებულა ნაცულად ამაღლებულ არს და სხ.

ამის გამო უხმარიათ აობა ნაცულად არსება.

აბაზანა საბანოვე დიდი ტასტი, таз, или подвижная ванна, употребляемая в банях.

აბაზი ოთხი შაური, ან 40 ფული, 20 копейшник серебра.

აბანაკება აკარვება (შავთ. 73).

აბანო სახლი დასაბანელი (3 მეფ. 2,35 და შემდგომი; (ვეფხისტ. 337 და 1375), баня. ს. ბაღნის, თ. ჰამამ.

აბანოზი (ხე) ეკალმუხა, эбановое дерево, растущее в Африке и Америке, ebanos, *'Αμπανός*, *'Αμπανόξυλον*.

აბბა, ამბა სირიულად მამა (მარკ. 14,36: რომაელ. 8,15), Abba, *'Αββᾶς*, ãtis.

აბბატი (განუმარტებელია).

აბბატობა (განუმარტებელია).

აბგა მახალიკი, პატარა ხურჯინი, უფროორე აბრეშუმისგან ნაქსოვი, უნაგირის წინა კეხზედ გარდასაკიდი (ნახე ვაშკარანი), небольшая переметная сумка.

აბდარი წყალთა მნე, ზედამდეგი მერწყულთა და მრეცხელთა უწმინდურთა ადგილთათა, смотритель над водоносами и профосами.

აბებრება კანის აბურცება, აშუპება დაწვისაგან, ожог.

აბედი გამოხარშული ხის სოკო, მსწრაფლ მიმღები ცეცხლისა (ვეფხისტ. 1291), трут.

აბეზარი მოუსვენარი, დაუდეგარი, შფოთი, თავისშემაწყენელი, несносный, беспокойный, докучливый.

აბეზარსმოსვლა [соскучиться].

აბეკამაქი ბალახების გამონახადი არაყი (კარაბადინში), травник, спирт из трав.

აბეჩხარი ნავენახობი, გაოხრებული ვენახი, запущенный, необработанный виноградник.

აბეწულა (ბალ.) კარაბადინში.

აბზინდა (ბალ.) ნახე ა ფ ს ი ნ თ ი, полынь.

აბზინდა თასმათა ანუ ქსოვილთა რათმე შესაკრავი რკინის ბალთა, ეგრეთვე ფოლადისა, ვეცხლისა და სხ. საჩხულეტით ენითურთ, пряжка, застежка.

აბი ქაშთაჯი, пилюля. თ. ჰაბ.

აბლაბუდა ბუდე, გინა ქსელი დედაზარდლისა, паутина.

აბაზანა საბანოვე დიდი ტასტი, таз, или подвижная ванна, употребляемая в банях.

აბაზი ოთხი შაური, ან 40 ფული, 20 копейшник серебра.

—

აბანო სახლი დასაბანელი, баня. თ. ჰამამ, ს. ბაღნის (ვეფხისტ. 337 და 1375).

აბანოზი (ხე) ეკალმუხა, *'Αμπανός*, *'Αμπανόξυλον*, эбановое дерево, растущее в Африке и Америке, *"Εβανος*, *"Εβενος*.

აბბა სირიულად მამა (მარკ. 14,36; რომ 8,16), Abba, *'Αββᾶς*.

—

—

აბგა მახალიკი, პატარა ხურჯინი, უფროორე აბრეშუმისაგან ნაქსოვი, უნაგირის წინა კეხზედ გარდასაკიდი, небольшая переметная сумка.

აბდარი წყალთა მნე, ზედამდეგი მერწყულთა და მრეცხელთა უწმინდურთა ადგილთათა, начальник над водоносами и профосами, перенд. Абдар.

აბებრება კანის აბურცება, აშუპება დაწვისაგან, ожог.

აბედი გამობარშული ხის სოკო, მსწრაფლ მიმღები ცეცხლისა, трут (ვეფხისტ. 1291).

აბეზარი მოუსვენარი, დაუდეგარი[1], შფოთი, თავისშემაწყენელი, беспокойный, несносный.

—

აბეკამაქი ბალახების გამონახადი არაყი (ნახე კარაბადინში), травник, аквавит.

აბეჩხარი ნავენახობი, გაოხრებული ვენახი, виноградник запущенный, необработанный.

—

—

აბზინდა თასმათა ანუ ქსოვილთა რათმე შესაკრავი ბალთა რკინისა, ფოლადისა, გინა ვეცხლის საჩხულეტის ენითურთ, пряжка.

—

აბლაბუდა დედაზარდლის ქსელი ან ბუდე. паутина.

[1] დედანშია: დ ა უ დ ე რ ა გ ი.

აბრა ცოთი, გინა საპარბავი, привесок для уравнения весоп. თ. ჰაბრა.	—
აბრამადი სალაროს ნაზირი (ნახე ნაზირთან).	**აბრამადი** სალაროს ნაზირი (ნაზირთან ნახე).
აბჯარი ზოგადი სახელი საპურველთა და უფროორე ტანზედ საცმელთა ჯაჭუთა და მისთანათა ომსა შინა სახმართა. სახენი ამისნი იხილენ ლექსთა თანა *ზუჩი* და *ჯავშანი* (ვეფხისტ. 85, 222 და შემდგომი). доспех, броня. латы. თ. აბჯარ.	**აბჯარი** ზოგადი სახელი არს ყოველთა საპურველთა და უფროორე ტანზედ საცმელთა ჯაჭუთა და მისთანათა ომსა შინა სახმართა, რომელთაც ეწოდება *ზუჩი* და *ჯავშანი* (ვეფხისტ. 85, 222 და შემდგომი), броня, доспех, латы, арматура, кирас. თ. აბჯარი.
აგება (ავაგებ) ალგება. აშენება (ვეფხისტ. 324). строить, созидать.//აცმა, გატარება ძაფისა ნემსის კუროწში და მისთანანი, вдевать, продевать.	**აგება** (ავაგებ) აცმა, вдевать. // აშენება. созидать, строить (ვეფხისტ. 324).
აჯეჯი, აძეძი აბრეშუმის ნაძირალი, მელნის ჩლა, гнездо чернильное.	**აჯეჯი**, აძეძი აბრეშუმის ნაძირალი, მელნის ჩლა.
ბ წინარე ასოსა რ ზოგჯერმე შეიცულების მ ანუ პ, ვითარ: *ბრუდე* — მრუდე, *ბრჯა* — მჯა, *ბრპენი* — პრპენი, *ბრკე*—პრკე, *ბრტყელი*—პრტყელი, *ბრჭუალი*—პრჭუალი, *ბრწკალი*—პრწკალი. ხოლო ზოგჯერ სრულიად დაიტევების ასო რ, ვითარ: *ბრძანება*—ბძანება, *ბრჭე* — ბჭე, *ბრჭუალი* — ბჭუალი, *ბრდღვილი*—ბდღვილი და სხ., კუალად ბ თჳნიერ ასოსაცა რ შეიცულების მ ან პ და ფ-ზედა, ვითარ: *ბზინუარე*—მზინუარე, მუწუკი იმერულად *ბუზუკი*, *ბუწუკი*, ბილწი—*პილწი*, ნაბერწკალი—*ნაპერწკალი*, ებისტოლე—*ეპისტოლე*, *სეფისკვერი*—სებისკვერი. და ზოგჯერ ბ დაერთვის ლექსთა თავსა, ვითა თქმულ არს მ-თჳს, დასაშვენებლად, ანუ თჳნიერ საჭიროებისა, ვითარ *ყირი*—ბყირი, *ყუვილი*—ბყუვილი, *დღვილი* — ბდღვილი და ბრდღვილი.	**ბ** წინარე ასოსა რ ზოგჯერმე იხმარების ნაცულად მ და პ, ვითარ: *მრუდე*—*ბრუდე*, *მჯა*—*ბრჯა*, *მუწუკი*—იმერულად *ბუწუკი*, *ბძანება*—*ბრძანება*, *ბჭე*—*ბრჭე* ანუ ბრპენი, *პრტყელი*—*ბრტყელი*, *პრკე*—*ბრკე*, *პჭუალი*—*ბჭუალი* ან ბრჭუალი, *ბზინვარე*—*მზინვარე*, *ნაპერწკალი*—*ნაბერწყალი*, *ეპისტოლე*—*ებისტოლე*, *ბილწი*—*პილწი*, გინა ნაცულად ფ: *სეფისკვერი*—სებისკვერი და ზოგჯერ ბ დაერთვის თავად ლექსთა თვინიერ საჭიროებისა, ვითა თქმულ არს მ-თჳს, ესრეთ *ყირი*—ბყირი, *დღვილი*—ბდღვილი და ბრდღვილი, *ყუვილი*—ბყუვილი.
ბაკი მრგულად მოვლებული ღობე ან ფიცრული ხვასტაგთ დასაყენებელი (ზღუდე ნახე) (ეზეკ. 34,14), ограда. // მზისა ანუ მთოვარის გარემო ზოგჯერმე ხილული ნათლის სარტყელი.	**ბაკი** მოვლებული ღობე, ანუ ფიცრული საქონელთ დასაყენებელი (ზღუდესთან ნახე) (ეზეკ. 34,14), ограда. // გარემო მზისა ანუ მთოვარისა ზოგჯერმე ხილული ნათლის სარტყელი.

შესადარებლად ეს მასალაც გვეყოფა. დასკვნა თავისთავად ცხადია. S 3709 უფრო ვრცელი რედაქციაა, № 271 — რამდენიმედ მოკლე, შემდეგ გადაღებული. S 3709 დამუშავებულია საბოლოოდ. ავტორს სურდა მისი ამ სახით გამოქვეყნება. № 271 ხელნაწერში სიტყვობრივი მასალაც ნაკლებია, განმარტებებს თავი რომ დავანებოთ, მაგალითად, ა ასოს მასალა № 271 ხელნაწერში 51 სიტყვით ნაკლებია, ვიდრე S 3709-ში. № 271 ხელნაწერში არა

გვაქვს ასეთი სიტყვები: აბანაკება, აბბატი, აბბატობა, აბეზარმოსვლა, ადამანტი, ადამანტისა, ადგომა, ავრიტი, აზნი, აზნაურობა, აკავლება, აკანკალება, აკროსტიხი, ალატა, ალიოქოთი, ამაგი, ამაოხრებელი, ამინ, ამოზევა, ამოზიდვა, ამოფხვრა, ამოქოლვა, ამოღება, ამოშენება, ამოცოხნა, ამოწევა, ამპიწი, ანბანი, ანგელოსებრივი (ანგელოსური), ანჯამა, არიფი, არნი, არსებითი, ასრე, ასულეპა, ასხმა, ატმოსფერა, აფთექა, აფთი, აღებმიცემა, აღვსებისდღენი, აღმაფრენა, აღნიშვნა, აღსაზრდელი, აღყუანა, აღხილვა, აყაყი, ახ! (შორისდებული!), ახატი (ალატი, აქატი), ახდენა, აჯეჯილება; ბ ასოზე: ბარსტი, ბებერა, ბეზარი, ბეზირგანი, ბელიასი, ბზინვარება, ბორდღვა (ფორთხვა), ბოყინი, ბრა (გაბრა), ბრბო, ბრუნვა, ბტყვნა, ბურცი. ასევე სხვა ასოებზეც.

ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ № 271 ხელნაწერშიაც გვხვდება თითო-ოროლა (მხოლოდ თითო-ოროლა!) სიტყვა, რომლებიც S 3709 ხელნაწერში შეტანილი არაა. მაგალითად, ესენია:

ავაჯის ხმით გალობა ფსალმუნება მიმოგდებით, речитатив, псалмодия.

ალაწოდა უშვერად მაღალი.

ალაჩუხი юрта, шалаш.

ამხანაგობა ძმობა, მოყვარობა, товарищество, артель.

ბორგუნელი განცოფებული, გახელებული, бешеный.

ჯაბალარი, ჯაბადარი მცველი საჭურველთა და იარაღთა, цейгвартер.

ჰანგალი მუქთახორა, паразит და სხვ.

ლექსიკონის „შესავალის" ის პირიც, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული (ლენინგრადი, H 55), ოდნავ მოკლეა, ვიდრე S 3709-ის „შესავალი". ტექსტს მცირე რედაქციულ ცვლილებებთან ერთად (ამაზე ქვევით), ბოლოს აკლია პარაგრაფები: 1. „კუალად რომელნიმე ღრამმატიკულნი შესწავებანი", 2. „რიცხჳთნი სახელნი მრავალგუარად იცუალებიან", 3. „კუალად ნაცუალსახელთაგან არსებითთა შეიქმნებიან მრავალგუარნი ზედშესრულნი", 4. „განუსაზღურებელთა ზმნათათჳს და მიმღეობათა", 5. „ქართულისა პროსოდიისათჳს ანუ გამოღებისა". ე. ი. აკლია ბოლო ოთხი ფურცელი. აქ გადმოცემულია ავტორის გრამატიკული კონცეფცია და ცნობები ქართული პროსოდიისა და სასვენი ნიშნების შესახებ. ეტყობა, ეს ნაწილი ავტორს შეგნებულად გამოუტოვებია „შესავალის" პირიდან. დედანში მას თავისი აზრი ვრცლად და გაშლილად აქვს გადმოცემული.

ასეთია ნ. ჩუბინაშვილის ავტოგრაფების ურთიერთმიმართება. როგორც ჩანს, მათ შორის უმნიშვნელო სხვაობაა და არა არსებითი, პრინციპული.

4. ლექსიკონის აღნაგობა. ნ. ჩუბინაშვილი ლექსიკოგრაფიულ მუშაობაში ძირითადად საბა ორბელიანის მიმდევარია, იცავს და ავითარებს მის სისტემას. თავის ლექსიკონს ავტორი უწოდებს: „საბა-სულხან ორბელიანისაგან შეთხზულს და მცირედ გამართულს სისტემისაებრ მისისა" (შეს., აქვე, გვ. 99).

საბა ავტორის უზენაესი მასწავლებელია და ყოველთვის დიდი სიყვარულითა და მოწიწებით იხსენიებს მის სახელს. მაგრამ ნ. ჩუბინაშვილი საბას

ბრმად კი არ მიჰყვება. ცალკეულ პრინციპულ საკითხებში იგი არ იზიარებს საბას მეთოდს და იყენებს საკუთარს, რომელიც მანამდის ცნობილი არ ყოფილა. ავტორი „შესავალში“ ვრცლად გადმოსცემს და ახასიათებს საბას ნაშრომის მეთოდოლოგიას („სისტემა საბასი არს ესრეთიო“) და საგანგებოდ ჩერდება იმ ხერხებზე, რომელთაც თვითონაც იწონებს და იყენებს თავის ნაშრომში.

ლექსიკონის აგების საბასეული პრინციპებიდან ავტორს განსაკუთრებით მოსწონს შემდეგი:

1. ლექსიკონზე ისეთი შესავლის დართვა, რომელშიაც განმარტებულია ქართული ენის ბგერითი სისტემა, მარცვალი და სიტყვის აღნაგობის, ეტიმოლოგიის გზები. ავტორი ამბობს: საბა „შესავალსა შინა განმარტებს ქართულთა ასოთა, ეგრეთვე საქცევთა მარცვალთა და ლექსთასა. ესე ფრიად სახმარ არს ეტიმოლოღიურისა გამოძიებისათჳს ლექსთა ძირისა“ (გვ. 99). ეს ხერხი გამოიყენა თვითონაც. მისი „შესავალი“ ეძღვნება, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ საკითხების დაწვრილებითს გაშუქებას.

2. ნ. ჩუბინაშვილი განსაკუთრებით იწონებს მნიშვნელობით „მონათესავე სიტყვათა“ (სინონიმთა) ერთ ბუდეში მოქცევას. იგი გვერდს უვლის იმ საკითხს, რომ ასეთი სიტყვები მნიშვნელობით არიან მონათესავენი და არა გენეტიკურად. ამოსავალი აქ ლექსიკონის პრაქტიკული საჭიროებაა, რომ მკითხველმა „მალე ჰპოვოს“ საჭირო სიტყვა, „მსწრაფლ მოიგონოს“ იგი. ავტორით, საბას „სახელთა თანა, დამნიშვნელთა ნათესავისათა, მუნვე დაურთავს აღრიცხუა სახეთა მისთა და, რაოდენ შესაძლო არს, განუმარტებია სხვაობა მათი. ესე ფრიად სარგებელ არს,—დაასკვნის იგი,—ვინათგან სახენი ურთიერთისა შესწორებითა და ჩვენებითა სხვაობისა მათისათა, უმჯობეს შეიმეცნებიან. გარდა ამისსა მრავალჯერ შეხუდების ვისმე, რომელ ვერ მოიგონოს მსწრაფლად ერთი რომელიმე სახე მის რომლისამე ნათესავისა, რომელსა თანაცა მალე ჰპოვებს სრულიად სახეთა მისთა. მაგალ., მსწრაფლად ვერ მოვიგონე ჯვარედინის გზის სახელი, მაშინ გ ზ ა ს ა თანა ვჰპოვებ მ ე ბ ო ძ ი რ ს ა, ანუ სახელი ფეხსაცმელთ ძირისა, მაშინ ძ ი რ ს ა ანუ ფ ს კ ე რ ს ა თანა ვჰპოვებ ლ ა ნ ჩ ს ა. გინა სახელი აქლემთა ჯოგისა, მაშინ ჯ ო გ ს ა თანა ვიპოვი კ ო ლ ტ ს ა და სხ. და სხ.“ (შეს., აქვე, გვ. 99).

ავტორს საჭიროდ მიაჩნია სინონიმურ სიტყვათა ერთ ბუდეში მოქცევა, იმ ფარგლებში, რაც საბას ჰქონდა მოცემული. თვითონაც ამ გზას ადგას, ოღონდ სინონიმური სიტყვების შესახებ ის მკითხველს სათანადო ადგილზე მიუთითებს, ბუნებრივიც იყო.

3. სიმბოლიური ნიშნების ხმარება ცალკე გვარეობის სიტყვათა აღსანიშნავად: „სიმოკლისათჳს ლექსთა განმარტებისა საბას ფრიად კეთილად უხმარიან საზოგადონი ნიშანნიო“. ამ ნიშნებს ხმარობს თვითონაც ლექსიკონში.

4. წყაროების ზუსტად დამოწმება: საბას „უმრავლესთა ლექსთა თანა აღუნიშნავს რიცხჳ მუხლთა საღვთოსა წერილისაგან და სხუათა საეკლესიოთა

ანუ საეროთა წიგნთა, სადაცა იპოვებიან ლექსნი იგი“ (იქვე). ამ წესს ავტორიც ზუსტად იცავს.

5. სიტყვათა სადაურობის ჩვენება: „ქართულთა ლექსთა თანა ზედ მოუწერიან ლექსნი იტალიანთა, თურქთა და სომეხთანი, რომელნიცა აჩვენებენ, უკეთუ მათ ენათაგან მიღებულ არიან ქართულად ლექსნი იგი. ფრიად საქებელი ესე სისტემა საბასი დაცვულ არს მცირედ განმართულსა ამას ლექსიკონსა შინა“ (აქვე, გვ. 99—100).

ასეთია ნ. ჩუბინაშვილის ცნობები საბას „ფრიად საქებელი სისტემის“ შესახებ.

ავტორი კრიტიკულად იხილავს საბას ნაღვაწს და აღტაცებულია მისი დიდი მეცნიერული ერუდიციით, მასალის სიუხვით, ენების ცოდნით. სამართლიანად შენიშნავს საბას თავმდაბლობის შესახებ და, ბოლოს, ხაზს უსვამს რედაქტორ-გადამწერთა როლს საბას ლექსიკონის გავრცელებაში, მიუთითებს „უმეცართა გარდამწერთა“ კალმის ცდუნებაზეც. საბას უბადლო შრომით განცვიფრებული ავტორი ამბობს: „და ნამდჳლცა ერთის კაცისაგან შეუძლებელ არს ამგვარის შრომის შესრულება, რაოდენცაღა მრავალთა ენათა და სწავლათა მეცნიერ იყოს. თუმცაღა საბა თჳთ აღიარებს უცოდინარობასა სხუათა ენათასა, მაგრამ, სჩანს, თავმდაბლობით უთქვამს ესე, ანუ როდესაც დაუწყვია ლექსიკონის წერა, მაშინ იქნება ქართულის ენის მეტი სხვა არ იცოდა და, როდესაც ამდენი ქვეყნები მოუვლია, არ იქნება, სხვა ენებიც არ ესწავლა და შემდგომად არ გაემართა თჳსი ლექსიკონი, რომელიც სჩანს ამით, რომელ უცხოთ ენათ ლექსებიც თან ჩაურთავს“ (გვ. 101). „შემდგომად საბასა, — დაასკვნის ავტორი, — მრავალთა მეცნიერთა კაცთა დაუდვიათ შრომა და გაუმართავსთ, ვის როგორც შესძლებია, ანუ ნდომებია, ზოგთ უფრო შემოკლებით და ზოგთ უფრო განვრცელებით. ამის გამო ხელნაწერნი ლექსიკონნი იხილვებიან ზოგნი დიდნი და ზოგნი მცირენი. მაგრამ უმეცართა გარდამწერთა მრავალს ადგილს გაურყუნიათ და შეცდომაებით აუვსიათ“ (იქვე).

სავსებით მართებული მსჯელობაა! ნ. ჩუბინაშვილს დიდი შრომა და ენერგია დაუხარჯავს, რომ ეს შეცდომები გაესწორებინა და საბას ნაღვაწის პირველსახე აღედგინა. ამ მხრით იგი საბას არა უბრალო მემკვიდრეა, არამედ მეცნიერ-რედაქტორი და გამგრძელებელიც.

ნ. ჩუბინაშვილმა გაასწორა საბას ნაშრომში შეპარული შეცდომებიც და აგრეთვე არსებითი ხასიათის ცვლილებებიც შეიტანა ლექსიკონის სტრუქტურაში.

1. ნ. ჩუბინაშვილმა უარყო უცხო სიტყვათა გასარჩევად საბას მიერ გამოყენებული ნიშანი 0, რადგან იქვე მიუთითა ასეთ სიტყვებს სადაურობა, მეორე მხრით, მინიმუმამდის შეამცირა უცხო სიტყვები. უარყო აგრეთვე „გ“ ნიშანიც, რომელიც საბას იმ სიტყვებთან აქვს ნახმარი, რომელთა წყარო დავიწყებია. ყოველივე ეს დამაჯერებლადაა დასაბუთებული.

2. ნ. ჩუბინაშვილს მოუცია საბას მიერ განუმარტებლად დატოვებულ სიტყვათა განმარტებაც, მაგრამ ზოგი მათგანი მასაც განუმარტებლად დაუ-

ტოვებია. ამაზე შენიშნული აქვს: „ხოლო დაშთომილნი საბას ლექსიკონსა შინა განუმარტებელად, ვინცა ზედმიწევნით გამოიძიოს და შეიმეცნოს, ძალუძს მას, აღასრულოს ვედრება საბასი, რომელიცა იტყჳს: „რომელთა მოგცეს უფალმან სიბრძნე და მეცნიერება, გულსმოდგინედ შეასრულეთო“ (გვ. 119).

3. ნ. ჩუბინაშვილს ქართული ლექსიკონიდან ამოუღია უცხო წარმოშობის საკუთარი სახელები, ან როგორც თვითონ ეძახის „სათჳთონი სახელნი“, რომლებიც ისტორიულს ან გეოგრაფიულ ლექსიკონებს განეკუთვნებიანო. ამ დასაბუთებულმა პრინციპმა კი მნიშვნელოვნად გაამარტივა ლექსიკონი. „სათჳთონი სახელნი, ე. ი. კაცთა, ქალაქთა, მდინარეთა და ადგილთანი, შეკრებილ და განმარტებულ არიან საკუთარსა შინა ლექსიკონსა ისტორიულსა ანუ ღეოღრაფიულსა, მაშა განმარტება მათი არა ეკუთნეის ქართულსა ლექსიკონსა. ამის გამო სრულიად გამოშვებულ არიან იგინი ამის წიგნისაგან, ვითარ იგი: ადამ, ევა, ენუქ, ნოე, აბრაჰამ, სარრა, აბიმელიქ, მოსე, დანიილ, პეტრე, პავლე და სხ. გინა: ბაბილოვანი, ბეთლემი, დამასკო, ეგჳპტე, დეირი, იერუსალიმი, იერიქონი, იორდანე, ნილო, მემფისი, რომელიც შეცთომით სწერია მეფისა (იერემ. 26, 14) და სხ.“ (გვ. 120).

4. ლექსიკოგრაფოსს საჭიროდ არ დაუნახავს ქართულ ლექსიკონში კვლავ დაეთმო ადგილი თითო-ოროლა ხელნაწერში ნახმარი უცხო წარმოშობის არაპოპულარული სიტყვებისათვის, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდებიან საბას ნაშრომში. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ი. პეტრიწის თარგმანებიდან და „სხოლიოებიდან“ ამოკრებილი სიტყვების შესახებ. ამ სიტყვების შეუტანლობა ლექსიკონში ავტორს სარწმუნო არგუმენტებით დაუსაბუთებია. „კუალად ლექსნი, — ამბობს ავტორი, — ხმარებულნი ღრმათა წიგნთა შინა და, მეტადრე, კავშირისა, ვითარ: ამავრო თუ ამაკრო, 8 კავშ.: დაათრობს მყოფთა ნეკტართა მიერ ამაკრო ამაკროსა, და კუალად ამვლიოპობა 144 კავშ., ესე არს თუალტკივნეულთა მხედველობა, რა ნათელსა ერთსა შუქმრავლად ხედვიდეს და სხ. და სხ. განმარტებანი ესე, ვითა სხოლიონნი, შესაძლო არიან მოწერად თჳთ მათ ადგილთა ზედა კავშირის წიგნისათა, სადაცა იპოვებიან იგინი, რამეთუ მხოლოდ მუნ არიან ხმარებულ და არა თუ საზოგადოსა შინა საუბარსა და არცა ეკუთნვიან ქართულსა ლექსიკონსა“ (იქვე).

ეს მსჯელობა მეცნიერულად მართებული და დასაბუთებულია. მართლაც, რატომ უნდა შევიტანოთ ქართულ ლექსიკონში ის არაქართული სიტყვა, რომელიც არაპოპულარულია და ნახმარია ერთადერთ ადგილას ერთადერთ ძეგლში? იგი არ იხმარება და სიტყვად არც მიიჩნევა. ლექსიკონში მხოლოდ ის სიტყვა უნდა იქნას შეტანილი, რომელიც ცოცხალია, ე. ი. ხმარებაშია, ან რომელიც ახლა ცოცხალი არ არის, მაგრამ თავის დროზე პოპულარული იყო და იხმარებოდა. ყოველი სიტყვა, ლენინის თქმით, განზოგადებას წარმოადგენს და განზოგადებულ აზრს იგი მაშინ გადმოგვცემს, როცა ხმარებაშია. ერთჯერ წარმოთქმული, თუ გნებავთ, მაშინვე ფიქსირებული სიტყვა სიტყვა როდია. მას ენისათვის არავითარი ფასი და მნიშვნელობა

არა აქვს. ხმარებულება სიტყვის სიცოცხლის წყაროა. ნ. ჩუბინაშვილი დგას მართებულ თვალსაზრისზე: ქართულ ლექსიკონში ადგილი უნდა დაეთმოს ისეთ სიტყვებს, რომლებიც ან ხმარებაშია ახლა, ან იხმარებოდა. ეს განსაზღვრავს ლექსიკონში სიტყვის შეტანა-შეუტანლობის საკითხს.

5. ნ. ჩუბინაშვილს საჭიროდ არ დაუნახავს უცხოურ სიტყვათა ისე უხვად შეტანა ლექსიკონში, როგორც ამას საბას ნაშრომში ვხედავთ. ამიტომ ქართულ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვები ავტორს გულმოდგინედ გაუცხრილავს და მისი მხოლოდ ის ნაწილი დაუტოვებია ლექსიკონში, რომელიც ფართო ხმარებაში იყო და მეცნიერების ამა თუ იმ დარგის კუთვნილებას შეადგენდა. ამასთან ყველა უცხოურ სიტყვას მიწერილი აქვს სადაურობა, ბერძნულსა და ლათინურ სიტყვებს—მართლწერა ბერძნულისა და ლათინური ტრანსკრიფციით, თურქულსა და სომხურ სიტყვებს კი—ქართული ტრანსკრიფციით. ამასთან ავტორს მრავალი უცხოური სიტყვის მართლწერა დაუდგენია და სათანადო წყაროებში შეპარული შეცდომები გაუსწორებია. „ამისათჳს, — ამბობს იგი, — მცირედ გამართულს ამას ლექსიკონსა შინა, რაოდენ შესაძლო იყო, ბერძულნი ლექსნი, მიღებულნი ქართულად, ზედვე მოწერილ არიან ბერძულის ასოებითა, ხოლო ლათინურნი მისისავე ასოებითა, ვითარ: პ ა ტ რ ო ნ ი Patronus, ფ ა რ დ ი Pars, Partis, ს ი გ ე ლ ი Sigella და სხ. ესე ნაცვლად მისსა, რომელ საბას ზედმოუწერიან ლექსნი იტალიანურნი, ხოლო თურქთა და სომეხთ ლექსნი ზედმოწერილ არიან ქართულის ასოებითა, ვითა საბას მოუწერია“ (გვ. 121). ქვევით ავტორი დაასკვნის: „უკეთუ ესრეთ უცხოთ ენათა ლექსნი გარჩევით ზედმოეწერებიან, მაშინ არღარა იქნების საჭიროდ ხმარება მათ ლექსთათჳს ნიშნისა O, რამეთუ თავით თჳსით საჩინოველ იქმნებიან, რომლისა ენისაგანცა მიღებულ არიან ლექსნი იგი, ხოლო გამოკჳლევისა მათისა მოვალეობა ჰსძესთ ზედმიწევნით მცოდნეთა მათ ენათათა“ (იქვე).

6. იმ სიტყვების განსამარტავად, რომლებიც იშვიათად იხმარება ან სრულიად უცნობია, ავტორს ორი ხერხი გამოუყენებია. ჯერ ერთი, მოუძებნია ტექსტი, სადაც ეს სიტყვებია ნახმარი, და ამის მიხედვით აუხსნია მათი მნიშვნელობა. როცა ეს საკმარისი არ გამხდარა, მიუმართავს დიალექტებისათვის. დიალექტებში (კუთხეებში, თემებში) თუ დადასტურდებოდა მათი ხმარებულება და მნიშვნელობა, შემდეგ შემოიტანდა ხოლმე ლექსიკონში. სიტყვის მნიშვნელობის კვლევა-ძიების ეს გზა ნაცადი და ერთადერთი სანდო გზაა. ნ. ჩუბინაშვილი ამის შესახებ გვაუწყებს: „სარწმუნოდ გამოძიებისათჳს ლექსთასა და მეტადრე ესრეთთა ლექსთასა, რომელნიცა საზოგადოსა შინა საუბარსა იშვიათად იხმარებიან, ანუ სრულიად უცნაურ არიან, გუქონან ორნი ღონისძიებანი: 1. ანუ ჯერ არს გასწავლება წერილთა შინა, სადაცა ლექსი იგი იპოვების; 2. ანუ ჩვენება თემისა, სადაცა იხმარების იგი და რა თარგმანება აქუს, ვითა საბას აღუნიშნავს კ ა ნ ო ხ ი, ანუ ლ ა ნ უ ხ ო ბ ა მესხურად და ო ჯ ო ჯ ა მეგრულად და სხ. თჳნიერ ორთა ამათ ღონისძიებათა, უცნაურნი ლექსნი არა ჯერ არიან შემოტანად ლექსიკონსა შინა, რამეთუ არიან ვიეთნიმე

თჳთმომგონნი ლექსთანი, რომელნი არცა იპოვებიან წერილთა შინა, არცა იხმარებიან სადმე და, მაშასადამე, არავისთჳს არიან შესამეცნებელნი“ (იქვე).

კვლევა-ძიების ამ გზით ნ. ჩუბინაშვილს აღმოუჩენია მრავალრიცხოვანი შეცდომა, რომელიც საბას ნაშრომის რედაქციებში გვხვდებოდა, განსაკუთრებით ბიბლიური წიგნებიდან ამონაწერებში (იქვე, გვ. 122) და გაუსწორებია იგი. ვინაიდან ლექსიკოგრაფოსი ძირითადად ბეჭდურ წიგნებს ემყარებოდა, გაუსწორებია ამ წიგნებში დაშვებული ბეჭდური და გადამწერთა შეცდომებიც (იქვე).

7. ავტორი სიტყვის განმარტებაში დიდ „განმკაცრებას“ (ე. ი. სიფრთხილეს) იჩენს, რათა გასამარტავი ცნება ისეთი სიტყვით არ განიმარტოს, რომელიც თვითონ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. ამის გამო იგი სამართლიანად ფიქრობს, „განმარტებასა შინა ლექსთასა ჯერ არს განმკაცრებაჲ, რათა ერთისა ლექსისა სათარგმანებელად ხმარებულნი სხჳანი ლექსნიცა, მეტადრე ხმარებასა შინა უცნობნი, კჳალად განმარტებულ იყჳნენ ცხადად თჳსსა ადგილსა, რამეთუ თჳნიერ ამისსა შეუძლებელ არს გაგება მათი. მაგალ., ალა წისქვილის ალატა და ალატა საფქვილე ალა, ეს ლექსნი არ გაიგებიან. კჳალად კაპანი. ამას უწერია განმარტებად ქვალოჯი, ლადალუდას განმარტება არს კაპანი და არც ერთი ნათლად არა სჩანს. კჳალად ქოჩი შებარდული ხე, ხოლო რას ჰნიშნავს შებარდული ან ბარდი? ესევითარნი თარგმანებანი არიან უმეტეს დაბნელება და არა თუ განმარტება“ (გვ. 123).

ავტორს აქაც საბას ნაშრომი აქვს მხედველობაში. ალა, ალატა, კაპანი, ლადალუდა, ქოჩი და სხვა სიტყვები სწორედ ასეა განმარტებული საბას ლექსიკონში. ნ. ჩუბინაშვილმა მართებულად შენიშნა მისი დიდი წინამორბედის ნაშრომის ეს ნაკლი, მაგრამ არსებითად ვერც თვითონ აცდა მას. მის ლექსიკონშიც ბევრია ისეთი განმარტება და განსამარტებლად გამოყენებული სიტყვა, რომელსაც თვითონვე ესაჭიროება განმარტება. ამიტომ მისი მრისხანე განაჩენი საბას მიმართ თავადვეც ეკუთვნის: „ესევითარნი თარგმანებანი არიან უმეტეს დაბნელება და არა თუ განმარტება“.

8. ლექსიკოგრაფოსი ასევე სიფრთხილეს იჩენს სინონიმურ სახელთა განმარტებაში. აქ ავტორი სავსებით ორიგინალურ შეხედულებას ავითარებს, რასაც დღესაც უნდა გაეწიოს ანგარიში. „კჳალად ჯერ არს განმკაცრებაჲ, რათა სინონიმნი ანუ ერთსახელნი ლექსნი არა დაიდებოდენ რეცა სახეებად ნათესავისა. მაგალ., ტიტველი და შიშველი არიან სინონიმნი, ანუ ერთისა და მისვე მნიშვნელნი და არა თუ სახენი ნათესავისა რომლისამე და სხვაობა მათი არს მხოლოდ ესე, რომელ ტიტველი იხმარების საუბრის ენასა შინა, ხოლო შიშველი—წერილთა შინა. ეგრეთვე ცერეცო და ანისული, არიფანა და ფსონი და სხ. ესრეთთა სინონიმთათჳს,—დაასკვნის ავტორი,—საკმაო არს, რათა განიმარტოს ერთი მათგანი და სხჳანი გასწავლებულ იქმნენ ურთიერთისადმი ჩვენებითა სხვაობისა მათისათა“ (იქვე).

9. ნ. ჩუბინაშვილმა ლექსიკონიდან ამოიღო „უშვერი“ და „საგიობელი“ სიტყვები, რომლებიც საბას გარკვეული მიზნით ჰქონდა შეტანილი თავის ნაშრომში. საბა იცავდა პრინციპს, რომ ლექსიკონში ასახულიყო ყოველი

სიტყვა, რომელიც კი ენაშია და, მათ შორის, „კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი, უბადონი და ცუდნი“, რადგან უიმათოდ შეუძლებელია ენის ლექსიკური შემადგენლობის სრულად გადმოცემაო. მაგრამ ეს უდავოდ მართებული შეხედულება, გამოთქმული XVII საუკ. 80-იან წლებში, მოძველებული ჩანდა XVIII საუკუნის ბოლო წლებსა და, განსაკუთრებით, XIX საუკ. დასაწყისში. რუსეთის მეცნიერებათა აკადემია სულ სხვა აზრზე იდგა. ნ. ჩუბინაშვილი კი, როგორც საბას მემკვიდრე, მაგრამ ამავე დროს ლექსიკოგრაფოსი, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1789 წელს გამოცხადებული წესების ერთგულია, განსხვავებულ თვალსაზრისზე დგება.

გავიხსენოთ საბას შეხედულება ამ საკითხზე: „ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი, უბადონი და ცუდნი. არათუ კიცხვისათჳს აღმიწერია, რათა საქირდალად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათჳს აღვწერე. თუცა უბადო სახელი აღმოიკოცოს, მერმეღა უდარესი მოაკლდეს უაღრესსა და ღმერთიღა დარჩეს უკეთესი და სხუა არა რა და შემცირდების ენა ქართული“ [1]. საბას პოზიცია აქ გარკვეული და დასაბუთებულია. იგი ასეთ სიტყვებს ენის სისრულისათვის ეძიებდა და არა საქირდლად. ამიტომ ქვევით დასძენს: „ვიცი, მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნაშრომთა ამათ ჩემთა. მათ, თუცა წერილნი უყუარან, მრავალნი სხუანი წერილნი არიან, საღმრთონი და საერონი, და რომელიც ენებოსთ, იგი იკითხნენ, ხოლო ესე ჩემებრ უცებისათჳს აღიწერა და დაუტეონ“; „ენაგარყვნილებათაგან სწავლულნი მრავალთა აქა წერილთა სიტყუათა იუცხოებენ და შორად განიშორებენ. თუცა ცოცხალსა მკითხვენ, განმარტება, ღუთით ძალმიცს და სიკუდილის უკან მათ იციან!“ [2].

ერთ-ერთ ასეთ პირს წარმოადგენს სწორედ ნ. ჩუბინაშვილი, რომელიც არ იზიარებს საბას შეხედულებას აღძრულ საკითხზე, მაგრამ მას აღარ შეეძლო ცოცხალ საბასათვის ეკითხა ბევრი რამ. იგი აშკარად დადგა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის განმარტებითი ლექსიკონის რედაქციის მიერ შემუშავებული პრინციპების თვალსაზრისზე და ამას ხაზგასმითაც აღნიშნავდა: „რუსეთის აკადემიისაგან სწავლათასა გარდამოცემულთა შინა ლექსიკონთა მიღებულ არს მტკიცედ კანონად არა შემოტანა მათ შინა უშვერთა, საზიზღართა, უზდელურად საგიობელთა და ცუდის აუგის ლექსთა, და ამის გამო მცირედ განმართულსა ამას ლექსიკონსა შინაცა მკაცრად დაცვულ არს ფრიად კეთილი ესე კანონიო“ (გვ. 123).

10. ბოლოს, უნდა აღინიშნოს ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის კიდევ ერთი თავისებურება. ცნობილია, რომ საბა ლექსიკურ ერთეულებს კრებდა არა მარტოოდენ ბიბლიური (საეკლესიო) თხზულებებიდან, არამედ უხვად სარგებლობდა საერო შინაარსის წიგნებითაც. საბა აქ თავის აღიარებულ სის-

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, რ. დ. ერისთავის რედ., თბ., 1884, გვ. XXVI; პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928, გვ. 03; ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1949, გვ. 11. სამივე გამოცემა რედაქციულად განსხვავებულ ტექსტს გვაჩვენებს.

[2] იქვე.

ტემას იცავდა. მას, ცხადია, ხელთ არ ჰქონდა ცალკე თხზულებათა დადგენილი ტექსტები, გარდა „ვეფხისტყაოსნისა", რომლის ტექსტის დადგენაში ვახტანგ VI-სთან ერთად იქნებ თვითონაც მონაწილეობდა. ამიტომ, თუ საბას ლექსიკონში დამოწმებულ წყაროებს შევადარებთ ჩვენამდის მოღწეულ ხელნაწერებსა და მათს დაბეჭდილ პირებს, მათ შორის სხვაობას ვიპოვით. ეს ფაქტი მაშინვე შეუნიშნავს ნ. ჩუბინაშვილს და მას მიზნად დაუსახავს თავიდანვე ერთი წესის დაცვა — მხოლოდ დაბეჭდილი წყაროების დამოწმება. მართალია, მთლიანად ვერა, მაგრამ ძირითადად მან ეს მიზანი განახორციელა. ამის შესახებ ავტორი გვაცნობს: „გარდა საღვთოთა წერილთა, საბას შემოუტანიან ლექსნი საეროთა წიგნთაგანცა და მეტადრე ქართლის ცხოვრებისაგან, ვეფხისტყაოსნისაგან, კარაბადინთაგან და სხ. მაგრამ ლიტონად და დაუნიშნავად ადგილთა, ანუ მუხლთა, სადაცა ლექსნი იგი იპოვებიან. და ესეცა საგონებელ არს, ვითარმედ საბას დროს ჯერეთ არ იქმნებოდა შესრულებული ქართლის ცხოვრება მეფის ვახტანგისა და მეტადრე შვილისა მისისა ვახუშტისა. მაშა გამოუწერია ძველის ქართლის ცხოვრებისგან, რომელიც აწ დაკარგულია. ხოლო ვეფხისტყაოსანის თარგმანი, დართული მის მეფისაგან დასასრულსა მის წიგნისასა, ფრიად ეთანხმების საბას განმარტებასა, რომლიდამაც აწ შემოტანილ არიან აქა მრავალნი ლექსნი ჩვენებითურთ მუხლთათა, არამედ მას შინაცა ჯერ არს გარჩევა შეცთომათა, დაბეჭდვა'ში შეხდომილთა" (გვ. 123).

ასეთია პრინციპები, რომელთა საფუძველზეც აგებულია ნ. ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონი. იბადება ბუნებრივი კითხვა: საიდან შეიმუშავა ნ. ჩუბინაშვილმა ეს პრინციპები, რა უშუალო წყაროები უძევს საფუძვლად მისი ლექსიკონის აღნაგობას?

ა. ორი წყარო: ქართული და რუსული. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნ. ჩუბინაშვილის ქართულ ლექსიკონს ასაზრდოებს ორი წყარო: ა) ქართული—საბას ლექსიკონის (1676—1725) სახით და ბ) რუსული—რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონის (პირველი გამოცემა: 1789—1794, მეორე გამოცემა: 1806—1822) სახით. თავისი ლექსიკონის ძირითადი პრინციპები ავტორმა ამ ორი წყაროს გავლენით შეიმუშავა.

საბას ლექსიკონიდან იგი არა მარტოოდენ მზა მასალას სესხულობს, არამედ, რაც მთავარია, სიტყვათა მოკვეთილ განმარტებებსაც. მთავარ ნაწილში ლექსიკონი ისეა შედგენილი, რომ ავტორმა მას არსებითად საბას ნაშრომი უწოდა, მცირედ გამართული მის მიერ. ეს თავმდაბლური განცხადება არ ბღალავს მის პრიორიტეტს. თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, საბას ლექსიკონის შემდეგ დღევანდლამდის ორიგინალური ლექსიკონი ქართული ენისა არ შედგენილა, რადგან ყოველი მათგანის საფუძველი საბას უკვდავი ნაშრომია.

ნ. ჩუბინაშვილს საბასაგან უსესხნია ლექსიკონის აგების ძირითადი პრინციპები, წყაროების დამოწმების მეთოდიკა, სიტყვათა ანოტაცია-განმარ-

ტებანი. მართალია, საბასეულ პრინციპებში მას საკუთარიც ბევრი ჩაურთავს, მაგრამ პირველი წყარო მაინც საბა და მისი უბადლო ნაშრომია.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონის რედაქციიდან მას შეუთვისებია საბასაგან განსხვავებული პრინციპები და ლექსიკური მასალა ქართული სიტყვების თარგმანისათვის. ამიტომ ნ. ჩუბინაშვილი დიდადაა დავალებული რუსული ლექსიკოგრაფიის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლიდან.

„Словарь Академии российской"-სა და ახალი რუსული განმარტებითი ლექსიკონის შედგენა-გამოცემის თაობაზე XIX საუკ. პირველ-ორ ათეულ წელს გამართული დისკუსიის შედეგებისა და გამოქვეყნებული პრინციპ-წესების[1] გათვალისწინების მიხედვით ავტორს გაუმართავს თავისი ნაშრომი.

1. ნ. ჩუბინაშვილმა საბას ლექსიკონიდან გამოჰყო უცხო წარმოშობის საკუთარი სახელები (ადამიანთა, ადგილთა, ქალაქთა, მდინარეთა) და აღარ შეიტანა თავის ლექსიკონში. ამ მხრით მისი მასწავლებელი იყო „Словарь Академии российской", რომლის პირველი ტომის წინასიტყვაობაში პირდაპირ აღნიშნულია: „Исключить все те слова, кои к составлению языка не способствуют, куда относятся собственные имена людей, земель, городов, морей, рек, озер и проч." (ტ. I, СПб., 1789, Предисловие, გვ. IX).

2. ასევე ავტორს ლექსიკონში არ შეუტანია იშვიათად, ერთ ავტორთან, ნახმარი ცალკეული სიტყვები, რომლებიც ამის გამო არ განეკუთვნებიან თანამედროვე ენის საერთო ლექსიკურ შემადგენლობას. ამ მხრითაც იგი ხსენებულ ლექსიკონს ემყარებოდა. იმავე წინასიტყვაობაში ნათქვამი იყო: „Слова и речения наук и художеств, которые не входят в общее употребление, но единственно ученым и художникам известны" (იქვე).

3. ნ. ჩუბინაშვილმა საბას ლექსიკონიდან ამოიღო ე. წ. უშვერი და საგინებელი სიტყვები და თავის ლექსიკონში აღარ შეიტანა.

მითითებული წყაროც, რომელსაც ავტორი ემყარებოდა ამ შემთხვევაში, „Словарь Академии российской" ამის შესახებ აღნიშნავს, რომ იქ არაა შეტანილი „Все слова и речи благопристойности противные" (ტ. I, СПб., 1789, Предисловие, გვ. IX)[2].

---

[1] Правила для издания словопроизводного Словаря, „Труды общества любителей российской словесности", т. VIII, М., 1817, გვ. 188—191.

[2] თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასი წლის შემდეგ რუსულ ლექსიკოგრაფიაში ძალზე შეიტანეს, ჩვენი აზრით, ამ სამართლიანი აზრის კეშმარიტებაში და საპიროდ დაინახეს ყოველგვარი (მათ შორის უცენზურო, უშვერი!) სიტყვების შეტანა ლექსიკონებში. ამ შეხედულების დამცველად ცხრაასიან წლებში მოგვევლინა პროფ. ი. ა. ბოდუენ დე-კურტენე, რომელმაც იტვირთა ძნელი საქმე—ვ. დალის ცნობილი ლექსიკონის მესამე გამოცემის რედაქტორობა (1903—1911 წწ.). პროფ. ი. ა. ბოდუენ დე-კურტენე აღნიშნავდა, რომ ლექსიკოგრაფოსმა თავის ნაშრომში უნდა შეიტანოს ყოველგვარი სიტყვა, რაც ცოცხალ ენაში გვხვდება და იხმარება. ენათმეცნიერს რომ „ვულგარული სიტყვებიდან გაწმენდილი ლექსიკონი" მიაწოდო, ეს იმის მსგავსი იქნება, რომ ანატომოსი აიძულო ადამიანის სხეული შეისწავლოს ამა თუ იმ ნაწილის გარეშე, მათი სირცხვინელობის გამოო. ამიტომ მან ვ. დალის ლექსიკონს დაუმატა „неприличные слова", რომლებიც დიდ რუს ლექსიკოგრაფოსს დამოწმებული არ ჰქონია. ამის შესახებ იგი ამბობდა: „Уже сам Даль внес в свой словарь

4. ლექსიკონში არ შეუტანია აგრეთვე მოძველებული, ხმარებიდან გასული სიტყვები. ძველი სიტყვებიდან მხოლოდ ისეთები დაუტოვებია, რომლებსაც ძალა არ დაუკარგავთ დღესაც. ამ მხრითაც ავტორის მასწავლებელია „Словарь Академии российской“, რომლის იმავე წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ლექსიკონში არ არის შეტანილი „Все слова старинные, вышедшие из употребления; удерживая однако же те, которые к разумению древних деяний, обрядов или обычаев способствуют“ (იქვე, გვ. IX—X).

5. ნ. ჩუბინაშვილს საბას ლექსიკონიდან გამოუტოვებია უცხოურ სიტყვათა დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით ისეთი სიტყვები, რომლებსაც ქართული აღიარებული შესატყვისობანი მოეპოვებოდათ. მაგრამ უცხოურ სიტყვათა გარკვეული ნაწილი მასაც დაუტოვებია თავის ლექსიკონში. დაუტოვებია ისეთი სიტყვები, რომლებიც არა მარტოოდენ ქართულში, არამედ მსოფლიოს ყველა ენაში დამკვიდრდნენ, როგორც ცნება-ტერმინები. ესენია: ა. ბერძნული, ლათინური, ებრაული, სირიული წარმოშობის სიტყვები, რომლებიც დაკავშირებულია ქრისტიანულ რელიგიურ მოძღვრებასთან (აბბა, ანგელოსი, ანაფორა, ანტიფონი, აღაპი, ბარბაროსი, ბალი, ერეტიკოსი, ტიპიკონი, ტრაპეზი ...); ბ. მეცნიერულ დისციპლინათა და მათ ტერმინთა სახელწოდებანი (ალქიმია, ართრონი, ანდრიატი, ფალანგა, ქიმია, ფილოსოფია, ღრამმატიკა...); გ. თანამდებობა-წოდების სახელწოდებანი (ანთჳპატი, არხიმანდრიტი, აქიმი, ეპისკოპოსი, ეპიტროპოსი...); დ. სამკურნალო საშუალებათა სახელწოდებანი (ბალაზინი, ემპლასტრო...)... ამ შემთხვევაშიაც ავტორისათვის მაგალითის მიმცემი ყოფილა „Словарь Академии российской“, რომლის იმავე წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: ლექსიკონიდან გამოტოვებულია „Все иностранные слова, введенные без нужды, и которым равносильные словенские или российские находятся; удерживая токмо (I) названия еврейские, греческие в священных книгах принятые, которые во всех языках христианских известны и употребительны как между просвещенным, так и между простым народом и не терпят никакого преложения. (II) Названия властей, степеней, достоинств, чинов, званий, новейшие времена введенных, которые яко изреченные законом без всякой перемены внесены в словарь нами. (III) Названия произведений как естественных, так и художественных привозимых, которым по общему праву всех языков дано место и в нашем Словаре“ (Предисловие, გვ. IX—X).

სურათი ნათელია. ნ. ჩუბინაშვილს თავისი ლექსიკონის საფუძვლად ორი წყარო აუღია: საბას „ქართული ლექსი-

ряд таких слов, которые, входя в живую речь, все же считаются „неприличными“. Редакция нового издания, имея в виду и здесь прежде всего научные соображения и полноту словаря живой русской речи, нашла необходимым дополнить и эту часть словаря, отнюдь не считаясь с мнениями и взглядами чопорных педантов — „моралистов“. Как по поговорке „Из песни слова не выкинешь“, так и из словаря живой речи нельзя выкинуть даже тех слов, которые режут ухо“ (В. Даль, Толковый словарь живого великорусского языка, 3-е изд. под ред. проф. И. А. Бодуена де-Куртенэ, т. I, СПб., М., 1903, რედაქტორის ბოლოსიტყვაობა, გვ. VI).

კონი“ და „Словарь Академии российской“. ორივე მათგანის მიხედვით გაუმართავს თავისი ნაშრომი. ამ ლექსიკონების შედგენის პრინციპების შემოქმედებითად ათვისების ნიადაგზე ნ. ჩუბინაშვილს საკუთარი, ორიგინალური ქართული ლექსიკონი შეუდგენია.

ნ. ჩუბინაშვილი ორიგინალში იცნობდა ქართულსა და რუსულ იმდროინდელ გრამატიკულ-ლექსიკოლოგიურ ლიტერატურას. ამოსავალი მისთვის ქართული გრამატიკული აზროვნებაა. იგი მოხიბლულია ჯერ საბას ლექსიკოგრაფიული ნაშრომით, მეორე მხრით, კარგად იცნობს ანტონის სკოლის გრამატიკულ თხზულებებს. მისი ძმაც, იესე ჩუბინაშვილი, თავის „ქართულ ღრამმატიკაში“ (1816 წ.) ანტონისა და ბატონიშვილების გრამატიკული თხზულებების დიდ გავლენას განიცდის. ნ. ჩუბინაშვილის შეხედულებათა ფორმირება ხდებოდა XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე. იგი, ჯერ ერთი, ეწაფება XVIII საუკუნის რუსული ენათმეცნიერული აზროვნების მიღწევებს და, მეორე მხრით, სწავლობს XIX საუკუნის 20-იან წლებამდის გამოქვეყნებულ ნაშრომებს. მის ცნობისმოყვარე გონებას იპყრობს ქართული ენის გრამატიკული წყობა და მდიდარი ლექსიკური შემადგენლობა. დიდი ენათმეცნიერული მომზადება მას სურს გამოიყენოს მშობლიური ენის ყოველმხრით შესასწავლად.

ნ. ჩუბინაშვილი არა მარტო იცნობს რუსული ენათმეცნიერული აზრის თითქმის ყველა წარმომადგენელს იმ პერიოდში, არამედ კიდეც იყენებს მათს თხზულებებს თავის კვლევა-ძიებაში. განსაკუთრებული მოკრძალებით ეპყრობა ის მ. ვ. ლ ო მ ო ნ ო ს ო ვ ი ს გრამატიკულ მემკვიდრეობას. მ. ვ. ლომონოსოვმა რუსული გრამატიკული მწიგნობრობა გაამდიდრა ბრწყინვალე ორიგინალური ნაშრომით „Российская грамматика“, რომელში განვითარებული დებულებებიც ასაზრდოებდა არა მარტოოდენ XVIII საუკუნის, არამედ XIX საუკ. პირველი სამი ათეული წლის რუსულ პროგრესულ ენათმეცნიერულ აზროვნებას. მ. ვ. ლომონოსოვის ხსენებული გრამატიკა შეუსწავლია ნ. ჩუბინაშვილსაც. ამაში ჩვენ ვრწმუნდებით მისი გრამატიკული ნაშრომიდან, რომელშიაც ციტირებულია ლომონოსოვის თხზულება.

ნ. ჩუბინაშვილმა გარკვეული გავლენა განიცადა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონისა. იგი კარგად იცნობდა ამ ლექსიკონის ორივე გამოცემას და იმ შეფასება-შენიშვნებს, რომლებიც გამოქვეყნდა მის თანამედროვე პერიოდულ გამოცემებში. ხსენებული ლექსიკონი არ ყოფილა არც სრული, არც უნაკლო და შიგადაშიგ არსებით შეცდომებსაც შეიცავდა, მაგრამ საერთოდ მისი გამოცემა უსათუოდ დიდ მოვლენას წარმოადგენდა. მან ღრმა კვალი დააჩინა არა მარტოოდენ რუსული ლექსიკოგრაფიის განვითარებას, არამედ საერთოდ ლექსიკოლოგიის აღმავლობას. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ლექსიკონის მეორე გამოცემამ, რომელიც, მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებებისა, მაინც უფრო სრულყოფილი იყო. ჩვენ ამ საკითხზე აქ ვერ შევჩერდებით, იგი ვრცლადაა გაშუქებული სპეციალურ ლიტერატუ-

რაში[1], მაგრამ არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ ი. ი. სრეზნევსკის მოსაზრება ამ ლექსიკონის შესახებ, რასაც უშუალო კავშირი აქვს ჩვენს თემასთან.

ი. ი. სრეზნევსკი წერდა: „При каждом слове отмечено его грамматическое значение, и вслед за тем объяснен смысл слова. Замечательно, что все слова без исключения, какие бы то ни были, истолкованы одинаково объяснением самых понятий, заключающихся под ними, так что в некотором отношении этот словарь есть вместе и краткая энциклопедия. При словах менее обыкновенных есть свидетельства и ссылки на книги, при словах обыкновенного разговорного языка – выражения поговорочные. Словарь не полон ни по количеству слов, ни по свидетельствам объяснительным, ни тем более по фактам для истории языка; в нем не мало и странностей, и ошибок; но мысль, руководившая составителей, выкупает ошибки... Азбучный словарь Академии останется навсегда одним из самых замечательных свидетельств первых успехов русской науки и лучшим памятником усилий Российской Академии; издавши этот словарь, она уже могла сказать, что не даром существовала“[2].

ასეთ შეფასებას იმსახურებდა ეს ლექსიკონი არა მარტო XIX საუკუნის შუაწლების მოღვაწეთა აზრით, არამედ ასევე მაღალ შეფასებას აძლევს მის როლს რუსული ლექსიკოგრაფიის აღმავლობაში ჩვენი თანადროულობაც. XIX საუკუნის ქართული ლექსიკოგრაფია მრავალ სახელმძღვანელო მითითებას ღებულობდა მისგან. ნიკო ჩუბინაშვილის, იოანე ბაგრატიონისა და სხვათა ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები განიცდიან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ხსენებული ლექსიკონის გავლენას.

თავისი ლექსიკონის შედგენის დროს ნ. ჩუბინაშვილს უსარგებლია აგრეთვე იმ წესებითაც, რომლებიც ახალი რუსული განმარტებითი ლექსიკონის შესადგენად შეუმუშავებიათ 1817 წელს. ამ წესებიდან ნ. ჩუბინაშვილს გამოუყენებია ის მითითებანი, რომლებიც ეხებიან ლექსიკონში საკუთარი სახელების, ძირეული, მოძველებული და ხმარებიდან გამოსული, უცხოური და დიალექტური სიტყვების, აგრეთვე ზმნების შეტანის მეთოდიკის საკითხებს. ამ „წესებში“, რომელთა შედგენაში ბევრ სპეციალისტთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ ა. ვ. ბოლდირევს, ი. ი. დავიდოვსა და სხვებს და რომლებითაც, ჩვენი აზრით, უსარგებლია ნ. ჩუბინაშვილსაც, ნათქვამია, რომ ლექსიკონში

„1. Помещать общеупотребительные слова, кроме а) собственных и географических имен, б) областных, или местных.

---

[1] И. И. Срезневский, Словарь церковно-славянского и русского языка, составленный II отд. имп. Акад. Наук. ЖМНП. СПб., 1848, ч. 58; С. К. Булич, Очерк истории языкознания в России. I, СПб., 1904, გვ. 948—955; Н. С. Державин и С. П. Обнорский, История и техника издания словаря русского языка Академии Наук СССР, Вестник АН СССР, № 7, Л., 1932, გვ. 14—26 და სხვ.

[2] И. И. Срезневский, იქვე, გვ. 224—225.

2. Слова-корни употребительных слов, хотя бы сами они вышли из употребления.

3. Церковно-славянские слова, употребительные в гражданских сочинениях, или служащие к составлению русских слов.

4. Усвоенные издавна иностранные слова, с означением, из какого языка они взяты.

5. За коренные слова принимать означающие первоначальное понятие, „какую бы часть речи они не составляли“.

6. Отрицательные речения ставить непосредственно при главных словах, напр. лицемерный, нелицемерный.

7. Слова, сложные из двух и более, ставить при обозначающих главное понятие: злодей при зло, благодетель при благо.

8. При именных существительных ставить род и падежи: род. ед. и имен. мн. и непосредственно за ними употребительнейшие увеличительные и уменьшительные имена.

9. При именах прилагательных обозначать также „усеченное окончание и сравнительные степени“ (т. е. степени сравнения).

10. Глаголы ставить в неопределенном наклонении, означая залог и показывая 1 и 2 лицо той формы, которая кончается на **у** или **ю**, и прошедшее время: „делать, аю, ает, ал, гл. д. и т. д.“

11. Сложных глаголах этих времен не показывать, исключая глаголы, не имеющие простых, в роде обременять, нагуляться.

12. После глаголов действительных ставить причастия страдательные настоящего и прошедшего времени.

13. Значение определять синонимами и другими словами, напр.: **лук** растение и **лук** орудие“ [1].

ამ ამონაწერში წარმოდგენილ წესებსა და ლექსიკონში სიტყვათა გან-წყობის შესაბებ ნ. ჩუბინაშვილის მიერ შემუშავებულ სისტემას შორის ბევრი რამაა საერთო. ჩვენს ლექსიკოგრაფოსს ისინი შემოქმედებითად გამოუყენებია თავის ნაშრომებში.

ნ. ჩუბინაშვილი სიტყვობრივ ერთეულებს, უწინარეს ყოვლისა, ეძებდა ლიტერატურულ თხზულებებში. მის ლექსიკონში შეტანილი სიტყვობრივი მასა-ლა ამიტომ დოკუმენტირებულია მრავალრიცხოვანი წყაროთი. მაგრამ იბა-დება კითხვა: იყენებდა თუ არა ავტორი დიალექტურ მასალას, შეიტანა ლექსიკონში ქართული კილო-თქმების მასალები თუ არა?

6. დიალექტიზმები ლექსიკონში. ნ. ჩუბინაშვილის ქართული ლექსი-კონი ლიტერატურული ენის ძეგლებს ემყარება და ამიტომ მასში დია-ლექტური მასალა მცირეა შესული. იგი ამ მხრითაც საბას ლექსიკონის ბუ-

---

[1] Правила для издания Словопроизводного Словаря, „Труды общества любителей русской словесности“, т. VIII, М., 1817, გვ. 188—191.

ნებრივი გაგრძელებაა. ავტორს ადგილზე არ შეუსწავლია დიალექტური მასალა, მის მიზანს ეს არც შეადგენდა, რადგან იგი დიალექტებს მხოლოდ იმ შემთხვევებში მიმართავდა ხოლმე, როცა უძნელდებოდა ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის ახსნა ლიტერატურული ძეგლების მიხედვით. „შესავალში" ლექსიკოგრაფოსს აღნიშნული აქვს, რომ საზოგადო საუბარში იშვიათად ნახმარ და უცნობ სიტყვათა „სარწმუნოდ გამოძიებისათვის" მას არაერთგზის მიუმართავს კილოებისათვის. ამ შემთხვევაში მას აინტერესებდა „ჩვენება მის თემისა, სადაცა იხმარების იგი და რა თარგმანება აქუს" (გვ. 121), რომ ზუსტად განესაზღვრა ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა. ასეთი იყო საბას მეთოდიც.

დიალექტური მასალების აღსანიშნავად ნ. ჩუბინაშვილს ორი გამოთქმა აქვს ნახმარი: მ დ ა ბ ი უ რ ი და კუთხის სახელწოდება (იმერული, მესხური). მ დ ა ბ ი უ რ ი ავტორთან ზოგადი ცნებაცაა, რომელიც ხალხურს უდრის. განსხვავება ისაა, რომ ამ ტერმინით ვერ ვგებულობთ ცალკეულ დიალექტებს, ამასთან, ჩანს, მდაბიურს ავტორი იმ ჩვეულებრივ სალაპარაკო ენას უწოდებს, რომელიც მის დროს, ანტონ კათალიკოსის სკოლის გავლენით, განდევნილი იყო ლიტერატურიდან. ეს სალაპარაკო ენა კი ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონების კილო-თქმებს ემყარებოდა და რამდენიმედ შევსებული იყო დასავლური კილოების მასალებითაც. განსაკუთრებით ბლომად ვნახულობთ ამის ნიმუშებს ფონეტიკური პროცესების განხილვის დროს.

დიალექტიზმებად ჩვენ მიგვაჩნია ლექსიკონში ფიქსირებული შემდეგი მასალები:

1. ისტორიულად ჩანს, რომ ქართულში უ-ზე დაბოლოებულ სახელთა ერთ ჯგუფს ბრუნებისას უვითარდება ვ ელემენტი, რაც ფონეტიკურ ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული. მოსალოდნელი იყო ჲ-ტის ხმარება, მაგრამ მის ნაცვლად ვი ჩნდება. ნ. ჩუბინაშვილს ეს „ვი" მდაბიურად მიაჩნია: „სახელთა, დაბოლოვებულთა უ-ზედა, მ დ ა ბ ი უ რ ა დ დაერთვის ვი, ნაცჳლად ჲ. ვითარ: კ უ ვ ი, რ უ ვ ი, ბ უ ვ ი, გ ლ უ ვ ი, ქ ს უ ვ ი, ც რ უ ვ ი და სხ." (ლექსიკ.). ახლანდელ ქართულში ასეთი ფორმები აღარ გვხვდება [1]. ზოგი მათგანი საბას ლექსიკონშიცაა დამოწმებული. მაგ.: „ბ უ ვ ი იგივე ბუ", დამოწმებულია ლევიტ. 11,16; „გ ლ უ ვ ი უმქისო, გინა უროკო": „ქ ს უ ვ ი ფრინველი შეუჩვეველი". ამ ფორმების დიალექტურობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, მაგრამ თუ რომელი კუთხისათვის იყო ის უფრო ბუნებრივი, ამაზე არც საბა და არც ნ. ჩუბინაშვილი არაფერს გვეუბნებიან.

2. ლექსიკოგრაფოსს მართებულად ესმის ე ბ რ თანდებულის სახესხვაობა დიალექტებში—ე ბ//-ე ფ-ად, მაგრამ მას ასეთი ფონეტიკური პროცესის ახსნა

[1] ფშაურში მსგავსი ფორმები, ვაჟა-ფშაველას პოემების მიხედვით, შემორჩენილია. შდრ.: „ლუხუმიც მალე შეატყობს ც რ უ ვ ს, ღალატობას ჩვეულსა" (ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ბახტრიონი, ტ. III, თბ., 1930, გვ. 196,,). ბუვი, კუვი, ცრუვი ბუნებრივია ინგილოურში, ლეჩხუმურში (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, „ძვ. საქ.". II. თბ., 1911—1913, გვ. 241, 251; М. Н. А л а в и д з е, Лексика лечхумского диалекта грузинского языка, Автореферат, Кутаиси, 1955, გვ. 6).

არ მოუცია, აღნიშნა მხოლოდ როგორც მდაბიური ენობრივი მოვლენა. იგი წერს:

„ებრ თანდებული მსგავსების დამნიშნელი და მიმღები ნათესაობითის ბრუნვისა (დაბად. 1,11 და შემდგომი, ფსალ. 19,4 და 27,4), ია. // ხოლო ოდესცა მოვალს თავად ლექსთა, მაშინ დაერთვის ასო მ (ფსალ. 38,6): მებრ ხატად. // ზოგჯერ მოეკიდების სახელთა თჳნიერ ბრუნვისა და შესცჳლის მათ ზმნისზედად. მაგალ.: ანგელოსებრ, ლომებრ, გინა ანგელოსებრივ, ლომებრივ; კჳალად მარცვალნი: ებრი, ებრივი, ებური შესცჳლიან მათ ზედშესრულად: ანგელოსებრი, -ებრივი; ლომებრი, -ბრივი; კაცობრივი, გინა ჩემებური, შენებური, ძველებური.// ხოლო მდაბიურად ეფ მოეკიდების მიცემითსა ბრუნვასა, ვითარ: ცხენსაეფ, ხარსაეფ, გინა ჩემსაეფ, შენსაეფ და სხ." (ლექსიკ.).

ებრ→ებ//ეფ ბუნებრივი ფონეტიკური პროცესია ქართულში—განსაკუთრებით მისი დიალექტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. ძველ ქართულში ზოგჯერ ებრ თანდებულს ცვლიდა ებ იმავე მნიშვნელობით, რაც, ცხადია, დიალექტური მოვლენა იყო. ამას ადიშის ოთხთავშიც ვხედავთ: „რამეთუ ჩუენდა მართლ ღირსად საქმეთა ჩუენთაებ მომეგების ჩუენ"[1]. ამ ერთი შემთხვევის გარდა ძეგლის სხვა ადგილას (მაგ., იოვანე 19,20: ებრაელებრ, ფრომინებრ და სხვ.), ისევე როგორც იმ პერიოდის სხვა წყაროებშიაც, ებრ თანდებული გვხვდება. ებ//ეფ დიალექტური სახეობაა ებრ (‖ მებრ) თანდებულისა. ებრ→ეფ (რ'ს დაკარგვით) ფონეტიკურ ნიადაგზეა აღმოცენებული და დიალექტურ მორფემას წარმოადგენს, ახლაც შეინიშნება ქართლურში: შენსაებრ→შენსაეფ და ასიმილაციით შენსეეფ... ამ დიალექტური მორფემის ლექსიკონში შეტანა ავტორს იმის გამო დაუნახავს საჭიროდ, რომ იგი ლიტერატურულ მეტყველებაში ჩვეულებრივ ისმოდა და ახლაც ისმის ხოლმე.

3. ნ. ჩუბინაშვილს შენიშნული აქვს, რომ ჳა (უა) კომპლექსი დიალექტებში ო ხმოვანს გვაძლევს. ეს პროცესიც ავტორმა ჩვეულებრივ მდაბიურად მიიჩნია: „მრავალთა ლექსთა შინა მარცვალი ჳა შეიცჳლების მდაბიურად ოზედა. ვითარ: გჳარჯილა—გორჯილა, კჳამლი—კომლი, რაგჳარი—როგორი, ხჳალმე—ხოლმე, ხჳამალდი—ხომალდი, ხჳარბალი—ხორბალი, ხჳარშაკი—ხორშაკი და სხ.",—წერს იგი (ლექსიკ., ო ასო). ეს მოვლენა დღესაც გვხვდება ქართული ენის მთის კილოებში[2].

---

[1] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, ა. შანიძის გამოც., თბ., 1945, ლუკ. 23,41. სხვა ადგილასაც ეს ძეგლი დამოწმებული იქნება მხოლოდ ამ გამოცემის მიხედვით.

[2] ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, კრებული ივ. ჯავახიშვილის რედ., თბ., 1915, გვ. 192. შდრ.: ა. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, გვ. 44; ქ. ბუბუშვილი, მოხეური კილო, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, II, 1947, გვ. 153—154; შ. გაფრინდაშვილი, ქსნის ხეობის მეტყველების ადგილისათვის ქართული ენის კილო-თქმათა შორის, თეზისები, სტალინირი, 1952, გვ. 9; ო. ქაჯაია, მოხეური დიალექტის ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება, თეზისები, სტალინირი, 1952, გვ. 19.

ალ. ყაზბეგთან გვაქვს: გიორგი — გივარგი: „გივარგი, შენა?“ (რჩ. თხზ., I, თბ., 1946, 34_8); „გასწი, გივარგი, გასწი!“ (იქვე, 35_{27}); „უპასუხებდა გივარგი“ (იქვე, 35_{30}); ცხვარი — ცხორი: „ცხორი დაილუპა“ (იქვე, 99_1); „ცხორი წყალზედ ჩააბრუნე“ (იქვე, 100_9); „ცხორიცა მყავს... დადექ ცხორში და დაგიზიარებ“ (იქვე, 110_{19}); სხვა — ცხო: „ცხო რასა იქ, თავათ, ჯალაბობით, საქონლით?“ (იქვე, 103_{29}); „ცხო რაი შეგიძლიათ“ (იქვე, 115_{11}); „ცხო როგორ ხარ, საიდამ?“ (იქვე, 123_{15}); თვალი — თოლი: „დაგიბრმეს თოლი, გამიშვი“ (იქვე, 114_9)...

ასევე ვაჟა-ფშაველასთან გვაქვს: ყვავილი — ყოილი: „ყოილი, ხშირი ყოილი დაფენილიყო გზაზედა“ (თხზ., II, ალ. აბაშელის რედ., თბ., 1930, 182_{26}); „ყოილთან მიწას მოჰლოკდა ცეცხლის მსროლელის ენითა“ (იქვე, 182_{29}); „ისრ ჰშვენის ცხენზე, ვით ველზე გაზაფხულისა ყოილი“ (იქვე, 192_6); ცოდვა — ცოდო: „ცოდოს ნუ ვადებთ კისრადა“ (იქვე, 196_7); ჩამოისვა — ჩამოისო: „თან ჩამოისო წვერზედა დამჭკნარი წმინდა ხელები“ (იქვე, 13_3 ქვ.); „არაყათ შაჰსომ რად არა“ (იქვე, 181_4); „გულზე წაესო მურიია“ (იქვე, 179_{28})...

4. მდიდარი დიალექტური მასალაა მოცემული რ ბგერის ფონეტიკური რეფლექსების განხილვასთან დაკავშირებით. მთელი ეს მასალა შემდეგ მთლიანად გადაიღო დ. ჩუბინაშვილმა თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში (1887). აქ ყურადღებას იპყრობს ავტორის შემდეგი დაკვირვებები:

ა) რ-ს მდაბიურად ენაცვლება ს: რთუა — სთუა, ნართი — ნასთი, რძალი — სძალი, რძე — სძე[1]...

ბ) რ-ს მდაბიურად ენაცვლება აგრეთვე შ: რტო — შტო, რჯული — შჯული[2]...

გ) რ ვითარდება თანხმოვნების წინ, „ზოგჯერ დაემატების თავად ლექსთა, ანუ დაიდების სხუათა ასოთა წილ“: კუ — რკუ, ხმალი — რხმალი (გადასმით: ხრმალი), ოდეს — როდეს, მიქმა — მირქმა, ბუჟი — ბრუჟი, ბჭე — ბრჭე, ბჭუალი — ბრჭუალი...

დ) ზოგჯერ იხმარების რ-ს ნაცუალად ლ: რბილი — ლბილი...

ე) „რ შთაემატების მდაბიურად ორთა შორის ხმოვანთა ასოთა“: ხბოები, მეხბოვე — ხბორები, მეხბორე; ლაშაისა — ლაშარისა...

ვ) გამარტივების ნიადაგზე ცალკეულ სიტყვებში რ იკარგვის: „სხუათა ლექსთა შინა რ სრულიად დაიტევების“: გრძელი — გძელი, ზრდა — ზდა, ვერცხლი — ვეცხლი[3], ფერხი — ფეხი, ფრთხილი — ფთხილი, ბრძანება — ბძანება, ბრჭე — ბჭე, ბრდღვილი — ბდღვილი, ბრჭვალი — ბჭვალი...

---

[1] ავტორი ზოგადად მსჯელობს მდაბიური ენის შესახებ, თორემ მას კარგად მოეხსენება, რომ უძველეს ქართულ ძეგლებში სწორედ ე. წ. ეს მდაბიური ფორმები გვხვდება: სძალი, სძე და სხვ.

[2] შჯული რჯულიდან კი არაა უშუალოდ მიღებული, როგორც ავტორი წერს, არამედ სჯულიდან, სადაც ს-ს ნაწილობრივი ასიმილაცია მოხდარა ჯ-სთან მეზობლობაში.

[3] თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ ძეგლებში (IX—X საუკ.) სწორედ ვეცხლი, ე. ი. ავტორით, მდაბიური, ფორმა იხმარებოდა და არა ვერცხლი.

ზ) მდაბიურ მეტყველებაში გ ა რ, წ ა რ პრევერბები გამარტივებულია, რ დაკარგული აქვს: გარდასვლა—გ ა დ ა ს ვ ლ ა, წარსვლა—წ ა ს ვ ლ ა (ლექსიკ.).

5. ავტორს მიაჩნია, რომ რ ა დ ლიტერატურულ-მწიგნობრული ფორმაა, რ ა თ, რ ა თ ა—მდაბიური, დიალექტური, ასევე რ ა დ გ ა ნ მწიგნობრულია, ვ ი ნ ა თ გ ა ნ — მდაბიური: „რ ა დ რისათჳს, ანუ მდაბიურად: რათ, რათა (ფსალ. 2,1 და 41, 5, 9, 11 და შემდგომი), всую, но что, за чем?"; „რ ა დ-გ ა ნ, რ ა დ გ ა ნ ა ც მდაბიურად ჰნიშნავს: ვინათგან, А как, так, как" (ლექსიკ.).

6. საინტერესო დიალექტური ფორმებია დამოწმებული ტ'ს ფონეტი-კური რეფლექსების დასადასტურებლად. ტ ასოს მასალის დასაწყისში ავტორს აღნიშნული აქვს: „ასოსა ამას რომელთამე თემთა შინა ხმარობენ ნაცვლად წ, მეტადრე რაჟამს წინაშე მისსა არს ს, ვითარ: სწავლა, სასწაული, იმერნი გამოსთქმენ: სტავლა, სასტაული. მესხურად მარტჳლი, ნაცვლად მარწვილი, ყმარწვილი; კჳალად ტარამანა — წარამარა, მოწმასნვა — მოტმასნვა, ძრვა — ტრვა და სხ. და ზოგჯერ იხმარების ნაცვლად ჭ, ვითარ: პიტვი—ფიჭვი, ფიტი—ფიჭი, ხვეტა—ხვეჭა" (ლექსიკ.).

7. დიალექტური მასალაა მოცემული ზ-ს ფონეტიკური ცვლილებების გადმოცემისასაც. ავტორი ფიქრობს, რომ ლიტერატურულ ს წ/ წ-ს იმერულში შეესატყვისება ზ, მ'ს ბ: გასწი — გ ა ზ ი, მუწუკი—ბ უ ზ უ კ ი (ლექსიკ.), ხოლო მდაბიურ მეტყველებაში ზ'ს ჟ ან ძ ენაცვლებაო: „ზოგჯერ ზ შეიცვლების ჟ და ძ, ვითარ: ზრიალი—ჟრიალი, შეზიზინება—შეჟიჟინება, ანუ ზარი—ძარი, ზირა—ძირაკი, ბზარვა—ბძარვა, ზახილი—ძახილი, ზროხა—ძროხა; კჳალად იხმარების ზ ნაცვლად ს წინაშე ასოთა გ და დ, ვითარ: მზგავსი—მსგავსი, მზგეფსი — მსგეფსი, მიზდევს, დაზდევს — მისდევს, დასდევს; მიზდი — მისდი" (ლექსიკ.). ავტორმა კარგად იცის, რომ ყველა ეს ფორმა დიალექტური არ არის, დამკვიდრებულია წიგნის ენაშიც, მაგრამ მას ბევრი ისეთი მაგალითი შეუნიშნავს, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, სწორედ დიალექტებისათვისაა ბუნებრივი (შდრ.: დასდევს — დაზდევს, მსგავსი—მზგავსი...) და თავთავის ადგილას აღუნიშნავს.

8. ნ. ჩუბინაშვილი, როგორც ჩანს, კნინობით-მოფერებით ფორმებს მდაბიურად მიიჩნევს, ოღონდ ჩვეულებრივ, დადებით ფორმებს—წიგნურად. მას მითითებული აქვს, რომ კნინობითის ელემენტები განასხვავებენ წიგნურ ფორმებს მდაბიურისაგან. ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ კნინობითი ფორმების მაწარმოებელი „კ ი" (უნდა ყოფილიყო ა კ-ი, ა. ღ.) სუფიქსი „დაერთვის უმრავლესთა ლექსთა წერილის ენისათა განსარჩეველად მდაბიუ-რისაგან. ვითარ: ბაზმა—ბაზმაკი, ბამბა—ბამბაკი, გლახა—გლახაკი, დანა—დანაკი, ეშმა—ეშმაკი, ზირა—ზირაკი, ზვარა—ზვარაკი, მუშა—მუშაკი, პინა—პინაკი, პიტნა—პიტნაკი" (ლექსიკ.). საინტერესოა ავტორის ინტერპრეტაცია ასეთი ფორმების წარმოქმნის თაობაზე. „ესენი არ არიან დაკნინებითნი, არამედ ვინათგან ბერძულად მარცვალი კ ი არს კნინობითი, მაგალ., ზონარი—ზნარაკი, სკამნი—სკამნაკი, ფანარი—ფანარაკი და სხ. აჰად ქართულადცა რომელთამე ლექსთათჳს მიღებულ არს ესე კნინობითად, ვითარ წიგნი—

წიგნაკი“ (იქვე). ცხადია, ქართულ აკ სუფიქსთან არავითარი კავშირი არა აქვს ბერძნ. კი’ს, რაზედაც ჩერდება ლექსიკოგრაფოსი.

9. ლექსიკონში შეტანილია ცალკეული სიტყვები, რომლებიც, ავტორის დასკვნით, მდაბიურია ან აღებული ამა თუ იმ დიალექტიდან. მაგ.: ქა მდაბიურად არის შემოკლებული სახე სიტყვისა ქალი (ლექსიკ.); „დოქი იმერული სალვინე, თუნგიანი ან მეტი“ (იქვე); რვილი თანავარსკვლავედი: „თანავარსკულავედს მსოფლიონი უწოდებენ რვილსაო“ (იქვე); „დათვ || თანავარსკულავედი ჩრდილოეთისა, რომელსა მსოფლიონი უხმობენ რვილად, медведица, созвездие“ (იქვე); კაკალი მიაჩნია იმერულ სიტყვად: „კაკალი მრთელი ხილი ნაჭუჭითურთ ნიგუზისა და მისთანათა, орех (воложский). //მარცვალი თესლეულთა (იმერულად), зерно. // თუალის კაკალი, შიგნითი სიმრგულე, გუგა, зорочек“ (იქვე); „ალი მინდორთა და ტყეთა შინა ავი, მავნე, ქაჯი, леший (მდაბიონი ესრეთ ჰგონებენ და იმერნი უხმობენ ჭიმკად)“ (იქვე); „ჭიმკა იმერულად ავი, მავნე, ხოლო ქართულად ალი, леший“ (იქვე). ეს განმარტება საბასაგანაა ნასესხები, ოღონდ საბას მითითება „გლეხური“ „იმერულითაა“ შეცვლილი: „ჭიმკა მაცდურად იტყვან გლეხნიო“ (საბა). „ბაბუა იმერულად პაპა, дед“ (ლექსიკ.); „ბოშვი, ბოვში იმერულად, მარტვილი მესხურად, ყმაწვილი, ребенок, дитя“ (იქვე); „ბუჭულა პატარა წისქვილი. // იმერულად პატარა ფაცხა“ (იქვე); „ჟარე იარე მესხურად“ (იქვე). ასევეა საბასთანაც და სხვ. აქვე უნდა შეინიშნოს ერთი საგულისხმო გარემოებაც: საბას ლექსიკონით დიალექტურად (გლეხურად) აღნიშნული სიტყვების ერთი რიგი ნ. ჩუბინაშვილს ლიტერატურულად მიუჩნევია. მაგ., საბა ამბობს:

„დაკავებას უქმობენ გურიულნი დაჭერასო“. ნ. ჩუბინაშვილს აღნიშნული აქვს: „დაკავება (დავიკავებ), დაჭერა, დახუთვა, брать, удерживать“ (ლექსიკ.).

ან: საბა: „დალორტება ფინთად დასველება (გლეხურად)“. ნ. ჩუბინაშვილი: „დალორტება (დავლორტდები) სრულიად დასველება, გალუმბვა, измочиться, намочиться“ (ლექსიკ.).

სურათი ნათელია. ამ სახით ხსენებულ სიტყვებს „გლეხურს“ ველარ უწოდებდა ლექსიკოგრაფოსი.

7. **ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი.** ნ. ჩუბინაშვილს თანაბარი შრომა გაუწევია ქართულსა და რუსულ ლექსიკოგრაფიაში. მისი ქართული და რუსულ-ქართული ლექსიკონები ავტორის უდიდესი ერუდიციის, ცოდნის, შრომისმოყვარეობისა და ფართო განათლების მაჩვენებელია. ყველა მათგანის შედგენაზე გაწეულია ტიტანური შრომა. აქ მოკლედ შევჩერდებით მის რუსულ-ქართულ ლექსიკონზედაც.

ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი კაპიტალური ნაშრომია, შეიცავს ორ მოზრდილ ტომს და ჩვენამდის მოღწეულია ორ ცალად, ქმნის

საბას შეეძლო აეღო ძირი დუღ ბუდის სახით და აქვე შემოეტანა: აადუღე, ადუღე, ედუღება, იდუღებს, უდუღს, იდუღა, დუღს, დუღდება, ადუღება, ადუღებული, შედუღებული, გადადუღებული, აუდუღარი, დადუღებული, ნადუღი, ნადუღარი, აადუღებინა, გადაადუღებინა...

ცხადია, ეს შეიძლებოდა. რას მივიღებდით შედეგად? ლექსიკონი გვექნებოდა მოკლე. ქართული ლექსიკის სიმდიდრე—უცნობი, თანაც ლექსიკონი პრაქტიკულად გამოუსადეგარი, რადგან სიტყვების მოძებნა მასში არა მარტოოდენ გაძნელდებოდა, თითქმის შეუძლებელიც გახდებოდა, ერთი რომელიმე სიტყვის მოსაძებნად მთელი წიგნი უნდა გადაგვეკითხა. საბა ამ გზას ვერ დაადგებოდა. მართალია, მას მონათესავე მნიშვნელობის სიტყვები ერთ ბუდეში აქვს მოქცეული, მაგრამ ამავე დროს ბუდესაც შლის. თითოეულ სიტყვას თავთავის ადგილას იმოწმებს, ხოლო მკითხველს უთითებს სათანადო ბუდის სიტყვაზე. მაგალითად, ცისიერი სახელოვან ლექსიკოგრაფოსს ასე განუმარტავს: „ესე არს ჰაერთა შინა რაჲცა იქმნების: ელვა, ქუხილი, მეხი, ტატანი, ვარსკულავკუდედი, სეტყუა და რაჲც შუქი და ნიშანი გამოჩნდების" (ნ. „ცისიერი"). ამავე დროს ეს სიტყვები ცალ-ცალკე თავთავის ადგილასაა განმარტებული ლექსიკონში.

ასევე საბას ბუდეებად მოცემული აქვს ქერქი, ქვა, ქარი და მრავალი სხვა, რომლებშიაც ფიქსირებულია ათეულობით მნიშვნელოვანი სიტყვა.

დავიმოწმოთ ქერქის განმარტება. საბა ამბობს: „ქერქი საზოგადოდ ითქმის ყოველთა ქერქთათჳს, არამედ ქერქი საკუთარ არს ხეთა კანისათჳს; ხოლო ტყავი ეწოდების ქერქთა ცხოველთასა; ხოლო ფრინველთასა – კანი; თევზთა, გველთა და მისთანათასა — ქეცედი; კუთა, ოსტრაკუთა, სადაფთა და მისთანათასა — კეცტყავი და კეცოვანი; კირჩხიბთა, ასთაკუთა, ლოკოკინათა და მისთანათა — ჩჳლკეცი; დიდთა და ზრქელთა ხეთასა — ფუტი; ხეთ შენაძრობთა ქერქთა თხელთა ჭურჭლად და ბოყუად საქმართა— ხაფანგი; თელათა, ცაცხუთა, ლაფანთასა და რომელნი დაიხევიან და მისგან ნეჭა და სფირიდი მოიქსოებიან და ავრიტნი შეიგრიხებიან, ეწოდებიან ხრალი; ხის ქერქთა შიგნით აფსკათა ეწოდების ქურთლი და ქურთენი; ხილთა ქერქთა — ნაფრცქენი და ნაქრცუენი; კუერცხთასა — ხეჭუჭი; ნიგოზთა, თხილთა, ნუშთა — ნაჭუჭი; წაბლთა, წიფელთა და მისთანათასა — ხეჭბო; ხახუთა, ნიორთა და მისთანასათა — ნაქურჩალი; შამბთა, რომელთა ქერქი ხაკმარ არს, სელთა, ექვსუნჯთა, ჯინჭართა და მისთანათასა — ქერელი; ტჳნთა გარემოთა, გინა კუერცხის ხეჭუჭსა შიგნით თხელსა რასმე და მისთანათასა — აფსკი; ყურძნისა და რაჲც გამოიწურვიან — ჭაჭა; ცერცუთა და ლობიოთა პარკთა — ჭოტი; ხოლო სხუა მარცუალთასა — ქუჩუბო" (ნ. „ქერქი").

თითოეული ხაზგასმული სიტყვა ცალ-ცალკეცაა შეტანილი ლექსიკონში და ზოგ მათგანს მითითებული აქვს ბუდეც. მაგ.: „ხეჭბი ქერქთან ნახე" (ნ. „ხეჭბი"). ზოგს კი ბუდე არა აქვს მითითებული, მაგრამ მაინც იგრძნობა, ამ ბუდიდანაა. მაგ.: „ხრალი ესე არს რაჲცა ხის ქერქი დაიხევის, სფირიდად და ავრიტად და ნეჭად, და მისთანათად მოიქსოების" (ნ. „ხრალი");

ან: „ქ ე რ ე ლ ი სელთა, კანაფთა და მისთანათა ქერქი“ (ნ. „ქერელი“); „ტ ყ ა- ვ ი კაცისა და ცხოელთ ჴორცთ გარევანი საფარველი. ხოლო ვინათგან არიან ტყავნი, რომელიმე ბეწუ კეთილნი, ვითა: ხაზიდი, კვერნა, ყარსაღი და ეგე ვითარნი, რომელსა სითბოსათჳს სამოსელთა დაუდებენ კაცნი წამოსასხმელად, საკუხსა უწოდენ, ხოლო მსოფლიონი ტყავსა უქმობენ, ამისათჳს რამეთუ ტყავი არს ცხოელთა საფარველიცა ჴორცთა დამატფობელი“ (ნ. „ტყავი“)... საბას ეს წესად აქვს მიღებული.

ნ. ჩუბინაშვილი შეეცადა გაჰყოლოდა საბას კვალს, მაგრამ, როგორც მასალის ანალიზი გვიჩვენებს, იგი ხშირად უხვევს აქიდან და უფრო თავის გზას ირჩევს.

საბა კარგად გრძნობდა ზმნის ლექსიკურ ერთეულებად დაშლის სიძნელეს. ამიტომ მას გაუჭირდა ერთი გარკვეული წესის დადგენა და რამდენიმე ხერხს მიმართა. ზმნები დააჯგუფა პირიან (ზმნურ) და უპირო (სახელზმნურ) ფორმებად და ორივე მათგანი დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად მიიჩნია. საბას მხოლოდ ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობის ფაქტობრივი სურათის ჩვენება სურდა. სხვა მიზანი მას არ ამოძრავებდა. ფაქტობრივი სინამდვილის ზუსტად ჩვენებისათვის ნაირგვაროვანი ხერხების გამოყენება კი არ ჩრდილავს ტრადიციულ წესებს, ავსებს მათ და ასკვნებს უფრო ხელმისაწვდომად ხდის. ფაქტობრივი სინამდვილის გადმოსაცემად გამოდგება აღწერის ყოველგვარი ხერხი. მთავარი აქ სურათის უნაკლოდ ჩვენებაა და არა ხერხი. როდესაც ფერწერულ ტილოს ან ფოტოსურათს უცქერიან, იმაზე კი არ ფიქრობენ, როგორი ფერისა და სიგრძის ფუნჯითაა იგი შესრულებული, ან რომელი სისტემის ფოტოაპარატითაა სურათი გადაღებული, არამედ იმაზე, თუ როგორაა გადმოცემული ობიექტური ვითარება. საბა ამ მხრით უსათუოდ მართებულ თვალსაზრისზე იდგა. მას რომ წინამორბედი ჰყოლოდა, ისევე როგორც, ვთქვათ, ნ. ჩუბინაშვილს ჰყავდა დიდი ლექსიკოგრაფოსი, მაშინ საბასაც მოვთხოვდით სხვა მეთოდოლოგიას. მაგრამ საბამ ამ ტრადიციულ წესებს თვითონ ჩაუგდო სამანე, იგი ერთადერთი იყო და, ბუნებრივია, საბასი არ იყოს, მის ნამუშაკევს „ერთისა და ორისა კლებისათჳს ნუ დაიწუნებთ, სრული გჳან საპოვნარია“ (ნ. „ჴრმალთან“).

ნ. ჩუბინაშვილს, როგორც ქვევით დავრწმუნდებით, საფუძვლად აუღია მისი დიდი წინამორბედის სისტემა და თავისებურად გაუმართავს იგი. ასე რომ, ლექსიკოგრაფოსი საბას რევიზიონისტი კი არაა, მისი მემკვიდრე და ტრადიციების განმგრძობია.

ჲ. გამოტოვებული სიტყვები. როგორც აღინიშნა, ნ. ჩუბინაშვილს საბას ლექსიკური მასალა გაუცხრილავს და გადაუმუშავებია. ასეულობით ლექსიკური ერთეული სულაც გამოუტოვებია, ასევე ბლომად დაუმატებია ახალი სიტყვები. ჩვენი გამოანგარიშებით, ა ასოზე, საბას ავტოგრაფულ ლექსიკონთან შედარებით, გამოტოვებულია 243 სიტყვა, ბ-ზე—209, გ-ზე—431, დ-ზე—434, ე-ზე—391, ვ-ზე—331, ზ-ზე—78 და ა. შ.

რამ გამოიწვია სიტყვების ასე მასობრივი გამოტოვება, რატომ უნდა შემოკლებულიყო ასე მკაცრად „ქართული ლექსიკონი“? მოიპოვება თუ არა

ნ. ჩუბინაშვილისეული „მცირედ გამართვის“ ობიექტური მოტივაცია? გავარკვიოთ ჯერ, რა სიტყვები „ამოუღია“ ლექსიკონიდან ავტორს. ყველა მასალის აქ მოტანა, შორს წაგვიყვანდა, მით უფრო, მომაბეზრებელი იქნებოდა ასეულობით „გამოტოვებული“ სიტყვების გრძელი სიეზის შედგენა. ეს არც საჭიროა. სანიმუშოდ განვიხილოთ ამ მხრით ორი ასოს—ე და ვ-ს მასალები.

ე ასოზე საბას „სიტყვის კონიდან“ ნ. ჩუბინაშვილს გამოუტოვებია:

ა) ქართული სიტყვები: ეაზრა, ეარა, ეარი, ეას, ეასპარეზა, ეაუგა, ეაჯა, ებანა, ებარა, ებრენიკი, ებრძანა, ებრძოლა, ეგეეე, ეგენ, ეგთაგებული, ეგიხაროდენა, ეგლოვა, ეგმირა, ეგმო, ეგო, ეგოდება, ეგონა, ეგრე, ეგრეთ, ეგრეცა, ეგრილა, ეგუანა, ეგუჳპა, ეგულვა, ედარნა, ედგა, ედების, ედვა, ედნა, ედრეობითი, ეელი, ევადობა, ევარგა, ევარჩმა, ევალტა, ევატაკი [1], ევაშა, ევგე, ევთია, ევლტოდა, ევროსი, ევსტარი, ეზამთრა, ეზაფხულა, ეზოზლნა, ეზომ, ეზორა, ეზრახა, ეზრუნვა, ეზლაპრა, ეზლო, ეზლუანვის, ეზლურებოდა, ეთავებინა, ეთაკილა, ეთანაებვიან, ეთანალრება, ეთნო, ეთრიო, ეიგავა, ეიმედა, ეიჭვა, ეკვეთა, ეკიდა, ეკლა, ეკლოვისი და კაროსი, ეკმაგიო, ეკრიბა, ეკრძალე, ეკრძალებოდა, ეკურნა, ელაჲ, ელამიტელი, ელაღობა, ელდა, ელეეენი, ელელეცი, ელეონი, ელვიმას, ელიედ, ელის, ელმოდა, ელოდინების, ელოცა, ელხინა, ემეფა, ემიდა, ემლოცველე, ემორჩილა, ემოსა, ემოქმედა, ემოწმა, ემუდა, ემრავლა, ემსგავსა, ემსხუჳრპლა, ემტერა, ემტკუჳფრა, ემულროდა, ემფარველა, ემფასანია, ემძლავრა, ემწარა, ემწევა, ემხოლვებოდა, ენადირა, ენადღეობა, ენათლა, ენას, ენაყროვნა, ენება, ენერგა, ენთება, ენთელი, ენთიებულათო, ენიოტი, ენიშა, ენიშნა, ენნიაჲ, ენტასია, ეომა, ეოტა, ეოცა, ეოხა, ეპაზმა, ეპატი, ეპატრონა, ეპივატნი, ეპირატების, ეპისტატი, ეპიტირატი, ეპრექონი, ეჟურა, ერ, ერანი, ერგება, ერგო, ერევიედ, ერეოჲ, ერვისივმა, ერთაჲ, ერთბერ, ერთეული, ერთობილად, ერთპირობით, ერთრაჲსა, ერიდებოდა, ერისვა, ერისიონი, ერიცხვა, ერკინა, ერმაული, ერმიანი, ერმისა, ერო, ეროკვა, ერქეფში, ერჩიან, ერჩოლებიან, ერცხვიან, ერწმუნა, ესაბურველა, ესავს, ესარგებლა, ესაუბრა, ესახა, ესახლა, ესვა, ესვენა, ესიზმრა, ესინი, ესიძა, ესიტყუა, ესიძვა, ესსინი, ესტიმამიზუ, ესტუმრა, ესწავა, ესწავლა, ესწრაფა, ესხატი, ესჯოდეს, ეტარტეო, ეტი, ეტირა, ეტისხარტულარი, ეტყება, ეტყინებოდა, ეტყოდა, ეტყორცა, ეუ, ეუარა, ეურვებოდა, ეუფლა, ეუქმა, ეუშჯულავა, ეუცხოვა, ეუწყა, ეფეთებოდა, ეფესო, ეფეშებინ, ეფეჩხვებინ, ეფიცა, ეფუცა, ექრთამა, ექსოვა, ექსოვიტი, ექუა, ეღირსა, ეღრასტი, ეღუაწა, ეღჳძა, ეყვის, ეყივლა, ეყნოსა, ეყო, ეყოლა, ეყოლება, ეყრება, ეშვილა, ეშიშვის, ეშობა, ეშურებოდა, ეჩუჳნა, ეჩქუჳფეთებოდიან, ეჩჳთა, ეც, ეცა, ეცადა, ეცემა, ეცვა, ეცუა, ეცუალა, ეძახა, ეძება, ეძევა, ეძვირისმოჴსენა, ეძია, ეძინა, ეძმაცუა, ეძმო, ეძოვნა, ეძლუნა, ეწადა, ეწამა, ეწამებოდა, ეწამლა, ეწარმდება, ეწდივა, ეწერა, ეწვიმა, ეწინეთ, ეწირა, ეწნიხა, ეწოდა, ეწრფელა, ეწუართა, ეწყალოდა, ეწყევა, ეწყლა, ეჭამა, ეჭერიტა,

[1] შეტანილია: იატაკი.

ექიდა, ექირა, ესარებინა, ეხატა, ეხების, ეხვეწა, ესი, ესნენ, ესოს, ეხსენა; ეხუმრა, ექელყვის, ექძარა, ექმარებოდა, ექმო, ექსენა.

ბ) უ ც ხ ო უ რ ი: ეანტოჲ, ებალ, ებულოს, ეგლონ, ედენ, ედომ, ეზრომის, ევრა, ევრი, ევრონოტოს, ევფრათა, ეთამ, ეკლესიასტე, ელაფ, ელეესმოვს, ელეიზაჲ, ელეჰადდებარიმ, ელიაკიმ, ელიანდრე, ელიმ, ელიმელიქ, ელიმონი, ელიონ, ელისაბან, ელისამ, ელისამაჲ, ელისეოს, ელისურ, ელიუ, ელიფაზ, ელკანა, ელმოდათ, ელმონაჲ, ელმონი, ელნათან, ელოჲ, ელოჲ, ლიმა საბაქთანი, ემათ, ემათა, ემაკ, ემან, ემაუს, ემმანოვთ, ემმაოს, ემოვრ, ენაკ, ენაკიმ, ენამეროს, ენგადი, ენგატ, ენთუსიაა, ენოვ, ენონ, ენტელექია, ენჩენია, ეპიტიკოსი, ერგაბ, ერიქოვ, ესებონ, ეტამ, ეტვიმოლოგია, ეფესტოს, ეფრაიმ, ეფფათა, ეფფაჲ.

გ) უ ც ხ ო უ რ ი ს ა კ უ თ ა რ ი, მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ხ ო ვ ე ლ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი: ებორაკუმ, ეგვიპტე, ედემბურგო, ედესი, ევა, ევთრათი, ევმანოელ, ევროპი, ევფრატი, ეზეკია, ეზრაელ, ეკვატანი, ელია, ელიას, ელიაზარ, ელიეზერ, ელიზაბედ, ელისაბედ, ელისე, ემმანოელ, ენდრონიკა, ენოკინტე, ენოს, ენუქ, ერემას, ერზინგანი, ეროდე, ერუსალემ, ესაია, ესდრა, ესთერ, ეტნი, ეფრატა, ეფრემ, ეფრონ, ეფროსინა, ეჰანი.

ამრიგად, საბას ლექსიკონიდან ე-ზე გამოტოვებულია 391 სიტყვა. აქედან 66 — უცხოური წარმოშობისაა, 37 — საკუთარი (ადამიანთა, ადგილის), მცენარეთა და ცხოველთა სახელი. ე-ასოზე გამოტოვებული სიტყვებიდან 215 — ზმნის პირიანი ფორმაა, რომელიც ლექსიკონში მესამე პირის სახითაა შეტანილი. ვ-ასოზე სულ 331 სიტყვაა გამოტოვებული. აქედან 9 უცხოური, 11 საკუთარი (ადამიანის, ადგილის), მცენარეთა და ცხოველთა სახელი. გამოტოვებული სიტყვებიდან 269 ზმნის პირიანი ფორმაა, რომელიც ლექსიკონში პირველი პირის სახითაა შეტანილი.

საყურადღებო ციფრებია! თითქოს გამოდის, რომ ნ. ჩუბინაშვილმა საბას დიდებული ნაშრომი მეტისმეტად „დაჩეხა“, ხელოვნურად შეამოკლა და მისი ოდნავი შეცვლილი რედაქცია მოგვცა. ასეთი დასკვნის გაკეთება დიდი შეცდომა იქნებოდა. ლექსიკონის ასეთ „შემოკლებას“ ახალი მეთოდოლოგია მოითხოვდა. ლექსიკოგრაფოსს არ შეეძლო მისთვის ყურადღება არ მიექცია. სიტყვების ასე „გამოტოვება“ ლექსიკონიდან, ჩვენი აზრით, შემდეგი ხუთი მთავარი მიზეზით უნდა აიხსნას.

1. ლექსიკონში ადგილი აღარ ეთმობა მოძველებულ, ხმარებიდან გასულ სიტყვებს, რომლებიც საბას ნაშრომში მხოლოდ ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვითაა შესული. ეს სიტყვები არც საბას დროს (XVII საუკ. ბოლო და XVIII საუკ. დასაწყისი) იყვნენ ხმარებაში და მით უმეტეს ისინი სრულიად არაპოპულარული იქნებოდნენ XIX საუკუნის პირველი ათეული წლების პერიოდში, როცა ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი დგებოდა. ამიტომ, პრაქტიკული მოსაზრებების გამო, მოძველებული სიტყვები ლექსიკონში აღარ შეტანილა.

ასეთი სიტყვა ბევრია. ზოგი მათგანი: აკინაკი (ოროლი, შუბი), ალიკვალი (განუმარტებელია), ალიყი (ცხენის საუზმე), ამავრო (განუმარტებელია),

ამაწადი (ამწდომი), ამპოლი (საზედაშე ჶრანგულად), ანავასია (წამალი რამეა მკურნალთა შორის, რომელთა იქონებენ და არღარა ეყნოსებათ სიმყრალე სნეულთანი), არილი (დასასუენებელი სიწძიდეთანი), აფეკი (განუმარტებელია), ბალიკარტი (ძაღლის ჭანგი ნაჭეტნავი), იავვანა და ბამა (ადგილი არს შესაწყუდეველი, ვითარცა ჩუეული კერპთა ბოროტად მსახურებისა), ბილდირგა (ჴელის ან თათის გასაყარი თასმა), ბიტორიტი (საჭურისი), ბიჩვერი (შტერი), ბულაგი („ნუ თუ ტომარა იყოსო", თანავე ეწერა), გაბადანი (ზურგჩადრეკილი პირუტყვი), განერა (მორჩა), გარა (გრძლად ორკაპი ჯოხი), გჳლიჭაში (შორიახლო მიდევნება მისდა უცნაურად), გელმატო (უგეშური ჭამადი), გენცი (იმედი თუ ნუგეშინისცემა), გესი (დანახეთქი, გინა ნალვარევი), გვედო (საჯდომელი კუნძი), გონგლუზი (ყრმათა პურის კვერი), გორსუმი (ლვედის მოსაჭურეტი), დიდროა (ადიდება), დიდროან (დიდდებიან), დგერა (ფეხის ჴმაჲ), დგვილამური (კუდმოზვერი სათევზე), დელტო (წიგნია ერთი), დელფო და ხრიზმო (არიან საწარმართონი წინაუწყებანი), დიანვაჲ (ძალა სულისა), დივტილა (დიფთერა, ქების წარმოთქმა), დრისტი (სასალუქე ჭურჭელი)...

2. ლექსიკონში ადგილი აღარ ეთმობა საკუთარ (ადამიანთა და ადგილის) სახელებს. ცნობილია, რომ საკუთარი სახელები უხვად იყო შეტანილი საბას ლექსიკონში. ამასთან საბა იმოწმებდა არა ყოველგვარ საკუთარ სახელს (ადამიანთა თუ ადგილისას), არამედ უცხოურს, ისიც მკაცრად შერჩეული გეგმით, ებრაულ-ბერძნული ენობრივი სამყაროდან. ადგილის (საგეოგრაფიო) სახელებს მითითებული აქვს კოორდინატებიც კი. საბას ლექსიკონი ენციკლოპედიური ხასიათისა იყო და ამიტომ ასეთი მასალით იგი მეტისმეტად გადატვირთულიც. დიდ ლექსიკოგრაფოსს კარგად ესმოდა, რომ ქართულ ხელნაწერში დამოწმებული ყველა სიტყვა ქართული როდია, მაგრამ მათი „გამოწერა" ავტორს „ენისა სისრულისათჳს" დასჭირვებია.

საბას ლექსიკონში, მაგალითად, გვქონდა ასეთი უცხოური წარმოშობის (ებრაული და ბერძნული) საკუთარი სახელები:

ალექსანდრე მწყემსი ზროხათა.

ალექსანდრია ებრაელებრ ასინოჲ, უგბოლველი, გინა შერყუნილი.

ალექსანდრია ეგვიპტისა (60.30) (30.—).

ალექსანდრია სირიანისა (68.32) (37 54).

ალექსანდრია იტალიისა (30.—) (43.30).

ამბაკომ მორკინალი, გინა მამაო, აღდეგ.

აბსალომ მამა მშჳდობისა.

აბრამ ზე ამაღლებული.

აბრაჰამ მამა მრავალთა, მამა მაღალი, მამა ნათესავთა.

ანდრიანეპოლე ადრანა (53. —) (43.—).

ანნა მადლი, გინა აღშენება.

ანტიოქია (70.15) (37.20).

არამ ამაღლება, გინა რქა მაღალი...

არცერთი ეს და მისთანა სიტყვა, რომლებიც ასე უხვადაა დამოწმებული „სიტყვის კონაში", ქართული ლექსიკონის კუთვნილებას არ შეადგენს. მათ

ჩვენ განმარტებითს ლექსიკონში ადგილს ვერ დავუთმობთ მარტო იმისათვის, რომ ვხვდებით ახალი და ძველი აღთქმის წიგნების ქართულ თარგმანში. ამიტომ ნ. ჩუბინაშვილს არცერთი მათგანი აღარ შეუტანია თავის ნაშრომში. მისი მოტივი დასაბუთებულია: ეს სიტყვები განეკუთვნება საკუთარ სახელთა ლექსიკონებსო. მეცნიერულად არგუმენტირებულია ავტორის დასკვნა: „სათჳთონი სახელნი, ე. ი. კაცთა, ქალაქთა, მდინარეთა და ადგილთანი, შეკრებულ და განმარტებულ არიან საკუთარსა შინა ლექსიკონსა ისტორიულსა ანუ ღეოღრაფიულსა, მაშა განმარტება მათი არა ეკუთნვის ქართულსა ლექსიკონსა. ამის გამო სრულიად გამოშვებულ არიან იგინი ამის წიგნისაგან, ვითარ იგი: ადამ, ევა, ენუქ, ნოე, აბრაჰამ, სარრა, აბიმელიქ, მოსე, დანიილ, პეტრე, პავლე და სხ. გინა: ბაბილოვანი, ბეთლემი, დამასკო, ეგჳპტე, დეირი, იერუსალიმი, იერიქონი, იორდანე, ნილო, მემფისი...“ (გვ. 120).

3. ლექსიკონში ადგილი აღარ ეთმობა სრულიად არაპოპულარულ სიტყვებს, რომლებიც თითო-ოროლა ხელნაწერშია დამოწმებული. ეს, უწინარეს ყოვლისა, ითქმის ი. პეტრიწის ნაშრომიდან („კავშირნი“) ამოკრებილ სიტყვებზე, მხოლოდ და მხოლოდ ამ ხელნაწერში რომაა დამოწმებული და სხვაგან აღარ იხმარება. ამ მიზეზით ლექსიკონში არ შეტანილა „ლექსნი, ხმარებულნი ღრმათა წიგნთა შინა და, მეტადრე, კავშირსა“ (იქვე), როგორიცაა: ამვლიოპოპობა, ასქეტო, ამავრო, გემნენ, ევგე, პილიკი, გადიონვისებული, საბწინი, იპატოჲ და მისთ. მსგავს სიტყვათა შეტანა ლექსიკონში არაფრით არ იქნებოდა გამართლებული, რადგან ისინი „კავშირნის სხოლიოს“ გარდა სხვა ტექსტში აღარ გვხვდებიან, ჩვეულებრივი სალაპარაკო თუ სამწერლობო ენა მათ არ იცნობდა. ხსენებული სიტყვები მხოლოდ ი. პეტრიწის „სხოლიოების“ მიხედვით მოხვდა საბას ლექსიკონშიც. მიუხედავად ამისა, ისინი არ დამკვიდრებულან ჩვენს ენაში, შემდეგ აღარავის უხმარია. მოკლედ, ხმარებისთანავე განწირული აღმოჩნდნენ: ქართული ენის ლექსიკამ ეს ინდივიდური სიტყვები ვერ შეიგუა და დავიწყებას მისცა. ამავე მიზეზით ლექსიკონში ადგილი ვერ პოვეს უცხო წარმოშობის არაპოპულარულმა და მოძველებულმა სიტყვებმა, რომლებიც, ავტორის კონცეფციით, „არცა ეკუთნეიან ქართულსა ლექსიკონსა“. მაგ.: გაად (გამოჯურვებული), გაბაა (ბორცვი), გაბაათ (ბორცუთა თხემი), გაბათან (ამაღლებული). გაბაონ (ბორცვი შეყრილი), გაბირ (ნება კაცისა), გად (კეთილბედნიერობამორტყმული, ანუ ძუელი დღეთა, გინა განსაცდელი), გადგად (კეთილ ბედით შეჭურვილი, მწყობრი), გალაად (უხუად მიცემით მომწოდებელი, გინა საწამებელი), გალატე (მაწოვარი), ფასგა (გორა), ფისონ (მობერვა ღუთისა კაცთა მიმართ), ქებრონ (სასწორი, ანუ ხილვა საჩინო, გინა მოყუსობა) და მისთ.

ი. პეტრიწის „სხოლიოებიდან“ ამოკრებილი სიტყვების თაობაზე ნ. ჩუბინაშვილს შენიშნული აქვს: „განმარტებანი ესე, ვითა სხოლიონნი, შესაძლო არიან მოწერად თჳთ მათ ადგილთა ზედა კავშირის წიგნისათა, სადაცა იპოვებიან იგინი, რამეთუ მხოლოდ მუნ არიან ხმარებულ და არა თუ საზოგადოსა შინა საუბარსა და არცა ეკუთნეიან ქართულსა ლექსიკონსა“ (იქვე).

4. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ადგილი არ ეთმობა „ბოროტს, საგიობელს, უბადოსა და ცუდ“ სიტყვებს, რომლებიც უხვად იყო დამოწმებული საბას მიერ. საბა მათ იმოწმებდა ენის სისრულის ჩვენების მიზნით და არა კიცხვისათვის.

ნ. ჩუბინაშვილს მაინც არ დაუნახავს საჭიროდ „აუგი სიტყვების“ შეტანა ლექსიკონში. იგი ამ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიჰყვებოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამკვიდრებულ წესს, რომელიც კრძალავდა „აუგი სიტყვების“ ფიქსარებას ლექსიკონში. ეს წესი, როგორც ცნობილია, გავრცელდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონით (1787 — 1794).

5. ლექსიკონში, ბოლოს, შეტანილი აღარაა ზმნის პირიანი ფორმები, რომლებიც ასე უხვად იყო დამოწმებული საბას ნაშრომში ყველა ასოზე. საბას ლექსიკონში დამოუკიდებელ სიტყვობრივ ერთეულებად ფიქსირებულია ზმნის პირისნიშნიანი და ასპექტიანი ფორმები შემდეგ ასოებზე: ვ (ვბრძოდი), გ (გაჯობა, გვინდა), მ (მეცვა), ს (სცავს), ჰ (ჰბაძვიდა), ა (ა-, აღ-, აღმო-, ამო-), გ (გან-, გა-, გამო-, გარდა-, გადა-, გარდამო-, გადმო-), დ (და-), მ (მო-, მი-, მიმო-), შ (შე-, შემო-, შთა-, შთამო-), ჩ (ჩა-, ჩამო-), წ (წარ-, წა-, წარმო-, წამო-) და ა. შ. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში, როგორც წესი, ასეთი ზმნები აღარაა შეტანილი, არამედ დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად მას მხოლოდ სახელზმნა (საწყისი და მიმღეობა) აქვს მიჩნეული.

ჩამოთვლილმა მიზეზებმა განსაზღვრეს იმ სიტყვათა შეუტანლობა ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომში, რომლებიც საბასთან გვხვდებოდნენ. ხუთივე მიზეზი მოტივირებულია მყარი არგუმენტაციით.

ვ. ჩამატებული სიტყვები. ახალი ლექსიკური მასალის გათვალისწინებამ, საბას მიერ დამოწმებული წყაროების ხელმეორედ გადასინჯვამ და ახალმა თეორიულმა პრინციპებმა გამოიწვიეს ლექსიკონის შევსება. ყველა ასოზე იგრძნობა დამატებული სიტყვები. ა ასოზე, საბას ლექსიკონთან შედარებით, ნ. ჩუბინაშვილს დაუმატებია 118 სიტყვა, ბ ასოზე — 93, გ ასოზე — 458, დ-ზე—335, ე-ზე—54, ვ-ზე—28 და ა. შ. ეს სიტყვები თავისთავად ყველა ახალი როდი იყო. ზოგი მათგანი შემთხვევით გამორჩენოდა დიდ ლექსიკოგრაფოსს, ზოგი კი ახლებურადაა წარმოქმნილი ან ახალი აზრითაა ნახმარი. უფრო მეტი რაოდენობით წარმოქმნილი სიტყვები, ნეოლოგიზმები და საწყისები (ზოგჯერ მიმღეობანიც) დამატებია. ყოველი ახალი სიტყვობრივი ერთეულის გამოვლენა და ლექსიკონში შეტანა ჩვენი ენის ლექსიკის სიმდიდრის გამომზეურებასა და უფრო სრულყოფილად ჩვენებას ნიშნავდა.

ა ასოზე, მაგალითად, დამატებულია: აბგა, აბდარი, აბეჩხარი, აბი, აბჯროსანი, ადგილობითი, ადრეული, ავგარდანი, ავენა, ავგული, ავპირი, ავმეცელი, აზარფეშა, ათაბაგი, ათვალწუნება, ათცხრამეტური, აკათისტო, აკაპი, აკროსტიხი, ალალო, ალამდარი, ალაწოდა, ალდატი, ალთაფა, ალგური, ალნება, აძაგი, ამბარდარი, ამბარჩა, ამირახორი, ამირეჯიბი, ამირსპასალარი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა, ამოსავარდნელი, ამრეცი, ამფსონი, ამქარი, ანალოღია, ანისული, ანტიფონი, ანქვთი, ანჯამა, არახჩინი, არღავანი, არღვევა,

არსი, ასომთავრული, ასრე, ასულება, ასხმა, ატმოსფერა, აუცილებელი, აფთექა, აწინდელი, ახალგაზრდა, ახალწელიწადი...

ყველაზე მეტი მაინც საწყისური ფორმებია: ადუღება, ავადობა, ავალწუნება, აკანკალება, ამობრძანება, ამოგდება, ამოგება, ამოგლეჯა, ამოდგმა, ამოვსება, ამოზევა, ამოსიდვა, ამოთლა, ამოთხრა, ამოკვეთა, ამტუტება, არეკნება, არეულობა, აქოლვა, აღბორგება, აშუპება, აცილება, აცორვება, აძრობა, ახდენა, ახედვა, ახირება, ახლეჩა, აჯეჯილება და ა. შ.

ეს საწყისები ნეოლოგიზმებია, რომლებიც ცალკე ლექსიკურ ერთეულებად ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომშია პირველად ფიქსირებული.

ბ-ასოზე ასევე შეტანილია: ბაასი, ბაბა, ბაბუა, ბაზიერთუხუცესი, ბათმანი, ბაირაღი, ბარძაყი, ბახჩა, ბე, ბებერა, ბედისწერა, ბევრეული, ბელადი, ბერიკაცი, ბინა, ბლიგვი, ბორიალი, ბოროტის მოქმედი, ბულული, ბურბუშელა, ბურთაობა, ბურღული, ბუღა, ბჭობა, ბღარტი... ესა და მსგავსი სიტყვები პირველად ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშია ფიქსირებული. ხმარებაში ადრეც იყო, მაგრამ საგანგებოდ ისინი ჩვენს ავტორს შეუსწავლია.

წარმოქმნილი სიტყვები განსაკუთრებით ბევრია დამატებული გ-ასოზე; გა-, გან-, გადა-, გარდა-, გადმო-, გარდმო- პრევერბებით ნაწარმოები ახალი ფუძეები (უფრო საწყისები და მიმღეობანი) ლექსიკონში უხვადაა ფიქსირებული. საბასთან წარმოქმნილი ფუძეები შედარებით ნაკლები იყო.

ამ სიტყვების მეტი ნაწილი წარმოქმნილია, მათი ძირების უმრავლესობა დამოწმებულია საბას ნამუშაკევში, მაგრამ ესენი ანბანურ რიგზე ლექსიკონში შეტანილი არაა. ყველა ამ წარმოქმნილი სიტყვის დამოწმება არც შეიძლებოდა, რადგან საბას ეპოქაში ისინი ჯერ კიდევ არ ყოფილან მოქალაქეობრივი უფლებების მქონენი. ეს წარმოქმნილი სიტყვები ხალხურ ბუნებრივ მეტყველებაში ჩვეულებრივ იხმარებოდა, მაგრამ ლიტერატურაში არასაკმარისად იყო ფეხმოკიდებული.

მაგალითად, საბას დამოწმებული აქვს საწყისი ბმა, გაბმა კი—არა. ცხადია, ეს უკანასკნელი ახალი, სულ სხვა მნიშვნელობის სიტყვაა, რომლის შეტანა ლექსიკონში აუცილებელი იყო. ნ. ჩუბინაშვილს ისევე შეუტანია ლექსიკონში სახელზმნები (წარმოქმნილი ზმნის ფუძეებიდან), როგორც წარმოქმნილი სახელები, ნეოლოგიზმები, რომლებიც ამდიდრებენ ენის ლექსიკურ შემადგენლობას.

რამდენიმე ნიმუში: გაბასრული (ბასრი'დან), გაბზარვა (ბზარი'დან), გაბოგინება (ბოგინი'დან), გაბრიყვება (ბრიყვი'დან), გაბჭობა (ბჭობა'დან), გადასავალი, განვითარება, გავსება, გაზეპირება, გათენება, გაიაფება, გაკეთება, გაკრეჭა, გალეწვა, გამდიდრება, გამოზოგება, გამოთქმა, გამოლაპარაკება, გამოქანდაკება, გამოქცევა, გამოშიგნვა, გამოცდა, გამოცემა, გადიდება, განხავება, განზოგება, განკარგულება, განკვეთა, განქორწინება, განძლიერება, განწირულება, გარდათქმა, გარდამავალი, გარდამდები, გარდასავალი, გარეტება, გარდაშენება, გარინდებული, გასაგხვა, გასავალი, გასამართლება, გაუქ-

მება, გაფლანგვა, გაფრთხილება, გაქანება, გაქრობა, გაშრობა, გაჩენა, გაძარცვა, გაცრუება, გაცუდება, გახარება, გვირაბი, გულადი და ა. შ.

თანამედროვე ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობის პოპულარული სიტყვები: გამდიდრება, გამოჩეკა, გამოცდა, გამოცემა, გამოცხობა, გამრავლება, გამჩენი, გამჭრიახი, გამხდარი, განათლება, განდიდება, განებიერება, განთქმული, განკარგულება, განკვეთა, განმტკიცება, განმხოლოება, განსაზღვრა, განსწავლა, განქორწინება, გაპარსვა, გაპენტვა, გარდაგვარება, გარდამავალი, გარდათქმა, გარდასავალი, გარდაქმნა, გარემოცვა, გარიგება, გარინდებული, გარღვევა, გარჩევა, გასავალი, გასამართლება, გასაღები, გაუმაძღარი, გაუქმება, გაფლანგვა, გაფრთხილება, გაქანება, გახსნა, გვირაბი, გულადი, გულუხვი... პირველად ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშია დამოწმებული.

სიტყვა გული'დან საბას ლექსიკონში 38 ლექსიკური ერთეული გვხვდება, ნ. ჩუბინაშვილთან კი—72. უკანასკნელი გვიჩვენებს ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრებას ძირეული სიტყვების ბაზაზე.

ნ. ჩუბინაშვილს შეეძლო უფრო მეტი ნეოლოგიზმებით გაემდიდრებინა თავისი ლექსიკონი. ეს საჭიროც იყო და შესაძლებელიც. ამისათვის ავტორს დასჭირდებოდა ახალი ლიტერატურული წყაროების უფრო ფართოდ ჩვენება. ავტორი კი უპირატესად ემყარებოდა სასულიერო მწერლობის ძეგლებს და საბას ლექსიკონში დამოწმებულ თხზულებებს. მართალია, აქა-იქ გამოყენებულია სხვა ლიტერატურული წყაროებიც (საერო მწერლობის ძეგლები, თარგმნილი ფილოსოფიური თხზულებები), მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისს შედგენილი ლექსიკონისათვის საკმარისი არ იყო მარტო ამ წყაროების ჩვენება. მაგრამ აქ ორი გარემოებაა იმთავითვე მხედველობაში მისაღები.

ა. ბევრი ჩვენი მწერლის თხზულება ავტორისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო. ჩანს, ნ. ჩუბინაშვილს ხელთ არ ჰქონია თეიმურაზ პირველის, თეიმურაზ მეორის, არჩილის, გარსევან ჩოლოყაშვილის, მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, ვახტანგ მეექვსის, ბესიკის, დავით ბატონიშვილის, საიათნოვასა და სხვა მწერლების ორიგინალური თიზულებები იმ უბრალო მიზეზით, რომ ისინი მაშინ მხოლოდ ხელნაწერთა სახით არსებობდნენ და ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყვნენ. ამავე მიზეზით, ზოგი მათგანი არც საბას ლექსიკონში ასახულა (თეიმურაზი, არჩილი...), რადგან მათ, ალბათ, არც საბა იცნობდა.

ბ. XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ეპოქა ქართველი ხალხის ისტორიაში მძიმე პერიოდს წარმოადგენდა. მოუგვარებელი იყო სასტამბო საქმე, რაც დიდად აფერხებდა მწერლობის განვითარებას. ეს გარემოება, თავისთავად ცხადია, მძიმე ბეჭედს ასვამდა ლექსიკოგრაფიის განვითარებასაც. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში, რომელიც XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებს ეკუთვნის, სრულყოფილი ასახვა ვერ პოვა მაშინდელი მწერლების თხზულებებმა.

ბევრი ისეთი ძირეული და, უფრო მეტი, წარმოქმნილი სიტყვაა ფიქსირებული ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში, რომელთაც საბასთან ვერ ვპოულობთ. მაგალითად: დაბზარვა, დადუმება, დავა, დავითნი, დავლა, დაზგა, დაისი,

დასავლეთი, დაწიოკება, დებულება, დედანი, დედაქალაქი, დოლაბი, დოში, დუგლუგი, დადაღვა, დათესვა, დაკნინება, დამატება, დასახვა, დღეობა, დღიური, ენაბრგუნილი, ენამქევრი, ერთგული, ერისკაცი, ერთობა, ერთსული, ვაჭრობა... პირველად ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში გვხვდება.

4. **უცხოური სიტყვები.** საბას ლექსიკონი, როგორც აღინიშნა, ენციკლოპედიური ხასიათის იყო და სავსე უცხოური სიტყვებითაც. იქ თავმოყრილი იყო ქართულ წყაროებში შეხვედრილი ყოველგვარი უცხოური სიტყვა, მათ შორის, საკუთარი (ადგილისა და ადამიანთა) სახელებიც. მცირეოდენს გარდა, ისინი ქართული ლექსიკონის კუთვნილებას არ შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა ლექსიკოგრაფოსმა ფართო ადგილი დაუთმო მათს ჩვენებას. როგორც ითქვა, განსაკუთრებით ვრცლადაა საბას ნაშრომში აღბეჭდილი უცხო წარმოშობის ადამიანთა საკუთარი სახელები, რომლებიც უმთავრესად ბიბლიური წიგნებიდანაა ამოკრებილი. ახლა გამორკვეულია, რომ საბას თავის ნაშრომში მთლიანად შეუტანია კირილე ალექსანდრიელის საკუთარ სახელთა ლექსიკონი, რომელიც ქართულ ენაზე გადმოუღიათ ჯერ კიდევ XII საუკუნეზე ადრე და გვხვდება ამ საუკუნის ხელნაწერთა ერთ კრებულში[1]. ნ. ჩუბინაშვილს თავის ლექსიკონში არ შეუტანია ეს უცხოური წარმოშობის სიტყვები, მეტადრე საკუთარი სახელები. მოგვყავს მხოლოდ რამდენიმე ნიმუში:

აბარიმ (გარდასრული გინა გარდამავალი), აბბია (მამა ჩუენი უფალი), აბბიუ (მამაო), აბდემელიქ (მონა მეფისა), აბდიპუ (მონა აღსარებისა), აბდონ (მონაო), აბდულმესია (მონა ქრისტესი), აბედნაგო (მონა ბრწყინვალებისა), აბელ (ღვთის მიერი, გინა პირველთაგანი, გინა გლოვა), აბელმაუს (გლოვის დასაწყისი, გინა ძლუმნი, გინა შესაწირავი), აზენერ (შვილი მართალი)...

ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში შეტანილია უცხოური წარმოშობის სიტყვათა ახალი კოლექციაც, რომელსაც საბას ნაშრომში ვერ ვპოულობთ. მათგან მეტი ნაწილი ქართულ წყაროებშიაცაა დამოწმებული. დამატებულია უცხოური წარმოშობის ასეთი სიტყვები:

აბბატი, აგენნიტოს, აკათისტო, აკროსტიხი, ამბიონი, ანტიფონი, აპოკალიპსი, არხიდიაკონი, არხიეპისკოპოსი, არხიერი, არხინოტარი; ბალიოზი, დავთარი, დაირა, დამასხი, დარაკ, დარაჯა, დარიჩინი, დაკასტირია, ეპიტროპოსი, ერეტიკოსი; თაბახი, თალარი, თარჯი, თაჯი, თეორეტიკა, თუთუნი; იამბიკო, იასამანი, იერარხი, ილალი, იროდიაკონი, იერომონახი, იეროღლიფი, იმპერატორი, იმპერატორული, იმპერია, იპოდიაკონი, ისტორიკოსი; კათედრა, კათოლიკოსი, კატავასია, კომეტი, კრაოტი, კრემორტარტარი; ლალა; მაღრიბი, მაშრიყი, მეტალლი, მონეთი; ნიაბი; ონჭქოთი, ანჭქოთი; პეტალო, პინაქსი, პოლიტიკა, პსიხი; რიპოდიონი; სარდონიქსია, სემიდალი, სჳლლოგიზმი, სჳნკლოტი, სჳნკლიტიკოსი, სჳნოდი; ტიპიკონი, ტიპოღრაფია, ტირანი, ტიტლო, ტროპარი; ურია, ურიასტანი; შამდანი,

---

[1] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი, „გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, II, 1947, გვ. 171—177; ან მისივე: ნარკვევები, I, სტალინირი, 1955, გვ. 104—112.

შანდანი; ხარაკტერი, სერუვიმო, ხრონოღრაფია; ჯავაირო, ჯალათი; ჰაეროძეტრია, ჰაჯი, ჰილალი; ჴდრა, ჴდრაულიკა, ჴდროღრაფია, ჴმნოსი, ჴპერბოლა, ჴპოდიასტოლი, ჴპოთეტიკა, ჴპოსტასი, ჴპოხონდრია; ფანტაზია...

საბას „სიტყვის კონიდან“ აღებული უცხოური წარმოშობის სიტყვები, რომლებიც შეტანილია ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიაც, ავტორს ხელმეორედ შეუჯერებია არსებულ წყაროებთან, უფრო იმდროინდელ რუსულ ლექსიკოლოგიურ ნაშრომებთან, ახლებურად, თანამედროვეობის შესაფერისად გაუმართავს მათი განმარტებანი, დაუხვეწია და დაუზუსტებია ისინი და შემდეგ შეუტანია ლექსიკონში. ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომი ამ მხრით საბას ლექსიკონის შემდგომი განვითარება და გაღრმავებაა. მართალია, სიტყვების მნიშვნელოვანი ნაწილის განმარტება ავტორს უცვლელად დაუტოვებია, მაგრამ ბევრი მათგანის განსაზღვრებაში არსებითი ხასიათის ცვლილება და დამატება შეუტანია. ამას მოწმობს ეს მოკლე შედარებითი სქემა:

ს ა ბ ა :	ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი :
1. **აბანოზი** სხუათა ენაა, ქართულად ეკალმუხა ჰქვიან.	1. **აბანოზი** ეკალმუხა, эбановое дерево, растущее в Африке и Америке, Ebanos, *'Αμπανός* [დ. ჩუბინაშვილით: ეკალმუხა, черное дерево].
2. **აბბა** მამა.	2. **აბბა** სირიულად მამა (მარკ. 14,36; რომაელ. 8,15); Авва, 'Αββᾶς, Abbas.
3. **აგვისტოსი** ქველთობისა, მარიამობის თთვე.	3. **აგვისტო** ქველთობისა, ანუ მარიალისა; Август месяц, *'Αύγουστος*.
4. **ადამახი** ალმასი (7.7 ამოს.).	4. **ადამახი** ადამანტი, ალმასი (იერემ. 17,1; ამოს. 7,7); Адамант, алмаз, *'Αδάμας*.
5. **აედონი** იადონი.	5. **აედონი** იადონი, ბულბული, ვარდის ჩიტი, соловей, *'Αηδόν*, *'Αηδόνι*, *'Αηδόνος*, ხოლო მართვე მისი *'Αηδωνάκι*.
6. **აიაზმა** ბერძულია, ქართულად წმიდა წყალი ჰქჳან.	6. **აიაზმა** ნაკურთხი წყალი სასხურებლად, *'Αγίασμα*, святая вода.
7. **აკაკი** ბრინჯის ხის ხილი.	7. **აკაკი** ბრინჯის ხე. *'Ακακία*, каркас, акация, дерево. [დ. ჩუბინაშვილს ეს სიტყვა სამგზის შეუტანია ლექსიკონში: ა) ბრინჯის ხე, хлебное растение; ბ) ხებარდა, каркас; გ) ლობიოს ხე, акация белая].
8. **აკოლოთი** მერიგე თუ რიგი.	8. **აკოლოთია** საგალობელი, წესი, ანუ შედეგი საეკლესიოს ლოცვსა, последование, служба церковная, *'Ακολυθία*.
9. **ალაბასტრი** ესე ქვაა მარმარილოს მჯობი, პურპლად გასთლიან (მარკ. 14,3). [H 1429 ნუსხის მიხედვით: ა ლ ა ბ ა ს ტ რ ო კრონოსის ცაა. მარკოზის 14,3-ში იკითხება (DE, მთაწმიდლისეული ვერსია): „აქუნდა ა ლ ა ბ ა ს ტ რ ი თ ა ნელსაცხებელი“; C: „აქუნდა შიშითა ნელსაცხებელი ნარდიონი პატიოსანი“].	9. **ალაბასტრი** ქუა მარმარილოს უმჯობესი, რომელიც გაითლების პურპლად (მარკ. 14,3); алавастр, *'Αλάβαστρον* [განმარტება საბას პერიფრაზია ოდნავი სიახლით].

10. ალამი სპარსულად დროშა, ქართულად სამკრე ზორტი, გინა ნიშანი რამე შუბთა და მისთანათა.

10. ალამი მომცრო დროშა (ვეფხისტ. 339), штандарт, სპარსულად ალამ.//ანუ ნიშანი რამე შუბთა ზედა და მისთანათა, ან ნაჭერი რისამე ნიშნად (მუნვე, 1293), значек, флаг. [დ. ჩუბინაშვილს ეს ორი მნიშვნელობა გაუერთიანებია: „ა ლ ა მ ი მომცრო დროშა, ან ნიშანი რამე შუბთა ზედა"].

ეს მასალები უკომენტაროდაც ცხადყოფენ, რომ ნ. ჩუბინაშვილი აქ გვაძლევს დამოუკიდებელ, ორიგინალურ ნაშრომს. ავტორს უცხოური წარმოშობის სიტყვათა განმარტებისას საბას ლექსიკონთან ერთად ხელთ ჰქონია სხვა, უფრო ახალი წყაროებიც. ეს წყაროა რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მეორე გამოცემა, რომლის მიხედვითაც არაერთი და ორი ათეული სიტყვის განმარტება მოუცია ჩვენს ავტორს. საკმარისია შემდეგი სიტყვების ნ. ჩუბინაშვილისეული განმარტებათა შეჯერება საბას სათანადო განმარტებებთან: ადამასი, აკოლოთია, ანდრიანტი, ანთრაკი, აპოთიკი, ალაპი, ბალღამი ანუ ფელგამი, ბივრილი, ბივრიტი, ეთერი, ენკენია, ეპიტაფია, იობელიონი, კანონი, ორღანო, სკამი, სხოლიო, ტალანტი, ტიმპანი, ქიმია და სხ., რომ დავრწმუნდეთ ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომის სიახლე-ორიგინალობაში.

უცხოურ სიტყვათა განმარტების მხრით ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომი საბას შემდეგ მეორე ლექსიკონია ქართულ ენაზე.

ამ უცხოური წარმოშობის სიტყვებიდან, რომლებიც ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში დამკვიდრებულა, მნიშვნელოვანი ნაწილი განეკუთვნება ბერძნულ ენობრივ სამყაროს.

ბერძნულ სიტყვებს გზა გაუკვლევიათ ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობისაკენ სამი საშუალებით: ა) მრავალმხრივი ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის ნიადაგზე — ზეპირმეტყველებაში; ბ) მწიგნობრულ-კულტურული ურთიერთობის ნიადაგზე და გ) ბიბლიური და სხვა წიგნების თარგმანებისა თუ რედაქტირების შედეგად.

1. არამწიგნობრობის გზით უნდა შემოსულიყო ქართულში ბერძნული წარმოშობის ასეთი სიტყვები: კ რ ა ო ტ ი, კ რ ა ვ ა ტ ი, კ რ ა მ ი ტ ი, ვ ი შ ნ ა და მისთ.

ა) კ რ ა ო ტ ი, კ რ ა ვ ა ტ ი XIX საუკუნეში გავრცელებულა რუსული ენის მეშვეობით. იგი მიღებულია κραββάτι, κράββατος-დან, გავრცელებულა ზეპირმეტყველებაში. პირველად ფიქსირებულია ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში: „კ რ ა ო ტ ი, კ რ ა ვ ა ტ ი ფიცართაგან ქმნილი საწოლი, სარეცელი ფეხებიანი, кровать, κραββάτι". აქედან გადავიდა დ ჩუბინაშვილის ლექსიკონშიაც. საბა მას არ იცნობდა.

ბ) კ რ ა მ ი ტ ი უფრო ძველადაა ნასესხები და, ჩანს, ისიც არამწიგნობრობის გზით. პირველად ვპოულობთ საბასთან: „კ რ ა მ ი ტ ი კეცის ლორფინია". ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, „კ რ ა მ ი ტ ი კეცისა გინა თიხის ლორფინი, черепица, κεραμίδι". სიტყვა ნასესხებია უშუალოდ ბერძნულიდან.

გ) ვიშნა შემოსულია რუსული ენის მეშვეობით. გვხვდება არა ლიტერატურულ ენაში, არამედ მხოლოდ კილოებში (ისიც გურულში, იმერულში), უფრო კილოებში მას ქვიშნა ცვლის. ქვიშნა ვიშნას ენობრივი შესატყვისი არ უნდა იყოს, მათი ფონეტიკური მსგავსება შემთხვევითი ჩანს. პროფ. ვ. თოფურიას აზრით, ქვიშნაში ქ განვითარებულია შემდეგ: „უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სიტყვა შემოსულია თურქულიდან (ვიშნე) და ქ ადგილობრივი წარმოშობისაა“ [1]. საეჭვოა სიტყვის თურქულიდან შემოსვლა. იგი რუსულის გზითაა ქართულში გავრცელებული. საბას განმარტებით, „ქვიშნა, ქჳშნა, უგრეხელია“; ამასვე იმეორებს ნ. ჩუბინაშვილიც: „ქვიშნა უგრეხელა, гречиха, дикуша“. რაც შეეხება ალუბალს, მას საბა ბალღოჯს ანუ მჟავე ბალს ეძახის. დ. ჩუბინაშვილის აზრით კი: „ქვიშნა [არის] ალუბალი, ბალღოჯი, вишня“; „ბალღინჯი, ბალღოჯი ალუბალი, ქვიშნა, вишня, морель“. მხოლოდ ამ უკანასკნელ ავტორთან გვხვდება ქვიშნა ალუბლის (вишня) მნიშვნელობით. არც საბამ და არც ნ. ჩუბინაშვილმა ეს არ იცოდნენ. ამიტომ ჩვენ შესაძლებლად არ მიგვაჩნია ქვიშნასა და вишня'ს გაერთმნიშვნელიანობა.

რუს. Вишня პროფ. ლ. პ. იაკუბინსკის აზრით, მიღებულია ბერძნული βυσσινιά-დან და პირველსაწყისად გვქონდა вись'ня [2]-ო. ქართულში სწორედ ეს Вишня შემოსულა რუსული ენის მეშვეობით. სიტყვა ლიტერატურულ ენაში ვერ დამკვიდრდა.

2. ნწიგნობრობის გზით ბერძნული ენიდან ქართულში შემოსულა: სკამი, პალატი, კანონი, აპოთიკი, კჳრიაკე, სქემი, მარმარილო და სხვ.

ა. აპოთიკი: „აპოთიკი და ბოსტანი და წისქჳლნი კელრისა საურავნი იყვნეს“ [3]. საბას განმარტებით: „სახლი შესანახავისა“; ნ. ჩუბინაშვილით: „საკუჭნაო, სახლი შესანახავი სახლის სამზადისთა, ხოლო საკუთრად ეწოდების სამკურნალოთა წამალთა საცავსა, Аптека, 'Αποθηκι“.

ბ. კანონი: „არამედ პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისთა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთაჲ“ [4]; „და აღა-

---

[1] ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, V, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 234. ავტორს აქ აღნიშნული აქვს: „ეს სიტყვა საბას ლექსიკონში არ არის, დ. ჩუბინაშვილს ის შემოუტანია რ. ერისთავის ლექსიკონიდანო“ (გვ. 234). საბას ლექსიკონში ქვიშნა არის და არა მარტო ერთ, ორ ვარიანტადაც: ქვიშნა, ქჳშნა (რ. ერისთავის გამოც., გვ. 327, 332; ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის გამოც., გვ. 368, 375; ს. იორდანიშვილის გამოც., გვ. 714, 724). საბას ეს სიტყვა მხოლოდ სხვა მნიშვნელობით ესმის—უგრეხელიო.

[2] Л. П. Якубинский, История древнерусского языка, под. ред. акад. В. В. Виноградова, М., 1953, გვ. 333.

[3] გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ი. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის რედ., თბ., 1946, გვ. 98, 1.

[4] გიორგი მერჩული, ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, ნ. მარის გამოც., სპბ., 1911, 18, 2.

სრულებდეს სამარადისოსა კანონსა“[1]; „და თჳსსა კანონსა დიდსა და მძიმესა ძლიერად აღასრულებდა“[2]. საბას მიხედვით, „კანონი განწესება“; ნ. ჩუბინაშვილით: „კანონი განწესება (მიქ. 7,4), правило, κανών, κανώνας, ხოლო κανόνι არს ზარბაზანი.//საკანონო, განკანონება, ეკლესიურად, ცოდვის საზღაური, епитимия, კანონი დავითნისა, რაოდენიმე ფსალმუნი, ორი დიდება, кафисма“.

გ. კჳრიაკე: „ეგრჱთვე წიგნის კითხვაჲ ოთხი. და ვნებისა კჳრიაკისა ფრიად განგებაჲ იყო. ხოლო აღსვსებითგან ვიდრე ახალკჳრიაკემდჱ ჭირისა კანონი არა თქჳან“[3]; „გარნა დღესა ხოლო კჳრიაკესა ეზიარის ჴორცსა და სისხლსა“ ...[4] „შჳდთა მათ შჳდეულთა კჳრიაკესა და დღესა შაბათსა“[5]. საბას განმარტებით: „კჳრა, კჳრიაკე ეწოდების ერთსა შჳდეულსა“; ნ. ჩუბინაშვილით: „კჳრიაკე შვიდეული, ჵსგეფსი, неделя, седьмица, χυριαχή, χυριαχός“.

დ. პალატი: „და მი-რაჲ-იწია პალატად, მიეგებნენ ძენი კურაპალატისანი“[6]; „და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან და ყოველმან პალატმან მათმან“[7]; „ესე ყოველთა წელთა აქუს პალატით ლავრასა“[8]; „და შეუძნდა მეფესა ძნიად და იქცა პალატადვე“[9]. აქ სიტყვა ნახმარია დიდი სასახლის, ან მეფის სასახლის მნიშვნელობით. ამავე მნიშვნელობითაა სიტყვა ნახმარი „შუშანიკის მარტვილობაში“: „ყოველი ეზოჲ და პალატი მისი“[10]; „თამარიანში“: „სამფსონ პალატად ჩანსვე ღალატად თავი დალიდას განაპარსევად“[11]: „სიბრძნე სიცრუისაში“: „შემიყვანა ერთ პალატაში, დია კაი სახლი იყო“[12].

თავდაპირველად ამ სიტყვის მნიშვნელობა ვიწრო ყოფილა, აღნიშნავდა სახლს, შემდეგ გაფართოებულა, აღნიშნავს დიდ სასახლეს, მეფეთა სასახლეს. მიღებულია ბერძნული სიტყვიდან παλάτι.

ე. სკამი (σχαμνί). სიტყვა ქართულში დიდი ხნიდანაა შეთვისებული. დამოწმებულია მრავალ ძეგლში. გიორგი მთაწმიდელთან გვაქვს: „და სკამები

---

[1] იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1938, ბ, 1, 28.

[2] გიორგი მთაწმიდელი, იქვე, 50, 10.

[3] გიორგი მერჩული, იქვე, 17, 38—39.

[4] იაკობ ცურტაველი, იქვე, ა, XIV, 12.

[5] იოანე საბანისძე, წამებაჲ ჰაბოჲსი, ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, თბ., 1953, 188, 5.

[6] გიორგი მერჩული, იქვე, 11, 16.

[7] ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი, ი. იმნაიშვილი, იქვე, 270, 12.

[8] გიორგი მთაწმიდელი, იქვე, 31, 3.

[9] სიბრძნე ბალაჰვარისი, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1937, 49,19.

[10] იაკობ ცურტაველი, იქვე, XVI, 45.

[11] ჩახრუხაძე, თამარიანი (ს. ყუბანეიშვილი, II, 191, 18).

[12] ს. -ს. ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1938, 104, 3.

საშოვალ დადგიან"[1]: „სხდენ იგინი სკამთა ზედა"[2]: „ვეფხისტყაოსანში" ხუთჯერაა ნახმარი: „ერთილა ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა" (103, 1); „რა მივე, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავჯე სკამითა" (507, 4); „ყმა მხიარული წინაშე დასვა სკამითა მისითა" (695, 1); „დადრკა, სკამნი შემოსტყორცა, ჰკრნა კედელსა, შეალეწნა" (760, 1); „ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცვა, დაჯდა სკამითა" (1062, 2).

საბასა და ნ. ჩუბინაშვილს დამოწმებული აქვთ ამ სიტყვის შესატყვისი ქართული ცნებები. ნ. ჩუბინაშვილი წერს: „სკამი ხისაგან შექმნილი დასაჯდომელი ფეხებიანი (ვეფხისტ. 104, 500, 685); стул, σκαμνί; შესაკრავს და გასაშლელს ეწოდება სელი, კეთილჰრელებულს—სავარძელი, მრავალთა სასხდომსა—მერხი და მერხული, მეფეთ საჯდომსა—გალავაკი ან საdალიჰი და ტახტი, ეპისკოპოსთასა კვარცხლბეკოვანსა—ხარისხი და ამბიონი, მაღალსა სამქადაგებლოსა — კათედრა, მრავალთ სასხდომელებსა ბაქანბაქნად—ტჷქი ან ტოგუნი და სხ."

სიტყვა იმავე ბერძნულიდანაა შესული რუსულშიაც. ოღონდ, პროფ. ლ. პ. იაკუბინსკის ჩვენებით, ის რუსულში თავდაპირველად ისმოდა скамия-დ, როგორც ეს დაცულია მთის მარიულში რუსულიდან ნასესხები სახით: skamiá, აგრეთვე უკრაინულში: скамница, скомница[3].

3. შწიგნობრობის გზით (თარგმანების სახით) ბერძნულიდან ქართულში უშუალოდ შემოსულია ქრისტიანული რელიგიის რიტუალ-წესების აღსრულებასთან დაკავშირებული ტერმინები: ანგელოსი, აიაზმა, არქიმანდრიტი, არქიდიაკონი, არქიეპისკოპოსი, არქიელი, ებისტოლე//ეპისტოლე, ეგუტერი//ეკვტერი, ევლოგია, ეკლესია, ეპისკოპოსი, ექსორია, იერომონახი, კერეონი, კათალიკოსი, კონდაკი, ლავრა, ლიტანია, კათედრა, მარტჳლი, მიტროპოლიტი, მონაზონი//მოლოზანი, პატრიარქი, პარაკლისი, პროტოდიაკონი, პარაკლიტონი, ოლარი, სტისარი, ტრაპეზი, ბელზებელი და მრავალი სხვა.

ა. ზმნა ლექსიკონებში. 1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელნი მუდამ განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდნენ ზმნური ფორმების ჩვენებას. ეს საკვირველი არც იყო. ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობის ერთ-ერთი საფუძველი და მშვენება სწორედ ზმნაა, რომელიც გაცილებით მდიდარია ფორმებით, ვიდრე სახელი. ეს გარემოება, უწინარეს ყოვლისა, სავსებით გაუთვალისწინებია საბა ორბელიანს, რომელმაც თავისი შეხედულებანი სახელური და ზმნური ლექსიკური ერთეულების გაწყობის შესახებ ლექსიკონში ჩამოაყალიბა საკუთარ „სიტყვის კონაში".

ქართული ენის ერთ-ერთი ზოგადენათმეცნიერული თავისებურება ისაა, რომ ის სახელისა და ზმნის ფუძეებს შორის არ აჩენს გაუვალ უფსკრულს. ქართულში ყოველგვარი სახელის ფუძიდან ისევე იწარმოება ზმნა, როგორც

[1] გიორგი მთაწმიდელი, იქვე, 59, 4.
[2] გიორგი მთაწმიდელი, იქვე, 75, 4.
[3] Л. П. Якубинский, იქვე, გვ. 334.

ყოველგვარი ზმნის ფუძიდან—სახელი, აფიქსების მოშველება შესაძლებლობას გვაძლევს ბრუნებადი სიტყვა ადვილად გადავიტანოთ უღლებად სიტყვათა რიგში და, პირიქით, უღლებადი სიტყვა—ბრუნებად სიტყვათა რიგში (შდრ.: ქალი—ქალობს, წერს—წერილი). საბას დამოწმებული აქვს: ა) სახელთა ფუძეებიდან ნაწარმოები ზმნები: ააჯიჯილე (ჯიჯილი), ეზამთრა (ზამთარი), ეზაფხულა (ზაფხული), ეზღაპრა (ზღაპარი), ეიმედა (იმედი), ენათლა (ნათელი), ეძმო (ძმა), ვააზატე (აზატი), ვაჟამნე (ჟამნი), ვდარბაზობდე (დარბაზი), ვფიწლავ (ფიწალი), ვფსალმუნებდი (ფსალმუნი)... ბ) ზმნათა ფუძეებიდან ნაწარმოები სახელები: წვდილი, მიუწვდომელი (წვდება), მკერვალი (კერავს), მკითხველი (კითხულობს), მწერალი, წერილი (წერს), მჭამელი, შეჭმული (ჭამს), მკვლელი (კლავს), მხატვარი (ხატავს)... მაგრამ მეტყველების ამ ორ ნაწილს (სახელსა და ზმნას) შორის ქართულში მაინც „დიდი ზღვარია", მათ ერთმანეთში ვერ ავრევთ, ცალ-ცალკე უნდა ვაჩვენოთ.

სახელის ჩვენების საკითხი იმთავითვე ადვილად გადაწყდა. სახელობითი ბრუნვის ფორმა მიჩნეულ იქნა ამოსავლად და ამის მიხედვით გაიწყო ყოველი სახელი აქამდის არსებულ, მათ შორის, საბას და ნ. ჩუბინაშვილის განმარტებითს ლექსიკონებში. ქართული სახელების გრამატიკული ბუნება ამით, რა თქმა უნდა, ვერ გაშუქდა, მაგრამ აღიარებული წესი ტრადიციად მაინც იქცა, გაბატონდა.

სახელობითი ბრუნვა ვერ იძლევა ქართული ბრუნებადი სიტყვის გრამატიკულ კვალიფიკაციას. ვერც მარტოოდენ ნათესაობითი მოგვცემს მის სრულ დახასიათებას. ნათესაობითი გაარკვევდა ფუძის ვითარებას (კუმშვას, კვეცას), მაგრამ ვერ გვიჩვენებდა მის დაბოლოებას (ხმოვნიანობას, თანხმოვნიანობას), რის ჩვენება უფრო თვალსაჩინოდ სახელობითს შეეძლო. ამრიგად, თითქოს ბუნებრივ აუცილებლობად იქცეოდა ლექსიკონში სახელების სრული გრამატიკული კვალიფიკაციის მოცემა, მაგრამ ერთი რომელიმე ბრუნვის ფორმით ამის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელი იყო და თანაც განმარტებით ლექსიკონს ამის ჩვენება არც ევალებოდა.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" რედაქციას ახალი წესი აქვს მიღებული (ტ. I, თბ., 1950). აქ სახელი ორი ბრუნვის ფორმითაა აღბეჭდილი — სახელობითისა და ნათესაობითის ფორმით (შდრ.: ავდარ-ი, ავდრ-ისა). ეს მისაღები წესია, რაც გვიჩვენებს სახელის ფუძის ვითარებას, მაგრამ მის დაბოლოებას თვალსაჩინოდ ვერ წარმოაჩენს, ბოლოკვეცად-ბოლოუკვეცელობა ჩრდილში ექცევა. მაგ., ლექსიკონში დამოწმებულია:

ბეწო (ბეწოსი)
ბზე (ბზისა)
ბზრიალა (ბზრიალასი)
ბიბლია (ბიბლიისა).

ამით ნაჩვენებია ფუძის ფაქტობრივი სურათი სახელობითსა და ნათესაობითში, მისი ცვლილება-უცვლელობის გრამატიკული კვალიფიკაცია კი — არა. მკითხველისათვის უცნობია ასეთ სახელთა ფუძის დაბოლოება, კვეცად-უკვეცელობა.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რედაქციამ დასვა სახელის ფუძის გრამატიკული სტრუქტურის ჩვენების აუცილებლობის საკითხი. შეეცადა მის მართებულადვე გადაწყვეტასაც, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. მიღებული წესის მიხედვით, შესაძლებელი ხდება სახელის ფუძის ფაქტობრივი სურათის ჩვენება, მაგრამ მისი გრამატიკული კვალიფიკაცია კვლავაც ჩრდილში ექცევა.

ბრუნებად სიტყვათა ლექსიკური ერთეულები საბას „სიტყვის კონაში“ წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, განურჩევლად იმისა, თუ როგორია მისი ფუძე (ხმოვნიანი თუ თანხმოვნიანი). სახელობითი ბრუნვა, საბას აზრით, განმსაზღვრელია სახელის მდგომარეობისა ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში. ეს შეხედულება პრინციპულ წინააღმდეგობას არ იწვევს, მაგრამ საბა თავის ამ აღიარებულ წესს ბოლომდის არ მიჰყვება. ხან იცავს სახელობით ბრუნვას თავისი ნიშნითურთ (-ი// -ჲ), ხან—არა და სახელს გვაჩვენებს სუფთა ფუძით.

საბასაგან განსხვავებით ნ. ჩუბინაშვილი თანამიმდევრულად იცავს ერთ აღიარებულ წესს. ყოველი სახელი, განურჩევლად მისი ფუძისა თუ წარმომავლობისა, ავტორის ლექსიკონში შეტანილია სახელობითი ბრუნვის ფორმით. უცხოური სახელები სუფთა ფუძით მხოლოდ მაშინაა ნაჩვენები, თუ ისინი არ დაირთავენ სათანადო ბრუნვის ნიშნებს.

2. ზმნის ფორმების ჩვენება ლექსიკონში გაცილებით მეტ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

ქართული ზმნის მთელი გრამატიკული სტრუქტურის ასახვა განმარტებითს ლექსიკონში, უკანასკნელის სპეციფიკურობის გამო, შეუძლებელია და არცაა საჭირო. ეს ამოცანა გრამატიკამ უნდა იკისროს. მაგრამ ზმნის სემანტიკური მხარის მთელი სისავსით ჩვენება კი სწორედ განმარტებითი ლექსიკონის ამოცანაა. ამ გარემოებას სავსებით მართებულად ითვალისწინებდა საბა ორბელიანი, როცა ეძებდა ზმნის ლექსიკურ-სემანტიკური ფორმების ჩვენების უფრო მოხერხებულ საშუალებებს.

ბუნებრივია, პირის, რიცხვის, გვარის ნიშნების მიხედვით ზმნის ფორმების ლექსიკურ ერთეულებად დაშლა და ლექსიკონში გაფანტვა არა თუ გააძნელებდა მათს დაძებნას, არამედ საერთოდ ასეთ ლექსიკონს გამოუსადეგარს გახდიდა. მისთვის საჭირო ფორმის მოსაძებნად მკითხველს მთელი ლექსიკონის შტუდირება დასჭირდებოდა. უნდა დაძებნილიყო მისაღები გზა, რომელიც გააადვილებდა ზმნური სიტყვობრივი ერთეულების დაძებნის შესაძლებლობას ლექსიკონში. ლექსიკოგრაფოსებს სხვადასხვაგვარად უცდიათ ამ პრობლემის გადაწყვეტა. სხვადასხვა პრინციპებსა და მეთოდოლოგიას ემყარებიან ამ მხრით საბა ორბელიანი და ნიკო ჩუბინაშვილი. ორივე ავტორის პრინციპული მოსაზრებები არგუმენტირებულია ქართული ზმნის რთული გრამატიკული ბუნებით.

3. ზმნის ლექსიკური ერთეულები საბას „სიტყვის კონაში“ შეტანილია პირიანი და უპირო ფორმებით (საწყისი, მიმღეობა). ზმნური ერთეულებიდან ცალ-ცალკეა ნაჩვენები სუბიექტური და ობიექტური პირის, მწკრივის, გვარისა და კონტაქტის განსხვავებული ფორმები.

ა. **სუბიექტის პირველი პირის ნიშნით:** ვ: ვაადვილე, ვააზავრე, ვააზატე, ვაგინე, ვაგონე, ვაკმიე, ვამზადებ, ვანაცვალე, ვაპირებ, ვაჭამე, ვაძლივე, ვბედავ, ვგონებდი, ვდევნიდი, ვკლავ, ვლაპარაკობ, ვმადლობ, ვნადიმობ, ვპირდები, ვჟამნობ, ვრიდობ, ვსინჯავ, ვტიროდი, ვფრთსილობდი, ვქადილობ, ვღებავ, ვშიშობ, ვშჯულავ, ვცან, ვძრწი, ვჭამ, ვხატავ, ვჯობვარ, ვჰყავ...

ბ. **სუბიექტის მეორე პირის ნიშნით:** ხ, ჰ//ს: ხარ, ხვალ (მოხვედ), ჰპოვო, ჰსიტყვო, ჰფრთხებით, ჰყო, სდევ, სჯი...

გ. **ობიექტის პირველი პირის ნიშნით:** მ (გვ): მაალერსა, მაამო, მაანაბრა, მაარსა, მაახლოვა, მააჯა, მაბანა, მადგინა, მაგონა, მადიდა, მაიძულა, მეცვა, მეჩუმნა, მახარა, მბანდა, მგავს, მენება, მთნავს, მნებავს... გვადროებს, გვინდა, გვსიტყუავს...

დ. **ობიექტის მეორე პირის ნიშნით:** გ: გშლი, გბრძავს, გგონია, გიცნობს, გკადრებ, გკლავ, გრწამს, გყავს, გწყევ, გძულს, გჩხრეკ, გშურს, გჭარბობს, გხედავ...

ე. **ობიექტის მესამე პირის ნიშნით:** ჰ//ს: ჰგავს, ჰბაძავდა, ჰგვანდა, ჰგვემდა, ჰგიობს, ჰმატს, ჰხვდა, ჰქდის, სჭირს, სჭურეტს...

3. პირიანი ფორმების განსაზღვრული რიგი საბას ლექსიკონში შეუტანია აწმყოს, უწყვეტლის, მყობადის, ხოლმეობითის, წყვეტილის მწკრივთა, ქცევის, ვნებითი გვარისა და კონტაქტის გარკვეული ფორმებით. აქ ერთი სისტემა მთლიანად დაცული არა ჩანს, მაგრამ ზმნის ფუძეთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ სახითაა ლექსიკონში გაწყობილი.

აწმყო: ვათევ, ვამზადებ, ვაპირებ, ვბედავ, ვეფიცები, ვეფრთხილები, ვეცილები, ვზატიკობ, ვზრახავ, ვთარგმნი, ვთვლი, ვთიბ, ვთლი, ვთხრი...

უწყვეტელი: ვბრძოდი, ვბურევდი, ვგებდ, ვგოდებდი, ვგონებდი, ვდევდ, ვიდოდა, ვგზავნიდი, ვგუმდი, ვდარბაზობდი, ვდევნიდი, მაგდებდა, მბანდი, მბაძევდი, მბეგრავდა, ევლტოდა, აზმნობდა...

მყობადი: ვზომ, ვზამ, ვთხოვ, აზლვევინებს, აავებ...

წყვეტილი: ვიარე, ვიგდე, ვაძლევინე, ვიმარხულე, ვიმახსოვრე, მაიძულა, მამასურვა, მაძაგა, მაძლია, იაძლევინა, გააბა, გააბედვინა, გააბნია, გააბრიყვა, ეაჯა, ეკვეთა, ააბი, ააბნიე, ააგლიჯე, აავსე...

კავშირებითი: ვიმსაიუო...

I **თურმეობითი:** უპჳიანებია, უშენებია...

II თურმეობითი: ეარა, ეასპარეზა, ებანა, ებრძანა, ეგლოვა, ეგმირა, ეგმო, ეგუჱმა, ევარგა, ევაშა, ეზამთრა, ეზაფხულა, ეზრახა, ენადირა, ენერგა, ეტყორცა, ექსოვა...

მრავალი ზმნა დამოწმებულია სასუბიექტო, საობიექტო და საარვისო ქცევის ფორმით:

ა. სასუბიექტო: იზელდა, იზურგა, ითავა, ითჳსა, იმართლა, იმოწმა, იმსხუჱრპლა, იპატივა, ისესხა, ისირცხვილა, ისწავა, იუცხოვა, იყოლივა, იშჳლა, იძმო, იწამა...

ბ. საობიექტო: უანდერძა, უგდო, უგებდეს, უზრვიდეს, უთვალა, უმაღვებს, უპირობს, უყო, უყვავებდა, უყუაოდა, უძლოდიან...

გ. საარვისო: აბანა, აგამოუცდელა, აიძულა, აკითხვა, ანაცვალებდა, აჟამნა, აჟამიერნა, ასადარებს, ასაჭრმლებს, ასესხა, ასწავლა, ასწრაფებდა, ასწრაფა, ასხურა, აქცევდა, აწამა, ახარა, აჴსნა, აჯობებს...

ზოგი ზმნა დამოწმებულია ვნებითი გვარის აბსოლუტური (ი-ნიანი) და რელატური (ე-ნიანი) ფორმით:

ა. ი-ნიანი: იბრძანა, იბეჭდება, იზარდა, იზრდებოდა, ითარგმანა, ითქუა, იკაზმებოდა, იკბინებოდა, იმალებოდა, იქება, იქცა, იშვა...

ბ. ე-ნიანი: ედგა, ედების, ედვა, ეთაკილა, ეთანადრება, ეიმედა, ეკვეთა, ელოდინების, ემოწმა, ემსგავსა; ემწარა, ენიშნება, ესაუბრა, ესტუმრა, ეფერებოდა...

ზმნის ეს ზემოთ ჩამოთვლილი პირიანი ფორმები ლექსიკონში გაფანტულია ყოველგვარი სისტემის გარეშე სათანადო ასოებზე. საბას ისინი „სიტყვის კონაში“ შეტანილი აქვს არა როგორც გრამატიკული ფორმები, არამედ როგორც ლექსიკური ერთეულები. მას ამ შემთხვევაში აინტერესებდა ლექსიკური მასალის მეტი სისავსით წარმოდგენა და არა ზმნის გრამატიკული კვალიფიკაცია. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ ცალკე გრამატიკული ფორმები (პირის, გვარის, ქცევის, მწკრივისა) იმდენად მოხვდა ლექსიკონში, რამდენადაც ისინი სათანადო ასოზე იწყებოდნენ.

ეს გარემოება მეტისმეტად აძნელებდა ლექსიკონში სათანადო სიტყვის დაძებნას. პროფ. ა. შანიძე მიუთითებდა: „სულხანს ხშირად ისეთი ფორმებითა და ისეთ ადგილას აქვს ასახსნელი სიტყვები შეტანილი თავის ლექსიკონში, რომ მათი ნახვა ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც“; „რაკი ლექსიკონში შეტანილია ასახსნელად სხვადასხვა ზმნის ფორმა, ამიტომ ისინი მოხვედრილნი არიან იქ, სადაც ამ ფორმებს მოუდის თავისი რიგი. მაგრამ ლექსიკონის მომხმარებლისათვის ეს სიტყვები თითქმის ყველა დაკარგულია. იმიტომ რომ, აბა საიდან უნდა მიხვდეს კაცი, თუ რა ფორმით ექნება სულხანს შეტანილი სიტყვა? თავიდან ბოლომდის მთელ ლექსიკონს ხომ ვერ გადაი-

კითხავს?“ [1]. მრავალ შემთხვევაში წარმოქმნილი სიტყვები შეტანილია ლექსიკონში, მისი ძირეული სიტყვა კი—არა. როგორც ვიცით, საბას ნაშრომში დამოწმებულია თავ-თავის ადგილას გააჯავრა, გაჯავრდა, გეჯავრება, გიჯავრდება, დააჯავრა, ვჯავრობ, ვჯავრობდი, მაგრამ ლექსიკონში ფიქსირებული არაა ყველა ამ სიტყვის საფუძველი—ძირეული სიტყვა ჯავრი [2].

ზმნის პირიანი ფორმების ამ სახით შეტანამ ლექსიკონში გააძნელა სიტყვების დაძებნა, მომხმარებლისათვის იგი ნაკლებ ხელმისაწვდომი გახადა. საბას იმთავითვე უგრძვნია ეს უხერხულობა და ყველა ზმნა ამის მიხედვით აღარ შეუტანია თავის ნაშრომში, არამედ მოუცია საწყისები ან მიმღეობური ფორმებიც.

ზმნის უპირო ფორმები ლექსიკონში დამოწმებულია ორი სახით, საწყისისა და მიმღეობის სახით, თანაც, თუ საწყისით ან მხოლოდ მიმღეობითი უპირო ფორმაა წარმოდგენილი, შემდეგ იგი პირიანის სახით აღარ მეორდება, გვაქვს მხოლოდ ერთგზის. მაგრამ ხშირად ერთი და იმავე ფუძიდან ნაჩვენებია საწყისიცა და მიმღეობაც. ამის აუცილებლობა არაფრით არ იყო გამოწვეული, მაგრამ საბა არც აქ არის თანამიმდევარი აღთქმული წესისა.

ა. საწყისებია: აგდება, აგება, აგებულება, აელება, აზევა, ათქვრება, ათქლეფა, აკავლება, აკანთვლა, აკაჭრება, აკვიატება, აკლება, ალმოცენება, დაბუგვა, დაბუჟება, დაგდება, დაგვიანება, დაკავება, დაკარება, დაცემა, გაბზეკა, გაბოგინება, გავლება, გათხოვება, გამოჭრა...

ბ. მიმღეობებია: აღმსაარებელი, აღმსიტყუჱლი, აღმქმნელი, აღშენებული, დაჩხერილი, მაწოვნებელი, მახარებელი, გამზრდელი, გამობერილი, გამოზრდილი, გამომეტყუელი, გამოსკუნილი, გამოუცდელი, გამოცდილი, გამოქანდაკებული, განთვისებულო, განრღვეული...

გ. საწყისიცა და მიმღეობაც ერთად: აშლა—აშლილი, აწონა—აწონილი, აწყუა—აჴყული, დაწმედა—დაწმედილი, გამარჯვება—გამარჯვებული, გამორჩევა—გამორჩეული, გამოდება—გამოდებული, დაბადება—დაბადებული, დაბალთვა—დაბალთული, დაბანა—დაბანილი, დაბანაკება- დაბანაკებული, დაბეჭდუა—დაბეჭდული, დაბნედა—დაბნედილი...

ამრიგად, საბას „სიტყვის კონაში“ ზმნის ლექსიკური ერთეულები წარმოდგენილია ორი სახით: პირიანი და უპირო ფორმების სახით. ორივე მათგანი გაწყობილია ანბანის რიგზე. ამ ხერხმა ვერ გვაჩვენა ზმნის ვერც რამდენიმედ სრული ლექსიკურ-სემანტიკური მნიშვნელობა და ვერც მისი გრამა-

---

[1] ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928, პროფ. ა. შანიძის წინასიტყვაობა, გვ. XXIII, XXIV.

[2] იქვე, გვ. XXIV.

ტიკური კვალიფიკაცია. გაძნელდა მისი დაძებნაც და ლექსიკონი ფართო წომაპარებლისათვის ხელმიუწვდომი გახდა. საბა ეძებდა ზმნის ლექსიკური ერთეულების მთელი სემანტიკური სისრულით ჩვენების გზებსა და საშუალებებს, მაგრამ ერთი გზის არჩევა მაინც გაუჭირდა. ამას მშვენივრად გრძნობდა, უწინარეს ყოვლისა, თვით დიდი ლექსიკოგრაფოსიც, რომელმაც საჭიროდ აღარ დაინახა ზმნის ლექსიკური ერთეულების მთელი ფონდის მის მიერ მიღებული წესის თანახმად შეტანა ლექსიკონში[1] (ზმნური ერთეულები ლექსიკონში სახელებთან შედარებით მცირეა). მომდევნო ეპოქების ლექსიკოგრაფოსები, პირველ რიგში კი საბას სახელოვანი მემკვიდრე ნ. ჩუბინაშვილი, ამ მარით უკრიტიკოდ ვერ მიიღებდნენ საბას მეთოდოლოგიურ პრინციპებს. მათ საბას მითითების შესაბამისად უნდა ეძებნათ სხვა, უფრო მართებული გზა.

4. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ზმნა სხვა მეთოდოლოგიური პრინციპის მიხედვითაა ნაჩვენები. ავტორს ზმნის პირიანი ფორმების ნაცვლად ლექსიკონში შეაქვს უპირო (საწყისი, მიმღეობა) ფორმები, ხოლო საწყისებთან ერთად მიუთითებს გარკვეულ პირებზე. ერთი სიტყვით, საწყისების ან მიმღეობების სახით მოცემულია ზმნებიც. ამ გარემოებას თავისი დასაბუთება და ახსნა აქვს. „საზოგადოდ მიღებულთაებრ კანონთა ლექსიკონისათა, — წერს ავტორი. — საქცევნი ლექსთანი ანუ ღრამმატიკულნი ცვლილებანი, ე. ი. სახელთა თანა ბრუნვანი და ნეტადრე ხათესავობითი, ხოლო ზმნათა თანა რომელნიმე დრონი ჯერ არიან გარჩევით დაწერად მათვე ლექსთა თანა თჳს თჳსსა ადგილსა, არამედ პირველსა ამას პირობასა შინა ჯეროვნად დატევებულ არს ესე, ხოლო შემდგომსა შინა გამართვასა შესრულება ამისიცა სათანადო არს“ (გვ. 115). საკუთრივ ზმნის შესახებ ქვემოთ შენიშნულია: „აქა საკუთრად პიროვანთა ზმნათათჳს ჯერ არს შესწავლება, ვინათგან იგინი ქართულსა ზედა ენასა ნიადაგ დაიწყებიან ასოთა ვ, და უკეთუ ლექსიკონსა შინა დაიწერებოდენ პიროვანად, მაშინ სრულიად შემოვლენ ამას ასოსა შინა ვ. გარნა ვინაჲთგან თჳსებისაებრ ქართულისა ენისა საქცევნი პიროვანთა ზმნათანი მიჩემებისა ძლით არიან მრავალგუარნი, ამად პიროვანადცა დაწერა მათი თჳთ ასოსაცა შინა ვ, შეხუდების სხვადასხუასა ადგილსა, ვითა იხილვების შემდგომადისაგან აღრიცხვისა ზმნათა მიჩემებისა“ (იქვე) და აქვე მითითებულია მიჩემებითი, ე. ი. ქცევის ფორმები (მიჩემებითი მოქმედისა პირისა, ე. ი. სათავისო: ვიშენებ, იშენებ, იშენებს... მიჩემების მესამესა საცნაურსა პირსა: ვუშენებ, უშენებ, უშენებს... მიჩემების პირველსა პირსა მეორისა და მესამისაგან: მიშენებ, გიშენებ, უშენებ...).

პირიანი ზმნები რომ შეტანილიყო ლექსიკონში, მაშინ ასეთი ფორმები სათანადო ასოებზე უნდა გაფანტულიყო. ამით ლექსიკონი მოცულობით გაიზრდებოდა, ხოლო გამოსაყენებლად არ ივარგებდა. მითუმეტეს, ზმნის

---

[1] აღძრულ საკითხზე უკანასკნელად საინტერესო შეხედულება გამოთქვა პროფ. ა. შანიძემ. მისი აზრით, „სულხან ორბელიანისათვის სამეთაურო სიტყვაა საზოგადოდ საწყისი; ხშირად მას პირიანი ფორმებიც აქვს ნაჩვენები, მაგრამ ამის გამო მის მიგნებულ საზოგადო წესს წუნი არ დაედება“ (საიუბ. კრებ.: „სულხან-საბა ორბელიანი“, თბ., 1959, გვ. 257).

პირიანი ფორმები **ვ, მ, გ, ჰ, ს, ი, უ, ე** ასოებზე იწყება და საჭირო გახდებოდა მათი ამ ასოებზე გაწყობა ცალ-ცალკე. აკი საბასაც შენიშნული აქვს ვ ასოს ბოლოს: „ყოველთა სიტყვათა ზედა ვინი ესრე თავად მოვალს, რომელიცა მოეზაოსო“ [1], ან გ ასოსთან საბა მიუთითებს, თუ გაა-ს დავუმატებთ ყოველ სიტყვას, ზმნის ფორმას მივიღებთო, მაგრამ ყველა მათგანის ლექსიკონში შეტანა საჭიროდ აღარ დაუნახავს: „ესრე მოვალს განის თავს ოროლი ანი ყოველსა სახელსა და სიტყვასა ზედა. აქა ესე ვიკმაე“ [2]. საბას „სიტყვის კონის“ სხვადასხვა რედაქცია სხვადასხვაოდენობით უჩვენებს ამ ორ ანიან ფორმებს. გამოცემულ ტექსტებშიაც სიჭრელეა: რ. ერისთავის გამოცემაში დამოწმებულია 207 სიტყვა (დაწყებული გააბა'თი, დამთავრებული გააჯერა'თი); პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის გამოცემაში – 240 (გააბა — გააჯეჯლა), ს. იორდანიშვილის გამოცემაში კი — 44 (გააბა — გააჯერა). ეს უკანასკნელი რედაქცია ავტოგრაფულია. საბას, ჩანს, საჭიროდ არ მიაჩნდა ასეთი ლექსიკური ერთეულების დამოწმება, რადგან მასაც კარგად მოეხსენებოდა, რომ ასევე შეიძლებოდა გაკეთებულიყო ლექსიკონში შეტანილი თითქმის ყველა სიტყვა. მაშინ ლექსიკოგრაფოსს მოუხდებოდა მთელი მასალის გ, ვ, მ და სხვა ასოებზე გაწყობა. ეს უხერხულობა ავტორს იმთავითვე შეუნიშნავს და ამას გამოუწვევია ზემოხსენებული შენიშვნაც (გ, ვ და სხვა ასოებთან).

6. ჩუბინაშვილს მართებული მეთოდოლოგიური პრინციპი ჰქონდა არჩეული. იგი, როგორც წესი, ზმნის პირიან ფორმებს ცალკე, დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად არ გამოყოფდა და ამიტომ ვ-ინიან, გ-ანიან, მ-ანიან ზმნებს მის ნაშრომში არ ვხვდებით. ავტორს კარგად ესმის, რომ **ვ, გ, მ, ჰ, ს** პირის ფორმანტებია (მაპიროვნებელნი) და მათზე დაწყებული სიტყვების ცალკე დამოწმება ლექსიკონს დაამძიმებდა. თავის დებულებას ავტორი მეცნიერულად ასაბუთებს. იგი წერს:

„ვ თავად ზმნათა არს მაპიროვნებელი პირველისა პირისა, მაგალ.: ვამბობ, ვაკეთებ, ვჰკითხულობ, ვსწერ და სხ. და ესრეთ უკეთუ ზმნანი ქართულნი ამას ლექსიკონსა შინა აღწერილ იქმნენ პირველითა პირითა, მაშინ იგინი სრულიად შეპიკრებულ იქმნებიან ამას ასოსა შინა, გარნა დაწერილ არიან მხოლოდ ძირნი მათნი, ე. ი. სახელზმნანი თჳს თჳსსა ადგილსა და შემდგომად მათსა ფრჩხილთა შორის დაწერილ არიან პიროვანნი მათნი ზმნანი, ვითარ უბნობა (ვუბნობ), კეთება (ვაკეთებ), წერა (ვსწერ) და სხ.“ (ნ. ვ ასოსთან). ანალოგიური აზრია გამოთქმული მ ასოსთან: „ასო მ დაერთვის ზმნათაცა... მაპიროვნებელად პირველისა პირისა და მაშინ მეორისა პირისა იქმნების მაპიროვნებელი გ. მაგალ.: მაქეს, გაქეს, აქეს; მრწამს, გრწამს, ჰრწამს; მნებავს, გნებავს, ჰნებავს და სხ.“ (ნ. მ სთან).

---

[1] ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1949, გვ. 216.

[2] იქვე, გვ. 84.

5. ზმნური ლექსიკური ერთეულებიდან ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში მთავარი ყურადღება ექცევა საწყისებს. ზმნა საწყისის სახითაა იქ დამოწმებული. მიმღეობებიც ბლომად გვხვდება, მაგრამ მათს ჩვენებას კიდევ სხვა მიზანი აქვს.

1. საწყისი ჩვეულებრივ ა ნიშნითაა ნაჩვენები, ხოლო ყველა მათგანს ფრჩხილებში მითითებული აქვს პირიანი ფორმებიც: მოქმედებითი და ვნებითი გვარისა. მაგ.: ბ ა დ ე ბ ა (ვ ბ ა დ ე ბ, ვ ი ბ ა დ ე ბ ი). ბ ა დ ე ბ ა საწყისია, ვ ბ ა დ ე ბ—პირიანი ფორმა მოქმედებითი გვარისა, ვ ი ბ ა დ ე ბ ი — პირიანი ფორმა ვნებითი გვარისა; ზოგ მათგანს მითითებული აქვს მხოლოდ მოქმედებითის ან მხოლოდ ვნებითის პირიანი ფორმა: მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ ა (ვ ა მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ // ვ უ მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ) — აქ მოქმედებითი გვარის ფორმაა დამოწმებული; მ ტ ე რ ო ბ ა (ვ მ ტ ე რ ო ბ, ვ ე მ ტ ე რ ე ბ ი)—აქ ვნებითი გვარის ფორმაა ნაჩვენები.

ამის ნიმუშებია:

ბ ა დ ჳ ა (ვბადავ, ვბადებ) შექმნა, გაჩენა, წარმოება.

ბ ა ლ თ ვ ა (ვბალთავ) ხშირად დაჴრა, დაკოდვა, დასერა.

ბ ა ნ ვ ა, ბ ა ნ ე ბ ა (ვჰბან, ვაბანებ, ვიბან, ვიბანებ) გარეცხა ტანისა წყალში.

ბ ა რ ე ბ ა (ვაბარებ) დავედრება, დაბარება, მიბარება.

ბ ა რ ვ ა (ვბარავ) მიწის თხრა ბარით.

ბ ა ს რ ო ბ ა (ვბასრობ) გარდამატებული კიცხევა, აგდება.

ბ დ ვ ი ნ ჳ ა, ბ დ ჳ ნ ჳ ა რ ე ბ ა (ბდჳნავს, ბდჳნვარებს) ბჟუტვა.

ბ დ ღ ჳ ნ ა (ვბდღჳნი) დაკლულთ მფრინველთ გაწიწკნა.

ბ ე გ ვ ა (ვბეგჳ, დავბეგჳ) გალახვა ჯოხით.

საწყისთან ერთად ფრჩხილებში ჩასმულია უკვე პირიანი ფორმები. აქ ნაჩვენებია გვაროვნული (მოქმედებითი, ვნებითი), ქცევისა (სათავისო, სასხვისო, საარვისო), ასპექტური (სრული, არასრული) ფორმები. მართალია, ისინი ლექსიკურ ერთეულებად გამოყოფილი არ არიან, მაგრამ ავტორი მათი ჩვენებით ცდილობს პირიან ფორმათა თავისებურ გრამატიკულ კვალიფიკაციას.

ა. ფრჩხილებში ნაჩვენები ზმნური სიტყვების მიხედვით ლექსიკოგრაფოსი არჩევს აქტიურსა და პასიურ ფორმებს სათანადო გრამატიკული ნიშნებით: -ი, -დ, -ე. მაგ., დ ა ბ ა დ ე ბ ა საწყისთან ფრჩხილებში მითითებულია დ ა ვ ჰ ბ ა დ ე ბ—მოქმედებითი და დ ა ვ ი ბ ა დ ე ბ ი — ვნ. გვარისა (ი-ნიანი); დ ა ბ ე რ ე ბ ა ს თ ა ნ—დ ა ვ ა ბ ე რ ე ბ—მოქმ. გვ., დ ა ვ ბ ე რ დ ე ბ ი — ვნ. გვარისა (დ-ონიანი). ანალოგიურია: დ ა ბ ლ ა გ ვ ე ბ ა: დ ა ვ ა ბ ლ ა გ ვ ე ბ, დ ა ბ ლ ა გ ჳ დ ე ბ ი ს; დ ა ბ მ ა: დ ა ვ ა ბ ა მ, დ ა ვ ი ბ მ ი...

როგორც ჩანს, აქ ნაჩვენებია აბსოლუტური აგებულების ზმნების პასიური ფორმები (ი-ნიანი, დ-ონიანი, უნიშნო) სათანადო აქტიურთან შეპირისპირებით (შდრ.: დ ა ლ უ პ ვ ა: დავლუპავ, დავიღუპები; დ ა შ ი ნ ე ბ ა: დავაშინებ, დავშინდები; დ ა შ რ ო ბ ა: დავაშრობ, დაშრების...). ასევე რელატური

აგებულების ზმნების აქტიური და პასიური ფორმები ერთურთთან შეპირისპირებით (შდრ.: განმზადება: განვამზადებ (აქტ.), განვემზადები (პას.); განმკაცრება: განვამკაცრებ, განვემკაცრები; გამოკიდება: გამოვჰკიდებ, გამოვეკიდები; გამორიდება: გამოვრიდებ, გამოვერიდები; განშორება: განვაშორებ, განვეშორები...). ლექსიკოგრაფოსს ეს ფორმები შეპირისპირების მიზნით უჩვენებია, თორემ შეეძლო საწყისთან, რომელიც მას ზმნის მთავარ ლექსიკურ ერთეულად აუღია, მოეცა რომელიმე პირიანი ფორმა და ამით დაკმაყოფილებულიყო. მაგრამ ეს მას საკმარისად არ მიუჩნევია და იქვე მიუთითებია წარმოქმნილი (მოქმედებითისა და ვნებითის), განსხვავებული ფორმები. ავტორს კარგად ესმის, რომ ფორმა განვამკაცრებ ერთია და განვემკაცრები—მეორე. ეს ორი ფორმა იმდენად სხვადასხვაა, რომ ცალ-ცალკე ლექსიკურ ერთეულებადაც მიიჩნევა.

ამით აიხსნება, რომ ავტორი საწყისური ერთეულებიდან ცალკე გამოყოფს (ფრჩხილებში სვამს) მოქმედებით-ვნებითის ფორმებს. ე-ნიანი ფორმები მას შეპირისპირებული აქვს მოქმედებითის ფორმებთან. ასევეა გაკეთებული ვნებითი გვარის ერთპირიანი ფორმებიც, რომლებიც უფრო კონვერსიული ფორმების შთაბეჭდილებას ტოვებენ. მაგალითად, მოცემული გვაქვს საწყისი: განმწარება, რომელსაც ფრჩხილებში ნაჩვენები აქვს: განვამწარებ (მოქმ., ორპირიანი) და განვმწარდები (ვნ., ერთპირიანი). ასეთივეა: განმართლება: განვამართლებ, განვმართლდები; განმარტება: განვმარტებ, განვიმარტები; განმრავლება: განვამრავლებ, განვმრავლდები; განპოხება: განვაპოხებ, განვიპოხები; განრყუნა: განვრყუნი, განვირყუნები; განხსნა: განვხსნი, განვიხსნები...

ბ. ამრიგად, ლექსიკოგრაფოსი საწყისთა განმარტების სახით გვიჩვენებს ზმნის აქტიურსა და პასიურ ფორმებს ერთურთთან შეპირისპირებით. აქტიურ-პასიური ფორმების გადმოცემისას მას დასჭირდა ხაზი გაესვა ქართული ზმნის პოლიპროსოპიული ბუნებისათვის და ეჩვენებინა ერთ-, ორ- და სამპირიანი ფორმები. მაგ., განსქდომა საწყისს ფრჩხილებში მითითებული აქვს ერთპირიანი ფორმა განსქდების; გარდმოზიდვა საწყისს—ორპირიანი ფორმა გარდმოვზიდავ; გარდახდევინება საწყისს კი—სამპირიანი ფორმა გარდავახდევინებ. ანალოგიურია:

a. ერთპირიანები: განცოფება: განვსცოფთები, გარდახვეწა: გარდვიხვეწები, გაქუსლვა: გავჰქუსლავ, გაღიმება: გავიღიმებ, გაშხლართვა: გავიშხლართები, დაავლება: დავავლდები, დაბინავება: დავბინავდები, დაბნედა: დავბნდები, დაბრეცა: დავიბრიცები, დადგომა: დავსდგები, დადუმება: დავსდუმდები, დავარდნა: დავვარდები, დაზიანება: დავზიანდები, დამარხვება: დამარხჳდების, დანაბვა: დავინაბვი...

b. ორპირიანები: გარდმოღება: გარდმოვიღებ, გარიგება: გავარიგებ, გარკვევა: გავარკვევ, დაარსება: დავაარსებ, დაბარვა: დავბარავ, დაბეჟვა: დავბეჟავ, დაბერვა: დავჰბერავ, დაბნელება: და-

ვაბნელებ, დაბრკოლება: დავაბრკოლებ. დაბუგვა: დავბუგავ, დაგდება: დავაგდებ, დაგმობა: დავჰგმობ, დადაბლება: დავადაბლებ, დადაღვა: დავსდაღავ, დადგმა: დავსდგამ...

ე. სამპირიანები: გარდახვევა: გარდავახვევ, გავრევ: გავურევ, გახსენება: გავახსენებ, განშორება: განვაშორებ, დაბარება: დავაბარებ, დაბრალება: დავაბრალებ, დათხრა: დავსთხრი, დაკერება: დავაკერებ, დაკიდება: დავჰკიდებ, დაკლება: დავაკლებ, დამსგავსება: დავამსგავსებ, დანებება: დავანებებ, დარება: ვადარებ, დარქმევა: დავარქმევ, დაურვება: დავუურვებ...

ლექსიკოგრაფოსს საგანგებოდ არ განუხილავს პირთა რაოდენობის საკითხი საწყისებთან ფრჩხილებში დამოწმებულ ზმნურ ფორმებში, მაგრამ ეს მასალა ლექსიკონში ისე და იმ სახითაა დალაგებული და წარმოდგენილი, რომ უეჭველი ხდება — ავტორმა კარგად იცოდა და ანგარიშსაც უწევდა ქართული ზმნის პოლიპერსონალურ ბუნებას.

გ. საწყისთა განმარტების სახით მოცემულ პირიან ფორმებში გაირჩევა ქცევაც. ავტორს ცალკე გამოყოფილი არა აქვს ქცევის გრამატიკული კატეგორია, მაგრამ მის მასალებში მკაფიოდ ირჩევა სათავისო, სასხვისო და საარვისო ქცევის ფორმებიც. მან, ცხადია, ჯერ კიდევ არ აცის ასეთი ფორმების გრამატიკული მნიშვნელობა, მაგრამ კარგად ამჩნევს მათ თავისებურებებს, ახერხებს მსგავსი ფორმების გამოყოფას სხვებიდან.

მაგალითად: დაბრმობა საწყისთან ფრჩხილებში მითითებულია: დავაბრმობ (საარვისო) და დავიბრმობ თვალთა (სათავისოა). აქ სათავისო-საარვისო ფორმები მშვენივრადაა შენიშნული და გამოყოფილიც. ან: დაბრჯენა საწყისთან: დავაბრჯენ (საარვისო), დავიბრჯენ (სათავისო); ბერვასთან: ვჰბერავ (საარვისო), ვუბერავ (სასხვისო); ანალოგიურია: დაგულვებასთან: დავაგულებ, დავიგულებ; დადუმებასთან: დავადუმებ, დავსდუმდები, დავიდუმებ; დაკაწრვასთან: დავჰკაწრავ, დავიკაწრავ; დაკლებასთან: დავაკლებ, დავიკლებ; დარეცასთან: დავრეც, დავირეც; დაფარვასთან: დავჰფარავ, დავიფარავ; დაჩრდილებასთან: დავაჩრდილებ, დავიჩრდილებ...

დ. საწყისური ერთეულები გარჩეულია ასპექტის მიხედვით. ერთსა და იმავე დროს ცალ-ცალკე ლექსიკური მნიშვნელობითაა წარმოდგენილი არასრული და სრული ასპექტის ფორმები. ამასთან, საწყისებს იქვე ერთვის სათანადო არასრული თუ სრული ზმნური ფორმებიც. მაგ., ერთი მხრით, ლექსიკონში შეტანილია არასრული ასპექტით ბალთვა (ვბალთავ), ხოლო, მეორე მხრით (ახლა უკვე დ ასოზე), სრული ასპექტით: დაბალთვა (დავბალთავ) და გაბალთვა. ასევეა შეტანილი: ბანვა, ბანება (ვჰბან, ვიბან, ვიბანებ) და დაბანვა (დავჰბან, დავიბან); ბარება (ვაბარებ) და დაბარება (დავაბარებ); ბარვა (ვბარავ) და დაბარვა (დავბარე); ბეჭდვა (ვბეჭდავ) და დაბეჭდვა (დავბეჭდავ); ბნევა (ვაბნევ) და დაბნევა (დავაბნევ, დაიბნევის); ბრეცა (ვიბრიცები) და დაბრეცა (დავიბრიცები); ბრჯენა (ვიბრჯენ,

ვებრჯინები) და დაბრჯენა (დავაბრჯენ, დავიბრჯენ); ბრალება (ვაბრალებ) და დაბრალება (დავაბრალებ); ვალება (ვავალებ, ვივალებ) და დავალება (დავავალებ)...

ე. საწყისებთან ერთად ზოგიერთ სახელს და, მათ რიცხვში, რამდენიმე მიმღეობასაც, ფრჩხილებში მითითებული აქვს პირიანი ფორმებიც ჩვეულებრივი წესით: ბაასი (ვბაასობ, ვებაასები), ბარბაცი (ვბარბაცებ), ბიბინი (ბიბინებს), ბნედა (ვბნდები), ბორბოქი (ვბორბოქებ), ბრიალი (ვაბრიალებ), ბუზღუნი (ვბუზღუნებ), ბუხუნი (ბუხუნებს), ბღავილი (ბღავის), ბღლარძუნი (ებღლარძუნება, ბღლარძუნობენ), ბღუვილი (ბღუვის), ბღურიალი (ბღურიალებს), ვარვარი (ვარვარებს), ზახილი (ვიზახი, ვიძახი), კრჩხიალი (კრჩხიალებს, ჰკრჩხის), კრუხუნი (კრუხუნებს), კუნტრუში (კუნტრუშებს), ლაპარაკი (ვლაპარაკობ), ლაპლაპი (ლაპლაპებს), ლასლასი (ლასლასებს), ლაქლაქი (ლაქლაქებს), ლაქუცი (ელაქუცება), ლოდინი (ველი, ველოდები)...

II. მიმღეობა რაოდენობით მცირეა. მიმღეობებს, რომელთაც ავტორი დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად მიიჩნევს საწყისებთან ერთად, ჩვეულებრივ თან აღარ ახლავს პირიანი ფორმები (ნ. ზემოთ, ე). გამონაკლისია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, რაზედაც ზემოთაც იყო ლაპარაკი. ნაჩვენებია სამივე გვარის მიმღეობა (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი) არასრული და სრული სახით. ამასთან, ზოგ მათგანს თან არ ახლავს სათანადო საწყისი, ზოგს კი გვაძლევს საწყისის შემდეგ.

ა. უსაწყისოდაა:

გალოპრილი ხე ქერქშემოძრობილი.

დაბებკული დაკონკებული.

დამზრალი, დამძრალი ყინვისაგან დამწვარი, დაზრობილი, წამხდარი.

დამზღჳლეული მიმზღჳლეული, ჩამოწოლილი კლდე, ანუ ფლატე.

დამთჳრალი მთჳრალი.

დამკრთალი გაუბედავი, მკრთალი, მხდალი.

დაუშრეტელი უშრეტი, გაუქრობელი.

დაუცხრომელი მოულევნელი.

დაღრეკილი დახუთვილი, დაგრეხილი სენითა.

დაღრომილი დაღონებული, ანუ დაღრეჯილი.

დახნული მოხნული ან გარდახნული...

ბ. საწყისთან ერთადაა: დაარსება და დაარსებული, დაბადება და დაბადებული, დაბანაკება და დაბანაკებული, დაბნედა და დაბნედილი, დავრდომა და დავრდომილი, დაზარება და დაზარებული, დაკეპა და დაკეპილი, დაკოდვა და დაკოდილი, დამოკიდება და დამოკიდებული, დაპება და დაპებული, დაღონება და დაღონებული, დაკარგვა და დაკარგული, დაწუნება და დაწუნებული, დახელოვნება და დახელოვნებული, მიბრჯენა და მიბრჯნილი, მიმძლავრება და

შიმძლავრებული, კითხვა და მკითხველი, წერა და მწერალი, კრული და მკრულელი...

ყველა საწყისთან მიმღეობა დამოწმებული არ არის ორი მიზეზით. ჯერ ერთი, ავტორმა საჭიროდ არ დაინახა მიმღეობის ფორმათა ასე ვრცლად წარმოდგენა და დაკმაყოფილდა მხოლოდ ნიმუშების ჩვენებით; ხოლო, მეორე მხრით, ლექსიკონში პირველ რიგში ისეთი მიმღეობანი შეიტანა, რომლებიც მის თანამედროვე მწიგნობრობაში უფრო იხმარებოდა. მართალია, ყველა მათგანი დოკუმენტირებული არაა, მაგრამ ავტორის დაკვირვება აქ ეჭვს არ იწვევს. ამ შემთხვევაში ნ. ჩუბინაშვილი კვალდაკვალ მიჰყვება მისი დიდი წინაპრის საბა ორბელიანის ტრადიციას.

ზმნის ლექსიკური მრავალფეროვნების ჩვენების საკითხში ნ. ჩუბინაშვილმა საბა ორბელიანთან შედარებით გადადგა ნაბიჯი წინ. მან აღიარა, რომ ლექსიკონში უნდა შევიტანოთ არა ზმნის პირიანი ფორმები, არამედ სახელზმნები (საწყისი, მიმღეობა). პრინციპში ეს შეხედულება უფრო დასაბუთებული იყო. მაგრამ პრაქტიკამ ავტორი აიძულა, რომ საწყისთან ერთად (ფრჩხილებში) წარმოედგინა პირიანი ფორმებიც. ამ ფორმებით ნაჩვენები არ ყოფილა ზმნის გრამატიკული სტრუქტურა, მაგრამ ხაზი ესმებოდა მის ზოგიერთ, ზოგჯერ არსებით, მხარეს (პირიანობას, გვარს, მწკრივს, ასპექტს, ქცევას). ნ. ჩუბინაშვილი კარგად ხედავდა, რომ ფორმები იქსოვება, ექსოვება, ქსოვს, იქსოვს, უქსოვს, აქსოვინებს, ქსოვა, ქსოვილი—ყველა ქსოვ'იდანაა წარმოქმნილი, მაგრამ მარტო ქსოვ ძირის ჩვენება საკმარისი არ იყო, რომ ქართული ზმნის ყველა გრამატიკული კატეგორია გაგვეთვალისწინებინა. თითოეული ეს ფორმა დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვას წარმოადგენს და მათი ასახვა ლექსიკონში დიდად საჭირო იყო. ყოველივე ეს ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული ავტორს, მაგრამ მან სხვა შესაძლებლობა ვერ მოძებნა. მისი ცდა ტრადიციული წესის შეცვლისა იყო ნაბიჯი წინ. ნ. ჩუბინაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ზმნის ლექსიკური ერთეულების ახლებურ, უფრო სრულყოფილი ჩვენების ტრადიციას. ამას მოწმობს მისი ლექსიკოგრაფიული ნაშრომები.

ნ. ჩუბინაშვილს ლექსიკონში დამოწმებული აქვს რამდენიმე ზმნის პირიანი ფორმები, რომელთაც საწყისები „არა ჰქონან“. ესენია: ვალ, ხვალ, ვალს; ვჰზამ, ჰზამ, ანუ ვიზამ, იზამ; ვჰზი, ჰზი; ჰზის ანუ ზის. მსგავსი ზმნების შესახებ ნ. ჩუბინაშვილი ამბობს: „კრალად არიან ზმნანი უკანონონი, ანუ უპირონი, რომელთაცა არა ჰქონან სახელზმნანი. მაგალ.: ახს, ვლამი ანუ ლამის, მაბადია, მივის, მესვა, მგამა, ჯერ არს, ჰხამს და სხ. ესენი ესრეთვე ჯერ არიან დაწერად“ (გვ. 118). ასეთი პირიანი ფორმების შეტანა ლექსიკონში და თანაც ამის შესახებ სპეციალური შენიშვნის გაკეთება შესავალში, სრულიად არ ჩაითვლება აღიარებული წესის დარღვევად. ავტორის დებულება: არა ზმნის პირიანი ფორმები, არამედ სახელზმნები, ძალაშია. იგი მისი მუშაობის ამოსავალი წესია.

დავით ჩუბინაშვილმა თავისი ლექსიკოგრაფიული შრომებით განაგრძო სახელოვანი ბიძის მიერ არჩეული გზა.

6. განმარტებანი. სიტყვათა განმარტებაში საბა ორბელიანი უბადლოა. იძლევა სხარტ, მკაფიო, ზუსტსა და მოკლე, მაგრამ ამომწურავ განმარტებებს. მსგავსი სიტყვამოკლეობითი განმარტებების მოცემა ვერც ერთმა ლექსიკოგრაფოსმა ვერ შეძლო. საბას ნამუშაკევი ამ მხრივ მაგალითი გახდა შემდგომი თაობის ლექსიკოგრაფოსთათვის. ნ. ჩუბინაშვილის განმარტებათა საფუძველიც საბას „სიტყვის კონაა".

ნ. ჩუბინაშვილი ან სიტყვა-სიტყვით იმეორებს საბას განმარტებებს, ან იღებს მას ოდნავ რედაქციული ცვლილებებით, ანდა იძლევა ახლებურ განმარტებას, ან კიდევ ზოგჯერ სრულიად სცილდება საბას და მდარე, ხშირად მცდარ განმარტებებსაც გვთავაზობს. უფრო კი ავტორი ცდილობს, რომ განმარტებანი მიუახლოვოს თანადროულობას, ყოველი სიტყვა ახსნას იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობით იხმარება იგი ახლა და, ამასთან, გვაჩვენოს მისი მნიშვნელობის ისტორიაც. ყოველივე ამით ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი გაცილებით უფრო თანამედროვეა, ვიდრე საბას „სიტყვის კონა". განმარტებათა გათანამედროვებას ხელი შეუწყო რუსულმა თარგმანმა, რაც ყოველ სიტყვას თან ახლავს. რუსულ თარგმანს მცირე შრომა როდი დასჭირდებოდა.

ა. განმარტებანი, რომლებიც სიტყვა-სიტყვითაა აღებული საბას ნაშრომიდან

საბა:	ნ. ჩუბინაშვილი:
1. აბაზი ოთხი შაური, 40 ფოლი.	1. აბაზი ოთხი შაური ან 40 ფული, 20 копейшик серебра.
2. აბანო სახლი დასაბანელი.	2. აბანო სახლი დასაბანელი (3 მეფ. 2,35 და შემდგომი; ვეფხისტ. 3з7 და 1375), баня.
3. აბრეშუმი ქიქნაური.	3. აბრეშუმი ქიქნაური, шелк, სპარს. აბრეშუმ. თ. და ს. იფაქ.
4. აგარა სადგური საზაფხულო.	4. აგარა საზაფხულო სადგური, дача, 'Αγρός. თ. იალალ.
5. აგდება გაქირდვა; აგდება შელმა ასროლა.	5. აგდება (ავაგდებ) შელმა შესროლა, вверх взбрасывать. // (ავიგდებ) განკიცხვა, გაქირდვა, осмеивать.
6. აგება აშენება; აგება აცმა რაზედმე.	6. აგება (ავაგებ) აღგება, აშენება (ვეფხისტ. 324), строить, созидать.//აცმა, გატარება ძაფისა ნემსის ყურწში და მისთანანი, вдевать, продевать.
7. აგური გამოცხობილი ალიზი.	7. აგური გამომწვარი ალიზი, кирпич. ს. ქარფიჩ.
8. აეშაგი მსტოვარი.	8. აეშაგი მსტოვარი, шпион. თ. ჯაშუშ.
9. ავეჯულობა სახლის ქურქელი, რაგინდარა (გლეხურად).	9. ავეჯი, ავეჯულობა სახლის ქურქელი და რაგინდარა საჭმარი, домашний скарб.
10. ავლინი სანაგუე (9.5 მამათ ცხორება).	10. ავლინი სანაგვე (მამათ ცხ., 9,5), помойная яма.

ასეთი განმარტებანი ყველა ასოს მასალებშია, მაგრამ თუ ოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ის შედარებით ცოტაა. მთავარ ადგილს თანხვედრილი განმარტებანი არ იჭერს. ნ. ჩუბინაშვილს ბევრი უმუშავია განმარტებათა გაწყობა-დაზუსტებაზე, მხოლოდ აუცილებელ შემთხვევებში გადმოულია სიტყვა-სიტყვით საბას განმარტებები.

ბ. საბას განმარტებანი ცვლილება-დამატებებით

საბა:	ნ. ჩუბინაშვილი:
1. აბეზრება კანის აბურცება.	1. აბეზრება კანის აბურცება, აშუპება დაწვისაგან, ожог.
2. აბედი ესე არს ნივთი, მსწრაფლ ცეცხლსა შემწყნარებელი.	2. აბედი გამოხარშული ხის სოკო, მსწრაფლ მიმღები ცეცხლისა (ვეფხისტ. 1291), трут.
3. აბზინდა რკინისა შექმნილი საჩხულეტელითა; თასმა გინა ხონარი მით შეაკრავენ.	3. აბზინდა თასმათა, ანუ ქამარისა რათმე შესაკრავი რკინის ბალთა, ეგრეთვე ფოლადისა, ვეცხლისა და სხ. საჩხვლეტით ენითურთ, пряжка, застежка.
4. აბლაბუდა ბაბაჭიას ბუდე.	4. აბლაბუდა ბუდე, გინა ქსელი დედაზარდლისა, паутина.
5. აბრამიანი შაქრითა და თაფლითა ღვინის ბოლოწო.	5. აბრამიანი ღვინის ბოლოწო, თაფლითა ანუ შაქრით ხავებული. ამას გააკეთებენ ახალწელიწადს და შეინახვენ ვიდრე წინადღედმდე ნათლის ღებისა და მაშინ მიიღებენ.
6. აბუჩი უპატიო სტუმარი; აბუჩალაკა არად მიჩნეული.	6. აბუჩი, აბუჩალაკი დაუპატიჟებელი და ძალად შევარდნილი სტუმარი. არაფრად მიჩნეული, гость незванный, или презренный.
7. ბაგა ([illegible] 3 [illegible]) ესე არს პირუტყუთა საზრდელთა დასადებელი ადგილი. ბაგა ეწოდების სახლთა შინა მოდგმულთა საროფელთა. ბაგად ითქმის ახალი ვენახი.	7. ბაგა ახალი ვენახი, ჩაყრილი წიდნები, новопосажденный виноградник; გომურთა შინა კედელს წინ მიშენებული ადგილი დაბმულთა ხვასტაგთა საჭმელის ჩასადებად (ისაი. 1,3; ლუკა 2, 7, 12), ясли; ბაგა, ბაქანი, შეკრილთა კედელთა ძირი წინ წამოწეული თაროსავით რაგინდარას შესადგმელად სახლთა შინა, уступ в стене.
8. ბაგე (28.10 ესაია) ესე არს კაცთა პირისა ორნივე ლაშნი. ბაგე ეწოდების მდინარისა კიდურსა (47.7 ეზეკია). ბაგედ ითქმის კიდური ნავისა.	8. ბაგე მრავლობით ბაგენი კაცთა პირის ორნივე ლაშნი (ფსალ. 11,3, 16), уста, губы /კიდური ნავისა (ვეფხისტ. 605), край судна, корм, нос./კიდური მდინარისა, ტბისა და მისთანათა (ეზეკ 47, 7), берег речной, губа реки, озера и т. п.
9. ბადე საბელი არს ყოველთა მკედთა თუალედად ნასკუტთა. ბადედ ითქმის ქსელი დედაზარდლისა. ბადედ იწოდებიან მანქანებანი ეშმაკთანი [illegible] [illegible]. იქმან ბადეთა ნადირისა შესაპყრობელთა,	9. ბადე ზოგადი სახელი მკედთა, ანუ მავთულთა თვალედად გამონასკულთა (ვეფხისტ 300), сеть, сетка, сеточка (მატ. 4, 20 და შემდგომი 13, 47), мрежа, невод;/ თევზთა სანადირონი ბადენი არიან: სათხევლი, სახვეპელი, სასროლი,

რომელთა ასმანაკსა უწოდენ. იქმან ბადეთა აბრეშუმთაგან კარავთა ოქრო მოპეტალებულთა, ქალთა სამხობიეროდ. იქმახ ქალნიცა ყოელთა უწმიდესთა თავსაბურავად, ანუ ყელს მოსახუევად, კრელად ნემსულთა, რომელსა მაქმანი ეწოდება. ბადე არს თევზთა შესაპყრობელი (4.20 მათე): სათხეველი, ხოლიხი, ლრიპონი, ჩიჩქინური, მასე, ზელმა, ხალბადე და ეგე ვითარნი. ბადე არს შესაპყრობელი ფრინველთა: აშრიალი, ოჯიჯი, სასირე, ჩიტბადე, ტრედბადე მრავალ რიგნი არიან (7.12 ოსე).

10. ბავრუკი მარილს ჰგავს, ოქრომჭედელნი იმარებენ ოქროსა დასადნობელად (2.22 იერემ.).

ზელმა, კოვზი, ოსარო, პეტაკი, სალიკი, ფარონი, ლრიპონი, ჩიჩქინური, ხელბადე, ხოლიხი და მისთანანი.//მფრინველთანი: აშრიალი, ოჯოჯი, ფაცერკოდი, ხოლო ნადირთა—ასმენაკი. ესენი იხილენ მახესთან.//ბადე მაქმანი ანუ ნაქმანი არს კრელად ნემსული თავსაბურავად ქალთა ანუ კისერს მოსახვევად, გინა აბრეშუმის კარავი, кружево, ოქრო მოპიტალებული სამშობიაროდ.//ბადედ ითქმის ქსელი დედაზარდლისა (ოსე 7, 12).

10. ბავრუკი, ბორაკი ტბის ხაშურია, ოქრომჭედელთაგან ხმარებული ოქროს დასადნობად, ვითა ნიშადური კალის დასადნობად (იერემ. 2,22), нитр, боракс, или бура.

ეს განმარტებები საბასთან შედარებით უფრო ზუსტი, კონკრეტული და თანამედროვეა. იგრძნობა ავტორის შრომისმოყვარეობა. ასეთი განმარტებანი ჭარბობს ბევრად პირველი რიგის განმარტებებს. თითოეული სიტყვის გაგებაში ავტორი ცდილობს მეტი სიცხადის შეტანას, სიტყვის სემანტიკური და ლექსიკური მნიშვნელობის ყველასათვის გასაგებად გადმოცემას. ამას ავტორი აღწევს არა დამატებითი სინონიმური პარალელების დაძებნით, არამედ ახალ მნიშვნელობათა ჩვენებითაც. ამ რიგისაა, მაგალითად, ვაზნის განმარტება. საბა მიუთითებს: „ვაზნა თოფის წამლის ჭურჭელი. სხვათა ენაა, ქართულად მუხტი ჰქვიან“. ნ. ჩუბინაშვილი კი უფრო მეტი სიცხადით ხსნის სიტყვის მნიშვნელობას: „ვაზნა მუხტი, თოფის წამლის მასრა, ან ქაღალდში გახვეული გასატენი, патрон“. ეს განმარტება უფრო გამოხატავს XIX საუკ. პირველი ათეული წლის ვითარებას. ვაზნა მაშინ ასეთი სახის იყო. ანალოგიურია საბა: „ვეგი კოჭი“; ნ. ჩუბინაშვილი: „ვეგი სათამაშო კოჭი, ცხვრის ფეხის ძვალი, ხოლო ზროხათასა ჰქვიან კორნატი“. ბუნებრივია, რომ საკმარისი არ იყო კოჭის აღნიშვნა, არამედ ხაზი უნდა გასმოდა სწორედ იმ გარემოებას, რომ ვეგი სათამაშო კოჭია, თანაც ცხვრის ფეხის ძვალი. ამას ხაზს უსვამს მხოლოდ ნ. ჩუბინაშვილი. ასევე არასრულადაა საბასთან განმარტებული გემო: „გემო სიტკბო, სიმწარე, სიმლაშე, სიმჟავე“. ცნება განუმარტებელია, ლაპარაკია მის სხვადასხვაობაზე. ასეთ განმარტებას დაზუსტება, დაივეწა ესაჭიროებოდა. ნ. ჩუბინაშვილი განმარტავს: „გემო ვითარება საჭმელთა ანუ სასმელთა, ქვემდებარე გემებისა, вкус относительно к предметам, უპირველესნი სახენი გემოსნი არიან 4: სიტკბო, სიმწარე, სიმლაშე, სიმჟავე. ესენი რა შეიზავებიან ურთიერთარს, მეტნაკლებობით მისგან შეიქმნებიან მრავალგუარნი გემონი, რომელნიცა თჳსთა ადგილთა აღწერილ არიანო“. ამასთან, ავტორი ადასტურებს სიტყვათა ახალ მნიშვნელობას, რაც

უცნობი იყო საბასათვის. მაგ., საბა ვ ა დ ა ს განმარტავს, როგორც „ჭმლის ჯვარედს“. ცხადია, ეს სიტყვის ერთი მნიშვნელობაა, იქვე უნდა მითითებული იყო მისი მეორე მნიშვნელობაც, მაგრამ საბა, ალბათ, მას არ იცნობდა. ნ. ჩუბინაშვილი კი განმარტავს: „ვ ა დ ა ა) პაემანი, ბორჯი, срок; ბ) ხმლის ტარი ჯვარედინი“.

მეორე რიგის განმარტებანი ამ სახისაა. ყველა მაგალითის დამოწმება საჭირო არაა. მოცემული შედარებითი სქემაც საკმარისად ნათელყოფს ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომის ღირსებას, მის განმარტებათა ფასს.

გ. სრულიად ახალი განმარტებანი

ს ა ბ ა:	ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი:
1. **ბარი** სათხრელი.	1. **ბარი** რკინის ნიჩაბი პირიანი, ფეხის დადებით სათხრელი (ვეფხისტ. 1106), заступ.
2. **ბარკალი** თეძოს ქუემოთი (1 მეფე 9. 24).	2. **ბარკალი** თეძოს ქვეშეთი ძუალი (დაბად. 32, 32), стегно, ляжка.//საკლავთ ნათხალი ფეხი, ვითარ წინა ბარკალი, უკანა ბარკალი, ფეშხოს ნახევარი.
3. **ბრძმედი** ილეკროს სადნობელი (3 მეფე 8. 15).	3. **ბრძმედი** მეტალლთ სადნობი ქურა (სიბრძნ. სოლომ. 3, 6; შავთ. 42), горн, горнило.
4. **გარსი** კანივით რამ გარეგანა.	4. **გარსი** აფსკა, თხელი კანი, ვითა კვერცხის ნაჭუჭსა და ცილას შუა, ანუ ხახვსა შინა, ნიორსა და მისთანათა (ნახე ქერქი), скорлупа, [оболочка, თუალის გარსი].
5. **გაჯი** მიწა ცარცი.	5. **გაჯი** დამწვარი მიწა კირივით გასალესად კედელთა და მისთანათა, известь из жженной земли.
6. **გერი** (4 მეფე 19.29) თანმიყოლილი ყანისა თუ რაც.	6. **გერი** თან მიყოლილი შვილი, უკეთუ შვილიანმან ქტრივმან კაცმან, ანუ ქალმან იქორწინოს მეორედ, მაშინ შვილნი იგი ახალთა მეუღლეთათჳს იქნებიან გ ე რ ნ ი, пасынок, падчерица, ხოლო ესენი ურთიერთისა იქმნებიან ნ ა ხ ე ვ ა რ ძ მ ა ნ ი, ანუ ნ ა ხ ე ვ ა რ დ ა ნ ი, сводные братья, или сестры.
7. **გზირი** სხვათა ენაა, ქართულად შ უ ლ ტ ა ჰქვიან.	7. **გზირი** შულტი, სოფელსა შინა ქვეყნათ შემდეგნი კაცნი, რომელნიც ხმამაღლა ხახილით აცნობებენ და გამოუცხადებენ რასმე მოსახლეთა (ვეფხისტ. 1186), кличей, десятник сельский.
8. **გრეხილი** თოკი და მისთანა, ზონარი და მისთანა.	8. **გრეხილი** დაგრეხილი, შესთული, крученый.//ქალთ სამკაული, მძივებით ასხმული, გულზედ ჩამოსავლები.
9. **დაბადება** არს შექმნა სოფლისა და შობა კაცისა.	9. **დაბადება** (დავჰბადებ, დავიბადები) შ ე ქ მ ნ ა, წარმოება, დასაბამის მიცემა, ანუ მიღება (ფსალ. 32, 9, 15 და 50, 10; მატ. 19, 4), созидать, творить, сотворить, ანუ შობა (ვეფხისტ. 7), рождение.//მთვა-

	რის დაბადება, ე. ი. განახლება, нарожденпе луны,поволупие.//დაბადება პირველი წიგნი მოსესი შექმნათა, ანუ შესაქმისა, книга бытия.//ესევე ეწოდების სრულიადსა წიგნსა ძველისა და ახლისა აღთქმისასა, библия.
10. დარბაზი სამეფო დიდი სახლი.	10. დარბაზი სასახლეთა შინა უდიდესი პალატი, ანუ სამეფოს გამომჩვენების სახლი, (ვეფხისტ. 140 და შემდგომი), зала, чертог, палата царская.

შედარებითი სქემების გაგრძელება კიდევ შეიძლება: ასეთი მასალით სავსეა ყოველი ასო, მაგრამ სანიმუშოდ საკმარისია წარმოდგენილიც.

საბასთან შედარებით ასეთი განმარტებები გაცილებით მაღალხარისხოვანია. ნ. ჩუბინაშვილი შემოქმედებითად ავითარებს დიდი წინამორბედის მემკვიდრეობას. ამ რიგის განმარტებებით ნ. ჩუბინაშვილი ჩვენ წინ წარმოდგა, როგორც დამოუკიდებელი, ორიგინალურად მოაზროვნე ლექსიკოგრაფოსი, რომელმაც ახალი მახვილი თვალით გადასინჯა ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობა და მოგვცა მრავალი ათასი სიტყვის ახალი, თანამედროვე, ორიგინალური განმარტებები.

შედარებიდან ირკვევა, რომ ნ. ჩუბინაშვილი ამოდის არა ამა თუ იმ ტექსტის სათანადო ადგილის ვითარებიდან, სადაც ესა თუ ის სიტყვაა მოხსენებული, არამედ ცალკე სიტყვის სემანტიკურ ღირებულებას სხვა წყაროებს და, რაც მთავარია, ხალხურ მეტყველებას უფარდებს.

ნ. ჩუბინაშვილი ცდილობს ყოველ სიტყვას მოუძებნოს თავისი ძირითადი და შემდეგ შეძენილი მნიშვნელობანი, ყოველმხრივ ახსნას იგი.

ის იძლევა ცალკეული ცნებების გრამატიკულ კვალიფიკაციასაც. საბას კი ეს საჭიროდ არ დაუნახავს. გრამატიკული კვალიფიკაცია მოცემულია არა მარტოოდენ სახელების, ზმნების და ზმნიზედებისა, არამედ თანდებულთა, ნაცვალსახელთა და მეტყველების სხვა ნაწილებისა. სანიმუშოდ დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს.

ნ. ჩუბინაშვილს საინტერესო დაკვირვება ჩაუტარებია ეს, ეგ//ესე, ეგე ჩვენებით ნაცვალსახელთა ხმარებულობაზე ძველ ქართულ ძეგლებში. სპეციალურ ლიტერატურაში პირველად ნ. ჩუბინაშვილმა აღნიშნა, რომ ესე// ეგე ნაცვალსახელი, რომელიც ჩვეულებრივ მესამე პირისაა, „იხმარების სამთავე პირთა შინა, ვითარ ესე, ეგე, იგი, ანუ ისი, რომელნიცა ხშირად შეერთდებიან პიროვანთა არსებითთა ნაცვალსახელთა, რომელ არიან მე, შენ, იგი და მათ მაგიერადცა დაიდებიან ორთავე რიცხვთა შინა, ე. ი. პირველ პირად ესე, მეორედ—ეგე“ (ნ. „ეს, ესე“). თავისი ეს დაკვირვება ავტორს დადასტურებული აქვს სათანადო ძეგლებიდან. მართლაც, პავლე მოციქულის ეპისტოლეში რომაელთა მიმართ იკითხება: „უბადრუკი მე ესე კაცი! ვინმე მიჴსნეს ჴორცთა ამათგან ამის სიკუდილისათა?“ (7, 24); ან: „რომელთა ესე (ჩუენ) ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესოს მიერ“ (იქვე, 6, 3); ან კიდევ: „რომელი ეგე (შენ) ასწავებ მოყუასსა“ (იქვე, 2, 21). ასევე იმავე პავლე

მოციქულის ეპისტოლეში კოლასელთა მიმართ ვკითხულობთ: „ვითარცა ეგე (თქუენ) გისწავიეთ ქრისტე იესო უფალი“ (2, 6); ან: „უფალნი ეგე (თქუენ) სამართალსა და სწორსა მიჰსცემდით მონათა მათ“ (იქვე, 4, 1). ავტორი ქვევით შენიშნავს: „ხოლო მესამე პირი, ვინათგან საზოგადო არს ჩვენებით-თაცა და არსებითთა, ვითარ მე, შენ, იგი, ანუ ესე, ეგე, იგი ამად მრავალნი მაგალითნი შესაძლო არიან პოვნად: ვეცხლი იგი, კაცნი იგი და სხ.“ (ნ. სიტყვა „ეს, ესე“).

ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნებისა და არსებითთან მიმართების შესწავლის ისტორიის გასათვალისწინებლად საყურადღებოა ავტორის დასკვნა: „თუმცა ზემორე მოღებულნი მაგალითნი აჩვენებენ, ვითარმედ ხსენებულნი ნაცვალსახელნი იხმარებიან არსებითთა თანა სახელთა თჳნიერ ბრუნვისა და რიცხჳსა, არამედ ზოგჯერმე ეთანხმებიან მათ ორკერძოვე. მაგალ.: ისმინე ჩემი, უფალო, ულირსისა ამის მონისა შენისა, ანუ ამათ მონათა შენთა და სხ. ამათ ნაცვალსახელთაებრ იგულისხმებიან რთულნიცა და სხმითგარდასლჳთნი მათნი, ვითარ ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა. ამისთანა ჰნიშნავს მსგავსსა მისსა, რაჲცა ეკუთნვის პირველსა პირსა; მაგისთანა—მსგავსსა მისსა, რაჲცა ეკუთნვის მეორესა პირსა; იმისთანა—მსგავსსა მისსა, რაჲცა ეკუთნვის მესამესა პირსა. კჳალად ამგჳარი, მაგგჳარი, იმგჳარი; ამოდენი, მაგოდენი, იმოდენი; ამსიმძიმე, მაგსიმძიმე, იმსიმძიმე; ამსიმაღლე, მაგსიმაღლე, იმსიმაღლე; ესევითარი, ეგევითარი; ესრეთი, ეგრეთი; ესზომი, ეგზომი; ესფერი, ეგფერი და სხ. კჳალად ზმნისზედანიცა მათნი, ვითარ ამგჳარად, მაგგჳარად, იმგჳარად; ამოდნად, მაგოდნად, იმოდნად; ესრეთ, ეგრეთ; ესევითარად, ეგევითარად და სხ. ესე და ეს, ამა და ამისი, ამა და ამას იხმარების ნაცუალად სახელისა და კაცთა და ადგილთასა, რაჲამს სახელნი მათნი არა ვიცით, ანუ მივიღებთ მაგალითად, такой-то“ (იქვე).

აქ მოცემული ლექსიკური ერთეულები შეფასებულია არა მარტოოდენ ლექსიკურად, არამედ მოცემულია მათი გრამატიკული კვალიფიკაციაც, რის მნიშვნელოვანი ნაწილი სიტყვა-სიტყვით გადაიღო შემდეგ დ. ჩუბინაშვილმა.

ნ. ჩუბინაშვილი ასევე განმარტავს უკუთქმითს ნაწილაკებსაც ვერ, ვერა. საბას ორივე მათგანი აქვს შეტანილი თავის ნაშრომში. ა) „ვერ (30. 15 დაბად.) ვერასავით“; ბ) „ვერა არ ძალმიც ქნა“. განმარტებანი ეჭვს არ იწვევენ, რადგან მათთვის ამოსავალია ტექსტის ვითარება. დაბადების სათანადო ადგილას მართლაც იკითხება: „ჰრქუა მას ლია: ვერ კმა არსა შენდა, რამეთუ მიმიღე ქმარი ჩემი?“ (დაბად. 30, 15). ვერ ნაწილაკი აქ მნიშვნელობით ვერა'ს სინონიმია. მაგრამ ამით არაა განმარტებული სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობა. ნ. ჩუბინაშვილი ამ გარემოებას უყურადღებოდ არ ტოვებს და სიტყვის სემანტიკის ჩვენებასთან ერთად მის გრამატიკულ კვალიფიკაციასაც იძლევა. „ვერ, ვერა უკუთქმითი ზმნისზედა, მნიშვნელი შეუძლებლობისა, нет, не могу, ხოლო არა— უნდომელობისა. ამის გამო ვერ იხმარების ნაცუალად ზ̂ნისა არა ძალმიძს, არ შემიძლია. მაგალ.: ვერ დავდივარ, не могу ходить, ვერ დავსწერ, не могу написать, არ დავ-

დივარ, не хожу, т. е. не хочу ходить, არ დავსწერ, не напишу, или не хочу написать" (ნ. სიტყვა „ვერა, ვერ").

ასევეა ლექსიკონში კვალიფიცირებული ნაცვალსახელი ვინ, ვინა. ამ სიტყვათა შესახებ საბა მიუთითებდა: ა) „ვინ კითხვათა სიტყვაა", ბ) „ვინა იგივე ვინ და უფროსად გუარიანი". საბა ჩვეულებრივ მნიშვნელობას განმარტავს და არაფერს გვეუბნება მოცემული სიტყვის სხვა ფუნქციაზე. ნ. ჩუბინაშვილი, პირიქით, ცდილობს ყოველ მოსახერხებელ ადგილას გვაჩვენოს სიტყვის ყოველგვარი მნიშვნელობა, მისი ხმარებულობა, ფუნქცია. თითოეული სიტყვა (ვინ? ვინა?) ავტორს კვალიფიცირებული აქვს გრამატიკულად. კითხვითი ნაცვალსახელები, ავტორით, იხმარება ადამიანისა და ნივთის კატეგორიის განსასხვავებლად: ვინ? ითქმის ადამიანზე, რა? — ნივთზე. აქ მკაფიოდ ჩანს, რომ ავტორი ქართული ენის მთელ ლექსიკურ მარაგს ყოფდა ვინ და რა ჯგუფად. ეს დაყოფა ემყარება არა გრამატიკულ პრინციპებს, არამედ ლოგიკურს, მაგრამ მისგან არა თუ მაშინ, დღესაც, საუკუნენახევრის შემდეგ, ვერ განთავისუფლებულა გრამატიკა. ავტორი წერდა: „ვინ ნაცვალსახელი კითხვითი, მნიშვნელი პირისა, ხოლო ნივთთა ზედა იხმარების რაჲ, кто?//ვინცა კუალად მოღებითი (ნახე ცა), ვინძი (ნახე ძი)"; „ვინა? საიდამ, откуда" (ნ. სიტყვა „ვინ, ვინა").

მსგავსი მაგალითები გამონაკლისი ან შემთხვევითი როდია. ნ. ჩუბინაშვილის აზრით, საჭიროა არა მარტოოდენ სიტყვის მნიშვნელობის ახსნა, არამედ მისი ყოველმხრივი დახასიათებაც. ეს მეცნიერულად მართებული გზა იყო. ცხადია, არც ისაა თავისუფალი ენციკლოპედიზმისაგან, რაც პირველად საბამ დანერგა ქართულ ლექსიკოგრაფიაში, მაგრამ ასე თუ ისე ყოველი განმარტებითი ლექსიკონი ენციკლოპედიის ელემენტებს შეიცავს, ხოლო ენციკლოპედია არსებითად ვრცელი და სპეციალური ლექსიკონია.

დ. მდარე და მცდარი განმარტებანი

საბასეული და საკუთარი ორიგინალური განმარტებების გვერდით, რაც ლექსიკონის მთავარსა და გადამწყვეტ ნაწილს წარმოადგენს, აქა-იქ ავტორი ივიწყებს თავის სწორ გეზსა და გვთავაზობს ცალკეულ სიტყვათა მდარე, აშკარად სუსტსა და, ზოგჯერ, მცდარ განმარტებებს. მართალია, ასეთი განმარტებანი ცოტაა, მაგრამ მათ მაინც ვკოულობთ.

ნ. ჩუბინაშვილს სიტყვა დახლა (დავახლი) განმარტებული აქვს ასე: „დახეთქება, ძლიერად დაცემა". განმარტება თითქოს მართებულია, მაგრამ სიზუსტე აკლია. საბას მითითებით, „დაკლა კვერცხისა და მისთანას დახეთქებაა". ესაა სიტყვის მთავარი მნიშვნელობა. ხალხში დახლა დღესაც ამ მნიშვნელობით იხმარება, სწორედ კვერცხთანაა დაკავშირებული. საბა სიტყვას უნარჩუნებს ხალხურ ელფერს. ნ. ჩუბინაშვილის განმარტება ამასთან შედარებით არაზუსტია.

ასევე ავტორს დიაცი განმარტებული აქვს, როგორც „გლეხის დედაკაცი, „женна". თანაც იმოწმებს „ვეფხისტყაოსანს". პოემაში დედაკაცი 19-ჯერაა ნახსენები და არსად არაა ნახმარი გლეხის დედაკაცის მნიშვნელო-

ბით. ერთგან ავთანდილი ფატმანს დიაცს უწოდებს, მაგრამ ფატმანი განა გლეხის ქალი იყო?

ბაბილო საბას მიხედვით არის „მაღალი ვაზი (ვენაჴი), გინა გრძელი ვაზი დობილო C“. ნ. ჩუბინაშვილით კი — „რქა ვაზთა და სხვათა ნერგთა, ანუ შიბალი, вѣтвь, отрасль, побежки“. საბას განმარტება უფრო ზუსტია. მეტიც. თუ ნ. ჩუბინაშვილი კილოების ჩვენებას გაითვალისწინებდა, ნახავდა, რომ გურულში, მაგალითად, ბაბილო უბრალოდ ვაზის ფოთოლია.

ალერდი საბას მიხედვით „ნედლი თივაა“ [1]. ნ. ჩუბინაშვილი კი ფიქრობს: „ალერდი, იონჯა, ნედლი ბალახი. свежая трава“. აქ იონჯა მოსახსენებელი არ იყო. ალერდი იონჯა არაა. სიტყვას თუ გურული კილოს მიხედვით გავიგებთ, მაშინ მასში შედის ყოველგვარი ნედლი, აზრდილი ბალახი (და მათ შორის იონჯაც), მაგრამ ცალკე იონჯა აქ არ უნდა გამოყოფილიყო. ეს უხერხულობა შემდეგ მთლიანად გაიმეორა დ. ჩუბინაშვილმა როგორც ქართულ-რუსულ (ნ. სიტყვა „ალერდი“), ისე რუსულ-ქართულ ლექსიკონში (სიტყვა „клевер“).

ნ. ჩუბინაშვილი თავის განმარტებებს, როგორც აღვნიშნეთ, ათანამედროვებდა, უახლოვებდა ხალხურ მეტყველებას და მისდროინდელ მწერლობის დონეს. ამ გარემოებამ განსაკუთრებით მწვავე გახადა ტერმინოლოგიური მუშაობა. ხმარებაში შემოდიოდა რუსული სიტყვები, რომელთაც უნდა დაძებნოდა სათანადო ქართული შესატყვისები. მაშინ მწვავე ტერმინოლოგიური საკითხების მოგვარება პიროვნებას უნდა ეკისრა მხოლოდ, რადგან არ არსებობდა ისეთი რომელიმე ორგანიზაცია ან ორგანო, რომელიც ამ საკითხით დაინტერესდებოდა. მითუმეტეს, რომ იმ ხანად არც ერთი პერიოდული ქართული ორგანო არ არსებობდა და არც ქართული წიგნების (განსაკუთრებით, მეცნიერულ-ფილოსოფიური ხასიათის შრომების) გამოცემის საქმე იყო მოგვარებული. ამიტომ ყოველი დაბრკოლების გადალახვა ცალკეულ პირებს უხდებოდათ. ერთ-ერთი ასეთი პირი ნ. ჩუბინაშვილი გახლდათ. მან XIX საუკუნის პირველი ათეული წლებიდან ჩვენში საფუძველი ჩაუყარა მკვიდრ ტერმინოლოგიურ მუშაობას, უწინარეს ყოვლისა, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ტერმინოლოგიის შექმნას ეპოქის შესაფერისი მოთხოვნების მიხედვით. ამას საჭიროებდა თარგმნითი ლექსიკონის ინტერესებიც.

ავტორმა შექმნა ბევრი გონებამახვილური ცნება-ტერმინი, ბევრი რუსული თუ უცხოური ტერმინის კალკიც, რომლებიც მაშინ დიდი მნიშვნელობისა იყო და რომელთა მეტმა ნაწილმა შემდგომ გზა გაიკვლია ქართულ ლიტერატურულ ენაში დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონების მეშვეობით. მაგ., ნ. ჩუბინაშვილის მიერაა შემოღებული ცნებები ვნებახორციელი და ვნებასულიერი სათანადო რუსული სიტყვების страданиe და страсть'ის შესატყვისად. ავტორის აზრით, რუსული страдание ქართულად ნიშნავს ვნებახორციელ სნეულებას, ტანჯვას, ხოლო страсть—ვნებასულიერ მწუხა-

[1] „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (I, 272) შეცდომით სწერია: „ნედლი ბალახი (საბა)“. საბას კი უწერია: „ალერდი ნედლი თივა (ბალ.)“.

რებას, რისხვას, გულისთქმას, განკჯრეებას, სინანულს. თავის დროისათვის ასეთი შესატყვისი ქართული ცნებების შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა ყოფილიყო.

ავტორმა მოგვცა უცხოური (ბერძნული) წარმოშობის ტერმინების უმჯობესი რედაქცია, ვიდრე ზოგიერთ მისდროინდელ მოღვაწეს ჰქონდა. ვარსკულავთმრიცხველი მას გადმოცემული აქვს ასტრონომოსად. ჩვეულებრივ „ოს“ დაბოლოებას ხმარობს, როგორც ცნებებში ფიზიკოსი, ქიმიკოსია. ამის შესაბამისად მოითხოვდა ფორმებს: გეოგრაფოსი, ფილოლოგოსი, მეტეოროლოგოსი და არა ასტრონომი, გეოგრაფი, ფილოლოგი, მეტეოროლოგი. ეს მოთხოვნა მართებული და დასაბუთებული იყო.

ნიკო ჩუბინაშვილისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონების ურთიერთმიმართება

1. ლექსიკონების წყაროები. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომს ასაზრდოებს ორი წყარო: ეროვნული, ქართული (საბას ლექსიკონი) და რუსული (უმთავრესად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონი). ამ ორი ნაკადის შერწყმამ მოგვცა მაღალმეცნიერული ნაშრომი, ახალი განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც დიდად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობის შესახებ.

დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (სპბ., 1887) ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ (1815) საფუძველზე აღმოცენდა. ნ. ჩუბინაშვილი იყო არა მარტო აღმზრდელი დავით ჩუბინაშვილისა, არამედ მისი პირველი ლექსიკოგრაფოსი-მასწავლებელიც. ბიძის შთაგონების გარეშე დ. ჩუბინაშვილი ლექსიკოგრაფოსი ვერ გახდებოდა ნიკომ სიყრმიდანვე შეაყვარა მოზავალ გამოჩენილ ფილოლოგოსსა და ისტორიკოსს ქართული ლექსიკონი. მან დაუტოვა საყვარელ ძმისშვილს თავისი ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა, რომლის გამოქვეყნებასაც ის სიცოცხლეში ვერ ეღირსა, და თავისთავად ცხადია, ჩვენც დღეს არაფერი გვეცოდინებოდა ნიკოს ღვაწლის შესახებ ქართულ ლექსიკოგრაფიაში, რომ დ. ჩუბინაშვილს თავის ნაშრომში არ დაემოწმებინა საკუთარი ბიძის დამოუკიდებელი „ქართული ლექსიკონი“. დ. ჩუბინაშვილი რუსულ-ქართული ლექსიკონის წინასიტყვაობაში 1846 წელს აღნიშნავდა, რომ ამ ლექსიკონისათვის საჭირო მასალა მიიღო განსვენებული ბიძისაგანო. იგი პირდაპირ წერდა: „В заключение автор считает себя обязанным привесть должного дань признательности покойному его дяде Колежскому Советнику Николаю Чубинову за материалы для составления русско-грузинского словаря и сообщения им основательные замечания“[1]. აქ თითქოს ყველაფერია ნათქვამი. მართალია, ასეთი შენიშვნა ავტორს არ

[1] Д. Чубинов, Русско-грузинский словарь, ч. I, СПб., 1846, წინასიტყვაობა.

გაუქეთებია არც ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონისა (1840) და არც ქართულ-რუსული ლექსიკონისათვის, რომელიც 1887 წელს გამოიცა, მაგრამ ესეც საკმარისია, რომ უშუალო წარმოდგენა ვიქონიოთ ამ უკანასკნელის ლექსიკოგრაფიული შრომების პირველ წყაროთა შესახებ.

დ. ჩუბინაშვილს, ცხადია, გაცილებით მეტი და ფართო შესაძლებლობანი ჰქონდა, ვიდრე ნიკო ჩუბინაშვილს. მისი მოღვაწეობის ეპოქა და სარბიელი სულ სხვა იყო. ნიკო ჯერ გიმნაზიის რიგითი მასწავლებელი, ხოლო შემდეგ საგარეო საქმეთა დეპარტამენტის მთარგმნელი, ხელმოკლეობის გამო ვერ ახერხებდა საკუთარი ნაშრომების გამოქვეყნებას. დავითი კი, პეტერბურგის უნივერსიტეტის მაღალ აკადემიურ წრეებში აღზრდილი, ამ უნივერსიტეტის პროფესორი და ქართული სიტყვიერების კათედრის ხელმძღვანელი, ბუნებრივია, ფართო შესაძლებლობას პოულობდა თავისი ნაშრომების პუბლიკაციისათვის. დავით ჩუბინაშვილმა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მოგვცა იმ დროისათვის სრული ქართული განმარტებითი ლექსიკონი. ეს ლექსიკონი დიდად იყო დავალებული საბასა და ნიკო ჩუბინაშვილის შესაბამისი ნაშრომებისაგან, მაგრამ ეს სრულიად არ ამცირებდა მის ღირებულებას.

ქართულ ლექსიკოგრაფიაში საბასა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებს შორის უნდა გამოიყოს კიდევ ერთი საფეხური—ესაა ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონი, რომელიც შედგენილია 1812—1820 წლების შუალედში, ე. ი. ის საბას ლექსიკონის ეპოქას შორდება 120 წლით, ხოლო დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონის შექმნის დროს წინ უსწრებს მთელი 50—60 წლით.

განსაკუთრებით ძვირფასი ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში არის ახალი სიტყვობრივი ერთეულები და ქართული სიტყვების რუსული თარგმანი. ავტორს ზედმიწევნით კარგად სცოდნია ორივე ენა—ქართული და რუსული. დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ძველი ქართული სიტყვების ჯერ თანამედროვე განმარტება და შემდეგ მათი რუსული თარგმანი. ავტორმა ეს სიძნელე დაძლია, თუმცა იგი გაუკვალავი გზით მიდიოდა, წინამორბედი არ ჰყოლია. საბა თუ მისი უშუალო წინამორბედი იყო ქართული ლექსიკონის დარგში, რასაც იგი სრულიად მშვიდად ემყარებოდა, რუსული ლექსიკონის დარგში მას ქართულ ენაზე წინამორბედი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არ ჰყოლია. ყოველ შემთხვევაში, ნ. ჩუბინაშვილს ხელთ არ ჰქონია არცერთი ქართულ-რუსული ლექსიკონი, მას რომ წყაროდ გამოადგებოდა. მართალია, ამ პერიოდში არსებობდა ხელნაწერი ქართულ-რუსული ლექსიკონები, რომლებიც პრაქტიკული საჭიროებისათვის იყო შედგენილი, მაგრამ ჩვენი ავტორი მათ არც იცნობდა.

დ. ჩუბინაშვილი კი ამ მხრით სრულიად განსაკუთრებულ პირობებში იყო. მას უკვე ბევრი წინამორბედი ჰყავდა და, უწინარეს ყოვლისა, მისი წინამორბედი საკუთარი ბიძა იყო. ბიძის ნაშრომი ჩუბინაშვილების, ასე ვთქვათ, საგვარეულო ლექსიკონი იყო და მასზე აღიზარდა თვით დავითიც. ამიტომ მომავალი ლექსიკოგრაფოსის შრომა საგრძნობლად გამარტივებული და შემსუბუქებული იყო. ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული

ლექსიკონი“ დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ უშუალო წინაპარი და წყარო.

ნ. ჩუბინაშვილის მასალები მთლიანად (მცირე გამონაკლისის გარდა) შეტანილია დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში. თანაც შეტანილია სრულად, გადაუკეთებლად, უკომენტაროდ. ბევრ შემთხვევაში დამოწმებულია წყაროც. ბევრ შემთხვევაში კი ავტორს საჭიროდ არ დაუნახავს ამ წყაროს მითითება. ამიტომ ფრიად საინტერესოა ამის გამოწვლილვა. ამ კაპიტალურ ნაშრომში რა ეკუთვნის ნიკოს და რა დავითს, რომელმაც დიდი შრომა მოახმარა ქართული ლექსიკონის შედგენას. ნ. ჩუბინაშვილს დამოწმებული აქვს ქართული ენის გრამატიკული წყობის ბევრი ისეთი თავისებურება, რომელიც მანამდის საერთოდ გამოურკვეველი იყო. მათზე საუბარი არ ყოფილა არც გრამატიკულ ნარკვევებსა და არც ლექსიკონებში ნ. ჩუბინაშვილს საჭიროდ დაუნახავს ლექსიკურ მასალასთან ერთად ძირითადი გრამატიკული და ფონეტიკური პროცესების ახსნაც. ამ მხრით მისი ლექსიკონი არსებითად განსხვავდება საბას ნაშრომისაგან და დიდ მეცნიერულსა და პრაქტიკულ ინტერესს იწვევს. დავით ჩუბინაშვილმა, რომელსაც ფართო ფილოლოგიური განათლება ჰქონდა მიღებული, მაშინვე აუღო ალღო საკუთარი ბიძის ლექსიკონის ამ ღირსებას და მას ფართო ადგილი დაუთმო თავის ნაშრომში.

დ. ჩუბინაშვილი ნ. ჩუბინაშვილის უშუალო მოწაფე და მიმდევარია როგორც ლექსიკოგრაფიაში, ისე ქართული ენის ფონეტიკისა და გრამატიკის ძირითადი საკითხების გაშუქებაში.

2. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის აღნაგობა. დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ ბევრად განსხვავდება საბასა და ნ. ჩუბინაშვილის შესაბამისი ნაშრომებისაგან. განსხვავება, უწინარეს ყოვლისა, მოცულობას ეხება. საბას ავტოგრაფულ ლექსიკონებში შეტანილია 16.600-ზე მეტი სიტყვა (იხ., მაგალითად, ს. იორდანიშვილის გამოცემა). ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში კი — 13.500-ამდის სიტყვაა. რაც შეეხება დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებს, მათში ორჯერ და თითქმის სამჯერ მეტი სიტყვობრივი ერთეული გვხვდება. მის სამენოვან ლექსიკონში (1840 წ.) შეტანილია 21.223, ქართულ-რუსულ ლექსიკონში (1887 წ.) კი — 33.402 სიტყვა. ლექსიკური მასალის ოდენობის მხრით დ. ჩუბინაშვილის ნაშრომის უდიდესი ღირსება ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. იგი ამ მხრითაც ყველა მანამდის არსებულ ლექსიკონზე მაღლა დგას. ბუნებრივადაც ასე უნდა ყოფილიყო.

დ. ჩუბინაშვილმა თავისი ლექსიკონის უკანასკნელი რედაქცია დაასრულა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში. ეს იყო ქართული მწერლობის აღმავლობის პერიოდი. 60-იან წლებიდან დაწყებული ქართული მწერლობა შეუჩერებელი ნაბიჯით მიიწევდა წინ. მწერლობაში მოვიდნენ ახალი ადამიანები: გიორგი ერისთავი და დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი და ზურაბ ანტონოვი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სერგეი მესხი, შეიქმნა პერიოდული გამოცემები, გაიზარდა ბეჭდური ლიტერატურა, გამოიცა მრავალი მხატვრუ-

ლი თხზულება, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლი, ხალხური სიტყვიერების ნიმუში. ეს მდიდარი მასალა, ასე თუ ისე, თავის ასახვას პოულობს დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში.

ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ, კაპიტალიზმის განვითარებამ, ეკონომიური დამოკიდებულების გაფართოებამ ახალი ლექსიკური მასალით გაამდიდრა ქართული ენა. ენის ლექსიკურ შემადგენლობას, მართალია, ბევრი მოძველებული სიტყვა მოაკლდა, მაგრამ მას მოემატა გაცილებით მეტი რაოდენობის ახალი სიტყვა, რომლებიც ასახავდნენ ახალ ურთიერთობას. მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩვენი ენის ლექსიკური შემადგენლობა. ეს კანონზომიერი პროცესი ყველა ენისათვის იყო ბუნებრივი და, მათ შორის, ქართული ენისათვისაც. ამ ცვლილებებმა თავისი ასახვა ჰპოვეს დ. ჩუბინაშვილის ნაშრომშიაც. ლექსიკონი გაიზარდა მოცულობით, დაიტვირთა ახალი მასალით, დაიხვეწა განმარტებები. აქ ისევე, როგორც ნ. ჩუბინაშვილთან, აღარ გვხვდება უცხო წარმოშობის არაპოპულარული სიტყვები (მათ შორის საკუთარი სახელები, რომლებიც ასე უხვადაა ფიქსირებული საბას ლექსიკონში), აღარ გვხვდება ზმნის პირიანი ფორმებიც, მათ ნაცვლად დამოწმებულია სახელზმნები (მასდარი და მიმღეობა). ამითაც ავტორი კვალდაკვალ მიჰყვება ნ. ჩუბინაშვილის მიერ არჩეულ გზას.

მაშასადამე, დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი" აღნაგობით, სიტყვობრივი ერთეულების შერჩევა-გაწყობით, სტრუქტურით, განმარტებათა ძირითადი ნაწილით ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონს მოგვაგონებს, მხოლოდ მოცულობით განსხვავდება მისგან.

ვ. **ზ ასოს მასალა.** ყველა ასოს მასალის შედარებითი მიმოხილვა შორს წაგვიყვანდა. სანიმუშოდ ავიღოთ ზ ასოს მასალა.

ამ ასოზე ნ. ჩუბინაშვილს დამოწმებული აქვს 229 სიტყვა, დ. ჩუბინაშვილს კი—411, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტი. პრინციპი სიტყვათა გაწყობა განმარტებისა დ. ჩუბინაშვილს ნასესხები აქვს საკუთარი ძმისაგან. ზმნები, როგორც ლექსიკური ერთეულები, დამოწმებული არაა. მათ ნაცვლად ლექსიკონში შეტანილია მასდარული ფორმები, რომელთაც იქვე (ფრჩხილებში) მიწერილი აქვთ პირიანი ფორმებიც. როგორც აღნიშნული გვაქვს, ეს პრინციპი საბასაგან განსხვავდება. ის პირველად ნ. ჩუბინაშვილმა დაამკვიდრა.

დ. ჩუბინაშვილთან გვაქვს:

„**ზანზარი** трясение,-მიწისა, землетрясение, (ვჰზანზარებ), ზ. მ. ვირხევი, ვინძრევი (მიწა, შენობა), трястись" [1].

„**ზარება** (მეზარება), ზ. უ. ზარი დამეცემა, поражает меня, (ვეზარები), ზ. თვ. გავჰკრთები, ужасаться".

„**ზარობა** (ვჰზარობ, მეზარება), ზ. უ. ვმცონარობ, лениться".

„**ზეადგომა** (ავსდგები), ზ. უ. ფეხზედ დავდგები, встать на ноги".

---

[1] არც აქ და არც სხვა ადგილას ამა თუ იმ ლექსიკონიდან ამოღებულ სიტყვას გვერდს არ ვუთითებთ. ის უნდა მოიძებნოს დასაწყისი ასოს მიხედვით.

„ზეავარდნა (აევარდები), ზ. უ. ავხტები, вскочить“.

„ზეალხლვა (ზეალვალ), ზ. უ. მაღლა ავალ, восходить“.

„ზეალტაცება (აღვიტაცებ), ზ. მ. წარვიტაცებ სიხარულითა, восхищать“.

„ზეახდომა (ავხდები), ზ. უ. მაღლა ავალ, წამოვხტები, взойти, вскочить“.

„ზეახტომა (ზეავხტები), ზ. უ. წამოვხტები, вскочить“.

ანალოგიურია ზ ე გ ა რ დ ა ვ ა რ დ ნ ა (ვარდები), ზ ე გ ა რ დ ა თ ხ ე ვ ა (ვათხევ), ზ ე გ ა რ დ ა ს წ რ ო ბ ა (ზეგარდაევსწრები), ზ ე დ ა გ ა რ დ ა ვ ლ ა (ვლი, ვალ), ზ ე დ ა დ გ ო მ ა (ზედვადგები), ზ ე დ ა კ ვ ე თ ე ბ ა (ვეკვეთები), ზ ე დ ა ს ლ ვ ა (ზედავალ), ზ ე დ ა ფ რ ე ნ ა (ზედავფრინავ), ზ ე დ ა წ ა ს წ რ ე ბ ა (ვესწრები), ზ ე დ ბ მ ა (ზედვებმი, ზედვაბივარ)...

ზმნური ერთეულები, მასდარებთან ერთად, მიმღეობათა სახითაცაა შეტანილი ლექსიკონში და იქვე მიწერილი აქვს პირიანი ფორმებიც. მაგ.: ზ მ უ ვ ი ლ ი (ზმუვის), ზ რ ი ა ლ ი (ვიზრიალებ; მითითებულია საწყისიც: ზრიალება), ზუვილი (ზუვის, ზუვოდა) და ა. შ. (ეს ხერხიც ნასესხებია ნ. ჩუბინაშვილისაგან). ზ ასოზე ბევრი მიმღეობა გვაქვს, მაგრამ ყველა მათგანს პირიანი ფორმა მითითებული არა აქვს. როცა მასდარი დამოწმებულია, მასთან მიმღეობაც იშვიათად გვხვდება. ცალკე შემთხვევებში ნაჩვენებია მასდარიც, მიმღეობაც და პირიანი ფორმებიც ერთად. მაგ., ბუდეში ზ რ დ ა მითითებულია: ა) მასდარი: ზრდილობა, ბ) მიმღეობა: ზრდილი, ნაზარდი, გ) პირიანი ფორმები: ვჰზრდი, ვზდი, ვჰზარდე, ვიზრდები, ვიზარდე.

ასეთი ეტიმოლოგიური ძიება, ცხადია, ყოველ ზმნურ ერთეულს როდი ახლავს თან და არც შეიძლება ახლდეს. ზმნის ფორმები ლექსიკონში შეტანილია ნ. ჩუბინაშვილის მიერ დადგენილი წესის თანახმად. პირიანი ფორმები ცალკე ლექსიკურ ერთეულად არ გვხვდება.

მასდარს ჩვეულებრივ ფრჩხილებში მითითებული აქვს პირიანი ფორმებიც და გვარიც (მოქმედებითი, უმეშვეო). ზმნის ლექსიკური ერთეულების ამნაირად გაწყობას ლექსიკონში ჩვენ ჩუბინაშვილურს ვუწოდებთ. ეს ცნება გვეპირდება ორბელიანურის საპირისპიროდ. ორბელიანური პრინციპით ლექსიკონში ერთნაირი უფლებით შეიტანება ზმნის როგორც პირიანი, ისე უპირო ფორმები (საწყისი და მიმღეობა). ეს წესი პირველად ნ. ჩუბინაშვილმა შეცვალა ახალი პრინციპით, რამაც მნიშვნელოვნად შეკუმშა ლექსიკონის მოცულობა, მაგრამ ზმნურ ლექსიკურ ერთეულებს იქ თავისი ადგილი მიუჩინა, ამასთან, მოითხოვა ზმნის მოკლე (პირის, გვარის, ქცევის მიხედვით) დახასიათებაც. ავტორი არ გაქცევია ამ დახასიათებას. დ. ჩუბინაშვილი კიდევ უფრო შორს წავიდა, მის ლექსიკონში ზმნის ლექსიკური ერთეულები უფრო ცხადად და ზუსტადაა დახასიათებული. ამავე დროს ყოველივე ეს ჩანს არა მარტო ზ ასოს მასალებში, მთელ ლექსიკონში, დასაწყისიდან ბოლომდის.

ზ ასოზე დ. ჩუბინაშვილს მრავალი ისეთი სიტყვა დაუმოწმებია, რომლებიც მის არცერთ წინამორბედს არ ჰქონია.

1. ასეთია, მაგალითად, **ზ ა ბ ა რ ჟ ა დ ი**. ეს სიტყვა საბას **ზ** ასოზე არა აქვს, გვხვდება **ბ** ასოზე სხვა სიტყვის განმარტებისას: „ბ ე ჟ მ ე დ ი თვალია, რომელსა სპარსნი ზ ე ბ ე რ ჯ ა თ ს უწოდებენ". ამის გამო და მისი არაპოპულარობის მიზეზით ნ. ჩუბინაშვილს საჭიროდ აღარ დაუნახავს ამ უკანასკნელის დამოწმება. დ. ჩუბინაშვილი კი პირიქით მოქცეულა, სიტყვა დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად შეუტანია ლექსიკონში: „ზ ა ბ ა რ ჟ ა დ ი ს. თვალი ბეჟმედი, топаз, საბ[ას] ლ[ექსიკონი]" და წყაროდ საბას ნაშრომი დაუმოწმებია. ავტორიც კარგად გრძნობს ამ უცხო წარმოშობის სიტყვის არაპოპულარობას ქართულში და უკვე რუსულ-ქართულ ლექსიკონში მას აღარ იხსენებს: „Т о п а з ბეჟმენდი, ნწვანე თვალი" (Русско грузинский словарь, СПб., 1886, 731).

2. დ. ჩუბინაშვილს ასევე ლექსიკონში შეტანილი აქვს სიტყვა ზ ა ბ ი ლ ი (ნეხვი, навоз), როიელიც არც საბასთან და არც ნ. ჩუბინაშვილთან არ გვხვდება. არც ეს სიტყვა განეკუთვნება ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობას, მაგრამ რადგან ლექსიკოგრაფოსს იგი შეხვედრია, აუცილებლადაც უნდა შეეტანა თავის ნაშრომში. რუსულ-ქართულ ლექსიკონში არც ამ სიტყვას ვხვდებით (შდრ.: „н а в о з, სმ. ნეივი, წივა; მიწის სასუქი, პატივი").

3. **ზარალი**. ეს არაბული წარმოშობის სიტყვა საბასთან არა გვაქვს. საბას დროს ის იქნებ არც იხმარებოდა: მაშინ ხმარებაში იყო მისი ქართული ეკვივალენტი ზ ი ა ნ ი, რაც დასაკლისს ნიშნავდა და იმასვე გამოხატავდა, რასაც არაბ. ზარალი (Zarar). სიტყვის გავრცელების პირობები შექმნა სავაჭრო კაპიტალის განვითარებამ. იგი ქართულში XIX საუკუნეზე ადრე შემოსულა, უფრო ვაჭართა წრეებში ტრიალებდა, მრეწველობა-ვაჭრობის განვითარების შედეგად კი სიტყვის ხმარებულობის ფარგლები კიდევ უფრო გაზრდილა. მართალია, ენაში მოიპოვებოდა ამ ცნების შესატყვისი სიტყვები დ ა ს ა კ ლ ი ს ი, ზ ი ა ნ ი, დ ა კ ლ ე ბ ა, მაგრამ ნასესხები სიტყვაც გავრცელებულა. სავარაუდოა, ზ ა რ ა ლ ი ქართულში თურქულიდანაა შემოსული. ნ. ჩუბინაშვილს ცალკე ლექსიკურ ერთეულად სიტყვა არ გამოუყვია, მაგრამ შესაფერისი ქართული ცნების განმარტებისას სინონიმურ გამოთქმად კი უხმარია: „ზ ი ა ნ ი დასაკლისი, ზარალი, изъян, убыток. თ. ზარარ". ეს განმარტება სიტყვა-სიტყვით გაიმეორა დ. ჩუბინაშვილმაც, ნაგრამ აქედან ზ ა რ ა ლ ი ცალკე გამოყო: „ზ ა რ ა ლ ი (არაბ.), ზიანი, დასაკლისი, изъян, убыток; ზარალება (ვა), ზ. მ. ზიანს მივსცემ, причинять убыток, (ვი), ზ. მიჩ. და ზარალობა (ვჰ), ზ. უ. ზარალს ან ზიანს მივიღებ. получать убыток".

4. **ზარგანხდილი** საბა ორბელიანისა და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამორჩენილია, იმოწმებს მხოლოდ დავით ჩუბინაშვილი: „ზ ა რ გ ა ნ ხ დ ი ლ ი, ზედ. გაშტერებული შიშით, объятый ужасом; ზ ა რ გ ა ნ ხ დ ი ლ- ყ ო ფ ა (ვჰ), ზ. ვ. поразить ужасом", წყაროდ მითითებულია „ქართლის ცხოვრება" და „ანდრია სალოსის ცხორება". ჩვენ დავუმატებთ, რომ სიტყვა გვხვდება აგრეთვე „გრიგოლ ხანძთელის ცხორებაშიაც": „მრავლით ჟამითგან უშჯულოთაგან ზ ა რ გ ა ნ ჴ დ ი ლ თ ა ქრისტეანეთა ასწავა სიმჴნეჲ ძლიერი"

(პ. ინგოროყვას გამოც., თბ., 1949, $37_{[illegible]}$). სიტყვა ამავე მნიშვნელობითაა ნახმარი „სიბრძნე ბალაჰვარისში“: „იხილნა ორნი კაცნი: ერთი გონჯი და ერთი მწუხარე, რომელი სხუასა მიჰყვანდა, და ზ ა რ გ ა ნ ჴ დ ი ლ იქმნა“ (ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1937, $13_{[illegible]}$).

5. **ზარდახანა.** ნასესხები სიტყვაა. დავითამდელ ლექსიკონებში ფიქსირებული არაა, თუმცა ძველ ქართულ ძეგლებში ხშირად იხმარებოდა. „ვეფხისტყაოსანში“ დამოწმებულია ორგზის, ოღონდ ზარადხანად: „მაქვს პატრონობა მრავალი საჰურჭლე-ზ ა რ ა დ ხ ა ნ ი ს ა“ (1262,4); „პოვეს ერთი ზ ა რ ა დ ხ ა ნ ა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი“ (1367,2). დ. ჩუბინაშვილით— „აბჯართსაცავი, оружейная“, იუსტ. აბულაძით — „საომარი იარაღისა და აბჯრის საწყობი, სახლი, არსენალი“ („ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, თბ., 1937, გვ. 350).

6. **ზარმელი.** ზ ასოზე ამ სიტყვას ვერ ვპოულობთ ნ. ჩუბინაშვილთან (აქვს ს ე რ თ ა ნ). საბა კი მიუთითებდა: „ზ ა რ მ ე ლ ი სამხართან ნახეო“. ასევე დავითიც: „ზ ა რ მ ე ლ ი სერი ნახე“.

7. **ზენტეხი.** მცენარე, ქალის ბეწვა, волосатик. საბასთან დაწოწმებულია განუმარტებლად, განუმარტებლადაა შეტანილი რ. ერისთავის ბოტანიკურ ლექსიკონშიაც, ნ. ჩუბინაშვილთან არ გვხვდება.

ასეთი სიტყვებით დ. ჩუბინაშვილმა გაამდიდრა ლექსიკონი, უფრო ღრმად ჩაგვახედა ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში, წინ წასწია ლექსიკოგრაფიული მუშაობა. ყოველივე ეს ნაშრომის მაღალ მეცნიერულ ღირებულებას გვაჩვენებს.

დ. ჩუბინაშვილი ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონს იმოწმებს ინიციალებით: „ნ[იკოლოზ] ჩ[უბინაშვილის] ლ[ექსიკონი]“. ზ ასოზე, მაგალითად, მას ამ ინიციალებით განმარტებული აქვს რამდენიმე სიტყვა: ზ ა ზ უ ნ ი, ზ ა ნ დ რ ა ბ ე გ ი, ზ ა ნ დ უ რ ი, ზ ა რ ი, ძ ა რ ი, ზ ი ლ ფ ა რ ო ზ ი, მ ა მ ა ლ ი. ხსენებული ლექსიკონიდან აღებულ სხვა სიტყვას ზ ასოზე წყარო მიწერილი არა აქვს. სხვა ასოს მასალების შემოწმებაც ადასტურებს, რომ ავტორი ნ. ჩუბინაშვილის ინიციალებს მ ხ ო ლ ო დ აქა-იქ იმოწმებს, ხოლო უკანასკნელის ნაშრომიდან გაცილებით მეტი მასალა აქვს აღებული. ეს სიტყვები საბას ლექსიკონშიაც გვხვდება და ამიტომ ნ. ჩუბინაშვილის კუთვნილებად მათ ვერ მივიჩნევთ. ავტორს თავისუფლად შეეძლო აქ წყაროს მოუხსენებლად დაკმაყოფილებულიყო. თუ მაინცა და მაინც მოიხსენებდა წყაროს, საბა უნდა დაესახელებინა, რადგან ნ. ჩუბინაშვილსაც ეს სიტყვები სწორედ საბასაგან აუღია. ერთი სიტყვით, დ. ჩუბინაშვილი ბიძის ნაშრომს იმოწმებს არა ყველგან, არამედ მხოლოდ აქა-იქ, ზოგიერთ სიტყვასთან.

ნიკო ჩუბინაშვილიდან აღებული ლექსიკური მასალა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში შეტანილია სამგვარი რედაქციით: სიტყვა-სიტყვით, წყაროს უჩვენებლად, სიტყვა-სიტყვით, წყაროს ჩვენებით და ოდნავი რედაქციული ცვლილებით. სანიმუშოდ ავიღოთ რამდენიმე მაგალითი ზ ასოს მასალებიდან.

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში შეტანილია ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკური მასალა სიტყვა-სიტყვით, წყაროს ჩვენებით

ნ. ჩუბინაშვილი:	დ. ჩუბინაშვილი:
1. **ზაზუნი** (ოთხფ.) сурок.	1. **ზაზუნი**, ს. ცხოვ., ვირთაგვა, сурок, ნ. ჩ. ლექს., საბ. ლ. [ავტორი აქ საბასაც იმოწმებს, მაგრამ სიტყვა მის ლექსიკონში ზ ასოზე არა ჩანს].
2. **ზანდრაბეგი** პადრაკის მეფის მხედრულად გარდასტუნება.	2. **ზანდრაბეგი**, ს. პადრაკის მეფის მხედრულად გარდასტუნება, საბ. ლ., ნ. ჩ. ლ. [სიტყვა, მართლაც, განმარტებული აქვს საბასაც. ის ამბობს: „ზანდრაბეგი პადრაკის მეფის მჴედრულად გარდასმა“. ნ. ჩუბინაშვილს საბას განმარტებაში ბოლო სიტყვა გარდასმა შეუცვლია გარდასტუნებად. დავითს ბიძის ვარიანტი უსესხებია].
3. **ზანდური** (ბალ.) თათუხი პური, რომლისაგან გაკეთდება სამინდო, ხლარჩი ფქვილი.	3. **ზანდური**, ს. თავთუხი, თათუხი პური, რომლისაგან გაკეთდება სამინდო, ხლარჩი ფქვილი, пшеничный хлеб, საბ. ლ., ნ. ჩ. ლ., ბუნ. ლ. [დამოწმებულია საბასა და რ. ერისთავის ლექსიკონებიც, მაგრამ განმარტება ნ. ჩუბინაშვილიდანაა აღებული].
4. **ზარი**, ძარი, გოდორი, შესანახავი სიმინდისა და მისთანათა, ანუ ქორთ საჯდომი გალია.	4. **ზარი**, ძარის გოდორი, შესანახავი სიმინდისა; ან ქორთა საჯდომი გალია, корзина; клетка для ястребов, საბ. ლ., ნ. ჩ. ლ., ბუნ. კ. 137; ერისთ. 23. [განმარტება აქაც ნ. ჩუბინაშვილიდანაა აღებული. საბას დამოწმება საჭირო აღარ იყო. ჯერ ერთი, საბასთან ზ ასოზე ეს სიტყვა არ გვხვდება, ძ-ზე გვაქვს ძარი, რომელიც განმარტებულია ასე: „ქორის საჯდომი გოდორი“].
5. **ზილფაროზი მამალი** (მცენ.) переполох мужской.	5. **ზილფაროზი მამალი**, ს. მცენ., переполох мужской (раст.), ნ. ჩ. ლ., балаболка, ერის. ლ.
6. **ზმილაკი** (ბალ.) სურო, ანუ მისგან ნათხზი სფირიდი.	6. **ზმილაკი**, ს. სურო ან მისგან ნათხი სფირიდი, плющ, ბუნ. ლ., кошница, кузов. ნ. ჩ.
7. **ზოზინი**, ანუ ზოზღნა (ვზოზინობ) გვიანობა, ჯანჯღლობა, არამარჯვედ საქმობა (ვეფხისტ. 469), мешкать, лениться.	7. **ზოზინი**, ს. გვიანობა, медленность, ზოზინობა (ვჰზოზინობ), ზ. უ. ვჰგვიანობ, ვჰსჯანჯღლობ, мешкать, медлить, ჩ. ლ. валандаться.
8. **ზუზვა** (ვიზუზები) გამოუმეტებლობა, წუწკობა, ან ზოზინი.	8. **ზუზვა** (ვიზუზები), ზ. ვ. ვსწუწკობ, ვჰგვიანობ, скупиться, мешкать, საბა ლ., ნ. ჩ. ლ., სიბრ. 113.
9. **ზუჩი** თავს დასარქმელი საომარი რკინა, რომელსა უხმობენ კვერცხსაცა. წინათ და უკანით აქუს მოვლებული ჯაჭვის ბადე, რომელსა ჰქვიან ზარადი, ხოლო მუზარადი არს ზუჩის მსგავსი, პირზედ აქუს გრძელი	9. **ზუჩი**, ს. თავ-დასარქველი საომარი რკინისა, რომელსა უხმობენ კვერცხსაცა. წინათ და უკანით აქვს მოვლებული ჯაჭვის ბადე, რომელსაც ჰქვიან ზარადი, გარნა მუზარადი არს ზუჩის მსგავსი, პირსა აქვს გრძელი საცხვირე და ჩაფხუტი არს უზარადო, თხემ-

საცხვირე და ჩ ა ფ ხ უ ტ ი არს უზა-რადო, თხემსა ზედა აქუს მცირე პოლო-ტიკი, ხოლო ჩ ა ჩ ქ ა ნ ს ა აქუს კისრის კერძოთა ზედა მცირე ზარადი და პირი ახდილი; ჩ ა ბ ა ლ ა ხ ი არს ლიტონი ჯაჭვი თავსახურავი უპოლოტიკოდ, ხოლო ტანსაცმელნი ჯაჭუნი იხილენ ჯავშანთან.

ზედ აქვს მცირე პოლოტიკი, ჩაჩქანსა აქვს კისრის კერძოთა ზედა მცირე ზარადი და პირი ახდილი; ჩაბალახი არს ლიტონი ჯაჭვი თავსახურავი უპოლოტიკო; ტანსაც-მელი ჯაჭვნი იხილე ჯავშანი, шлем с лич-ником или забралом, ნ. ჩ. ლ.

წყაროს ჩვენებით ზ ასოზე მხოლოდ ეს რამდენიმე სიტყვაა დამოწმებუ-ლი დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში. ზოგ მათგანს, როგორც დავინახეთ, იქვე მითითებული აქვს საბაც. ნამდვილად კი განმარტებები აღებულია ნ. ჩუბინა-შვილის ლექსიკონიდან. ავტორი თუ ამ გზას ბოლომდის გაჰყვებოდა, მაშინ საბა თითქმის ყველა სიტყვასთან უნდა დაემოწმებინა, რადგან ისინი საბასთანაც გვხვდებიან. მაგრამ ამ გზის ერთგულია იგი არა ყოველთვის, არამედ აქა-იქ.

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში სიტყვების მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი განმარტებები შეტანილია ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით სიტყვა-სიტყვით, წყაროს უჩვენებლად
სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითი:

ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი:	დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი:
1. **ზამბარაკი** საქამოთა და სხუათა მანქა-ნათა მძრეველი დახვეული ფოლადი, пружина.	1. **ზამბარაკი** (თათრ.), ს. საქამოთა და სხვათა მანქანათა მძრეველი დახვეული ფოლადი, пружина.
2. **ზამბულაკი** დიდი თოფი, აქლემით სა-ტარებელი, სპარსეთში ხმარებული, фальконет.	2. **ზამბულაკი**, ს. დიდი თოფი აქლემით სატა-რებელი (სპარს.), фальконет.
3. **ზამბილი** ჭილობისაგან დაწნული პარკი (ნახე სფირიდი), кулек.	3. **ზამბილი** (თათრ.), ს. ჭილობისაგან დაწნუ-ლი პარკი, кулек.
4. **ზანდუკი** სკივრი, კიდობანი (ნახე ზარ-დახშა), сундук. / პინაქსი, სარჩევი წიგნისა, оглавление.	4. **ზანდუკი** (სპარს.), ს. სკივრი, კიდობანი; პი-ნაქსი, სარჩევი წიგნისა, сундук, оглавле-ние книги.
5. **ზანტი** ზარმაცი, დაზარებული, ле-нивый.	5. **ზანტი**, ზედ., ზარმაცი, დაზარებული, лени-вый. აქვე ქვევით ავტორი უმატებს: ზ ა ნ-ტ ე ბ ა (ვა), ზ. მ. ვაზარმაცებ, делать ле-нивым; ზ ა ნ ტ ო ბ ა (ვზანტობ), ზ. უ. ვზარმაცობ, лениться, ვისრ. 26.
6. **ზარაზონა**, ზ ა რ ა ზ ი ნ ი დიდი ეჟვანი ჯორთა, აქლემთა და მისთანათა შესაბ-მელი.	6. **ზარაზონი**, ზ ა რ ა ზ ი ნ ი, ს. დიდი ეჟვანი ჯორთა, აქლემთა და მისთანათა შესაბმე-ლი, бубенчик, гремушка, საბ. ლ. [გან-მარტება მთლიანად ნ. ჩუბინაშვილიდანაა აღებული, დამოწმებულია მხოლოდ საბა, რომელსაც აღნიშნული აქვს: „ზ ა რ ა ზ ი ნ ი დიდი ეჟვანი“].
7. **ზარაფი** მეკერმე, ფულის პატრონი ან დამხურდაველი, банкир, менольщик.	7. **ზარაფი** (არაბ.), ს. მეკერმე, ფულის პატ-რონი, ან დამხურდაველი, банкир, „ме-няла“; ზ ა რ ა ფ ო ბ ა, ს. банкирство.

8. **ზარბაზანი** უდიდესი თოფი, ვიეთთამე ქვემეხი უწოდებიათ, пушка.
9. **ზარზამინი** სარდაფი შენობათა ქვეშე. подвал.
10. **ზარმაცი** ხანტი, მცონარი, ленивый.

8. **ზარბაზანი** (სპარს.), ს. ქვემეხი, უდიდესი თოფი, пушка.
9. **ზარზამინი,** სარდაფი შენობათა ქვეშ, подвал, ქიმ. 101.
10. **ზარმაცი,** ზედ., ხანტი, მცონარი, ленивый. ამას ავტორი უმატებს: ზარმაცობა, ს. леность, (ვჰზარმაცობ), ზ. უ. ვმცონარებ. лениться, ზარმაცება (ვჰ).

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში სიტყვობრივი მასალის დიდი ნაწილი შეტანილია ნ. ჩუბინაშვილის განმარტებებით, ოღონდ ოდნავი რედაქციული ცვლილებით

ნ. ჩუბინაშვილი:

1. **ზადიკი,** ზატიკი სომხურად დღესასწაული, праздник.//ზოგგან დაუდვიათ პასექის მაგიერ (I კორ. 5, 7 და შემდგომი; საქმ. 12,4), пасха.//წიგნი საგალობელთა პასექიდამ ვიდრე ყოველთა წმიდათა კჳრიაკედმდე, триодь цветная. //ზადიკობა (ვზადიკობ) დღესასწაულობა (I კორ. 5,8). праздновать.
2. **ზავი** თანხმობა, თანშეკრულობა, ერთსულობა, შერიგება (ვეფხისტ. 319), мир, союз, согласие. // შეზავება, ზომიერად შეერთება ნივთთა (ნახე მოზავება), растворение.
3. **ზაკვა** (ვზაკვავ) ენით ჩვენება სიყუარულისა, ხოლო გულში დაფარვა ბოროტისა (ფსალ. 5,9 და 14,3, კუალად 35,2), льстить.//(კუალად იხილე მატ. 26,4; მარკ. 7,22 და 14,1; ფსალ. 9,27 და 31,2), лесть, хитрость, ласкательство, лукавство, ზაკული, ზაკვიანი მზაკვარი, ვერაგი, მცბიერი (ფსალ. 11,2 და 16,1), льстивый, коварный.
4. **ზამთარი** წლის ნაოთხალი, დრო სიცივისა, ე. ი. 3 თთვენი: დეკემბერი, იანვარი, ფებერვალი (მატ. 24,24), зима.

დ. ჩუბინაშვილი:

1. **ზადიკი,** ზატიკი, ს. დღესასწაული; ზოგან დაუდვიათ პასექის მაგიერ, I კორ. 5—7, 8; გამოსლ. 12—12; 1 ქართლ. 246; საქმ. 12—4; წიგნი საგალობელთა პასექიდამ ვიდრე ყოველთა წმინდათა კვირიაკედმდე, праздник; пасха; цветная триодь, пятидесятичник, ზადიკობა, სხ. празднование, (ვჰზადიკობ), ზ. მ. ვდღესასწაულობ, праздновать.
2. **ზავი,** ს. თანხმობა, თან-შეკრულობა, ერთსულობა, мир, союз, согласие, ვეფხ. 314; შეზავება, ზომიერად შეერთება ნივთთა, раствор, смесь.
3. **ზაკვა,** ზაკუა, სხ. хитрость, лукавство, коварство, лесть; ზაკვით შეპყრობა, взять кого хитростью, მარკ. 14—1; ზაკვით სავსე არს პირი მისი, уста его полны обмана, საქმ. 13—10; იოან. 1—48; (ვჰზაკვავ, ვმზაკვი, სალმთო წერ.), ზ. მ. ენით ვიჩემებ სიყვარულსა და გულში დაფარულს ბოროტსა, лукавить, коварствовать, დავით. 5—9; 14—2; ზაკული, მიმ. მზაკვარი, ვერაგი, მცბიერი, лукавый, коварный, იგავ. 12—1; დავით. 11—2; ზაკულობა, ს. მცბიერობა, коварство.
4. **ზამთარი,** ს. წლის ნაოთხალი, დრო სიცივისა, დეკემბერი. იანვარი, ფებერვალი, зима, ზამთარ-გამოსული, ზედ. зимовальный, ზამთრება (ვი), ზ. მიჩ. ზამთარს გავატარებ, зимовать, ზამთრობა, ს. ზამთრის დრო, зимнее время, ზამთრის პირი, заморозы, რუსუდ., ქართ. ლ., начало зимы.

5. **ზარი** ელდა, ანაზდი შიში, განკრთომა (დაბად. 9,2; საქმ. 10,4; ვეფხისტ. 333, 342, 576), ужас, трепет, страх.//შიშის ზარი, ანუ თავსზარის დაცემა, გაშტერება შიშისაგან, ელდის ცემა (ჩახრუხ. 60,61), поражение, изумление.//ზრუნი, გოდების ბანი.

6. **ზარქაში** სირმა, სხეპლა ოქროსი ან ვეცხლისა განზიდული.

7. **ზაფრა** გვინი, დანძალუკი, სენი ნაღველის ბალღამის სიჭარბისაგან, желтуха, желчь.

8. **ზაფხული** წლის ნაოთხალი, ჟამი სიცხისა, ე. ი. 3 თთვენი: იუნისი, იულისი, აგვსტო (ფსალ. 73,17; მატ. 24,32), лето, жатва.

9. **ზედმიწევნა** საფუძულიანი ცნობა; ზედმიწევნით საფუძულიანად, სარწმუნოდ, უეჭველად, основательно, достоверно. ზედმიწევნილობა საფუძულიანი ცნობა მიზეზისა ნივთთასა, ანუ სრულებისა ხელოვნებათასა ესრეთ, რომელ იხმარების ლექსი ესე ნაცვლად გულისხმისყოფისაცა (მეტაფ. ბაუმ. 204), разум, разумение (ისაი. 33,6), хитрость.

5. **ზარი**, ს. ელდა, ანაზდი შიში, განკრთომა, ужас; смятение, დაბად. 9—2; ვეფხ. 73, 344, 1015; ან ტირილი, მოთქმა, ზრუნი, გოდება, плач, 2 ქართლ. 534, შიშის ზარი, ужас страха, შიშის ზარი დაეცა, он был поражен ужасом, ზარი და ზეიმი, торжество, თავს ზარი დაეცა, он был поражен ужасом, ზარმცა ენით თქმა, ე. ი. საშინელია ენით თქმა, страшно сказать, ვეფხ. 552; ზარის თქმა, оплакивать кого; ზარისმთქმელი, ს. плакальщик, плачея, плакуша; ზარის თქმევინება (ვა), ზ. მ. заставить оплакивать, დასტ. 120; ზარითა და პატივითა, с торжеством и почестями, I ქართლ. 302; ზარის ხდა (ვიხდი, ვიხადე); быть пораженy ужасом, ზარის სახდელი, поражающий ужасом, მარტ. 2—3; I ქართლ. 316.

6. **ზარქაში**, ს. სირმა, ოქროსი ან ვეცხლისა სხეპლა, нитка волотая, серебряная; ან ფარჩა, парча, ვეფხ. 606; დარეჯ. 49—2.

7. **ზაფრა**, ნუხლა ნაღველისა; ს. გვინი, დანდალუკი, სენი ნაღველის ბალღამისა სიჭარბისაგან, желчь; желтуха (болезнь печени), ან გულისრევა, позыв к рвоте, тошнота, ბაგრატ. ბატონ. 140; შავი ზაფრა, меланхолия; გულზედ ზაფრა მოსდის, с души тянет, рвет; ზაფრიანი, მაგალ. ენა, желчный язык, ზაფრიანად, ზ. ზ. желчно, კაცია 52.

8. **ზაფხული**, ს. ჟამი სიცხისა, ე. ი. თთვენი: ივნისი, ივლისი და აგვისტო, лето, ზაფხულში, летом, ზაფხულობა (ვქ), ზაფხულს ვატარებ, проводить лето, (მიზაფხულებ), ზ. მიჩ. ზაფხულს გამითენებ, ერისთ. 2—4; ზაფხულობით, во время лета.

9. **ზედმიწევნა**, ს. საფუძვლიანი ცნობა, основательное знание предмета, ისაი. 41—22; (ზედმივაწევ გონებასა), ზ. მ. გონებასა დავადევნებ, внимательно исследовать; ზედმიწევნით, ზ. ზ. საფუძვლიანად, სარწმუნოდ, უეჭველად, основательно,—ცნობა, достоверно знать,—სწავლულია, человек основательно ученый; ზედმიწევნილი, ზედ. საფუძვლიანად მცოდნე რისამე, основательно знающий что; ზედმიწევნილობა, ს. საფუძვლიანი ცნობა რისამე, დახელოვნებულება სწავლაში, საქმეში; გულისხმის ყოფა; ос-

	понятельное знание, разумение; ლოლ. 11, 25, 26; კატილ. 147; მეტაფ. 14: მარტ. 1,6; 1—79; ისაი. 33—6.
10. ზედსაჩინო ზენაპირი, ეპიფანია (სხე-ულთან ნახე), поверхность.	10. ზედსაჩინო, ს. ზენაპირი, ეპიფანია, по-верхность, горизонт, სამღვთო წერილში: ნათელი, გამოსაჩენი, ясный, светлый. მალაქ. 1—14.

ამ შედარებიდან, რომლის ნიმუშების მოტანა შეიძლებოდა ყველა ასოს მასალებიდან, ნათელია, რომ დავით ჩუბინაშვილს ათასობით ლექსიკური ერთეულის განმარტების საფუძვლად ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონი აუღია. ავტორს არ შეუცვლია ბიძის განმარტებების აზრი, ოღონდ შეუტანია მასში მხოლოდ ოდნავი რედაქციული ცვლილება (სიტყვების გადასმა-გადმოსმა), დაუმატებია ახალი ლიტერატურული მოწმობანი და ფრაზეოლოგიური მასალა. ვერ შეუცვლია ვერც რუსული შესატყვისობანი. რუსული ენის ზედმიწევნით ცოდნამ და რუსული ლექსიკონების საფუძვლიანმა შესწავლამ ნიკო ჩუბინა-შვილს შესაძლებლობა მისცა სწორად ეთარგმნა ქართული სიტყვები რუსუ-ლად, სწორად გაეხსნა მათი ლექსიკური შინაარსი და ყოველივე ეს აესახა ლექსიკონში.

დ. ჩუბინაშვილს, როგორც აღინიშნა, გაცილებით უკეთეს პირობებში უხდებოდა ლექსიკოგრაფიული მუშაობა, ვიდრე მის ბიძას. გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა ავტორმა დასაბეჭდად ჩააბარა თავისი ნაშრომი, ქარ-თულად უკვე გამოცემული იყო საბას ლექსიკონი (მხედველობაში გვაქვს რ. ერისთავის გამოც., თბ., 1884 წ.); ავტორს ხელთ ჰქონდა აგრეთვე ბეჭდუ-რად გამოცემული ლიტერატურული თხზულებანი და მდიდარი პერიოდული ლიტერატურა. ამასთან, მის განკარგულებაში იყო რუსული ენის ბრწყინვალე ლექსიკონები, რომლებიც XIX საუკუნის 40-იანი წლების შემდეგ შეიქმნა, უწინარეს ყოვლისა, ვ. დალის „Толковый словарь", და მდიდარი ლექსიკო-ლოგიურ-ენათმეცნიერული ლიტერატურა. ყოველივე ეს დავით ჩუბინაშვილი-სათვის ხელმისაწვდომი იყო და ავტორი კიდევაც სარგებლობდა მით. მიუხე-დავად ამისა, მას სიტყვათა ბიძისეულ განმარტებებში პრინციპული ხასიათის ცვლილებები არ შეუტანია, არ შეუცვლია მისი არქიტექტონიკა.

ნიკო ჩუბინაშვილს კი, როგორც უკვე ვიცით, ხელთ ჰქონდა საბა ორბე-ლიანის ლექსიკონი (ხელნაწერად), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის განმარ-ტებითი ლექსიკონი და იმდროინდელი ბეჭდური სიტყვარები. სხვა სპეცია-ლური ლიტერატურა ავტორის განკარგულებაში არ ყოფილა.

მიუხედავად ამისა, ნ. ჩუბინაშვილმა თუ მაინც შეძლო ისეთი ლექსიკო-ნის შედგენა, რომელმაც მეთოდოლოგიით, პრინციპული მოთხოვნებითა და, რაც მთავარია, სიტყვათა განმარტების მხრითაც გაუძლო ეპოქას და 70—80 წლის შემდეგაც კი არ გახდა შესაცვლელი, ეს ლაპარაკობს ავტორის უდავო ერუდიციაზე, მისი ნაშრომის მეცნიერულ ღირსებაზე. ეროვნულმა წყარომ და ნიადაგმა და რუსულმა ლექსიკონებმა ნ. ჩუბინაშვილს შესაძლებლობა მისცეს შეექმნა ქართული ენის ახალი ლექსიკონი, რომელიც არა თუ XIX საუკუნეში, დღესაც ინარჩუნებს თავის დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას.

დავით ჩუბინაშვილი მოიქცა სავსებით სწორად, როცა დავიწყებას არ მისცა ბიძის ნაშრომი, საბას „სიტყვის კონასთან“ ერთად დამშვიდებით დაემყარა მას და გამოიყენა თავისი ლექსიკონის საფუძვლად.

* * *

ჩვენ დიდი ხანია ვფიქრობდით ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის გამოცემას. ძეგლი გამოსაცემად მოვამზადეთ S 3709 ხელნაწერის მიხედვით ჯერ კიდევ 1949 წელს. იცემა იგი უცვლელად. გასწორდა მხოლოდ აშკარა ლაპსუსები. ქარაგმები გახსნილია ჩვენ მიერ. ავტორისეულ სასვენ ნიშნებში ცვლილებები შეტანილია თანამედროვე ნორმების მიხედვით. ხელნაწერში გამოყენებული სიმბოლური ნიშნების ხმარება საჭიროდ აღარ მივიჩნიეთ. მკითხველი ამ ნიშნებს გაეცნობა ნ. ჩუბინაშვილის „შესავალში“.

კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები გამოტანილია ჩვენ მიერ ან წარმოადგენს ხელნაწერზე სხვა ხელით შესრულებულ მინაწერებს.

დასასრულ, მადლობა უნდა მოვახსენოთ ყველას, ვინც საქმიანი რჩევადარიგებითა თუ ძვირფასი შენიშვნებით ხელი შეუწყო ამ წიგნის გამოცემას. პირველ რიგში გულწრფელი მადლობა წიგნის რედაქტორს პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილს, რომელმაც დიდი შრომა გასწია დასაბეჭდად მომზადებული ტექსტის რედაქტირებაზე. გულითად მადლობას მოვახსენებთ აგრეთვე პროფესორ ლეონ მელიქსეთ-ბეგსა და პროფესორ სერგი ჯიქიას ლექსიკონში შეტანილი სომხური და თურქული სიტყვების შეჯერებისათვის. პროფ. ს. ჯიქიას მიერაა ნაჩვენები ნ. ჩუბინაშვილის მიერ თურქულად მიჩნეული რამდენიმე სიტყვის წარმომავლობა, რაც თავ-თავის ადგილასაა მითითებული კვადრატულ ფრჩხილებში.

14.8.60.
თბილისი

ალ. ღლონტი

შესავალი ქართულის ლექსიკონისა

ქართული ლექსიკონი

საბა-სულხან ორბელიანისაგან შეთხზული და მცირედ გამართული სისტემისაებრ მისისა, გარნა კუალად მოქენე უმეტეს განმარტჳსა და უმჯობესად შესრულებისა

სისტემა საბასი არს ესრეთ:

1. შესავალსა შინა განმარტებს ქართულთა ასოთა, ეგრეთვე საქცევთა მარცვალთა და ლექსთასა. ესე ფრიად სახმარ არს ეტიმოლოღიურისა გამოძიებისათჳს ლექსთა ძირისა.

2. სახელთა თანა, დამნიშვნელთა ნათესავისათა, მუნვე დაურთავს აღრიცხუა სახეთა მისთა და, რაოდენ შესაძლო არს, განუმარტებია სხვაობა მათი.

ესე ფრიად სარგებელ არს, ვინათგან სახენი ურთიერთისა შესწორებითა და ჩვენებითა სხვაობისა მათისათა, უმჯობეს შეიმეცნებიან. გარდა ამისსა მრავალჯერ შეხუდების ვისმე, რომელ ვერ მოიგონოს მსწრაფლად ერთი რომელიმე სახე მის რომლისამე ნათესავისა, რომელსა თანაცა მალე ჰპოვებს სრულიად სახეთა მისთა. მაგალ., მსწრაფლად ვერ მოვიგონე ჯვარედინის გზის სახელი, მაშინ გზასა თანა ვჰპოვებ მებოძირსა. ანუ სახელი ფეხსაცმელთ ძირისა, მაშინ ძირსა, ანუ ფსკერსა თანა ვჰპოვებ ლანჩსა. გინა სახელი აქლემთა ჯოგისა, მაშინ ჯოგსა თანა ვიპოვი კოლტსა და სხვადასხუა.

3. სიმოკლისათჳს ლექსთა განმარტებისა, საბას ფრიად კეთილად უხმარიან საზოგადონი ნიშანნი: ლ—ოთხფერხთა, ♈—მფრინველთა, 🐟—თევზთა, ♀—ხეთა, ⚘—ბალახთა და სიუათანი.

4. უმრავლესთა ლექსთა თანა აღუნიშნავს რიცხჳ მუხლთა სალვთოსა წერილისაგან და სხუათა საეკლესიოთა ანუ საეროთა წიგნთა, სადაცა იპოვებიან ლექსნი იგი.

5. ქართულთა ლექსთა თანა ზედ მოუწერიან ლექსნი იტალიანთა, თურქთა და სომეხთანი, რომელნიცა აჩვენებენ, უკეთუ მათ ენათაგან მიღებულ არიან ქართულად ლექსნი იგი.

ფრიად საქებელი ესე სისტემა საბასი დაცვულ არს მცირედ განმარტულსა ამას ლექსიკონსა შინა, ხოლო ვითარნიცა განმარტულებანი ქმნილ არიან, მოიხსენების შემდგომად ამასვე შესავალსა შინა და პირველად წინა დაიდების მოკლედ ცხოვრება ქართულის ლექსიკონის ავტორის საბასი, გამოწერილი მისივე წიგნისაგან.

მოკლედ ცხოვრება საბასი, რომელსაც ერისკაცობაში ერქვა სულხან

„ს ა ბ ა-ს უ ლ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი მეფის არჩილისა, მეფის გიორგისა და ბატონის შვილის ლეონის დედის ძმისწული, საქართველოს მსაჯულის ბატონის ორბელის ძე, დაიბადა 1668 წელსა ქ̃კს ტმვ, ოკდომბრის 24, რომ ლათინურად ნოემბრის 4 იქნება, დღესა კჳრიაკესა და სხუანი.

ამა მეფეთა ბრძანებითა აღსწერა წიგნი ესე (ლექსიკონი) ფრიადითა შრომითა და რუდუნებითა, რამეთუ ქართლისა ქვეყანასა ლექსიკონი აღარ იპოვებოდა და 30 წელიწადსა ძვილ შეაწყო განმარტებით.

ესე იყო პირველად ერისაგანი წარჩინებული და სოფლის საქმეთაგან უცალო. შემდგომად დაუტევა სოფელი 1685 წელსა და წარვიდა გარესჯის მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერსა და მუნ დაადგრა. ხოლო წელსა 1698, მარტის 18 მონაზონ იქმნა და ეწოდა საბა. წელსა 1710, დეკემბრის 1, ხვარასანს წავიდა, მეფეს ქაიხოსროს ეხმო და ფებერვლის 20 გამოისტუმრა მრავლის ნიჭითა. მაისს 11 ქართლს მოვიდა. წელსა 1712, აპრილის 23, ისპაანს წავიდა, მეფეს ვახტანგს თან იახლა და 2 ნოემბერს გამობრუნდა. დეკემბრის 20 ქართლს მოვიდა. შემდგომად წელსა 1713, აგჳსტოს 27, საფრანგეთს წავიდა მალვით. განვლო სიკილია, რომი, ჯენევია, მივიდა ფრანციას, ნახა ფრანციის მეფე და პაპა კარანდუკა. ესენი ფრიად კეთილად დახუდნენ და ყოველთა კაცთა პატიჳ სცეს. რაც იმ ქვეყნებში უცხო და ძვირად სანახავი იყო, სულ აჩვენეს. პაპამ წმიდის ჯვრის ნაწილი, წმიდის მოწამის კლემენტოსის თავისა და სხვა მრავალი ნაწილები უბოძა და აგჳსტოს 18, წელსა 1714, გამოისტუმრა და გზაზედ წმიდა სახლი და მრავალი წმიდა ადგილები მოილოცა. 20 ოკდომბერს მალთას მოვიდა, იქ 8 დეკემბერს ფრანციისის ხომალდი შეხუდა და წამოვიდა. წელსა 1715, იანვრის 19, კონსტანტინოპოლს მოვიდა, იქ დაეგვიანა ის წელიწადი. ფრანციისის დესპანისას იდგა ხელის შეწყობით“.

(ამის შემდეგი აღარ ეწერა).

საბა ორბელიანი თჳსის ლექსიკონის შესავალსა შინა ანდერძნამაგსა, სხუათა შორის, სწერს:

„რაოდენი ძალ-მედვა, ვეცადე. ელლინთა, ლათინთა, იტალიანთა, სომეხთა, რუსთა, არაბთა წიგნებთაგან შემოწმებით გარდმოვიღე და უმრავლესი დამიშთა. ამისთჳს, რამეთუ მე ქართულისგან კიდე სხვა ენა არ ვიცოდი და ამათ ენათ მეცნიერთა, რომელთაც სწორედ სთქვეს, ანუ რომელმაც დამაჯერა,

იგი დავსწერე და რომელნი არ ემოწმნეს, არცაღა მე დავერწმუნე. თქვენ, რომელთა მოგცეს უფალმან სიბრძნე და მეცნიერება, გულსმოდგინედ შეასრულეთ.

არა უცებთა გეტყჳ, არამედ ბრძენთა ვედრებით მოგახსენებთ, უწინარეს ლათინური და ელლინური ლექსიკონი ვერ ვნახე, თვარა უფრო რიგით აღვსწერდი. მასუკან ვნახე, ზოგი იმითი გავმართე და წერილთ რიცხვები თანჩართვით დავუსხი".

კჳალად სხვასა ადგილსა სწერს: „სომხური ერთი მომცრო ლექსიკონი ვნახე პირველად და მათის ბაძით აღვსწერე და სხ.".

და ნამდჳლცა ერთის კაცისაგან შეუძლებელ არს ამგვარის შრომის შესრულება, რაოდენცაღა მრავალთა ენათა და სწავლათა მეცნიერ იყოს. თუმცაღა საბა თჳთ აღიარებს უცოდინარობასა სხჳათა ენათასა, მაგრამ, სჩანს, თავმდაბლობით უთქვამს ესე, ანუ როდესაც დაუწყვია ლექსიკონის წერა, მაშინ იქნება ქართულის ენის მეტი სხვა არ იცოდა და როდესაც ამდენი ქვეყნები მოუვლია, არ იქნება, სხვა ენებიც არ ესწავლა და შემდგომად არ გაემართა თჳსი ლექსიკონი, რომელიც სჩანს ამით, რომელ უცხოთ ენათ ლექსებიც თან ჩაურთავს.

შემდგომად საბასა, მრავალთა მეცნიერთა კაცთა დაუდვიათ შრომა და გაუმართავსთ, ვის როგორც შესძლებია, ანუ ნდომებია, ზოგთ უფრო შემოკლებით და ზოგთ უფრო განვრცელებით. ამის გამო ხელნაწერნი ლექსიკონნი იხილვებიან ზოგნი დიდნი და ზოგნი მცირენი. მაგრამ უმეცართა გარდამწერთა მრავალს ადგილს გაურყჳნიათ და შეცთომაებით აუვსიათ.

აქა წინა დაიდების სრული ქართული ანბანი 40 ასო, შესწორებულად სათჳალავთა სხვათა ენათათა

წესი	ასონი ქართულნი	ასონი ბერძნულნი	ასონი სლავენურნი	ციფრანი რომაულნი	ასონი სომხურნი	ციფრანი არაბულნი
1	ა	α	а	I	ա	1
2	ბ	β	б	II	բ	2
3	გ	γ	г	III	գ	3
4	დ	δ	д	IV	դ	4
5	ე	ε	е	V	ե	5
6	ვ	ζ	з	VI	զ	6
7	ზ	ς	ѕ	VII	է	7
8	ჱ	η	и	VIII	ը	8
9	თ	θ	ѳ	IX	թ	9
10	ი	ι	і	X	ժ	10
11	კ	κ	к	XX	ի	20
12	ლ	λ	л	XXX	լ	30
13	მ	μ	м	XL	խ	40
14	ნ	ν	н	L	ծ	50
15	ჲ	ξ	ѯ	LX	կ	60
16	ო	ο	о	LXX	հ	70
17	პ	π	п	LXXX	ձ	80

წესი	ასონი ქართულნი	ასონი ბერძულნი	ასონი სლოვენურნი	ციფრანი რომაულნი	ასონი სომხურნი	ციფრანი არაბულნი
18	ჟ	ϟ	ч	XC	ղ	90
19	რ	ρ	р	C	ճ	100
20	ს	σ	с	CC	մ	200
21	ტ	τ	т	C(C	յ	300
22	უ	υ	оу	CD	ն	400
23	ფ	φ	ф	D	շ	500
24	ქ	χ	х	DC	ո	600
25	ღ	ψ	ѱ	DCC	չ	700
26	ყ	ω	ѡ̃	DCCC	պ	800
27	შ	y	ц	DM	ջ	9.000
28	ჩ	+α	+а	M	ռ	1.000
29	ც	+β	+б	MM	ս	2.000
30	ძ	+γ	+г	MMM	վ	3.000
31	წ	+δ	+д	IV^m	տ	4.000
32	ჭ	+ε	+є	V^m	ր	5.000
33	ხ	+ζ	+ѕ	VI^m	ց	6.000
34	ჴ	+ξ	+з	VII^m	ւ	7.000
35	ჯ	+η	+и	VIII^m	ու	8.000
36	ჰ	+ϑ	+Ѳ	IX^m	փ	9.000
37	ჵ	+ι	+і	X^m	ք	10.000
38	ჳ	—	—	—	օ	—
39	ჷ	—	—	—	—	—
40	ჶ	—	—	—	ֆ	—

ამ შესწორებისაგან ჰსჩანს, ვითარმედ ჟამსა შედგენისა ქართულისა და სომხურის ანბანთასა, შემოუტანიათ 37 ასო შესასრულებელად ათიათასის სათუალავისა ასოებითა. ხოლო სამნი უკანასკნელნი ასონი ჳ, ჷ, ჶ შემდგომად არიან შეძინებულნი და ამად არა იხმარებიან სათუალავსა შინა.

თჳთ საბა შესავალსა შინა თჳსის ლექსიკონისასა აღრიცხავს ქართულთა ასოთა 37, ხოლო ასოსათჳს ჳ იტყჳს: ეს ჳ მჯდარა ძველად უ ადგილს და სათუალავადცა ყოფილა 400. შემდგომად უ ოთხასად დაუსვამსთ და ანბანში ჳ უნის უკან მოუსვამსთ და რიცხჳდამ ამოუღიათ. მაშა რიცხჳთ საშუალ რადლა მჯდარიყო. ამისთჳს ბოლოს დავსვიო. და ამასთანავე ჰკჳრობს, რომელ ქართველთა მთარგმნელთა ძველადვე არ შემოუღიათ არაბული ციფირი სათუალავად.

გარნა საცნაურ არს ისტორიისაგან, კჳალად არაბულნი ციფირნი შემოღებულ არიან ევროპიულთა საქრისტეანოთა სასწავლებელთა შინა ქრისტესით 921 წელსა და იქნება ბერძენთ უფრო გვიან შემოიღეს, ხოლო ქართველნი მთარგმნელნი წმინდანი მამანი იყვნენ ქრისტესით 882 წლითგან და შემდგომად მისსა და ამისთჳს ძველადვე არ უხმარიეს მათ ციფირნი სათუალავად.

ႱႠႦႭႢႠႣႭႬႨ ႸႤႱႼႠႥႤႡႠႬႨ ႧჃႱႤႡႨႱႠႧჃႱ ႣႠ ႾႫႠႰႤႡႨႱႠ ႰႭႫႤႪႧႠႫႤ ႠႱႭႧႠ ႵႠႰႧႳႪႨႱ ႠႬႡႠႬႨႱႠႩႠ

1. ასოთათჳს უ, უ̂ ბრჯგუთი, ჳ და ჶ

ნაკვეთი ასოჲსა უ ხუცურად Ⴍ და ႭჃ აჩვენებს, ვითარმედ წარმოსდგების იგი ასოთაგან ო და ჳ. ანუ ⴍ და ⴣ. ხოლო ასომთავრულსა Ⴍ თანა ნიადაგ ხმარებულ არს ასო Ⴣ, მაგალ., ႭჃფალი ანუ ქარაგმით Ⴍ́ი. ამის გამო ხუცურთა შინა წერილთა ქარაგმიანი ძარტო ⴍ́ ანუ ⴍ́ⴣ ჰნიშნავს ⴓფალი, ანუ უფალი. კჳალად Ⴈ́Ⴣ წარიკითხების Ⴈესო ანუ ႨႤႱႭჃ. ესე უ შემოღებულ არს მსგავსად ბერძულისა ȣ. რამეთუ ბერძულსა ანბანსა შინა არა არს საკუთრად ასო უ და ნაცვლად მისსა იხმარებიან ორნი ესე ο ომიკრონ და υ იპსილონ, ერთად დასხმითა ου, ანუ ზედ შესხმითა ȣ.

და ნამდჳლცა ასო ჳ იხმარების ადგილსა υ ბერძულისგან მიღებულთა ლექსთა შინა და მაშინ გამოითქმის ვითა ი. მაგალ., ჳპატოსი, ეგჳპტე და სხ. არამედ შეუმეცნებელნი ამისნი გამოსთქმენ ესრეთ: ჶიპატოსი, ეგვიპტე. ამისთჳს ჰხამს, რათა ასოსა ზედა ჳ უცხოსა ენისა ლექსთა შინა დაისმოდეს მახვილი, განსარჩეველად გამოთქმისა ქართულთა ლექსთა შინა ხმარებულისაგან ჳ.

ხოლო ვინათგან ქართულად ასო ჳ იხმარების ნაცვლად უ̂ ბრჯგუთი და ი, მაგალ.: მოგჳ, ლეღჳ, შესაძლო იქმნებოდა დაწერად: მოგუ̂ი, ლეღუ̂ი. რამეთუ სადაცა მოესპობის ამათ ასო ი, მაშინ დაშთების მხოლოდ უ̂ ბრჯგუ. მაგალ.: მოგუ̂სა, მოგუ̂თა, ლეღუ̂სა და სხ. ანუ წინაუკმოდ. მაგალ.: ზღუ̂ა, ქუ̂ა, ხედუ̂ა. ნათესავობითად: ზღჳსა, ქჳსა, ხედჳსა და სხ.

ვინაცა ასო უ̂ ბრჯგუ არს ნახევარხმოვანი, ანუ საშუალი რაჲმე უ და ვ, ვერ შემადგენელი თავით თჳსით მარცულისა, ვითა ბერძულიცა υ, შემდგომად ხმოვანთა ასოთა იხმარების ამგუ̂არადვე. მაგალ.: εὐλογία ევლოგია, ანუ ეუ̂ლოგია; εὐρώπη ევროპა, ანუ ეუ̂როპა; Ζεύς ზევსი; λαῦρα ლავრა, ანუ ლაუ̂რა; Μαῦρος მავროს, მაუ̂როს და სხ.

ფრიად უკანონოდ ჰსწერენ ვიეთნიმე ნაცულად ჶილოსოჶია, სერაჶიმი და სხ. ჳლოსოჳა, სერაჳმი, რომელნიც უნდა გამოითქუ̂ნენ ესრეთ: უ̂ილოსოუ̂ია, სერაუ̂იმი. ამის გამო შემოტანილ არს ესეცა ასო ბერძული ჶ, რომლისათჳსცა იტყჳს საბა: „ვითარმედ ესე ძველს წერილებში იჯდა და შემდგომად მწერლებს უგულებელს ექმნათ, არამედ მე ისევ ახლად დავსწერეო, თუმცა ჩვენს ენაში ეგოდენ სახმარი არ არის, მაგრამ სხვათა ენათა ლექსთათჳს დიდად სახმარიაო და სხ."

2. ასოთათჳს ჱ, ჲ, ჰ, ჵ

ამათ ოთხთა ასოთაგან საგონებელ არს საკმაოდ მხოლოდ ჰ, ვინათგან ჱ შესაძლებელ არს დაწერად ჰეე, ჲ—ჰიე და ჵ—ჰოე. ესე ცხადად ჰსჩანს უცხოსა ენისა ლექსთაგან. მაგალ., ჱროდე ნაცვლად ჰეროდე, ლათინურისაებრ

Herodes, ხოლო ბერძულისაებრ ი რ ო დ ი, Ηρώδης; ანუ ჲ ი ნ დ ო ნაცჳლად ჰ ი ნ დ ო, გინა ი ნ დ ო; ჵ ო რ ო მ ი ნაცჳლად ჰ ო რ ო მ ი და სხ.

კჳალად ასოსა ჰ ვიეთნიმე სათჳალავთა შინა ხმარობენ ნაცჳლად ჵ, ანუ ზ, რამეთუ იხილვებიან დაწერილნი ესრეთ: ქ˜კს უპჰ ნაცჳლად უპჵ, ე. ი. 488. და თჳთ ვახტანგ მეფის სამართლის წიგნსაცა შინა, მეცნიერთა კაცთაგან დაწერილსა, რიცხჳნი მუხლთანი ზ 18,28 და შემდგომნი, ეგრეთვე დაბეჭდილსაცა შინა ვეფხისტყაოსანსა რიცხჳნი მუხლთანი დანიშნულ არიან ასოჲთა ჰ და სჩანს, ვითარმედ ასო ჵ საჭიროდ არა შეურაცხავსთ სრულად.

3. ასოთათჳს თ და ფ

ესენი გარდა ქართულთა ლექსთა, იხმარებიან სხჳათა ენათაგან მიღებულთა ლექსთა შინა ნაცჳლად ბერძულთა ϑ და φ, თუმცა არა სრულად ჰგჳანან მათ. არამედ პირველი თ სრულად მსგავს არს ლათინურისა th, ვითარ: theoria თეორია, theatrum თეატრო, Thomas თომა, arithmetica არითმეტიკა. გარნა ლექსსა ამას ქართულად სწერენ უკანონოდ ა რ ი ხ მ ე ტ ი კ ა. და ვინათგან მეორე ფ არა სრულად ჰგავს ლათინურსაცა ph, ამად უცხოსა ენისა ლექსთათჳს შემოღებულ არს ასო ჶ, რომლისათჳსცა ითქჳა ზემორე.

4. ასოთათჳს გ, კ, ქ, დ, ხ და შედგომილთა მათთა

მრავალთა ევროპიულთა ენათაგან და უფრორე სლავენურისაგან ჰსჩანს, ვითარმედ ასოსა г შეუდგებიან з და ж, ასოსა к — ц და ч, ასოსა х — с და ш. მაგალ., д р у г множ. д р у з ь я, сущ. д р у ж б а, прил. д р у ж н ы й; н о г а множ. н о з е, прил. ножный, уменьш. н о ж к а; р у к а множ. р у ц е, прил. ручный, уменьш. р у ч к а; в о з д у х предл. н а в о з д у х е, прил. в о з д у ш н ы й и проч.

ამგჳარადვე ასოსა გ შეუდგებიან ძ და ჯ, ვითა იტალიანურად g არს გ, ხოლო წინაშე e და i ითქმის ჯ. მაგალ., generale ჯ ე ნ ე რ ა ლ ე, გ ე ნ ე რ ა ლ ი, რომელია სარდალი; Angelo ა ნ ჯ ე ლ ო, ა ნ გ ე ლ ო ს ი; genealogia ჯენეალოჯია, გ ე ნ ე ა ლ ო გ ი ა. ეგრეთვე არაბნი ნაცჳალად გ ხმარობენ ჯ, ვითარ გეონი — ჯ ე ო ნ ი (ვეფხისტ. 739), გაბრიილ — ჯ ი ბ რ ა ი ლ; ნარგილა — ნ ა რ ჯ ი ლ ა და სხ.

ხოლო ასოსა ქ შეუდგებიან წ და ჭ, ვითარ რ ო ქ ი, ბერძულისაგან ρόγα, რ ო ჭ ი კ ი, რომელია ჯამაგირი და სხ.

და ესრეთ წესი ამათი იქმნების ესრეთ:

გ	შეუდგებიან	ძ და ჯ
კ	„	ც და ჩ
ქ	„	წ და ჭ
დ	„	ზ და ჟ
ხ	„	ს და შ

არამედ ესე ითქმის საზოგადოდ კაცობრივისა ხმისათჳს და არა თუ მიუცილებლობით ერთისა რომელისამე ენისათჳს, ვითარ იგი ბერძულსა ანბანსა შინა ორთა ოდენ ასოთა γ და χ ჰქონან თჳთონი შედგომილნი ξ და σ, ხოლო მეორენი ჟ და შ. არა და к, არცაღა ერთი აქჳს, რომელ არიან ც და ჩ.

გარნა ქართულსა ენასა შინა არა ეგრეთ ხშირად იქმნების შეცჳალება ასოთა ერთი მეორესა ზედა, ვითა სხვათა ხსენებულთა ენათა შინა, არამედ ფრიად იშვიათად. მაგალ., ნამკეკი, ნამკესი, ნამცეცი; იალკიალი, იალციალი; კრკილი, ჩრჩილი; კივილი, წივილი; კჳნესა, ხჳნეშა; კრჩხა, გრჯღა; კჳნიტი, კჳნიწი; თიკანი, ციკანი; ზროხა, ძროხა; ზრახჳა, ძრახჳა; შეზიზინება, შეჟიჟინება; თრთოლა, ძრწოლა, ზრზოლა; ლაჟლაჟი, ხაშხაში; აძეძი, აჯეჯი; ლაჟვარდი, ლაჯვარდი; წმახე, ჭმახე; ხიწვი, ხიჭვი; ჩხაბვა, ჯღაბვა; ჩლიქი, ჭლიკი; ჩაქჩაქი, ჯაგჯაგი; ჭინჭარი, ჯინჭარი; პიტვი, ფიჭვი; ხრიალი, შრიალი; ვასხი, ვახში; სხივილი, შხივილი; ლასლასი, ლახლახი; არტახი, არტაში და სხ.

ბ. ასოთათჳს ღ და ყ

ასო ყ გარდა საკუთრად ქართულთა ლექსთა, იხმარების მრავალთა შინა აზიურთა ენათაგან მიღებულთა და უფროსღა არაბულისგან: ყავა, ყათარი, ყალანი, ყარამფილი, ყარაული, ყაფაზა, ყარყუმი, ყუვი, საყაყუში, თუთიყუში და სხჳანი.

გარნა ამისსა სომხურსა ენასა შინა ასო ղ ღატ იხმარების ნაცჳლად სამთა ასოთა ღ, ყ და სათჳთოთა ლექსთა შინა ლ ნაცჳლადცა, თუმცა აქჳსთ ესეცა ასო լ ლიუნ. მაგალ., ვალტასარ, სოლომონ, ლუკა, ეკლესია, იერუსალიმ, ბეთლემ და სხ. იგინი სწერენ და იტყჳან: ბაღდასარ, სოღომონ, ღუკაზ, ეგეღეც, ერუსაღემ, ბეთღაიმ, ანუ ფეთხაინ. ეგრეთვე ლექსთა შინა საზიაროთა ქართულისათა: ქალაქი, ფული, ფოლორცი, ბლარჯი, ალქატი და სხ. სომხურად: ქაღაქ, ფუოღ, ფოღოც, ბაღაჯ, აღქატ. არამედ ლექსთა: ლაზარე, კალამი გამოსთქმენ და სწერენ ქართულად: ყაზარ, ყალამ და სხ.

ამგჳარად, რუსული г იხმარების ნაცჳლად სამთა ასოთა გ, ღ და ჰ უცხოსა ენისა ლექსთა შინა.

გ. ასოსათჳს ჴ

ქართულსა ანბანსა შინა შემდგომად ასოსა ხ დაურთავსთ ჴ, რომელიცა სათჳალავსა შინა ჰნიშნავს 7.000 და უიჭველად აღრიცხჳს შესასრულებლად შემოუტანიათ ესე და რომელნიმე სხჳანიცა მომატებულნი, ვითარ იგი ბერძულსა შინა სათჳალავსა ასონი ϙ—90 და ϡ—900 და სხ. წერილთა შინა არა იხმარებიან.

გამოთქმა ასოჲ ჴ უფროჲს ეკუთნვის ენასა ლექთასა, რომელთაცა საუბარი არს ფრიადითა ძალის დატანებითა ხორხისათა, ხოლო ქართულსა შინა საუბარსა სხვაობა ასოთა ხ და ჴ კნინღა არა რაჲმე იპოვების, რამეთუ მათ მხარეთა შინა, სადაცა გამოიღებენ ხ, არა სადა ისმის გამოთქმა ჴ, და სადაცა ხმარობენ ჴ, ყოველთავე ლექსთა გამოსთქმენ ამით ასოჲთა და არა სადა სჩანს ხ.

მაგალითად, მოვიღოთ ლექსი ქ ი ს ი ყ ი (კჳზიკი, κυζ(κη)), რომელსაცა მის თემის კაცნი გამოსთქმენ და სწერენ ჴ ი ზ ი ყ ი. ამა ლექსისათჳს მოიხსენებს ვახუშტი ბაგრატიონი აღწერასა შინა კახეთისასა, ვითამც სახელი ესე ეწოდა მათ უ ს ა ქ ც ი ე ლ ო ბ ი ს ა თ ჳ ს. გარნა ქართულად ლექსი ესე არა რას ჰნიშნავს უსაქციელოსა, არცა საქციელიანსა, არამედ დარქმეულ არს მიმსგავსებითა საბერძნეთის ქალაქისათა, რომელია კ ჳ ზ ი კ ი, მდებარე ნაწილსა შინა ელლესპონტისა, ანუ მიზიისასა (იხილე მეტაფრასი დაუჯდომლობის შაბათისა და ჟამნში 29 აპრილს და 8 აგჳსტოს). და რუსეთსაცა შინა არს კ ჳ ზ ი ჩ ე ს კ ი მონასტერი მახლობელ ყაზანისა, რომლისა დღესასწაულობა არს 19 ნოემბერს (იხილე в м´цослове).

მსგავსადვე ამისსა არიან მრავალნი სახელნი ადგილთანი, საბერძნეთიდგან შემოღებულნი საქართველოსა შინა, ვითარ ნ ი ქ ო ზ ი, რომელიცა ეწოდების ქალაქსა, კჳპრიზის ჰალაკსა შინა მდებარესა; ხ ო ნ ი კლლასეს (იხილე ჟამნში 6 სეკდემბერს) და ხ ო ნ ი იმერეთს; კუალად ო ნ ი (გამოსლ. 1,11; ო ნ ი ეგჳპტეს); დ ი რ ბ ი (საქმ. მოც. 16,1); კუალად უ ლ უ მ ბ ა, ე. ი. ო ლ ი მ პ ი, მთა საბერძნეთისა; ი ტ რ ი ა, კ ო რ ი ნ თ ა, ბ ე თ ა ნ ი ა და თჳთ სახელიცა გ ე ლ ა თ ი ჰგავს წოდებულად ბერძულისაგან გ ა ლ ა ტ ი, გ ა ლ ა ტ ე ლ ი, არამედ ზოგნი განმარტებენ ზ̃ნისაგან: გ ა ე ნ ა თ ა. ესე არა სარწმუნოებრი არს და სხვადასხუა.

ესრეთთა ლექსთა მუნებურნი განმარტებენ ქართულითა ლექსებითა, ვითამც სამქებაროდ თჳსად, ხოლო სხჳს თემისანი საგიობელად მათდა თჳსგანვე მოგონილითა, ვითამც ქართულითა ლექსებითა და ამითი იოცნებენ თავთა შორის თჳსთა ღრმასა მეცნიერებასა, არამედ ესევითართა სუსტთა ჰაზრთა მდაბიოსა ერისათა უხამს არს შეტანა ისტორიასა შინა რეცა საფუძვლიანად, რამეთუ უხამს იქ̃ნებოდა თარგმანება ლექსთა ნ ი ქ ო ზ ი ნიგოზისაგან, ანუ დ ი რ ბ ი ზმნისაგან დ ა რ ბ ი. ხოლო ვისცა ენებოს საფუძვლიანად ცნობა მათი, იძიოს ისტორიულსა და ღეოღრაფიულსა ლექსიკონთა შინა.

მაშა უმართლეს იქმნებოდა ქისიყელთა უსაქციელობის მაგიერ თქმაჲ, ვითარმედ იგინი მსგავსად მის თემის ხმარებისა გამოსთქმენ და სწერენ კ ჳ ზ ი კ ს ა ჴ ი ზ ი ყ ა დ.

თუმცა ვიეთნიმე დასდებენ კანონად, რათა ასოჲთა ჴ იწერებოდეს ჴ ე ლ ი, რომელია ასო კაცისა თითებითურთ მობმული მხარსა ზედა და მისნი სხმითგარდასლვთნი: ჴ ე ლ ო ვ ა ნ ი, ჴ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა და სხ., ხოლო ასოჲთა ხ განირჩეოდეს ხ ე ლ ი, რომელია გიჟი ან მოუსვენარი და მისნი სხმითგარდასლვთნი: გ ა ხ ე ლ ე ბ ა, გ ა ხ ე ლ ე ბ უ ლ ი და სხ. გარნა გამოთქმა ამათი

და თჳთ დაწერაცა არს თემითი თემად ადგილის ჩვეულებისაებრ, ვითა ითქჳა ზემორე.

გარდა ამისსა არიან სხჳანიცა მრავალნი ლექსნი, წოდებულნი ე რ თ ს ა ხ ე ლ ა დ, ანუ ს ა ხ ე ლ მ ო დ გ მ ა დ, რომელნი იხმარებიან სხვადასხჳათა შინა მნიშვნელობათა, ვითარ ს ე რ ი – ნადიმი და ს ე რ ი – ბორცვი, ქ ო რ ი — მფრინველი და ქ ო რ ი — ოთახი, ქ ჳ ა ბ ი — კლდის ნაპრალი და ქ ჳ ა ბ ი — საგბოლველი სიავი სპილენძისა. კჳალად ლექსნი: ს მ ა და ს ხ მ ა რაოდენთა მნიშვნელობათა მქონებელ არიან, იხილე თჳსთა ადგილთა და სხვადასხჳა. და თჳთ ლექსივე ხ ე ლ ი, გარდა ზემოთქმულთა ჰაზრთა, ჰნიშნავს კჳალად სხვათაცა სრულიად განსხვავებულთა. მაგალ., ერთი ხ ე ლ ი საეკლესიო წიგნები, ორი ხ ე ლ ი შესამოსელი, სამი ხ ე ლ ი ტანისამოსი. კჳალად ე რ თ ხ ე ლ, ერთი ხელობა, ანუ ე რ თ ხ ე ლ ო ბ ა ს, ე. ი. ერთ გზის, ანუ ე რ თ გ ზ ო ბ ა ს. ათ ხ ე ლ ო ბ ა ს, ე. ი. ათჯერ და სხ. ამას შემთხვევასა შინა შემოვალს უღონოება, თუ ვითარნი ასონი კჳალად ჯერ არიან მოპოვებად ამათთჳსცა.

ხოლო ვინათგან ე რ თ ს ა ხ ე ლ ნ ი ესე იპოვებიან ყოველთავე შინა ენათა და არა თუ მხოლოდ ქართულსა შინა (მაგალ., რუსულად: лук ხახვი, лук მშვილდი, пол იატაკი, пол ნახევარი, пол სქესი და სხ. იწერებიან მითვე ასოებითა). „და უკეთუ თჳთოეულისა ლექსისათჳს ჰბამდეს მოპოვება ახალთა ასოთა,—ვითა იტყჳს უფალი ლომონოსოვი თჳსსა შინა ღრამმატიკასა,—მაშინ ჯერ იქმნებოდაო შემოღება მის ასოსიცა, რომლითა დააყენებენ ცხენთა (ანუ საქართველოსა შინა გარეკენ კამბეჩთა), რომელიცა გამოითქმის **დ** ანუ **ტ** მოძრავობითა ბაგეთათა და ესევითარი ანბანი მიემსგავსებოდაო ჩინელთა ენის ანბანსა, რომელსაცა თჳთოს ლექსისათჳს ჰქონან თჳთონი ასონი". გარნა ჰაზრისაებრ მეცნიერთა კაცთასა, უმჯობესი ენა არს იგი, რომლისაც ანბანსა უმცირესნი ჰქონან ასონი. ამის გამო ქართულსა შინა ლექსიკონსა, უადჳლესად პოვნისათჳს ლექსთასა, უმჯობეს იქმნებოდა შეერთება ორთავე ამათ ასოთა ხ და ჴ ესრეთ, რომელ დასწერონ ერთსა ასოსა ზედა თჳს თჳსთა ადგილთა ლექსნი მით ასოთი, ვის როგორ ენებოს. რამეთუ ხ ა რ ბ ი — ჴარბი, ხ ბ ო — ჴბო, ხ მ ა — ჴმა, ხ მ ე ლ ი — ჴმელი, ხ ო რ ც ი — ჴ ო რ ც ი, ხ შ ი რ ი — ჴშირი, ხ ს ო ვ ნ ა — ჴსოვნა და ამისგან მ ე ხ ს ი ე რ ი — მეჴსიერი, და ზოგნი სწერენ ფრიად უკანონოდ მ ე ყ ს ი ე რ ი, და სხჳათა მრავალთა ლექსთა გამოსთქმენ და სწერენ ესრეთ, ვის როგორ ჰნებავს. გარნა ამათი კანონების დადება, თუ რომელი ლექსი როგორ დაიწეროს, შემოიღებს განმრავლებასა კანონთასა და ფრიადსა სიძნელესა სწავლისასა და მრავალჯერ ერთი ლექსი საჭირო იქნების ძიებად ნაცჳლად ერთისა, ორთავე შინა ასოთა.

შეისწავე, რამეთუ ბერძულთა შინა ლექსიკონთა, ასოჲთა უ – ის დაწყებულნი ლექსნი შემოტანილ არიან ასოსა შინა ო—ი. მაგალ., Ὀυγγία უნკია; Ὀυρανός ურანოს—ცა და სხ.

ეგრეთვე ლათინურთა შინა ლექსიკონთა, ასოჲთა ხ დაწყებულნი ლექსნი შეტანილ არიან ასოსა შინა C. მაგალ., Charta—ჴარტა, Chirurgia—ხირურღია და სხ.

7. ასოსათჳს ჷ

ესე შემოტანილ არს სომხურის ანბანისაგან, რომელია მერვე ასო ხმოვანი ը-ეთ და იპოვების სხუათაცა შინა აზიურთა ენათა, არამედ ქართულსა შინა გამოღებასა სრულიად არა იხმარების. მაგალ., არაბული ლექსი ყ ჷ რ მ ჷ ზ ი (მეწამული, ანუ მწითური) და სომხური მ ჷ ღ დ ჷ ს ი (მნათე) ქართულად ითქ[მ]ის და იწერების: ყ ი რ მ ი ზ ი, მ ი ღ დ ი ს ი. ხოლო სხუათა ენათა ზედა ხმარობენ მრავალრიგად: კ ა რ მ ა ზ ი, ქ ე რ მ ე ს ი, მ ა ღ დ ე ს ი, მ უ ღ დ უ ს ი და სხ.

მსგავსადვე სხუათაცა შინა ლექსთა საზიაროთა ქართულისა და სომხურისათა ნაცულად ჷ იხმარებიან სხუანი ხმოვანნი. მაგალ., მ ჷ შ ა კ — მუშაკი, მ ჷ ჟ უ ჟ — მუჟუჟი, ნ ჷ გ უ ზ — ნიგოზი, ნ ჷ შ ა ნ — ნიშანი, ჭ ჷ შ მ ა რ ი ტ — ჭეშმარიტი და სხ.

ხოლო უკეთუ ქართულად მიღებულთა სხჳსა ენისა ლექსთა შინა არა იხმარებიან საკუთარნი მათნი ასონი, მაშა საკუთრად ქართულთა ლექსთა შინა ვითარღა მოიხმარებიან? აღმოსაჩინებელად ამისსა საკმაო არიან მესტიხურნი თხზულებანი ქართულსა ზედა ენასა, რომელთაცა შორის ასო ჷ ვერაოდესმე დაიჭერს ადგილსა ხმოვანისასა.

თუმცაღა ჷ ქართულსა ენასა შინა უხმარ არს, გარნა ფრიად საჭიროდ აღმოსჩნდა ოსურისა ენისათჳს, ოდესცა იხმარებოდა მისთჳს ქართული წერილი. მაგალ., ჶ ჷ დ — მამა, ლ ჷ გ — კაცი, ვ ჷ ნ ჷ ნ — ხედვა და სხ. რამეთუ დაწერა ამათი სხჳთა ხმოვანითა გაუგებელ იქმნებოდა ოსთათჳს, ვითარ ჶ ა დ, ჶ ე დ, ჶ ი დ, გინა ჶ უ დ, რამეთუ ასო ჷ არს ამათ ხმოვანთა საშუალი რამე.

ხოლო საბას ლექსიკონსა შინა, ვინათგან ქართულთა ლექსთა თანა ზედ მოუწერია მას ქართულისავე ასოებით თურქთა და სომეხთ ენის ლექსები, ამად არა უშესაბამო იქმნებოდა ლექსთა ამათ შინა ხმარება ასოჲსა ჷ, სადაცა მათ შორის დაიწერებიან იგინი ამით ასოჲთა. არამედ უმჯობეს იქმნების, უკეთუ მცოდნე მათ ენათა მოაწერს თჳსითავე მათითა ასოებითა.

და ესრეთ ასონი: ჱ, ჲ, ჵ, ჳ, ჴ, ჸ, ჷ, ჶ შემოღებულ არიან თჳნიერ მიუცილებელისა საჭიროებისა ქართულის ენისათჳს და მრავალნი არცა ხმარობენ მათ წერილთა შინა. რამეთუ უმჯობეს არს დაწერად: ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა, ვიდრეღა შეცთომით ჳ ლ ო ს ო ჳ ა და სხვადასხუა.

შეისწავე. რუსულსა სამოქალაქოსა ანბანსა შინა რაოდენნი უხმარნი ასონი სლავენურის ანბანისანი დატევებულ არიან, ხოლო სხუათა ევროპიელთა, რომელთაცა ანბანსა შინა არა იპოვებიან რომელნიმე ასონი უცხოთა ენათა ლექსთათჳს, შეუდგენიათ იგინი ორთა და სამთა ასოთა შეერთებითა, ვითარ **дз** ნაცულად **ძ** და **дж** ნაცულად **ჯ**; სხვათა **gh** ნაცულად **ღ** და **ch**, ანუ **gh** ნაცულად **ხ** და სხ.

აქამომდე ითქუა საზოგადოდ თჳსებისათჳს ასოთასა შესწორებითა სხუათა ენათათა. ხოლო კერძოობითნი თჳსებანი მათნი, სისტემისაებრ საბასსა, მოიხსენებიან საკუთრად თჳს თჳსთა ადგილთა, თუ ვითარ მოეზავების თჳთოეული მათგანი საქცევთა ლექსთათა თავად, ანუ ბოლოდ და ვითარსა მისცემს მათ მნიშნველობასა.

და ახლა წინა დაიდებიან გრამმატიკულად რომელნიმე განთჳსებულნი საქცევნი მარცჳალთა და ლექსთა ქართულისა ენისათანი უადჳლეს შესამეცნებელად ძირთა და ეტიმოლოღიურთა წარმოებათა ლექსთათა, რაოდენ სახმარ არს ლექსიკონისათჳს, რათა უნათლესად შესაგნებელ იყოს, თუ რომელი ლექსი რომელსა ასოსა შინა იპოვების, ხოლო თჳთოეულად აღწერა კანონთა მათთა ეკუთნვის გრამმატიკასა.

I

ქართულსა შინა ენასა შესანიშნველნი სახელნი ბრუნვისა გამო

თჳალი, თჳალისა, თჳალნი, თჳალები (საგრძნობელი ხედჳსა), óко, глáз. ესე ბრუნვილი საკუთარსა შინა მნიშნველობასა არა ისპობს საშუალსა ხმოვანსა; ხოლო მეტაფორად, ანუ გარდაღებულსა შინა მნიშნველობასა ისპობს, ვითარ თჳალი, თჳლისა, თჳლები (ქჳა პატიოსანი) драгоценный камень[1], ურმის თჳალი, ურმის თჳლისა, ურმის თჳლები колесó. ეგრეთვე: მარილის თჳალი, მზის თჳალი, ფანჯრის თჳალი, თჳლისა და სხ. არამედ ხარის თჳალა, ჩიტის თჳალა, ხარის თჳალასი და სხ.

კჳალი, კჳალისა, კჳალები (ნავალი ფერხთა) след, следы.

კჳალი, კჳლისა, კჳლები (ხნულსა ანუ ბოსტანსა შინა გავლებული) бороздá, грядá.

მოწამე, მოწამისა, მოწამეები мученик; მოწამეობა мученичество.

მოწამე, მოწმისა, მოწმეები свидéтель; მოწმობა свидéтельство (ამგვარადვე ბერძული μάρτυρας მარტჳრი ჰნიშნავს ორსავე).

მხარი, მხრისა, მხრები плечó, раменá.

მხარე, მხარისა, მხარეები край, сторонá, странá.

სახელი, სახელისა, სახელები и́мя.

სახელი, სახლისა, სახლები рукáв у плáтья.

სახლი, სახლისა, სახლები дом.

წელი, წელისა (მხოლოობითად) поясни́ца, чреслá.

წელი, წელისა, წელები ки́шки.

წელი, წლისა, წლები, ანუ წელიწადი, წელიწდები год, го́ды, летá.

სიზმარი, სიზმრისა; ქმარი, ქმრისა; ძმარი, ძმრისა; ხმალი, ხმლისა უფრო კანონიერია, ვიდრეღა სიზრმისა, ქრმისა, ძრმისა, ხლმისა და სხ.

ხუცესი რომელთამე ბრუნვათა შინა. ისპობს უკანასკნელსა მარცვალსა: ნათესაობ. ხუცისა, მოქმედ. ხუცითა; მრავლ. ხუცები, ხოლო

---

[1] რუსულადცა камень მრავლობითად каменья უფროჲე ითქმის თჳალთათჳს პატიოსანთა, ხოლო ლიტონთა ქჳათათჳს ითქმის камни. ეგრეთვე лист მრავლობითად листы ითქმის ქაღალდის ფურცელთათჳს, ხოლო листья ხის ფოთოლთათჳს. კჳალად цвет ოდესცა ჰნიშნავს ფერსა, მაშინ არა იხმარების კნინობითად, არამედ ოდესცა ჰნიშნავს ყჳავილსა, მაშინ ითქმის კნინობითადცა: цветок, цветочек და სხ.

სხჳათა შინა არა ისპობს; მიცემ. ხუცესსა, მოთხრ. ხუცესმან; მრავლ. ხუცესნი და სხ. მსგავსადვე ამისსა იბრუნვიან რთულნიცა ამისნი: ბაზიერთხუცესი, ბოქოულთხუცესი, მოლარეთხუცესი, სახლთხუცესი და სხ. საუფლონი ლექსნი: სახიერი, ქველისმოქმედი, მაცხოვარი, მოძღჳარი წოდებითად არა მიიღებენ ო, არამედ ისპობენ ი, ვითარ: მაცხოვარ! მოძღჳარ! სახიერ! ქველისმოქმედ! და სხ. ეგრეთვე სათჳთონიცა სახელნი: იერუსალიმი, სიონი, ბეთლემი, წოდებითად: იერუსალიმ! სიონ! ბეთლემ! და სხ.

სახელნი გჳაროვნობითნი, ანუ სახლეულობითნი იბრუნვიან განთჳსებით და ნიადაგ არიან მრავლობითნი. მაგალ.: სარდლიანი, სარდლიანთი, სარდლიანთ, სარდლიანთსა, სარდლიანთით, სარდლიანო! ეგრეთვე სალთხუციანი, ბარათაანი, გედეონიანი, დეკანოზიანი და სხ. კჳალად ნაცვალსახელთაგან: ჩვენებიანი, თქვენებიანი და სხ. [ანუ რთულნი: იოსებმდივნიანი, ზაქარიადეკანოზიანი, სარდალსალთხუციანი] [1].

ეგრეთვე სახელნი საეკლესიოთა წიგნთანი იხმარებიან მრავლობითად: დავითნი, ჟამნი, ლოცვანი, თთვენი, მარხვანი, გარნა იბრუნვიან ვითა მხოლოობითნი: დავითნისა, დავითნითა; მრავლ.: დავითნები, დავითნებისა, დავითნებს, დავითნებითა.

ამგვარადვე სახელნი მრავლობითნი, მდაბიურითა მარცჳლითა ბი დაბოლოვებულნი, იბრუნვიან ვითა მხოლოობითნი, არამედ კჳალადცა არიან მრავლობითნი. მაგალ.: წიგნები, წიგნებისა, წიგნებსა, წიგნებითა; ხეები, ხეებისა, ხეებსა, ხეებითა, ხეებმან და სხ. [რაჲსა შემართობითნი სახელნი მამრთა და მდედრთანი იხმარებიან მრავლობითად, ვითა რთულნი, მაგალ., ლუკ. 2, 40, მამადედანი, მამადედათა და მდაბ. მდედრობითი სახელი წინათ დაიდების. მაგალ., დედმამანი, ცოლქმარნი, დაძმანი, ქალვაჟნი, გოგობიჭები, მამაშვილნი, რძალდედამთილნი, რძალმულნი, დედამთილნი, დედაძენი] [1].

II

ზედდადებულნი ზმნათანი, რომელნიცა უსრულთა დროთა შესცჳლიან სრულად, არიან შემდეგნი მარცვალნი:

ალ	მდაბიურად	ა, მაგალ., ვალ.	ალვალ, ავალ.
ალმო	"	ამო, " "	ალმოვალ, ამოვალ.
გან	"	გა, " "	განვალ, გავალ.
გამო	"	— " "	გამოვალ.
გარდა	"	გადა, " "	გარდავალ, გადავალ.
გარდამო, გარდმო,		გადმო, " "	გარდამოვალ, გარდმოვალ, გადმოვალ.
და	"	— " "	დავალ.
მი	"	— " "	მივალ.

[1] ჩამატებულია განსხვავებული ხელით. რედ.

მთ	მდაბიურად	—	მაგალ.,	ვალ.	მოვალ.
მიმთ,	მიმოდა	—	„	„	მიმოვალ, მიმოდავალ.
შე	„	—	„	„	შევალ.
შემო	„	—	„	„	შემოვალ
შთა	„	ჩა,	„	„	შთავალ, ჩავალ.
შთამო	„	ჩამო,	„	„	შთამოვალ, ჩამოვალ.
წარ	„	წა,	„	„	წარვალ, წავალ.
წარმო	„	წამო,	„	„	წარმოვალ, წამოვალ.

გარდა ამათსა არიან კჳალად სხჳანიცა, რომელნი მოეზავებიან მხოლოდ რომელთამე ზმნათა, გარნა არა თუ ესრეთ საზოგადოდ, ვითა ზემოხსენებულნი. მაგალ., *გარე*, *ზე*, *ქვე*, *უკ*, *უკუნ*, *წიალ*, *წინა* და სხჳანი. ესენი ხშირად შეერთდებიან ზემოწერილთაცა მარცვალთა თანა. მაგალ.:

გარემო	გარემოვვლი, გარემოვადგები.
გარეშემო	გარეშემოვვლი, გარეშემოვსწერ.
ზეალ	ზეალვალ, ზეალვხდები.
ზედა	ზედავადგ, ზედავმხედველობ.
ზედდა	ზედდადგინება.
ქვედა	ქვედავსცემ, ქვედავაკვეთებ.
ქვემო	ქვემოვაწერ.
ქვეშე	ქვეშე დავუფენ.
უკმო, უკმი	უკმოვილებ, უკმივაქცევ, უკმივუზლავ.
უკუ, უკუნ	უკუვსდგები, უკუვსთქვამ, უკუნვაქცევ.
წიალ, წიალმო	წიალვალ, წიალვხდები, წიალმოვალ.
წინაგან	წინაგანვიზრახავ, წინაგანვამზადებ.
წინადა	წინადავუდებ, წინადაგებული.
წინასწარმო	წინასწარ მოვუთხრობ, წინასწარ მოვასწავებ.

ამათ მარცვალთაგან წარმოსდგებიან სხჳანიცა ნაწილნი სიტყჳსანი.

1. სახელნი არსებითნი და ზედშესრულნი: *ალმართი*, *დალმართი*, *უკუღმართი*, *შელმართი*, *ჩალმართი*, *წალმართი*; *ზესთა*, *უზესთაესი*; *ამრეცი*, *დამრეცი*, *ჩამრეცი*, *წამრეცი*; *გარემოსი*, *გარეთი*, *შიგნითი*, *გარესკნელი*, *ზესკნელი*, *ქვესკნელი*, *უკანასკნელი*; *ზემოთი*, *ქვემოთი*, *წინასწარი* და სხ.

2. ზმნანი და სახელზმნანი: *განვიგარებ*; *ვუზესთაესობ*, *უზესთაესობა*; *ვსწარმოებ*, *წარმოება* და სხ.

3. ზმნისზედანი: *აღმა*, *ამოღმა*, *გაღმა*, *გამოღმა*, *გარდაღმა*, *გარდმოღმა*, *დაღმა*, *მიღმა*, *შეღმა*, *შემოღმა*, *წაღმა*, *წაღმართ*, *წამოღმა*, *უკუღმა*; *გარეთ*, *შიგნით*, *გარემოს*, *გარეშემო*, *ზემოთ*, *ქვემოთ* და სხ.

4. მარცვალნი ესე დაესხმიან ზოგჯერმე თავად არსებითთა სახელთაცა. მაგალ.: *ცა*, *ზეცა*; *პირი*, *ზეპირი*. კჳალად მარცვალნი მი და მო თავად,

ხოლო ბოლოდ მდე ანუ დმდე და მაშინ ჰნიშნევენ თანდებულსა ვიდრე. იხილე საქმ. მოც. 2, 29: მოდღეინდელად დღედმდე, ე. ი. ვიდრე დღეინდელად დღედმდე; ფსალ. 13, 3: მიერთამდე, ე. ი. ვიდრე ერთადმდე; კუალად 136, 8: მისაფუძველადმდე, ე. ი. ვიდრე საფუძველადმდე; კუალად 105,31: მიუკუნისამდე, ე. ი. ვიდრე უკუნისამდე; 1 კორ, 4, 13: მოაქამდე, ე. ი. ვიდრე აქამომდე; კუალად მიმწუხრი, ე. ი. მოწევნასა მწუხრისასა და სხ.

5. შეისწავე კუალად ზედდადებულთა ამათთჳს, ვითარმედ შორის მათსა და შორის ზმნათა მათ, რომელთაცა დაესხმიან იგინი, საშუალ შთაერთვიან სხუანი ნაწილნი სიტყჳსანი და უფროორე ნაცვალსახელნი და კავშირნი. მაგალ.: განსამე უკვე ვვარდე (ფსალ. 7, 4), ე. ი. განვვარდე უკვე სამე (მუნვე, 87,11); მიმევინუთხრობდეს, ე. ი. მიუთხრობდეს ვინმე (მუნვე, 54, 12); მომცავითმინე, დამცავემალე, ე. ი. მოვითმინემცა, დავემალემცა (მუნვე, 77, 17); შედავესძინეს, ე. ი. შესძინესდავე (მუნვე, 138, 8); აღთუვხდე, შთათუვხდე, ე. ი. თუ აღვხდე, თუ შთავხდე (მატ. 4, 21); განრააგებდეს, ე. ი. განაგებდეს რა (მუნვე, 12, 28); მოსამეიწია, ე. ი. მოიწია სამე (საქმ. მოც. 15, 27); წარმოუკვეგვილინებიან, ე. ი. წარმოგვილინებიან უკვე (მუნვე, 28, 1); გამორავხედით, ე. ი. გამოვხედით რა.

მსგავსადვე საეროთაცა წიგნთა შინა იხმარების ესევითარი საქცევი ლექსთა (ვეფხისტ. 343): შელამრჩებიან, ე. ი. შემრჩებიანლა (კუალად 350): მორავსჯობდი, ე. ი. რა მოვსჯობდი და სხ.

ამგუარი საქცევი ლექსთა იხმარების სლავენურსაცა შინა ენასა. ფსალ. 3, 1: что ся умножиша ნაცულად что умножишася; მარკ. 16, 8: бояхубося ნაცულად бояхуся бо; კუალად молимтися ნაცულად молимся ти და სხ.

6. ზმნათა აქუს ერთგუარი საქცევი გახშირებითი, რომელ ზემოხსენებულთა მარცვალთაცა თანა დაშთებიან მნიშნველობასა შინა აწმდგომისა დროჲსასა უცულებელად. მაგალ., განვაქარვი, განაქარვი, განაქარვის (ფსალ. 32, 10), დავამდაბლი, აღვამაღლი (74, 7), მოსწუნის, შესწუნის (82, 14), განვზავი (101, 9), მოვჰსცი, აღვაღი, გარემივიქცი, მოვული (103, 28 და შემდგომი), აღადგინის, აღამაღლის, დააშენის (112, 7, 9), კუალად განამტკიცნის, აღმართნის, მოჰსცის (144, 15 და შემდგომი), კუალად გამოვიდის, მიიქცის, განხსნის, განაბრძუნის, აღმართნის, დაიცუნის (145, 4, 7, 8, 9 და შემდგომი), მოავლინის, დაადნვის, დასდვის, მიჰფინის (147, 4, 5, 6 და შემდგომი), კუალად წარვიდის, მოვიდის (მატთ. 8, 9), ეგრეთვე ენებითნი: დადნის (ფსალ. 67, 1) და სხ. კუალად უმეშვეობითნი: ჰსთქჳს (ფსალ. 35, 1) და სხ., არამედ უკეთუ დაერთოს ამათ ლექსი ხუალმე, მაშინ ჰნიშნევენ განვლილსა უსრულოსა დროსა (ნახე ქვემორე).

III

უმჯობეს შესამეცნებელად საქცევთა ზმნათათა მოკლედ წინადაიდების აქა უღლვილება კანონიერისა ზმნისა ვ ს წ ე რ

	სქესი საზღჵრებითი		სქესი სათუჳო	
	შემოქმედებითი	ვნებითი	შემოქმედებითი	ვნებითი
აწმდგომი	ვჰსწერ	ვიწერები	უნდა ვჰსწერდე	უნდა ვიწერებოდე
ქმნილი უსრული	ვჰსწე—ე ანუ ვჰსწერდი	ვიწერებოდი	" მეწერა	" წერილ ანუ წერებულვიყო
" სრული	დავჰსწერე	დავიწერე	" დამეწერა	" დაწერილვიყო
" უსრულესი	დამიწერიეს, დამიწერია	დაწერილვარ	" დამეწეროს	" დაწერილვიყავ
ქმნადი	დავჰსწერ	დაეიწერები	უსრული: უნდა ვჰსწერო	" ვიწერო
			სრული: უნდა დავჰსწერო	" დაეიწერო

სქესი ბრძანებითი

	შემოქმედებითი	ვნებითი	მეორე უკუთქმითი	
			შემოქმედებითი	ვნებითი
აწმდგომი	ჰსწერე, ნუ ჰსწერ	იწერე, ნუ იწერები	ამას არა აქჳს აწმდგომი დროჲ	
ქმნადი	დაჰსწერე, ნუ დაჰსწერ	დაიწერე, ნუ დაიწერები	უსრული: არა ჰ წერო	არ იწერო
			სრული: არ დაჰსწერო	არ დაიწერო

	აწმდგომი	ქმნადი
სქესი განუსაზღჵრებელი სასელზმნა	წერად, საწერად წერა, წერისა	დაწერად, დასაწერად დაწერა, დაწერისა

მიმღეობანი { შემოქმედებითნი. აწმდგომი: მ წ ე რ ა ლ ი, გ ა ნ ვ ლ ი ლ ი, დ ა მ წ ე რ ი.
ვნებითნი ქმნილი: დ ა წ ე რ ი ლ ი, ნ ა წ ე რ ი; ქმნადი: ს ა წ ე რ ი, დ ა ს ა წ ე რ ი, დ ა წ ე რ ა დ ი.

შესწავლებანი ზმნათათჳს

1. სქესი სათუვო იპოვების სხჳათაცა შინა ევროპიულთა და აზიურთა ენათა, ხოლო რუსულსა შინა არა არს. და თუმცა სქესი ესე იხმარების შეერთებულად კავშირთა თანა: უკეთუ, უკეთუმცა, თუ სადამე, თუმცა-ღა, დალათუ, დალათუმცა, რათა, რათამცა, ხოლო მდაბიურად თუ. რომ და სხჳანი, გარნა კავშირნი ესე იხმარებიან ზოგჯერმე საზღჳრებითსაცა სქესსა შინა. და ამად ღრამმატიკათა შინა მრავალნი დრონი საზღჳრებითისა სქესისანი აღურევიათ დროთა თანა სათუვოსა სქესისათა, არამედ საკუთრად განმრჩევი სათუვოსა სქესისა არს მდაბიური ლექსი უნდა, ხმარებული ამას მაგალითსა შინა ესრეთ, რამეთუ რომელსაცა დროსა მოეზავოს ლექსი უნდა, იგი უეჭველად არს სათუვო და რომელსაცა დროსა არა მოეზავოს, იგი არს საზღჳრებითი. ამას ზედა დარწმუნებულ იქმნების თჳთოეული, ვინცა იცის ერთი რომელიმე ენა, მექონი სათუვოსა სქესისა და შეამოწმებს მას.

2. ოდესმე სქესსა სათუვოსა დაერთვიან ზმნისზედანი: ნეტართუ, ნეტართუმცა, ნეტავი, ნეტამც, ვაშა თუ და სხ. და ამას ეწოდების სქესი საწადისი, არამედ ცჳალებანი დროთანი ჰქონან ეგრეთნივე, ვითა სათუვოსა.

3. ბრძანებითსა სქესსა შინა უხმარიათ ღრამმატიკოსთა ყოველგან უკუთქმითი მარცვალი ნუ, არამედ ესე არა ყოველთა დროთა მოეზავების, ვითარ ნუ ჰსწერო, ნუ დაჰსწერო, ესე არასადა იხმარების წერილთა შინა, არცა საუბართა, არამედ ესრეთ: არა ჰსწერო, არ დაჰსწერო და სხ.

4. განუსაზღჳრებელსა სქესსა შინა ჩვენებული: საწერად, დასაწერად ჰგავს ლათინურსა gerundium. არამედ ქართულად საკუთარი წოდება არა მიცემულ არს.

გარდა ამისსა ადგილსა განუსაზღჳრებელისა სქესისასა იხმარების სახელზმნა ნათესავობითსა შინა ბრუნვასა მოსპობით შემდგომად ზმნათა: მინდა, მნებავს. მაგალ., არა უნდა ნუგეშინის ცემის (მატ. 2, 18), უკეთუ გნებავსთ შეწყნარების (მუნვე, 11 14), კჳალად: არა უნდა სმის (მუნვე, 27, 34) და სხ.

5. საზოგადოსა შინა საუბარსა ხშირად დაერთვიან ზმნათა ლექსნი: თურმე, ხოლმე, ან ხჳალმე. პირველი, თურმე ჰნიშნავს, ოდესცა ვისმე თჳალით არა უნახავს მოქმედება, გინა ვნება, ანუ აღარ ახსოვს და სმენით იცის, ანუ თჳსის ჰაზრით მიხდომილ არს და ამად იხმარების უფროჲე განვლილთა დროთა შინა ყოველთავე სქესთასა, გარდა ბრძანებითისა და განუსაზღჳრებელისა. მაგალ.: საზღჳრებითსა შინა შემოქმედებითნი: თურმე ჰსწერს, თურმე ჰსწერდა, თურმე დაჰსწერა, თურმე დაუწერია; ვნებითნი: თურმე იწერება, თურმე იწერებოდა, თურმე დაიწერა, თურმე დაწერილა; სათუვოსა და საწადისსა შინა, შემოქმედებითნი: თურმე უნდა ჰსწერდეს, თურმე უნდა ეწერა, დაეწერა; ვნებითნი: თურმე უნდა იწერებოდეს, დაწერილიყოს და სხ.

მეორე, ხოლმე, ხჳალმე ჰნიშნავს გახშირებასა მოქმედებისა, ანუ ვნებისასა და ამად იხმარების უსრულთა დროთა ყოველთავე სქესთასა, გარდა განუსაზღჳრებელისა. მაგალ.: ჰსწერს ხოლმე, ჰსწერდა ხოლმე, იწერება ხოლმე, იწერებოდა ხოლმე; სათუვოსა: უნდა ჰსწერდეს ხოლმე, უნდა იწერებოდეს ხოლმე, უნდა ჰსწეროს ხოლმე; ბრძანებითსა: ჰსწერე ხოლმე, არა ჰსწერო ხოლმე და სხ. მეტადრე მოეზავების ესე ზმნათა განვლილისა უსრულისა დროჲსათა, შემოკლებით ხმარებულთა. მაგალ.: მოვიდის ხოლმე ნაცჳლად მოდიოდა ან მოვიდოდა; მოვიდიან ნაცჳლად მოდიოდნენ; სწერდის ხოლმე ნაცჳლად სწერდა ანუ სწერის; იკითხევდის, იკითხის ხოლმე ნაცჳლად იკითხევდა ან კითხულობდა; სწერიან, იკითხიან (ხოლმე) ნაცჳლად სწერდნენ, კითხულობდნენ; მისცის, მისციან ხოლმე ნაცჳლად მისცემდნენ და სხ.

IV

საზოგადოდ მიღებულთაებრ კანონთა ლექსიკონისათა, საქცევნი ლექსთანი, ანუ ღრამმატიკულნი ცჳლილებანი, ე. ი. სახელთა თანა ბრუნვანი და მეტადრე ნათესავობითი, ხოლო ზმნათა თანა რომელნიმე დრონი ჯერ არიან გარჩევით დაწერად მათვე ლექსთა თანა თჳს თჳსსა ადგილსა, არამედ პირველსა ამას პირობასა შინა ჯერეთ დატევებულ არს ესე, ხოლო შემდგომსა შინა გამართვასა შესრულება ამისიცა სათანადო არს.

აქა საკუთრად პიროვანთა ზმნათათჳს ჯერ არს შესწავებაჲ, ვითარმედ იგინი ქართულსა ზედა ენასა ნიადაგ დაიწყებიან ასოჲთა ვ, და უკეთუ ლექსიკონსა შინა დაიწერებოდენ პიროვანად, მაშინ სრულიად შემოვლენ ამას ასოსა შინა ვ. გარნა ვინათგან თჳსებისაებრ ქართულისა ენისა საქცევნი პიროვანთა ზმნათანი მიჩემებისა ძლით არიან მრავალგჳარნი, ამად პიროვანადცა დაწერა მათი თჳთ ასოსაცა შინა ვ, შეჰჳდების სხვადასხჳასა ადგილსა, ვითა იხილვების შემდგომადისაგან აღრიცხჳსა ზმნათა მიჩემებისა, რომელიცა იქმნების:

1. რაჟამს მოქმედება მიეჩემების თჳთ მოქმედსა პირსა: მაგალ., ვაშენებ, ვსწერ, ესე ითქმის საზოგადოდ—строю, пишу вообще; ხოლო მიჩემებითა მოქმედისა პირისათა ითქმის: ვიშენებ, იშენებ, იშენებს, строю, -ишь, -ит для себя; ვიწერ, იწერ, იწერს, пишу, -шешь, -шет для себя.

2. რაჟამს მოქმედება მიეჩემების მესამესა საცნაურსა პირსა, მაშინ ითქმის: ვუშენებ, უშენებ, უშენებს, строю, -ишь, -ит для него; ვუწერ, უწერ, უწერს, пишу, -шешь, -шет для него (относительно к 3 известному лицу).

ამგჳარადვე ითქმიან უმეშველობითნიცა ზმნანი საზოგადოდ: ვუბნობ, ვლაპარაკობ, ვისჳრი, ვიბრძვი და სხ., ხოლო მიჩემებით მესამისადმი საცნაურისა პირისა ითქმის: ვეუბნები, ველაპარაკები, ვესჳრი, ვებრძვი და სხ.

3. ხოლო რაჟამს მოქმედება არს ორთა შორის პირთა, ურთიერთისადმი მოუბართა, ამისგან შეიქმნებიან პირნაკლნი ზმნანი და მაშინ უკეთუ მოქმედება მიეჩემების პირველსა პირსა მეორისა და მესამისაგან, მას აკლს მესამე პირი. მაგალ., მიშენებ, მიშენებს, строишь, -ит для меня; მიწერ, მიწერს, пишешь, -шет для меня; და უკეთუ მოქმედება მიეჩემების მეორე პირსა 1 და 3-საგან, მაშინ აკლს მეორე პირი. მაგალ., გიშენებ, გიშენებს, строю, -ит для тебя; გიწერ, გიწერს, пишу, -шет для тебя.

ვითა მოქმედების მნიშვნელობანი ესე ზმნათანი განავითარებენ საქცევსა მათსა, ეგრეთვე ვნების მნიშვნელობანიცა იქმნებიან შემდგომითა სახითა: [მარცვალი ვა შეიქმს ზმნასა სხმითგარდასლვითად. მაგალ.: ვჰსწერ, ვაწერ, ვჰკერავ, ვაკერებ; ვსდგამ, ვადგამ; ვსჭრი, ვაჭრი].

4. რაჟამს ვნება მიეჩემების 1 პირსა 2 და 3-საგან. მაგალ., მაშენებ, მაშენებს, строишь, -ит меня; მწერ, მწერს, пишешь, -шет меня; ანუ 2 პირსა 1 და 3-საგან, მაგალ., გაშენებ, გაშენებს, строю, -ит тебя; გწერ, გწერს, пишу, -шет тебя.

5. კუალად ვნებითნი ზმნანი იხმარებიან სამთავე პირთა შინა მიჩემებითა რომლისამე მათგანისადმი. მაგალ., მიშენდების, გიშენდების, უშენდების—строиться для меня, для тебя, для него; მეწერების, გეწერების, ეწერების—пишется для меня, для тебя, для него.

6. ვნებითნი ესე ზმნანიცა იქმნებიან პირნაკლად: რაჟამს ვნება 1-ისა პირისა მიეჩემის 2 და 3-სა, მაშინ აკლს 2 პირი. მაგალ.: გიშენდები, გიშენდების, строюсь, -ится для тебя; გეწერები, გეწერების, пишусь, -шется для тебя; ხოლო რაჟამს ვნება 2 პირისა მიეჩემების 1 და 3-სა, მაშინ აკლს 1 პირი. მაგალ., მიშენდები, მიშენდების, строишься, -ится для меня; მეწერები, მეწერების—пишешься, -шется для меня.

7. რომელთამე ვნებითთა ზმნათა შორის შეისწავების თჳთვნებითი, глагол возвратный, ხოლო ზმნა თჳთვნებითი არს, რაჟამს მოქმედი თჳთვე ივნებდეს. მაგალ.: ვაბამ — привязываю, ვამზადებ - готовлю, ვსწერ—пишу და სხ. ესენი არიან ზმნანი შემოქმედებითნი — глаголы действительные, ხოლო ვიბმი, ვიმზადები, ვიწერები, бываю привязываем, готовим, пишем, ესენი არიან ვნებითნი—глаголы страдательные; არამედ ზმნანი: ვებმი, ვემზადები, ვეწერები, привязываюсь, готовлюсь, пишусь, ესენი არიან ზმნანი თჳთვნებითნი — глаголы возвратные.

8. მიჩემება იქმნების რომელთამე უმეშვეობითთა ზმნათაცა. მაგალ.: ვჰსჩან, ჰსჩან, ჰსჩანს, ესე არს საზოგადოდ—кажусь, -жешься, -жется.

ხოლო მიჩემებითა რომელისამე სამთა პირთაგანისათა ითქმის: მიჩნს, გიჩნს, უჩნს, кажется мне, тебе, ему; კუალად ვჰსძე, ჰსძე, ჰსძეს, лежу, -жишь, -жит, ხოლო მიჩემებით: მიძს, გიძს, უძს, გინა თანამაძს, თანაგაძს, თანააძს, надлежит мне, тебе, ему. ეგრეთვე: ვღირვარ, ღირხარ, ღირს, стою, -ишь, -ит (цены), და მიჩემებით: მიღირს, გიღირს, უღირს, стоит мне, тебе, ему, или довлеет. კუალად: ვშვენი,

ჰშვენი, შვენის. მიჩემებით: მშვენის, გშვენის, ჰშვენის, подобает, приличествует.

9. რომელნიმე შემოქმედებითნი ზმნანი, ხმარებულნი ვნებითად, კუალადვე მქონებელ არიან ჰაზრისა შემოქმედებითისასა. მაგალ., ვიწერები წიგნს, ვიწერებოდი წიგნს, მოვიწერე წიგნი, მოვიწერები წიგნს; კუალად ითქმის: იცემება — бьется, იგინება — ругается და სხ., ხელს იკურევინება—толкается, ვილოცები, ე. ი. ვლოცავ, დავლოცავ.

10. შემოქმედებითნი ზმნანი, მქონებელნი თავად პირველსა პირსა შინა ვი, ხოლო 2 და 3-სა შინა ი. მაგალ., ვიგლოვ, ვიკითხავ, თავს ვიმართლებ, ვილოცავ, ვიპოვი, ვიშოვი და სხვადასხუა, ვინათგან მქონებელ არიან ჰაზრისა მომავალისა დროჲსასა, ამად აწმდგომსა დროსა შინა ითქმის: ვგლოვობ, ვკითხულობ, თავს ვმართლულობ, ვლოცულობ, ვპოულობ, ვშოულობ და სხ., ხოლო სხუანი ზმნანი: ვიგონებ, ვიგულებ, ვინდომებ, ვინებებ, ვიტჳრთავ, ვიჭერ, ვირწმუნებ, ვიჯერებ, ვიქონიებ და სხ. ივასხებენ აწმდგომსა დროსა განვლილისაგან უსრულესისა: მგონიეს, მეგულვების, მინდა, მნებავს, მრწამს, ანუ მრწმენა, მჯერა, მაქვს, მიტჳრთავს, მიჭირავს. ესენი თუმცა არიან ნაკვეთნი უსრულესისა დროჲსანი, გარნა ჰნიშნვენ სრულიად აწინდელსა და აქუსთ განვლილი და მომავალი უსრული დრონიცა: მეგონა, მეგონება, მეგულებოდა, მეგულებოდეს; მინდოდა, მინდოდეს და სხ. გარნა ვნებითნი ამათნი წარმოსდგებიან ძირითაგანვე თჳსთა. მაგალ., ვიგონები, ვიგულვები, ვინდომები, ვირწმუნები, ვიტჳრთები, ვიქონიები. ეგრეთვე პირველთქმულნიცა: ვიპოვები, ვიშოვები და სხ.

ამგვარად, მრავალნი სხუანიცა ზმნანი უსრულესისა დროჲსანი ხშირად იხმარებიან ნაცულად აწმდგომისა. მაგალ., მიბოძებია, მომირთმევია, მომილოცავს და სხ. რამეთუ აწმდგომსა დროსა შინა: ვუბოძებ, მივართმევ, მივულოცავ. უფრორე ჰნიშნვენ მომავალსა. დავუტევობ არს დრო აწმდგომი, ხოლო დავუტევებ — მომავალი. ეგრეთვე უკუთქმითითა მარცულითა ვერ. მაგალ., ვეძებ და ვერ მიპოვნია, ვერ მიმიგნია.

ესრეთვე საქცევი აქუსთ უმეშველობითთაცა ზმნათა: მღჳძავს - ვიღვიძებ, მძინავს—ვიძინებ, მაკლს ანუ მაკლია—ვიკლებ და სხ. ანუ ვჰფიქრობ და ვერ მიმხვდარვარ.

11. შემოქმედებითთა ზმნათა დაერთჳს ბოლოდ მარცუალი ინებ და მაშინ ზმნანი იგი ჰნიშნვენ აღსრულებასა მოქმედებისასა საშუალობითა სხჳსა პირისათა, ხოლო ღრამმატიკულად ეწოდების მათ სხმითგარდასლჳთი. მაგალ.: ვაშენებინებ, ვაწერინებ და სხ., заставляю строить, писать, ხოლო რაჟამს კუალად დაერთოს მათ მეორე მარცუალი ინებ, მაშინ ჰნიშნვენ აღსრულებასა მოქმედებისასა საშუალობითა მეორისათა მესამისადმი და ეწოდებისთ მრჩობლსხმითგარდასლჳთი, არამედ ესე იშვიათად იხმარების. მაგალ.: ვაშენებინებინებ, ვაწერინებინებ და სხ.

ხოლო უმეშველობითნი ზმნანი სხმითგარდასლჳთისა სახისანი არიან უკვე შემოქმედებითნი. მაგალ., ვალ—ვაველინებ, ვიცინი—ვაცინებ, ვიღვიძებ—

ვაღვიძებ. ვიძინებ—ვაძინებ და სხ. ესევითარნი ზმნანი სხმითგარდასლჳთნი და მრჩობლსხმითგარდასლჳთნი იპოვებიან ებრაულსაცა შინა ენასა.

12. ვინათგან ზმნათა ქართულსა ენასა ზედა ჰქონან ესოდენნი საქცევნი, რომელ პიროვნად დაწერა ერთისაცა მათგანისა ასოსა შინა ვ შეხუდების მრავალთა ადგილთა, მაგალ., ვჰსწერ, ვიწერ, ვუწერ, ვაწერინებ და სხ. ხოლო ესე შემოიღებს ფრიადსა სიძნელესა, ამად დაიწერებიან თჳს თჳსსა ადგილსა მხოლოდ ძირნი მათნი, ე. ი. სახელზმნანი და შემდგომად ფრჩხილთა შორის დაწერილ არიან პიროვნადცა ესრეთ: კეთება (ვაკეთებ, ვჰკეთდები), შენება (ვაშენებ, ვშენდები), წერა (ვსწერ, ვიწერები) და სხ.

ესე უფრორე შემსგავსებულ არს საბას სისტემისაცა. რამეთუ მას თუმცალა დაუწერიან ზოგნი ზმნანი პიროვნად სხვადასხვასა ადგილსა, გარნა უმრავლესნი მათგანნი დაუდვიან სახელზმნად.

ამისათჳს ჯერ არს შესწავებაჲ, ვითარმედ არიან რომელნიმე ზმნანი, მოსპობით ხმარებულნი პიროვანსა შინა, გარნა სახელზმნანი მათნი იხმარებიან მოუსპობელად. მაგალ., ვუწოდ, ვუწოდებ, წოდება; ვზომ, ვზომავ, ზომვა; ვლეს, ვლესავ, ლესვა და სხვანი. იხმარებიან მსგავსად ძირთა მათთა. მაგალ., ვიგლოვ, ვგლოვობ, გლოვა და არა გლოვობა; ვიკითხავ, ვჰკითხულობ, კითხვა; ვილოცავ, ვლოცულობ, ლოცვა; ვიპოვი, ვპოულობ, პოვნა.

ხოლო ზოგჯერ სახელზმნანი შეუდგებიან ზმნათა თჳსთა ორგჳარადვე. მაგალ., ვჰბადავ—ბადვა, ანუ ვბადებ—ბადება, ვადენ—დენა, ვადინებ—დინება, გარდავჰბირავ — გარდაბირვა, გარდავბირებ — გარდაბირება, წარვავლენ წარვლენა, წარვავლინებ—წარვლინება და სხ.

კჳალად არიან ზმნანი უკანონონი, ანუ უპირონი, რომელთაცა არა ჰქონან სახელზმნანი. მაგალ.: ახს, ვლამი, ანუ ლამის, მაბადია, მივის, მესვა, მგამა, ჯერ არს, ჰხამს და სხ. ესენი ესრეთვე ჯერ არიან დაწერად.

მრავალთა უმეშველობითთა ზმნათა სახელზმნანი დაბოლოვდებიან მარცჳლითა ლა. მაგალ., ბრძოლა (ვიბრძვი), თრთოლა (ვსთრთი), ძრწოლა (ვსძრწი), კრთოლა და კრთომა (ვჰკრთი), სრბოლა და რბოლა (ვრბი), სროლა (ვისჳრი). ქროლა (ჰქრის), ძღოლა (ვუძღვი) და სხ. გარნა დგომელა — стойма, ჯდომელა — сидя, არა გეგონოს სახელზმნა. ესე ჰგავს რუსულს деепричастие.

ხოლო ზმნათა, დამნიშნველთა ბგერისა და ხმოვანებისათა, სახელზმნანი დაბოლოვდებიან მარცჳლითა ლი. მაგალ.: ბზუვილი (ბზუვის), ბღავილი (ბღავის), კივილი (ჰკივი), ჩივილი (ვსჩივი), ტირილი (ვსტირი), ჩხავილი (ჩხავის), ჩქრიალი (სჩქერს), შუვილი (შუვის), ქუხილი (ჰქუხს), ღმუვილი (ღმუვის), ძახილი (ვიძახი) და სხ.

ეგრეთვე ზმნათაცა, დამნიშნველთა სულიერისა ენებისათა სახელზმნანი დაბოლოვდებიან ლი- ზედავე. მაგალ.: წუხილი (ვსწუხ), წადილი (მწადს), სურვილი (მსურს), წყურვილი (მწყურს), ღვიძილი (მღვიძავს) და სხ.

ხოლო ზოგთა დაერთვის თავად მარცჳალიცა სი. მაგალ.: სიბრალული (მებრალვის), სინანული (ვინანი), სიყჳარული (მიყჳარს), სიძულილი (ჰძულს), სიხარული (მიხარის), სირცხვილი (მრცხვენის), სიცილი (ვიცინი), სიმშილი ან შიმშილი (მშიის) და სხ.

V

სხვანი წესნი, საბასაგან მიღებულისა სისტემისანი, ამას ლექსიკონსა შინა დაცულ არიან ესრეთ:

1. ნიშანნი განსამარტებელნი ლექსთანი:

♀	სადა	ესე	ჰსჯდეს,	ჰნიშნავს	ხესა.
⚘	"	"	"	"	ბალახსა.
♌	"	"	"	"	ოთხფეხსა.
♈	"	"	"	"	მფრინველსა.
♓	"	"	"	"	თევზსა.
◁	"	"	"	"	მწერსა.
∽	"	"	"	"	მძრომსა.

ქჳალად უხმარია საბას ნიშანი მზისა ☐ ანუ ☉, მთოვარისა ((და ვარსკჳლავთა ✳. ხოლო ვინათგან პლანეტთა ჰქონან საკუთარნი თჳსნი ნიშანნი, ჩვენებულნი ლექსსა თანა ცთომილი, და ეგრეთვე 12 ეტლთა ცისათა საკუთარნივე ნიშანნი, ჩვენებულნი ლექსსა თანა ზოდიაქო, ამად საკმაო არიან მათთჳს სათჳთონი მათნი ნიშანნი და არღარა იხმარებისთ საზოგადო ნიშანი ვარსკჳლავთა ✳ ესე.

2. სხჳანი ნიშანნი მართლწერისანი, წოდებულნი პროსოდიად, ეკუთნვიან სწავლასა ღრამმატიკისასა და მუნ განიმარტებიან, ხოლო ქარაგმანი, ხმარებულნი ქართულსა შინა წერილსა, იხილენ ლექსსა თანა ქარაგმა.

3. გარდა ამათსა საბას უხმარია ქჳალად ორნი ნიშანნი: ესე o უცხოსა ენისა ლექსთათჳს და სადა გ ესე ჯდეს, ამისთჳს იტყჳს საბა: „ვერ დავისწავლე, რომელსა წიგნში ეწერა, ანუ რა თარგმანება აქჳს. ვინც იპოვოთ, მოაწერეთ გამოჩინებითაო“.

არამედ ვინათგან ამგჳარნი ლექსნი საზოგადოსა შინა ხმარებასა არიან უცნობნი და საიჭვონი, გინა უმეცართა გარდამწერთაგან შეცთომით გარდასხვაეებულნი და განმართვის მოქენენი, ამად გამართულსა ამას ლექსიკონსა შინა სრულიად დატევებულ არიან იგინი, გარდა მათსა, რომელნიცა ნამდჳლის გამოძიებით შემეცნებულ არიან.

ხოლო დაშთომილნი საბას ლექსიკონსა შინა განუმარტებელად, ვინცა ზედმიწევნით გამოიძიოს და შეიმეცნოს, ძალუძს მას, აღასრულოს ვედრება საბასი, რომელიცა იტყჳს: „რომელთა მოგცეს უფალმან სიბრძნე და მეცნიერება, გულსმოდგინედ შეასრულეთო“.

რაჲცა ითქმის ლექსთათჳს უცხოსა ენისათა, ამას ზედა ჯერ არს შეს-წავებაჲ:

α) სათჳთონი სახელნი, ე. ი. კაცთა, ქალაქთა, მდინარეთა და ადგილ-თანი, შეკრებულ და განმარტებულ არიან საკუთარსა შინა ლექსიკონსა ისტორიულსა ანუ ღეოღრაფიულსა, მაშა განმარტება მათი არა ეკუთნვის ქართულსა ლექსიკონსა. ამის გამო სრულიად გამოხვებულ არიან იგინი ამის წიგნისაგან, ვითარ იგი: ადამ, ევა, ენუქ, ნოე, აბრაჰამ, სარრა, აბიმელიქ, მოსე, დანიილ, პეტრე, პავლე და სხ. გინა: ბაბილო-ვანი, ბეთლემი, დამასკო, ეგჳპტე, დეირი, იერუსალიმი, იერიქონი, იორდანე, ნილო, მემფისი, რომელიც შეცთომით სწერია მეფისა (იერემ. 26, 14) და სხ.

კჳალად ლექსნი, ხმარებულნი ღრმათა წიგნთა შინა და, მეტადრე, კავ-შირსა, ვითარ: ამავრო თუ ამაკრო, 8 კავშ.: დაათრობს მყოფთა ნეკტართა მიერ ამაკრო ამაკროსა, და კჳალად ამვლიოპობა 144 კავშ., ესე არს თჳალტკივნეულთა მხედველობა, რა ნა-თელსა ერთსა შუქმრავლად ხედვიდეს და სხვადასხჳა..

განმარტებანი ესე, ვითა სხოლიონნი, შესაძლო არიან მოწერად თჳთ მათ ადგილთა ზედა კავშირის წიგნისათა, სადაცა იპოვებიან იგინი, რამეთუ მხოლოდ მუნ არიან ხმარებულ და არა თუ საზოგადოსა შინა საუბარსა და და არცა ეკუთნვიან ქართულსა ლექსიკონსა.

β) უცხოთა ენათა ლექსნი, ქართულად მიღებულნი, უნდა განირჩნენ, რომლისაცა ენისაგან არიან, ზედმოწერითა მათ ენათა ასოებითა. ესე მოვა-ლეობა აქვს მათ, რომელთაცა ზედმიწევნით იციან ენა იგი, სადითგანცა აქჳს ძირი ლექსთა მათ. ხოლო უმეცართაგან არა ჯერ არს ახირებით და თჳსის მეცნიერების მინდობით განმარტება მათი, ვითა ამგჳართაგან შეცთომით შემოსულ არს ხმარება ბერძულის ლექსისა Ἤλεκτρον, илектр, янтарь, ილეკტრო (იხილე ეზეკ. თავი 1, მუხ. 4, 5), რომელიც ჰნიშნავს ქარვასა, ხოლო ქართულად უსმარიათ ნაცჳლად მიწის ქანთაგან აღმოთხრილთა და გარდადნობილთა ლითონთა, რომელ არიან: ოქრო, ვეცხლი, რვალი და მისთანანი, რომელთაცა ბერძულად ეწოდების მეტალლი, Μέταλλον, металл და სომხურადცა *Մետաղ* მეტალ.

გარნა უმეცარნი ახირებით განმარტებენ ესრეთ, რეცა ილეკტრო ეწოდების ქარვასა, ხოლო დაწერილი თჳნიერ ასოჲსა ტ. ილეკრო ეწო-დების ბერძულად ლითონსა და არა ირწმუნებენ, ვითარმედ ბერძულსა ენასა შინა ლექსი ილეკრო, ე. ი. დაწერილი თჳნიერ ასოჲსა ტ სრულიად არა იპოვების, არცა ჰნიშნავს რასმე და ესრეთ უმჯობეს არს სრულიად არ შემო-ტანა უცხოთა ენათა ლექსებისა, უკეთუ ზედმიწევნით არა არიან იგინი ცნო-ბილ, ვიდრემდა ამ გჳარად წინდაუხედავად განმარტება მათი.

კჳალად რომელთამე ლექსიკონთა შინა უმეცართა განუმარტებიათ ლექსი ლოცვა ესრეთ: ელოი ებრაულად ჰნიშნავს ღმერთსა, ხოლო ცვა ქართულის ზმნისაგან ვსცავ და ესრეთ ლექსი ლოცვა დაუდვიათ რთულად, ე. ი. ელოი-ცვა, ანუ ლოცვა, მითამ ღვთისა მიერი დაცვა, ანუ დაფარვა.

და ახირდებიან სინამდჳლესა ზედა ამის ეტიმოლოღიისასა! თუმცა ჰაზრი კეთილ არს, არამედ ეტიმოლოღია არა მართალ არს, არცა შესატან ლექსიკონსა შინა.

გარდა ამისსა არიან კჳალად მრავალნი ლექსნი უცხოთა ენათანი, ქართულად მიღებულნი, წინაუკმოდ შეცჳლილნი ასოებითა, ვითარ იადონი, აედონი, Ἀηδών, Ἀηδόνι, соловей; ვოილი, დრამის მეექჳსედი. Ὀβολός, обол, старинная мелкая монета; არე, Ἔαρ, Ἔαρος, весна, გაზაფხული, ჰაეროვანი; ὡραῖος, прекрасный; გრამან კერატი, ანუ ყრათი. გრანი უნდა ლათინურისგან granum, гран, რომელიც ჰნიშნავს მარცვალსა; ქილიფთარი სპარსულისგან გილიდდარ, ხოლო გილიდ ჰქვიან გასაღებსა (იხილე ლექსი კლიტე) და სხვადასხჳა.

γ) ამისთჳს მცირედ გამართულსა ამას ლექსიკონსა შინა, რაოდენ შესაძლო იყო, ბერძულნი ლექსნი, მიღებულნი ქართულად, ზედვე მოწერილ არიან ბერძულის ასოებითა, ხოლო ლათინურნი მისისავე ასოებითა, ვითარ: პატრონი Patronus, ფარდი Pars, partis, სიგელი Sigella და სხ.

ესე ნაცვლად მისსა, რომელ საბას ზედმოუწერიან ლექსნი იტალიანურნი, ხოლო თურქთა და სომეხთ ლექსნი ზედმოწერილ არიან ქართულის ასოებითა, ვითა საბას მოუწერია.

უკეთუ ესრეთ უცხოთა ენათა ლექსნი გარჩევით ზედმოეწერებიან, მაშინ არღა რა იქმნების საჭიროდ ხმარება მათ ლექსთათჳს ნიშნისა ο, რამეთუ თავით თჳსით სახილველ იქმნებიან, რომლისა ენისაგანცა მიღებულ არიან ლექსნი იგი, ხოლო გამოკჳლევისა მათისა მოვალეობა ჰსძესთ ზედმიწევნით მცოდნეთა მათ ენათათა.

ესრეთითა სახითა რომელთამე მეცნიერთა ნემეცთა უსწავიეს სპარსული ენა, უპოვიეს მას შინა 4.000 ლექსი თჳსისა ნემეცურისა ენისა და შეუკრებიათ ერთად. გარნა სარწმუნოდ შეუძლო არს თქმაჲ, რომელ სპარსთა მიუღიათ ნემეცთაგან, ანუ თუ ნემეცთა—სპარსთაგან. ამგჳარი გამოძიება არა არს დაკნინება ენისა, არცა არს დიდება მისი, უკეთუ ვინმე ახირებით გინა უმეცრებით ამტკიცებდეს, ვითარმედ ამას რომელსამე ენასა არა აქჳს ზიარება სხჳათა თანა ენათა, ხოლო მცირედ, რაოდენმე მეცნავსა სხვადასხჳათა ენათასა გასინჯული აქჳს, თუ ვითარ წარმოსდგებიან იგინი ერთიმეორისაგან, ვითა ფრანცისული და იტალიანური ლათინურისაგან, გინა თურქთა ენა არაბულისაგან და სხჳანი.

4. სარწმუნოდ გამოძიებისათჳს ლექსთასა და მეტადრე ესრეთთა ლექსთასა, რომელნიცა საზოგადოსა შინა საუბარსა იშვიათად იხმარებიან, ანუ სრულიად უცნაურ არიან, გჳქონან ორნი ღონისძიებანი:

1) ანუ ჯერ არს გასწავლება წერილთა შინა, სადაცა ლექსი იგი იპოვების;

2) ანუ ჩვენება მის თემისა, სადაცა იხმარების იგი და რა თარგმანება აქჳს, ვითა საბას აღუნიშნავს კანოხი, ანუ ლანუხობა მესხურად და ოჯოჯა მეგრულად და სხ.

თჳნიერ ორთა ამათ ღონისძიებათა, უცნაურნი ლექსნი არა ჯერ არიან შემოტანად ლექსიკონსა შინა, რამეთუ არიან ვიეთნიმე თჳთმომგონნი ლექს-

თანი, რომელნი არცა იპოვებიან წერილთა შინა, არცა იხმარებიან სადამე და, მაშასადამე, არავისთჳს არიან შესამეცნებელნი.

მრავალნი ლექსნი საბას გაუსწავლებიან სხვადასხუათა შინა წერილთა და უმეტეს საღვთოსა წერილსა შინა დანიშნვითა თავთა და მუხლთათა, სადაცა იპოვებიან იგინი. და ვინათგან მისსა დროსა ჯერეთ არა ყოფილ არს სრული დაბადება დაბეჭდილი, ხოლო მას გამოუწერია ხელნაწერთაგან, ამად რომელთამე ადგილთა შინა იხილვების სხვაობა ლექსთა, რომელთაგანცა მოიღებიან აქა რაოდენნიმე:

საბას ლექსიკონსა შინა: *სახიობა*, დაბად. 31, 27, ხოლო დაბეჭდილში *მუსიკებრი*.

საბას ლექსიკონსა შინა: *ისარნები*, მუნვე, 24, 20, ხოლო დაბეჭდილში *ჯურღმული*.

საბას ლექსიკონსა შინა: *სხეპლა*, გამოსლ. 39, 3, ხოლო დაბეჭდილში *ოქროცხებული*.

საბას ლექსიკონსა შინა: *სხვენი*, ისუ, 2, 6, ხოლო დაბეჭდილში *ხელი ძნეული*.

საბას ლექსიკონსა შინა: *ალმაგი*, ანუ *იალმაგი*, 1 მეფ. 17, 38, ხოლო დაბეჭდილში *ჩაფხუტი*.

საბას ლექსიკონსა შინა: *აღლუმი*, 2 მეფ. 2, 30, ხოლო დაბეჭდილში *აღრიცხუა მხედრობისა*.

მაგრამ ესე ლექსი *აღლუმი* რუსთველსაც უხმარია. ნახე თჳსს ადგილს.

საბას ლექსიკონსა შინა კჳალად: *ტაბარაკი*, მუნვე, 2 მეფ. 12, 31, ხოლო დაბეჭდილში *ხერხი*.

საბას ლექსიკონსა შინა:	*არდაბაგი*, 4 მეფ. 1,2,	ხოლო დაბეჭ. *სარქმელი*.
" " "	*გუდა*, მუნვე, 5, 23,	" " *ტომარაკი*.
" " "	*დანდალი*, მუნვე, 19, 28,	" " *ლაგამი*.
" " "	*იბეკნ*, იობ. 39, 21,	" " *როკავენ*.
" " "	*ტორანტოხი*, ესთერ 1, 6	" " *გრგოლი*.
" " "	*პაპენისი*, მუნვე, 4, 8	" " *წერილი*.
" " "	*სერსეროთი*, 2 ნეშტ. 3, 15	" " *ბადე*.

და სხვადასხუა.

ამისგან ჰსჩანს, ვითარმედ დაძველებულნი და საზოგადოსა ხმარებასა შინა სრულიად გადავარდნილნი ლექსნი არღარა შემოუტანიათ წერილთა შინა ჟამსა დაბეჭდჳსა სრულის დაბადებისასა, რამეთუ ესრეთთა ლექსთაგან ფრიად დაბნელდების ჰაზრი მათი.

გარდა ამისსა არა ჯერ არს შემოტანა მათ ლექსთაცა, რომელნი გადამწერთაგან შეცთომით არიან წახდენილნი და დაბეჭდილთა წიგნთაცა შინა დატევებულნი გაუმართავად, ანუ თჳთ მბეჭდავთაგან შეცდენილნი.

მაგალ., დაბეჭდილში: გამოსლ. 28, 19: *პოგჳრიონი* სწერია ნაცჳლად *ლიგჳრიონი*.

მაგალ., დაბეჭდილში: ეზეკ. 42, 13: *დადვოდიან* სწერია ნაცჳლად *დასდებდიან*.

მაგალ., დაბეჭდილში: მუნვე, 43, 27: წარმართთა სწერია ნაცჳლად წარმართ ანუ წალმართ.

მაგალ., დაბეჭდილში: მიქ. 7, 10: გზაოა სწერია ნაცჳლად გზათა.

მაგალ., დაბეჭდილში: გამოცხ. 3, 18: იორვნე სწერია ნაცჳლად იოლვნე.

ზოგგან სწერია მეფისა ნაცჳლად მემფისი (ქალაქი) და მესოლოტამია ნაცჳლად მესოპოტამია. კჳალად ჰყრიდეს თავთა ნაცჳლად ჰხრიდეს (ნახე ლექსი ხრა). ამგჳართა შეცთომათა ჯერ არს განმართვა და არათუ კჳალად უმეტეს წახდენა.

5. განმარტებასა შინა ლექსთასა ჯერ არს განმკაცრებაჲ, რათა ერთისა ლექსისა სათარგმანებელად ხმარებულნი სხჳანი ლექსნიცა, მეტადრე ხმარებასა შინა უცნობნი, კჳალად განმარტებულ იყჳნენ ცხადად თჳსსა ადგილსა, რამეთუ თჳნიერ ამისსა შეუძლებელ არს გაგება მათი. მაგალ., ალა წისქვილის ალატა, და ალატა საფქვილე ალა. ეს ლექსნი არ გაიგებიან. კჳალად კაპანი. ამას უწერია განმარტებად ქვალოჯი, ლადალუდას განმარტება არს კაპანი და არც ერთი ნათლად არა სჩანს. კჳალად ქოჩი (ხე) შებარდული ხე, ხოლო რას ჰნიშნავს შებარდული, ანუ ბარდი? ესე ვითარნი თარგმანებანი არიან უმეტეს დაბნელება და არა თუ განმარტება.

6. კჳალად ჯერ არს განმკაცრებაჲ, რათა სინონიმნი, ანუ ერთსახელნი ლექსნი არა დაიდებოდენ რეცა სახეებაჲ ნათესავისა. მაგალ., ტიტველი და შიშველი არიან სინონიმნი, ანუ ერთისა და მისვე მნიშნველნი და არა თუ სახენი ნათესავისა რომლისამე და სხვაობა მათი არს მხოლოდ ესე, რომელ ტიტველი იხმარების საუბრის ენასა შინა, ხოლო შიშველი წერილთა შინა. ეგრეთვე ცერეცო და ანისული, არიფანა და ფსონი და სხ.

ესრეთთა სინონიმთათჳს საკმაო არს, რათა განიმარტოს ერთი მათგანი და სხჳანი გასწავლებულ იქმნენ ურთიერთისადმი ჩვენებითა სხვაობისა მათისათა.

7. რუსეთის აკადემიისაგან სწავლათასა გარდამოცემულთა შინა ლექსიკონთა მიღებულ არს მტკიცედ კანონად არა შემოტანა მათ შინა უშვერთა, საზიზღართა, უზდელურად საგიობელთა და ცუდის აუგის ლექსთა, და ამის გამო მცირედ განმართულსა ამას ლექსიკონსა შინაცა მკაცრად დაცვულ არს ფრიად კეთილი ესე კანონი.

8. განსარჩეველად სხვადასხჳათა ჰაზრთა ერთისა მიერ ლექსისა დანიშნულთა საბას უხმარიეს ნიშანი ესე *, ვარსკჳლავთა, ხოლო აწ ნაცჳლად ამისსა ხმარებულ არს § ანუ ‖. ამითი განიყოფებიან ცალ-ცალკე თჳთო სახენი, მნიშვნელობანი ერთისა ლექსისანი.

9. გარდა საღვთოთა წერილთა, საბას შემოუტანიან ლექსნი საეროთა წიგნთაგანცა და მეტადრე ქართლის ცხოვრებისაგან, ვეფხისტყაოსნისაგან, კარაბადინთაგან და სხ. მაგრამ ლიტონად და დაუნიშნავად ადგილთა, ანუ მუხლთა, სადაცა ლექსნი იგი იპოვებიან. და ესეცა საგონებელ არს, ვითარმედ საბას დროს ჯერეთ არ იქმნებოდა შესრულებული ქართლის ცხოვრება მეფის ვახტანგისა და მეტადრე შვილისა მისისა ვახუშტისა. მაშა გამოუწერია

ველის ქართლის ცხოვრებისგან, რომელიც აწ დაკარგულია. ხოლო ვეფ-ისტყაოსანის თარგმანი, დართული მის მეფისგან დასასრულსა მის წიგნისასა, ერიად ეთანხმების საბას განმარტებასა, რომლიდამაც აწ შემოტანილ არიან აქა მრავალნი ლექსნი ჩვენებითურთ მუხლთათა, არამედ მას შინაცა ჯერ არს კარჩევა შეცთომათა, დაბეჭდვაში შეხდომილთა. მაგალ., 115 მუხლსა ლექსი ნაპირი სწერია ნაპრალის მაგიერ, ხოლო 259-სა შინა ლექსი მაჯანი ანუ მაჯნი ჰნიშნავს მუქთსა, ანუ ცუდსა და შეცთომით დაუბეჭდავსთ ცული (ახლე თარგმანში). კჳალად 572 შინა ცრემლითა სწერია, ცემითა უნდა. გარდა ამისსა, ჯერ იყო ჩაკითხვა სხჳათაცა სამაგალითოთა წერილთა ქართულსა ენასა ზედა, ვითარ იგი ვახტანგ მეფის სამართლისა, ქილილა და დამანისა, სიბრძნე სიცრუვის ზღაპართა და სხჳათა ძველთა წერილთა და გამოწერა მათგან ლექსებისა, გარნა უქონელობითა მათითა ჯერეთ შეუძლო იყო ქმნად ამისსა.

კჳალად რომელნიმე ღრამმატიკულნი შესწავებანი

1. ზოგთა არსებითთა სახელთა დაესხმის მარცვალი ეული და შეიქმს მათ შემკრებელობითად. მაგალ.: ბეწვი — ბეწვეული, ვეცხლი — ვეცხლეული, ოქრო — ოქროული, ნივთი — ნივთეული და სხ. კჳალად სახელთა ხეთა და ბალახთასა დაერთვის მარცვალი ნარი და შეიქმს მათ შემკრებელობითად. მაგალ.: მუხა — მუხნარი, ფიჭვი — ფიჭჳნარი, თხილი — თხილნარი, შინდი — შინდნარი, ძეძვი — ძეძჳნარი, ბუჩქი — ბუჩქნარი, შამბი — შამბნარი და სხ.

2. ოდესმე არსებითი სახელი დაიდების ზედშესრულად და გარემოქცევით. მაგალ.: განშიშულებული მახვილი — обнаженный меч; მახვილი გონება — острый ум; ცხადი ტყუვილი — явная ложь; ტყუვილი ამბავი — ложная весть.

3. ზედშესრულნი: ბრძენი, გონიერი, ვერაგი, რეგვენი და სხ. მიეწერებიან პირსა, ხოლო ნივთისათჳს ითქმის: ბრძნული, გონიერული, ვერაგული, რეგჳნული. მაგალ.: ბრძენი კაცი; ბრძნული სიტყვა, საქმე და სხ. არამედ ლექსთა, მქონებელთა ასოჲსა ლ, ნაცჳლად მარცჳლისა ული დაერთვის ური. მაგალ.: კეთილშობილი კაცი, კეთილშობილური გრძნობა და სხ.

4. ოდესმე ზედშესრულნი სახელნი გაკეთდებიან არსებითთა სახელთაგან მრავლობითთა. მაგალ.: ფრთა, ფრთიანი ჰნიშნავს ერთისა ფრთისა მქონებელსა, ხოლო ფრთებიანი მრავალთა ფრთათა მექონსა. ეგრეთვე: ფეხი, ფეხიანი და ფეხებიანი; ღილი, ღილიანი და ღილებიანი; მთა, მთიანი, მთებიანი, ამისგან მთიანეთი, თიანეთი.

5. მდაბიურსა შინა ლაპარაკსა შედარებითი ხარისხი შეიქმნების ლექსთა მიერ უფრო, ცოტად. მაგალ.: უფრო ნელა, ცოტად ნელა, потише; უფრო ჩქარა, ცოტად ჩქარა, поскорее. ხოლო აღმატებითი ლექსთა მიერ: ძალიან, ძრიელ, მეტად. მაგალ.: ძალიან დიდი, მეტად დიდი, пребольшій; ძრიელ პატარა, малейшій.

6. რომელთამე არსებითთა სახელთა დაესხმის ბოლოს მარცვალი ედი და მისცემს სახესა ზედშესრულისასა. მაგალ.: კარავი—კ ა რ ვ ე დ ი, ე. ი. კარვის მსგავსი; ქორი—ქ ო რ ე დ ი, ფესვი—ფ ე ს ვ ე დ ი, ფიცარი—ფ ი ც რ ე დ ი, ე. ი. გ ა ფ ი ც რ უ ლ ი; კუთხე კ უ თ ხ ე დ ი, ე. ი. კ უ თ ხ ე ე ბ ი ა ნ ი; მარცჳალი—მ ა რ ც ჳ ლ ე დ ი და კჳალად რიცხჳ—რ ი ც ხ ვ ე დ ი, ითქმის: ო რ რ ი ც ხ ვ ე დ ი, ს ა მ რ ი ც ხ ვ ე დ ი, მ რ ა ვ ა ლ რ ი ც ხ ვ ე დ ი და სხ.

7. საქცევი ადგილობითთა სახელთა იქმნების ესრეთ: მაგალ., კ ა ხ ი, დ ჳ ა ლ ი, ი ნ დ ო. ესენი ჰნიშნვენ ბუნებითსა მცხოვრებსა, ანუ მკჳდრსა მათ ადგილთასა, და რაჟამს ლექსთა ამათ დაერთვის მარცჳალი ე თ ი, მაშინ ჰნიშნავს მხარესა, ანუ თემსა მათ ადგილთასა. მაგალ.: კ ა ხ ე თ ი, დ ჳ ა ლ ე თ ი, ი ნ დ ო ე თ ი, ხოლო მუნით მოსრულთა კაცთა დასანიშნავად დაერთვის მარცჳალი ე ლ ი, მაგალ., კ ა ხ ე ლ ი, დ ჳ ა ლ ე ლ ი, ი ნ დ ო ე ლ ი; და კჳალად მუნებურთა ცხოველთა ანუ ნივთთა დასანიშნავად დაერთვის მარცჳალი უ რ ი. მაგალ.: კ ა ხ უ რ ი ღვინო, კ ა ხ უ რ ი ხოხობი, დ ჳ ა ლ უ რ ი ცხჳარი, ი ნ დ ო უ რ ი სპილო, ი ნ დ ო უ რ ი ენა, ი ნ დ ო უ რ ი კაკალი და სხ.

ეგრეთვე იქცევიან სახელნი ქალაქთა და სოფელთანიცა. მაგალ.: მ ც ხ ე-თ ა, მ ც ხ ე თ ე ლ ი, მ ც ხ ე თ უ რ ი; დ ი ღ ო მ ი, დ ი ღ მ ე ლ ი, დ ი ღ მ უ რ ი; თ ე ლ ა ვ ი, თ ე ლ ა ვ ე ლ ი, თ ე ლ ა ვ უ რ ი; გ ა ვ ა ზ ი, გ ა ვ ა ზ ე ლ ი, გ ა ვ ა-ზ უ რ ი და სხ. კჳალად თ ე მ ა ნ ი, თ ე მ ა ნ უ რ ი, მ ო ს ე ა ნ უ რ ი.

ხოლო ვინათგან ასონი ლ, რ და ზოგჯერ ნ-ცა უკეთუ განმრჩობლებით შეხჳდებიან ერთსა შინა ლექსსა, მაშინ შეიცჳალებიან ურთიერთსა ზედა (ვითა თქმულ არს მათთჳს. იხილენ ლექსიკონსა შინა თჳს თჳსს ადგილსა); ამად უკეთუ პირველ სახეთა ლექსთა შინა იპოვების ასო რ, მაშინ ნაცჳლად მარცჳლისა უ რ ი, დასანიშნავად სახელთა ნივთთასა, დაერთვისთ უ ლ ი. მაგალ.: სპარსი, სპარსეთი, სპარსელი, ს პ ა რ ს უ ლ ი; იმერი, იმერეთი, იმერელი, ი მ ე რ უ ლ ი; არაბი, არაბეთი, არაბელი, ა რ ა ბ უ ლ ი; ასური, ასურეთი, ასურელი, ა ს უ რ უ ლ ი და არა უ რ ი.

ეგრეთვე: გორი, გორელი, გ ო რ უ ლ ი; სურამი, სურამელი, ს უ რ ა მ უ-ლ ი; აჭარა, აჭარელი, ა ჭ ა რ უ ლ ი და არა უ რ ი. კჳალად გელათი, გ ე ლ ა-თ უ რ ი, ხოლო მარცჳლისათჳს ე ლ ი პირველი ასო ლ შეიცჳლების ნ- ზედა, გ ე ნ ა თ ე ლ ი და არა გ ე ლ ა თ ე ლ ი.

სახელნი ქალაქთა და სოფელთანი, დაბოლოვებულნი მარცჳალსა ზედა ი ს ი, ზოგჯერმე ისპობენ მას და ზოგჯერ არა. მაგალ.: ქ უ თ ა ი ს ი, ქ უ თ ა-თ ე ლ ი, ქ უ თ ა თ უ რ ი, ანუ ქ უ თ ა ი ს ე ლ ი, ქ უ თ ა ი ს უ რ ი; ტ ფ ი ლ ი ს ი, ტფილელი და ტ ფ ი ლ ი ს ე ლ ი, ტ ფ ი ლ ი ს უ რ ი; კ უ მ ი ს ი, კ უ მ ე ლ ი და კ უ მ ი ს ე ლ ი, კუმური და კუმისური; ს ა მ თ ა ვ ი ს ი, სამთავნელი, ანუ სამთა-ვისელი, სამთავისური; ე რ უ შ ე თ ი, ერუშნელი, ე რ უ შ ნ უ ლ ი (ამათ ნ შთა-ერთვისთ); დ მ ა ნ ი ს ი, დმანელი, დმანური, ანუ დმანისელი, დ მ ა ნ ი ს უ რ ი.

აქა ჯერ არს შესწავლება, ვითარმედ ვახუშტი ბაგრატიონი აღწერასა შინა ოსეთისასა მოიხსენებს: „ხაზართა მეფემან (უსახელომან) მისცა ქვეყანა კავკასთა ძესა თჳსსა უ რ ბ ა ნ ო ს ს. ამან მოსწყვიდნა კავკასიანნი და დაეშენა თჳთ და ხაზარულად უწოდა ო ვ ს ე თ ი, ე. ი. თ ე ს ვ ა დ ო, ხოლო არაგვის

დასავალით კერძოსა—დ ვ ა ლ ე თ ი, ე. ი. ხაზარულად ო რ ი წ ე ლ ი წ ა დ ი ო და სხ«.

უსაფუძველობა ვახუშტის მოთხრობისა აღმოიჩინების ესრეთ:

გასათხოვარი ქალი მოსწრებული საქმროდ, невеста.

გასამართავი გამართვის მოქენე, требующий поправки, следующий к исправлению.

გასამართლება

გასამრჯელო შრომის ფასი, плата, благодарность за труды.

გასანთლვა (გავსანთლავ) სანთლის წასმა, навощивать, натирать воском.

გასატეხი რაიცა შესაძლო არს გატეხად, ломкий.

გასაღები მოქლონთა კლიტე, რომლითაც გაიღება დაკეტილი, ანუ მოსამართავი საქამოთა და მისთანათა, ключ, ключик.

გასაყარი ჭერის საშუალ დიდი ძელი, რომელზედაც დანდობილი არიან კოჭები, перекладина.

გასესხება (გავასესხებ) გავალება, გაცემა თეთრისა სარგებლით, отдавать в займы, на проценты.

გასვენება (გავასვენებ) პატივით გატანა (ნახე გამოსვენება და მოსვენება).

გასინჯვა, გაშინჯვა (გავსინჯავ) განხილვა, გაჩხრეკა, გამოძებნა, рассматривать разбирать.

გასრესა (გავსრეს) დაჟღულემა, დათრგუნვა, დალეწა, раздавливать, растаптывать.

გასტუმრება (გავისტუმრებ) გაგზავნა, წარგზავნება, отправлять, отсылать.

გასუქება (გავასუქებ, გავსუქდები) ხორცის მომატება კარგად შენახვით, откармливать, -ся.

გასწავლება (გავასწავლებ) გამოცდა, გაწურთნა (ვეფხისტ. 905).

გასწორება (გავასწორებ, გავსწორდები) თანასწორად შექმნა (მუნჯე. 790), поровнять.

გასხლვა (გავსხლავ) მოკვეთა ურჩებთა რტოთა ვაზთაგან (ნახე სხლვა) (შავთ. 87), очищать, обрезывать лозы виноградные.

გატანა (გავიტან, გაიტან) შიგნიდამ გარეთ გაღება, выносить. // გაღმა წაღება, перевозить, переносить. // კაცის დანდობა, устоять кому в слове, не изменить.

გატანება (გავატან) თან გაგზავნა, посылать что с кем.

[**გატარება** проводить время].

გატეხა (გავსტეხ) განტეხა (ვეფხისტ. 5). // დარღვევა, დახსნა პირისა ან ფიცისა (მუნჯე. 518, 525), нарушать клятву, слово.

გატიტვლება (გავატიტვლებ, გავსტიტვლდები) განშიშვლება, განძარცვა, გახდა სამოსელთა ტანისაგან (ითქმის ნივთთათვისცა), обнажать.

გატლიკული გაშიშვლებული (ნახე ტლიკვი), облупленный.

გატოპვა (გავსტოპავ) ფეხით წყალში გასვლა (ნახე ტოპვა და სიარული).

გატრიზავება (გავატრიზავებ) გაკმარება, გაწბილება, გაკილვა, აგდება, осмеивать.

გატუხვა (გავტუხავ) დაკლულის ღორის ბალანთ ცეცხლზედ გარუჯვა და გასუფთავება ტყავისა.

გაუბედავი застенчивый

გაუბედურება (გავაუბედურებ) უბედურად შექმნა, сделать несчастным.

გაუმაძღარი გაუძღომელი, დამშეული ან ხარბი (ვეფხისტ. 708), ненасытный, жадный.

გაუტანელი დაუნდობელი, შეურჩენელი, ненадежный, изменчивый.

გაუქმება ნახე განუქმება.

[**გაუჯანჯლებლად**].

გაფანტვა (გავჰფანტავ) განბნევა, დაბნევა, разбрасывать.

გაფითქება გულისა სიხარულით შეკრთომა (ვეფხისტ 857), сердце забьет.

გაფლანგვა (გავჰფლანგავ) უბრალოდ დახარჯვა, წარგება, გაფანტვა, растрачивать, проматывать.

გაფრენა (გავაფრენ, გავჰფრინდები) გაშვება ან წასვლა ფრენით (ვეფხისტ. 212), пускать лететь, или полететь.

გაფრთხილება (გავაფრთხილებ, გავჰფრთხილდები) დარიდება, მორიდება საშიშისაგან, предостерегать,-ся.

გაფუვება (გავაფუვებ) აღფუება, გაღვივება ცომისა, подквашивать тесто.

გაფურთხვა выплюнуть.

გაფურჩნვა (გავფურჩნი) ფურცლების დაგლეჯა, დასხეპა ყვავილთა და შტოთაგან, щипать, общипывать цветы и т. п.

გაფუფქვა (გავფუფქავ) მდუღარეში ჩადება დაკლულის ქათმისა, გოჭისა და მისთანათა ადვილ გასაგლეჯად ბუმბულთა და ბალანთა.

გაფშიკული ცუდად გამხმარი, გამრუდებული, გააფრაკებული; [გაფშეკა, покоробить].

[**გაფცქვნა** лупить, გაფცქვნა კვერცხისა, лупить яйцо, გაფცქვნა ნუშისა, лупить, очистить миндаль].

გაფხაკვნა (გავჰფხაკვნი) ფრჩხილით ან დანის წვერით გაკაწვრა, ხაზის დაჩნევა, исцарапать.

გაქანება (გავაქანებ, გავექანები) საქანელაზედ რწევა შესაქცევად, качать,-ся. // სწრაფად გაქცევა, გაქრა მიტანება, устремлять,-ся.

გაქარვება ნახე განქარვება (ვეფხისტ. 107), рассеять.

გაქიზება

გაქექა (გავჰქექ) გაჩხრეკა, გადაბრუნება, расшевеливать.

გაქირდვა (გავჰქირდავ) განკიცხვა, აგდება, გაწბილება.

[**გაქნა** смешивать (ნახე ალთქვეფა)].

გაქნილი გამოცდილი, გაოსტატებული, прошлец, пройдоха, плут.

გაქოფიტება (გავაქოფიტებ) ტლანქად შექმნა, სახის მიცემა გაუსუფთავებლად, оболванить, сделать в черне.

გაქრობა (გავაქრობ, გაქრების) დავსება ანუ უჩინო ქმნა, поглощать,-ся, исчезать.

გაქსუვება (გავექსუვდები) ქსუდ შექმნა, одичать, дичиться.

გაქუსლვა (გავჰქუსლავ) დეზის კვრა ცხენისა, აჩქარება (ვეფხისტ. 212,618), пришпоривать лошадь.

გაქცევა (გავაქცევ, გავიქცევი) გაგდება, გარეკა, прогонять, обращать в бегство. // საჩქაროდ წასვლა ან გაპარვა, бежать.

გალანამცა განალამცა, დიალამც (ვეფხისტ. 498,1295), конечно.

გაღვივება (გავაღვივებ, გაღვივდების) ნახშირთ ცეცხლის მოკიდება და ნაკვერცხლად შექმნა, разводить огонь из угольев, раздувать. // ცომის გაფუება, მოდედება, вскипивать тесто.

გაღვიძება ნახე განღვიძება.

გაღიმვა, გაღიმება (გაეღიმებ) გაცინება უხმოდ ბაგეთა მიერ (ნახე სიცილში) (ვეფხისტ. 65), улыбаться.

გაღმა, გაღმართ ზმნიზედა, იმიერ, წიაღ. მეორეს მხარეს, по ту сторону.

გაღმრთობა (განვამღთობ) უკუდავად შექმნა.

[**გაყენება** (გავუყენებ) послать в погоню, გავაყენებ, отстранять, განყრა, გაყრა (გავუყრი), продевать].

გაშავება (გავაშავებ, გავშავდები) შავად შექმნა, чернить, очернить,-ся.

გაშვება (გაეუშვებ) განტევება, отпускать.

გაშველება (გავაშველებ, გავშველდები) მოშუღლეთ გაშორება, разнимать ссору.

გაშვერა (გაშვერილა) წინ წამოწეული რამე, торчать.

[**გაშინჯვა**]

გაშიშვლება (გავაშიშვლებ) გატიტვლება, обнажать.

გაშლა (გავშლი, გაეიშლები) გაფენა ან განმარტება, გახსნა შეკეცილისა, расстилать, растягивать руку, раздвигивать.

გაშმაგება (გავაშმაგებ, გავშმაგდები) გახელება, განძვინება (ვეფხისტ. 213), встревожить, -ся.

გაშორება ნახე განშორება.

გაშოტვა (გავშოტავ, გავიშოტები) ცუდად გაჰიმვა, გაშვერა, растягивать.

გაშრობა (გავაშრობ, გავშრები) გახმობა, სისველის უჩინო ქმნა, высушивать,-ся.

გაშტერება (გავაშტერებ, გავშტერდები) გაჩერება, უგრძნობლად გება მცირეს ჟამს გაკვირვებისაგან, зазевать, -ся.

[**გაშფოთება**]

გაშხლართვა (გავიშხლართები) გაშოტვა, უშვერად წამოწოლა.

გაჩანაგება (გავაჩანაგებ) წვრილად გაზიდვა ცხადად ან მალვით, გამოლევა, щечить.

გაჩენა (გავაჩენ) ნახე განჩინება (ვეფხისტ. 70). определять, решать. // დაბადება, შექმნა. წარმოება, творить, производить, образовать. // (გავიჩენ, გაჩნდების) გაშენება ცხოველთა, მცენარეთა და სხ., заводить,-ся.

გაჩეჩა (გავსჩეჩ) გაწეწვა მატყლისა საჩეჩლით, теребить.

გაჩრა, გაჩხირვა (გავსჩრი, გავსჩხირავ) დაუდევნელად გარჭმა, შეტენა, засовывать.

გაჩხრეკა (გავსჩხრეკ) გაქექა, არევა ცეცხლისა, размешивать огонь. // წვრილად გასინჯვა. გამოძებნა, разбирать, рассматривать.

გაჩხუპვა (გავსჩხუპავ) წყალში გასლვა ფეხით (ნახე ჩხუპვა და სიარული).

გაცარცვა (გავსცარცვავ) განძარცვა, ძარცვა, წართმევა სამოსელთა და სხვათა, грабить, ограблять.

გაცბუნება შეშლა, გაშტერება (შავთ. 75).

გაცემა (გავსცემ, გავეცი, გაეც, გასცემდი) მრავალთ მიცემა, დარიგება (ვეფხისტ. 49 და შემდგომი), раздавать. // განცემა, ღალატი, выдавать, предавать, изменять.

გაცვეთა (გავსცვეთ, გაცვდების) ტანისა და ფეხის საცმელთ დაძველება, დაგლეჯა, изнашивать.

გაცილება

გაცინება (გავაცინებ) მიზეზის მიცემა სიცილად, смешить. // (გავიცინებ) ქმნა სიცილისა. (ვეფხისტ. 65), смеяться. // (გავსცინებ) დაცინება, აგდება, насмехаться.

გაცისკრება გარიჟრაჟი (ნახე დილასთან).

გაცნობა

გაცრა (გავსცრი) საცერში გატარება ფქვილისა, сеять. просевать.

გაცრუვება (გავაცრუვებ, გავსცრუვდები) ცრუდ გამოჩენა, გამტყუვნება.

გაცუდება (გავაცუდებ) გაუქმება, წახდენა (ვეფხისტ. 1406), уничтожать, [браковать, неодобрять, охуждать].

გაძაბვა, გაძგიბვა (გაიძაბვის, გაიძგიბვის) მცირედ გაჰიმვა ან გაყინვა.

გაძევება (გავაძევებ), განძება, სხვანაირად გამობვება.

გაძლება (გავუძლებ) ძნელის მოჰირვება (ვეფხისტ. 273, 288), переносить, выдерживать, претерпевать, устоять. // (გასძლებს) გვიან დაძველება ან გაცვეთა, долго держаться, носиться.

გაძნელება (გავაძნელებ, გაძნელდების) საჰიროდ ან მრავალსაშრომელად შექმნა (ვეფხისტ. 636,1334), затруднять,-ся.

გაძრახ განგებ, განზრახვით, нарочно.

გაძრახება (გავაძრახებ) დარიგება, სწავლება მობირებით, подучать.

გაძრვა (გავსძრავ, გაეიძრვი) მცირედ შერხევა (ვეფხისტ. 622), двигать, шевелить,-ся.

გაძღოლა (გავუძღვები) ტარება სხვსა წინა წარსლვთ, ან გარიგება, водить.

გაძლობა (გავაძლობ) ნახე განძლება.

გაძლომა (გავსძღები) ნახე განძღომა.

გაწარი გრძლად დასაგები ბადე მფრინველთ სანადირო (მახესთან ნახე).

გაწბილება (გავაწბილებ) უკუწბილება, გაცუდება, შერცხვენა (ვეფხისტ. 59,252; შავთ. 75), сконфузить.

გაწევა (გავსწევ, გავიწევ) გაჭიმვა, გაფართოვება, тянуть, растягивать.//გაწევა, გასწი (ნახე გაზი!).

გაწითლება

გაწურთნა (გავსწურთნი) გასწავლება, გაგერშვა, приучивать.

გაწირვა (გავსწირავ) გამომეტება, ხელის აღება (ვეფხისტ. 294, 579, 636, 941 და სხ.), отчаивать.

გაწიწკნვა

გაჭედა (გავსჭედ, -დავ) გამაგრება ლურსმით ანუ სოლით, заколачивать.

გაჭიმვა (გავსჭიმავ) ძლიერად გაწევა, растягивать.

გაჭრა (გავსჭრი) განკვეთა მახვილითა, разрезывать. // (გავიჭრები) საჩქაროდ გავარდნა (ვეფხისტ. 31,57ბ), выбежать, побежать, полететь.

გახალვათება

გახამება (გავახამებ) სახამებლის წასმა, ანუ გავლება მას შინა, накрахмаливать.

გახანხლვა (გავხანხლავ) ალანძვა მწვადისა.

გახარება (გავახარებ, გავიხარებ) სიხარულის მიცემა, გამხიარულება (ვეფხისტ. 906,1444), обрадовать,-ся.

გახდა (გავხდი, გავიხდი) ტანისამოსის აცლა, მოშორება, раздевать,-ся.

გახდომა (გავხდი, გავიხდი) შექმნა, გაკეთება, сделать,-ся. // დამჭლევება, похудеть.

გახედნა (გავხედნი, -ნავ) გაწურთნა საჯდომთა ხვასტაგთა, выезживать, приучать лошадей к упряжи.

გახევა (გავხევ, გაიხევის) ნაქსოვთა, ანუ ქარტის გაგლეჯა, გაფრეწა, раздирать, разрывать.

გახეთქა (გავხეთქ) გაპობა. გ უ ლ ი ს გ ა ხ ე თ ქ ა ელდითა და მწუხარებით გულის გადაბრუნება (ვეფხისტ. 1426).

გახელება (გავახელებ, გავხელდები) გააბეზრება, გამფოთება, смущать, тревожить, -ся.

გახერხა (გავხერხ) განხერხა ნახე.

გახეშვა (გავხეშავ) გაჯრა.

გახეჩა (გავხეჩ) გაპობა გრძლად. გაგლეჯა ხელით ან მახვილით.

გახვრეტა ნახე განხურეტა.

გახიახება (გავახიახებ) გაჭკაქება, უბადოდ და ავსახელად განთქმა, ошельмовать.

გახიზვა (გავხიზავ) ხიზის წასმა (ნახე ხიზვა).

გახირვა (გავხირავ) გაჩხირვა, უადგილოდ დადება რისამე, засовывать.

გახლათვა (გავხლათავ) მიბმა-მობმა არევით, დახლათვა.

გახლეჩა (გავხლეჩ, -ჩავ) ხელით განპება ხილისა, პურისა და მისთანათა (ნახე ხლეჩა) (ვეფხისტ. 90).

გახმობა (გავახმობ, გავხმები) განხმობა, სხვანაირად მოკლება სინოტიოსი (ვეფხისტ. 1337), иссушать, иссыхать, засохнуть.

გახუზვა (გავხუზავ) გაპარსვა, გაკრეჭა, растригать.

გახსენება (გავახსენებ) საჴელის თქმა მოხსენება, поминать, упоминать. // ანუ სხვისადმი მოგონება, напоминать. // (გავიხსენებ) გამახსენდების თჳსდამი მოგონება, вспоминать, вспомнить.

გახსნა (გავხსნი, გავიხსნები) ნახე განხსნა. // (გავიხსნი, გავუხსნი სისხლსა, ხელსა) გართმევა, გამოშვება (ვეფხისტ. 358,362), пускать, отворять, открыть кровь.

გახურვება (გავახურვებ) ნახე განხურვება.

გახშირება (გავახშირებ, გახშირდების) ხშირად ქმნა, გამრავლება, учащать, умножать,-ся.

გაჯავრება (გავაჯავრებ, გავსჯავრდები) გაგულისება, рассердить,-ся.

გაჯი დამწვარი მიწა კირივით გასალესად კედელთა და მისთანათა, извость из жженной земли.

გაჯირჯვება ძლიერად დასივება, распухнуть.

გაჯიქება (გავსჯიქდები) ფრიად გაგლისპება, ახირება, упрямиться, остервенеть.

გაჯრა (გავსჯრი) გაჩრა, გაჭედა.

გაჯუფთება (გავსჯუფდები) გათხოვა, შებმა სირბილში, მუშაობაში და სხ., вызывать или выходить в запуски.

გბობა, გბოლვა (ვაგბობ) ხარშვა, варить.

გბობილი, გბოლვილი წუნიანი შეჭამადი (დაბად. 25,30; დან. 14,32—33; ანგია 2,13), вареный, варево.

გდება (გდია) ერთს ადგილს დება ან წოლა (მრავალთათჳს ითქმის ყ რ ა, ჰ ყ რ ი ა), валяться. // (ვუგდებ ბადეს) სროლა, метать, закидывать мрежу, невод бросать. // ვუგდებ ყურს (ნახე ყურის გდება); გდება (ვაგდებ). ვნებითად: ვ რ დ ო-

მ ა (ევარდები) მისის რთულებითურთ (ნახე თჳსთა ადგილთა).

გება (ვაგებ) გაშლა, დაფენა, დაგება, стлать, постилать.

გება (ვაგებ) შენება, აღშენება, აღგება, строить. // კუალად გ ე ბ ა (კუალად ვაგებ), გარიგება, განკარგვა, განგება (მატ. 17,11), устраивать.

გება (ვიგებ) მ ო გ ე ბ ა ანუ (ვაგებ) წ ა რ გ ე ბ ა (იხილენ თჳსთა ადგილთა ლექსნი ესე).

გება (ვუგებ, მივუგებ), პასუხისგება ნახე.

გება (ვჰგიე, ვჰგებ, ვეგები) ყოფა, დადგრომა (ფსალ. 9,7 და 36,19, კუალად 71,5,17), пребывать და სხ. (ნახე ეგების).

გეგმი აღსაშენებელის ადგილის პირველ მოხაზული სახე, план, фасад.

გეენია ადგილი ჯოჯოხეთისა ცეცხლით სატანჯველი ცოდვილთა (მატ. 5,22,29 და 10,28, კუალად 18,9), Геенна, *γέεννα* [1].

გეზელი (მჟრ.) მამალი ქორი, მიმინო და მისთანანი.

გეზი უფროთ ისარი (ნახე ისართან), გ ე ზ ა დ პირდაპირ, სწორედ (ნახე ქეშად), параллельно, горизонтально.

გელა თორნის საჩხრეკი კეტი.

გელაზი ზეთის სახდელთა შინა დიდი მრგული ქუა გვერდზედ სატრიალებელი დასალეწლად გამოსახდელთა მარცუალთა, жернов маслобойный.

გელაქნური (თევზ.) თევზი პოვებული გელაქუნისა ან სევანის ტბასა შინა, род форели.

გემება (ვიგემებ) გასინჯვა გემოსი, ნახვა გემოდ (დან. 5,1; იოან. 3,7), вкушать, пробовать, отведывать на вкус.

გემება ერთი ხუთთა გრძნობათაგანი, რომლისაცა ქვემდებარე არიან გემონი (ნახე საგრძნობელთან), вкус, вкушение (из 5 чувств).

გემო ვითარება საჭმელთა, ანუ სასმელთა, ქვემდებარე გემებისა, вкус относительно к предметам, უპირველესნი სახენი გემოსანი არიან 4: ს ი ტ კ ბ ო, ს ი მ წ ა რ ე, ს ი მ ლ აშ ე, ს ი მ ჟ ა ვ ე. ესენი რა შეიზავებიან ურთიერთარს, მეტნაკლებობით მისგან შეიქმნებიან მრავალგუარნი გემონი, რომელნიცა თჳსთა ადგილთა აღწერილ არიან.

გემოვანი, გემოიანი, გემიერი, გემრიელი, გემოკეთილი, вкусный.

[1] დედანში სწერია *γεενα*. რედ.

გემხი, გვიმხი ოფლისგან უწმინდურება (ნახე მწიკული).

გენია ნახე გეენია.

გეონი ხელშება (ნახე ლახვართან) (ისუ. 8,18), გ ე ო ნ ი თ ა ლახურითა, ჭოროლითა, с копием и проч.

გერგილი სიმარჯვე, ხერხიანობა, ნიჭი საქმისა.

გერგილიანი მარჯვე, ხერხიანი, способный, проворный, сметливый.

გერი თან მიყოლილი შვილი, უკეთუ შვილიანმან ქურივმან კაცმან, ანუ ქალმან იქორწინოს მეორედ, მაშინ შვილნი იგი ახალთა მეუღლეთათჳს იქმნებიან გერნი, пасынок, падчерица, ხოლო ესენი ურთიერთისა იქმნებიან ნ ა ხ ე ვ ა რ ძ მ ა ნ ი, ანუ ნ ა ხ ევ ა რ დ ა ნ ი, сводные братья, или сестры.

გერილი (უგერილებს) ითქმის წვიმისათჳს, რაჟამს ერთიანად წამოუშენს და კუალად გარდილებს.

გერკი, კერკი გამხმარი ხილი კურკიანი და საკუთრად შინდი.

გერმა მფრინველთ თივთიკი, пух.

გერში მცირედი პრილობა, გაკენწლვა, სისხლადმდე (ლევიტ. 24,19), порок, контузия.

გესლი შხამი გველთა და მისთანათა (ფსალ. 139,3), яд.//ჟანგი მეტალლთა (ფსალ. 77,46; იაკობ. 5,3), ржа, ржавчина.

გესლიანი შხამიანი, შხამის მქონებელი, ядовитый. // ფრიად საწყენი სიტყვა.

გეჯა დიდი გობა ხისა, ნავის მსგავსად ამოჭრილი (ნახე ნავი), бук, кадка, судно.

გვა (ვჰგჳ) მოცოცხვა, ცოცხით გახვეტა ნაგვისა, мету, мести, выметывать.

გვადრაკი, გვალაგი გუადრუცი (ნახე გუდარაკი).

გვალვა ნახე გუალვა, [გვალვა засуха].

გვარილი ნახე გორილი.

გვაჯი ნახე გუაჯი.

გველაშაპი, გველეშაპი ფრთებიანი და ფეხებიანი გველი (მძრ.), дракон, чудовище.

გველაძუა (მძრ.) გრძელი ჭია მძრომი.//მსოფლიურად მოუსვენარი, ჩხუბიანი ბოშვი, шалун, зверёк.

გველთევზა (თევზ.) угрь.

გველი (მძრ.) გესლიანი მძრომი (მარკ. 16,18; ვეფხისტ. 891), змий, змея.

გველის მბრძოლი (მძრ.) ანკარის მსგავსია, თავი მოშორებით აბია წვრილს კისერზედ (ლევიტ. 11,22), офиомах.

გველის წიწილი (მძრ.) მართვე გველისა.

გველხოკერა (მძრ.) ანკარა, уж.

გვემა (ვჰგვემ) ცემა ანუ ტანჯვა (საქმ. 16,37), бить, наказывать. // იგვემების, სნეულებს (მატ. 8,6 და 17,15), страдать.

გვემა, გვემულება სენი, სნეულება (მატ. 4,24; მარკ. 5,25, 29,34), болезнь, страсть, припадок. // ბრძვილი, დაჭრილობა, დაკოდილება (ფსალ. 34,15), рана.

გვერდა პატარა გორის გვერდობი (მთა ნახე), косогор.

გვერდი კაცის წიბო (დაბად. 2.21), ребро. //რომელიმე მხარე ადგილისა, ანუ ნივთისა (ფსალ. 47,2), ребро, бок, сторона (დაბად. 2,23).//წერილთ კაბადონი. страница.

გვერდი საწყაო ჩაფი (ნახე კოკა და საწყაო).

გვერდობი, გვერდის ძირი. სადაც მთის გვერდა მცირედ გავაკდება (ნახე მთა), косогор.

გვიან ხმნისხედა, ხანდაზმით.

გვიმრა (ბალ.) ჩადუნა, ფეტვი, ბლენცარა (ნახე ქჟრიმა).

გვინი და გუნი სიყვითლის სენი (2 სჯული. 28,22; ამოს. 4,9), бледность, златеница, желтуха (болезнь).

გვირაბი კლდეთა შინა შეკაფული ვიწრო გზა, მაღლა ასასლველი (ვეფხისტ. 1232 და შემდგომი).

გვირგვინი ნახე გჳრგჳნი.

გვირილა (ბალ.) ромашка.

გვირისტი უკუგდებით კერვა ან ნაკერი.

გვიცა და არაგვიცა, ე. ი. გჳძს და არაგჳძს, ანუ გვიძევს, გინა გუაქჳს და არა გუაქჳს. საახალწლოდ გლეხთ დიაცნი გამოაცხობენ ორს კვერს სხვადასხვა ნიშნებით, ერთს დაარქმევენ გ ვ ი ც ა და მეორეს ა რ ა - გ ვ ი ც ა, სახლის ბედს იმაზედ დასცდიან, თუ პირველი ჩავარდა კუტად, ის იქნება უბედობა, ანუ უქონლობა და თუ დადგა, ის იქნება საბედნიეროო. ამის გამო იმერნი პატარა ლავაშებს უხმობენ კ ვ ი ც ა დ.

გვიძინი (მფრ.) გარეული ტრედი, дикий голубь. თ. იაზგოგაჩინ, ს. ვერალღუნაკ [ვაჲრი აღუნაკ].

გვრინვა, გრინვა გრგვინვა, ხმა საგლოველი (იერემ. 9,20), рыдание.

გზა ზოგად სავალი კაცთა (ფსალ. 1,1; მატ. 13,4). путь, дорога. თ. იოლ, ს. ჰანაპარ, ჰამფა. ვრცელს საურმეს გზას ეწოდების შ ა რ ა და შარას აქეთ და იქით საქვეითოს ბილიკებს თ ა ნ თ ა ნ ა; ცალკე ვიწროს გზას, ერთის კაცის სავალს—ბ ი ლ ი კ ი; გატკეპნილს თოვლთა. ანუ შამბთა ზედა—ქ ა შ ა ნ ი; კლდეთა ზედა ვიწროსა მიხვეულად სავალსა — წ ა ვ ა რ ნ ა, გინა კ ა რ კ ვ ა ნ ა; ჯვარედინსა — მ ე ბ ო ძ ი რ ი.

გზავნა (ვგზავნი) გასტუმრება, წარვლენა, გაგზავნა, посылать.

გზება, გზნება (ვაგზებ, ვაგზნებ, ვეგზნები) ძლიერის ცეცხლის ანთება (ვეფხისტ. 266), разводить огонь, гореть.

გზირი შულტი, სოფელსა შინა ქევხათ შემდეგნი კაცნი, რომელნიც ხმამაღლა ზახილით აცნობებენ და გამოუცხადებენ რასმე მოსახლეთა (ვეფხისტ. 1186), кличей, десятник сельский.

გზის და გზობას არა იხმარებიან მარტივად, არამედ რთულად რიცხვთთა სახელთა თანა: ე რ თ გ ზ ი ს, ო რ გ ზ ი ს, ს ა მ გ ზ ი ს და სხ. (იხილენ თჳსთა ადგილთა), ვითა ხ ე ლ ო ბ ა.

გია (ხე) ტეია (ვეფხისტ. 87,13,14), лиственница (და 1027).

გიდელა ჩალისა ან წნელისგან დაწნული სკივრი (ნახე შარაგულთან), корзинка соломенная.

გინგილა სადიაკონო ოლარი მხარზედ გარდასაკიდები გრძლად წინ და უკან, орарий диаконского облачения.

გინგლი ბუსუსი თმა ჩჩვილთა (ნახე თმასთან).

გინდა ზმნა 2 პირისა, დაერთვის ნაცვალსახელთა. ვინგინდავინ, რაგინდარა.

გინება (ვაგინებ, ვიგინები) ურიგოდ ხსენება, შეურაცხება, გაუპატიურება (მატ. 22,6; ლუკ. 11,45), досаждать, обижать (1 პეტრ. 2,23; ფსალ. 82,16; ისაი. 16,6; ეზეკ. 32,12). укорить, злословить, ругать, бесчестить.

გიობა გინება. გმობა, ძაგება (იერემ. 20,10), досадительство, хула.

გიორგობისთვე ტირსიკონი, ნოემბერი (ნახე ზოდიაქო), ноябрь.

გიჟი გონებანაკლები ან ჴკუაშეშლილი, сумасшедший, дурак, ამისნი სახენი 12 დაუდგიათ:

1. **შმაგი,** რომელი სიგიჟით ავნებდეს თავსა თჳსსა და სხვათაცა, азартный, ветреножный.
2. **ხელი ან შეხმუხი,** რომელი უცნობოდ გარბოდეს და არავის ავნებდეს, полоумный.
3. **სულელი** ცნობამიხდილი, ვერ გამრჩევი სარგებელისა და სავნებელისა, ბებერთათჳს ითქმის ტ უ ტ უ ც ი, глупый.

4. **ცოფი** წინდაუხედავობით და სიბორგილით კეთილად ვერ განმსჯელი, сошеный. буйный.

5. **ნალქლიანი**, რომელი ჟამად უცნობო იქმნებოდეს მოუთმენელის მწუხარებით. რ ე ტ ი ა ნ ი ც ამგუარივეა, задумчивый.

6. **რეგვენი**, რომელსა აკლდეს ზრდილობა და მცირედ ხელურს იქმოდეს, глупый. дурак.

7. **ტეტრი**, რომელსა აქუნდეს რაოდენმე მეცნიერება, გარნა ზუაობით ხელურს იქმოდეს, педант.

8. **შლეგი** დაუცადებელად და თავგაწირვით მოუსვენარი ან отчаянный, თავზედ ხელაღებული.

9. **შტერი** ფრიადითა ალორთქლებითა შინაგანთა ბალღამთათა საგრძნობელთ ორღანოთა მიხდილი და საქმეთა კეთილად ვერ მოქმედი. ამგუარივეა ც ე ტ ი და ჩერჩეტი, зевака.

10. **ფეთიანი** ღამე საოცართა მოლანდებითა ჟამად ცნობა მიხდილი, беснуемый привидениями, ბ ნ ე დ ი ა ნ ი.

11. **შეთიანი** სნეული ხელურად მქცევი ხშირად წამოეარდნით, ანუ უგუნურად უბნობით.

12. **ხეტი** ტეტრის მსგავსი, სიყრმითგან გონებადაბრჯგუვებული ავის ზნის შეჩვევით და თუმცა შემდგომად სწავლა მოენებოს, არამედ სწავლით უმეტესად გარდარეულ იყოს, закоренелый, огрубелый педант.

გიჟი ზოგჯერ ჰნიშნავს ცელქსა, მოუსვენარსა, резвый. буйный, ხოლო ჰ კ ვ ი ა ნ ი მშვიდსა, смирный.

გირაგი დიდი მანგანა ხისა, მოსაჰირებელი გასახერხავთა ძელთა, ანუ გასაქლიბთა მეტალლთა.

გირაო წინდი, საწინდარი, залог, заклад. ს. გგრავ.

გირვანქა 8 კვერცხის წონა (საწონთან ნახე), фунт.

გიშერი სათი, შავი ქუა ძვირფასი (ვეფხისტ. 3,4). თ. სათ(?).

გიშრაფეთი ზელილი კორკოტი. თ. ჰარისა(?).

გლა (ვაგლი, ვეგლები) თავის გლა, მიხლა, ударять. -сл. რა გ გ ლ ი ს რა გრჯის, რაგგმა, ან რას დასდევ.

გლახ! შორისდებული სავაებო (იხილე როულად ვ ა გ ლ ა ხ! ვეფხისტ. 187, 290), горе! увы.

გლახა, გლახაკი უპოვარი, უქონელი, ანუ დაცემული სიმდიდრისგან (ფსალ. 9,18,30 და 111,9; მარკ. 12,42), нищий, убогий, бедный. // ითქმის ნივთთათჳსცა და ჰნიშნავს ცუდსა, ბედითსა, ვითარ გ ლ ა ხ ა ღვინო, გ ლ ა ხ ა დანა, გ ლ ა ხ ა ნაწერი, худой, дурной.

გლემურძი ღორის ხორცსა და ტყავს შუა მომსუქნო ადგილი.

გლესა (ვგლეს) განგოზა, წასმა რისამე. გაგლესა, штукатурить.

გლეხი, გლეხიკაცი მდაბიო, მსოფლიო მოსახლე, мужик.

გლეხური გლეხთ შესაფერი, мужицкий.

გლეჯა (ვჰგლეჯ) ხევა, მოხევა, დახევა, ანუ აღმოფხურა მცენარეთა, კრეფა ხილთა და მისთანათა (ვეფხისტ. 940, 1437), рвать, драть, дергать.

გლინვა (გლინავს, ეგლინება) გველივით მუცლით ცოვა (სიარულში ნახე), ползать.

გლისპი ანჩხლი, კაპასი, ჯიქი, გაუგონარი, მიუკარებელი, упрямый, капризный, неприступный. // სალვთოსა შინა წერილსა დაუდვიათ გაპარსულის ადგილს (იერემ. 25,23), остриженный.

გლოვა (ვიგლოვ, ვგლოვობ) ვაება, ტირილი (ფსალ. 29,11 და 77,63; მარკ. 16,10; იაკობ. 4,9), плакать, сетовать.

გლოვა, გლოვობა შავის შემოსა ჟამ რავდენმე მიცვალებულთა ზედა (2 მეფ. 14,2), сетование, траур.

გლუ, გლუვი უმქისო, უროკო, უხორკლო, гладкий.

გლუსუნი (ვეგლუსუნები) ზედ წახეხება.

გმერა, გმირვა, გუმერა, გურემა (ვჰგმერ, ვჰგმირავ, ვუგმერ) მახვილის კურა, განწონება, განგმერა (იოან. 19,34 და შემდგომი; ვეფხისტ. 874), прободать, пронзать.

გმირი დიდი და საზარელი ტანითა და უფროსლა ძალითა და საქმითა (ნახე იროელი) (დაბად. 6,4; რიცხ. 13,34; ფსალ. 18,6 და 32,16; ვეფხისტ. 6), исполин, великан, герой.

გმობა (ვჰგმობ, ეიგმობი) გინება, გიობის წარმოთქმა (მატ. 12,31 და 15,19; მარკ. 7,2), хула, хулить, ругать, осуждать. // უარის ყოფა სალვთოთა საქმეთა, ანუ დახსნა სჯულისა (საქმ. 13,45; ვეფხისტ. 566), хулить, отвергать.

გმობილი დაწუნებული, არა ქებული (ვეფხისტ. 1334), **осужденный.**

გმური ხელშუბა (ლახვართან ნახე).

გნდე ნიღრი, გარეგანი კიდე საჭრელთა, ვითარ დანისა, ხმლისა, ცულისა და მისთანათა, **обух.**

გნოლი (მფრ.) გლონი (ვეფხისტ. 441).

გნომი ძალი სულისა განხილვად მსგავსებასა ნივთთასა (მეტაფ. ბაუმ. § 210), *Γνώμη*, **ingenium.**

გობა ძელთაგან ამოჭრილი ჭურჭელი, სალაფავის ჩასასხმელი შინაურთა ხვასტაგთათჳს (ვეფხისტ. 1375).

გოგვა (ჰგოგავს) მფრინველთ ხლტომა ფეხითა მისაწონად (სიარულში ნახე).

გოგირდი წუნწუბა, ჩექა, **сера.** ს. ქოქურთ. [წჳწუმბ].

გოგმანი გოგვა (ვეფხისტ. 16).

გოგო მდაბიო გლეხის ქალი, **девка.**

გოგორა მცირე ურმის თუალი, მხოლოდ მორგჳსგან შექმნილი მკჳრივად თჳნიერ ფერსოებისა და სოლებისა, უფრორე იხმარების ერქჳანთათჳს.

გოგრა (ბალ.) ბოსტნის მოსავალი, რომელიც არს სამგუარი: 1. გ ო გ რ ა საკუთრად არს ქერქთხელი და მბლად საჭმელი; 2. ა ყ ი რ ო ანუ კ ვ ა ხ ი, ქერქხრქელი მსგავსი სასმისთა, რომლისაგან შეიქმონენ კოკოშას; 3. ხ ა პ ი კუახის გუარივე, არამედ უყელო, **тыква.**

გოგრახი დიდი გოდორი და გ ო გ ო ხ ი უმცირესი.

გოგუთი თავმრგუალი ჯოხი, **булава.** თ. თოფუზ.

[**გოდა** ნ. კოდი].

გოდება მოთქმით ტირილი (ვჰგოდებ) (მატ. 11,17; ნახე ტირილთან), **плач (Иеремии), петь плачевные песни.**

გოდოლი ძეგლი, ბურჯი, კოშკი დიდი და მაღალი (დაბად. 11,4; ფსალ. 47,13; მატ. 21,33; ლუკ. 13,4), **столб, башня.**

გოდოლტაძრები ბურჯებით ნაშენნი ხლუდენი ტაძრისანი (ფსალ. 121,7), **столпостены.**

გოდორი წნული ჭურჭელი ნერგის წნელთაგან (ნახე შარაგული) (მატ. 14,20 და 16,9; ფსალ. 80,6), **кошн, кошница, короб.**

გოვზა, გოვზაკი დიდი სარწყული, **ушат.**

გოზაური დიდი სალვინე (ნახე სალვინესთან).

გოზინაყი ნუში ან ნიგოზი ნადუღს თაფლში გავლებული, პუნგია.

გოკინი გოხინი, ყროყინი, ვირთ ხმიანობა; **реветь, рев.**

გოლი ანუ თაფლი გოლეული გარდაუმდნარი ხვეზა თაფლისა, კიპრუჭი, თაფლის პურები, ახლად გამოღებული სკიდამ (ფსალ. 18,10 და 117,2; ლუკ. 24,42), **сот, сотовый мед.**

გომაზარი, გუამანხარი წერილი გრძელი და გავრცელებული (ნახე წერილთან).

გომბეშო (ოთხფ.). მეტად დიდი ბაყაყი, **жаба.**

გომბიო პაწუა, პაწიკელა, პატარა გოგო მოსამსახურე, **девка, девчонка.**

გომი და **გომური** ბოსელი, სადგური სახლი დიდროვანთა ხვასტაგთა, **буйлятник, хлев, хутор.**

გომიზი, გომფიხი ხის წებო, **гумми**, *γόμι, γοῦμι.*

გომიჯი ჭრელი ხმიადი იმერული (ნახე პურთან).

გონება ძალი სულისა თჳთოეულ განხილვად მოკიდულებასა საზოგადოთა ჭეშმარიტებათასა (მეტაფ. ბაუმ. § 212; ლუკ. 24,45), **ум, или разум.** // ჰაზრი, ფიქრი, გულის ზრახვა (მატ. 22,37; ლუკ. 1,17; ვეფხისტ. 59,838), **мысль, помышление.** // (ვიგონებ) ფიქრობა, გულში ზრახვა (ფსალ. 76,5; ვეფხისტ. 213), **думать, помышлять.** // ზოგგან დაუდვიათ გ ო ნ ე ბ ა ნაცულად სჳნიდისისა, ვითა ნათესავი ნაცულად სახისა (რომაელ. 13,5 და 1 პეტრ. 3,16), **совесть.**

გონი მდაბიურად გონება, ჭკუა, განსჯა, **ум, рассуждение.**

გონიერი, გონებიანი სრულის გონების მქონი (მატ. 7,24; მარკ. 5,15), **мудрый, умный, благоразумный.**

გონიერად ჭკუვით, გონებიანად (იგავ. 23,1), **умно, разумно.**

გონჯი მახინჯი, დაღრეკილი, სახიჩარი, ანუ ასონაკლები, **урод.**

გორა საწყაო, 16 დოქს შთაიტევს (ნახე საწყაოსთან).

გორა და **გორაკი** ბორცვი, მცირე მთა (ნახე მთასთან) (ვეფხისტ. 471 და 614), **бугор.**

გორანგო ღორთ ზევითი ღოჯი ეშვის სალესავი.

გორგალი ნ:სთი. ანუ მკედი მრგულად დახვეული, **моток ниток.**

გორგომიჭელა პატარა ეტლი გოგორებიანი, ბოშვთა სატარებელი ხელთ დაბრჯენით, ფეხის ასადგმელად, ხოჭიჭი, **ходулька.**

გორდა ხმალია ერთგუარი (ნახე ხმალთან).

გორვა (ვჰგორავ) ცხოველთა მიწაზედ გარდაბრუნება (მარკ. 9,20,26), валяться.//ნივთთა ტრიალით სრბოლა ადგილზედ (ამოს. 2,13; ზაქარ. 9,15), катиться, вертеться.

გორვება (ვაგორებ) ტრიალით ტარება, катить, перекатывать, переваливать.

გორილი, გვარილი თივის თოკი (ნახე საბელთან) (ვეფხისტ. 255).

გოროხი, გორახი მიწა, ანუ ტალახი ქვასავით გამხმარი.

გოხპა, გოხპანი ნაქსოვი ძვირფასი (მამათ ცხ. 19,19).

გოქშო (ბალ.). ბურბუშელა.

გოშია (ოთხფ.) პატარა ძაღლი (ნახე ძაღლთან), болонка (собачка).

გოშპელაკნი ოქროს საყურენი, серьги золотые.

გოჩქოჩანა ჩქართა შინა ადგილთა მდინარისათა ჩამჩქერვალენი ზვირთნი (ნახე წყალთან), водоворот.

გოჯა (თევზ.) კობრი, сазан.

გოჲი (ოთხფ.) ღორის შვილი, поросёнок.

გოხი კლდე ქვითკირის მსგავსი (ნახე კლდესთან).

გოხი, გოხინი ღორთ საკერშილო ტუხინი.

გოჯეული გოჯიდამ ნეკადმდე მტკაველის ზომა (ეზეკ. 40,5), дланный.

გოჯი ცერი, წინა სახსარი, ანუ მისოდენი ზომა გ რ ჲ. // კოჭი, ფეხის ჩონჩხი (3 მეფ. 18,21; საქმ. 3,7), плесна, ступня, кисть ноги.

გრაგნა (ვჰგრაგნი) შეხვევა, წარგრაგნა, свивать, свертывать.

გრაგნილი სიგრძლურად დახვეული წერილი, ანუ ქარტა დაუწერელი (ისაი. 8,1), свиток.

გრაკლი (ხე) ბრაწის ხე.

გრგენა (მეგრგინება) გრძნობა უსიამოვნოს შეხებისა სხეულისადმი, ვითა ღიტინი, щекочет, щекотливость.

გრგვნვა, გურინვა (გრგვნავს, გურინავს) ხმა საზარელი ქუხილისა, მიწის ძრვისა და მისთანათა (ვეფხისტ. 1319; შავთ. 94), удар, треск грома, землетрясения и т. п.

გრგოლი მცირე სალტე მეტალთაგან შექმნილი თითთა შესაცმელი, ანუ ჯაჭვთა ასასხმელი და სხუათა სახმარებათათჳს (ესთერ 1,6; იობ. 40,21), кольцо, *κρικέλι*.

გრგუალი (ნახე მრგუალი), круглый.

გრდემლი, გურდემლი რკინის კუნძი მეტალთ საჭედი (იობ. 41,15; ვეფხისტ. 5), наковальня. თ. სინდან.

გრჲ გოჯი, ადლის მეთექუსმეტე ნაწილი, вершок.

გრემა მრეში, მქრქალი ფერი (ალიელთან ნახე), карий. თ. ნიმრანგ [სპ.].

გრემლობა (ვიგრემლებ) ოლვა, დაოლვა, გამოსურმა თვალთა საგრემელითა (ეზეკ. 23,40), утворять очи, сурмить.

გრეხა (ვჰგრეხ) შესთვა ბრუნებით თოკისა და მისთანათა, крутить.

გრეხილი დაგრეხილი, შესთული, крученый. //ქალთ სამკაული მძივებით ასხმული გულზედ ჩამოსაელები.

გრიალი (გრიალებს) ხმა წისქვილთ ბრუნვისა, ეტლთა სრბოლისა და მისთანათა, დგრიალი, მუცელი გრიალებს, желудок бурчит.

გრიგალი, გირგალი ქარი ტრიალით მომბერავი, რომელიცა დახვევით ეკვეთება და განანქრევს რაიცა შეხუდების (იერემ. 25,22; ვეფხისტ. 857), вихрь (ოსე. 13,12), ураган, согромождение.

გრივი აპანაგი, ძველებური საწყაო თესლეულთა, ანუ მარცვალთა (რიცხ. 11,31 და 3 მეფ. 18,22), спуд.

გრიკი (ხე) მთის ჟოლო (იერემ. 17,6), *μυρίκα*[1], земляной дым. თ. მაშთრა(?).

გრილი მცირედ ცივი, სასიამოვნო სიცხის დროს (მატ. 10,42), студеный, прохладный.// ნივთი ცივის ბუნებისა, მხურვალის წინააღმდგომი, прохладительный (ითქმის უფროჲს სამკურნალოთათჳს წამალთა).

გრილობა (ვაგრილობ) დაჩრდილება, დაგრილება სიცხისაგან (მატ. 17,5), осенять.

გრკალი გრგოლი, კარშიკი (გამოს. 25,26 და შემდგომი; ეზეკ. 16,12), кольцо.

გრკჳნვა (ვჰგრკჳნავ) ჩჩჳლთაგან შეხარვით რეცა უბნობა მზრდელთადმი, лепетать.

გროვა ხროვა, ჯგუფად კრებულნი ერთგუარნი ცხოველნი, толпа. // ზვინად მოკრებულნი ერთგუარნი ნივთნი, куча.

გროვება (ვაგროვებ) დაფანტულის ერთად შეკრება, მოქუჩება, собирать в кучу.

გრუზი, გრუზა თმახუჭუჭი, დაგრეხილი, кудрявый, курчавый, косматый.

გრუტუნი, ღრუტუნი (გრუტუნებს) ტრედთ ხმიანობა, ворковать.

---

[1] *Τὸ μυρίκι* ან *ἡ μυρικιά* — ასეა ბერძნული ლექსიკონების მიხედვით. რედ.

გრძელი უმეტეს ზომისა გაჭიმული ან წარზიდული (ვეფხისტ. 19 და შემდგომი), долгий, длинный.

გრძნება (ვჰგრძნებ) მოგვობა, მოქმედება განსაკჳრვოთა საქმეთა ხელოვნებით, ანუ ეშმაკის მანქანებით (საქმ. 8,9,11; მიქია. 5,11; ვეფხისტ. 567,1228 და შემდგომი), волховать, чародействовать, волхвование, чародейство.

გრძნეული მოგჳ, მოქმედი ეშმაკეურთა საქმეთა (გამოს. 7,11; ვეფხისტ. 1288), волхв, чародей, ворожея, колдун.

გრძნობა (ვჰგრძნობ, ვაგრძნობ, ვიგრძნობ) გაგება, შეგნება, მიხდომა (დაბად. 3,7; მარკ. 7,24 და 9,33; საქმ. 9,42; ვეფხისტ. 154,430), чувствовать, понимать, разумевать. //ვაგრძნობ (ვახტ. სამ., მოსე 8), позвестить, дать почувствовать кому.

გრძნობის ხაცავი საგრძნობელი ნახე.

გრწყილი (მწერ.) კრწყილი (1 მეფ. 24,15), блоха.

გრჭო, გრჯო წვრილი ლატანი.

გრჯლა, კრჩხა ხეთა ძირის მორთაგან განყოფილნი დიდნი რტონი, сук, ხოლო ამათ ზედა განყოფილთა ეწოდების ბ ო რ ჯ ლ ი და მათ ზედა—რ ტ ო ნ ი, ветвь, და ნ ო შ ო ნ ი; კუალად უწვრილესთა ხის წვერთა— კ ე წ ე რ ი, კ ო წ ო ლ ი და კ უ ნ წ უ ხ ი, ხოლო უფურცლოსა ჩვილსა კეწერსა, ზამთრით ხვასტაგთა საკვებსა,—ნ ე კ ე რ ი, სადა რტონი ორად განიყოფებიან, მას ეწოდების კ ა პ ი და მონაკვეთის რტოს ძირსა — რ ო კ ი და ნ უ ქ რ ი.

გუადრუცი ფიცრის კოლოფი (ნახე ზარდახჩა) (იოან. 12,6), ковчежец, ящик.

გუალე, მგუალე მდაბიურად გ ო ლ ე (ზმნა ესე იხმარების მხოლოდ ბრძანებითად), იარე, წამოდი, წარვედ (ლუკ. 7,50; მარკ. 10,52; ვეფხისტ. 890), иди (იოან. 10,20), მგუალეთ, пойдем (საქმ. 10,20), გარდამგუალე, сойди вниз (კუალად საქმ. 16,9), წიაღმოჰგუალე, приди.

[გუალაგი ნ. ვაშკარანი].

გუალვა უწვიმრობა და მისგან გახმობა მოსავალთა ზაფხულის დროს (ვეფხისტ. 1337), засуха.

გუამი ტანი, სხეული კაცისა ცოცხლისა, ანუ მკუდრისა (მატ. 5,29 და შემდგომი, კუალად 6,22 და 14,12, კუალად 1 კორ. 12,15), тело. // ფილოსოფიურად გუამი და პირი ერთი და იგივე არს. არისტოტელი განსაზღვრებს ესრეთ: გუამი არს არსება განუკვეთელი, ბუნება სიტყჳიერი და ქვემდებარება უზიარებელი (კატიღ. ანტ., § 79,94 და 95 და შემდგომი), лицо, персона, ипостась.

გუამოვანი პიროვანი, მისვე არსებისაგანი და განთჳსებული (ეზეკ. 47,11), ипостасный.

გუანება (ვჰგავ, ვეგუანები, მივეგუანები) მსგავსების ქონება (ვეფხისტ. 64,313,945), походить, сходствовать.

გუარი ნათესავი (ვეფხისტ. 314), род. // განსაკუთრებული რიგი, сорт.

გუარჯილა, გორჯილა ერთგუარი ხაშურია, რომელიც ცეცხლზედ იფეთქებს და იხმარების შესამზადებლად თოფის წამლისა, ეგრეთვე სასმელ წამლადცა სიცხიანთ გასაგრილებლად, селитра.

გუაჯი და გუაჯიობა კეთილი შური, რათა არა უდარეს იქმნეს სხვათაგან (ნახე შური), ревность.

გუბე დაფოსოვებული ადგილები, წყლით სავსე (ნახე წყალთან) (ისუ. 8,29), роп, лужа, лужица, пруд.

გუგა თუალის კაკალი, ანუ ბაია (ფსალ. 16,8; ზაქ. 2,8), зеница, зорочок.

გუგული (მფრ.) кукушка.

გუგუნი (გუგუნებს) ხმა ცეცხლის ნთებისა ან შორიდამ ბგერისა.

გუდა გაუპრელად გაძრობილი ტყავი ხვასტაგთა შთასადებელად რისამე.// იმერნი უხმობენ კუპრიელსა ტ ი კ ს ა ც ა (ნახე ვაშკარანი და თხიერი).

გუდალი უსწორო ნაკერი ალარულს ტანისამოსში.

გუდარაკი საგბოლველი ან სადუღებელი ჭურჭელი, ვითარ ქ უ ა ბ ი, ს ი ა ვ ი, ჩ ა ლ ხ ა ნ ა, ტ ა ფ ა, ტ ა ფ ა კ ი, კ ა რ დ ა ლ ი, ქ ო თ ა ნ ი, კ ო ჭ ო ბ ი, ხ ა ლ ა ნ ი და მისთანანი.

გუდასტვირი ჭიმონი, სოფლური სტვირი შთასაბერველი გუდითურთ, [волынка].

გუდაფშუტა (ბალ.) ცუდი სოკო, გაბერილი და ცარიელი გუდასავით, дождевик.

გუმლი, გუმრდი და სხ., იხილენ გ ვ ე ლ ი, გ ვ ე რ დ ი.

გუთანი სომხურია (ნახე ერქუანი), плуг.

გულადი გულოვანი.

გულად ღება (გულად ვიღებ) გულში დანერგვა, внимать.

გულამოსკუნილი გულამოხვინწეით მტირალი (ვეფხისტ. 246,1282).

გულანი წიგნი სრულის წლის საგალობელთა, ხოლო რომელთა შინა ჩართულ არს ქამნიცა, ეწოდება ქ ა მ ნ გ უ ლ ა ნ ი.

გულარძნილი ოღროჩოღრო, ღრანტეებიანი, ღირღოვანი გზა (ლუკ. 3,5), неровный, ухабистый. // ურჩი, დრკუ კაცი (ფსალ. 77,8; მატ. 17,17), строптивый, развращенный.

გულდებული იმედდადებული, განმხნობილი იმედითა (მარკ. 6,50; საქმ. 27,22,25), ободренный, обнадеженный.

გულვება (მეგულვების, მეგულება) იმედეულება ქონებისა ან შოვნისა რისამე, иметь в виду, в предмете, в запасе. // მონებება, განზრახვა (მატ. 2,13 და 17,12,22, კუალად 20,22; საქმ. 18,14,27), хотеть, предполагать.

გულვებადი საგულვებელი, მოსალოდებელი, ожидаемый, будущий, имеющийся в виду.

გულთმეცნიერი გულთა მხილველი, დაფარულთა გულისათა მხედველი ღმერთი (საქმ. 15,8), сердцеведец.

გულთმისანი რომლითამე ნიშნებით ან მიხდომით სხვათა გულის პასუხის შემტყობი, угадчик.

გული უმთავრესი ნაწილი ცხოველთა შინაგანის აგებულებისა, რომლისაგანცა მიმოიქცევის სისხლი ყოველთავე ძარღუთა შინა (ვეფხისტ. 4), сердце.//პაზრი, გულის ზრახვა (ფსალ. 4,5 და 19,5; ვეფხისტ. 837 და შემდგომი). // საშუალი სიღრმე ქუეყანისა, ანუ ზღჳსა (მატ. 12,40; იოან. 2,4; ფსალ. 45,2—3). // შინაგანი კერძო კვერცხისა, კაკალთა, ხილთა ნაჳუჳიანთა და მისთანათა. //კუალად ითქმის: ღვთის გ უ ლ ი ს თ ჳ ს, бога ради; ჩემის გ უ ლ ი ს თ ჳ ს, для меня, или для моего одолжения. // გ უ ლ ი მეთანაღრება, ე. ი. არ მომწონს, არ მემეტება, მენანება, ითქმის უქმად წარგებულის რისთჳსმე, жаль, жалеть.

გულიდამ ამოღება (გულიდამ ამოვიღებ) განზრახვა, დასკუნა რომლისამე საქმის შედგომისა უსათუოდ, предпринять, решиться.

გულითადი ერთგული, მისანდო (საქმ. 13,22), усердный, по сердцу.

გულითადობა გულით სიწრფელე (2 კორ. 8,9), искренность.

გულიო (მფრ.) მომცრო ტრედი ველური.

გულის ამოსკუნა (გულს ამოვისკუნი) ამოხვინჩეით ტირილი, ქვითქვითი, рыдать.

გულის არევა (გული მერევა) ზიდება, тошнить.

გულის გადალევა (გული მელევა, გადამელევა) გააბეზრება, მოწყენა, скучать, скучно, тошно.

გულის გამოცულა (გულს გამოვუცული) გარდაქცევა, გარდაბირვა, отвращать, отводить.

გულის დაჯერება (გულს დავაჯერებ) ნამდჳლად ცნობა და სხ. (ნახე დაჯერება), удостовериться.

გულის დება დადება (გულს ვუდებ, დავუდებ) იმედის მიცემა, გამხნობა, დამშვიდება (ვეფხისტ. 580), обнадеживать, успокоивать.

გულის ზრახვა გულის პასუხი, ფიქრი, გულში ლაპარაკი (ლუკ. 24,38), помышление (საქმ. 10,19), размышлять.

გულის თქმა (გული მითქვამს) გულით ნდომა, სურვილი (ფსალ. 9,23 და 20,2, კუალად 37,9 და 77,29 და შემდგომი), желание, вожделение, похоть, [страсть].

გულისობა გულპილწობა (ნახე გაგულისება).

გულის პასუხი ვისაც რა ფიქრი აქუს გულში, სხუათაგან დაფარული, дума.

გულისპირი ტანისამოსთ გულზედ ქობა მიკერებული.

გულის რევა გულის არევა.

გულის სათქმელი სანდომელი, სასურველი (ფსალ. 18,10; დანიილ. 10,3,11), вожделенный.

გულის სიტყვა გულის ზრახვა, გულის პასუხი (მატ. 15,19; მარკ. 7,21; ფსალ. 32,10 და შემდგომი).

გულის სრულება (გულს ვისრულებ) აღსრულება გულის წადილისა, удовольствоваться, остаться довольным.

[**გულის ტკივილი** соболезнованно].

გულის ფიცარი მკერდი, грудь.

გულის წადილი გულისთქმა, ფრიადი ნდომა, სურვილი (ვეფხისტ. 686 და 694), сердечное желание.

გულის წყრომა გამოჩენილი რისხვა, გაშფოთება, გაანჩხლება (ფსალ. 2,5,12 და 6,1, კუალად 37,1), ярость.

გულის ყური ძალი მიხდომისა და დახსოვნებისა, острота ума, понятливость, догадливость.

გულის შემატკივარი გულტკივნეულებით შემბრალებელი, მზრუნველი, сердобольный. попечительный, или попечитель.

გულისხმახმოხლვა მიხდომა, გაგება, догадываться, уразумевать, понимать.

გულისხმიერი ადვილად მიმხვედრი და დამხსომებელი საქმისა, сметливый.

გულისხმიერება მალე მიხდომა საქმისა, сметливость.

გულისხმისყოფა (გულისხმასვჰყოფ) ზედმიწევნით ცნობა (მატ. 13,14 და შემდგომი; ლუკ. 24,45), разумевать. // ფილოსოფიურად ძალი განთჳსებით წარმოდგენად ნივთთა (მეტაფის. ბაუმ. § 204) და ზედმიწევნილება იგივე არს, разум.

გულმავიწყი მალე დამვიწყებელი, забывчивый.

გულმახსიერი გულძვირი, ანუ ძვირის მხსენებელი, памятозлобный.

გულმდუღარე

გულნაკლული მომდურავი, მგრძნობელი ვისგანმე შეწუხებისა, недовольный, обиженный.

გულნაკლულობა სამდურავი, გულძვირობა (ვეფხისტ. 436), неудовольствие, претензия.

გულოვანი გულადი, მხნე, უშიშარი, ახოვანი (ვეფხისტ. 729,790), храбрый, неустрашимый.

გულოვნობა უშიშრობა, არ შემცნევა შიშისა (შავთ. 86), присутствие духа, неустрашимость; (ვჰგულოვნობ) მხნეობა (ვეფხისტ. 18), храбриться, мужаться, хранить присутствие духа.

გულმოწყინე გარისხებული, გაგულისებული, сердитый, гневный.

გულმოწყინობა (ვგულპილწობ) განრისხება, ჯავრობა.

გულსა დადება (გულსა დავიდებ) დაპირება, მონდომება, გულიდამ ამოღება (მარკ. 6,19), хотеть, искать, предполагать.

გულსავსე მადრიელი, არა მქონები გულნაკლებობისა, довольный.//ცნობილი, ნამდჳლად, გულის დაჯერებით (ლუკ. 1,2), извествованный, известный, удостоверенный.

გულის დაძმარვა (გულს დამძმარავს) მეტის გაძღომისგან მჟავე ბალღამის მოსლვა საყლაპავთან.

გულს მოდგინე მომჰირნე, მოსწრაფე, მეცადინე (მატ. 26,41), бодрый, прилежный.

გულს მოდგინება მომჰირნობა, მისწრაფობა, მეცადინობა, прилежание, старание (საქმ. 11,23).

გულმტკივნეულება გულის შეტკივება, მოწყალებით ზრუნვა, сердоболие, милосердие.

გულუხვი ფრიად უხვი, გამცემი, щедрый, пре-щедрый.

გულფიცხელი შეუბრალებელი, უგრძნობელი, გულპილწი, უწყალო (ფსალ. 4,2), жестокосердный.

გულფიცხელობა ულმობელობა, უგრძნობელობა, გაგლისპება (მარკ. 10,5 და 16,14; ზირაქ. 16,11), жестокосердие.

გულქანდი, გულქანი, გულქანდებული ჩაფერადებული ქანდით, ე. ი. ვარაყით, позлащенный, вызолоченный. თ. მუღარბარ.

გულულ ქორის მახე კისერზედ გადასაცმელი, აშრიალა (მახესთან ნახე).

გულყრა, გულშემოყრა (გულს მეყრება, შემომეყრება) ქამად შებნედა გულის წუხილით, тошнить, в обморок приходить.

გულში ჩაფიქრება (გულში ჩავიფიქრებ) დაღრმობა ფიქრში, ან მოგონება რისმე, вадумывать, загадывать.

გულჩვილი ფრიად მგრძნობელი მცირედისაცა შეწუხებისა თჳსისა ანუ სხჳათასა, чувствительный.

გულჩვილობა ფრიადი მგრძნობელობა, чувствительность, щекотливость.

გულძვირი გულნაკლული, მომდურავი (მატ 5,23), недовольный, имеющий неудовольствие на кого.

[**გულძვირობა** неудовольствие].

გულწითელა (მფრ.) снигирь.

გულხმება

გუმანი იჭვი, ჰაზრის მიტანა ვისზედმე საიჭვოს საქმეში, подозрение.

გუმბათი კამარა მაღალი და მრგჳლად შეკრული, ვითარცა იქმნების ეკლესიათა ზედა და სხ., купол, *κουμπές*.

გუნდა მრგჳლად შესორსალებული რამე რბილი ნივთისაგან, ვითარ ხვეზა, ცომის გუნდა პურად გამოსაცხობი, თოვლის გუნდა და მისთანანი (დან. 14,26—27), гомола.

გუნდა კრკოს მსგავსი ხილი რომლისამე ხისა, ხმარებული მელნის გამოსახდელად და სხვად სალებავად, чернильные орешки.

გუნდი ლეგეონი, ლაშქარი ექვსი ათასი (1 მეფ. 10,5; მატ. 26,53; საქმ. 21,31; შავთ. 31),

лик, легион, спира, полк // მფრინველთ ფარა (ჯოგი ნახე), стая.

გუნდის თავი ექსოვიტი, ერთის გუნდის უფროსი, полководец, полковник. თ. ბოლუქბაშ.

გუნდრუკი სუნნელი, საკმეველი (მატ. 2,11), ливан, росной ладан.

გუნება მდაბიურად გონება, ანუ შინაგანი მდგომარეობა სულისა, ვითარ თურქთა ენითა ქეიფი. მაგალ., ჰკითხვენ: გუნებაზედ როგორა ხარ? მიგება: კაი გუნებაზედ ვარ, ვერა ვარ გუნებაზედ, расположение духа.

გუნებანაქცევი დედაკაცი ორსულობის ნიშნის მქონებელი, беременная, имеющая признаки беременности.

გუნი ნახე გვინი.

გურდემლი ნახე გრდემლი.

გურემა (მგურემს მუცელს) შიგნიდამ ტკივილი, ჩხვერა, გმერა.

გურინვა გოდება, ხმით ტირილი (იერემ. 9,20), рыдание. [ნ. გრგვნვა].

გურიობა არევით მიდევნება გულის თქმათა (სიბრძ. 4,12), парение похоти, [стремление].

გურიტი (მფრ.) გარეული ტრედი ერთგუარი (ფსალ. 83,3; ლუკ. 2,24), горлица.

გურკა, კურკა რომელთამე ხისაგანთა ხილთა შორის მაგარი გული, ვითა ძუალი, მაგალ., ატმისა, ბალისა, ქლიავთა და მისთანათა, косточки во фруктах.

გუფთა დაკეპილი ხორცი, გუნდავებად მოხარშული, котлеты. თ. ქუფთა [სპ.].

გუში კლდის ნაოთხალი (ნახე კოდი).

გუშაგი ციხის დარაჯა, მეციხოვნენი (ნახე დარაჯასთან) (ვეფხისტ. 1381,1387 და შემდგომი), гарнизон.

გუშინ წინა დღეს, გავლილს დღეს (2 სჯული. 19,4,6; ებრაელ. 13,8), вчера, вчерась, вчерашнего дня.

გუშინწინ განვლილის დღის წინათ, после вчера, третьяго дня.

გუშინდელი გავლილის დღისა (ფსალ. 89,4), вчерашний.

გუჯარი დიდი სიგელი ეკლესიათ შეწირულობისა (ნახე წერილთან).

გუჯახტა კუშტაბანი, კაბის საკილოვე, петлица.

გვან, გვანი და სხ. (ნახე გვიან, გვიანი).

გვრგვნი სამეფო თავსახურავი შარავანდედიანი (ფსალ. 20,3; ვეფხისტ. 45), венец, корона.//თავი შენობათა მრგულად ან ოთხკუთხად, ვითა გუმბათი და მისთანანი.

გვრგვნოსანი გვრგვნის მქონებელი, венценосный.

გვრგვნოსან ყოფა (გვრგვნოსან ვჰყოფ, ვიქმნები) გვრგვნის დადგმა, დაგვრგვნება, შემკობა გვრგვნითა (ფსალ. 5,12 და 8,5), венчать,-ся.

გძლარბი, ძლარბი, ზლარბი (ოთხფ.) ესე არს უდიდესი, რომლისა სიდიდე არს ვიდრე მტკაველადმდე, ხოლო პატარას ჰქვიან გძუძი, ბუძგი და ზღვსას — ექინი (ისაი. 13,22 და 34,11), ёж, ежеве.

დ

ასოსა ამას ზედა ქარაგმიანნი ლექსნი არიან: დბ͠ა — დიდება; დბ͠ლი — დიდებული.

ასოსა ამას აქუს ერთი ზედდადებული ზმნათა, რომელია და. მაგალ.: დავალ, დამაქუს, დავსწერ და სხ. და იშვიათ დაერთვის ესე სხუათა ზედდადებულთა, დამო, ვითარ დამოკიდება, დამოდინება და სხ.

დ დაერთვის ბოლოდ სახელთა, ანუ მარტო, ანუ სხუათა თანდებულთა თანა და ჰნიშნავს მოძრავობასა. მაგალ., წარვიდა მთად, ქალაქად, в горнюю, во град (ლუკ. 1,39), ცად მიმართ, на небо (მუნვე, 15,21); აღვიდა იერუსალიმად, во Иерусалим (იოან. 5,1), ვიდრე ნათესავადმდე, даже до рода (ფსალ. 48,20); ცადმდე, ღრუბელთადმდე, до небес и даже до облаков (მუნვე, 56,10); ზღუადმდე, მდინარედმდე, до моря и даже до реки (მუნვე, 79,11); სიღრმედ მიმართ ქუეყანად, во глубины, в землю (იონა 2,4 და 7).

ამგუარადვე დ დაესხმის სახელთა პირთასა და ჰნიშნავს მიღებასა წოდებისა, ანუ ხარისხისასა. მაგალ., ეკურთხა მეფედ коронован царем, დაიდგინა მთავრად, მსაჯულად поставлен в князья, в судьи; ხელდასხმულიქმნა მღუდელად ру-

коположен во священника, შედგა ბ ე-რ ა დ поступил в монахи და სხ.

ესევე დაერთვის ბოლოდ ზედშესრულთა სახელთა და შესცვლის მათ ზმნისზედად. ვითა კეთილი—კ ე თ ი ლ ა დ, ბოროტი—ბ ო-რ ო ტ ა დ, შავი—შ ა ვ ა დ, თეთრი — თ ე თ-რ ა დ. ხოლო მდაბიურად ნაცულად დ ხმარობენ თ: კარგი — კარგათ, ავი—ავათ, სწორე—სწორეთ და სხ. (ნახე თ).

და კავშირი შეერთებითი. მაგალ.: პეტრე და იოანე, ვსწერ და ვჰკითხულობ, и, союз; ეს დონ-ანი ნიადაგ დაიწერების მობმით, ანუ ზედშესრულად და ამითი განირჩევის სახელისაგან დ ა, დ ა ჲ და სხჳათა ადგილთა, სადაცა და ერთად შეხუდებიან, მაგალ., დ ა ვ ს წ ე რ, დ ა ვ ი ძ ი ნ ე ბ, გ ა რ დ ა-ვ ა ლ, უჯერო არს ესრეთ: და ვსწერ, და ვიძინებ, გარ და ვალ და სხ., რამეთუ მობმა და არს მხოლოდ კავშირისა, ვითა ლათინური v.

და, დაჲ ამით სახელითა უწოდებენ ურთიერთარს ქალნი, შობილნი ერთისა დედ-მამისაგან, ეგრეთვე ძმანი მათნი (იოან. 11,1), сестра. // კუალად უწოდებენ მოლოზანნი ურთიერთსა.

დაავლება (დავავლდები) მოუძლურება, მოღალვა (ვეფხისტ. 28,299), утомляться.

[**დაამება** ნახე ამება].

დაარსება (დავაარსებ) არსებად მოყვანება (შავთ. 97), осуществлять, творить, производить.

დაარსებული არსებად მოსული, осуществленный, сотворенный.

დაბა, დაბნები შენობა, სოფელი (იხილე აკლდამა) (მატ. 9,35 და 10,11, კუალად 21,2; ლუკ. 5,17; იოან. 11,1), весь, село, селение.

დაბადება (დავჰბადებ, დავიბადები) შექმნა, წარმოება, დასაბამის მიცემა, ანუ მიღება (ფსალ. 32,9,15 და 50,10; მატ. 19,4), созидать, творить, сотворить, ანუ შობა (ვეფხისტ. 7), рождение,//მთოვარის დაბადება, ე. ი. განახლება, нарождение луны, полнолуние.

დაბადება პირველი წიგნი მოსესი შექმნათა, ანუ შესაქმისა, книга бытия. // ესევე ეწოდების სრულიადსა წიგნსა ძველისა და ახლისა აღთქმისასა, библия.

დაბადებული ქმნული, რაჲცა დაარსებულ არს ღვთისაგან (ფსალ. 63,9 და 103,24), творение, тварь.

დაბალთვა (დავბალთავ) მრავალთა დაჭრა, დაკოდა ან დახოცა, изрубить, перерубить.

დაბალი არა მაღალი შესახედავითა სხვათ შესწორებულად, низкий; ხოლო მ დ ა ბ ა ლ ი გულით არა ზვავი, თ ა ვ მ დ ა ბ ა ლ ი (იხილენ თჳსთა ადგილთა).

დაბალითება დაშოშმინება, остановить, унимать.

დაბანაკება (დავიბანაკებ) კრებულად დადგომა ერთს ადგილს (გამოს. 15,27), ополчаться.//ალჟურვა, დადგომა სალაშქროდ (ფსალ. 33,7).

დაბანაკებული დავანებული (გამოს. 14,9), ополчившийся.

დაბანვა (დავჰბან, დავიბან) განბანა, გარეცხა ტანისა (ფსალ. 25,6 და 71,13; მარკ. 7,3; იოან. 13,6 და შემდგომი), измывать, умывать,-ся.

დაბარება (დავაბარებ) პირად შეთუთლა საქმისა სხვასთან, наказывать, поручать, сказать кому что; (დავიბარებ) ბრძანებით ან თხოვით სხვაგნიდამ მოყვანინება ვისიმე, ან მოტანინება რისამე, выписывать, вытребовать.

დაბარვა (დავბარავ) ბარით გარდათხრა მიწისა, копать землю.

დაბაღი მეპრატაკე, кожевник. თ. დაბაღ [არაბ.].

დაბდაბი დაფი და დაფდაფი (ნახე ვეფხისტ. 710 და შემდგომი, კუალად 1404).

დაბებკული დაკონკებული, დაძონძებული (ისუ. 9,5; იგავ. 23,21), обветшалый, или рубище.

დაბეგვა (დავბეგვ) ცემა, ანუ დაცეხვა, დაძეძკა, დაბეჟვა.

დაბეჟვა (დავბეჟავ) ცემით დარბილება, მაგალ., მკვახეთა ხილთა და მისთანათა, измять.

დაბერება (დავაბერებ, დავბერდები) მოხუცება (ფსალ. 36,25; იგავ. 23,22), состареть,-ся.

დაბერვა (დავჰბერავ) საკრავთ დაკურა შთაბერვით (ფსალ. 80,3), трубить, вострубить.

დაბეჭდვა (დავბეჭდავ) დატჳფრვა, ბეჭდის დასმა (მატ. 27,66), запечатать, прикладывать, приложить печать. // სტამბაში წიგნის გამოყუანა, напечатать, издавать книгу в печать.

[**დაბზარვა** подмерзать].

დაბინავება (დავბინავდები) დასახლება, ბინის დადება, поселиться, принять оседлость.

დაბირი აღმართებული თხემი წმიდა წმიდათასი (გამოს. 25,31 და 3 მეფ. 6,5), круги, давир.

დაბლა ზმნისზედა, დაბლა ქვევით, внизу.

დაბლაგვება (დავაბლაგვებ, დაბლაგუდების) მახვილთა პირის მოცვეთა, დაჩლუნგება, притуплять.

[დაბლება დაბლობი, низменность].

დაბმა (დავაბამ, დავიბმი) თოკით მიკურა (მარკ. 11,2,4; ვეფხისტ. 49,218,1052), привязывать,-ся.

დაბნები სოფლები (ნახე დაბა).

დაბნედა (დავბნდები) ბნედა ნახე (ვეფხისტ. 321,341 და შემდგომი), впадать в обморок, лишиться чувств.

დაბნედილი ცნობამიხდილი, გულშემოყრილი (მუნვე, 303), лишившійся чувств.

დაბნევა (დავაბნევ, დაიბნევის) გაბნევა, გაფანტვა (მატ. 27,5), повергать, бросать, набрасывать.

დაბნელება (დავაბნელებ) ნათლის მიხდა, მოკლება (ფსალ. 68,23 და 104,28), помрачать,-ся.

დაბოლოვება (დავაბოლოვებ) დასრულება, ბოლოს მოღება, оканчивать,-ся.

დაბოჭვა (დავბოჭავ) მობოჭვა, დაჭერა, ხელში ჩაგდება, поймать, схватывать, прибрать к рукам.

დაბრალება (დავაბრალებ) ბრალის დადება, მიჩემება, обвинять.//ცილის შეწამება, наговаривать, оговаривать.

დაბრგვილება ნახე დაბრყვილება.

დაბრეცა (დავიბრიცები) ნახე ბრეცა, кривляться.

დაბრკოლება (დავაბრკოლებ, დავბრკოლდები) საქმიდამ მოშლა, მოცდენა (ფსალ. 16,13), занимать, препятствовать, мешать.//შეცთუნება (მატ. 11,6 და 13,21; მარკ. 9,42 და შემდგომი), соблазнять, -ся.

დაბრმობა (დავაბრმობ, დავიბრმობ თვალთა, დავბრმდები) თვალთა ხედვის მოკლება (იოან. 12,40; იობ. 17,7; ვეფხისტ. 1238), ослеплять,-ся.

დაბრუნება (დავაბრუნებ, დავბრუნდები) დატრიალება, უკმოქცევა (ვეფხისტ. 268,471), возвращать, поворачивать,-ся.

დაბრყვილება, დაბრგვილება, დაბრჯგუვება დასუსტება, მოუძლურება, დაბლაგვება (დაბად. 27,1), притуплять,-ся.

დაბრჯენა (დავაბრჯენ, დავიბრჯენ) დაჭირება, დანდობა (ვეფხისტ. 236), упирать,-ся.

დაბუგვა (დავბუგავ) გარდაწვა, სრულიად დაწვა, жечь всѣ, выжигать.

დაბუჟება, დაბუშება (დავუბუჟებ, დაბუჟდების) ხელისა ან ფეხისა ჟამ რავდენმე უძრაობით დამძიმება სისხლის შედგომისაგან, ანუ ტკენისაგან და მცირედ ხან ველარ ხმარება (დაბად. 32,25 და შემდგომი), онемение, остановка крови в членах тела.

დაბურვა (დავბურავ) გარდაფარება, მოხვევა (მარკ. 14,65; იოან. 11,44; გამოს. 26,34), закрывать. // (დავიბურავ, დავიბურვი) დახურვა, მოფარება (ისაი. 44,8), укрываться.

დაბუხება ხელთა ან ფერხთ დაჯირჯვება მაგრა შეკრვისგან, распухнуть, затвердеть (как мозоль).

დაბღნეჯა, დაბღნეძა დაღრეჯა (ნახე ბღნეჯა) (ვეფხისტ. 658), морщиться.

დაბძარვა ნახე ბძარვა.

დაგდება (დავაგდებ) დატევება (ფსალ, 26,9 და შემდგომი 70,9 და შემდგომი; ვეფხისტ. 153,296), оставлять, бросать. // დაიგდებს, დაიგდო სენმა, ე. ი. გაგრძელდა. (დავუგდებ ყურს), [ослушиваться].

დაგება (დავაგებ) დაფენა, გაშლა საფენთა (ვეფხისტ. 912), стлать, постилать. // დადგმა ტაბლასა ზედა სანოვაგეთა (მარკ. 6,41 და 8,6 და შემდგომი; ებრაელ. 9,2), предлагать, предложение хлебов. // დაზავება, მორიგება (2 კორ. 5,19 და შემდგომი; მატ. 5,24), примирять,-ся, примиреніе.

დაგერშვა (დაეგერშ, -შავ) გაწურთნა მონადირეთა ძაღლთა ან მფრინველთა, приучать к ловле охотничьих собак и птиц.

დაგვიანება (დავაგვიანებ, დაეიგვიანებ) დაბანება, останавливать,-ся, замедлять, опаздывать.

დაგლა (დავიგლი) გლა, დაგლეჯა, დაკაწრვა.

დაგლეჯა (დავგლეჯ) განხეთქა, დახევა, изодрать, изорвать.//დაკრეფა, ამოგლეჯა მრავალთა, срывать, щипать, выдергивать. // კბენა ძაღლთა და მხეცთაგან, искусать, растерзать.

დაგმობა (დავჰგმობ) აგდება, გაკმარება, არ მოწონება (ვეფხისტ. 66,900).

დაგვა (დავჰგვ) გვა, ცოცხით გასუფთავება იატაკთა და მისთანათა, мести, выметать.

დაგვა (ესდაგავ) დაწვა გულისა, მხურვალება (ვეფხისტ. 12), гореть.

დაგვარება (დავაგვარებ, დაგვარდების) გაჩენა ნივთთა რომელისამე გუარისათა, ანუ მოშენება ხვასტაგთა, заводить, занести.

დაგულება (დავაგულებ, დავიგულებ) იმედეულება ქონებისათჳს რაჲსამე, иметь в виду и предмете. запасе, запасать.

დადაბლება (დავადაბლებ) მაღლის ქვე დაზევა, ან მოკლება სიმაღლისა, понижать.

დადაგვა (დავსდაგავ, დავიდაგები) დაწვა, მხურვალება გულისა (ვეფხისტ. 151,1287).

დადარნებული მომხირალი, დარილით მხირად მჯდომი (გოდებ. იერემ. 3,10), приседей.

დადაღვა (დავსდაღავ) დაღის დასმა, клеймить.//შემცოდეთ ტანის დაწვა გახურებულის რკინით, прижигать.//მოდუღება ზეთთა ცეცხლზედა დასაწმენდად, пережигать масло и т. п.

დადგენა, დადგინება (დავადგენ, -დგინებ) დაყენება თჳსსა ადგილს (ფსალ. 8,6 და 9,20; კჳალად 17,33), поставлять.

დადგმა (დავსდგამ) დადგინება უსულოთა ნივთთა. // (დავადგამ) ზევიდამ დადება (ფსალ. 20,3,5), возлагать. // დადგმა, დადგენა მუხლთა, (დავიდგამ) დაჩოქება (მარკ. 1,40; საქმ. 7,60), преклонять колена, стать на колена.

დადგნობა (დავიდგნობ, დავუდგნობ) გაძლება, устоять.

დადგომა (დავსდგები) ფეხით შედგომა რომელსამე ადგილსა ზედა (ფსალ. 1,1 და 80,1), стать. თუალის დადგომა (დაუდგება) დაბრმავება, ხედვის მოკლება.

დადგრომა (დავადგრები) გება, დაშთომა (ფსალ. 60,7), пребывать, оставать, -ся.

დადი

დადე

დადება (დავსდებ, დავუდებ) დაშვება ნივთისა ადგილსა ზედა (ფსალ. 38,1; იოან. 13,4), полагать, класть, დადება სულისა, თავისა, შეწირვა სიცოცხლისა (იოან. 10,11), полагать душу, жизнь, жертвовать собою.

დადიანი, დადიანური სახივე ქედისა (ნახე ბორკილთან).

დადნობა (დავადნობ, დადნების) მკჳრივის ნივთის ნოტიოდ შექმნა სითბოსგან (ფსალ. 38,11 და 67,2), растапливать,-ся, таять.

დადოლება (დადოლდების) опороситься.

დადრეკა (დავსდრეკ, დავსდრკები) დახრა, მოხრა (ვეფხისტ. 466), наклонять,-ся.

დადრეხა (დავსდრეს) განდრესა, წახეხება, тереть, сладить.

დადუმება (დავადუმებ, დავსდუმდები, დავიდუმებ) დაჩუმება, заставлять молчать (ვეფხისტ. 620), унимать, დაცხრობა ლაპარაკისა, დადგრომა დუმილით (ფსალ. 27,1; ლუკ. 9,36), промолчать, замолчать, умолчать.

დადუნება (დავსდუნდები) მოშვება, დასუსტება, опометь, ослабеть.

დაეფანი დერეფანი (იერემ. 50,15), забрало.

დავა საცილობელი, სალაპარაკო, ცილობა, спор, иск.

დავალება (დავავალებ) ვალის დადება, დამადლება, одолжать.

დავანება (დავივანებ) დასადგურება, დამკჳდრება, დაბინავება, დასახლება, დაშენება (დაბად. 26,17), обитать, вселиться, поселиться.

დავარდნა (დავვარდები) უკან დარჩენა დაღალვისაგან, отставать от усталости. // ჩამოვარდნა, დავრდომა, упадать, ხ მ ი ს დ ა ვ ა რ დ ნ ა განთქმა, განფენა, пронестись слуху.

დავედრება (დავავედრებ) დაბარება, შეთჳლა, поручать (ვეფხისტ. 421,469, 509), делать поручение, наказывать.

დავთარი აღწერა, ანუ წიგნი შთასაწერი სახსოვართა, описание, или журнал, дневник, *τεφτέρι*. თ. დევთერ [ბერძნ.-არაბ.].

დავთარ ტარუღა საეროს აღწერის მოხელე და შემნახავი მისი.

დავითნი წიგნი ფსალმუნთა დავით მეფისა და წინასწარმეტყველისა, псалтырь.

დავიწყება (დავივიწყებ) აღხოცა ხსოვნისაგან (ფსალ. 9,12,18), забывать.

დავლა ალაფი ნაშოვარი (ვეფხისტ. 786; ჩახრუხ. 113), добыча.

დავრდომა (დავვარდები) დაცემა, ან პირქვე დამხობა (მატ. 13,4 და შემდგომი, კჳალად 17,6), падать.

დავრდომილი სიმდიდრისგან დაცემული (ფსალ. 9,9,12,18), убогий, бедный, угнетенный,

დავსება (დავავსებ) დაშრეტა, გაქრობა (ვეფხისტ. 212, 590), гасить, тушить.

დაზავება (დავაზავებ, დავეზავები) დაგება, დარიგება, დამშვიდება, помирить,-ся, поладить.

დაზამთრება (დავიზამთრებ) ზამთარს დადგომა სადმე (საქმ. 27,12), зимовать, перезимовать.

დაზარება (დავიზარებ) ზარობა, გვიანობა, უნდომლობა საქმისა (ვეფხისტ. 360,1372), лениться, мешкать.

დაზარებული ზარმაცი, მცონარი, დაგვიანებული, леннвый.

დაზახება (დავიზახებ) დაძახება, შეძახება, ხმამაღლად ღაღადება (ვეფხისტ. 443), закричать.

დაზგა წიგნთ საბეჭდავი იარაღი მისის მომართულობით, ეგრეთვე სამუშაო სტოლი მკერვალთა, მექუდეთა და სხვათა ხელოსანთა, станок.

დაზელა (დავზელ) ხელით თელვა რბილისა რისმე, ვითარ ცომისა და მისთანათა, ანუ ნიჩბით არევა კირისა შენობათათჳს, мять, мешать.

დაზვერვა (დავზვერავ) განმსტურობა, მიპარვით გასინჯვა, подглядывать.

დაზვინება (დავაზვინებ) დაგროვება, ზვინად დადგმა, დასხმა (3 მეფ. 18,33; გამოს. 6,12), носкладывать, накладывать.

დაზიანება (დავზიანდები) წაგება, დაკარგვა, терять, проигрывать, получать изъян.

დაზმა ხანისა დროს გატარება, დადგომა გრძლად, დაგვიანება (ვეფხისტ. 661,168, 1322).

დაზმული იხილე ხანდაზმული.

დაზოგვა (დავზოგავ) გამოზოგება ან გაფრთხილება, беречь, поберечь, пощадить.

დაზრობა (დაიზრობს, დასძრავს) ყინვისგან დაწვა, გახმობა, დასუსხვა (ვეფხისტ. 1337), вымерзать, отмораживать.

დაზულვა, დაზღულვა (დაიზულევის, დაიზღულების) მომზღულვა, დარღვევა, ჩამოწოლა, დაქცევა, დანგრევა (2 პეტრ. 3,10 და შემდგომი), разоряться, разрушаться.

დაზღვევება (დავაზღვევებ) ზღვედ დასხმა, намостить, подмостить камнем или бревнами.

[**დაზღმურდლვა** ნახე ათქვრება].

დათანხმება (დავეთანხმები) თანხმობის მიცემა, соглашаться.

დათენთვა (დავითენთები) მოშვება ტანისა მზეზედ ძილისგან, ანუ სასმელთაგან.

დათესვა (დავსთეს) შთაბნევა, ანუ შთასხმა მიწასა შინა თესლეულთა აღსაორძინებელად მოსავალთა (ფსალ. 106,37; მატ. 13,19,24 და შემდგომი), сеять, посевать.

დათულა (დავსთვლი) აღრიცხვა (ვეფხისტ. 1059), считать, насчитывать, (დავუთვლი) თვლით მიბარება, отсчитывать.

დათმენა (დავითმენ) მოჳირვება, მოთმენა, გაძლება (ფსალ. 9,18), терпеть, терпение.

დათმობა (დავუთმობ, დავსთმობ) დათმენა (ფსალ. 26,14), потерпеть. // მიტევება შეცოდებისა, прощать, оставлять. // დანებება, ჩუქება, ან ხელის აღება (ვეფხისტ. 129), уступать, отказаться.

დათრგუნვა (დავსთრგუნავ) ფებით გასრესა, გატკეპნა (ფსალ. 7,5 და 55,1 და შემდგომი; მატ. 7,6), попирать, растоптать.

დათრევა

დათრთვილვა (დასთრთვილავს) თრთვილით დაზრობა (ვეფხისტ. 175,177).

დათრობა (დავათრობ, დავსთვრები) გაბრუება ღვინით, ანუ სხვა სასმელით (ფსალ. 22,5 და 64,9; იოან. 2,10), упаивать, подпаивать, упиваться, напиваться.

დათჳ (ოთხფ.) მხეცი, ბრანგჳ, медведь. //თანავარსკვლავედი ჩრდილოეთისა, რომელსა მსოფლიონი უხმობენ რ ვ ი ლ ა დ, медведица—созвездие.// ბულაურსაც ეწოდების.

დათხევა (დავსთხევ, დაითხევის) დალტრა, დაქცევა (ფსალ. 78,3,10), промывать,-ся.

დათხოვა (დავითხოვ) გაშვება, отпускать, отсылать. // უარის თქმა, отказывать. // (დავეთხოვები) გამოთხოვა წასასვლელად, отправиться.

დათხრა (დავსთხრი) შეთხრა მიწისა (მატ. 24,43), подкапывать. // თ ვ ა ლ ე ბ ი ს დ ა თ ხ რ ა, აღმოხდა, ამოჰრა თვალის კაკალთა დასაბრმავებლად, выколоть глаза.

დაირა დაფი, ებანი, бубны.

დაიხი, დაიხით ლოცვა ღამისთევა, პირველ ღამით გარდახდა მწუხრისა და ცისკრისა ერთად, всенощное бдение.

დაკავება (დავიკავებ) დაჭერა, დახუთვა, брать, удерживать.

დაკავშირება (დავაკავშირებ) გატეხილთა მეტალლის ჰურჭელთა შეძერწება, დაკოწიწება გადნობილითა კალითა, ტყვიითა და მისთანითა, спаивать.

დაკაკვა დაკამკამება (ნახე დახამხამება).

დაკარგვა (დავჰკარგავ, დავიკარგები) გადავარდნა უამბვოდ, потерять, пропадать.//ზოგჯერმე ითქმის დატყვევებად; დ ა ი კ ა რ გ ა ლეკში, თათარში და სხ., попадать в плен.

დაკარგული ურგებად გარდაგდებული, გადავარდნილი ან დატყვევებული (ვეფხისტ. 50,1287), потерянный, пропавший.

დაკარვება (დავიკარვებ) დავანება, დადგომა სადმე კარვებით (დაბად. 13,12), расположиться в шатрах.

დაკარწახება (დავიკარწახებ) წვივთ გამიშვლება წყალში გასასვლელად.

დაკაფვა (დავჰკაფავ) მოკვრა, მოკვეთა ფიჩხთა, ნოშოთა და მისთანათა (დან. 4,20). посекать, вырубать.

დაკაწრვა (დავჰკაწრავ, დავიკაწრავ) დაგლა, დაფხაჰნა კანისა სისხლის გამოდენადმდე, нацарапать, исцарапать, -ся.

დაკემხვა (დავჰკემსავ) წვრილად დაჰრა, изрезать, нарезать.

დაკეპა (დავჰკეპ) დაჩქლეთა, დაწვრილება, დაჰრა, рубить, изрубить намелко капусту, говядину и т. п.

დაკეპილი (ხორცი, კომბოსტო და სხ.) წვრილად დაჰრილი, битое мясо, капуста изрубленная и т. п.

დაკერება (დავაკერებ) გაკვეთილზედ საკერებლის დადება, нашивать, пришивать.

დაკეტა (დავჰკეტ) დახშვა, დაკრძალვა კართა, კლიტის დადება, запирать, замыкать.

დაკეცა (დავჰკეც) გაშლილის მოხრა, მოკაკვა, ან შეხვევა, складывать, сложить.

დაკვებება (დაეკვებების) ლექსი ესე იხმარების ახალ წელიწადს ამაოდ მორწმუნეთა კაცთაგან, რომელნიც ჰგონებენ რეცა მას დღესა ვითარნი იქმნებიან შემთხვევანი სასიამოვნონი თუ უსიამოვნონი, ეგრეთ განატარებენ იგინი მრთელსა წელიწადსა.

დაკვეთება (დავაკვეთებ, დაეკვეთები) დაცემა, დახეთქება, დახლა (ფსალ. 101,10), низвергать, поражать, попадить, -ся.//დ ა ე კ ვ ე თ ე ბ ი ს შეხვდების, შეემთხვევის, случается, попадается.

დაკვეცა

დაკიდება (დავჰკიდებ) მაღლა შეკიდება (ფსალ. 136,2), обвешивать, повешивать, развешивать, -ся.//თ ა ვ ი ს დ ა კ ი დ ე ბ ა, ჩამოკიდება, მოხრა. დაფიქრება (ვეფხისტ. 57), повесить голову, задумываться.

დაკირთება დამონება (ნახე კირთება).

დაკირთებული დამონებული (გალატ. 4,3), порабощен.

დაკლება (დავაკლებ, დავიკლებ) დამცირება, დამდაბლება ან მოკლება (ფსალ. 8,5 და 20,2), умалять, унижать, лишать. // ფ ა ს ი ს დ ა კ ლ ე ბ ა ჩამოსლვა ფასზედ, сбавлять, спускать, уступать цену.

დაკლვა (დავჰკლავ, დავიკლავ) საკლავთა ცხოველთა მოკლვა დანითა საჭმელად (ლუკ. 15,23,27; საქმ. 10,13), закалывать, заколоть скота на пищу.

დაკმაზვა (დავჰკმაზავ) შეკმაზვა, მორთვა მრავალთა ცხენთა (ვეფხისტ. 603), ანუ ნავთა, седлать лошадей, снастить суда и пр. //დარკვევა ხორბლისა.

დაკმევა (დავაკმევ) აღკმევა (ნახე კმევა), курить, накуривать.

დაკნინება (დავაკნინებ) დამცრობა, დამდაბლება, уменьшивать, унижать, уничижать.

დაკოდვა (დავჰკოდ, -დავ), დაჰრა, დაწყლულება (ვეფხისტ. 591), ранить, уязвлять. // შეშის დაჰრა, დაპობა (ფსალ. 73,6), рубить, нарубать, рассекать.//დასაჭურისება ცხოველთა, класть, холостить самцов животных, лишать способности деторождения. // გამოპირვა წისქვილის ქვებისა, насекать жерновы и т. п.

დაკოდილი დაჰრილი, დასერილი (ვეფხისტ. 77,196,475), раненый, израненный.//დასაჭურისებული, კოდილა, ჭედილა, кладеный, холощеный. // გამოპირული, насеченный.

დაკოწიწება (დავაკოწიწებ) დაკავშირება ჭურჭელთა, უფროორე თიხისათა, спаивать.

დაკრება ქჳსა ანუ ქვითა (დავჰკრებ) დაქოლვა, მოკუდინება ქჳს სროლით (მატ. 21,35 და 23,37; საქმ. 7,58 და შემდგომი), побивать каменьями.

დაკრეფა (დავჰკრეფ) მოგლეჯა ხილთა, მხალთა და მისთანათა.

[**დაკრვა** დაკურვა, бить; ცოტა რომი დაიკარ, налей себе немного рому].

დაკრულვა (დავჰკრულავ) კრულად შექმნა, შეჩვენება, заклинать, заклятие, анафема.

დაკრუტვა (დავჰკრუტავ) დაფახვა თვალთა, მცირედ დაჭუჭვა, зажмуриваться.

დაკრძალვა (დავჰკრძალავ) დახშვა, დაკეტა, ფრთხილად შენახვა (მატ. 27,64 და შემდგომი; საქმ. 16,24), охранять, забивать.

დაკჳრვება (დამიკჳრდების) დიდად განცჳფრება (მატ. 7,28 და 8,10,22; ფსალ. 47,6), удивляться. // თ ჳ ა ლ ს დ ა ე ა კ ჳ რ ვ ე ბ დასტერება, გრძლად სინჯვა, всматриваться.

დალაბრა ჩლუნგი, გაულესავი საჭრელი იარაღი, тупой.

დალაგება (დავალაგებ) დარიგება, თჳს თჳს ადგილს დაწყობა მრავალთა, убирать, прибирать, устранять.

დალალი ფერეზიკი, სავაჭროთ მატარებელი განსაფარდველად, разносчик. სპ. დალლალ.
დალალი ჭაღლი, გრძლად დაწნული თმა ქალთ მოსართავად (ნახე თმა).
დალაპარაკება (დაველაპარაკები) დაბაასება, შეცილება ლაპარაკით, заговорить, заспорить.
დალაქი ვარსიმი, брадоброй, цирюльник, фельдшер.
დალბობა (დავალბობ, დალბების) ხმელის დარბილება წყალში, намачивать, размачивать.
დალევა (დავლევ, დაილევის) სმა, შესმა ნოტიოთა, пить, выпить.//გამოლევა, დასრულება, გათავება (ვეფხისტ. 596,967), истощить,-ся, выйти в расход. სულის დალევა მოკდომა (მუნვე, 911), скончаться.
დალეკა, დალეკება (დაილეკს) ძირს წასვლა თხლისა, низвергаться.
დალეწა (დავლეწ) დამტვრევა, დამუსრვა. დარევვა (ვეფხისტ. 1043,1355,1391), раздавлять, раздроблять, [сокрушать].
დალიჭი ტახტი დასაჯდომელი დიდებულთა (ნახე სკამი) (ქართლის ცხ. გორგასლანისთჳს), трон.
დალორტება (დავლორტდები) სრულიად დასველება, გალუმბვა, измочиться, намочиться.
დალოცვა (დავლოცავ) მიცემა ლოცვისა, კურთხევისა, ლოცვით განმტკიცება (ვეფხისტ. 46,793), благословлять.
დალპობა (დავალპობ, დალპების) წახდენა ნივთთა ლპობითა (ფსალ. 37,5; იობ. 19,20), сгноить, согнивать (ისაი. 14,11), гнилость.
დალტობა (დავალტობ) დასველება (ფსალ. 6,6; ლუკ. 7,38), обливать, обмочить.
დალურსვა (ცხენმა ყურები დაილურსა) შიშისგან, ანუ ალღოსგან ყურების ცქვეტა, აღმა აწევა და დაღება, მომზადება სასმენელად.
დალურსმვა (დავლურსმავ) დაჭედა, ლურსმებით მიკვრა, пригвоздить, приковать.
დალურჯება (დავალურჯებ. დალურჯდება) დალებვა, ლურჯად შექმნა (ვეფხისტ. 571 და შემდგომი).
დამადლება1 (დავამადლებ) დავალება, დამუნათება, удолжать, обязывать. // (დავუმადლებ) მადრიელობის მოხსენება, ან გარდახდა სიკეთისა (ვეფხისტ. 62), благодарить.

დამალვა (დავმალავ, დავიმალები) დაფარვა' ფარულად შენახვა (დაბად. 3,8 და შემდგომი; მატ. 13,44 და 25,25), скрывать,-ся.
დამანი ბროლი გათლილი ანუ მრგვალი, რომელიცა მზის სხივთა განჭვირვით ცეცხლს მოუკიდებს აბედსა და მისთანათა (იობ. 28,17), кристалл, зажигательное стекло.
დამართება (დავმართებ) ქვედაღება, დაწევა, наклонять; (დავემართები) наклоняться, ქვედადრეკა. // ხელის დატანება, ალპყრობა (ვეფხისტ. 16). // (დაემართების, დაემართა) შემთხვევა, случиться.
დამარილვა, დამარილება (დავმარილავ. -ლებ) მარილის შეყრა ან ჩადება მარილში (მარკ. 9,49 და შემდგომი), солить, посолить.
დამარხვა (დავიმარხავ) შენახვა, დაცვა (ფსალ. 11,6; ლუკ. 2,19,51), хранить, сохранять, соблюдать. // (დავმარხავ) დაფლვა მკუდართა, დასაფლავება, схоронять, похоронить.
დამარხვება (დამარხულდების) მარხვის დადგომა, შემოსლვა, наступление, начало поста.
დამასხი (ხე) ერთგუარი ქლიავი და უფროჲ დამასკოს ქალაქის ადგილისა, რომლისაგანცა დარქმევია სახელი, слива, *δαμασκηνιά* (ხე), *δαμάσκηνόν*, ხილი მისი.
დამატება (დავმატებ, დავუმატებ) დართვა, შეძინება, прибавлять.
დამახვა (დავმახვავ) განმახვა, აღმახვა, წამწვეტება, გათლა ან გალესა წვერისა, изощрять.
დამბადებელი შემოქმედი, ღმერთი არსთა მაარსი, творец, создатель.
დამბალი ნოტიოში გაჟღინთული რამე, вымокший.
დამბაჩა ფიშტო, მოკლე თოფი, пистолет.
დამბლა სენი ხელფეხისა და სრულიად ტანის დადუნებისა, паралич. თ. დამლა [სპ.].
დამბურა დაფი, ბობლანი, тимпан, барабан, *ταμπουρᾶς, τάμπουρον, ταμπουρλον*.
დამდაბლება (დავამდაბლებ, დავმდაბლდები) დამცრობა, შეურაცხქმნა, ანუ დაჩაგვრა (ფსალ. 34,13 და 43,19,25, ჟუალად 71,4), смирить, усмирять, унижать, падать.
დამდებელი
დამდურება (დავიმდურებ) სხჳს სამდურავში ჩავარდნა, впасть в негодование, прогневлять.//(დავამდურებ) სამდურავის ჩამოგდება სხუათა შორის, поселить между другими негодование. // (დავემდურები)

გულნაკლულად შექმნა სხვაზედ, негодовать, иметь неудовольствие на кого.
დამეტება დამატება, დართული რამე წერილსა შინა, прибавление.
დამზრალი, დამძრალი ყინვისგან დამწვარი, დაზრობილი, წამხდარი (ვეფხისტ. 697), мерзлый.
დამზღუღლეული მომზღუღლეული, ჩამოწოლილი კლდე, ანუ ფლატე (ნახე ზღუღლევა), обрыв.
დამთვრალი (ნახე მთვრალი), пьяный, хмельный.
დამთხვეული გიჟი.
დამკრთალი გაუბედავი, მკრთალი, მხდალი, робкий, застенчивый.
დამკვდრება (დავამკვდრებ, დავიმკვდრებ, დავემკვდრები) სანიადაგოდ დადგომა, დაბინავება (ფსალ. 4,8 და 5,11, კჟალად 22,1,5), вселять,-ся (მეუფე. 24,13 და 36,29), наследовать (კჟალად 2,4 და 14,1 და 90,1), жить, обитать (მარკ. 7,17), наследствовать.
დამნაშავე შემცოდე, ბრალეული, виновный, виноватый, или преступник.
დამოდინება (დამოვადინებ, დამოედინებების) წარმოდენა, ჩამოდინება, истачивать, -ся.
დამოკიდება (დამოვჰკიდებ, დამოეკიდები) ჩამოკიდება (საქმ. 5,30; გალატ. 3,13), повешать, висеть.
დამოკიდებული ჩამოკიდებული, повешенный.//მექონი სხვისაგან ყოფისა და მოქმედებისა, ვითა მიზეზოვანი, ანუ ბრძანებასა ქვეშე მყოფი, ხელის ქვეშე ვისიმე, зависящий, зависимый.
დამოკიდებულება ქონება სხვსაგან ყოფისა და მოქმედებისა, ანუ ყოფა უფლებასა და ბრძანებასა ქვეშე სხვსასა, зависимость.
დამოკლება (დავამოკლებ) შემოკლება, შემცირება (ვეფხისტ. 855), сокращать.
დამონება (დავამონებ, დავიმონებ, დავემონები) მონად შექმნა, порабощать, -ся.
დამორჩილება (დავამორჩილებ, დავიმორჩილებ, დავემორჩილები) მორჩილქმნა (ფსალ. 8,6 და 36,7; ებრაელ. 13,17), покорять,- ся, повиноваться.
დამოსვა (დავმოსავ) მრავალთ ჩაცმევა (ვეფხისტ. 465), одевать.
დამოწაფება (დავიმოწაფებ. დავემოწაფები) მოწაფედ შექმნა, приобресть ученика (საქმ. 9,36), последовать чьему учению.
დამოწმება (დავამოწმებ) მოწმობის მიცემა წერილით ან სიტყვით, засвидетельствовать. //(დავიმოწმებ) მოწმად მოღება ან ჩვენება ვისიმე, ссылаться на кого, на что, делать ссылку.//(დავემოწმები) დამტკიცება სხვს ნათქვამისა, подтверждать, поддакивать.
დამპალი წამხდარი სიმპალით, დალპობილი, гнилой.
დამრეცი მცირედ დაღმართი, покатый.
დამსგავსება (დავამსგავსებ, დავემსგავსები) დაგვანება, მსგავსად შექმნა (ფსალ. 27,1), уподоблять, -ся.
დამსკუალვა (დავამსკუალავ) დალურსმვა.
დამსხვრევა (დავამსხვრევ, დაიმსხვრევის) დალეწა, დამტვრევა, დარეგვა, раздроблять, разбить вдребезги.
დამტკიცება (დავამტკიცებ) დამაგრება, მტკიცედ დადგინება (ფსალ. 32,6 და 40,12), утверждать.//გონებით დასკვნა, ჰაზრის დადება, утверждать, заключать, полагать.
დამტვრევა (დავამტვრევ) დალეწა, დამსხვრევა, раздроблять.
დამუსრვა (დავმუსრავ) დალეწა, დამსხვრევა (მარკ. 6,41; ფსალ. 36,24), преломлять, разбивать, -ся.
დამშევა (დავამშევ, დავიმშევი) უსაზრდოოდ დაშთენა მშიერად, оголодить.
დამშვიდება (დავამშვიდებ, დავემშვიდდები) მომდოვრება, დაშოშმანება (ფსალ. 82,1 და 88,9), укрощать, усмирять, -ся.
დამშხალული მქისე, ხშირად დაბზარული, рыхлый.
დამცირება (დავამცირებ) დაკნინება, დაპატარავება, умалять, уменьшать.
დამცრობა (დავამცრობ) დამდაბლება, შეურაცხება, унижать, уничижать.
დამძიმება (დავამძიმებ) სიმძიმით ქვედაწევა, დახრა, ანუ საქმის გაძნელება (საქმ. 15,19), отягощать, затруднять. // (დავმძიმდები) ჩაწოლა, შეჭირვება (ფსალ. 31,4 და 37,4), тяготеть, отяготеть.
დამწარება ნახე გაარმება.
დამძრალი ნახე დამზრალი, вымерзший.
დამწყსა (დავმწყსი) ძოვება ცხოველთა, ანუ მოძღვრება კაცთა (მატ. 2,6; იოან. 21,16), пасти, упасать.
დამხობა (დავამხობ, დავემხობი) პირქვე დაცემა (იოან. 2,15; ლუკ. 1,52; ფსალ. 51,5), низлагать, ниспровергать.

დამჯერო დამჯერებელი, მორჩილი, გამგონი, послушный, сговорчивый.

დანა, დანაკი ხელად სახმარი საჭრელი, მცირე მახვილი (ლუკ. 22,38; ვეფხისტ. 236), нож, ножик, меч. ს. დანაკ. უმცირესსა საჭრელსა კალამთა და მისთანათასა ეწოდების ღ ი ნ წ ი, ტარსა თან მოსაკეცსა — ც ი ლ- ვ ი, მოდიდოსა საჭრელსა ვენახის ურგებთა რქათასა — ს ა ს ხ ლ ე ვ ი, მოკაკულსა, ხის პურჭელთ გულის გამოსათლელსა — ხ ვ ე- წ ი, ცუდსა და ბლიგუსა — ხ ი პ ი და დ ა- ლ ა ბ რ ა.

დანა თვთოეული ერთგუართა ნივთთაგანი, ვითარ ექვსი დ ა ნ ა ვეცხლის კოვზი, ათი დ ა ნ ა ხელსახოცი და სხ., штука.

დანაბვა (დავინაბვი) განაბვა შიშისაგან (იერემ. 8,9; ვეფხისტ. 363), устрашиться, испугаться.

დანავსვა (დავნავსავ, დაინავსვის) მოხიბლვა, გრძნებით შეკურა, თუალის კურა, обворажиывать, заколдовывать.

დანაკის კუდი (ხე) ხე ფინიკისა (იოან. 12,13), финик.

დანაკლულება (დავანაკლულებ, დანაკლულდების) მცირედ-მცირედ გარდმოღება სავსის პურჭლისგან, ხარჯვა, сбавлять, початать.

დანალეკი ნახე დალეკი.

დანალვა (დავნალავ) ნალების მიკურა ფეხსაცმელთა, ანუ ცხენთა ფეხებზედ, подковывать.

დანამასტაკი თეთრი საკმელი, мастика, росной ладон белый.

დანანება (დავანანებ, დავინანებ) შენანება დანაშაულისა.

დანარჩუნება (დავანარჩუნებ) დაგდება, დატევება, оставлять. // (დავინარჩუნებ) მითვსება, შენარჩუნება, присвоить.

დანარცხება (დავანარცხებ) დაცემა, წაქცევა ძლიერად (ვეფხისტ. 859).

დანატრება (დავნატრი, -რებ) ნეტარების შესხმა, ублажать. // ბაძით სურვილი, გვაჯიობა, завидовать, ревновать.

დანატრულება (დავნატრულდები) ფრიადი ნდომა და ვერ შოვნა რისამე. ნატრულად შექმნა.

დანაყვა (დავნაყავ) დაძეწკა, დაცეხვა, დაფქვა როდინით, толочь, истолочь.

დანაშაული ბრალი, შეცოდება, вина, преступление.

დანაძლევება (დავნაძლევდები, დავენაძლევები) შეცილება სანაძლეოს დადებით, биться в пары об заклад.

დანახეთქი ნაპრალი წიასავალად შეუძლებელი, დიდი ფლატე მოშხლეულეული (ლუკ. 16,26), пропасть.

დანგი წონა 3 კერატისა, ანუ 12 ქერის მარცულისა, ხოლო 20 დანგი $\frac{1}{6}$ არს ერთი ს ა ტ ი რ ი, ანუ ერთი დ ი დ რ ა ქ მ ა (იხილენ ლექსნი ესე. გამოს. 30.13), цата; არამედ საზოგადოსა შინა ხმარებასა დ ა ნ გ ი არს მისხლის მეექვსედი. ანუ ერთის ვეცხლის შაურიანის წონა. რამეთუ 6 შაური ძველი ტფილისის ვეცხლის ფული არს ერთი მისხალი. ესე იხილვების ძველთა შინა თამასუქთა, სადაცა ვითარება ვეცხლის ფულთა ესრეთ აღწერილ არს: ავიღე ამდენი თუმანი ქ ა ლ ა ქ ი ს ს ი რ მ ა ა ბ ა ზ ი ო თ ხ დ ა ნ გ ი ა ნ ი და სხ. (ნახე ლიტრასთან). $\left[\frac{1}{6}\right.$ части золожника $\left.\right]$.

დანდალი კიბეთ შუა სიგანეზედ გახიდულნი საფეხურნი ფიცარნი. [ступени веревочных лестниц].

დანდალუკი გზნი, ანუ სენი თუალთა სიყვითლისა (2 სჯული. 28,22), бледность.

დანდობა (დავანდობ) მძიმის რისამე დადგმა მაგარსა ქვეშე შესადგმელსა ზედა. // (დავინდობ) გატანა, შერჩენა ვისიმე ერთგულად, устоять в слове, пребыть кому верным.//(დავენდობი) ნდობა, მინდობა, იმედის დადება ვისმე ზედა, полагаться на кого.

დანდური (ბალ.) მსუქანა, კატაკანო, портулак.

დანებება (დავანებებ) დათმობა, ნებაზედ მიგდება, уступать, предоставлять.//(დავნებდები) სხვის ნებაზედ თავის მიცემა, поддаваться.

დანერბვა

დანერგვა (დავნერგ, -გავ) დასხმა მცენარეთა მიწასა შინა (ფსალ. 1,3 და 79,9), насаждать.//დაშენება, დამკვდრება კაცთა (ფსალ. 43,2; მატ. 15,13).

დანესტვა დაბერვა, დაკურა ნესტუთა, ბუკტაბლაკთა და მისთანათა (ზაქარ. 9,14), вострубить.

დანეშტებული დანაშთენი, დანარჩენი, სხვა, შემდგომი (ეზეკ. 41,11), прочий, остальной.

დანეცვა (დავუნეცავ) პურის დამტვრევა, ანუ დაგება (ისაი. 58,7), раздроблять.

დანთქმა (დავანთქამ. დავინთქმი) დაღუპვა (ფსალ. 54,9 და 68.2.15; მატ. 14,30), потоплять, утопать.

დანიად განთიად, დილით ადრე (მარკ. 16,2), зело, заутра, весьма рано.

დანიშნვა (დავნიშნავ, დავინიშნები) აღნიშნვა, ნიშნის დადება, назначать, означать, -ся. // დაწინდვა, მადლის გარდახდა საქორწილოთათვს, обручать, сговорить, сватать, -ся.

დაობლება (დავობლდები) დედისა ან მამის მოკლება, ანუ ორთავე ერთად, осиротеть.

დაოდვა (დაოდავს) მოსავალთ წახდენა ცხარის მზისაგან ნაწვიმარზედ.

დაოკება (დავიოკებ) მიცემა მრავალთადმი საკმაოს საზრდელისა, продовольствовать.

დაოლვა

დაორხულება (დაორხულდების) მუცლადღება, გუნებანაქცევად შექმნა დედათა (ვეფხისტ. 318), обрюхатеть.

დაპატიმრება (დავაპატიმრებ) დატუსაღება, დასმა პატიმრად, брать под стражу, арестовать.

დაპატიჟება (დავპატიჟებ) მიწვევა, приглашать, просить.

დაპება სამოსლისა დაპობა, დახევა, დაგლეჯა (მატ. 26,65), растерзать, раздирать.

დაპებული დაგლეჯილი, დახეული (იგავ. 23,21), разодранный.

დაპირება (დავაპირებ) განზრახვა, მონდომება, მომზადება (ვეფხისტ. 617), решаться, предпринимать. // (დავჰპირდები) პირობის მიცემა (ვეფხისტ. 135), обещать, дать слово.

დაპობა (დავაპობ) დაჩეხა, დაპრა შეშისა, рубить, колоть дрова.

დაპყრობა (დავიპყრობ) დაჭერა, [воздерживать].

დაჟარვა დაზრობა, დაძრობა სიცივით.

დაჟეჟა (დავჟეჟ) დაბეგვა, გალახვა.

დაჟინება (დავიჟინებ) ახირება, ატეხა, упорствовать, упрямиться. // (დავუჟინებ) იძულება, понуждать, настаивать.

დაჟლლა (დავჟლლი, დაიჟლლების) მეტალლთ შედრეკა ადგილადგილ, ანუ დაბზარვა მარგალიტთა.

დარაბა დუქანთ ასაფარები ფიცრები, გინა სხვა იმ სიზრქედ დახერხილი, дюймовая доска.

დარაზმულობა რაზმი, დაწყობილება ლაშქართა (ვეფხისტ. 398), строй, колонна войска.

დარაკ ნ. 1031,1136.

დარანი ქვაბი, ნაპრალი კლდესა, ანუ მიწასა შინა.

დარაჯა მცველი, მიჩენილი დასაცველად (ვეფხისტ. 443,572,1104 და შემდგომი), караул, стража. ამისნი სახენი: გ უ შ ა გ ი ციხეთ დარაჯა, ანუ მეციხოვნენი, ე ბ გ უ რ ი მაღლის ადგილიდამ მოდარაჯე, მ ს ტ ო ვ ა - რ ი, ა ჟ შ ა გ ი დამზვერავი მტერთა ადგილისა და ლაშქრისა (თურქთა ენით ჯ ა შ უ - შ ი), ტ ა ლ ა მოვზაურთა ღამის მოდარაჯე, დ ე ტ ი დღისით შორიდამ მომზირალი, ხ უ მ ი ლ ი ანუ მ ხ მ ი ლ ა ვ ი მცველი პატრონის კართა, ანუ ხვასტაგთა თანა ღამის მთეველი, კ ე რ კ ე ტ ო ნ ი ღამით მოარულნი ბოროტთა კაცთა შესაპყრობად.

დარაჯაგი, დარიჯაგი უცხოთ სავანე, სადგური (ვეფხისტ. 1206).

დარბაზი სასახლეთა შინა უდიდესი პალატი, ანუ სამეფოს გამომჩენების სახლი (ვეფხისტ. 140 და შემდგომი), зала, чертог, палата царская.

დარბაზ-ბატონი სახელოა (ნახე კურატპალატი), камергер, или оберкаморгер.

დარბაზობა (ვდარბაზობ) დარბაზს კრებულობა შესაქცევად, ანუ გამოსამჩენებლად (ვეფხისტ. 1111), аудиенция, торжественный прием в зале.

დარბაისელი, დარბაზიხერი დარბაზ-ბატონი, წარჩინებული, დარბაზს მქონებელი ადგილისა (ესთერ. 1,16), боярин, вельможа, придворный господин.

დარბევა (დავარბევ), ნახე რბევა, грабить или штрафовать.

დარგვა (დავრგავ) დასხმა, დანერგვა მცენარეთა, насаждать.

დარგი თვთოეული გვერდი ოთხკუთხისა განფენილებისა, ვენახისა, სახნავისა და მისთანათა. დ ა რ გ ი ზევითი, ქვეითი, აქათი და იქითი; бок, сторона, фланг. // ნაწილი სწავლათა (ვეფხისტ. 19), შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დ ა რ გ ი, часть, отделение. დარგსა თანა ითქმის მ ა ლ ი სახლთა და სართულთა თვთოკერძო შესახედავი, ვითარ ზედათი მ ა ლ ი, აქეთი და იქითი, фасад, наружность. მ ხ ა რ ე არს კერძო აღმოსავლეთისა, დასავლეთისა და მისთანანი, ვითარ მთისა, ზღვსა და სხ., сторона, ხოლო ც ა ლ გ ნ ი თ ი განჰყოფს ორად აქათსა და იქითსა, половина.

დარდი ნაღველი, ზრუნვა, საურავი, საფიქრებელი, მწუხარება (ვეფხისტ. 83).

დარება (ვადარებ, ვედრები) შედარება (ნახე დარი), (ვეფხისტ. 81), сравнивать, -ся.

დარევა (დავრევავე) მაღლიდამ ჩამოწოლილისა, ანუ ჩამოქცეულისგან დალეწა და შემუსრვა, რაიცა ქვეშე დახუდების, ვითარ სეტყვისაგან, დაქცეულის კედლისგან და მისთანათა.

დარეკა (დავრეკ, -კავ) ზართა ენის ცემით ხმის ამოღებინება, звонить.//კარის დარახუნება (ვეფხისტ. 1189), стучать, постучать, -ся. // ხეთაგან ხილის ჩამოყრევინება, сбивать фрукты с деревьев.

დარეტიანება (დავარეტიანებ) გარეტიანება დაკურითა.

დარეცა (დავრეც, დავირეც) დაფენა, დაგება (ისაი. 14,11), постилать.

დართვა (დავრთავ, დავურთავ) დამატება, შეძინება (ისაი. 26,15; ვეფხისტ. 506), присовокуплять, приложить. // დაფარვა (103,3), покрывать.

დართვა (დავართავ) ნახე დასთვა.

დარი კეთილი ტაროსი (ვეფხისტ. 1027), ведро, погода, ხოლო ცუდსა ტაროსსა ეწოდების ავდარი.

დარიანი მზიანი, უწვიმარი, უღრუბლო ტაროსი.

დარი შედარებული, ტოლი ან ცალი, იმისი დარია, იმას უდრის (ვეფხისტ. 81,333,945), равный, или он ему пара, ровесник, или они достойны друг друга, ხოლო მდარე ნაკლები, მდაბალი მასზედ, пониже или уступает.

დარიგება (დავარიგებ) სწავლება, მცნება, მოძღურება, наставлять. // (დავარიგებ, დავურიგებ) გაცემა, მიცემა მრავალთადმი, раздавать.

დარიდება (დავარიდებ, დავერიდები) მოშორება, განრიდება საშიშრისა რისგანმე, ანუ სნებისაგან და სხ. (ვეფხისტ. 115,206,899), удалять, беречь, -ся, избегать.

დარილი (ვუდარილებ) ტურნება, მზერა თუ ჟამისძიება, подсматривать, искать случая.

დარისხება (დავარისხებ) დაკრულვა, შეჩვენება.

დარიშხანა მარგიმუშკი, მაკუდინებელი საწამლავი, арсеник, мышьяк.

დარიჩინი კინამო, корица.

დარიჯაგი ყალიბი, კალაპოტი, форма, калибер.

დარკვევა (დავარკვევ) გამორჩევა ხორბლისა და სხუათა მარცვალთა ნაგვისაგან და ჩენჩოსა ტაბაკზედ ბერტყვითა, очищать, перебирать.

დაროშვა დაღერღა ცერცვისა.

დარუპილპილი

დარქმა (დავარქვამ) დახურვა სარქველისა ან პირქვე დადგმა, накрывать крышу, или наставить вверх, дном. // რქენა, რქენით განდევნა (ფსალ. 43,5), избодать.

დარქმევა (დავარქმევ) სახელის მიცემა, წოდება, нарицать, наименовать, назвать.

დარღვევა (დავარღვევ) გარღვევა, распороть. //დაქცევა, დაშლა, მოშლა (ფსალ. 10,3 და 88,40; მატ. 24,2 და 26,61), разрушать, разорять, -ся.

დარჩევა (დავარჩევ) უკეთესთ გამოკრება, выбирать, отбирать, перебирать.

დარჩენა (დავარჩენ, დავრჩები) დაშთენა, გადარჩენა, მონარჩუნება (ვეფხისტ. 566,579, 1299), оставлять, оставаться, уцелеть. //გამოზრდა, შენახვა, содержать, довольствовать.

დარჩილვა სპილენძით რკინის დაკავშირება.

დარჩობა (დავარჩობ, დავირჩობი) მოშთობა სულის შეგუბებით, ანუ წყალსა შინა, удавлять, или утоплять.

დარჩომა (დავრჩები) არს ვნებითი ზმნა (ნახე დარჩენა, დავარჩენ).

დარწმუნება (დავარწმუნებ, დავირწმუნებ, დავერწმუნები) დაჯერებინება, დაჯერება, уверять, -ся.

დარწყმა მახისა (დავარწყამ) დადგმა (ფსალ. 63,5), скрывать, поставлять сети.

დასაბამი თავი, დაწყება, დასაწყისი (დაბად. 1,1; მარკ. 1,1; ფსალ. 110,10), начало (კუალად ფსალ. 77,51), начаток. // დასაბამი სოფლისა, დაარსება, გაჩენა მისი (მატ. 13,35 და 24,21, კუალად 25,34), начало. сложение мира.

დასავალი მზის დასაბუდი, სადაცა დახდების, დაიმალვის (ფსალ. 49,1 და 106,3), запад, закат солнца.

დასავლეთი მზის დასავალის კერძოდ მდებარე ხმელეთი ანუ მხარე (შავთ. 3), запад, западная часть света.

დასაზრვა (დავსაზრავ) მოსაზრება, ჰაზრით აღრიცხვა, ანუ განზომა, соображать, предначертать. ს. ვარაუდ(?).

დასაკლისი ნახე დაკლება.

დასასრულ უკანასკნელ. ბოლოს დროს (იგავ. 23,32), последи, наконец, напоследок.

დასასრული ბოლო, დაბოლოვება. ბოლოს, მოღება (ფსალ. 144,3; იერემ. 18,19), конец, окончание.

დასაფარები კატავასია საგალობელთა, ბოლოს სათქმელი მუხლი.//საბურავი, покрывало.

დასაფლავება (დავასაფლავებ) დამარხვა, დადება საფლავში, погребать, похоронить.

დასაღონებელი, დასაღონარი ძნელად მისახდომი, უღონოებად მომყვანი, недоумевательный.

დასაძრახი სათაკილო, საძრახავი, предосудительный.

დასაწყისი დასაბამი, ადგილი ან ჟამი სადიდგანცა დაიწყება რამე, начало.

დასახვა (დავსახავ) გამოსახვა, ანუ სახით მიმსგავსება (ვეფხისტ. 647), изображать, или уподоблять.

დასაჯდომელი ადგილი დაჯდომისა, დასასხდომი (ფსალ. 1,1), седалище.

დასერვა (დავსერავ) დაჭრა, დაკოდვა, надрезывать, изрезывать.

დასველება (დავასველებ) დალტობა ნოტიოთი რითმე (ისაი. 34,3), намачивать, намокнуть, измочить.

დასვენება (დავასვენებ) პატივით დადება, ანუ დადგმა სადმე (ითქმის ხატთათჳს, მიცვალებულთა და სხ.). //(დავისვენებ) შესვენება, მოსვენება მცირეს ჟამს, отдохнуть.

დასთვა (დავასთავ) დართვა, ტარის ბრუნებით კეთება მკედთა, прясть.

დასი გუნდი, წესი ანუ ხარისხი ანგელოსთა, რომელნიცა არიან ცხრანი (ვეფხისტ. 162): 1. საყდარნი, 2. ხელმწიფებანი, 3. ძალნი, 4. მთავრობანი, 5. უფლებანი, 6. ხერუვიმნი, 7. სერაფიმნი, 8. მთავარანგელოსნი და 9. ანგელოსნი, чин ангелов.//გუნდი მხედრობათა. ანუ კრებული (მატ. 27,55; ვეფხისტ. 474,545; შავთ. 46), кустодия, отряд (რიცხ. 26,5), сонм.

დასივება (დასივდების) დაშუპება, დაჯირჯვება, ამობერვა რომელთამე ადგილთა სხეულისათა სისხლის მოდგომისგან, ანუ სინედლის მანკისგან. пухнуть, распухнуть.

დასკვნა (დავასკვნი) სიტყჳსა ან საქმის დამტკიცება შეუძლელად (ვეფხისტ. 70,310,505), решить, положить сентенцию.

დასლვა (დავალ) მზის ჩასლვა, დახდომა (მარკ. 1,32), заходить, закатиться (солнцу).

დასმა (დავსვამ) დაჯდინება (მრავალთათჳს ითქმის დასხმა, ფსალ. 112,9), посажать. // დაწერა, ვითარ დ ა ს მ ა ასოსი, დ ა ს ხ მ ა ასოთა, ставить, поставлять.// დ ა ს მ ა მეფედ, ხელმწიფედ, მიღება, აღსარება მეფედ (ვეფხისტ. 36,46), поставлять, признавать царем и пр.

დასმენა (დავასმენ) დაბეზღება, შესმენა, оговаривать, делать на кого донос.

დასნატული ნატით მოკრული, მოფენილი, მორთული, обитый сафьяном.

დასო სიხშო მაღნარისა, ფიჩხნარისა და მისთანათა (ისაი. 9,18), чаща дубровна.

დასობა დას-დასად დგომა, ჩარიგება.

დასობა (დავასობ) დარჭობა ლახვრისა, ისრისა და მისთანათა (ვეფხისტ. 4), вонзать, воткнуть.

დასოველება ნახე დასველება.

დასრულება (დავასრულებ) გათავება (მატ. 7,28 და 10,23, კჳლად 19,1), скончать, оканчивать, кончить.

დასტა 24 ფურცელი ქაღალდისა ერთად დაწყობილი, десть бумаги, τεστές. // გუნდი, დასი მხედრობისა, взвод или отряд войска.

დასტამალი მჩვარი გასაწმენდი ჭურჭელთა, ანუ პირდასაცმელი კოკათა და მისთანათა, трянка, тряпица.

დასტამბო (ბალ.) ჰუმპულა, პატარა ნესვი. თ. შამამ [არაბ.].

დასტანაგი ქალთ სამკლავე (ისაი. 3,20), запястие, браслеты (მელავანდი ნახე).

დასტაქარი ნახე დოსტაქარი (ვეფხისტ. 519).

დასტური უსაცილო, უეჭველი (ვეფხისტ. 129, 457,582), решительный. точный. დ ა ს ტ უ რ ა დ მართლად (მუნვე, 128), подлинно.//ნების დართვა, позволение.

დასუნთქვა (დასუნთქავს) გესლიანთა მძრომთაგან ზედ გარდაელით დაცოფვა, დაშხამვა, ცხოველთა ტანისა, ანუ ხილთა და მდელოთა ზედა დატევება შხამისა, რომელთაცა ჭამა სავნებელ იქმნების.

დასუსტება (დავასუსტებ, დავსუსტდები) მოუძლურება, прийти в слабость (დან. 8,27), изнемогать.

დასუსხვა (დავსუსხავ) ჯინჭრის ეკლიანთა ფურცელთა შეხებით დაწვა ტანისა, ანუ ყინვისა და სიცივისგან წახდენა მოსავალთა.

[დასქდომა]

დასწავლა (დავასწავლი, დავისწავლი) სწავლის მიცემა, ან მიღება, დაჩვევა, научать, -ся.

დასწრება (დაევსწრები) დახვედრა, შეხდომა სხვასთან, случиться, присутствовать.

დასწრობა (დავასწრობ) თჳსსა დროსა, ანუ უწინარეს სხჳსა შესრულება, успевать, или предупреждать.

დასხვეპა (დავსხვეპ, -პავ) მხალთაგან დამპალთ ფურცელთ დაგლეჯა, გარჩევა, გაფურჩნვა, щипать, общипывать.

დასხდომა (დავსხდებით) მრავალთ დაჯდომა (ფსალ. 131,12 და 136,1), сесть, садиться.

დასხლეტა (დავსხლეტ, დასხლტება) უეცრად გავარდნა, გაგდება (ვეფხისტ. 1394), выронить, выскочить.

დასხმა (დავასხამ) გადმოღება ნოტიოთა სასმისსა ზედა, ანუ წუნიანთა პურპელსა ზედა და სხ. (3 მეფ. 18,34; მატ. 26,7; ლუკ. 10,34), возливать, наливать.

დასხმა (დავასხამ) დანერგვა ხეხილთა და სხვათა მცენარეთა (დაბად. 2,8; მატ. 21,23 და 1 კორ. 3,6), насаждать растения.

დასხმა ხელთა (ხელს დავასხამ) კურთხევა თავზედ ხელის დადებით, სამღუდელოს ხარისხის შემოსვა (1 ტიმოთ. 5,22; საქმ. 6,6), возлагать руки, рукополагать. // დაპყრობა, დაპატიმრება (მატ. 26,50; საქმ. 5,18), возлагать, налагать руки, арестовать.

დასხმა (დავსხამ) დაჯდინება მრავალთა (ლუკ. 9,14 და შემდგომი), сажать, рассаживать.

დასხმა (დავსხამ) დაწყობა მრავალთა ნივთთა რიგზედ, ანუ სათამაშოთა ჭადრაკის პაიკთა და მისთანათა (მარკ. 11,7; ფსალ. 103,4), класть, полагать, ставить, поставлять. //შემოკრება, განკარგვა (საქმ. 1,7; ფსალ. 12,2 და 55,8, კუალად 73,4), ставить, располагать.

დასხმა (დაევსხმი) მტრისაგან უცებად მიხდომა, ზედადასხმა (ფსალ. 61,3), нападать, налегать.

დასხმა (დაისხამს, დაისხა) მოსხმა, გამოღება ხილთა მცენარეთაგან (ერთისთჳს ითქმის მ ო ბ მ ა), приносить плоды.

დასჯა (დავსჯი, დავისჯები) გამტყუნება, ბრალეულად გამოჩენა (მატ. 12,7,34,41 და შემდგომი), осуждать.//გარდახდევინება, განპატიჟება (ვეფხისტ. 406), карать, наказывать.

[**დატანება**]

დატაცება (დავიტაცებ) ტაცება მრავალთაგან, расхищать, расхватать.

დატევება (დავუტევებ) დაგდება, გაშვება, ხელის აღება, თავის დანებება, განშორება (მატ. 4,11,13,20 და შემდგომი), оставлять.

დატევნა (დაეიტევ, დავეტევი) საკმაოს ადგილის მიღება, ანუ ქონება (მატ. 19,11), вмещать, -ся.

დატეხა დატეხილქმნა, დამხობა, დაცემა, поражение.//ვ ა ლ ი ს დ ა ტ ე ხ ა ვალში ჩავარდნა, რომ ვერ გარდიხადოს, обанкрототь.

დატირება (დავიტირებ) ტირილით მოთქმა (ვეფხისტ. 303,814), оплакивать.

დატიტული უზომოდ დამლაშებული, გარდამეტებით დამარილული (ნახე ტიტი), пересоленный чересчур.

დატკბობა (დავატკბობ, დავსტკბები) სიამოვნის მიცემა, მიღება, услаждать, наслаждаться. // (დავუტკბები) მიალერსება, სიამოვნით მიღება (ვეფხისტ. 531), обласкать.

[**დატკეცა**]

დატკეპნა (დავსტკეპნი) ფეხით გაზერგნა, გასწორება (ეზეკ. 32,13; ვეფხისტ. 643,1377), паступать, топтать.

დატუქსვა (დავსტუქსავ) შერისხვა, пожурить, пощунять, побранить.

დატჳფრვა (დავსტჳფრავ) დაბეჭდვა, ბეჭდის დასმა, დაჩნევა, запечатлевать.

დაუგვიანებელად

დაუდგრომელი, დაუდეგარი უპირო, გაუტანელი, შეურჩომელი, непостоянный.

დაუდევნელი

დაუდევნელობა

დაუნდობელი მუხთალი, გაუტანელი, არ დამნდობი, ненадежный, изменчивый.

დაუპატიჟებელი

დაურვება (დავუურვებ) ზღუევა, გარდახდა, შეჯერიება (ვეფხისტ. 754), доправить, удовлетворить (ხშირად ხმარებულია ვახტანგ მეფის სამართლის წიგნში). // (დავიურვებ) გარიგება, რიგის მიცემა (ვეფხისტ. 458,629), распорядить, устроить порядок. // სამურველით დაფხანა ცხენთა და სხუათა ხვასტაგთა.

დაუსაბამო

დაუშრეტელი უშრეტი, გაუქრობელი, неугасимый.

[**დაუცადებელი ნ. გამჭრიახი**].

დაუცხრომელი მოუღლევნელი, непрестанный, беспрерывный.

დაუჯდომელი საეკლესიო საგალობელი შესხმა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისა, რომელიცა წარიკითხების ცისკრად მეხუთესა შაბათსა დიდმარხვისასა, акафист, неседален.

დაფანტვა (დავჰფანტავ, დავიფანტები) განბნევა, გაფანტვა (ვეფხისტ. 579).

დაფარულვა (ვახტანგის სამართალი, VII, 103).

დაფარება (დავაფარებ) დახურვა, покрывать, накрывать.

დაფარვა (დავჰფარავ, დავიფარავ) შენახვა საფარველსა ქვეშე (ფსალ. 16,8 და 26,5; ვეფხისტ. 2), покрывать, сохранять. // დამალვა, მიფანიერება (ფსალ. 37,9 და 39,10; მატ. 11,25), утаивать, скрывать,-ся.

დაფარნა პერექლი, სიწმინდეთ დასაფარებელი, воздух, воздух св. сосудов.

დაფახვა (დავჰფახვავ) დახუჭვა თუალთა (ვეფხისტ. 293), зажмуриться, смыкать глаза.

დაფდაფი დოლი (ნახე დაფი, დაბდაბი), барабан.

დაფეთება (დაეფეთების) ძილში მოჩვენება საოცრისა რისმე, ან ცხადივ შეშფოთება ამგვარისგან (ვეფხისტ. 286).

დაფეთიანება (დავაფეთიანებ) მძინარის შეშინება საზარელითა რითმე ხმითა და ანაზდად გაღვიძება.

დაფენა (დავჰფენ, დავუფენ) გაშლა, დაგება რისამე ფერხთა ქვეშე (მატ. 21,8 და შემდგომი), постилать.

დაფერადება, დაფერვა (დავაფერადებ, დავჰფერავ) ჩაფერადება, ან დაფარვა ფერადითა, покрывать краскою, раскрашивать.

დაფი ებანი, ერთს მხარეს ეტრატგადაკრული დაირა, бубны, ხოლო დ ა ფ დ ა ფ ი, დ ა ბ დ ა ბ ი, დ ო ლ ი ორსავე მხარეს გადაკრული, барабан.

დაფიონა ცათ ელვარება ფერად-ფერადად ღრუბელთა შორის მზის ამოსვლის წინ, ანუ დასვლაზედ საღამოს (ნახე დილა), аврора, заря, утренняя или вечерняя.

დაფლვა (დავჰფლავ, დავეფლვი) დასაფლავება, დამარხვა მკუდართა (მატ. 8,21 და შემდგომი 14,12; საქმ. 2,29), погребать, похоронить. // ჩაფლვა, მიწაში დამალვა (მატ. 25,18), зарывать, закопать в землю.

დაფნი (ხე) რაფინდი, дафна, лавровое дерево, *δάφνη*.

დაფრეწა (დავჰფრეწ) წურილად დახევა (ვეფხისტ. 645).

დაფუკვა (დავჰფუკავ) ჰაერის გამოშვება გაბერილის ტიკისგან და მისთანათა.

დაფუშვა (დავჰფუშავ, დაიფუშვის), დაშლა. დამტვრევა, დაქცევა, დარღვევა (ნაუმ. 1,6; ვეფხისტ. 571), разрушать, распускать.

დაფუძნება (დავაფუძნებ, დავეფუძნები) დადება საფუძვლისა, ჩადგმა საძირკვლისა, ანუ მტკიცედ დადგინება რისამე (ფსალ. 8,3 და 23,2, კუალად 47,9), основывать.

დაფქვა (დავჰფქვავ) (ნახე ფქვა), молоть, намолоть.

დაფხაჰნვა (დავუხაჰნი, -ნავ) მრავალს ადგილს დაფხაჰნვა, დაკაწრვა, исцара[па]ть.

დაფხურა (დავჰფხური) დაკაფა ძირითურთ (ზაქარ. 11,2), посекать.

დაქანცვა (დავჰქანცავ, დავიქანცები) მეტად დაღალვა, измучать,-ся, устать.

დაქენჯნა (დავჰქენჯნი) ტანჯვა, წვალება (2 კორ. 12,7), мучить.

დაქვეითება (დავაქვეითებ, დავჰქვეითდები) ცხენიდამ გარდახდუნება, спешить, ანუ ჩამოსლვა და ფეხით სიარული, спешиться, слезать с лошади.

დაქირავება (დავიქირავებ, დავჰქირავდები) ქირით დაჭერა, დადგომა მოჯამაგირედ, нанимать,-ся.

დაქოლვა (დავჰქოლავ) ქვსა დაკრება, ჩაქოლვა (ვეფხისტ. 1280), побить каменьем.

დაქორწილება (დავაქორწილებ, დავჰქორწილდები) შერთვა მეუღლისა, браком сочетать, -ся.

დაქოქლვა (დავჰქოქლავ) აქოქლვა.

დაქსაქსვა (დავქსაქსავ, დავიქსაქსები) დახლათვა, დახვანჯვა, запутывать, спутывать, -ся. //საქმიდამ მოშლა, არევა ვისიმე, расстраивать,-ся.

დაქცევა (დავაქცევ, დავიქცევი) დარღვევა, მოშლა (მატ. 21,12; ამოს. 4,11), ниспровергать, разломать, разорять,-ся. // დაღვრა, გარდაქცევა, выливать, проливать.

დაღათუ, დაღაცათუ, დაღათუმცა კავშირი მიშვებითი (მატ. 26,33,35), хотя, хотя бы.

დაღალვა (დავღალავ, დავიღალები) დაშრომა, დაქანცვა სიარულით ან მუშაობით, утомлять, -ся, уставать.

დაღება (დავიღებ) ქვედახრა, დაწევა, опускать, пустить вниз.//დაღება გულისა, ანუ სულისა მობრუნება, დამშვიდება (ვეფხისტ. 804,912).

დაღებვა (დავღებავ) შეღება მრავალთა, красить, окрашивать.

დაღერღვა (დავღერღ, -ღავ) კბილით დამტვრევა ძვალთა და მისთანათა. // წისქვილზედ ან ხელსაფქვავზედ მსხვილად დაფქვა ან გამორჩევა მარცვალთა ჩენჩოდამ.

დაღეჭვა (დავღეჭ, -ჭავ) კბილით დაცოხნა საჭმელთა, жевать, разжевать.

დაღვა (ვსდაღავ) ნახე დადაღვა (ჩახრუხა 94).

დაღი ნიშანი, დასმული საქონელთა ზედა, ანუ ხვასტაგთა გასარჩევად (ვეფხისტ. 581), клеймо, тавро. თ. დაღ [სპ.].//იარაღი რკინისა, რომელსაც გაახურვებენ და დასდაღვენ ხვასტაგთა.

დაღმართი და ჩაღმართი ზეიდამ ჩასაქანებელი გზა, ხოლო ქვეიდამ მიმავალთაგან ითქმის ა ღ მ ა რ თ ი და შ ე ღ მ ა რ თ ი (ნახე მთა), покатость.

დაღმეჭა (დავიღმეჭ, დავიღმიჭები) დაღრეჯა, შეჭმუხნვა პირისსახისა. [морщить лицо].

დაღონება (დავაღონებ, დავღონდები) მწუხარებით დაფიქრება (ვეფხისტ. 251), опечалить, удручать,-ся, задуматься. // მიუხდომელობა, ვერ მოგვარება საქმისა, приводить в недоумение, недоумевать.

დაღონებული დაფიქრებული, опечаленный, удрученный, задумчивый.

დაღრეკილი დახუთვილი, დაგრეხილი სენითა (მატ. 15,31), бедный, увечный.

დაღრეჯა (დავიღრეჯ, დავიღრიჯები) დაღმეჭა, დაჭკნობა პირისსახისა (ვეფხისტ. 57,61,101 და შემდგომი), морщиться, нахмуриться.

დაღრომილი დაღონებული, ანუ დაღრეჯილი, задумавшийся.

დაღრძობა (დავაღრძობ, დაიღრძობის) ბედითად ან შიმშილით ჩაკუდომა, წაღრძობა, околеть.

დაღრჭენა (დავიღრჭენ) ღრჭენა, ღრაჭუნი კბილთა (ფსალ. 36,12), скрежетать, поскрежетать зубами.

დაღუდღუდება (დაღუდღუდდების) მწერთ ნაკბენისგან ტანის დაწითლება ადგილ-ადგილ და ამოჯდომა (ნახე ღუდღუდი).

დაღუპვა (დავღუპავ, დავიღუპები) დანთქმა, ჩაძირვა წყალში, утопить, -ся, утонуть, погибнуть.

დაღურა (დავღური, დაიღურების) დათხევა, დაქცევა ნოტიოთა (ვეფხისტ. 909), выливать, проливать.

დაყენება დავუყენ თვალებს.

დაყვავება (დავუყვავებ) დაამება, დამშვიდება ტკბილის საუბრით, приласкать.

დაყვავილება (დაიყვავილებს) დაცვივნა ყვავილისა მცენარეთაგან, отцветать.

დაყვენვა (დავიყვენ) მოპარსვა, მოკრეჭა, აკვეცა თმათა (საქმ. 21,24), стричь, остригать.

დაყივლება

დაყმედნა

დაყოფა (დავჰყოფ) დადგრომა სადმე, მოცდა, ან დაგვიანება, пробыть, промедлить.

დაყოფა პირისა (პირს დავუყოფ) გამტყუნება კაცთა, დადუმება, დაჩუმება (ფსალ. 62,11 და 106,42; ტიტ. 1,11), заграждать уста. // მხეცთ პირის შეკვრა (ებრაელ. 11,33), заграждать уста, челюсти.

დაყუდება

დაშავება (დავაშავებ) გაშავება, შავად შექმნა (მატ. 5,36), чернить, сделать черным. //შეცთომა, შეცოდება (ნახე დამნაშავე, ვეფხისტ. 741), провинить, -ся. // (დავაშავებ, დავშავდები) გვამის ასოს მოკლება, изувечить,-ся.

დაშავებული შავად შექმნილი (ბარუქ. 6,20), очернелый. // მოკლებული რომელისამე ასოსაგან, увечный, изувеченный, калека. თ. ხეიბარ.

დაშაშრვა (დავშაშრავ) შაშრით დასერვა, ანუ ფეხშიშველა სიარულით დაკაწრვა ფერხთა.

დაშენება (დავაშენებ, დავეშენები) დასახლება, დამკვიდრება (ფსალ. 14,1; მატ. 2,23), населять, поселять,-ся, водворять.

დაშვება (დავუშვებ, დავეშვები) დალმა შთამოტევება, ან დადება, опускать, -ся.

დაშვენება (დავაშვენებ, დაშვენდების) შნოს მიცემა, ან მიღება, украшать,-ся (ვეფხისტ. 65,1230), пристает.

დაშთენა (დავაშთენ) დატევება, დაგდება, დანარჩუნება, оставлять.

დაშთომა (დავშთები) იგივე თჳთვნებითად (მატ. 24,2; მარკ. 12,19; ისაი. 11,11), оставаться.

დაშინება (დავაშინებ, დავშინდები) შიშის მიცემა (ვეფხისტ. 1584), настращать.

დაშინჯვა ნახე დასინჯვა.

დაშლა (დავშლი, დაიშლების) დაფუშვა, დარღვევა, დაქცევა (ვეფხისტ. 526), разрушать, расстраивать. // (დავუშლი, დავაშლევინებ) არ მიცემა რჩევისა, ან ნებისა, არ მიშვება (ვეფხისტ. 504 და შემდგომი), запрещать, не дозволять, останавливать.//(დავიშლი)

დატევება საქმისა, перестать, отставать, раздумать.

დაშნა მოკლე ხმალი. // დანასავით გათლილი ძვალი ქსელთ საბეჭავად და სხ.

დაშოშმანება (დავაშოშმანებ) გაანჩხლებულისა ან შეწუხებულის დამშვიდება, успокоить, угомонить, -ся.

დაშრეტა (დავშრეტ, დაშრტების) დავსება, გაქრობა ანთებულის სანთლისა, ანუ ცეცხლისა (მატ. 12,20; ებრაელ. 11.34), гасить, угашать (მატ. 25,8; მარკ. 9,46 და შემდგომი), гаснуть, угасать.

დაშრობა (დავაშრობ, დაშრების) გახმობა გუბეთა, ტბათა და მისთანათა, (ვეფხისტ. 1238), осушивать,-ся.

დაშრომება (დავაშრომებ) გარჯა, დაღალვა (ლუკ. 8,49), трудить, утруждать, утомлять.

დაშრომვა (დავშურები) იგივე ვნებითად (ფსალ. 6,6; ლუკ. 5,5), трудиться, измучиться, утомиться.

დაშტანი წიდოვნება დედაკაცთა (გოდებ. იერემ. 1,17), кропотечение (ეზეკ. 18,6), месячное.

დაშუპება (დაშუპდების) დასივება, დაჯირჯვება, აშუპება, опухнуть.

დაშურება (დავაშურებ, დავეშურები) აჩქარება, торопить, -ся.

დაშხამვა (დაშხამავს) დასუნთქვა, გაშხამიანება, შხამის დასხმა, отравлять.

დაჩაგრვა (დავსჩაგრავ, დავიჩაგრები) დაჯაბნვა, დაშინება, обижать, притеснить. // მცენარეთა სიხშოსაგან ერთი მეორის შეშთობა, заглушать (относит. к растен.).

დაჩემება (დავიჩემებ) მითვისება, რამცა არ ეკუთნვოდეს, присваивать чужое.

დაჩვევა (დავაჩვევ) სწავლება, დაგერშვა. повадить, приучать; (დავეჩვევი) შეჩვევა, გავარჯისება, привыкать.

დაჩი

დაჩინჩება (დავეჩინჩები) სავაჭროთა ფასის დაკლებაზედ შელაპარაკება, торговаться, цыганиться.

დაჩნევა (დავაჩნევ, დაეჩნევის) ნიშნის დასმა, сделать знак, примету.

დაჩოქება (დავაჩოქებ) მუხლმოდრეკით დადგინება, становить на колена; (დავიჩოქებ) დადგომა მუხლთა ზედა, стать на колени.

დაჩრდილება (დავაჩრდილებ, დავიჩრდილებ) ჩრდილის მოფენა (ვეფხისტ. 703).

დაჩრიხული (მეგრ.) დასაფრენად მოზდილი მართვე მფრინველთა.

დაჩჩვილება (დასჩჩვიან) დარბილება, განედლება (მარკ. 13.28), размягчаться.

დაჩხულეტა (დავსჩხულეტ) ადგილ-ადგილ დახურეტა სადგისით, ან დანის წვერით (2 სჯული. 1,44), узорить, прокалывать.

დაცადება (დავაცადებ) დაშლა, დაყენება (საქმ. 21,32), переставать.

დაცალიერება (დავაცალიერებ) დაცლა, მოცლა.

დაცდა (დავიცდი) დახანება, მოლოდება, მოცდა, подождать, погодить, повременить.

დაცდა (დავსცდი) ავად ანუ კარგად შენიშნვა რომლისამე შემთხვევისა საბედნიეროდ ან საუბედუროდ (ზმნა ნახე). // (დასცდის, დასცადა) დახამშვა, ცუდის ან შეუჩვეველის ჰაერისგან ავად გახდომა ახლად მისულისა.

დაცდენა (დავაცდენ, დასცდების) საგანში ნასროლის ვერ მიხვედრება.

დაცემა (დავსცემ) წაქცევა (ფსალ. 3,7; მატ. 26.31), поражать, низлагать, повалить, (დავეცემი) იგივე თვთვნებითად (ფსალ. 19,8 და 81,7), падать, упадать.

დაცემული ადგილი ჩავარდნილი, დაბალი, низменное место.

დაცეხვა (დავსცეხე) დაღერღა, დაძეწკა.

დაცილება (დავაცილებ, დასცილდების) დაცდენა, აცილება; (დავეცილები) შეცილება (ვეფხისტ. 199).

დაცლა (დავაცლი) ჟამის მიცემა, დაცადება, дать время, срок, повременить.//(დავსცლი) დაცარიელება, გამოცლა, опрастывать, опоражнивать.

დაცმა (დავუცვამ) ჰურჰელთა და მისთანათა პირის დახურვა საცობით, затыкать.

დაცვივნა (დასცვივა) ჩამოვარდნა მრავალთა (ფსალ. 1,3), отпадать, испадать.

დაცოფვა (დასცოფავს) გარდადება ცოფისა კბენითა ცოფიანთა მხეცთაგან.

დაცოხნა (დავსცოხნი) დაღეჭა (ვეფხისტ. 913).

დაცუა (დავიცუავ, დავსცავ) ფრთხილად შენახვა, დაფარვა (ფსალ. 18,11 და 36,28,34), сохранять. // დაზვერვა, დათვალიერება (ვეფხისტ. 72), наблюдать, осматривать.

დაცქერა, დაცქერება (დავსცქერი, დავაცქერდები) თვალის დასტერება, пагладываться, всматриваться.

დაცქნაფება (დავეცქნაფები) განაბვა ადგილზედ.

დაცხიკვება (დავაცხიკვებ) ცხვირის დაცემა, чихать.

დაცხომა (დაცხების. დაცხა, დამცხა) მზის სიცხის მოსლვა, ან გრძნობა სიცხისა (მატ. 13,6), становится жарко, чувствовать жар.

დაცხრობა (დავაცხრობ) დაყენება, დამშვიდება, დაშოშმანება (საქმ. 19,35), утешать, унимать.

დაცხრომა (დავსცხრები) დასრულება, დაწყნარება (საქმ. 13,10 და 20,1; კოლას. 1,9; ფსალ. 36,8), утихать, перестать.

დაძაბუნება (დავიძაბუნებ) დაჯაბნა, დაჩაგვრა, მორევნა, притеснять, превозмогать, брать верх. // (დავძაბუნდები) შეშინება (ვეფხისტ. 593, 730, 823), оробеть, струсить, потерять дух.//დაძველება, მოშლა, обветшать, прийти в ветхость.

დაძალვა (დავსძალავ) მორევნა, დაჩაგრვა, დაძაბუნება, одолевать, брать верх.

დაძეწკა (დავსძეწკ) დაცეხვა, დაბეგვა, დანაყვა, истолочь. // (დავძეწკ) დაგლა, მოქლეშა, ტკენა რისამე მოჭირებით, придавить, прижать.

დაძინება (დავაძინებ) ძილის მიცემა, ძილში შეყვანა (დაბად. 2,21), усыплять. // (დავიძინებ) მოსვენება, ძილში შესლვა (ფსალ. 3,5 და 4,8), уснуть, заснуть, засыпать.//დ ა ძ ი ნ ე ბ ა, მიძინება, შესვენება, успение.

დაძინება (დავსძინებ) დამატება, დართვა, შეძინება, прибавлять.

დაძლევა (დავსძლევ) დაძალვა, დაჭარბება, пересиливать.

დაძმარება (დავაძმარებ, დაძმარდების) ძმრად შექმნა, окисать, сделать, -ся уксусом.

დაძმარებული მდაბიურად დაღონებული.

დაძრობა (დავაძრობ) დაგლეჯა, ამოგლეჯა, вынимать, вытаскивать. // (დასძრავს) ნახე დაზრობა.

დაძრომა (დაძურება) ძრომით სიარული, ღოღვა, ползать.

დაწალიკება მწკრივად წასვლა. идти гусем.

დაწამება (დავსწამებ) დაბრალება, ბრალის დადება, обвинять, оговаривать.

დაწაფება (დავეწაფები) ხარბად გაგრძელება სმისა წყურვილისგან, пить с жадностью.

დაწება (დავაწებ) შეხება რისამე დასალტობად, ან პურის ამოვლება მარილში (ლუკ. 16,24; იოან. 13,26), обмакивать, омочать.

დაწებება (დავაწებებ) წებოთი მიკვრა, დაკერება, наклеивать, склеивать.

დაწევნა (დავეწევი) მოწევნა გაქცეულისა და დაჭერა (ფსალ. 7,5), постигать, настигать, обогнать.

დაწერა (დავსწერ, დავიწერები) მელნით და კალმით გამოხატვა ჰაზრისა (ლუკ. 1,63; იოან. 19,19 და შემდგომი; ფსალ. 68,28), написать, -ся.

დაწერა ჯვრისა ნახე ჯვრის წერა.

დაწესება (დავაწესებ. დაეწესების) დადება წესისა, რიგისა, განწესება, учреждать, постановлять.

დაწვა (დავსწვავ, დაიწვის) ცეცხლით აღსპობა, განუქმება (მატ. 3,12; ფსალ. 45,9), сожигать. // დაწვა გულისა (ნახე ტკენა).

დაწვევა (დავიწვევ) დაპატიჟება, დაჭერა შემთხვევით მისულისა ნადიმად, ანუ შესაქცევად.

დაწვენა (დავაწვენ, დავსწვები) ადგილზედ ან ქვეშაგებზედ გართხმა, класть, полагать, поваливать.

დაწთობა (დასწუთების, დაეწვეთების) წვეთებად ჩამოვარდნა ნოტიოსა, накапать.

დაწითლება

დაწინაურება (დავაწინაურებ, დავსწინაურდები) წინ გაგზავნა, ანუ წასვლა, წასწრობა, выпереживать. // წარმატება საქმეში, способствовать к успехам, успевать.

დაწინდვა (დავსწინდავ) დანიშნვა ქალ-ვაჟთა საქორწილოდ (ვეფხისტ. 1229). // (დავაწინდებ, დავაწინდრებ) საწინდრად მიცემა, დაგირავება.

დაწიოკება (დავაწიოკებ) აღშფოთება, არევა, ანუ დაფრთხობა მფრინველთ, смущать, пугать.

დაწკარუნება (დავაწკარუნებ) დარეკა მეტალლის წვრილთა ჭურჭელთა, звонить.

დაწმენდა (დავსწმენდ, დაიწმინდების) გასუფთავება, გამორჩევა რიოშთაგან, очищать, -ся (ეზეკ. 34,18), устояться.

დაწნეხა (დავსწნეხ, დაიწნიხების) დაწურვა ყურძნისა საწნახელში, საქაჯელში, давить виноград (ესაი. 63,2 და შემდგომი).

დაწოლა (დავაწვები) ზეიდამ დაჭირება, налегать. // (დავსწვები) ქვეშაგებში ჩაწოლა დასაძინებლად (ფსალ. 3,5 და 4,8), ложиться спать. // მშობიარობა ქალთა, родины, разрешение от бремени.

დაწრეტა (დავსწრეტ, დაიწრიტების) სრულიად გამოდენა ნოტიოსი, დანაშურვა.

დაწუნება (დავიწუნებ) არ მოწონება, გაცუდება, охуждать, браковать.

დაწუნებული გაცუდებული, ნარჩევი. бракованный. // სალვთოსა წერილში ზოგჯერ დაჩაგრული, დაჯაბნული (ფსალ. 102,6; საქმ. 7,24), обиднмый, оскорбленный.

დაწურვა (დავსწურავ. დაიწურვის) საწურავით ან ხელით გამოდენა ნოტიოსი, выдавливать, выжимать. // გამოწურვა, გარდაწურვა, გატარება რაშიმე ნოტიოსი (მატ. 23,24). отцеживать.

დაწუხვა (დავიწუხავ) დაფახვა, დახუჭვა თვალთა (მატ. 13,15), смыкать, сомкнуть глаза.

დაწყევლა

დაწყნარება

დაწყლულება ნახე გამოტკფოლვა.

დაწყობა (დავაწყობ) დადება, დადგინება, დალაგება მრავალთა, класть.

დაწყუდევა (დავაწყუდევ, დავეწყუდევი) დახშვა, დაკრძალვა, შენახვა დაკეტილში, содержать в заперте, заключать, -ся.

დაჭადრაკული კუბო-კუბო, шахматный, клетчатый.

დაჭარბება (დავაჭარბებ) დაძლევა წონაში ან დაძალვა, перевешивать, перетягивать.

დაჭედა (დავსჭედ) ლურსმებით დაკვრა.. დალურსმვა, ან დანალვა, подковывать.//დაკოდა მამალთა ხვასტაგთა (ნახე ჭედილა); холостить.

დაჭინებული წაქცეული, დარღვეული, გაქელილი სიარულით, დაშლილი (ფსალ. 61,3), поврежденный.

დაჭერა (დავიჭერ, დავიჭირები) შეპყრობა გაქცეულისა, ანუ ნადირთა, ловить, поймать. //დაყენება (ვეფხისტ. 635,790), удерживать, останавливать. // ლაშქრობით შოვნა ქვეყნებისა, завоевывать. // დაქირავება, მიღება მოჯამაგირისა ან მუშისა ფასით, нанимать. // დაპყრობა ადგილისა, занимать место. // სენისგან დახუთვა, გათანგვა, хватать, захватить (относится к болезни).

დაჭირება (დავაჭირებ) ზევიდამ დაბრჯენა, დაწოლა, налегать, надгнетать. // (დამჭირდების) საჭიროდ შეხვედრა, понадобиться.

დაჭირვა (დავიჭერ) ნახე დაჭერა (ვეფხისტ. 790).

დაჭკნობა, დაჭნობა (დასჭნების) მოკლება ორძილობისა მცენარეთასა (ფსალ. 89,6; ვეფხისტ. 1269), увядать.

დაჭოჭება намочить.

დაჭრა (დავსჭრი) დაწერილება, დაკეპა, დაკემსა ჭრით, изрезать, нарезать. // დაკოდვა, დაწყლულება, ранить, уязвлять.

დახალვა ნახე ხალა.

დახამრული გონჯი, მახინჯი, урод. დახამშული.

დახამხამება (დავახამხამებ) თვალთ ქუთუთოების ძრვა წამწამებითურთ, мигать. двигать ресницы.

დახატვა (დავხატავ) ხატის გამოწერა, გამოხატვა (ვეფხისტ. 1363), изображать, написать живописью.

[დახამშვა]

დახამშული დასნეულებული, დაცდილი ხაშმიანის ადგილისგან.

დახდომა (დახდების, დახდა მზე, მთოვარე) დასლვა, ქვე შთასლვა მნათობთა (იოან. 2,6), заходить, закатиться.

დახედვა (დავხედავ) ზევიდამ დაჭვრეტა, надсматривать.

დახევა (დავხევ, დაიხევის) დაფრეწა, დაგლეჯა (ვეფხისტ. 645), раздирать, разрывать.

დახეთქება (დავახეთქებ) დანარცხება, დაკვეთება, დახლა, сбрасывать, ударять.

დახელება (დავახელებ) მისწრობა, შეხვედრა, მოხელება, заставать.

დახელოვნება (დავიხელოვნებ) შეჩვევა საქმისა, გავარჯისება, приучаться, практиковаться, навыкать.

დახელოვნებული გამოცდილი, опытный, искусный, навыкший.

დახვანჯვა (დავხვანჯავ, დაიხვანჯვის) დახლათვა, დაქსაქსვა, запутывать, спутывать,-ся.

დახვედრა (დავხუდები, დავუხუდები) მტერთ პასუხის გაცემა, მოგერება, встречать, отражать, оборонять, -ся. // მომსვლელთ მიღება, შესაფერად გამასპინძლება, принимать, угощать, подчивать.

დახვედრება

დახიზნვა (დავხიზნავ, დავიხიზნები) დარიდება, დამალვა (ხიზნვა ნახე), прятать, -ся.

დახლა (დავახლი) დახეთქება, ძლიერად დაცემა.

დახლათვა (დავხლათავ) დახვანჯვა, დაქსაქსვა. არევა, запутывать.

დახნული მოხნული ან გარდახნული (2 სჯული. 21,4), оранный, вспаханный.

დახოცა (დავხოც) მოსრვა, მოკუდინება მრავალთა (ვეფხისტ. 1290, 1445 და შემდგომი), побивать, избивать.

დახრწევა (დავახრწევ. დავეხრწევი) მრავლის ცდით გამოხსნა, გამოშვება, выручать, вырвать, -ся, выпутаться.

დახსნა (დავხსნი) დარღვევა, დაქცევა, მოშლა (მატ. 5,17 და შემდგომი; იოან, 2,9), нарушать, разрушать, разорять. // (დავხსნი, დავიხსნი) შველა, გამოხსნა ტყჳსა ან საწინდრისა (ფსალ. 16,12; ვეფხისტ. 1294), избавлять, выкупать. // (დავხსნდები) დასუსტება, მოუძლურება (მარკ. 8,3), ослабевать.

დახუთვა (დავხუთავ) დაჭერა, დაკავება, არ დანებება, удерживать, захватывать. // გათანგვა სენისაგან, ტკივილისა ანუ ბჟვალისა.

დახურვა (დავხურავ) დაბურვა, დაფარება, накрывать.

დახუჭვა (დავხუჭავ) დაფახვა, დაწუხვა თვალთა, зажмуриваться, смыкать глаза.

დახშვა (დავხშავ) დაკრძალვა, დაკეტა კართა (მატ. 6,5 და 23,14, კუალად 25,10), заключать, запирать, -ся.

დაჯაბნვა (დავსჯაბნი, -ნავ) დაჩაგვრა, დაძაბუნება (ჩახრუხა. 16), обижать, притеснять.

დაჯდომა (დავსჯდები) ჯდომით დასვენება (ფსალ. 1,1 და 28,10; მატ. 5,1), сесть, восседать.

დაჯერება (დავაჯერებ, დავიჯერებ) დარწმუნება, სარწმუნოდ შექმნა (ვეფხისტ. 530, 1277), уверять,-ся, верить. // (დავაჯერებ, დავსჯერდები) შეჯერება, გულსავსე ქმნა (ვეფხისტ. 18,1289), удовлетворять, удовольствовать,- ся. // (დაიჯერების) ირწმუნების (ვეფხისტ. 1288). // (გულს დავაჯერებ) დარწმუნება, увериться. // ერთხედ დანდობა, დაპყრობა გულისა (ვეფხისტ. 10), устремлять сердце.

დაჯერებინება (დავაჯერებინებ) დარწმუნება, დაჯერება, удостоверять.

დაჯირჯვება (დაჯირჯოვდების) დაშუპება, ფრიად დასივება, распухнуть.

დგიმი ლაფათი, ქსელთ გამყოფი საფეიქროს სავარცხელი.

დგომა (ვჰსდგა, ვსდგევარ) ფეხზედ გება თჳნიერ ჯდომისა და წოლისა (იოან. 21,4), стать, стоять. // ბინის ქონება სადმე, ცხოვრება სახლად, жить, находиться где.

[დგომა გულის ზრახვად].

დგრიალი გრიალი ნახე (ვეფხისტ. 1112)

დგუში, დგუში ხემბა თოფთა ან ზარბაზანთა გასატენი ჯოხი, კეტი шомпол.

დება (ვჰძე, ჰსძეს, ვიდევ, აც, აცს, აძს, აძევს, ს რ უ ლ ი დავიდევ) გება უძრავად (ვეფხისტ. 50), лежать.

დება, დადება (ვსდებ, დავსდებ) ნახე დადება. // (მედება, მედების) ცეცხლის წაკიდება, დაგვა (ვეფხისტ. 1282).

დებულება განწესება, დადებული გამოსაღები, ბეგარა.

დედა მშობელი (მატ. 15,4; მარკ. 10,7,29 და შემდგომი), мать, матерь. // ითქმის მდედრთათჳს პატივისცემით ნაცულად დედაკაცისა (ლუკ. 1,28 და 10,38, კუალად 23,55), жена, т. е. женщина. // იღუმენია, ანუ დედათ დიაკონი დედათ მონასტერსა შინა. // დ ე დ ა - მ ი წ ა ხმელეთი, матерая земля. //ითქმის მამრობითადცა, ვითარ გუთნის დედა, პირის დედა.

დედაბერი მოხუცი დედაკაცი, ბებერი, старуха.

დედაბერებრი დედაკაცური (1 ტიმოთ. 4,7), бабий.

დედა ზარდლიხა (მძრ.) ბაბაჭუა და ქსელი მისი აბლაბუდა, გინა ბუდე (ფსალ. 38,11), паук, паутина.

დედათ დიაკონი ენკრატისი, ქალწულთ მონაზონთ უფროსი (სჯულის კანონში), диакониса, игуменья, черница.

დედათ მოურავი მეანი, ბებია, ყრმის ამქმელი, повивальная бабка.

დედაკაცი ზოგადი სახელი მდედრთა, ხოლო პატივისცემით დედა ანუ ქალი (მარკ. 7,25 და შემდგომი), жена, женщина.

[დედაკაცური]

დედალი დედათ ბუნებისა, მდედრი ცხოველი, ვითარ ოთხფეხი, მფრინველი, თევზი და მისთანანი, самка. // განთჳსებით ეწოდების დედალსა ქათამსა (ნახე მამალი), курица.

დედალოხი (ოთხფ.) ქრცვინი, ყარყუმის გუარია.

დედა მთურალა (მფრ., 2 სჯული. 13.15), сухохлаль.

დედამთილი ქმრის დედა (მატ. 10,35), свекровь.

დედამძუძე გამდელი, მზრდელი ქალი, მდაბიურად გადია (4 მეფ. 11,2; რიცხ. 11,11—12), доилица, кормилица или нянька, ხოლო კაცსა ეწოდების მ ა მ ა მ ძ უ ძ ე და ლ ა ლ ა.

დედანი ანდაზა წერის მოსწავლეთა. прописи. // პირველი დასაბამი წერილთა, მიატურობათა და მისთანათა, оригинал.

დედაქალაქი სატახტო, სამეუფო, столица.

დედაშვილობა რაისა მიმართობა დედისა შვილთადმი და გარემოქცევით (ნახე მამაშვილობა).

დედაწული სახლობა, ჯალაბობა (რიცხ. 32,17), семейство, фамилия.

დედეული, დედისეული დედისგან დარჩენილი ქონება მოძრავი, ხოლო უძრავსა ჰქვიან დ ე დ უ ლ ი, ვითა მ ა მ უ ლ ი (ნახე).

დედიდა დაი დედისა, тётка, сестра материна.

დედის ნაცვალი მეორე ცოლი ვისიმე მამისა და არა მშობელი, мачеха.

დედობილი დედის მაგიერი, დედად ხმობილი, званая мать.

დედოფალა (ოთხფ.) თაგვის გუარია.

დედული დედეული უძრავი ქონება, ვითა მ ა მ უ ლ ი—მამისეული.

დედუფალი, დედოფალი ქალი მეფა, ანუ მეუღლე მეფისა (მატ. 12,42; საქმ. 8,27; ფსალ. 44,9), царица. // ქალბატონი (ფსალ. 122,2) госпожа. // დ ე დ ო ფ ა ლ ი ეწოდების მთავართა მეუღლეთაცა, ხოლო სხუათა დიდებულთასა — ბ ა ნ ო ვ ა ნ ი. ქალთა მათთა გასათხოვართა—ს ე ფ ე ქ ა ლ ი, სხუათა ჩინებულთა კაცთა ცოლთა—მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი, გლეხთა დედაკაცთა — დ ი ა ც ი და პატივისცემისათჳს—უ ს ო და დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი. // დედოფალად უხმობენ ახლად ქორწინებულსა სძალსაცა სამ დღედმდე და შემდგომად პ ა ტ ა რ ძ ა ლ ი, новобрачная.

დევი მსოფლიურთა ზღაპართა შინა მოგონებული ცხოველი რაიმე, ვითარ ცხენ-კაცი, გველაშაპი, ანუ იპოკენტავრო (ვეფხისტ. 644 და შემდგომი), дракон, центавр, чудовище.

დევის სისხლი ჯიგრის ფერი ფისი, რომლისამე ინდოურისა, ანუ ამერიკის ხისა, ხმარებული სამკურნალოდ და სამხატვროდ ან საღებავად, წამლად, драконова кровь.

დევნა (ვსდევნი) უკანით მიდევნება მოსაწევნად და დასაჭერად, ანუ შეჭირვება, დაჯაბნა (ფსალ. 7,5 და 34,6, კუალად 68, 26), гнать, погонять, преследовать (მატ. 13,21), гонение. // (სდევს) ე. ი. თან ახლავს (ვეფხისტ. 905,920) сопряжено, сопровождает.

დევსურა, დევსაცხლა (ბალ.) боярская спесь, пойд-дрема.

დეზი მხედართ ფეხის ქუსლზე მიკრული რკინა ცხენის საჩხულეტი (საქმ. 9,5; ვეფხისტ. 212), рожон, шпоры.

დეკანოზი ათის თავი, ათთა ზედა უხუცესი, ეწოდების უპირატესსა მღუდელსა (ნახე პროტოპოპი), протопопей, десятоначальник, *δέκαρχος*, декан.

დეკემბერი უკანასკნელი თთვე წელიწდისა, ქრისტესშობისა, ანუ ტირისდენი (ზოდიაქო ნახე), декабрь, *δεκέμβριος*.

დეკეული (ოთხფ.) ნახე დიაკეული.

დელამოტი ხაჭო, რძე შედედებული, შეყველებული, ახალი უმარილო, творог.

დელფინი (თევზ.) დიდი ზღვს თევზი, дельфин, *δελφίν*.

დენა (ჰსდის) სლვა, მდინარება ნოტიოთა (ვეფხისტ. 7,295), течь, течение.

დენთი თოფის წამალი, ანუ სხვა ნივთი ამფეთქებელი, порох. თ. ბარუთ.

დერგი ჰურთ უმცირესი ქილა (ნახე სადვინე და ჰური).

დერეფანი სახლთ წინ ზედმობმული ჰერი უკედლოდ დახურვილი (ნახე დაეფანი), корридор, [открытая галлерея]. თ. თალარ(?), ს. ტალან(?).

დესპანი ელჩი (ნახე მოციქულთან), посланник. ს. დესპან.

დეტი დარაჯა, შორით მხედველი (ნახე დარაჯასთან), бекет, отводной караул.

დვირე, დირე ტივის ხე, გაუთლელი ძელი (ნახე ხესთან) (მატ. 7,3 და შემდგომი), бревно.

დვრინი, დრვინი ფრიად დაბალი და ბოხი ბანი გალობაში.

დვრიტა მაჭკი, ცხურის წელია ერთი, ყველის შესადედებელი.

დია ♃ ზევსი, პლანეტი (ნახე ცთომილთან), Юпитер, *Ζεύς*, родит. *Ζενός*, или *διός* и пр.

დია, დიად, დიაღ, დიამც, დიაღამც ზმნისზედანი დამტკიცებითნი (ვეფხისტ. 197,635 და შემდგომი), да, конечно, так.

დიადი ფრიად მრავალი (ვეფხისტ. 143,335, 385 და შემდგომი), премногий.

დიადიმა სამეფო გჳრგჳნი (შავთ. 37), диадема, корона, *διάδημα*.

დიათიკა აღთქმა, ანუ ანდერძის წიგნი, завещание, духовная, *διαθήκη*.

დიაკეული მდაბიურად დ ე კ ე უ ლ ი, წლის ფური უშობელი (ნახე ზროხასთან) (დაბად. 15,9; ფსალ. 67,30), юница, молодая корова.

დიაკონი თანაშემწე მღუდელისა (1 ტიმ. 3,12), диакон, *διάκονος*, უპირველესსა მათსა ეწოდების მთავარდიაკონი, ხოლო მონაზონად შემოსილსა — არხიდიაკონი და იეროდიაკონი, ეკლესიასა შინა მკითხველსა — კერძო დიაკონი და ჰპოდიაკონი, რომელთაცა მსოფლიონი უხმობენ ზოგად დიაკვანს.

დიასახლისი ქალი სახლში უფროსი, ანუ სახლის პატრონი, хозяйка.

დიალ, დიალამც ნახე დიად.

დიაცი გლეხის დედაკაცი (ვეფხისტ. 535,789), жёнка.

დიაცური

დიბა ფარჩა მძიმედ ნაკერი, ანუ ნაქსოვი ოქრომკედითა, золотая материя, диба.

დიბლიგი ნახე დუგლუგი.

დიდად დიად, ფრიად, весьма, очень.

დიდადშვენიერება ფრიადი შემკულება (ფსალ. 8,1 და 20,5, კუალად 103,1), великолепие, велелепие, велелепота.

დიდგუარი საბატიოს გუარისა, წარჩინებული გუაროვნობით (ვეფხისტ. 982; შავთ. 46), высокородный.

დიდგულა (ხე) бузина.

დიდება ქება, მადლობა (ლუკ. 2,14), слава. //ჩინებულება, სახელოვნება (მატ. 25.31; ფსალ. 18,1 და 20.5).

დიდება (ვადიდებ, ვიდიდები) ქების მიწერა, შესხმა (ფსალ. 14,4 და 49,15; მატ. 6,2), величать, славить, прославлять, -ся.

დიდებულება მაღალი ღირსება, უაღრესობა (ფსალ. 70,21), величествие, величество.

დიდებული ჩინებული, წარჩინებული (შავთ. 46; ვეფხისტ. 982), знатный, славный. //დარბაისელი, მეფეთ წინაშე მდგომი (ვეფხისტ. 1001), вельможа. боярин.

დიდვაჭარი მრავალთ საქონელთ მოფარდული (ვეფხისტ. 1057 და შემდგომი), купец именитый, первостепенный. თ. ბეზირგან, სოვდაგარ, ქეთხუდა [სპ.].

დიდი სხუათა ზედა უმეტესი შესახედავითა, ანუ საქმითა, კუალად ფასითა, სიმძიმითა და სხ. (ნახე უმცირესი) (დაბად. 1,6; ფსალ. 47.1 და შემდგომი, 50,1 და 98,2 და შემდგომი; ვეფხისტ. 342), велий, великий.

დიდკაცობა უფროსობა, боярство.

დიდკაცური შესაფერი დიდკაცთა, боярский.

დიდრაქმანი ფული ორდრაქმიანი (ნახე დრაქმა) (დაბად. 23,16), дидрахма.

დიდრონი დიადი. დიდდიდი (მრავლობითი), (ვეფხისტ. 217).

დიდძალი მრავალრიცხვ. ფრიად მრავალი, საკმაო (ფსალ. 39.10; მატ. 18,12; მარკ. 5.11, 21), многий, великий, многочисленный.

დიდხან, დიდხანს გრძელ ჟამად (ვეფხისტ. 342). долго, დიდიხანია, давно.

დივანი, დივანბეგი ნახე მდივანი, მდივანბეგი. *διβάνι, τζιβάνι*, диван, сенат турецкий.

დიკა (ბალ.) ახალთესლი, გაზაფხულის სათესი ხვარბალი (იოილ. 1,11), пшеница, рожь.

დიკასტირია სასულიერო სასამართლო, სამსჯავრო, дикастерия. *δικαστήριον*.

დილა ჟამი გარიჟრაჟითგან ვიდრემე მზის ამოსვლადმდე და ვიდრემე შუადღემდეცა (ფსალ. 45,6 და 54,17; ვეფხისტ. 317,399), утро, заутра. რამეთუ სადილი ეწოდების შუადღის სერსა (იხილენ ლექსნი ესე), ხოლო ჟამნი დილისანი შეუდგებიან ესრეთ: მცირედ დილის ნათლის გამოჩენას ეწოდება რიჟრაჟი, გარიჟრაჟი და განცისკრება, შემდგომად მისსა უმეტესსა განათლებასა — განთიადი, დილაბინდი და ტრედისფრად გათენება და რა დღე-ღამე გაირჩიოს, ვიდრემე მზის ამოსვლადმდე ნათელსა — ალიონი, ხოლო დილით მზის ამოსლვის წინ ელვარებასა ღრუბელთა შორის ფერად-ფერადად — დაფიონა.

დილაჯი წყარო, ანუ ნაკადული (ნახე წყალთან) (ვეფხისტ. 822,840), ручей. родник.

დილეგი ბნელეთი (ნახე საპყრობილესთან), тюрьма, темница.

დინარი დრამა, დრაქმა, денарий, римская монета в 10 ассов, *δηνάριον*.

დინგი ღორთა, ძაღლთა და მისთანათა ტუჩი ცხვირითურთ, рыло, морда.//მწერთ საწოვნელი ხორთუმი. хобот, хоботок. // საცხველთა მომსხო წინა წვერი დასაძეგვად.

დინება (ვადინებ) ქმნა დენისა, წარმოსხმა ნოტიოთა, источать.

დიოფალი კნინობითი, ლექსისაგან დედოფალი.

დისკო, დისკოსი ეწოდების მრგუალთა ჭურჭელთა, თეფშსა. პინაკსა და მისთანათა და საკუთრად სიწმინდისთვის ფეშხუმსა საეკლესიოსა. дискос. discus. *δίσκος*. // ქართულად უმჯობესად დასანიშნველად სიმრგვლისა მნათობთასა, ვითარ მზისა. მთოვარისა და სხუათა, круг. окружность. шар.

დისწული შვილი დისა, племянник, -ца, т. е. сестрин сын, сестрина дочь. // (საქმ. 23,16).

დნობა (ვადნობ. ვსდნები) მაგართა ნივთთა გალხვება, გადნობა, ნოტიოდ გარდაქცევა სითბოსგან (ვეფხისტ. 829,953). таять, плавить, растапливать. расплавливать.

დო ნადღვები მაწონი უცხიმო (ვეფხისტ. 1567).

დობილი დად წოდებული, ხმობილი (ვეფხისტ. 868), званая сестра.

დოვლათი ბედნიერება, სიმდიდრე, ანუ ძლიერება, შემძლებელობა, могущество, благополучие.

დოვლათიანი, დოვლათსვიანი მდიდარი, ძლიერი, ღონიერი, შემძლებელი, მორჭმული (შავთ. 18), благополучный, могущественный.

დოინჯი წელზედ ხელთა შემოდება, подбочениться руками.

დოლაბი დიდი სარკმელი, ანუ განჯინა, окно, или шкап, *δουλάπι, τουλάπι*.//დიდი წისქვილის ქვა, большой жернов мельничный.

დორა, დორაკი ნახევარკოკა (ნახე საწყაო და კოკა) (რიცხ. 28,5), пм. мера.

დორბლი ჩჩვილთა ან სნეულთა პირმონადენი დუჟი (ნახე ხრასტი).

დორი ზურგის მისაყრდნობელი ბალიში.

დოხტაქანი მაშრაფა, დიდი სასმისი (ვეფხისტ. 482; 1156), кружок, чарка, большой стакан.

დოხტაქარი, დასტაქარი ჯარრაჰ აქიმი (მუნვე, 519,588,884), хирург.

დოქი იმერული სალვინე თუნგიანი, ან მეტი (კოკასთან ნახე).

დოშაქი შათქუნი, ნაკრტენის დიდი ლეიბი, тюфяк.

დოში ზუთხის გვერდი დამარილული და ლორად გამოსული, тёша, тёшка.

დრამა, დრახმა, დრაქმა ძველებური წვრილი ვეცხლის ფული, რომაულად დ ი ნ ა რ ი (ლუკ. 15.6), драхма, *δράμι, δραχμή*.//ხოლო აწინდელი ბერძული დრახმა არს აბაზნახევარზიაური ვეცხლის ფული, драхма. 22 $\frac{1}{3}$ коп. серебр. (ვეფხისტ. 1207). //წონა მისხლის ორი მესამედი ანუ 4 დანგი (ნახე წონასთან) (ვეფხისტ. 389).//საქართველოში დრამად უხმობდენ მღვდელთმთავრის მისართმევსა წლის დებულებასა მისის ეპარხიის გლეხთაგან, რომელნიცა კომლზედ გამოიღებდნენ პურსა თჳთო კოდსა, ან მეტნაკლებსა ადგილ-ადგილ მიხედვითა.

დრაჰკანი დრაქმა, ანუ დინარი (მატ. 12,28 და 20,2 და შემდგომი; ვეფხისტ. 465). позол. денарий.

დრეკა (ვსდრეკ) მიხრა-მოხრა, гнуть.

დრესა (ვდრეს) ხეხება, სმა. ლესა. тереть. гладить.

[**დრეხო** ნ. ზღუდე].

დრკუ ურჩი, უარშიო, ვერაგი (ფსალ. 17,27 და 100,4; საქმ. 2,40), строптивый, развращенный.

დრო ჟამი, ხანი (4 მეფ. 4.16; ვეფხისტ. 849), время.

დრონეული ასოეული, სახსრებად დაჭრილი ხორცი (ლევიტ. 1,8), раздробленный.

დროული ხანიერი, ხანში შესული, მოხუცებული, пожилой.

დროშა ბაირაღი, ალამი, სალაშქრო ნიშანი რაზმთა ფერად ფერადი. საცნობელად გუნდთა (ვეფხისტ. 399,1027; შავთ. 31,75), знамя, прапор, или флаг. // საეკლესიო ალამი დახატული წმიდათა ხატებითა, хоругвь.

დრტჳნვა (ვსდრტჳნავ) ბუზღუნი, ბუდბუდი, მურმური, საჩივარი, ანუ მდურვა უაღრესთა ზედა (ნახე რისხვა), (ფსალ. 58,15; მატ. 20,11; მარკ. 14,4), роптать, негодовать.

დრუნგილი, დრონგალი მარმარილო (ჩახრუხა. 47), мрамор.

დრუხუნი (დრუხუნებს) ღორის ბუხუნი, хрюкать.

დუბე დაბალი ადგილი, ჩოლი (დ ი დ დ უ ბ ე ტფილისის ზევით მინდორი).

დუბეიდი მაჯუნი (კარაბადინში).

დუბელა წყალი ერთს ადგილს მდგარი და მზის სიცხით გათბობილი.

დუგლუგი დიბლიგი, შუბისა ან თოფის ბოლო, приклад у ружья.

დუგმა ხრიკი სპილენძის ან თითბრისა, крючки для застежки платья.

დუგუნი საწათხე, ხორცთაგან მანკის სადინარი, განგებ შექმნილი, რომელსაც შეხვევის დროს დაეცმის წმიდა სანთელი, фонтанель.

დუდკო თითთა და ფრჩხილთა შორის ხორცმეტი ან მეჭეჭივით გამოსული სატკივარი, ногтоед, ногтоедина.

დუდუნი (ვსდუდუნებ) ჯუჯღუნი. უკაფიო ლაპარაკი, ან წიგნის კითხვა, რომ ხმის მეტი არა ისმოდეს რა.

დუდღუბა (ბალ.) ონტკოფა, кондырак.

დუკა, დუქსი მთავარი, დიდი თავადი, ათაბეგი, герцог, dux.

[დუკტი ნ. აქლემი].

[დულამი]

დულუმბო (ხე)

დუმა ცხუართ კუდის ქონი (ნახე ცხიმთან), курдюк у барана.

დუმილი მდუმარება, ჩუმაობა (კებ. 4,3), молчание.

დუნდგო ბრბო, ჯგუფად სიმრავლე კაცთა, ვითარ დ უ ნ დ გ ო ხალხი, დ უ ნ დ გ ო ჯარი, толпа.

დუნე, დუნი მოშვებული, სუსტი, слабый, слабкий, დ უ ნ ე დ, слабо, слабко, некрепко, не туго.

დუჟი ფურთხი (ნახე ხრასტი), слюна.

დურაღი (ოთხფ.) წლის ჯიხვი.

დურაღისკურა კამბეჩთა და ცხენთა ავად გახდომა ზამთარ შეცივებისგან.

დურბინდი შორსათვალე, ჭოგრი, ჭოგრიტი, подзорная труба, телескоп.

დურდო გამოხდილი სასმელთ რიოში, რასაც პირს მოიგდებს, ხოლო ძირს დანალექი არს თ ხ ლ ე და ტ ლ ე (ვიეთნიმე დ უ რ დ ო ს ა და ბ უ რ დ ო ს არ განარჩევენ ხმარებაში).

დურეჯი, დურაჯი (მფრ., ვეფხისტ. 338 და შემდგომი).

დუქანი ხულა, ქულა, ქულბაგი, სავაჭრო ან სამუშაო სახლი, лавка.

დუქარდი დიდი მაკრატელი მკერვალთა, ანუ საპარსი ცხვართა.

დუქსი ნახე დუკა.

დუღილი (დუღს) ცეცხლზედ შედგმულთა საგბოლისთა ქვაბთა ფოფინი, ქაფქაფი (ეზეკ. 24,5), кипеть, кипение. // ზღვათ ღელვა, ფურთუნი, მსგავსად დუღილისა, [закисать, ღვინო დუღს].

დუშალიკი ძღვენთა და ფეშქაშთ მომტანის საჩუქარი.

დუშაყი პალვანდი.

დუხჭირი ავთვალადი, გონჯი, უშნო, უხამსი (ვეფხისტ. 126; შავთ. 83), нескладный, неуклюжий.

დღე ნათელი მზისა აღმოსლვით მისით ვიდრე დასლვადმდე (დაბად. 1,5,14; ფსალ. 1,5), день. // 24 ჟამი, ანუ ერთი დღე-ღამე, день, сутки, ყ ო ვ ე ლ ს ც ი ს მ ა რ ე ს დ ღ ე ს, ე. ი. მარადღე უკლებელად, всякий божий день.

დღეგრძელობა მრავალჟამიერი სიცოცხლე (ფსალ. 90,16), долгота дней, долгоденствие.

დღეინდელი, დღევანდელი მდგომარის დღისა, ამ დღისა, сегодняшний.

დღეისადმდე დღისა ამ დღედმდე (ეზეკ. 2,3), до днешняго дня.

დღეისწორს შვიდის დღით უწინ, ანუ შემდგომად, დრო ამისი განირჩევის დროთა ზმნისათა. მაგალ., დღეისწორს მ ო ვ ი დ ა, ესე არს განვლილი, ხოლო დღეისწორს მ ო ვ ა, ესე არს მომავალი; ეგრეთვე დ ღ ე ი ს ო ხ უ ტ მ ე ტ ს—ორის კვრის უწინ, ანუ შემდგომად.

დღეკეთილობა ბედნიერად ცხოვრება, благоденствие.

დღეობა საცნაური დღე უქმობისა, ან შექცევისა, ვითარ ჯ ე რ ო ო ბ ა (ნახე თამაშობასთან). // ვისიმე შობისა ან მოსახელის დღე.

დღეს მდგომარესა ამას დღესა შინა (ფსალ. 2,7 და 94,7; ებრაელ. 13,8). днесь, сегодня.

დღესასწაული საუფლო ან სასიხარულო დღე (ფსალ. 73,4,8; ლუკ. 2,41 და შემდგომი), праздник, торжество, დღესასწაულობა (ვდღესასწაულობ), გარდახდა დღეობისა, ზადიკობა (ფსალ. 75,11), праздновать, торжествовать.

დღვება (ვსდღვებ) სადღვებელით მაწონის ნჯღრევა კარაქის გამოსაღებად.

დღითიდღე მარადღე, დღე და დღე (ფსალ. 60,6, 8 და 95,2), день на день, день ото дня.

დღისით, მზისით დღის სინათლეში (ვეფხისტ. 1214), днем, среди белого дня.

დღიური სამარადღეო, ежедневный. // დ ღ ი უ რ ი მ ი წ ა, რაც ერთს დღეს მოიხვნის (საქცევი ნახე).

დღვილი, ბდღვილი, რდღვილი, ბრდღვილი ახალი ფისი.

დღლუ თხელი ლავი.

ე

ასო ე იხმარების რომელთამე ზმნათა შინა, რაჟამს მოქმედება მათი მიჰემების საცნაურსა, რომელსამე პირსა. მაგალ.: ვუბნობ, უბნობ, უბნობს, ეს ითქმის საზოგადოდ, говорю, -ришь, -рит. вообще. ხოლო მიჰემებით: ვეუბნები, ეუბნები, ეუბნების, говорю, -ришь, -рит ему, т. е. известному лицу. ეგრეთვე ვლაპარაკობ, ვიბრძვი, ვისჯრი ესე არს საზოგადოდ, ხოლო მიჰემებით: ველაპარაკები, ვებრძვი, ვესჯრი და სხ.

კჳალად ე იხმარების თჳთვნებითთა ზმნათა შინა, ხოლო იგულისხმე ზმნა თჳთვნებითი, глагол возвратный, а не страдательный. მაგალ.: ვაბამ связываю არს შემოქმედებითი, ხოლო ვნებითი—ვიბმი, ე. ი. სხჳსაგან, бываю связываем. страдат. და თჳთვნებითი возврат. ვებმი, связываюсь. ეგრეთვე ვამზადებ, ვსწერ არს შემოქმედებითი, ვიმზადები, ვიწერები არს ვნებითი და ვემზადები, ვეწერები არს თჳთვნებითი.

ზოგჯერ ე იხმარების ნაცვლად ი, ვითარ ეპვი—იპვი.

ე! ეი! შორისდებული, წოდებითი, ай! гей! ἒ! ἒ!

ებანი დაირა, დაფი, ბობღანი (ფსალ. 67,24—26; ვეფხისტ. 1112), тимпан. გარნა უმრავლესთა ადგილთა შინა ჰნიშნავს ქნარსა, ანუ ჩანგსა, რომლისაცა სიმებსა თითებით სძნობენ (ფსალ. 56,8 და 70,22, კჳალად 80,2, კჳალად 97,5), гусли.

ებგური მაღლით მხედველი დარაჯა, მზმილავი, მცველი (ნახე დარაჯასთან) (4 მეფ. 9,17; ეზეკ. 3,17; შავთ. 59), страж.

ებრ თანდებული მსგავსების დამნიშვნელი და მიმღები ნათესაობითის ბრუნვისა (დაბად. 1.11 და შემდგომი; ფსალ. 19.4 და 27,4), но. // ხოლო ოდესცა მოვალს თავად ლექსთა, მაშინ დაერთვის ასო მ (ფსალ. 38,6). მებრ ხატად. // ზოგჯერ მოეკიდების სახელთა თჳნიერ ბრუნვისა და შესცჳლის მათ ზმნისზედად. მაგალ.: ანგელოსებრ, ლომებრ, გინა ანგელოსებრივ, ლომებრივ: კჳალად მარცვალნი: ებრი, ებრივი, ებური შესცჳლიან მათ ზედშესრულად; ანგელოსებრი, -ებრივი; ლომებრი, -ბრივი; კაცობრივი, გინა ჩემებური, შენებური, ძველებური. // ხოლო მდაბიურად ეფ მოეკიდების მიცემითსა ბრუნვასა. ვითარ: ცხენსაეფ, ხარსაეფ, გინა ჩემსაეფ, შენსაეფ და სხ.

ეგე ეგ ნაცვალსახელი ჩვენებითი (იხილე ესე) (მატ. 2,13,20). он.

ეგების, ეგება იქმნების, მოხდების, შეიძლების (იაკობ. 3,12; ვეფხისტ. 1272), может быть, статься, авось.

ეგევითარი, ეგეოდენი, ეგერა, ეგრეთ, ეგზომი და სხ. იხილენ ესე და შემდგომნი.

ეგირი (ბალ.) კოთხუჯი, пр.

ეგუტერი, ეკუტერი სამწირველო მიშენებული ეკლესიასა თანა, придел.

ედემი სამოთხის ადგილი (დაბად. 2,8), эдем, ἐδέμ.

ევანი ერქვანთ ღვედი, ჯამბარა (ნახე საბელთან) (ისაი. 15,18), ремень.

ევლოგია ბერძულად კურთხევა (2 კორინთ. 9,5), εὐλογία, благословение. //მსოფლიონი უწოდებენ კრავსა, რომელსაც პასექის დღეს აკურთხებინებენ ეკლესიაში მოსახსენებელად მიცვალებულთა და დაურიგებენ ერსა პირის გასახსნელად.

ეზო სასახლეთა შესახვედრი ადგილი, მოზღუდვილი უსართულოდ (ნახე ზღუდე) (ფსალ. 28,2 და 95,8 და შემდგომი; მატ. 26,3, 5,8 და შემდგომი), двор.

ეზოსმოძღვარი მნე, მოხელე, სახლის განმგებელი, ნაზირი (მატ. 20,8), приставник, домоправитель, дворецкий.

ეთერი ნივთი ნათლისა, ცეცხლისა და სიტფოსი, განფენილი მზისაგან სისტემასა შინა პლანეტთასა და გარეშემცველი ატმოსფერასა მათისა (ვეფხისტ. 287,413; შავთ. 76), эфир, *αἰθήρ, αἰθέρος*.

ეთიოპია არაბისტანი (დაბად. 2,13), эфиопия, *Αἰθιοπία*.

ეკალი (ხე) ნერგი მჩხვლეტელ ფხებიანი, ვითარ ძეძვი, ქაცვი და მისთანანი (დაბად. 3.19; ფსალ. 31,4 და 57,9), терние. // თჳთ ფხა გამოსული მცენარეთა ზედა, ვითა ნემსები (მატ. 13,7), ость, остие.

ეკალმუხა (ხე) აბანოზი, შავი ხე, черное дерево.

ეკალძვალა (ბალ.).

ეკკლესია შესაკრებელი ტაძარი სალოცავად ღვთისა (ფსალ. 21,22,25 და 34,18), церковь, *ἐκκλησία*.

ეკლიანი, ეკლებიანი ეკლებმოსხმული (ვეფხისტ. 868), терновный, остистый.

ეკუდერი ნ. ეგუტერი.

ელამი და ელამონი ებრაულად დიდი კამარა, კარიბჭე, ანუ სტოვა (ეზეკ. 40,6 და შემდგომი, კუალად 44,3), елам, притвор.//ე ლ ა მ ი საზოგადოს ხმარებაში მიუღიათ ნაცუ‐ლად მარლისა, ან მრუდისა (ფსალ. 77,57), развращен, непрямой.//ამისგანვე შედგმულ არს ლექსი ე ლ მ ა დ ც ე რ ი (ნახე ალმაცერი).

ელატი (ხე) სოჭი, ნაძვის გუარია, ель, шихта, *ἐλάτη*.

ელდა ელდისკურა, ელდისცემა (ელდას ეჰკრავ, ელდა ეცა), ანაზდის შიშით მიბნედა, ужас, ужасать, поражать, -ся.

ელეილნი და თროილნი (ეზეკ. 41,8), სართულად ანუ ერდოდ ალუწერიათ, მაგრამ სხუათა ენათა დაბადებასა შინა ეს ლექსნი სრულიად არა იპოვებიან.

ელენთა კაცთა და ცხოველთა შინაგანის შენობის ნაწილი, მოგრძე, ღვიძლზედ უფრო მოშავო. ზოგნი უხმობენ ტ ყ ი რ პ ა დ, მაგრამ ეს უფრო სენის სახელია, селезенка.

ელვა (ელავს, იელვა) ღრუბელთ ურთიერთარს დრესისაგან ცეცხლის გამოკრთომა, რომლისაცა გასქდომისგან იქმნების ქუხილი, молния блещет (ფსალ. 17,4, და 76,18, კუალად 96,4), гроза, молния.

ელვანა ცეკვანა (მწერ.) ციცინათელა, წყალზედ შავნი ჭიანი.

[**ელვარება** ელი, ები, ლელნი].

ელქაჯი (ოთხფ.) თხა წინათ მავალი არვესა შინა (ნახე თხასთან).

ელქიმი, ელქუნი სატკბურა, ბუგრი ტანისა, მქავანი, чесотка.

ელჩი დესპანი (ნახე მოციქულთან).

ემბაზი საბანელი ჭურჭელი (გამოს. 3,18,28), умывальница. // საეკლესიო ჭურჭელი, რომელსა შინაცა მღუდელი სამგზის შთაჰფლავს წყალში ნათლისღებადსა (შავთ. 99), купель для крещения, ხოლო ბერძული *ἔμβασμα, ἔμπασμα* ჰნიშნავს შესლვასა.

[**ემე** бить, быть, как].

ემირი ნახე ამირი (ჩახრუხა. 58), эмир.

ემპლასტრო მალამო, სალბუნი, пластырь, *ἔμπλαστρον, μπλάστρης, μπλάστρι*.

ენა პირსა შინა ცხოველთასა გრძელი ნაწილი, გემოვნების საგრძნობელი (ფსალ. 21,15 და 67,23), язык. // გარდა ამისა კაცთათჳს სახმარი საუბრად (ფსალ. 5,9; საქმ. 2,3 და შემდგომი; იაკობ. 3,5 და შემდგომი).//საუბარი, ძალი სიტყჳერებისა (ვეფხისტ. 6,8, 25 და შემდგომი), язык, словесность.//განსაკუთრებული გუარი საუბრისა თჳთოეულსა ერსა შორის (მუნვე, 29; საქმ. 22,2), язык, наречие, диалект. // კუალად ზართა საშუალ დაკიდებული სარეკელი, მახეთა შინა დასასხლეტი, კლიტეთა და მოქლონთა დასაკეტი და მისთანანი; язык, язычек у колоколов, замков и т. п.

ენაბრგუნილი, ენაბორძიკი, ენაჩლინგი, ენამძიმე ბლუ, კაფიად ვერ გამომღები საუბრისა (გამოს. 4,10; შავთ. 14,96,107), косноязычный, гугнивый, заика.

ენამზეობა, ენამჭევრობა მშვენიერმოუბნარობა, красноречие.

ენამჭევრი ენამარჯვე, მშვენიერმოუბარი (შავთ. 59,83), красноречивый.

ენამჭვარტალა პირღნიოში (ნახე ჭარტალა).

ენდალმა ხარისხის ბოძების წერილი უაღრესთაგან (ნახე წერილთან), *ἐνδαλτήριον*, ставленая грамота, патент, диплом.

ენდრო (ბალ.) ამ ბალახის ძირი არს წითლის სალებავი, марена, крап.

ენკენია დღესასწაული ტაძართ განაბლებისა წლითი წლად (დან. 3,3), обновление, *ἐγκαίνια, ἐγκαινίασμα, -σμός*.

ენკენისთვე სეკდემბერი (ნახე ზოდიაქო), сентябрь.

ენკრატისი მოწესე დედათაგანი, მოლოზანი, монахиня, *ἐγκρατής*.

ენოვანი აენა, გინა ზვავი და თავხედი ენითა (ფსალ. 139,12), язычный.

ენქერი მარჯვენა გვერდზედ დასაკიდი ოთხკუთხი შესამოსელთაგანი ეპისკოპოსთა, არხიმანდრიტთა და სხუათა, палица.

ეპარხია სამთავრო ანუ განსაგებელი ეპისკოპოსისა, Епархия, *ἐπαρχία*.

ეპარხოსი ადგილის მთავარი, Епарх, *ἔπαρχος*.

ეპივატი მხედარი, ანუ ნავსა შინა მსხდომნი (ეზეკ. 27,29), всадник.

ეპისკოპოსი ზედამხედველი, მღუდელთმთავარი (1 ტიმოთ. 3,2), епископ, *ἐπίσκοπος*.

ეპისტოლე მიწერილობა, ან მოკითხვის წიგნი (ნახე წერილთან) (2 პეტრ. 3,1) послание, *'επιστολή*.

ეპიტაფია დაფლჳს გალობა, ანუ საფლავის ქჳს ზედა წარწერა, эпитафия, надгробие. *ἐπιτάφια*.

ეპიტრაქილი სამღუდელო ოლარი, епитрахиль, *ἐπιτραχήλιον*.

ეპიტროპოსი მნე, მიჩენილი, მოადგილე, ზედამხედველი, приставник, надзиратель, *ἐπίτροπος*.

ეპიფანია ზედსაჩინო, ზენაპირი, სიფრიფანა (სხეულთან ნახე), поверхность, *ἐπιφάνεια*.

ეპრიანება (იპრიანა, იპრიანებს) უალრესსა ჰნებავს (1 პირში არ იხმარება), соизволять.

ეჟვანი საჟღარუნებელი (გამოს. 28,33; ვეფხისტ. 781), звонец, гремушка.

ერბო ზროხათა და ცხოვართა ნაჭველთაგან გამოღებული სიმსუქნე (ცხიმთან ნახე) (ისაი. 7,15). масло коровье.

ერბოკვერცხი ორთაგანვე ტაფამწვარი სანოვაგე. яичница.

ერგასი ნახევარასი, ორმოცდაათი (მარკ. 6.40; ლუკ. 7,41 და 16,6), пятьдесят.

ერდო სახლის ზედაკერძო ბანი (მატ. 10.27 და 24,17; საქმ. 10,9; ფსალ. 128,6). кровля, горница. терасса.

ერევინდე მუხუდოს გუარია.

ერეტიკოსი მწვალებელი, еретик, раскольник, *αἱρετικός*, hereticus.

ერვიხი (მწერ.) მწერი, მოსავლის მავნე (იოილ. 2.25), сипль.

ერთად ერთბამად, შეერთებით (ფსალ. 2,2), вкупе, вместе.

ერთარსი ერთისა არსებისა მქონებელი (ითქმის წმიდისათჳს სამებისა), единосущный.

ერთარსება განუკვეთელი ერთი არსება, единосущество.

ერთბამად თანად, ერთად, ერთიანად, ერთობით (ფსალ. 13.3 და 30,13), вкупе, вместе, вдруг (კუალად საქმ. 1,14 და 19,29; რომაელ. 15,6). единодушно.

ერთბუნებიანი მწუალებელი, ერთის ბუნების აღმსაარებელი ქრისტეს შორის, монофизит.

ერთგან ერთს ადგილს, ერთად (ვეფხისტ. 790 და შემდგომი), вместе, вкупе.

ერთგზის, ერთგზობას ერთხელ. ერთჯერ, однажды, один раз.

ერთგვარი ერთნაირი, მსგავსი, ერთის გუარისა, სახისა და სხ., одинокий, единообразный.

ერთგული გამოჩენით სანდო, გულითადი, შესაკუთრებული (ნახე ერთსული) (ვეფხისტ. 52,149; შავთ. 11), верный. усердный.

ერთგულობა გულითადობა, ერთსულობა (ვეფხისტ. 152), верность, преданность. усердие.

ერთ-ერთი ორთაგან ერთი, один из двух. ანუ ე რ თ უ რ თ ი (ნახე ურთიერთი).

ერთთავიანი ითქმის გამოხატულებისათჳს ცხოველთასა, ვითარ ა რ წ ი ვ ი, ვ ე შ ა პ ი და სხ., одноглавый. // ეგრეთვე შენობათათჳს ერთგუმბათიანთა და მისთანათა, одноверхий. однокупольный.

ერთი სათვალავსა შინა პირველი ნივთი, რომლისაგან დაიწყების აღრიცხვა (დაბად. 1,5,9; ფსალ. 83,10), един, один. // ხოლო ვითა ერთი ღმერთი. რომლისა გარეშე არა არს სხვა (ეფეს. 4,6). один, единый. // კუალად ითქმის ე რ თ ი პური მაჭამე, ე რ თ ი წყალი დამალევინე. ე რ თ ი აქ ჰნიშნავს კერძოსა, რაოდენიცა ვისთჳს სახმარ არს.

ერთიანად ერთბამად, ერთად, вдруг, вместе.

ერთიანი ერთად შეკრებული, совокупный.

ერთმანერთი ერთიერთი, ურთიერთი (ვეფხისტ. 9). друг-друга.

ერთმარცულოვანი ერთის ხმოვანის ასოს მქონებელი ლექსი. ვითარ ძე, ძმა, ხე და სხ., односложное речение.

ერთმთავარი თჳთმფლობელი პატრონი, თჳთხელმწიფე, единодержец, самодержец, монарх.

ერთმთავრობა თჳთმფლობელობა, ერთხელმწიფება, единодержавие, единовластие, монархия.

ერთმთავრული თჳთ ხელმწიფებრი, монарший.

ერთმორწმუნე ერთის სარწმუნოებისა და სჯულისა, единоверец, единоверный.

ერთმოსახელე სახელმოდგამი (ნახე ერთსახელი), одноименный.

ერთნაირი ერთგუარი, ე რ თ ნ ა ი რ ა დ. ერთგუარად, одинаково.

ერთნებიანი მწვალებელი, რომელიცა აღიარებს ქრისტეს შორის ერთსა ნებასა, ანუ ღვთაებრივსა, ანუ კაცობრივსა და არა ერთად ორსავე. монофелит, единовольник.

ერთობ ერთიან, სრულებით (ვეფხისტ. 441,769, 1287). совсем.

ერთობა მხოლოობა, ერთარსება ღვთისა. единство, единосущество. // ერთხმობა,

ერთსულობა (ეფეს. 4,3,13), единение, соединение, единство.

ერთობით, ერთობლივ ერთიანად, ზოგად, საზოგადოდ, вообще, вкупе. // ერთპირად, ერთსულობით (ფსალ. 54,14), единомысленно.

ერთპირად

ერთჟამიერად ერთის გზობით. ერთხელობას, единовременно.

ერთსახე ერთის სახისა, მსგავსი სახითა ანუ ჰკუვითა, единообразный (ფსალ. 67,6), единомысленный.

ერთ-სახელი რაჲცა მიითვალავს სახელსაცა და საზღვარსაცა სახელისასა (კატიღ. ანტ. § 42), одноименный. აქა იგულისხმების ნათესავი. მაგალ., ცხოველი არს გულისხმიერი და ცხოველი არს უგულისხმო, ანუ ქალაქი არს ტფილისი და ქალაქი არს ქუთაისი. რამეთუ სახელნი მიითვალევენ სახელსაცა და საზღვარსაცა თჳსისა ნათესავისასა. // ხოლო ერთმოსახელე, თანმოსახელე და სახელმოდგამი არს, რომელთა სახელი საზოგადო, ხოლო საზღვარი სხვა (მუნვე, კატიღ. § 41 და 102), соименный, მაგალ., ქუაბი სპილენძის სიავი საგბოლისი და ქუაბი ნაპრალი კლდისა. ესენი სახელით არიან ერთ, ხოლო საზღურით სხვა. ამათ ეწოდების ბერძულად სინონიმია (ლოღიკ. ბაუმ. § 68), *συνονυμία*, sunonimia; ხოლო ომონიმია, *Ὁμονυμία*, homonymia არს, ოდეს ერთი ლექსი იხმარების მრავალთა შინა მნიშვნელობათა. მაგალითად, ამისად იხილე ბუდე და ხელი. // ერთსახელი და თანმოსახელე, განუკვეთელთა ეწოდების სეხნა, სეხნია, тезоименит, тёзка.

ერთსული ერთხმა, ერთგული, შესაკუთრებული ვისთანმე სულითა და გულითა (ეფეს. 4,4; ფილიპ. 2,2), единодушный. შეისწავე, რამეთუ ერთსული ითქმის სწორთა შორის, ხოლო ერთგული უმცროსისგან უფროსისადმი.

ერთფერი ერთგვარი ფერითა, ერთის ფერისა, одноцветный.

ერთღვთაება აღსარება, ერთისა ჭეშმარიტისა ღვთისა, единобожие.

ერთწევროვანი რიტორულად: პერიოდი მექონი მხოლოდ ერთისა წევრისა, одночленный.

ერთხელ, ერთხელობას ერთჯერ, ერთგზის, ერთგზობას, однажды, один раз.

ერთხელმწიფება ერთმთავრობა, უმაღლესი უფლება მხოლოდ ერთის გუამისა, единовластие.

ერთხმობა ერთსულობა, ერთობა, ურთიერთარს მორჩილება და სიყვარული, единогласие.

ერთჯერ ერთგზის, ერთხელ (ფსალ. 61,11), единою, единожды.

ერი ნათესავობა კაცთა, განსაკუთრებული ენითა, შთამომავლობითა, სარწმუნოებითა და სხ., народ, нация. // სიმრავლე კაცთა ერთად შეკრებული (მატ. 5,1 და 8,1,18, კუალად 21,8 და შემდგომი და 27,15 და შემდგომი), народ. // ზოგჯერმე დაიდების ნაცულად მრავლობითისა კაცნი (ფსალ. 2,1 და 27,9 და 28,11), люди. // მრავალჯერ ჰნიშნავს მხედრობასაცა (მატ. 22,7; ლუკ. 2,13), воин, воинство.

ერისაგანი ჯარისკაცი, მხედარი, მოლაშქრე (მატ. 27,27; იოან. 19,23 და შემდგომი), воин.

ერისთავი თემისმთავარი, ანუ მხედართმთავარი (1 მეფ. 10,5), начальник (რიცხ. 14,5), старейшина (საქმ. 4,1 და 16,25), воевода.

ერისკაცი მსოფლიო, არა სამღვდელოთაგანი, светский, светского звания, мирянин. // მხედარი, მოლაშქრე (საქმ. 10,7), воин.

ერის მთავარი ერისთავი (საქმ. 23,5 და 28,16), воевода, князь людей, начальник в народе. // მხედართმთავარი (ისუ. 5,14 და 1 მეფ. 12,9), Архистратиг, военачальник.

ერკემალი (ოთხფ.), ვერძი, მამალი ცხვარი, მნერბავი, დაუკოდავი მოსაშენებლად (ნახე ცხვართან), овен, баран.

ერმი ოტარიდი (ნახე ცთომილთან), меркурий, планета, *Ἑρμῆς*.

ეროდია (მფრ.) ასიდა, იშხვარი და ძველს დაეითნში ყარყატის მაგიერ სწერია, еродия, цапля, *ἐρώδιος*, Herodio, dius, ordea.

ეროსანი ერთა პატრონი, ყმიანი ანუ ლაშქრიანი.

ერქვანი სახნველი გუთანი, რომელსა შინა შეიბმის რვა და უმეტესი უღელი ხართა (შაეთ. 55), рало, плуг, ხოლო ჯილღასა შინა ოთხი ან ხუთი უღელი, არონასა შინა ყევარი და აჩაჩასა ანუ ოქოქასა შინა ცალუღელი ხარი (ნახე გუთანი).

ერქუნა (ვერქუნი, მოვერქუნი) ხნვა ერქუნითა, орать, пахать.

ერწო (ბალ.).

ესე ნაცვალსახელი ჩვენებითი (მატ. 3,17), сей, ხოლო იხმარების სამთავე პირთა შინა, ვითარ ესე, ეგე, იგი, ანუ ისი, რომელ-

ნიცა ხშირად შეერთდებიან პიროვანთა არსებითთა ნაცვალსახელთა, რომელ არიან მე, შენ, იგი და მათ მაგიერადცა დაიდებიან ორთავე რიცხუთა შინა, ე. ი. პირველ პირად ესე, მეორედ ეგე. მაგალ., ებადრუკი მე ესე კაცი ვინმე მიხსნას ხორცთა ამათგან სიკუდილისათა (რომაელ. 7,24), რომელთა ესე (ჩუენ) ნათელ ვიღეთ ქრისტე იესოს მიერ და შემდგომი (მუნვე, 6,3). რომელი ეგე (შენ) ასწავებ მოყუასსა და შემდგომი (მუნვე, 2,21), ვითა ეგე (თქვენ) გისწავიესთ ქრისტე იესო უფალი და შემდგომი (კოლას. 2,6), უფალნი ეგე (თქუენ) სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათ (მუნვე, 4,1). ხოლო მესამე პირი, ვინათგან საზოგადო არს ჩვენებითთაცა და არსებითთა, ვითარ მე, შენ, იგი, ანუ ესე, ეგე, იგი ამად მრავალნი მაგალითნი შესაძლო არიან პოვნად: ვეცხლი იგი, კაცნი იგი და სხ. თუმცა ზემორე მოღებულნი მაგალითნი აჩვენებენ, ვითარმედ ხსენებულნი ნაცვალსახელნი იხმარებიან არსებითთა თანა სახელთა თჳნიერ ბრუნვისა და რიცხჳსა, არამედ ზოგჯერმე ეთანხმებიან მათ ორკერძოვე. მაგალ.: ისმინე ჩემი, უჳალო, ულირსისა ამის მონისა შენისა, ანუ უხმართა ამათ მონათა შენთა და სხ. ამათ ნაცვალსახელთაებრ იგულხმებიან რთულნიცა და სხმითგარდასლჳთნი მათნი, ვითარ ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა. ამისთანა ჰნიშნავს მსგავსსა მისსა, რამცა ეკუთნვის პირველსა პირსა; მაგისთანა—მსგავსსა მისსა, რამცა ეკუთნვის მეორესა პირსა. იმისთანა—მსგავსსა მისსა, რამცა ეკუთნვის მესამესა პირსა. კუალად ამგუარი, მაგგუარი, იმგუარი; ამოდენი, მაგოდენი, იმოდენი; ამსიმძიმე, მაგსიმძიმე, იმსიმძიმე; ამსიმაღლე, მაგსიმაღლე, იმსიმაღლე; ესევითარი, ეგევითარი; ესრეთი, ეგრეთი; ესზომი, ეგზომი: ესფერი, ეგფერი და სხ. კუალად ზმნისზედანიცა მათნი, ვითარ ამგუარად, მაგგუარად, იმგუარად; ამოდნად, მაგოდნად, იმოდნად, ესრეთ, ეგრეთ; ესევითარად, ეგევითარად და სხ.

ესე და ეს, ამა და ამისი, ამა და ამან იხმარების ნაცულად სახელისა კაცთა და ადგილთასა, რაჲამს სახელნი მათნი არ ვიცით, ანუ მოვიღებთ მაგალითად, такой-то.

ესევითარი ამისთანა, ამგუარი (ებრაელ. 7,26), таков, таковой.

ესერა, ეგერა აი, აგერ, ასერ, ჩვენებითი ზმნისზედა. პირველის პირისაგან ითქმის ესერა (ფსალ. 38,18). ხოლო მეორისადმი—ეგერა (ფსალ. 49,17 და 58,3), се! вот, это.

ესზომი, ეგზომი ამ ზომისა, ანუ ამდენი (ვეფხისტ. 863), столький, столько.

ესთა, ესთავე ესრეთ, ესრეთვე, так, также.

ესოდენი, ეგოდენი ესდენი, ესეოდენი, ამდონი (მატ. 8,10 და 15,33; საქმ. 5,8), толикий, столько.

ესრეთ, ესრეთვე ეგრეთ, ამგვარად (დაბად. 1,6 და შემდგომი; ფსალ. 1,4), тако, так, такожде, также.

ესფერი, ეგფერი ამფერი, ამგვარი, такой, таковой.

ეტერი (ბალ.) ოდოში ყანისა (ლევიტ. 2,14,16 და 23,13), зелёный клас, колос.

ეტიკი გზის მცოდნე, მატარებელი, ბელადი, კოლაოზი, проводник.

ეტლი ურემი კამაროსანი, დიდებულთ საჯდომი (ნახე ურემთან) (ფსალ. 19,7; საქმ. 8,28 და შემდგომი), колесница, коляска. // ხოლო ჭადრაკის სათამაშოსა ეტლსა ეწოდების რუსულად ладья (шахматная).

ეტლი გარეშეთა წერილთა შინა ეწოდების თჳთოეულსა ცთომილსა, ანუ ბურჯსა, რომელია ნიშანი ზოდიაქოსი (ვეფხისტ. 273,947 და შემდგომი. კუალად 1295), ამისგამო ითქმის: რა ეტლზედ დაბადებულა, ე. ი. რა ბედისა არის? родиться под влиянием какой планеты и проч.

ეტლის თუალი ურმის თუალი (ეზეკ. 10,9). коло, колесо.

ეტრატი ტყავის ქალალდი საწერი, пергамент.

ეული მოსული კაცი უმამულო, ბოგანო, ტაბარუკი, батрак, бобыль.

ეფუდი ძველის სჯულის მღუდელთა საბურველი საცო, ან სამკლავე (მსაჯ. 17,5), ефод, ἐφώδ.

ექთი მუქთი, მედადი, უფასური, даровой.

ექინი (თევზ.) ზღჳს ზღარბი (სოფონ. 2,14), еж морской, род раковины, ’Εχινός, echinus.

ექსი ჰკუა ანაგებად შექმნილი, навык, ἕξις.

ექსორია პატიმრად წარგზავნა სხვაგან, ссылка, изгнание, заточение, ἐξορία.

ექსორიაქმნილი პატიმრად წარგზავნილი, ссылочный, заточенный.

ექუსი ორჯელ სამი, шесть, ἕξη.
ექუსკუნჯი (ბალ.) კანაფის გუარია, желтолён.
ეშვი დიდი კბილი ტახთა, ღორთა, სპილოთა და მისთანათა, клык.
ეშვი (ოთხფ.) თჳთ ტახი, ღორი ეშვიანი (ფსალ. 79,14), вепрь, кабан.
ეშმა, ეშმაკი სატანა, სული ბოროტი, არაწმინდა (მატ. 7,22 და 17,18; ფსალ. 95,5), дьявол, бес (ვეფხისტ. 111,130), ეშმა. //ეშმაკი კაცი ვერაგი, ხელოვანი, ანუ მასხარა, проказник, или хитрец.
ეშმაკეული შეშლილი ეშმაკისგან (მატ. 8,16, 28), бесноватый.
ეშმაკობა (ეშმაკობს) მზაკუარება, хитрить. // ავკაცობა, шалить, проказничать.
ეშმი, ეშმის ქუა ამარტა, ანუ იასპი, яшма.
ეჩო, ეჩვი ხუროთ ცული ძელთ სათლელი, რომლისაც პირი ტარზედ შემოცმული აქუს არათუ გასწორივ, არამედ გარდიგარდმო და ხელეჩო ბატარა ეჩვი (ისაი. 44,12), сечиво, топор.
ეწერი (ხე) ხშირი ჭალა ველოვან-ნისლოვანი.
ეჭვი, იჭვი არა დასტურად, არამედ მიხდომით შემოღება ცილისა (1 კორ. 10,25 და შემდგომი; 2 კორ. 5,7), сомнение, подозрение, ეჭვა (ვეჭუ, ვეჭვობ) ეჭვიანობა, იჭუნეულება (ფსალ. 118,39), непщевати (ვეფხისტ. 109 და შემდგომი), чаю, думаю, кажется.
[**ეხლა** теперь].
ეჯი ექუსი ათასი ნაბიჯი, ანუ მხარი (ნახე მილი) (ვეფხისტ. 471,940), миля. თ. ალაჯ.
ეჯიბი ხელჯოხიანი, მეფის წინაშე მდგომი (ვეფხისტ. 141), [привратник, камергер].
ეჰა! შორისდებული წოდებითი, ანუ განკჳრვებითი, მაგალ., ეჰა, მთიებო!
ეჰინი ექინი ნახე.

ვ

ქარაგმიანნი ლექსნი ამას ასოსა ზედა არიან: ვ῀დ—ვითარმედ, ვ῀ა—ვითარცა, ვ῀ე—ვიდრე, ვ῀რ—ვითარ.

ვ დაერთვის თავად სახელთა თჳნიერ საჭიროებისა და არა რასმე ჰნიშნავს, თუმცა არა ესრეთ ხშირად, ვითარცა მ. მაგალ., იგრი—ვიგრი, ზინდარი—ვზინდარი, იწრო—ვიწრო, იშ—ვიშ.

ვ თავად ზმნათა არს მაპიროვნებელი პირველისა პირისა. მაგალ., ვამბობ, ვაკეთებ, ვჰკითხულობ, ვსწერ და სხ. და ესრეთ უკეთუ ზმნანი ქართულნი ამას ლექსიკონსა შინა აღწერილ იქმნენ პირველითა პირითა, მაშინ იგინი სრულიად შემოკრებულ იქმნებიან ამას ასოსა შინა, გარნა დაწერილ არიან მხოლოდ ძირნი მათნი, ე. ი. სახელზმნანი თჳს თჳსსა ადგილსა და შემდგომად მათსა ფრჩხილთა შორის დაწერილ არიან პიროვანნი მათნი ზმნანი, ვითარ უბნობა (ვუბნობ), კეთება (ვაკეთებ), წერა (ვსწერ) და სხ.

შეისწავე, რამეთუ ასოთა ვ გაპიროვნებულნი ზმნანი ჰნიშნავენ საზოგადოსა მოქმედებასა სამთავე პირთასა, ხოლო ოდესცა ზმნანი შეიცვლებიან პირნაკლად და მოქმედება მიეჩემების პირველსა პირსა, მაშინ იხმარების მ. მაგალ.: მეუბნები, მეუბნების; მიკეთებ, მიკეთებს; მიწერ, მიწერს და სხ. ხოლო ოდეს მოქმედება მიეჩემების მეორესა პირსა, მაშინ იხმარების გ. მაგალ.: გეუბნები, გეუბნება; გიკეთებ, გიკეთებს; გიწერ, გიწერს და სხ. (იხილენ ასოთა თანა მ, გ და უ).

ვ ბოლოდ არს ნიშანი წოდებითისა ბრუნვისა სახელთასა. მაგალ., მამავ, დედავ, ძმავ და სხ., კუალად ვი დაერთვის სახელთა დაბოლოვებულთა უ-ზედა ნაცულად ჳ (ნახე ჳ).

ვაგლახ! ვაგლახმე! ვაჲ გლახ! ვაების ხმა (ნახე გლახ!) (ვეფხისტ. 621), горе! увы!
ვაგლახი, ვაგლახობა იგივე (ვეფხისტ. 96,233, 253,418).
ვადა პაემანი, ბორჯი, срок.
ვადა ხმლის ტარი ჯვარედინი; უვადო ხმალი (ნახე ხრმალი).
ვაება (ვვაებ) გლოვა, გოდება (ტირილთან ნახე) (ვეფხისტ. 329 და შემდგომი).
ვაზი (ხე) ყურძნის ხე, лоза виноградная.
ვაზირი ვეზირი (ვეფხისტ. 34).
ვაზნა მუხტი, თოფის წამლის მასრა, ან ქაღალდში გახვეული გასატენი, патрон.
ვაკე ბარი, თანასწორი, შანდაკი ადგილი (ისაი. 40,4), гладкий, ровный, равнина.
ვალ, ხვალ, ვალხ ზმნა უკანონო (ნახე სლუა, ანუ სიარული), ходить.
ვალალა, ვალალება (ვვალალებ), ვაება, გოდება, კუნესა (ტირილი ნახე) (ოსე. 7,14), плакать, рыдать.

ვალანი სახლთ გარემოვლებული ფიცრის გალავანი (ნახე ზღუდესთან) (იერემ. 49,31), забрало, забор.

ვალება (ვავალებ, ვივალებ) ვალის მიცემა ან მილება (ვასხება ნახე), одолжать, -ся, давать, или брать в заем.

ვალი თანანადები გარდასახადი, ვახში, ვახჩი, долг. [გარდახდა ცის ვალისა; ცის ვალი დედამიწას არ შერჩება].

ვანი სადგომი, ბინა (მარკ. 8,3; საქმ. 10,6,18 და შემდგომი, კრალად 28.23), дом, пристанище, жилище, квартира.

ვაჲ ხმა სავაებო (მატ. 11,21 და 23,13 და შემდგომი; გამოცხ. 12,12), горе, *βαί! βάκ.*

ვაჲმე, ვამე, ვაჲმი იგივე (ფსალ. 119,5; ვეფხისტ. 340 და შემდგომი), увы мне.

ვაჲ შენი ბრალი შენ მებრალები (ვეფხისტ. 908), жаль тебя.

ვაჟი წული, ძე შვილი (ვეფხისტ. 11), сын, ребенок.

ვაჟინა ხილთ წვენი შაქრითა ან თაფლით შეზავებული, сироп.

ვაჟკაცი ახალგაზდა მამაცი, молодец.

ვარ, ხარ, არს ხმნა არსებითი (ფსალ. 1,1), есмь, ზოგგან ლექსთა გასაწყობად დაუდვიათ: ვ ა რ ი მ ე (მუნვე, 24,17). ხ ა რ ი შ ე ნ (2,7).

ვარაგი ნაშვლის გნდე.

ვარაყი ქანდა, накладное, сусальное золото, *βαράκι.*

ვარგა სახმარია, გამოდგება, годится.

ვარგისი გამოსადეგი, годный.

ვარდი (ხე, ვეფხისტ. 35, 49, 83, 1337), роза.

ვარდის ზეთი გამონახადი ვარდის სინოტივე, სუნნელი, розовое масло.

ვარდისუბანი სავარდე ადგილი, розовая аллея или кустарник. თ. გულისტან.

ვარდის წყალი ნადული ვარდისა, розовая вода.

ვარდკანაფა (ხე) თმიანა, ქარაძენძა, божие дерево, чернобыльник.

ვარდკაჭაჭა (ბალ.) цикорий.

ვარდკოხა, ვარდგოხა ქუნთრუშა, корь.

ვარდობის თვე მაისი (ნახე ზოდიაქოსთან), май.

ვარვარი (ვარვ-რებს) ლაპლაპი, უკომლოდ ნთება, წითლად ჩენა ალისა და ნაკვერცხალთა.

ვარზი მახვილი (ცელივით ბარუქ; იერემ. 6,14), меч.

ვარია (მფრ.) მოზდილი მართვე შინაურთა მფრინველთა: ქათამთა, ინდოურთა, ბატთა, იხუთა და მისთანათა.

ვარია მომცრო სადღვებელი.

[ვარიხი]

ვარმანდი ანაფორა, პალეკარტი.

ვარხიმი დალაქი, თავისა და წვერთა მპარსველი.

ვარსკულავი ზოგადი სახელი მნათობთა ცისათა, ღამით ხილულთა (ფსალ. 8,3; მატ. 2,2 და შემდგომი), звезда.

ვარსკულავედი სამოსელი ხალასად ნაკერი.

ვარსკულავთმრიცხველი ასტრონომოსი (შაეთ. 2), звездочет.

ვარსკულავკრებული, თანვარსკულავედი რაოდენნიმე ვარსკულავნი ერთად მდგომნი ცასა ზედა, რომელნიცა მიმსგავსებითა ცხოველთა, ანუ ნივთთა უწოდებიათ მათითა სახელებითა, ვითარცა 12 ბურჯნი ზოდიაქოსანი, კრალად ხ ო მ ლ ი, გ ჳ რ გ ჳ ნ ი, ანუ ც ხ ე ნ ი ს ნ ა ლ ი, დ ა თ ვ ი, რომელსაცა მსოფლიონი უწოდებენ რ ვ ი ლ ა დ და სხუანი, созвездие.

ვარსკულავმორბედი ტატანი. ღამით მფრინავი ვარსკულავი, бродящие огни.

ვარშამანგი თავმოსახვევი მანდილი, საბურველი, ანუ ბექთა ჩამოსაფარები სამხრე, ბარტყულა (გამოს. 28, 4, 37 და 39,40), клобук, кидарис, наглавие (ლევიტ. 8,9), увясло, митра (საქმ. 19,12), главотяж.

ვარცლი მცირე ნავი, ანუ ცომის მოსაზელი ბურეჯი, корыто, *βατζέλι*[1]. // ხონჩა, ტაბაკი (დან. 14,32—33), ношва, почва.

ვარძმი უარის თქმა (ვერა, ძმავ!). თ. ჰაშა.

ვარხვი (მფრ., ფსალ. 101,7), неясыть, ხოლო ზოგგან ფ ე ნ ი ქ ს ი ს მაგიერ დაუდვიათ (იხილე მუნ).

ვარჯი ქოჩორი კაცთა (ნახე თმასთან) (ეზეკ. 24,23), власы. // მიმსგავსებით იხმარების შეფურცვლილთა ხეთათჳსცა.

ვარჯოვანი, ვარჯოხანი ქოჩრიანი (იერემ. 3,6 და 17,2), лиственный.

ვარჯიში, ვარჯიში, ვარჯისობა (ვვარჯისობ) ხელოვნება, ზეპირება, твердить, упражняться.

ვასილისკო (მძრ.) ერთგუარი გველია გესლიანი (ფსალ. 90,13), василиск, *βασίλισκος.*

ვასხება (ვავასხებ) დავალება, ვალის მიცემა (ფსალ. 36,26), одолжать, в заем давать, (ვივასხებ) ვალის აღება, ანუ ნათხოვრად

---

[1] *τὸ βατσέλο* — ასეა ცნობილი ეს სიტყვა ბერძნულ ლექსიკონებში. რედ.

მიღება (მუნვე, ფსალ. 36,21). занимать, заимствовать.

ვასხებითი ნაცვალგებითი, ურთიერთარსი, რაჲ-სამიმართობითი, взаимный.

ვასხი ვახში ნახე.

ვაქილი ვექილი, თანამოსარჩლე სამსჯავროთა შინა ფასით (ვეფხისტ. 199) (სჳნდიკოსი ნახე).

ვაშა-ვაშა! ვიშ-ვიშ! ვახ! ვახაჲ! შორისდებულნი ესე ჰნიშნევენ ანუ საწადელის მიმთხვევასა, ანუ მუქარასა, აგდებასა, იშნის მოგებასა და სხ. (ფსალ. 34,21,25; ვეფხისტ. 294), благоже, благоже!, хорошо, хорошо! Э!, О! // ზოგჯერ ვ ი შ, ი შ, ვ ა ხ! იხმარებიან ნაცულად ვ ა ჲ! ვ უ ჲ ან უ შ!

ვაშკარანი ზოგადი სახელი შთასადებელთა ჰურჰელთა ნაქსოვთა, ანუ ტყავისათა (დაბად. 44,8), вретище (მატ. 10,10), пира, сума (ლუკ. 22,16), мех, ესენი არიან: ბ ა ლ ა ნ ტ ი, გ უ ა ლ ა გ ი, გ უ დ ა, ვ ე ლ ა ვ ა რ ა კ ი, თ ა ლ ი ა, თ ა ლ ი ს ი, მ ა ფ რ ა შ ა, მ ა ნ დ ი კ ი, მ ა ხ ა ლ ი, მ ა ხ ა ლ ი კ ი, პ ა რ კ ი, ს ა ც ა ლ ო, ტ ო მ ა რ ა, ქ ი ს ა, პ ა ვ ა რ ა კ ი, ს ა ქ უ ფ თ ე, უ რ ნ ა ტ ა, ტ უ ნ კ ი ა, ჩ ა ხ ვ ი, ჩ ა ლ თ ა ანუ შ ა ლ ი თ ა, შ უ ლ დ ა კ ი, ხ ა ლ თ ა გ უ დ ა, ხ უ რ ჯ ი ნ ი. ა ბ გ ა, ჯ ა ლ დ ა ნ ი, ჯ უ ზ დ ა ნ ი გინა ა მ ი ა ნ უ რ ი.

ვაშლატამა (ხე) გარედამ ჰგავს ვაშლსა, ხოლო შიგნიდამ არს ატამი მისის კურკითურთ. адамово яблоко.

ვაშლი ცნობილი ხილი, რომელიცა არს მრავალგუარი: თ უ რ ა შ ა უ ლ ი, მ ა ჲ ა ლ ო, ხ ო მ ა ლ დ უ რ ი, яблоко.

ვაშლის ხე (ხე, ქებ. 2,3), яблоня.

ვაშტი ეპივატი, მხედარი, მოლაშქრე (2 სჯული. 20,1), всадник.

ვაცი, ვაციკი (ოთხფ.) მამალი თხა, ბოტი (იხილე თხასთან) (ფსალ. 49,9, 13 და 65,14), козел.

ვაცირემი (ოთხფ.) ხარირემი, ანუ ჯიხვი.

ვაცისწვერა (ბალ.).

ვაჭარი საქონელთ მოფარდული (მატ. 13,45; ვეფხისტ. 1019 და შემდგომი), купец. ს. ვაჭარ.

ვაჭრობა საზოგადოობა ვაჭართა, купечество. //მოფარდულობა, ალებ-მიცემა, торговля.

ვაჭრობა (ვვაჭრობ) მოფარდვა და განფარდვა სავაჭროთა (ვეფხისტ. 978), торговать.

ვაჭრული საკუთნავი, საფერი ვაჭართა (ვეფხისტ. 1245 და შემდგომი 1390), купеческий.

ვახ! ვახაჲ! ნახე ვაშა!

ვახმი, ვახმიათი ეკლესიის შეწირული მამული სარგოს მომცემი, ვითარ სახლნი, ვენახი, სახნავი, მტილი, კაპილიონი და მისთანანი, фундуш, церковные угодья.

ვახშამი მწუხრის შემდგომი ნადიმი (ნახე სერი), ужин.

ვახში გარდამეტებული სარგებელი ვალისა, აღნადგინები (გამოს. 22,25; იერემ. 9,6), лихва, рост.

ვეგი სათამაშო კოჭი, ცხურის ფეხის ძუალი, ხოლო ზროხათასა ჰქვიან კ ო რ ნ ა ტ ი.

ვედრება (ვევედრები) ხვეწნა, თხოვა, აჯა (ფსალ. 6,9 და 16,1; მატ. 8,5, 31,34), молить, умолять.

ვედრი აჯა, სახვეწარი, სათხოვარი, молепие, прошение, просьба. // დავედრებული, დაბარებული, ნამცნები, შეკვეთილი (ლევიტ. 6,2 და 1 ტიმოთ. 6,20), поручение, предание.

ვეება საოცერა, დიდი რამ უზომოდ, огромный.

ვეზირი ვაზირი, მესაიდუმლოვე, თანაგანმზრახი, თანამზრახველი, визирь, министр, *βεζήρης*[1].

ველი კორდი, მინდორი, ტრამალი (ფსალ. 64,11 და 77,43; მატ. 24,18,4; ლუკ. 2,8), поле.

ველის ყრდელი (ბალ.) ვენახის ღიჭას ჰგავს და მწარეა (გამოს. 12,8), горькое зелье.

ველობი ვაკე, ბარი ადგილი (ზაქარ. 7,7), подольная.

ველური გარეული, მინდვრისა, дикий.

ველური ვირი (ოთხფ.) კანჯარი (იერემ. 14,6), онагрь; თაფლი ველური (ნახე თაფლი).

ვენახი მტილი საყურძნე, ზვარი (მატ. 20,1 და შემდგომი; ფსალ. 79,8,14), виноградник. //ზოგჯერ ჰნიშნავს ვაზსა (იოან. 15,1,4 და შემდგომი), лоза.

ვეჟანი შაემოისფრო (რუხთან ნახე), сизый.

ვერ, ვერა უკუთქმითი ზმნისზედა, მნიშნველი შეუძლებლობისა (საქმ. 4,16), нет, не могу, ხოლო ა რ ა — უნდომელობისა. ამის გამო ვ ე რ იხმარების ნაცულად ზმნისა არა ძ ა ლ მ ი ძ ს, არ შ ე მ ი ძ ლ ი ა. მაგალ., ვერ

[1] *βεζῖρης, βαζύρης*. რედ.

დავდივარ, не могу ходить, ვერ დავსწერ. не могу написать, არ დავდივარ, не хожу, т. е. не хочу ходить, არ დავსწერ, не напишу, или не хочу написать.

ვერაგი მზაკვარი, ხელოვანი, მცბიერი, хитрый. коварный.

ვერაგობა მზაკვარება, მანქანება, хитрость, коварство.

ვერანა უშენი, უმკვდრო, ნაოხარი ადგილი, пустошь, пустопорожнее место. თ. ხარაბა.

ვერარა, ვერარაჲმე ვერაფერი, შეუძლებლობის უკუთქმა (ნახე არარა).

ვერსი, ვერსტი რუსული საზომი გზისა, 500 საჟენი, გინა 1250 ბიჯი, ანუ 625 მხარი, უკეთუ 1 მხარი იანგარიშო ორ ნაბიჯად (მილი ნახე), верста.

ვერღარა

ვერცხლი, ვეცხლი ძვირფასი მეტალლი, შემდგომად ოქროსა უმჯობესი სხუათა, ფერით თეთრი, ვინაცა ლექსი ესე თ ე თ რ ი იხმარების ნაცულად ვეცხლისა, ოდესცა ჰნიშნავს საფასესა ფულსა (ფსალ. 14,5 და 65,9; მატ. 10,9), сребро, серебро.

ვერცხლეული შემკრებელობითი სახელი, დამნიშვნელი ვერცხლისგან შექმნილთა ნივთთა, сребро, серебряные вещи.

ვერძი (ოთხფ.) მამალი ცხუარი, ერკემალი (ფსალ. 64,13 და 65,14, კუალად 113, 4, 6), овен.//ნიშანი ზოდიაკოსი, რომელიცა მარტსა შინა მიითუალავს მზესა (ნახე ზოდიაკო).

ვერხვი (ხე, ისაი. 41,19; ვეფხისტ. 139), тополь, осина.

ვეფხი (ოთხფ., დან. 7,6), рысь (ვეფხისტ. 859 და შემდგომი), тигр или барс.

ვექილი ვაქილი, მაგიერი მოსაქმე, агент, поверенный.

[ვეღარა ნახე ვერღარა].

ვეშაპი (თევზ.) დიდი თევზი ანუ ცხოველი წყლისა (დაბად. 1,21; იოან. 2,1), кит. ს. ვიშაბ, კეტ.// დიდი გველი (დან. 14,26 და შემდგომი; ამოს. 9,3), змий, змей.

ვეცხლი ნახე ვერცხლი. ვ ე ც ხ ლ ი ს წ ყ ა ლ ი ნახევარმეტალლი, მძიმე და ნოტიო, ртуть.

ვეძა წყარო ბუნებითად მლაშე, ხმარებული საჭმელთა შინა მარილის მაგიერ (ნახე წყალი და მარილი).

ვეხნა, ვეხნები ჭურჭელი სამსხვერპლოთა (იერემ. 52,12), чаша.

ვზონდარი მეჯინიბე, конюх, конюший.

ვზონდართუხუცესი მეჯინიბეთუხუცესი, ამირახორი, шталмейстер (ლექსნი ესე ხმარებულ არიან სიგელთა შინა იმერეთის მეფეთასა).

ვიგრი, იგრი (ოთხფ.) ხულიკის მსგავსი ცხოველი, უდიდესი მისი, რომლისაცა ტყავი არს ძუელებით მოლურსმნილი და გააკურენ ქარქაშთა სასწრაფო საპირისწამლეთასა და სხუათა საომართა საჭურველთასა (ვ. გორგასლანს აქუნდა ფარი ვიგრისა, ქართლის ცხ.).

ვიდრე, ვიდრემე სადა (ფსალ. 138,7; იოან. 14,5) камо, куда.

ვიდრე, ვიდრელა, ვიდრელარა ვირემც, როგორც (ფსალ. 36,16 და 117,8 და შემდგომი), паче, нежели.

ვიდრე, ვიდრემდის სადამდინ ანუ როდემდინ (ფსალ, 12,1 და შემდგომი, კუალად 17,37 და 56,1), доколе, дондеже.

ვიდრე, ვიდრემდე მუნადმდე (ფსალ. 35,5 და 41,4, კუალად 49,1), даже до.

ვიეთი, ვიეთიმე ზოგი, რომელიმე (მატ. 17,25), кий, некий, некто, некоторый (ებრაელ. 3,18), кой же, который же.

ვით, ვითა ვითარცა, როგორც (ვეფხისტ. 441, 537), как.// ვით ბოლოდ ჰნიშნავს ე ბ რ, ლ ო მ ს ა ვ ი თ, ლ ო მ ე ბ რ.

ვითამ, ვითამც მითამ, რეცა, будто, будто бы.

ვითარ რაბამ, რაოდენ (ფსალ. 65,4 და 72,1 და 83,1), коль.

ვითარება დაკვეთება მაგვაროვნებელი საქმისა თავსა შორის თჳსსა, ანუ სხვაობა სხვაობათა (კატიღ. ანტ. § 159), качество. // გარემოება, მაგალ., ჟამთა ვითარება, обстоятельство времени.

ვითარი როგორი, какой, каковой.

ვითარმედ კავშირი მიზეზობითი, что (ისაი. 2,2), яко. ვითარმედ და რომელ ანუ რამეთუ სხვაობენ ესრეთ: ზმნათა წარმოთა სულიერთა ძალთაგან, რომელ არიან: ვ ჰ გ ო ნ ე ბ, გ ა ნ ვ ს ჯ ი, გ ა მ ო ვ ი ხ ა ტ ა ვ, მ ა ხ ს ო ვ ს და სხ. ანუ გარეგანთა გრძნობათაგან, ვ ხ ე დ ა ვ, მ ე ს მ ი ს და სხ. ამათ შეუდგების ვითარმედ. მაგალ., ვ ჰ გ ო ნ ე ბ, ანუ მ ე ს მ ი ს, ვითარმედ მოსრულ არიან, ხოლო ზმნათა წარმოთა სულიერთა ვნებათაგან, რომელ არიან: მ ი ხ ა რ ი ს, მ ი კ ჳ რ ს, მ ე შ ი ნ ი ს, ვ ი ნ ა ნ ი, ვ ს წ უ ხ და სხ. ამათ შეუდგებიან რომელ და რამეთუ. მაგალ., მ ი ხ ა რ ი ს, მ ი კ ჳ რ ს, რომელ მოსრულ არიან; გინა რამეთუ მოსრულ არიან; აქა ვითარმედ უჯერო არს; მეშინის, რათა არა მოვიდენ.

ვითარცა როგორც, ანუ რამეთუ (ფსალ. 1,3,4; ლუკ. 1,2), **яко, как.**

ვინ ნაცვალსახელი კითხვითი, მნიშვნელი პირისა, ხოლო ნივთსა ზედა იხმარების რაჲ (ფსალ. 14,1 და 23,3), **кто?** // ვინცა კულავ მოლებითი (ნახე ცა), ვინძი (ნახე ძი).

ვინა? საიდამ (მარკ. 8,4; ლუკ. 1,43; ფსალ. 120,1), **откуду, откуда?**

ვინა, ვინცა საიდამაც და ზოგჯერ დაიდების ნაცვლად კავშირისა, მაშა, მაშასადამე, **отсюда, из сего, по сему.**

ვინათგან, ვინაჲთგან (კავშირი მიზეზობითი) რადგან, რადგანც (ლუკ. 1,1; ფსალ. 77,20), **понеже, поелику.**

ვინემც ვირემც, ვიდრე, ვიდრელა, **нежели.**

ვინძლო, ვინძლივ (ზმნისზედა გასამხნობელი), თუმცა ძალგედვას, თუ კაცი ხარ.

ვირემც

ვირთაგვა (ოთხფ.) ზაზუნა, დიდი თაგვი, **крыса.**

ვირთხა (ოთხფ.) სინჯაფს ჰგავს, **летяга.**

ვირი (ოთხფ.) სახედარი, დაბალი ჯორი, კარაული (ნახე ცხენთან) (მატ. 21,2 და შემდგომი), **осел, ишак.**

ვირის ტერფა (ბალ.) **белый копытник, матерник, мать и мачеха.**

ვირკენტავროსი ვირდევი, ვირკაცი, ანუ იპპოკენტავროს (ისაი. 13,22), **ипокентавр.**

ვირფეხი სამფეხი ხე წყალთ გასაღობავი, **козлы под мостами.**

ვისხონი ნახე ბისონი.

ვიშ, ვიშ, იშ! ნახე ვაშა!

ვიწრო, იწრო უგანო, არა მექონი საკმაოს სიფართისა (ვეფხისტ. 790), **узкий, тесный.**

ვლამი ნახე ლამის.

ვლდომა (ვგლდები) ხლტომა (ისაი. 35,7), **скакать.**

ვლენა, ვლინება (ვავლენ, ვავლინებ) ტარება ანუ გაგზავნა, **водить, посылать.**

ვნება (ვავნებ) ძვირის შემთხვევა, დაჩაგრვა დაჯაბნვა (ფსალ. 34,1 და 104,14; მატ. 20 13; საქმ. 7,26 და შემდგომი), **обижать** //(ვივნებ) ძვირის ხილვა, გამოვლა ტანჯვას: და მწუხარებასა შინა (მატ. 16,21 და 27,19) **страдать, пострадать.** // (მევნების) იგივე (1 პეტრ. 4,1,13 და შემდგომი; 1 კორ. 6,7) **страдать, быть обиженным.**

ვნება ხორციელი სნეულება, ტანჯვა და მისთანანი, **страдание.**

ვნება სულიერი მწუხარება, რისხვა, გულისთქმა, განკვრვება, სინანული და სხ., **страсть.**

ვრაქია ნახე მეჩეჩი.

ვრდომა დაცემა, დავარდნა (ნახე დავრდომა).

ვრცელი განიერი, ფართო (ფსალ. 103,25; მატ. 7,13), **пространный, обширный.**

ვსება (ვავსებ, ივსების) ავსება, აღვსება, **наполнять.** // დავსება, დაშრეტა, გაქრობა, **гасить, тушить.**

ვუა! ვაჲ!

ვჰზამ, ჰზამ ანუ **ვიზამ, იზამ** (ნახე ზმა და ზმნობა).

ვჰზი, ჰზი, ჰზის ანუ **ზინ,** მრავლ. ვსხედვართ, სხედხართ, სხედან (ფსალ. 46,9), **сидеть, восседать.** განვლილი ვჰსჯედ, მრავლ. ვისხედით (ნახე ჯდომა და სხდომა).

ზ

ქარაგმიანნი ლექსნი: ზ͞ა—ზედა.

ამას ასოსა აქუნ ზედდადებულნი მარცვალნი: ზე, ზედ, ზედა. ვითარ: ზეაღსლვა, ზესხდომა, ზედნადები, ზედმიწევნილება, ზედადართვა და სხ.

ზოგჯერ ზ შეიცვლების ჟ, ანუ ძ, ვითარ: ზრიალი—ჟრიალი, შეზიზინება—შეჟიჟინება, ანუ ზარი—ძარი, ზირა—ძირაკი, ბზარვა—ბძარვა, ზახილი—ძახილი, ზროხა—ძროხა, კულად იხმარების ზ ნაცვლად ს, წინაშე ასოთა გ და დ, ვითარ: მზგავსი—მსგავსი, მზგეფსი—მსგეფსი, მიზდევს—დაზდევს, მისდევს—დასდევს, მიზდი—მისდი. ეგრეთვე ხმოვანთა შორის ასოთა: ანგელოსი—ანგელოზი, კათოლიკოსი—კათოლიკოზი, ანუ ნაცვლად წ: აწევა—აზევა, იმერულად გაზი—გასწი, მუწუკი—ბუზუკი და სხ.

ზაბილური დაფი ანუ ეგევითარი რამე (რუსუდანიანში, კარი 4).

ზადი კნინი რამე, ბრძვილი, ნაკლებობა, **порок, недостаток.** // გრძნობა სინაკლისა (ვეფხისტ. 116).

ზადიკი, ზატიკი სომხურად დღესასწაული, **праздник.** ს. ზატიკ, ზადკი. // ზოგგან დაუდვიათ პასექის მაგიერ (1 კორ. 5,7 და შემდგომი, საქმ. 12,4), **пасха.** // წიგნი საგა-

ლობელთა პასექიდამ ვიდრე ყოველთა წმიდათა კვრიაკედმდე, триодь цветная.

ზადიკობა (ვზადიკობ) დღესასწაულობა (1 კორ. 5,8), праздновать.

[**ზავება** растворение].

ზავთი ბაქი, რიხი, угрозы.

ზავი თანხმობა. თანშეკრულობა, ერთსულობა, შერიგება (ვეფხისტ. 319), мир. союз, согласие. // შეზავება. ზომიერად შეერთება ნივთთა (ნახე მოზავება), растворение.

ზაზუნი (ოთხფ.) сурок.

ზათქი ბგერა, ჭექა, დიდის ხმის გალება (ვეფხისტ. 968,1169, 1400), треск, звук.

ზაკვა (ვზაკვავ) ენით ჩვენება სიყვარულისა, ხოლო გულში დაფარვა ბოროტისა (ფსალ. 5,9 და 14,3. კუალად 35,2) льстить. // (კუალად იხილე მატ. 26,4; მარკ. 7.22 და 14,1; ფსალ. 9,27 და 31,2), лесть, хитрость, ласкательство, лукавство.

ზაკული, ზაკვიანი მზაკვარი, ვერაგი. მცბიერი (ფსალ. 11,2 და 16,1). льстивый. коварный.

ზალა ნახე წალა.

ზალაყინი ძალაყინი.

ზალვანი ფეხის ხუნდი (ნახე ხუნდთან).

ზამბაკი, ზამბიკი ანუ **ზაბაკი** (თევზ.) ხლჳს ნიჟარა მარგალიტის მოქმედი (ანდრ. კრიტელის თქმულში).

ზამბარაკი საჟამოთა და სხუათა მანქანათა მძრეველი დახვეული ფოლადი, пружина.

ზამბახი (ბალ.) შროშანა. ландыш, лилия. თ. სუმბულ [სპ.].

ზამბილი ჭილობისგან დაწნული პარკი (ნახე სფირიდი), кулёк, ζεμπίλι.

ზამბულაკი დიდი თოფი, აქლემით სატარებელი, სპარსეთში ხმარებული, фальконет.

ზამთარი წლის ნაოთხალი, დრო სიცივისა, ე. ი. 3 თთვენი: დეკემბერი, იანვარი, ფებერვალი (მატ. 24,20), зима.

ზანგი შავი კაცი (ვეფხისტ. 120,1129 და შემდგომი), черный, негр, мавр.

ზანგელა შავწითელა, ინდუშა, მურა.

ზანდრაბეგი ჭადრაკის მეფის მხედრულად გარდახტუნება.

ზანდუკი სკივრი, კიდობანი (ნახე ზარდახშა), сундук, Σενδοῦκι. // პინაქსი, სარჩევი წიგნისა, оглавление.

ზანდური (ბალ.) თათუხი პური, რომლისაგან გაკეთდება სამინდო, ხლარჩი ფქვილი.

ზანზალაკი მცირე ზარი, колокольчик.

ზანზარი (ზანზარებს) რხევა, ძრევა შენობათა, მიწისა და სხ., трястись.

ზანტი ზარმაცი, დაზარებული, хоппый.

ზანჯაფილი, ჯანჯაფილი (ბალ.) კოჭა, имбирь, τζεντζεφύλι.

ზარადი მუზარადი, საომარი თავსახურავი (ნახე ზურთან) (ვეფხისტ. 1369), кираса.

ზარაზონა, ზარაზინი დიდი ევანი ჯორთა, აქლემთა და მისთანათა შესაბმელი.

ზარაფი მეკერმე, ფულის პატრონი ან დამახურდავებელი, банкир, меновщик, Σαράφης, Σεράφης. თ. ზარაფ [არაბ.].

ზარბაბი золотая ткань.

ზარბაზანი უდიდესი თოფი, ვიეთთამე ქ ვ ე მ ე ხ ი უწოდებიათ, пушка.

ზარდანჩო (ბალ.). ბალახის ძირი, ყვითლის საღებავი.

ზარდახშა შთასადებელი მაგარი ჭურჭელი, შექმნილი ფიცართაგან და მისთანათა (შავთ. 43), ესენი არიან: გ ვ ა დ რ უ ც ი, გ ო გ რ ო ხ ი, გ ო დ ო რ ი, ზ ა ნ დ უ კ ი, კ ი დ ო ბ ა ნ ი, კ ო ლ ო ფ ი, ს კ ი ვ რ ი, ხ ვ ი მ ი რ ა, ხ ო კ ი, ხ ო კ ე რ ი, ящик.

ზარდიონი (მფრ.) ცხრა მუცელა.

ზარზამინი სარდაფი შენობათა ქვეშე, подвал.

ზარი, ზარა სარეკელი რვალისა, დაკიდებული სამრეკლოთა ზედა ეკლესიათასა საცნობელად ლოცვის ჟამისა და სხ., колокол.

ზარი ელდა, ანაზდი შიში, განკრთომა (დაბად. 9,2; საქმ. 10,4; ვეფხისტ. 333,342,576), ужас, трепет, страх. // შ ი შ ი ს ზ ა რ ი, ანუ თავს ზ ა რ ი ს დაცემა, გაშტერება შიშისგან, ელდის ცემა (ჩახრუხ. 60,61), поражение, изумление.

ზარი ზრუნი, გოდების ბანი.

ზარი, ძარი გოდორი, შესანახავი სიმინდისა და მისთანათა, ანუ ქორთ საჯდომი გალია.

ზარმაცი ზანტი, მცონარი, ленивый.

ზარნაშო (მფრ.) დიდი ბუ (ლევიტ. 11,14), неясыть.

ზარობა (ვზარობ, მეზარება) არა ნდომა საქმის გაკეთებისა, лениться.

ზარქაში სირმა, სხეპლა ოქროსი ან ვეცხლისა განზიდული.

ზატიკი ნახე ზადიკი.

ზაფრა გვინი, დანდალუკი, სენი ნაღველის ბალღამის სიჭარბისაგან, желтуха, желчь.

ზაფრანა (ბალ.) კრკო, ქურქუმა, სუნნელი ყუავილი ბალახთა, ფერით ნარინჯი (ვეფხისტ. 344,493, 679), шафран, ζαφράνι.

ზაფხული წლის ნაოთხალი, ჟამი სიცხისა, ე. ი. 3 თთვენი: ივნისი, ივლისი, აგვსტო (ფსალ. 73,17; მატ. 24,32), лето, жатва.

ზაქი (ოთხფ.) კამბეჩის ხბო, მოზვერი (ნახე კამბეჩთან), молодой буйвол, теленок.

ზახება (ეიზახებ) შეძახება ქადილით, მუქარით (ფსალ. 82,2), шуметь, возшуметь.

ზახილი (ვიზახი, ვიძახი) ხმობა, კივილი (ვეფხისტ. 221,229,267 და 583), кричать.

ზახი ზავთი, ომახიანობა, ზ ა ხ ი ა ნ ი ომახიანი, მაღალხმიანი, голосистый.

ზდა, ზდილი ნახე ზრდა, ზრდილი.

ზე მაღლა, ანუ ცათა შინა.

ზებინი ნახე სებინი.

ზეგ ხვალის ხვალ, ანუ ხვალის შემდგომს დღეს (2 სჯული. 6,20), утре, после завтра.

ზეგარდამო ზეცით, ანუ ღვთისგან (იოან. 3,31 და 19,11; ფსალ. 77,23), свыше.

ზედა, ზედან თანდებული მიცემითსა ბრუნვასა თანა ხმარებული (ფსალ. 3,1,8 და 8,1, 6,9, კვალად 10,1; დაბად. 1,2,7,17; ვეფხისტ. 411), на, над, по.

ზედადართვა (ზედადაერთავ) ზედ დამეტება, შეძინება (მარკ. 4,24), прилагать.

ზედადასხმა (ზედადავსხამ) მაღლა შეჯდინება მრავალთა.//(ზედადაეესხმი) მიხდომა მტრულად, нападать.

ზედადგარი ფეხებიანი რკინა ქვაბთა ცეცხლზედ შესადგმელად, таган.

ზედაკერძო ზევიდამ, თავზედ (გამოს. 26,14), сверху.

ზედამდგომელი ზედამდეგი, თავს მდგომი და რიგის მიმცემი საქმისა, ანუ მუშაკთა, надсмотрщик, надзиратель.

[**ზედამისვლა**].

ზედამხედველი ვინც დახედავს მოქმედებასა ხელის ქვეშეთასა, დაარიგებს და გაუმართავს, надсмотрщик, ревизор.

ზედან ნახე ზედა (ვეფხისტ. 29,411), над.

ზედაზედა ზედიზედ, ხშირად (საქმ. 12,16; ვეფხისტ. 42,142, 843), часто, беспрестанно.

ზედაშე ღვინო, ხმარებული ჟამისწირვასა ზედა სეფისკვერსა თანა, церковное вино. //მსოფლიონი უხმობენ ღვინოსა შენახულსა სთულის დროს პატარა ქოცოში, ვიდრე დღეობადმდე სალოცავის ადგილისა და მაშინ მოხდიან, თან წაიღებენ ნაკვების ზვარათურთ ეკლესიის კარს, სადაცა ნაწილსა ზედაშისა და დაკლულის ზვარისასა მიართმევენ სამღვდელოთა. ზოგს დაურიგებენ გლახაკთა და დანაშთენს მიიღებენ თვთ მუნვე.

ზედაწარწერა წიგნის სახელი. ანუ საზღვარი эпиграф. заглавие.//დაწერილობა ფულთა ზედა, შენობათა, საფლავის ქვათა და ეგევითართა (მატ. 22,20), надпись.

ზედგარდავლა (ზედგარდავივლი) გაქელვა, ფეხით გაელა რაზედმე, растоптать.

ზედმიწევნა საფუძვლიანი ცნობა. ზ ე დ მ ი წ ე ვ ნ ი თ საფუძვლიანად, სარწმუნოდ, უიჭველად, основательно, достоверно.

ზედმიწევნილება საფუძვლიანი ცნობა მიზეზისა ნივთთასა, ანუ სრულებისა ხელოვნებათასა, ესრეთ, რომელ იხმარების ლექსი ესე ნაცვლად გულისხმისყოფისაცა (მეტაფ. ბაუმ. 204), разум, разумение (ისაი. 33.6), хитрость.

[**ზედმოწერილობა**]

ზედნადები მთოვარის განახლების საცნობელად მოპოვებული რიცხვ, основание в пасхалии, ათცხრამეტურისა, რამეთუ მთოვარის მოქცევი არს 19 წელიწადი (იხილე ქრონიკოს), ხოლო მთოვარის განახლებიდამ მეორეს განახლებადმდე განვლის $29\frac{1}{2}$ დღე, ანუ რაოდენითამე ჟამითა მეტნაკლები და ვინათგან: 1) თვთოეულსა წელიწადსა აქუს 365 დღე და უკეთუ განამრავლო $29\frac{1}{2}$ რიცხუსა ზედა 12 თთვეთასა, მაშინ დადგების 354 და ეს გამოსთვალო 365-დამ, დაშთება კვალად 11, მაშინ მთოვარე განახლდება თვთოეულს წელიწადს 12 ჯერ და კვალად დაშთება 11 დღე. ამას ეწოდების ზ ე დ ნ ა დ ე ბ ი. ამას მეორეს წელიწადს დაერთვის კვალად 11, შეიქმნება 22. მესამეს წელიწადს—კვალად 11, შეიქმნება 33. აქედამ 30 გაუქმდება, დაშთება 3, რომელიც იქმნება მესამის წლის ზედნადები. ამ 3-ზედ მესამეს წელიწადს დაერთვის კვალად 11, შეიქმნება 14 ზ ე დ ნ ა დ ე ბ ი და ესრეთ აღირიცხება შემდგომითი შემდგომად, ესრეთ რომელ უკეთუ ზედნადები გარდასცილდეს 30, მაშინ ეს 30 გაუქმდების და დანაშთენი მისი იქმნება ზედნადები. 2) 19 წელიწადში ერთხელ 11 დღის მაგიერ დაერთვის 12. ესე არს გასასწორებლად მომატებულთა დღეთა ნაკისათა და მთოვარის

მობრუნებისათა, რამეთუ 29 $\frac{1}{2}$ დღეს გარდა კჳალად რაოდენიმე ჟამი მეტნაკლებია. 3) უადვილეს დასანახავად ზემოთქმულისა, დაირთვის აქა 19 წლის ტაბლიცა 1827 წლითგან ქრისტესით, სადაცა მეათექჳსმეტესა წელსა 1842 ზედნადებზედ 26 დაერთვის 12. შეიქმნება 38, აქედამ 30 გაუქმდება, დაშთება 8 ზ ე დ ნ ა დ ე ბ ი მეათშვიდმეტის 1843 წლისა (ტაბულა 6. აქვე, მარჯვნით).

ესე არს ა თ ც ხ რ ა მ ე ტ უ რ ი მთოვარის მოქცევისა, რამეთუ ნიადაგ 19 წელიწადში ამავე რიგით მობრუნდება შეუცვალებელად და უკეთუ გენებოს, 1845 წელთა მიათუალე 19, რომელიცა იქმნება 1846-დამ ვიდრემდე 1864-დმდე და იგინი დასხენ ამ ტაბლიცაში დასხმულთა წელიწადთა მაგიერ. ა თ ც ხ რ ა მ ე ტ უ რ ი და ზ ე დ ნ ა დ ე ბ ი ისევ ისინი დაშთებიან შეუცვალებლად და ესრეთ შემდგომითი შემდგომად.

ხოლო მთოვარის განახლების ანგარიში, რადგანც დაბეჭდილის დაბადების ბოლოს ვრცლად არის განმარტებული და საქართველოში მრავალთ იციან ზეპირად, ვიდრელა უწიგნოთაცა, ამად არა შემოიტანების აქა, მხოლოდ ესე არს კჳალად სათქმელი, ვითარმედ მთოვარის ანგარიშსა შინა ზედნადებს დაერთვის კჳალად ორი რიცხჳ: 1. ჰქვიან ნ ი ა დ ა გ ი და 2. თ თ ვ ი ს თ ა ვ ი (ნახე თჳსთა ადგილთა).

ათცხრამეტური	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
წელნი ქრისტესით	1827	1828	1829	1830	1831	1832	1833	1834	1835	1836	1837	1838	1839	1840	1841	1842	1843	1844	1845
ქ͠კს ქართული	515	516	517	518	519	520	521	522	523	524	525	526	527	528	529	530	531	532	1
ზედნადებნი	11	22	3	14	25	6	17	28	9	20	1	12	23	4	15	26	8	19	30

ზედხაჩინო ზენაპირი, ეპიფანია (სხეულთან ნახე), **поверхность.**

ზედშესრული (სახელი) მნიშვნელი ვითარებასა არსებითისა სახელისასა, **прилагательное имя.**

ზევსი ♃ დია, მუშთარი (ნახე ცთომილთან), Юпитер—планета, *Ζεύς*.

ზეზე ფეხზედ, დგომელა, **стоя, стоймя.**

ზეზი მკედი და სირმა ერთად შესთული ორფერად (ნახე ოქრომკედი) (გამოს. 28,33 და 31,4, კჳალად 35,25), **виссон, галун.**

ზეთი (ებრაულია) ცხიმი მოსავალთ მარცვალთა (იხილე ცხიმთან) (ფსალ. 4,7; მატ. 25,3 და შემდგომი), **елей, масло постное.**

ზეთის ხე (ხე) ამისთა ხილთაგან გამოიხდების ზეითუნის ზეთი (ფსალ. 51,8), **маслина, масличина.**

ზეთის ხილი ნაყოფი ზეთის ხისა (საქმ. 1,12), **оливки.**

ზეიდალი ერთრიგი ჯავშანია (იქ ნახე).

ზეითი, ზევითი, ზემოთი მაღლა მყოფი, верхний.
ზეითუნი ზეთის ხის ზეთი, оливковое масло. //ფერი ამ ზეთისა, оливковый, темнозеленый цвет.
ზეიმი, ზემმი ანუ **ზამმი** გამომჩვენებლობა (ვეფხისტ. 74, 309, 311, 332).
ზეინკალი ხელოსანი, მკეთებელი აბჯართა, ზეიდალთა, კლიტეთა და მისთანათა, слесарь. თ. ჩილინგდარ.
ზელა (ვზელ) ხელით თელვა რბილისა რისმე, ვითარ ცომისა, თიხისა და მისთანათა, мять, месить.
ზემდგომელი ზედამდგომი, ზედამდეგი (იგავ. 23, 5), настоятель.
ზენა ზემოთი, ზევითი, ზეითი (ვეფხისტ. 27, 785, 1025), горная.
ზენაკერძო ზედაკერძო, ზეითკენ (ისაი. 10, 9), выше.
ზენაპირო ზედსაჩინო.
ზენარი, ზენაარი ზეცათა შინა არსი. მესტიხეთ უხმარიათ ნაცვლად ღვთისა, ანუ მოპირ-ვებულის ფიცისა (ვეფხისტ. 236, 408, 416, 660, 696, 726), клясться, уверять небом.
ზეპვა (ვზეპ, -პავ) ზერგნა, ტკეპნა საზეპელით.
ზეპირ, ზეპირად უწიგნოდ თქმა ანუ კითხვა ნაწერისა, наизусть. // ზ ე პ ი რ ა დ შეთუთლა ან დაბარება უწერილოდ, პირად შეთუთლა (ვეფხისტ. 407, 1314), словесно наказать, поручить сказать о чем (ვიეთთამე ს ე-ფ უ რ ა დ დაუწერიათ, მაგრამ უკანონოა).
ზეპირება (ვაზეპირებ სხუათა, ვიზეპირებ) წურთნა, დასწავლა, გავარჯისება უწიგნოდ თქმისა, учить, твердить наизусть.
ზერგნა (ვზერგნი) ტკეპნა, ქელვა ფეხით ან საზეპელით, топтать, мять.
ზერდაგი (ოთხფ.) ჩალისფერი ცხენი, буланая лошадь.
ზერექვერედ ხნეული არც წოლით და არც სრულად მრთელი.
ზერჩო (ბალ.) არჯაკელა.
[**ზერქნა** ნახე ზერგნა].
ზესთა ზედათ, ზეშთა ზედათ უმაღლეს, ზეიდამ, ზენაკერძო (ისაი. 2, 2), превыше.
ზესთა ზესი უზესთაესი, ფრიად უაღრესი, უმაღლესი, высший, превосходный, превышний.
ზესთა მჩენობა ზვაობა, მაღლოობით მჩვენებლობა, высокомерие.
ზესი ზენა, ზეციერი (ვეფხისტ. 212, 800).
ზესკნელი უმაღლესი ადგილი ზეცისა (ფსალ. 8, 1), превыше небес (და 103, 3, 13), превыспренный.
ზეფიროსი საამოვნო ნიავი დასავლეთისა, зефир, *Ζέφυρος*.
ზელმა ერთგვარი ბადე თევზთ სანადირო (ნახე ბადესთან).
ზეცა, ზეციერი (ნახე ცა), ციერი (ფსალ. 10, 4 და 13, 2, კუალად 19, 6; ვეფხისტ. 134, 1040).
ზეწარი გარდასაფარებელი ეტლთა, აკვანთა, საფენთა, ანუ აჯილა ქალთა (ვეფხისტ. 366), простыня.
ზეჯდომა (ზევჯზი) მრავლ. ზ ე ს ხ დ ო მ ა (ზევსხედვართ), ზედანალჯდომა (მატ. 21, 5; ფსალ. 75, 6), восседать.
ზვაარი ზვავი, ზესთამჩენი (ამბაკ. 2, 5). величавый.
ზვავი უზომოდ ამპარტავანი, кичливый.
ზვავი მთათაგან ჩამოზღვულეული თოვლის გორა (ნახე თოვლთან), снежный отвал с гор.
ზვარა შესაწირავი ხვასტაგი, მოზვერი ანუ მამალი, რომელსაც მსოფლიონი შეინახვენ დღეობამდე სალოცავისა და მაშინ შესწირვენ (ნახე ზედაშესთან), ხოლო შესაწირავს ცხვარს უხმობენ საღვთოდ, на жертву назначенный скот.
ზვარაკი (ოთხფ.) კურო, მოზვერი (ნახე ზროხასთან) (ფსალ. 49, 9 და 50, 19), телец (და 65,14), вол (კუალად 67, 30), юнец.
ზვარი ადგილი, სადაც მზე დიდხანს მიადგება. //რადგანც ამგვარი ადგილი უკეთესია სავენახედ და სოფელთ მებატონენი მას გამოარჩევენ. ამად ზ ვ ა რ ი ეწოდება დიდსა ვენახსა მათსა, რომლისაც მუშაობა დებულებად აქუსთ მის სოფლის გლეხთა, ვითა ხ ო დ ა ბ უ ნ ი ს ა, большой виноградник господский или помещичий.
ზვევა (იზვება, იზვების) ითქმის ხვასტაგთათჳს, რომელნიც შობენ (იერემ. 14, 5), рождать, ამის გამო მშობელს ეწოდება მ ე ზ ვ ი, ხოლო ბერწს—უ ზ ვ ი.
ზვერვა (ვზვერავ) განმსტრობა. დაზვერვა, დარილი, подглядывать.
ზვერი ბაჟი, ანუ ხარკი (რიცხ. 31, 28; მატ. 17. 25; რომაელ. 13, 7), дань, пошлина.
ზვიადი ზვავი, მოთაკილე ან თავმომწონე. спесивый, чванливый. ს. გორონ.

ზვინი ბრჯა, გროვა თივისა, შეშისა და მისთანათა (გამოს. 8, 14; რუთ. 3, 7). стог.

ზვირთი ზღუათა და მდინარეთა შინა დიდროვანი ტალღა ამოქანებული (ნახე წყალთან), волны.

ზვლევა ნახე ზღულევა.

ზიანი დასაკლისი, ხარალი (ვეფხისტ. 788, 1024), изъян, убыток. თ. ზარარ [არაბ.].

ზიარება (ვაზიარებ, ვეზიარები) თანამონაწილედ შექმნა, მონაწილეობის მიცემა ან მიღება (2 კორ. 6, 14; ებრაელ. 13, 16; ვეფხისტ. 383). приобщать, -ся, общение, сообщение. // ერთი 7 საიდუმლოთაგანი ეკლესიისათა, რომელია მიღება წმინდათა საიდუმლოთა, причастие, евхаристия.

ზიარი თანამონაწილე, თანაზიარი, сообщник, соучастник.

ზიდება (აზიდებს) გულისრევა, ბალღამის დაძრვა სანთხევლად, отрыжка, позыв на рвоту.

ზიდვა (ვზიდავ) კიდებულის ტვირთის ტარება, носить, таскать.

[**ზიზინი** აბიბინება].

ზიზღი გარემიქცევა შეძაგებისგან, отвращение, гнусность, [брезгливость].

ზიზღვა, ზიზღება (ვიზიზღებ, მეზიზღება) უგემურად მიჩნევა, отвращаться, гнушаться, иметь отвращение.

ზითევი, მზითევი გასათხოვარის ქალის მისაცემი ქონება სამშობლოს სახლიდამ, приданое.

ზილი კრიმი, წვრილი ხმა გალობაში, альт или дискант.

ზილი (მწერ.) კოდო.

ზილფაროზი მამალი (ბალ.) перепелох мужской.

ზილფი წინამო, კავები ქალთა (ნახე თმასთან), локон. ს. მაწაკ. // ზილფიანი (ნელსაცხებელი ნახე).

ზინდანი გრდემლი (ჩაარუხა. 76), наковальня. თ. სინდან [აზერბ.-არაბ.].

ზინდარი ნახე ვზინდარი.

ზინზლი წარმართთა სიმყრალის სუნი (ნახე სუნი).

ზიპი თევზის ქონი (ცხიმთან ნახე).

ზირა, ძირაკი (ბალ.) კუღიავი, тмин, кимин.

ზირაქი (მეფრ.) დიდი მფრინველი ფრთხილი.

ზირნიხა სამხატვრო წამალი, ყვითელი ქვა, оврипигмент.

ზმა ლექსთ მაეგობა, ესრეთ რომელ ორთა ანუ რაოდენთამე ლექსთა შეერთებითა სხვა ლექსი გამოდიოდეს (ვეფხისტ. 1508), каламбуры. ამგუარად აღწერილ არიან შაირნი ჩახრუხაულნი და აბდულმესია შავთელისანი თამარიანსა შინა. მაგალ., დაწერა ქვითა, და წერაქვითა ანდამატისა ცვილმყოფელითა, 80. ამაში გამოდის: წ ე რ ა, ქ უ ა, წ ე რ ა ქ ვ. ანუ მეფეთა მარილი, ე. ი. მეფე თამარი. ანუ ზედა წარწერა მეფის ირაკლის ბეჭდისა: მ ე ფ ერხთ განბანილთა მ ი ე რ ე კ ლ ესია ვადიდე. ამაში გამოდის: მეფე ერეკლე.

ზმა (ვქზამ, ვიზამ, ვაზმი) ქმნა, ქმნობა, მოქმედება (მარკ. 2, 24 და 11, 5; ვეფხისტ, 13, 221, 255, 519), деяти, делать.

ზმა, დაზმა ხანისა ნახე (ვეფხისტ. 1050).

ზმანება (ვაზმანებ) გაზომვა, ზომით დატოლება, верстать, примеривать.

ზმანება (მეზმანების) მოლანდება, მოსიზმრება, прицепиться, пригрезиться.

ზმარტლი, ზღმარტლი (ხე) ხუთგული ხილი.

ზმილაკი (ბალ.) სურო, ანუ მისგან ნათხზი სფირიდი.

ზმირინი მური სუნნელი და სამკურნალო (ესთერ. 2, 12), смирна, мускат.

ზმნა ზმა, ანუ ღრამმატიკულად მესამე ნაწილი სიტყვსა, глагол (3 часть речи по грамматике).

ზმნა (ვიზმნი) მისნობა (დაბად. 44, 5), волхвовать. // ავად დაცდა რისამე, принять что за худое предзнаменование.

ზმნობა (ვაზმნობ) განზრახვა, ცდა, ცდილობა (საქმ. 9, 26 და ებრაელ. 11, 29; ვეფხისტ. 1381), покушаться, попытаться.

ზმორება (ვიზმორები, მაზმორებს) ტანში შეკრულება და გაჭიმვა.

ზმუვილი (ზმუვის) დაბმულთ ზროხათ ხმიანობა საზრდელის ჟამს (ვითა ცხენთა ხვიხვინი).

ზმული უფრო ხშირად ითქმის ხ ა ნ დ ა ზ მ ული (იქ ნახე).

ზნე რაც რამ ჩვეულებად სჭირდეს ვისმე კეთილი თუ ცუდი (1 კორ. 15, 33; ვეფხისტ. 63, 941), нрав, обычай.

ზნექა (ვიზნიქები) ნახე გამოზნექა.

ზნეობა ზრდილობა, ანუ ცოდნა მისი (ვეფხისტ. 8), нравственность, или нравоучение.

ზნიანი ჟინიანი, ავის ზნისა, капризный. // შმორიანი ღვინო, ანუ ჭურჭელი მისი.

ზოგად ერთად. ერთობით, თანად (დაბად. 22, 6), вкупе, вместе, вообще.

ზოგადი საერთო, საზიარო, საზოგადო, общий.

ზოგგან ზოგს ადგილს, инде.

ზოგვა (ვზოგავ) გაფრთხილება, დაზოგვა, გამოზოგვა, беречь.

ზოგი და **ზოგიერთი** რომელიმე, ვიეთიმე (ვეფხისტ. 29, 794), иной, некоторый. // რაოდენიმე, კერძო, ნაწილი ანუ ნახევარი (ლუკ. 19, 8; საქმ. 5, 2), часть, половина.

ზოგსრე კერძოდ, რაოდენმე (რომ. 15, 15). отчасти, несколько.

ზოგჯერ ხან და ხან, ჟამად-ჟამად, ოდესმე, иногда (ვეფხისტ. 741, 799), ზ ო გ ჯ ე რ თქმა სჯობს არა თქმასა და სხ.

ზოდი მეტალლი, ერთად შეჳნობილი მკტრივად (შავთ. 44), слиток.

ზოდიაქო, ზოდია სიმრგჳლე მზის მოქცევისა წელიწდეულად, зодиак, *Ζωδιακός*, *Ζώδιον*; ხოლო განიწვალების ესე რიცხჳსაებრ 12 თთვეთა წლისათა, 12 კერძოდ ანუ ბურჯად, რომელთაგან თჳთოეულსა დარქმევია სახელი თანავარსკვლავედისა მის, რომელიცა თჳთოეულსა თთვესა შინა მიითვალავს მზესა მიმოქცევასა შინა მისსა. ამათ თანავარსკულავედთადმი მსგავსებისაებრ ცხოველთა და საგანთა ნივთთასა განკვეთნვილ არიან სახელნი და ნიშანნი. ნიშანთა ამათ ეწოდების ზ ო დ ი ა ნ ი, ნ ი შ ა ნ ნ ი ციხანი. ანუ ნ ი შ ა ნ ნ ი ზოდიაქოსანი, რომელთაცა გარეშეთა შინა წერილთა უწოდებენ ბ უ რ ჯ ა დ ანუ ე ტ ლ ა დ. შესამეცნებელად ამისსა წინადაიდების აქა შემდგომი ტაბლიცა ჩვენებითურთ სახელთა თთვეთასა, რაოდენობისა დღეთა მათთასა და განკვეთნეილთა მათდამი ნიშანთა ზოდიაქოსთა (ტაბულა ნ. 224-ე გვერდზე). და ესრეთ იანვარსა შინა მიითვალავს მზესა წ ყ ლ ი ს ს ა ქ ა ნ ე ლ ი. ფებერვალსა შინა — თ ე ვ ზ ნ ი, მარტსა — ვ ე რ ძ ი, აპრილსა—კ უ რ ო და შემდგომნი. კჳალად შეისწავე. რამეთუ თჳთოეულსა ოთხსა წელიწადსა შინა ფებერვალსა დაერთვის ერთი დღე და შეიქმნების 29. ამ წელიწადს ეწოდების ნ ა კ ი ს ა (იხილე მიზეზი ამისი ლექსსა შინა ნ ა კ ი. ხოლო უვრცელესად განმარტება ყოვლისავე ჰპოვე ფიზიკურსა შინა ასტრონომიასა).

ზოზინი ანუ **ზოზღნა** (ვზოზინობ) გვიანობა. ჯანჯლობა, არა მარჯვედ საქმობა (ვეფხისტ. 469), мешкать, лениться.

ზოლი ნაქსოვთა შინა გრძლად ჩატანებული სხვა ფერი, полоса (в ткани).

ზოლზოლი ჩაქსულა. სრელა ნაქსოვი. полосатый.

ზომა რაოდენობა, ქვემდებარე განზომისა, ანუ განსაზღვრებული განფენილება. ხმარებული საცნობელად სივრცისა. სიგრძისა, გინა სიმაღლისა ნივთთასა (ნახე საზომი), мера протяжения.

ზომვა (ვზომ, -მავ) ცნობა საზომითა სივრცისა, სიგრძისა და სხ., мерять.

ზომიერი უმეტნაკლო, умеренный.

ზონარი მრგვლად ნაქსოვი მკედი, ანუ ოქრომკედი, шнур. шнурок, *Ζωναρᾶς*. *Ζωναράκι*.

ზორვა (ვზორავ, ვუზორავ) კერპთა მიმართ შეწირვა საკლავისა მსხვერპლისა, ანუ კმევა და ეგევითარნი (ფსალ. 105, 37). жреть, пожроть. жортвоприношение.

ზორზოხი, ძონძროხი კაცი ტანად მოდიდო. უშვერი.

ზორტი გრძელი შესაკრავი სამოსელთა. ანუ წიგნთა. застежка.

ზოსტერი ქამარი (ნახე სარტყელთან). пояс кожаный. *Ζωστήρι*.

ზოხოა მხიარულება, გამომჩენება საბატიური (ბარუქ. 4. 34), величание.

ზრახება (ვაზრახებ) რჩევა. რჩევის მიცემა, დარიგება (1 კორ. 7. 25, 40), советовать, давать совет.

ზრახვა (ვზრახავ), განზრახვა, მონდომება, მოწადინება (ფსალ. 13, 6 და 19,4; მატ. 1.19). предпринимать, намереваться. // რჩევა, არჩევანი. დასკვნა რჩევისა (ფსალ. 1, 1, 5 და 30. 13; მატ. 26, 4 და 27, 1), советовать. совещать,-ся.// გონებით ლაპარაკი, ფიქრი. ჰაზრი (ფსალ. 1, 2 და 2. 1, კჳალად 5. 10; მატ. 16, 23), мыслить, размышлять. помышлять. // ვ ე ზ რ ა ხ ე ბ ი ველაპარაკები (ლუკ. 22, 4), глаголить, говорить.

ზრდა (ვზრდი), **ზდა** (ვზდი) აღზრდა ჩჩვილთა, აღორძინება მცენარეთა (საქმ. 7. 19, 21), воспитывать. возращать. // გამოზრდა, გამოკვება. საზრდელის მიცემა. რჩენა, შენახვა (მატ. 6. 26; ეფეს. 5, 29; დან. 1, 5), питать, кормить. // ზ რ დ ა სასოებისა, სიყვარულისა და სხ., ე. ი. ქონება (ვეფხისტ. 694, 1287), питать надежду, любовь и пр.

ზრდილი, ზდილი კეთილად აღზრდილი, ზდილობიანი, ალერსიანი, благовоспитанный. учтивый.

რიცხჳ თთვეთა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
სახელნი მათნი რომაულად	იანვარი	ფებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	იუნისი	იულისი	აგჳსტო	სეკდემბერი	ოკდომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ქართულად	აპანი	სარწყუნისა	მირკანი	იგრიკა	ვარდობისა	თიბისა	მკისა	მარიამისა ანუ ქველთობისა	ენკენობისა	სთულისა ანუ ღვინობისა	გიორგობისა ანუ ტირსიკონი	ქრისტეს შობისა ანუ ტირისდენი
რაოდენი დღე აქუს თჳთოეულსა თთვესა	31	28	31	30	31	30	31	31	30	31	30	31
სახელნი თანვარსკულავედთანი	წყლის საქანელი	თევზნი	ვერძი	კურო	მარჩბივი	კირჩხიბი	ლომი	ქალწული	სასწორი	ღრიანკალი	მშვილდოსანი	თხისრქა
ნიშანნი მათნი	≈	H	♈	♉	□	♋	♌	♍	♎	m	♐	♑

ზრდილობა, ზდილობა კეთილად გაზდილობა, თავაზიანობა, благовоспитание, учтивость.

ზრდილობიანი, ზდილობიანი ზდილობის მქონე, თავაზიანი, учтивый (ესე ითქმის პირისათჳს, ხოლო ნივთისათჳს ზ დ ი ლ უ რ ი საქმე. პასუხი და სხ.).

ზრზინება ნახე აღზრზინება (2 სჯული. 31, 27), рвение.

ზრჟოლა ნახე ჟრჟოლა.

ზრიალი ნახე ჟრიალი (ვეფხისტ. 1038, 1386, 1404).

ზრო ღერო მცენარეთა, стебель.//ტარი ისართა და მისთანათა, древко.//ტანადობა, შნო ტანოვნებისა, талия.

ზრობა (ჴზრავს) ძრობა, დაძრობა (ვეფხისტ. 257, 1446).

ზროხა (ოთხფ.) ცნობილი შინაური ხვასტაგი (ფსალ. 8,7), вол, ესე არს საზოგადო სახელი, ხოლო მამალს ეწოდების ხ ა რ ი, დედალს — ფ უ რ ი, შვილთა მათთა — ხ ბ ო, წლამდე სახარეს ხბოს — ბ ო ჩ ო ლ ა, საფურეს — მ ო ც ე დ ი, წელიწადზედ მეტს სახარეს — მ ო ზ ვ ე რ ი და ზ ვ ა რ ა კ ი, საფურეს — დ ე კ ე უ ლ ი და დ ი ა კ ე უ ლ ი, ორის წლისას ხარს — ბ ო ი კ ი, ფურს — წ ი ქ ა რ ა, საკლავად სასუქს — უ ს ხ ი, საკიდარს ხარს — ა ზ ა ვ ე რ ი, დაუკოდელს ხარს — კ უ რ ო, ბ უ ღ ა და პ რ ა ს ი, შესაწირავს — კ უ რ ა ტ ი და ზ ვ ა რ ა, კუდა მოზვერს — კ ო კ ო ზ ა, ბერწს ფურს — უ რ წ ა ნ ი, უ ზ ვ ი და ფ უ რ ბ ე რ წ ი. კამბეჩთა და ირემთა მამალ-დედალნიც ხ ა რ — ფ უ რ ო ბ ი თ ითქმიან.

ზრუნვა (ვზრუნავ) ცდა, ცდილობა, ნაღვლობა, თავს შედება რისთჳსმე (მატ. 6, 25, 27 და 13, 22; იოან. 12, 6), пещись, заботиться. //განზრახვა, ფიქრობა (ფსალ. 37, 18 და 76. 3, 6), размышлять.

ზრუნი გოდების ბანი მტირალთაგან (ნახე ტირილში).

ზრქელი თუმცა ლექსი ესე წერილთა შინა ხმარებული, მდაბიურად ითქმის ს ქ ე ლ ი, გარნა ამათ შორის არს სხვაობაცა, ე. ი. მკერივთა ანუ მსხვილთათჳს ითქმის ზ რ ქ ე ლ ი (ხე, კაცი და სხ.. ფსალ. 143. 13), толстый. ხოლო ს ქ ე ლ ი ითქმის ნოტიოთათჳს. ვითარ ზეთი, თაფლი და მისთანანი, густой.

ზუავი, ზუარაკი და სხ. (ნახე ზვავი, ზვარაკი).

ზუმალი, ზოჰალი ჱ კრონოს (ნახე ცთომილი) (ვეფხისტ. 948), сатурн-планета.

ზუვილი ბზუვილი, ანუ ხმა გასროლილის ქჳსა, ჯოხისა და მისთანათა.

ზუზვა (ვიზუზები) გამოუმეტებლობა, წუწკობა, ან ზოხინი.

ზუზუნი ზუვილი ან წუწუნი.

ზუთხი (თევზ.) осетр.

ზუკი ვიეთნიმე გარდაბრუნებით გამოსთქმენ კ უ ზ ი, ზ უ კ ი.

ზულვა ნახე ზღულვა.

ზუმბა დგუში, шомпол.

ზუმბური ლაქი თუ ლუქი, сургуч.

ზუმილი უსისხლო ცხოველნი ზღჳსანი ნიჟარიანნი, ვითარ ზ ა მ ბ ა კ ი, раковина, улитка, მ ა ლ ვ ა ნ ი, ნ ი ჟ ა რ ა, ო ს ტ რ ი ა, პ ი ნ ა ს ი, პ ო ნ გ ი ნ ი, ს ა დ ა ფ ი, ს ე ლ ქ ა ნ ი, ს ი პ ი ა ნ ი, ტ ე ვ თ ი დ ი, ხ ა მ ა ნ წ კ ა და მისთანანი.

ზურგი უკანაკერძო კაცთა, ანუ ზედაკერძო ცხოველთა (ფსალ. 20, 12 და 68, 23), хребет, спина. // ითქმის ნივთთათჳსცა, ვითარ ზურგი მთისა, შენობისა და მისთანათა.

ზურგიელი შაშხი, ზურგის კერძი დიდთა თევზთა და საკუთრად ზუთხისა, спинка.

ზურმუხტი სამარაგდე, თუალი პატიოსანი (ვეფხისტ. 1359), изумруд, смарагд.

ზურნა, ზურნაკი სტვირი მესაკრავეთა ანუ მწყემსთა (ნახე საკრავთან).

ზუფანი მოკლე შუბი სასროლი (ნახე ლახვართან).

ზუფი ლარი ანუ ფარჩა, უჭრელო, ღელეიანი. волнистая материя.

ზუჩი თავს დასარქმელი საომარი რკინა, რომელსა უხმობენ კ ე რ ც ხ ს ა ც ა. წინათ და უკანით აქუს მოელებული ჯაჭვის ბადე, რომელსა ჰქვიან ზ ა რ ა დ ი, ხოლო მ უ ზ ა რ ა დ ი არს ზუჩის მსგავსი, პირზედ აქუს გრძელი საცხვირე და ჩ ა ფ ხ უ ტ ი არს უზარადო, თხემსა ზედა აქუს მცირე პოლოტიკი, ხოლო ჩ ა ჩ ქ ა ნ ს ა აქუს კისრის კერძოთა ზედა მცირე ზარადი და პირი ახდილი. ჩ ა ბ ა ლ ა ხ ი არს ლიტონი ჯაჭვი თავსახურავი უპოლოტიკოდ (ხოლო ტანთსაცმელნი ჯაჭუნი იხილენ ჯავშანთან).

ზღაპარი იგავი, ანუ მოგონილი ამბავი (2 პეტრ 1, 26 და 1 ტიმოთ. 4, 7), басня.

ზღმურდლი ღუღუდი, ანუ მცირე ფოლაქი ტანზედ.

ღრუბლი. ღრუბლი კარის შესავალს წინ დატანებული ძელი ფეხის დასადგმელად (გამოს. 12, 7, 22; შავთ. 61), праг, порог.

ღუა შესაკრებელი წყალთა (ნახე წყალი) (დაბად. 1, 10; ფსალ. 8, 8), море.

ღუა, ზღვა (ვზღავ, ვუზღავ) გარდახდა, ანუ პასუხის გაცემა, заплатить, отвечать.

ღუარება, ზღვარვა (ეზღურების) მოსამზღურედ დგომა (საქმ. 18, 7), быть подле, в смежности.

ვე ქვაფენილი ან გაფიცრული ძელებით, мостовая, вымощенная камнем, бревнами.

ვევა (ვიზღვევ, მეზღვევის) დაკარგვა, დაკლება, დაზიანება (მარკ. 8, 36), отщетить, потерять.

ვევინება (ვაზღვევინებ) გარდახდევინება ვალისა ან დანაშაულის მაგიერისა, взыскивать, доискивать, штрафовать.

ვენი ნახე ძღვენი.

უდე გარემოვლებული კედელი, ანუ სხვა რამ სიმაგრე (ფსალ. 17, 20 და 50, 18), стена, ограда (კუალად ფსალ. 79, 12 და 88,40; მატ. 21, 33), оплот. სახენი ამისნი: გ ა ლ ა ე ა ნ ი არს ნაგები ქვითკირითა ანუ ალიზითა გარემოს მონასტერთა, ეკლესიათა, სასაფლაოთა და მისთანათა; ვ ა ლ ა ნ ი ანუ ფ ი ც რ უ ლ ი არს გალავანი ფიცრისა; თ ა რ ჯ ი არს გალავანი გარემოს ქალაქთა; ე ზ ო სახლთა ზღუდე, მოვლებული განითი განად, ანუ სიგრძითი სიგრძედ, რათა საშუალს აქუნდეს ადგილი; ს ი ნ დ ო ნ ი თურქთა ენით თ ე ჯ ი რ ი, კარვის ზღუდე; ბ ა კ ი, ქ ა რ ა ბ ა კ ი და ტ რ უ შ უ ლ ი— ხვასტაგთ სადგურად მოვლებული ფიჩხისა და წნელისაგან; ღ ო ბ ე ვენახთა, მტილთა, ბოსტანთა და მისთანათა გარემო შექმნილი ჯალჯისა და ძეძვისაგან; ძ ე ლ ყ ო რ ე ქვით და ძელით მოვლებული ზღუდე; გ ი ს ს ო ნ ი გზათ შესაკრავი ზღუდე; ხ ი რ ხ ა ლ ი გარემო ხნულთა და კალოთა მოზღუდვილნი ძელნი სამ ან ოთხ რიგად; კ ა ნ კ ე ლ ი ეკლესიათა შინა საკურთხეველის გამყოფი ზღუდე; ლ ა ნ ძ ვ ი და თურქთა ენით მ ო ა ჯ ა რ ი რკინათა ანუ ძელთაგან დაფანჯრული ზღუდე; გ ო დ ო ლ ტ ა ძ რ ე ბ ი ანუ დ რ ე ს ო ქვითკირის ზღუდე მაღალი, ადგილ-ადგილ კოშკებით ნაგები; მ ა ს ა რ ი ანუ მ ე ს ე რ ი, ზღუდე მსხვილთა ძელთაგან აღმა დასობილთა ერთმანერთზედ მიკრულთა: ს ა ნ გ ა რ ი ანუ პ ა ტ ნ ე ზ ი მიწის ბეგობი ქვების ჩატანებით მტერთა დასხმის დროს ჩასაფრებისათჳს; ხ ი მ ი ზღუდე ლერწმისა, ლელისა და მისთანათა; კ ა წ ა ნ ი ძეძვი ზეალმართებით მოვლებული.

ზღუღევა, ზუღევა (იზღულევის, იზულევის) დაქცევა, ჩამოწოლა (ნახე დაზულევა, მომზღულევა), обрушиться.

ზღჳს ძაღლი ძაღლთევზა (ოთხფ.), ფუკინი, тюлень.

ზჳნი, ზჳრთი და სხ. ნახე ზვინი, ზვირთი.

ჱ

ასო ესე არა ოდეს მოვალს თავად ლექსთა, გარდა ამისსა ჱე, ჱე და არა, არა (იხილე ჰე, ჰე) (შავთ. 50).

და სათუალავთაცა შინა ნაცულად ამისსა მრავალჯერ ხმარობენ ასოსა ჰ, ვითა ითქუა შესავალსა შინა.

ასო ჱ იხმარების მხოლოდ შემდგომად ჳ ბრჯგუთი. მაგალ., გჳჱმა, გჳჱრდი, ქჳჱყანა. გარნა არა შესაბამ არს დაწერა ესრეთ ყოველგან, სადაცა შეხუდეს ერთად ვე, მეტადრე დასაწყისსა შინა ლექსთასა, ანუ სადაცა წინაშე ვე არს ხმოვანი ასო. მაგალ., ვ ე დ რ ე ბ ა, ს ა ვ ე დ რ ე ბ ე ლ ი, პ ო ვ ე ბ უ ლ ი, ი გ ი ვ ე და სხ. ფრიად უხამს არს დაწერად: ჳჱდრება, საჳჱდრებელი, პოჳჱბული, იგიჳჱ.

თ

ქარაგმიანნი ლექსნი ამას ასოსა ზედა. არიან: თ̃ა—თ ა ნ ა, თ̃ს—თ ჳ ს. თ ა ნ და თ ა ნ ა დაერთვიან ოდესმე თავად სხუათა ლექსთა, ვითარ: თ ა ნ მ ო ს ა ხ ლ ე, თ ა ნ შ ე ხ ე დ ი ლ ი, თ ა ნ ა მ დ ე ბ ი, თ ა ნ ა მ ო ძ მ ე, თ ა ნ ა ხ მ ა და სხ. ოდესმე თ ა ნ ა ბოლოს იხმარების, ვითა ე ბ რ ი, ე ბ რ ი ვ ი. მაგალ., ა მ ი ს თ ა ნ ა, ჩ ე მ ი ს თ ა ნ ა, ნაცულად ამისებრივი, ჩემებრი.

ზოგჯერმე თ იხმარების ნაცულად ტ, ვითარ: თ ბ ი ლ ი—ტ ფ ი ლ ი.

თ ბოლოდ სახელთა და ზმნათა არს მრავლობითის ნიშანი, ვითარ: კაცთ, კაცთა, ცხოველთ, ცხოველთა; ვსწერთ, სწერთ და სხ.

მდაბიურად თ იხმარების ნაცვლად დ ბოლოს არსებითთა და ზედშესრულთა სახელთა. რაჟამს შეიცვლებიან იგინი ზმნისზედად. მაგალ., კაცად—კაცათ, კარგად—კარგათ, ცუდად—ცუდათ და სხ.

თაბასარანა დასხვეპული და დანიგუზული ჯინპარი, ანუ სხვა მხალი.

თაბახი ღრმა ტაბაკი. ანუ მრგვალი ვარცლი, корыто. // მრთელი ფურცელი ქაღალდისა, лист бумаги.

თაგალა უბეწვო ქათიბი დაბამბული, მხოლოდ ძალა შემოდებული. ს. ლაბადა.

თაგალი გვირისტივით.

თაგვი (ოთხთ., ლევიტ. 11, 29), мышь. მამალდედალსა მათსა ეწოდება ხვადი და ძუ, შვილთა—წრუწუნა და ღლაპი.

თაგუნი მსხვილძარღუნი, мышцы (შეშაძარღვი ნახე).

თაგუმარილა თეთრი სიპი ქუა კაცის გუარისა, ანუ კლდის ძარღვი (ქუასთან ნახე), кварц.

თავადი საღვთოსა შინა წერილსა ხმარებულ არს მაგიერად ნაცვალსახელთა თჳთ, ანუ თჳთ იგი (მატ. 3, 4; ლუკ. 1, 17; ფსალ. 9, 8 და 23, 2, 10), сам, мой. // საზოგადოსა შინა ხმარებასა ეწოდების გუარდიდებულსა (შავთ. 46), князь, ანუ უჸროსსა, მთავარსა (ვეფხისტ. 153, 769, 1048, 1052, 1212 და შემდგომი). начальник, старейшина.

თავაზა (ეთავაზობ, ვეთავაზები) ალერსი, შეტკბობით მიღება, ласкать, приветствовать.//(ვუთავაზებ) მირთმევა რისამე ნიშნად ალერსისა, подчивать, дарить.

თავაზიანი ალერსიანი, მოთავაზე. ზდილობიანი, ласковый, учтивый, почтительный, приветливый.

თავანკარი ნამდვლი, უზადო. ურიოშო, ანუ რჩეული, настоящий, чистый. цельный.

თავბრუ თავისტრიალი, გაბრუება, головокружение.

თავდადებული თავგამომეტებული, თავის შემწირველი (ვეფხისტ. 149).

თავდები თავსმდები. ვინც თავს იდვას სხვის მაგიერ პასუხის გაცემა, порука, поручитель.

თავდებობა თავსდება, დადგომა თავდებად, поручительство.

თავება (ვათავებ) შესრულება, გათავება პირისა, исполнять, сдержать слово. // (ვითავებ) თავზედ აღება, принимать, брать на себя.

თავზარის დაცემა ფრიადი შიში, ანუ განკრთომა მოულოდნელად (ნახე ზარი).

თავზედ ხელაღებული განწირული, სასოწარკვეთილი, თავგამომეტებული, отчаянный, -ная голова.

თავთა თხელი ნაქსოვი აბრეშუმისა, тафта, *ταφτάς*.

თავთავი ხუეილი, ოდოში პურის მოსავალთა, ეტერი (მარკ. 4, 28), колос, клас.

თავთხელი სადაცა მდინარეთა შინა, ანუ ზღვათა ესოდენ მოაკლდეს სიღრმე, რომელ სჩნდეს ქჳშა (ნახე წყალი), мель, отмель.

თავი კისერს ზემოთი კერძო ცხოველთა, დამტევნელი უმთავრესთა საგრძნობელთა (ფსალ. 20, 3; მატ. 10, 30 და 14. 8 და შემდგომი), глава, голова. // ზემოთი კერძო ნივთთა, ვითარ თავი და ბოლო ჯოხისა, ძელისა, ანუ თხემი მთათა და სხ. (ფსალ. 71, 16; ვეფხისტ. 1032), верх. вершина. //გუმბათი, ან გჳრგჳნი, მრგუალად მოელებული შენობათა ზედა, голова, верх, купол. // პირველი უკანასკნელისა, ვითარ თავი პური. თავი ღვინო, ე. ი. რჩეული, главный, первый сорт. // უჸროსი, უმთავრესი კაცთა შორის, ვითარ ერის თავი, გუნდის თავი, ასის თავი და სხ. (ეფეს. 5, 23; კოლას. 2, 10), глава, начальник. //დასაბამი, საფუძველი საქმეთა (მატ. 21, 40; დაბად. 2, 10), глава, начало, თავიდამ დაწყება. // ნაწილი წიგნისა (ფსალ. 39,7), глава, главизна, часть книги. // კუალად ერთი თავი შაქარი, голова сахару; ორი თავი ხახვი, головка луку, луковица; სამი თავი კომბოსტო, 3 головки или кочны капусты. // თავმან მისმან იხმარების საფიცრად ვითა მზე (ნახე მამაშვილობა) (ვეფხისტ. 727, 733, 749, 1157 და შემდგომი). // თჳთ თავი თჳსი, сам, თავი მოსამართლე, главный судья (Зак. Вахт., 4, თავთავის ადგილს).

თავიანი საქმიანი, რიგის მიმცემი, деятельный, распорядительный.

თავიანობა საქმიანობა, რიგის მიცემა, деятельность, распорядительность.

თავი თჳსი ლექსი ესე იხმარების ნაცვალსახელისა წილ თ ჳ თ, ანუ ერთბამად მისთანათა, ვითარ თ ჳ თ თ ა ვ ი თ ჳ ს ი (მატ. 23, 31), сам себя.

თავის გაზვიადება (თავს გავიზვიადებ) ზვაობით გაუგონლობა თხოვისა გაჭირებაში, чиниться, упрямиться.

თავის გამოხაჯურება (თავს გამოვისაჯურებ) ტრაბახით თავზედ ალება ძნელის საქმისა, რომელიცა ვერ ალასრულოს, хвастать, вызываться на трудное дело.

თავის დადება (თავს დავსდებ) თავის შეწირვა, გამომეტება (ვეფხისტ. 717), положить себя, пожертвовать собою. // (თავს დავუდებ) თავს გამოდება, თავს შედება, გარჯა, ცდა, მხარკვა, прилагать старание, рачение, тщание.

თავისხებური თჳსის ნებისა, ანუ ზნისაებრი, по характеру.

თავისხებურად по свойски.

თავისთავად თჳნიერ შეწევნისა სხუათასა, сам по себе.

თავისთავ ბრძოლა ორთა კაცთა შებმა თჳნიერ მოხმარებისა სხუათასა (ქართლის ცხ.), единоборство.

თავისი თჳსი, თვისი, свой.

თავისიანი თჳსტომი, свойственник.

თავის მინებება მიშვება (თავს მივანებებ, მივუშვებ) ნების მიცემა, ნებაზედ მიშვება, давать волю.

თავის მომწონი

თავის მოწონება (თავს ვიწონებ, მოვიწონებ) კვეხნა, ტრაბახი, хвастать, важничать.

თავისნება თჳთ რჯული, ახირებული, თავისის ზნისა, своевольный, своенравный.

თავის ბოვნა (თავს ვიპოვი) მორჩილებიდამ გამოსლვა, брать волю, выходить из повиновения.

თავის საცო ბალიში, სასთაული (ეზეკ. 13, 20), возглавие.

თავის ტკივილი

თავისუფალი არავისი მონა (1 კორ. 9, 20; მატ. 17, 26), свободный.

თავისუფლება დაუმონებლობა, свобода.

თავის შენახვა (თავს ვინახავ, შევინახავ) თავის გაფრთხილება, беречься.

თავის შველა (თავს ვუშველი) თავის დახწევა, განრომა უბედურებისგან, спасаться, избегать.

თავის წინა მარტო თავის თავად (ვეფხისტ. 359, 625), наедине.

თავლაფიანი

თავმდაბალი მშვიდი, არა ზვავი, ანუ ალერსიანი, скромный, снисходительный, приветливый.

თავმოლიპული

თავნი სათავნო, თეთრი გარდადებული სამუშავებლად მოგებისათჳს და არა სახარჯოდ, капитал. ს. მაია.

თავობა (ვითავებ) თავზედ ალება და გარიგება, принимать на себя, исполнять.

თავობა ჩამომავლობა, ნათესაობა, поколение, колено родства.

თავსაკრავი თავზედ მოსახვევი მანდილი ქალთა, головная повязка.

თავსაცილი აგდება, კიცხვა, издевание, насмешка.

თავსგამოდება (თავს გამოვიდებ) თავს შედება.

თავსდება (თავს ვიდებ) თავზედ ალება საქმისა, ანუ თავდებად დადგომა, თავება, брать на себя, ручаться. // მოთმენა, დათმობა, ან გაძლება, მოჭირვება (2 კორ. 11, 1), быть снисходительным (მატ. 17, 17), терпеть.

თავსმდები თავდები (საქმ. 17, 9) порука, поручитель.

თავსობა (ვთავსდები) მშვიდობიანად, თანახმად დგომა ერთმანერთთან, уживаться.

თავსშედება (თავს შევიდებ) სრულის მონდომებით და ცდით საქმის შედგომა, постараться, заняться, приняться за что.

თავტაბიკი ულლის საშუალში ჩასარჭმელი ტაბიკი ურმის თავზედ დასამაგრებლად, шворень деревянный.

თავქედი თავკისრის სენი.

თავშავა (ბალ.). душица, майоран.

თავშენახული გაფრთხილებული ურიგოსაგან, скромный.

თავშექცეული მგლოვიარე, შეწუხებული, печальный, траурный.

თავშიშველი ქუდდაუბურველი (ვეფხისტ. 70, 351).

თავცეცხლა (ბალ.) чертополох.

თავხედი თჳთრჯული, უგულისხმო (ნახე გიჟთან), грубый и глупый, дерзкий, невежда.

თათარა ტკბილის კვერი, ფელამუში.

თათბირი რჩევა (ვეფხისტ. 143, 420).

თათი ჩჩვილთ ხელი, ручонка. // ტოტი მხეცთა (ვეფხისტ. 1064), лапа, лапочка.

თათმანი თათებიანი ხელჯაგი, перчатка.

თათუხი (ბალ.) ზანდური.

თათხვა (ვსთათხავ) ავად ტუქსვა, пенять, сгу-пить.

თაკარა ჭიქათ სადნობი ქურა და შესაქმნელი ადგილი, стеклянный завод.

თაკილი (ვთაკილობ, მეთაკილება) მართებული ან ზდილური უკადრისობა (ვეფხისტ. 199), щекотливость, благородная гордость.

თალა ნახე ბარდანა.

თალათინი ნატა, выросток, опоёк (кожа).

[**თალარი** ნ. კოდი].

თალგამი კომბოსტოს მსხვილი ღერო, ხვიტი, вилок, кочень.

თალისა ბარდანა, ანუ უდიდესი ჩანთა ნატისა (ვაშკარანთან ნახე). თ. ბარდან, ჯალდან, [სა.].

თალფაქი არახჩინი, ქალფაქი, თავსახურავი, колпак.

თალქანი, თალხანი ხმლის თასმის ჩასაწევი და ამოსაწევი აბზინდა.

თალხი მოჭირებული ან სამგლოვიარო ფერი, темный, траурный цвет. ს. მუქი.

თალხი ქჳა ჭიქის მსგავსი, იმ სითხედვე დაიპე-ბის და არა ადვლ შეიმუსრვის, იხმარების სარკმელთა და სანათურთათჳს.

თამამი თურქთა ენით სრული და ქართულად უხმობენ გამბედავსა, смелый.

თამასუქი სესხისა და ვალის ხელწერილი, вексель, расписка. თ. სანათ [არაბ.], ს. მურჰაკ.

თამაშობა (ვთამაშობ) შექცევა თჳთო გვარი (ვეფხისტ. 119, 323), играть, игра, игры. წერილთა შინა ნაცჳლად ამისა ხმარებულ არს მღერა და სიმღერა (გამოს. 32, 6; ვეფხისტ. 11,83), რომელიცა მსოფლიუ-რისა ხმარებასა შინა ჰნიშნავს საეროსა გალობასა. ხოლო გვარნი თამაშობისანი არიან: ასპარეზობა, ჳპოდრომსა ზედა, მხედართა მიერ ანძათა და საგანთა მიმართ ისართ სრევა, ოროლთ ტრიალი მრავალ-გვარად, ბურთთა ცემა ჩოგნითა, ანუ ქვეი-თად რბოლა, ჭიდილი და ეგევითარნი. ამათჳს ზოგჯერმე იქმნების დანიშნული დრო, რომელსაც უხმობენ დღეობად. როკვა, ხლტომა სხვადასხვა რიგითა ტანის მოძრავობითა და რაჲცა სამუსიკოთა საკრავეთა და ებანთა ზედა იქმნების მგო-სანთა მიერ, როკვად ითქმიან: ცეკვა, ბუქნა, კოჭა, თულო, ჩამბალალა, ჯუნდრუკი, ეგრეთვე ფუნდრუკი ვაჟთა და ხუნტრუცი ქალთა. კჳალად ფერხისი ანუ ფერხული ვაჟთა და სამაია ქალთა. ხარდიორდა მოგ-ვერდით ფუნდრუკი. კჳალად თამაშობა ანუ მღერა ეწოდების შექცევასა ჰადრაკ-თა, ნარდთა და სხჳათა სამორინო-თა მიერ, ანუ კენჭებითა, ჩხირები-თა, ვეგითა და მისთანითა, ხოლო ნა-ვარდობა არს შესაქცევად სიარული ცხენითა ანუ ქვეითად საამოვნოთა ადგილ-თა ზედა.

თამბაქო (ბალ.) ეს ბალახი უპოვიათ პირველად ამერიკის კუნძულსა შინა, რომელსა ჰქვიან თაბაგო ანუ ტაბაგო და მისგან და-რქმევია სახელიცა, ხოლო შემდგომად გაუ-ჩენიათ სხჳათაცა ადგილთა. არამედ ქარ-თულად თამბაქოს უხმობენ ჩიბუხით მოსაწევსა თუთუნსა, табак куритель-ный, *ταμπάκος*, ხოლო ცხვირით მოსაწევსა— ბურნუთი და გლარჯი, нюхатель-ный.

თანა მნიშნველი მახლობლობისა, მოეკიდების ნათესაობითსა ან მიცემითსა ბრუნვასა (ფსალ. 1, 3 და 22, 3), со, с, при. // თანა ბოლოს ლექსთა ებრი (ნახე ამ ასოს და-საბამში).

თანა არსი მისვე არსებისა, მარადის თანად გებული, соприсущный, единосущный.

თანა განმზრახი თანამზრახველი, საქმის მრჩე-ველი (ისაი. 9, 6), советник.

თანად ერთბამად, ერთად (ფსალ. 34, 26 და 39, 14), вкупе, вместе.

თანადგომა შეწევნა, მოხმარება (ლექსი ესე ხმა-რებულ არს სიგელთა შინა მეფეთასა), со-действие.

თანავარსკულავედი ნახე ვარსკულავთ კრე-ბული.

თანაზიარი მოზიარე, მონაწილე საქმესა შინა, ანუ ქონებასა (მატ. 23, 30), соучастник.

თანაზრახვა ერთად საუბარი, ლაპარაკი, собе-седовать.

თანალმობა (თანაეილმობ, თანამელმის) გულის შეტკივება სხვის მწუხარებაში, соболезно-вать, -вание.

თანა მაძს, თანამდევა მმართებს ვალი, ანუ ქვემდებარე ვარ ბრალისა (მატ. 5, 21 და 18, 24), повинен, должен.

თანამდები მოვალე, ქვემდებარე ვალისა, გარ-დასახადისა ან ზღვევინებისა (მარკ. 14, 62 და 7, 41), должник.

თანამდებობა თანანადები, მოვალეობა, долж-ность, обязанность.

თანამეგზავე, თანამოგზაური ერთად მგზავრი, თან მიმავალი, ამხანაგი გზასა შინა. спутник, сопутник, попутчик.

თანამედროვე ერთის დროსი, ჟამისა, ერთს დროს ყოფილი სხვასთან, современник.

თანამეინახე ერთად მჯდომი სხვასთან სერსა, ანუ ტაბლასა ზედა, совозлежащий, сосед за столом.

თანამემკჳდრე, თანამკჳდრი მონაწილე სამკჳდრებელისა, сонаследник.

თანამესარეცლე, თანამემცხედრე მეუღლე დიდებულთა, супруга (ნიქია. 7, 5), сожительница.

თანამეხმეობა თანახმობა მუსიკელობისა (დან. 3, 7), согласие (в музыке или пении).

თანამოსაგრე ნახე თანმოსაგრე.

თანამოსახელე სეხნა, სახელმოდგამი (ნახე ერთსახელთან), тезка.

თანამოსამძღურე მემიჯნავე, მეზობელი, сопредельный, смежный, сопограничный.

თანამოსაყდრე თანაზიარი მეფობისა ანუ მღუდელთმთავრობისა, сопрестольный.

თანამოქალაქე ერთის ქალაქისაგან, согражданин.

თანამოძმე სახლის კაცი, მახლობელი, ანუ ძმობილი, собрат.

თანამოწამე ერთბამად სხვასთან დამსწრე (ებრაელ. 2, 4), сосвидетель.

თანამშრომელი თანაზიარი შრომისა, сотрудник.

თანამწირველი ერთბამად სხუათა თანა მსახური, მწირველი, сослужитель.

თანამწოლი ხარჭა (დან. 5, 2), наложница.

თანამჭოვარი თანამლმობელი, გულის შემატკივარი (ფსალ. 68, 20), соскорбящий, сострадательный.

თანანადები ვალი, მოვალეობა, ვის რაიცა თანა აქს ქმნად (მატ. 6, 9 და 18, 27), долг, должность.

თანასწორი ტოლი, სხჳს ოდენი, ანუ ეკვე, равный, ровный.

თანაღრება გულისა (ნახე გულთან).

თანაშემწე მომხმარე, მშველელი, მეხვაიშნე (82, 8 ფსალ.), заступник, помощник.

თანაწარვლა (თანაწარვალ) ახლოს ან გვერდით გავლა (მატ. 27, 39; მარკ. 6, 48), мимо идти, миновать (საქმ. 20, 16).

თანაწარუვალი, თანაწარუხდომელი აუცილებელი, მიუცილებელი, неминуемый, необходимый.

თანაწარხდომა (თანაწარვხდი) აცილება, ავაცილებ, განვარიდებ (მატ. 26, 39; ლუკ. 22, 42), мимо нести, пронести. // (თანაწარვხდები) გაცილება, აცდენა, თანაწარელა (ფსალ. 36, 36 და 140, 10; ლუკ. 10, 31), мимо идти, пройти, прейти. // დუმილით დატევება, დაჩუმება, миновать, промолчать.

თანახმა ნებსით შედგომილი სხჳს ჰაზრისა. // ანუ მუზიკა ხმაშეწყობილი, согласный.

თანახმოვანი ასო გრამმატიკულად სხჳს შეწევნით ხმის გამომღები, согласная буква.

თანაჯერჩინება თანადმნებებლობა, დათანხმავება (საქმ. 8, 1; რომაელ. 1, 32), соизволение.

თანდებული მეექვსე სიტყჳს ნაწილი, предлог, или послеположение (часть речи).

თანავარსკულავედი (ვარსკულავკრებული ნახე), созвездие.

თანთანა საქვეითო ბილიკი შარა გზას აქეთიქით (ნახე გზასთან).

თანმენათესავე, თანმონათესავე მისვე ნათესავისა ანუ გვაროვნობისაგანი, сродник. // კატიღორიულად სახენი ერთსა ნათესავსა ქვეშე დაწესებულნი.

თანმონაწილე თანაზიარი, сопричастник.

თანმოსაგრე, თანამოსაგრე თანადმოლაშქრე (ნახე მოსაგრე) (შავთ. 58), совоинственник, дружина воинов.

თანმოსახელე ნახე თანამოსახელე.

თანშეზდილი

თანძუხათაია ჩინეთს გაკეთებული წამალი ზუმბურის სახედ, ფერით წითელი, ყვითელი ანუ შავი, тензуй китайский, *τενζ΄οῦκι*.

თანხმობა იხილე თანამეხმეობა.

თანხმება (ვათანხმებ) დაზავება ერთმანერთისა, დათანხმავება, соглашать, согласовать.

თანახმობა (ვეთანხმები) თანაჯერჩინება, ნების დართვა, შედგომა სხჳს ჰაზრისადმი, соглашаться, согласие.

თარაზო კალატოზთ იარაღი გაბმულის ლარის გასასწორებელი კედელთ შენებაში (ნახე სანაკავში), уровень каменщика.

თარანგი სალტე ხმალთა და თოფთა.

თარგმანი განმარტება წერილთა და ჰაზრთა მათთა აღხსნა, толкование. ს. (?) თარქმან. //გარდაღება ერთის ენიდამ მეორეზედ, перевод.

თარგმნა, თარგმანება (ვსთარგმნი, ვსთარგმანებ) განმარტება ან გარდაღება, толковать, или переводить.

თართი (თევზ.) დიდი თევზი ზღჳსა, севрюга.
თარეში მარბიელი, მკრეხელი, მტაცებელი ზედადასხმით, хищник.
თარო ფართო ლავგარდანი, ანუ გრძლად მიკრული ფიცარი კედელზედ ჭურჭელთ შესადგმელად, полка в стене.
თარჯი გალავანი გარემოს ქალაქთა (ნახე ზღუდესთან) (3 მეფ. 2, 35 და შემდგომი), забрало.
თასი ღვინის სასმისი უფრორე ვეცხლისა (ნახე სასმისთან), чаша, *τάσι*.
თასმა გრძლად გამოჭრილი ბაწარი ტყავისა (ნახე საბელთან), ремень, тесьма кожаная.
თასუხა რუმბი წყალთა საზიდი (თხიერთან ნახე).
[**თაფაუნთო** ნ. ბედენა].
თაფი ვეგის ზურგი, რომლისაც მეორეს მხარეს ჰქვიან ჭ უ ტ ი.
თაფლი სქლად შეზავებული სიტკბო, ფუტკართა მიერ შეკრებული ყვავილთა ზედა მდელოთა და ხეთასა (ფსალ. 18, 10 და 80, 16), мед. [თაფლი უცეცხლო, сырец].
თაფლი ველური იგივე გარეულთა ფუტკართაგან ქმნილი ხის ფუღუროთა შინა (მატ. 3, 4), мед дикий, дикий.
თაფლის ბური გოლი, კიპრუჭი, сот медовой.
თაფლის სანთელი ცვილი, წმინდა სანთელი, воск.
თაფლუჭი დასათრობი სასმელი (ლუკ. 1, 15), сикер, хмельный напиток.
თაფული (ბალ.) ნათიბი ბალახი სახოროში.
თოქალთო ცხენთ ზურგის დასაგები რამ უნაგირის ქვეშ, подседельник.
თაქნაბადი თექა, საფენი (და არა წამოსასხამი) ნაბადი, войлок.
თაღარი ტაგანი, სამის კოდის საწყაო (ნახე კოდი). четверик, *ταγάρι*. თ. თაღარ.
თაღი კამარა, კონქი, свод, арка.
თაღლითი მორთული გარედამ და შიგნიდამ რიოში, поддельный, фальшивый.
თაყვანისცემა (თაყვანს ვსცემ, თაყვანსა ვსცემ) თავის დაკურა, თავისა ან მუხლთმოდრეკით პატივის მიცემა (მატ. 2, 2; იოან. 4, 20 და შემდგომი), поклоняться.
თახვი (ოთხფ.) бобр, თახვის ყაირი, бобровая струя.
თახჩა სარკმელი, окно.
თაჯი სპარსთა მეფის გჳრგჳნი, რომელსაც დაახვევენ მძიმედ ოქროს ქსოვილს, დილმანს და შეამკობენ 12 ჯილითა (სომხურად თ ა გ დ ა თ ა გ ა ვ უ რ გჳრგჳნოსანი, ე. ი. ხელმწიფე), корона персидского государя, тажи.
თბე ხაში, პურის ცომი, ანუ ახლად მოზელილი ცომი (გამოს. 12, 34; რომაელ. 11, 16 და 1; კორ. 5, 7), новое, смешенное тесто. // ზოგგან ჰნიშნავს ხორციელსა კაცსა მოკუდავსა (შავთ. 73; ჩახრუხა. 98), смертный (человек).
თბილი და წერილთა შინა ტ ფ ი ლ ი ცხელისა და გრილის საშუალი, теплый, ამგვარადვე ითქმის თ ბ ი ლ ი ს ი და ტ ფ ი ლ ი ს ი.
თბობა (ვათბობ, ვსთბები) ტფობა ნახე, греть, -ся.
თეატრო, თეატრი ადგილი შესაქცევთა სახილველთა, театр, *θέατρον*.
თებო თმის კერტლი (ნახე მწიკული).
თეგი დასაბეჭდავი ნიშანი განსაშვენებლად წიგნთა შეკრულობისა.
თეეჲ სასძლო პატიოსანი განსასვენებელი (ეზეკ. 40, 8, 12 და შემდგომი), *θεε*, чертог.
თევა (ვათევ) ღამისთევა, უძილოდ გატარება ღამისა სნეულთა თანა, ანუ მოდარაჯეთაგან, გინა ლოცვისა თჳს, რომელ არს დაისი, бодрствовать, бдеть во всю ночь.
თევზი (თევზ.) ზოგადი სახელი ცხოველთა წყლისათა) (დაბად. 1, 26 და შემდგომი; ფსალ. 8, 8), рыба. // ნიშანი ზოდიაქოსი, რომელიცა ფებერვალსა შინა მიითვალავს მზესა (ნახე ზოდიაქო), рыбы. знак зодиака.
თევზიბარია (მფრ.) лутох.
თეზაფის წყალი ოქროს დამადნობელი და ფრიად გესლიანი, царская, или крепкая водка, Aqua tortis.
თეზაფის ქვა шпат.
თეთრი სპეტაკი, თოვლის ფერი (ზაქარ. 6, 3), белый. // თეთრი ფული, ვეცხლის ფული (ნახე ვეცხლი).
თელა (ხე) вязь.
თელვა (ვსთელავ) ხერგნა, მოთელა ნაბადთა და მისთანათა, валять.
თელო (ოთხფ.) გოჭი ღორისა (ნახე ღორი), поросенок.
თელმუზი დელამოტი, უმად გაკეთებული ყველი.
თემანი სამხრეთი (ნახე ბღჳარი) (ეზეკ. 47, 19), феман (ამბაკ. 3, 3), юг.
თემი ერთი მხარე ანუ ნაწილი სამეფოსი (ვეფხისტ. 445, 643; ჩახრუხა. 11), область, провинция.

თენება (თენების) გათენდება, დილის სინათლის შემოსლვა. рассветать.

თეორეტიკა სწავლა ხედვითი (ბოლო პრაქტიკა საქმითა), теория, умозрительная наука, *θεωρητική*.

თერიახი თრიახფარუხი, სამსალის მკურნებელი, торнак, *θεριακή*, *θηριακή*.

თერისტრო აჯილა, ჩადრი, თხელი ზეწარი ქალთ მოსაფარი (ისაი. 3, 23), тонтица.

თერმია, თერმუზი (ბალ.) ლოპინარი, ხანდური, ხანჯკვალა ცერცვი, волчий боб, lopinum.

თერმონი თბილი შაქრის წყალი ჩაისავით (მამათ. ცხ.).

თერძული ორნატი, ხნული დათესილი (მაქსიმეს ხუთასეულში).

თესვა (ვსთეს, -სავ) შთაბნევა, მიმობნევა ნაბნავსა მიწასა შინა მარცვალთა თესლეულთა აღმოსაცენებელად ნაყოფისა (მატ. 6, 26 და 13, 3, 4 და შემდგომი), сеять.

თესლი მოსავალთ მარცვალი, ნაყოფის გამომღებელი (დაბად. 1, 11, 29 და შემდგომი), семя. // ნაყოფი ცხოველთა (ისაი. 14, 29). //ნათესავი, შთამომავლობა, თაობა ერისა (ფსალ. 9, 26 და 32, 11, კჟალად 66, 2; რომაელ. 4, 17), язык, народ. // დასაბამი, მიზეზი რისამე.

თეფში გაშლილი ჯამი (ნახე ლანკანი), тарелка.

თექა უმჯობესი თაქნაბადი, войлок.

თეძო მენჯის ძუალი (ფსალ. 37, 7), лядвея.

თეჯირი სინდონი (ნახე ზღუდესთან), ширма, перегородка.

თვალი ნახე თუალი.

თვარამ ნახე თუარამ.

თვით, თჳთ, თჳთონ ნაცვალსახელი ესე მიერმებბის სახელთა, განსაკუთრებით საცნობელად პირისა, ანუ ნივთისა, თჳნიერ გარეშისა მაგიერობისა (საქმ. 16, 37), сам.

თჳთება ბუნებითი საკუთრება პირისა, ანუ გუამისა, особенность, личность.

თჳთი განსაკუთრებული, особенный.

თჳთმპყრობელი, თჳთმფლობელი თჳთპატრონი, თჳთხელმწიფე დამოუკიდებელად სხჳსა ზედა, самодержец, самодержавный, самовластный.

თჳთმხილველი თვალით მხილველი, დამსწრე (ლუკ. 1, 2), самовидец.

თჳთო ან თითო-თითო ერთ-ერთი (მატ. 20, 2, 9), თჳთო დრაჰკანი, по пенязю или по одному, по одиночке.

თჳთოეული თჳთო თჳთო, ერთ-ერთი ანუ კაცად-კაცადი (მარკ. 14, 19; ლუკ. 14,18), каждый.

თჳთრჩეული თავისნება, ახირებული, მიბრჯნილი.

თჳთჭეშმარიტება

თჳთხმოვანი ასო ღრამმატიკულად თავით თჳსით გამომღები ხმისა შეუწევნელად სხჳათა, самогласная буква.

თჳნიერ თანდებული ესე მიიღებს ნათესაობითსა ბრუნვასა და ნიშნავს: გარდა, გარეშე, კიდეგან (მატ. 14, 21), разве, кроме, без.

თჳს, თვის ესეცა თანდებული მიიღებს ნათესაობითსა ბრუნვასა (ფსალ. 6, 4), ради, (და 24, 7), но, ради, за, о, об.

თჳსაგან მარტო, თავის წინა (მატ. 24, 3; მარკ. 6, 31 და 9,2), наедине, уединенно, особо.

თჳს თჳსად ცალცალკე, თჳთოთჳთოდ, порознь, поодиночке.

თჳსი თავისი, საკუთარი, შესახვედრი (ფსალ. 1, 3), свой.

თჳსტომი ნათესაობით მოკიდებული ვისთანმე, თანმენათესავე, сродник, свойственник.

თჳსტომობა ნათესაობა, родство, свойство.

თვლა, თვლემა ნახე თულა, თულემა.

თთვე თთჳე, თთჳსა, მეათორმეტე ნაწილი წელიწდისა (ლუკ. 1, 24, 26, 56 და შემდგომი), месяц (12 თთვეთა სახელნი და რიცხუნი დღეთანი იხილენ ზოდიაქოსთან).

თთვენი, თვენი საეკლესიო წიგნი საგალობელთა სათთვეოთა წმიდათათა, четьяминея.

თთჳს დადეგი ცნობა მზის მოქცევისაებრ, თუ რომელსა დღესა შეიდეულისასა, რომელი თთვე დადგება (ნახე ქორონიკონთან).

თთვის თავი ესე იხმარების მთოვარის ანგარიშსა შინა ესრეთ, უკეთუ თთვე არს 30 დღიანი, მაშინ ნ ი ა დ ა გ ი და თ თ ვ ი ს თ ა ვ ი ორნივე მიეთულებიან ზედნადებსა, ხოლო უკეთუ თთვე არს 31 დღიანი, მაშინ მხოლოდ მიეთულების ნიადაგი და თთვის თავი აღარ.

თია და **თიადორა** დიდი ჯირკვლი განუქარვებელი უფროჲრე კისერზედ, зоб, или нарост на шее.

თიაქარი ფერდის ქარი, паховая грыжа.

თიბათვე იუნისი, თთვე თიბვისა (ზოდიაქოსთან ნახე), июнь.

თიბვა (ვსთიბავ) მკა ბალახთა სათიბელითა, ანუ ცელითა, косить, сенокос.

თივა (ბალ.) გათიბული და გამხმარი ბალახი (მატ. 6, 30; ფსალ. 101, 12), сено. // ზოგჯერ გაუთიბავი მწვანე ბალახი (მარკ. 6, 39; იაკობ. 1, 10 და შემდგომი; ფსალ. 71, 16), трава.

თივთიკი თხისური (ნახე თმასთან), пух козий, заячий и т. п.

თითა თვალმარგალიტით მოოჭვილი გულისა ან შუბლის მოსართავი ქალთა, фермуар.

თითაყურძენი ბუდეშური, მოგრძე თითების მსგავსად (ნახე ყურძენთან).

თითბერი, თუთბერი (ბრინჯაო ნახე) желтая медь.

თითი მწვერვალი ხელთა, ანუ ფერხთა კაცთა და კლანჭიანთა ცხოველთა (ფსალ. 8, 3 და 143, 1; მატ. 23, 4; ლუკ. 16, 24), перст, палец.

თითისტარი თითებით საბრუნავი მანა მკედთ სასთველი, веретено, ხოლო ჯარით საბრუნავს ჰქვიან ჯარატარი (ნახე ტარი).

თითმავალა, თჳთმავალა (ბალ.).

თითო-თითო ნახე თჳთო, поодиночке.

თითქმის ითქმის, შეირაცხების, ლამის, почти.

თითქოს ითქოს, ითქვას, მითამ, მითამც, как будто, как бы сказать.

თიკანი (ოთხფ.) ციკანი, თხის შვილი (ნახე თხა) (მატ. 25, 32; ლუკ. 15, 29), козленок.

თინათინი თჳრათენი, ანუ თჳთნათენი, სარკითა და მისთანითა რითამე მზის შუქთა კედელზედ ციალება (ვეფხისტ. 51), отражение солнечных лучей от веркала и т. п. (მთოვარე ტჳფრული არგანმანათლებელი ნათელითა თჳსითა, არამედ ნათელი მისი არს თინათინნი მზისანი; რუსთველის გუჯარი, კარი 3).

თიოში (ბალ.) შროში.

თირი ლბილი კლდე, საშუალი მიწისა და ქჳსა, მპადა ქვა (ნახე ქუასთან).

თირკმელი ზოგადსა შინა ხმარებასა ეწოდების ორთა მკურივთა ხორცთა გულის უმცირესთა და სუკებთან მდებარეთა შიგანურსა შინა საკლავთასა, почки во внутренности животных. // წერილთა შინა: შინაგანი დაფარული ჰაზრი გულისა (ფსალ. 7, 9 და 15, 7, კუალად 72, 21), утроба, внутренность.

თიხა მიწა, რომელსა ზედაცა ვალთ, გინა აზელილი შესაქმნელად კეცის ჭურჭელთა (ფსალ. 17, 42; იოან. 9, 6; რომაელ. 9, 21), брение, глина.

თლა (ვსთლი), კრა, მოჰკრა თხლად და სწორედ, срезывать, отрезывать, тесать. // გათლა ქუათა პატიოსანთა, резать, гранить, гравировать.

თლილი გათლილი, თლით გაკეთებული (ვეფხისტ. 5), граненый, тесаный. თ. თრაშ.

თმა ბალანი ტანისა ცხოველთასა და საკუთრად კაცთა თავისა (მატ. 5, 36 და 10, 30), влас, волос. ერთსა თმათაგანსა ეწოდების ბეწვი (ხოლო ბეწვეული ნახე თჳსსა ადგილსა). ვაჟთა თმასა გრძელსა და სრულსა — ვარჯი. ვარჯისგან დაყოფილთა თითის სიმსხოდ ხუჭუჭად გრეხილთა და გარდატეხილთა — კიკინები, მრგულად მოკვეცილთა და გარემო შემოპარსულთა — ქოჩორი, თხემის ნაპარსთა სამღუდელოთა კურთხევის დროს — კოპიკური, ხოლო საეროთა ნაპარსთა — ჯენჯი, შუბლთასა თუალთ ზემოთ — წარბი, თჳთ თუალთა გარემოს — წამწამი, ცხვირის ქვემოთ ბაგეთასა — ულვაში, ნიკაპისა და ყბათასა — წვერი, ქალთა თმათა შვენიერად და გრძლად ნაწნავთა — დალალი და ჰავლი, საფეთქელთა და ყურთა საფარებლად ჩამოშვებულთა — ზილფი და კავები, სომხურად — მაწაკი, შუბლთა საშვენებელსა — წინამო და ლულამბარი; ბოშვთა, უასაკოთა პირსა ზედა — გინგლი და ბუსუსი, ცუდთა და მცირეთა ანუ თხელთა — ბუწუწი, კაცთა ტანის თმათა — ფაჩუნი (ფაჩუნიერი ნახე).

კუალად ოთხფერხთა ბალანიცა ითქმის თმად (მატ. 3, 4), влас, волос верблюжий. ხოლო ვიეთთამე აქლემის თმა დაუწერიათ სტევად; ცხოვართა და თხათა ნაპარსსა თმასა — მატყლი, არამედ თხათა ბალნის ძირსა ლბილსა თმასა — თხისური და თივთიკი, ზროხათა და სხუათა ხვასტაგთა და ნადირთასა — ბალანი, ძაღლთა და მხეცთა გრძელსა და ხშირსა ბალანსა — ბანჯული, ღორთა, აფთართა და მისთანათა ქეჩოსა და ზურგის სხჳლსა ბალანსა — ჯაგარი, ცხენთა, ჯორთა და ეგევითართა ქეჩოს თმასა — ფაფარი, კუდთასა — ძუა, ქაჩაჩისასა — საოლავი, მხეცთა გაცვივნულსა ბალანსა — განგური, ხილთა და ბალახთასა — ბუსუსი და ჩინჩილა.

თმაოქროსი ნახე ოქრომკედი.

თმენა (ვითმენ) მოთმენა, მოპირვება. გაძლება (ფსალ. 38, 7 და 39, 1. კუალად 61, 5), терпеть, терпение.

თმობა (ვსთმობ. ვუთმობ) მიტევება, მიშვება ან პატივება, сносить, спускать, послаблять. // თმობა (ვეფხისტ. 8, 11), терпение, терпеливость.

თნება, თნევა (ვითნებ, მთნავს) მოწონება, სათნოდ მიჩნევა (ფსალ. 24, 12 და 39, 13 და 50, 19, კუალად 84, 1), изволять, благоволить, одобрять.

თნებული მოწონებული, კეთილად მიჩნეული, одобренный.

თოვა (თოვს. თოვლს) თოვლი მოდის (ვეფხისტ. 847, 1584), მთოველი, снежит, снег идет.

თოვლი ზამთრით ჰაერში გაყინული და შთამოცვივნული ცვარი წვიმის მაგიერ (ფსალ. 50, 8 და 147, 5, კუალად 148, 8), снег. რა შემოდგომის სიცივე ღამით ცუარსა დილისასა შეათოვებს, ვითარმე მიწათა გათეთრებადმდე, ეწოდება თრთვილი, უკეთუ დასთოვოს ტერფადმდე, არს ფიფქი და უმეტესი მისი—თოვლი. წვიმანარევი არს თოვლშხაპი. თოვლიანსა ნისლსა ეწოდება ბუერი; ხეთა ზედა შეყინულსა ბუერსა — ჭირხლი და უკეთუ შთამოცვივნული თოვლი დადგეს ხეთა ზედა, არს ქურხლი და ხურხლი. ქართა სასტიკთა თანა მონათოვსა ეწოდება ბუქი და სადა ქარმან შეაგროვოს — ნანქერი. თოვლსა შემაგრებულსა ყინვითა—ბზარი და მცირესა ფიფქსა შებზარულსა—არხილი. რა მზემან შეალბოს — ლეღმა, რა აჰრელდეს—ლილო. უკეთუ თოვლთა სიმრავლე, მთათა ზედა ვერღარა დატევნილი, მზის სითბოსაგან მოიმზულეს — ზვავი და გაზაფხულ თოვლის ნადენს წყალს— ლანქერი და ფშატალა.

[**თოვლშხაპი** ნ. თოვლი].

თოთლო-თონთლო და ოთლო-თოთლო თოხლო კვერცხი.

თოკი საბელი საკმაოდ მსხვილი (ნახე საბელთან) (ვეფხისტ. 254, 1388), веревка.

თომი (ბალ.) საბანდულე მოლი, წურილი თივა, რომელსაც ჩააგებენ ბანდულებში.

თორმოზი (ბალ.) თერმუზი.

თორნე თიხისაგან შექმნილი უძიროდ დიდი სიავი პურის გამოსაცხობი, რომელშიაც შთააგზნებენ ცეცხლსა გასახურებლად და შემდგომად მიაკურენ ცომის გუნდებსა (ლევიტ. 2, 4; მატ. 6, 30), пещь, печь. ს. თონდირ.

თორნი ტანთსაცმელი რკინის ჯაჭვი (ნახე ჯავშანთან) (იობ. 41, 18; სიბრძ. სოლომ. 5, 19), броня.

თოფი ერთი დანა, ანუ ნაჭერი ნაქსოვთა, ვითარ ერთი თოფი სამოსელი, ოცი თოფი ჩითი, ლეინი და მისთანანი, конец, кусок, штука ткани.

თოფი ხელად საჭერი იარაღი ცეცხლის სასროლი, ружье. თ. თუფენგ, *τουφέκι, τουφεκάκι*. თოფი ჯაზაირი არს გრძელი, ყარაბინა—მოკლე და ზრქელი, ხოლო მაჟარი ან შაშხანა არს მსუბუქი და შიგნიდამ ლულა აქვს დაკუთხვილი. სიათა და თურგანი არს უდიდესი და ზამბულაკი სრულიად დიდი, დამბაჩა ანუ ფიშტო—სრულიად პატარა თოფი.

თოფის წამალი დენთი გუარჯილისაგან შემზადებული გასატენად თოფთა, ზარბაზანთა და მისთანათა, სასროლად სწრაფად აღგზებადი, порох. თ. და ს. ბარუთ, *Μπαρούτι*.

თოფუზი კომბალი ანუ ფავნი, булава, жезл. თ. თოფუზ, *τοπούζι*.

თოფრა

თოფჩი ზარბაზნის მესროლი სალდათი, пушкарь, канонер, *τοπτζής*.

თოფხანა

თოში მდინარეთაგან პირპირ მონაქონები ნამტურევი ყინულთა (ნახე ყინული), льдина, глыба льду.

თოხანი ვეგის გვერდი (ნახე ალჩუ), бок у альчика.

თოხარიკი (ოთხფ.) იორღა, კეთილად მოსიარულე ცხენი, მერანი, иноходец. და ზოგჯერ ნიშნავს თჳთ სიარულსა მისსა (ნახე სიარულში).

თოხი ფართო რკინის საჭრელი გრძელტარიანი, გასამარგლად მტილთა და ბოსტანთა.

თოხლი (ოთხფ.) წლის ცხვარი (ნახე ცხოვართან).

თოხლოკვერცხი შემწვარი ან მოხარშული არა მაგრად, არამედ სახვრეტლად, яйцо всмятку.

თოხნა (ვსთოხნი) ნახე მოთოხნა.

თრგუნვა (ვსთრგუნავ) ფეხით გაქელვა, გასრესა (ისაი. 16, 4), попирать.

თრევა (გათრევ) მიწაზე გდებით წარზიდვა, тащить, волочить (ფსალ. 72, 9), (ვეთრევი) ცუდად, უსაქმოდ სიარული (ნახე სიარულში), таскаться, шататься.

თრთოლა (ვსთრთი) ძლიერი კანკალი, ჟრჟოლა, ძრწოლა (ვეფხისტ. 576, 617), дрожать.

თრთვილი ცჳარი შეყინული სიცივითა ღამისათა (ნახე თოვლი) (სიბრძ. სოლ. 16, 29; ფსალ. 77, 47; ვეფხისტ. 707), иней.

თრთჳლი ნახე თრთვილი.

თრიახფარუხი თერიახისგან შემზადებული წამალი, териак венецианский.

თრითინა (ოთხფ.) სინჯაფი, белка.

თრიმლი (ხე).

თრობა, თრვა (ვსთჳრები, მთრავს) შეღვინიანება, შებრუჟება ღვინისგან (1 კორ. 11, 21; საქმ. 2, 5), упиваться, быть пьяну.

თროილნი ნახე ელეილნი.

თუ კავშირი განწვალებითი, ანუ კითხჳთი (იაკობ. 5, 13 და შემდგომი), ли? или? // ოდესმე თუობითი (ფსალ. 52, 2 და 57, 1, კჳალად 94, 7; ვეფხისტ. 524, 533), аще, аще ли, ежели, если. // ზოგჯერ დაერთვის ნაცვალსახელთა, თ უ ვინ, თ უ რომელი, ანუ ზმნისზედათა: თ უ ვ ი თ ა რ, თ უ რ ა ო დ ე ნ და სხ. (იხილე განმარტება ამისი ლექსსა თანა ი გ ი).

თჳალადი კაის შესახედავისა, благовидный, приятной наружности.

თჳალადობა საამოვნო შესახედაობა (ვეფხისტ. 1505), благовидность.

თჳალთჳალი (ვუთჳალთჳალებ) თჳალის მიდევნება, მზერა, подсматривать, подглядывать. // თუალით ნიშნება, мигать.

თჳალთ შეუდგამი რასაც თჳალი არ გაემართვის, ფრიადის ნათლის სიცხოვლისგან (ჩახრუხა. 75).

თჳალი, თჳალისა, თჳალები ცხოველთ ორღანო ხედჳს საგრძნობელი (მატ. 6, 22 და 13, 15 და შემდგომი), око, очи, глаз.

თჳალი, თჳლისა, თჳლები ესე გარდალებულთა ჰაზრთა შინა ისპობს საშუალსა ხმოვანსა ბრუნვათა შინა და ნიშნავს: 1. ქჳასა პატიოსანსა (ვეფხისტ. 380), драгоценный камень; 2. შენობათა შინა შეკრულსა კამარასა, თ ჳ ა ლ ი ხიდისა და სხ. арка, ანუ გამოსახედავსა დოლაბსა, თჳალი სარკმლისა, фортка; 3. გამოსადინელსა ანუ სათავესა წყაროთასა (იაკობ. 3, 11), устье; 4. ბადეთა, ჯაჭჳთა და ნაქსოვთა მოკიდულებასა ან გრგოლსა, очко, звено; 5. ურმისა ანუ ეტლის თ ჳ ა ლ თ ა, коло, колесо; 6. კჳალად ითქმის მზისთ ჳ ა ლ ი, солнышко, მარილის თ ჳ ა ლ ი, რაკის თ ჳ ა ლ ი, სასწჳრის თ ჳ ა ლ ი და სხ. (იხილენ თჳსთა ადგილთა).

თჳალით ხაჩინო სახილველი, ანუ ნახული თვალითა, очевидный.

თჳალის კჳრა (თჳალსა ვჰკრავ) მსოფლიონი ჰგონებენ, რეცა ავის თჳალისგან ვნებასა, ვითა დანავსვა, сглазить.

თჳალმანკიერი თჳალხენეში, მოშურნე, ანუ ავის თჳალით მავნებელი, завистливый.

თჳალუხვავი მიუფერებელი, მართლმსაჯული (1 პეტრ. 5, 17), нелицемерный, нелицеприятный.

თჳალღება მიფერება, პირფერობა (საქმ. 10, 34; ეფეს. 6, 9), лицемерие, лицеприятие (იუდა 16).

თჳალჭრელი მაჩხი (აღიელთან ნახე).

თუარა, თუარამ, თვარე, თვარემ მუქარის სიტყვა, უკეთუ არა იქმ (დაბად. 30, 1), аще, же, ни, если не (ვეფხისტ. 806, 908); иначе, а то, в противном случае.

თუთა (ხე) ბაღის ჴოლო, тут, тутовое дерево.

თუთი (მფრ.) ბაბღანი, попугай.

თუთია შეზავებული მეტალლი, ბრინჯაოს გასაკეთებლად ხმარებული ოქრომჭედელთაგან, цинк, туция, шпиаутер.

თუთუბო (ბალ.) сухой уксус.

თუთუნი ჩიბუხით მოსაწევი (თამბაქო ნახე), табак курительный, τουτοῦνι.

თუთქი ღველფი, ცხელი ნაცარი.

თჳლა (ვსთჳლი) აღრიცხვა, დათჳლა, считать.

თჳლემა (ვსთჳლემ, მთჳლემს) ლული, რული, ძილისგან მიზიდვა მჯდომარისა თავის კანტურით, дремать.

[თულო ნ. თამაშობა].

თუმანი სპარსულად თეთრის ანგარიშით ათი მინალთუნი.

თუნგი ღვინის ჭურჭელი თიხისა, ხოლო საწყაო თუნგი არს კოკის მეთორმეტედი (ნახე კოკა და საწყაო), 8 бутылок.

თუნი ჭურჭელთ გამოსაწვავი ქურა.

თუნუქა [бляхи].

თურაშაული (ხე) დიდი ვაშლი კაის გჳარისა.

თურგანი სიათა, მოდიდო თოფი.

თურე, თურმე ზმნისზედა ესე იხმარების ზმნათა თანა დასანიშნეელად საქმეთა სხჳათაგან სმენილთა და არა თჳსგან ხილულთა, ანუ შემდგომად დავიწყებისა მიხდომით აღხსენებულთა (ვეფხისტ. 583, 719).

[თურთ]

თურინჯი (ხე) померанец.

თურმანი ფარმანი.

თურქული სენია ხროხათა და ცხენთა.

თურში ქუათ საზიდი ხე, მარხილი.

თუ ხადამე, უკეთუ კავშირი თურბითი (ვეფხისტ. 22).

თუღი ოსმანთ ფაშათ წინ სატარებელი ბაირაღი ცხენის ძუვისა, **бунчук**, *τούι*, *τούγι*.

თუღუნი (მფრ.) თეთრი მიმინო, **кречет**.

[**თუშმალი** ნ. მხარეულთმთავარი].

თუშფალანგი ბრინჯის საწურავი ხინჯო.

თუხტი ერთი სტილი, რომელიცაა $33\frac{1}{2}$ მისხალი (ნახე საწონთან).

თუჯი რკინისგუარი მეტალლი, არამედ უდარესი და უმაგრესი რკინისა, **чугун**, *τούτζι*.

თქართქარი სიცილი მრავალთა (ნახე სიცილში) (ვეფხისტ. 1498).

თქაფანი ნოტიოთ დაღურის ხმა ერთიან ხუფხუფით.

თქერება ცხენზედ თამაშობა.

თქეში, თქოში ან **თქორი** წურილი წვიმა (ნახე წვიმასთან).

თქვენ არსებითი ნაცვალსახელი მრავლობითად 2 პირისა (ფსალ. 2, 12), **вы**.

თქვეფა (ვსთქვეფ) კოვზით რევა, ან შენჯღრევით გაზავება ნოტიოთა, **взбалтывать, разбалтывать**.

თქმა (ვსთქვამ) საუბრის წარმოჩენა, ლაპარაკი, უბნობა (დაბად. 1, 3 და შემდგომი; ფსალ. 4, 6 და 12, 4; ვეფხისტ. 741), **говорить, сказывать**. // შეთხზვა, ვითარ თქმა ლექსებისა და სხ. (ვეფხისტ. 5, 22), **сочинять стихи**. // თქმა გალობისა, სიმღერისა და სხ., **петь, воспевать**.

თქმული ნათქვამი, ანუ შეთხზული, **говоренный, сказанный, или сочиненный**.

თქუღლეფა (სთქუღლეფს) სჳლეპა, აღწბა, ამოქმა ენითა წვენისა ძაღლთაგან და მხეცთა.

თქო, თქუა ჰსთქჳ, სთქუ, უთხარ, იხმარების, რაჲამს სხჳს პირით შევუთჳლით ან დავაბარებთ რასმე სათქმელად მესამისადმი (ვეფხისტ. 1048), **молвь, мол**.

თქრიალი მრავალთ ფეხის ხმა და უფროორე ჯოგთა ანუ ეტლთა, **стук, топот**.

თქრომა შეთქრომა, მიფრენა შეჴიდება (იერემ. 9, 10).

თხა (ოთხფ.) ცნობილი შინაური ხვასტაგი, რომლისა მამალს ეწოდება ვაცი, **козел**, **коза**, დედალს — ნეზვი, შვილსა მათსა — ბატკი, მოზდილს — თიკანი და ციკანი, წლისას — წალი, სომხურად — ჩებიჩი, დაუკოდავს — ბოტი და საბოტეს — ვაციკი და ქოში, წინმოარულს — ელქაჯი. ესევე სახელნი ეწოდებათ ქურციკთა, ნიამორთა და მისთანათა, არამედ თიკანსა მათსა უხმობენ ნუკრად.

თხაპა (ვსთხაპავ) გასურა, გათხუნვა.

თხევა (ვსთხევ) დაღურა, დათხევა, ღურა, **лить, проливать**.

თხევლა (ვითხეველი) სროლა სათხეველისა ბადისა (მატ. 4, 18), **закидывать сети**.

თხელი სისქისა, სიხშოსა ანუ სიმტკიცისგან მოკლებული, ვითარ ნოტიო და მისთანანი, **жидкий** (ხოლო სხუათა ნივთათჳს ნახე სიფრიფანა), **тонкий, мелкий, редкий**.

თხემი ზედეთი თავისა (ფსალ. 7, 15 და 67, 20), **темя, верх**.

თხემისა ადგილი მაღალი ადგილი, სადაცა დასჯიდენ შემცოდეთა, ანუ წარიკითხვიდენ განჩინებათა საჯაჯმნოდ (მარკ. 15, 22), **лобное место**.

თხზვა (ვსთხზავ) წნვა, დაწნვა, შეწმასნვა (ფსალ. 49, 19), **плести, сплетать**. // აღწერა, შექმნა, შედგინება წერილთა (შავთ. 1), **сочинять**.

თხზულება შექმნილი, შეთხზული წერილი, **сочинение**.

თხზული დაწნული (გამოს. 28, 14), **плетение, соплетеный**.

თხიერაკი ტიკჭორა (ივდით. 10, 5), **оплеток сосуд**.

თხიერი ტიკი, თხის ტყავი ღვინის ჩასასხმელი (მატ. 9, 17 და შემდგომი), **мех**, ხოლო ზოგად ნატის ჭურჭელი შთასასხმელი ნოტიოთა, რომელთაგან ტიკჭორა და თხიერაკი არს მომცრო. უდიდესი თხათა და მოზვერთა ტიკი და კუალად უდიდესი მისი ქეშელა და სრულიად დიდი ხართა ანუ კამბეჩთა — რუმბი. ესენი იხმარებიან ღვინისათჳს. კოლოტი არს ტყავი ზროხისა ტკბილის ჩასასხმელი და ზოგჯერ იხმარების წყლის საზიდავადცა. თასუხა არს საკუთრად წყლის საზიდი და გუდა არს ჩასასხმელი ზეთისა, თაფლისა და მისთანათა. ხოლო იმერნი ტიკსაც უხმობენ გუდად და კუპრიელად. კუალად მათარა ნატისგან შეკერილი სამგზავრო სასმისი.

თხილამურა გრკალი ფერხთ დასაკრავი საგალად დიდთა თოვლთა ზედა, რათა არა შთაეფლას მას შინა.

თხილი (ხე) грецкой орех.

თხის რქა ♑ ნიშანი ზოდიაქოსი, რომელიცა მიითვალავს მზესა დეკემბერში (ნახე ზოდიაქო), козерог.

თხისური თივთიკი (ნახე თმასთან), пух козий.

თხისფსელა (ხე).

თხლე ნაძირალი, დალექებული სისქე ნოტიოთა (ნახე დურდო) (ფსალ. 74, 9), дрожжие, дрожди.

თხოვა (ვსთხოვ, ვითხოვ) ხვეწნა, ვედრება (ფსალ. 2, 8 და 26, 4; მატ. 6, 8), просить, прошение. თ ხ ო ვ ნ ა (ვითხოვ, ვსთხოულობ) შოვნა, მოპოვება თხოვნით (მატ. 7, 7 და შემდგომი), выпрашивать, испрашивать. // ც ო ლ ი ს თ ხ ო ვ ნ ა დანიშვნა. свататься.

თხოვება (ვათხოვებ) მიცემა რისამე დროებითად, отдавать что на время, на подержание. // გათხოვება, განქორწინება ქალისა, выдавать замуж.

თხრა (ვსთხრი, ვთხარე) ამოკვეთა. ამოთხრა მიწისა ბარითა, თოხითა და სხ. (ფსალ. 7. 14 და 56, 6), рыть, копать.

თხრამლი წუთხი, შალალი.

თხრილი გრძლად მიწის ნათხარი, მთხრებლი, ров, ხანდაკი.

თხრობა (ვუთხრობ, ვუთხარ) თქმა ამბვისა, საქმისა, მოთხრობა, ამბობა (ფსალ. 2, 6 და 18, 1; მატ. 28, 7 და შემდგომი), повещать, поведать, сказывать.

თხუნვა (ვსთხუნავ) გათხუნვა, გათხაპვა, გასვრა, გატალახიანება, марать, пачкать.

თხუნველა (ოთხფ.) მთხუნველი, крот.

თჳთ, თჳთოეული, თჳსება და სხ. იხილენ: თვით, თვითოეული და შემდგომი.

ი

ქარაგმიანნი ლექსნი; Ⴈ́ჳ—ი ე ს ო, Ⴈ́ე — ი ო ა ნ ე და ძველებურად Ⴈ́ჲლი—ი ს რ ა ე ლ ი, Ⴈ́ჲლიმი — ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი (იხილე შესავალსა შინა ასოთათჳს ჲ და ჳ). ასო ი იხმარების შემოქმედებითთა ზმნათა შინა, რაჟამს მოქმედება მიეჩემების თჳთ მოქმედსავე პირსა და არა სხუათა. მაგალ., ვ ს წ ე რ, ვ ა შ ე ნ ე ბ, ესე არს საზოგადო, ხოლო მიჩე[მე]ბული თჳთ მოქმედისა პირისადმი, ითქმის: ვ ი შ ე ნ ე ბ, ვ ი წ ე რ, ი შ ე ნ ე ბ, ი წ ე რ, ი შ ე ნ ე ბ ს, ი წ ე რ ს. ეგრეთვე პირნაკლად: მ ი შ ე ნ ე ბ, მ ი შ ე ნ ე ბ ს; მ ი წ ე რ, მ ი წ ე რ ს ანუ გ ი შ ე ნ ე ბ, გ ი შ ე ნ ე ბ ს; გ ი წ ე რ, გ ი წ ე რ ს. ეგრეთვე ი იხმარების ვნებითთა ზმნათა შინა. მაგალ., ვ ი წ ე რ ე ბ ი და სხ. (იხილენ ასოთა თანა გ, ე, მ, უ და კუალად შესავალსა შინა ამის წიგნისასა უვრცელესად განმარტება ზმნათა).

რომელთამე ლექსთა წინაშე ი დაერთვის ვ: ი წ რ ო—ვ ი წ რ ო და სხ. (ნახე ვ.). კუალად ი დაერთვის ზმნისზედათა: ი ბ ე დ ი ვ, ი გ უ რ დ ი ვ, ი მ გ რ ძ ლ ი ვ, ი მ რ გ უ ლ ი ვ და სხ.

ია (ბალ.) ცნობილი ყუავილი გაზაფხულისა, гиацинт. фиалка (იისფერი, ნახე ისფერი),

იაბო (ოთხფ.) ტაიჭი (ნახე ცხენთან), мерин.

იაგუნდი იაკინთი, თუალი პატიოსანი (ვეფხისტ. 296, 324), яхонт, hyacinthus.

იადონი, აედონი (მფრ.) ბულბული, ვარდის ჩიტი (ვეფხისტ. 757, 1244), соловей.

იავარი ალაფი, ნაშოვარი, ნაფორიაქალი (იერემ. 17, 3), расхищение, добыча.

იავარყოფა (იავარვჰყოფ) აფორიაქება, აკლება (მატ. 12, 29), расхищать.

იაზმა იაზმის წყალი (ნახე აიაზმა).

იათული ვეცხლის სასმისი სურა (ნახე სარწყულთან).

იაკინთი, ჲაკინთი იაგუნდი (სპეკალთან ნახე) (გამოცხ. 21, 20), иакинф, гиацинт, яхонт, *ὑάκινθος*. // ანუ ფერი მისი მოლურჯო (გამოს. 31, 4; იერემ. 10, 9), синета.

იალკიალი, იალციალი აქა-იქ ღრუბელი და შორის მათსა მჩენნი ვარსკულავნი.

[**იალმაგი** ნ. ალმაგი].

იალქანი აფრა, ანუ ალამი ხომალდისა, парус. или флаг. // პატარძლის გჳრგჳნი ჯვრის წერისა და ქორწილის დროს ხმარებული.

იალლოჯი ფიცარი პირმრუდი, აფრაკი.

იამბიკო ლექსი 5 ტაეპოვანი და თჳთოელს ტაეპს აქუს 12 მარცვალი. ямбические стихи. *ἰαμβικός*.

იანვარი აპანი (ნახე ზოდიაქოსთან), январь, генварь.

იაპოხტვა ნახე აპოხტი.

იარა დაკრილობა. შალალი. წყლული. рана. თ. იარა.

იარაღი ქურჭელი რკინათა ანუ ძელთაგან, სახმარი ხელოსანთა: ხუროთა, კალატოზთა, მჭედელთა, მკერვალთა და ეგევითართა. инструмент. орудие художников.//საჭურველი მეომართა, თოფ-იარაღი და მისთანანი, оружие, доспехи воинские.// ერთისა რომლისამე საგნისათჳს სახმარნი ნივთნი ან მორთულობა, ვითარ სუფრის იარაღი, ჩაის იარაღი, ცხენის იარაღი და მისთანანი. прибор, убор.

იარახჩინი არახჩინი.

იაროზი კასსია (გამოს. 30, 24), кассия.

იასამანი (ხე) ясмин, жосмин, Ἰασουμί, γιασμί.

იასაული მანდატური, ბოქაული, ხელჯოხიანი, [есаул].

იასპი ეშმის ქვა, თუალი პატიოსანი (ნახე სპეკალი) (გამოცხ. 21, 18 და შემდგომი), яс-пис, яспис, ἴασπις.

იატაკი სახლის ფსკერი (ნახე ფსკერთან) (ისაი. 25. 12 და 26, 5; დან. 14, 18 და შემდგომი), земля, пол, помост.

იაფი ნახე იეფი.

იაღლავაში წამლებით შეზელილი და გამოცხობილი ლავაში დასადებად სიმსივნეთა და სხუათა სატკივართა.

[**იახთ** წამალი წელის ტკივილისა].

იბაკო, იპაკო ბერძულად ჰნიშნავს ყურადღებასა და ეწოდების დღესასწაულთა შინა სათქმელსა მეხლსა შემდგომად 3 ან 6 საცისკროს საგალობელისა, კუალად ეწოდების ბერძულადვე კონდაკიცა, упакой, ὑπακοή.

იბედივ ანდეზედ, ბედის მიერი, ბედით მომხდარი, случайно, удачливо, на угад.

იგავი არაბულია, მაგალითი, ანდაზა (მატ. 13, 3, 10, 18 და შემდგომი; ფსალ. 77, 2), притча, гадание.

იგი ისი, ნაცუალსახელი მესამის პირისა (იხილე ესე) (ფსალ. 1, 2, 3, კუალად 2, 4, 5, 9), он, тот. // იგი ხშირად იხმარების ნაცულად კავშირისა ცა ანუ თუ სხუათა თანა ნაცვალსახელთა და ზმნისზედათა, განსარჩეველად კითხვთისაგან. მაგალ., ვინ, ვიეთი, რომელი. რაჲ ანუ ვითარ, რაოდენ, სადა, ოდეს, რაჟამს? და სხ. მარტივად თქმა ამათი ჰნიშნავს კითხუასა, ხოლო ვინ იგი, ვინცა, ვიეთნი იგი, ვიეთნიცა, რომელი იგი, რომელიცა. რა იგი, რაჲცა, ვითარ იგი, ვითარცა, რაოდენ იგი, რაოდენცა. სადა იგი, სადაცა, ოდეს იგი, ოდესცა, რაჟამს იგი და სხ. არღარა არიან კითხვთნი, არამედ კუალავ მოღებითნი საცნაურისა პირისა, ანუ ნივთისანი, გინა ადგილისა და დროისანი. გარნა ოდესცა ჰაზრი არცა კითხვთი არს, არცა განსაზღურებით საცნაური, არამედ საიჭვო რამე და ჯერეთ უცნაური, მაშინ ნაცულად იგი და ცა იხმარებიან მარცვალნი თუ და ძი. მაგალ., არ ვიცი, თუ ვინ მოვალს, თუ სად მივალს, განიგდეს წილი, ვინძი რა აღილოს, ეგრეთვე ვითარ, ვითარძი და სხ.

იგიაჲ მდედრობითად ხმარებულ არს მხოლოდ ერთსა ადგილსა (ნაუმ. 2, 7), она.

იგრი ნახე ვიგრი.

იგრიკი, იგრიკა აპრილი (ნახე ზოდიაქოსთან).

იგურდივ გარდიგარდმო, ანუ მეორე გვერდისა უკანა, набок, поперек (დან. 13. 18), задний.

იდად მხიარულების ხმა, виват! (იერემ. 48. 33), песни воспевать.

იდაყვი მკლავის საშუალზედ სახსრის ძუალის თავი, ვითა ფეხისა არს მუხლის კვირისტავი, локоть.

იდოლი კერპი; იდოლებრივი კერპულად (კავშ.), идол, εἴδωλον.

იდუმალ ფარულად, მალვით, დუმილით (მატ. 2, 7; ფსალ. 100, 5), тайно.

იდუმალი დაფარული, დამალული (ვეფხისტ. 263).

ielატი (ხე) ელატი, ель.

იელი (ბალ.) შავფაფარა, თაფლის გამრყუნელი, кошкара, шабина.

იერარხი ბერძულად იეროს მღუდელი, არხოს მთავარი, ე. ი. მღუდელთმთავარი, ხოლო ზოგჯერ ითქმის წინაუკმოდ: არხიერი. იგივე არს; іерарх, священноначальник, ἱεράρχης.

იერლაყი ოქმი (ნახე წერილთან). ярлык.

იეროდიაკონი მონაზონად შემოსილი (დიაკონი ნახე), иеродиакон, ἱεροδιάκονος.

იერომონახი მღუდელმონაზონი. ხუცესმონაზონი, иеромонах, ἱερομόναχος.

იეროღლიფი, ჰიეროღლიფი უწინარეს შემოღებისა საწერთა ასოთასა ძველნი ეგჳპტელნი ხმარობდენ რომელთამე სახეთა და ნიშანთა საცნობებელად ურთიერთისადმი ჰაზრთა

თჳსთა; არამედ ამგჳარი წერა არს ძნელად მისახდომი და ეწოდების იეროღლიფი, иероглиф, *ἱερογλυφικός*, hieroglifhus.

იესო ქარაგმით Ӏ҃ჳ, ბოლოდ ჳ, ამისათჳს დაურთავსთ, რომელ ო და ჳ შეიქმნების უ. და ებრაულად ი ე ს უ, მაცხოვარი, Иисус, *Ἰησοῦς*, Jesus.

იეფი არა ძვირი, მცირეს ფასისა (ვეფხისტ. 1054), дешевый. // ი ე ფ ი კ ა ც ი პურადი, გამცემი, чивый, тороватый.

იეფობა სიმრავლე ნივთთა, მცირითა ფასითა საშოვართა (ფსალ. 121, 7), обилие, дешевизна.//პურადობა, უხვება (ვეფხისტ. 1545), чивость, тороватость. // ი ე ფ ი ს გაიეფდების, განმდიდრდების (ეერემ 12, 1), угобзится.

ივნისი, ივლისი, იისფერი ნახე იუნისი, იულისი, ისფერი.

ითიკა ზნეობა, ზნეობისა და ზრდილობის სწავლა, нравственность, *ἠθική*.

იკანკლედი დაკლაკნილი, მიმოხვეული (გზა, მდინარე და ეგევითარნი), извилистый.

იკონომოსი სახლის მნე, განმგე, ეზოს მოძღუარი, эконом, домоправитель, *Οἰκονόμος*.

იკორთა ფიცრის თარო, полка дощатая.

იკოსი დიდი მუხლი იბაკოს მობმით წასაკითხი, икос.

ილალი, ჰილალი ტანტრაბეჩი, ухонертка, ухочистка, *χιλάλι*. თ. ჰილალ [არაბ.].

ილეკტრო, ილეკტრიონი ქარვა (ეზეკ. 1, 4), илектр, электр, янтарь, *Ἤλεκτρον*.

იმარმენი ნახე მარმენიო.

იმგრძლივ გრძლად, სიგრძეზედ, вдоль.

იმედი სასოება (ვეფხისტ. 503, 1287, 1299), надежда. თ. ჰუმედ.

იმედეული გულდადებული, обнадеженный.

იმიერ იქით, იქითგან, გაღმა (ნახე ამიერ), но ту сторону.

იმლიკი ახირებული, უცნაური, чудак.

იმპერატორი კეისარი, император, Imperator.

იმპერატორული, იმპერატორებითი შესახვედრი, შესაფერი მისი, საიმპერატორო, императорский.

იმპერია საიმპერიო, საკეისრო, საბრძანებელი იმპერატორისა, империя.

იმრგულივ გარემო, გარშემო, მრგულიად, вокруг, кругом.

ინაგა (მფრ.). მომცრო ტრედი, გუ́რიტი.

ინადი ქიშპი, ახირება, მიპრჯნა, ჯაბრი, упрямство, упорство, *ἰνάτι*.

ინადიანი ქიშპიანი, ახირებული, უდიერი, უჯათი, упрямец, упорный, *ἰνατζῆς*.

ინათლებს, ინათლა გათენდების (თენება ნახე), рассветает.

ინახი ადგილი საჯდომი სუფრასა ანუ ტაბლასა ზედა.

ინახით ჯდომა (ინახით ვჯზი) გვერდით. ანუ თანაჯდომა ტაბლასა ზედა (მატ. 8, 11 და 9, 10; იოან. 13, 12, 28), возлежать.

ინგლისის ჭურჭელი ითქმის უფროჲ სადვინეთათჳს, ხოლო თეფშთა და მისთანათა ქ ა შ ა ნ უ რ ი (ნახე ჭურჭელი და ქაშანური), муравленая. изразцовая посуда.

ინდიკტიონი მცირე არს 15 წელიწადი და აღირიცხების 1 სეკდემბრიდამ, индикт, ხოლო დიდი ინდიკტიონი არს 532 წელიწადი (ნახე ქრონიკოს), индиктион великий.

ინდოური ქათამი (მფრ.), индейка, курица индейская; ი ნ დ ო უ რ ი მამალი, индейский нотух.

ინდუშა მურა (ნახე რუხი).

ინთილა სტომაქის მოშლა ბევრის ჭამით, ან საწყენის საჭმლისაგან და ვერ მონელება, расстройство желудка.

ინოხი რაინდი (2 ეფრემ). ანუ მგრძნობელი ძარღვი (ნემეს. 26).

ინჯილიკი ჯიბლიბო, ქუთუთოს ბმო.

იობელიონ, ანუ იოვლიოხ ძველთა ებრაელთა დღესასწაული, რომელიცა გარდაიხდებოდა ერგასსა შინა წელიწადსა ერთგზის და მაშინ განათავისუფლებდიან მონათა, მიუტევებდენ ვალთა და სხ., ხოლო შემდგომად რომის პაპათაცა დააწესეს მსგავსივე მისი, юбилей, jubilaeus.

იორდახალამი (ბალ.).

იონჯა свежая трава (ნახე ალერდი), приэистник.

იორღა (ოთხფ.) კეთილმოსიარულე ცხენი (თოხარიკი ნახე).

იოტა ხაზი, მცირედ წარზიდული (მატ. 5, 18), иота, черта, *ἰῶτα*.

იპაკო ნახე იბაკო.

იპოდიაკონი (კერძო დიაკონი ნახე), иподьякон.

იპპოდრომი ცხენთ სარბიელი, საჭენებელი ასპარეზი (შავთ. 39), конское ристалище, цирк, *Ἱππόδρομον*.

იპოპოკენტავრო ანუ კენტავრო მეზღაპრულად ცხენკაცი, центавр. полкан, *Κένταυρος*.

ირაო (მფრ.) დიდი მფრინველი.

ირემი (ოთხფ.) გარეული ზროხა (ფსალ. 28, 8 და 41. 1, კჟალად 103. 18), олень, მამალს ეწოდება ხ ა რ ი რ ე მ ი, олень, დედალს— ფ უ რ ი რ ე მ ი. лань, შვილსა მათსა— ნ უ კ რ ი. მოზდილს--შ ვ ე ლ ი.

ირიბი ურიბი. უსწორო, ან ალმაცერი, косой. ირიბად, наискось.

ირისე ცის მშვილდი (დან. 4, 20: გამოცხ. 10,1), дуга, радуга, ἶρις, ἴριδος.

ირმის ბაწარი (ბალ.). ჯონჯოლა სოკო.

იროელ, იროელნი წარმართნი უწოდდენ კერძო ღმერთსა. ანუ ирой, герой, ἥρωας, heros, herois. ნახევარ-ღმერთსა, რეცა შობილსა კაცთაგან და კერპთა მათთა, ироиня, героиня, ἡρωΐσσα, heroina, ae.

იხავრო (მძრ.) მსვენლოში, ქამელეონი, хамелеон.

ის ნახე იგი.

ისარი მშვილდით სასროლი მცირე ლახვარი (ფსალ. 7, 12 და 10, 2), стрела, სახენი ამისნი არიან: ს ა ყ ა ლ ნ ო ფრთედაბალი და პირწუწრილი, რომელსა ხმარობენ თურქნი და ყიზჩაყნი; ს ა რ ჩ ა ხომიერი, ფრთემობრტყე და პირფართო; ქ ე ი ბ უ რ ი მისგან უგრძესი პირდიდი და ფრთემაღალი; ქ ი ბ ო რ ჯ ი სარჩის მსგავსი პირგანპებული და მომცრო; ბ ო ძ ა ლ ი ქეიბურის მსგავსი, პირდიდი განპებული; ყ ო დ ა ლ ი სარჩისტოლი, ფრთოსანი, პირუწვერო და მრგჟალი; ლ ო ჯ ა ამისი უგრძესი, წვერმწვეტი, ჯვარედად ჩხირდასხმული; ს ე ფ ქ ა ფრთემაღალი, გრძელი და გრკალშემობმული; გ ე ზ ი უფრთო, უპირო; ს ა მ ა ლ ი მტკაველზედ მეტი რკინის ღარით სასროლი; წ ი ნ წ კ ი ტ ე ლ ა ცუდი ბოშვთ სამღერელი.

ისარნები ავაზანი.

ისი, ის ითქმის მილმასთჳს, ხოლო ახლოსთჳს ესე (ნახე იგი და ესე), он, тот.

ისევ, ისევე კიდევ, კჟალად, еще, опять.

ისპანახი (ბალ.) სპანძელი, шпинат, σπανάκι.

ისრე იმგვარად, ეგრეთ, так; ასრე და ისრე, так и сяк.

ისრიმი უმწიფო ყურძენი, ნოიპი (ნახე ყურძენი), არაბ. ისრიმ.

ისტორია აღწერა, მოთხრობა საქმეთა, повествование, деописание. ἱστορία, historia.

ისტორიკოსი მეისტორიე. მწერალი მოთხრობათა, бытописатель. ἱστορικός, historiographus.

ისფერი იისფერი (ვეფხისტ. 689, 783), фиалковый, фиолетовый (цвет).

ისხარი წვიმა მსწრაფლი (ნახე წვიმასთან).

იულისი მკათათვე, ი უ ნ ი ს ი თიბათვე (ნახე ზოდიაქოსთან), Июнь, Июль, ἰούνιος, ἰούλιος.

იფნი (ხე) ясень.

იფქლი შემოდგომის სათესლე ხორბალი (ფსალ 4, 7 და 64, 13, მატ. 3, 12 და 13, 25, 29 და შემდგომი), пшеница.

იქ, იქი მუნ (ნახე აქა) (მატ. 24, 23 და 26, 36), тамо, там, или туда.

[იქაური]

იქით და აქეთ აქათ-იქით, ორსავე მხარეს; იმიერ და ამიერ (ვეფხისტ. 352).

იქედნე (მძრ.) გველი ფრიად გესლიანი (მატ. 3, 7; საქმ. 28, 3), ехидна.

[იქნება]

იჭრიკისი შიკრიკი ნახე.

იქცევისი მბრუნავი (დაბად. 3, 24), обращаемое, მმიობი.

იღლია, ღლია მხრის ძირი, ე. ი. სიღრმე შორის მკლავის დასასრულისა და გვერდისა (იერემ. 38, 12), пазуха.

იყი ისაყი.

იშელი საღორე სახლი, хлев свиней.

იშ ვიშ უში! (ვეფხისტ. 329) (ნახე ვაშა).

იშვითი არა ხშირად შესახვედრი, редкий.

იშნი, იშნის მოგება (იშნს მოვუგებ) სხვის ბოროტზედ გაჰარება, упрекать, упрек.

[იშტა]

იშხვარი (მფრ.) შავი ლაკლაკი, ეროდიოს ასიდა, аист, цапля, бусель.

იჩქითი ანაზდი (ვეფხისტ. 410).

იძრვისი მოძრავი, რასაცა აქჳს სული ცხოველობისა და იძრვის, движущееся, всякое дыхание.

იძულება (ვაიძულებ) დაჟინება ძალის დატანება (მატ. 14, 22; ლუკ. 24, 29; საქმ. 16, 15). понуждать, принуждать, заставлять.

იწრო ვიწრო (მატ. 7, 13 და შემდგომი), тесный.

იწროება გაჭირება. იწროება გონებისა, [тесность ума].

იჭვი, იჭუნეული ნახე ეჭვი. ეჭვიანი.

იჭუნეულობა (ვიჭუნეულებ) არა დასტურად ცოდნა, ორჭოფობა, сомневаться.

იჭუნეული ეჭვის მქონებელი.

იხვი (მფრ., ვეფხისტ. 613) **утка**. პატარას ჰქვიან კ ო კ ო ნ ა, დიდს — ს უ ს ხ უ რ ი, შვილსა მათსა — პ უ პ უ ლ ი, ვითა ბატისას.

იჯარა ვადით მიცემა ანუ ალება მამულისა გარდაკვეთილის ფასითა, **откуп, откупное содержание, аренда**.

იჯრა ერთი ჯერი ჭამადი.

კ

ქარაგმიანნი ლექსნი: კ҃დ—კ უ ა ლ ა დ, კ҃ზი—კ ა თ ო ლ ი კ ო ზ ი, კ҃ხლი—კ უ ო თ ხ ე უ ლ ი. კ იხმარების ნაცულად გ (ნახე ასო გ), ანუ ნაცულად ყ, მაგალ.: კასაბი — ყ ა ს ა ბ ი, კალხზედ — ყ ა ლ ხ ზ ე დ, კარიოფილა — ყ ა რ ა მ ფ ი ლ ი, კალამი — ყ ა ლ ა მ ი, კლერტი — ყ ლ ო რ ტ ი, კაჩაღანა — ყ ა ჩ ა ღ ა ნ ა, კუმაში—ყ უ მ ა შ ი, ყველაკაი—ყ ვ ე ლ ა ყ ა ი, კურდღელი—ყ უ რ დ გ ე ლ ი, ნაბერწკალი—ნ ა ბ ე რ წ ყ ა ლ ი, კოლაოზი—ყ ო ლ ა ო ზ ი.

ბოლოდ მარცვალი კი დაერთვის უმრავლესთა ლექსთა წერილის ენისათა განსარჩევლად მდაბიურთაგან. ვითარ: ბაზმა—ბ ა ზ მ ა კ ი, ბამბა—ბ ა მ ბ ა კ ი, გლახა—გ ლ ა ხ ა კ ი, დანა—დ ა ნ ა კ ი, ეშმა—ე შ მ ა კ ი, ზირა—ზ ი რ ა კ ი, ზვარა—ზ ვ ა რ ა კ ი, მუშა—მ უ შ ა კ ი, პინა — პ ი ნ ა კ ი, პიტნა — პ ი ტ ნ ა კ ი. ესენი არა არიან დაკნინებითნი, არამედ ვინათგან ბერძულად მარცვალი კი არს კნინობითი, მაგალ., ზონარი—ზ ნ ა რ ა კ ი, სკამნი—ს კ ა მ ნ ა კ ი, ფანარი—ფ ა ნ ა რ ა კ ი და სხ., ამად ქართულადცა რომელთამე ლექსთათჳს მიღებულ არს ესე კნინობითად, ვითარ წიგნი—წ ი გ ნ ა კ ი.

კაბა ტანთსაცმელი კაცთა ანუ ქალთა (ვეფხისტ. 86, 480, 647), **кафтан**.

კაბადონი, კაპატონი წერილთ ფურცლის ცალი გვერდი (ნახე კეფი), **страница**.

კაბალა (ოთხფ.) გაბარებული ხარი სამუშავოდ ან ქირით, **кабальный вол**.

კაბალფანჩი სანიჭარი სამოსელი, **подаренное платье**. თ. ხალათ [არაბ].

კაბდო ფარცხის წინ მიკრული გრძელი ფიცარი.

კაბიწი საწყაო მარცვალთა, სამი გრივი, ზოგგან ათას კოდად იანგარიშების, რომელია ხარვალი (ნახე საწყაოსთან) (ეზეკ. 45, 11), **хиникс** (?).

კადნიერება სითამამე, გამბედველობა, **смелость, дерзновение**.

კადნიერი თამამი, გამბედავი, შემბედველი, **смелый**. // თავხედი, გლისპი, ლირფი (ვეფხისტ. 66), **дерзкий, дерзок**.

კადოში ძელი ფრიალოთა ზედა გასადები ხარისხედად მოსწორებისათჳს მიწისა დასათესად. // დაბმულთა ცხენთა შორის გადებული ლატანი, რომ ერთმანერთს არ ერჩოლონ.

კადრება (ვიკადრებ) გაბედვა (მარკ. 15, 43; ვეფხისტ. 6, 15, 66, 80), **дерзать, осмеливаться**. // (ვჰკადრულობ) მიჩნევა, არ დაწუნება, **удостаивать**.

კადრი გამბედველობა, შებედვა.

კაეშანი, კეეშანი ზრუნვა, ნაღველი ანუ სევდა ხელად შემქმნელი, გინა სენად გარდაქცეული (ვეფხისტ. 170, 309, 881, 883), **скука, забота, задумчивость**.

კავი თავმოგრეხილი იარაღი ხისა ან რკინისა, **крюк, крючек**.

კავი ნავის ღუზა (საქმ. 27, 29) **котва, якорь**.

კავები წინამო (თმასთან ნახე), **пукли, локоны**. თ. ზილფი [სპ.], ს. მაწაკ.

კავკავი (კავკავებს) ღავღავი, მცირის ძაღლის ყეფა, **тявкать**, *γαΰγισις, γαΰγισμα*.

კავშირი მეტალლთა, გინა თიხის ჭურჭელთ დასაკერებელი კოწიწი, **спайка**. // სტიხიონი, ე. ი. 4 ნივთნი: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი, რომელთაგანცა არს სხეულთ შემტკიცება და შენივთება (ვეფხისტ. 874, 1294), **стихия, состав, элемент**. // მეშვიდე ნაწილი სიტყჳსა ღრამმატიკულად, **союз**. // ძველი საფილასოფოსო წიგნი პროკლესი ელლინურიდამ გარდმოღებული იოანე პეტრიწისაგან და შემდგომად ესევე გარდმოუღიათ სომხურიდამ უფრო ადჳლ გასაგონად, ამავე წიგნს ჰქვიან პლატონიკა, **Платоника Прокла**.

კაზმა, კაზმვა (ვჰკაზმავ) მორთვა, შემკობა, მომზადება (ვეფხისტ. 710), **убирать, украшать**. // ცხენთ უნაგირის დადგმა, კმაზვა, შეკმაზვა, **седлать лошадь**.

კაზმული მორთული, განშვენებული, **убранный, украшенный**.

კათაკმეველი მოსანათლავი, განმზადებული ნათლის ღებად საქრისტიანოთა სწავლითა და მოძღურებითა, **оглашенный**, *κατεχούμενος*.

კათედრა მაღალი დასაჯდომელი მღუდელთ-მთავართა, ანუ მქადაგებელთ სადგომი ხარისხი, кафедра, *καθέδρα*.

კათოლიკე საზოგადო, საკრებულო ანუ მსოფლიო (ითქმის სარწმუნოებისათჳს), ანუ ეკლესიისა: ვითარ ერთი წმინდა კ ა თ ო ლ ი კ ე და სამოციქულო ეკლესია, Воедино. святую, с о б о р н у ю и апостольскую церковь, 8-й член веры, *εἰς μίαν, ἁγίαν καθολικὴν καὶ ἀποστολικὴν ἐκκλησίαν*.

კათოლიკე ფრანგი, რომის ეკლესიის სარწმუნოებისა, католик.

კათოლიკოზი უპირატესი მღუდელთმთავარი ეკლესიათა ზედა რომლისაშე სამწყსოებელთა, ვითარცა იყო საქართველოსი, католикос, первенствующий епископ. *καθολικός*.

კათხა ხის სირჩა, ძირიანი და მაღალი (ნახე სასმისთან), рюмка деревянная.

კაი, კაია ნახე კარგი.

კაკა, კაკალი მარცვალი (ლევიტ. 21. 20), ятро, ядро.

კაკაბი (მთრ., იერემ. 17, 11), რყნ. рябка.

კაკალაპური მრგჳლად გამომცხვარი პატარა თეთრი პური, круглая булка, сайка.

კაკალი მრთელი ხილი ნაჭუჭითურთ ნიგოზისა და მისთანათა, орех (волошский). // მარცვალი თესლეულთა (იმერულად), зерно. // თუალის კაკალი, შივნითი სიმრგულე, გუგა, зорочек.

კაკანი (კაკანებს) ხმიანობა ქათამთა და კაკაბთა.

კაკაჩა (მთრ.) პინო.

კაკაჩი კაშკაში მთოვარისა.

კაკბის ხაკვნეტელა (ბალ.).

[კაკვა]

კაკრა კენკრა.

კაკულა (ბალ.) ჰილი, кардамон.

კალა ბრპენი, მეტალი თეთრად დასაფერავი (ეზეკ. 22, 18). олово. *κάλαϊ*.

კალათი მცირე გოდორი წნულთა წნელთაგან დაწნული (1 მეფ. 25, 18), кошница, корзинка, *κάλαθα,-θι,-θακι*.

კალამი საწერი ლერწამი, გინა ფრთა (3 იოან. 1, 13; ვეფხისტ. 4. 233), трость, писчее перо, *κάλαμι*. // ერთი კალამი, ორი კალამი ნუსხაში, статья в регистре. // სამპატრო კალამი (ნახე ბეწვის კალამი).

კალანდრა კალენდრა, წიგნი სათთვეთა აღრიცხვათა, календарь. *καλενδάριον*.

კალანოსი (ხე) ბელეკონი.

კალაპოტი დარიჯაგი, форма, колодка, *καλαπόδι*.

კალატოზი გალატოზი, каменщик.

კალაქუა ბალახთ ნადნობი მასალა საპნისა, поташ.

კალახი მუხის ხე წყალში დებით გამაგრებული რკინასავით.

კალენდი, კალენდობა თთჳს თავი (სჯულის კანონი), календы, *καλάνδαι*.

კალვა (ვჰკალავ) სპილენძის ჭურჭელთ გათეთრება კალითა, лудить.

კალთა წიაღი, лоно, недро. // ანუ ფესვი სამოსელთა, пола, подол. // ანუ კარავთა (ვეფხისტ. 550), намет. // გინა წარზიდულება მთათა და მისთანათა (ნახე მთა), отрасль гор.

კალია (მწერ.) მკალი ბალახთა, кузнечик, саранча.

კალმასი, კალმასობა კალოზედ პურის მოთხოვნა, მოგროვება (ვითა მ უ ჩ ი რ ო ბ ა ლეინისა).

კალმახი (თევზ.) форель.

კალმახი (სოკოა) ხეზე გამოდის, უფრო წიფელაზე.

კალო მრგუალი ადგილი ძნათ გასალეწი (მატ. 3, 12), гумно.

კალფაკი (თალფაქი ნახე) колпак, *κάλπακι, καλουάκι*.

კალხზედ ითქმის ოთხფერხთათჳს ოდეს განრისხებისაგან დადგებიან უკანა ფეხებზედ, ხოლო თავსა და წინა ფეხთა მაღლა დაიჭერენ, стать, становиться на дыбы или стоять дыбом.

კამა (ბალ.) რაზიანა, укроп.

კამათელი ნარდის ფიცარზედ საგორებელი, ოთხკუთხედ საგორებელი ძუალი სათამაშოსა, игральная косточка.

კამათობა (ვჰკამათობ, ვეკამათები) ცილობა, შფოთი, ჩხუბი სიტყჳთ.

კამარა კონქი, თაღი (1 ნეშტ. 28, 11; შავთ. 61), свод, арка, *καμάρα*.

კამარედი მცირე კონქი, კამარის მსგავსი, похожий на свод, *καμαροειδής*.

კამბეში, კამბეჩი (ოთხფ., 2 სჯული. 14, 5) буйвол. თ. ჯამუშ, ს. გამეშ, გომიშ. მამალს ეწოდება ხ ა რ კ ა მ ბ ე ჩ ი, დედალს—ფ უ რ კ ა მ ბ ე ჩ ი, буйволица, შვილსა მათსა—ზ ა ქ ი.

კამენი [ნ. მახარი].

კამილავკა სამღუდელო კუნკულა მეწამულის ფერისა, камилавка, *καμηλάυκι*.

კამკამი (კამკამებს) კაშკაში, მჭვრვალება ელვარებით (შავთ. 40, 45), мелькать. // ციმციმი ნაკადულთა, журчать.

კანაფი (ბალ.) ექუსუნჯი, конопель, *κανάβι*.

კანდელაკი მნათე. კანდელთ მნე, возжигатель лампад, пономарь, *κανδηλάπτης*. // ეკლესიის კრებულთა შორის, მღუდელი დეკანოზის შემდეგი, ключарь.

კანდელი სანათი, ლამპარი ზეთის ასანთები, лампа, лампада, *κανδήλι*

კანი თხელი ტყავი (ნახე ქერქთან).

კანკალი (კანკალებს, აკანკალებს) თრთოლა, ძრძოლა, дрожать, передрогнуть.

კანკელი მოაჯირი დაფანჯრული, ანუ ბადე მავთულისა (გამოს. 27, 4), мрежа (მსაჯულ. 5, 28), решетка, перила, *κάγκελον*. // ეკლესიათა შინა ხატთა დასასვენებელი ზღუდე, განმყოფელი საკურთხეველისა, иконостас.

კანკლედი იკანკლედი ანუ ბადის მსგავსი ფანჯარა, решетчатый.

კანკურა ფიცრის სარეკელი, клепало.

კანონარხი მგალობელთ დამძახებელი საგალობელთა წიგნიდამ, сказыватель стихир певчих, *κανονάρχης*.

კანონი განწესება (მიქ. 7, 4), правило. *κανών*, *κανόνας*, ხოლო *κανόνι* არს ზარბაზანი. //საკანონო, განკანონება ეკლესიურად. ცოდვის საზღაური, епитимия, კანონი დავითნისა, რაოდენიმე ფსალმუნი, ორი დიდება, кафисма.

კანოხი მესხნი უწოდებენ გაზაფხულს პირველ შებმასა ხართასა.

კანტი მომცრო, სუსტი ანუ გამხდარი, ჭანი, тощий.

კანტური (თავისა) უნებურად თავის ქნევა თულემისაგან, качать головою от дремоты. // კანტური ფეხისა, ოთხ-ფეხს რომ ერთი ფეხი სტკიოდეს და ვერ ადგამდეს.

კანძი ერთის ცხურის ნაპარსი.

კანჳი წვეთი.

კანჯარი (ოთხფ.) ველური ვირი (ფსალ. 103,11), онагр.

კანჯო მომცრო ნავი (იხილე ნავთან), лодка, ладья. თ. კანჯა.

კაპანი ქუალოჯი, ქვიანი ადგილი (ვეფხისტ. 397).

კაპარი (ხე) каперсы, *κάππαρη*.

კაპარჭი ნიჯგორი, საფრთე, ნაკაპარნი, ისართ ქარქაში (ფსალ. 10, 2; ვეფხისტ. 94), тул, колчан.

კაპარჭინა (თევზ.) лещ.

კაპასი ანჩხლი, გულპილწი, капризный, вспыльчивый.

კაპი ხეზედ ან ჯოხზედ მოკვეთილის რტოს ძირი მოგრძედ (ნახე გრჯლა), сук, сучец.

კაპილიონი პანდუქსიონი, ქარვასლა, გზათა ზედა აგებული სახლი მგზავრთა განსასვენებელად და სანოვაგეთა საშოვრად, кабак, харчевня, *καπηλεῖον*.

კაპოეტი (თევზ.) мускун, харнус. თ. ყარაპალუხ.

კაპოეტი (მფრ.) მფრინველი წელიწად გამოვლილი. თ. თულაქ (?).

კაპოეტი (ბალ.).

კაპოეტი ქუა მწვანე (დაბად. 2, 12) (მარხვანთ საკითხავში ნახე), камень, зеленый.

[კაპრუჭი ნ. გოლი].

კაჟი ტალი (ნახე ქუასთან) (იობ. 8, 17), кремень.

კარბა ქვაბის ყური, кербат.

კარაბადინი წიგნი სამკურნალო, საექიმო, лечебник.

კარავი სამგზავრო სადგომი ტილოსგან შეკერილი (გამოს. 26, 1 და შემდგომი; ფსალ. 14, 1 და 18, 4, კუალად 77, 60), скиния, шатер, палатка, ანუ საჩრდილობელი ტალავარი (ისაი. 1, 8), куща.

კარაკინი კრკალი, გინა ფარგალი, циркуль, *κρικέλλα*.

კარაპა ნავი მომცრო (ნახე ნავთან).

კარაული (ოთხფ.) სახედარი, ხრდალი ვირი (დაბად. 22, 3; მატ. 21, 5 და 2; პეტრ. 2, 16), осел, ослица.

კარაქი წინწანაქარი ერბო, ახლად ამოღებული, გადაუმდნარი (ნახე ცხიმთან), масло сливочное, или чухонское свежее.

კარგი რიგი, რიგობა (გამოს. 28, 17 და შემდგომი), ряд. ს. კარქ.

კარგი კაი, კეთილი, შესაბამი, რიგიანი (ვეფხისტ.). // Хороший, добрый. // კ ა რ გ ი ა, კაია, კმარა, довольно, полно. // კ ა რ გ ა დ კეთილად, რიგიანად ანუ საკმაოდ.

კარგვა (ვჰკარგავ) წარწყმენდა, მოკლება, დაკარგვა, терять, лишаться (იკარგება დაიკარგება), пропадать.

კარგვა გარიგება, რიგის მიცემა (ნახე განკარგვა).

კარდალი მომცრო ქვაბი, ქვაბქოთანა, ушат, дойник, *καρδάρι*.

კარდინალი რომის პაპის კოლეგიის წევრი, უპირატესი ეპისკოპოსთა შორის. ამათგანი გამოირჩევა პაპადცა, შემდგომად გარდაცვალებისა პაპისა, кардинал.

კარვობა მეშვიდის თთვის დღესასწაული ურიათა (ტალავერობასთან ნახე) (იოან. 7, 2), потчение сени, поставление кущей.

კართნი ან კარსნი კუთი, კუნთი, შეშაძარღვი (2 სჯულ. 21, 4; ისუ. 11, 6), жилы, икры.

კართობა რისხვა, ქადილი (ამოს. 1. 11). гроза.

კარი კედელთა შორის დატანებული შესავალი გასაღები და მისაგდები (მარკ. 1, 33 და 2, 2 და 16, 3), дверь. // ეზო მეფეთა ანუ დიდებულთა, двор царский, კარისკაცი და სხ., придворный. // თავი წიგნთა, глава, отделение книги.

კარიბჭე ეკლესიის შესავალს წინ კამარა დერეფანივით, ანუ სტოვა, паперть.

კარიდი (თევზ.) თევზი ვეშაპის გუარი, палтус.

კარიოფილა (ბალ.) მიხაკი, მირონის სუნნელია, гвоздика, *καρυοφύλι*, *γαροφαλιά* (ხე), *γαρόφαλον* (ყუავილი მისი).

კარკარი, რაკრაკი (კარკარებს. რაკრაკებს) კულიდამ სასმელთ გამოდენის ხმა, ანუ ხილთა საშუალ კურკათ ხმა ნძრევისგან.

კარკინო (მძრ.) კირჩხიბი, კიბორჩხალი, ანუ სენი რ კ უ დ წოდებული. рак. *καρκίνος*.

კარხე კარიბჭე, სტოვა (მსაჯულ. 3,23), притвор (ზაქარ. 12, 2), преддверие.

კარშიკი გრგოლი მეტალლისა, რაიცა ჯაჭვურად გაყრილია ერთი მეორეში (გამოს. 26, 6 და შემდგომი), крючки (და 27, 4 და შემდგომი), кольцо, звено.

კარჩხანა (თევზ.) карась.

კარჭაპა ნავია ერთგუარი, карбас, коломенка.

კასაბი ქონდაქარი, მეხორცე, мясник. თ. ყასაბ [არაბ.].

კასია (ხე) ხე სუნნელი. დარიჩინის გუარი (ფსალ. 44, 9), кассия. *κασία*.

კასკასი (ვკასკასებ) კისკისი, გულიანად სიცილი (ნახე სიცილში).

კასრი ხის პერპელი, გინა საწყაო რვის ჩანახისა, четверик.

კასსიტირიონი ქუა კალისა (ზაქარ. 4, 10), камень из чистого олова.

კატა (ოთხფ.) ციცა (ვეფხისტ. 323) მამალს ეწოდება ხ ვ ა დ ი, кот, *γάτος*; დედალს—ძ უ, кошка, *γάτα*, ჭრელსა და სუფთას — ხ ა ტ ა უ რ ი, ველურს — კ ა ტ უ ნ ი, შვილსა მათსა—კ ნ უ ტ ი, კნოტი, котенок, котята, კნუტები.

კატაბანი ტყუვილი (ვეფხისტ. 472).

კატაბარდა (ბალ.).

კატადუბოხანი (მფრ.) კოტი.

კატავასია ბერძულად გ ა რ დ ა მ ო ხ ს ნ ა, ხოლო საეკლესიოთა გალობათა შინა უკანასკნელად სათქმელი ძილისპირი, რომელია დასაფარები, катавасия, *καταβασις*.

კატანი (ბალ.) შინაური მსუქანა, დანდური.

კატაპელტი ძველებური საომარი დიდი მაშინა, რომლითაც ესროდიან დიდროვანთა ქვათა გამაგრებულთა შინა ციხე-ქალაქთა, ვიდრე შემოღებადმდე ცეცხლის სასროლთა საპურველთა. ამავე მაშინასა შინა შთასმიდენ შემცოდეთა და განხერხდენ, катапульта.

კატაპიტნა (ბალ.) კატარი, ცუდი პიტნა.

კატარრაკატი ხალვანი ან სინოხი (ხუნდთან ნახე) (იერემ. 29, 26), клада.

კატარღა საომარი ნავი (ვეფხისტ. 603), каторга, галера. // ხოლო მდაბიონი უხმობენ მცირეს ტივსა მდინარეთა შინა განსასლველსა, паром.

კატასი ტრაპეზის საბურავი ტილო.

კატის ბალახა (ბალ.) მიწის საკმელა, асарон, балдырьян.

კატიხისის, კატეხიზმის საქრისტიანო სწავლა სარწმუნოებისა მოკლედ (ამისგან არს ლექსი კ ა თ ა კ მ ე ვ ე ლ ი, იხილე მუნ), катехизис, *κατήχησις*, catechismus.

კატუნი (ოთხფ.) ველური კატა, дикий кот.

კატუჯარი სირაჯა, ცხენის სენი ნაფაზივით.

კაფვა (ვკაფავ) ჭრა, მოკვეთა ხეთა ძირითურთ, ანუ მოკაფვა რტოთა, сечь, рубить.//სრვა, ხოცა ლაშქართა (ვეფხისტ. 1406).

კაფიად, კაფიათად გასაგონად ლაპარაკი (შავთ. 29), внятно.

კაშანი კაეშანი ნახე (ვეფხისტ. 825).

კაშკაში (კაშკაშებს) მზისა, მთოვარისა და ვარსკვლავთ ბზინვა მოწმენდილზედ, полное сияние светил небесных. // კუალად კასკასი, კისკისი.

კაშხალი ჩხნდე.

კაჩა მუხლის ძირის სადრეკი, კვირისთავს ქვეშ.

კაჩალო კაპიანი ხე ხორცთ საკიდარი.

კაცადი და **კაცადკაცადი** თჳთოეული კაცი (მატ. 18, 35 და 25, 15; ლუკ. 2, 3; ფსალ. 11, 2 და 61, 12), каждый.

კაცთამოთნე პირფერობით მასიამოვნებელი სხვათა საენებელად (ფსალ. 52, 5; ეფე'ს. 6,6), человекоугодник.

კაცი ცხოველი სიტყჳერი, გულისხმიერი და მნებებელი (კატილ. ანტ. § 237; ფსალ. 1, 1 და 8, 4), человек, муж. ლექსსა ამას დაერთეიან რა ზედშესრულნი სახელნი, გამოაჩინებენ ვინაობასა, მდგომარეობასა ანუ ხელობასა, ვითარ კ ა ც ი საერო, სამხედრო, სამღუდელო, მსახური, უცხო, სტუმარი და სხ. // კუალად კაცი განიყოფის მ ა მ ა კ ა ც ა დ და დ ე დ ა კ ა ც ა დ. მდაბიურად მ ა მ ა ც ი და დ ი ა ც ი (მარკ. 10, 6), რა მამაკაცსა მიეთხოვოს დედაკაცი, პირველს ეწოდების ქ მ ა რ ი, მეორეს—ც ო ლ ი და ორთავე მ ე უ ღ ლ ე ურთიერთისა. ნაშობსა მათსა — შ ვ ი ლ ი; ხოლო მამრსა—ძ ე და ვ ა ჟ ი, მდედრსა — ა ს უ ლ ი და ქ ა ლ ი. კუალად მამრსა ეწოდების წ უ ლ ი მარტივად, არამედ რთული არს საზოგადო, ვითარ ძ მ ი ს წ უ ლ ი, დ ი ს წ უ ლ ი, მ ა ზ ლ ი ს წ უ ლ ი, უ ფ ლ ი ს წ უ ლ ი და სხ. (იხილენ ლექსნი ესე). // კუალად განიყოფების კაცი ჰასაკისაებრ ესრეთ: ვიდრე ხუთს წლადმდე ეწოდების უ ს უ ა რ ი და ჩ ჩ ვ ი ლ ი, ხუთის წლიდამ ათხუთმეტს წლადმდე: ყ რ მ ა, ყ რ მ ა ა, ბ ო შ ვ ი, ბ ო ვ შ ი. ათხუთმეტის წლიდამ ოცდა ხუთს წლადმდე: ჭ ა ბ უ კ ი, ჭ ა ბ უ კ ა და ა ხ ა ლ გ ა ზ დ ა. შემდგომად ვიდრე ერგასის წლადმდე—ს რ უ ლ ი კ ა ც ი და შემდგომად — მ ო ხ უ ც ი, მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი და მ ხ ც ო ვ ა ნ ი. ხოლო მდაბიურად მამრსა—ბ ე რ ი კ ა ც ი, მდედრსა—დ ე დ ა ბ ე რ ი და ბ ე ბ ე რ ი და შემდგომად მისსა — მ ი ხ რ წ ნ ი ლ ი . // ხოლო სხუათა რაჲსა მიმართობათაებრ, ვითარ ნათესავობისა, უფროს-უმცროსობისა და მისთანათა სახენი ამისნი ჰპოვენე თჳსთა ადგილთა.

კაცის ჭია (მძრ.) глист.

კაცისკლვა ცოდვა წინაალმდგომი 6 მცნებისა (მარკ. 7, 21), убийство.

კაცის მკლველი მცოდველი წინაალმდგომად 6 მცნებისა (იოან. 8, 44; საქმ. 3, 14), убийца, человекоубийца.

[კაცობა]

კაწანი ლობე ეკალთაგან (ნახე ზღუდესთან).

კაწაპი წულის ჩასაცმელი სასხლეტი საადვილოდ.

კაწახი უმწიფური, მჟავე კოწამახი (იერემ. 31, 29; ეზეკ. 18, 2), кислый, неспелый, ისაი. 18, 5; недозрелый. ს. ქაცახ.

კაწკაწი კბილთ ღრაჭუნი ძლიერის ნდომით.

კაჭაჭი (ბალ.) ხმელის შამბის ღერო.

კაჭკაჭი (მფრ.) сороки.

კაჭრობა გველთ ხმიანობა, სივილი, სისინი.

კახპა როსკიპი.

კბილი ცხოველთა ყბათა შინა ამოსულნი ძვალნი დასაცოხნელად საზრდელისა (ფსალ. 3, 7 და 34, 16), зуб. ამათ შორის არიან წინა კბილნი ზევით და ქვევით უფრო მოთხენი. და უ კ ა ნ ა კ ბ ი ლ ნ ი შემდგომნი მათნი უფრო ზრქელნი, ხოლო სრულიად უკანასკნელნი, რომელნიცა ამოუვლენ კაცთა შემდგომად 20 წლის ჰასაკისა, ეწოდებათ საბრძნე კბილი—умные зубы. დიდს კბილსა, უშვერად ამოსულსა, ჰქვიან ღ ო ჯ ი. რომელთამე მხეცთა წინათა და უკანათა კბილთა შორის აქუნ მოგრძენი კბილნი ფრიად მკვეთრნი და მავნებელნი, ამათ ეწოდების შ უ ა ნ ი (ფსალ. 57, 6), членовные зубы, ხოლო სპილოთა, ტახთა და მისთანათა ფრიად გრძელთა ამგვართა ქვეითთა კბილთა ჰქვიან ე შ ვ ი, клык. და ეშვთ სალესავთა ზევითთა ღოჯთა — გ ო რ ა ნ გ ო, ცხენთა დიდსა კბილსა—ს ა ლ ა გ მ ე.

კბოდე ზღვათა და მდინარეთ პირი ფრიალო, ფლატიანი და ჩაუვალი (მატ. 8, 32; მარკ, 5, 13), берег, утес.

კბოდოვანი ზღვათა შინა ადგილი კლდიანი, ანუ თხელი და ქვიშიანი, მეჩეჩი, ვრაქია, საშიში ხომალდთათჳს (საქმ. 27, 17, 29), сирт, мель, каменистое место.

კდემა, კდემულება (ვიკდემ, მეკდიმების) ფრიადი სირცხვილი, შიში გმობისა (ფსალ. 34, 4, 26 და 43, 15 და შემდგომი, კუალად 68, 6, 19), срам, срамота.

კდომა (ვჰკუდები) სიცოცხლისგან მოკლება (ვეფხისტ. 12), умирать.

კედარი (ხე) ნაძვის გუარი, ფრიად მაღალი, кедр, κέδρος.

კედელი ნაგები ზღუდე სახლთა და მისთანათა (ნახე ზღუდესთან) (ფსალ. 61, 3; საქმ. 23, 3), стена.

კედი სამკუთხი ქვა.

კეეშანი ნახე კაეშანი.

კევი საცოხნელი მასტაკი.

კევრი, ქევრი სალეწავი ფიცარი კოხებჩასხმული.

კეთება (ვაკეთებ) შექმნა რისამე, გაკეთება ანუ მოქმედება, მუშაობა, делать, работать.

კეთილად დგომა კეთილმდგომარეობა, благостояние, благосостояние.

კეთილად ძლე განთქმული ძლევითა, მძლეველი, добропобедный.

კეთილად წარმატება წადილისაებრ საქმის აღსრულება, благоуспешность.

კეთილგონიერება გონიერებით კეთილის აღრჩევა და მისდამი მოსწრაფება, благоразумие.

კეთილდღეობა დღეკეთილობა, благоденствие.

კეთილზნეობა შეუგინებელად დაცვა ზნეობისა, благонравие, добронравие.

კეთილი (ზედშესრულად) სახიერი, ტკბილი (ფსალ. 117, 1 და შემდგომი; იოან. 10, 11), благий, добрый. // საუკეთესო, უაღრესი ანუ სასარგებლო (დაბად. 1, 4; და შემდგომი 2, 9, 12; ფსალ. 132, 1), добрый, хороший, хорошо.

კეთილი (არსებითად) რაცა სრულჰყოფს კაცსა და მდგომარეობასა მისსა (§ 12 პრაქტ. ფილოს., ფსალ. 33, 10, 12, 14; ზირაქ. 9, 17), благо, добро.

კეთილის მოსურნე მწადნელი ვისთჳსმე სიკეთისა, კეთილობისა, ბედნიერებისა, доброжелатель, -тельный.

კეთილის მოქმედი ქველის მოქმედი, აღმასრულებელი კეთილთა საქმეთა, благотворитель.

კეთილის მყოფელი გამაბედნიერებელი, მიზეზი დღეკეთილობისა (ფსალ. 12, 7), благодетель.

კეთილის ყოფა ქველის მოქმედება (ფსალ. 77, 11), благодеяние.

კეთილმოდრეკილი კეთილის ჰაზრის მქონებელი ვისთჳსმე, благосклонный.

კეთილმითვალული სასიამოვნოდ მიღებული, благоприятный.

კეთილმორწმუნე მტკიცედ აღმსაარებელი მართლისა სარწმუნოებისა, благоверный.

კეთილმოწყლეობა გულისშეტკივება, კეთილად მზრუნველობა, благоутробие.

კეთილმსახურება სრულითა გულითა პატივისცემა ჭეშმარიტისა ღვთისა, благочестие.

კეთილსახე სახიერი, მშვენიერი შესახედავით, благообразный.

კეთილსვეობა ბედნიერება, დღეკეთილობა, благополучие.

კეთილსულობა სიკეთე სულისა, გულით უბოროტობა, добродушие.

კეთილშეზავება ჰაერისა კაი ამინდი, благорастворение воздуха.

კეთილშობილება აზნაურება, ჩინებული გვაროვნება, благородие, благородство.

კეთილხმა საამოვნო ხმიანი (ფსალ. 150, 5), доброгласный.

კეთრი სენი ფრიად საძაგელი და კნინღა უკურნებელი, რომელ გამოესხმის სრულიადს ტანზედ თეთრი მუწუკები ქერტლივით და დასქდება სიმაღლით (ლევიტ. 13, 3, 8 და შემდგომი; მატ. 8, 3), проказа, прокажение.

კეთროვანი კეთრით სნეული (მატ. 8, 2 და 26, 6; ლუკ. 17, 12), прокаженный.

კეისარი რომის მეფე, იმპერატორი. სახელნი ესე შემოღებულ არიან ძველთაგან რომის ხელმწიფეთა (ლუკ. 2, 1; ვეფხისტ. 312), кесарь, *καίσαρ*, casar.

კეკელა, კეკლუცი მოხდომილი ან მორთულობის მოყვარე (ნახე ლამაზი) (ვეფხისტ. 29, 398, 403, 951), щеголь, щеголиха, кокетка. // ზოგჯერ ითქმის ნივთთათჳსცა ანუ საუბართა (ვეფხისტ. 126), щеголеватый, приятный.

კელარი მეკუჭნავე, ключник, целларий, *κελλάρης*, cellarius.

კელიონი, კელია მცირე სენაკი, келья, *κελλί*, *κελλεῖον*.

კელეპტარი სასანთლე ანუ კერეონი, факел, *κερί*, *κεράκι*.

კელმენი მსხვილი ჭილობი, рогожа.

კელობა (ვჴელობ) მცირედ კოჭლობა (ფსალ. 17, 45), хромать.

კემსა (ვჴკემს) წურილად ჭრა.

კემუტი დაჟინებული, ახირებული, упрямый. //გაბურძგნული ან მოთელილი თმა, растрепанный.

კემუხტი ტარსიკონი, სამოგვე ფერადად შეღებული, сафьян.

კენ კერძოდ ანუ მიმართ, ვითარ ჩემკენ, შენკენ, აქეთკენ, იქითკენ და სხ., к, по (ვეფხისტ. 573, 591).

კენარი კეკლუცი, მოხდომილი, კისკასი, ტანადი (ნახე ლამაზთან) (ვეფხისტ. 60).

კენკა (ვჴკენკ, -კავ) მფრინველთაგან მარცვალთ კრეფა და ჭამა, клевать.

კენკრა, კაკრა ხიჩატელი, გარეულს ხეზედ მოსხმული მარცვალი რამ ხილსავით, ягода.

კენტავრო ნახე იპპოკენტავრო, *κένταυρος*.

კენტი ცანპკული, არა ლუწი, нечетное число.

კენტრო სიმრგულის შუაწერტილი, средоточие, центр, *κέντρον*.

კენჭი წურილი ქვა.

კენჭები კრიალოსანი (მამათ ცხ.) (ნახე ქვასთან), камушки.

კეუერა (ბალ.) თავდაუხვეველი, გაშლილი კომბოსტო (ნახე კომბოსტოსთან).

კერა, კერაკი, კერაკანი და **ლანძვი** რკინის საცეცხლური ან გრძელი ზედადგარი, მუგუზურთ თავების დასადები (იერემ. 36, 23), огнище.

კერახეული სასმისი ღვინისა ხმარებული მონასტერთა შინა, красовуль, красоуля, *κρασολάϊνον*.

კერახი წურილი სანთელი თაფლისა გრძლად ჩამოსხმული და დახვეული, *κερί, κεράκι*.

კერატი (ოთხფ.) დაუკოდავი ტახი (ნახე ღორთან).

კერატი 4 ქრთილის მარცულის წონა (იხილე საწონთან), карат. თ. ყგრათ.

კერატი (ბალ.) მხალია, ლობიოს ჰგავს.

კერეონი კელეპტარი, დიდი სანთელი, факел.

კერვა (ვჰკერავ) ნემსით და ძაფით გარდაბმა საკერავთა და სხ., шить.

კერკეტონი ღამით მცველნი, ბოროტთა კაცთა შესაპყრობად მოარულნი, объезд или обход ночной.

კერკი, გერკი გამხმარი ხილი და საკუთრად შინდი კურკიანად, ხოლო კურკებგამორჩეული არს ჩ უ რ ჩ ა.

კერმა წურილი ფული (იოან. 2, 15), пенязь, мелкая монета. თ. ახჩაფარა.

კერპთმსახური წარმართი, მოსავი კერპთა (1 კორ. 6, 9), идолопоклонник, идолослужитель.

კერპი სახე კაცის, ანუ სხჳსა რისამე, რომელსა წარმართნი ესვიდენ ღმერთად (ისაი. 10, 11), кумир (ფსალ. 95, 7 და 113, 12), идол. // კაცი ფრიად გლისპი, ჯიქი, შეუპოვარი, болван, упрямец.

კერშილობა ნადირთ მაკინტალობა, მაკიანობა (ხურაობა ნახე).

კერძი წილი თუ არშივი (ნაუმ. 3, 8), часть, доля, паёк.

კერძო ნაწილი, თჳთოეული ასო მრთელისა, часть (ნახე წინაკერძო, უკანაკერძო და სხ. თჳსთა ადგილთა) (ზაქარ. 14, 4).

კერძო დიაკონი არა სრული დიაკონი, შემდეგი მისი (ნახე დიაკონი), подьякон.

კერძოვირი (ოთპფ.) ნახევარვირი, ჯორი (ისაი. 65, 20), меск, лошак, катер. თ. ყათარ.

კეხი ხომალდის აფრათ გასაბამი ლატანი, райна.

კესი წუთის ნახევარი (ნახე ჟამი).

კეტა (ვჰკეტ) დაკრძალვა, დახშვა, დაკეტა, запирать, замыкать.

კეტი მსხეილი ხე ასაწევი რისამე, ანუ მტერთ მოსაგერებელი (ვეფხისტ. 267, 1031 და შემდგომი), рычаг или булава, дубина.

კეფა ბერძულად ფიქალი, კლდე (არს სახელი კაცისა) (1 კორ. 9, 5), кифа, *κηφᾶς*.

კეფა თავის უკანა კერძო, затылок.

კეფანი მაღალი ხუფი საჭმელთ სახურავი, крыша, закрыша. თ. ზარფუშ [სპ.].

კეფი მრთელი ფურცელი წერილისა (იერემ. 36, 23), лист писания, ხოლო ცალი გვერდი არს კ ა ბ ა დ ო ნ ი, კ ა პ ა ტ ო ნ ი.

კეცა (ვჰკეც) გაშლილის შემოკრება წყობით.

კეცი საზოგადოდ თიხა ჭურჭელთა (დან. 2, 35), скудель, глина. // მსოფლიურად: მრგუალი ტაბაკი თიხისა, რომელსაც გაახურებენ და მას ზედა გამოაცხობენ პურთა, მჭადთა და მისთანათა.

კეცტყავი ანუ **ტყავკეცი** ბაკანი კუთა, ოსტრაკოთა, კონხილიოთა, სადაფთა, პინასთა და მისთანათა სიმაგრისათჳს მათისა, ხოლო ჩ ვ ი ლ კ ე ც ი კიბოთა, კირჩხიბთა, ასთაკუთა და მისთანათა, ადჳლ შემუსრჳსათჳს მათისა (ნახე ქერქი) (ნემეს. 1).

კეწერი ხის რტოს წინა მწვერვალი (ნახე გრჯლასთან) (ეზეკ. 31, 12), отрасль.

კეჭნა (ვჰკეჭნი) ძელთა ზედა მცირედ ნიშნების დაჩნევა, ანუ ჭრა ჩლუნგის იარალითა, делать насечки на дереве, бревне.

კეხი უნაგირის ხე გათლილი და ჯერეთ შეუმოსავი, арчак.

კვალად, კუალად, კ͠დ კიდევ, მეორედ (იოან. 21, 1, 17), еще, опять.

კვალად გება (კვალად ვაგებ) მოქცევა პირველსა წესსა ზედა, რიგის მიცემა (მატ. 17, 11), устраивать. // ნაცვალგება, მაგიერის გარდახდა (ებრაელ. 11, 26), мздовоздаяние, возмездие.

კუალი, კუალიხა, კუალები ნაფეხვარი (ფსალ. 76, 19; ვეფხისტ. 98, 286), след.

კუალი, კულისა, კულები მარგი ბოსტნისა, გინა გუთნით გაელებული ორნატი ხნულისა, борозда, гряда.

კჳამლი, კომლი მნთებარეთა ნივთთაგან ზეაღმავალი შავი ორთქლი თჳნიერ ალისა (ფსალ. 67, 2; გამოცხ. 9, 2), дым.

კვანტი, კვანტულელი ღვედის მაგიერ ლატანი გაოდასაბამი უღელთა.

კვაჩხი უძირო სირჩა (ნახე სასმისთან).

კვანწვა (ვიკვანწები) მიმოგრეხა როკვაში უსულიანად, изгибаться в пляске.

კვანჯილი ბაზთ ფეხის თია.

კვართი პერანგი ანუ ჯუბა (ფსალ. 21, 18; იოან. 19,21). хитон (მატ. 5, 40), срачица.

კვარცხლბეკი ფერხთსადგმელი საყდართა ზედა მჯდომარისა (ნახე ალსავალთან) (ფსალ. 98, 5; მატ. 5, 35), подножие.

კვახი (ბალ.) აყირო (ნახე გოგრასთან).

[კვდომა ნ. კდომა]

კვება (ვჰკვებ) ჭმევა, ზრდა, გამოზრდა, გამოკვება, кормить.

კვებება (ეკვებების) ნახე დაკვებება.

კვეთა (ვჰკვეთ) ჭრა, პობა, განკვეთა (ვეფხისტ. 587), резать, сечь, колоть, рубить.

კვეთა უწინარეს ლიტურღიისა მომზადება მწირველის მღუდლისაგან საუფლოთა ძღვენთა, проскомидия.

კვეთება (ვეკვეთები) ჯახება, დატაკება (მატ. 7, 25), нападать, устремляться, [кидать].

კვეთებული ეშმაკეული, სნეული, ტანჯული, გვემული ეშმაკისგან, беснуемый.

კვერეული ყველი მრგვლად შედედებული, ანუ მისებრი ხოდი ჩამოუსხმელის სანთლისა და სხ., круг сыру, воску, сала и т. п.

კვერექსი დიაკონის სათქმელი ლოცვა, დიდი მშვიდობიანი, შეგჳწყალენი და სხ., ектения.

კვერთხი მომცრო არგანი (ნახე ჯოხთან) (2 კორ. 11, 25; ფსალ. 2, 9 და 22, 3), жезл, палица, палка (კჳალად 44, 6), скипетр.

კვერი მცირე ხვედა ან ურო რკინისა (ისაი. 41, 7; ვეფხისტ. 1332), млат, молоток. თ. ჩექიჩ.

კვერი მცირე მრგვალი პური კრკალივით გამომცხვარი, გინა შაქრის პური და მისთანანი (ნახე პური), пряжма, крендель, баранка (2 მეფ. 13, 6-7).

კვერნა (ოთხფ.) ნადირი კაის ბეწვეულისა, куна, куница (ბარუქ. 6, 21), кошка. თ. ზარდავა.

კვერცხი დედალთა მფრინველთა და რომელთამე ქვეწარმავალთა და მწერთაგანცა დადებული მრგვალი და თეთრი ნაყოფის საცავი (ისაი. 10, 14), яйцо. თ. იმურთა, ს. ძუ.

კვესი ფოლადი, ანუ რკინა კაჟის შემოსაკრავი ცეცხლის გასაჩენად (ვეფხისტ. 193, 266, 1367). огниво. თ. ჩახმახ.

კვეტენა თასმის ღილი.

კვეცა (ვჰკვეც) ჭრა მაკრატლით, გაკრეჭა, стричь, резать ножницами.

კვეხნა (ვჰკვეხ, ეიკვეხი) ტრაბახი, თავის ქება, მოწონება (ვეფხისტ. 1036), хвастать, хвалиться.

კვიმატი კუმატი, კომეტი.

კვინტილა გრძნეულთ ზეთი.

კვინჩხი, კურინჩხი (ხე) дёрн (ягоды).

კვიპარი, კჳპაროსი (ხე) სარო (ისაი. 41, 19; ეზეკ. 31, 8), кипарис, κυπαρίσσι, κυπάρισσος.

კჳპრი (ხე) ალვის ხე (ქებ. 4, 13), кипри (?).

კჳრა პირველი დღე შვიდეულისა, რომელია მზისა (ნახე ცთომილთან), воскресный день, κυριακή. თ. ბაზარ [სპ.], ს. გირაგ[ი].

კჳრაცხოველი ახალკვირა, თომას კჳრა, фомино воскресенье.

კჳრიაკე შვიდეული, მსგეფსი, неделя, седьмица, κυριακή, κυριακός.

კჳრვა (მიკჳრს) გაოცება (განკჳრვება ნახე), дивиться.

კვირისტავი სასთველთა ტართა ძირის შემოსაცმელი მრგვალი ხე, ან ძვალი და მისთანანი. // მუხლის კვირისტავი, მრგვალი ძვალი მუხლის თავში მბრუნავი.

კვირტი ჩენჩი მატყლისა მრგვლად მოთელილი, клочек шерсти, косма. // ვაზისა და მისთანათა კოკორი, почка виноградной лозы.

კვიცა პური (ნახე გვიცა).

კვიცი (ოთხფ.) ცხენის შვილი (ნახე კიცვი), жеребёнок. თ. თაი. ს. ქურაკ.

კჳლავ, კჳლა მდაბიურად კ უ ლ ა ვ (თჳნიერ ბრჯგუისა უ, ნახე).

კჳლევა (ვუკჳლევ) ახალწელიწადს მილოცვა ტკბილითა რითმე, შაქრითა, ხილითა და მისთანითა.

კჳლევა (ვიკჳლევ) ნახე გამოკჳლევა.

კჳლიავი (ბალ.) ზირის გუარი თესლი აქუს ამ ბალახსა, кимин [кмин], тиман [тмин].

კჳნესა (ვჰკჳნესი) სულთქმა, ოხრვა, ვაება სნეულისა, ანუ მწუხარისა (2 კორ. 5, 2), воздыхать, стонать.

კჳნეტა (ვჰკჳნეტ) ხრამუნი, ხმელის დაცოხნის ხმა.

კუნიტი მოდიდო ნატეხი მარილისა, შაქრისა და მისთანათა; და კ უ ნ ი წ ი უმცირესი.

კურივი ნახე მკურივი.

კურა ნახე კრვა.

კი იმერნი ხმარობენ ლაპარაკში ნაცულად დ ი ა დ, да, так.

კიბე ხარისხედი დანდალოვანი, უფროვე ძელთაგან შექმნილი საფეხურებით (ნახე აღსავალთან) (დაბად. 28, 12), лествица, лестница.

კიბო (მძრ.) ასთაკვი, рак.

კიბორჩხალა (მძრ.) ცხრაფეხა, კირჩხიბა, рак круглой.

კიდარი ვარშამანგი, თავსაბურეველი გვრგვნი ძველთა იუდეანთ მღუდელთ მთავართა (ზაქარ. 3, 5), кидар.

კიდე ნაპირი, კიდური (ფსალ. 2, 8 და 18, 4. 6, კუალად 117, 22; ვეფხისტ. 424), край, конец, предел, угол. // პირი ზღჳსა ანუ მდინარისა (მატ. 13, 1 და შემდგომი; ვეფხისტ- 1019), брег, берег.

კიდი, კიდეგან გარდა, გარეშე, თჳნიერ; თან დებულნი ესე მიიღებენ ნათესავობითსა ბრუნვასა, თვალდ ითქმის კ ი დ ე გ ა ნ და ბოლოდ განკიდე. მაგალ., კიდეგან შეწევნისა, ანუ შეწევნისაგან კ ი დ ე (ვეფხისტ 31, 273, 558, 794), кроме, мимо, без.

კიდება (ვჰკიდებ) დატჳრთვა, ზურგზედ საპალნისა აკიდება, вьючить. // მაღლა შეკიდება, დაკიდება, вешать.//(ჰ კ ი დ ი ა, ჰ კ ი დ ა ვ ს) დაკიდებულად ყოფა, висеть.

კიდეგანი განაპირებული, крайний.

კიდეგანობა განკიდურება, განწირულება, крайность, [устранение].

კიდევ კუალად, მერმეცა, მეორედ, опять, ещо раз. თ. გენა, ს. ელი.

კიდეც განაღამც, уже.

კიდობანი მსოფლიურად დიდი ზანდუკი ნამცხუართა პურთა შესანახავი (ზარდახშასთან ნახე). ს. გდობან. // ნოეს კიდობანი, რომელიცა იყო მსგავსი ხომალდისა (მატ. 24, 38; ებრაელ. 11, 7), ковчог (Ноев). // ფიცრის კოლოფი, რომელსა შინაცა იუდეანთა აქუნდათ დამარხულ ფიცარნი სჯულისანი (გამოს. 25, 10; ფსალ. 131, 8; ებრაელ. 9, 4), кивот. // მოაბა, ანუ ქჳჯაო კაცაა შთასასმელი სატარებლად, კუბო (გამოს. 2, 3; ვეფხისტ. 572, 615), ковчежец. // გჳრგჳნი, ჯარგვალი, ძელნი მოჳდობით შეკრულნი სამ ანუ ოთხკუთხედ.

კიდონტი შავი ქჳა მაგარი, გამოსაცდელი ოქროსა და ვეცხლისა (ნახე სასრევი).

კიდური ნაპირი, კიდე, край.

კიდურწერილობა შაირთა შინა თჳთოეულის ტაეპის პირველთა ასოთაგან შედგინებული ლექსი, ანუ სიტყვა, აკროსტიხი, краестишие, акростих.

კივილი (ვჰკივი) შორიდამ ხმა მაღლად ზახილი (ვეფხისტ. 1028, 1032), кричать.

კითარი თითებით საკრავი ხეთძალი ანუ აძალი, მსგავსი დიდის ჩონგურისა, гитара, *κιθάρα*.

კითხვა (ვიკითხავ, ვჰკითხულობ) წერილთა აღმოცნობა, ანუ თქმა ხმით (საქმ. 8, 28 და შემდგომი), читать. // შორიდამ მოკითხჳს შეთუღა, посылать, свидетельствовать поклон.//(ვჰკითხავ, ვჰკითხულობ) გამოძიება პასუხისა (მატ. 2, 4 და 21. 24; საქმ. 1, 6), вопрошать, спрашивать.

კიკინები გრძელი თმები ხუჭუჭად (ნახე თმასთან), пукли.

კიკინი (კიკინებს) თხათა ხმიანობა, блеять.

კილამონი, კილამურა (ბალ.) зерлик.

კილი ხორბლის, ანუ ბრინჯის ბუდე, шелуха.

კილი მცირე რამ წუნი, ანუ ბრგვილი, აქედამ კ ი ლ ვ ა (ნახე გაკილვა), пятно, *κηλίς*.

კილიკი ლაზლის ფიჩვი ტანის შესაწუხებელი რამე (წმიდის ნინოს ცხოვრება).

კილიტა წურილი პეტალი, блестка, фольга.

კილო ღილთა და კავთა ჩასაგდებელი (გამოს. 26, 4). შემდგომთა შინა დაუწერიათ ღ ი ლ ი, петля, петлица.

კილო ისრისა რომლითაც მშვილდის საბელს ჩაეგდება.

კილო თუალის კუთხე, луз, глаз или каток у глаз.

კილო გალობისა, მიმოსაქცევი სხვაობა ხმათა (იერემ. 48, 32), напев, тон.

კილოდ მარილის მიცემა, გარდამეტება, დაჰარბება, пересолить не много, передать соли.

კილოკავად გადაველით, იგავად, мимоходом, стороною.

კილოს დაჩნევა, ანუ დასხმა, დაჰრილსა და მისთანას რა მთელება დააჩნდეს.

კიმანება პიხვინი, ანუ კივილი (ისაი. 10, 30).

კიმელი მცირე კუფხალი (ნახე მტევანთან).

კინამო ხის ქერქი სუნნელი, დარიჩინი (ქებ. 4, 14), кинамон, корица, *κιννάμωμον* (იგავ. 7, 17).

კინალამ, კინალარ კნინლა, ამპას, აპაპა, чуть не, чуть чуть, едва не.

კინენი შუბის გუარია (ნახე ლახვართან), [დარეჯ.].

კინკილი (ვჰკინკილებ) ცალფეხზედ სიარული, ფეხის კანტური.

კინკლაობა (ვჰკინკლაობ, ვეკინკლავები) მცირე ომი, ჩხუბი, перепалка, перестрелка, небольшое сраженіе.

კინკლოხი სქიმა ანუ ტაბლიცა, ცხრილივით შექმნილი წელთა აღრიცხვსა, მოქცევათა მზისა და მთოვარისათა და სხუათა, цикл, κύκλος. თ. თარლუ, ს. ტომარ.

კინკრუჟა (ხე) კუნკრუხელა, ან კენკრა ღვივისა და მისთანათა ხეთა ეკლიანთა, крыжовник.

კინტი პენტელას საწკეპავი, მშვილდის საცემი.

კინძვა (ვჰკინძავ) დაშლილთა ნივთთა, მეტადრე ქაღალდთა ერთად შეკრება და მიკერება, плесть, переплетывать.

კინწი კისერი.

კიპკიპი ხმიანობა ქორთა, შავარდენთა, გავაზთა და მისთანათა.

კიპრუჟი გოლი, თაფლის პური, сот меду.

კიჟინა, კიჟინის დაცემა მრავალთ ხმიანობა ასაგდებად, освистать. // ომში კივილი მეომართაგან.

კირთება მონება, ულელი მონებისა, დაკირთება (გამოს. 20, 2 და 2 სჯული. 5, 6), рабство, работа.

კირი ქვა დამწვარი და დალეწილი ფქვილივით კედელთ საშენებელად სიმაგრისათჳს, известь.

კირიელეისონი, კრიალოსანი სავარდი, ასხმული მძივები სათუალავად, чётки.

კირკაჟი ან კირკიტი მაგარი რამ ძნელად გასატეხი, ღრძნილი.

კირკინო (მძრ.) დიდი კიბორჩხალა.

კირკიტა (მფრ.) кобец.

კირკიტი ნ. კირკაჟი.

კირჩხიბი (მძრ.) ასტაკვი, კიბო, კარკინო და მისთანანი, рак. // მეწუკი მჭამელი რ კ უ დ წოდებული. // წისქვილის ლითონის საპყრობი რკინა. // ნიშანი ზოდიაქოსი, რომელიცა იუნისსა შინა მიითუალავს მზესა (შაეთ. 13) (ნახე ზოდიაქოსთან).

კირწიკორწი კისერზედ გადაბრუნება.

კისერი ქედი, უკანა კერძო ყელისა (ისაი. 30, 28), выя, шея.

კისკასი მორბედი, მსწრაფლი, მარჯვე, ცქვიტი (ამბაკ. 1, 6; ვეფხისტ. 1386; შაეთ. 11, 51), борзый, проворный.

კისკისი კასკასი (ნახე სიცილი).

კიტრანა (ბალ.).

კიტრი (ბალ., ვეფხისტ. 776), огурец.

კიშტი კალათა (ნახე შარაგული), кошница (იერემ. 24, 2).

კიჩერი ქიშური (ნახე ყურძენთან).

კიცვი (ოთხფ.) კვიცი ცხენისა ან ვირისა, მუტრუკი (მატ. 21, 2, 5 და შემდგომი), жребя, жеребя.

კიცხევა (ვჰკიცხავ, ვეკიცხევი) აგდება, დაცინება (მატ. 20, 19), поруганіе, осмеяніе.

კლაკუნა (იკლაკნების) მიმოხრით სლვა გველთა, მდინარეთა და მისთანათა, извиваться.

კლანჭი ჰანგი ოთხფერხთა (ნახე ფრჩხილი), когти.

კლდე მთა ანუ გორა მრთლად ქჳსა (ფსალ. 26, 5 და 77, 15 და შემდგომი; მატ. 27, 60), камень, каменная гора, скала. სახენი ამისნი არიან: ტ ი ნ ი ფრიად მაგარი, აღმა ამართული; ს ა ლ ი და ქ ა რ ა ფ ი ვრცელი და მაღალი ნიამორთაგანცა ძნიად სავალი; თ ი რ ი ლბილი და ადჳლ სათალი, რომლისაც ნატეხს ეწოდება მ ჰ ა დ ა ქ ვ ა და იხმარება სალესავად; კ ო ნ ც ხ ი, ა კ რ ა თუ ა კ ა რ ა გრძლად წაშვერილი ზღვათა და მდინარეთა შინა შესული; ჰ ე ო კლდე ფიქალიანი; გ ო ხ ი ქუთკირის მსგავსი; კ ბ ო დ ე ზღჳსა ანუ მდინარის პირის კლდე, ჩაუვალი ვითა ფლატე; ბ რ ა გ ი ზღვათა შინა დაფარული კლდე, სავნებელი ხომალდთათჳს. კუალად კლდეთა მაღალთათჳს ითქმის: კ ა რ კ ა ტ ო ვ ა ნ ი, პ ი ტ ა ლ ო, ფ რ ი ა ლ ო, ც ი ც ა ბ ო და სხ. (იხილენ თჳსთა ადგილთა). კლდეთა შინა იპოვებიან მეტალნნი, მინერალნი და სხ., რომელთაც ეწოდების ქ ა ნ ი მეტალლთა, ქანი მარილისა, შაბისა, მარმარილოსი და სხ.

კლდის დუმა (ბალ.) молодило.

კლდის თევზა (თევზ.) пискарь.

კლდოვანი, კლდიანი მქონებელი კლდეთა (მატ. 13, 5), каменистый.

კლება (ვაკლებ) დაკლება, არა სრულად მიცემა, лишать, сбавлять. // (მაკლს, მაკლია, მაკლდება) არა სრულად ქონება (ფსალ. 22, 1 და 38, 5; მატ. 19, 20), лишаться, иметь недостаток. // კლება მთოვარისა (იკლებს მთოვარე, კლებაში შევალს), ущерб луны.

კლება (ვიკლებ) აკლება, დარბევა, აფორიაქება, грабить.

კლემაქსი კიბე, წიგნი იოანე სინელისა, лествица, книга И. Синаита, *κλίμαξ*.

კლერტი ხმელი ღერი ფიჩხისა, ანუ გაკრეფუ-ლის მტევნისა (ისაი. 9, 18 და 37, 27; ოსე. 10, 4), троскот.

კლვა (ვჰკლავ) მოკუდინება, მოკლვა, убивать.

კლვადი დასაკლავი, საკლავი ხვასტაგი (ფსალ. 43, 23; იერემ. 12, 3), закалаемый.

კლთოლვა (ჰკლთის, ჰკლთოდა) დუღილივით.

კლიმატი მხარე ქუეყანისა განსხვავებული ჰაე-რით, климат, *κλίμα*.

კლიტე ბერძულად ჰქვიან გ ა ს ა ღ ე ბ ს ა და ქართულადცა ზოგგან უხმარიათ გასაღებად (მატ. 16, 19), მიგცნე შენ კ ლ ი ტ ე ნ ი სა-სუფეველისა და სხ. (ვეფხისტ. 453), ключ, *κλειδί*. თ. გილიდ, ს. ბალინქ. // ხოლო ზოგ-გან უხმარიათ ადგილსა დასაკეტთა მოქ-ლონთასა და საზოგადოდცა ამას უხმობენ (ბარუქ. 6, 17), კ ლ ი ტ ე ე ბ ი თ ა და მოქ-ლონებითა (ვეფხისტ. 1391), замок, замо-чек, замками и затворами (იოან. 2, 7), заклеп.

კმა გულსავსე, შეჯერებული (ლუკ. 3, 14; იოილ. 2, 11; ვეფხისტ. 503, 544), довольный.

კმა არს, კმარა საკმარია, სამყოფია, კაია (მატ. 6, 34 და 10, 25; იოან. 14, 8), довольно, достаточно, довлеет, полно, будет.

კმაზვა (ვჰკმაზავ) დარჩევა, დაკმაზვა (კაზმა ნახე).

კმევა (ვაკმევ, ვუკმევ) სუნნელთა საკმეველთა დაკომლება ცეცხლზედ შესაწირავად (ლუკ. 1, 9 და შემდგომი; ვეფხისტ. 325), кадить, курить.

კმოლვა (ჰკმის, ჰკმოდა) აკომლება, კომლის ასლვა (ფსალ. 103, 32), дымиться, ку-риться.

კნატუნი (ვაკნატუნებ) კვნეტა.

კნინი მცირე ან შეურაცხი (ნახე უმცირესთან) (ქებ. 3, 4), малый, маловажный, ничтож-ный.

კნინლა კინალამ, ძლივს, ანუ თითქმის (ფსალ. 72, 2), в мале, едва не, чуть не, почти (საქმ. 13, 44).

კნოტი, კნუტი (ოთხფ.) კატის შვილი, котенок, კნუტები, котята.

კობალა მსხვილი ტილო, ქათანი.

კობლვა ბაზთაგან ჰანგთ შეკუმშვა და მისგამო ვერ დაჰერა ნადირთა.

კობრი (თევზ.) გოჭა, саван.

კოდალა (მფრ.) ხეკოდა, дятель, пузатка.

კოდვა (ვჰკოდ, -დავ) ჰრა, დაჰრა, დაკოდვა, рубить, ранить. // დასაჭურისება ხვასტაგ-თა, холостить самцов животных. // წის-ქვილის ქვების გამოპირვა, тесать, насе-кать жерновы.

კოდი წონა 10 ლიტრისა (ნახე საწონი და საწ-ყაო), вес в $2\frac{1}{4}$ пуда. // ხოლო საწყაოს კოდი არს ერთი კ ა ს რ ი, ანუ 8 ჩ ა ნ ა ხ ი, გინა მ ო დ ა; კოდის ნახევარი არს ფ ო ხ ა-ლ ი, ქ ი ლ ა კ ი და მ ა თ ხ ი რ ი; ფოხალის ნახევარი არს გ უ შ ი; გუშის ნახევარი — თ ა ღ ა რ ი ან ტ ა გ ა რ ი.

კოდილა ჰედილა ხვასტაგი, кладеный, холо-щеный.

კოდრანტე მწულილი, ფოლის ნათხალი (მატ. 5, 26; მარკ. 12, 42), кодрант, полушка, Quadrans, ntis.

კოვზი მცირე ციცხვი მეტალლისა, ანუ ხისა, სახმარი დასასხმელად, ანუ საჭმელად წუ-ნიანთა (ვეფხისტ. 1578), ложка, лжица.

კოზაკი (ოთხფ.) აქლემის შვილი, верблюжё-нок.

კოთხუჯი (ბალ.) ეგირი.

კოკა წყლის საზიდი ლაგვინი თიხისა ანუ მეტალლისა (ვეფხისტ. 1084), ушат, кув-шин. // საწყაო კოკა არს 12 თუნგი; კოკის ნახევარი არს დ ო რ ა ანუ ჰ ა რ ი კ ი; დო-რას ნახევარი არს ჩ ა ფ ი ან გ ვ ე რ დ ი; გვერდის ნახევარი არს დ ო ქ ი.

კოკინი, კოკინება (კოკინებს) ნახე გოკინი.

კოკობზიკა შემოკლებით კ ო პ წ ი ა, გარდამე-ტებით კეკლუცობის მიმდევი (ლამაზი ნახე), кокетка, щеголиха.

კოკობი (ბალ.) გაუშლელი ყუავილი (ვეფხისტ. 131, 1494), почка цветов.

კოკოზა (ოთხფ.) კუდა მოზვერი.

კოკონა (მფრ.) პატარა იხვი.

კოკორი, კუკური კვირტი, კოკობი, ხეთა რტო-ზედ გამოსული გაუშლელი ფურცელი, почка.

კოკოშა კვახის გოგრისგან შექმნილი სასმისი, ოშმე.

კოკოცება ქვითინი (ნახე ტირილთან), рыда-ние.

კოკური сильной дождь.

კოლაოზი, კულაოზი ყულაოხი, ეტიკი, ბელადი, გზის მაჩვენებელი (ვეფხისტ. 967, 1364), проводник.

კოლვიზმა დიდი მარხულობა (მამათ ცხ. 3, 15).

კოლინჯანი (ბალ.) ბალახის ძირია, калган.

კოლინჯი დიდი მუწუკი უპეს ქვეით, ანუ სენი მისი.

კოლიო მგბარი ხორბალი ან ბრინჯი თაფლით და შაქრით შეზავებული. წანდილი, коливо, кутья, *κόλυβο*.

კოლლურიო სამკურნალო წასასმელი თუალთა (ნახე საოლავი). коллурий.

კოლოტი სატკბილე ტიკი ზროხისა (ნახე თხიერი).

კოლოფი მცირე ზანდუკი (ნახე ზარდახშა), сундучек, шкатулка (გამოს. 26, 2), кошница. // ბურნუთის კ ო ლ ო ფ ი, табакорка.

კოლტი ჯოგი აქლემთა ანუ ღორთა (ნახე ჯოგთან) (ისაი. 66, 6; მატ. 8, 31 და შემდგომი), стадо.

კომბალი თავმრგუალი ჯოხი, ჩომახი (ნახე ჯოხთან), булава, палица.

კომბოსტო (ბალ.) ხვიტიანი ალხანა თავდახვეული, ანუ კვერა თავდაუხვეველი, капуста.

კომეტი, კომიტი კუდიანი ვარსკულავი, комета, *κομήτης*.

კომლი კვამლი ნახე. // კომლეული სახლი, სახლობა, дым, семья, двор.

კომსი ჩინებული აზნაური. граф, *κόμης*.

კომში (ხე) ბალის ბია, гунь, айва, пигва, книт. თ. ჰაივ. სახენი ამისნი: ბ ი ა, ბ ა ლ ა ჩ ი ნ ი.

კონა ერთად შეკრული ყვავილი, თოლი ანუ ფიჩხი (გამოს. 12, 22; ვეფხისტ. 852), кисть, букет, связка, пучек.

კონდაკი იბაკო, кондак, *κοντάκιον*. // წირვის წიგნი, служебник.

კონდახი თოფის ლულის ჩასასმელი ამოჭრილი ხე, приклад ружья. *κοντάκι*.

კონი ორაგულის სანადირო ფაცერი, მდინარეზედ გაბმული, რომელშიაც ჩაიდგმიან პირშექცეული გოდრები (მახესთან ნახე).

კონი, კონისი ორთავე თვალთ მხედველობა ერთად შეკრებული, конус.

კონკება (ვაკონკებ) მიკერება ფრიად გაცვეთილთა სამოსელთა, დაკონკება.

კონკი ბებკი, ბებკული, ძველი ფარატინი ცუდად დაკერებული.

კონკილა, კონქილა ურმის თავის შესადგმელი ბოძკინტი.

კონსული, კონსულობა ძველსა შინა რომის რესპუბლიკასა თჳთოეულს წელს გამოარჩევდენ ორთა კონსულთა, რომელთაცა აქუნდათ ხელმწიფება, კნინლა თანასწორი მეფისა. // ხოლო აწ კონსული ეწოდების მოხელესა, წარგზავნილსა სხვასა შინა სახელმწიფოსა შესაწევნელად და დასაფარავად ვაჭართა თჳსისა ქუეყანისათა, консул, Consul.

კონქი კამარა, თაღი, свод.

კონცხი, კუნცხი კლდის აქარა (ნახე კლდესთან), мыс.

კონწოლი კოწოლი ანუ მტევანი წაბლთა, წენგოთა და მისთანათა.

კონხილიო, კონქუთო (მძრ.) მეწამული ლოფორთქინა, раковина. червлень, *κογχύλιον*.

კოპანო ნავია ერთგვარი (ნახე ნავთან).

კოპი მოუქნელი თასმა.

კოპია პაჭენისი, პირი წერილისა, копия, *κόπια*.

კოპწია კოკობზიკა ნახე.

კორაფი ნახე ქორაფი.

კორბან ებრაულად: შესაწირავი, ანუ სამღუდელო საუნჯე (მარკ. 7, 11) корван.

კორდი უხნავი და უმუშავო მინდორი აბალახებული (ისაი. 5, 6; ოსე. 10, 4; ვეფხისტ. 1507), лядина, луг.

კორიანტელი სქელი კვამლი, ანუ მტვერი, ზეალმავალი შავთა ღრუბელთაებრ მზის დამაბნელებლად, густой дым, пыль или туча дыму, пыли и т. п. // მუშაკთა თავპირზედ მტვერის გარდადენა. // გაშავება ფრიადის შიშით, მწუხარებით, ანუ სირცხვილით.

კორკოდილო (მძრ.) ხვითქი, крокодил, *κροκόδειλος*. თ. ნიანგ [სპ.].

კორკოტანა (ბალ.) ბალბა.

კორკოტი დაცეხვილი და მგბარი ხორბალი, გიშრაფეთი ანუ წანდილი, каша, *κουρκούτι*.

კორნატი ზროხის ვეგი, бабка игральная, პოლტი.

კორომი შუა მინდორზედ ჯგუფად მდგარნი ხენი (ნახე ტევრთან).

კორტნა (ვჰკორტნი) კეჴნა, დაკეჴნა, მცირედ დაკოდვა ძელთა. // (ვიკორტნები) უზდელი ხუმრობა და ცემა ურთიერთისა ან ბღლარძუნი.

კორძი ჯირკველი, ხორცმეტი, нарост.

კოტა ხმლის ხეტარი, ქარქაშის ბოლო (ვეფხისტ. 601, 1377).

კოტვა (ვჰკოტავ) ტოკვა, ტორტმანი, ცანცარი.

კოტვილი ღომორის მეათედი (საწყაოსთან ნახე) (ეზეკ. 45, 14), мера.

კოტორი პურის ნატეხი (3 მეფ. 11, 17), укрух, отломок хлеба.

კოტოში რქა სისხლის გამოსაშვები, рог кровопускательный.
კოტრი ნახე კუტრი.
კოფო ურემთა, მარხილთა და მისთანათა პალებზედ შემოსაცმელი დანდალი.
კოღო (მწერ.) ჭინჭლა, ბურნაკი, комар.
კოშკი გოდოლი, არა ვრცელი მაღალი ციხე, გაცალკევებული ბურჯი (ვეფხისტ. 325, 511, 513), башня.
კოშტი მკურივი რამე, ვითარ კ ო შ ტ ი სანთელი, კვერეულის ნატეხი და მისთანანი.
კოცნა (ვაკოცებ, ვჰკოცნი) ამბორი, ამბორება (ვეფხისტ. 10, 108), целовать, поцеловать.
კოცონი შეშის ზვინი დაგროვებული, костер.
კოწამახი კაწახი, მეტად მჟავე.
კოწახური (ხე) барбарис.
კოწიწი თიხის ჭურჭელთ საწებავი კავშირი, спайка глиняной посуды.
[**კოწოლი** отрасль дерева].
კოწოლი, კოწლები კეწერი, გინა ფოჩი თმის ნაწნავისა და მისთანათა (შავთ. 49), верхушки, кисточки.
კოჭა (ბალ.) ბალახის ძირი საჭმელთ სანელებელი, имбирь. თ. ზანჯაფილ [არაბ.].
კოჭაკი კართა, ზანდუკთა და მისთანათა მიკრული რგვალი რკინა, რომელზედაც გარდაეცმის რაზა და დაედების კლიტე.
კოჭვა როკვა ბუქნასავით (ნახე თამაშობაში).
კოჭი სათამაშო ვეგი, კორნატი, პოლტი, альчик.
კოჭი ფეხის ჩონჩხი (ნახე გოჯი).
კოჭი მოსელი, მცირე ძელი, გათლილი სართულთა ზედა გასადები, брус, балка.
კოჭლი მკელობელი, ფეხდაშავებული (ისაი. 35, 6; ვეფხისტ. 1542), хромой. თ. ჩოლახ.
კოჭობა მცირე ქოთანი რძის შესადედებელი, горшочек. ს. კეჭუბ(?).
კოხი მაგარი ქვა, რომლისაც ნამტურევებს ჩაუსხმენ სალეწავთა კევრთა ქვეშ (ნახე ქვასთან), дикой камень. // იმერნი უხმობენ სეტყვას, град.
კოხტა თავის მომწონი, ანუ კოკობზიკა, хвастун или щеголь.
კოხუნჯი იმერული ქალამანი.
კრავი (ოთხფ.) ჩჩვილი ბატკანი (ნახე ცხვართან) (ფსალ. 113, 4 და შემდგომი; იოან. 21, 16), агнец.
კრაზანა (მწერ.) მონავარი, оса, шершень, [ბალახია ერთი].
კრამიტი კეცისა გინა თიხის ლორფინი, черепица, *κεραμίδι*.
კრაოტი, კრავატი ფიცართაგან ქმნილი საწოლი, სარეცელი ფეხებიანი, кровать, *κρεβάτι*.
კრება (ვჰკრებ) მოგროვება, შეკრება (ნახე კრეფა), собирать.
კრება შეკრებულება მრავალთა ერთად (საქმ. 19, 37), собор, собрание. // მ ს ო ფ ლ ი ო კ რ ე ბ ა ესენი არიან შვიდნი მიღებულნი, რომელთა მიერ დაემტკიცა მართლმადიდებელი სარწმუნოება, вселенский собор. // ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი კ რ ე ბ ა არს, რაჟამს ერთისა რომელისამე თემისა ეპისკოპოსნი და სხუანი სამღუდელონი შეჰკრბებიან საეკლესიოთათჳს საქმეთა, поместный собор.
კრებული შეკრებულება (ფსალ. 7, 7 და 15. 3; მატ. 5, 22; საქმ. 19, 40), собор, собрание, сонм, сонмище, толпа. // ე კ ლ ე ს ი ი ს კ რ ე ბ უ ლ ი სამღუდელონი ერთისა რომელისამე ეკლესიისანი, причет. // კრებულად უხმობენ ხომლსა ვარსკულავთასა, რომელია პ ლ ი ა დ ი.
კრემორტარტარი ხაჟურის მარილი მჟავე, cremortartaris.
კრეტსაბმელი კარის ფარდა (მატ. 27, 51), завеса, занавес.
კრეფა (ვჰკრეფ) გროვება, მოგროვება, მოქუჩება, сбирать, подбирать. // გლეჯა მრავლობით ხილისა ხეთაგან და ბალახთა, ანუ ბოსტნეულთა და სხ., срывать.
კრეჭა (ვჰკრეჭ) კვეცა, ჭრა მაკრატლითა, стричь.
კრეჭა (ვიკრიჭები, კბილებს ვიკრეჭ) უშვერი სიცილი, ანუ აგდება, зубы скалить.
კრეხა (ვჰკრეხ) ძარცვა, მიმძლავრება, грабить.
კრვა, კურა (ვჰკრავ) ცემა, მიხვედრება თოფისა, ქჳსა და სხ., წიხლის კურა (ვეფხისტ. 267, 899, 902), бить, ударять, драться. // კ რ ვ ა ზარისა, რეკა, ударять в колокол.
[**კრვა** (ვაკრავ) налепливать, наклеивать].
კრვა (ვჰკრავ) შეშარტვა, შეკურა ბარგისა, ვაჭკარანთა, გინა კონათა და სხ., связывать, перевязывать. // შეკინძვა ღილთა, ზორტთა, ხრიკთა და მისთანათა, застегивать, вздевать. // წიგნთ შეკინძვა, შეკაზმა, переплетывать.
კრვა კურა (ვუკრავ) ძნობა, საკრავთ ცემა საზიობითა, играть на музыке.

კრთომა (ვჰკრთი, ვჰკრთები) მცირედ ხლტომა, ნძრევა (ლუკ. 1, 41 და შემდგომი), вздрагиваться. // განკჳრვება, შეკრთომა, შეძრწუნება (ნახე განკრთომა), ужаснуться, оробеть. // (ჰკრთების, ჰკრთის) ელვარება ნათლისა (ვეფხისტ. 1294, 1327; შავთ. 45), сверкать, блистать.

კრიალოსანი, კრიანესული (ნახე კირიელეისონი).

კრიახი ხრიატი, მიწა ხშირად კლდიან ქვიანი.

კრიკინა (ხე) გარეული ვაზი, რძლვამლი (ნახე ყურძენთან), дикий виноград.

კრინვა (ვჰკრინავ) ძლივს ხმის ამოღება სნეულთა სისუსტით.

კრინი გალობაში წჳრილი ხმა ზილზედ უმაღლესი, альт.

[**კრინტი** пикание, пикнуть].

კრიჭა წისქვილთ ხვიმირას ქვეშ მიკრული პატარა ლარი ხორბლის სადენი.

კრკალი მრგჳლად მოხრილი ხე ანუ რქა წვერით წვერადმდე მობოკული, გინა სალტე მეტალლისა, обруч, *κρικέλλα*.

კრკჳნვა ნახე გრკჳნვა.

კრკიალა საჩინოდ სანახავი, მხიარული ფერი, яркий цвет.

კრკილი (მძრ.) სხმილი, სრსვილი, ჩრჩილი ხორცისა, რომლითაც ჩასხმილავს.

კრკო (ხე) მუხის ხე, ანუ ხილი მისი კენკრა (ნახე რკო), жолудь.

კროკო (ბალ.) ზაფრანა.

კრონოხი ზოჰალი (ნახე ცთომილთან), Сатурн планета, *Κρόνος*. თ. ზუჰალ [არაბ.].

კრტიმლობა (ვჰკრტიმლობ, ვეკრტიმლები) უგვანი შუღლი ნიადაგ, ссориться, браниться.

კრტნა (იკრტინება) მფრინველთაგან თჳსის ბუმბულის ჩიჩქნა.

კრული დაბმული, შეკრული (ფსალ. 106, 10), окованный. // შეუნდობელი, გაუხსნელი ცოდვისაგან (მატ. 16, 19 და 18, 18; ვეფხისტ. 314, 708, 1205 და შემდგომი), связанный, запрещенный. თ. ჰარამ.

კრუსუნი (ვჰკრუსუნებ) სნეულის კჳნესა.

კრუტვა (ვჰკრუტავ) თვალთ მოწუხვა ნახევრად·

კრუხი (მფრ.) კრუტი, დედალი მფრინველი კვერცხებზედ მჯდომი გამოსაჩეკად, ანუ მართვეთ დედა, наседка.

კრუხუნი (კრუხუნებს) კრუხის ხმიანობა, кудахчеть.

კრჩხა კაპებიანი ჭიგო (ნახე გრჯლა).

კრჩხიალი (კრჩხიალებს, ჰკრჩხის) დაფთხობილთ მფრინველთ ხმიანობა.

კრცხალი, კურცხალი ნარბილი, ორ წელ უხნავი ნაწვერალი.

კრძალვა (ვჰკრძალავ, ვეკრძალები) გაფრთხილება, ანუ დარიდება (მატ. 16, 6 და შემდგომი, კჳალად 18, 10 და 24, 4), блюсти, беречь, -ся.

კრწყილი, რწყილი, გრწყილი (მწერ.), блоха.

კსინვა (ჰკსინავს) საავდროდ აშლილობა ჰაერისა (მატ. 16, 3), чермнуется, багрово.

კსუ, ქსუ ნახე განქსუვება.

კუ, რკუ, კუვი (ოთხფ., ისაი. 12, 11), желвь, зелвь, черепаха. თ. ბაღა, [болезнь рак, веред].

კჳალი, კჳამლი, კჳართი და სხ. (ნახე კვამლი), კვალი, კვართი და შემდგომი.

კუბა ბელტი მიწისა, дерн.

კუბასტი მაკინაკი, ქალთ თავსაბურავი ლეჩაქი (საქმ. 9, 39), риза, покрывало, вуаль.

კუბო მკჳდართ ჩასასვენებელი კოლოფი, гроб дощатый, cubus.

კუბო კიდობანი, ქეჯაო, შესაჯდომი კაცთა ანუ ქალთა, საკიდები აქლემთა ანუ ხელით სატარებელი (ვეფხისტ. 1416, 1440), носилки.

კუბოკუბო ჭადრაკის გჳარი, დაჭადრაკული, клетчатый.

კუდა (ოთხფ.) უკუდო ან კუდმოჭრილი ხვასტაგი.

კუდბაწარა, კუდბახალა ითქმის ყრმათათჳს მიმდევთა უკანით დედათა მათთა.

კუდბეწვა (ბალ.) ღვარძლსა ჰგავს.

კუდი ხერხემლის დასასრული გაშვერილი, ანუ დალმა დაშვერილი უკანით ოთხფერხთა, ქვეწარმავალთა და მისთანათა, хвост, cauda. გრძელბალნიანსა კუდსა ცხენთა, ჯორთა და მისთანათასა ეწოდება ძ უ ა; მოკლესა, უბალნოსა ირემთა, თხათა და მისთანათასა—რ ი კ ი და ბალნიანსა — ჰ ო ჩ ი, ფ ო ჩ ი; ფართოსა ცხოვართა, თახვთა და ასთაკჳთასა—დ უ მ ა, ხოლო კუდსა ფრთიანთა ცხოველთასა, ვითარ მფრინველთა, თევზთა და ეგევითართასა—ბ ო ლ ო (ნახე თმა, ბოლო). // კ უ დ ი ტანისამოსთაცა და სხჳათა ნივთთა გრძლად დაშვებული, ანუ მეთრევი რამე.

კუდიანი კუდის მქონებელი, с хвостом. კ უ დ ი ა ნ ი ვ ა რ ს კ ჳ ლ ა ვ ი კომეტა. // მდაბიონი უხმობენ გრძნეულსა დიაცსა, ведьма.

კუდმოკლე, კუდკვეთილი უკუდო (ლევიტ. 22, 23), бесхвостый.

[კუდმოზვერი]

კუდური კაცი და კუდიანი დიაცი, გრძნეული, ворожея.

კუდუხუნი ხერხემლის ქვემოთი კერძო, კუდს ზევით.

კუერი, კუერცხი, კუესი და სხ. (ნახე კვერი, კვერცხი, კვესი).

კუზი ღურკანი, მაღლა ამოსული ბეჭები მახინჯად, горб.

კუზიანი კუზის მქონებელი, горбатый.

კუთი, კუნთი კართი, სიზრქე ხორცთა ძარღვიანთა უფროორე წვივებს ქვეშ, икры.

[კუმაზი ნ. ლარი].

კუთნვა (ვეკუთნვი, მეკუთნვის) შესაკუთრერება, შესახვედრობა, მიჩემება (იერემ. 44, 3), принадлежать.

კუთხე, კუთხი ორთა გვერდთა ერთად შესართველი ადგილი (იერემ. 31, 38), угол. ს. ქუნჯ.

კუკი პუპრა, მცირე სახე კაცისა ტანისამოსით, кукла.

კუკური კოკორი ნახე.

კუკუხო თეძოთ ძვლების თავი.

კულა ხისა ანუ ვეცხლის სასმისი ყელვიწრო ან დაგრეხილი ხმის გამოსაღებლად სმის დროს (ნახე სასმისთან).

კულავ, კუალავ, კუალა კუალად, კიდევ, მერმე, მასუკან ან შემდგომად (რომაელ. 11, 6.—7), еще ли (ვეფხისტ. 18, 19, 32, 533), еще при том, опять.

კულბო (ორმო) შიგნიდამ მოჩალული გვერდები.

კულევა, კულიავი და სხ. ნახე კვლევა, კვლიავი.

კულმუხი (ლურჯი) (ბალ.) нинадочная трава, оман.

კულუხი ღვინის ღალა.

[კუმატი]

კუმაში ნაქსოვი ლარი, кумач, *κουμάσι*.

კუმკუმა წურწუმა, ვეცხლის კუტალი ან კულა (ნახე სასმისთან).

კუმპა საპონი, мыло.

კუმის, კუმოდა, მკუმოდის (ნახე კმოლვა).

[კუმშვა]

კუნდიტი ღვინო მგბარი და შაქრითა, ანუ სუნნელითა ზავებული (ტიბიკონში), глидвейн.

კუნელი, ხკუნელი (ხე) бересклет, боярышник.

კუნესა ნახე კვენესა.

კუნთი ნახე კუთი.

კუნკრუხელა ნახე კინკრუჟა.

კუნკულა მონაზონთ ქუდი, капишон, камилавка монашеская. *κουκούλα.* // მსოფლიურად ნათლიისგან დასანათლებელი გასახვევი ჩჩვლისა მონათლვს დროს.

კუნტი კოშტი, მკურივი ანუ სრული.

კუნტრუში (კუნტრუშებს) ხტომით თამაშობა ხვასტაგთა (სიარულში ნახე), прыгать, скакать.

კუნცხი, რკოცხი, კურცხლი (ნახე კონცხი).

კუნძი ძელთაგან მონაკვეთი ზრქელი და მოკლე მორი, ანუ მიწაში დანარჩენი ძირი, пень.

კუნძული ჰალაკი, ხერთვისი (ვეფხისტ. 591), остров. თ. ადა.

კუნწი ხილთ ღერო.

კუნწუხი, კუწუხი მუდახილად მოხრილი.

კუნწუხი კეწერი (ნახე გრკლასთან).

კუნჭული ქუნჩი, კუთხე ბადისა და სხუათა ნაქსოვთა.

კუპატი პური ხორცითა ან კვერცხით გატენილი და მოხრაკული, пирог.

კუპვა (ვკუპავ) ბაგეთ მოკრება.

კუპრი შავი ნავთი, деготь.

კუპრიელი იმერულად ტიკი (ნახე თხიერთან).

კურატი, კურაკი (ოთხფ.) კურო, ხარი დაუკოდავი (ნახე ზროხასთან), телец.

კურატპალატი მოხელე ძველთა საბერძნეთის მეფეთა კარისა, ვითა სალთხუცესი, ანუ დარბაზბატონი, куропалат, гофмаршал, камергер.

კურდღელი, კურდგელი (ოთხფ., ფსალ. 103, 18; ლევიტ. 11, 5), заяц, заец, кролик, хирогрил(?).

კურთხევა (ვაკურთხევ) დალოცვა, გამოცხადება სურვილისა სხვს კეთილობისათვს (იაკობ. 3, 10), благословение (რომაელ. 12, 14; გალატ. 3, 8; ებრაელ. 11, 20), благословлять, -ся. // ქება, დიდება, ანუ მადლობა (33, 1 და 103, 1). // სამღუდელოთაგან შენდობის მიცემა, ჯვარის გადაწერა, გამოსახვა საეროთა ზედა. // სამღუდელოს ხარისხის მიცემა ხელთ დასხმითა (საქმ. 14, 23), посвящать, рукополагать. // კურთხევით, ანუ ლოცვის წართქმით განწმენდა (მატ. 14, 19 და 26, 26), благословлять, освящать.

კურთხევანი წიგნი საკურთხებელი მღუდელისაგან მრევლთა შორის სახმართა სახლისათა, требник.

კურკა (ნახე გურკა), косточки во фруктах, *κουκούδι, κουκούτζι.*

კურკუმა ნახე კუმკუმა.

კურნება (ვჰკურნებ), რგება, მორჩენა წამლითა, განკურნება (ფსალ. 37, 3, 7), лечить, врачевать, исцелять, исцеление.

კურო (ოთხფ.) ნახე კურატი (ფსალ. 21, 12; ისაი 5, 17), юнец, телец. // ნიშანი ზოდიაქოსი, რომელიცა მიითუალავს მზესა აპრილსა შინა (ნახე ზოდიაქო).

კუროხ თავი (ბალ.) ეკლიანი ბალახი, ტატაში (მატ. 7, 16), репис, репейник. ს. ტატაშ, [волчица].

კურტაკი ალმაგი, მოკლე ქათიბი (ვეფხისტ. 550), куртка.

კურტანი პალანი; საპალნის უნაგირი საკიდართა ხვასტაგთა: აქლემთა, ჯორთა, ვირთა და მისთანათა, седло вьючных скотов.

კურტუმი მფრინველთ გავა.

კურცხლა (ჰკურცხლა, გაჰკურცხლა) გაპრა, გაფრენა, ჩქარად განლტოლვა.

კურწი (ნახე კუნწი).

კუტალი ხის ლულიანი (სარწყულთან ნახე), уполовник. *κουτάλα.* // ბაღის სარწყავთა ჩარხთა გარშემო მიკრული თიხის ქილები.

კუტი უფეხო, განრღვეული, ფეხებდაშავებული, безногий. // თორნეში ჩავარდნილი პური.

კუტლეული თეთრი ქალა შაქარი (კარაბადინში).

[კუტრი]

კუფხალი კალათი, ხახალი (იერემ. 6, 9), кошница. // ანუ კიმელი მტევნისა (ნახე მტევანთან), народок (მიქია. 7, 1).

კუშტი ხუშტი, ხვესტი, გაბუტვილი, უბარი, უმძრახი, ან ქუში (ვეფხისტ. 10, 202).

კუწუბი ნახე კუნწუბი.

კუჭეჭა ავგული.

კუჭი სტომაქი ცხოველთა, желудок. // მფრინველთ ფაშვი, пупок птичий.

კუხი ისრიმი, ანუ სხვა ხილი მკვახე.

კჳპაროხი, კჳრა და სხ. ნახე კვიპაროსი, კვირა.

ლ

შეისწავე ასოსა ამისთვის, ვითარმედ ქართულსა მდაბიურსა ლაპარაკსა ზოგჯერ აქუს ჩვეულება, უკეთუ ერთსა ლექსსა შინა არიან ორნი ლ, მაშინ უკანასკნელი ლ შეიცვლების რ. მაგალ., ლბილი—*რბილი*, წულილი—*წურილი*, ცალიერი—*ცარიელი*, ეგრეთვე გარემოქცევით უკეთუ ერთსა ლექსსა შინა არიან ორნი რ, მაშინ უკანასკნელი რ შეიცვლების ლ. მაგალ., ამირახორი—*ამილახორი*, მარგარიტი—*მარგალიტი*, მარტჳრი—*მარტჳლი*, ორჯერ—*ორჯელ*, სარდარი—*სარდალი*. ამასთანა ჯერ არს შესწავება, ვითარმედ უკეთუ ადგილობითთა სახელთა შინა არა იპოვების ასო რ, მაშინ ზედშესრულნი მათნი მიიღებენ მარცვალს *ური*. მაგალ., მცხეთა—*მცხეთური*, დიდომი—*დიდმური*, თელავი—*თელავური*, თელეთი—*თელეთური* და სხ. ხოლო უკეთუ არსებითთა შინა იპოვების რ, მაშინ მიიღებენ მარცვალსა *ული*. მაგალ., გორი—*გორული*, მუხრანი—*მუხრანული* და სხ. მარცვალნი ესე *ური* და *ული* ეკუთნვიან სადაობასა ნივთთასა, გარნა ოდესცა ითქმის სადაობისათჳს პირთასა, მაშინ ყოველთავე დაერთვის *ელი*. მაგალ., (კაცი) *მცხეთელი*, *დიდმელი*, *გორელი*, *თელაველი*, *თელეთელი*, *მუხრანელი* და სხ. კჟალად მადლიერი ითქმის *მადრიელი*, ძლიერი—*ძრიელი*, არამედ ლელწამი ითქმის *ლერწამი*, რული—*ლული*. ამ სახედვე ასონი ლ და ნ ზოგჯერმე შეიცვალებიან ურთიერთისა წილ, ვითარ *ლაგაზი*—ნაგაზი, ბალანი—*ბანალი*, გნოლი—*გლონი*, ლიტრა—*ნიტრა*, კონსტანტინე—*კოსტანტილე* და სხ. არამედ ესე უკანონო არს, ანუ *მინალთუნი*—მილანთული, *უზალთუნი*—უზანთული, *მონოზანი*—მოლოზანი.

ლაა, ლია (მფრ.).

ლაბა, ლაპა ბრინჯის ხარშო, შილაფლავი ან შორვა, кашица. // ტუხტისა, კომშის გულისა და მისთანათა სქელი ნადული, ხველის წამლად.

ლაბა, ლაბი (ხე) ხიჩატელია ერთი.

ლაგაზი, ნაგაზი (ოთხფ.) ძაღლი მწევრისა და ქოფაკის საშუალი (ნახე ძაღლთან), лягавая собака,

ლაგამი ცხენთ საკბილე რკინა გრგოლებიანი (4 მეფ. 19, 28; ვეფხისტ. 85, 223), удило. თ. ლაგამ, ლოხტა.

ლაგანი გარდაშლილი ტაშტი უფროჲე თიხისა, лохань.

ლაგჳნი, ლაგჳნარი პირფართო სარწყული, სარ-ქვანი (ისაი. 5, 10; მარკ. 14, 13), скудельница, корчаг, ушат, кувшин, водонос, *λαγένι, λαγήνα, λαγενάκι*.

ლადანა თეთრი საკმელი სუნნელი, ладон, *λάδανον*.

ლავაში თხელი და გრძელი პური. ს. ლავაშ.

ლავგარდანი კედელზედ მიშენებული ვიწრო ბაქანი შნოსთვის, карниз.

ლავირინთო, ლაბირინთო მთა ქვაბებ-მღვიმე-ებიანი, ძნელად შესავალ-გამოსავალი, лабиринт, *λαβύρινθος*.

ლავიწი, ლავიწები გულის კოვზს ზეიდამ ორსა-ვე მხარეს გახიდული ძულები, ключица.

ლავრა მონასტერი, მრავალთ მონაზონთ საკ-რებულო, лавра, большой монастырь, *λαῦρα*.

ლაზარეთი სასნეულო სახლი, лазарет, больница, *λαζαρέτον*.

ლაზიერი ჭადრაკის სათამაშოს პაიკებში ვე-ზირი, ферзь.

ლაზღანდარა ლიზლი, უშვერად მოხუმარი, нахальный, [балагур].

ლაინა, ლაინი (მთრ.) ლალის მსგავსია, агарь.

ლაინი, ლეინი ნარმა შეღებული, бурмет.

ლაკარტი ბაწრის საგრეხი კავი.

ლაკვა ნაგები ჯურღმული (ნახე მთხრებლი).

ლალა მზარდული, მამამძუძე (ხოლო ბერძუ-ლად ბიძა), дядька, *λαλᾶς*.

ლალვა (ვლალავ) გალალვა, გარეკა, მდაბიუ-რად, гнать, прогонять. // კრტიმლობა, შფოთი, შუღლი (2 კორ. 2, 24; იაკობ 4, 1), свара, ссора.

ლალი წითელი თვალი ძვირფასი (ვეფხისტ. 324, 477), рубин. თ. ლალ.

ლალუკი მცბიერი, ვერაგი.

ლამაზი მოხდომილი, საამოვნოს შესახედავისა, ან მორთული (ვეფხისტ. 16; ჩახრუხა. 78), прекрасный, приятный. თ. გოზალ, ს. სი-რუნ. მ წ ყ ა ზ ა რ ი არს ლამაზზედ მეტი; შ ვ ე ნ ი ე რ ი და შ ნ ო ი ა ნ ი სრულის სიკე-თით შეფერებული; ტ ა ნ ა დ ი და კ ე ნ ა-რ ი, შვენიერი ტანითა; ს ა ლ უ ქ ი—კაცი მოყვარე შემკობისა და მორთვისა, ხოლო ქალთათვის ითქმის კ ე კ ე ლ ა, კ ე კ ლ უ ც ი, კ ო კ ო ბ ზ ი კ ა და კ ო პ წ ი ა; ს ა ნ დ ო მ ი კეკლუცი იყოს თუ დუხჭირი. მაშინც სანა-ხავად საამოვნო, ს ა ხ ი ე რ ი—სახითა და საქმითაც კეთილი და ქველისმოქმედი; ნ ა-ტ ი ფ ი—მოხდენილად ტანადი; ტ უ რ ფ ა—საამოვნოდ შვენიერი და ნარნარი, მკვრცხე; უ ს უ ლ ი—ტურფად საამოვნო; ჰ ა ე რ ო-ვ ა ნ ი—კეთილსახოვნად მოხდენილი.

ლამაზობა მორთვა, მოკმაზვა (ვეფხისტ. 1111), щеголять, щегольство.

ლამბი ლარი, ბაწარი, ანუ თასმა მშვილდისა, სეფქისა და მისთანათა (ნახე საბელთან), тетива.

ლამი შლამი, შავი ქვიშა საფლობი, ил.

ლამის, ლამოდა აპირებს, ეგულვება, ანუ თითქ-მის, почти, почитай (ვეფხისტ. 17). // გინა სურვილით მესწრაფების (მუნვე, 360, 981), желать.

ლამპარი სანათი, ასანთები კანდელი (მატ. 25, 1 და შემდგომი), светильник, *λαμπάδα*.

ლამუნი (ველამუნები) მიტანება, ნდომით მი-წევა, добиваться, домогаться.

ლანგანი მუშაითთა ხელსაჭერი გრძელი ლა-ტანი.

ლანგარი დიდი სინი (ლანკანი ნახე).

ლანგი უმჯობესი სალესავი (ნახე სასრევთან).

ლანდი მოჩვენება, მოლანდება, призрак, привидение.

ლანდრა მსხვილი სკლატი, толстое сукно.

ლანკანი, ლაკანი, ლანგარი, დიდი თეფში (გამოს. 29, 3), коц (მატ. 14, 8, 11); блюдо; ხოლო ზოგად ლანკანი ეწოდების ჭურჭელ-თა, ტაბლასა ზედა სახმართა სანოვაგისა-თვის, ვითარ თ ე ფ შ ი, ნ ა ლ ბ ა ქ ი, ფ ე შ-ვ ე ნ ი, ტ მ ო შ ტ ი, ს ი ნ ი, ჯ ა მ ი, ბ ა რ-ქ ა შ ი, ფ ი ა ლ ი, ფ ი ა ლ ჯ ა მ ი, პ ა რ ო ფ-ს ი დ ი, თ ა ს ი, ჯ ა მ თ ა ს ი და სხ.

ლანქერი ნახე ლიანქერი.

ლანჩა, ლანჩები ფეხსაცმელთ ძირი (ნახე ფსკერთან), подошва обуви.

ლანძვი შეცთომით დაუწერიათ ფანჯარად, გარნა სალტოთსა შინა წერილსა ჰნიშნავს მანკანსა, კერასა, საცეცხლურსა ან ცეცხლა-პირსა (ნახე კერა) (გამოს. 27, 4 და შემდ-გომი; იერემ. 36, 23), огнище.

ლაპარაკი (ვლაპარაკობ) უბნობა, საუბარი, говорить, разговор.

ლაპი, ღლაპი (მთ.) უნაკრტენო მართვე მფრინველთა (ნახე მართვე). // ჯერეთ უბალ-ნო წრუწუნა თაგუთა და მისთანათა.

ლაპლაპი (ლაპლაპებს) ვარვარი, გინა წითლად ელვარება დადნობილთა მეტალთა.

ლაპოტი დიდი ციცხვი ან ჩამჩა, ковш. თ. ავგარდან(?).

ლაქვარდი, ლაჟვარდი ლურჯი ქვა (ვეფხისტ. 944, 1269). **лазурь (камень).**

ლაჟი (თევზ.) თ. გუმიშპალუხ.

ლარვი ორრიგი მოსავალი ერთს საყანურში.

ლართხი ურემთ ძირის გასაკრავი ფიცარი.

ლარი განძი, ხაზინა, საუნჯე, სალარო, საჭურჭლე (ვეფხისტ. 55; ჩახრუხა. 18). **казна, казначейство.**

ლარი კუმაში, ნაქსოვი ფარჩა, **шелковая материя, ткань.**

ლარი ხვასტაგთ ნაწლევი შეგრეხილი მშვილდის ლამბად, გინა ძალად საკრავთა (ნაუმ. 3, 8), **струна или тетива.**

ლარნაკი ლუსკმა, ქვათა ანუ მეტალლთაგან შემზადებული საცავი წმიდათა ნაწილთა, **урна, ваза, или рака св. мощей,** *λάρναξ*.

ლარო ბადის პირი, კალატოზთ ბაწარი, კედელთ საშენებელად გასაბმელი, რომელსაც გაასწორებენ თარაზოს შეეულით.

ლასლასი (ლასლასებს) ულონოდ სიარული ან ფრენა (ნახე სიარულში).

ლასტი წკეპლებისაგან დაწნული პილობი.

ლატანი წურილი და გრძელი ხე, **жердь.**

ლაფათიინი დგიმი, ფეიქართ საქსოვრის სავარცხელი ლერწმის ჩხირებისგან შექმნილი, **[гребень].**

ლაფანი ხეთ ქერქი გრძლად დასეული შესაკრავად რისამე (ნახე ქერქთან).

ლაფერი ფართო კოვზი, საჭმელთ გასაყოფი, **разливная ложка.** თ. სუფრაყაშული [არაბ.].

ლაფი თხელი ტალახი, **жидкая грязь.**

ლაქი, თუ **ლუქი** ზუმბური, **сургуч.**

ლაქლაქი (ლაქლაქებს) ლაშლაში.

ლაქუცი (ელაქუცება) ძაღლის ალერსი.

ლაღანაკი ან **ლოღარიკი** ცალსასწორა, **без-мен.** თ. ყანთარ [არაბ.].

ლაღანოხი პურით ტაფამწვარი, **хлебенное.**

ლაღი გარდამეტებით კადნიერი (რომაელ. 1, 30; ვეფხისტ. 395), **величавый, наглый, дерзкий, грубый, нахальный.** // თამამი, გამბედავი, ანუ ნებიერი (ვეფხისტ. 65, 97, 122, 422), **смелый, резвый, вольный, смельчак.** // გარეული, ქსუ (მუნვე, 581), **дикий.**

ლაღობა (ელაღობ) ზდილურად გაბედვა ხუმრობისა (ვეფხისტ. 60, 80, 83, 1366), **смело обходиться, резниться.** // ალერსობა ერთმანერთთან (მუნვე, 136, 899, 1089), **любовиться, вольничать.** // განუკრძალველი კადნიერება, **наглость, дерзость, нахальство.**

ლაღოზა წურილი სარი.

ლაყაფი, ლაყბობა უგვანი საუბარი (ვეფხისტ. 1587), **враки, вранье.**

ლაყური თევზთა ლაწუთა შორის ნაკეც-ნაკეცი ღრაპები წყლის გამოსაშვები, **жибры.**

ლაშა, ლახა ასურთა [?] ენითა: მანათობელი, ანუ ბრწყინვალე. სახელი ესე ეწოდა თამარ მეფის ძეს გიორგი IV (ჩახრუხა. 9, 35, 96), ამისგან დაურქმევიათ *ლაშაის*, ანუ *ლაშარის* ჯუარი. სჩანს, რომელ ნაქონი მისი არს და ფშავ-ხევსურნი ფრიად ესვიან მას და პატივსცემენ.

ლაში, ლაშები ზემოთი ან ქვემოთი ბაგე, კბილთ დამფარველი, **губа, губы.**

ლაშლაში (ლაშლაშებს) ტარტარი, მრავალი და ცუდი ლაპარაკი.

ლაშქარი სპა, ჯარი საომრად განმზადებული, ანუ მხლებელი მეფისა (ვეფხისტ. 44, 55 და შემდგომი), **войско, воинство.** // ზოგგან: სიმაგრე, სანგარი (ლუკ. 19, 43), **острог, окоп.**

ლაშქრის მძღვანი სარდალი, ერისთავი, მხედართმძღვანი, სპასპეტი (ეზეკ. 23, 12), **воевода.**

ლაჩქვია ცაცია, ტაკვია, მარცხენის ხელის მხმარებელი, **левша.**

ლაციცობა (ველაციცები) აშიკთ ალერსი, თამაშობა (ვეფხისტ. 1143), **любоваться.**

ლაწირაკი მოუსვენარი, დაუდეგარი, ცელქი, გველაძუა ბოვში, **шалун, повеса, зверёк.**

ლახანა (ბალ.) თაედაბვიული *კომბოსტო*, ვიეთნი უხმობენ *ალხანად*, **кочанная капуста,** *λάχανα*.

ლახვარი პირფართო აპჭურველი რკინისა ბუნგრძელი (იოან. 19, 34; ვეფხისტ. 4), **копье.** ეგრეთვე *შუბი*, *ჰოროლი* და *ანკინაკი* არიან ორპირი, ბუნგრძელი და არა ეგოდენ ფართო; *კინენი* იგივე, არამედ ტარმსხვილი; *გმური* პირფართო და ბუნგრძელივე; *სათხედი* და *მახრაკი* ბუნმოკლე, ვიეთნი *ხელშუბას* უხმობენ; *გეონი* მოწლო, პირსამძგიდე, ბუნხომიერი, რომელსა სპარსნი ხელად იპყრობენ სიმსუბუქისათვის, *ხიშტი*, ანუ *სპადა* პირგრძელი, ძგიდემოკლე და ტარკოტა; *ლიბანდიკი* და *ზუფანი* მსგავსი გეონისა, ბუნმოკლე, შორით სასროლი.

ლახლახი ლაღლაღი, ანუ ლასლასი (ნახე სიარულში).

ლახოსტაკი თმათ საღებავი წიდა გადამდნარის რვალისა, **кронвик.**

ლახტი საცემი ან საომარი, გრძელი, უტარო მათრახი, დაწნული თასმისაგან, ანუ მეტალლისა (ნახე მათრახთან) (ვეფხისტ. 645, 1099).

ლაჯი ერთს ნაბიჯზედ ფეხების განშორებით დგომა (ნახე ბიჯი), шаг.

ლაჯიანი ნელა მოსიარულე, ანუ ზარმაცი.

ლბილი რბილი, ჩჩვილი, ქორფა, არა მაგარი (ვეფხისტ. 5, 1454, 1457), мягкий.

ლბობა (ვალბობ) დასველება, დარბილება, размягчать, размачивать.

ლბუნება კურნება სალბუნითა (ოსე. 6, 2), уврачевать.

ლებანი ნიგუზის გულის ნახევარი.

ლები ლიბრი, დალურჯებული (ვეფხისტ. 299, 491, 703; ჩახრუხა. 100), багровина.

[ლებოვანი]

ლეგა ნაცრისფერი (რუხასთან ნახე), серый.

ლეგატი რომის პაპის ელჩი, დესპანი (ნახე მოციქულთან), легат, legatus.

ლეგეონი, ლეგიონი გუნდი მხედრობისა ძველთა რომაელთასა (მარკ. 5, 9), легеон, legio, -onis; თჳთოს ლეგეონს აქუნდა 3000, ანუ 6000 და ვიდრე 10.000 კაცი, ხოლო მეოთხედი ნაწილი ლეგეონისა იყუნენ ცხენოსანნი და სხუანი—ქვეითნი. ლეგეონი განიყოფებოდა კ ო ჰ ო რ ტ ე ბ ა დ, cohorta. თჳთოს კოჰორტას აქუნდა 500 კაცი და კოჰორტა—5 ცენტურიად, რომელია 100 კაცი, centuria.

ლევა (ველევი) შელევა, დათმობა (ვეფხისტ. 806).

ლევა, ლევნა (ვლევ, ვილევი) მოკლება (ვეფხისტ. 17, 953), истощать, -ся, убывать. ზმნა ესე მიიღებს სხვადასხუათა ზედდადებულთაგან მრავალგვართა მნიშვნელობათა: ალლევა, განლევა, დალევა, მოლევნა და სხ. (იხილენ თვისთა ადგილთა).

ლევიათანი (ქვევწ.) ზვითქი, კორკოდილო, ანუ ურჩხული, левиафан.

ლევინტონარი მოკლე მაზარა, საბეჭური მონაზონთა.

ლეზვი თხელი დორბლი (ხრასტი ნახე), слюна.

ლეიბი მატყლის დოშაკი, тюфяк. თ. ნაალ [არაბ.].

ლეკვერთხი წვივსაკრავი, საკვართული.

ლეკვი (ოთხფ.) შვილი ძაღლთა, მგელთა, ტურათა და მისთანათა, щенок, ლეკვები, щенята. // ზოგგან ეწოდების ლომის ბოკვერსაცა (ფსალ. 16, 11 და 103, 21; ვეფხისტ. 39), скимен, львенок.

ლეკი თხლე ნოტიოთა, ძირს დალექილი სისქე, гуща, дрожжи.

ლეკი ტომი კავკასიის მთაში მკვდრთა, ლეკოსის შთამომავლობათა (ქართლის ცხ.), лезгины. თ. ლეჰი, ლეზგი.

ლეკური სალეკო, ლეკთ შესახვედრი, лезгинский. // ლ ე კ უ რ ი ხმალი უვადო (ნახე ვადა და ხრმალი), ლ ე კ უ რ ი როკვა, лезгинка.

ლელენზო უფოველი ნაზუქი, ხმიადი (ლევიტ. 2, 4), опреснок.

ლელი (ბალ.) წვრილი ლერწამი, ფართო და გრძელფურცლოვანი (ნახე ჰილი) (იობ. 8, 11 და 40, 16), рогожа, осока, ситник.

ლელწამი, ლერწამი (ხე) მაღალი ჩალა უგულო, მუხლებად დაყოფილი, მუხლებზედ ჰქონან გრძელნი ფურცელნი. მცენარებს ჰაობთა ადგილთა შინა. ლერთა მისთაგან შეიქმონენ ხელსაჰერთა კვერთხთა (მატ. 11, 7 და 12, 20), трость, камыш. // ამ ლერწმისგან შექმნილი საწერი კალამი (ვეფხისტ. 952), трость писчая. // რომელთამე მხარეთა შინა ძირთა მათთაგან გაკეთდების შაქარი და მას ეწოდება შ ა ქ რ ი ს ლ ე რ წ ა მ ი, сахарный тростник. // ზოგგან ეწოდება ღეროსა, ანუ ზროსა მცენარეთასა (ისაი. 1, 31), стебель.// ლ ე რ წ ა მ ი ს ა ზ ო მ ი ს ა ს ა მ ა რ თ ი კალატოზთა, ანუ თურქთა ენითა შ ი მ შ ა, ზომით ექვსი მტკაველი (ეზეკ. 40, 3), трость мерительная.

ლენდი ლენტიონ, არდაგი, გრძელი მანდილი, лентие, *λεντίω*, [*λέντιον*].

ლენცოფა (ბალ.) белена.

ლეჟერი ნედლი, ცუდი შეშა, ანუ ნაკოდალი მისი.

ლერწამი ნახე ლელწამი.

ლესვა (ვლეს, -სავ) მახვილთ ალმახვა, გამოპირვა, вострить, править. // ხუთოთა და სხვათა სამკურნალოთა, გინა სამხატვროთა წამალთა გახეხა ნოტიოთა შინა, тереть, растирать.

ლექა, ლექი გალექებული, გაჰირვეულებული, დიდად მთვრალი.

ლექსი სიტყვა თჳთოელი რვათაგან ნაწილთა სიტყჳსათა, слово, речение, *λέξις*. // ზოგჯერ უხმარიათ ნაცვლად სტიხთა და შაირთა (ვეფხისტ. 5, 16), стихи.

ლექსიკონი ენათ თარგმანება, ანუ ლექსთ გამოძიების წიგნი, словарь, *λεξικόν*.

ლეღვი (ხე, მარკ. 11, 13; იაკობ 3, 12), смоква. фига, винные ягоды. თ. ინჯირ, ს. თუზ. სახენი ამისნი: ბუშტა ლეღვი, ადრეული.

ლეღოვანი, ლეღუნარი ბაღი ლეღვისა (ფსალ. 104, 2), смоковница.

ლეღუხულელი (ხე) გარეული ლეღვი (მუნვე, 77, 47), чорничие, полевая смоковница. // ლეღვის ხე (ლუკ. 19, 4). смоковница.

ლეღვის კვერი ასხმული ლეღვის ჩირი.

ლელმა ბზარი თოვლი, რა მზემან შეალბოს (ნახე თოვლთან).

ლეში მძოვრი, ან ცუდი ხორცი საკლავთა, труп, *λίσι* [падаль, падалище].

ლეშტერი სეტყვიანი ღვარი (ნახე წყალთან).

ლეშურა (ბალ.).

ლეშხი ხეთ ფურცელთაგან ჩამოცვივნული წვიმის ცვარი (ნახე წვიმა).

ლეჩაქი კუბასტი, მაკინაკი, ჩიქილა ქალთ თავსაბურავი, личак, вуаль. ს. ლაჩაკ.

ლეწა, ლეწვა (ვლეწ, -წავ), ძნიდამ ხორბლის გამოფშვნეტა კალოზედ კევრის ტრიალით, молотить. // დამტვრევა, დამუსრვა. დარეგვა (ნახე დალეწა), раздроблять, разбивать в дребезги.

ლეჯა წენგოს ნაპობი ქერქი.

ლვილო, ლილვი ბადის საქსოვი ჩხირი, მაქო.

ლია, ლამი ანუ ტალახი (ნახე საფლობთან).

ლიანდაგი სარჩულსა და საპირეს შუა გავლებული ნაკერები, дорожка. // (ვლიანდაგებ) ამგვარად შეკერვა, прошивать.

ლიანქერი დამდნარის თოვლის ნადენი ღვარი (ნახე წყალთან და თოვლთან).

ლიბანდაკი, ლიბარდა მოკლე შუბი სასროლი (ნახე ლახვართან), алебарда.

ლიბრი, ლები ჩალურჯებული (რუხასთან ნახე) (იგავ. 23, 29), синий.

ლიბრი, ლირფი, ლირწი ურიცხვ, გლისპი (იერემ. 8, 5), бесстыдный.

ლიგჳრიონი თვალი პატიოსანი, ზოგგან ლოგჳრიონი სწერია, მაგრამ შეცთომაა (სპეკალთან ნახე) (გამოს. 28, 12; შავთ. 40), лигвирий.

ლივლივი (ლივლივებს) წყალთ ციმციმი, მცირე ღელვა. // მფრინველთ ლივლივი (ნახე სიარულში).

ლიზლი უშვერად და ურიდლად მოხუმარი, нахальный.

ლიზლობა უშვერი ხუმრობა (ვეფხისტ. 1071), нахальство, кощунство.

ლითონი ქანი მეტალლთა ანუ სპეკალთა, სადაცა იგინი იპოვებიან, рудник, рудокопня. თ. მადან, მაღარ [არაბ.], ს. ქან [1].

ლითონი გრძელი რკინა შუაზედ ამოხურეტილი, რომელსაც ჩამოაცმენ ბორბლის თავსა და გასჭედენ წისქვილის ზემოთს ქვაში, რომელიც იმითი ბრუნავს, [железная жердь мельничная].

ლიკლიკა (ოთხფ.) პატარა ქურციკი.

ლილა ლურჯი საღებავი (ვეფხისტ. 394), синяя краска; ლილის ფერი, лиловый цвет.

ლილიფარი (ბალ.) ნინოფი, მზისუმზირიტე, подсолнечник, трава.

ლილო თოვლი აპრელებული, აქა-იქ გამდნარი (ნახე თოვლთან).

ლიმენა ნავთსადგური, пристань, гавань, *λιμένας*.

ლიმონი (ხე) лимон, *λεμόνι*.

ლინგი ხლინგი, ფანდი, ანუ ფიცრის გნდე, კიდური.

ლინი რვალის საჩხარუნებელი.

ლიპი მოლიპული ყინვისაგან, ანუ სისველისაგან, სასრიალებელი, სასხლეტი, скользкий.

ლირბი, ლირფი, ლირწი თავხედად ურცხვ (ნახე ლიბრი).

ლირწება ურცხვობა, უწესობა (გალატ. 5, 21; შავთ. 82), бесчинство.

ლიტანია დიდებით სიარული, крестный ход, процессия, *λιτανεία*.

ლიტანიობა (ვლიტანიობ) კრებულით ლოცვა, ცერემონიის გარდახდა (ფსალ. 44, 13).

ლიტი დიდს მწუხრზედ დამატებული ლოცვა ჩინებულთა დღესასწაულთათვის ეკლესიის საშუალ გარდასახდელი, лития, *λιτή*.

ლიტონი მარტივი, ცარიელი, უბრალო ანუ მდაბიო, простой.

ლიტრა ოცის სტილის წონა (იხილე საწონთან), 9 фунтов весу. // ხოლო ძველებური ლიტრა იყო უმცირესი საწონი, ერთი მნა, ანუ აწინდელის გირვანქის ოდენი (იოან. 19, 39), литра, фунт, *λίτρα*.

ლიფი გასანთლული ლარი ან სამოსელი, вощанка. თ. მუშამბა.

ლიფლიფი ფანარი.

ლიფსიტა (თევზ.) წვრილი თევზი, бельчуг, белая рыбка.

ლიქნა (ვლიქნი) მიფერება, მიალერსება მოსაცთუნებლად (შავთ. 46), ласкательствовать.

---

[1] უნდა იყოს ჰანქ. რედ.

ლმობა (ვილმობ, მელმის) ტკივილი, გრძნობა ენებისა (იგავ. 23, 35), болеть, болезновать.

ლმობიერი ალერსიანი, შემტკბობი, ან გულჩჩვილი (ვეფხისტ. 463. 531, 1467), умильный, ласковый.

ლმობიერება გულმტკივნეულება (ფსალ. 59, 3), умиление.

ლმობილი ტკივნეული (ვეფხისტ. 1466), болезнующий.

ლობიო (ბალ.) მდელო გამომღები მარცვალთა პარკებითურთ, бοб, фасоль.

ლოგინი საწოლი ქვეშაგების გასაშლელი, ანუ სარეცელი, კრავატი, спальня, постель или кровать.

ლოგორო დიდი კონა ფოთლებისა, веник из листьев.

ლოდა, ლოდავი ბადია, ანუ ჯამი სანოვაგის მისართმევი.

ლოდი დიდი ქვა (ნახე ქვასთან) (ისაი. 8. 14; მატ. 21, 42 და შემდგომი; იოან. 11, 38 და შემდგომი), камень.

ლოდინი (ველი, ველოდები) მოცდა, მოლოდება (ფსალ. 103, 27 და 118, 95 და 141, 7), чаять, ждать.

ლოთი მემთურალე, пьяница, ლ ო თ ო ბ ა (ვლოთობ) მომთურალობა, пьянствовать.

ლოინი (ოთხფ.) ნარი, მამალი აქლემი.

ლოკა (ვლოკ, -კავ) ლოშნა, ენის წასმა, ანუ აღწბა ენით, лизать.

ლოკოკინა (ქვეწარ.) წურილი ლოფორთქინა, устрица, улитка.

ლომთევზა (ოთხფ.) ზღვის ცხოველია, ხმელადაც სცხოვრობს, морж. თ. შირმაია [სპ.].

ლომი (ოთხფ.) ნადირთ მეფე (ფსალ. 7, 2 და 16, 11), лев, *λέων*, *λεοντάρι*. // ნიშანი ზოდიაქოსი, რომელიცა მიითუალავს მზესა იულისში (ნახე ზოდიაქო).

ლომის ფეხა (ბალ.).

ლოპიანი (ბალ.) ხანჭკალა ცერცვი.

ლოპო ქერქშემოძრობილის ხისა და მისთანათა ნოტიო ლიპი.

ლოპრი ლოშქრი ნახე.

ლორი შაშხი, გამხმარი ხორცი (აპუხტი ნახე), ветчина, окорок.

ლორფინი, ლომფინი ფიქალთაგან შექმნილი კრამიტი, черепица из плит на куполах.

ლორწო წებოვანი წყალი, უჟრორე თევზთაგან, ოდესცა მოკუდებიან უწყლოდ.

ლოსი (ოთხფ.) ჩრდილოეთის ნადირია, ირემს ჰგავს, лось.

ლოფორთქინა (ქვეწარ.) დიდი ლოკოკინა, байдарка.

ლოქო (თევზ.) ღლავი, сом.

ლოქორა (ქვეწარ.) ზღვს ლოკოკინა.

ლოღარიკი ნახე ლაღანაკი.

ლოღნა (ვლოღნი) უკბილოსგან დაცოხნა საჭმელისა ღრძილებით.

ლოყა ღაწვი, щека.

ლოშნა (ვლოშნი), ლოკა (ფსალ. 71, 9; ლუკ. 16, 21), лизать.

ლოშქრი, ლოპრი დორბლი ოთხფეხთა (ნახე ხრასტი).

ლოცვა ღუთისა მიმართ გონებით აღსლვა და თხოვა ჯეროვანთა (ფსალ. 4, 1 და 16, 1), молитва. // ლიტანიობით ანუ კრებულად ღუთის მსახურება ეკლესიასა შინა, ვითარ მწუხრის ლოცვა, вечерня. ცისკრის ლოცვა, заутреня, დაისის ლოცვა, всенощная და სხ.

ლოცვა (ვლოცავ) ვედრება, ხვეწნა (საქმ. 11, 23; რომაელ. 15, 17), молить, умолять, убеждать, упрашивать. // მდაბიურად: დალოცვა, კურთხევა, благословлять, (ვულოცავ) ლოცვის წაკითხვა სხვსადმი (მივულოცავ). დღესასწაულის მილოცვა. // (ვილოცავ, ვლოცულობ) ლოცვსა, ვედრების აღვლენა ღუთისადმი (მატ. 6, 5 და შემდგომი), молиться (საქმ. 10, 9).

ლოცვანი, ლოცვაები წიგნი ლოცვისა, молитвенник.

ლოხი ხანტი, ხარმაცი, მძიმე ცხოველი.

ლოხორი, ლახორა ჯოლღო, ცარცის ანაცარი. თ. ნუხალა [სპ.].

ლპობა, ლპოლვა (ლპების) გახრწნა ნივთთა ტენისაგან (ნახე დალპობა), гнить.

ლტობა (ვალტობ) დასველება, დალბობა (ნახე დალტობა) (ვეფხისტ. 1270), мочить, намачивать. // ცრემლით ლტობა (ვეფხისტ. 909), утопаться в слезах.

ლტოლვა (ვივლტი) გაქცევა, გარიდება, გარდახვეწა (ნახე სიარულში) (ფსალ. 61, 1; მატ. 2, 13), бежать, убегать.

ლუბრმა, ლუმბრა მდინარის ადგილი, მდოვრე და ღრმა (ნახე წყალთან).

ლუდი ქაშქის წყალი, ქერის თაფლუკი, სასმელი. пиво.

ლუკმა ერთი საცოხნელი ხემსი (ვეფხისტ. 913), кусок, *λουκουμᾶς*. თ. ლუხმა, ლოხმა [არაბ.].

ლუკუფხა (ხე) კრელი ხე.

ლულა წყალთ სადინელი სოლინარი მილი, труба водопроводная. // თოფის გრძელი რკინა გახურეტილი, винтовка ружейная.

ლულეინი, ლულიანი კუტალი თიხისა, გინა ჰიქისა, лейка.

ლული რული, თულემა (ვეფხისტ. 1205), дремота, дремание.

ლუმბა ცხენის საჰედარი ნალი, подкова.

ლუნგი ჩლუნგი, ბლაგვი, ბოკო, უმახვილო, тупой.

ლურსმანი, ლუსმარი, მუსმარი სამსჭვალი (1 ნეშტ. 22, 3), гвоздь, ჯიმბუკი მოდიდოა, ხოლო მანჭვალი—უდიდესი და უმსხოსია.

ლურჯი მოჰირებულად ცისფერი (ვეფხისტ. 1336), синий.

ლუხკმა ლარნაკი, მაღალი ტაგრუცი (ნახე საფლავთან) (4 მეფ. 23, 14), могила (ვეფხისტ. 1359), рака.

ლუტი ტლუ ნახე.

ლუფუნი ლატანი ხეზედ მისადგმელი ზე ალსავალად.

ლუღლუღი (ლუღლუღებს) სნეულისგან, ანუ შეშინებულისგან ვერ გამორკვევა ლაპარაკისა.

ლუწი ორორი, ულეული ცანჭკულელი, попарное, чётное число. ს. ჯუხტ, თ. ჩივთ [სპ.].

ლხენა, ლხინება (ვულხენ, ვულხინებ) შეელა, შემსუბუქება, პატივება (ვეფხისტ. 17), облегчать, послаблять (ფსალ. 64, 3 და 77, 38, კუალად 78, 9), очищать (კუალად 105, 30). умилостивлять (და 129, 3), прощение. (ვალხენ, ვილხენ) (ვეფხისტ. 828, 830), მიცემა ნუგეშისა, შვებისა, утешать, -ся.

ლხინი შვება, ნუგეში, განცხრომა (ვეფხისტ. 13, 106), утеха отрада. // პურობა წვეულობა, ნადიმობა (ესთერ. 2, 18), пир, пиршество. თ. მეჯლის [არაბ.].

ლხინობა (ვლხინობ) განცხრომა, შექცევა ლხინში, пировать, веселиться.

ლხობა (ვალხობ, ლხვების) მცირედ შედნობა გაყინულისა, გალხობა, таять, оттаивать.

მ

ქარაგმიანნი ლექსნი ამას ასოსა ზედა არიან: მდ̃ის — მარადის, მრ̃თ — მიმართ ანუ მომართ. მ̃რ — მიერ, მლ̃დლი — მღუდელი და ძველებურად მ̃ფჱ—მეუფე.

ასოსა ამას ჰქონან ზედდადებულნი ზმნათანი: მი, მო, მიმო, მიმოდა, მიდამო. მაგალ., მიმაქუს, მომაქუს, მიმომაქუს, მიმოდამაქუს, მიმოდაბნევა და სხ.

მრავალთა ზმნათა, განვითარებულთა მარცვალთა მიერ მი და მო, არა აქუსთ განსხვავებული რაიმე მნიშნველობა, გარდა ამისსა, რომელ მი ითქმის მესამესა პირისათვის, ხოლო მო პირველისა და მეორისათვის. მაგალ.: მოცემა ჩემდა, მოცემა შენდა, მიცემა მისდა; კუალად მოტევება, მოგება, მორთმევა ჩემდა, შენდა; მიტევება, მიგება, მირთმევა მისდა და სხ. ანუ განირჩევიან ზმნისზედათა მიერ აქა და იქი. მაგალ.: მოტანა აქა, მიტანა იქი, მოზიდვა აქა, მიზიდვა იქ, მოწვევა აქა, მიწვევა იქ.

ესევე იგულისხმე თანდებულთათვის: მიმართ და მომართ. მაგალ., ჩემდა მომართ, შენდა მომართ, მისდა მიმართ, ანუ მოკვეცილად: ჩემდამო, შენდამო, მისდამი (გარნა ზოგჯერმე ისმარების მი მეორესაცა პირსა შინა, მაგალ., შენდამი მიცემა, მიტევება შენდა და სხ.). კუალად ასო მ დაერთვის თავად მრავალთა ლექსთა ქართულსა შინა ენასა ესრეთ:

ა. არსებითთა სახელთა და ნიშნავს:

1. სადაობასა, პირისასა, თავად მ და ბოლოდ ელი. მაგალ.: აჩაბეთი, ეგრისი, ეგჭპტე, ამათგან შეიქმნების: მაჩაბელი, მეგრელი, მეგჭპტელი. გარნა აწყური—მაწყურელი, რუისი—მროველი. ესენი ეწოდებოდა საკუთრად მუნებურთა ეპისკოპოსთა, ხოლო სხვათა მუნ მოსახლეთა უწოდებენ: აწყურელი, რუისელი.

კუალად სადაობისათვის პირთასა დაერთვიან თავად მე, მო, ბოლოდ ე ანუ ვე. მაგალ., უდაბნო—მეუდაბნოვე, თემი—მოთემე, სახლი—მოსახლე, ქალაქი—მოქალაქე, ხევი—მოხევე და სხ.

2. იგივე მარცვალნი თავად მე და ბოლოდ ე, ანუ ვე, ჰნიშნევენ პატრონსა ნივთისასა, ანუ მნეაა მისსა. მაგალ.: ძეაბანოვე,

მეაბჯრე, მეკარე, მენავე. მეხომალდე, მეციხოვნე და სხ.

3. ესევე მარცვალნი ჴნიშნვენ ხელოსანსა ნივთისასა, მქეთებელსა მისსა, ანუ ვისცა რამცა აქუს სარეწავად თჳსად. მაგალ., მებადე და მებადური, მეთევზე ან მეთევზური, მეველე, მეზურე, მენახირე, მეხბორე, მეცხვარე, მექათმე, მეპურე, მეღვინე, მექვაბე, მექუდე, მეპრატაკე, მეპრორე, მეურმე.

4. რომელთამე განორებით ხმარებულთა ლექსთა თავად დაერთვისთ მ და შესცულის შეურაცხებითად, ვითარ: არე-მარე, ახლო-მახლო, კიტრი-მიტრი, წილი-მილი, ხილი-მილი, ხურდა-მურდა.

5. უმრავლესთა სახელთა დაერთვის თავად მ და არა განასხვავებს მნიშნველობასა მათსა, არამედ როგორმე დასაშვენებლად. მაგალ., ზითევი — მზითევი, სხალი — მსხალი, ტევანი—მტევანი, ლუდელი — მლუდელი, ძეხვი—მძეხვი, წნილი—მწნილი; ეგრეთვე ზედშესრულთა: კურივი—მკურივი. ებრი — მებრი (ნახე ებრ), რგუალი—მრგუალი, სუბუქი—მსუბუქი, სხვილი—მსხვილი, შვენიერი—მშვენიერი და სხ. და ზოგჯერ არა საჭიროდ, არამედ კნინლა ურჩხადცა, ვითარ: ტრედი—მტრედი, შველი—მშველი, ცხუარი—მცხუარი.

გარნა რომელთამე ლექსთა შინა განასხვავებს მნიშნველობასა. მაგალ., დაბალი—რაოდენობით მცირე, ხოლო მდაბალი—გულით მშვიდი. კუალად დარი—თანასწორი, ხოლო მდარე—უფრო ნაკლები, ანუ ცუდი.

6. ზედშესრულთა სახელთა დაერთვის თავად მო, ბოლოდ ო და დააკნინებს მნიშნველობასა მათსა. მაგალ., დიდი—მოდიდო, მცირე—მომცრო, თეთრი—მოთეთრო, შავი—მოშავო და სხ.

რომელნიმე ზედშესრულნი სახელნი, დაბოლოვებულნი მარცულითა ელი, ისპობენ მას დაკნინებასა შინა. მაგალ., გრძელი—მოგრძო, თხელი—მოთხო, ტკბილი—მოტკბო, მსხვილი—მომსხო ანუ მომხო, წულილი—მოწლო. არამედ წითელი ითქმის მოწითლო, მოწითანო და მწითური.

7. მარცვალი მე დაერთვის თავად რიცხუთა სახელთა რაოდენობითთა და შესცულის მათ წესებითად ორითგან, ვიდრე დაუსრულებლადმდე. მაგალ., მეორე, მესამე, მეოთხე, მეათე, მეათერთმეტე, მეოცე, ოცდამეორე, ოცდამეათხუთმეტე, მეორმოცე, ორმოცდამეექუსე, ორმოცდამეათე ანუ მეერგასე, მეასე, ასმეორე, ასმეშვიდე, მეათასე, ათას მეერგასე, მეათიათასე, ათიათასმეოცე და სხ.

ხოლო ოდესცა დაერთვის ამათ ბოლოდ მარცვალი დი, მაშინ ჴნიშნვენ კერძოსა. მაგალ., მესამედი, მეოთხედი, მეათედი, მეასედი და სხ.

ბ. ასო მ დაერთვის ზმნათაცა:

1. მაპიროვნებელად პირველისა პირისა და მაშინ მეორისა პირისა იქმნების მაპიროვნებელი გ. მაგალ., მაქუს, გაქუს, აქუს; მრწამს, გრწამს, ჰრწამს; მნებავს, გნებავს, ჰნებავს და სხ. ეგრეთვე ყოველთავე უსრულესთა დროთა შინა; მიწერიეს, გიწერიეს, უწერიეს; მეწერა, გეწერა, ეწერა; მისწავიეს, გისწავიეს, უსწავიეს; მესწავა, გესწავა და სხ.

შეისწავე, ვითარმედ ზმნანიცა: მაქვს, მრწამს, მნებავს, ძინდა, მჯერა და სხ. თუმცა იხმარებიან აწმდგომსა დროსა შინა, გარნა ესევითარი საქცევი მათი არს ვასხებულ უსრულესისა დროსაგან, ვინათგან აწმდგომსა დროსა მათსა: ვიქონიებ, ვირწმუნებ, ვინებებ, ვინდომებ, ვიჯერებ აქუს ჰაზრი რაოდენმე მომავლისა დროჲსა, ხოლო ვასხებული დროჲ უსრულესისაგან ჰნიშნავს სრულიად აწინდელსა.

ამის გამო ზმნანი: ვუბოძებ, მივართმევ, მივულოცავ და სხ. ვინათგან ჴნიშნვენ უფრორე მომავალსა, ამად უსრულესი მათი დაიდების ნაცულად აწინდელისა. მაგალ., მიბოძებია, მომირთმევია, მომილოცავს და სხ.

ამგვარადვე სხვათა ზმნათა პირველსა პირსა შინა გაპიროვნებულთა მარცულითა ვი დასანიშნველად აწინდელისა დროჲსა, აქუს გახშირებითი დროჲ სხვარიგად. მაგალ.: ვიკითხავ, ვილოცავ, ვიპოვი, ვიშოვი და სხ., რადგანც ესენი ნიშნვენ მომავალსა, ამად აწინდელსა დროსა შინა იხმა-

რებიან გახშირებით: *ვჰკითხულობ*, *ვლოცულობ*, *ვჰპოულობ*, *ვშოულობ*.

2. ასო მ იხმარების კჳალად პირნაკლთა ზმნათა შინა, ოდესცა მოქმედება მიეჩემების 1 პირსა მეორისაგან. მაგალ., *მიწერ*, *მიწერს*; *მიშენებ*, *მიშენებს* და რაჟამს პირველისაგან მიეჩემების 2 პირსა, მაშინ იხმარების გ (იხილე ასო გ და უვრცელესად შესავალსა შინა ზმნათათვის).

ხოლო უკეთუ მოქმედება არს მესამისაგან პირისა, მაშინ არღარა არს პირნაკლი, არამედ მიეჩემების სამთავე და პირველისადმი იხმარების კჳალადვე ასო მ, მეორისადმი კჳალადვე გ, მესამისადმი ჳ. მაგალ., *მიწერს*, *გიწერს*, *უწერს*; *მიშენებს*, *გიშენებს*, *უშენებს*, ანუ ვნებითად: *მწერს*, *გწერს*, *ჰსწერს*; *მაშენებს*, *გაშენებს*, *აშენებს* და სხ.

ε. ასო მ დაერთვის თავად ყოველთა შემოქმედებითთა მიმღეობათა. მაგალ., *მკეთებელი* ანუ *მაკეთებელი*, *მოქმედი* ანუ *მმექმი*; *მორწმუნე*, *მკითხველი*, *მწერალი*, *მავალი*, *მდგომარე*, *მჯდომარე*, *მწოლარე*, *მტირალი*, *მგლოვარე* და სხ.

ოდესმე მ შეიცჳლების ნ, მაგალ., მანგალი—*ნამგალი*, მებოძირი — *ნებოძირი*, მორჩი—*ნორჩი*, მუგუზალი—*ნაგუზალი*, მუხუდო—*ნუხუდო*, ნამდჳლი—*ნანდჳლი* და სხ. და ოდესმე შეიცჳლების, ბ (იხილე ასოსა თანა ბ).

მაარსი არსების მომცემი, არსებად მომყჳანი (ითქმის ღჳთისათვის), сый осуществитель, ებრაულად *იეჰოვა*, Иегова.

მაბადია, გაბადია, აბადია და შემდგომი მაქჳს. иметь.

მაგალითი ანდაზა, სახე, მორფი (იერემ. 19, 22; ჩახრუხა. 51), пример.

მაგარი მტკიცე, ძნელად გასატეხი (ისაი. 36, 1; ვეფხისტ. 5), твердый, крепкий, жёсткий.

მაგდენი, მაგოდენი ეგეოდენი, მაგის ტოლი.

მაგიდა ტაბლა, მაღალი სუფრა, ფეხედი. стол.

მაგიერი მოადგილე, მონაცვალე, наместник, преемник, или поверенный.

[**მაგოდენი**]

მაგოლი თივის ბულული, ანუ ძირეული, копно сена.

მაგრა, მაგრამ (კავშირი) გარნა, არამედ (ვეფხისტ. 407, 409). но, однако.

[**მაგრობა, მაგრება**].

მაგრილებელი (ხე) პოროპანი.

მაგრობალი (მფრ.) კრუხი კვერცხებზედ მჯდომი.

მადა საზრდელის ნდომა, инстинкт. თ. ჰიშტაჲა [არაბ.].

მადანი ლითონის ქანი, рудник, завод.

მადაური, მანდაური პური ფართო და განიერი.

მადე სკა, რომელშიაც ჩასხმენ შინაურთა ფუტკართა და დაუტევებენ ველსა ზედა მოსანადირებლად გარეულთა (ნახე სკა).

მადლი ნიჭი ანუ ძალი, ზეგარდმო მოცემული კაცისადმი აღსასრულებელად ნებისა ღჳთისა (რომაელ. 1, 5 და 1 კორ. 15, 10), благодать. ს. შნორ. // მოწყალებით მიხედვა, სიყვარული (დაბად. 39, 3; გამოს. 3, 21; საქმ. 7, 46). // შვენიერება, შნო (ფსალ. 44, 2; იგავ. 4, 9). // სათნოება, ქველისმოქმედება, კეთილი საქმე (ზირაქ. 7, 36). // დამადლება, მაგიერის გარდახდა (ვეფხისტ. 626), благодарность. // მდაბიურად: ბარაქა, უხვება. კჳალად ითქმის მადლია, ცოდვაა (ვეფხისტ. 271), богоугодно, или грешно.

მადლიანი კეთილი, სახიერი, ქველისმოქმედი, добрый, добродетельный.

მადლის გარდახდა კეთილისა წილ კეთილის მიგება საქმით, სიტყჳთ, ანუ თაყვანისცემით, поблагодарить, отблагодарить. // ნიშნობა, დანიშნვა ქალ-ვაჟისა საქორწილოდ, сговор, помолвка.

მადლობა მოხსენება ანუ ალხსენება მადლისა, ღჳთისა მიერ ჩვენზედა მოვლენილისა და სიხარულით აღიარება მისი, ეგრეთვე კაცთადმი მადლის გარდახდა (1 ტიმ. 2, 1), благодарение, благодарность.

მადლობა (ემადლობ) მადლის გარდახდა, შეწირვა (1 კორ. 1, 4; ეფეს. 5, 20), благодарить.

მადლიერი, მადრიელი სიკეთის მახსოვარი მადლობით, ანუ გულსავსე (ვეფხისტ. 382), благодарный, довольный.

მადლიერობა, მადრიელობა გამოცხადება მადლობისა, გულსავსებისა (მუნვე, 143), благодарность, удовольствие, благоволение.

მაეგობა ბაასი, პაექრობა, ვარჯისი, გამოძიება მეცნიერებისა საუბრით, ანუ წერილით, диспут, или упражнение литературное.

მაედანი (ნახე მეიდანი) მეიდანი (ვეფხისტ. 353).

მავასხებელი მოვასხე, ვალის მიმცემი (ისაი. 24, 3; ლუკ. 7, 41), заимодавец.

მავთული, მართული მსხვილი აშკა, სიმი მეტალლთა, проволока.

მავი მხიარული ფერი, ლურჯი, ანუ მომწვანო, *μαβής*, [*μαβύς*], *μαυής*, голубой.

მავნე მავნებელი, ძვირის შემამთხვეველი (ნახე ავი, მავნე) (ვეფხისტ. 801).

მაზარა მანდჯა, პალეკარტი, შავი ზედწამოსასხამი, საბერო, მხრებში ნაოჭებიანი, монашеская мантия.

მაზეგ ზეგის შემდგომს დღეს.

მაზლი ქმრის ძმა, деверь.

მაზლისცოლი შილი, ორთა ძმათა ცოლნი არიან შილნი, золовка.

მაზმანი ბალნის თოკთ მგრეხელი.

მაზმართი საბანოვე დიდი ტასტი (იერემ. 52, 19), умывальница.

მაზრა თემი, სამოურავო, საერისთავო, округ, провинция.

მაზრაკი შუბი (ლახვართან ნახე) (იოელ. 3, 10; შავთ. 19), копье, ხოლო (იერემ. 6, 23) ფარი, щит.

მაზრაპეტი მაზრის მოურავი, განმგებელი, სატრაპეტი, ნაიბი, воевода, наместник, сатрап. თ. ჯანიშან [სპ.].

მათარა ნატის სასმისი, შეკერილი ოთხკუთხედ (ნახე თხიერი).

მათითა ფეიქართ საქსოვრის სამართი.

მათოთი (ბალ.) შხამა ბალახი, болиголов, омег.

მათრახი ტარიანი ცხენთ საწკეპავი სამ-ოთხ ლერი (ვეფხისტ. 86, 95), кнут. ტ ა ჯ ა გ ა ნ ი ც ამგვარი არს, ხოლო შ ო ლ ტ ი ძირს მსხვილად დაწნული და გრძლად თასმამობმული, ხართ საწკეპავი ლ ა ხ ტ ი და ჩ ე ლ ტ ი, უტარო, დაწნული თასმისა, ანუ მეტალლისაგან, ხოლო ჩ ა ლ ი ჩ ი არს ტილოსგან.

მათხაბი ციბრუტი, бурав, terebra.

მათხირი მცირე ხის კასრი, კოდის ნახევარი (კოდი ნახე).

მაია თავნი, სათავნო ამხანაგთა, капитал, артель.

მაიმუნი (ოთხფ.) ქია, ანთარი, პითიკი, ციდამტკაველა (2 ნეშტ. 9, 21), обезьяна, *μαϊμού*.

მაინც მაშინც, უკანასკნელისაებრ ღონისა, все таки, или по последней, крайней мере.

მაისი ვარდობის თთვე (ნახე ზოდიაქოსთან), май, *μαΐος*.

მაკე (ოთხფ.) ორსული ხვასტაგი, брюхатая (относительно к животным). გარნა რუსულად ითქმის ფურთათვის стельная, ცხვართათვის суягная, ცხენთათვის сужеребная და სხ.

მაკება (მაკდების) ორსულქმნა (დაბად. 30. 40), зачинать.

მაკვილაკი სიტყვთ მაწყინარი, курьезный.

მაკინტალობა მძუნაობა ზროხათა, კამბეჩთა და მისთანათა (ნახე ხურაობა).

მაკრატელი ორკეცი იარალი სარისველი. // ანუ მოსაკვეცი, ножницы. თ. მახაზ, დუქარდი [არაბ.], ს. მგკრატ.

მაკუკი ანძაზედ შემოხვეული თივა. // ანუ თივის ზვინი.

[მაკურთხებელი]

მალა ზურგის ძუალის ნაკვეთი.

მალაკი მცირე სფირიდი (მამათ. ცხ. 7, 15).

მალამო სალბუნი, ემპლასტრო, пластырь. თ. მაჰლამ.

მალაღური (მფრ.) иволга, или ромез.

მალაჩინი (ხე) წურილი კომში ან მსხალი საუკეთესო და გემრიელი.

მალე, მალიად მსწრაფლ, საჩქაროდ, სწრაფად (ისაი. 8, 1, 3), скоро (იერემ. 48, 16; ვეფხისტ. 262), скороспешно.

მალემსრბოლი გაგზავნილი საქმეზედ, ანუ წერილებითურთ, курьер, гонец. თ. ჩაფარ.

მალვა (ვმალავ) დაფარვა, მიფანიერება, დამალვა, скрывать, прятать.

მალი ჩქარი, სწრაფი (ნახე მალიად).

მალი ნახე ხარაჯა.

მალი ერთი მხარე სართულისა (ნახე დარგი).

[მალიად ნახე მალი].

მალიგორად თანშეზომით, ბევრს ბევრობით და ცოტას ცოტაობით (სამართალი ვახტ.), соразмерно, пропорционально.

მალოქი (ბალ.) მალვა, ბალბა (იობ. 24, 24), злак.

მამა მშობელი, მამაკაცი, ვისცა უსხენან შვილნი (მატ. 15, 4), отец. // მამად იწოდების ღმერთი, ვითა დამბადებელი ყოველთა. // მამად ითქმის სულიერი მოძღვარი და სხვანი სამღუდელონი. // ზოგჯერ ჰნიშნავს მამრსა მამაცსა (ვეფხისტ. 785), мужчина, молодец.

მამათმავლობა სოდომური ცოდვა, мужеложство.

მამათმთავარი მამათმამა, წინაპარი ნათესავობისა, ანუ ერისა (საქმ. 2, 29 და 7, 8 და

შემდგომი), отценачальник. патриарх. // ესრეთ იწოდებიან ოთხნი ემთავრესნი მსოფლიონი ეპისკოპოსნი, патриарх вселенский. // და შემდგომად მათსა რომელნიმე სამღუდელონიცა მამასახლისნი, ვითა რუსულად благочинный.

მამაკაცი კაცი მამრი (რომაელ. 11, 4 და შემდგომი; 1 კორ. 7, 16), муж, мужчина.

მამალი ბუნებით მამრი ცხოველი: ოთხფერხი, მფრინველი, თევზი და სხ., самец, ვითა დედალი, самка. // განთჳსებით ეწოდების მამალსა ქათამსა, петух. // მამალ-დედლობით ითქმიან ნივთნიცა უსულონი, ვითარ ხრიკი, დუგმა, აბზინდიანი ბალთები და სხ. // მამალ-დედალთა რომელთამე ცხოველთა ჰქონან განთჳსებულნი სახელნი მოდგმისაებრ მათისა, ვითარ ხ ა რ ი და ფ უ რ ი, ა ხ ტ ა და ხ რ დ ა ლ ი, ვ ე რ ძ ი და ნ ე რ ბ ი, ტ ა ხ ი და ნ ე ზ ვ ი, ხ ვ ა დ ი და ძ უ და სხ. (იხილენ მათთა ადგილთა).

მამამთილი რძლისთვის ქმრის მამა, свекор, ხოლო ქმრის დედა (ნახე დედამთილი), свекровь.

მამამძუძე მზარდული, ლალა, გამზრდელი კაცი (4 მეფ. 10, 1), пестун, кормитель, дядька.

მამასახლისი საქართველოსა შინა მეფობის ხარისხის შემოღებამდე ეწოდებოდა უხუცესსა ქართლოსის შთამომავლობათაგანსა, ვითა უაღრესსა მმართებელსა და მოსამართლესა, მსგავსად ძველთა რომაელთა Pater familias. // აწ სოფელთა შინა უხმობენ ქევხასა, ანუ ნაცვალსა, сельский староста. // მონასტერთ მამასახლისი (ნახე წინამძღვართან), благочинный в монастырях.

მამაშვილობა რაგსა-მიმართობა მამისა შვილისადმი. საზოგადოსა შინა საუბარსა ხშირად იხმარების ლექსი ესე. მაგალ., თ უ მ ა მ ა შ ვ ი ლ ო ბ ა გ რ წ ა მ ს. თქმა ესე არს სავედრებელი, უფროვე მამისაგან შვილისადმი და ზოგჯერ შვილისაგანცა მამისადმი. კუალად მ ა მ ა შ ვ ი ლ ო ბ ა ს (ძალითად მდებარე არს, გაფიცებ), სწორედ მითხარ, заклинательное, или убедительное; ეგრეთვე პასუხი: მ ა მ ა შ ვ ი ლ ო ბ ა მ (იცის), სწორედ გეუბნები, уверительное; მსგავსად ამისსა იგულისხმე ლექსთათვის: დ ე დ ა შ ვ ი ლ ო ბ ა ს და დ ე დ ა შ ვ ი ლ ო ბ ა მ, შ ე ნ ს გ ა ზ დ ა ს და შ ე ნ მ ა გ ა ზ დ ა მ, შ ე ნ ს მ ზ ე ს და შ ე ნ მ ა მ ზ ე მ (ვეფხისტ. 692, 1286, 1293). მზე აქა ჰნიშნავს გარდალებულად სიცოცხლეს. ამათგან დასაფიცებელნი იხმარებიან უხშირესად უფროსთაგან უმცროსთადმი, ვითა რუსულად пожалуйста, ხოლო დასაჯერებელნი უმცროსთაგან, ვითარმედ თ ა ვ მ ა ნ ჩ ე მ მ ა ნ, თ ა ვ ს ა ჩ ე მ ს ა (ვეფხისტ. 66) და მრავალნი ამგვარნი ითქმიან უაღრესთათვის.

მამაცი ვაჟკაცი, მხნე მამაკაცი (ვეფხისტ. 789), молодец, храбрец.

მამეული, მამისეული მამისგან დაშთენილი რამე, отцовский.

მამიდა მამისდაჲ тётка по отцу, отцова сестра.

მამითადი ნადიმი, პურობა მომკალთა მუშაკთათვის (ნახე სერი), помощь. სოფელთა შინა მებატონე, ანუ მოსახლეთაგანი ვინმე ჟამსა მკისასა განამზადებს ნადიმსა და მოიწვევს მეზობელთა თჳსთა მოსამკავად თჳსის მოსავლისა. ამისთვის ითქმის: დღეს ამა და ამ კაცს მამითადი აქუს, ანუ ჰქონდა.

მამინაცვალი მეორე ქმარი ვისისამე დედისა, вотчим.

მამობილი მამადხმობილი ვისიმე, ანუ მამის მაგიერი, званный отец.

მამობრივი მამისად შესაბამი, отеческий.

მამონა სიმდიდრე, ანუ სიმდიდრის ღუთაება (მატ. 6, 24), мамона, *μαμμωνᾶς*.

მამრი ბუნებითად მამალი ცხოველი, мужской пол. // მამაკაცი (დაб. 3, 8, 12), муж, мужчина.

მამრობითი ხქესი ანუ ნათესავი, ღრამმატიკულად სახელნი მამრთანი, мужской род (в грамматике).

მამული სამშობლო ქვეყანა (ლევიტ. 2, 5, 10; მარკ. 6, 1; ლუკ. 4, 23 და შემდგომი), отечествие, отечество, отчизна. // მამა-პაპისაგან დანაშთენი უძრავი ქონება, вотчина, поместье, родовое имение.

მამულის პატრონი ადგილის მებატონე, вотчинник, помещик.

მამხობელი (ბალ.) თესლი პურის მაშავებელი. головня.

მანა მომცრო მარგილი, ანუ პალო (გამოს. 27, 19), гвоздь (მსაჯულ. 4, 21), кол, спица.

მანაა შესაწირავი (იერემ. 4, 5; ბარუქ. 1, 10; ეზეკ. 45, 25), дар, жертва.

მანათი მანათობელი, светящийся, გინა მანეთი, მონეთი.

მანანა ზეცით შთამოცევნული საზრდელი, მსგავსი ქინძის თესლისა, ფერით თეთრი

და ჯემოთი ტკბილი, მზე დაადნობდის. ებრაულად მ ა ნ ა ნ ა, რაიბო; რამეთუ პირველად რა იხილეს, იკითხვიდენ რ ა ჲ ა ო? და მით ეწოდა მანანა (ფსალ. 77, 24), манна, *μάννα*. // აწ მ ა ნ ა ნ ა დ უხმობენ რომელთამე ხეთა ნაწვეთსა, გამხმარსა და ტკბილსა.

მანგალი, ნამგალი საჭკალი იარაღი (მარკ. 4, 29), серп. ს. მანგალ.

მანგანა რკინის ქანჩი, მჭედელთ იარაღი, тиски, *μάγγανος*.

მანგი მარგალიტი (ხოლო თათრულად მთვარე) (ვეფხისტ. 120), განმარტებაში бисер.

მანდ, მანდით მაგ ადგილს (ითქმის 2 პირისად. ნახე აქ) (მატ. 26, 36), тут, там, туда.

მანდატური იასაული, ხელჯოხიანი, მეფეთ გარემდგომი, ეჯიბი.

მანდატურთუხუცესი უფროსი მათი. თ. ეშიკაღაბაშ.

მანდაური, მანდარი (ნახე მადაური) ანუ მაგ ადგილისა.

მანდიკი ხურჯინი, ანუ იახტანი (ვეფხისტ. 442).

მანდილი ხელსახოცი, ანუ ცხვირსახოცი, плат, платок, убрус, *μανδύλιον*, *μανδήλι*, *λάκι*.

მანდილოსანი ბანოვანი, ქალი საბატიო (ნახე დედოფალთან), дама, почетная женщина.

მანდრაგორი (ბალ., დაბად. 30, 14), мандрагор, адамова голова, *μανδραγόρα*; ეს ბალახი მოიბამს ხილსა ვაშლის მსგავსსა, რომელიც არს მძიმის სუნისა, ხასიათი აქუს დამაძინებელი და ტანში გამწევი, გარნა აწ ხმარობენ მხოლოდ გარედამ დასადებად, რამეთუ დააცხრობს სიმსივნეთა.

მანდუა მანტია, მაზარა, *μανδύας*.

მანეთი (ნახე მონეთი) ხოლო ქართულად უხმობენ უდიდესს ვეცხლის ფულს ხუთაბაზიანს, целковый.

მანიაკი ფარღული გულის ჩამოსავლები მოოჭვილი (მსაჯულ. 8, 26; ეზეკ. 16, 11), плесница, ожерелие (დან. 5, 7, 16), гривна.

მანკანი, მანღალი ლანძვი, საცეცხლე მეტალლისა ან თიხისა ზამთრით წინ დასადგმელი, жаровня, *μαγκάλι*.

მანკი ზადი, ანუ ბრძჳილი, დანაშთენი სატკივართაგან, порок. // ბიწი, მწიკული სულიერი.

მანკიერება მანკის ქონება სულიერად, ანუ ხორციელად (ლუკ. 6, 11), безумие, бешенство.

მანკიერი სავნებელი (ჩახრუხა. 68), вредный.

მანტია სამღუდელთმთავრო, ანუ საარქიმანდრიტო მაზარა ტკერფებითურთ, мантия, *μαντεῖον*.

მანქანა ოწინარი სრასნილებითურთ ასაწევათ სიმძიმეთა (1 მაკაბ. 5, 30; ლუკ. 18, 25), махина, машина.

მანქანება მრავალგვარი ხერხი და ხელოვნება სავნებელად (2 ნეშტ. 26, 15), хитрость.

მანძილი სასვენი, გზაზედ დასადგომი ადგილი, станция. თ. მანძილ [არაბ.].

მანჭვალი დიდი ლურსმანი ჩასარჭობი თავტაბიკსავით, шворень.

მანჭკვალა (ბალ.) სოკო ხის კუნძისა, волжанка.

მანჯანიკი აბრეშუმის ამოსახვევი ჯარა.

მანჯიკი მომცრო მარხილი (ნახე ურემთან).

მაჟალო (ხე) გარეული მჟავე ვაშლი, кислушка.

მაჟარა მწნილი ჭარხლისა და მისთანათა.

მაჟარი შაშხანა (თოფი ნახე), винтовка.

მაჟაური (მძრ.) მატლი ხის გულის მჭამელი (ამბაკ. 2, 11), хрущ.

მარაგი ცა თხელის ღრუბლით შემოსილი, იალკიალი.

მარადის მიმდემად, ნიადაგ (ფსალ. 18, 14), выну (70, 14), всегда (კუალად 94, 10), присно.

მარადღამე თჳთოეულს ღამეს (ფსალ. 6, 6), на всякую нощь, каждую ночь.

მარადღე თჳთოეულს დღეს (მეფეთ. 7, 10), на всяк день (36, 16), весь день, ежедневно.

[**მარანდელი** ნ. საპონი].

მარანი ღვინის საცავი სახლი, საღვინე, винный погреб, [винница].

მარაო ხელთსაჭერი მოსაქროლი, веер, опахало.

მარაქა ლხინად, ანუ სამუსაიფოდ შეკრებულება ქალთა.

მარბიელი მტაცებელი, მძარცველი, მკრეხელი, грабитель, хищник.

მარგარიტი, მარგალიტი ნიჟარათა შინა პოვებული მარცვალი, მრგუალი, გამაგრებული, თეთრი და ელვარე, რომელიც სიძვირისა გამო მისისა აღირიცხების საჭკალთა თანა (მატ. 7, 7 და 13, 46; გამოცხ. 21, 21), бисер, жемчуг, жемчужина, *μαργαρίτης*. ს. მარქრიტ.

მარგი ბოსტნის რიგის კვალი სათესად (ნახე დარგი), грядн.

[**მარიგილი** кол, спица].

მარგიმუშკი დარიშხანა, Арсеник, мышьяк, arsenic.

მარგლვა (ვმარგლი, -გლავ) ბოსტანთა და ჯეჯილთა შინა ცუდის ბალახების გამორჩევა და ამოგლეჯა, полоть.

მარგული წყლული უმთელებელი, სისხლის სიმლაშისგან დაბადებული, მჭამელი სრსვილი, [веред, рак].

მარდად, ნარდად სამუშაოს ფასზედ შერიგება მრთლად გარდაკვეთით და არა დღიურად, на подряд.

მარდი მკჳრცხლი, მარჯვე, ცქვიტი, მალე მორბედი, проворный, расторопный.

მარზაპანი ნახე მაზრაპეტი (ვეფხისტ. 397, შავთ. 30).

მართ მართლ, მართლად, ანუ სწორედ (ვეფხისტ. 3 და შემდგომი), точь, точно. რუსთველს ხშირად უხმარია ეს მარცვალი უფრო ლექსთ გაწყობისთვის. ამასვე დაერთვიან ზედდადებულნი: აღმართ, გაღმართ, დაღმართ, მიღმართ და სხ.

მართალი კეთილმსახური, სათნოდ ღუთისა მცხოვრები (ლუკ. 1, 6; ფსალ. 1, 5 და შემდგომი), праведный, праведник.//ნამდჳლი, სწორე, ჭეშმარიტი, справедливый, истинный.

მართალია დიად, დიაღ, სწორედ, ნამდჳლ, точно, правда, правда что.

მართება (ვმართებ) მართვა, განგება, განმგეობა, править, управлять.

მართება (მმართებს, მემართა) ვალის ქონება, თეთრის მოვალეობა, быть в долгу, должным. // თანანადების ქონება, თანამდებობა, მოვალეობა, иметь долг, обязанность (მართებს). // შეფერება, შვენება (ვეფხისტ. 8. 407), приличествовать.

მართებული ჯეროვანი, სამართლიანი, შესაფერი, достодолжный, надлежащий, благопристойный. // ზდილი, თავაზიანი, პატიოსანი, учтивый, почтительный.

[მართებულობა]

მართვა (ვმართავ) მრუდის გასწორება, править, поправлять. // მომართვა საცამოსი და მისთანათა, заводить часы и т. п. // განგება, გარიგება, управлять, распоряжать.

მართვე (მფრ.) შვილი მფრინველთა ორბით ვიდრე მწერადმდე (მატ. 23, 37; ლუკ. 2, 24; ფსალ. 83, 3 და 146, 9), птенец. არამედ რომელთამე მოდგმათა ჰქონან საკუთარნი სახელნიცა, ვითარ: ქ უ ლ ა ეწოდების მართვესა ქორთა, შავარდენთა, არწივთა, მინოთა და მისთანათასა; ბ ა ხ ა ლ ა—ყვავთა, კაჭკაჭთა და ეგევითართა; ლ ა პ ი და ღ ლ ა პ ი—ხოხობთა, კაკაბთა და სხ.; ბ ჸ ი ტ ი—სვავთა, წეროთა და მისთანათა; წ ი წ ი ლ ი—ქათამთა, ინდოურთა, ფარშამანგთა და მისთანათა; ჭ უ ჭ უ ლ ი — ბატთა, იხუთა და მისთანათა; ხ უ ნ დ ი—ტრედთა, გურიტთა, ქედანთა და მისთანათა; ჩ ო ჩ ო რ ი—მწყერთა; ფ უ მ ფ უ ლ ა — ფუტკართა და ეგევითართა მწერთა.

მართლება (ვამართლებ) სიმართლის მიჩემება, оправдывать, -ся (ვმართლდები). // (ვემართლები) სამართალი მიმიძლვის, ანუ მართებულად ქცევა (ვეფხისტ. 31).

მართლმადიდებელი მართლის სარწმუნოებით ადმსარებელი ღუთისა, православный.

მართლმორწმუნე კეთილმორწმუნე, მართლის სარწმუნოებისაგანი, правоверный.

მართლმსაჯული თვალუხვავი, მიუფერებელი სამართალსა შინა (ფსალ. 7, 10), правосудный.

მართლუკუნ პირუკუღმა, ზურგშექცევით (ფსალ. 9, 3 და 43, 10, 18), вспять, назад.

მართული ნახე მავთული.

მარი! მარე! (შორისდებული) მომერიდე, ჩამოდეგ! берегись, посторонись, прочь!

მარიალისი, მარიამობის თვე ანუ ქველთობისა, აგჳსტო (ნახე ზოდიაქოსთან).

მარიამ ხაკმელა (ბალ.).

[მარგილი]

მარილი კლდეთა შინა პოვებული მლაშე ქვა, შაბის მსგავსი, რომელიც დაინაყების და შემდგომად დაითქვის სახმარად საჭმელთა შინა. დადნების წყალსა შინა თავით თჳსით, ამას ეწოდება ქ ჳ ს მ ა რ ი ლ ი, ხოლო ზღვათა და ტბათა ზედა მოგროვებულსა—ხ ა შ უ რ ი, მარილის ქჳს ნატეხსა სპეტაკსა და გამჭჳრვალესა — მ ა რ ი ლ ი ს თ ჳ ა ლ ი, სხვასა ნატეხსა—კ უ ნ ი ტ ი და უმცირესსა—კ უ ნ ი წ ი, დამტურეულსა დასაფქვავად—ხ ვ ი ჸ ი რ ი. კუალად არიან მლაშენი წყაროონი ბუნებითად, ხმარებულნი მარილის მაგიერ და წოდებულნი ვ ე ძ ა დ (ნახე წყალი), соль (მატ. 5, 13 და შემდგომი).

მარილიანი, მარილოვანი დამარილული, ანუ მლაშე (ისუ. 15, 2), соляный, соленый, სიტყვა მარილიანი (ნახე წყლიანი).

მარიხი არეა (ვეფხისტ. 950) (ნახე ცთომილთან).

მარმარი, მარმარილო დრუნგალი, კლდის ქვა ფერად-ფერადი და უფროჲე თეთრი, გაით-

ლების ფრიად თანასწორედ, აქუს ელვარება და ნათლის გარდაცემა სარკის მსგავსი. იხმარების განსაშვენებლად შენობათა (ბარუქ. 6, 71), мрамор, *μάρμαρον*.

მარმენიო, **იმარმენი** ბედი, სსვე, ხუედრი, ბედისწერა, рок, судьба, участь, *εἱμαρμένη*. თ. ჰარჯალ(?).

მარნა (ხე) წვრილი ტირიფი ვენახის ასაკრავი; მ ა რ ნ ე უ ლ ი ჰალა მარნისა (ნახე ტევრი და ტირიფი).

მარსი ნარდის თამაშობაა ერთგვარი.

მარტაცი ქაშანურის პურპელი პრელად შექმნილი.

მარტი მირკანი თთვე (ნახე ზოდიაქოსთან), март, *μάρτιος*.

მარტივი საკუთრად მარტოი, შეუზავებელი სხუათა თანა, простой.

მარტო ერთი ცალკე, თავის თავის ამარა (მატ. 14, 23 და 17, 7; იოან. 16, 32); един, один.

მარტოობა განმხოლოება, თავის წინ გება (ვეფხისტ. 31), уединение.

მარტორქა (ოთხფ., ფსალ. 21, 21 და 28, 7, კუალად 77, 69 და 91, 10), единорог.

მარტჳრი მოწამე, ტანჯული, ანუ თუალით მხილველი, мученик, свидетель, *μάρτυρας*. ს. მარტიროს.

მარტვილი მესხურად ყმაწვილი, ბოშვი.

მარტჳლია მეერგასე დღე, სულის წმიდის მოსლვა (1 კორ. 16, 8), пять десятница, *πεντηκοστή*.

მარქაფა (ოთხფ.) ჯინიბი, მეორე ცხენი, запасная лошадь. თ. იედაგ.

მარლი თუალ თეთრი, ანუ მცირედ ელამი (ალიელთან ნახე).

მარღუჟი ზორტულად შეკრული საბელი, петля у веревки.

მარჩბივი მრჩობლად დაბადებულნი ცხოველნი ანუ ერთი ცალი მათი (ქებ. 4, 5; იოან. 20, 24), близнец. // ნიშანი ზოდიაქოსი, რომელიცა მიითუალავს მზესა მაისში (ნახე ზოდიაქო), близнецы.

მარჩილი ძველი ქართული ფული, ხშირად მოხსენებული ვახ. მეფის სამართლის წიგნსა შინა, აწინდელი სამი აბაზის ვეცხლის ფულის ფასისა; ხოლო იმერეთსა შინა აწცა ხმარობენ თეთრის თულაში და ჰნიშნვენ 6 შაურს, ან რუსულს ერთ რუბლს 'შავს ფულსა, რამეთუ მარჩილს სთულიან ასს ფარად და ფარად უხმობენ კაპეიკს.

მარცვალი თესლი მოსავალთა (მატ. 13, 31 და 17, 20; იოან. 12, 24), зерно. // მრგვალი კერძოკი სხვათაცა ნივთთა, ვითარ ქვირითისა, მარგალიტისა, სპეკალთა, მძივთა და მისთანათა. // ღრამმატიკულად: ნაწილი ლექსისა ერთის ხმოვანის ასოთურთ, слог, склад.

მარცხენა მხარე პირისპირ მარჯვენისა (მატ. 25, 33, 41), шуий, левый.

მარცხენე ხელი მარცხენა (მუნვე, 6, 3), шуйца, левая рука.

მარცხი უბედობა, მოშლა საქმისა, ანუ დაკლება, ზიანი, ущерб, неудача, расстройство. // მარცხი ეწოდების კაცსაცა არა მარჯვესა, უგერგილოსა, და რასაც საქმეზედ დადგეს, წაახდინოს.

მარცხულ ანუ **მარცხნივ** მარცხენას მხარეს (მატ. 20, 21, 23), ошую, на лево, или по левой стороне.

მარწუხი ტკეცი მჭედელთა, დასაჭერი გახურებულის რკინისა (ისაი. 6, 6), клещи (გამოს. 27, 10), მარწუხები, ე. ი. წვერები, верхи.

მარწყვი (ბალ.) მელის კაკალა, უელი, клубника.

მარხილი უთულო ურემი, ხელნებით სათრევვლი, сани, санки, ამისსა მომცროსა ეწოდება ც ი გ ა და მ ა ნ ჯ ი კ ი (ნახე ურემთან).

მარხუა ეკლესიისაგან დაწესებულნი დღენი არახმევისათვის, ხორციანთა, ანუ თევზიანთა სანოვაგეთა (ისაი. 1, 14; საქმ. 27, 9), пост.

მარხუა (ვიმარხავ) შენახვა, დაცვა, გაფრთხილება (ფსალ. 38, 1 და 77, 10, კუალად 118, 8 და შემდგომი), хранить, сохранять. // (მარხულობა ნახე) (მატ. 4, 2 და 6, 16 და შემდგომი) поститься, воздерживаться, воздержание. // (ემარხავ) დამარხვა, დაფლვა მიცვალებულთა, хоронить, похоронить.

მარხუანი წიგნი საგალობელთა, რომელნიცა წარიკითხებიან ეკლესიათა შინა მეზვერისა და ფარისევლის კვირიდგან სრულიად დიდმარხვასა ვიდრე პასექამდე, триодь постная.

მარხულობა (ვმარხულობ) აღსრულება მარხვისა უჭმელობითა, აკვეთა ხმევისა სასმელ-საჭმელთასა მარხვის დღეთა შინა, поститься.

მარჯანი (მფრ.) მცირე ბაზი, თუალშავი.

მარჯანი წითელი მძივები ზღვათა შინა პოვებული რომელისამე ხისაგან (ნახე ძოწი), кораллы, корольки, монисты, არამედ იპოვების შავი და თეთრიცა.

მარჯვე მოხერხებული, შესაფერი, წარსამატებელი (მატ. 26, 16; მარკ. 6, 21). удобный, удачный, способный. // მ ა რ ჯ ვ ე კ ა ც ი, მარდი, გერგილიანი, удалый, проворный, ловкий.

მარჯვენა მხარე მარჯვენის ხელის კერძო (მატ. 25, 33 და შემდგომი), десный, правый.

მარჯვენე ხელი, რომელსაც ვხმარობთ მისაღებად საზრდელისა, საწერად, სამუშაკოდ და სხვ. (ფსალ. 25, 10; მატ. 6, 3), десница, правая рука.

მარჯვენით, მარჯულ, მარჯუნივ მარჯვენას მხარეს (ფსალ. 15, 7, 10; მატ. 27, 38), одесную, на правой стороне.

მახათი ბასრის სალესავი (ნახე სასრევთან).

მახალა ნივთი საშენებელად, ანუ შესამზადებელად რისამე, материал. // სიტყვა სამაგალითო, საანდაზო, поговорка. // სანოვაგეთა და საჭმელთ სანელებელი, снадобье.

მახარი ნახე მესერი.

მახეხხებელი ვალის მიმცემი (მავასხებელი ნახე), заимодавец.

მახკნე გოგრისა ან ვაზის რქა, რომელიც ძაფივით შეეხვევა ხეთა (ეზეკ. 17, 7, 10), грудие, гроздие.

მახკულავი მდაბიურია (ნახე ვარსკულავი).

მახპინძელი პურისა უფალი, დამხვედრი სტუმართა თავისს სახლში (ვეფხისტ. 719 და შემდგომი, 1061, 1454), хозяин, хозяйка при пиршестве.

მახპინძლობა (ვმასპინძლობ, ვუმასპინძლებ) წვეულება, დახვედრა სტუმართა (მუნვე, 363, 1002, 1068, 1353), у г о щ а т ь, хозяйничать.

მახრა მოკლე ნაჭერი ლერწმისა საზედაოს დასახვევი, цевка. // ამგვარივე ნაჭერი ლერწმისა, ანუ სილინარი ხისა, ძვლისა და მისთანათა, ჩასაყრელი ერთის სროლის ტყვიაწამლისა თოფისთვის, მასრები ესე ჩაიწყობიან სასწრაფოში. трубочка камышовая, деревянная или костяная, вместо зарядного патрона употребляемая.

მახტაკი თეთრი კევი, мастика. *μαςίχι*.

მახტაო ანუ **მახტაფა** დო ხორცითა და ბრინჯით ნამზადი.

მახტიკი ფეიქრის იარაღია.

მახხარა შემაქცევარი, ხუმარა ან ლახლანდარა, шут, *μασκαράς*.

[**მახხარობა**]

მატაკარანი სუფრის გამგებელი, სალთხუცესი, მეტაბლე, распорядитель стола. თ. სუფრაჯ [არაბ.-თურქ.].

მატაროცი წარამარა არასათქმელის წარმომთქმელი.

მატება (ვუმატებ, ვიმატებ, ემატულობ) სიდიდის ან რაოდენობის შეძინება, прибавлять, -ся, успевать.

მატიანე საღმთო და საეკლესიო ისტორია ძველისა ან ახლის აღთქმისა. იხილე დაბეჭდილის დაბადების ბოლოს: ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი მ ა ტ ი ა ნ ე თ ა, ანუ გრაგნილი რომელსა ზედაცა აღწერილ არს ესევითარი ისტორია (ეზეკ. 3, 1 და შემდგომი), свиток.

მატიტელა (ბალ.) спорыш, гусиная, пажить.

მატლი (მძრ.) ჭია ქვეწარმავალი (ფსალ. 21, 6; მარკ. 9, 46), червь.

მატრაკვეცა მხევლის მხევალი, პაწუა, პაწიკელა.

მატური სასაფლაოზედ მცირე გალავანი, მოვლებული ერთის ნათესავის მიცვალებულთათვის (ნახე საფლავთან), божница.

მატყლი ცხვრის ბალანი (ნახე თმასთან) (ფსალ. 147, 5; გამოცხ. 1, 14), волна, ярино, шерсть.

მაუდი სკლატი, ლანდრა, сукно. თ. მაჰუდ.

[**მაუწყებელი**]

მაფრაშა გვალაგი ან გულაგი, ნატის ტომარა (ვაშკარანთან ნახე), чемодан.

მაფრახი სინა, ბრინჯაო.

მაქანარი ხევის პირი ფლატიანი (იერემ. 50, 44), სლავენურში სწერია рыкание.

მაქმანი ანუ ნაქმანი, ბადე თხლად ქსოვილი მერდინივით (ნახე ბადესთან).

მაქო ფეიქრის იარაღი, შუაზედ აქვს ნახვრეტი მასრის ჩასადები და ქსელს შუა გატარებითა შეაქსოვს საზედაოსა (1 მეფ. 17, 7), ткальный челнок, орудие ткущих, коим проводится уток.

მაქური სუფთა სალესავი ქვსა (ნახე სასრევი).

მაღაზია, მაღაზეიანი ამბარი, ანუ ქულბაგი, магазин, *μαγαζι*.

მაღალი მანღალი, მანკანი, жаровня.

მაღალი ქვეიდამ ზე განვრცობით უმეტესი სხვათა (მატ. 4, 8 და 17, 1), высокий. // ხშირად იხმარების ნაცვლად ღმერთი (ფსალ. 7, 16 და 9, 2, კურთალად 45, 6), вышний, всевышний. // ზოგჯერ დაერთვის სხვათა ლექსთა დასანიშნველად უმეტესისა, უაღრესობისა: მ ა ღ ა ლ კ ე თ ი ლ შ ო ბ ი-

ლი, მაღალპატივცემული, მაღალგვაროვნება, მაღალმხედველობა და სხ.

მაღალნი ე. ი. საკურთხეველი (იერემ. 19, 5), высокия.

მაღანიკონი პურპელი რამე, ეკლესიის მნეთაგან ხმარებული განსაზავებელად ღვინისა (დიდს ტიბიკონში).

მაღდანოზი (ბალახ.) ოხრახუში, бутень, петрушка, *μακεδονῆσι*.

მაღი მაგი, მოგვ, გრძნეული (შავთ. 85), маг, *μάγος*.

[**მაღლა**]

მაღლად ზევით, вверху, или вверх.

მაღლობა (ვმაღლოობ, ვმაღლოი) ხვაობა, ზესთამჩენობა, высокомудрствовать, -ствование, высокомерие.

მაღნარი ხშირი და შამბიანი ტევრი მთათა შინა (ნახე ტევრთან) (ფსალ. 28, 9 და 73, 5, კჳალად 82, 14), дуброва.

მაღნიტი ქჳა მიმკჳრელი რკინისა (შავთ. 18). магнит, *μαγνήτης*.

მაღრანი (მფრ.) თ. თულაშ(?).

მაღრიბი აღმოსავლეთი არაბულად (შავთ. 2), восток.

მაღრიბელი აღმოსავლეთისა (ვეფხისტ. 958), და მაღრიბული (ითქმის ნივთისათჳს) (1178), восточный.

[**მაყალი** жаровня. ნ. მაღალი].

მაყარი ძმადი სასიძოსთან მიმყოლი ქორწილში, шафер, дружка, ხოლო ქალის მიმყოლს ეწოდება მდადე და მძლიონი.

მაყვალი (ხე) ежевика, команика.

მაყლოვანი (ხე) ბუჩქი მაყვალთა (საქმ. 7, 30), купина, терновый куст.

მაშ, მაშა, მაშასადამე კავშირი კიდურმდგომებითი (ვეფხისტ. 251, 634), следовательно. თ. ბას [სპ.].

მაშა (ბალ.) ცეცქა, სამარხო ოსპის მსგავსი.

მაშა ტკეცი, მარწუხი ცეცხლის ასაღები, клещи.

მაშია საქალო ფეხთსაცმელი, მორთული ქოშები, женские башмаки с каблуками. თ. ბაშმაღ.

მაშინ ზმნისზედა დროებითი, შეუდგების ლექსთა ოდეს, რაჟამს (ფსალ. 2, 5 და 50, 19; მატ. 2, 16 და შემდგომი), тогда.

მაშინკა მაშინაც (ნახე მაინც).

მაშკი კალთა კარვისა, ანუ წამოსასხამისა (მსაჯულ. 4, 18), одежда.

მაშრაფა ფართო სტამნი ბროლისა, ანუ ჭიქისა. кружка хрустальная, или стеклянная, *μασραπας*.

მაშრიყი დასავლეთი არაბულად (ვეფხისტ. 958; შავთ. 2), запад.

მაშტარი სახაზავი ოჯორა, სამართი, правило, линейка, масштаб.

მაშურალი დაღალული (მატ. 11, 28; იოან. 4, 6), труждающийся, усталый, утомленый.

მაშფალა კოკების ჩასადგმელი ხეები საზიდრად.

მაშხალა ფაკელი, სასანთლე რკინისა ზედსადგმელი სანათთა ქონისა, ან ზეთისათა. ს. მაშხალა.

მაჩვი (ოთხფ., ლევიტ. 11, 6) заяц, барсук, язвец.

მაჩვზღარბი (ოთხფ.) дикобраз.

მაჩქათელა (მფრინ. -ოთხფ.) თაგვი ფრთებიანი, ღამურა, მღამიობი, нетопырь, летучая мышь. ს. მაშკათ[1].

მაჩხი თვალკრული (ნახე აღიელთან).

მაცთური მაცდენელი, კეთილის საქმის მომშლელი, ანუ ბოროტისადმი მიმზიდველი, соблазнитель, обольститель.

მაცილობელი მეშფოთარი, ცილობის მოყვარე (რომაელ. 10, 21), пререкающий, упорный.

მაცხოვარება ცხოვრების მოცემა (ფსალ. 9, 14 და 12, 5; კჳალად 40, 1), спасение.

მაცხოვარი მხსნელი, მომცემი ცხოვრებისა (სახელი ესე მიეწერების იესუ ქრისტესა მაცხოვარსა კაცთასა) (ფსალ. 26, 1, 9 და 23, 5; იოან. 4, 42), спас, спаситель.

მაძღარი საზრდელით გულსავსე ქმნილი, сытый.

მაწაწური ტყავ-კორა, პურთ ამოსარეცხი, ამოსაწმენდი ოფიჯო.

მაწველელი მოსაწველად მიჩენილი (გამოს. 5, 6), приставник.

მაწოვარი ჩჩვილის მაწოვნებელი დედა, ანუ ძიძა.

მაწონი წველა, შედედებული რძე, кислое молоко. ს. მაწუნ.

მაჭარი ახალი დაწურვილი ტკბილი (ნახე ღვინოსთან) (ვეფხისტ. 1021), молодое вино, сусло.

მაჭი ერქჳნის სახელური.

მაჭკი დერიტა.

მახა (ბალ.) ერთგვარი მოსავალია, ასლს ჰგავს.

---

[1] უნდა იყოს ჩღჯიკ. რედ.

მახათი დიდი ნემსი, ლაზლის ტომრებისა ან პილობის საკერავი.

მახალი მანდიკი ან ხურჯინი.

მახალაკი აბგა (ნახე ვაშკარანთან) (ვეფხისტ. 1002), переметная чума, сумка.

მახარებელი სახარების აღმწერი, евангелист, благовестник.

მახარი კოლოტის პალო, კამენი, სარგილი.

მახარობელი სასიხარულოს ამბვის მომტანი (ვეფხისტ. 669).

მახე ზოგად ნადირთ შესაპყრობი ასმენაკი (ფსალ. 9, 15 და 24, 15), сеть.

1. მახენი მხეცთანი არიან: საფრხე ანუ ხაფანგი, შემზადებული რკინათა, გინა ძელთაგან, რომელთა დაჰფლვენ, ანუ დამალვენ მარჯვეთა ადგილთა ქვეშე ფერხით გასაბმელად დიდთა ნადირთა; ისხერტი არს შემზადებული ძელთაგან თავს დასაცემად მათდა; სარეგვავი ამგვარივე შესაპყრობი მხეცთა დიდთაგან, ვიდრე თაგვადმდე, შემზადებული სხვადასხვა რიგად; ირეპი ხეთა და თოკთაგან შექმნილი, რათა ფერხით მაღლა შეჰკიდოს ნადირი; საფეხო ან საიფეხი თოკით ადგილზედ დაბმული სხვარიგად, რათა შეუპყრას ფერხი; ჯილამშვილდი ტევრთა შინა მომართული მშვილდისარი, რომელსაცა გამვლელი ნადირი შესძრავს, დასხლტება და დაეცემა.

2. მახენი მფრინველთ სანადირონი არიან: ილინჯა გალიათ მსგავსი სირთათჳის; აკანათი ძუვითა კისერთ გასაბამი ან ჩხირით დასასხლეტი; პოტიკო მახე ხოხობთა და კაკაბთა; ფაცერკოდი ტრედთა შესაპყრობი გრკალითა და მშვილდითა შემზადებული; აშრიალი და ოჯოჯა ქორთ თავსდასაცემი ბადე; გულყო ქორთავე კისერს გარდასაცემი მახე; გაწარი მწერთა, გნოლთა და მისთანათათჳის გრძლად ნაგები ბადე.

3. საკუთრად ლექსი ბადე არს ქსოვილი სანადირო ზოგად ოთხფერხთა, მფრინველთა და თევზთა (იხილე თჳსსა ადგილსა). სხვანი თევზთა სანადირონი მახენი არიან: კონი ანუ ფაცერი ორაგულთა, საფიჩხულე ფიჩხულთა, ოჩხი სხვათა წურილთა თევზთა და სხ.

მახვა (ვმახვავ) გასწორება, გამწვეტება მახვილთ მწვერვალისა, ანუ განმახვა პირისა (ვეფხისტ. 502), вострить.

მახვილი მკვეთრი საპურველი (ფსალ. 36, 14 და შემდგომი; ლუკ. 22, 36, 49, 52), меч; სახენი ამისნი: დანა, სატევარი, ხანჯალი და სხ. (ნახე ლექსსა თანა ხრმალი).

მახვილი იხმარების ზედშესრულადცა და ჰნიშნავს მკვეთრსა, მჭრელსა, გამჭრიახსა. მაგალ., თვალი მახვილი, ანუ ხედვა მახვილი, სმენამახვილი, გონებამახვილი და სხ., острый.

მახვილი ნიშანი პროსოდიისა, რომელთაცა მარცვალთა ზედა ლექსისათა ამაღლდების ხმა, რომელია('), ударение и правописание. შეისწავე, რამეთუ ქართულსა ენასა შინა ორმარცულოვანთა და სამმარცულოვანთა ლექსთა შორის პირველსა ზედა მარცვალსა ამაღლდების ხმა. მაგალ., კა́ცი, მდი́ნარე, ხოლო ოთხმარცულოვანთა და უმეტესთა შორის ამაღლება ხმისა იქმნების დაბოლოვებითგან მესამესა ზედა მარცვალსა. მაგალ., კაცი́საგან, მდინა́რისა, მდინარი́საგან, დი́დება, დიდე́ბული, დიდებუ́ლება, დიდებულე́ბითა, დიდებულები́თითა და სხ. ცნობა ამისი ფრიად სახმარ არს შეთხზვასა შინა ლექსთა, ანუ სტიხთასა, რომელსა ეწოდების პოეზია. ხოლო განმარტება ამისი ეკუთნვის ნაწილსა ღრამმატიკისასა, რომელია პროსოდია ანუ ლექსთგამოღება და მოკლედ ჯერ არს შესწავება, ვითარმედ სტიხთა შინა ორნი და სამნი ლექსნი შეერთდებიან ესრეთ, ვითა რთულნი, ანუ ერთი ლექსი მრავალმარცულოვანი დაიდების, ვითა განყოფილი მიხედვითა ხმის ამაღლებისათა. საზომი ამათი ადვილად განისაზღურების ყურადღებითითა წარკითხვითა ძველთა მესტიხეთა წიგნთათა, მაგალ., რო̆მე̆ლმა̆ნ შე̆ჰქმნა̆ სა̆მყა̆რო̆ ძა̆ლი̆თა̆ მი̆თ ძლი̆ე̆რი̆თა̆.

მახინჯი სახიჩარი, გონჯი, დახამრული, урод.

მახიობელი მაკვილაკი, მასხარა, ხუმარი, шут.

მახლახი საფეიქრო იარაღი. თ. ანგა (?), ს. მახლახ.

მახლობელი ახლო მყოფი (ფსალ. 33, 18: მარკ. 1, 38), ближний, близкий.

მახმური (ბალ.) ხავერდი ყუავილი, ანუ ნაქსოვი, бархат, цветок или ткань.

მახოხი ქატოს შეჭამადი მჟავე, кисель из отрубей.

მახრუტი ჰიქის სასმისი ჰრელებული (ლუთის მეტ.).

მახსოვარი ძველის საქმის მცოდნე, ანუ მომსწრები, старожил.

მახტა, მახთა გარდაკვეთილი ხარკი (პახტა ნახე).

მაჯა ხელის ნებთა დასასრულის სახსარი, სადაც სცემს ძარღვი სიცოცხლისა, пульс. // თვით ჩონჩხი ხელისა იმ სახსრადმდე, кисть руки.

მაჯაგანი ტყავეთმოსაქნელი პირიანი რკინა.

მაჯლავუნა ეს სენი მოვალს ძილსა შინა სისხლის შედგომისაგან. მძინარეს ჰგონია, ვითარმედ დააწვა ვინმე, ანუ ერკინა და გეიან განიფრთხობს.

მაჯნად მუქთად, ცუდად, უფასურად, даром, туне.

მაჯუნი დუბეიდი, варение, или кашка лекарственная, *μαντζούνι*.

მბადი (შემოკლებით) დამბადებელი, შემოქმედი, творец.

[მბაძავი]

მბდჳნვარე პატრუკი ბაზმაკისა რა დაშრეტას ლამოდეს, ხან ამოენთებოდეს და ხან ჩაქრებოდეს (ნახე ბდჳნვა) (მატ. 12, 20), курящийся.

მბრძანებელი მქონებელი უფლებისა და ბრძანებისა, повелитель, начальник.

მბრძოლი მებრძოლი, ანუ წინააღმდეგი, супостат.

მგალობელი გალობის მცოდნე და მოქმედი, певчий, певец.

მგამა, გგამა ანუ გაგვა, ჰ გ ა მ ა, ჰ გ ა ო დ ი ს მენაღვლება, რ ა მ გ ა მ ა რა მენაღვლება (ვეფხისტ. 784), какая мне нужда; ა რ ა მ გ ა მ ა არ მენაღვლება, არ დავსდევ (კუალად 118, 316, 501, 741).

მგბარი, მგბოლვარე ნადუღი, ნახარში (გამოს. 12,9), вареный.

მგე, მგები არსი, მოუკლებელი თვთებასა ზედა თჳსსა, сый, сущий.

მგებელი ამგებელი, ანუ პასუხის მიმცემი (ნახე გება).

მგელი (ოთხფ., იოან. 10, 12), волк.

მგზავრი მოგზაური, путник, попутчик, или оказия.

მგლის სოკო (ბალ.) волошника, волнухи.

მგლოვარე მგლოვიარე პირისუფალი, გლოვის მოქმედი მიცვალებულთა ზედა (2 მეფ. 14, 2; ფსალ. 34, 14), сетующий, оплакивающий, траурный.

[მგმობი ნ. გმობა].

მგორვალა (ხე) პილპილი, перец.

მგოსანი ვაჲნი გინა ქალნი მომღერალნი ებანთა ზედა და ბარბითთა ხმითა სამუსიკოჲთა; ანუ მგოდებელნი გლოვისანი (მატ. 9, 23; ვეფხისტ. 119, 1451), сопец, свирельщик. თ. კოჩაგ.

მგრაგნელი (მძრ.) ჰუა ფოთოლთ შემჭამელი (2 სჯული. 28, 39), червь (იოილ. 2, 25), гусеница.

მგრგლოვანი, მრგლოვანი ხელი, ასომთავრულით ნაწერი (ნახე მრგუალი), писанное уставом.

მგრძნობელი გრძნობის მქონებელი, чувствительный, признательный.

მდაბალი არა ამპარტავანი, მშვიდი, გულით უზვავო (ფსალ. 17,27 და 33,18; მატ. 11,29), смиренный, смирный; ხოლო დ ა ბ ა ლ ი რაოდენობით არა მაღალი (ნახე თჳსს ადგილსს), [нижний, უმდაბლეს].

მდაბიო მსოფლიო, გლეხი, ლიტონი კაცი, простак, поселянин. // სოფლური, გლეხური, простонародный.

მდაბრ, სახლ-მდაბრ სახლითი სახლად (საქმ. 2,46), по домам.

მდადე მძლიონი დიაცი, ძმადი სძლისა ქორწილში, посаженная мать, или дружка невесты.

მდარი უკნინესი, რაოდენმე ნაკლები (ნახე დარი და უმცირესი), низший, худшей доброты.

მდგმური დროებითად სახლში მდგომი, жилец.

მდგნალი (ხე) ტირიფია ერთგუარი (ნახე ტირიფთან). თ. ბეჲმუშკი [სპ.].

[მდებარე]

მდედრი ცხოველი დედათ ბუნებისა (ვითა მამრი), женский пол, или жонска пола (ჩახრუხ. 12).

მდედრობითი სქესი, ანუ ნათესავი ღრამმატიკულად: სახელნი მდედრთანი, женский род по грамматике.

მდედრული დედაკაცური, женоподобный.

მდევარი, მდევნელი უკანით მიმდევი მისაწევნელად (ვეფხისტ. 96,551).//მაწუხებელი, მაპირვებელი (ფსალ. 7,1; იერემ. 51,31), гонящий, гонитель. // მდევარნი სახელთანი, ანუ ზმნათანი, ღრამმატიკულად თჳსებანი მათნი.

მდელო (ბალ.) მწვანეილი, ბალახი (ისაი. 19,7; შავთ. 57), злак, зелие. // არიან მდელონი

განმასპეტაკებელნი სარეცხისანი, ვითა მდე-ლო მრეცხელისა (მალაქ. 3,2), яко мыло перущих.

მდიდარი მრავლის მქონებელი (ფსალ. 33,10 და 47,3: მატ. 19,22 და შემდგომი), богатый.

მდივანი მწერალ-მწიგნობარი, მხლებელი ვისი-მე საწერად ბრძანებათა მისთა და საქმეთა, письмоводитель, секретарь. *διβάνι, ντι-βάνι.*

მდივანბეგი მსაჯული, მოსამართლე. სასამართ-ლოს წევრი, советник, член совета.

მდინარე დიდი წყალი დინებით წარმავალი (ნახე წყალთან) (ფსალ. 64,9 და 73,15, კუა-ლად 136,1), река, текучий (ნახე დენა). // მდინარედ ითქმის ნადენი სისხლი, ცრემ-ლი და სხ., поток крови, слез и пр.//მდი-ნარე ეწოდების სამღუდელთმთავროთა მან-ტიათა ზედა გრძლად დაკერებულთა ფე-რადთა ლენტთა ზოლზოლად, источники на архиерейской мантии.

მდოგვ (ბალახ., მატ. 13,31 და 17,20), горчи-ца, зерно горчичное. თ. ხარდალ [არაბ.], ს. მანანხუტ [1].

მდოვრე წყნარისა და ჩქარის საშუალი.

მდრტვნავი შეუჯერებელი მოჩივარი (იუდა. 16), ропотник.

მდუმრიად ხმის ამოუღებლად, უჩუმრად, ნელა (მსაჯულ. 4,21), тихо, безгласно или внут-ренно.

მდურვა (ვემდური,-რები) გულნაკლულობა, არ მადრიელობა (ვეფხისტ. 113,640), не-годовать, быть недовольным.

მდღევარი სამარადღეო, ежедневный.

მე ნ. შესავალი ამის ასოსი, მეათე.

მე ნაცვალსახელი არსებითი 1 პირისა (ფსალ. 2,6,7), я, аз. თ. მან, ს. იეს.

მე შეერთდების ზოგჯერმე სხვათა ნაცვალსა-ხელთა და ზმნისზედათა. მაგალ., ვინმე, რამე, ვიეთიმე, რომელიმე, ანუ ვითარმე, ოდესმე, სადამე და სხ., некто, нечто, некогда.

მე კუალად შეერთდების კითხვთსა მარცვალსა ა? მეა? (ფსალ. 72,11; საქმ. 8,30), ли?

მეაბანოვე აბანოს მნე, банщик. თ. ჰამამჯი [არაბ.-თურქ.], ს. ბალნისპან.

მეაბჯრე მნე აბჯართა და საჭურველთა (ვეფ-ხისტ. 201), оружейничий. თ. ჯაბადარ [სპ.].

მეათძალე მძნობელი, მკუჩელი ათძალისა (გა-მოცხ. 18,22), гудец.

[მეამბრე]

მეანი დედათ მოურავი (ბებია ნახე).

მეაფქიონე, მეაფრე ნავის აფრათ განმგე, пра-вящий парусами на судах. თ. იალქანჯი.

მეაქლემე აქლემთ მცველი, ანუ გამრეკი, со-держатель или погонщик верблюдов. თ. სარვან [სპ.].

მეალსარებე ალსარებით გამანდობელი, მოძღუა-რი.

მებადე, მებადური მესალიკე, თევზის მონადირე ბადით.

[მებაკე]

მებატონე მეპატრონე, მამულის პატრონი, по-мещик, господин.

მებაღე ბაღის მეპატრონე, ანუ ზედამდეგი (ვეფხისტ. 1053 და შემდგომი), садовник.

მებოძირი, ნებოძირი ჯვარედინი გზა, სადაც მრავალნი გზანი ერთად შეჰკრბებიან (ნახე გზასთან) (მატ. 22,9), исходище путей перекресток, распутие.

მებრ ნახე ებრ, [მებრხატად].

მებრძოლი მბრძოლი, მოლაშქრე (ზაქარ. 10,7; ვეფხისტ. 8), ратник, воин.

მეგობარი შესაკუთრებული ვისიმე უზაკველითა და ვასხებულითა სიყვარულითა, ანუ თა-ნაზიარი პირისა და ლხინისა (ფსალ. 37,12; ლუკ. 11,5 და შემდგომი; იოან. 15,14 და შემდგომი), друг, приятель. თ. დოსტ [სპ.].

მედად უფასოდ, მუქთად, გინა ცუდად (ისაი. 52,3), туне.

მედავითნე, მოდავითნე დავითნის მკითხველი, псаломщик.

მედასე განმგე დასთა, ანუ დასისაგანი.

მედგარი მცონარი და მზაკუარი (მატ. 25,26), ленивый. // გაანჩხლებული (ვეფხისტ. 571, 899; შავთ. 75), разъяренный, неистовый.

მედგური მდგმური.

მედიდური ზვავი, ანუ გამომჩვენებით მქცევი, величавый.

მედრეკანე, მედრეკი, მდრეკი რამცა იდრიკება, იხრება, მოქნილი, гибкий.

მედროვე კეთილის დროს მქონე, ვისაც დრო მსახურებს, временщик.

მეებნე მძნობი, მესაკრავე ებანთა (ფსალ. 67, 24), тимпанник, -ца.

მევაჟინე მეშარბათე, სასმელთ მნე (ნახე ვა-ჟინი).

---

[1] უნდა იყოს მანანეხ. რედ.

მეველე მინდვრის მოსავალთ მცველი, რათა ხვასტაგთ არა გასძოვონ.

მეზანდუკე, მეზარდახშე მკეთებელი ზანდუკთა და ზარდახშათა.

მეზვე და მეზვი (ოთხფ.) ხვასტაგი მშობელი, ხოლო უ ზ ვ ი ბერწი (ნახე ზვევა).

მეზვერე მებაჟე, ზვერის ამღები (მატ. 9, 9 და შემდგომი), мытарь, пошлинный сборщик.

მეზურე ზურის მცველი, ზედამდგომელი, ანუ მუშაკი.

მეზობელი ახლოს მდგომი, ეზოს გვერდით მოსახლე (იერემ. 6, 21), сосед.

მეზობლად მახლობლად, გვერდით (დან. 13, 4), близь, смежно, рядом.

[მეზღაპრე]

მეთევზე, მეთევზური მონადირე თევზთა, ანუ მოფარდული მათი (ისაი. 19, 8), рыбарь, рыбак.

მეთვალე თვალის მადევნებელი, მიჩენილი დასაზვერავად, фискал.

მეთქი ე. ი. მე ვსთქვ, იხმარების რაჟამს თჳსსა ნათქვამსა მოუთხრობდეს ვინმე, ხოლო სხჳს ნათქვამზედ იხმარების ო.

[მეიგავე]

მეიდანი, მაედანი, მოედანი მინდორი, ფორე, მერუდე, სასპარეზო (ვეფხისტ. 20, 68), площадь, *μεϊδανι*, *μειντάνι*.

მეინახე ერთად მჯდომი პურის მტედ (მატ. 14, 9 და 22, 10 და შემდგომი), возлежащий, сосед, гость (за столом).

მეისტორიე ისტორიკოსი, მემატიანე, მწერალი მოთხრობათა, историк.

მეკალოვე მლეწელი, მუშა კალოზედ (2 სჯული. 25, 4), молотящий.

მეკარე კარის მცველი (მარკ. 13, 34; იოან. 10, 3), вратарь, привратник, придверник, швейцар.

მეკერმე კერმის შემკრები, ფულის დამახურდავებელი (მატ. 21, 12; მარკ. 11, 5), торжник, меновщик.

მეკეცე მექურქლე, თიხის ქურქლის მკეთებელი (ფსალ. 2, 9; იერემ. 18, 3), скудельник, горшечник.

მეკობრე მტაცებელი, ავაზაკი უფროვე ზღვათა შინა (ვეფხისტ. 55, 194, 196, 1023 და შემდგომი), корсар, пират, грабитель.

მეკომლე, მეკომური მოსახლე, житель, обыватель.

მეკულე მეძღვნე მომკულევი ახალწლისა (ნახე კულევა).

მეკუბნავე საკუბნაოს მცველი, ключник.

მელავანდი, მელევანდი დასტანაგი, ხელსაბამი სამკაული (რიცხ. 31, 50), чепь, запястье, браслет.

მელანი შავი გინა სხვა ფერი შეზავებულება საწერად (3 იოან. 1, 13; ვეფხისტ. 4, 952), чорнила, *μελάνι*. თ. მურაქაფ [არაბ.], ს. თანაქ.

მელეული ფეტვის ძნეული, ჩერგილი, сноп или скирд проса.

მელექსე მოშაირე, მოლექსე, მთქმელი და მწერალი ლექსთა (ვეფხისტ. 20 და შემდგომი), стихотворец.

მელი, მელა (ოთხფ., ფსალ. 62, 10; მატ. 8, 20) лиса, лисица.

მელისკაკალა (ბალ.) წვრილი მარწყვი.

მელისკუდა (ბალ.) მელისსა, ბარცმანუკი, мелисса, гулявица, чертовы жабры.

მელნის თევზი (თევზ.) აქვს შავი ნაღველი, ვითა მელანი.

მელობიე ლობიოს მარცვლებით მისანი, ვითა მექერე.

მელოტი თმა გაცვივნული, лысина, или лысый.

მელსაპეპონი, მელახპეპონი (მცენ.) საზამთრო, ანუ ნესვი (რიცხ. 11, 5), дыня, арбуз. თ. ხარფუზ [სპ.], ს. მელსაპენ.

მელტავრო აფროდიტის ცა, ანუ ორბიტი (ნახე ცთომილთან).

მემათრახე მეომრის მწურთნელი, სამართალი (მეფ. ვახტ.).

მემამულე მემკჳდრე, მამულის პატრონი (ვეფხისტ. 527), наследник.

[**მემანი** წვეულობა (ვეფხისტ. განმ. 472), მენიანი კაბა, მუნვე].

მემარნე მარნის მცველი, ანუ პატრონი, погребщик.

მემატიანე მეისტორიე, მატიანეთა მწერალი.

მემიჯნავე მოსამძღვრე, смежный.

მემკჳდრე მეპატრონის შემდევი, მაგიერი შემდგომად მისსა, მკჳდრი (ვეფხისტ. 556), наследник.

მემორინე მოთამაშე ნარდთა, კადრაკთა და მისთანათა (ნახე მორინე), игрок.

მემრუშე კაცი ცოლოსანი, გინა ქალი ქმროსანი, მცოდველი წინაალმდეგად 7 მცნებისა (ებრაელ. 13, 4), прелюбодей.

მემტილე მებაღე, ანუ მებოსტნე (იოან. 20, 15), вертоградарь.

მემუქარე მრისხანე, მუქარის მქონები (ვეფხისტ. 341), грозный.

მემუჩირე სთველში მავალი ტკბილის საშოვ-რად (ნახე მუჩირი).

მემღერე ამგდები, დამცინებელი (ისაი. 3, 4), ругатель.

მემცხედრე ნახე თანამემცხედრე, თანამესა-რეცლე.

მენა კახნი ტაგარს უხმობენ.

მენავე მეხომალდე, ნავის პატრონი, უფალი, шкипер, хозяин корабля, корабельщик. //ნავის მუშაკი, ვითარ მეპრორე, მეაუქიონე, ნავტე და სხ. (საქმ. 27, 27, 30), матрос, ναύτης. ნავითმავალნი, ნავში მსხდომნი, იხილე დიდსა შინა მშვიდობიანსა: მ ე ნ ა-ვ ე თ ა, მ ო გ ზ ა უ რ თ ა, ს ნ ე უ ლ თ ა და სხ. (იონა 1, 5; ვეფხისტ. 95ᶜ), мореплаватель, пассажир, плавающий на корабле.

მენავეთმოძღუარი მეპრორე, მესაჭე, ნავკოსა-ლარი, ნავის მატარებელი (საქმ. 27, 11), кормчий, *ναύκληρος*.

მენაკი ხარისხი ღირსებისა, ანუ ცის მზომელო-ბისა (ნახე აღსავალთან), градус.

მენახირე მეზროხე, ზროხათ მაძოვებელი მწყემ-სი, коропей пастух.

მენიჯგორე ნიჯგორალი, მეკაპარჭე, კაპარჭის მნე.

მენჯები თეძოს თავები გავაზედ.

[**მენჯი**]

[**მეონე**]

მეომარი მებრძოლი, მოღვაწე, გამრჯელი ომში (ვეფხისტ. 18, 32), ратник, воин.

მეორწილე განმაორებელი (ეზეკ. 43, 2), усугубляющий.

მეოტი გაქცეული, განლტოლვილი, გარდახვე-წილი (გამოს. 23, 27), бегун (2 სჯული. 19, 4), убежавший (ფსალ. 17, 40; ჩახრუხა. 16), обратившийся в тыл, бегство.

მეოხება შუამავლობა, შველა, შეწევნა, ოხა, представительство, ходатайство.

მეოხი შუამავალი, შემწე, მფარველი, ходатай.

მეპასუხე მიმგები, მიმცემი პასუხისა, ответчик.

მეპატრონე მებატონე, პატრონი, უფალი, владетель.

მეპრიტაკე ტყავების მკეთებელი, მოქმედი, და-ბალი (საქმ. 10, 6 და შემდგომი), усмарь, кожевник. // ზოგჯან მკეთებელი, მკერავი კარვისა (საქმ. 18, 3), скинотворец, кто делает палатки (ძირი ამისი არს ბერძუ-ლის ლექსისაგან *πρόβατον*, *προβατική*, ცხვარი და *προβατήσιος*, ცხურის ტყავი).

მეპრორე მესაჭე, მენავეთმოძღუარი (იონა 1, 6), кормчий, кормщик (ხოლო *πρώρα* ანუ *πλώρι* წინანი ხომალდისა, ანუ ნავისა, корма, სადაცა ჰზის მესაჭე, ანუ მეპრორე და ჰმართავს).

მეპურე პურის მცხობელი, ანუ მოფარდული, хлебник. თ. ჩოსაქჩი.

მეჟამნე მესაათე, საჟამოს მკეთებელი, часовой мастер; ხოლო მ ო ჟ ა მ ნ ე ჟამნის მკითხვე-ლი (ნახე თჳსს ადგილს).

მერამლე რამლით მისანი (ნახე რამლი). თ. რამლჩი [არაბ. -თურქ.].

მერანი (ოთხფ.) ტაიჭი, კეთილმოარული, თო-ხარიკი, იორღა (ნახე ცხენთან) (ვეფხისტ. 94, 202), мерин.

მერანობა თოხარიკი (ნახე ხიარულში).

მერდინი თხელი საპერანგე აბრეშუმისა, თავ-თის გვარი.

მერე, **მერეთ**, **მერმე** **მერმეცა**, აწის შემდგომად, მასუკან (ფსალ. 76, 8), паки, потом, после.

მერედე, **მერედი** მდინარის კიდეს დაცემული ვაკე ადგილი, ანუ მეიდანი, ფორე, равнина, площадь.

მერიქიფე ღვინის მწდე.

მერმე, **მერმეცა** კუალადცა, კიდევაც (ფსალ. 8, 7 და 73, 9, კუალად 77, 16), еще, ещеже, ктому.

მერმის გაის, მომავალს წელს, будущего года, или в будущем году. ს. გულტარი.

[**მერხენი** კლდისა (ვახუშტი, 16)].

მერული ორთითი, вилы.

მერქანი ცილას შიგნითი გული ხეთა და სა-კუთრად მუხის გული.

მერცხალი (მფრინ., ისაი. 38, 14; იერემ. 8, 7), ластовица, ласточка.

მერცხლისმდევარა (მფრინ.) ცელმანგალა.

მერწყული წყლის მზიდავი, водоносец, ანუ წყლის საქანელი, водолей.

მერხი გრძელი სკამი (ნახე სკამთან), скамья, скамейка.

მერჯულე სჯულისმოძღვარი, მეცნიერი სჯუ-ლისა, законник.

მესადგურე სადგურის მცველი, უცხოთ შემწყნა-რებელი, становщик, пристанодержатель.

მესალიკე ხელმარჯვე მებადური, მეთევზე, ры-болов.

მესამზღურე მემიჯნავე (ნახე მოსამძღურე), пограничный.

მესასვენებლე, **მესაწოლე** საწოლის მნე, постельничий.

მესაფლავე საფლავის მთხრელი, могильщик, копатель могил.

მეხაჭე ნახე მეპრორე.

მესერი მასარი, მარგილების გალავანი (ზღუდესთან ნახე), частокол.

მესვა, **გესვა**, **ესვა** დრო უსრული ზმნისაგან მივის (მარკ. 12, 29; ლუკ. 1, 17), иметь.

მესთულე მოქმედი ან მუშაკი სთველისა (იერემ. 48, 32), собиратель винограда, виноделатель.

მესიზმრე განმმარტებელი, ამხსნელი, ანუ მნახველი სიზმართა (დაბად. 37, 19), сновидец, или снотолкователь.

მესსია ებრაულად ცხებული, სახელი ესე ეკუთნეის იესუ ქრისტესა (იოან. 4, 25), мессия, *μεσσίας*.

მესტუმრე შიხაული, ჩიხაული, სტუმართ მნე მიჩენილი, მეურნე, пристав при гостях. თ. მეჰმენდარ [სპ.]. // მესადგურე უცხოთა (რომაელ. 16, 23), страннориимец.

მესტჳრე სტჳრის მკურელი (გამოცხ. 18, 22), пискатель, свирельщик.

მეტაბლე მატაკარანი, ტაბლის მეურნე, მნე.

მეტად გარდამატებით, ჭარბად (ფსალ. 30, 34), излишне, слишком.

მეტადრე უფროორე, უფრო განსაკუთრებით (დან. 7, 7), изляха, особенно, а особливо.

მეტალლი ლითონი რაჲცა მიწის ქანთაგან აღმოითხრების და გარდიდნობის, ვითარ ოქრო, ვეცხლი, რვალი, რკინა, კალა და მისთანანი, металл, руда, *Μετάλλον*. თ. ჯავარ [არაბ.-სპ.]. ს. მეტალ.

მეტანია თაყვანისცემა, ანუ სინანულით შევრდომა, поклание, поклон, *Μετάνοια*, საეკლესიოს ტიბიკონით მ ე ტ ა ნ ი ა ლოცვათა ზედა არს ორგვარი, მცირე, რომელია პირჯუჳრის გამოსახვა და დიდი—მუხლთმოდრეკა, земный поклон.

მეტაფორა გარდაღება ნაკვეთი რიტორული, ოდესცა ლექსი საკუთრის — *Μεταφορά*, მნიშნველობისგან გარდაილების სხვად, ვითარ ურმის თ უ ა ლ ი, მზის თ ვ ა ლ ი, пренесение, переносный смысл, значение.

მეტაფრახი ბერძულად თარგმანი, რამეთუ საკითხავნი ესე საეკლესიონი არიან განმარტებანი საღმრთოთა წერილთანი, *Μεταφρασμένος*.

[**მეტება** ემეტებ, ემეტვობ].

მეტი ზომაზედ, ანუ წონაზედ ჭარბი (გამოს. 26, 12; ვეფხისტ. 510, 592), лишний, излишний, или излишек, [ამის მეტი არაფერი მინდა რა!].

მეტიჩარა სხვათა სარგებლის მარიგებელი, ტარაკუჭა.

მეტკვეთილი წინადაცვეთილი (იერემ. 9. 25), обрезанный.

მეტოქი დროებითი სადგომი ეპისკოპოსთა, ანუ არხიმანდრიტთა, подворье, *μετόχι*, ეკლესიითურთ სხვას ეპარხიაში (ამისგან დაურქმევიათ საქართველოში რომელთამე ეკლესიათათვის მ ე ტ ე ხ ი). // მდაბიონი მ ე ტ ო ქ ე დ უხმობენ მოცილესა, соперник.

მეუნჯე მესაუნჯე, უნჯის მცველი, მნე, მოლარე (ისაი. 22, 15), строитель дому.

მეურმე ურმის პატრონი, ანუ ურმიანი მოქირავნე, ямщик, аробщик. თ. არაბაჯი.

მეურნე (ნახე მოურნე) მზრუნველი (ისაი. 31, 5), მეურნე ექმნების, снабжать.

მეუფე ე. ი. მ ე უ ფ ლ ე შემოკლებით ლექსისგან უ ფ ა ლ ი, საკუთრად ითქმის ღმერთი დამბადებელი, ვითა უზენაესი პატრონი, განმგებელი და მბრძანებელი (ისაი. 1, 24), владыка. // საღუთოსა შინა წერილსა მ ე უ ფ ე ხშირად ხმარებულ არს მათ ადგილთა შინა, სადაცა სხუათა ენათა ზედა სძევს ლექსი მ ე ფ ე, განსარჩეველად მისა ღუთისა კაცთა მეფეთაგან, რამეთუ მ ე ფ ე შემოკლებით არს იგივე მეუფე (ფსალ. 2, 6; მატ. 27, 11, 29, 37 და შემდგომი), царь. // ეკლესიურად მეუფე ეწოდების ეპისკოპოსსა და მღუდელსაცა მწირველსა. მაგალ., გვაკურთხენ, მ ე უ ფ ე ო!

მეუფება მთავრობა, პატრონობა, განმგებლობა, მბრძანებლობა, მეფობა (ფსალ. 144, 13), владычество, царство.

მეუფროსე უფროსი, მთავარი, მბრძანებელი, начальник, начальствующий.

მეფე ხელმწიფე, ქუეყნის მფლობელი, ერთმთავარი გჳრგჳნოსანი (ფსალ. 20, 1 და 71, 11), царь. // ესეჲე ეწოდების რომელთამე უძლიერესთა ცხოველთა, ვითარ ლომი—მ ე ფ ე მხეცთა, არწივი—მ ე ფ ე მფრინველთა და სხ. // მდაბიონი მეფედ უხმობენ ახალნაქორწილევსა სიძესა სამდღედმდე. // მეფა იხმარების ზოგჯერ მდედრობითად (ნახე დედოფალი) (იერემ. 44, 18), царица; არამედ საქართველოში თამარს უხმობდენ მ ე ფ ე დ (ვეფხისტ. 3, 4 და შემდგომი), царь Тамар, ვითა მარია ტერეზიას Regnus უწოდდენ.

მეფობა (ვმეფობ) დრო, ოდესცა მეფობს ვინმე (მატ. 2, 22), **царствовать, царствование.** // ხარისხი და ღირსება მეფისა, **царство.**

მეფუნდრუკე მოთამაშე, მროკველი, **плясун.**

მეფურნე მედუქნე ფურნეში მაცხობელი და მოფარდული პურისა, **булошник, хлебник,** *φουρνάρης*.

მეფხანჭვანი ქეციანი, მქავანი (ლევიტ. 22, 22), **лишавый.**

მექერე ქერის მარცვლებით მისანი, მკითხავი, **ворожея по ячменным зернам.**

მექონოთი ხარისხი ბაქან ბაქნად (ნახე ალსავალთან) (იერემ. 27, 19), **подстава, пьедестал.**

მექორწილე სტუმარნი, მიწვეულნი ქორწილში, **свадебные гости.**

მექუდე მკერვალი და მოფარდული ქუდთა, **шапошник.**

მეღორე მწყემსი მაძოვებელი ღორთა, **свиной пастух.**

მეყვსე მისხი, თჳსტომი, ვინც ვის ეყჳს სადმე ნათესაობით, **свойственник.**

მეყო წამი (ნახე ყამი).

მეყსა შინა წამსა შინა (ისაი. 48, 3), **внезапу.**

მეყუსეულად მსწრაფლად, ანაზდეულად, მუნთქვესვე (მატ. 26, 74), **абие, вдруг.**

[მეშარბათე ნ. მევაჟინე].

მეშეშე შეშის დამაობი, მომზიდველი, ანუ მოფარდული (ისუ. 9, 21), **дровосек, дровяник.**

მეში ცუდი სამოგვე ცხურისა; [ბურთი მეშისა, **кожаный мяч**].

მეშუბარი შუბოსანი, შუბით შეპურვილი (1 მეფ. 31, 3), **копейник, копьеносец.**

მეშურნე, მემშურნე მოშურნე, შურიანი, შურის მქონებელი, **завистник, завистливый.**

მეშფოთარი შფოთის ამშლელი.

მეჩანგე ჩანგის მკვრელი, [**арфист, citharista**].

მეჩეჩი ვრაქია, კბოდოვანი, ზღუაში თხელი ადგილი, სადაც ნავი შთაიფლვის, **мель, отмель.**

მეჩხუბარი ჩხუბიანი, მეშფოთარი, **сварливый.**

მეცადინე ბეჯითი, ცდილობის მქონი, თავის გამომდები, **старательный.**

[მეცადინობა]

მეციხოვნე გუშაგი, ციხის მცველი, ციხოვანი.

მეცნავი მცოდნე, მკოდინარი (იერემ. 2, 8; დან. 1, 4), **знаток, знающий.**

მეცნიერი სწავლული, გამოცდილი სწავლათა შინა, **ученый.** // ნაცნობი (ლუკ. 2, 44), **знакомый.**

მეცნიერება ცოდნა, ზედმიწევნილება (ფსალ. 72, 11; იგავ. 23, 23; დან. 1, 4), **умение, ведение, разум.** // სწავლულება, დახელოვნება სწავლასა შინა, **ученость.**

მეცხვარე ცხვართ მაძოვებელი მწყემსი, **овечий пастух.**

მეძავი კაცი გინა ქალი, ბოზი (მატ. 21, 31; ებრაელ. 13, 4), **блудник, -ца.**

მეძებარი (ოთხფ.) ძაღლი მეკუალე ნადირთა, **гончая или лягавая собака.**

მეწამული არღავანისა ან სისხლისფერი (გამოს. 31, 4), **червленица** (მატ. 27, 28), **червленый** (ფსალ. 105, 9, 22), **чермный.** თ. ყირმიზ, ს. კარმირ.

მეწინავე ბელადი, ანუ ლაშქარი წინ-მიმსლეველი, **передовой.**

მეწყერი გვერდობი, ანუ ფლატე, დამხლუპლეული.

მეჭაშნიკე მოხელე მეფისა, ანუ დიდებულთა გამსინჯველი და მიმრთმევი ღვინოთა, პირისმეღვინე, **чашник.**

მეჭეჭა (ბალ.) ეკალ-ძვალი, **куричья слепота.**

მეჭეჭი მცირე ხორცმეტი, **бородавка.**

[მეჭიქე]

მეჭურჭლე მეკეცე, ჭურჭელთ მკვთებელი, ანუ მოფარდული, **торгующий посудою.**

მეჭურჭლეთუხუცესი მოლარეთუხუცესი (ნახე ჭურჭელი და საჭურჭლე), **казнохранитель.**

მეხბორე ხბორების მაძოვებელი მწყემსი, **телячий пастух.**

მეხვაიშნე შემწე, მეშველი, მომხმარე (ხვაიშანი ნახე), **помощник.**

მეხი ელჳსა და ქუხილის დროს შთამოვარდნილი ცეცხლი, შენივთებული ღრუბელთა შორის ილექტროულის ძალისაგან, **громовой удар** (იობ. 38, 35), **молния.**

მეხის ქუა მსოფლიონ.ა ესრეთ უხმობენ რომელსამე სამკურნალოსა ქვასა და ჰგონებენ მეხისა თანა შთამოვარდნასა მისსა, **громовая стрела.**

მეხრე ხართ გამრეკი სახრით, მწაფელი, **кучер или погонщик запряженных волов.**

მეხრმლე ხმლიანი მხედარი, ანუ მტარვალი (მარკ. 6, 27), **спекулатор, палач.**

მეხტეხილება მეხით შემუსრვა, **поражение громом.**

მეჯინიბე ცხენთ მომვლელი, **конюх.**

მეჯინიბეთუხუცესი ამირახორი, ვზინდართუხუცესი.

მეჯლისი დიდი წვეულობა, ნადიმი, ლხინი (ჩახრუხა. 35), бал, пиршество. თ. მეჯლის [არაბ.].

მეჯოგე ცხენთმაძოვებელი მწყემსი (ვეფხისტ. 1365), табунщик, пастух лошадей.

მეჯორე ჯორთ პატრონი, ან ქირით მატარებელი და მაძოვებელი.

მზა ხოხმიკი, გამართული ყოვლითა სახმარებითა (მატ. 22, 4, 8; ლუკ. 14, 17 და 22, 33), готовый. თ. ჰაზირ [არაბ.], *χαζῆρ*.

მზადება (ვამზადებ, ვემზადები) გამართვა, მომზადება, готовить, приготовлять, -ся.

მზაკვარი ზაკვის მოქმედი, ვერაგი (ფსალ. 5, 6 და 11, 3, კუალად 30, 4 და 51, 4), льстивый, коварный.

მზარდული ლალა, მამამძუძე, გამზრდელი (1 კორ. 4, 15), пестун.

მზარეული, მზვარეული ქონდაქარი, სანოვაგეთ მგბობელი, повар.

მზარეულთმთავარი, მზარეულთუხუცესი მთავარქონდაქარი, თუშმალი (დაბად. 39, 1; იერემ. 39, 9 და შემდგომი და 40, 5, კუალად 52, 19), архимагир, метрдотель, кухмейстер.

მზახალი (ნახე მძახალი) сват, сваха; მ ზ ა ხ ლ ო ბ ა, მძახლობა (2 სჯული. 7, 3), сватовство.

მზე მნათობი დღისა (ნახე ცთომილთან) (ფსალ. 18, 4 და 71, 5, 17), солнце. თ. გუნეშ. ს. არეგაკ. შენმა მ ზ ე მ ა, შენსა მ ზ ე ს ა (ვეფხისტ. 692, 1286, 1293), რასაც ნიშნევენ ნახე მამაშეილობასთან, пожалуйста.

მზევალი, მძევალი კაცი წინდად დასმული ან მიცემული, аманат, заложник.

მზერა (ვუმზერ, ვიმზირები) ცქერა, ჭურეტა, смотреть, глядеть. // დაზვერვა, დარიღი მტრისაგან (დაბად. 3, 15; ფსალ. 9, 29 და 55, 6), блюсти, подглядывать.

მზვაობარი ზვავი, ამპარტავანი, кичливый.

მზიანი მზით განათლებული (ვეფხისტ. 825, 856).

მზითევი ნახე ზითევი.

მზინვარე ბზინვარე, ელვარე (ეზეკ. 40, 3), блещащийся, блестящий.

[**მზირავი** მზარავი].

მზირი მსტოვარი, დამზვერავი, соглядатай.

მზის დღე კჳრიაკე (ნახე ცთომილთან).

მზისიერი მზის ელვარება. // განჯაფის თავი, ავთაფი.

[**მზისით** დღისით].

მზის მაქცევი 28 წელიწადი, ე. ი. რიცხჳ ნაკის წელიწადთა 4 და რიცხჳ მსგეფსის დღეთა 4, რა განამრავლო ურთიერთსა ზედა, შეიქმნების 28. შემდგომად მობრუნებისა ესოდენთა წელთათა შვიდეულის დღენი იმავე 12 თთვეთა რიცხვებში მოვლენ, როგორც ყოფილა 28 წელს უწინ (ვრცლად განმარტება ამისი იხილე ქართულის დაბეჭდილის დაბადების ბოლოს), круг солнца.

მზისუმზირიტე (ბალ.) ლილიფარი, подсолнечник.

მზრალი დამზრალი, დამძრალი სიციეით, мёрзлый, мороженый.

მზრუნველი მეურნე, გულის შემატკივარი, попечитель.

მზღვარი საზღვარი, სამძღვარი (ვეფხისტ. 9, 146), предел.

მთა ქუეყანის სიმრგულესა ზედა ფრიად ამაღლებულნი ადგილნი, მობმულნი ურთიერთსა ზედა (ფსალ. 10, 1 და 14, 1; მატ. 5, 1, 14), гора. თავსა მთათასა ეწოდების თ ხ ე მ ი და მ წ ვ ე რ ვ ა ლ ი, მათგან ქვე ჩამოდევნებულთა ადგილთა—გ ვ ე რ დ ო ბ ი და ფ ე რ დ ო ბ ი, რა მცირედ დაივაკებს გრძლად წარზიდულება მათი, მას ჰქვიან კ ა ლ თ ე ბ ი და სადა მთანი დასრულდებიან—ძ ი რ ი, ხოლო მცირეთა მთათა, დიდთაგან წარზიდულთა—ბ ო რ ც ვ ი, გ ო რ ა და გ ო რ ა კ ა, უმცირესს — ბ ე გ ი და ბ ე გ ო ბ ი, გრძლად წარზიდულს გორას—ს ე რ ი და ლ ა დ ი რ ი, სერის თხემს—ქ ე დ ი; სადაცა ქედი რაოდენმე დადაბლდება, ეწოდება უ ღ ე ლ ტ ე ხ ი ლ ი; მთათა ზედა აღსავალსა გზასა — ა ღ მ ა რ თ ი და შ ე ღ მ ა რ თ ი, ხოლო შთასავალსა — დ ა ღ მ ა რ თ ი და ჩ ა ღ მ ა რ თ ი (კლდიანთა მთათა სახელნი ნახენ კლდესთან).

მთავარანგელოზი უპირატესი ანგელოსთაგანი (ნახე დასი), архангел.

მთავარდიაკონი პირველი დიაკონთაგანი (ნახე დიაკონი).

მთავარეპისკოპოზი უპირატესი ეპისკოპოსი, არხიეპისკოპოსი.

მთავარი უფროსი, დიდებული, ანუ მფლობელი (ფსალ. 2, 2 და 17, 47), князь, глава, начальник (მატ. 27, 2), игемон, правитель.

მთავარმმართებელი უპირატესი, უაღრესი განმგებელი, главноуправляющий, главноначальствующий.

მთავარქონდაქარი მხარეულთ მთავარი.

მთავრობა (ვმთავრობ, ვემთავრები) ფლობა, ბრძანებლობა (ზაქარ. 9, 10), обладать, начальствовать. // უფროსობა, უპირატესობა, უაღრესობა (დაბად. 1, 17 და შემდგომი; ფსალ. 109, 3), начальство. // ერთი ცხრათა დასთა ანგელოსთაგანი (ნახე დასი) (რომაელ. 8, 39), начало (чин ангелов).

მთეთრობელი მმურკჵნელი, მრეცხელი სამოსელთა თეთრად, белильщик. თ. თოლაჩი (?).

მთესვარი, მთესველი თესლის მბნეველი ხნულზედ, ანუ კვალთა შინა (მატ. 13, 3), сеятель.

მთჵარიანი ღამე განათლებული მთოვარითა (ნახე მთოვარე), месячная ночь.

მთიები განთიადის ვარსკვლავი (2 პეტრ. 1, 19), денница, утренняя звезда. // მთიებად იწოდებიან მოძღვარნი ეკლესიისანი (ფილიპ. 2, 15), светило.

მთობი მთიანი ადგილი (ზაქარ. 7, 7), нагорная.

მთოვარე, მთვარე ღამის მნათობი (ნახე ცთომილთან), месяц, луна (ფსალ. 8, 3 და 71, 5, 7).

მთოვარის მოქცევი 19 წელიწადი (განმარტება ამისი ნახე ზედნადებთან და ქ ქ'ს თ ა ნ), круг луны.

მთჵრალი ღვინისგან დათენთილი, გაბრუჲეილი (3 მეფ. 20, 16; ფსალ, 106, 27), пьяный. თ. ზარხოშ [სპ.], ს. ჰარფაწ.

მთქნარება (ვამთქნარებ, მამთქნარებს) ძილის მორევნისაგან, ანუ მოწყენისგან პირის დაღრენა, зевать, зевота.

მთხვევა (ვემთხვევი) ამბორება წმიდათა ხატთა და ნაწილთა, прикладываться ко св. иконам и пр.

[მთხზველი]

მთხოვარი გლახა კარდაკარ მოსიარულე, მთხოველი (ლუკ. 16, 35), нищий.

მთხრებლი ხელოვნებით ამოთხრილი, ანუ ბუნებით ორმო (ფსალ. 7, 14 და 56, 6), яма (იერემ. 48, 44), пропасть, ხოლო მ ღ ჳ მ ე არს მთხრებლი კლდისა კაცთა საპატიმრო, ანუ ვინც თავით თჳსით შთაჯდეს სინანულისთვის, ხ ნ ა რ ც ვ ი არს მთხრებლი მიწისა, მღჳმის მსგავსი ო რ მ ო, ხარო არს მიწისავე შესანახავი ხორბალთა და მისთანათა, ქ ე რ ე თ ი, ჭ ა და ჯ უ რ ღ მ უ ლ ი არიან მთხრებლნი წყალთ სადგომნი და ლ ა კ ვ ა ნაგები ჭა.

მთხრობელი მოამბე, ამბვის მთქმელი, рассказчик. // პირში წამდგომი, доказчик, уличитель.

მთხუნველი, თხუნველა (ითხფ.) ბრმა თაგვი მიწისა (ლევიტ. 11, 30), кроторыя, крот.

[მი მიმართ (ნ. შესავალი ამის ასოსა)].

მიახლება (მივაახლებ, მიევახლები, მივახლოვდები) მიახლოვება, ახლოჲ მიტანა ან მისლვა (ფსალ. 31, 6, 9 და 106, 18; მატ. 21, 1), приближать, -ся.

მიბარება (მივაბარებ) მიცემა რისამე შესანახავად, ანუ ვისიმე სასწავლებლად, отдавать что на сохранение, или кого в учение. // (მივაბარებ), ამგვარადვე მიღება, принимать на сохранение, или в учение. // (მივებარები) მისლვა ვისთანმე სასწავლოდ, поступать к кому в учение.

მიბრუნება (მივაბრუნებ, მოვუბრუნებ, მივბრუნდები) უკმიქცევა (ნახე მიბრუნება), возвращать, -ся.

მიბრჯენა (მივაბრჯენ) მიჰირება ჯოხისა, თუ რისაც, упирать. // (მიბრჯენ) სიარულში ჯოხზედ დანდობა, опираться. // (მივიბრჯნი, მივიბრჯნები) ახირება, დაჟინება რისამე, упрямиться, упорствовать.

მიბრჯნილი ახირებული, უდიერი, დაჟინებული, упрямый, упорный.

მიგდება (მივაგდებ) გარდაგდება, ანუ ზედშეგდება, бросать, забрасывать, [кидать]. // მინებება, ნებაზედ დატევება, отдать на волю. // (მივუგდებ) კარის მიხურვა, затворять. // (მივეგდები) დაწოლა სნეულისა ან დაღალულისა, повалиться, лечь.

მიგება (მივაგებ) მიზღვა, გარდახდა მაგიერისა (ფსალ. 17, 20, 24, კჳალად 30, 24), воздавать. // (მივუგებ) პასუხის მიცემა, პასუხი (მატ. 3, 15), отвечать.

მიგებება (მივაგებებ) მომავლისადმი გატანა, წარდგენა რისამე, выносить что на встречу. // (მივეგებები) გასლვა შესამთხვევად, შემთხვევა (მატ. 25, 1 და შემდგომი; იოან. 12, 18), встречать, выходить навстречу.

მიგზავნა (მივგზავნი, მივუგზავნი) მივლენება, посылать.

მიგორვება (მივაგორებ) გორვებით მიტანა (მატ. 27, 60; მარკ. 15, 46), привалявать, притаскивать.

მიგროვება (მივაგროვებ) მიქუჩება ერთს ადგილს, прибирать.

მიგჵრა (მივჰგჵრი) იგივე 3 პირისადმი, რაიცა 1 და 2-თჲს მ ო გ ჵ რ ა (იქ ნახე).

მიდამო აქეთ-იქით, ანუ ყოველგან (ვეფხისტ. 365, 505, 711), повсюду.

მიდგმა (მივსდგამ) იქით გარდადგმა, отступлять, отстанавливать.

მიდგმა მიჯნა, სამზღურის დასასრული, სადაც მიადგების, пограничная черта.

მიდგომილი მუცელქმული, ორსული დედაკაცი (მატ. 24, 19), непраздная, беременная.

მიდგომილება ორსულობა, беременность.

მიდევნა, მიდევნება (მივსდევ) შედგომა (მატ. 4, 25 და 8, 1, 10 და შემდგომი), идти за кем, последовать.

მიდმოება მერხეობა, აქეთ-იქით, колебле-мость.

მიდრეკა (მივსდრეკ, მივსდრკები) გარიდება (ფსალ. 45, 6 და 140, 4), уклонять, -ся.

მიდრეკილება წადილი, ანუ მიზიდულობა, оклонность, наклонность.

მიდრეხა (მივდრეს, მიევდრისები) მიხეხება (რიცხ. 22, 25), прилагать, тереть, -ся.

მიერ ვინაითგან თანდებული ნათესაობითს ბრუნვასთან ხმარებული (ფსალ. 2, 6 და 21, 25), от, из, или чрез. // მუნითგან, მიერითგან (დაბად. 2, 10; მატ. 4, 21), оттуда.

მიერთება (მიევერთდები) გაერთება, შეერთება, მიშველება, присоединяться, подоспевать на помощь.

მიერითგან იქიდამ, მუნითგან, იმ ჟამით ანუ ადგილით (მატ. 4, 17 და 16, 21, კრალად 26, 16), оттоле, с того времени или места.

მივარდნა, მივრდომა (მიევარდები) კეთება, ანუ მიგდება (ფსალ. 83, 10), устремиться, прикотаться, привалиться.

მივსხ, გივსხ, უვის მრ. გვივის, გივისთ, უვისთ, ყოლა (ვეფხისტ. 801), иметь, ხოლო ძიებისათჳს მრავლობითისა მ ი ს ხ ე ნ ა ნ, გ ი ს ხ ე ნ ა ნ, უ ს ხ ე ნ ა ნ (ნახე სხმა).

მივლენა, მივლინება იგივე 3 პირისათჳს, რამეთუ 1 და 2-თჳს მ ო ვ ლ ე ნ ა (იქ ნახე).

მივლინებული მიგზავნილი, მოციქული (იოან. 1, 24), посланный.

მიზგითი მეჩითი, მაჰმუდიანთ შესაკრებელი (ჩახრუხა. 58), мизгит, мечеть, მისგითი.

მიზდი ასალები რამე ქირა, ხელფასი, სამუშაო, სარგო ანუ ბაჟი, мзда, плата, награда.

მიზეზი დასაბამი, რომელსა ზედაცა სხჳსა ყოფაჲ მოკიდებულ არს, причина, виновник, резон, довод, ანუ დასასრული, რომლისათჳს არს ნივთი (მეტაფ. ბაუმ., § 126 და შემდგომი; ვეფხისტ. 1024), причина, повод, вина, causa.

მიზეზოვანი წარმოი მიზეზისაგან, произведение или действие, causatum (კრალად § 128, დადებ. 3). მ ი ზ ე ზ ი მ ი ზ ე ზ ი ს ა მ ი ზ ე ზ ი ა რ ს მ ი ზ ე ზ ო ვ ა ნ ი ს ა причина причины бывает причиною и действия оной.

მიზიდვა (მივზიდავ) მონადირება (ფსალ. 9, 29 და 27, 3), привлекать, увлекать. // მდაბიურად: მიტანა მრავალთა ნივთთა, притаскивать.

მიზღვევა (მივუზღვევ, მივუზღამ), გარდახდა, მიგება. მიცემა (ფსალ. 68, 4), воздавать, заплатить, вознаграждать.

მითამ, მითამც ვითამ, ვითამც, რეცა, будто, будто бы.

მითელი ბუმბულისა ან კვირტის ჩასადები მსხვილი ტილო, ან სამოსელი, რომელსაც გარდაეკურის საპირე ბალიშისა ან დოშაქისა.

მითრევა (მივათრევ) თრევით მიტანა, притаскивать; (მიევთრევი) ცუდის სიარულით მისლვა.

მითუალვა (მივთუალავ) უაღრესისგან მიღება მისართმეევისა (შავთ. 107 და შემდგომი), воспринимать.

მითვლა (მივათვლი), სათუალავზედ შეძინება, причислять. // (მიევუთვლი) თვლით მიცემა, მიბარება, отдавать, сдавать счетом. // (მივითვლი) თვლით მიღება, принимать счетом.

მითხრობა იგივე 3 პირისადმი, რამეთუ 1 და 2-დმი მ ო თ ხ რ ო ბ ა (იქ ნახე) (ფსალ. 18, 1, 2; ლუკ. 1, 2).

მიკერება (მივაკერებ) კერვით მიმაგრება რისამე, пришивать.

მიკერძვა (მივჰკერძავ) გასაკუთრებით და მეტობით მიცემა, передавать лишнее по пристрастию.

მიკუღლევა (მივუკუღლევ) (ნახე კუღლევა) 1 და 2 პირისადმი მ ო კ უ ღ ლ ე ვ ა.

მიკონება, მიკონვა (მივიკონებ, მიევკონები) მკერდს ჩაკვრა, ჩახუტება, прижимать, -ся по груди.

მიკვრა (მივაკრავ), მიმაგრება, მიბმა, ანუ მიწებება, привязывать, или приклеивать, прикреплять.

[მილაგება]

მილი სოლინარი, ლულა (შავთ. 65), труба, -бка.

მილი ღეოღრაფიული საზომი ქვეყანისა სფერისა, რომელიცა არს მეათხუთმეტე ნაწილი

გრადუსისა, ანუ გზა ერთის საათის სავალი, ვითა სპარსული ა ლ ა ჯ ი, ანუ ე ჯ ი და რუსული 7 ვერსი, გარნა მილი ზოგგან მეტია, ზოგგან ნაკლებია, ვითა პირისპირ ამისსა იხილეების, миля, *μίλι*; Географический градус земного шара имеет 15 миль географич. или немецких, а миля 7 верст российских, или градус имеет 20 миль морских, градус имеет 25 лье французских, градус имеет 69 1/2 миль английских, градус имеет 104 1/5 верст российских.

მილლიონი ათასჯერ ათასი (ნახე უშტი), миллион, million, *μιλλιοῦνι*. // ზოგგან მ ი ლ ლ ი ო ნ ი დაუდვიათ ნაცვლად მ ი ლ ი ს ა (მატ. 5, 41), поприще, *μίλιον*, milliaro.

მილოცვა (მივულოცავ) დღესასწაულსა, ანუ სასიხარულოს შემთხვევაზედ შესხმის მოხსენება, поздравлять.

მილულვა მირულება (ვეფხისტ. 139), задремать.

მილურსმნა (მივლურსმნავ) ლურსმნებით მიკურა, приковывать.

მიმადლება (მივმადლებ) მინიჭება, ბოძება, ჩუქება (საქმ. 27, 24), даровать.

მიმადლებული მადლით შემოსილი, მადლნიჭებული ზეგარდამო (ლუკ. 1, 28), благодатный.

მიმალვა (მივმალავ, მიეიმალები) დაფარვა, დამალვა, укрывать, -ся, припрятать.

მიმართ თანდებული, ნათესაობითს ბრუნვასთან ხმარებული 3 პირისადმი, ხოლო 1 და 2-დმი ითქმის მომართ (ფსალ. 2, 5 და 4, 3; ლუკ. 1, 17), к, ко, на.

მიმართება (მივმართებ) პირისპირ მისლვა სწრაფად (მატ. 8, 31; საქმ. 19, 29), устремляться, направляться.

მიმართვა (მივმართავ) პირისპირ გასწორება, направлять, устремлять.

მიმატება (მივუმატებ, მიემატების) შეძინება, მომატება, ზედადართვა (მატ. 25, 29), приумножать, прибавлять, -ся.

მიმდემი, მარადღე დაუცადებელი მიდევნებით (შავთ. 95), повседневный, беспрерывный.

მიმთხვევა (მივემთხვევი) ღირს ქმნა, მიღება (ებრაელ. 11, 33), сподобляться, получать.

მიმინო (მფრ., ლევიტ. 11, 17) хищник, сокол, жаворонник.

მიმოგონება, მიდმოგონება (მიმოვიგონებ) ნელიად განსჯა, არა მსწრაფლიად, თანმიდრეკა, არამედ რეცა ბიჯებით სლვთა მიწევნა საგონისთა, умствовать, умствование, умозаключение.

მიმოდაბნევა (მიმოდავაბნევ მიმოდავიბნევი), გაფანტვა აქათ-იქით, მიდამო (საქმ. 11,19), рассеивать, -ся.

მიმოდათქმა (მიმოდავსთქვამ, მიმოითქმის) ამბვის განფენა (ფსალ. 86, 6), поведать, разглашать.

მიმოდატაცება (მიმოდავიტაცებ) აკლება, აფორიაქება, ალაფობით დატაცება (ფსალ. 43, 10), расхищать, разграблять.

მიმოკვეთება (მიმოვეკვეთები) უსაქმოდ და უბინაოდ სიარული, шляться, таскаться.

მიმორბენა (მიმოვრბი, მიმოვირბენ) მიდამო რბენა (მარკ. 6, 55), обтекать, обегать.

მიმოსი, მიმმოსი მოთამაშე კაცი, მოქმედი საკჳრველთა და ძნელთა საქმეთა, არათუ გრძნებით, არამედ ხელოვნებითა (ლავსაიკონ. 3, 4), фигляр, фокусник. თ. ზორბაზ [სპ.].

მიმოსლვა (მიმოვალ) აქა-იქ სიარული, სლვა მიდამო (მატ. 23, 15), проходить, обходить.

მიმოქცევა (მიმოვაქცევ, მიმოვიქცევი) მოტრიალება, ანუ გარემოვლა, მიმოსლვა (მარკ. 6, 6), обращать, -ся, обходить.

მიმოწულილვა (მიმოვიწულილავ) ცუდი გამოძიება (2 თესალ. 3, 11), суетиться.

მიმოხედება (მიმოვიხედები) მიდამო ჭურეტა, მზერა, ცქერა, озираться, оглядываться.

მიმოხილვა (მიმოვიხილავ) მიმოვლით გასინჯვა, მოხილვა (მარკ. 3, 34), обозревать.

მიმოხრა (მიმოვხრი, მიმოვიხრები) აქეთ-იქით მიდრეკა, მიმოხვევა, склонять, -ся, извиваться.

მიმოხრა ღრამმატიკულად გატარება ზმნათა ცვალებათა შინა თჳსთა, спряжение глаголов.

მიმსგავსება (მივამსგავსებ, მივემსგავსები) დაგვანება, დამსგავსება (ფსალ. 48, 13, 21), уподоблять, -ся.

მიმქმელი აღმქმელი, ნათლია, восприемник.

მიმძლავრება (მივიმძლავრებ) ძალით დაჩემება, მითჳსება, присвоивать, завладеть насильно.

მიმძლავრებული დაჩემებული, присвоенный, ანუ ძლიერისგან დაჩაგრული, обижаемый

მიმწუხრი სალამოს, დალამების ჟამს, квечеру, вечером.

მინა სპარსულად ჰიქა (ვეფხისტ. 4, 825), стекло.//ან ჰიქის ჰურჰელი, стклянница, склянка.

მინალთუნი ხუთი აბაზი ვეცხლის ფული, рубль серебра.

მინაქარი ჰიქისგვარი ნივთი ფერად-ფერადი, რომელზედაცა ხელოვნებით დაიხატებიან ნაკვეთნი და სახენი, ზოგჯერმე გულქანდებულნი, финифть, эмаль.

მინდობა (მივანდობ) მიბარება, სხჳს იმედზედ დადგომა, поручать, предоставлять. //(მივენდობი) დადება ვისზედმე სასოებისა, დანდობა (ისაი. 14, 6; იოილ. 2, 21), уповать, надеяться, дерзать (ვეფხისტ. 14, 1236), полагаться на кого, на что, поручать себя.

მინდორი ვაკე და გაშლილი ველი (ვეფხისტ. 72, 74), степь, поле. თ. დუზ, ს. ტაფ.

[მინდღეში]

მინებება (მივანებებ) ნებაზედ მიცემა, მიგდება, ანუ თავის მინებება, предоставлять, отдавать на волю.

მინერალი სიღრმესა შინა მიწისასა პოვებულნი ნივთნი სახმარნი კაცისათჳის, ვითარ მეტალლნი, აღრალები, სპეკალნი, მარილნი, გვარჯილა და მისთანანი, минерал.

მიპარვა (მივიპარები, მივეპარები) მალვით მისლვა, ან გაპარვა, подкрадываться, или уходить.

მირბენა (მივრბი, მივირბენ) საჩქაროდ მისლვა (მატ. 28, 8; მარკ. 15, 36), побежать.

მირთმევა (მივართმევ) შეწირვა, ანუ მიტანა (ფსალ. 71, 10; მატ. 14, 11), приносить. // (მივირთმევ) მიღება, მითვალვა, принимать.

მირკანი მარტი (ნახე ზოდიაქოსთან).

მირონი, ამჴრონი სუნნელი ზეთი, ნელსაცხებელი, *μύρο, μύρον.*

მირულება (მიმერულების) წათულემა, მილულვა (ფსალ. 118, 28; საქმ. 20, 9), воздремать, задремать.

მირქმა, მიქმა დღესასწაული 2 ფებერვალს მოსახსენებლად მიგებებისა მართლისა სიმეონისგან იესუ ქრისტესადმი, сретение.

მისაგებელი სამაგიერო (ფსალ. 27, 4 და 68, 22, კულად 93, 2), воздаяние, возмездие.

მისაკულევილი, მისაკულევერი ახალ წლის მისალოცავი ძღვენი (ნახე კულევა).

მისალოცავი მილოცვის ჟამს მისართმევი ძღვენი, ანუ სათქმელი შესხმა, поздравительный.

მისამართი საიმედო შესავედრებელი გაჭირებაში საშველად, прибежище, защита.

მისანა (მძრ.) საყანყურა.

მისანი მკითხავი, წინათ მომთხრობელი მომავალთა საქმეთა რომლითამე ნიშნებითა და არა სარწმუნოდ (შავთ. 19), гадатель, прорицатель.

მისებრი იმისთანა, მისი მსგავსი (ვეფხისტ. 7), такой, подобный.

მისევა (მივუსევ, მივესევი) მიშვება ძაღლთა საკბენად, ანუ დასაჭერად ნადირთა, გინა შეტევება, напускать, -ся, устремляться, нападать.

მისლვა (მივალ) სიარულით მიწევნა საცნაურად ადგილადმდე (ფსალ. 1, 1; მატ. 2, 22 და შემდგომი), идти, приходить.

მისნობა (ვმისნობ) წინათ მოთხრობა მისანთა, მელობიეთა, მექერეთა, მკითხავთა და ეგევითართა, მოგობა (ისაი. 2, 6 და 16, 6; საქმ. 16, 16), волхвовать, гадать, прорицать, гадание.

მისწრება (მივასწრობ, მივუსწრებ) მარჯვეს დროს მისლვა, поспевать. // მ ი ს წ რ ე ბ ა, წ ა მ ა ლ ი, ითქმის მდაბიურად მალე საკურნებელისათჳის, надежное лекарство.

მისხალი წონა 6 დანგისა, ან 27 კერატისა, გინა 108 ქერის მარცულისა (ნახჱ საწონთან), золотник. თ. მესხალ [არაბ.].

მისხი შორეული ნათესავი, მ ი ს ხ ი ს მ ი ს ხ ი ტომისტომთაგანი, дальний родственник.

მისხმა (მიესხამ) წყლის შესხმა, обливать, заливать.

მისხმა (მივასხამ) მიყუანა მრავალთა, ხოლო ერთისა მ ი გ უ რ ა, приводить, пригонять.

მისხმა (მიესხამ, მივსხდებით) დაჯდინება მრავალთა, присаживать, приседать.

მიტანა (მივიტან) სხვაგან წაღება, ხოლო მ ო ტ ა ნ ა 1 და 2 პირისადმი, приносить, относить, доставлять.

მიტაცება (მივიტაცებ, მივსტაცებ) წარტაცება, წართმევა (ფსალ. 9, 29; მატ. 13, 19), восхищать, похищать.

მიტევა (მივუტევ) მისევა (ნახე მოტევა).

მიტევება (მივუტევებ) მიშვება, მოდუნება (საქმ. 27, 40), пускать, послаблять. // შენდობა, პატივება; 3 პირისადმი, ხოლო 1 და 2—

მოტევება (მატ. 6, 12. 14 და შემდგომი, 9, 2. და შემდგომი). прощать, оставлять, отпускать.

მიტრა საეპისკოპოსო. ანუ საარქიმანდრიტო გჳრგჳნი, митра, μίτρα.

მიტროპოლიტი დედაქალაქის ეპისკოპოსი, митрополит, μητροπολίτης.

მიუნდობელი ვერ მიმნდობი, ეჭვიანი, недоверчивый.

მიუცილებელი თანაწარუვალი, თანაწარუხდომელი, აუცილებელი, необходимый, неминуемый.

მიუწთომელი ვერ მისახდომი გონებით, непостижимый.

მიფანიერება (მივაფანიერებ) საჩქაროდ მიმალვა. скрыть, припрятать, მიფარება (მივაფარებ), დახურვა, დაფარება, გარდაფარება, прикрывать, закрывать. // (მივეფარები) უჩინო ქმნა, გარიდება (ლუკ. 24, 31; იოან. 5, 13). скрыться, сделаться невидимым.

მიფენა (მივჰფენ, მიეფინების) ზეგარდმო მოვლენა, მიშვება რისხჳსა, ანუ წყალობისა, მადლისა და სხ. (ფსალ. 35, 11 და 68, 24; კუალად 78, 6 და 106, 40), пролиять, излить, -ся.

მიფერება (მივეფერები) ცდილობა, რათა აამოს ვისმე, угождать, потворствовать.

მიფრენა (მივჰფრინდები) საჩქაროდ მისლვა, ან მივარდნა, прилететь, броситься.

მიქმა (მივიქვამ) მიკურა, მოხვევა, მიკონება (ლუკ. 2, 28; მარკ. 9, 36), принимать, обнимать.

[მიქუჩება ნ. მიგროვება].

მიქცევა (მივაქცევ, მივიქცევი) მიბრუნება, უკან მიცემა (ნახე მოქცევა) (ფსალ. 7, 15; მატ. 2, 12. და 12, 44, კუალად 27, 3), возвращать, обращать, -ся.

მიღება (მივიღებ) გამორთმევა, აღება ან შოვნა (ფსალ. 108, 8; მატ. 20, 7 და შემდგომი), принимать, получать. // (მივიღებ) წართმევა, ჩამორთმევა, მიხმა მოტაცება (მარკ. 4, 15; ფსალ. 140, 8), отнимать.

მიღირს, გიღირს, უღირს მმართებს, მიხმს, მიშჩნია, ან მიზის ფასად, довлеет, надлежит, стоит.

მიღმა იქითკენ, შორს (ვეფხისტ. 293), в сторону.

[მიყვანა]

[მიყოლა]

მიყრა (მივჰყრი, მივაყრი) მიგდება, მიგროვება, побросать, [და ვითა დღე მიიყარა, ნ. დღე].

მიყრდნობა (მივეყრდნობი) მიახლება, შეხება (იოან. 13, 25), прислониться, прикасаться.

[მიყუდება приставлять, ნ. აყუდება].

[მიშენება]

მიშვება (მივუშვებ) ნების მიცემა, ანუ გზის დანებება (მატ. 3, 15), допускать, попускать.

მიშველება (მივაშველებ) გაგზავნა შეწევნისა, посылать помощь, пособие. // (მივეშველები) მისლვა საშველად, идти на помощь.

[მიშლა]

მიჩემება (მივაჩემებ) მიწერა, მითჳსება, приписывать.

[მიჩვენება]

მიჩნევა (მივიჩნევ) მიღება ჩინებულად, почитать.

მიცემა (მივსცემ) მიბარება ხელითი ხელად, ანუ მინიჭება (მატ. 7, 6, 9 და შემდგომი), давать, отдавать.

მიცვალება (მივსცვალებ, -ლავ) გარდატანა ერთის ადგილით მეორედ, переставлять, переносить. // (მივიცვალები) მიძინება, შესვენება, გარდაცვალება, преставляться.

მიძინება (მივიძინებ) მცირედ დაძინება, წაძინება (ვეფხისტ. 267), уснуть. // მიცვალება, შესვენება, успение.

მიძლევა (მივაძლევ) მიცემა ნებით, ანუ ხვეწნით, поддавать.

მიძღოლა (მივუძღვები) გაცილება, თანმიდევნება მოსასლველს ადგილადმდე, водить, провожать; ანუ მოძღურება, დარიგება (ფსალ. 59, 9 და 106, 30, კუალად 142, 10), наставлять, руководствовать.

მიძღუნა, მიძღუანება (მივუძღუნი, მივუძღვანებ) მირთმევა, ან გაგზავნა, подносить, приносить, присылать.

მიწა ქუეყანის ნაწილი, მტვერი, ერთი ოთხთა კავშირთაგანი, ხმელი და გრილი, უმძიმესი წყლისა (ნახე სტიხიონთან) (დაბად. 3, 14; 19; ფსალ. 7, 5 და 21, 15, კუალად 71, 9 და 102, 14), земля, персть, прах.

მიწალები არჯასპი, ლურჯი მიწა, купорос.

მიწდომა, მიწთომა (მივსწუდები, მივსწუთები) მიწევნა, მისლვა საზომად (ფსალ. 79, 11), достигать, досягать, простирать.

მიწევა (მისწევ, მივსწევ, მივიწევი) შეძრვით გაწევა რაოდენმე, подвигать, -ся, подаваться.

მიწევნა (მივიწევი) ადგილს მისლვა (საქმ. 16, 1 და 21, 31), достигать, доходить, приближаться. // (მივეწევი) გაქცეულის დაწევნა, догонять, обогнать.

მიწერა (მივსწერ) დაწერა წიგნისა და გაგზავნა სხვასთან საცნობელად საქმისა ან ჰაზრისა თჳისისა (საქმ. 23, 25), написать к кому о чем.// (მივაწერ, მიეწერების) მიჩემება, ანუ დაბრალება, приписывать, причитать,-ся.

მიწერილობა ეპისტოლე, წიგნი, მინაწერი, письмо, отношение.

მიწვევა (მივიწვევ) მიხმობა, მიპატიჟება, приглашать.

მიწვენა (მივაწვენ) დაწვენა ჩჩჳლთა, ანუ სნეულთა ლოგინში (ლუკ. 2, 7), полагать, класть.

მიწიერი მიწისაგანი (ვეფხისტ. 762), земный.

მიწის ვაშლი (ბალ.) земляные яблоки.

მიწის ლომი (ოთხფ.) მსვენ ლომი (სოფონ. 2, 14), хамелеон.

მიწის ძახველა (ბალ.) მერტი, брусника.

მიწიფვა (მივსწიფავ, მივეწიფები) მომზადება, ანუ მოსწრობა (ფსალ. 20, 3 და 76, 4), предварять.

მიწონა (მივუწონ) წონით მიცემა (მატ. 26, 15), отдавать весом, отвесить.

|**მიწყივი** завсегда|.

მიჭედა (მივსჭედ, -დავ) მიკჳრა ლურსმნებით, приковывать.

მიჭრა (მივიჭრები) საჩქაროდ მისლვა, მირბენა, прибежать, прискакать.

მიჭურიტანა სარკე.

მიხაკი (ბალ.) კარიოფილი, гвоздика.

მიხდა (მივხდი) მიღება, გამორთმევა.

მიხდომა (მივჳხდები) მიგნება, გულხმება, მოჰაზრება (ვეფხისტ. 28 და შემდგომი), догадываться, понимать.

მიხდომა, მიხვედრა (მივჳდები) შეხვედრა, შესაკუთრება, რგება წილად (ვეფხისტ. 10, 1292 და შემდგომი), доставаться, попадать кому.

მიხდომა, მიხდენა (მივუხდები), ზედადასხმა, нападать, наступать.

მიხედვა (მივხედავ) შეხედვა, დახედვა (ნახე მოხედვა), посмотреть, или призреть.

მიხვეტა (მივხვეტ) მიგროვება ნიჩბით, ანუ ცოცხით, сгребать.

მიხვეჭა (მივხვეჭ) უსამართლოდ შეკრება, მოხვეჭა (იერემ. 9, 5), неправдивать, собирать неправдою, მიმხვეჭელი.

მიხმა, მიხჳმა (მივიხჳამ) მიღება, აღება (მატ. 8, 17), принимать. // (მივუხჳამ) გამორთმევა, წართმევა (ფსალ. 75, 12), отнимать, отбирать.

მიხმს, გიხმს, უხმს და სხ. თანა-მაძს, მიღირს (მატ. 3, 14), надлежить, надобно. // მეხმარების, მეჭირება, потребно.

მიხურვა (მივხურავ) გარდაფარება რისამე, прикрывать, накрывать. // კარის მიგდება, მოხურვა, затворять, притворять.

მიჯნა მცირე რამ სამზღჳრის ნიშანი, межа.

მიჯნური ტრფიალი, შმაგი ტრფიალი (ვეფხისტ. 2, 8, 10 და სხ.).

მიჯნურობა ტრფიალება, შეფრფინვა, შეხარვა (მუნეე, 9, 11, 83 და სხ.).

მიჯრა ჯგუფად დასხმულება (ნახე ჯრა) (ვეფხისტ. 5), ряд, მიჯრით მიწყობილი, კარის მიჯრა (ნ. მიგდება, ს. ლ.).

მკა (ვმკი) მოსავალთ მოჭრა ნამგლითა და შეკრება (მატ. 6, 26 და 13, 30 და შემდგომი), жать, жатва.

მკათათვე იულისი (ნახე ზოდიაქოსთან), июль.

მკალავი ხელოსანი სპილენძის ჭურჭელთ კალის დამსხმელი გასათეთრებლად, лудильщик.

მკალი (მწერ.) კალიის გუარია, დღესაც სჭამენ არაბნი (ფსალ. 77, 46 და 104, 34; იოილ. 2, 25; მატ. 3, 4), прузи, акрида.

[**მკაფიად**]

მკაცრი, მმკაცრი კრძალვით მქცევი, ფრთხილი, გაფრთხილებული, осторожный, строгий.

მკდოვანი მოკუდავი, ანუ მედგარი, უსუსური, смертный, или слабый, плохой.

მკედი (ძაფი ნახე), ო ქ რ ო მ კ ე დ ი ოქროს ძაფი (ვეფხისტ. 1360), нить, нитка.

მკელობელი კოჭლი, ანუ უფეხო, კუტი (მატ. 11, 5; საქმ. 3, 2), хромой.

მკერდი გულისფიცარი, მუცელს ზევითი ყელადმდე (დაბად. 3, 14; გამოს. 29, 26 და შემდგომი; იოან. 13, 25), перси, грудь.

მკერვალი ხელოსანი ტანისამოსთ შემკერავი, портной. თ. თერზი [სპ.], ს. დერციკ.

მკვარი, მკვახე და სხ. იხილე მკუარი, მკუახე.

მკვეთრი გალესილი, მჭრელი, მკვეთელი.

მკვიდრი, მკჳდრი მემკჳდრე (მატ. 21. 38: რომაელ. 4, 13; გალატ. 4, 1), наследник. // მდაბიურად: ბინადარი, მოსახლე დიდის ხნით დაბინავებული მამაპაპით, коренной житель, обыватель.

მკჳდრობა ბინადრობა, ანუ სამკჳდრო (ფსალ. 15, 4 და 60, 5), достояние, наследие.

მკვდროვანი ხლვა და ხმელი, სოფელი მკვდრითურთ (ისაი. 13, 9 და 14, 26), вселенная.

მკითხავი მკითხველი, წიგნთ აღმომკითხავი, წამკითხავი, чтец. // ამბვისა, ანუ პასუხის გამომძიებელი, вопрошатель, кто спрашивает, ищет ответа. // მდაბიურად: მექრე, მელობიე, მისანი, гадатель, ворожея.

მკითხველი წიგნის წარმკითხავი (ვეფხისტ. 932), читатель.

მკლავი სიგრძე ხელისა მხრიდგან ვიდრე თითებადმდე (ლუკ. 2, 28; ვეფხისტ. 86, 340), рука (от плеча до пальцев). // ძლიერება, ძალი, შემძლებელობა (ფსალ. 9, 35 და 36,17), мышца, могущество.

მკმოლვარე კუამლიანი, რამცა იკმევის (ისაი. 7, 4), курящийся, дымящийся.

მკობა (ვამკობ) მორთვა, მოკმაზვა, განშვენება, украшать. // ქება, ქების შესხმა, შემკობა ქებით (ვეფხისტ. 25), восхвалять, воспевать.

მკრეხელი ეკლესიის სახმართ მტაცებელი, ანუ მპარავი, святотатец, [грабитель].

მკრთალი მშიშარი, მხრდალი, გაუბედავი, робкий, ფერმკრთალი.

მკხინვარე აშლილი, განრისხებული, მომდურავი, ანუ მედგარი (საქმ. 4, 2), досадующий, негодующий.

მკხინვარება ცილობა, სამდურავი, კამათობა (გოდებ. 2, 6; საქმ. 15, 39), распря, прещение, огорчение, досада.

მკუარი ფიჭვის სანათი, лучина, -ика.

მკუახე, კუხე, კუხი უნდილი, უმწიფარი, შემოუსვლელი ხილი, незрелый, неспелый. // ზოგგან შეუპოვარი, აურზაური, ლალი (ვეფხისტ. 205, 289), грубый, дерзкий, наглый.

მკუდარი სულამოსული, უსულო, სიცოცხლემოკლებული (მატ. 8, 22; ლუკ. 7, 12), мертвый, мертвец.

მკუთნველი განსაკუთრებული, განკუთნვილი, ანუ მმსახურებელი (დანიილ. 3, 12 და შემდგომი), служащий, принадлежащий.

მკულელი მომაკუდინებელი, იხმარების უფრორე რთულად: კ ა ც ი ს მ კ უ ლ ე ლ ი, ძ მ ი ს მ კ უ ლ ე ლ ი (მატ. 23. 31), убийца.

მკული შემკული, განშვენებული, მოკაზმული, украшенный.

მკურივი სავსე და გატენილი, თვნიერ ფულუროებისა, плотный, массивный.

მკურნი კევი ხეთა და მკურნალთაგან ნაწველი სუნნელი, რიტინე (დაბად. 37, 25 და 43, 11), ритина.

მკურნალი დამცველი, ანუ განმარინებელი სენთაგან სამკურნალოთა მიერ წამალთა (ფსალ. 87, 10; მატ. 9, 12; ლუკ. 4, 23), врач, лекарь.

მკვდრი, მკვდრობა და სხ. ნახე მკვიდრი.

მკვრცხე მშვენიერი, სათნო სახიერი, ტურფა (გამოს. 2, 2), лепый (საქმ. 7, 20), угоден (ებრაელ. 11, 23), красен, прекрасный, милый.

მკვრცხლი კისკასი, მორბედი, ანუ ფრხივქვეითი (მატ. 14, 13; მარკ. 6, 33), пеший, пешеход.

მლაშე მარილიანი, გარდამეტებით დამარილული, соленый. // მ ლ ა შ ე ს ი ს ხ ლ ი, ე. ი. წამხდარი. თ. ჭარამ [არაბ.], испорченная кровь.

[მლაშება]

მლევანი ვითარი, ე ს ე მ ლ ე ვ ა ნ ი, ესე ვითარი (იერემ. 51, 19), таков.

მლეწავი მლეწველი (მეკალოვე ნახე) (1 კორინთ. 9, 9), молотящий.

მლიერი ნალევა, გალეული, თხელი, ჭანი, სიფრიფანა, тонкий, тощий.

მლმობელი გულისშემატკივარი.

მლოცავი ლოცვის მოქმედი, молельщик, поклонник.

მლოცველი იგივე, ანუ დამლოცავი, მაკურთხეველი, богомолец.

მლტოლვარე გაქცეული, მეოტი (ისაი. 10, 18), бегущий.

მლხინებელი მშველელი, ლხინების მომცემი.

მმარხველი მარხვის აღმასრულებელი, постник.

მმეფობი მეფედ მჯდომი (იერემ. 33, 21), царствующий.

მმიობი მბრუნავი, იქცევისი (ეზეკ. 1, 13), обращающийся.

მმოსელი შემმოსელი, ტანთ ჩამაცმეველი.

მმურკუნელი მთეთრობელი (მარკ. 9, 3), белильник, белильщик.

მნა, მნახი ოქროსა ანუ ვეცხლის წონა, ახლანდელის გირვანქის ოდენი (ლუკ. 19, 13), мнас, фунт; რამეთუ ძველად დათულის მაგიერ, მიუწონდენ საფასეთა ურთიერთსა (ნახე საწონთან).

მნათე ერის კაცი, ამანთებელი სანთელთა და კანდელთა ეკლესიასა შინა და მოფარდული მათი, староста церковный. ს. მგლდგსი.

მნათობი ზეციერი სხეული, მომფენი ნათლისა, ვითარ მზე, მთოვარე, ცთომილნი და სხუანი ვარსკულავნი (დაბად. 1, 14 და შემდგომი), светило. // ზოგჯერ მიეწერების ჩინებულთა კაცთა (ვეფხისტ. 6).

მნე მოხელე, განმგებელი მიჩენილი რასმე ზედა მეურნედ (ლუკ. 16, 1), приставник, управитель (რომაელ. 16, 23 და 1 კორ. 4, 1), домостроитель, иконом, казнохранитель.

მნებებელი მნდობი, ანუ ნების დამრთველი, ჯერმჩინებელი.

მოაბა, მუაბა საქუმელი, ტახტრევანდი, ქეჯაო, კიდობანი, ანუ კუბო, носилки.

[**მო** ნ. მესავალი ამის ასოსი).

[**მოადგილე** местник].

მოადი მოდავე, მოცილე, соперник.

[**მოალისფერო**]

[**მოამბე**]

მოასპარეზე ასპარეზში მოთამაშე (ვეფხისტ. 68).

მოალხარებე მეალსარებე ნახე.

მოახლე, მუახლე შიმუნვარი, მხევალი, გოგო მხლებელი, служанка, прислужница, горничная. // თანად-მხლებელი, ამხანაგი (ვეფხისტ. 44, 724).

მოახლება იგივე 1 და 2 პირისადმი, რამეცა მე-3-დმი მ ი ა ხ ლ ე ბ ა (ფსალ. 26, 2; მატ. 3, 2), приближаться.

მოახლედ ახლოდ, ახლოს, მახლობელ (ეზეკ. 10, 9 და 23, 12), близь, близко.

[**მოახს** მოს. 5, ვ. ს.].

მოაჯარი კანკელი, ლანძვი, перилы, решетка.

მობაგული გაფიცრული, დაზღვეევებული (ეზეკ. 41, 15), доски постланы.

მობავთე ღაღადისი, სამწუხაროს მოამბე (ნახე ბავთი).

მობაძავი მსგავსი, მცდელი სხჳს მიმსგავსებისა, подражатель.

მობეგრე ბეგრის გამღები, податной, окладной.

მობერვა (მოჰბერავს) ქარის ქროლა, მოდენა (საქმ. 2, 2), дуть, дыхание. // ღვთის მიერ ზეგარდამო მოვლენა შინაგანის მოგონებისა, ანუ მადლისა (ჩახრუხა. 80), вдохновение.

მობირება (მოეიბირებ) მონადირება, მოზიდვა თჳსს კერძად, уловлять, привлекать на свою сторону.

მობლარდნა (მოვბლარდნი) შემოსვა, შეხვევა, გარემოდება (ეზეკ. 27, 7), облекать, обложить, -ся.

მობმა (მოვაბამ) ზედ მიკურა, привязывать, связывать. // (მოიბამს) მცენარეთაგან ხილის გამოღება. მრავალთათჳის ითქმის მ ო ს ხ მ ა, დ ა ს ხ მ ა.

[**მობოკლვა** ნ. ბოკლვა].

მობოჰვა (მოვბოჰავ) შეპყრობა, დაპერა, ხელთ გდება, хватать, захватывать, прибирать в руки.

მობრუნება (მოვაბრუნებ, მოვბრუნდები) წალმა მოტრიალება, მოქცევა (ვეფხისტ. 1299, 1342), поворачивать, возвращать, -ся, ხოლო უკუღმა ითქმის მ ი ბ რ უ ნ ე ბ ა (იქ ნახე).

[**მობრწყინვა**]

მობურთალი ბურთის მოთამაშე, მოასპარეზე (ვეფხისტ. 20).

მობუზვილი დაღონებული, დაფიქრებული, შეწუხებული, скучный, невеселый, задумавшийся.

მობღუნძვა (მოვბღუნძავ, მოვიბღუნძები) მოკეცა, მოკუმშვა.

[**მობძანება**]

მოგარებული გარემოვლებული (ეზეკ. 43, 17), окружающий.

[**მოგდება**]

მოგება (მოვიგებ) მოფარდულობით და აღებმიცემით შესამატის შოვნა (ვეფხისტ. 1057), получать барыш, прибыль. // შრომითა, ანუ საფასითა მოპოვება, შოვნა რისამე (ფსალ. 73, 2 და 77, 54; მატ. 10, 9; საქმ. 1, 18), стяжать, приобретать. // თამაშობითა, ანუ სანაძლეოთი შეპირებულის მიღება, выиграть игру, или заклад. // მ ო გ ე ბ ა 1 და 2 პირისადმი იგივე, რამეცა 3-დმი მ ი გ ე ბ ა პასუხისა (იქ ნახე). // (მოიგებს) ე. ი. შობს გინა მოშენდების. ითქმის შინაურთათჳის ხვასტაგთა, ვითარ ფურმა ხბო მ ო ი გ ო და სხ. корова отелилась.

მოგებება 1 და 2 პირისადმი იგივე, რამეცა 3-დმი მ ი გ ე ბ ე ბ ა (მარკ. 5, 2; ვეფხისტ. 678), встречать.

მოგერება (მოვიგერებ, მოვუგერებ) გარეკა მწერთა მარაოთი, обмахивать, разгонять мух. // ხელის გამოღება მტერთა ზედა, განდევნა საჭურველითა, защищать, -ся.

მოგვარება (მოვაგვარებ) გაკეთება რისამე გვარიანად, ხერხიანად (ვეფხისტ. 109, 226), сделать искусно, удачно.

მოგვერდის კჟრა პიდილში გვერდის კჟრა დასაცემად.

მოგზაური მგზავრი, გზას მიმავალი. თანამეგზავე (ლუკ. 2, 44), дружина, попутчик, спутник.

მოგლა (მოვჰგლი) მოკლეშა, ანუ დაკაწრვა, დაძეწკვა // მოფშჟნეტა, ანუ დაცეხვა (რიცხ. 11, 8). толочь.

მოგლეჯა (მოვჰგლეჯ) მოხევა, მოშორება, მოკრეფა. оторвать, отодрать.

მოგობა, მოგჟობა გრძნება, ანუ მისნობა (შავთ. 102), волшебство, магия (ნახე მაღი).

მოგონება (მოვაგონებ, მამაგონა) გახსენება, თქმა საქმისა, напоминать, припоминать (кому о чем). // (მოვიგონებ) თჳთ თავით თჳსით მიხდომა, ანუ ალხსენება (ვეფხისტ. 902, 910). вспоминать, догадаться. // მოპოვება, შემოღება რისამე (შავთ. 78), изобретать, придумать. [მოვუგონებ ცილს, веплетывать].

მოგრემლვა, მოგრემლება (მოიგრემლნა) პირის მორთვა საცხებელითა (4 მეფ. 9, 30), намазать лицо (ნახე გრემლობა და საგრემელი), ხოლო დაბეჭდილს დაბადებაში ც ხ ე ბ ა სწერია (ამგჟართათჟის თქმულ არს შესავალსა შინა).

[**მოგრეხა** ნ. გრეხა]

მოგროვება (მოვაგროვებ, მოვგროვდები) შეკრება, მოქუჩება, собирать, сбирать, -ся.

მოგჟრა (მოვჰგჟრი) მოყჟანა ერთისა, ანუ მრავალთა, და 3 პირისადმი ითქმის მ ი გ ჟ რ ა, არამედ მრავალთათჟის საკუთრად არს მ ო ს ხ მ ა (მატ. 4, 24 და 8, 16, კჟალად 12, 22 და 17, 16 და შემდგომი, კჟალად 19, 13; მარკ. 10, 13 და 11, 2), приводить, приносить.

მოგჳ მეცნიერი, ანუ ვარსკჟლავთმრიცხველი (მატ. 2, 1, 7), волхв, мудрец. // გრძნეული, მისანი (ნახე მოგობა, დამალი) (საქმ. 13, 8), волхв, волшебник.

მოგჳ ხამლი, ყელმაღალი ფეხსაცმელი, ჩექმა, сапог.

მოდა, მოდი ჩანახი ძველებური, რომელიც შთაიტევდა ასს კვერცხსა (ნახე სატა და საწყაო), гарнец.

მოდავე ნახე მოადი.

მოდავითნე (ნახე მედავითნე).

[**მოდარბაზე**]

მოდასხე დასხისაგანი (შავთ. 58).

მოდგმა (მოვადგამ) ზეიდამ დადგმა, ანუ მოშენება. надстанавливать, надстраивать. // (მოსდგამს) გჟარად აქჟს, სჭირს, ანუ სდევს, свойственно.

მოდგმა გჟარი ცხოველთა, ნათესავობა, порода.

მოდგომა окружать.

მოდება (მოვსდებ, მოედების) მოკიდება, მობმა, зацеплять, -ся. // ცეცხლის წაკიდება (ვეფხისტ. 13).

მოდედება (მოვადედებ, მოდედდების) ცომის გალვივება, исквашивать, заквашивать тесто.

მოდევნება იგივე 1 და 2 პირისადმი, რამეც 3-დმი მ ი დ ე ვ ნ ე ბ ა (იქ ნახე), [მოსდევს უბედურობა, сопровождать].

მოდენა (მოდის) დენა, სლვა წყალთა, ლაშქართა და მისთანათა მრავლობით.

მოდი საწყაო ჩანახის ოდენი (ნ. საწყაოსთან).

მოდიდება (მოდიდდების) მდინარის მომატება, разливаться, разлитие реки.

[**მოდიდო**]

მოდრეკა (მოვსდრეკ, მოვსდრკები) მოხრა, მოკაკვა (ფსალ. 17, 9 და 118, 36, კჟალად 143, 5), приклонять, -ся. // მობირება, თანახმად შექმნა, склонять, -ся.

მოედანი ნახე მეიდანი (ვეფხისტ. 20, 68).

მოერთება იგივე 1 და 2 პირისადმი, რამეც 3-დმი მ ი ე რ თ ე ბ ა.

მოერქჟნა (მოვერქჟნი) მოხნვა ერქჟნითა (ნახე ერქვანი), щорать.

[**მოეძევება** ნ. დება].

მოვალე ვალის ამღები და ზოგჯერ უხმობენ მიმცემსაც.

მოვახხე, მოვახშე მოსესხე, ვალის მიმცემი (ისაი. 24, 3), ростовщик, заимодавец.

მოვეცხლული ვეცხლით დაფარული (ისაი. 30, 22), посеребреный.

მოვლა (მოვვლი) გარეშემოვლა, ანუ სრულად განვლა (მატ. 4, 23; საქმ. 17, 1), обходить, проходить. // (მოუვლი) პატრონობა, ზედამხედველობა, შენახვა, ухаживать, присматривать, содержать. // მ ო უ ვ ლ ი ს ს ე ნ ი აეშლების, ანუ საცნაურს დროს მოვალს ტკივილი, находить болезнь, припадок.

მოვლენა, მოვლინება (მოვავლენ, -ვლინებ) მოგზავნა, წარვლენა, მივლენა (მატ. 11, 2; ფსალ. 19. 2), посылать (კჟალად ფსალ. 7, 10 და 87, 7), наводить.

მოზავება (მოეზავების) შეფერება, შეხამება, შეზავება, მოწდომა, приличествовать, поладить.

მოზაიკა საროთი, სოფიას კენჭით ნახატი, мозаика.

მოზარდი ორძილოვანი, ორძილობით მმატები, растущий, растительный.

მოზარდობა ბუნებითი ძალი ორძილობისა, растительность.

[**მოზდა**]

[**მოზევა** ნ. მოზიდვა]

მოზელა (მოვზელ) ხელით თელვა, დაზელა რბილისა რისამე, ვითარ ცომისა და სხ., мять.

მოზვერი (ოთხფ.) ახალგაზრდა ხარი (ნახე ზროხასთან), молодой бык.

მოზიდვა იგივე 1 და 2 პირისადმი, რამცა 3-დმი მ ი ზ ი დ ვ ა. // კჳალად მ ო ზ ი დ ვ ა მოხრა, მოზევა, მოწევა მშვილდისა, натянуть лук.

მოზიარე მოწილე, მონაწილე, თანაზიარი, წილის მქონე, участник. // საზიარებელი, მიმღები წმიდათა საიდუმლოთა, причастник.

მოზლვა, მოზლვევა იგივე 1 და 2 პირისადმი, რამცა მ ი ზ ლ ვ ე ვ ა 3-დმი (ვეფხისტ. 570).

მოზღუდვა (მოეზღუდავ) გარემოზღუდვა (ნახე 2 სჯული. 9, 1; იობ. 1, 9), ограждать.

მოზღურე მოსამძღურე, მემიჯნავე, მახლობელი, მეზობელი (იერემ. 49, 18), сосед.

მოთავსება (მოვთავსდები) თანხმობ.ით ცხოვრება, მოზავება, уживаться, поладить.

მოთაკილე თაკილის მქონი, ადვილად მგრძნობი უზდელობისა და სხ., щекотлив.

[**მოთამაშე**]

[**მოთვლა**]

მოთემე თემის მოხელე, тиун.

მოთიბვა (მოვსთიბავ) მომკა ბალახისა სათიბელითა, косить, скашивать.

მოთმენა (მოვითმენ) მოჳირვება, გაძლება, დათმენა, დათმობა, терпеть, сносить.

მოთმინება უდრტჳნველად თავსდება ჭირთა, განსაცდელთა და სხ. (ლუკ. 21, 19), терпение.

მოთნე მესათნოვე, პირფერობით მასიამოვნებელი (ნახე კაცთამოთნე).

მოთოხნვა (მოვსთოხნი) მოთხრა, დაბარვა თოხითა მტილთა და ვენახთა (ისაი. 5, 6; ლუკ. 13, 8), копать.

მოთრევა ნახე მითრევა.

მოთრეული მხალი შორშორად მგბარი ნიგჳზით.

მოთუთქვა (მოვსთუთქავ) მცირედ მოხარშვა მდუღარეში გავლებით, ანუ თუთქში ჩაფლვითა.

მოთქმა (მოვსთქჳამ) გოდება, საგლოველის ხმით მბობა, თქმა რისამე (ვეფხისტ. 221), оплакивать. // ანუ შაირი, მოთხრობა, петь, воспевать что стихами.

მოთხე მცირედ თხელი, тонковатый.

მოთხვითი, მოთხვილი მოოთჴეილი, ოთხკუთხი (2 ნეშტ. 34, 11; გამოს. 27, 1), четвероугольный.

მოთხოვა (მოვითხოვ) შეკვეთა, თხოვა ბრძანებით (ლუკ. 1, 63), требовать, потребовать. // შოვნა რისამე მრავლობით აქა-იქ თხოვნით, выпрашивать.

მოთხრა (მოვსთხრი) მიწის თხრა, დათხრა (ნახე ამოთხრა).

მოთხრობა (მოვუთხრობ) ზეპირად, ანუ წერილით თქმა საქმეთა (ფსალ. 18, 2; ლუკ. 1, 2), возвещать, сказывать.

მოთხრობა დაწერილი ამბავი, მოკლე ისტორია რომლისამე შემთხვეულებისა, повесть, сказание, анекдот, записки.

მოთხრობათმწერალი მეისტორიე, მემატიანე, деописатель, историограф.

მოთხრობითი ბრუნვა ღრამმატიკულად იხმარებიან სახელნი უფალნი ზმნათანი სრულთა დროთა შინა, сказательный падеж.

მოიხარი ისართ მესროლი მშვილდითა (1 მეფ. 31, 1; ფსალ. 77, 9), стрелец, стреляющий луком.

მოკაზმა, მოკმაზვა (მოვჰკაზმავ, მოვჰკმაზავ) მორთვა (ნახე კაზმა), убирать (ვეფხისტ. 1064).

მოკაზმულობა მორთულობა საჭურველითა (ვეფხისტ. 398).

მოკაკვა (მოვჰკაკვავ) მოხრა, მოკეცა, сгибать.

მოკალვა (მოვჰკალავ) კალის წასმა (ნახე კალვა), лудить, полудить.

მოკამათე მოპირდაპირე, პირისპირ მდგომი, ანუ მოცილე (ვეფხისტ. 669; შავთ. 58), соперник.

მოკაფვა (მოვჰკაფ. -ფავ) მოჭრა ბუჩქნართა, ანუ შტოთა ხეთასა (მატ. 21, 8; მარკ. 11, 8), резать, срезывать.

მოკდომა (მოვჰკჳდები) სულის განტევება (იოან. 11, 14, 25), умирать.

მოკვეთა (მოვჰკვეთ) მოჭრა, მოკაფვა (მატ. 3, 10 და 18, 8; მარკ. 6, 16, 18), посекать, отсекать, срубать. // (მოვიკვეთ) დატევება

ცუდის ზნისა ან ჩვეულებისა, перестать, оставить дурную привычку, отвыкать.

მოკვეცა (მოვჰკვეც) მოკრეჭა თმათა, стричь, остригать. // მოკლუნვა სანთლისა, снимать со свечи.

მოკიდება (მოვჰკიდებ, მოვეკიდები) აკიდება, ანუ მობოჯვა, დაჭერა, захватывать, зацеплять, -ся, ღვინო მოეკიდა. // ცეცხლის მოკიდება (მოვუკიდებ, მოეკიდება), მოდება, აგზება, пожар. // წურბელის მოკიდება, დასმა საწოვნელად სისხლისა, пропускать, приставлять пиявок, მოვჰკიდებ ხელს.

მოკითხვა (მოვიკითხავ) ნახვის დროს მიალერსება, თავაზიანად დახვედრა (ლუკ. 1, 40 და შემდგომი), приветствовать, кланяться. // მოთხოვნა, გამოძიება სხვათაგან, спрашивать, требовать, изыскивать.

მოკირვა (მოვჰკირავ) განგოზა კირით ან ფისით, მოფისვა (დაბად. 6, 4), посмолить.

მოკლე არა გრძელი (ვეფხისტ. 19), короткий (და 1080), кратковременный.

მოკლება (მოვაკლებ) წართმევა, მიხდა ანუ დაკლება, лишать, прекращать. // (მოიკლებს, მოაკლდების) შემცირება, დანაკლულება (ფსალ. 11, 1), умаляться, убывать (კუალად 9, 6 და 54, 11), оскудевать (კუალად 30, 10 და 67, 2), исчезать.

მოკლერტვა (პირს უკლერტავს) გაუგემურება.

მოკლვა (მოვჰკლავ) მოკუდინება, სიცოცხლის მიხდა (ფსალ. 9, 28), убивать (და 36, 14, 32), заклать, умерщвлять.

მოკმაზვა ნახე მოკაზმა, მოკმაზულობა.

მოკრება (მოვჰკრებ, მოვიკრიბები) შორიელთა ახლოდ მოგროვება, собирать, -ся, сходиться, [ბაგეთ მოკრება, жимать рот, губы].

მოკრეფა (მოვჰკრეფ) მოსთულება ხილთა და მოსავალთა, მოგლეჯა (ვეფხისტ. 867), собирать, срывать.

მოკუდავი მკდოვანი, სიკუდილის ქვემდებარე (ვეფხისტ. 872), смертный.

მოკუდინება (მოვაკუდინებ) მოკლვა, умерщвлять.

[მოკუმშქა]

მოკუნტვა (მოვჰკუნტავ, მოვიკუნტები) მობღუნძვა, მოკუმშვა.

მოკურა (მოვაკრავ, მოვჰკრავ) შთასადებელთ პურპელთ პირის მოპირება. // თუალის მ ო კ უ რ ა, ხელის მ ო კ უ რ ა, ე. ი. უეცრად მოხედრება.

მოკუფხლვა მოკრეფა, ვიდრე კუფხლებადმდე (იერემ. 6, 9), обирать.

მოლაზონი, მოლოზანი (ნახე მონოზანი).

მოლალვა (მოვლალავ) მორეკა, მოსხმა, მოლალვა, пригонять.

მოლალე ფეშფოთარი.

მოლანდება (მომელანდების) თვალთა წინ აზანდად [ანაზდად?] მოჩვენება რისამე, призрак.

[მოლაპარაკე]

მოლარე სალაროს მნე, ხაზინადარი (ვეფხისტ. 103, 316), казначей, хранитель сокровищницы.

მოლარეთუხუცესი უპირველესი მოლარე, მეპურპლეთუხუცესი.

მოლაშქრე მებრძოლი, მეომარი, воин.

მოლაშქრება (მოვილაშქრებ) ბრძოლად მისლვა (ისაი. 31, 4), воевать.

მოლბობა (მოვალბობ) დარბილება, ანუ მომდოვრება, დაშოშმანება, смягчать. // კბილის მოჰრა (ოსე. 4, 6), оскомина.

მოლევა (მოვლევ, მოილევის) ალევა, ალსპობა, переводить, истреблять.

მოლექსე ნახე მელექსე.

მოლი შავი წამოსასხამი ღართიკით (ვეფხისტ. 1266).

მოლი, მოლოქი ახალი ბალახი, ალერდი (ბალ.) (იობ. 24, 24), злак.

მოლიდი მოგოლი, მონგოლი ნათესავით (შავთ. 79 და ქართლის ცხ. ნოინთათჳის), могол.

მოლოდება (მოველი) მომავლისა რისმე გულვება, სასოება (ფსალ. 54, 8; მატ. 11, 3; ლუკ. 2, 25, 38), чаять, ожидать.

მოლოდინი (მოველოდები, მოველოდინები) იგივე, ანუ მოცდა (ვეფხისტ. 257, 630, 634, 896), ждать, повременить.

მოლოცვა (მოვილოცავ) მისლვა სალოცავად წმიდათა ადგილთა, ходить на поклонение ко св. местам. // მ ო ვ უ ლ ო ც ა ვ იგივე 1 და 2 პირისადმი, რამცა 3-დმი მ ი ლ ო ც ვ ა.

მოლხენა (მოვილხენ) გამხიარულება (ვეფხისტ. 51), развеселяться.

მოლხინე მხიარული, შვების მქონი (მატ. 10, 15; იაკობ. 5, 13), веселый, отрадный.

მომადლება (მოვმადლებ) იგივე 1 და 2 პირისადმი, რამცა [3-დმი] მ ი მ ა დ ლ ე ბ ა.

მომადრიელება (მოვიმადრიელებ) მოზიდვა ვისიმე თჳსს მხარეს, привлекать, располагать кого в свою пользу.

მომავალი მოსლჳს მგულვებელი, მოსასლველი (ფსალ. 70, 18; მატ. 3, 7 და 11, 3), грядый, идущий, будущий.

მომართ ნახე მიმართ (ლუკ. 2, 15), к, ко, [от. с).

მომართვა (მოვმართავ) გასწორება, გამართვა, поправлять, настроивать.//საათის გაწყობა მისს დროს, რათა განაგრძოს მუშაობა, заводить часы.

მომატება (მოვუმატებ) ზედა დართვა, შეძინება, მიმატება, прибавлять.

მომგები ხელობითა, ვაჭრობითა და სხვაგვარის შრომით სარჩოს მშოველი, имеющий промысл чем либо. // მეზვი, მშობელი ხვასტაგი, არა ბერწი, ვითარ მომგები ფური, ცხუარი და სხ.

მომდოვრება (მოვამდოვრებ) დამშვიდება, დაშოშმანება (შავთ. 57), усмирять, укращать.

მომდურება (მოვიმდურებ) მიზეზის მიცემა დასამდურავად (ვეფხისტ. 752).

მომედგრება ، (მოემედგრდები) დაზარმაცება, დახსნილობა (იერემ. 8, 9), поймапу быть, оплошать.

მომვლელი მოურნე.

მომზადება (მოვამზადებ, მოვემზადები) გამართვა, მოხოხმიკება, მზად შენახვა (გამოს. 27, 19), устроепие (მატ. 26, 17), уготовлять, приготовлять, -ся.

მომზღულევა (მოიმზღულევის) ჩამოწოლა ფლატისა ან კლდისა (ნახე ზულევა), обрушаться, обрываться.

მომთმენი, მომთმინო მოთმინების მქონებელი, терпеливый.

მომთურალე ლოთი, მიმდევი, დასათრობთა სასმელთა და მეტობით მხმეველი (მატ. 24, 49), пьяница.

მომკა (მოვმკი, მოვიმკი) მკა ნახე (ფსალ. 125, 5; მატ. 25, 24), жать, пожинать.

მომკალი სამკალის მოსავალთ მუშა (მატ. 13, 30 და შემდგომი), жатель, жнец.

მომკულება განშვენებულება, შემკულება (იერემ. 40, 13), украшение.

[მომკულელი]

მომოწაფება (მოვიმოწაფებ) მოგება მოწაფეთა, დამოწაფება (მატ. 28, 19), научать.

მომრგვალება (მოვამრგვალებ) სფეროდ შექმნა, сделать круглым.

მომსრველი მაკუდინებელი მრავალთა (1 კორ. 10, 10; ებრაელ. 11, 28), истребитель, губитель.

მომღერალი სიმღერათ მთქმელი ხმით (ვეფხისტ. 364, 712, 1067), песельник.

[მომწევა, მოიმწო ლაშქარი].

მომჭირნე მოღვაწე, მომთმენი ჭირთა.

მომხმარო მეხვაიშნე, თანაშეეწე, მეშველი, მშველელი, помощник.

მომხრე, მომხრო მოსარჩლე, მისს მხარეს მდგომი, защитник чьей стороны.

მონა ყმა, ანუ მხლებელი მსახური (ფსალ. 18, 11 და შემდგომი, 68, 17; მატ. 8, 6, 9 და 10, 24), раб, отрок, слуга (ვეფხისტ. 1219).

მონაგარი, მონაგები შრომით ნაშოვნი ქონება, სარჩო (ფსალ. 77, 48; მატ. 19, 21 და შემდგომი), имение, стяжание, пожитки.

მონადირე ნადირთ მდევნელი და შემპყრობი (ფსალ. 123, 6; იერემ. 16, 16), ловец, охотник, звероловов, птицелов, рыболов и пр.

მონადირება (მოვინადირებ) ნადირთ შეპყრობა, დაჭერა, ловить дичь и пр. // შეცთუნება კაცისა, მობირება (ფსალ. 58, 3; მარკ. 12, 13), уловлять.

[მონავარდე]

მონავარი, ონავარი (მწერ.) დიდი ფუტკარი, шершень.

მონაზონი ბერი შავოსანი, კაცი მოწესე, მემხოლოვე, монах, инок, *μοναχός, μονάζων*.

მონაზონა, მონოზანი, მოლოზანი ენკრატისი, დედაკაცი მოწესე, монахиня, инокиня, *μονάζουσα*.

მონათლვა (მოვნათლავ) ნათლისცემა (მოვინათლები), ნათლისღება, крещать, крестить, -ся.

მონანული შემნანებელი ცოდვათა თჳსთა, кающийся.

მონასტერი სამხოლოვე, სავანე მონაზონთა, უდაბნო, монастырь, *μοναστήρι*. ს. ვანქ.

მონატრე მოსურნე, ნატურის მოქმედი.

მონაღვაწი მონაგარი, ღვაწლით ნაშოვნი, пожиток.

[მონაცვალე ნ. მაგიერი].

მონახვა (მოვნახავ) მოძებნა (ვეფხისტ. 115, 502), поискать. // მოხილვა.

მონება (ვმონებ) მონის მსახურების აღსრულება (ფსალ. 2, 11 და 21, 29; მატ, 6, 24), работать, служить (ვეფხისტ. 6). // მდგომარეობა მონისა (კირთება ნახე), рабство.

მონეთი გუარი ფულისა, ვითარ ოქრო, ვეცხლი, შავი ანუ ქაღალდი, монета, *μονέδα*.

მონივთული კამარად შექმული (იერემ. 22, 14), свод.

მონიო მდოვრე ადგილი მდინარეში (ნახე წყალთან).
მოოქროვილი ოქროს ფერცლით დაფარული, გულქანდებული (ისაი. 30, 22), позлащенный.
მოოჭვა (მოვოჭავ) მოთვალვა, შემკობა თვალმარგალიტით.
მოოჭვილი მოთუალული, თუალ-მარგალიტით მოსილი, осыпанный дорогими камнями. თ. მურასა [არაბ.].
მოოხრება (მოვაოხრებ) დაქცევა, აკლება, აოორიაქება (ფსალ. 78, 7; მატ. 12, 25), опустошать, разорять.
მოპარვა (მოვიპარავ) ქურდობით აღება და დამალვა (დაბად. 31, 19), украсть.
მოპატიჟე სტუმართ მოსაწვევად გაგზავნილი.
მოპატიჟება (მოვიპატიჟებ) მოწვევა, მიწვევა, მიხმობა, приглашать.
[მოპირდაპირე]
მოპიტალებული პიტალით მოსილი, ანუ განგოზილი (იგავ. 21, 9), повапленный.
მოპოვება (მოვიპოვებ) მოგება, შოვნა (ფსალ. 35, 2; ლუკ. 21, 19), обретать, приобретать, стяжать. // მოგონება, შემოღება (შავთ. 102), изобретать, заводить.
მოჟამნე ჟამნის წამკითხველი ეკლესიაში, чтец часослова, псаломщик.
მოჟღუნვა (მოვჟღუნავ) ნამწვის პატრუქის მოკვეცა სანთლისაგან ჟღუნით, снимать со свечи.
მორბედი მორბენალი, სირბილით მიმავალი, бегун. // მარდი, проворный.
მორბევა (მოვარბევ) სოფელთა და თემთ აკლება, ограблять.
მორბენა (მოვირბენ) იგივე რაიცა მ ი რ ბ ე ნ ა 3 პირისადმი (მარკ. 5, 6), прибежать.
მორგვ ურმის თუღლის საშუალი რგუალი კუნძი, ступица.
მორევა (მოვურევ) აღრევა კოვზით, ციცხვით და სხ., размошивать.
მორევი მდინარის ნაპირს ხმელად შესული წყალი ღრმად (ნახე წყალთან) (ფსალ. 68, 15), залив реки, вир.
მორევნა (მოვერევი) დაძალვა, დაჰარბება ძალითა, დაჩაგრვა (ვეფხისტ. 204), одолевать, пересиливать, брать верх.
მორეკა (მოვრეკ) მოლალვა, მოსხმა მრავალთა ხვასტაგთა, пригонять.
მორეწა (მოვირეწ) მოგება, აღება სამუშაოსი ან ხელოვნებისა, промышлять, иметь, промысел, барыш.
მორთვა (მოვრთავ) მოკმაზვა, მომზადება, განშვენება, убирать, наряжать, -ся.
მორთვა (მოვერთვი) მოერთება (ნახე მიერთება) მოერთუნენ, ე. ი. მოერთდენ (ქართლის ცხ.), присоединяться.
მორთმევა მიღება, მოტანა (ნახე მირთმევა), 3 პირისადმი (მატ. 14, 11, 18; მარკ. 12, 15 და შემდგომი), приносить.
მორთხმა (მოვირთხამ) მშვილდის მოზევა (იერემ. 9, 3), натянуть.
მორთხმული მოზეული, გაჭიმული (ოსე. 7, 16), напряженный.
მორი ბოკო ხე, მონაჭერი კუნძი, отрубок дерева, пень.
მორიგე რიგით საქმის აღმასრულებელი, როს ჯერი შეხუდება, чередовой, дежурный.
[მორიგება მოვრიგდებით].
მორიდალი ფრიად გაფრთხილებული კაცთა წყენისაგან, деликатный, убегающий повода беспокоить кого.
მორიდება (მოვერიდები) განლტოლვა ცუდისა ან საშიშისა რისგანმე.
მორიელი (მძრ.) ღრიანკალი, скорпион.
მორინე, მორინი სამღერელი, სათამაშო ფულის წაგებები, ნარდი, ჭადრაკი, игра (азартная). თ. ყუმარ [სპ.]; ქაღალდი, განჯაფა და მისთანანი; მ ე მ ო რ ი ნ ე მოთამაშე მათი და ს ა მ ო რ ი ნ ე, სადაც თამაშობენ.
მორკინალი მოჭიდარი, მოჭიდავე, борец.
მორფი სახე, ნაკვეთი, ანდაზა (შავთ. 60,106), форма, *μορφή*.
მორქინალი რქით მცემელი, მრჩოლელი ხვასტაგი (გამოს. 21, 28—29), бодливый.
მორჩენა (მოვარჩენ, მოვერჩები) გამოხსნა, განრინება ჭირისაგან ან უბედურებისა, избавлять, спасать, -ся.//განკურნება სნეულებისგან, выпользовать, вылечить, -ся. //(მოვრჩები) გათავება საქმისა, მუშაობისა, кончить дело, работу.
მორჩი (ხე) ბაბილო (ნორჩი ნახე) (ეზეკ. 19, 10; ჩახრუხა. 39), отрасль.
მორჩილება (ვმორჩილებ, ვემორჩილები) აღსრულება ნებისა ანუ ბრძანებისა უაღრესთასა (საქმ. 5, 29; ვეფხისტ. 15, 50), повиноваться, покоряться, слушаться.
მორჩილი უაღრესთა ნების აღმასრულებელი. // მარჯვე, მსუბუქი, მომცრო (ნივთი), покорный, послушный, легкий, ловкий.
მორცხვი მკრთალი, ფრიად სირცხვილის მქონე, стыдливый.

მორწმუნე სარწმუნოების აღმსარებელი (1 კორ. 7, 15 და 2: ტიმოთ. 2, 2), верный, верующий.

მორწყვა (მოვრწყავ) მიგდება წყალთა დათესილსა მოსავალსა ზედა, ანუ დასხმა მისი მტევერიანთა ადგილთა ზედა (1 კორ. 3, 6), поливать.

მორჭმა დოვლათი, სახელოვნება, დიდება, სიმდიდრე (ვეფხისტ. 309 და 458), слава, могущество, величие.

მორჭმული დოვლათიანი, სახელოვანი, ჩინებული (მუნვე, 32, 291, 409), могущественный, знаменитый.

მოსა ნახე მოსვა.

[**მოსაკვეცი** ნ. მოკვეცა].

მოსარები ადგილი მოსაქცევი, მოსაბრუნი, поворот.

მოსაგრე მოგარევე, მოლაშქრე, მებრძოლი (ნახე თანამოსაგრე და საგრობა).

მოსადგურე ნახე მესადგურე (ვეფხისტ. 1082).

მოსავალი მიწისა და ხეთაგან მოცემული ნაყოფი, урожай. // შემთხვევა საბედნიერო, ანუ საუბედურო, случай, приключение, удача.

მოსავი მინდობილი, იმედნეული, მსასოებელი (ფსალ. 16, 7), уповающий.

მოსავსებული ჭურჭელი ზეთის დასასხმელი ბაზმაკთა ზედა (ზაქარ. 4, 2), чашица.

მოსაზრვა (მოვსაზრავ) დასაზრვა, ჰაზრით ანდაზის შექმნა, ანგარიში უწინარეს საქმის დაწყებისა, делать предначертание, соображать, план, расчот.

[**მოსაკითხავი** ნ. მოკითხვა].

მოსამართლე სამართლის მოქმედი, მსაჯული (ვეფხისტ. 32), судья.

მოსამსახურე მსახური, აღმასრულებელი სამსახურისა, слуга, служитель.

მოსამძღურე ნახე მესამძღურე.

მოსართავი უნაგირის მოსაჭირებელი ფართო თასმა, ანუ ქარშიკი ცხენის მუცელს ქვეშე გამოტარებით, подпруга седла.

მოსართება (მოუსართებ) მომარჯვება, ან მომატება, ზედდართვა (ვეფხისტ. 1289), приспособлять.

მოსარჩლე მომხრე, ვაქილი, სხვს მაგიერ მოჩივარი, მოლაპარაკე, заступник, стряпчий, [вступник].

მოსაქმე სხვათა საქმის გამარიგებელი, მაგიერი, агент, доверитель, поверенный. თ. ვექილ [არაბ.].

მოსაყოფელი ქლუნი მოსაწმენდი სანთლისა (გამოს. 25, 38), щипцы.

[**მოსახელე**]

მოსახლე მქონებელი სახლისა, მდგომი სადმე, მსახლობელი, житель, обыватель.

მოსაჯული ნახე წინა-მოსაჯული.

მოსევა ნახე მისევა.

მოსელი კოჭი, სართულის ძელი (ბარუქ. 6, 54), бревно.

მოსესხე მასესხებელი, მავასხებელი, ვალის მიმცემი (ფსალ. 108, 11), заимодавец; მაგრამ უფრო ჰგავს ვალის ამღებსა.

მოსვა (ვმოსავ, ვიმოსები, მმოსია) ჩაცმევა, ჩაცმა ტანისამოსისა (ლუკ. 16, 19; ვეფხისტ. 202), одевать, -ся.

მოსვენება (მოვასვენებ) პატივით მოტანა ხატისა, კუბოისა და მისთანათა, [მოსვენება სანთლისა, загасить свечу]. // (მოვისვენებ) დასვენება, განსვენება (ვეფხისტ. 581), успокоиться, отдыхать.

მოსთულება (მოვისთულებ) სთულის შესრულება, დაკრეფა ვენახისა, ანუ სხუათა ხილთა, собирать виноград и т. п. // შრომითა თჳსითა შოვნა, მოპოვება სახმარისა, მიღება პატივისა და სხ.

მოსისხლე ძვირის შემამთხვეველი, არა დამზოგველი სასიკუდილოდცა (ფსალ. 5, 6), кровожадный, смертельный враг.

მოსლვა (მოვალ) იგივე 1 და 2 პირისადმი, რამცა 3-დმი მისლვა (ფსალ. 65, 15; მატ. 2, 1), приходить.

მოსმა (მოვსვამ) მცირედ დალევა.

მოსმა (მოვუსვამ) გვერდით დასმა, დაჯდინება, сажать возле. // ბადის მოტარება მდინარეში თევზთ სანადიროდ.

მოსმენა (მოვისმენ) გაგონება, შესმენა (ვეფხისტ. 51), слушать, выслушивать.

მოსმური ღვინის მსმელი.

მოსპოლვა (მოსპობა, მოვსპობ) აღსპობა, აღხოცა, უჩინო ქმნა (ფსალ. 33, 16; ზაქარ. 9, 10; ლუკ. 1, 25), потреблять, отымать.

მოსრვა (მოვსრავ) დახოცა, მოწყვედა (მატ. 22, 7; ფსალ. 36, 9, 22, 34 და 43, 2), погублять, убивать.

მოსრულება (მოვასრულებ) აღსპობა, აღხოცა (იერემ. 44, 11; ფსალ. 17, 37 და 58, 12), погублять, расточать.

მოსტჳნვა (მოვისტუნი) განმსტრობა, დაზვერვა (ისუ. 7, 2), соглядать.

[**მოსურვება** მამასურვა].

მოსურნე მოწადინე, სურვილის მქონებელი, желатель.

მოსუსხვა (ნახე სუსხვა, დასუსხვა).

მოსწავება (მოვასწავებ) წინათვე გამოსახვა, ჩვენება ნიშნებითა, предзнаменовать.

მოსწრაფე მცდელი, მზა, მონდომილი (იაკობ. 1, 19), скорый, готовый, старательный.

მოსწრაფება ცდა, გულსმოდგინება, თავსგამოდება, старание, тщание.

მოსწრაფება (მოვასწრაფებ) აჩქარება, დაშურება, ускорять. // (მოვისწრაფი) გაშურება, სწრაფა, გაწევა, მიმართება (ვეფხისტ. 363), порываться, спешить, торопиться.

მოსწრობა, მოსწრება (მოვასწრობ, -რებ) დახელება, მისწრება, заставать, приспевать. // (მოვესწრობი, -რები) მიწევნა მოსალოდებელისა, дожидать.

მოსწრებული მოწიფული, ჰასაკოვანი, შეღერებული, взрослый. // სიტყვა მ ო ს წ რ ე ბ უ ლ ი, შესაბამად თქმული, მარილიანი, замысловатый.

[**მოსხეპვა** მონასხეპრი,-პვი, ვეფხისტ., ტუზ].

მოსხლეტა (მოვსხლეტ) მოშორება, მოცილება, მოგლეჯა, отрывать, отдалять, отнимать.

მოსხლვა (მოვსხლავ) გასხლვა ნახე (ისაი. 5, 6), обрезывать лозы.

მოსხმა (მოვასხამ) იგივე 1 და 2 პირისადმი, რაჲცა მ ი ს ხ მ ა 3-მდი.

მოსხმა (მოისხამს) იგივე მრავალთათჳს, რაჲცა მ ო ბ მ ა ერთისათჳს.

მოსხრეკა (მოვსხრეკ, მოვისხრიკები) მოხრა, მოკაკვა, сгибать, -ся.

მოტანა (მოვიტან) მოღება 1 და 2 პირისადმი, ხოლო 3 -დმი მ ი ტ ა ნ ა, приносить, доставлять.

მოტაცება (მოვიტაცებ) წართმევა, მიტაცება (ლევიტ. 6, 4), похищать.

მოტევა (მოვუტევ) მისევა, მიტევა (ვეფხისტ. 363), напускать, припускать.

მიტევება იგივე 1 და 2 პირისადმი, რაჲცა 3-დმი მ ი ტ ე ვ ე ბ ა (ფსალ. 24, 18 და 31,5), прощать, оставлять.

მოტეხა (მოვსტეხ) შემუსრვა, მომტჳრევა (ლევიტ. 1, 17), ломать, изламывать, отламывать.

მოტრიალება (მოვატრიალებ, მოვსტრიალდები) მობრუნება, поворачивать, -ся.

მოტყვება (მოვატყვებ) მოწევნა, მოხდენა, შემთხვევა, причинять, наносить.

მოტყუება (მოვატყუებ, მოვსტყუვდები) მოცთუნება, обманывать.

მოუბარი მოლაპარაკე, მოსაუბრე (ვეფხისტ. 32, 891). говорящий.

მოუთმინარი მოუთმენელი, ვერ მომთმენი, არა დამთმობი, нетерпеливый.

მოუთმენელი ვერ მოსათმენი, გაუსაძლისი, нестерпимый, несносный.

[**მოუნანებელი,-ბლობა**, ნ. მონანება].

მოურავი განმგებელი ქალაქისა, თემისა და უფროორე ელის ერთა (ვეფხისტ. 754), волостель, пристав, правитель.

მოურნე, მეურნე მნე, მიჩენილი მომვლელი, ზედამდეგი, მზრუნველი, попечитель, опекун, куратор.

მოუძლურება (მოვაუძლურებ) მოღალვა, ძალის გამოლევა, обессиливать. // (მოვუძლურდები) ძალის დაკარგვა (ფსალ. 9, 3), изнемогать.

მოუქნელი ტყავი უმუშავარი, необделанная, сырая кожа.

მოფარდაგვა (მოვჰფარდაგავ) ფარდაგებით მოფენა (ვეფხისტ. 326).

მოფარდული ვაჭარი (მატ. 21, 12; საქმ. 16, 14), торговец, продавец, продающий.

მოფარდულობა ვაჭრობა, торговля.

მოფარდულობითი რაჲსა მიმართობითი, ნაცვალცემითი, взаимный, относительный.

მოფენა (მოვჰფენ) გაშლა, დაფენა, постилать, устилать, [სულის წმიდის მოფენა, сошествие св. духа]. // იგივე 1 და 2 პირისადმი, რაჲცა მ ი ფ ე ნ ა 3-დმი (ვეფხისტ. 49), изливать (ფსალ. 35, 11), пробавлять, продлить.

მოფშუნეტა (მოვფშუნეტ) მოგლა, სრესით დაწჳრილება, тереть.

მოფხჳრა (მოვჰფხჳრი) მოგლეჯა ძირითურთ, აღმოფხჳრა, исторгать, искоренять.

მოქალაქე ქალაქის მოსახლე (ლუკ. 19,14), гражданин.

მოქალაქობა ღირსება მოქალაქისა (საქმ. 22, 28), гражданство. // ზნეობა, სწავლა საზოგადოობასა შინა ცხოვრებისა (ნახე პოლიტიკა), политика.

მოქარვება (მოვიქარვებ) გაფანტვა, განბნევა (ვეფხისტ. 881), рассеять.

მოქენე მვედრებელი, მთხოველი, требующий, нуждающийся (ქმნა, ჰქენო).

მოქენეობა (ვმოქენეობ) ნახე ქენება (იერემ. 36, 25).

მოქლეშა (მოექლეშ) მოგლა, დაგლა, დაგლეჯა ან დაძეწკა ხორცისა (რიცხ. 22, 25), прижимать.

მოქლონი რაც დასაკეტია (ნახე კლიტე) (გამოს. 26, 26 და შემდგომი; იონა 2, 7), затвор, запирка, замок, запор (კეალად ფსალ. 106, 16 და 147, 2; ბარუქ. 6, 17), заклепа.

მოქმედება წარმოება საქმისა (იონა 1, 8), деяние, действие.

მოქმედებითად იხილე ძალითად.

მოქმედებითი .ბრუნვა ღრამმატიკულად, творительный надеж.

მოქმედებითი საქმით გამოჩენილი, действительный.

მოქნა (მოვიქ) მოთელვა ან დარბილება ტყავისა და მისთანათა.

მოქრთამე ქრთამის ამღები, взяточник.

მოქუჩება (მოვაქუჩებ, მოვჰქუჩდები) მოგროვება, შეგროვება, შეკრება, копить, сбирать, -ся в кучу.

მოქცევა (მოვაქცევ, მოვიქცევი) მობრუნება (ფსალ. 22, 2 და 84, 1, კეალად 114, 6 და 125, 4), обращать, возвращать, -ся. //შეერთება სარწმუნოებისადმი (ლუკ. 1, 16 და შემდგომი), обращать, -ся в веру, исправлять.

მოქცევი მობრუნება ჟამთა და წელთა, ანუ მნათობთა ცისათა, ვითარ მზისა, მთოვარი[სა] და სხ. (ნახე ქ´კს), круг, кругообращение.

მოქცევი წყალთა ღელვა, ტალღა (ფსალ. 68, 3; ჩახრუხა. 59), бурд, волна.

მოღალვა (მოვღალავ, მოვიღალვი, -ლები) დაღალვა, დაქანცვა, მოქანცვა, утомлять, -ся, уставать.

მოღალატე ღალატის მოქმედი, მუხთალი (ვეფხისტ. 161), изменник.

მოღება (მოვიღებ) აღება, მიღება (დაბად. 2, 21), брать, взимать (იოან. 13, 4).// მიღება, გამორთმევა (მატ. 2, 12), принимать, получать. // მოტანა, წამოღება, приносить, переносить. // (მოვუღებ) მიხმა, მიხდა, წართმევა (მატ. 25, 28 და შემდგომი), брать, отбирать.

მოღერება (მოვუღერებ) გაშლა ხელისა, ანუ აღება მახვილისა, ჯოხისა და სხ. დასაკრავად, заносить, замахивать. // (მოვიღერებ) კეთილად პყრა ყელისა.

მოღვაწე მოჰირნახულე, მოურნე, მზრუნველი (რიცხ. 4, 16), надсмотритель, опекун. // მომჰირნე მხედარი, მოლაშქრე (2 ტიმოთ. 2, 3 და შემდგომი), вони, сподвижник.

[**მოღვაწება** (მოვიღვაწებ)].

მოღნიშული დუხჭირი, თვალად ცუდი, ღნიოში.

მოღორება (მოვაღორებ, მოვღორდები) მოცთუნება (ვეფხისტ. 428, 517, 657), прельщать, обмануть, -ся.

მოღუღვილი მობუზვილი, მოშლილი, დაღონებული.

[**მოყენება** ნ. მოდგმა].

[**მოყვინჩილება**]

[**მოყივნება**]

მოყრა (მოვჰყრი) მოგროვება, набрасывать, наваливать. // (მოვაყრი) ხელით მობნევა, посыпать // (მოვიყრები) ზომაზედ მოსვლა, достигать. თ ა ვ ი ს მ ო ყ რ ა (თავს მოვიყრით) მოგროვება ერთად, сбираться.

მოყუარე სიყვარულის მქონე, ტრფიალი, любитель. // მძახალი, მეუღლეთ ნათესავნი მოყვარედ უხმობენ ურთიერთსა.

მოყუასი მახლობელი, ამხანაგი (ფსალ. 14, 4 და 27, 3; ლუკ. 10, 29), ближний, искренний.

მოშაირე მელექსე, ლექსთ მთქმელი (ვეფხისტ. 22 და შემდგომი), стихотворец, მესტიხე.

მოშაირობა მესტიხობა, შაირობა, შაირთმთქმელობა (მუნვე, 21; ჩახრუხა. 64), стихотворение, стихотворство.

მოშანდაკება (მოვაშანდაკებ) მოსწორება ადგილისა, поровнять.

მოშენება (მოვაშენებ) ზეიდამ შენობის მიდგმა, надстраивать, пристраивать. // გაჩენა, გამრავლება ხვასტაგთა, заводить, разомножать животных.

მოშვება (მოვუშვებ) მოდუნება, отпускать, послаблять, ослаблять. // (მოვეშვები) მოშორება, ჩამოცლა, отступать, отойти.

[**მოშთვა** удавить].

მოშიში შიშის მქონებელი (ლუკ. 1, 5), боязливый, боящийся.

მოშლა (მოვშლი, მოვიშლები) დაშლა, მოფუშვა, расстраивать, -ся.

მოშორება (მოვაშორებ, მოვშორდები) განშორება, გაცალკევება (ვეფხისტ. 10, 1291 და შემდგომი), удалять, отлучать, -ся.

მოშტორიკი (ოთხფ.) წყლის მხეცი, დათვი და მისთანანი.

მოშუღლება (მოვშუღლებ, მოვიშუღლებ) მოძარცვა, განშიშვლება, обнажить.

მოშურნე მეშურნე, შურიანი, ანუ ეჭვიანი (რიცხ. 5, 14), ревнивый.

მოშუღლარი მეშფოთარი, მოჩხუბარი, მოლალე, сварливый, вздорливый.

მოჩვენება (მოეჩვენების) მოლანდება საოცრისა რამსამე.

მოჩივარი საჩივრის მქონებელი, მოდავე, ან მომდურავი, проситель, жалобщик, претендатель.

[მოჩხუბარი]

მოცალე მოცლილი ან ცალიერი, ცარიელი (მატ. 12, 44), праздный, порожний.

მოცალება (მოცალე ვარ, ვმოცალეობ) მართვა საქმესა რასმე შინა (საქმ. 17, 21), упражняться, проводить время в чем.

მოცალება მოცლა, საქმისაგან თავისუფალი დრო, досуг.

მოცდა (მოვიცდი) დაცდა, მოლოდინი (ვეფხისტ. 260), подождать.

მოცედი (ოთხფ.) წლის ფური (ზროხასთან ნახე).

მოცემა (მოვსცემ) იგივე 1 და 2 პირისადმი, რამცა 3-დმი მიცემა (ფსალ. 28, 11; იაკობ. 1, 17), давать, даяние (ლუკ. 1, 2), предание.

[მოცთუნობა]

მოცილე მოდავე, წინა-მოსაჯული, соперник, [поклепщик].

მოცილება (მოვაცილებ, მოვსცილდები) მოშორება, ანუ გაცილება, устронять, -ся.

მოციქულება წოდება მოწაფეთა ქრისტეანეთა (რომაელ. 1, 5; და 1 კორ. 9, 2), апостольство.

მოციქული (ე. ი. მციქველი, ნახე ციქუა) სადმრთოსა შინა წერილსა ეწოდების მოწაფეთა ქე́სთა, ვითა მოვლენილთა მქადაგებელად სახარებისა კაცთა შორის (მატ. 10, 2; საქმ. 1, 2, 26), апостол. // მსოფლიურად: მოვლენილი შუამავალად, მეოხად, გინა შეთქმულის სიტყჳს სათქმელად, депутат, посланной, მოციქული, დესპანი, მეფისგან მეფესთან მოგზავნილი საქმესა რასმე ზედა (ფსალ. 67, 30; ლუკ. 14, 32; ვეფხისტ. 310, 424 და შემდგომი), посланник (чрезвычайный). თ. ელჩი. ომირა ან ბალიოზი არს დესპანი ხანგრძლივ მყოფი, посол, поверенный в делах; ლეგატი არს რომის პაპის ელჩი დროებითი ჩინებულთათჳის საქმეთა, ხოლო ჩვეულებრივსა ეწოდების ნუნციოს.

მოციქულობა საქმობა მოციქულად მიგზავნილთა, депутация, миссия.

მოცლა (მოვაცლი) მოძარცვა, შემოფრცქუნა, შემოცლა, снимать.

მოცლა (მოვაცლი) მოცემა დროსი, ანუ თავისუფლებისა საქმეთაგან, дать время, отдых, свободу от дел, [მოცლა არ მაქუს]. // (მოვიცლი) მიღება მოცალებისა, შესვენება საქმეთაგან, удосужиться, отработаться. // მოცალება, გართვა საქმეში, გარჯა, упражняться, заниматься.

მოცლა (მოვსცლი) დაცლა, დაცარიელება, опоражнивать, опрастывать.

მოცუა (მოვიცავ) გარემოდგომა, მოზღუდვა, მოკრძალვა (ფსალ. 16, 9 და შემდგომი), окружать.

მოცული გარემოვლებული, მოზღუდვილი, გარემოცული (ვეფხისტ. 1051), окруженный.

მოცხარი (ხე) смородина.

მოცხოვლება (მოვაცხოვლებ) წაბღალულის მხატუერობისა, ანუ მქრქალის ნაწერისა ახლად გამოწერა და გამართვა საჩინოდ.

მოძაგება (მოვიძაგებ) გარემიქცევის ქონება, შეზიზღება (ფსალ. 55, 5 და 118, 163), гнушаться.

მოძებნა, მოძიება (მოვსძებნი, მოვიძიებ) მონახვა, გამოძებნა (მატ. 2, 13; ფსალ. 26, 8), искать, отыскивать.

მოძმე ნათესავი, მეგობარი, ანუ მეზობელი (გამოს. 11, 2; ფსალ. 30, 11 და 78, 4), сосед.

მოძრავი რამცა შეძლებულ არს ცუალებად ადგილისა (დან. 3, 79), движущийся, движимый.

მოძრავი ქონება მონაგარი, მონაგები ნივთი, თეთრი და სხ., движимое имение, ხოლო უძრავი ქონება—სახლი, შენობა, ვენახი, სახნავი და მისთანანი (სამართ. მ. ვახტ.), недвижимое имение.

მოძრაობა ცვალება ადგილისა, მიმოქცევა, движение, движимость.

მოძულება (მოვიძულებ) მოძაგება, სიძულილის ქონება (ფსალ. 5, 5; მატ. 6, 24), возненавидеть.

მოძღვართ-მოძღვარი წინამძღვარი ნახე.

მოძღვარი მასწავლებელი, დამრიგებელი, მწუართნელი (მატ. 8; 19; ლუკ. 2, 46 და 17, 13), учитель, наставник. // აღსარებისა ან გამდრობის მამა, სულიერი მამა, духовник, отец духовный.

მოძღურება სწავლება, დარიგება (მატ. 7, 28 და 15, 2 და შემდგომი), учение, наставление, предание.

მოწადინე მოსურნე, წადიერი

მოწამე, მოწამისა წამებული, ტანჯული სარწმუნოებისათჳს, მარტჳრი, мученик. თ. სეიდ, შეიდ [არაბ.], ს. მარტიროს.

მოწამეობა ტანჯულება, ვნებულება, ღვაწლი მოწამისა, мученичество.

მოწამე, მოწმისა თვალით მხილველი, დამაჭეშმარიტებელი (მატ. 18, 16; საქმ. 1, 22), свидетель. თ. შაჰად [არაბ.], ს. ვანაკ[1].

მოწაფე მოსწავლე, სწავლის მსმენელი (მატ. 5, 1 და 11, 1 და შემდგომი), ученик. თ. შაგირდ [სპ.], ს. აშაკერტ. // სულიერი შვილი, რომელიც აღსარებით გაენდობა მოძღუარსა, духовный сын, духовная дочь.

მოწევა (მოვსწევ) მოზიდვა, მოხრა, მორთხმა, подвигивать, притягивать. // ხმევა ბურნუთისა, ანუ თამბაქოსი, курить, или нюхать табак.

მოწევნა (მოვიწევი) იგივე 1 და 2 პირისადმი, რამცა მიწევნა 3-დმი (მატ. 23, 35 და შემდგომი და 26, 46; ლუკ. 2, 38; საქმ. 2,2), // მოსავალთ დამწიფება (მარკ. 4, 17, 29), созревать, поспевать.

[მოწერა]

მოწესე სამღუდელოთა რიგითაგანი, მონაზონი.

მოწვა (მოვსწვავ) გარდაწვა, დადაგვა, დაწვა, განადგურება ცეცხლით (მატ. 22, 7), сожигать.

მოწვევა (მოვიწვევ) იგივე 1 და 2 პირისადმი, რამცა 3-დმი მიწვევა.

[მოწითანო]

[მოწითალო]

მოწილე მოზიარე, წილის მქონებელი, участник.

მოწიფვა (მოვიწიფები) მოწიფება, ანუ მოსწრება, მოზდა (ვეფხისტ. 315), взрасти, придти в возраст.

მოწიფული მოსწრებული ახალგაზრდა, ჰასაკოვანი კაცი ან ქალი.

მოწიწება ფრიად განკრძალვა, მომკრთალობა (ვეფხისტ. 804), благоговение, скромность.

მოწლედ მხიარულის გულით, საყუარლად, მეგობრულად (საქმ. 28, 7), любезно, дружески.

მოწმობა (ვმოწმობ, ვემოწმები) წამება, დაჭეშმარიტება, ანუ დათანხმება რისამე ზედა სიტყჳთ, გინა წერილით (ვეფხისტ. 506), свидетельствовать, свидетельство. // (ვემოწმებ) მოღება სხჳსაგან მოწმობისა (მუნვე, 862), свидетельствуюсь.

[მოწმობა]

მოწოდება (მოვუწოდ, -დებ) მოხმობა, მოწვევა (ფსალ. 49, 4; მატ. 2, 7), призывать.

მოწონება (მოვიწონებ, მომწონს) კეთილად მიჩნევა, თნება (ვეფხისტ 411), одобрять, нравиться.

მოწყალე წყალობის მოქმედი, კეთილმიმთჳალველი, милостивый.

მოწყალება კეთილის თვალით და გულით მიხედვა (ფსალ. 5, 7 და 24, 6), милость, милосердие (და 51), щедрота. // ქველის საქმე, მისაცემელი უქონელთადმი, милостыня.

მოწყენა (მოვიწყენ) გაბეზრება, გულის გადალევა უსაქმობისაგან, ანუ ხანგრძლივ ერთის საქმისგან, скучать, соскучать, скука.

მოწყვედა (მოვსწყვედ) დახოცა, მოსრვა (ფსალ. 77, 31), убивать, побивать, истреблять.

მოწყვეტა (მოვსწყვეტ) მოგლეჯა, отрывать, срывать.

მოწყინება მოწყენა, გულის გადალევა, სასოწარკვეთილება (ფსალ. 118, 28), уныние, скука.

მოჭირება (მოვუჭირებ) შეხუთვა ან შეშარტვა, обтягивать, обхватывать, сжимать. // მოჭირება სიცივისაგან, გაყინვა, გაძგიბვა, подмораживать, подмерзать, скрутить морозом.

მოჭირებული ფერი თალხი, არა მხიარული, темный цвет.

მოჭირვება (მოვიჭირვებ) მოთმენა, გაძლება, ანუ ცდა (ვეფხისტ. 635), выдерживать, переносить, усиливать, -ся.

მოჭრა (მოვსჭრი) მოკვეთა, отрезывать, отсокать, срубать, [прекращать, ჯამაგირი მოუჭრეს].

[მოხაზვა перечертить].

მოხალვა (მოვხალავ) დახალვა, შეწვა ტაფაზედ მარცვალთა, жечь кофе и т. п.

მოხარკე, მოხარაჯე მობეგრე, ხარკის გამომღები, ხარაჯისმძლეველი (ვეფხისტ. 372), данник.

მოხარშვა (მოვხარშავ) გბობა, შეგბობა, ხარშვა, შემზადება, სანოვაგეთა ქვაბში დუღილით, сваривать, готовить.

[მოხდა (მოვხდი) ნალების მოხდა].

მოხდენა (მოვახდენ, მოხდების) შემთხვევა, წარმოება ან მოსვლა საქმისა, производить, происходить.

---

[1] უნდა იყოს ვ კ ა. რედ.

მოხდომა (მოვუხდები) ახლოს მისლვა (მატ. 5, 1 და 8, 2. 5. 19). приступать, подходить. // მიხდომა, ზედ დასხმა მტრულად, нападать, наступать. // (მოუხდება) დაშვენება, пристает, пристало.

მოხდომილი შვენიერი, ლამაზი, სანდომიანი, авантажный, смазливый.

მოხედვა (მოვხედავ) ნახვა, სანახავად მისლვა, ანუ მოწყალებით მიღება (ფსალ. 8, 4; მატ. 25, 36; ლუკ. 1, 78), посещать (კუალად ფსალ. 5, 2 და 16, 1, კუალად 30, 7 და 101, 17), призирать, внимать. // (მოვიხედავ) შემოხედვა. მიღმა შეხედვა, посмотреть, оглянуться. // უკეთ შექმნა, მოლხენა სნეულისა, ანუ მწუხარისა, получить облегчение, отраду.

მოხელე მნე ანუ ზედამდეგი, чиновник, приставник, управитель, надсмотрщик.

[მოხერხა]

[მოხერხებული კაცი]

მოხვევა (მოვახვევ) შემოკურა, შეშარტვა, обвязывать. обвивать. // (მოვეხვევი) შემოვლება (საქმ. 20, 37 და 28, 3; ფსალ. 118, 61; ვეფხისტ. 664), обнимать, обвиваться.

მოხვეტა, მოხვეჭა (ნახე მიხვეტა, მიხვეჭა).

მოხილვა (მოვიხილავ) მოხედვა (ფსალ. 12, 3 და 24, 16), призирать. // მიმოხილვა, დათვალიერება, ან დაზვერვა (ფსალ. 26, 4), посещать, обозревать (ისუ. 2, 2), соглядать.

მოხისი მუხის ტევრი, მუხნარი, მალნარი (1 მეფ. 10, 3), дуброва.

მოხმა (მოვიხუამ) მოტანა, წამოღება, მიხმა (მატ. 16, 8), брать, приносить.

მოხმარება (მოვიხმარებ) ვირგებ, რგება, გამორჩომა, употреблять, пользоваться. // დახარჯვა, წარგება, издерживать, расходовать. // (მოვეხმარები) შველა, შეწევნა, помогать, пособлять.

მოხნვა (მოვხნავ) მოერქუნა, გარდათხრა გუთნითა (ისაი. 7, 25), орать, пахать.

მოხრა (მოვხრი) მოდრეკა, მოკაკვა, მოღუნვა, сгибать.

მოხრაკვა (მოვხრაკავ) ცხიმით მოხარშვა, უწვენო მოწვა ტაფაში, изжарить.

მოხრესა (მოვხრეს, -სავ) მოთლა, მოქლეშა.

მოხრუკვა (მოვხრუკავ) ხრუკვა ნახე.

მოხსენება (მოვახსენებ) მოგონება, გახსენება, შეგონება სხჳსადმი (ფსალ. 118, 49), напоминать. // უაღრესთა წინაშე თქმა საქმისა, საჩივრისა. გინა ბრძანების პასუხისა (ვეფხისტ. 66, 68). докладывать, доносить. // (მოვიხსენებ) მოგონება. ალხსენება (ფსალ. 6, 5 და 8, 4, კუალად 77, 35 და შემდგომი), помнить, вспоминать. // შესმენა, გაგონება მოხსენებისა და სხ., выслушивать, принимать доклады.

მოხუცებული სიბერედ მიწევნული (მატ. 26, 3; ლუკ. 1, 18, კუალად 1 და 2; ეპისტ. იოან. 1), старец, старый, престарелый.

[მოხუჭვა]

მოჯამაგირე დაქირავებული, ფასით დადგინებული მსახური, наемник, слуга.

მოჰაზრე მსინჯველი, მხედველი ჰაზრით (ისაი, 3, 2), смотреливый.

მპარავი ქურდი, პარვის მოქმედი (მატ. 6, 19), тать, вор.

მპარავობა ქურდობა, татьба, кража, воровство.

მპირველობი უპირატესი, პირველის ადგილის მქონე, первенствующий. // მენავეთ განმგე, უხუცესი (ეზეკ. 27, 29), весельник, ловец.

[მპოვნელი]

მჟავე ძმრის გემო (ნახე გემოსთან), кислый. ფრიად დამჟავებულს ეწოდება ჭ მ ა ხ ე, წ მ ა ხ ე და კ ა წ ა ხ ი, ხოლო ტკბილსა და მჟავეს ერთად შეზავებულს—მ ხ ე.

მჟაუნა (ბალ.) кислица, щаполь.

მჟღავნება (ვამჟღავნებ) საიდუმლოს მოთხრობა საცხადოდ (ვეფხისტ. 13, 14, 350), объявлять, оглашать, открывать. // (ვუმჟღავნებ) მსოფლიურად: გამოცხადება სხვაგან მომკუდრისა ვისმე ნათესავთადმი მისთა.

მრავალგზის მრავალჯერ, ბევრჯელ (მარკ. 5, 4), многажды, многократно, многораз.

მრავალი ურიცხვი, უთვალავი (ნახე უმცირესთან) (ფსალ. 3, 2 და შემდგომი; ლუკ. 1, 1, 14 და შემდგომი), многий.

მრავალძარღვა (ბალ.) бабка, колосеница подорожник.

მრგუალი, რგუალი გარეშემო თანასწორი თჳნიერ კუთხეთა, круглый. ს. კოლორ. // მრთელი, ვითარ მრგუალი წელიწადი და სხ., круглый год.

მრგულიად, მრგულივ, იმრგულივ გარემოს, გარეშემო (ნახე სირად), вокруг, кругом.

მრგულიად დასაწველი საკვერთხი ნახე (ლევიტ. 23, 12), всесожжение.

მრე მომრევი (ფსალ. 12, 4), победитель; მ რ ე ო ბ ა მორევნა, одоление, მძლეობა.

მრევლი, მრემლი მეურნე სულიერი, გინა სამეურნეო მისი სამრეველო, приход или прихожанин, приходский. ს. ჟოლოვურდ.

მრეში გრემა, ლეგა, წაბლის მოფეროდ (რუხასთან ნახე), серый, дикий цвет.

მრეცხელი გამრეცხი, მმურკუნელი, прачка (მალაქ. 3, 2).

მრეწავი მომგები ხელფასითა, ანუ სამუშაოთი, работник, промышленник.

მრთელი, მთელი სრული, უნაკლული, целый. // უავადო, უსნეული (იოან. 5, 14; ვეფხისტ. 664), здравый, здоровый.

მრიხველი მპარსველი, გამკრეჭი ცხოვართა (საქმ. 8, 32), стригущий.

მრიხხანე ანჩხლი, კაპასი, გულპილწი, гневный.

მროწლე და მროწეული ნახირი ზროხათა (ჯოგი ნახე) (დაბად. 26, 14; იოილ. 1, 18), стадо.

მრუდი უსწორო (ნახე რადი), кривый, косый. // არა მართალი (ვეფხისტ. 1054), неправый.

მრუმე ანუ მრომი ბნელად საჩინარი, ბინდის მსგავსი (გოდებ. 4, 1), потемки.

მრუშება ცოდვა წინა აღმდგომი 7 მცნებისა (მატ. 5, 27 და შემდგომი), прелюбодеяние.

მრუში მემრუშე (ვეფხისტ. 10).

მრქენელი, მრჩოლელი მორქინალი, რქით მცემელი ხვასტაგი, бодливый.

მრჩობლი ორწილი, ორკეცი (იერემ. 17, 18; ზაქარ. 9, 12), сугубый.

მრწამსი სიმვოლო, აღსარება სარწმუნოებისა, символ веры. ს. ჰავატამქ.

მრწემი უმრწემესი, მერმე შობილი (ნახე უმცროსთან) (მარკ. 9, 35), младший.

მსაგრობელი მოსაგრე, მსამობი, სამდგომი (ეზეკ. 23, 23), тристать.

მსასოებელი მოსავი.

მსახლობი მოსახლე.

მსახრველი შემლოცავი, გრძნებით შემკვრელი მხეცთა (ფსალ. 57, 5), обаятель.

მსახურება (ემსახურებ, ვემსახურები) მორჩილება, აღსრულება ბრძანებისა, მოხმარება (მატ. 4, 10 და შემდგომი), служить.//ეკლესიურის ლოცვის გარდახდა (ლუკ. 1, 23).

მსახური მხლებელი, მოსამსახურე (მატ. 22, 13 და 26, 58; ლუკ. 1, 2; ებრაელ. 8, 2; ფსალ. 103, 4), слуга, служитель.

მსაჯული მოსამართლე, სამართლის მოქმედი (ფსალ. 2, 10 და 49, 6, კუალად 74, 7; ლუკ. 18, 2), судия.

[მსგავსად подобно].

მსგავსება ერთსახეობა (ფსალ. 143, 12; დაბად. 1, 11 და შემდგომი), подобие.

მსგავსი მის სახისაებრი (ფსალ. 85, 8; მატ. 20, 1; ვეფხისტ. 1313), подобный.

მსგეფსი შვიდეული დღეთა, ერთის დღით მისვე დღის სწორადმდე (ვეფხისტ. 926), седмица, неделя.

მსერობელი სერის მჭამელი.

მსვენი (ოთხფ.) ხულიკის მსგავსია (ლევიტ. 11, 30), ящер, ящерица.

მსვენლომი (ოთხფ.) ისავრო, მიწის ლომი, ჯოჯოს ჰგავს და რასაც ფერს შეხედავს, იმფერად იხილვება (ლევიტ. 11, 30), хамелеон.

მსთუად ადრე, ანუ მალიად (ფსალ. 6, 10 და 36, 2, კუალად 78, 8), вскоре, скоро, рано.

მსთველი და მცხველი დილისა და საღამოს წვიმა მარგებელი (ოსე. 6, 3; იაკობ. 5, 7), дождь ранний и поздний.

მსთობა (ვიმსთობ) დაშურება, ადრე დასწრება, წინ წასულა, ანუ გაძღოლა (ფსალ. 58, 9 და 67, 24), предворять.

მსმელი მემთურალე, ლოთი.

მსმენელი ვინცა ისმენს საუბარსა, ანუ კითხვასა წერილთასა (ვეფხისტ. 28, 1282), слушатель.

მსოფლიო სოფლელი, სოფელში მდგომი, сельский, поселянин, мирянин.

მსრბოლი მორბედი, მორბენალი, მალემსრბოლი (2 ნეშტ. 30, 6; იერემ. 8, 6), бегун, гонец, скороход.

მსრველი მომსრველი, სრვისმოქმედი, губитель.

მსტოვარი აეშაგი, გაგზავნილი დასაზვერავად მტერთა ქუეყანისა და ლაშქართა მათთა (ებრაელ. 11, 31), соглядатай, лазутчик, шпион (ოსე. 9, 10), стража.

მსუბუქი სუბუქი (მატ. 11, 30), легкий.

მსუდრავი მკუდართმმოსელი.

მსუნაგი სუნაგი, ავმუცელი, მპარავი საჭმელთა, прожорливый.

მსუნევანი თხელი პურები უფლოველი ერბოთი ნამცხვარი (იერემ. 44, 19), опресноки.

მსუქანა (ბალ.) დანდური, портулак.

მსუქანი გაკეთებული, გასუქებული, ცხოველი, ანუ საჭმელი ცხიმიანი, жирный.

მსწრაფლ სწრაფად, საჩქაროდ (ლუკ. 1, 39 და 2, 16), поспешно.

მსწრაფლი სწრაფი, ჩქარი, მალი, скорый, поспешный.

მსხალი (ხე) სხალი, груша. ამისნი გვარნი არიან: ბ ო რ ბ ა ლ ა ან გ ვ ე რ დ წ ი თ ე- ლ ა, გ უ ლ ა ბ ი, მ ა ლ ა ჩ ი ნ ი, მ ო ლ ა- ხ უ რ ი, პ ა ნ ტ ა, პ კ უ ტ ა, ხ ე პ ე პ უ რ ი.

მსხემი უბინაო კაცი, მწირი, უცხო, ადრე წარ-მავალი (ფსალ. 38, 13 და 104, 12), пресельник, странник.

მსხემობა მწირობა, უცხოება (ზაქარ. 9, 12), пришельствие.

მსხვერპლი შესაწირავი ღუთის ნივთი, ანუ საკლავი ცხოველი, რომელსაცა მსოფლიო-ნი უხმობენ საღუთოდ და ზვარად. // კუა-ლად ვედრება და ქება ღუთისა გულითა მხურვალითა, ვითა დავით წინასწარმეტ-ყუელი მ ს ხ ვ ე რ პ ლ ა დ ღუთისად უწოდს სულსა შემუსრვილსა, და ალპყრობასა ხელთასა შესწირავს მ ს ხ ვ ე რ პ ლ ა დ სამ-წუხაროდ (ფსალ. 49, 8, 14, 23 და 50, 17, კუალად 140, 2), жертва. // მსხვერპლი ეწო-დების კერპთადმიცა საზორველსა საკლავსა (საქმ. 7, 41). // მსხვერპლი არს, რაძცა ვინ ხელალებით გამოიმეტოს ვისთუისმე. // უ ს ი ს ხ ლ ო მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი ახალსა ალთქმასა შინა ეწოდების საღუთოსა ლი-ტურღიასა, რამეთუ წმიდა საიდუმლო ხორცისა და სისხლისა ქრისტესისა დაეგე-ბის ნაცულად ძველისა სჯულისაებრ შესა-წირავთა ცხოველთასა (ებრაელ. 9, 7 და 10, 4 და შემდგომი), жертва бескровная.

მსხვილი სხვილი, ზრქელი, ფართო მწკურივად (ვეფხისტ. 86), толстый, крупный.

მსხმილი, სხმილი მწერთ კვერცხები.

მსხმო მრავალმუწუკი, პარტახტი და მისთანა-ნი, რომელთაგან ერთსა ჰქვიან ბ მ უ, сыпь, пятна.

მსხმოიარე ხილიანი, ხილით გატენილი ხე.

მსხურევა (ვამსხურევ) წურილად დალეწა, მრავ-ლად დამტურევა.

მსჯავრი სამართალი, წინა განსაზღურება, ანუ განგებულება ღ̃თისა (ფსალ. 32, 5 და 36, 28, 30), суд (დან. 3, 28), судьба.

მტანჯველი მგვემელი, ანუ განმკითხველი (მატ. 18, 34), мучитель, истязатель.

მტარვალი ხელჯოხიანი, ბოქოული, იასაული (საქმ. 16, 35 და შემდგომი), палачник, городской служитель.

მტაცებელი მკრეხელი, ტაცების მოქმედი (ლუკ. 18, 11), хищник, грабитель.

მტე სძისა ანუ საზრდელის თანმოზიარე, თან-მეინახე, сo (ნახე პურის მტე, ძუძუს მტე).

მტევანი რქა ვაზისა, მსხმო მრავალმარცულოვ-ნად ყურძნისა (2 სჯული. 32, 32; დაბად. 40, 11; ისაი. 18, 5), гроздь, кисть виноградная; მსგავსად ამისსა ეწოდების სხვათაცა ხილთა, ვითარ მ ტ ე ვ ა ნ ი კო-წახურისა, კაპარისა, ჯონჯოლისა, მოცხა-რისა და მისთანათა. ხოლო მტევნის კერ-ძოს ეწოდება კ უ ფ ხ ა ლ ი და უმცირესს— კ ი მ ე ლ ი.

მტერი ავის მნდომი, მავნებელი (ფსალ. 5, 8 და 6, 10, კუალად 8, 2), враг.

მტერობა მოქმედება ან ვითარება მტერისა (დაბად. 3, 15), вражда.

მტერობა (ვმტერობ, ვემტერები) ცდა ძვირის შესამთხვევად (ფსალ. 3, 7), враждовать, нападать.

მტერფავი დამთრგუნავი ფეხის ტერფით.

მტეხიარე ვისაც სატკივარი სტეხს, აწუხებს (ითქმის უფროორე მშობიარეთათუის).

მტვერი ქარტლი, კორიანტელი, ქარისგან აფქურეული მიწა ან სილა ფქვილივით (ფსალ. 1, 4 და 17, 42; მატ. 10, 14), пыль, прах.

მტიერი თავმუწუკიანი, ანუ თმაგაცვივნული, (ეზეკ. 29, 18), плешивый, лысый.

მტიერობა თავმუწუკიანობა (ეზეკ. 27, 31). плешь.

მტილი აგარაკი ანუ ბოსტანი (მატ. 13, 31; იოან. 18, 1 და 19, 41). село, верт, вертоград, сад.

მტკაველი ზომა გაშლილის ხელისა, ცერის მწვერვალი ნეკის მწვერვალადმდე (გამოს. 28, 16; ისაი. 40, 12), пядь, пядень.

მტკველი ფეტვის ბურდო.

მტკივანი მტკივნეული, ტკივნეული, ტკივილის მქონი, больной.

[მტკივნეული]

მტკიცე მაგარი ანუ ძლიერი (ფსალ. 23, 8), крепкий, твердый.

მტკნარი უმარილო, ან უმჟავო, უმწარო, მქო-ნებელი ბუნებითის გემოსი შეურევნელად, пресный.

მტკოლვარე ნახე გამომტკფოლვარე.

მტლაში-მტლუში ტლოშნა, უგვანი კოცნა (ვეფხისტ. 10).

მტრიობალი განმაძვინებელი, ანუ განძვინებული (ნახე ტრობა) (ოსე. 4, 16), рассвирепевший.

მტურევა (ვამტურევ) დამუსრვა, დალეწა, დამტურევა, დამსხურევა, перебивать, ломать, раздроблять.

მტუტე მეტად მლაშე (ნახე ტუტი).

მუბერაზი ბუმბერაზი.

მუგზური, მუგუზი, მუგუზალი, ნაგუზალი ნამწვეი შეშა ცეცხლმოკიდებული (ისაი. 7, 4; ზაქარ. 3, 2), главня, головня, головешка [ნ. გზება, ვაგზნებ].

მუდამ ნიადაგ, მარადის, всегда, завсегда. თ. მგდამ [არაბ.].

მუდარა (ვემუდრი, ვემუდარი, -რები) დიდად ვედრება, ხვეწნა (ვეფხისტ. 165, 236, 620, 1480), упрашивать, убеждать.

მუდახილი, მურდახილი ნაქუთები გამოკრილთა შინა სახეთა, კუწუბი, კუნწუბი, фигуры, ნატიფი.

მუდრეგი ოხერი, ტიელი, გარდაგდებული უპატრონოდ, изверг.

მუზარადი თავსახურავი ჩაბალახი (ზუჩთან ნახე) (ვეფხისტ. 439, 1358 და შემდგომი), кирас, шишак.

მუზარაკი მაზრაკი.

მუზამფარი მუქუქი, ხორცი გინა თევზი მოხარშული და ძმარში ჩადებული მწნილად.

მუზნური თულა ერთიორად აღრიცხვა განმრავლებით, ვითარ 2, 4, 8, 16, 32 და შემდგომი, სულგანორებით, прогрессия геометрическая.

მუთაქა გრძელი და მრგვალი ბალიში, круглая подушка.

მუკაშარი დალერლილის ცერცვისა ან მუხუდოს გული ჩენჩოშემოცლილი.

მუკენი ჩალურის ლატანი.

მუკუდი ავშარის საბელი, პიმი, ножны.

მული ქმრის და, золовка.

მულიმი, მუსელიმი, მუსლიმი მოლა მაჰმადიანთა (ვეფხისტ. 347).

მუმია გამხმარი ხორცი კაცთა. გინა ასფალტოსი, мумия, *μουμιά*.

მუმლი (მწერ.) კოღოს მსგავსი ქინქლა (ფსალ. 104, 31), скнип.

მუნ იქ, 3 პირისადმი (ნახე აქ) (ფსალ. 13, 5; მატ. 2, 13, 22; იოან. 2, 1), тамо, там, тут, или туда.

[მუნებური]

მუნთქვესვე მაშინვე ანაზდად, თქმასა თანავე (ფსალ. 69, 3; საქმ. 16, 26 და 17, 14) абие, тотчас, вдруг.

მუნი მღიერი, მეფხანოვანი, ქეცი, სენი მუწუკებიანი, чесотка.

მუნჯი უენო, განლიგებული, სიტყვიერებისგან მოკლებული, немой. ს. მუნჯ.

მუქუქი ძმარში ჩადებული ხორცი, მუზამფარი. ს. მგქუქ(?).

მურა ინდუშა, შავწითელი (ნახე რუხასთან), смуглый, бурый, темнобурый цвет.

მურაბა ნარაჯი, варенье.

მურაკი დუღილით შესქელებული მჟავე შესანახავად, морс. თ. ბაქმაზ.

მურასა მოოჭვილი ნახე.

მურდასანგი ყვითელი სურინჯი, глет, литаргирий, колчедан.

მურდახილი ნახე მუდახილი.

მურეშა (ოთხფ.) მრეში, შავწითელი ფური, бурая корова.

მური კვამლის ფარილი, მჭვარტლი, რომელიც მოეკიდების ძირსა ზედა ქვაბთასა, ბუხრის კედელთა და მისთანათა (ვეფხისტ. 15?), сажа.

მური, ზმირონი სუნნელი ხეთ ნაწვეთი (მატ. 2, 11; ფსალ. 44, 9), смирна, *μύρρα*.

მურკი კომბოსტოს ძირთ ხვიტი, თალგამი, вилок.

მურკნა (ვმურკნი) გარეცხა, გათეთრება (ნახე მმურკნელი).

მურმური (ვმურმურებ) ბუზღუნი, დრტვნვა, брюзжать, ворчать, *μουρμούρισμα*.

მურტალი უწმინდური, წარეული, поганый, нечистый, *μουρδάρης*.

მურტი (ხე) მჭრსინი (ისაი. 55, 13), мирсина, мирт, *μυρτιά, μύρτος*.

მურყანი (ხე) თხმელა.

მურწა (თევზ.) усач.

მუსადია, ნუსადია ბიძის ცოლი, ბიცოლა.

მუსაფი მაჰმადიანთ წიგნი (ვეფხისტ. 347, 523, 1156).

მუსიკა სახიობა, ძნობა საკრავთა, და თვთ საკრავნი (დან. 3, 7), музыка, *μουσική*.

მუსიკობა (ვმუსიკობ) შაირობა, მოთქმა ლექსებით, შაირით (ვეფხისტ. 25), воспевать стихами.

მუსმარი ლურსმანი, სამსჭვალი, гвоздь (წყობ. 405).

მუსრვა (ვმუსრავ) დამტურევა, დაფშუნეტა, დაგლეჯა (მატ. 12, 1), срывать, сорвать, сломать.

მუხუხი მსუნაგი, ხარბი, მეტად მნდომი, жадный.

მუტრიბი ქალი მეჩანგე, მგოსანი (ვეფხისტ. 364, 479, 1067).

მუტრუკი (ოთხფ.) ვირის კვიცი, ჩოჩორი.

მუფარახი იაგუნდის მაჯუნი .(ვეფხისტ. 110, 884).

მუქარა (ვემუქრი, -ქრები) ზავთით შეშინება, ქადილი, грозить, угрожать, угрозы.

მუქაფა ნუქაფა, სამაგიერო, საჯილდაო, მისაგებელი (ვეფხისტ. 1179, 1190), возмездие.

მუქთი ექთი, მაჯნა, მედადი, უფასური, მულარალი, даровой.

მულაბანა სამულაბნო, სანანური, შესაბრალი· სათანალრო.

მულარბარი ინდოური მურასა, გულქანდი.

მულნი ბარბითი, ებანი, ანუ ქნარი (1 მეფ. 10, 5), гусли.

მულრობა კურნები, ლხენა (იერემ. 48, 2), цвеление или веселие.

მულროობა ბულრაობა, ზროხული ხახილი (ოსე· 11, 10), возревсть.

მუყაიში სხეპლა (ნახე ოქროსთან).

მუყაო სქელი ქალალდი, толстая, картузная бумага, папка, *μουκαβᾶς*.

მუყრი მაჰმადიანთ მოლა, რომელიც მეჩითში აზანს დაიძახებს (ვეფხისტ. 345, 347).

მუშა, მუშაკი მიწისმოქმედი და თვითოეული ხელოსანი თჳსის ხელობის მკეთებელი (მატ. 10, 11 და 20, 1 და შემდგომი), работник. ს. მგშაკ.

მუშა ძნის შესაკრავი ჩხირი.

მუშაბალი ნალი, სათხეპელი.

მუშაკობა, მუშაობა (ემუშაობ, -კობ) თჳსის ხელობის მოქმედება (ვეფხისტ. 18), работать. // ითქმის უსულოთათვისცა მანქანათა, ბორბალთა და მისთანათა. მაგალ., მ უ შ ა ო ბ ს წისქვილი, საათი და სხ.

მუშაითი მიმმოსი, საბელზედ მოთამაშე (ვეფხისტ. 119, 1384), фигляр, акробат. თ· ჯამბაზ [სპ.].

მუშამბა ლიფი, სანთელში, ანუ ფისში გაულებული სამოსელი და მისთანანი, რომ წყალი არ შეუვიდეს, вощанка, клеенка, *μουσμᾶς*.

მუშამი ხაშმი, ბარი და მეტად ცხელი ადგილი. თ. ჩოლი.

მუშთარი ზევსი (ნახე ცთომილთან) (ვეფხისტ. 949).

მუშკი (ოთხფ.) აფრიკული ნადირი თხისგვარი, საზარდული მისი მუშკი, ვითა თახვისა და თჳთცა სუნნელია (შავთ. 58), муск, мускус. кабарга (зверь и струя оного), *μόσχος*.

მუშტარი შეჩვეული მოფარდული სავაჭროთა ერთის პატრონისგან, знакомый покупщик. *μουστερής*.

მუშტი ხუთივე თითი მოკუმშული (ნახე მუჭი), кулак.

მუშტუკუნი მუშტით შემოკურა, удар кулаком.

მუჩერი ღვინის ქარავანი, обоз, или караван с винами.

მუჩირობა ტკბილის მოშოვება სთველში, ვითა კ ა ლ მ ა ს ო ბ ა პურისა კალოზედ.

მუცელა და მუცელკეთილა სატალი, попос.

მუცელი შინაგანი შენობა ცხოველთა, დასატევნელი ფაშვისა, წელებისა, კუჭისა და სხუათა (ფსალ. 16, 13 და 30, 10; მატ. 12, 40), чрево, утроба, брюхо.

მუცელქმნული ორსული (მარკ. 13, 17) (მიდგომილი ნახე), непраздная, беременная.

მუცლადღება (მუცლად ვიღებ) მუცელში ჩასახვა ყრმისა მდედრთაგან (გამოს. 2, 2), зачатие, зачинать, брюхатеть, ხოლო ფსალ. 7, 13 თქმულ არს გარდაღებულად.

მუცლით მეზღაპრე გრძნეული, მკითხავი, ანუ მუცლით გამო მიმგები სამისნოთა პასუხთა (ისაი. 8, 19 და 19, 3), чревоволшебник, чревовещатель.

[მუცლის ჭია глиста].

მუწუკი ბმო, მსხმო სატკივარი, ბუზუკი, чирей.

მუჭი ხელის თითნი მაგრად შეკუმშულნი. უკეთუ ეპყროს რამე, горсть, ეწოდების ბ ლ უ ჯ ი, პ ე შ ვ ი და მ ჭ ე ლ ი, უკეთუ კაცსა ჰსცეს მუჭითა, ცერით კერძოთ, მას ჰქვიან მ უ შ ტ ი და მ უ შ ტ უ კ უ ნ ი, ნეკის კერძოთ შემოკურასა — მ ჯ ი ღ ი, ცერის შუადატანებით შემოკურასა — ბ ლ ი კ ვ ი, თითებთა სახსართ გოჯებითა წაკურასა— კ ი ს ტ ი და ქ უ რ ჯ ნ ა, იდაყვით უკუკურასა—მ უ ჯ ლ უ გ უ ნ ი.

მუხა (ხე) კრკოს ხე (ისაი. 44, 14), дуб, მუხის ტევრი, дубрава. // მუხად ითქმის, რასაცა ქერქი აქუს მქისე და დამშხალული, ვითარ მ უ ხ ა ნ ე ს ვ ი და სხ.

მუხთალი, მუხანათი დაუნდობელი, გამცემელი, მოღალატე (ვეფხისტ. 335, 418, 938), изменник, изменчивый. თ. მუხთალ [არაბ].

მუხლედი მუხლებად დაყოფილი, коленчатый.

მუხლი ფეხის წვივისა და თეძოს შუა სადრეკის სახსრის თავი (ფსალ. 108, 24), колено, статья, стих.

მუხლის დადგმა (მუხლს დავიდგამ) ცალის მუხლით დაჩოქება, ხოლო ორითავე არს მუხლთ დადგმა (მატ. 17, 14 და 27, 29), падать на колени, преклонять колена.

მუხლთმოდრეკა დაჩოქებით ვედრება, ლოცვა, коленопреклонение.

მუხლუხი (მძრ.) ხის დიდი ჭია.

მუხრუჭი ცხენთა ცხვირის მოსაგრეხი, მაგრა დასაჭერად დაჭედის დროს.

მუხტი ვაზნა.

მუხუდო (ბალ.) ერევანდი, ერევინდე, горох. თ. ნოხუდ [სპ.], ს. სისერ.

მუხუნძელა (მძრ.) ჭია ფოთლის მჭამელი.

მუხური ჩამოსხმული თოქმა.

მუჯა მლაშე მიწა, სადაც ნადირნი მივლენ სალოკავად.

მუჯამარი საცეცხლური ხელმწიფეთ წინაშე დასადგმელი აზისა (?) შინა ხმარებული, დასაკმევად სუნნელთა (ვეფხისტ. 325; ჩახრუხა. 57).

მუჯირი ხვარბალთ მნე.

მუჯლუგუნი იდაყვით უკუკურა (ნახე მუჯი).

მფარველი შემწე, მეოხი ან მეპატრონე (ფსალ. 30, 2 და შემდგომი, 58, 10 და 70, 6), покровитель, защититель, защитник.

მფარველობა დაფარვა, შენახვა უვნებელად, покровительство.

მფლობელი მებატონე, მეპატრონე, პატრონი (ვეფხისტ. 43, 114; შავთ. 4), обладатель, владетель.

მფოფინარე ჩქარად მდუღარე.

მფრინავი და **მფრინვალე** ფრენით მავალი, летающий.

მფრინველი ფრთებიანი ცხოველი, ჰაერსა შინა მავალი, მექონი ორის ფრთისა და ორის ფეხისა (დაბად. 1, 20; ფსალ 8, 8 და 78, 2), птица.

მფსონი ამფსონი (ნახე ფსონი).

მფშველი სუნნელების მადენელი კეთილსუნოვანი, пахучий, издающий благовоние.

მფშვინავი სულდგმური, ფშვინვის მექონი, дышущий.

მქადაგებელი ქადაგების წარმომეთქ, ქადაგი, проповедник.

მქავანი მეფხანოვანი.

მქანდაკებელი კერპთ მკეთებელი, სახეთ ჩამომსხმელი, ანუ მთლელი, ваятель.

მქირდველი, მქირდუნელი მკიცხავი, ამგდები, пересмешник.

მქისე დამშხალული, დაბზარული, გინა ხორკლიანი, ვითა მუხის ქერქი, рыхлый, или шероховатый. // ველური, უგლიმი, უზდელური, გაქსუვებული, ანუ აურზაური (ვეფხისტ. 181, 379, 848), дикий, одичалый, грубый.

მქნარება მდინარეთა და ნაკადულთა ჩქერით დინება.

მქნარი დაქანებულად წარმდინარე, ანუ წამლეკავი (ისაი. 30, 28; ჩახრუხა. 24), плескущий.

მქრქალი არა საჩინო, უფეროლი ანუ ფერგადასული, неясный, полинялый, или бледный (цвет).

მღამიობი (მფრინ.) ღამურა, მაჩქათელა (ლევიტ. 11, 19; ისაი. 2, 20), нетопырь.

[**მღალავი** менск].

მღებავი და **მღებარი** სღებავის მცოდნე და მოქმედი ოსტატი, красильщик.

მღერა (ვიმღერი, ვმღერობ) მსოფლიური გალობა, სიმღერა, петь песни, распевать.//თამაშობა (იქ ნახე) (ფსალ. 113, 4 და შემდგომი; ვეფხისტ. 11, 83, 326), играть, плыгрять, скакать, игра. // (ვემღერი) აგდება, კიცხევა, დაცინება (მატ. 27, 29), ругаться, насмехаться, издеваться.

მღერი, მღიერი ძნელი მუნი, ქეციანი (ლევიტ. 22, 22), краставый.

მღილი (მწერ.) ჩრჩილი, ჭია სამოსელთა და ბეწვეულთა მჭამელი (მატ. 6, 19; იაკობ. 5, 2), червь, моль.

მღრინავი (მფრინ.) მშვენიერი მფრინველია, ვითა ფარშავანგი (ლევიტ. 11, 18 და შემდგომი), харадрион.

მღუდელთმთავარი ეპისკოპოსი, უაღრესი სამღუდელოთა შორის, პირველის ხარისხის გუამი, განმგებელი ეპარხიისა და მაკურთხეველი სხუათა სამღუდელოთა (ებრაელ. 7, 26 და 9, 7), архиерей.

მღუდელთმოძღუარი უპირატესი მღუდელთმთავარი (მატ. 2, 4 და 27, 1), первосвященник, священноучитель.

მღუდელი (მღუთელი, ე. ი. ღ́თისაგანი) ხუცესი, მწყემსი სულიერი, მაკურთხეველი და მსხვერპლის შემწირველი წინაშე საკურთხეველისა (მატ. 8, 4 და 12, 4), священник, иерей. // ზოგჯან ქურუმი კერპთა (საქმ. 14, 13), жрец.

მღუდელმონაზონი მწირველი ბერი, ხუცესმონაზონი, иеромонах.

მღუდელობა ხარისხი მღუდელისა, священство, священничество, иерейство. // (ვმღუდელობ) აღსრულება მღუდელმოქმედებისა (გამოს. 28, 3, 41; ლუკ. 1, 8 და შემდგომი), служить, священнодействовать.

მღუდელმოქმედება მღუდელობის მსახურების აღსრულება, священнодействие.

მღუთაება იხილე ღთაება.

მღურივე არეული ნოტიო, ალაბულითა, ანუ ტალახით სავსე, мутный.

მღჳმე კლდის ხარო, ანუ ქვაბი (ნახე მთხრებლთან) (ფსალ. 27, 1 და 87, 4 და შემდგომი 54, 24), пещера, ров, студенец.

მყარი მკურივი, მტკიცე, მაგარი (ისაი. 2, 21), твердый. მყარი ქვეყანა, ხმელეთი, твердая земля.

მყინვარე შაქარი ფრიად ნადუღი და გამაგრებული, леденец сахару.

მყის მსწრაფლ, მუნთქვესვე (ფსალ. 2, 12), вскоре, вдруг.

[**მყიხთანად** მყნა (ვმყნი, ვამყნი), прививать, ს. ლ. ამყნა].

[**მყიფე** ნ. გამყივება].

მყოვარჟამ ხანდაზმით, დროსგატარებით, ჟამრავდენმე (საქმ. 28, 6), долго.

მყოფი მგები, მდგომარე, გებული რამცა ჰგიეს.

მყრალი ავსუნიანი, საზიზღარსუნოვანი, смрадный, зловонный.

მყუარი (ოთხფ.) დიდი გომბეშო (ფსალ. 104, 30), жаба.

მყუდრო ყუდრო, დაწყნარებული, დაშვიდებული, тихий.

მყურიმღლავი ღაწუთა ზედა მცემელი (ოსე. 11, 4), ударяя по челюстам, ланитам.

მშვენი, მშვენიერი მოხდომილი (ნახე ლამაზი), красивый, прекрасный.

მშვიდება (ვამშვიდებ) დაამება, დაწყნარება, მომდროვრება (ვეფხისტ. 902), усмирять.

მშვიდი აუჩქარებელი, უშფოთველი, მყუდრო (მატ. 5, 5 და 11, 29; ფსალ. 24, 9), смирный, кроткий.

მშვიდობა ხავი, განსვენება, სად არ იყოს შუღლი, ამბოხება, ტაცება და სხ. (მატ. 10, 12; ლუკ. 2, 14), мир. // უსნეულობა, სიმრთელე (ვეფხისტ. 694, 819), благополучие, благополучно, მ შ ვ ი დ ო ბ ი თ, მიმავალთაგან გამოთხოვის სიტყვა, благополучно оставаться, прощай!

მშვიდობიანი მშვიდი, უწყინარი, უშფოთარი, ან ჰკვიანი, смирный, უსნეულო, უავადო, здоровый, благополучный.

მშვილდი იარაღი ხისა, რქისა, ანუ მეტალლისა, მოხრილი და ლამბით გაპიმული სასროლად ისართა (ფსალ. 7, 11 და 10, 2), лук. // ამგვარივე იარაღი კინტით საწკეპი გასაპენტად ბამბისა და მისთანათა.

მშვილდოსანი მშვილდით შეკურვილი მხედარი (ვეფხისტ. 363), луконосец, вооруженный луком. // ნიშანი ზოდიაქოსი, რომელიცა ნოემბერში მიითუალავს მზესა (ნახე ზოდიაქო), стрелец.

მშვინვა ნახე ფშვინვა და სამშვინველი.

მშვინვიერი სამშვინველის მქონი, რამცა ფშვინავს (1 კორ. 15, 44 და შემდგომი), душевный, одушевленный.

მშთუარი დამრჩეალი, გადამღრძვალი ცხოველი, მძოვრი, ლეში (საქმ. 15, 20), удавленный.

მშიერი ხანგრძლივ დაშთომილი უსაჭმელოდ, ანუ ნაკლულევანი საზრდელისაგან (ლუკ. 1, 53; ფსალ. 106, 9, 36), алчущий, голодный.

[**მშიის**]

მშიშარი მხდალი, შიშნეული, боязливый, робкий.

მშობელი მეშვი, დედა შვილთა (იერემ. 15, 9; იგავ. 23, 22, 25), родившая, рождшая, родительница, ხოლო ზოგად ეწოდების დედ-მამასა (ვეფხისტ. 43, 1297), родитель, или вообще родители.

მშობიარე დედა ახლად მშობელი (ისაი. 13, 8), раждающая, родильница.

მშრალი ხმელი, უსველო, ნოტიობის არ მქონი, сухой.

მჩატე მსუბუქი, არა მკურივი, легкий, рыхлый, плохий.

მჩემებელი მიმხვევი თჳსად, რამცა არა ეკუთნის, присвоивающий, притворный. // თავისზედ მიმღები საქმისა, ანუ ცოდნისა, რაცა არ შეეძლოს, хвастун, эгоист.

მჩენი საჩინო გამოჩენილი (იოილ. 2, 11), светлый, видный.

მჩვარი სამოსელთ ნაჭერი შესახვევი რისამე, ანუ გასაწმენდი დასტამალი, тряпка.

მჩქეფარე მქნარი ნოტიო, ჩქეფით და ღუარივით მომდინარე.

მჩხაბავი ცუდი მწერალი.

მც, მცა კავშირი, ხმარებული ზმნისა ზედა თანა და კავშირთა, რომელნიცა მოეკიდებიან ზმნათა სათუოსა სქესისათა. ვ ი თ ა რ მ ც ა, რ ა თ ა მ ც ა, უ კ ე თ უ მ ც ა და სხ., бы. // ზოგჯერ იხმარების მარტივად ბრძანებითსა სქესსა თანა (ვეფხისტ. 941, 1313, 1430, 1448), да.

მცბიერი მაცთური, ვერაგი (იერემ. 29, 26), неистовый, льстивый.

მცდელი გულს მოდგინე, თავს გამომდები საქმისა, старательный. // გამომცდელი, განგებ მსინჯავი, любопытный.

მცენარე რამცა მიწით აღმოსცენდების, ხე ან ბალახი (დანიილ. 3, 76), прозябение, растение, произрастение.

მცვედანი ბუნებითად საჭურისი, анафродит.

მცველი შემნახავი, ზედამდევი მოდარაჯედ (დაბად. 4, 9; ქებ. 3, 3; ვეფხისტ. 1290, 1391), стерегущий, страж, сторож.

მცთარი, მცდარი შეცთომილი, ანუ ადვილად მოსაცთუნებელი, легковорный.

მციავანი სიცივის მოშიშარი, зябкий.

მცირე ცოტა, პატარა, ანუ მრწემი (ნახე უმცირესი) (ფსალ. 41, 6 და 104, 12; მატ. 25, 21 და შემდგომი), малый.

მცირედ ცოტად (ფსალ. 8, 5), мало, немного.

მცნაური, მცნობი გაცნობილი, შესწავლილი, ნაცნობი, знакомец, знакомый.

მცნება ბრძანება, ანუ სჯულისდება ღ̃თისა მიერ, გინა უაღრესთაგან (ფსალ. 77, 10; მარკ. 7, 7; იოან. 10, 18 და 15, 12 და შემდგომი), завет, заповедь. // საკუთრად: ათნი საუფლონი მცნებანი, ღუთისა მიერ მიცემულნი მოსესადმი, десять заповедей. // (ვამცნებ) დარიგება, მიცემა ბრძანებისა, მოძღურებისა (ფსალ. 77, 5 და 118, 4 და შემდგომი), заповедывать. // გაცნობება, ჩვენება, დანახვება, შეგონება (შავთ. 3), указывать, внушать.

მცოდველი მოქმედი ცოდვსა, ცოდვილი, грешный.

მცოდინარე, მცოდნე მეცნავი, ცოდნის მქონებელი (დან. 1, 4), смышленый, знаток.

მცონარება სიზარმაცე, დაზარებულება, леность.

მცონარი ზარმაცი, უდები, დაზარებული (იგავ. 6, 6), ленивый.

მცურავი წყალში ცურვის მცოდნე, пловец. // ქვემძრომი, მუცლით მცოცველი, ползающий.

მცურევა (ვიმცურევ) ნასთულევის ვენახის მოკუფხლვა.

მცხვედი მოგვიანო (ნახე მსთვედი) (გამოს. 9, 32), поздный, -ний.

მცხინვარე ნათლად მჩინარე, მჩენი, საჩინო (ვეფხისტ. 859), ясный.

მცხრალი გალეული მთოვარე და მისთანანი (ვეფხისტ. 37).

მძაფრი ძლიერი, სასტიკი (ქარი, წვიმა და ეგევითარნი), сильный, жестокий.

მძაღე გემოთ მომწალტო, проузглый, прогорклый (ნახე მწარე). // დამპალი ნიგოზი, ძმრით შენელებული მდოგჳს გუარად.

მძახალი, მზახალი ესრეთ უხმობენ ურთიერთსა დედ-მამანი და სხუანი ნათესავნი ქალ-ვაჟისანი ნიშნობით მათითგან და შემდგომად ქორწილისაცა (ვეფხისტ. 1002), сват, сваха (ნ. მზახალი).

მძახლობა ურთიერთისადმი რაჲსა მიმართობა მძახალთა, сватовство (ნ. მზახლობა).

მძევალი ნახე მზევალი.

მძეხვი, ძეხვი წელებში ჩადებული დაკეპილი ხორცი და გახმობილი, колбаса.

მძვინვარე მრისხანე, სასტიკი (ითქმის მხეცთათუის), лютый, свирепый.

მძვინვარება მხეცური მრისხანება, свирепость.

მძივი მრგუალად გათლილი ქუა, პიქა, ბროლი ანუ მეტალლი და გახურეტილი მკედზედ ასასხმელად (ქებ. 4, 9), монист. // მძივი ეწოდების ხერხემლის სახსრებს, звено хребта.

მძიმე ქვედამზიდველი, წონით უმეტესი სხვათა (ფსალ. 37, 4; მატ. 13, 15 და 23, 4), тяжкий, тяжелый. // ძნელი, სამძიმო, ჩინებული, важный.

მძიმე სტიგმა, ნიშანი მართლწერისა, რომელა(,), запятая.

მძლავრება, მძლავრობა უსამართლობით ძვირის შემთხვევა ძლიერისაგან, насилие, обида. // (ვმძლავრობ, ვემძლავრები) დაჩაგურა, შეიწრება (იაკობ. 2, 6), насиловать, притеснять, обижать.

მძლავრი უსამართლოდ მძლავრების მოქმედი, деспот, тиран, притеснитель.

მძლე, მძლეველი მრე, მომრევი (ვეფხისტ. 8), победитель.

მძლეობა მრეობა, მორევნა (მუნვე).

მძლიონი ძალის მაყარი, ძმადი, дружка.

მძნობარი მომღერალი საკრავით (იერემ. 30, 19), поющий, играющий, მძნობელი.

მძოვარა მეწუკი თმათ მაცვივნებელი, სრსვილი.

მძოვრი ლეში, მკუდრის ტანი (ფსალ. 78, 2; მატ. 24, 28; ვეფხისტ. 1341), труп.

[**მძრახავი** მზრახავი].

[**მძრახველი** მზრახველი].

მძრომი (მძრ.) ქვეწარმავალი: გველი, ჭია და მისთანანი, гад, пресмыкающийся.

მძრწოლარე მთრთოლი, трепещущий.

მძუვნობა, მძუნაობა ძაღლთა და მხეცთ მაკინტალობა (ხურაობასთან ნახე).

მძუძებანი ჩჩვილი ძუძუთა, ძუძუს მწოვარი (ოსე. 14. 1), младенец (грудной).

მძღვანველი წინაძღომით მატარებელი, ანუ მასწავლებელი, путоводитель, руководитель.

მწავი, წავი, წვავი (ოთხფ.) выдра.

მწალტე, მწკლატე უგემურად მომწარო ან მომჟავო (ნახე მწარესთან).

მწამლველი სამსალით კაცის მკლველი, ანუ სიმრთელის მავნებელი, отравник, отравщик. // გრძნებით მხიბლავი, შემლოცავი, შემკურელი (ფსალ. 57, 5), обаятель, заклинатель.

მწამლველობა გრძნების მოქმედება, მოგობა (გალატ. 5, 20), чародеяние, волшебство.

მწარე გემო პირის დამწველი და შემაზრზინებელი (იაკობ. 3, 11), горький, ხოლო მ წ ა ლ ტ ე და შ ხ ნ ა კ ი, რომელსა ჰქონდეს სიმჟავე და უმეტესად სიმწარე, ვითა მჰნავსა, ჯლარდალსა, მკვახესა ხილსა და მისთანათა. მ წ ვ ა ვ ე, რომელი სიმწარით და სიმხურვალით პირს სწვავდეს, ვითარ კოჰა, პილპილი, ან ხახვი, ნიორი და მისთანანი. და მ ძ ა ღ ე სიძველით ან სიმჴალით გამწარებული. // მწარედ ითქმის სამწუხარო ამბავი, ანუ ტირილი, სასტიკი გვემა, ტანჯვა და სხ. (ვეფხისტ. 342, 1295), горестный. მ წ ა რ ე ს ი ც ი ვ ე, жестокий холод.

მწაფილი მეხრე, ეტლზედ მჯდომი, ეტლთ მატარებელი, кучер.

მწდე ნახე ღვინის მწდე.

მწე მეხვაიშნე, მშველელი, შემწე (ფსალ. 3, 3, 5 და 9, 9, 34, კუალად 17, 2), помощник, заступник.

მწევარი (ოთხფ.) ძაღლი, მომწევი ნადირთა (ნახე ძაღლთან), борзая собака.

მწერალი წერის მოქმედი, აღმწერი, писатель, писец, писарь.

მწერი (მწერ.) ყოველი ბუზი (ისაი. 7, 18), муха, насекомое.

მწვადი, მწვარი მოხრაკული ან შემწვარი საჭმელი (გამოს. 12. 9; ვეფხისტ. 194. 913), печеное, жаркое. თ. ქებაბ [არაბ.], ს. ხროვაწ[1].

მწუავე მწარე, პირის დამწველი (ნახე მწარე), пряный.

მწუალებელი სარწმუნოების განმწუალებელი, განდგომილი, განშორებული საერთოს სჯულისაგან раскольник, отщепенец, еретик.

მწუანე ბალახისფერი (დაბად. 2, 12; ვეფხისტ. 403), зеленый. // თჳთ ბალახი (დაბად. 1,11 და 2, 5; ფსალ. 89, 5 და 103, 14), злак, зелие,, зелень, былие, трава.

მწუანილი, მწუანვილი (ბალ.) ბოსტნეული, მხალი და სხვა მოსავალი, გინა ბალახი (ფსალ. 36, 2; მარკ. 6, 39), зелень, овощи.

მწუანვილოვანი ამწუანებული (ფსალ. 22, 2), злачный.

მწუარი შემწვარი (ნახე მწვადი) (გამოს. 12, 9), печеный.

მწვერვალი ხევითი წვერი ან კიდური (ისაი. 2, 2), верх (ლუკ. 16, 24), конец. // რქა მცენარეთა, კეწერი (ფსალ. 79, 11), отрасль.

მწვეტი წამახული წვერი, острый конец, шпиль.

მწვირე წუმპე ცუდი და მყრალი (2 პეტრ. 2, 22; იერემ. 38, 6), тина.

მწიაღებელი წიაღით აღმქმელი.

მწიგნობარი წერილთ მეცნიერი (მატ. 2, 4 და 5, 20; მარკ. 9, 16), книжник. // მწერალი, მდივანი (გამოს. 5, 6), ანუ მ წ ი გ ნ ვ ე ლ ი (იერემ. 36, 10), книгочий, письмоводитель.

მწითური წითლის ფერით შეხამებული (ქებ. 5, 10), чермный, румяный.

მწიკვი თითებით აღებული ბურნუთი ან მარილი ერთი წება, щепоть.

მწიკული ტანის უწმინდურება, ანუ სულიერი ბიწი (შავთ. 13), скверна, нечистота, ვითარ თ ე ბ ო და ქ ე რ ტ ლ ი, მწიკული თმათა, ბეწუთა და მისთანათა, გ ე მ ს ი ან გ ვ ი მ ს ი ნაოფლარი კაცთა ტანისა; ჟ უ ჟ ლ ი და გლეხურად ჭ უ ჭ ყ ი გემსი ტანისა, გამჯდარი სამოსელთა შინა, ანუ ნარეცხი მათი; მ წ ი კ უ ლ ი ა ნ ი გასურილი (ზაქარ. 3, 3), гнусный.

---

[1] უნდა იყოს ხ ო რ ო ვ ა წ. რედ.

მწირველი შემწირველი, მსახური სა́ღმთოთა სიწმინდეთა (იერემ. 33, 22), служитель.

მწირი უცხო, მსხემი, სხვაგნით მოსული (ლუკ. 24, 18; საქმ. 7, 6; ფსალ. 145, 9), пришлец, странник. // მ წ ი რ ი ა დ გ ი ლ ი უპოვარი ან გაუსაძლისი, скудный.

მწირობა უცხოება (ფსალ. 118, 19, 54 და 119, 5), пришольствие, странничество.

მწიფე შემოსული, მოწეული ხილი და სხვა მოსავალი (დაბად. 40, 10), зрелый.

მწკრივად, წკრივად სირად, გრძლად ჩარიგებით, თვითოთვითოდ, დაწალიკებით, рядом, в шрингу.

მწმახნელი მგრეხელი, მწნეველი, ანუ მქანდაკებელი (ისაი. 44, 9), вающий, ваятель.

მწნეხელი მუშა, მწურავი ყურძნისა, работник-выжиматель, выжиматель вина.

მწნილი, წნილი ძმარში ჩადებული ხილი ან ბოსტნეული, კიტრი, კომბოსტო, ხახვი და მისთანანი (ვეფხისტ. 1357), соленые овощи. // ხოგჯერ ეწოდების ნარაჯასაცა, რომელია მ უ რ ა ბ ა.

მწოვარი ძუძუთა, ძუძუს მწოველი, მძუძებანი (მატ. 21, 16), о[о]сущий, грудный.

მწუბება (იმწუბა) წუმპეში გორვა, ჩაწოლა (2 პეტრ. 2, 22), валяться в грязи.

მწულილი ფულის ნაოთხალი, კოდრანტე (მარკ. 12, 42; ლუკ. 12, 59), лепта, мопница, полушка.

მწუხარე ურვეული, ნაღვლიანი, დაღონებული (ფსალ. 41, 5, 11), прискорбный, печальный, унылый.

მწუხარება გრძნობა სინაკლისა, განუსვენებელი მდგომარეობა სულისა (ფილიპ. 2, 27), печаль, скорбь.

მწუხრი შელამება, სალამო ბინდის მოახლება (დაბად. 1, 5 და შემდგომი; ფსალ. 29, 5), вечер.

მწყაზარი ფრიად შვენიერი, მოხდენილი, ანუ სპეტაკი (ნახე ლამაზთან) (ქებ. 5, 10), белый.

მწყაზარი ქორი (მფრინ.) ბურაული, кобуз.

მწყემსი მაძოვებელი ხვასტაგთა, ვითარ მეცხვარე, მენახირე, მეღორე, მეჯოგე და სხ. (ლუკ. 2, 8 და შემდგომი, კუალად 8, 34), пастух. // მწყემსი კაცთა, ე. ი. მღუდელი (ეფეს. 4, 11), пастырь.

[მწყემსმთავარი]

მწყერი (მფრინ.) перепелка.

მწყერმარხი ანუ **მწყერმარხილი** (მფრინ.) крастель, коростель (ფსალ. 104, 40).

მწყობრი რაზმი, დაწყობილი ლაშქარი, строй войска. // გუნდი, ხორო მემუსიკეთა (ფსალ. 150, 4), лик, оркестр.

მწყრალი განრისხებული, გამგუნებული, гневный, раздосадованный.

მწყრთა ნახე წყრთა.

მწყხა (ვმწყსი) ძოვება ხვასტაგთა, пасти. // დამწყსა, დარიგება, ანუ დამორჩილება (ფსალ. 2, 9 და 22, 1, კუალად 77, 71 და შემდგომი), упасать.

მწყურნები მრავალწყლიანი, ჭანჭრობი (ისაი. 35, 7), езеро, [озеро].

მჭადა (ბალ.) ყვავილი თხილთა, ნიგოზთა და მისთანათა, ერთრიგს სოკოსაც ჰქვიან.

მჭადაქვა თირი, რბილი ქვა (ნახე ქუასთან), рыхлый, мягкий камень.

მჭადი პური ფეტვისა, ანუ სიმინდისა (ნახე პურთან).

მჭამელი მეტობით საზრდელის მიმღები, едок, прожора. // სასტიკი მუწუკი ხორცშემჭამი, მარგული ან სრსვილი.

მჭახე ჭმახი, ღვინო მოძმარებული, ან ისრიმი წამხდარი, окислый.

მჭედელი კვერით ხურო, რკინათა მოქმედი (დაბად. 4, 22; და 1 მეფ. 13, 19; ისაი. 41, 7), ковач, кузнец.

მჭეველი ნახე ჭეველი.

მჭევრი მშვენიერად მოუბარი (ნახე ენამჭევრი), краспоречивый. // მოხდომილი, ტანოვანი, ანუ კისკასი (ვეფხისტ. 137, 259, 684; შავთ. 49), статный, стройный.

მჭელეული ძნის ხელეული (დაბად. 37, 7; ფსალ. 125, 6 და 128, 7), рукоять, сноп.

მჭელი პეშვი (ნახე მუჭი), горсть (3 მეფ. 17, 12; ლევიტ. 2, 2).

მჭვარტალა ნახე ჭარტალა.

მჭვარტლი ნახე ჭვარტლი.

მჭვირვალე, მჭვირობი გამჭვირვალი, გამომჭვირვალე, прозрачный.

მჭურინავი, მჭრინავი (მფრინ.) ხმანელი გურიტი (იერემ. 8, 7), горлица.

მჭიდრო ფრიად იწრო, тесный.

მჭირნე ფრიად საჭირო, ანუ საქმე გაჭირებული, нужный, или нуждающийся.

მჭირხნე, მჭიშნე მეტად დაგრეხილი, ან დასთული, крутый.

მჭირხნედ მოჭირებით, მაგრად (ეზეკ. 44, 16), крепко, круто.

მჭიხე წამოჭიხებული, წამოწითლებული.

მჭნარი დაჭნობილი, გამჭნარი, вялый.

მჭლე ხორცდაცვივნული, გამხდარი (ვეფხისტ. 953, 1195), худой, исхудалый, нежирный.

მჭლერჭი ნახე ჭლერჭი.

მჭმუნვარე შეწუხებული, შეურვებული (დან. 1, 10), унылый.

მჭნავი ნახე ჭნავი.

მჭოვარი ნახე თანამჭოვარი.

მჭრელი მკვეთრი, ანუ შემჭამელი, острый, едкий.

[**მჭყივანი** крикливый].

მხაზველი ხაზვის მოქმედი, чертежник.

მხაზველობა ცოდნა, ანუ მოქმედება ხაზვისა, черчение, рисование.

მხალი (ბალახ.) ბოსტნეული, ან მინდვრის მწვანილი, რომელიც შეიგზობის საჭმელად (მატ. 13, 32; მარკ. 4, 32; ფსალ. 36, 2), зелие, зелень, овощи.

მხარე ადგილი ზევით ანუ ქვევით, მარჯუნივ ანუ მარცხნივ მდებარე, გინა რომელიმე კერძო ქუეყანისა (ვეფხისტ. 13, 15), страна, сторона (ნახე დარგი).

მხარი მკლავის თავი კისრადმდე (მატ. 23, 4; ლუკ. 15, 5), рамо, рамена, плечо.

მხარი საზომი მწვერვალით თითთათ, ვიდრე მკერდადმდე, ხოლო ზოგგან ჰნიშნავს ორთავე ხელთა გაშლასა (საქმ. 27, 28), сажень.

მხარიღლივ ერთს მხარზედ და მეორეს იღლიას ქვეშ გარდავლებით, через плечо.

მხატვარი ხატთა მწერალი, მოქმედი (ვეფხისტ. 1363, 1455), живописец.

მხატვრობა ხელობა, ანუ ნამუშევარი მხატვრისა, живопись.

მხდალი მშიშარი, ჯაბანი, ან მკრთალი, робкий, трусливый.

მხდალობა სიჯაბანე (ვეფხისტ. 414), трусость.

მხდომი მებრძოლი მიმხდომი, წინაამდგომი (ფსალ. 16, 7 და 73, 10. კუალად 138, 20), противник, восстающий.

მხე მომჟავო და მოტკბო გემოიანი (ნახე მჟავესთან), кисло-сладковатый. თ. მარახოშ [სპ.].

მხედართმთავარი სპასალარი, ერისმთავარი, ლაშქართა შინა მეფის შემდგომი მბრძანებელი სრულიადისა მხედრობისა, военачальник, главнокомандующий.

მხედართმძღუანი გამოცდილი ბრძოლასა შინა, წინამავალი და მასწავლელი მხედართა, თუ ვითარ ჰხამს შებმა, ომი და სიმხნე ღვაწლთა შინა. მისი არს რჩევა მისავალთა, ლაშქართა წყობა, ციხეთა შემოდგომა, სადარნოთა დასხდომა და ეგევითარნი საქმენი სალაშქრონი, воевода, предводитель войска.

მხედარი ცხენოსანი მოლაშქრე (იოან. 19, 34), конный воин. // ზოგად ჯარისკაცი ცხენიანი თუ ქვეითი (ლუკ. 3, 14), воин. // ჭადრაკის თამაშობაში გამოჭრილი ცხენის ნაკვეთი, конь в шахматной игре.

მხედრობა ჯარი, ლაშქარი, სპა, воинство, армия.

მხედრული წერილი ხმარებული ერისკაცთა მიერ გასარჩეველად ხუცურისაგან, гражданское письмо.

მხევალი მოახლე, მოსამსახურე გოგო (მატ. 26, 69; საქმ. 12, 13; ფსალ. 122, 2), рабыня, служанка.

მხერხავი მუშა, ხერხით მჭრელი ფიცართა, пильщик.

მხეცი (ოთხფ.) ხორცისმჭამელი ცხოველი ველური, ან ხლჳსა (დაბად. 1, 24 და შემდგომი; ფსალ. 78, 2), зверь.

მხიარულება სიამოვნე, გრძნობა სულიერისა განსვენებისა (ლუკ. 1, 14), веселие.

მხიარული გონებით განსვენებული, მოხარული (ვეფხისტ. 144, 1285), веселый. // მ ხ ი ა რ უ ლ ი ფ ე რ ი ლია, веселый, яркий цвет.

მხიბლავი გრძნებით შემლოცავი, მწამლველი, колдун.

მხიე მრეში, ნაცრის ფერი (ნახე რუხასთან).

მხილება (ვამხილებ) სიტყჳთ, ანუ საქმით შეგონება, დანახვება, უგვანის ქცევისა და შეცთომისა (ფსალ. 6, 1 და 37, 1), обличать, уличать, усовещивать.

მხლებელი, თანადმგები მარად ახლოს მყოფი, მსახური, ვინცა ვის ახლავს, находящийся при ком.

მხმილავი ხუმილი, მცველი, ღამის დარაჯა (ქებ. 5, 7; ფსალ. 126), страж.

მხნე შემმართებელი ღუაწლთა და შრომათა, მამაცი, ახოვანი (ფსალ. 30, 25), мужественный.

მხობა (ვამხობ) ნახე დამხობა.

მხოლო მარტო, ცალკე განსაკუთრებით თავის წინა (ფსალ. 4, 8 და 50, 4, კუალად 101, 7), единый, одинокий, особенщийся.

მხოლოდშობილი მხოლო შვილი, დედის ერთა (ფსალ. 24, 16 და 34, 17), единородный (ლუკ. 7, 12).

მხრდალი ხრდალი, მხდალი.

მხსნელი მშველელი, განმარინებელი უბედურებისგან (ფსალ. 17, 1 და 18, 14, კუალად 77, 35), избавитель.

მხულივი (ოთხფ., ლევიტ. 11, 30), *καλαβώτης*.

მხურვალე გახურებული, горячий, разгоряченный; მხურვალე ლოცვა, теплые молитвы. // ბუნებითად მქონი განმატფობელის თჳსებისა, გრილის წინააღმდგომი, горячительный.

მხურვალება სიცხარე, სიმხურვალე, горячесть. // სენი სიცხისა, ხურვება, ცხელება (მატ. 8, 14 და შემდგომი), горячка.

მხცოვანება თეთრი თმა მოხუცებულთა (სიბრძ. სოლომ. 2, 10 და 4, 8), седина.

მხცოვანი მოხუცი წვეროთეთრი, ანუ ჭაღარაშერთული (ვეფხისტ. 790), седой.

მჯა ნახე ბრჯა.

მჯდომარე, მჯდომი ვინცა ჰზის მოსვენებით (ნახე ჯდომა).

მჯდომი დიდი მუწუკი შინაგან, მარგული.

მჯილი მოკუმშული ხელი (გამოს. 21, 18; ისაი. 40, 12; ვეფხისტ. 491), пясть, горсть (ნახე მუჰი).

მჯობი სხვათ უკეთესი, უმჯობესი (ვეფხისტ. 1275), лучший.

მჰაზრველი მოჰაზრე, შიგანაგან მზრახველი, ჰაზრის მქონი, мыслящий.

მჵრონი ნახე მირონი.

მჵრსინი მვირსინი (ისაი. 41, 9), мирсина (მურტი ნახე).

ნ

ასო **ნ** ზოგჯერმე იხმარების ნაცულად ლ და მ (იხილენ ასონი იგი).

ასოსა ამის მარცვალი **ნა** დაერთვის თავად:

α. არსებითთა სახელთა და ზოგჯერ ზედ შესრულთაცა და ჰნიშნავს:

1) სამნეოდამ გარდადგინებულთა, ანუ შეცვალებულთა მდგომარეობისაგან თჳსისა: ნაბატონარი, նაყმევი, ნასიძარი, ნარძლევი, ნაქურივალი, ნახუცარი, ნაქალაქევი, ნასოფლარი, ნასახლარი, ნავენახობი. ეგრეთვე: ნაავანდყოფარი, ნამარხულევი, ნამსგავსები და სხ. (იხილე სა).

2) თან შეერთებასა, ანუ კუთნვილებასა რასმე: ნაანდერძევი, ნამზითევი, ნაკერპავი, ნაღვინევი, ნააბანოევი, ნასადილევი, ნაძირალი და სხ.

3) ნადგომსა, ანუ ნიშანდაჩნეულსა: ნაკბილარი, ნამუხლი, ნაფეხვარი, ნატერფალი, ნამუწუკარი, ნაბანაკევი და სხ.

β. რიცხჳთთა სახელთა და ჰნიშნავს კერძოსა: ნაოთხალი, ნაათალი, ნაასალი და სხ.

γ. მიმღეობათა ვნებითთა განვლილისა დროჲსათა: ნაბანი, ნაკერი, ნავალი, ნაგები, ნაკეცი, ნამუშავარი, ნამძინარევი, ნამზადი, ნაპარსი, ნარგები, ნაქმარი, ნაშრომი, ნასწავლი, ნაწერი, ნახმარი და სხ.

მიმღეობანი ესე იქმნებიან:

1) სხვადასხჳსა დამნიშნველნი სინონიმნი, მაგალ., ნაბანი, რაჲცა განბანილ არს, ანუ წყალი, რომლითაცა განბანილ არს; ნამუშავარი, ვისცა უმუშავიეს, ანუ რაჲცა უმუშავიეს; ნასწავლი, ვისცა უსწავიეს, ანუ რაჲცა უსწავიეს. ეგრეთვე ნაუბარი ნალაპარაკევი, ანუ უბეში ნადები. კუალად ნაუბნარი ნალაპარაკევი, ანუ უბანყოფილი; ნავალი ნასიარულევი ადგილი, გინა კაცი, ანუ ვალად აღებული.

2) ესევე მიმღეობანი იხმარებიან არსებითად სახელადცა: ნაღები, ნახნავი, ნათლული, ნახევარი, ნაპრალი, ნასხლევი, ნაქსოვი, ნაშენი, ნაგავი.

δ. კუალად იხმარების მარცვალი **ნა** რთულთა და სხმითგარდასლვითთა ლექსთა შორის საშუალ: გულნაკლული, სახელნართაული, ზედნადები, ღვინონასვამი, წყალნარევი, ჰიანაჰამი, ჰირნახული, ხელნაწერი, ჰირნახადი. ანუ: აღნაგი, აღნადგინები, აღნაქუსი, განაჩენი, მონაგარი, მონაღვაწი, შენამსგავსი, შენაძენი, წანაგები, წანართმევი, წანაღები და სხ.

ნ. კუალად ასო ნ იხმარების ბოლოდ ზმნათა და საკუთრად მქონთა ასოსა მ პირველისა პირისა მაპიროვნებელად, ოდესცა ძიება მათი არს მრავლობითი. მაგალ.: *მაქუს* წიგნი, *მაქუნ* წიგნნი, ანუ *მქონან* წიგნები; *მეგულება* წიგნი, *მეგულებიან* წიგნები, წიგნნი. ეგრეთვე სხუათაცა პირთა, რიცხუთა და დროთა შინა; *გაქუს, გაქუნ, გქონან; აქუს, აქუნ, ჰქონან; გუაქუს, გუაქუნ, გუქონან* და სხ. *მქონდა, მქონდნენ; გეგულება, გეგულებიან, მეგულებოდა, მეგულებოდნენ* და სხ.

ეგრეთვე დაერთვის ზმნათაცა ვ გაპიროვნებულთა სრულთა დროთა შინა: *დავსწერე* წიგნი, *დავსწერენ* წიგნნი; *დასწერე* წიგნი, *დასწერენ* წიგნნი; *დაასხა* ხელი, *დაასხნა* ხელნი და სხ.

ნააბანოევი აბანოში ბანებული, мывшийся в бане.

ნაადგილევი დაჩნეული, ანუ ნადგომი ადგილი.

ნაავად[მ]ყოფარი ახლად მორჩენილი ავადობისგან, недавно выздоровевший, выздоравливающий.

ნაათალი ათისთავი, მეათედი, ნაწილი მეათე, десятая доля, десятина.

ნაალი ლეიბი, ბათქუნი, тюфяк.

ნაანდერძევი ანდერძით ნარგები, достающийся, следующий, или полученный по завещанию.

ნაასალი მეასედი, ასისთავი, сотая часть, доля.

ნაბადი, ნაბადები ნაქმარი, დაბადებულ ქმნილი, ანუ ნაქონები.

ნაბადი მოთელილი საფენი მატყლისა, войлок. // წამოსასხამი ლართი (ვეფხისტ. 1268), бурка, епанча.

ნაბათი ნობათი, ნაღარა.

ნაბამი ნახე ბმა.

ნაბანაკევი ნაადგილევი, ბანაკთ ნადგომი ადგილი, место, где был стан, лагерь.

ნაბანი წყალი, რომელშიაც გაბანილა რამე, помойки, [мытий. купавшийся]. // კუალად უწოდებენ აიაზმასა ხატთა და წმიდათა ნაწილთასა.

ნაბატონარი ბატონ ყოფილი ვისიმე, бывший господин отпущенного на волю.

ნაბერწკალი, ნაპერწკალი ცეცხლის ნაწილი უმცირესი (ნახე ცეცხლთან), уголь, искра (ფსალ. 17, 12).

ნაბიჯევი ნახორხალი, ნამტურევი, ნამცეცი პურისა (მატ. 15, 27), крупица, крошка.

ნაბიჭვარი ბუშის შვილი, незаконнорожденный.

ნაბიჯი სიერცე ფეხის გარდანაცვლებისა (ნახე ბიჯი), шаг.

ნაბოლოვარი ბოლონდელი, ბოლოს დროსი, უკანასკნელი, последний.

ნაბრძვილი ბრძვილის დანაჩნევი ადგილი.

ნაბძანები ნახე ბძანება.

ნაბუნიობი მზის მობრუნება საზაფხულოდ ან საზამთროდ (ნახე ბუნიობა).

ნაგავი, ნაგევი მონაცოცხი, დაგვილი, ცუდმადი გარდასაყრელი (ფილიპ. 3, 8), умет, сор.

ნაგაზი (ოთხფ.) ლაგაზი ნახე.

ნაგები შენობა, ნაშენობი, здание, строение.

ნაგერალი (ბალ.) მომკილს ნახნავზედ, მეორეს წელიწადს დაუთესავად მომკილი პური, ქერი და მისთანანი.

ნაგლეჯი ნახევი, ნაპერი.

ნაგუდალი წიბწა, გურკა ჰაპისა (გამოს. 6, 4), кость, косточки винограда. // მგბარი სკიპი, ჩამიჩი (ოსე. 3, 1), варение.

ნაგუზალი (ნახე მუგუზალი), головешка.

ნაგვრგვნევი გვრგვნნაკურთხი, ნაქორწილევი, обвенчанный.

ნადგომი ნასადგომევი, სადაც მდგარა ვინმე ანუ რამე.

ნადები ასუნებული ხორცი, თევზი და სხვა სანოვაგე, протухшееся мясо, рыба.

ნადი მუშაკობა მრავალთაგან, მამითადი, дружина, толпа рабочих.

ნადიმი, ნადიმობა სტუმრობა, წვეულობა (ვეფხისტ. 57, 72, 329, 364 და შემდგომი), пир, пиршество (ნახე სერი).

ნადირი (ოთხფ.) ველური ცხოველი (ფსალ. 49, 10), зверь, дичь (დაბად. 27,3), лов.

ნადირობა დევნა ნადირთა, ოთხფერხთა, მფრინველთა, თევზთა და სხ. (დაბად. 25, 27 და შემდგომი; ვეფხისტ. 74, 156), ловитва, охота. // (ვნადირობ) დაჭერა ნადირთა, ездить на охоту, ловить зверей, птиц, дичь, рыб и т. п.

ნადობა (ვნადობ) ნადად მუშაკობა, дружно работать.

ნაეშმაკარი, ნაეშმაკევი ეშმაკობით ნაქმარი.

ნავალი ნასიარულევი ადგილი, следы, или проложенная дорога.

ნავარდი ხლტომა, ფრენით სლვა (შავთ. 29), скачок, скока, прыжка.

ნავარდობა (ვნავარდობ) სეირნობა, შექცევით სლვა (ნახე თამაშობა და სიარული), гулять.

ნავენახობი ვენახის ადგილი აოხრებული, запущенный, или запустелый виноград.

ნავთი მიწის ცხიმი, შავი ანუ თეთრი (დაბ. 3, 46), нефть, нефть, деготь.

ნავთსადგური ლიმენა, ზღჳს პირს დასადგომი ადგილი ხომალდთა, უშიშარი ღელჳსაგან და დანთქმისა (საქმ. 27, 12; ვეფხისტ. 630), пристанище, пристань, гавань.

ნავი ზოგად ყოველი ხის ნავები წყალთა შინა სავალად (მატ. 4, 21 და შემდგომი, 8, 23 და შემდგომი; საქმ. 20, 13 და შემდგომი; ფსალ. 103, 26; ვეფხისტ. 1027 და შემდგომი), корабль, судно, Navis. უმცირესსა შთასაჯდომსა ერთის კაცისასა ეწოდების ნუშა; მისს უდიდესს—ვარცლი და სხუათა შთასატევნელთა ვიდრე ათადმდე, ოცად, ორმოცად და ასადმდეცა კაცთა ჰქვიანთ: სანდალი, ზარბუნე, კანჯო, კარაპა, კარაჭაპა, კატარღა, ნავტიკი, ოლაჭკანდერი, ონჩხომელი ანუ ორჩხომელი, პურკატა, ხოლო დრომონი შთაიტევს ხუთასსა კაცსა საგზლითა და ტჳრთითა, არამედ ხომალდი უდიდესია და სტოლა— მრავალი ნავი საომარი.

ნავის უფალი მენავე, მეხომალდე, ნავის პატრონი, ანუ მმართებელი (საქმ. 27, 11), навклир, шкипер, *ναύτης, ναύκληρος*.

ნავკოხალარი მენავეთ მოძღვარი, ხომალდის მატარებელი (იგავ. 23, 34), кормчий.

ნავნები ვნება შემთხვეული, поврежденный.

ნავროზი, ნავროზობა გაზაფხულის ბუნიობა, მაჰმადიანთ ახალწელიწადი (ვეფხისტ. 1111, 1114), навруз, магометанский н. г.

ნავხი ხიბლვა, გრძნებით შეკურა, დანავსვა, თვალის კურა.

ნავტიკი მცირე ტივი, ანუ ლასტი, ქვეშედამ გაბერილის გუდებით მოკრული წყალში გასავალად, понтон. [пором წაშლილია და ზევიდან აწერია понтон. რედ].

ნავტური კატარღის მნე, მენავე, ельбот, *ναύτης*.

ნავღელი ანუ ნაღველი ცხოველთ შიგანურში ღვიძლთან მიკრული ბუშტი, რომელშიაც სდგას შავი, ანუ შავად მომწვანო სქელი ნოტიო (ნახე ბალღამი) (2 სჯული. 32, 32; ფსალ. 68, 21; მატ. 27, 34), желчь. // მსოფლიურად: ზრუნვა, ურვა, რუდუნი, მჭმუნვარება, ნაღვლობა (ვეფხისტ. 621, 853), забота; ვიეთნიმე განარჩევენ ესრეთ: ნავღელი და ნაღველა ეწოდება ხსენებულს ბუშტსა, ხოლო ნაღველი ზრუნვასა, მაგრამ საზოგადოდ იხმარების განურჩევლად, ვითა ლექსიცა წმინდა.

ნაზამთრი ზამთარგამოვლილი, зимовалый.

ნაზი ნარნარი, ტურფა.

ნაზირი თათრულია, ხოლო ქართულად აბრამადი ჰქვიან სალაროს ნაზირს და ეზოს მოძღვარი ქარხნისას (ეს ლექსები ნახე), управитель, дворецкой.

ნაზლა, ნუზლა ნახველი, ხრასტი (ნახე ბალღამთან), мокрота, харкотина. თ. ნაზლე.

ნაზობა სინაზე, სინარნარე, სიტურფე (ვეფხისტ. 1126), нежность. // (ვენაზობ) თავის გაზვიადება, ბრეცა.

ნაზორევი ნაკვეპავი, კვეპთადმი შეწირული, ზორვილი.

ნაზუქი ნატიფად ნამცხვარი პური, მოზელილი კვერცხითა და სძითა, ანუ ერბოთი, ანუ ზეთითა (ნახე პური), [დიაცნი გულნაზუქნი არიან].

ნათალი მოთლილი, თლით მოშორებული.

ნათელი განშორება ბნელისა, ელვარება მზისა და სხუათა მნათობთა, ანუ ცეცხლისა და მისთანათა (დაბად. 1, 3 და შემდგომი; მარკ. 13, 24), свет. // ზოგგან ეწოდების ძესა ღვთისასა ხორცითა სოფლად მოსრულსა (იოან. 1, 7, 8 და შემდგომი). // ეგრეთვე მქადაგებელთა სახარებისათა (მატ. 5. 14). // და თჳთ სწავლასა, ანუ ქადაგებასა სახარებისასა (საქმ. 26, 23).

ნათელთევზა (თევზ.) акула.

ნათელსხივოვანი, ნათელცისკროვანი მომფენი სხივთა ნათლისათა, светозарный, лучезарный.

ნათესავი შთამომავლობა, თაობა (მატ. 1, 17 და შემდგომი; ფსალ. 21, 23, 30), род, семья, поколение. // გუაროვნობა, გუარი (საქმ. 7, 13 და 13, 26), род, фамилия. // თჳსტობი, მისხი, მეყსი (ლუკ. 2, 44), сродник, родственник. // მოდგმა, გუარი ცხოველთა, ანუ მცენარეთა (დაბად. 1, 11, 25 და შემდგომი), род, порода. // ღრამმატიკულად: სხვაობა სახელთა მამრ-მდედრობისაებრ, მაგალ., ნათესავი მამრობითი, მდედრობითი, უმეშვეობითი, ანუ ზმნათა ცვალებისაებრ, ვითარ ნათესავი შემოქმედებითი, ვნებითი, უმეშვეობითი. // რიტორულად: მსგავსება სახეთა (იხილე ვრცლად კატიღ. ანტ., § 65 და შემდგომი).

ნათესავობა თჳსტომობა, родство.

ნათესი დათესილი რაც რამ, посев.

[ნათლება ვინათლებ].

ნათლია მიმქმელი ჩჩჳლისა წმიდისა ემბაზისაგან, крестный отец, крестная мать, восприемник, -ца.

ნათლიდედა ნათლულის დედა, кума; ნ ა თ ლ ი მ ა მ ა ნათლულის მამა, кум (ნახე სვინა).

ნათლის მცემელი სახელი ესე მიეწერების საკუთრად წმიდასა იოანეს წინამორბედსა, რამეთუ პირველად მან იწყო ნათლისცემა და თჳთ მაცხოვარსაცა ნათელსცა იორდანეს შინა (მატ. 3, 1 და 14, 2 და შემდგომი), креститель.

ნათლისღება (ნათელსვიღებ) მიღება მონათლჳსა (მატ. 3, 5 და შემდგომი), креститься, креститься. // ერთი შვიდთა საიდუმლოთაგანი წმიდისა ეკლესიისათა, რომელ არს განბანა გუამისა სამ გზის შთაფლჳთა წყალსა შინა, რომლისა მიერცა ნათლისღებადი შეერთდების ეკლესიასა და სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა (1 პეტრ. 3, 21; ეფეს. 4, 5), крещение. // დღესასწაული ღვთის გამოჩინებისა, რომელიცა გარდაიხდების 6 იანვარს, крещение, богоявление.

ნათლისცემა (ნათელსვსცემ) მონათლვა სხუათა მღუდლისაგან (მატ. 3, 11; მარკ. 1, 4 და შემდგომი), крещать, крестить.

ნათლობა წვეულობა, ლხინი დღესა ჩჩჳლის მონათლჳსასა, крестины.

ნათლუა (ვნათლავ) ნათლისცემა, (ვინათლები) ნათლისღება (ნახე მონათლვა), крещать, -ся.

ნათლული ვინცა მონათლჳს ჟამსა მიქმულ არს ვისგანმე, მას ეწოდების ნ ა თ ლ უ ლ ი, რაჲსა მიმართობით ნ ა თ ლ ი ი ს ა დ მ ი, крестный сын, крестная дочь.

ნათობა (ნათობს, ანათებს) სინათლის გამოცემა, ნათლის განფენა (მატ. 5, 15; ვეფხისტ. 1284), светить.

ნათხოვარი დროებით ნაშოვნი თხოვნით, выпрошенный на время, на подержание.

ნათხზი ნაწნავი.

ნაიბი მარზაპანი, მოადგილე, მაგიერი, ნაცვალი, наместник, управитель, *ναΐπης*.

ნაირი გუარი ან ფერი, сорт, ранг.

ნაკადი, ნაკადული მცირე ტოტი მდინარისა, ანუ რუვი (ვეფხისტ. 830, 853; ფსალ. 119, 136), поток (იერემ. 31, 9), ровенник (ნახე წყალთან)

ნაკაზმი, ნაკმაზი მორთული, ანუ დარკვეული (ნახე კაზმა).

ნაკაპარანი საისრე ქარქაში, კაპარჭი, тул, колчан.

ნაკაფი გაკაფული ფიჩხი, ანუ ადგილი, вырубленное место или хворост.

ნაკბენი კბენის ადგილი.

ნაკბილარი ნაკბენზედ დაჩნეული ადგილი კბილისა, знак зуба от укушения.

ნაკენკი პირში გაჩნდება თეთრი მუწუკი უფრო ლაშებს ქვეშ.

ნაკერი, ნაკერავი გაკერილი, ანუ შეკერილობა, шов, шитьё или шитый.

ნაკერპავი კერპთ ნაზორევთაგანი (საქმ.).

ნაკენჩხალი, ნაკერჩხალი (ხე).

ნაკეცი ადგილი, სადაც დაიკეცება სამოსელი, ქაღალდი და მისთანანი, сгиб.

ნაკვეთი ნაჭერი, მონაკვეთი, отрезок, или отрезанный, отрубленный. // გარეგანი სახე, შესახედავი ნივთისა, მორფი (ნაკუთი იხილე), фигура, начертание.

ნაკვერცხალი წითლად ცეცხლმოკიდებული ნახშირი (ფსალ. 17, 8, 12), горящий уголь (იხილე ცეცხლი).

ნაკი, ნაკის დღე, ნაკიანი წელიწადი ნაკლების შესასრულებელი (ვეფხისტ. 796), високос, високосный день или год. წელიწადსა აქუს 365 დღე და 6 ჟამი. ოთხს წელიწადს 6 ჟამი შეიქმნება 24, ანუ 1 დღე. ამის გამო მეოთხეს წელიწადსა აქუს 366 დღე მომატებული. ესე დაერთვის ფებერვალსა და მაშინ 28 დღის მაგიერ, შეიქმნების 29 დღე ფებერვლისა. ამას ეწოდება ნაკი. ამგუარი აღრიცხუა დღეთა წელიწდისათა დაწესებულ არს გამოძიებითა ძველთა ასტრონომოსთათა უწინარეს ვიდრე ქრისტეს შობადმდე და ამისვე აღრიცხჳსაებრ პირველსა შინა მსოფლიოსა კრებასა ნიკიისასა 325 წელსა ქრისტესით დამტკიცებულ არს დღესასწაულობა პასექისა შემდგომად გაზაფხულის დღეღამის გასწორებისა, რომელიცა პირველთა შინა საუკუნეთა იქმნებოდა 21 მარტსა [1], ხოლო ვინათგან შემდგომადითა გამოძიებითა უახლესთა ასტრონომოსთათა შემეცნებულ არს,

---

[1] და სეკდემბრის 23 (იხილე ქართულს დაბეჭდილს ჟამნში შესწავება საკითხავისა 23 სეკდემბერს).

ვითარმედ წელიწადსა აქჳს 365 დღე და არა სრული 6 ჟამი, არამედ ნაკლები 12 ანუ 15 მინუტითა, ესრეთ რომელ ასოთხსა წელიწადსა შინა ეს ნაკლები მინუტები შეიქმნების მრთელი დღე. ამად ნიკიის კრებითგან ვიდრე აქამომდე 1500 წელიწადსა შინა 12 დღე ნაკისა მეტი მოსულა და ამის გამო დღელამის გასწორება ნაცჳლად 21 მარტისა, იქმნების 9. მიზეზითა ამით დასავლეთის ეკლესიასა გამოურიცხავს 12 დღე სათვალავთაგან თთვეთასა და 12 დღით წინ აღრიცხვენ იგინი დღეთა. ამას ეწოდების ა ხ ა ლ ი შ ტ ი ლ ი, ხოლო ძ ვ ე ლ ი შ ტ ი ლ ი კჳალადცა უპყრიეს ეკლესიასა აღმოსავლეთისასა, სომეხთა, ნესტორიანთა და სხ. (იხილე Словотолкователь: Грегорианский календарь).

ნაკითხი დახელოვნებული კითხვასა შინა წიგნთასა, начитавшийся книг.

ნაკლები საზომით ან რიცხვით შეუსრულებელი, недостача.

ნაკლებობა არა სრულება, несовершенство. // ზნეობითი უსაქციელობა, ანუ შეცთომა, недостаток, порок.

ნაკლულევანება უპოვარება, უქონლობა (მარკ. 12, 44), скудость, недостаток.

ნაკლულევანი უქონელი, გლახაკი, უპოვარი (ფსალ. 33, 10; ებრაელ. 11, 37), скудный, лишенный, недостаточный.

ნაკლული არასრული, არასავსე, დანაკლულებული, неполный, початый.

ნაკოდალი ღერი, შეშის ნაპობი, полено.

ნაკორდალი ნარბილი ნახე.

ნაკრავი მახვილის ნაცემი.

ნაკრავი, ნაკრაული გამოკრული, შეკრული ბოხჩა, ხელსახოცი და მისთანანი, связка, узел.

ნაკრტენი მფრინველთ ფრთების ქვეშე წჳრილი ბუმბული, пух.

[**ნაკუთალი** ნახე გაზა, ляшка].

ნაკურთხი კურთხევამიღებული, освященный, [благословенный, ნ. კურთხევა].

ნაკუწი ნამკესი, მცირე ნაჭერი ნაქსოვთა და მისთანათა, лоскут, обрезчик.

ნალბაქი პატარა თეფში (ნახე ლანკანთან), блюдцо.

ნალევა ძლივი, გალეული, тощий.

ნალესი ლესვა ნაქმარი.

ნალეწი გალეწილი, ანუ დამტჳრეული (ვეფხისტ. 1408 და შემდგომი).

ნალი სათხეპელი.

ნალი ლუმბა, საჭედარი, подкова.

[**ნალიქნი**]

ნალო მარხილივით თოვლზედ სათრეველი ზამთარ საჯდომი (ნახე ურემთან). // სათარი, მოპრილი ხე ურემთა და მარხილთა ზედა მობმული ტყიდამ მოსათრევად.

ნალო ბერძულად ანალოღია ნახე, საწიგნე, налой.

ნამალევად მალვით, ფარულად ან მოპარვით, тайком.

ნამალევი დამალული, დაფარული, утаенный.

ნამარგლი შამბი მოფხჳრული მარგლითა, [сполотый].

[**ნამარხი** ნახე მარხვა].

ნამარხულევი მარხვის შემნახველი, შემასრულებელი, постившийся, постник.

ნამაქიანი, ნამაქიანად მარჯვე, მოხერხებული, სასიამოვნოდ გასაგონი (სიტყვა), убедительный, выразительный.

ნამგალი ნახე მანგალი.

ნამგალა (მფრ.).

ნამგზავრი ახლად მოსული გზიდამ, დაღალული.

ნამდჳლი ჭეშმარიტი, უცილო, подлинный, ნანდჳლი.

ნამეტანი, ნამეტნავი, -ვად ზომაზედ ან წონაზედ ჭარბი (მატ. 12, 34; მარკ. 12, 44), излишек, избыток.

ნამზადი დამზადებული რამე სახმარად, სამზადისი, припасы, приготовленный.

ნამზითვი მზითვად გატანებული, ანუ მზითევში ნარგები, приданое.

ნამთავნი თაენში ნარგები, სარგებელი, проценты.

ნამი ტენი, ანუ ცჳარი (ვეფხისტ. 676; შავთ. 87), роса, влага, влажность.

ნამკეხი, ნაკემხი ნაკუწი, წჳრილი ნაჭრები, кусочек, крошка.

ნამკი, ნამკობი შემკობილი, შემკული, украшенный.

ნამკი, ნამკალი მომკილი, пожатый, убранный в жатве.

ნამორი დამრგჳალებული ძელის თავი, обрубок или обрубленный.

ნამსახური სამსახურის აღმასრულებელი, выслуженный, [служивый].

ნამსგავსები, ნამსგავსევი მიმსგავსებული, დამსგავსებული, похожий.

ნამტჳრევი წჳრილად დამუსრეილი, ნალეწი, обломки, дребезги.

ნამუსი შეგნება, სჳნიდისი, ანუ დაცვა პატიოსნებისა (ვეფხისტ. 378, 1048, 1241), совесть, честь. თ. ნჳმუს [არაბ., შდრ.: ბერძნ. νόμος].

ნამუხრი, ნამუხრევი ნამტჳრევი, ნატეხი, ნახორხალი (მარკ. 7, 28 და 8, 8, 19 და შემდგომი), крупица, укрух, кусок.

ნამუშავარი მუშაკობით გაკეთებული საქმე, труд, работа, обработка.

ნამუწუკარი მორჩენილის მუწუკის ადგილი, зажившая рана.

ნამუხლი მუხლის დადგმით დაჩნეული ადგილი.

ნამყენი ხის შტო სხვას ხეზედ შეხორცებული ხელოვნებით, прививок.

ნამცეცი, ნამკეკი წჳრილი ნაფხვენი პურისა და მისთანათა, крошка, крошечка, или крошечный.

ნამცჳრევი სთული შემდგომად დანარჩენისგან მოკრეფული.

ნამწვი სანთლის დანარჩენი, огарок.

[**ნამჯი** ნაჩხატი, ნაწვერალი, боронник].

ნანა ჩჩვილთ დასაძინებელი სიმღერის ხმა, бай-бай, прибаюкиванье, люлюканье, νανά.

[**ნანადირები**]

ნანდჳლ ნამდჳლ, უცილოდ (რიცხ. 22, 37), подлинно.

ნანვა (ვნანობ. ვინანი, მენანება) მწუხარება გავლილის საქმისთჳს (ვეფხისტ. 807, 827), раскаеваться, жалеть.

ნანქერი ქარისგან შეგროვებული თოვლი (ნახე თოვლთან), насыпь снега от ветра.

ნაოთხალი მეოთხედი, ოთხისგან ერთი (ლევიტ. 23, 13), четвертая часть, четверть. თ. ჩარექ [სპარსულიდანაა].

ნაომარი ბრძოლის აღმასრულებელი, ომგარდახდილი (ვეფხისტ. 475), сражавшийся.

ნაოფლარი ოფლნადენი, вспотевшийся.

ნაოჭბრძვილი მწიკული, მანკი, ზადი, ბიწიერება დაჩნეული რაზედმე (ეფეს. 5, 27), порок.

ნაოჭი ტანისამოსთ ნაკერში მოფხუწვილი ადგილი გასაწყობად, боры у платья.

ნაოხარი დაცარიელებული, დაქცეული, გაოხრებული ადგილი, пустошь, пустырь.

ნაპარევი პარვით შოვნილი, ნაქურდალი, краденый.

ნაპარხი პარსვით მონაძარცვი.

ნაპერწკალი ნაბერწკალი ნახე.

ნაპირალი პირში ნადები, ანუ ნაკბილარი.

ნაპირები დანაპირი, დაპირებული, პირობით ნათქვამი, условленный, обещанный.

ნაპირი ზოგად კიდური, ბოლო ანუ მწეერვალი, край, кончик, ხოლო ზღჳათა და მდინარეთასა ეწოდების კ ი დ ე, პ ი რ ი; ფიცართა და მისთანათასა—გ ნ დ ე; მახჳლთა, ნამგალთა, ცულთა და სხ.—ნ ი ღ რ ი ანუ გ ნ დ ე ვ ე; სასმისთა ფიალთა და სხ.—ბ ა კ ო; დიდთა ჭურჭელთა, ნავთა, ვარცლთა და მისთანათასა—ქ ი მ ი; ნაქსოვთა და ლართასა—ნ ა წ ი ბ უ რ ი.

ნაპოვარი პოვნილი, შემთხვევით ნაშოვნი, найденный, или находка.

ნაპრალი გახეთქილი კლდე, ხღუდე და მისთანანი (1 მეფ. 13, 6; ისაი. 2, 19; იონა 2, 7), пропасть, расселина, трещина.

ნაყვი (ხე)

ნაყური სასმისთა შინა დანაშთენი ღჳინო, რომელსაც შთასცლიან სანაყურეში.

ნარაჲი მურაბა, შაქრითა ანუ თაფლით მგბარი ხილები შესანახავად, варенье.

ნარბევი ნატაცები, ნაფორიაქალი ალაფი, იავარი, грабеж, награбленное.

ნარბილი ნახნავი კორდი, გატეხილი ხნვითა.

ნარგები წილით შეხდომილი, доставшийся.

ნარგიზი (ბალ.) нарцисс, νάρκησσος.

ნარდად ნახე მარდად.

ნარდი სამორინო სამღერელი კამათლებით.

ნარდი, ნარდიონი (ბალ.) სუნნელი ყჳავილი, ანუ ზეთი მისი, რომელსა ეწოდება ნელსაცხებელი და ზილფიალი (ქებ. 4, 13 და შემდგომი; მარკ. 14, 3), пард, лав[ан]да, νάρδος. თ. სუმბული [სპარსულიდანაა].

ნარეცხი, ნარცხი მწიკჳლევანთა ჭურჭელთა ანუ სამოსელთ ნაბანი წყალი, помойки.

ნართაული ზედდართული, придаточный.

ნართი, ნახთი ცალწვერად დასთული ბამბა, ლაზლა და მისთანანი, прядь.

ნარი (ოთხფ.) მამალი აქლემი.

ნარი (ბალ.) ეკლიანი ბალახი, ანუ კაპაპი მისი.

ნარიკი რკინის კჳერი წჳრილი თავი.

ნარინჯი (ხე) померанец, νεράντζι, ხილი, νεραντζιά, ხე მისი. // ანუ ფერი მისი (ვეფხისტ. 474), померанцовый, оранжевый цвет.

ნარიყი კარქარაკი, რიკრიკა.

ნარმა გათეთრებული სამოსელი, холст бумажный.

ნარნარი ნელი და წყნარი, ტურფა, სანდომიანი (ვეფხისტ. 1413; ჩახრუხა. 22, 24), нежный. თ. ნაზი, აზიზ [სპ.-არაბ.].

ნარუდუნები რუდუნებით ნაშოვნი, ნაღვაწი, ნაშრომი (ეზეკ. 23, 29), труд, дело.

ნარუქი პტული, ახალი ხილი სანუკვარი, ანუ ახლად შემოღებული რამე საგანგებოდ და უცხოდ ნახელოვნები, редкость, антик. თ. ნუგბარ [სპ.].

ნარჩევი უდარესი დანარჩენი შემდგომად საუკეთესოთა გამორჩევისა, бракованый, или отборки. // უკანასკნელი (1 კორ. 15, 8 და შემდგომი), изверг, меньший.

ნარჩენი ნაშთი, დანაშთენი, остаток.

ნარძლევი შემდგომად ქურივობისა, მეორის ქმრისგან ნათხოვი ქალი ნარძლევია უწინდელის დედამთილისა, მამამთილისა და სხუათა.

ნასადილევი კაცი სადილის მიმღები; ანუ დრო შემდგომად სადილისა, пообедавший; после обеда.

ნასახლარი დაქცეულის სახლის ადგილი, развалины дома, пустырь.

ნასახური სახე დაჩნეული, ვითა მტვერი გაქელილი, ანუ პირის სანაცულო (1 კორ. 4, 13), попрание, прах попираемый.

ნასვამი, ნასომი დალეული, питый, или пьяный.

[**ნასთი**]

ნასი მდარე, ვერ კეთილი (ვეფხისტ. 1195), нижний, хужший.

ნასიძარი ყოფილი ვისმე სიძედ, бывший зять.

ნასკვი სკული, მრგვლად გამოკრული ძაფი, საბელი და მისთანანი, узел.

[**ნასკვობა** ენასკვებოდა გული].

ნასოფლარი დაცარიელებული სოფლის ადგილი, разоренная деревня, пустошь.

ნასრევი, ნასროლი გასროლილი, სროლით გარდაგდებული, брошенный, киданный.

ნასრი, ნასრანი (ბალ.) თეთრი, წურილი ვარდი, მირონის სუნნელია.

ნასუქი, ნასუქალი, ნასუქარი (ოთხფ.) უსხი ხვასტაგი (ვეფხისტ. 56), откормленный.

ნასყიდი საფასით ფრდილი, покупной.

ნასწავლები, ნასწავლი დასწავლული, დასწავლებული, выученный. // სწავლული, მეცნიერი, ученый.

ნასხამი ნაწევარი, სახსარი ასოთა, сустав.

ნასხამი ნასმარი ღართი და მისთანანი; ანუ ხილი მრავლად სხმული და სხ. (ნახე სხმა).

ნასხლევი წიდნა ვაზის ნაკაფი, ანუ ფიჩხი (იოან. 15, 4; დანიილ. 3, 46), розга, лоза, хворост.

ნატა, ნატი ტარსიკონი, მოქნილი სამოგვე ან თალათინი (ვეფხისტ. 265), сафьян.

ნატამალი მიდამო ნაოხარი (ფსალ. 101, 6 და 108, 10), нырище, развалина, пустошь. // მსოფლიონი უხმობენ მცირედსა დანაშთსა რისაც: ალარაფრის ნ ა ტ ა მ ა ლ ი არ დარჩომილა.

ნატაცები წართმეული, მიმძლავრებული ტაცებით (მატ. 23, 25; ფილიპ. 2, 6), хищение, похищенный.

ნატერფალი ფეხის ტერფთა დადგმით დაჩნეული ადგილი, ანუ ადენილი მტვერი (ვეფხისტ. 77, 642).

[**ნატი** ნახე ნატა].

ნატეხი კერძო მოშორებული, მოტეხილი, კოტორი (ეზეკ. 13, 19), укрух, кусок, отломок.

ნატისხალი სუნი დამწურისა ნატისა, მატყლისა და მისთანათა.

ნატიფი თლილი ქუა, გინა სახე ამოჭრილი (ვეფხისტ. 1116), граненый, шлифованый, მუდახილი. // მოხდომილი, ტანადი (ნახე ლამაზთან) (მუნვე, 205; ჩახრუხა. 21), статный, пригожий.

ნატკეცი პაპა ნაწნეხთა (რიცხ. 6, 4), скорлупа.

ნატრა, ნატრვა (ენატრი) ნეტარების მიჴერა, დანატრევა (ლუკ. 1, 48; ფსალ. 71. 17 და 143, 15), ублажать. // (ვინატრი, ვნატრობ, ვნატრულობ, მე[ნა]ტრება) საწადლი ნდომა (ვეფხისტ. 424, 430, 508), желать.

ნატრული უქონელი, ანუ მოკლებული საწადლის ნივთისაგან, (желаемый].

ნატყუენავი ნაშოვარი, ალაფი (ფსალ. 67, 12), корысть, добыча.

ნაფერტები თავის ვარჯთა ზედა დასადგმელი სამკაული, ხოირი, დიადიმა (გამოს. 36, 32).

ნაფეხური კუალი ფეხისა, ნატერფალი.

ნაფიცი ფიცით შეპირებული.

ნაფლეთი ნაგლეჯი დიდისა რისამე.

ნაფორიაქალი ნარბევი, ნატაცები.

ნაფოტა (თევზ.).

ნაფოტი ხეთ ანათალი.

ნაფრცქვენი ხილთაგან ანათალი გარეგანი ქერქი.

ნაფუზარი, ნაფუძარი მსოფლიონი უხმობენ ნასახლართა, ნაბოსლევთა და ხვასტაგთა ნადგომთა ადგილთა მაღლობლად შენობათა, სადაცა მიწა ფრიად გასუქებული მოსცემს კეთილსა მოსავალსა, усадьба.

ნაფშჟნეტი ნალეწი, დაფშჟნეტილი.

ნაფხეკი ანათალი, ანაფხეკი, опилки, оструж-ки. // ქუაბის ძირზედ მიმწვარი ფლავი.

ნაფხვენი დაფხჟნილი, ნაფშჟნეტი.

ნაქადები ნაპირები, დაპირებული.

ნაქალაქევი დაქცეულის ქალაქის ადგილი, раз-валины города.

ნაქები ქებული, ქებით განთქმული, славный.

ნაქირავები დაქირავებული, მოჯამაგირე, ქი-რით დაჭერილი, наёмный.

[ნაქმანი ნახე მაქმანი]

ნაქმარი ქმნული, გაკეთებული რამე, дело, обделка.

ნაქონები ნაშოვარი, მონაგარი, имение, по-житки.

ნაქსოვი ლარი, სამოსელი, შალი და რაჲცა საქმე ფეიქრისა არს (გამოს. 28, 8; ვეფხისტ. 1139), ткань, исткание.

ნაქუთი ნაკვეთი, გარეგანის სახის მოხდომი-ლება (ვეფხისტ. 315, 963). // მხატვრობაში: ნაქუთებისა, ე. ი. ჩრდილების მიცემა უმჯობეს გამოსაცხოვლებელად, В живопи-си: делать тени, оттенки. // გამოკრილთა სახეთა შინა მოსახდომელი ნაკვეთები, მუ-დახილები. // გალობათა და სიმღერათა შინა დამაშვენებელი კილოები, выразитель-ность в пении.

ნაქულბაქევი ქულბაგთ ადგილი.

ნაქურდალი ნაპარევი, краденый.

ნაქურთენი აფსკა ხეთაგან ანაძრობი უშინაგა-ნესი თხელი ქერქი, მსგავსი პაპირისა (და-ბად. 30, 37), кора соструганна.

ნაქურივალი შემდგომად ქურივობისა მეორედ ქორწინებული, бывший вдовец, второ-брачный, -ая.

ნაქურჩალი ხახუთა და ნიორთა გარსი, ანუ ნარჩევი (ნახე ქერქთან).

ნაქურცენი ნაფრცქვენივით გარსი (საქმ. 9, 18), чешуя.

ნაქუხი ნაქსოვი, და ზოგგან ხმარებულ არს ანძის ადგილს (ნახე საყე, ხალე) (ისაი. 33, 23), щегла.

ნაღამევი ნაღამური, ღამე გამოვლილი.

ნაღარა დუმბული, სამვიკი, ნესტჳ (ნახე საკ-რავთან).

ნაღარი ხნულთ შუა დანარჩენი კორდი.

[ნაღდი ფული... наличные деньги].

ნაღებავი შეღებული.

ნაღები სძეთა და მაწონთაგან მოხდილი სიმსუქ-ნე (ნახე ცხიმთან), сметана, [сливки].

ნაღველი ნახე ნაღველი და ნაღულობა, [ბწი-თური ნაღველი, ხაფრა].

ნაღვენთი მთებარეთა სანთელთაგან ჩამოდენი-ლი კონი, ანუ თაფლის სანთელი.

ნაღვერდალი ღველფი, ნაკვერცხალი (ნახე ცეცხლთან).

ნაღვინევი ღვინონასვამი, пьяный, хмельный.

ნაღიტა (ოთხფ.) დაჩაგრული ხვასტაგი.

ნაღმი კლდეთა, ანუ შენობათა ქვეშე შეთხრილი თოფის წამლის შესაყრელი დასანგრევად (ვეფხისტ. 581), подкоп.

ნაღუარევი ნაკადული, ხევი ღუარიანი (3 მეფ. 17, 6; ფსალ. 109, 7), поток.

ნაღვაწი მონაღვაწი, ღვაწლით ნაშოვნი, მონა-გარი.

ნაღულიანი დაფიქრებული, ანუ შეწუხებული ზრუნვითა, задумчивый, печальный, оза-боченный.

ნაღულობა (ვნაღულობ) დაფიქრება, ურვა, ჭმუნვა, скучать, грустить. // (ვინაღული, მენაღულება) ზრუნვა, თავსშედება (ვეფხისტ. 621), заботиться (ნახე მგამა).

ნაყმევი ყოფილი ვისიმე ყმად, бывший кре-постной, крестьянин.

ნაყოფი ხილი გამოღებული მცენარეთაგან გან-სამრავლებელად ნათესავობისა მათისა და საზრდელად კაცთა (დაბად. 1, 11, 29; ფსალ. 1, 3), плод. // ჩჩვილი მუცელსა შინა დედი-სასა, გინა შობილი (ლუკ. 1, 42). // შედგო-მილება კეთილთა, ანუ ცუდთა საქმეთაგან (მატ. 3, 8, 10). // სარგო, შესამატი.

ნაყოფიერი მომცემი, გამომღებელი ნაყოფისა (დაბად. 1, 11 და შემდგომი; ფსალ. 51, 8), плодовитый, плодоносный.

ნაყროვანება უწესო სიმაძღრე.

ნაყროვანი გაუმაძღარი ღორმუცელა.

ნაშალი გაშლილი, ანუ დაშლილი.

ნაშე რიყე ჯაგნაროვანი, пески с кустарни-ком.

ნაშენი ნაგები, შენებული, შენობა, здание, строение. // ნაშობი (ნაშვი იხილე).

ნაშვილები შვილად მიღებული, усыновлен-ный.

ნაშთი, ნეშტი დანარჩენი, მონარჩენი, დაშთო-მილი, остаток.

ნაშობი, ნაშვი შობილი შვილი, შთამომავლობა (მატ. 3, 7 და 12, 34), рождение, порож-дение.

ნაშრომი ნამუშაევარი (ფსალ. 77, 46 და 104, 44), труд.

ნაშტარი მაშტარი, ანუ ნეშტარი (იხილენ).
ნაშხირი ნ. ნახშირი.
ნაჩენჩი მარცვალთ შემონაძრობი კილი, ნეშო, ჩენჩი, шелуха.
ნაჩხატი ნაწვერალი, ანუ შამბთა კაპაჭი მინდორზედ მდგომი, [боронник].
ნაცარი ცეცხლის ფერფლი თეთრად დამიწებული (მატ. 11, 21; ფსალ. 100, 9 და 147, 5), пепел, зола.
ნაცარქათამა (ბალ.) кудравец, лобеда.
ნაცარტუტი, ნაცარწმული ნაცრის წყალი სარეცხისათჳს, щелок.
[**ნაცვეთი** ნახე ბოკო]
ნაცილი მოგონებული ცილისწამება, клевета (ლევიტ. 6, 3), неправда.
ნაცჳალგება (ნაცვალვაგებ) მაგიერის გარდახდა (იერემ. 51, 56), воздавать, воздаяние.
ნაცჳალი მაგიერი, ნაიბი, მოადგილე ვისიმე, наместник, поверенный. // ქ ა ლ ა ქ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ი განმგებელი, ზედამხედველი წესიერებისა ქალაქთა შინა, городничий, полицмейстер. // ს ო ფ ლ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ი ამგვარივე სოფელთა შინა, ქეხა, მამასახლისი, сельский староста.
ნაცჳალსახელი ღრამმატიკულად მეორე ნაწილი სიტყჳსა, местоимение.
ნაცჳლად მაგიერად, მისს ადგილს (ვეფხისტ. 297, 300, 846), вместо, наместо, взамен.
ნაცხჳრი ძელის თავი გამოხჳრეტილი.
ნაძალადევი ძალით წართმეული, მიმძლავრებული.
ნაძენძი შამბთ ანაძრობი ქერქი (დან. 3, 46), изгреби, пакли.
ნაძირალი სინოტიეთ ძირს დანარჩენი თხლე, ანუ რიოში.
ნაძვი (ხე) ელატი (ფსალ. 28, 5; ისაი. 60, 13), кедр, ель.
ნაძვიანი, ნაძოვანი, ნაძჳნარი ამოსული ნაძვები (იოან. 18, 1), кедрский.
ნაძლევი ჯილდო დანაძლევებაში ჯობნისა (ვეფხისტ. 68), выигранный заклад.
ნაძოვნი გაძოვილი მინდორი.
ნაძრახი განგმობილი, სათიკოდ განთქმული (ვეფხისტ. 790), зазорный, поносный.
ნაწამლი ნაკურნები, კურნებული.
ნაწევარი ნასხამი, სახსართ შედგმულება, член, уд, сустав.
ნაწერი დაწერილობა, წერილი, писание, письмо.
ნაწვერალი ნაჩხატი, ნამჯი, მომკილთ მოსავალთ დანარჩენი ძირების ჩალა, боронник, соломина[а].
ნაწიბური ლარისა და ნაქსოვთ კიდური (ნაპირი ნახე).
ნაწილი კერძი, წილი, არშივი (ფსალ. 49, 18 და 62, 10; ლუკ. 15, 12), часть.
ნაწილნი წმიდათანი გჳამი მათი, ანუ ასო რომელიმე, мощи святых.
ნაწლევი, ნაწლევები შიგანური წელები (გამოს. 12, 9; საქმ. 1, 18), утроба, внутренность, потрох, требуха.
[**ნაწნავი** коса]
ნაწრეტი ნაჟური ნოტიოთა.
ნაჭედი კვერის ცემით შექმნილი (ვეფხისტ. 1139), кованый.
ნაჭერი მონაკვეთი, ნატეხი, кусок.
ნაჭერი, ნაჭერალი ვის რაც სჭეროდეს, ანუ ეპიროს ხელთა (ვეფხისტ. 86).
ნაჭირნახულევი ნაშრომი, ნამუშავარი, შრომით გაკეთებული, ანუ გაზდილი.
ნაჭუჭი ქერქი ნიგოზთა, თხილთა და მისთანათა (ნახე ქერქთან).
ნახადი გამოხდილი, ახდილი, ანუ გარდახდილი.
ნახატი დახატული, рисованный, расписанный.
ნახევარი ერთი ცალი შუა გაყოფილისა (ზაქარ. 14, 4), половина.
ნახევარძმა, ნახევარდა ესრეთ იწოდებიან ერთი დედისა და სხვადასხვის მამისა, ანუ ერთის მამისა, ხოლო სხვადასხვის დედისაგან ნაშობნი (გერი ნახე), сводные братья, сестры.
ნახევი ნაგლეჯი, მოხეული, отрывок или оторванный.
ნახვა (ვნახავ) ხილვა, დანახვა, видоть, посещать, иметь свидание.
ნახვა (ვინახავ) დაცვა, დაკრძალვა, შენახვა, хранить, беречь. // გამოზრდა, დაოკება, содержать, пропитывать.
ნახირი მროწლე ზროხათა (ჯოგთან ნახე), стадо коров.
ნახლეხი, ნახოკი, ნახოჭი ხორცთ მონაგლეჯი (ამოს. 3, 12), обушие.
ნახნავი მოერქჳხნილი, ხნული, пашня, [вспаханный, вспашка].
ნახორი ნალეწი ბზე, ანუ კილი ნაცეხვის ლომისა და მისთანათა.
ნახორხალი ნაბიჭევი, სანოვაგეთ დანარჩენი ნამტჳრევი, укрух.

ნახუთევი ნათხოვარი, გინა საწინდრად დაპერილი (ეზეკ. 18, 12), залог.

ნახში, ნახჩი გამოჭრილი, გამოქანდაკებული სახე, резьба, фигура. თ. შაბაქ.

ნახშირი, ნაშხირი გამქრალი ნაკვერცხალი შავი, уголь.

ნაჯახი ხელცულა, [бердыш, bipennis].

ნდობა (ვანდობ) ნებაზედ მიგდება, ანუ მიბარება, предоставлять, поручать, отдавать на кредит. // (ვინდობ) გატანა, დანდობა, პირიანობა, принимать на кредит. // (ვენდობი) მინდობა, დაშთომა ვისმე ანაბრად, надеяться, полагаться на кого.

ნდომა (ვნდომობ, ვინდომებ, გინდა, უნდა, მინდა) წადილი, მოწადინება (ფსალ. 5, 4; მატ. 1, 19 და 8, 2), хотеть, хотение, желание. // მოქენეობა, მოთხოვნა (ვეფხისტ. 6), требовать, нуждаться.

ნება ძალი, სულიერი წინაალრჩევად რაჲსამე (ფსალ. 1, 2), воля. // ნდომა, წადილი (მუნვე. 9, 37), желание, ანუ ჯერჩინება (20, 2), хотение, изволение.

ნებება (ვინებებ) მონდომება, მოწადინება (ფსალ. 77, 10; მატ. 23, 37), хотеть, восхотеть.

ნებებითი, ნებებული მოწადინებული (მალაქ. 3, 12), пожеланный.

ნებეულად ხელთა ნებთ ტოლად (ფსალ. 147, 6), яко хлеб, кусками.

ნები ბრპალი, ხელთა გული თითთა ძირიდამ მაჯადმდე (ვეფხისტ. 16; ლამაზმან ნ ე ბ ი, 1362), длань, ладонь, ладошка.

ნებიერი თავისს ნებაზედ მიშვებული, გაქეზებული, своевольный, избалованный, роскошный. // ნაზი, ნარნარი, აზიზი (ვეფხისტ. 287; ჩახრუხა. 47), нежный. // უზრუნველი, მოსვენებული (ვეფხისტ. 1403), спокойный, беззаботный.

ნებიერობა განსვენება, განცხრომა, შექცევა თვისს ნებაზედ, роскошь, забава. თ. ქეიფ [არაბ.].

ნებივრობა (ვანებიერებ, ვნებივრობ) მისის ნების აღსრულება, баловать, нежить, забавлять, -ся.

ნების დართვა (ნებას დავრთავ) დათანხმება სხჳს ნებაზედ, ანუ თხოვაზედ (ვეფხისტ. 261), позволять, дозволять.

ნების მიცემა (ნებას ვსცემ, ვაძლევ) ნებაზედ მიშვება, давать волю.

ნებხითი წინაალრჩევითი, არა იძულებითი, вольный, непринужденный.

ნებსით ანუ უნებლიეთ წინა აღრჩევით, ანუ იძულებით (1 კორ. 9, 17 და შემდგომი), волею или поволею.

ნეგო (ბალ.) медуница.

ნედლი ხე, ანუ მდელო ძირსა ზედა თჳსსა ორძილოვანი (ლევიტ. 2, 14; ლუკ. 23, 31), зелёный, зеленеющий. // ახლად მოჭრილი შეშა, ანუ ახალი მოსავალი ხილი (ნედლი და ხმელი), გინა მოუხარშავი სანოვაგე, ჰუმი, сырый.

ნევროდ, ნევრი, ნერვი წურილნი ძარღუნი, невры, нервы, *νεῦρον*.

ნეზვი (ოთხფ.) დედალი ცხუარი, თხა, ანუ ღორი (რიცხ. 6, 14; ლევიტ. 5, 6; ვეფხისტ. 1194), кова или свинья самка.

ნეკერი (ხე) ჩჩვილი შტოები ხეთა ხვასტაგთ საკვები ზამთრით (ნახე გრჯღასთან).

ნეკი უმცირესი თითი ხელისა, ანუ ფეხისა ცერის მეორეს ნაპირს, мизинец.

ნექტარი წარმართნი უხმობდენ სასმელსა უკუდავებისასა, нектар, *νέκταρ*.

ნელანელა, ნელიად მცირედ მცირედ, სიფრთხილით, ანუ საამოდ, ამოდ, დაამებით (ვეფხისტ. 865, 1446), легко, тише, легонько, тихонько.

ნელი წყნარი, აუჩქარებელი, тихий, лёгкий. // მცირედ თბილი, ჯინჯილი, тепловатый. // საამო სუნი, благовонный.

ნელსაცხებელი სუნნელი ზეთი ნარდიონისა (ფსალ. 132, 2; მარკ. 14, 3 და შემდგომი, 16, 1), миро, аромат. თ. ზილფალი.

ნემსი მცირე მართული რკინისა, ანუ სხუათა მეტალლთა, რომელსაცა ერთი წვერი აქუს განმახული და მეორე გახურეტილი მკედთა ასაგებად, იხმარების საკერავად (მატ. 19, 24), игла. თ. იგნა, ს. ასელ.

ნემსიბარია (მფრ.)

ნემსკავი წილკავი, ანკესი თევზთ სანადირო, რომელსაც კავი აქუს რკინისა, уда.

ნემს-მახათი მოდიდო ნემსი მახათის უმცროსი.

ნერბი (ოთხფ.) დედალი ცხუარი, овца.

ნერბვა ცხუართ მაკიანობა (ხურაობა ნახე), случка овец.

ნერბცხვირი ცხვირმაღალი, орлиный нос, с орлиным носом.

ნერგვა (ვნერგ, -გავ) დასხმა, დანერგვა მცენარეთა მტილსა შინა, сажать, насаждать.

ნერგი (ხე) ხე დარგული ორძილოვან-ფურცელოვანი (დაბად. 22, 13; ისაი. 5, 7), сад, де-

рево на корню растущее. // ერთგვარი ტირიფი დარგული (ნახე ტირიფთან).
ნერგოვანი დარგული, ნერგდასხმული (ზაქარ. 11, 2), насажденный.
ნერჩი ქვედაკერძო (ნახე ფსკერთან).
ნერწყვი დუჟი, ფურთხი (ხრასტი ნახე), плюновение, слюна (იოან. 9, 7).
ნესვი (ბალ., რიც. 11, 5), дыня.
ნესოვანი (ბალ.) ბოსტანი ნესვისა და სხუათა (ისაი. 1, 8), вертоград.
ნესტო პინჩვი, ცხჳრის ხურელი (იგავ. 30, 32), ноздри.
ნესტჳ ნაბათი, ნაღარა, საყჳრი, პირით შთასაბერველი საკრავი (ფსალ. 80, 3 და 97 6; იოილ. 1, 2), труба.
ნეტავი, ნეტამც! წადილის ხმა (ვეფხისტ. 479, 484), желательно бы, о когда бы!
ნეტართუ, ნეტარძი, ნეტარრა! (იგივე, 57), желательно знать.
ნეტარება სრულიად უნაკლულო კეთილმდგომარეობა, блаженство.
ნეტარი ბედნიერი, კეთილმიმთხვეული (ფსალ. 1, 1 და 2, 12; მატ. 5, 3 და შემდგომი), блаженный, счастливый.
ნეფხუა ტეხურა, ხმელი სიცივე ძლიერი (ფსალ. 118, 83; დანიილ. 3, 69; შავთ. 104), слана, мраз, мороз.
ნეშო (ბალ.) ხორბლის ნაჩენჩი.
ნეშტარი შაშარი, დალაქთ იარაღი სისხლის გამოსაშვები, ланцет.
ნეშტი ნაშთი, დანარჩენი (ფსალ. 16, 13 და 20, 12, კუალად 36, 37 და შემდგომი; მატ. 15, 20), останки, остаток, избыток.
ნეცუა მტუჲრევა (ნახე დანეცვა).
ნეჳა სუფთა ჰილობი (ნახე ჰილობთან).
ნეხვი ფუნე, განავალი რქიანთა ხვასტაგთა (ვეფხისტ. 49), навоз.
ნეხოთაჲ (ბალ.) სუნნელი ნელსაცხებელისა, ნარდიონი (ისაი. 39, 2), аромат.
ნჳინი ანაზდი, ანუ წუთი (ნახე ჟამი; 5 კავშ.).
ნთება (ვანთებ, ენთება) სანთელთა, ანუ შეშათა ცეცხლის მოკიდება, დაწვა, зажигать, -ся, гореть.
ნთხევა (ვანთხევ) პირიდამ ღებინება, წამოსხმა საჭმელისა ბალღამითურთ, рвать, вырвать изо рта.
ნიადაგ მარადის, მიმდემად (ვეფხისტ. 12, 328, 941), всегда завсегда.
ნიადაგი სამარადისო, სანიადაგო, всегдашний. // ნ ი ა დ ა გ ი მ ი წ ი ს ა მკვდრი მიწა სიღრმეში, ჯერეთ უშლელი და უთხრელი, грунт земли. // ნ ი ა დ ა გ ი და თ თ ჳ ს თ ა ვ ი ერთად იხმარებიან მთოვარის ანგარიშში (ნახე თთვის თავი).
ნიავი ქარი ნელი და სასიამოვნო (ფსალ. 106, 29), тишина, тихий ветер, ветерок.
ნიავქარი ძლიერი და სასტიკი ქარიშხალი (ფსალ. 49, 3 და 54, 8, კუალად 82, 15; ისაი. 5, 28), буря.
ნიავწულილი ნელი სიო, სასიამოვნო სიგრილე (3 მეფ. 19, 12), хлад тонкий.
ნიამორი (ოთხფ.) კლდის თხა (2 სჯული. 14, 5), сайга.
ნიანგი (ოთხფ.) ხვითქი, კორკოდილო (ვეფხისტ. 958), крокодил. თ. ნიანგ [სპ.].
ნიაღუარი ძლიერის ნიავქარისა და წვიმისგან მოვარდნილი ღუარი.
ნიახური (ბალ.) сельдерей.
ნიბლია (მფრ.) зяблик, зяблица, королик.
ნიგოზი ნიგუზის ხე, ანუ ხილი მისი, კაკლის გული (დაბად. 30, 34; გამოს. 25, 33), орех. ს. ნჷნგუზ[1].
ნივთება, ნივთიერება შეზავებულება ნივთისა, вещество.
ნივთი ყოველი დაბადებული ხილული, ანუ ხელოვნებით შექმნილი რამე სახმარი (ვეფხისტ. 146, 343), вещь, материя. // ვიეთთამე ნივთად უთქვამს ოთხნი კავშირნი, ანუ სტიხიონი, стихия.
ნივთიერი შეზავებული ნივთად (ოთხთა სტიხიონთაგან), вещественный.
ნივნივი სართული გარდანაჰდობი, ჩალანგარა, стропило.
ნიზიმი ქობაზედ გვირისტი.
ნიკაპი ქვემოთის ყბის ძირი, რაოდენმე დაზეული, подбородок.
ნიკარტი ნახე ნისკარტი.
ნიკვლი ღორის ცხვირი ან დინგი.
ნიკრისი სენი ფეხების ტკივილისა, подагра.
ნიმი ლანდრა, მსხვილი სკლატი, толстое сукно.
ნინველობა სიჩჩოება, სიყრმე, младенчество.
ნინოფი (ბალ.) ლილიფარი.
ნიორი (ბალ., რიცხ. 11, 5) чеснок.
ნიჟარა ხამანწკის ბუდე (ნახე ქერქი), раковина, трубчатка.
ნიჟარი ფარფური, პიქა თუ ქაშანური.
ნიჟი ცუარის უმცირესი ნაწილი (ნახე წვეიმასთან).

[1] უნდა იყოს გ ნ კ უ ზ. რედ.

ნიჟორგალი ნიჯგორი (ნახე ნიჯგორი).

ნირი, ნიხრი სავაჭროთა ფასის გარდაკვეთა (ვეფხისტ. 1063), такса.

ნისკარტი მფრინველთ ტუჩი, ანუ ცხვირი, птичий нос.

ნისკარტკოჭა (მფრ.) ქერო.

ნისლი ორთქლი წყალთაგან, ანუ მიწის ნოტიობისაგან ზეაღმავალი, დამაბნელებელი ჰაერისა; ზოგჯერმე გარდაიქცევის თხელ წვიმად და ეწოდების ფოშფოში (ნახე წვიმასთან) და თოვლიანსა ბ ო რ ი ანუ ბ უ ე რ ი (თოვლთან ნახე) (ფსალ. 17, 10 და 96, 2, კჳალად 147, 5), тьма, мрак, мгла, туман. თ. დუმან.

ნიუკა (ბალ.) аронова борода, образки.

ნიუბრი ნიკაპი, ანუ ყბა (ექუსთა დღეში, 13,4).

ნიფხავი წვივთსაცმელი (გამოს. 6, 10), надраги, портки, штаны, подштанники.

ნილრი მახვილის გნდე (ნახე ნაპირი).

ნიშა (ოთხფ.) ნიშნიანი ხვასტაგი, ვითარ ს ა ლ ა რ ი.

ნიშადური მინერალის მიწა, ადჳლად გამადნობელი კალისა, ხმარებული მკალავთაგან, нашатырь.

ნიშანი რაიცა მსახურებს განსარჩეველად ერთისა ნივთისა მეორისაგან (ისაი. 18, 3 და 30, 17, კჳალად 33, 23: ვეფხისტ. 380), знак, знамя, знамение, *νισάνι*. თ. ნჳშან [სპ.].

ნიშანი მართლწერისა ნახე პროსოდია.

ნიშანში ამოღება (ნიშანში ამოვიღებ) მიხვედრება საგნისა, попадать в цель.

ნიშატი ბუნებითი ძალი, ანუ თჳსება (ვეფხისტ. 329, 674, 715), характер. თ. ხასიათ [არაბ.].

ნიში ნიშანი გინა სასწაული (საქმ. 2, 19; მატ. 24, 24), знамение, чудо, чудеса.

ნიშნება (ვანიშნებ) წამის ყოფა თვალთვალით, ანუ ნიშნის მიცემა, мигать, давать знак. // (ვინიშნებ, მენიშნება) ნიშნით მიხდომა (ვეფხისტ. 1226, 1299), догадываться, узнавать по знаку.

ნიშნვა (ვნიშნავ) ნახე დანიშნვა.

ნიშნიანი ნიშნოვანი, ნიშანდადებული, აღნიშნული (დაბად. 30, 42), знаменанный.

ნიშნის მოგება ნახე იშნი.

ნიშნობა წინდობა, დაწინდვა, დანიშნვა ქალისა სამეუღლოდ ვაჟისგან საჩუქრის გაგზავნით, сговор, помолвка.

ნიშნობლივ სახელდობ, ნიშნის ჩვენებით.

ნიშოვანი მოსწავებული ნიშითა, სასწაულითა, знаменуемый, чудодеемый.

ნიჩაბი ტარიანი ფიცარი სახვეტელი (მატ. 3, 12), лопата, -тка, ხოლო ნავთა სატარებლად მოსასმელსა ეწოდების ხ ო ფ ი.

ნიჩვირი ჩიჩვირი ნახე.

ნიჭი საბოძვარი, საჩუქარი, ჯილდო (1 კორ. 9, 25), награда. // მადლი, ზეგარდამო მინიჭებული კაცთადმი ძალი, ანუ ტალანტი, дар.

ნიხრი ნახე ნირი.

ნიხრის შეცჳლა კერძის დაკლება.

ნოჯადი მშველელი ლაშქარი სხვას თემიდამ (ქართლის ცხ.), вспомогательное войско.

ნოჯგორი დიდი ქარქაში ისართა, ნაკაპარანი, საისრე კაპარჭი.

ნოჯგორალი მენიჯგორე, ნიჟორგალი, მნე კაპარჭთა, [заведывающий колчанами].

ნობა, ნობათი, ნაბათი ბუკი, ნაღარა, საყვირი (ვეფხისტ. 414, 710, 1290, 1404), набат.

ნობათი მოხავებული ძღვენი (ვეფხისტ. 918, 1408).

ნოგანი აბრეშუმის ბეგარა.

ნოემბერი გიორგობის თთვე (ნახე ზოდიაქოსთან), ноябрь, *νοέμβριος*.

ნოვაგი სანოვაგე.

ნოვაგობა განცხრომა ებნითა, ქნარითა და სახიობითა (კლიმაქსში).

ნოინი დიდებული თავადი ჩინგიზის ხაღანთა, нойнио, вельможи или министры монгольского хана (იხილე ქართლის ცხოვრება რუსუდანითგან ვიდრე IV გიორგიდმდე)...

ნოიჭი ისრიმი (ყურძენთან ნახე).

ნორჩი (ხე) ბაბილო, ახალმოზარდი ნერგი (ნახე მორჩი).

ნოხოლი (ბალ.)

ნოტარი, ნოტარიუსი მწერალი, нотарий, *νοτάριος*.

ნოტიო ქანტი, სველი, ტენიანი, влажный, мокрый, сырый, *νοτερός*. // რაიცა დაითხევის, ანუ დაიღუძების: წყალი, ღვინო, ზეთი და მისთანანი, жидкость.

ნოტიობა სინოტიე, სისველე, ტენიანობა (იერემ. 17, 9), влага, влажность, сырость.

ნოქარი ვაჭართ მოჯამაგირე, მოსაქმე, прикащик, [приказчик], агент купеческий. თ. ნუქარ [სპ.].

ნოღართო, ნოღათო ტარიანი სასმისი, აზარფეშა.

ნოყიერი პოხიერი, питательный.

[ნოშანი ნ. გრჯლა].

ნოშიო (ბალ.) სოკოა ერთი, рыжик, сыроега.

ნოშო (ხე) ფოთლიანი შტო, ветвь, ветка.

ნოხი ხაოიანი საფენი, ორხოვა, გრძელი ხალიჩა (ვეფხისტ. 404, 1250), ковер.

ნუ უკუთქმა ბრძანებითი (ფსალ. 4, 4 და 6, 1), но, да не. ნ უ ც ა იგივე განმეორებით (24, 1; 68, 6, 15), ниже, ნ უ მ ც ა იგივე საწადისად, ანუ ვედრებითად (34, 19, 24), да не, дабы не, чтобы не.

ნუგბარი პტული (ნარუქი ნახე).

ნუგეში შვება, ლხინება პირსა შინა და მწუხარებასა, утеха.

ნუგეშინისმცემელი ლხინების მომცემი (სახელი ესე მიეწერების სულსა წმიდასა), утешитель (იოან. 15, 26).

ნუგეშინის ცემა (ნუგეშს ვსცემ) სიტყვით, ანუ საქმით განმხნობა პირსა შინა, მილენა ნუგეშისა (1 თესალ. 5, 14; ისაი. 40, 1 და შემდგომი), утешать (ფსალ. 22, 3), успокоивать (და 76, 2; ლუკ. 2, 25), утешевие.

ნუზლი საგზაოდ მომზადებული საზრდო, საგზალი [ვახტ. სამ. მოს. 21], путевая провизия, запас.

ნუკვა (ვენუკვი) მუდარა, სურვილით და ფერობით ვედრება (ვეფხისტ. 127, 275), умолять, упрашивать. // (მენუკება) მენატრება (იხილე ნატრევა), ფრიადი ნდომა.

ნუკრი (ოთხფ.) შვილი ირემთა, ნიამორთა, არანთა, არჩუთა, ქურციკთა, შველთა და მისთანათა (ქებ. 2, 9), младъелень, олений теленок.

ნუნა ფრჩხილთ გარემო ტყავი.

ნუნუა ჩჩვილთ ენით ღვინო, ვითა ბ ა ბ ა, კ ა კ ა და სხ.

ნუერი ფიცართა შორის შტოთა როკის დანარჩენი ადგილი, რომელიცა ზოგჯერმე გამოვარდება და მისი ადგილი დაცარიელდება გახურეტილად.

ნურა ბალანთ გამაცვივნელი წამალი. ტარუ [სპ.].

ნურარა, ნურარაჲმე, ნურაფერი ნაცუალსახელი ესე შეუდგების ბრძანებითთა ზმნათა (საქმ. 19, 36), ничто (იხილე ნუ).

ნუ სადა რათა არა, ნუმცა (ფსალ. 7, 2; 79, 10), да не, дабы не (იხილე ნუ).

ნუსადია ბიძის ცოლი.

ნუუკვე, ნუუმე? კითხვა საიჭველისა: განა? ანუთუ ნუსადა (ფსალ. 2, 12 და 12, 3 და შემდგომი), да не, неужели, неужта (კუალად ფსალ. 49, 29 და 58, 10), дабы не, да некогда.

ნუღლი ნუშის გული დაშაქრული, сахарные миндали.

ნუშა მცირე ნავი (იხილე ნავთან), лл, ялик. თ. ყაიღა.

ნუში (ხე) миндаль.

ნუცა ნურცა (ნახე ნუ).

ნქრევა (ვანქრევ) შელმა შებნევა (ნახე განქრევა).

ნჩქრევა (ვანჩქრევ) ნჯღრევა

ნძრევა (ვანძრევ) რწევა, რხევა, двигать, качать, трясти.

ნჯღრევა (ვანჯღრევ) შეძრვა წყალთა და სხუათა ნოტიოთა, болтать, взбалтывать.

ჲ

ასო ესე არა სადა იხმარების თავად ლექსთა, გარნა უმეცარნი ზოგჯერმე ჰსწერენ უკანონოდ: ჲ ნ დ ო, ჲ რ ო ე ლ ი ნაცულად ი ნ დ ო, ი რ ო ე ლ ი, ანუ ჰ ი ნ დ ო, ჰ ი რ ო ე ლ ი და სხ.

ხოლო იხმარების ბოლოდ სახელთა და ნაცვალსახელთა, დაბოლოვებულთა ხმოვანთა ზედა ასოთა, კიდეგან ი და ჳ. მაგალ., ა რ ს ე ბ ა ჲ, ვ ი ნ ა ჲ, რ ა ჲ, მ ზ ე ჲ, ო ქ რ ო ჲ, კ უ ჲ, რ უ ჲ. ამგუარად დართუაჲ ასოჲსა ჲ ბოლოდ სახელთა იხმარების უფრორე შემასმენელობითსა შინა ბრუნვასა და იგიცა მაშინ, რაჟამს სახელი იგი არს დასასრულსა სიტყჳსასა. მაგალ., არა აქუს ს ი ტ ყ უ ა ჲ, ზ რ უ ნ უ ა ჲ. ხოლო თავსა ითქმის, ს ი ტ ყ უ ა არა აქუს, ზ რ უ ნ უ ა არა აქუს. უხამს იქმნების ესრეთ: ზრუნუაჲ არა აქუს და სხ.

სახელთა, დაბოლოვებულთა უ-ზედა, მდაბიურად დაერთვის ვი ნაცულად ჲ, ვითარ, კ უ ვ ი, რ უ ვ ი, ბ უ ვ ი, ბ ლ უ ვ ი, გ ლ უ ვ ი, ტ ლ უ ვ ი, ქ ს უ ვ ი, ც რ უ ვ ი და სხ.

ზოგჯერმე ჲ იხმარების შერთულად წინამავალისა ხმოვანისა, ანუ მოკლედ, ვითა რუსული й. ესრეთ, რომელ არა შეადგენს მარცვალსა. იხილე ვეფხისტ. ლექსნი 340: ვ ა ჲ მ ე მ ა ს ა ქ ე თ ს ა ხ მ ი ლ ს ა დავუწვავ ნიადაგულსა და 342: თქვა: ჩემგან მისი ხსენება, ვ ა ჲ მ ე რ ა დ ი დ ი ზ ა რ ი ა; კუალად 522, 1284 და სხ. ხოლო ვიეთნიმე გამოსთქმენ ვ ა მ ე, არამედ უმჯობეს არს დაესმოდეს ნიშანი მოკლისა ◡.

ო

ძველებურსა ხუცურსა შინა წერილსა ო ქარაგმითურთ ხმარებულ არს ნაცუცლად ოჳი უფალი, ანუ ოჳო—უფალო და ონ—უფალმან. ვინათგან ასო უ შეერთებულ არს ო და ჳ შეერთებითა, ვითა ითქუა შესავალსა შინა, ხოლო ვიეთთამე სრულიადცა არა უხმარიესთ უ, არამედ მის წილ მარტივად ო.

მრავალთა ლექსთა შინა მარცვალი უა შეიცვლების მდაბიურად ო-ზედა, ვითარ გუარჯილა — გორჯილა, კუამლი — კომლი, რაგუარი—როგორი, ხუალმე—ხოლმე, ხუამალდი—ხომალდი, ხუარბალი—ხორბალი, ხუარშაკი—ხორშაკი და სხ. მებრ ამისსა სლავენურის ენის ლექსნიცა: влас, глас, град, страна და სხ. საზოგადოსა შინა ლაპარაკსა ითქმიან: волос, голос, город, сторона.

კუალად ასო ო საშუალ რომელთამე ლექსთა ნათესაობითსა შინა ბრუნვასა შეიცვლების უ-ზედა, ვითარ: ნიგოზი—ნიგუზისა, მინდორი—მინდურისა, ნიორი—ნიურისა, ნივრისა, სასწორი—სასწურისა და სხ.

ხოლო ზოგჯერ ასო ო შეიცვლების ვი-ზედა: ეჩო—ეჩვი, ანუ უ-ზედა: კოკორი—კუკური, კოლაოზი—კულაოზი.

ო იხმარების ბოლოდ ლექსთა:

1. სახელთა შინა წოდებითისა ბრუნვისათა: მამაო, უფალო, ბატონო და სხ.

2. ზმნათა შინა, რაჟამს მოუთხრობდეს ვინმე სხუათაგან დაბარებულსა, ანუ ნათქუამსა, ვითარ: შემდგომად სამისა დღისა აღვსდგეო (მატ. 27, 63), კუალად: გამიკეთეო, გამომიგზავნეო, მიბოძეო, ვაკეთებო, დავდივარო, ვიარეო და სხ. де, говорит, дескать, ეგრეთვე დაერთვის სახელთაცა შემდგომად ზმნათა კითხვითთა. მაგალ., ვინ მოვიდაო? ბატონიო, უფალიო, მამაო. ესენი განირჩევიან წოდებითის ბრუნვისგან.

ობა თურქთ ულუსთ სადგომი ბანაკი.

ობი მომწვანო ბიძგი ხავსივით დატენიანებულთა ნივთთა ზედა მოკიდებული წახდენისაგან, плесень, ხოლო ნოტიოთა და საკუთრად ღვინისასა ეწოდება ბრკე.

ობობა (მწერ.) ბაბაჟეა, паук.

ობოლი ბოშვი უდედმამო (ფსალ. 9, 34, 38 და 108, 9, 12), сирый, сирота. // ობლად ითქმის ერთად ერთი რამ განმარტოებით, ანუ სიდიდით სხუათა შორის საჩინო უტოლოდ, ვითარ. ობოლი მარგალიტი, ობოლი ნაკვერცხალი და სხ. (ვეფხისტ. 16), одинокий.

ოგი სასანთლეთა, ტასტთა, სურათა და მისთანათა ქვეშე გასაშლელი რამე. თ. ზირანდაზ [სპ.].

ოგრა შერვა ბრინჯ-ხავებული, თხლად გბოლვილი, суп, кашица.

ოგური, ოგურობა ხვასტაგთა ერთმანერთთან შერჩევა და ერთმანერთის მიდევნება, ვითარ ცხენთ იციან ოგურობა, ანუ ოგური ცხენები, дружные лошади.

ოდალავჯი (ხე) бакаут.

ოდელა (ბალ.).

ოდენ მხოლოდ, მარტო, токмо, только.

ოდენი ტოლი, იშვით იხმარების მარტივად და უხშირეს რთულად: ეგოდენი, ესოდენი, ამოდენი და სხ. (ნახე ესე).

ოდეს, ოდესცა, ოდეს იგი რაჟამს, რას დროს, როდისაც (ფსალ. 40, 5 და 100, 2), когда.

ოდესმე ერთხელ ანუ ზოგჯერ, некогда или иногда.

ოდი მოსავალთ წახდენა მზის სიცხისგან ნაწვიმარზედ, ржа на хлебе, еще неубранном.

ოდითგან როდინდედლიდამ, რას დროდამაც (ისაი. 44, 7), отнележе (ვეფხისტ. 234), с того времени как.

ოდიკი ტრაპეზსა ზედა გასაშლელი გარდამოხსნა, ნაკურთხი მღუდელთმთავრისაგან, რომელსა ზედაცა აღესრულების საღვთო ჟამის წირვა, антиминс.

ოდოში (ბალ.) ეტერი მოსავალთა პურისათა, სიმინდთა, ცერცუთა, ანუ ხის მოსავალთა, ჯერეთ შემოუსვლელი და მწვანე.

ოდრიკალი მოხრით დარკმული მიწაზედ წკეპლა ორისავე თავით.

ოზირი დიდი შული ნასთისა.

ოთახი სენაკი, ერთი სადგომი სახლსა შინა, комната, покой.

ოთლო-თოთლო თოხლო კვერცხი, яйца всмятку.

ოთხმოცი რვა ათეული, восемьдесят, ოთხმოცდაათი, ცხრა ათეული, девяносто.

ოთხო საბაითი.

ოთხფარგული ოთხგნდეანი.

ოთხფერხი (ოთხფ.) ყოველი უსიტყჳ ოთხზედ მავალი (დაბად. 1, 24 და შემდგომი; საქმ. 10, 12), четвероногий.

ოთხშაბათი ერმის დღე (ნახე ცთომილთან), среда, середа.

ოკდომბერი სთულისა, ანუ ღვინობისთვე (ნახე ზოდიაქოსთან), октябрь. Ὀκτώβριος.

ოკეანე (უკიანესთან ნახე) океан, окиан, ὠκεανός.

ოლარი არდაგი (ნახე ორარი). // სამღუდელო შესამოსელთაგანი კისერზედ ჩამოსაკიდები გულითგან ვიდრე კალთებადმდე, епитрахиль.

ოლე (ხე) ბრყენა, პრკენა, პანტაფშატი (ოსე. 5, 1), итаприш (?).

ოლენა (ბალ.)

ოლექკანდარი მომცრო კატარღა (ნახე ნავი: ქართლის ცხ.), кебарт.

ოლვა (ვიოლავ, იოლნა თვალნი) გამოსურმა წამწამთა (გამოცხ. 3, 18), помазывать, сурмить.

ოლვილი გამოსურმილი საოლავითა, ანუ საგრემელითა, сурмленый. // არშიებიანი სამოსელი, с коймами.

ოლოლი (მფრ.) ალალი.

ოლოლო აგდებისა და ქირდობის ხმა მრავალთაგან, народное восклицание, крик, ἀλαλαγή.

ომაინი (მფრ.) სპარსულია, ბოლოკარკაზი.

ომახიანი ზახიანი, რიხიანი, მამრსანახავი, სიტყჳთ და საქმით მამაცი.

ომბოხი ფეხმოკვეთილის კაცის შედგმული ხე ფეხად, деревяшка вместо ноги.

ომი შებმა, ბრძოლა (ვეფხისტ. 143, 290), сражение.

ომიანობა აშლილობა, ომის დრო, война, военное время.

ომიდი ნიჟარა კონხილიოსაეით, მთათა შინა პოვებული, წარღუნის ნიშანია.

ომირა დიდი დესპანი (ნახე მოციქულთან), посланник, министр полномочный.

ომონიმია ჰომონიმია (ნახე ერთსახელი).

ომფორი სამღუდელთმთავრო შესამოსელთაგანი მხართა ზედა მოსახვევი გრძლად, омофор, ὠμοφόριον.

ონავარი (მწერ.) მონავარი ნახე, шершень. // მეკობრე, მტაცებელი (დარეჯანიანში), хищник.

ონგალი ბოგირთ ქვეშ შესადგმელი ელკაპედი, ანუ კაპიანი კრჩხა, подставные козлы под мосты и проч.

ონე (ოთხფ.) ნახე ჰუნე, конь.

ონკანი ღვინისა და სხუათა ნოტიოთა გამოსაშვები და დასახშობი ხრახნილი, кран.

ონკოლი ხოკი, ცენია.

ონტკოფა (ბალ.) დუდღუბა ნახე.

ონჳქითი, **ანჳქითი** თუალი პატიოსანი (ნახე საეკალთან) (გამოს. 28, 20), оникс.

ონჩხომელი, **ორჩხომელი** ნავი მოდიდო (იხილე ნავი), капер, барка. თ. ბარქაზ, შაითა.

ონჯარი ჩხნდე ნახე.

ოპიონი, **ოფიონი** თრიაქი, опиум, опий, opium.

ოპოპი (მფრ.) ოფოფი.

ოჟორა რკინის ჯაზვალი, მაშტარი, железное правило, линейка.

ორაგული (თევზ.) лосос.

ორარი, **ოლარი** საბლარდნელი, მოსახვევი არდაგი (საქმ. 19, 12), убрусец, полотенце.

ორბი (მფრ., ლევიტ. 11, 13; ფსალ. 102, 5; მატ. 24, 28), орел. ხოგგან არწივიც ორბად დაუწერიათ, მაგრამ ის სხვაგვარია (ვეფხისტ. 970).

ორბიტი გზა ანუ სავალი წრე პლანეტთა და კომეტთა (ნახე ცთომილთან), орбита, orbita.

ორგზის ორჯელ, ორხელობას, дважды, два раза.

ორგნით, **ორგნითვე** ორისავე მხრიდამ, обоюду, с обеих сторон.

ორგული არა ერთგული, გაუტანელი, დაუნდობელი, მუხანათი, ერთს პირზედ დაუდგრომელი (ვეფხისტ. 50; შავთ. 4), неверный, ненадежный, изменчивый. // მზაკვარი, ორპირი, პირმოთნე, ღირსების მჩემებელი (მატ. 6, 2 და შემდგომი, 23, 14 და შემდგომი), лицемор (იაკობ. 1, 8 და 4, 8), двоедушный.

ორგულობა დაუნდობელობა, ღალატი (ვეფხისტ. 436, 466), измена.

ორე გობა ძალლისა.

ორენა მზაკუარი, ორპირი, ერთთან სხეარიგად მოლაპარაკე და მეორესთან სხვად, двуязычник.

ორზომად ორკეცად, ორწილად, ერთი ორად, вдвое.

ორთავი, **ორთავიანი** ორის თავის მქონებელი (ეზეკ. 10, 18), двуглавый, двуверхий, двувершинный.

ორთაყვირი, ოხტაყვირი, ოშტაყვირი სატივე ხოპი მსხვილის ლატნისაგან, весло из бревна для сплавки плотов.
ორთაკალა მდინარის ორთა ტოტთა შორის მდებარე კალა (ნახე კალა), остров, кустарник между рукавами реки.
ორთითი მერული, ორკაპი ჯოხი, ტარიანი ასაღები თივისა და მისთანათა, вилы, [развилина].
ორთომელი დიდი სირჩა (ნახე სასმისთან).
ორთოხი ორგნითვე სათხრელი თოხი (ეფრემში).
ორთუქი ცხენის გავაზედ გარდასაფარი ყაჯარი, чепрак.
ორთქლი ნოტიოთაგან ზეალმავალნი უთხელესნი კერძოვნი, пар, пары, испарение.
ორი ერთი და კუალად ერთი, შეიქმნების ორი, два.
ორიანი ორის რისამე მქონებელი, двойный, или двойка.
ორიონი თანვარსკუულავედი ესე არს სამხრეთის კერძოდ ზოდიაქოსა ქვეშე კუროსა და მარჩბივისასა (იობ. 38, 31; ისაი. 13, 10), орион.
ორკაპი ორთითი ჯოხი, вилы, [развилина].
ორკეცი ორად შეკეცილი, в двое сложенный, складенный. // ორზომა, მრჩობლი, ორწილი (გამოს. 28, 16), двойный, сугубый.
ორკიოლი სათბობი თუნგი, ანუ ხელადა წურწუმიანი.
ორკო ბაქან-ბაქნად, ანუ ხარისხეულად მოვლებული მიწა გვერდობთა ზედა.
ორლესული ორპირი მახვილი გალესილი, ვითა სატევარი და მისთანანი. // სიტყვა ორჭაზროვანი, ანუ დ ი ლ ე მ მ ა ლოღიკურად, двусмысленный.
ორმაგი ორწვერად ნაგრეხი მკედი, ანუ ნაქსოვი მისი, двойник, двойные нитки, или ткань из них.
ორმახვილი ორლესული.
ორმეოცი, ორმოცი ოთხათეული, сорок, четыредесятница.
ორმოცის წირვა მიცვალებულთათჳს 40 დღე წირვა, сорокоуст, сорокоустие.
ორმო ამოკრილი ხარო მიწაში (ნახე მთრებლი), яма.
ორნატი ხნულთ კუალი გუთნით გავლებული (ფსალ. 64, 10), бразда, борозда, [нива].
ორნახადი სამელი ორჯელ გამოხდილი ცეცხლზედ, двойная водка, спирт.
ორობა უღელი, ლუწი, ორიანი, двойца.
ორობითი ორიანი, ორთადმი საკუთნავი, двойственный.
ოროველა (ნახე კოროველა), ოროლი (ნახე კოროლი და ლახვართან).
ორპირი მახვილი ორლესული. // ნაქსოვი ორგნითვე ერთნაირი, двуличный. // კაცი ორენა; ო რ პ ი რ ო ბ ა ორენაობა, ორგულობა (ვეფხისტ. 779), двуличность.
ორსული დედაკაცი მუცელქმნული, беременная, брюхатая.
ორტაბახი გრილისა და მხურვალის საშუალი გინა ორივე ერთად შეზავებული.
ორტაეპოვანი ორის ტაეპისაგან შედგმული სტიხი, двустонный стих.
ორფერი შეზავებული ორის ფერით, двуцветный.
ორფეხი ცხოველი ორის ფეხის მქონი, ვითარ კაცი, მფრინველი და სხ., двуногий.
ორღანო შთასაბერეელი საკრავი (ფსალ. 150, 4), орган, ὄργανον. // იარაღი ხელოსანთა, орудие, инструмент.
ორშაბათი მთოვარის დღე (ნახე ცთომილთან), понедельник.
ორჩოფეხა მაშია, წინ და უკან ქუსლი აქუს.
ორცხობილა პაქსიმადი, მეორედ ცეცხლზედ გამხმარი პური, сухарь.
ორცხოველი რომელიცა წყალსა შინა და ხმელსა ზედაცა შემძლებელ არს გაძლებად, ე. ი. წყალში არა მოიშთობის და ხმელზედ იცოცხლებს უწყლოდ, ვითა კიბო, კუ, კორკოდილო და მისთანანი, водоземное животное, амфибия.
ორძილი, ორძილობა (ორძის) ზრდა, მოზარდობა მცენარეთა, სიორძილე, расти.
ორძილოვანი, ორძილობითი მოზარდი მცენარე, растущий, растительный.
ორწვერი ორმაგი, ორის ნასთისგან შეგრეხილი ძაფი, двойные нитки.
ორწილი ორზომა, ორკეცი, двойный, сугубый.
ორჭოფი კაცი ეჭვიანი, ერთს ჰაზრზედ ვერ დამდგომი, нерешительный, [мнительный].
ორჭოფობა ეჭვიანობა, нерешительность.
ორხელობას ორგზის, ორჯელ, два раза, дважды, двукратно.
ორხოვა ნოხი, გრძელი ხალიჩა (ვეფხისტ. 1337), ковер.
ორჯოიკი (ბალ.) არჯაკელა.

ოსარო თევზთ საჭერი ბადე (ნახე ბადესთან). თ. თარუი (?).

ოსპი (ბალ.) წურილმარცვალი სამარხო (დაბად. 25, 30; ეზეკ. 4, 9 და 2 მეფ. 23, 11), сочиво, сочевица, чочевица, лища.

ოსტერა (ხე).

ოსტატი ხელოსანთ უხუცესი, мастер. თ. უსტა.

ოსტიგანი სასმელ-საჭმელთ მნე, აუშტარი, სანოვაგეთ მცველი, ключник, эконом.

ოსტრაკონი ერთგუარი კუა, раковина, *ὄστρακον*.

ოსტრია, ოსტრიადი ხამანწკა, სადაფის მსგავსი, устрица, *ὀστρίδι, στρίδι*.

ოსჭრიზონი (ბალ.) მირონის სუნნელია.

ოტარიდი ერმი (ნახე ცთომილთან) (ვეფხისტ. 952), Меркурий, планета. თ. ოთარიდ.

ოტება (ვაოტებ, ვიოტებ) განდევნა, გაქცევა обращать в бегство.

ოფაზი ოქრო გამობრძმედებული, ურიოშო (შავთ. 42), чистое золото.

ოფეტი, ორფეტი სანახშირეში შესართველი ნედლი შეშა გასანელებლად, რომელიც ფრიად გახმება და შემდგომად იხმარება ცეცხლის მოსაკიდებად.

ოფიკალი, ოფიკალოსი მოხელე, ოფიცერი, офицер, *ὀφφικιαλός*.

ოფიტონი ღორის ფელიკი, აპუხტად გამოსული, окорок.

ოფიჭო ბლის ქერქთაგან შექმნილი სარეცხელი ქვევრთა, ტყავ-კორა, მაწაწური.

ოფლი ტანის ცუარი, ნამი (დაბად. 3, 19; ლუკ. 22, 44), пот.

ოფო მცირე საგუბარი წყალთა.

ოფო ცხენთ ქაჩაჩის სენი.

ოფოფი, ოპოპი (მფრ., 2 სჯული. 14, 17), ипуп. вдод, пустошка. თ. ჰუდად, ს. ჰოპოპ.

ოქოქა აჩაჩა, ერქუანი.

ოქრო უძვირფასესი მეტალლი, ფერით ყვითელი და მძიმე (დაბად. 2, 11; მატ. 10, 9), злато, золото. // მოჭრილი ფული ამავე მეტალლისა, ვითარ მისირის ოქრო, ჰოლლანდიის ოქრო, червонец.

ოქრომკედი რა ოქრო გააწურილო თმათაებრ, ეწოდების ოქროსთმა და სპარსულად სირმა. რა თმა იგი განსტკიცო ბრტყელად, ჰქვიან სხეპლა, სპარს. მუყაიში, ხოლო სხეპლა შეასთო რა ძაფსა, ოქრომკედია, და ოქროს თმა ძაფსა შესთული—ზეზია. ხოლო სხეპლა განფართოვებული ფურცლებად არს ქანდა, ანუ ვარაყი.

ოქრომჭედელი ოქროსა, ვეცხლის ნივთთა მკეთებელი კვერით (იერემ. 10, 14), златодельник (ვეფხისტ. 888), золотарь, серебреных, золотых дел мастер. თ. ზარგარ [სპ.], ს. ოსკერიჩ.

ოქროს ქუა თუალი პატიოსანი ოქროს ფერი (ნახე სპეკალთან; გამოცხ. 21, 20), хрисолит.

ოქროული ნივთნი ოქროსგან შექმნილნი, золото, вещи золотые.

ოქროქსოვილი ოქრომკედით ნაქსოვი, златотканный. თ. ზარბაბ [სპ.].

ოქროცურვებული ოქროთი დაფერილი, ოქროს ქანდით დაფარული (2 ნეშტ. 3, 4), позолоченный.

ოქსინო ფარდა ოქროქსოვილისა (ვეფხისტ. 326, 337).

ოლი საყურის გრგოლი.

ოლომც, ოლონდ ოდენ, ოდენმცა, лишь, только бы.

ოლონდაც დიალამც, конечно.

ოლროჩოლრო ღირღალი, მაღალ-დაბალი, ან მიგრეხილ-მოგრეხილი, ухабистый.

ოყა თურქთა ენითა 8 სტილის წონა (იხილე საწონთან), ока, турецкий вес от 3 до 4 фунт.

ოშმე ღვინის ამოსაღები დიდი კუახი, გოგრა, კოკოშა.

ოშოშა (ბალ.) будра, кротовик.

ოშხივარი სქელი ორთქლი ზეაღმავალი შავად, ვითა ნისლი, густые пары.

ოჩოპინტრე მონადირენი უხმობენ ქაჯსა, ანუ ალსა, რეცა წინამძღომელსა და მატარებელსა ნადირთასა, леший, пан.

ოჩხარი, ოჩხრობა სომხურია, უქონელი კაცი განუმზადებს სტუმართა სერსა და იგინი შეძლებისაებრ მისცემენ შესაწევარსა.

ოჩხი თევზთ საბუნაგე.

ოჩხოლი ურჩხული.

ოცდაათი სამი ათეული, тридцать.

ოცი ორი ათეული, двадцать, два десятка т. იგირმი, ს. ქსან.

ოცნება სიჩქურე, ზმანება მლჳძარისგან, ვითა ფანტაზია, мечта, мечтание. (ვიოცნებებ, მეოცნების) მეზმანების, ჰაზრად წარმომიდგების, არა ნამდჳლად, არამედ საგონებლად (ვეფხისტ. 1449), возмечтать, возмнить.

ოწინარი აპართული ძელი თავგახურეტილი, რომელშიაც გაიყრების გრძელი ლატანი ასაწევ-დასაწევი მაღლა ასატანად ქვაია და

სხუათა შენობის სახმართა, ანუ წყლის ამოსაღებად ჰისაგან და მისთანათა, [машина для поднимания тяжести, или же для черпания воды из колодца].

ოჰვა (ვოჰავ. მოოჰვა ნახე) შემოსა თვალმარგალიტით, осыпать дорогими камнями.

ოხა (ვიოხ) შუამავლობით შველა, მოხმარება (იერემ. 7, 16), просить, молить, ходатайствовать за кого. ო ხ ი თ ა მეოხებითა, შუამდგომლობითა, молитвами, предстательством. // საეკლესიოთა წიგნთა შინა ო ხ ი თ ა ეწოდების ტროპარსა მის დღის წმიდისასა, რომელი მოიხსენებს მეოხებასა მისსა წინაშე ღვთისა, тропарь.

ოხერი უპატრონო, აოხრებული, დატევებული, ხელაღებული, ანუ მოძაგებული პატრონისგან (ფსალ. 68, 25; მატ. 23, 33; გალატ. 4, 27; ვეფხისტ. 1080, 1203), пустый, оставленный, запущенный.

ოხრა კუა მურდასანგის გუარი, ხმარებული სამხატურო წამლად და საღებავადცა. охра, вохра.

ოხრა, ოხრვა (ვოხრი, ვოხრავ) კუნესა, სამწუხარო ხმა, охать, вздыхать, стонать. // ბნობის ხმა საკრავთა, ანუ ბგერა უსულოთა (ფსალ. 45, 3 და 64, 7; ისაი. 17, 13), шум, шуметь, восшуметь, греметь.

ოხრახუში (ბალ.) петрушка. თ. მაღდანოზ.

ოხრება (ვაოხრებ) დაქცევა, აღოხრება, მოოხრება, разорять.

ოხჴანი სომხურია, დასასრული, ბოლო, დასრულება (ფსალ. 118, 96).

ოჯახი თათრულია, კერა, ცეცხლაპირი, საცეცხლური, очаг. // მიმსგავსებით იწოდების ს ა ხ ლ ი ან ს ა ხ ლ ო ბ ა, ვითარ კომლი, კომლეული, дом, семья.

ოჯინჯახი ნიგოზი წყალში გაქნილი.

ოჯიჯი აშრიალა მეგრულად.

პ

ქარაგმიანნი ლექსნი: პ͠დ, პ͠ლად—პ ი რ ვ ე ლ ა დ, პ͠ლი—პ ი რ ვ ე ლ ი. პ იხმარების ზოგჯერმე ნაცულად ბ და ფ (იხილენ ასონი იგი).

პაეგრაცი (ხე) ექუსითა დღეში.

პაემანი ვადა, შეპირებული დრო (ვეფხისტ. 842, 1318), срок. თ. ბორჯალ, ს. პაიმან.

პაექრობა ბაასი, ცილობა, ლაპარაკი (მიქია. 6, 2), прение, словопрение, диспут.

პავახაკი ხალთა-გუდა, პარკი ან ტომარა (ნახე ვაშკარანთან), мех, мешец, мешок (იგავ. 1, 14; ისაი. 46, 6).

პაიკი, ფაიკი შიკრიკთაგანია. // ნარდთა და ჭადრაკთ კუკები, шашка, пешка шахматная.

პაიჭი, პაჭიჭი წვივთ საცვამი, ღაზლის ნაქსოვი, паголенок.

პალანი, ფალანი კურტანი აქლემთა, სახედართა და სხუათა საკიდართა ხვასტაგთა, რომელზედაც აჰკიდებენ საპალნეს (დაბად. 31, 34), седло верблюда. თ. ფალან-ჯაიზ [სპ.].

პალატი დარბაზი, სასძლო, სამეფო სახლი დიდი და ვრცელი (საქმ. 25, 23), палата, чертог, зала, *παλάτι, παλάτιον.*

პალდუმი ჯორთ საბარკლე.

პალეკარტი მაზარა, პოდირი, ვარმანდი, მონაზონთ სამოსელი უსახელო, გრძელი, ფართო და ნაოჭიანი კისერში, დიდის ევსილისგან ხმარებული და მისგანვე შემოღებული, монашеская мантия.

პალეკუნტი ფოთხი, ხვეული ქადა (ნახე პურთან).

პალვანდი ცხენთა ფეხთ სახლათი თასმა.

პალო მცირე მანა მიწაზედ დასარჭობი, საბმელად ხვასტაგთა, кол, спица, *παλούκι, παλουκάκι.*

პამპლავაქი მეტიჩარა, მარიგებელი.

პანაშვიდი ლოცვა მიცვალებულთათჳს, панихида, *παννυχίς.*

პანდუქხიონი ქარვასლა, კაპილიონი, მოგზაურთ სადგური, постоялый двор, *πανδοχεῖον.*

პანტა (ხე) გარეული წურილი სხალი, груша лесная, [პ ა ნ ტ ა ფ შ ა ტ ი ოლე, ბრკენა].

პანღური, პანჩური, პალური უკანიდამ მეხლის კურა.

პაპა ბაბუა, მამის მამა (ვეფხისტ. 591), дед, *πάππος.*

პაპა ბერძულად: მღუდელი, ხუცესი, *παπᾶς.* // ანუ რომის პაპა, უპირატესი მღუდელთმთავარი, Папа римский, *Πάπας.*

პაპანება ხუარშაკი, გარდამეტებული სიცხე მზისა, зной.

[პაპანი]

პაპირი ეგჳპტური მცენარე, რომლისაცა უშინაგანესს ქერქს ხმარობდენ ძველნი საწერად ქაღალდის მაგიერ, папир, papyrus.

პარაკად ეს ბერძული ზმნისზედა, რომელიც უხმარიათ სადვთოს წერილში, ჰნიშნავს: გ ზ ა დ, ანუ წ ი ნ ა შ ე (მარკ. 15, 21), мимо, дальше, ниже, *παρακεῖ, παρακάτω, παράγοντα.*

პარაკლისი სავედრებელი ლოცვა, молебен, *παράκλησις.*

პარაკლიტონი ბერძულიდამ ითარგმნების ნუგეშინის მცემელი, *παράκλητος*, ხოლო ქართულად უწოდებენ წიგნსა რვა ხმათა საგალობელსა, რომელსაც ბერძულად ჰქვიან *ὀκτώηχος*, октоих.

პარასკევი მეექუსე დღე კჳრიდამ, რომელია აფროდიტისა (ნახე ცთომილთან), пятница, *παρασκευή.*

პარვა (ვიპარავ) ქურდობა, ცოდვა წინააღმდეგად 8 მცნებისა (მატ. 15, 19; მარკ. 7, 21), красть.

პარი პირველიდამ არა იხმარების მარტივად, არამედ რთულად (ნახე წინაპარი).

პარკი მცირე ტომარა ლაზლისა ან ტილოსი, мешечек, куль, აბრეშუმის პარკი, кокон, cocon, პარკი, струк.

პაროფსიდი პინაკი, ბადია ან სინი (მატ. 23, 25 და შემდგომი), блюдо, *παροψίδης.*

პარსვა (ვჰპარსავ) სამართებლით მოჭრა თმათა, ანუ გაკრეჭა ხვასტაგთა, რისვა брить, или стричь.

პარტახი უმუშავარი ვენახი, აბეჩხარი.

პარტახტი სნების მსხმო, ფოლაქები, сыпь, пятна на больном.

პასენაქი მეფის წინაშე მდგომი, ხელჯოხიანი მანდატური (წმიდის ნინას ცხოვრებაში).

პასექი, პასქა, პასხა ჩინებული დღესასწაულობა ურიათა მოსახსენებელად გამოსლჳსა მათისა ეგჳპტით (ლევიტ. 23, 5; მატ. 26, 18), пасха, *πάσχα.*//ხოლო ქრისტეანენი ვუწოდებთ საუფლოსა დღესა ქრისტეს აღდგომისასა.

პასტოფორიონი სახლი საცავი საუნჯეთა (იერემ. 35, 4 და შემდგომი), хранилище имения.

პასუხი მიგება, სიტყჳსგება, ответ; პ ა ს უ ხ ი ს მ ი ც ე მ ა იგივე (იერემ. 20, 12).

პასუხისგება (პასუხს ვუგებ) გაცემა პასუხისა, отвечать.

პასხალია დღე პასექისა (ნახე პასქა), день пасхи, *πασχάλια.*

პატარა მცირე, მომცრო (ნახე უმცირესთან), малый, маленький. // ბოშვი, ყრმა младенец, ребенок.

პატარძალი ქალი ახალ ნაქორწილევი (ნახე დედოფალი), новобрачная.

პატიება (ვაპატიებ) გაპატიოსნება, პატივის მიცემა, чествовать. // მიტევება, შენდობა, прощать, послаблять.

პატივი შინაგანი გრძნობა უაღრესობისათჳს სხჳსა ვისმე (ფსალ. 28, 1), честь. ს. პატივ. // ღირსება, ჩინებულება, სახელოვნება (მუნვე, 8, 5 და 48, 13, 21, კუალად 98, 4; რომაელ. 2, 10).

პატივისდება, პატივისცემა (პატივსვსდებ, -ვცემ) გაპატიოსნება, ჩვენება პატივისა (მატ. 15, 4 და შემდგომი; მარკ. 7, 6 და შემდგომი), почитать, чествовать, уважать.

პატივოსანი პატივსადებელი, ღირსი პატივისა (ფსალ. 115, 6), честный, почтенный. // ძვირფასი, დიდის ფასისა (მუნვე, 20, 3), честный, ценный, дорогой, драгоценный. // ჩინებული, მოსაწონი, საუკეთესო, славный, важный, прекрасный.

პატიოსნება, პატიოსნობა პირიანობა, მართლსულობა, კეთილსვინდისიანობა, честность.

პატიმარი შეუკრავად ტუსაღი (ვეფხისტ. 1310, 1312), арестант. თ. თახსირ, ტუსაღ.

პატიმრობა ტუსაღობა, арест.

პატიჟი პატივის მიხდა, უპატიოება, დასჯა, გარდახდევინება (ვეფხისტ. 240, 799), наказание, взыскание. // გარჯა, შრომა, სარჯელი (მუნვე, 115, 150, 295), труд, перенесение, претерпение трудов.

პატნეზი სიმაგრე, სანგარი დახვინებულის მიწისაგან, ანუ ალიზთაგან, გინა მესერი ძელთაგან (3 მეფ. 20, 12), вал (ეზეკ. 4, 2), острог, [бастион].

პატოანი სარკმელი (მამათ ცხ.).

პატრონება (ვაპატრონებ) მიცემა სამკჳდროდ, სამფლობელოდ (ვეფხისტ. 502).

პატრონი უფალი, ბატონი, მფლობელი (ვეფხისტ. 152, 395), владетель, господин, хозяин, patronus.

პატრონობა (ვჰპატრონობ, ვეპატრონები) ფლობა, მთავრობა (ვეფხისტ. 154, 160, 520), владеть. // მფარველობა, მზრუნველობა, მოვლა (მუნვე, 161, 166), иметь присмотр, покровительствовать.

პატრუქი ფილთა, შეგრეხილი ბამბა სანთელთა შორის ჩატანებული, ანუ ბაზმაკთა და კანდელთა შინა ჩადებული ასანთებად (მატ. 12, 20), лен, фитиль, светильня. // მეწუკთა შინა მოგროვებული და გამაგრებული

მანკი, რომელიც გამოვარდების შემდგომად დამწიფებისა და გამორწყვისა.

პატრუქაგი (ოთხფ.) საკლავი ცხვარი, ანუ თხა (ნახე ცხვარი) (დან. 14, 31—32), овца.

პაქსიმადი ორცხობილა პური, сухарь, *παξιμάδι, δάκι.*

პალვი დიდი მუცელი, пузо, пузище.

პალვიანი მუცლიანი, დიდ მუცელა, пузатый.

პალული კიდობანივით.

პაღური (მძრ.) კირკინო, ზღჳს კიბო დიდი, морской рак, *παγοῦρι.*

პაშტა ქრთილის მარცულის წონა, დანგის მეთორმეტედი (ნახე საწონთან), гран.

პაშტი ხორბლის საკმაზავი ცხრილი.

პაწაწა ფრიად მცირე, маленький, крошечный.

პაწუა, პაწიკელა მატრაკვეცა.

პაჭენისი როარტაგის გარდანაწერი, პირი წერილთა, список, копия.

პახტი მახტი, მახთა. წლის გამოსაღები ერთის თემისა სრულიად გარდაკვეთით, оклад, оброк.

პეიტარი ბეითალი, ცხენის მკურნალი.

პელაგონი ზღუა, ანუ საშუალი მისი, море, *πέλαγος.*

პენტეკოსტე მარტჳლია, მეერგასე დღე, пятидесятница, *πεντηκοστή.*

პენტელა ხელოსანი, მპენტავი ბამბისა, მატყლისა და მისთანათა.

პენტვა (ვჰპენტ, -ტავ) მშვილდით და კინტით გაწკეპა ბამბისა, ანუ მატყლისა გასაწეწად და დასაწმენდად, взбивать.

პეპო, პეპული წყალთ პერული.

პეპელა (მწერ.) მწერი დიდროვან ფრთებიანი და ჭრელი, бабочка. თ. ფარვანა [სპ.].

პეპელი ოქროს ფიცარი (ლევიტ. 8, 9), дощица златая.

პეპლვა (ჰპეპლავს, იპეპლება) მფრინეელთ აღრევა (ნახე ხურაობა).

პერანგი კვართი შიგნიდამ საცმელი სამოსელი ტანისა (ვეფხისტ. 120, 1245), рубашка.

[**პერანგის** ამხანაგი]

პერექლი დიდი დაფარნა, სიწმინდეთ საბურველი, травоздух.

პერი ქაფი (იუდ. 1, 13), пена. ს. ქაფ.

პერიკმები ხამლნი, ჩექმები (დანიილ. 3, 21), сапоги.

პერიპატოელი ბერძულად მ ო ა რ უ ლ ი, ვინადგან არისტოტელმან შემოიღო სწავება მოწაფეთა სიარულით სასწაელებელსა შინა, ამად შედგომილნი მისნი იწოდებოდენ პერიპატოელად (შავთ. 53), перипатетик, *περιπατητικός*, ხოლო სასწავლებელსა მათსა ეწოდა პ ე რ ი პ ა ტ ო უ ლ ი, перипатетическая школа.

პერიფრასი განმარტება, ანუ თარგმანება მრავლითა ლექსებითა (დამასკ. 61), *περίφρασις.*

პეროვნება (პეროინ) ქაფის გამოშვება პირიდამ (მარკ. 9, 18, 20), испускать пену.

პერპერა (ვეფხისტ. 1427), ვახტანგ მეფე განმარტებს: მოსაკმაზავს გარდა, რაც რამ სხვა კიდევ კარგი მოუმატოს.

პერსეპოლი ძველთა მეისტორიეთაგან ესრეთ წოდებულ არს აწინდელი შ ი რ ა ზ ი, Персеполь, Шираз.

პერული პერი, დორბლი ქაფივით.

პეტალო, პიტალო მეტალლთ ფურცელი, ჯილჯილა ან საჭედარი, *πέταλον.*

[**პეტიკო** ნ. ბადე]

პეტრეტიკონი თხის ტყავის ეტრატი.

პეშვი ორი ხელი რა მოხარო ჭურჭლად (ნახე მუჭი).

პიდალიო აფთიონი, ტიმონი, ნავის სამართი საჭე, кормило, руль, *πηδάλιον.*

პითიკი ჰასაკ-მცირე კაცი, ანუ მაიმუნი (3 მეფ. 10, 22), питик, *πίθηκος.* თ. ჯუჯა.

პითონი სული მისნობისა (საქმ. 16, 16), дух пытлив т. е. прорицательный, гадательный, პითია ეწოდებოდა აპოლლონის კერპის ქურუმსა დედაკაცსა, მისანსა დელფის ბომონსა შინა, ხოლო მაუწყებელსა მისსა— ს უ ლ ი პ ი თ ო ნ ი, *πνεῦμα πύθωνος,* spiritus pithonis.

პილო, ხპილო (ოთხფ., ფსალ. 44, 8), слон. თ. ფილ [სპ.].

პილპილ, პირპირ ე. ი. საესე კიდურებადმდე, полон до краев.

პილპილა სოკოა ერთი (ბალ.), груздь.

პილპილი (ხე) მგორვალა, перец, *πιπέρι.* თ. ფილფილ [არაბ.].

პინა, პინაკი დიდი ჯამი ან თეფში ხისა (გამოს. 25, 29; მატ. 26, 23), блюдо, *πινάκι, πινακάκι.*

პინაქსი ზანდუკი, სარჩევი წიგნისა, оглавление, *πίναξ.*

პინჩვი ნესტო, ცხვირის ხურელი, ноздри.

პიპო (მწერ.)ბუზი მწარედ მკბენარი.

პირად ზეპირად, პირისპირ, лично, словесно.

პირადპირადი ფერად ფერადი, მრავალნაირი (ფსალ. 44 10; შავთ. 76), пренспещрен.

პირამიდა სვეტი, ანუ გოდოლი სამკუთხად, ოთხკუთხად და უმეტესად ქჳთკირით ნაგები, ძირს ფართოდ და თავს შევიწროებით, пирамида, *πυραμίδα*.

პირატი არა იხმარების ცალკე, ანუ დადებითად, არამედ უაღრესობითად (უპირატესი ნახე).

პირალმართი ძნელი ასავალი, ფრიალო.

პირაშჳმული პირდაღებული, დაღრენილი, разинувши рот, пасть.

პირბადე თხელი ნაქსოვი პირზედ ჩამოსაფარები ქალთა, вуаль.

პირდაპირ პირად, ანუ პირისპირ, лично, или против, насупротив.

[**პირდაუბანელი** ნახე დაბანა].

პირება გჳამოვნება, თანა არსი ხატი ბუნებისა, ипостась.

პირება (ვაპირებ, ვეპირებ) განზრახვა, მოწადინება, გულვება, намереваться, думать, хотеть. // (ვეპირებ) პირისპირ დგომა, ანუ შებმა, стоять, стать против.

პირველად, პირველ უწინარეს, წინ და წინ (ფსალ. 89, 2; მატ. 8, 21; რომაელ. 1, 8), прежде первое.

პირველი დასაბამი სათჳალავსა შინა (საქმ. 1, 1), первый. // უწინავესი ჟამითა, ადგილითა, წესითა, პატივითა, გინა მიზეზითა (ნახე უმცროსთან) (მატ. 19, 30 და 20, 8, კჳალად 21, 28 და შემდგომი).

პირველმოწამე უწინარეს სხჳათა წამებით აღსრულებული, ვითა არხიდიაკონი სტეფანე, первомученик.

პირველობა უხუცესობა სხჳათა ზედა, первенство.

პირველსახე ღრამმატიკულად ძირი ლექსთა, რომელიცა თჳთ არა წარმოდგომილ არს სხჳსაგან, არამედ სხჳანი წარმოებენ მისგან, первообразное слово, речение по грам.

პირველშობილი შობით უხუცესი სხჳათა, პირმშო, перворожденный.

პირველწოდებული უწინარეს სხჳათა მოწოდებული, ვითა მოციქული ანდრია, первозванный.

პირი განხმულება ბაგეთა და შინაგანი მისი (ფსალ. 16, 2, 4 და 21, 21), лицо, уста, рот, пасть. // პირის სახე კაცთა (მატ. 6, 16 და შემდგომი), лице, оклад лица. // გჳამი განუკვეთელი (საქმ. 20, 16, 28), лице, особа, персона. // გარეგანი შეხედულება ნივთთა, ზედსაჩინო, ზენაპირი (ფსალ. 1, 4; მატ. 16, 3; საქმ. 17, 27), лице, поверхность, наружность. // საპირე სამოსელთა სარჩულის მიხედვით, лицо у платья и т. п. // ნაპირი, კიდე. კიდური ზღჳათა, მდინარეთა, ანუ პურჳელთა და მისთანათა (ვეფხისტ. 881, 883), берег, край. // პ ი რ ი წ ე რ ი ლ თ ა პაჳენისი, გარდაღებული დედნიდამ, копия, список. // ლესული ნაპირი მკვეთელთა მახვილთა, лезвие, острие. // ჯერი, ხამუში, ვითარ ერთი პ ი რ ი ძილი, მუშაობა და სხ. // ფარა, ჯოგი, ვითარ ერთი პ ი რ ი ცხვარი, ღორი და მისთანანი. // პ ი რ ი, პირობა (ვეფხისტ. 135), слово, условие.

პირიანი პირობიანი, მტკიცე თვისს ნათქვამზედ, постоянный, устойчивый, твердый в своем слове.

პირის გახსნა (პირს გავიხსნი) სახსნილოს მიღება შემდგომად მარხვისა, разговляться.

პირის დაყოფა ნახე დაყოფა (შავთ. 84 და შემდგომი).

პირის მეღვინე მერიქიფე, ღვინის მწდე, виночерпий, чашник.

პირისპირ პირდაპირ, პირად (გამოს. 33. 11), лицем к лицу, лично, насупротив. // წინააღმდგომად, განრემხომად (ისაი. 17, 13), против, напротив.

პირის სახე წინაკერძო თავისა შუბლით ნიკაპამდე, лице, оклад лица.

პირის ფარეში შინაური მოსამსახურე, უფროჳრე ტანთ ჩამაცმეველი, гардероб-мейстер, камердинер, камерюнгфера.

[**პირის წყალი**]

პირი ღვთისა ნახე ღვთაება.

პირმსუქანი პირსავსე, სრული პირის სახით, полный лицем.

პირმშო პირველშობილი (მატ. 1, 25), первенец. // უაღრესი, უპირატესი სხჳათა (ფსალ. 88, 27).

პირობა სიტყჳს დასკჳნა, გარდაკვეთა ორთა, ანუ რაოდენთამე შორის, условие, договор.

პირობიანი პირიანი, პირობის გამთავებელი, честный, точный, постоянный в своем слове.

პირობითი პირობის დამნიშნეველი, რომელ არიან კავშირნი: უ კ ე თ უ, თ უ მ ც ა და სხ., условный.

პირსახოცი მანდილი პირის შესაწმენდი, полотенце, утиральник.

პირუტყჳ უენო ცხოველი, მხეცი, ან ხვასტაგი (ფსალ. 8, 7 და 48, 13, 31), скот, скотина.

პირქუში მოკმუხვილი, მოქურუშებული (ვეფხისტ. 1149), угрюмый.

პირღნიოში ავპირი, ავენა.

პირშავი დამნაშავე, სიცრუეეში ამოჩენილი, виноватый.

პირშექცეული თევზთ სანადირო გოდორი პირშებრუნებით დაწნული.

პირშუშხა (ბალ.) катран, хрен.

[**პირჯვარის** წერა ნახე ჯვარის წერა].

პირხმელი მცირედ გამხდარი (ვეფხისტ. 1057), сухощавый.

პიტაკი სავედრებელი წერილი უაღრესთადმი (ნახე წერილთან), просьба.

პიტალო მეტალლი ერთი შეურევნელად სხუათა, ანუ პეტალო. // პიტალო კლდე, ე. ი. სალი, ფიქალი.

პიტნა, პიტნაკი (ბალ., მატ. 23, 23), мята.

პიტო ანუ **პიტჳ** (ხე) ფიჭვი, ახალნერგი (ეზეკ. 31, 8; ზაქარ. 11, 2) питис, [*πίτυς*], пенг, сосна.

პკურება (ვაპკურებ) სხურება, დაწინწკლვა ნოტიოთი, რითმე (ებრაელ. 9, 13; ვეფხისტ. 303, 1352), кропить, окроплять.

პლაკა ფიქალი ქვსა გინა მეტალლისა (ბერძულად), плита, *πλάκα*. // თჳთო გვერდი სტამბის ასოებისა ერთად ჩაწყობილი საბეჭდავად. პ ლ ა კ ე ბ ი ს ქ რ ა, დ ა ქ რ ა გვერდებად დაყოფა ჩაწყობილის ასოებისა, верстать.

პლანეტი ცთომილი ვარსკულავი (ნახე ცთომილთან), планета, *πλανήτης*.

პლანი გეგმი.

პლეადი, პლიადი კრებული ვარსკულავთა (ხომლი ნახე; იობ. 38, 31), плеяда, *πληϊάδες*.

პობა (ვაპობ). დაპობა, ანუ გაპობა. პ ო ბ ი ლ ი გაპობილი ან გაშლილი (ვეფხისტ. 909).

პოგჭრონი ლიგჭრონი უნდა (იქ ნახე).

პოდირი პალეკარტის მსგავსი სამოსელი წამოსასხამი (შაეთ. 37).

პოვნა (ვჰპოვებ, ვჰპოულობ, ვიპოვები) გამოჩენა, შეხვედრა, შოვნა, ანუ მონახვით ამოგება დაკარგულისა (ფსალ. 16, 3 და 36, 10, 36, კუალად 106, 4; მატ. 17, 27; მარკ. 11, 2, 4, 13), обретать, сыскивать, находить, -ся.

პოვნიერი ქონებიანი, ქონების პატრონი, შემძლებელი, достаточный, состоятельный.

პოლიტიკა მოქალაქური ხრდილობა, политика, ბერძულად *πόλις* ქალაქი, *πολίτης* მოქალაქე, *πολιτικός* მოქალაქური, *πολιτική* მოქალაქობა, სწავლა მოქალაქობისა.

პოლოტიკი საომარი აბჯარი (ნახე ჯავშანთან), нагрудник, военный доспех.

პოლტი კორნატი, ხროხისა ან ლორის ვეზი, დიდი კოჭი.

[**პონგინი** ნ. ზუმილი]

პოპლიკა, პოხლიკა თმითა ანუ წვერულვაშით მელოტი, ქოსა.

პორფირი მეწამული სამოსელი, ანუ სამეფო მანტია (ნახე ძოძეული), порфира, *πορφύρα* (ლუკ. 16, 19; ვეფხისტ. 1546).

პორფირის ქუა იისფერი, ანუ მეწამული ქუა, камень порфировый, *πορφύρα*.

პოტიკო კაკბისა და ხოხბის მახე.

პოჩი ბალნიანი მოკლე რიკი ირემთა, თხათა და მისთანათა (ნახე კუდი).

პოხიერი, პოხილი მსუქანი, განპოხებული (ფსალ. 21, 12, 29 და 67, 15), тучный (კუალად 91, 10), маститый.

პრასა (ბალ., რიცხ. 11, 5), лук черезочный, порей, лук-порe, чеснок испанский, *πράσον*.

პრასი (ოთხფ.) კურო, ბუღა, დაუკოდავი ხარი (ნახე ზროხასთან).

პრელატი სახელი კათოლიკეთ ეპისკოპოსთა, прелат, praelatus.

პრეტორი ძველნი რომაელნი ესრეთ უხმობდენ მხედართ მთავარსა, ანუ ქალაქთ მთავარსა, გინა მსაჯულსა უწარჩინებულესსა შემდგომად კონსულთა, претор, praetor.

პრეტორია სამსჯავრო, ანუ სახლი პრეტორისა, სადაცა სამართლობდა იგი სხუათა თანა, ხოლო ქართულად დაუდვიათ ტაძარი (მარკ. 15, 16; იოან. 18, 28, 33), претория, praetorium, *πραιτώριον*.

პრიანი წადილი, არამედ სახელზმნად არა იხმარების (ნახე ეპრიანება).

პრიმასი, პრიმატი პაპის მოადგილე, უპირატესი მღუდელთ მთავარი, რომლისამე სამფლობელოსა შინა, ვითა კათოლიკოსი (სჯულის კანონი), примас, primus, atis, et primarius.

პრკე ბრკე, ღვინის ობი.

პრკენა (ხე) ოლე, ბრყენა.

პრობა გასინჯვა, ანუ გასასინჯავად მიღებული რამე, ვითარ ანდაზა, ჰაშნიკი და სხ., опыт, проба, proba.

პრობის მართვა სტამბასა შინა ეწოდების გასწორებასა. პირველ დაბეჭდილის ფურცლისასა, корректура.

პრობის მმართველი გამასწორებელი პირველ დაბეჭდილის ფურცლისა, корректор, corrector, correctus.

პროვატიკის ხაბანელი (ნახე ცხოვართ საბანელი) *πρόβατον*, ცხოვარი, *προβατάκι*, კრავი, ანუ ტარიგი. ებრაელნი უწოდებდენ, სადაცა სალვთოდ შესაწირავთა ზვარაკთა პირველად განჰბანდენ.

პროვლემა წინჩამოგდება, საპრაქტიკო წინადადება მოქენე ამოჩინებისა (ლოდ. ბაუმ., § 92), задача, *πρόβλημα*.

პრორი ხომალდის თავი, ანუ წინანი, სადაცა ზის მეპრორე და ატარებს მას, ანუ მართავს საჭითა (ნახე მეპრორე), передняя часть корабля, нос, *πρώρα*, *πλώρη*.

პროსოდია ნაწილი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს მართლწერასა და კანონიერ გამოღებასა ლექსთასა, წერილსა შინა ხმარებულთა მიერ ნიშანთა, რომელთაცა ეწოდებათ ნიშანნი პროსოდიისანი (ნახე მახვილი), словоударение, *προσωδία*.

პროტასია, პროტასის პირველსათქმელი, ანუ შესავალი წერილისა, предисловие, вступление, *πρότασις*.

პროტოდიაკონი პირველი დიაკონი, მთავარდიაკონი, протодиакон, *πρωτοδιάκονος*.

პროტონოტარი არხინოტარი, მწერალთ უფროსი, первый нотариус, *πρωτονοτάριος*.

პროტოპოპი, პროტოიერი პირველი მღუდელი, დეკანოზი, протопоп, протоиерей, *πρωτοπαπᾶς*, *πρωτοιερεύς*.

პრპენი ნახე ბრპენი.

პრწყენა (ვეპრწყენ) ჩქმეტა, щипать.

პრწყალი ხიწვი, ფურჩი მეტალლთა, ანუ ძვალთა.

პსიხი სული კაცისა, გუამი სულიერთ, ანუ არსება გულისხმიერი და მნებებელი (კატიღ. ანტ., § 61, 248), душа, *ψυχή*.

პტული ნარუქთან ნახე [წყობ. 55].

პუმპულა (ბალ.) დასტამბო.

პუნგია თაფლი მოდუღებული და გაყინული საკუწნეტად, модовник. // თაფლითა ან შაქრით ნამზადი ნუში, ნიგოზი და სხვა რამ ხილი, გოზინაყი, ნუღლი.

პურადი სტუმართმოყუარე, პურად უხვი, хлебосоль, чивой.

პურადძვირი ძუნწი, ხელმოჭირებული სტუმართათჳს და სხვარიგადცა, скупой.

პური ზოგად ნამცხვარი ფქვილისაგან მოსავალთასა, ხმარებული ჩვეულებრივ საჭმელად (მატ. 4, 3 და შემდგომი 6, 11; ფსალ. 103, 14 და შემდგომი), хлеб. თ. ეთმექ. ჩორაქ. ს. ჰაც. // არამედ პური საკუთრად ეწოდების გაფუვებულსა ხაშითა და მარილზავებულსა ნამცხვარსა ხორბლის ფქვლისასა, ხოლო უფუვარსა და უმარილოდ ნამცხვარსა ეწოდების ხმიადი.

1. სახენი პირველისანი არიან: წინაპური, უკანაპური, ბედისპური. გვიცა, არაგვიცა, კვერი, კაკალაპური, კუტი, ლავაში, ლოლო, ორცხობილა, ანუ პაქსიმადი, სავარეჯო, ქაბრიწოვანი, ჯიგანა, ფუნთუში.

2. სახენი მეორისანი არიან: ბლარჯი ანუ ბალაპი, გომიჯი, ღელენგო. შაფართხელა, ხვეზა, ხვეზელი, ანუ ღვეზელი, ხავონანი. // კუალად ნამცხვარი საფუველითა, ანუ უსაფუველოდ ზავებულნი ერბოთი, ზეთითა, სძითა, კვერცხითა, ანუ ტკბილითა რითმე არიან: კუპატი, კოლეირდი, მსუნევანი, ნაზუქი, პალეკუნტი, ფოფხი, ქადა, შაქრისაპური, ხავიწი, ხინკალი და სხ. // პურად იწოდებიან სხუათაცა მოსავალთა ფქვილისა ნამცხვარნი, ვითარ ქერისპური, ანუ ქრთილისპური (იოან. 6,9), хлеб ячменный, ხოლო ფეტვისა და სიმინდის პურს ეწოდების მჭადი. // ეგრეთვე თაფლისპური ეწოდების გოლსა, ანუ კიპრუჰსა. // პური ეწოდების მოსავალსა ჯეჯილსა, ანუ ყანასა ჯერეთ მოუმკავსა.

პურიანი პურის მომცემი, ან სარჩოიანი, სარგოიანი, хлебный.

პურისა უფალი მასპინძელი, ანუ მესტუმრე (იოან. 2, 8 და შემდგომი).

პურის მჭე ერთად მეპურენი, მეინახენი ნადიმად (მარკ. 6, 39).

პურის ცომი ხაში, საფუველი, დამჟავებული ცომი ასარევად მოსაზელს ფქვილში გასალვივებლად მისსა, ანუ მოსადედებლად.

პურკატა ნავია ერთგუარი.

პურობა სტუმრობა ან წვეულობა (ნახე სერი) (ვეფხისტ. 57, 477).

პუპურიკო (მწერ.) დიდი ქინქლა.

პყრობილი პატიმარი ანუ ტყვე შეკრული (მატ. 27, 16), узник, невольник, арестант.

პჭუალი, პრჭუალი ნახე ბჭუალი.

ყ

ქარაგმიანი ლექსი: ყ̃ა—ყ ა მ ს ა. ყ იხმარების ნაცვლად ჴ (ნახე ჴ) და ოდესმე ნაცვლად ჯ, ვითარ ყინი—ჯ ი ნ ი, ყირი—ჯ ი რ ი, ანუ ბ ყ ი რ ი.

ყავი ნახე ყვავი.

ყალი შავმოწითლო იისფერი.

ყამად ყამად დროსა და დროს, ხან და ხან, иногда, то-то. // კერძოდ ანუ დროებითად (რომაელ. 11, 25—26), отчасти, или на время.

ყამი დრო განსაზღურებული (დაბად. 1, 14; ფსალ. 1, 3), ანუ განუსაზღურებელი (მარკ. 6, 35 და 11, 11; время). ს. ყამ (ვახტ.). // ოცდა მეოთხე ნაწილი დღე-ღამისა, საათი (მატ. 8, 13 და 20, 3 და შემდგომი), час. ყამის ნაოთხალსა ეწოდების წ ე ნ ტ ი ლ ი, ანუ რ უ ბ ი, четверть часа; ხოლო ცის მზომელობის ხარისხთა ყამის სათვალავი არს ესრეთ: ყამსა აქუს 4 წენტილი, წენტილსა—15 წ ა მ ი, ანუ მ ი ნ უ ტ ი, минута, წამსა—60 წ უ თ ი, ანუ ს ე კ უ ნ დ ი, секунда; ნახევარწუთი არს 1 კ ე ს ი, ნახევარკესი—1 მ ა ს ი, ნახევარმასი—1 ა რ დ ი, ნახევარარდი — 1 მ ე ყ ი, ნახევარმეყი—1 წ ე ნ ი, ნახევარწენი—1 ვ ა წ ე, ნახევარვაწე—1 ბ ლ ი ს ი, ნახევარბლისი—1 ნ ი ვ ნ ი, ანუ ნ ვ ი ნ ი (ძველს ლექსიკონში დაწერილი ასე გაირჩა). მაშასადამე, ვ ა წ ე არს ტ ე რ ც ი ა, терция და ნივნი მეოთხედი ტერციისა.

ყამი და ყამობა ჭირი, მომსრველი სენი, моровое поветрие, язва.

ყამის წირვა ლიტურღია (ნახე წირვა), обедня.

ყამნ-გულანი თთვენი ყამნითურთ (ნახე გულანი).

ყამნი და ყამნ-კანონი ლოცვის წიგნი ცხრა ყამნთა, ეგრეთვე ცისკრისა, მწუხრისა, სერობისა და სხ., часослов. ს. ყამასაც.

ყამნობა ყამნ-კანონით წარკითხვა, ანუ ზეპირ თქმა ლოცვაზედ.

ყამობა ჭირიანობა (ნახე ყამი).

ყანგარო მწვანე სამხატურო წამალი სპილენძის ყანგისგან შენივთებული, ярь-медянка, или лазуревка.

ყანგი გესლი რკინისა და სხუათა მეტალლთა, ржа, ржавчина.

ყანტი მცირე რამ სისველე, ანუ ტენი, сырость.

ყარე იარე მესხურად.

ყარვა (ყარავს) დაყარვა, დასუსხვა, დაზრობა ყინვით, морозит, мерзнет.

ყეყა (ვეყე, ვეყავ) რბილითა რითმე ცემა, ბეგვა, ბეყვა, დაყეყა.

ყერო (მფრ.) ნისკარტკოვზა. თ. ყანჩი, ოხარ.

ყვავი ლეშში (ნახე წვიმასთან).

ყვერი ნოშო, ფოთლიანი რტო.

ყივილი (ყივიან) და ყ ი ვ ი ლ-ხ ი ვ ი ლ ი მრავალთ ჩჩვილთ ხმიანობა, шум, крик детей.

ყივავი (მფრ.) პივპავი.

ყივყავი ყუყუნა ნახე.

ყივყივი (ყივყივებენ, ყივყივი გააქუსთ) მრავალთ სირთ ხმიანობა, чирканье.

ყინი ახირება, მოუშლელად წადილის ქმნა, каприз.

ყინიანი დაყინებული, ახირებული, капризный, упрямый.

ყინჩლილი დაგრეხილი სხვილი წნელები გამხმარი ფიჩხად, [вица, вичь].

ყინჩლლო წურილი თქორი (ნახე წვიმასთან).

ყიყინი (ყიყინებენ) ყივილი, მრავალთ ხმიანობა, ანუ შეყიყინება.

ყიყმატი მეტად წურილი მარცულები რისამე, ანუ პ ი ო ტ ა მარგალიტი, მძივები და სხ.

ყირი ნახე ბყირი ან ჯირი, [прха].

ყირი ანუ **ყარი** სქელი თაფლწყალი, ან შაქარწყალი ვაყინივით.

ყირი საკრავთ ძალი მსხირპანესა და ბოხს საშუალი.

ყლეტა (ვყლეტ) მრავალთ მოსრვა, დახოცა (ვეფხისტ. 214).

ყმურტლი წურილი წვიმა ნისლიანი (ნახე წვიმასთან).

ყოლა (ხე) ხართუთა (2 ნეშტ. 9, 27), черничие.

ყოლი (ხე) გრიკი.

ყოლო (ხე) карагавик. თ. მურუს.

ყონვა (ყონავს) მცირედ რამ გამოდენა ნოტიოთა.

ყოყარიკი (ოთხფ.) ბაღლი ან ხბო (ნახე ცხვართან).

ყოქო ცუდი ღვინო, გაწყალებული (ნახე ღვინოსთან).

ყრიალი, ყლრიალი და **ზრიალი** ყლერა, მრავალთ ეყვანთ ხმა.

ყრჭუ, ყრჭოლა და **ყრჭანტელი** წდოლა, ტანში შეთრთოლება, შეყიყინება განკრთომისაგან და შიშის ხარისა.

ქრუნვა ქრქოლა, ანუ გულის ადუღება ანაზდის ელდისაგან (ნაუმ. 2, 10), восхищение.

ქრუნი (მტრ.) შურთხი, [лебедь].

ქუვილი, ბქუვილი (ქუვის, ბქუვის) ჩხულეტა, წკენტა დაბუქებისგან.

ქუქუნა, ქივქავი მომაჩხოდ მოხდომილი, ანუ მხიარული თუალები, ვითა უცინოდეს (ნახე ალიელთან).

ქუქუნი დალბობა.

ქუქუნა წვიმა დამალბობელი მიწისა (ნახე წვიმასთან).

ქუქლი მწიკული, ჩირქი, გემსი, მდაბიურად პუპყი.

ქურვა (ვქურავ) დაწრეტა, დაქურვა.

ქღავილი შეშინებულთ ხმიანობა.

ქღერა (ქღერს) მრავალთ ექვანთ ხმა, ანუ საკრავთ ბგერა (ვეფხისტ. 481, 781).

ქღვინტი ბოტოტი დიდი წვინტლი.

ქღლა (ვქღლი, იქღლება) დაქღლა, დაბზარვა მარგალიტთა, ანუ ადგილადგილ შედრეკა მეტალლთა მიმოგდებისგან და გაუფრთხილებლობისგან.

ქღულემა (ვქღულემ) ჯგულემა, ცუდად ზელა, პრწკენა, мять.

ქღმურტლი ქმურტლი.

ქღრიალი (ქღრიალებს) ქრიალი ან ჰრიალი.

ქღუნი მოსაწმენდელი სანთელთა და კერეონთ ნამწვისა, მოსაკვეცი მაკრატელი, щипцы. თ. მახასი, მახაშ.

ქღუნვა (ვქღუნავ) მოქღუნვა, მოკვეცა ნამწვისა ქღუნით, снимать со свечи.

ქღურტული უკაფიოდ ლაპარაკი ენაბრგჳნილთა, ან ჩხიკუთა, კაჰკაჰთა და მისთანათა.

რ

ქარაგმიანნი ლექსნი ამას ასოსა ზედა: რ҃—რამეთუ, რ҃ა—რათა, რ҃ლ—რომელ, რ҃ლიცა—რომელიცა და სხ.

რ მდაბიურად იხმარების ზოგჯერმე ნაცულად ხ და შ. მაგალ., სთუა—რთუა, ნასთი—ნართი, შტო—რტო, სძალი—რძალი, სძე—რძე, სჯული ან შჯული—რჯული. და ზოგჯერ დაემატების თავად ლექსთა, ანუ დაიდების სხუათა ასოთა წილ. ვითარ: კუ—რკუ, ხმალი—რხმალი, ხრმალი, ოდეს—როდეს, მიქმა—მირქმა, თქმა—რქმა, რკო—კრკო, რგუალი—მრგუალი, რწყილი—კრწყილი, კუ—რკუ, დრკუ. დრკუდ მავალი, ე. ი. გულარძნილი; კუმკუმა—კურკუმა, ბუქი—ბრუქი, ბჰე—ბრჰე, ბჰუალი—ბრჰუალი, რცხილა—ქრცხილა, ღრმა—რღმა. ხოლო ზოგჯერმე იხმარების ნაცულად ლ. ვითარ: ლბილი—რბილი და სხ. ნახე ლ. კუალად რ შთაემატების მდაბიურად ორთა შორის ხმოვანთა ასოთა. მაგალ., ხბორები, მეხბორე ნაცულად ხბოები, მეხბოვე, ანუ ლაშარისა, ხვარიშანი ნაცულად ლაშაისა, ხვაიშანი. დიდი, მრავალ. დიდრონი და სხ.

გარნა სხუათა ლექსთა შინა რ სრულიად დაიტევების. მაგალ., გრძელი—გძელი, ზრდა—ზდა, ვერცხლი—ვეცხლი, ფერხი—ფეხი, ფრთხილი—ფთხილი. ეგრეთვე ზედდადებულთა შინა ზმნათასა, ვითარ გარდასლვა—გადასლვა, წარსლვა—წასლვა და სხ. (იხილე შესავალსა შინა ამის წიგნისასა). [რ ასო ეს ზოგჯერმე დაიტევების. მაგალ., ბრძანება—ბძანება, ბრჰე—ბჰე, ბრდღვილი—ბდღვილი, ბრჰვალი—ბჰვალი და სხ.].

რა კავშირი, ხმარებული ზმნათა თანა ნაცულად რაჟამს. მაგალ., განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რა უფალი. ე. ი. რაჟამს (იოან. 20, 20; ფსალ. 72, 3).

რა, რაჲ ნაცუალსახელი კითხჳთი (ფსალ. 8, 4; მატ. 6, 25), что? ხოლო ოდეს დაერთვიან ამას იგი, ცა, მაშინ არს კუალავმოღებითი; რა იგი, რაჲცა (ფსალ. 1, 4, 10, 3) (ნახე იგი).

რაბამ, რაბამად ვითარ, ანუ რაოდენ, რაზომ (ფსალ. 65, 2 და 118, 103), коль.

რაბამი ვითარი, როგორი (მარკ. 13, 1), какой.

რაბი, რაბბუნი ებრაულად მოძღუარი (იოან. 1, 39 და 20, 16), равви, раввуни. თ. რაბინ, რაფი (?).

რაგაგვა, რაგგამა, რაგგლიხ რა გრჯის, რას დასდევ (ნახე მგამა).

რაგვარი როგორი, ვითარი, რომლის გუარისა, какой. რაგვარად როგორც (ვეფხისტ. 663), как.

რაგინდარა რაც რამ, кое что.

რად რასათჳს, ანუ მდაბიურად: რათ, რათა (ფსალ. 2, 1 და 41, 5, 9, 11 და შემდგომი), вскую, но что, за чем?

რადგან, რადგანც მდაბიურად ჰნიშნავს ვინათ-გან (ვეფხისტ. 311, 506), а как, так, как. თ. ჩუნქი [სპ.].

რადი მოხრილი, არა სწორი (ამას დაესხმის თავად მ და ითქმის მ რ ა დ ი, მ რ უ დ ი, ე. ი. მრავალს ადგილს მოხრილი, დაკლაკ-ნილი (იხილენ ასონი მ და უ), искривлен-ный.

რადმე? რად, რისათჳს? (ფსალ. 9, 33 და 51, 1), чего ради, но что?

რაერთი, რამდენი რაოდენი, რამდენი, ანუ რა-ზომი, сколько.

რაზა რკინის ჯაჭვი, ანუ მოკაკული რკინა კო-ჰაკზედ გარდასაცმელი კართ დასაკეტად крюк, крючек иногда на цепи для за-пирки.

რაზიანა (ბალ.) კამა, укроп.

რაზმი სირა, მწყობრი ლაშქართა (ვეფხისტ. 307, 435, 438), взвод, строй войска.

რაზომი რის ზომისა, ანუ რაერთი, რაოდენი (ვეფხისტ. 86, 109 და შემდგომი), сколько, как велико?

რათა კავშირი დასასრულის მიზეზისა, ანუ სა-განის მნიშნველი (ფსალ. 9, 14, 38), да яко да.

რათამცა იგივე უმეტესის სურვილის მნიშნვე-ლი (მუნვე, 8, 2 და 10, 2), дабы, чтобы.

რათურთით რითაც ფრით, ან სრულებით (ფსალ. 73, 6; სოფონ, 3. 6), вкупе, весьма, ხოლო ა რ ა რ ა თ უ რ თ ი თ სრულიად არა, от-нюдь.

რაინდი კაი მხედარი, ცხენის მწვართველი, на-ездник, [всадник].

რაკა ასურთ ენითა: ვაჲ შენ (მატ. 5, 22; შავთ. 19), рака, пустой человек.

რაკი რას დროსაც, как только, лишь толь-ко.

რაკის თუალი სიცხის გამაგრილებელი წამა-ლია, жерновки.

რაკრაკი (რაკრაკებს) ნახე კარკარი.

რაკუნი (ვარაკუნებ) კართა და მისთანათა რეკა, რახუნება ნელიად, стучать.

რამ, რამე, რაჲმე что либо. что нибудь.

რამდენი რავდენი, რაოდენი, сколько.

რამეთუ კავშირი მიზეზობითი (ნახე ვითარმედ) (ფსალ. 1, 6 და 5, 2 და შემდგომი), яко. ибо.

რამეთუ ესერა (ფსალ. 50, 5, 6) се бо, რამეთუ, უკეთუმცა (მუნვე, 16), яко, еще бы.

რამლი არაბულად სამისნო წიგნი (შავთ. 17).

რანდა ხუროთ იარალი, ფიცართ გასათლელი შალაშინი, струга.

რაჲ, რაჲცა, რაჲმე (ნახე რა, რამე).

რაჲსა მიმართობა ურთიერთარს მიკიდულება ნივთთა, ესრეთ რომელ ერთსა უპყრიეს მიზეზი მეორისა (კატიღ. ანტ., § 141 და შემდგომი), относительность, зависи-мость, связь, взаимное соотношение.

რაოდენ, რაოდენი კითხუა სიმრავლისა, ხოლო რ ა ზ ო მ—სიდიდისა (დაბად. 1, 31; ფსალ. 77, 3, 5; მატ. 16, 9 და შემდგომი), елика, колико, сколько, коликий.

რაოდენ გზის რამდენჯერ (მატ. 23, 37), коли-ко крат, сколько раз.

რაოდენ უმეტეს რამდენად უფრო (მუნვე, 10, 25), кольми паче, მეტადრე.

რაოდენმე რამდენადაც, несколько.

რაოდენობა რაერთობა, შეკრება ერთთა, ე. ი. სიმრავლე, ანუ სიდიდე, რაჲცა აღირიცხე-ბის, ანუ განიზომების და შესწორებულად მეორისა, უდიდეს მისსა არს, ანუ უმცირეს, გინა თანასწორ, количество.

რაჟამს ოდეს, როდის, რას დროსაც (ფსალ. 2, 12 და 9, 3, კუალად 125, 1), когда.

რაულად რარიგად, რაგუარად (ნემეს. 5), как по каковски.

რაფა საფანველი, ფიცრის თარო, полка.

რაფათა თორნეზედ პურის მისაკრავი ბალიში. [რაყამი]

რაში (ოთხფ.) ზღაპართა შინა უხმობენ ბედაურს ცხენსა, ფრთებიანსა და სხ., конь басно-словный.

რაცა ნახე რა, რაჲცა.

რაძი იგივე (გამოს. 2, 4), что.

რახი არაყი, арак, водка, ρακί. თ. რახ.

რახირუხი, რახრახი ხმა მრავალთ ფიცართ დაყ-რისა, ანუ ხუროთ მუშაობისაგან ხშირი რახუნი, გინა ეტლთ სლჳს ბგერა, стук, стукотня.

რახსი (ოთხფ.) წაბლის ფერი ცხენი, бурая лошадь.

რახსი მდინარე ა რ ე ზ ი (ქართლის ცხოვრ.).

რახტი აღვირედი, [удило, სპ.].

რახუნი, რახუნება (ვარახუნებ) შეშათა და ფი-ცართ ჰრისა, ანუ თლის ხმა და ეგევითარ-ნი, стучать, // როტვა, როშვა, ტარტარი, ცუდი ლაპარაკი, пустое городить, бол-тать.

რბევა (ვარბევ) აკლება, გაკრეხა, წარტაცება ქონებისა, грабить. // ზოგჯერ: ზღვევინება, გარდახდევინება საზღაურისა, штрафовать.

რბენა, რბევა (ვრბი) სირბილი, რბოლა, სრბოლა (1 კორ. 9, 24 და შემდგომი; ფსალ. 147, 4; ვეფხისტ. 17, 20), бегать.

რბილი ნახე ლბილი.

რბოლა რბენა (სიარულში ნახე) (ვეფხისტ. 576, 711).

რგება (ვარგებ, ვირგებ) შემატება ან შველა (მატ. 27, 24; ვეფხისტ. 14, 196, 1297), помогать, приносить, сделать пользу. // (არგებს) წამალთაგან ლხენა, კურნება სენისა, пользовать лечить. // (მერგება, ერგება) წილად შეხვედრა, причитаться, принадлежать в долю.

რგვა (ვრგავ) დარგვა, დანერგვა, сажать, насаждать.

რგჳალი წამალი (ბალ.) круглый корень.

რგუნება (ვარგუნებ, ვირგუნებ) წილისა ან კერძის მიცემა, გინა მიღება, уделять другому или себе.

რე მარცვალი ესე იხმარების მხოლოდ ლექსთა დამაშვენებელად: წინა—წ ი ნ ა რ ე, უმეტესად—უ მ ე ტ ე ს ა დ რ ე, ზ ე მ ო რ ე—მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი. აქა განაშორებს ორთა მარცვალთა მ ო მ ო, ვინადგან ზ ე მ ო მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი თქმად ურჩ არს.

რეგვა (ვრეგვავ) ნახე დარეგვა.

რეგვენი სულელი (ნახე გიჟთან), глупый, глупец, дурак (ვეფხისტ. 1248).

რევა (ვრევ, ვურევ) აღრევა, შერევნა, შენჯღრევა ნოტიოთა ანუ შეზავება სხვადასხვათა ნივთთა, мешать, месить.

რევა, რევნა (ვერევი) მორევნა, დაძალვა (ფსალ. 117, 10 და შემდგომი; მატ. 16, 18; საქმ. 19, 16), одолевать, низлагать, брать верх.

რევანდი (ბალ.) ревень, ῥεβέντι.

რეკა (ვრეკ) სარეკელთ კჳრა, რახუნება (საქმ. 12, 16), стучать, звонить (კჳალად ნახე გარეკა, დარეკა და სხ.).

რემა, რემაკი (ოთხფ.) ხრდალი ვირი, ანუ ჯოგი მათი (იობ. 1, 14; ვეფხისტ. 55), ослица.

რეტი თავის გაბრუება ანაზდის შემოკჳრით, ანუ თავზარი საბავთოს ამბვისგან, вскружить голову, ошеломить.

რეტიანი მწუხარებით ცნობა მიხდილი (ნახე გიჟი) (ვეფხისტ. 214, 267, 493), ошеломлен.

რეტინე ნახე რიტინე.

რეცა ვითამც, მითამ, будьто.

რეცხა (ვრეცხ) წყალში ელებით გასუფთავება, мыть, стирать, полоскать.

რეწა (ვირეწ) ნახე მორეწა.

რეჰანი (ბალ.) შაშპრა, базилик. თ. რეჰან [არაბ.].

რვალი ეწოდების ზოგად სპილენძსა და თითბერსაცა (მატ. 10, 9; დან. 2, 35 და შემდგომი; 1 კორ. 13, 1), медь.

რვილი ერქჳნის ხე გრძელი და მოხრილი, ножка. // თანავარსკჳლავედი (ნახე დათჳ).

რთვა (ვართავ) ნახე სთვა.

რთვა (ვრთავ) ზმნა ესე მიიღებს სხვადასხვასა მნიშვნელობასა ზედდადებულთაგან: გ ა რ თ ვ ა, დ ა რ თ ვ ა, მ ო რ თ ვ ა და სხ. // (ერთვის) ერთის მდინარისა შეკრებაშეერთება მეორესთან, [впадать].

რთხმა გაჰიმვა (ნახე განრთხმა, გართხმა).

რიგი წესი, განწესება, გარიგება, კარგი განკარგულება.

რიგიანი წესიერი, განკარგული, порядочный.

რიგის მიცემა (რიგს ვაძლევ, მივსცემ) გარიგება, განკარგვა, распоряжать.

რიდე თავმოსახვევი მანდილი, კუბასტი, ლეჩაქი (ვეფხისტ. 73, 123 და შემდგომი 454, 473, 489), [вуаль].

რიდება (ვრიდებ) დაზოგვა, განრინება, დაფარვა სავნებელისაგან (ფსალ. 71, 13 და 77, 50), щадить, беречь, пожалеть. // (ვერიდები) მოშორება, განლტოლვა, მორიდება (2 კორ. 12, 6), опасаться, убегать, удаляться.

რიდი გაფრთხილება, რიდება, მორიდება (ვეფხისტ. 124, 406), осторожность.

რიდობა სიძუნწე, ნაკლულევანება (2 კორ. 9, 6), скудость, скупость.

რიკი სათამაშო ჩილიკა, спичка игральная. // ტიკის სარგილი, ანუ ჰურჰელთ საცობი ჩხირი, пробка. // კუდის პოჩი უბალნო (ნახე კუდი).

[**რიკრიკა** ნახე ნარიყი].

რინვა განრინევა, განრინება.

რიოში ჯერკჳალი, შერევნილი, დაურჩეველი, ან მოსაცთუნებლად შექმნილი, [сок], поддельный, фальшивый. თ. ყალბი [არაბ.].

რიპიდონი სამწეროპელი, рипида, ῥιπίδιον.

რიჟრაჟი, რიჟურაჟი დილის სინათლის გამოჩენა ბინდბანდად (მარკ. 1, 35), утро, заря, утренняя; გ ა რ ი ჟ რ ა ჟ ი იგივე, ხოლო საღამოს ბინდი შ ე რ ი ჟ რ ა ჟ ი (ნახე დილა).

რისჟა (ვრისავ) პარსვა ცხოვართა (აშისგან მრისველი ნახე), стричь.

რისხვა (ვრისხავ) წყრომა უაღრესთაგან (ფსალ. 2, 4 და 6. 1), гнев (კუალად 84, 5), гневаться, ხოლო სწორთათჳს ითქმის ლ ა ლ ვ ა და უდარესთათჳს დ რ ტ ჳ ნ ვ ა. არამედ ზოგჯერ დრტჳნვის მაგიერადაც ხმარებულია რისხვა (ნახე განრისხება).

რიტინე, რეტინე სუნნელი ხის წებო (ნახე მკურისკევი) (დაბად. 43, 11; იერემ. 51, 8), ритина, масть.

რიტორი დახელოვნებული რიტორებასა შინა, შვენიერმოუბნარი (ჩახრუხა. 35), ритор, оратор, *ῥήτωρ*.

რიტორიკა, რიტორება სწავლა შვენიერმოუბნარობისა, риторика, витийство, *ῥητορική*.

რიყე ნაპე, მდინარის პირი ქვიანი და ქვიშიანი, русло, пески.

რიცხვა (ვრიცხავ) თუალა, დათუალა, აღრიცხვა, считать.

რიცხჳ სათუალავი (ფსალ. 38, 3—5 და 103, 25), число.

რიხი ზავთი, მოხდომილი ტუქსვა, შერისხვა.

რიხიანი ზავთიანი, ხახიანი.

რკენა, რკინობა (ვრკინობ, ვერკინები) პიდილი, პიდაობა.

რკვევა (ვარკვევ) რჩევა, დარკვევა, გარჩევა, გამორკვევა.

რკინა მეტალლი მოშავო, სახმარი საპელთათჳს იარალთა (დან. 2, 25), железо. თ. დემურ.

რკო, კრკო მუხის კენკრა, ანუ ხე (ისაი. 2, 13), желудь (ოსე. 4, 13), дуб.

რკოცხი ნახე კონცხი, კუნცხი.

რკუ (ოთხფ.) ნახე კუ. ხოლო პადრაკის სათამაშოსა რკუსა რუსულად ეწოდება слон.

როართაგი მეფეთ ბრძანება, ოქმი, ანუ სჯულის დება (ნახე წერილი), указ (именной, высочайший).

რობა, როფი თაბახი, ხელგობა.

როგო ხეთაგან გამოთლილი სკა (ნახე სკასთან), улей, [борть].

როგორი რაგუარი, ვითარი, какой.

როდეს, როდის რა დროს, ოდეს, რაჟამს, когда.

როდინდელი რომლის ჟამისა, რომლის დროსი, когдашний.

როდინი ხის ფილი სანაყავი, ხოლო მცირეს ეწოდება ქ ვ ი ჯ ა, ступка деревянная.

როდინის ქუა ფილთა ქუა გრძელი, пест.

როკი ხის ტოტის ძირი, ანუ კაპი ნუჟრიანი, сук на дереве.

როკვა (ვროკავ) სამაია, ცეკვა, ბუქნა და ეგევითარნი მოძრავობანი მგოსანთანი (ნახე თამაშობასთან) (მატ. 11. 7 და 14, 6), плясать.

რომ მდაბიურად იხმარების ნაცულად რ ო მ ე ლ, რ ა მ ე თ უ, რ ა თ ა, ვ ი თ ა რ მ ე დ და სხ., что, чтобы. თ. ქი [სპ.].

რომელი კავშირი მიზეზობითი (ნახე ვითარმედ).

რომელი ნაცვალსახელი კითხჳთი, ხოლო რაჟამს დაერთვიან მარცვალნი: ც ა, ი გ ი, ანუ შეუდგების არსებითისა სახელსა, მაშინ არს კულავ მოღებითი (ფსალ. 1, 1, 3), который, какой.

რონინი (ვრონინებ) დაღონებით და ურვეულად სიარული (ფსალ. 41, 9 და 42, 2; ლუკ. 2, 48), ходить сетуя, боля, мрачно.

როსკიპი ურიდად მეძავი, ბოზი (2 სჯული. 23, 17; ოსე. 3, 1; ვეფხისტ. 570), блудница, блудодейца.

როტვა (ეროტავ) შეუგვანი ლაპარაკი, ანუ ძილში ლუღლუღი, бредить, грезить.

როქი, როქაჲ როჭიკი, საბოძვარი, ანუ გარდაკვეთილი სამუშაო, руга, *ῥόγα*.

როშვა (როშავს) მოშლილის წისქვილისგან მსხვილად ფქვა, ღერღა, крупно молоть. // უშნო ლაპარაკი, როტვა, ბლანდვა, болтать, пустое молоть, городить.

როჭიკი როქი, ულუფა, ჯამაგირი, საზრდო, ან სჯულიერი ნიჭი მთავრობისაგან (ლუკ. 3, 14), оброк, жалованье.

რტო, შტო, ნოშო (მატ. 13, 32 და 21, 9; გამოს. 25, 31 და შემდგომი; ჩახრუხა. 39), ветвь.

რტყმა (ვარტყამ) ნახე დარტყმა, შემორტყმა და სხ.

რუ, რუვი და **რუსხმული** ხელოვნებით გატანილი ნაკადული (წყალი ნახე), канал, канава, *ῥύαξ*. თ. არხ [არაბ.].

რუბი თათრულად მეოთხედი, ნაოთხალი, სპარსულად ჩარექი, четверть.

რუდუნი, რუდუნება (ვრუდუნებ) გარჯა, შრომა, ღვაწლი, ზრუნვა (2 კორ. 11, 27 და 1 თესალ. 2, 9), подвиг, изнурение.

რუკა მიჯრით მობმული კუბო კუბოდ, ვითა პადრაკის სახე (ვეფხისტ. 287), карта.

რული (მრულის) ლული, თულემა, მსუბუქად ძილი (ფსალ. 75, 7 და 120, 3 და შემდგომი), дремать, дремание, дремота.

რუმბი დიდი ტიკი ზროხისა ანუ კამბეჩისა (ნახე თხიერთან), *ῥόμβος*.

რუსხმული მაღლა შეშენებული რუ წყალთ გასატანი, канал.

რუხა, რუხი ყომრალჭრელი, ხოლო *სისვი* შავი თეთრნარევი; *მრეში* წითელ სისვი; *ლები* ანუ *ლიბრი* ლურჯმოიისფრო; *ლეგა* და *მხიე* წყლის ფერი; *მურა*, *ინდუშა* და *შავგჳრემანი* შავ-მოწითალო და სხ. (ნახე ფერი).

რუჯვა (ვრუჯავ) გატუსვა, ცეცხლში გავლება, გარუჯვა, палить, опалять.

რქა რომელთამე ცხოველთა და საკუთრად ოთხფერხთა თავსა ზედა ამოსულნი ძვალნი (ფსალ. 21, 22 და 68, 31), рог, рога. // ვაზის ბაბილო, ვენახი ჩორჩი (ფსალ. 16, 15 და 79, 11), розга, лоза виноградная. // ჩენჩო მარცვალთა ცერცვისა და მისთანათა (ლუკ. 15, 16), рожцы. // წერილთა შინა ხაზი, ღრამი, წარხიდული, იოტა (მატ. 5, 18), черта. // ნესტჳ, ნაღარა რქისაგან შექმნული (ფსალ. 97, 6), труба из рога, рожок. // ზეთის შესანახავი რქის ჭურჭელი (3 მეფ. 17, 14), чванец елея. // ძალი, ძლიერება, სიმტკიცე (ფსალ. 74, 5, 6, 10), рог. // რქა ითქმის რიცხჳსათჳს რქიანთა ხვასტაგთასა, ვითარ ასი *რქა* ზროხა, штука рогатого скота, კამბეჩი, ცხვარი, თხა და სხ. (ვითა მფრინველთათჳს ითქმის ფრთა).

რქენა (ვურქენ) რქით გმერა, რჩოლა (გამოს. 21, 27—28), убодать, бодать рогами.

რქიანი, რქებიანი, რქოხანი რქების მქონებელი, рогатый.

რქმა (ვარქუამ) დამხობა (ნახე დარქმა).

რქმა (ვარქუ, არქუ, ჰრქუა) ხმარებული სრულთა შინა დროთა, ხოლო აწინდელსა შინა *თქმა* (ფსალ. 2, 7), сказать.

რქმევა (ვარქმევ) წოდება, სახელის მიცემა, нарицать, называть, именовать. // (მრქვიან, მქვიან) მეწოდების (მატ. 1, 16 და 23, 10; ლუკ. 2, 4), нарицаться, называться.

რღვევა (ვარღვევ) ქცევა ნაშენებთა (ნახე დარღვევა), ломать, разорять, разрушать. // ნაკერავთაგან ძაფების გამოხსნა და მოშორება, пороть, распарывать.

რღუნა წყალთ მოვარდნა, წალეკა (ნახე წარღუნა) (ფსალ. 28, 9 და 31, 6), потоп.

რყევა (ვარყევ) რხევა, ნძრევა, რწევა, колебать, трясти.

რყუნა (ვრყუნი) წახდენა, განხრწნა, განრყუნა, портить, развращать.

რჩევა (ვარჩევ) მრავალთაგან გამოკრება სახმარისა (ვეფხისტ. 504), выбирать, отбирать, разбирать. // (ვერჩევ, ვარჩევ) ზრახება, ჰაზრის მიცემა (მუნვე), давать совет, советоваться, совещание. // (მირჩევნია) უკეთესად მიჩნევა, ჯობინება (მუნვე. 30), предпочитать.

რჩენა (ვარჩენ, ვრჩები) გამოზრდა, შენახვა, содержать, кормить, пропитывать,-ся. // გამოხსნა ჭირისაგან, მორჩენა, спасать, избавлять.

რჩეული საუკეთესოდ მიღებული, ალრჩეული (ფსალ. 17, 26 და 77, 31; მატ. 20, 16), избранный, отборный

რჩოლა (ვერჩი) მდაბიურად: წაკუწრა, ანუ სხვარიგად ვნება, толкать, трогать. // რქენა, ცემა რქიანთა ხვასტაგთაგან რქებითა, бодать. // (ვერჩი, ვერჩდი) წერილთა შინა დაჯერება, დამორჩილება (მატ. 8, 27; მარკ. 1, 27; საქმ. 28, 24), верить, слушаться, повиноваться.

რჩომა (ვრჩები) შოვნა, მოპოება საზრდოსი (ვეფხისტ. 343), иметь промысл, пропитание. // გათავება, შესრულება საქმისა, მორჩენა, მორჩომა, оканчивать, доканчивать.

რჩული რჯული, სჯული (საქმ. 6, 15), закон.

რცხა რეცხა; *რცხული* გარეცხილი.

რცხვენა (ვარცხვენ, მრცხვენის) შეკდემა, შერცხვენა (ფსალ. 43, 8, 10 და 70, 1, 13, 24), посрамлять, постыдить, -ся.

რცხილა (ხე) ქრცხილა.

რძალი შვილისა ანუ ძმის ცოლი (ნახე სძალი), невестка.

რძე (ნახე სძე) молоко.

რძიანა (ბალ.) бесово молоко.

რძლუამლი (ხე) უსურვაზი, კრიკინა.

რწევა (ვარწევ) ქანება აკუნისა და მისთანათა, качать.

რწმუნება (ვარწმუნებ), დაჯერებინება, ანუ შეჯერება (მატ. 28, 14; საქმ. 19, 26), уверять, уговаривать.

რწმუნვა (ვირწმუნებ, ვერწმუნები, მრწმენა) დაჯერება (ფსალ. 77, 22, 32, 37 და 113, 1), верить, веровать.

რწყევა (ვარწყევ) ნთხევა, рвать, вырвать (рвота).

რწყვა (ვრწყავ, ირწყვის) დასხმა წყლისა, დასველება, მორწყვა (დაბად. 2, 6), напаять, поливать водою. // მუწუკთ გამორწყვა, გახეთქა.

რწყილი (მწერ.) კრწყილი. блоха.
რწყილის დედა (მწერ.) жук майка.
რწყმა (ვარწყამ) მახის დადგმა (ნახე დარწყმა).
რჭმა (ვარჭობ) დასობა რისამე მიწაში და ეგევითარნი, вонзать, сажать.
რხევა (ვარხევ, ვირხევი) რწევა, ნძრევა, შენძრევა, колебать, шатать, качать, трясти, -ся.
რჯა (ვრჯი, ვირჯები) დაშრომება, შეწუხება, გარჯა, შრომა, трудить, утруждать, беспокоить, -ся.
რჯული რჩული, მცნება (ნახე სჯული), закон. // სარწმუნოება (ვეფხისტ. 1035), вера, вероисповедание, религия.

ს

ქარაგმიანნი ლექსნი: ს҃დ—ს რ უ ლ ი ა დ, სხ҃ნი—ს ხ ჳ ა ნ ი·

α. ს დაერთვის თავად რომელთამე ლექსთა შნოსათჳს წინაშე კ, პ და ტ. მაგალ., კუნელი — ს კ უ ნ ე ლ ი, პარსი ანუ ფარსი — ს პ ა რ ს ი, პილენძი—ს პ ი ლ ე ნ ძ ი, პილო—ს პ ი ლ ო, მაინძელი — მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი, ტრიობა—ს ტ რ ი ო ბ ა, ტრიქონი—ს ტ რ ი ქ ო ნ ი, აშრიალი—ს ა შ რ ი ა ლ ი. კჳალად: ნატა—ს ნ ა ტ ი, კნესა — ს ნ ე კ ვ ა, რბოლა—ს რ ბ ო ლ ა.

β. ს იხმარების ნაცჳლად ზ და რ, ვითა ითქვა მათ ასოთა თანა და ზოგჯერმე წინაშე ასოთა პ და ტ შეიცჳლების შ-ზედა. მაგალ., ქისპი—ქ ი შ პ ი, გასტერება—გ ა შ ტ ე რ ე ბ ა, მუსტი—მ უ შ ტ ი, ტასტი—ტ ა შ ტ ი, ქისტი — ქ ი შ ტ ი. ეგრეთვე უკეთუ ლექსთა შინა იპოვებიან ასონი; შ, ჭ, ჯ, მაშინ თავად ასო ს შეიცჳლების შ-ზედავე, ვითარ: სიმშილი—შ ი მ შ ი ლ ი, სიში — შ ი შ ი, სანიშინი—შ ა ნ ი შ ი ნ ი, საჭამადი—შ ე ჭ ა მ ა დ ი, სინჯი — შ ი ნ ჯ ი, სჯული — შ ჯ უ ლ ი.

γ. მარცვალი სა დაერთვის თავად:

1. სახელთა არსებითთა და ზედშესრულთაცა, ესრეთ რომელ მარცვალი ნა ჰნიშნავს შეცვალებასა განვლილისა მდგომარეობისასა, ხოლო სა მომავალსა ანუ მოსალოდებელსა. ვითარ ნასიძარი—ს ა ს ი ძ ო, ნარძლევი—ს ა რ ძ ლ ო, ნავენახობი—ს ა ვ ე ნ ა ხ ე, ნაბოსტნევი—ს ა ბ ო ს ტ ნ ე და სხ. ხოლო, უმრავალჯერესად ჰნიშნავს კუთნვილებასა, ვითარ ს ა ა ბ ა ნ ო ვ ე, ს ა ბ ო ლ ო ვ ო, ს ა გ ზ ა ო, ს ა ე რ ო, ს ა ზ ო გ ა დ ო, ს ა კ ო მ ლ ო, ს ა მ ა რ ხ ო, ს ა ხ ს ნ ი ლ ო, ს ა ს ნ ე უ ლ ო, ს ა შ ე ნ ო, ს ა ჩ ე მ ო და სხჳანი.

ამგჳარნი სახელნი იხმარებიან არსებითადცა, ვითარ ს ა დ ი ლ ი, ს ა უ ზ მ ე, ს ა გ ზ ა ლ ი, ს ა ვ ა ჭ რ ო, ს ა ხ ა მ თ რ ო, ს ა ლ ა რ ო, ს ა უ ნ ჯ ე, ს ა ქ ო ნ ე ლ ი, ს ა წ ო ლ ი, ს ა ხ ა ბ ა ზ ო და სხ.

2. სა დაერთვის მიმღეობათა მომავალისა დროჲსათა, ვითა ნა განვლილისათა. მაგალ.: ნაწერი — ს ა წ ე რ ი, ნაკითხი — ს ა კ ი თ ხ ი, ნაკერავი—ს ა კ ე რ ა ვ ი, ნაქები—ს ა ქ ე ბ ი, ნაქმარი — ს ა ქ მ ა რ ი, ნასუქი — ს ა ს უ ქ ი, ნაუბარი—ს ა უ ბ ა რ ი, ნახნავი—ს ა ხ ნ ა ვ ი, ნამუშავარი — ს ა მ უ შ ა ვ ა რ ი, ნახმარი — ს ა ხ მ ა რ ი და სხ. ეს სახედ მარცჳლითა სა განვითარებულნი მიმღეობანი იხმარებიან არსებითადცა სახელებად. მაგალ.: ს ა ზ რ დ ე ლ ი, ს ა მ ო ს ე ლ ი, ს ა მ ს ა ხ უ რ ი, ს ა რ ე წ ა ვ ი, ს ა ტ ე ვ ა რ ი, ს ა ტ კ ი ვ ა რ ი, ს ა ს ჯ ე ლ ი, ს ა ქ ც ი ე ლ ი, ს ა წ ე რ ე ლ ი, ს ა ხ მ ი ლ ა ვ ი, ს ა ხ ნ ი ს ი და სხ.

3. კჳალად სა დაერთვის თანდებულთა, ზმნისზედათა, კავშირთა და შორისდებულთაცა და შეიქმს მათ არსებითად ანუ ზედშესრულად სახელებად. მაგალ.: ს ა ა ქ ა ო, ს ა ი ქ ი ო, ს ა გ ა რ ე ო, ს ა შ ი ნ ა ო, ს ა ზ ე დ ა ო, ს ა თ ა ნ ა დ ო, ს ა მ ა რ ა დ ი ს ო, ს ა ნ ი ა დ ა გ ო, ს ა წ ი ნ ა ო, ს ა ხ ჳ ა ლ ი ო, ს ა ზ ე გ ი ო, ს ა გ ა ი ს ო, ს ა თ უ ო, ს ა ვ ა ლ ა ლ ო, ს ა ვ ა ე ბ ო.

δ. მარცვალი სი დაერთვის თავად:

1. ზედშესრულთა სახელთა და შესცჳლის მათ არსებითად. მაგალ.: ადვილი—ს ი ა დ ვ ი ლ ე, ძნელი—ს ი ძ ნ ე ლ ე, ავი—ს ი ა ვ ე, ბოროტი—ს ი ბ ო რ ო ტ ე, ბრძენი—ს ი ბ რ ძ ნ ე, თეთრი—ს ი თ ე თ რ ე, შავი—ს ი შ ა ვ ე, მართალი — ს ი მ ა რ თ ლ ე, მდაბალი — ს ი მ დ ა ბ ლ ე, მდიდარი—ს ი მ დ ი დ რ ე, მრავალი—ს ი მ რ ა ვ ლ ე, მტკიცე—ს ი მ ტ კ ი ც ე, მშვიდი — ს ი მ შ ვ ი დ ე, უხვი — ს ი უ ხ ვ ე და სხ.

შეისწავე: ა) რომელნიმე ზედშესრულნი სახელნი, დაბოლოვებულნი მარცვალსა ზედა ლი, ისპობენ ამას, რაჟამს დაერთვის მათ სი. მაგალ.: თხელი—ს ი თ ხ ე, ზრქელი—ს ი ზ რ-

ქე, სქელი—სისქე, მსხვილი—სიმსხო, კეთილი — სიკეთე. ტკბილი — სიტკბო, ტფილი—სიტფო, ცხელი—სიცხე.

ნ) რაჟამს ესრეთთა არსებითთა სახელთა დაერთვიან მარცვალნი ამ, ანუ მაგ, მაშინ იგინი შეიცვლებიან ზედშესრულადვე მაგალ.: ამ სიდიდე, ანუ მაგ სიდიდე ძელი, дерево такой величины, ამ სიუხვე კაცი, ამ სიწითლე ვაშლი და სხ.

2. სი დაერთვის სახელზმნათა განსაკუთრებით უმეშვეობითთა ზმნათასა, ვითარ სიარული, სირბილი, სიკუდილი, სინანული, სირცხჳლი, სიქადული, სიხარული, სიცილი, სიძულილი და სხ.

სააბანოვე აბანოსათჳს სახმარი, банный.

[**სააბატო**]

სააბეზრო აბეზართ ადგილი.

საბი ყურძენი შავი, დიდრონი და ტკბილი (ნახე ყურძენთან).

სააბრეშუმე აბრეშუმთ საცავი, ანუ შესახვედრი მათი.

საბჯრე აბჯართ საცავი, оружейная.

საადვილო ადჳლად საქმნელი, удобоисполнемый.

საავაზაკო ავაზაკთ ადგილი, ანუ შესახვედრი მათი, разбойнический.

სააზრო ჰაზრით საგონებელი, мысленный, мнимый.

საათი საჟამო, იარაღი ჟამთ მაჩვენებელი, часы. თ. სეჰათ [არაბ.]. // ჟამი, ოცდამეოთხე ნაწილი დღე-ღამისა, час, [часы].

საალერსო ალერსისთჳს სათქმელი, ანუ თქმული, ласкательный, ласковый.

[**საამბრე**]

საამხანაგო ამხანაგთ საზიარო, общий (товарищам), артельный.

საანდაზო ანდაზად დასადები, ანუ მოსატანი, примерный.

საანდერძო ანდერძად დასაგდები.

საანჯმნო საჯარო, აშკარა, гласный, публичный.

საარება უბადრუკება, ანუ უპოვარება (იოილ. 1, 15), беда (იერემ. 15, 8), бедность (და 6, 7), пакость (კუალად 51, 56), хищник.

საარებლობა უბადრუკება, უპოვარება (იერემ. 20, 8), бедность.

საარებული უბადრუკი, მიმძლავრებული, ან გაოხრებული (იოილ. 1, 10), опустевший (ზაქარ. 11, 2, 3), обедневший, озлобленный.

[**საარმაღანო** ძღვენისა (ნახე არმაღანი), для даров].

სააქაო აწინდელი სოფელი, საწუთრო ცხოვრება (ხოლო საიქიო მომავალი ცხოვრება), мир сей, временная жизнь.

სააღდგომო ქრისტეს აღდგომის დღეთა შინა სახმარი, ანუ შესაფერი.

სააღებო აღების დღეთა შინა სახმარი.

სააღსარებო აღსარებად სათქმელი.

საამიკო აშიკობის საკუთნავი (ვეფხისტ. 24, 355).

საახალწლო ახალწლისთჳს სახმარი, საკუთნავი.

საბადური ბადით თევზთ სანადირო ადგილი.

საბავთო საგლოველი, სამწუხარო (ნახე ბავთი), плачевный.

საბაზიერო ბაზიერთ შესახვედრი, ანუ სახლი ბაზიერთა და ბაზთა.

საბაზმაკე სასანთლე (ზაქარ. 4, 2), свечник.

საბაითი ოთხის ვეგით თამაშობა, ოთხო.

საბალახე ბალახთ სათიბი, ანუ საძოვარი ადგილი, сенокосные, или пастбищные луга.

საბალახო (ოთხფ.) საძოვართ ბეგარად აღებული ხვასტაგი, ცხუარი, ღორი და მისთანანი.

საბანაკე ბანაკთ ადგილი, стан, лагерь. თ. ურდო.

საბანელი აბანო, ავაზანი, გინა ემბაზი (იოან. 5, 2 და 9, 7, და შემდგომი), купель, купальня, ванна.

საბანი ზედდასახურავი ჟამსა ძილისასა, одеяло, *σάβανον*.

საბაჟო ბაჟის ასაღები ადგილი, таможня.

საბარკი ტვივის გუარი ზე ეკლებიანი (3 მეფ. 19, 4), смерчие.

საბარკულო საწვივე აბჯარი (ნახე ჯავშანთან) (იობ. 15, 27; ვეფხისტ. 1009, 1359), омет.

საბარო ურემი დაბალჰალებიანი (ნახე ურემთან), арба, телега, повозка.

საბასრობელი საკიცხველი, ასაგდები (შავთ. 82), издевательный.

საბატიო (კაცი) აზნაური, კეთილშობილი, боярин, благородный, почётный.

საბატონო ბატონთ საფერი (ვეფხისტ. 631), боярский, господский.

საბედნიერო ბედის წილადი, ბედნიერების მომასწავებელი.

საბელი მსხვილად შეგრეხილი მკედი დასაბმელად ანუ შესაკრავად რისამე (ფსალ. 15, 5 და 118, 61; ქებ. 4, 3; ვეფხისტ. 255), уже, вервь, веревка. ესე არს ზოგადი სახელი, ხოლო მკედის უმსხოსსა ეწოდების ხეზი,

მისსა უმსხოსსა — ბ ა წ ა რ ი და მათზედ მომსხოსა—თ ო კ ი და შ ტ ა ნ ა გ ი, კარავთ გასაბმელსა თოკსა — წ ა ლ ე ბ ი, ცხენის ფეხთ გასაბმელსა—ტ ო ი ლ ო, შორით სასროლსა მროწლეთა შინა შესაპყრობად ხვასტაგთა—ს ა გ დ ე ბ ე ლ ი და ქ ა მ ა ნ დ ი, თივისგან შეგრეხილსა—გ ო რ ი ლ ი, გ უ ა რ ი ლ ი, ხის ხრალთაგან შეგრეხილსა—ა ვ რ ი ტ ი, ხვასტაგთ წელების ანუ აბრეშუმისგან შეგრეხილსა მშვილდის საბელსა—ლ ა მ ბ ი ან ლ ა რ ი, საშთობელსა საბელსა—შ ი შ თ ვ ი ლ ი, საპალნეთ შესაკრავსა—ს ა კ ო პ ა ვ ი, გრძელსა და ფართოდ ნაქსოვსა ლაზლის საბელსა—ქ ა რ შ ი კ ი, ტყავთაგან გრძლად და წუროლად შეჭრილსა ბაწარსა—თ ა ს მ ა, თასმათაგან დაწნულსა—ღ ვ ე დ ი, ამგვარსავე ერქვანდასაკრავსა—ე ვ ა ნ ი და ჯ ა მ ბ ა რ ა, მათსა გარდასაბმელსა—ხ ა ნ ჩ ი რ ი, უწუროლესსა მათსა ურემსა ზედა ტვირთთა გადასაკრავსა—ქ ა პ ა ნ ი, ხოლო ყოველსავე უმსხოსსა ნავთა და ლუზათა დასაბმელსა—ბ ა გ ი რ ი.

საბერველი ცეცხლის გასაღვივებელი და გასაძლიერებელი გუდა, мех раздувальный. თ. ფუქა (?).

[**საბეჭდავი** ნახე ბეჭდვა. // ს ა ბ ე ჭ დ ი ткальный челнок].

საბეჭური ლევინტონარი, სამხრე მონაზონთა.

საბლარდნელი მანდილი, გასახვევი რისამე.

საბნელი გლოვის კარავი ანუ სახლი, траурная, темная комната.

საბოლოვო მომავალს დროს გამოსადეგი, სახმარი.

საბოძვარი უაღრესთაგან საჩუქარი (ვეფხისტ. 61, 119, 672, 677), подарок, вещь жалованная.

საბრალო საცოდავი, შესაბრალი (მუნვე, 41, 175, 801).

საბრი (ალო ნახე) сабур. თ. საბრი [არაბ.].

საბრძანებელი სასამართლო ადგილი, приказ, присутственное место. // სახელმწიფო, სადაც ბრძანება ვისიმე მუშაობს (ფსალ. 113, 2), область, держава, государство.

საბრძოლელი საომარი, ბრძოლაში სახმარი (ზაქარ. 9, 10), бранный.

საბრძანისი იგივე (ვეფხისტ. 63, 1584).

საბრჯო, საბჯო სადავო, საცილობელი საქმე გასასინჯავი ბჭეთაგან.

საბრხე საფრხე.

საბუდარი ადგილი შინაურთა მფრინველთა, სადაც კვერცხს სდებენ (იერემ. 10, 22), обиталище, гнездо.

საბუთი აღმოჩინება, სიტყვა ანუ წერილი სიმართლისა, доказательство, документ. თ. ზაბუთ [არაბ.].

საბურველი თავსახურავი, ანუ გარდასაფარებელი (2 კორ. 3, 13 და შემდგომი), покрывало.

საბუხარი, საბუხრები სამღუდელო შესამოსელთაგანი მაჯებზედ შესაცმელი.

საბძელი, საბზელი ბზის შესანახავი ფაცხა, мякинница.

საგაისო სამერმისო, საგაისოდ დაგულვებული.

საგალი (ბალ.) თევზის საწამლავია.

საგალობელი კანონი ცისკრისა ანუ სერობისა სძლისპირებზედ სათქმელი, канон. // ორღანო, საკრავი გალობის ხმაზედ სათქმელი (ფსალ. 80, 2 და 137, 2), орган, псалтырь.

საგანგებო საკუთრად შესწავლებული, нарочный.

საგანგებოდ განგებ, нарочно.

საგანგიო სახლი სამოელეო, საბრძანებელი.

საგანი ისრის ნიშანი (ნახე განი) (ვეფხისტ. 698). // ჰაზრი, წადილი, цель, предмет.

საგანძური განძი, სალარო, საუნჯე, сокровище, клад.

საგარეო სალაშქრო, გარეობაში სახმარი, полевой, походный.

საგარი საგზალი, მოსაგრეთ ნუზლი (იერემ. 40, 5), провиант, пища.

საგარეჯო თხელი პური, ლავაშზედ უფრო მოსქე (ნახე პური).

საგბოლისი სახაშე, ბაზრის სამზარეულო, харчевня.

საგდებელი ქამანდი, შორით სასროლი საბელი ხვასტაგთ შესაპყრობი (ნახე საბელი) (ვეფხისტ. 1385).

საგები საფენი, საგებელი, გასაშლელი რამე (ვეფხისტ. 345, 1011). // შესაძლებელი, сбыточный.

საგზალი მოგზაურთათჳს ნამზადი სასმელ-საჭმელი (საქმ. 28, 10 და 1 კორ. 9, 7), путевая провизия.

საგზებელი კეცის ჭურჭელთ გამოსაწვავი ბრძმედი, горн, горнило.

საგინებელი, საგიობელი გინების ღირსი, ანუ საბასრობელი, საკიცხარი.

საგლახაო გლახაკთ სადგური, богадельня. // ანუ შესაფერი მათი, нищенский.

საგლეხო გლეხთ კაცთ საკუთნავი, крестьянский, мужицкий.

საგლოველი, საგოდისი საგოდებელი, საგალალო, плачовный.

საგმირო გმირთ საფერი, გმირული (ვეფხისტ. 372), геройский.

საგოზელი გასაგლესი, შესალები ან წასასმელი (ეზეკ. 13, 12), помазание, мазь, краска.

საგონებელი სააზრო, საფიქრებელი, мнимый, мысленный. // თვთ ფიქრი, ზაზრი (ვეფხისტ. 184), мысль, дума.

საგორავი გასაგორებლად სახმარი.

საგრაგნელი გამოსახვევი, обвертка.

საგრემელი საოლავი, წარბთ სალებავი სურმა (იერემ. 4, 30), стибие.

საგრილი შესაფარები, საჩრდილობელი (ფსალ. 90, 4; მარკ. 4, 32), сень, тень.

საგრობა (ვსაგრობ) ლაშქრობა, გარეობა საბრძოლად (1 კორ. 9, 7 და 1 ტიმ. I, 18; შავთ. 79), воинствовать, служить в войске.

საშუალი შუაკერძო, средина. // მდებარე შორის ორთა კიდურთა, ანუ შორის დიდისა და მცირისა, გინა შორის კეთილისა და ცუდისა, средний, посредственный.
საშუალობა ღონისძიება, ხმარებული აღსასრულებელად რისამე, средство.
საშულოვე ტარაბუა, შულოთ გამოსახვევი ჩარხი, воробы.
საშურველი სახარბიელო, შურად მისაღებელი, завидный, интересный.
საშური სასწრაფო, საჩქაროდ გასაკეთებელი, скороспешный, к спеху нужный.
საშჯელი ნახე სასჯელი.
საშჯულო ნახე სარჯულო.
საჩემო ჩემის შესაფერი (ნახე საშენო).
საჩენი დასანახავი, საჩინო, видный.
საჩეხი დერეფანთა ზედა, ფანჯარათა და შესავალთა კართა ზედან გაელებული ფიცრული, навес.
საჩივარი მთავრობისადმი მოსახსენებელი საურავი, ანუ ძვირშემთხვეულება, жалоба.
საჩინო თუალითსახილველი, დასანახავი (ისაი. 2, 2), явленный, видный, явный. // ეპიფანია, ზედაპირი (ნახე სხეულთან), поверхность.
საჩრდილობელი ამართული რამე ჩრდილისთჳს (ისაი. 4, 6), сень.
საჩუქარი საბოძვარი, ან სწორის ძღვენი (ვეფხისტ. 1446), подарок, гостинец.
საჩქარო სასწრაფო, საშური.
[**საჩხარუნებელი** брепцало].
[**საჩხულეტელი** жало, бодец].
საცა სადაცა (ნახე სადა).
საცავი შესანახავი რისამე ადგილი (ფსალ. 78, 2), хранилище.
საცალო ორთა ტომართაგან ერთი, ცალი ანუ ტოლი მეორისა, ორგნით ასაკიდები მეორეზედ, вротище.
საცანდავი ერქენის ხე.
[**საცემი**]
საცეცხლური მანკანი, მუჯამარი. // ეკლესიათა შინა ხმარებული სასაკმევლე (გამოს. 27, 3), кадильник, кадильница, кадило.
საცეხველი ჯანდრის ხე (იგავ. 23, 31), бодильный, катильный. // დინგი, სადეგველი ბრინჯის, ჩალთუკისა, ღომისა და სხუათა მარცვალთა.
საცვეთი ნატის პაიჭი.
საცთური შესაბრკოლებელი, საფრხე (ფსალ. 49, 20 და 139, 6), соблазн, сеть. // მოსაცთუნებელი საქმე, მიმზიდველი ცოდვისადმი და შეცთომისა (მატ. 13, 22, 41 და 18, 7, კჳალად 27, 64), лесть, прелесть, обман.
საცილობელი სადავო, სალაპარაკო, საბაასო, спорный.
საცინელი ასაგდები, სასაცილო, საბასრობელი (ფსალ. 43, 13), подражнение, посмеяние.
საციქველი სამოციქულო (ნახე ციქვა). // მდაბიურად სამეზობლო, სათხოვებელი სახლში სახმარი ნივთი, ავეჯულობა, ჰურჰელი და მისთანანი.

საცმელი სამოსელი, ტანთა, ანუ ფეხთ ჩასაცვამი, одежда, или обувь.

საცნაური გამოჩენილი, აშკარად ცნობილი (საქმ. 1, 19), известный.

საცნობელი შინაგანი საგრძნობელი, მიხდომა, ощущение.

საცო დასაცველი, მოსაფარებელი (ფსალ. 38, 1 და 140, 3; მატ. 23, 5), хранило, хранение, хранилище.

საცოდავი ცოდვის შემამთხვეველი, грешный. // საბრალო, შესაბრალისი, жалкий.

საცხებელი ზეთი სუნნელი და მისთანანი წასასმელნი, ანუ მირონი ცხებისა (ფსალ. 44, 7 და 88, 20), елей.

საცხინველი მარგალიტთ სარევნი თლილნი თუალნი, ანუ ოქროს მძივები.

საძაგელი ღირსი შეძაგებისა, საზიზღარი, საძულველი (ფსალ. 87, 8), ненавистный, отвратительный.

საძაგელის შემძინე ანგაარი, მოქრთამე, უსამართლოდ შემკრები (1 ტიმ. 3, 3), мшелоимец, корыстолюбец.

საძაგრავი საოფლე, ცხენის ჩული, попона.

საძალნი კართ ურდულნი.

საძგიდი გასაღობი (ნახე ძგიდე).

საძეგველი მცირე საცეხველი.

საძელი პურთ სარეცხელი, ტყაეკორა.

საძირკველი კედელთ ფსკერი მიწაში ამოშენებული (ებრაელ. 6, 1), основание, фундамент.

საძნაური ძნელი ტყვეობა (ისაი. 10, 4), пленение.

საძნე ძნის ბელო, ანუ ფორანი საზიდი მისი (ნახე ურემი).

საძნელო ძნელად საქმარი, საშრომელი, трудный, затруднительный, мудреный.

საძოვარი ბალახიანი ადგილი, მინდორი ხვასტაგთ საკვები (იოან. 10, 9; ისაი. 7, 25; ვეფხისტ. 194), пажить, паства, пастбище.

საძრავობა გაძრვის ღონე.

საძრახავი საქიქელი, დასაძრახი, предосудительный.

საძუე უნაგირთა და პალანთ უკან მობმული თასმა ცხენთა და საკიდართა ხვასტაგთა კუდს ქვეშ გამოსავლები დასამაგრებლად.

საძულველი საძაგელი, ღირსი შეძაგებისა, ненавистный, презренный.

საწადელი საწადი, სურვილი, ანუ სასურველი, გულის სათქმელი (ისაი. 44, 9), желание, или желательный.

საწათხე დუგუნი.

საწამებელი სამოწმებელი, დასაჭეშმარიტებელი (გამოს. 26, 33 და შემდგომი; ფსალ. 77, 5), свидение, свидетельство. // სამარტჳლე (ნახე საფლავთან).

საწამლავი სამსალა, წამალი საკუდინებელი, отрава, яд. // მოსახიბლი, შემშლელი კაცთა, ვითა ჰგონებენ მდაბიონი (ნახე წამალი), присушное зелье, любовный напиток и т. п.

საწერელი მელნის ჰურჰელი წერისთჳს შექმნილი, чернильница.//ხოლო ზოგგან ჰნიშნავს კალამსა (ისაი. 8, 1), писало.

საწერი ქვემდებარე დასაწერად.

საწერტელი საჩხულეტელი (1 კორ. 15, 55), жало (2 კორ. 12, 7), пакостник, бодец.

საწვივე წვივსაცმელი, ნიფხავი (გამოს. 28, 42), надраги, штаны.

საწვიმარი შალისა ან მაუდის ხალენი წამოსასხამი წვიმაში, епанча.

საწიგნე მაღალი სკამი წიგნთ დასადები საკითხავად, налой.

საწილი ერქუნის მეორე ულელი ხარი.

საწინაო წინდასადები ან უწინარეს მისაღები, передний.

საწინდარი გირაო, წინდი, залог, заложник.

საწინასწარმეტყველო საკითხავი წინასწარმეტყველთ წიგნთაგან, паремия.

საწინწკარო მფრინველთ ლავიწის ძუალი.

საწირავი ჟამის წირვისათჳს მისაცემელი მიზდი, плата за отслужение обедни.

საწკეპი წკეპლა საცემი რისამე. // მსოფლიურად ერქუანთ მესამე ულელი ხარი.

საწმისი მატყლი ან მსხვილი შალი, ნაბადი (მსაჯულ. 6, 37; ფსალ. 71, 6), руно.

საწნეხელი ქვითკირის აუზი ყურძნის დასაწურავი (მატ. 21, 23), точило.

საწოლი სახლი საძილო (ვეფხისტ. 102, 120, 159 და შემდგომი), спальня. // გინა სარეცელი, ლოგინი (ებრაელ. 13, 4), ложе.

საწონი ნივრთა სიმძიმის საცნობი სასწორსა ზედა, ვითარ მისხალი, სტილი, ლიტრა, კოდი და სხ. (იობ. 28, 25; ამოს. 8, 5), вес, мерило; საზოგადოსა შინა ხმარებასა რაოდენობა ამათი ესრეთ ცნობილ არს: 4 ქრთილის მარცულის წონა არს 1 კ ე რ ა ტ ი, 3 კერატი არს 1 მ ი ს ხ ა ლ ი, ანუ ესრეთ: 18 ქრთილის მარცულის წონა არს 1 დანგი, 6 დანგი არს 1 მისხალი, 33 მისხალი არს 1 ს ტ ი ლ ი, 20 სტილი არს 1 ლ ი ტ რ ა, ანუ 4 ჩ ა რ ე ქ ი, 10 ლიტრა

არს 1 კ ო დ ი. კჳალად სთჳლიან ესრეთ: 3 კვერცხის წონა არს 1 ს ტ ი ლ ი და 7 კვერცხის წონა—1 გ ი რ ვ ა ნ ქ ა. თურქთ საწონით 8 სტილი არს 1 ო ყ ა და 12 გირვანქა—1 ბ ა თ მ ა ნ ი. ამისვე კვალობაზედ იცნობებიან სხჳანიცა ძველებურნი საწონნი, მოხსენებულნი სალვთოსა შინა წერილსა: პ ა შ ტ ა არს 1 ქრთილის მარცჳლის წონა, 2 პაშტა არს 1 გ რ ა ნ ი, 10 გრანი არს 1 ვ ო ი ლ ი, 6 ვოილი არს 1 დ რ ა მ ი, 8 დრამი—1 უ ნ კ ი, 12 უნკი—1 ს ა მ ა გ დ ა ნ ი. კჳალად ფ უ ხ ტ ი არს 1 სტილი, მ ნ ა—გირვანქის ოდენი, ქ ს ე ს ტ ი —2 1/2 მნა, 10 ქსესტი არს 1 მ ა რ ი ანუ ხ ო ი ს ი, გ უ შ ი არს ნახევარკოდი, თ ა ლ ა რ ი—გუშის ნახევარი. არამედ მ ნ ა ხ ი, ტ ა ლ ა ნ ტ ი, ქ ა ნ ქ ა რ ი და ძველებური ლ ი ტ რ ა არიან 1 მნა, ანუ გირვანქა, ხოლო ა ს ა რ ი, დ რ ა ჰ კ ა ნ ი, დ ი დ რ ა ქ მ ა, ს ა ტ ი რ ი და მისთანანი თუმცა ითქმიან საწონად, გარნა ჰნიშნავენ რაოდენობასა საფასეთა, ანუ ფულისასა, რამეთუ ძველად დათჳლის მაგიერ ასწონდიან, ანუ ასწყევდიან თეთრსა (იხილეთ თჳსთა ადგილთა).

საწონის ქჳა განსაზღჳრებულის სიმძიმის ქჳა, ანუ მეტალლი დასადები ერთსა მხარესა სასწჳრისასა აწონის დროს, гиря.

საწუთო და **საწუთრო** წუთის ჟამისა (2 კორ. 4, 17; მატ. 13, 21), мгновенный, минутный, кратковременный, непостоянный. // სააქაო, სოფელი ესე ანუ ცხოვრება (ვეფხისტ. 308, 328, 338, 343), временная жизнь.

საწუნარი, საწუნელი არ მოსაწონი, დასაწუნი (იერემ. 49, 15; ვეფხისტ. 1284), поругаемый.

საწუხარი მომცემი მწუხარებისა, печальный, горестный.

საწყალი, საწყალობელი საბრალო, ღირსი შებრალებისა, საცოდავი, бедный, жалкий.

საწყაული და **საწყავი** ჭურჭელი საცნობი რაოდენობისა ნოტიოთა, მარცვალთა, ფქჳლთა და ეგევითართასა (ისაი. 5, 10; ამოს. 8, 5; მატ. 7, 2), мера, мерило жидкостей или сыпучих вещей.

1) ნ ო ტ ი ო თ საწყაოთაგან უმეტესად ხმარებული საზოგადოობასა შინა არს თ უ ნ გ ი, რომელიცა შეეფარდების საწონსა ლიტრასა და ესრეთ თუნგის მეოცედსა ნაწილსა უხმობენ ს ტ ი ლ ა დ და მეოთხედსა ჩ ა რ ე ქ ა დ, ხოლო 3 თუნგი არს 1 ჩ ა ფ ი და 30 ჩაფი—ს ა პ ა ლ ნ ე. არამედ ესენი ზოგგან უმეტესნი არიან და ზოგგან ნაკლებნი. კჳალად 12 თუნგი არს 1 კ ო კ ა და 5 ჩარექი 1 დ ო ქ ი, ხოლო 16 დოქი—1 გ ო რ ა.

2) მ ა რ ც ვ ა ლ თ ა, ფ ქ ვ ი ლ თ ა და მისთანათა საწყაოთაგან უფროორე ხმარებული არს ჩ ა ნ ა ხ ი, ანუ მ ო დ ი, რომელიცა შთაიტევს 1 ლიტრას საწონისას ან მეტსა. 8 ჩანახი არს 1 კ ა ს რ ი ან კ ო დ ი. ზოგგან იხმარებიან თურქთა საწყაონი: ფ ო ხ ა ლ ი არს ნახევარკოდი, თ ა ლ ა რ ი—3 კოდი, ხ ა ლ ვ ა რ ი ან ხ ა რ ვ ა ლ ი, ქართულად კ ა ბ ი წ ი—12 კოდი და ნახევარი (ნახე კოდი). არიან კჳალად ძველებურნი საწყაონი მარცვალთანი, წერილთა შინა მოხსენებულნი: ა ს ს ა რ ო ნ ი, ა რ ტ ა ვ ი, გ რ ი ვ ი, დ ო რ ი, დ ო რ ა კ ი, კ ო რ ო ს ი, კ ო ტ ვ ი ლ ი, მ ა რ ი ანუ ხ ო ი ს ი, ს ა ტ ა, ს ო მ ა რ ი, ქ ს ე ს ტ ი, ღ ო მ ო რ ი და სხჳანი (იხილენ თჳსთა ადგილთა).

საწჯვეტი სალრტილი, უნაგირის თასმა ან ბაწარი ჩასაკრავად რისამე.

საჭამადი შესაჭამადი, საჭმელი, სანოვაგე, ჭამადი (ეზეკ. 47, 12), ядомый.

საჭანგე ბაზთ მოყჳანისა ანუ გაწჳრთნის მიზდი ან საჩუქარი.

საჭარბე სასწჳრის აბრა.

საჭე ტიმონი, მენავის ხალა (საქმ. 27, 4), кормило.

საჭედარი ცხენის ნალი, подкова.

საჭეშმო საჭეშმარიტო (კავშ. 22).

საჭირნახულო მამულთა შემატებისთჳს შესახვედრი წილი მოჭირნახულისა (სამართალი მეფ. ვახ.).

საჭირო მიუცილებელი, თანაწარუხდომელი, нужный, необходимый, ანუ რამეცა შეუძლებელარს სხვაგჳარ ყოფად და არა ყოფადცა (მეტაფის. ბაუმ., § 9, 28, 52 და შემდგომი).

საჭიროება საქმე აუცილებელი, თანაწარუვალი, нужда, необходимость.

საჭმელი საზრდელი, სანოვაგე, ჭამადი (დაბად. 1, 29 და შემდგომი; იოან. 21, 5; ფსალ. 68, 21), снедь, снедное, съестное.

საჭურეთელი ძელთ ამოსახჳრეტი რკინა, სატეხი, долото.

საჭურველი აბჯარი აღსაკაზმავი, ანუ საომარი იარაღი (ფსალ. 45, 9 და 75, 3), оружие.

საჭურისი კაცი დაკოდილი, ანუ მცეედანი, მოკლებული შვილიერებისაგან (მატ. 19, 12; საქმ. 8, 27 და შემდგომი), оппух, скопец, каженик. //ესევე ეწოდების მეფეთა პალატსა შინა მოსამსახურესა, რომელსა ადგილი აქუნდეს საჭურისთა თანა (იხილე პენტეფრესთჳს, ფარაო მეფის მზარეულთ უხუცესისა, რომელსა ესვა ცოლიცა) (დაბად. 39, 1 და შემდგომი), евнух. თ. ხადუმ [არაბ.], ს. ხოჯა [უნდა იყოს ნერქინი. რედ].

საჭურჭლე საგანძური, სალარო, საცავი ხაზინისა და მისთანათა (ვეფხისტ. 52, 54, 56 და შემდგომი), кладовая. // საბჯრე, საცავი აბჯართა და სხუათა საჭურველთა, оружейная палата.

სახადი საოფლე, სენი გარდამდები, горячка.

სახაზინო ხაზინის შესახვედრი, საკუთნავი, казенный. // სალარო, საჭურჭლე, казначейство, казначейская.

სახაზავი ქაღალდთა და მისთანათა დახაზვის იარაღი, теракса, трансфорапс. თ. მასტარ [არაბ.], ს. დოშხარ(?)

სახამებელი წყალში მოდუღებული და გახმობილი ხლარჩი ფქვილი, იხმარების გასათეთრებლად სარეცხთა, დასაწებებლად ქაღალდთა და სხ., крахмал, крухмал. ს. ნიშასტა [სპ.].

სახამრო ხამართ სავაჭრო სახლი, корчма, кабак.

სახამსო მართებული, შესაფერი, არა უხამსი, რაიცა ჰხამს, надлежащий, дозволемый.

სახანო ხანისადმი საკუთნავი, ханский. // სამთავრო ხანისა, ханство.

სახარბიელო სარგოსა და შემატების ნდომის განმაღჳძებელი, ან სანუკვარი, интересный, привлекательный.

[სახარბიელობა]

სახარება მოძღურება მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი, მის მიერ მონიჭებულისათჳს ჩვენდამო სასუფეველისა (მარ. 1, 14 და შემდგომი, 16, 15), евангелие. თ. ინჯილშარიფ [არაბ.], ს. ავეტარან. // წიგნი, ოთხთა მახარებელთაგან აღწერილი, ქუეყანასა ზედა ცხოვრებისა და საქმეთათჳს ქრისტესთა. // ამის წიგნისაგან საკითხავი თჳთოეულისა დღისა ეკლესიასა შინა.

სახარულევანი სიხარულით აღვსილი, სასიხარულო.

სახასო სათავისთავო, უსაშუალოდ შესახვედრი მეფისა, ანუ მებატონისა, ვითარ ზვარი, ხოდაბუნი, გინა კაცნი მსახურნი და სხ., казенный, царский, или господский, помещичий.

სახაშე დუქანი, სადაც ჰხარშვენ და ჰყიდიან ხაშსა და მისთანათა, харчевня.

სახე გარეგანი შესახედავი (ვეფხისტ. 1, 2), вид. // მაგალითი (იოან. 13, 15; იაკობ. 5, 10), образ, пример. // კატიღორიულად, ანუ რიტორულად: რაიცა დაიწესების ნათესავსა ქვეშე (ნახე ნათესავი).

[სახეები]

სახედ მსგავსად (ფსალ. 41, 1), как, каким образом.

სახედარი (ოთხფ.) საჯდომი ცხენი, ჯორი ან ვირი (საქმ. 23, 24), верховая лошадь, или катер, осел.

სახედველი დასანახავი ანუ ხედვის ორღანო.

სახელდობ, სახელდობრივ სახელის დებით, სახელის დანიშნვით, именно.

სახელი, სახელიხა წოდება პირისა, ანუ ნივთისა (ფსალ. 5, 12 და 48, 12; ლუკ. 1, 5, 13 და შემდგომი), имя. თ. ად, ს. აწუნ. // ჩინებულება, განთქმულება, სახელოვნება (ვეფხისტ. 26), именитость, слава.

სახელი, სახლიხა, სახლები მკლავთ სამოსი ხელადმდე, рукав, -ва (у платья).

სახელიანი სახელოვანი, სახელგანთქმული, ჩინებული, именитый, славный.

სახელის დება (სახელუსდებ) წოდება, დარქმევა სახელისა (ლუკ. 1, 62), нарекать, наименовать, назвать.

სახელდებული მოხსენებული სახელით (ვეფხისტ. 470), именованный.

სახელმოდგამი ერთ მოსახელე (ნახე ერთსახელთან).

სახელმწიფო შესახვედრი ან საკუთნავი ხელმწიფისა, государственный. // ქუეყანა ხელმწიფის საბრძანებელი (ვეფხისტ. 502), государство.

სახელნართაული მომატებული სახელი (კატიღორია ანტ., § 43), придаточное имя.

სახელო სამნეო, განსაგებელი მოხელისა, чин, звание, управление.

სახელობა (ვასახელებ, ვისახელებ) მოგება სახელისა (ვეფხისტ. 14).

სახელოვანი სახელიანი, განთქმული, პატიოსანი (მუნვე, 790).

სახელური ხელის მოსაკიდები ჭურჭელთა, იარაღთა და მისთანათა рукоять, рукоятка.

ხახვაიშნო, ხახოიშნო მოსაშველები, მოსახმარებელი (იხილე ხვაიშანი), вспомогательный.

ხახვედრი მისს წილად მისაცემი, причитающийся, следующий.

ხახვეველი ჩჩვილთ შესახვევი მჩვარი (ლუკ. 2, 7), пелена.

ხახვევი ზონარი ან ბაწარი მოსაჭირები რისამე, тесма, перевязка.

ხახვეპელი, ხახოპელი ბადეა ერთი.

ხახვეწარი სავედრებელი, просительный.

ხახვეწი, ხახვეწელი ჩხირი რკინისა, ანუ სხვის მეტალლისა ძაფთ ჩასაწმენდი.

ხახიდ, ხახედ სახლად, შინ, სადგომად თჳსად (ისაი. 2, 3; მატ. 9, 6 და შემდგომი; ლუკ. 1, 23, 56), во свояси, домой.

ხახიერი კეთილსანახავი, მშვიდობიანი სახისა, благообразный, благовидный. // კეთილი, ტკბილი, მოწყალე, სულგრძელი, ძვირუხსენებელი (მატ. 19, 16 და შემდგომი, 20, 16 და შემდგომი), благий, добрый.

ხახიერება სიტკბოება, კეთილობა, მოწყალება (რომაელ. 2, 4), благость.

ხახივი ქედის ბორკილი, ანუ ხუნდი (იერემ. 27, 2), клад, колода шейная.

ხახიზნავი, ხახინძავი სამალავი ადგილი.

ხახილავი, ხახილველი სანახავი, საჭვრეტი ადგილი (საქმ. 19, 29), позорище, врелище.

ხახიობა ძნობა, ხმა სამუსიკოთა საკრავთა, საგალობელთა, ანუ სიმღერათა.

ხახიჩარი უსახური, დუხჭირი, ანუ დაშავებული, ასონაკლები, безобразный, урод.

[**ხახლათავი** ნახე ბანდი].

ხახლე ფეხქვეშ გასაშლელი, საფენი ნაქსოვი. თ. ფეინდაზ [ყპ.].

ხახლეულნი დედაწულნი, სახლის შვილნი, შინაურნი სრულიად, მოსამსახურითურთ (დან. 13, 26; მატ. 10, 25, 36; საქმ. 16, 34), домашние.

ხახლი სალოცავი, ანუ სახლი ღთისა ეკლესია, ანუ ტაძარი (ლუკ. 19, 45 და შემდგომი).

ხახლი შენობა, სადგომი კაცთა (მატ. 8, 14; ლუკ. 10, 5, 7 და შემდგომი), дом. მეფეთა და დიდებულთა სახლსა ეწოდების: სასახლე, სრა, პალატი. მათ შინა გამოსამჩვენებლად შემკულსა დიდსა სახლსა: დარბაზი, პალატი, სალხინო, სასძლო. სხუათა მცირეთა გაცალკევებულთა სახლთა: ოთახი, სენაკი, საწოლი და მისთანანი. სვეტთა ზედა გარდმოკიდებულთა ოთახთა, ზეიდამ საჭვრეტად: ქორი, ქორედი, სანიშინი, ჯერაკუმი და სხ. კუალად დიდთა შინა სასახლეთა განსაკუთრებულთა სახლთა სახმარებისაებრ მათისა ეწოდების: სასტუმრო, საფარეშო, სამოახლო, სამზარეულო, სახაბაზო და სხ. დროებითსა საცხოვრებელსა თხოვებით, ანუ ქირით, ეწოდება: ვანი, სადგომი, სადგური, ბინა და სხ. სოფლურთა გლეხურთა სახლთა ეწოდების: ტალავარი, მიწური, ქოხი, ფაცხა, შრამული, ჩალური, ჩოდოლო და სხ.

ხახლი სახლობა, სახლეულნი, ანუ ნათესავობა (ლუკ. 2, 4; ფსალ. 117, 2 და შემდგომი), дом, фамилия.

ხახლიერება იგივე (იერემ. 3, 6), дом.

ხახლისკაცი, ხახლისნაშვი, ხახლისშვილი, ხახლისწული სახლეულნი (დაბად. 14, 14 და 15, 2 და შემდგომი, კუალად 17, 12, 27), домочадец, родня.

ხახლისუფალი უფროსი პატრონი სახლისა (მატ. 20, 1 და 21, 33; მარკ. 14, 14), домовитый, хозяин дома.

ხახლკარი სახლი მისის გამართულობით და შესახვედრით.

ხახლობა სახლიერება, სახლეულნი, семья, семейство.

ხახლოსანი მეურნე, მქონებელი სახლისა, домовод, домовит.

ხახლოხნობა სახლის მეურნეობა, გაძღოლა, домоводство.

ხახლტომი გარდახლტომის ადგილი.

ხახმილავი სადარაჯო, ადგილი მხმილავთა (საქმ. 12, 10), стража, сторожка. // დრო მხმილავთ გამოცვლილისა, 3 ჟამი, 1 სახმილავი მათის წესითა (მატ. 14, 25; ფსალ. 76, 4 და 89, 4), стража, стражба.

ხახმილი დიდი ქურა ან ფურნე ცეცხლით მგზებარე (ფსალ. 20, 9; დან. 3, 6), пещь.

ხახნავი მიწა მოსახნავი, пахотная земля, пахотный.

ხახნველი ერქვანი, ჯილღა, ოქოქა და მისთანანი (ლუკ. 9, 62), рало, соха.

ხახნისი ფართო რკინა საკვეთის უკანით ერქვანზედ შემოცმული მიწის გადასაბრუნებლად (ისაი. 2, 4; ვეფხისტ. 1023, 1027), орало.

სახრე მოქნილი ჯოხი, ხვასტაგთ გასარეკავი (ნახე ჯოხთან).

სახრვა (ვსახრავ) მოგობით, ანუ გრძნებით შელოცვა (ნახე მსახრველი), **обаять, колдовать.**

სახსარი ნასხამი, ნაწევარი ასოთა, **сустав.** // ფასი გამოსახსნელად ტყვეთა (ფსალ. 48, 9; მატ. 20, 28), **выкуп.**

სახსენე უკანა დიდი ნაწლევი (1 ეფრემ. 89, 19).

სახსენებელი ქონება ხსენებისა, ანუ სახელი (ფსალ. 9, 6 და 29, 4), **память.**

სახსნილო საჭმელი, სანოვაგე ხსნილისა, **скоромный.**

სახსოვარი ნიადაგ საგონებელი, **памятный.**

სახურავი საბურველი, ზედ მოსასხამი, ან დასაფარები რისამე, **покрывало.**

სახუცო ხუცესთაგან მისაცემი ხარკი მათის ეპისკოპოსისადმი ძველებურის განწესებით.

სახშველი კართ საკეტი, დასამაგრებელი (ქებ. 5, 5), **заключение, запирка, затвор.**

საჯაგავი ხშირად სასაქმო, სამუშავებელი, **рабочий.**

საჯარო საქუეყნო, საანჯმნო, აშკარა, **всенародный, публичный.**

საჯდომი დასაჯდომელი (ვეფხისტ. 333), **седалище.**

საჯილდავო მისაცემი ჯილდოდ, **награда.**

საჯილდოვე ჯილდოს ღირსი.

საჯინიბო ცხენთ სადგური სახლი (ვეფხისტ. 1191), **конюшня.** თ. თავლა, ახურ [არაბ.-სპ.].

საჰაზრო ნახე საახრო.

სებინი, ზებინი სირა, ნათხზი ბაიასი, გინა ჰილისაგან.

[სევა (ვუსებ)].

სევდა კაეშანი, შავი ნაღველი (ვეფხისტ. 110, 269), **меланхолия, или ипохондрия.**

სევდიანი ნაღვლიანი, დაფიქრებული (მუნვე, 103).

სეირნობა (ვსეირნობ) ნავარდობა, სიარული შესაქცევად (ნახე სიარულში), **гуляние, гулять,** *σεργιάνι, νισμα, νίζω.*

სეკდემბერი ენკენისთვე (ნახე ზოდიაქოსთან), **сентябрь,** *σεπτέμβριος.*

სელაპი (თევზ.) ღალეოდი, ძაღლთევზი, რომელიც შობს უქვირითოდ, ვითა ოთხფერხი, **тюлень.**

სელი (ბალ.) ამ ბალახის თესლისგან გამოიხდების ზეთი (გამოს. 28, 42; ისუ. 2, 6), **лён.**

სელი სკამი, შესაკრავი და გასახსნელი (ნახე სკამთან) (ვეფხისტ. 124), **складной стул.**

[სელქანი ნ. ზუმილი].

სელშავი (ბალ.)

სემიდალი ნახე სამინდო (3 მეფ. 4, 22; ეზეკ. 16, 13; გამოცხ. 18, 13), **семидал,** *σεμιδάλι, σημιδάλι.*

სენაკი სამარტოვო ოთახი, მცირე სახლი, **келья, кабинет.**

სენი ავადობა, უძლებობა, გარდამდები, ანუ რაც სატკივარი გაუჩნდება ცხოველსა (მატ. 4, 23 და შემდგომი, კუალად 10, 1; ვეფხისტ. 345 და შემდგომი), **недуг, болезнь.**

სერა ქოთნის პირსაკრავი.

სერანგი ლარი კუმაშთაგანი.

სერაფიმი ერთი 9 დასთაგან ანგელოსთა, რომელთაც ხატეენ ექვს-ექვს ფრთეებად (ნახე დასი) (ისაი. 6, 2 და შემდგომი), **Серафим.**

სერვა (ვსერავ) ჰრა, კოდვა, დასერვა.

სერი მოგრძედ წარზიდული გორა (ნახე მთა), **холм.**

სერი სადილი ან ვახშამი თჳსად, ან გამომჩევებებით სტუმართა თანა (მატ. 23, 6; მარკ. 6, 21 და 12, 39), **вечер, пир, пиршество.** ესე არს ზოგადი სახელი, რამეთუ არიან კაცნი, რომელნიცა ერთსა დღესა რაოდენთამე ჯერთა მიიღებენ და ეწოდების პირველსა საუზმე, მეორესა—სადილი, მესამეს—სამხარი, მეოთხეს—ზარბელი, მეხუთეს—ვახშამი და შემდგომად მისსა დაწოლის ჟამს—სერის კუდი ან სირის კუდი; კუალად სერი არს: ანკანაკობა, არიფანა და ფსონი, ლხინი, ლხინობა, მამითადი, ნადიმი, პურობა, სტუმრობა, ტაძრობა, წვეულობა, ხადილობა და სხ. (იხილენ თჳსთა ადგილთა).

სერობა ტრაპეზი მწუხრის სანოვაგისა (იოან. 13, 2 და შემდგომი), **вечер.** // (ვისერებ) საზრდელის მიღება (იგავ. 23, 1, 6), **вечерять.**

სერსეროთი რკინის მართული ბადის სახედ დაწნული, **решетка из проволоки.**

სერტყი ნერგნი დანიშნულნი საზორავად კერპთა (2 სჯული. 16, 21), **дубрава.**

სეხხი ვალი უსარგებლოდ, **заем.**

სეტყვა კოხი, წვიმის ცვარი ჰაერში გაყინული (ნახე წვიმასთან) (ფსალ. 77, 47 და შემდგომი), **град.**

სეფე **палата** (ჩხეიძის ისტორიაში).

სეფე შემოკლებით თქმა, ვითარ ს ა უ ფ ლ ო, ანუ ს ა მ ე ფ ო (ვეფხისტ. 674, 1059, 1069, 1494), царский, господский, боярский, ანუ საბატიო, ითქმის დიდებულთათჳს და იხმარების უფრორე რთულად, ვითარ ს ე ფ ე ქ ა ლ ი დიდებულთ გჿარის ქალი (ნახე დედოფალი), боярышня, фрейлина, мамзель. ს ე ფ ე წ უ ლ ი დიდებულთ ვაჟი, უფლის-წული, боярич, господич, принц.

სეფისკვერი დიდებულთ პური, კვერი, ხოლო საკუთრად ეწოდების ეკლესიასა შინა შესაწირავსა პურსა, რომელსა ზედაცა აღესრულების საღვთო ლიტურღია, просфора, антидор.

სეფილა, სიფილი ხონჩა, მოგრძე ტაბაკი ანუ ლანკანი.

სეფობა, სეფეობა საბატიობა, დიდგვაროვნობა (ვეფხისტ. 611).

სეფური უკანონოდ უხმარიათ, ზ ე პ ი რ ი და ზ ე პ ი რ ო ბ ა უნდა (ესენი ნახე).

სეფქა (შავთ. 35) ისარი ფრთე მაღალი (ნახე ისართან).

სეხნა (შავთ. 20) სახელმოდგამი, სახელითზიარი (ნახე ერთ სახელთან), тезоименит, тёзка.

სვავი (მფრ.). თ. ჰუმეი.

სვე, სსვე (ლექსისაგან ს ჿ ა ანუ ს ს ჿ ა) რაჲცა-ღა ღმერთმან კაცთათჳს განსაზღჿრა სხჿად, ანუ არა სხჿად წინათვე თჳთოეულისათჳს ჩჿენისა. კჿალად სვე არს რომელიმე საჰიროება ნივთთა სოფელსა ამას შინა (მეტაფ. ბაუმ., § 146 და შემდგომი; ვეფხისტ. 947), судьба, рок, გინა ს ვ ე არს ძალი მაიძულებელი აღსრულებად საქმისა რისამე (ნემეს. 24 და შემდგომი).

სველი, სოველი დალტობილი, ფრიად ტენიანი, განპოხებული ნოტიოთი, мокрый.

სველება (ვასველებ) დალტობა (ნახე დასველება).

სვენება (ვასვენებ, ვისვენებ) მცირედ შედგომა სლვასა შინა, მუშაკობასა, ლაპარაკსა და სხ., დასვენება, дать или взять покой.

სვეტი შენობათა ქვეშე შედგმული ქვითკირისა ანუ ძელის დიდი ბოძი მრგჿალი, გინა კუთხეებიანი (გამოს. 13, 21 და 26, 15; ფსალ. 74, 4), столб, колонна. თ. დირაგ.

სვია (ბალ.) хмель, трава.

სვიანი ბედიანი, ბედნიერი, სვის მქონებელი, კეთილმიმთხვეული (ვეფხისტ. 32, 457), счастливый, благополучный.

სვილი (ბალ.) ჰვავი.

სვინა შვილის მომნათლავი, ანუ ნათლულის მამა, ურთიერთარს რაჲსა მიმართობით სახელი, кум.

სვინაქსარი, სვინიდისი, სვინკლიტი და სხ. იხილე სჳნაქსარი, სჳნიდისი და სხ.

სვინტრი (ბალ.) купена.

სვირინგება მუწუკი დასიეებული, მადინებელი შალალისა (ლევიტ. 13, 30 და შემდგომი), пред, веред.

სვირინგები სამოსელთა ანუ კედელთა მოცხებული წინწკლი ანუ ლაქი, пятно, лак.

სვლეპა ნახე სჿლეპა.

[**სვრა** ნახე სჿრა].

სთვა, რთვა (ვასთავ, ვართავ) ძაფის კეთება ტარზედ გრეხითა გაპენტილის ბამბისათა, მატყლისა და მისთანათა (იგავ. 31, 19; მატ. 6, 28), прясть.

სთველი ვენახთ მოკრეფა და დაწურვა ღვინისა, уборка, винограда. // ზოგჯერ ეწოდების თჳთ დროსა მას, რომელია შემოდგომა, осень.

სთულისა ღვინობის თთვე, ოკდომბერი (ნახე ზოდიაქოსთან).

სთული დასთული, დართული ნასთი (გამოს. 31, 4), пряденый.

სიადვილე ადჳლსაქმნელობა, удобство.

სიავე სიცუდე, ავისვითარება, სიბოროტე.

სიავი სპილენძის ქჿაბი, ანუ ავაზანი (1 მეფ. 2, 14; ფსალ. 59, 8 და 107, 9), котёл.

სიავკაცე სიბოროტე, თჳსება ავის კაცისა, ავკაცობა.

სიათა თოფია ერთგჿარი.

სიალფე სილაღე, კადნიერება (ვეფხისტ. 1028, 1505), дерзость, отважность.

სიალფერე ალისფერი (ვეფხისტ. 1277), алый цвет.

სიამე, სიამოვნე თჳსება ნივთისა სათნოდ მისაღები, ანუ დატკბობა გრძნობათა (ვეფხისტ. 42, 100), приятность, удовольствие.

სიანჩხლე სიკაპასე, სიგლისპე, ანჩხლობა, злость, каприз.

სიარული სლჿა, მოძრავობა ცხოველთა, გარდადგმით ფერხთათა, ანუ მფრინველთა ჰაერსა შინა და თევზთა წყალსა შინა ქნევითა ფრთეთა, გინა უსულოთა ნივთთა ძალითა ბუნებითითა ანუ ხელოვნებითა, ვითარ სლვა მდინარეთა, ეტლთა, ნავთა, ბორბალთა, საეამოთა და მისთანათა (ზაქარ. 9, 8; ვეფხისტ. 147), ход, хождение, походка; სახენი ამისნი: ჩჩჳლთ ოთხზედ სიარულს

ეწოდება ჩოჩვა, ცოცვა, ბობღვა, ბორდღვა, ბღოტვა და ფოფინი; მათს ხელმოკიდებით, ანუ ხოჭიჭით ფეხზედ ტარებას—ტაატი; კაცთა ნებიერად სიარულსა ჰმუნვის განსაქარვებლად შესაქცევთა ადგილთა ზედა—სეირნობა და ნავარდობა; მალიად სლვასა—სირბილი და სრბოლა; შეშინებულის სირბილს—ლტოლვა და გაქცევა; უმალიადესსა სირბილსა—რბენა და ჭენება; კისკისად მაღლა შეფრენით რბენასა—ხლდომა ანუ ხლტომა, ხოლო ოთხფეხთასა—კუნტრუში და სხუანი (ნახე თამაშობაში). სირბილისა და ნელა სიარულის საშუალსა—ძუნძული და ჭასაკმცირეთა ცხოველთასა—ცუნცული, ცანცალი, წანწალი და დიდროვანთასა—ბოტვა, ბოტება [бродить]; უგვანსა ძუნძულსა—ბზაკუნი, ბაჯბაჯი და ჩანჩალი; სნეულთ უსუსურად სიარულსა—ღინღილი, ხინხილი ან ღონღილი, ხოლო ოთხფეხთასა—ლასლასი; უსაქმოდ და ცუდად სიარულსა—ტანტალი, წანწალი და თრევა; ბნელაში ფეხდაუნდობლად ანუ ხელის შეხებით სიარულსა—ბღოტვა, ბეცება და ცეცება; მკელობელთ სიარულს—კოჭლობა; თხელთა წყალთა შინა სლვასა ფეხის ამოღებით და კუალად ჩადგმით—ჩხუპვა, ხოლო ულრმესთა შინა ფეხამოუღებლად—ტოპვა და სრულიად ღრმათა შინა ხელფეხთ ხმარებით პირპირ ტივტივსა—ცურვა; ცხენთა კეთილსა სიარულსა—თოხარიკი და იორღა; გოგმანით სიარულს—მერანობა და ცუდსა—ჩაქჩაქი და ჯაგჯაგი; მფრინველთა ჩვეულებრივსა ჰაერში სიარულსა—ფრენა და ფრინვა; ხლტომით ფრენასა—გოგვა და გოგმანი; ცუდსა სლვასა—ლახლახი; ფრთების უძრავად ფრენასა—ლივლივი; თევზთა წყალში სლვასა—ცურვა; გველთა და ქვეწარმავალთა მუცლით სლვასა—გლინვა და ცორვა; მძრომთასა—ღოღვა და ძრომა.

ზემოწერილნი გვარნი სიარულისანი ხშირად იხმარებიან გარდალებით კაცთაგან ცხოველთადმი და უსულოთადცა და კუალად გარემოქცევით, ვითარ სბოლა ითქმის ისართათჳს და ნავთათჳსცა, ხინხილი და კინკილი ოთხფერხთათჳს, რომელნიცა ერთსა ფერხსა ატარებენ კანტურით ტკივილის გამო, ცორვა და გლინვა გველებრი, ოდეს კაცნი მიეპარებიან ნადირთა, ჭენება ითქმის უფრო ცხენზედ მჯდომთათჳს, კუალად არიან ბრძანებითნი: გუალე, ჟარე, იარე (თჳს-თჳს ადგილს იხილენ).

სიასამური ბეწვი სამურისა (ნახე სამური), со-болий мех.

სიახლე ახლობა, ახალახალი, ანუ ვითარება მისი.

სიახლე, სიახლოვე ახლოს ყოფა (ვეფხისტ. 29, 121, 697), близость.

სიბა ფერდების გარემო წელი, შემოსაკრავი სარტყელისა.

სიბერე მოხუცებულება (ფსალ. 70, 9, 18 და 91, 10, 15), старость.

სიბილწე არა წმინდება, სიმურტლე, საზიზღარობა (ვეფხისტ. 118), мерзость, нечистота.

სიბორგილე სიცოფე, გახელება, ბორგუნეულება (შავთ. 46), бешенство.

სიბოროტე სიავე, სიავკაცე (ფსალ. 5!, 3), злоба.

სიბრალული გულისშეტკივება, ქონება შებრალებისა, თანალმობისა, жалость, соболезнование.

სიბრმე მდგომარეობა ბრმისა (რომაელ. 11, 25—26), ослепление, слепота.

სიბრძნე ზედმიწევნილებითი ცნობა ნივთთა და მიზეზთა მათთა (მარკ. 6, 2; ფსალ. 48, 3 და 110, 10), мудрость, премудрость.

სიბრჯგუვე გაუგებლობა, ანუ სიგვიანე, тупость или медленность.

სიგანე სივრცე, სიფართე (გამოს. 26, 2, 8), широта, ширина.

სიგელი მეფეთაგან ნაბოძები წყალობის წიგნი (ნახე წერილთან), грамота, sigolla.

სიგიჟე გიჟობა, უჭკუობა, дурачество, глупость.

სიგლახაკე უქონლობა, უპოვარება, бедность, нищета.

სიგლისპე სიანჩხლე, გლისპობა, остервенение.

სიგრილე თჳსება გრილისა, სიმხურვალის წინააღმდეგი, холодность.

სიგრძე წარზიდული განჭიმულება ნივთისა ერთის წვერით მეორედმდე (გამოს. 26, 2, 8 და შემდგომი), длина, долгота.

სიგუსე ფრიად მზაკუარება (მამათ ცხოვრ. 7, 5).

სიდაბლე სიმაღლის ნაკლებობა, низость.

სიდედრი ცოლის დედა (მატ. 8, 14), тёща.

სიდიდე რაოდენობა დიდისა (ვეფხისტ. 962), ანუ სიმრავლე (1028), величина. // დიდებულება (ფსალ. 144, 3; ზაქარ. 11, 3), величие.

სიდონი, სინდონი თეთრი ლარი, ანუ სამოსელი, полотно.

სიეშმაკე ეშმაკობა, საქმე ეშმაკური, дьявольщина.

სივაკე სიფართოვე, плоскость.

სივერაგე ვერაგობა, მზაკუარება, хитрость.

სივილი (სივის) შხივილი, გველთ სისინი, шипение, шипеть.

სივლტოლა ლტოლვა, გაქცევა, გაპარვა მეოტისა (მატ. 24, 20; ფსალ. 141, 4), бегство.

სივრცე, სივრცელე სიფართე, სიგანე, განფენილება (გამოს. 26, 16; ეზეკ. 41, 11; ვეფხისტ. 1467), широта, пространство.

სიზარმაცე მცონარება, სიცონილი, леность.

სიზმარი ძილისშორისი ზმანება, ჩვენება ძილსა შინა (ფსალ. 72, 20; ვეფხისტ. 1585), сон, сны, сновидение.

სიზრქე სიმსხო, სიფართე, толщина.

სითბო ნახე სიტფო.

სითეთრე თჳსება თეთრისა, белизна. // მსოფლიონი უხმობენ სძესა, მაწონსა, დოსა, ნაღებსა და მისთანათა.

სითხე ვითარება თხელისა (ვეფხისტ. 355).

სიიეფე იეფობა (მუნვე, 674), обилие, дешевизна.

სიკეთე თჳსება კეთილისა, კეთილობა (ფსალ. 29, 7 და 44, 2, 4, 11; ვეფხისტ. 398), доброта, дородство.

სიკნინე სიმცირე, შეურაცხება, малость, маловажность.

სიკილა ერთი დიდრაჰმა, ძველებური ფული ებრაელთა, საწონადაც იხმარებოდა (რიცხ. 31, 52), сикл.

სიკუდილი დასრულება სიცოცხლისა, განშორება სულისა ხორცთაგან (ფსალ. 6, 5; მატ. 16, 28), смерть.

სილა სილის შემოკურა, ცემა ღაწუში, заущать, дать оплеуху.

სილა წურილი ქჳშა (ნახე ქუასთან), мелкий песок.

სილაღე ხვაობა, შეუპოვრობა, თავხედობა (ზაქარ. 12, 7), величание, наглость.

სილბო, სილბილე სირბილე (ვეფხისტ. 1193), мягкость.

სილი ხველის სენია.

სილირბე, სილირფე გლისპობა, თავხედობა, უზდელობა, ლირფობა, нахальство.

[სილოგიზმი ნახე სჳ].

სიმაგრე სიმტკიცე (ვეფხისტ. 1406), твердость. // ციხე, შენობა გამაგრებული (ზაქარ. 9, 3, 12; ვეფხისტ. 450, 452), твердыня, крепость.

სიმალე სწრაფობა, მარდობა, проворство.

სიმამრი ცოლის მამა (იოან. 18, 13), тесть.

სიმართლე უზაკველობა, ჭეშმარიტება, სისწორე (ფსალ. 4, 1, 5 და 17, 22); правда, справедливость. // ღირსება, უმანკოება, უცოდველობა (მატ. 5, 20), праведность. // მცნება, ბრძანება, სამართალი ღვთისა (ფსალ. 118, 5, 8, 12 და შემდგომი), оправдание, устав.

სიმარტივე სიწრფელე, სიწრფოება, უზაკველობა, простота, правота.

სიმარჯვე მოსწრაფება, გერგილი, проворство, ловкость. // სიადვილე, მოხერხება, удобство.

სიმაღლე საზომი მაღლისა (გამოს. 26, 16; ფსალ. 11, 7 და 94, 4; ესაი. 7, 11), высота, вышина. // ს ი მ ა ღ ლ ე და უ მ ა ღ ლ ე ს ო ბ ა, ტიტული მეფეთა ანუ მთავართა, высочество.

სიმაძღრე სავსება საჭმლითა, განძღომა, მაძღრობა (ესაი. 1, 14), сытость.

სიმახვილე გონების. სისწრაფე, სიმკვეთრე, острота ума.

სიმდაბლე თავმდაბლობა, გულით აღუზვავებლობა (ფსალ. 9, 13 და 24, 18; ლუკ. 1, 48), смирение, смиренномудрие, низость (ნ. სიდაბლე).

სიმდედრე მდედრული ქცევა, женоподобие.

სიმდიდრე პოვნიერება, გარდამატებით ქონება სახმართა (ფსალ. 36, 3 და 48, 6, 11), богатство.

სიმედგრე წარმდებობა, მცონარება (ნახე მედგარი).

სიმთურალე სასმელთაგან შებრუქება, მთურალობა (ეზეკ. 23, 32), пьянство.

სიმი ძალი საკრავისა მეტალლთაგან, струна металлическая.

სიმიათა მწერალი ღირსსახსოვართა საქმეთა აღმწერი, писатель достопамятностей, რამეთუ ბერძულად *σημείωσις* არს შესწავება, примечание.

სიმინდი (მცენ.) кукуруза.

სიმკაცრე სიფრთხილე, ანუ გამოძიება საქმეთა (დან. 7, 16, 19), непостие, испытание.

სიმკდოვნე მკდოვანება, ანუ ფრიადი სიგლახაკე.

სიმლაშე თჳსება მლაშისა, солоность. // სისხლის სიმლაშე, ე. ი. სიწამხდრე, испорченность крови.

სიმრავლე უთუალავი რაოდენობა (ფსალ. 5, 10; ლუკ. 1, 10 და 2, 12), множество.

სიმრგულე თჳსება მრგუალისა, ანუ ფარგლით მოვლებული წრე (ვეფხისტ. 1405), круг, окружность.

სიმსივნე დაშუპება, აჯირჯვება მტკივანთა ადგილთა სხეულისათა, опухоль.

სიმტიერე მტიერობა, სიქაჩლე (ლევიტ. 13, 40), плешь.

სიმტკიცე ძალი, ძლიერება (ფსალ. 6, 11 და 67, 34, კუალად 70, 3), держава, крепость, утверждения, твердыня. // სიმაგრე, სიმკურივე (ვეფხისტ. 1139), крепость, плотность. // შემტკიცება, შენივთება, შედგმულება (ფსალ. 89, 10), сила (და 138, 15), состав.

სიმუხთლე ღალატი, გაცემა, დაუნდობლობა (450), хитрость, измена.

სიმღერა შექცევა (ნახე თამაშობასთან) (1 კორ. 10, 7), играть. // მსოფლიური გალობა, песни светские.

სიმღიერე სიმტიერე, ანუ ქეცი.

სიმყრალე ცუდი სუნი, საზიზღარი საყნოსელთათჳს (ნახე სუნი), смрад.

სიმშვიდე აუჩქარებლობა, სიმდაბლე, სულგრძელობა, ანუ სახიერება (ფსალ. 131, 1), кротость, смирение.

სიმცირე სიკნინე, თჳსება მცირისა (ფსალ. 101, 23), умаление, малость,

სიმძაფრე სიცხარე, სასტიკება (რიცხ. 11, 11), устремление, жестокость.

სიმძიმე თჳსება მძიმისა (მატ. 20, 12), тягость. // სიმძიმილი სამძიმარი (ვეფხისტ. 553).

სიმწარე თჳსება მწარისა (ფსალ. 9, 27; ვეფხისტ. 100), горость.

სიმჭიდროვე სივიწროვე, სივრცის მოკლება, теснота.

სიმჭლე უმსუქნობა.

სიმხნე ახოვნება ღუაწლთა და შრომათა შინა, храбрость, мужество.

სიმხურვალე თჳსება მხურვალისა, წინაალმდეგი სიგრილისა (ვეფხისტ. 895).

სინა თეთრი რვალი, რომელსა ოქრომჭედელნი უხმობენ თურქთა ენით მაფრახი.

სინაზე სიტურფე, ნაზობა (ვეფხისტ. 587, 1483).

სინათლე ნათლის მოდგმა (ვეფხისტ. 36), свет.

[**სინაკლოვ** **გრძნობა** ნახე ზადი].

სინანული ცოდვისა და ავის საქმისათჳს წუხილი (მატ. 3, 8, 11), покаяние.

სინატიფე მოხდომილება, ნატიფობა (ვეფხისტ. 496, 1483).

სინგური ვეცხლისწყალი და გოგირდი ცეცხლით შეზავებული და გაწითლებული, იხმარების სამხატურო წამლად, киноварь.

სინდონი სიდონი, კარვის კალთები (ნახე ზღუდესთან). თ. თეჯირ (?).

სინი სინა, ლანგარი, დიდი თეფში (ნახე ლანკანი), поднос. თ. საინ [არაბ.].

სინიბი (ოთხფ.) ცხენი ფეხმაგარი და გამძლე (ზაქარ. 6, 3), кони пестры и скоры.

[**სინკლიტი**]

[**სინოდი**]

სინონიმია თან მოსახელე (ნახე ერთ სახელთან) (ლოღ. ბაუმ., § 68), *συνονυμία*.

სინორი მიჯნა, სამძღუარი, граница, предел, рубеж, межа, *σύνορον*.

სინოხი ხუნდი ხელთა ანუ ფერხთა, სახივი (იერემ. 29, 26), затвор.

სინხილა ახალი გამოჩეკილი მართვე წურილთა მფრინველთა ანუ მძრომთა, детеныш.

[**სინტაქსი**]

სინჯაფი (ოთხფ.) სიბირული თრითინა, белка.

სინჯვა (ვსინჯავ) განხილვა, გაჩხრეკა, გასინჯვა, рассматривать.

სინჯი დასანახავი წუნი, ნაკლებობა, порок, недостаток.

სიო ნოტიო და მცირე ნიავი ნაწვიმარზედ, ანუ მდინარეთ პირს.

სიორძილე ორძილობა, შემატება (ეფეს. 4, 16), возращение, приращение.

[**სიპიანი** ნ. **ზუმილი**].

სიპი ქუა მაგარი და პიტალო (ნახე ქვასთან), валун.

სიპოხე სიმსუქნე (ფსალ. 35, 8 და 62, 5 და 64, 11, კუალად 80, 16), тук.

სირა სწორედ გაწეული რიგი, სიმწკრივე, მწკრივად (ვეფხისტ. 874; შავთ. 26), ряд, шеренга, *σειρά*. სირად და მრგულად ანგელოსთათჳს ღვთისმეტყველება, დიონოს, рядом и кругом, в шеренгу и вокруг. // სირა, შთამოსირვა, შთამომავლობა, поколение, происхождение рода.

სირა სამი თითის სიფართედ წნული სებინი, რომელსაც არშიად გარშემოაკერებენ სფირიდთა და მისთანათა (მამათ ცხ.).

სირაქლემი (მფრ.) უდიდესი მფრინველთა შორის სირი აქლემივით (2 სჯული. 14, 15), сухолапль, струс, строус.

სირაჯა კატუჯარი ნახე.

სირბილე სილბო, ვითარება რბილისა, мягкость.

სირბილი მალიად სლვა (ნახე სიარულში), бегание, бег.

სირვაშლა (ხე) ჩიტის ვაშლა.

სირი (მფრ.) ჩიტი (ფსალ. 10, 1; მატ. 10, 29 და შემდგომი), птица воробей. // ზოგგან ხმარებულ არს სირაქლემის მაგიერ (ისაი. 43, 20; გოდებ. 4, 3), струс.

სირინი, სირინოზი კაცთევზი მეზღაპრული (ნახე ურჩხული) (ისაი. 43, 20; იერემ. 50, 39; ვეფხისტ. 337), сиринь, сирена, *Σειρήν*.

სირიფი ვიწრო და წურილი ჩაფარიში ოქრომკედისა, галун, позумент, *σειρίτι*.

სირკაპკაპი (მფრ.).

სირმა ოქროს თმა (ნახე ოქრომკედი), проволока, золотошвейная нитка, *σύρμα*. // ურიოში, ვითარ ს ი რ მ ა ოქრო, ვეცხლი და მისთანანი, чистое золото, серебро и т. п.

სირსვალი კირკაჟი, მოხარშული მარცვალი სამარხოთა უწვნოდ.

სირხველი სენი ხორცმძოვნელი (ნახე სრსვილი).

სირჩა პიქის კათხა (ნახე სასმისთან), рюмка.

სირცხვილი უგვანისა და სათაკილოს საქმისგან შეკდემა, კდემულება (ფსალ. 34, 26 და 43, 13, კუალად 68, 7), студ, стыд, срам.

სისანი (მფრ.) ფრიად მცირე სირი, птичка.

სისვი თეთრ-შავად არეული ბალანი (ნახე ფერი და რუხა), серый.

სისინი (სისინებს) სივილი, ხმიანობა გველთა ანუ ბატთა, шипение.

სისრა სროლა, განგმერა, განწონა ისრისა (ფსალ. 63, 4), устрелять, поражать.

სისტემა შედგმულება, განკარგულება, დაწყობილება, система, состав, *σύστημα*.

სისულელე თჳსება სულელთა (1 კორ. 1, 21, 23), буйство, безумие, невежество.

სისუსტე მდგომარეობა სუსტისა, слабость.

სუსუფთე ვითარება სუფთისა, чистота.

სისქე, სიზრქე სიგანე, ანუ სივრცე (ფსალ. 140, 7), толща, толщина.

სისხა, სისხამი შემწველი სიცივე.

სისხი ხუსტური, სიანჩხლე, каприз.

სისხიანი ანჩხლი, ხუსტურიანი, капризный.

სისხლი სხეულსა შინა ცხოველთასა ნოტიო მხურვალის თჳსებისა ფერით წითელი, რომელიცა გულიდამ განეფინების ძარღუთა შინა და მისცემს ყოველთა ასოთა ცხოველობითსა სითბოსა (ნახე ბალღამთან) (ფსალ. 49, 13 და 78, 3, 11), кровь. // ზოგჯერ ჰნიშნავს კაცსა, ანუ ბრალსა კაცის კლჳსასა (მატ. 27, 4; ლუკ. 11, 50; საქმ. 18, 6).

სიტკბო გემო ტკბილისა, сладость.

სიტკბოება სახიერება (ფსალ. 13, 1,3 და 24, 7, კუალად 36, 3), благость, благостыня.

სიტურფე მოხდომილება (ვეფხისტ. 8, 486, 496, 1051, 1126), прелесть.

სიტფო სითბო, ვითარება თბილისა, სიცხე (საქმ. 28, 3), теплота, жар.

სიტყუა თჳთოეული ლექსი, слово, речение. // ლაპარაკი, საუბარი (საქმ. 20, 7; ფსალ. 5, 1), слово, глаголы, речь, беседа. // პირი, პირობის შეკურა, შეპირება, слово (данное), обещание, уговор. // ს ი ტ ყ უ ა ღვთისა, უფლისა, ე. ი. საღვთო წერილი, ანუ ძე ღვთისა (ფსალ. 32, 4, 6; იოან. 1, 1 და შემდგომი), слово божие, господне.

სიუხვე უხვება, პურადობა, გულუხვობა, ხელგაშლილობა (ვეფხისტ. 8, 50), щедрость, тороватость.

სიფართე და სიფართოვე სიგანე, სივრცე (ეზეკ. 40, 47 და შემდგომი), широта.

სიფილი ნახე სეფილა.

სიფიცხე სასტიკება, სიმძაფრე (ისაი. 4, 6), жестокость.

სიფრთხილე თჳსება ფრთხილისა, მორიდება, осторожность.

სიფრიფანა ფრიად თხელი ნივთი, ვითარ ქანდა, ქაღალდი და მისთანანი, тонкий. // ძველთა მათემატიკურთა წერილთა შინა: ეპიფანია, ხედსაჩინო ხედაპირი, ანუ განფენილება თჳნიერ სიღრმისა, поверхность.

სიქადული საქმე საქებელი, ღირსი ქებისა (1 კორ. 9, 15 და შემდგომი; ფსალ. 88, 17), похвала.

სიქალწულე უმანკოება, უბიწოება, ქალწულება (ლუკ. 2, 36), девство.

[სიქაჩლე]

სიქველე ვაჟკაცობა, გვარიანკაცობა, ქველობა (ვეფხისტ. 606), доблесть.

სილოდა მთურალთაგან ლინცილი, უშვერი ხმიანობა, გინა წარმგებლობა ლოთობაზედ (გალატ. 5, 21), бесчинные кличи, бесчинство.

სიღრმე თჳსება ღრმისა, სივრცე ზეიდამ ქვედ მიმართ (ფსალ. 67, 22 და 68, 2; მატ. 13, 5), глубина.

სიყმილი შიმშილი (ფსალ. 32, 19; ლუკ. 15, 14), глад, голод.

სიყუარული შემსჭუალულება, შესაკუთრება, სულითი მიდრეკილება, განმალჳძებელი სიამოვნის ქონებად კეთილსვეობასა შინა სხჳსასა (1 კორ. 13, 1 და შემდგომი; ეფეს. 2, 4), любовь.

სიში ნახე შიში.

სიშორე დიდი სივრცე განშორებული (ვეფხისტ. 827), дальность, расстояние.

სიჩაუქე სიმარდე, სიცქჳტე (ვეფხისტ. 398, 496).

სიჩქარე მალიადობა, სწრაფობა (მუნვე, 1334), скорость, торопливость.

სიჩქურე ოცნება, საგონებლობა ჰაზრით და არა ნამდვილად (ლუკ. 24, 11), лжа, мечта, мечтание. [// коварство].

სიჩხონტე მცირედი სიმსუქნე წვენისა, жижа, жижица.

სიცბილი ცბოლა, ცთომა ანუ სისულელე (საქმ. 26, 24; ოსე. 9, 7), неистовство, неумление, сумасшествие.

სიცივე ტაროსი ცივი, ანუ შეცივება, холод. სახენი ამისნი: ნ ე ფ ხ ვ ა, ს ი გ რ ი ლ ე, ს ი ო, ს უ ს ხ ი, ტ ე ხ უ რ ა, ყ ი ნ ე ლ ი და სხ. (იხილენ თჳსთა ადგილთა).

სიცილი საამო სულის ოხრვა (იობ. 8, 21), смех. სახენი ამისნი: ღ ი მ ი ლ ი სიმშვიდით და უხმოდ სიცილი, ოდენ ბაგეთა ზედან გამოჩენილი; კ ა ს კ ა ს ი ანუ კ ა შ კ ა შ ი მაღალი, წურილი, მოხდომილი; ხ ა რ ხ ა რ ი მაღალი, ბოხი და უშვერი; თ ქ ა რ თ ქ ა რ ი მრავალთაგან შეზავებული სიცილი; ღ ი ნ ც ი ლ ი ცუდი და უწესო მასხარაობით სიცილი; ს ი ლ ო დ ა იგივე; ღ რ ე ჭ ა კბილების გამოჩენა უშვერად სიცილით; ფ რ უ ს ტ უ ნ ი ვის არ ენებოს გამოჩენა, ჩაიცინოს და დაიდუმოს.

სიცონილი ცონვა, მცონარება, სიზარმაცე (ფილიპ. 3, 1), леность.

სიცოფე სისულელე, უგუნურება (1 კორ. 1, 18), юродство, безумие.

სიცოცხლე სულის დგმა, ცხოველობა (დაბად. 2, 7; ვეფხისტ. 107, 790), жизнь.

სიცრუვე დიდი ტყუვილი (ფსალ. 4, 2 და 5, 6, კუალად 7, 13), ложь, неправда.

სიცუდე სიავე, წუნი, ვითარება ცუდისა (ვეფხისტ. 118).

სიცხარე თჳსება ცხარისა, вспыльчивость.

სიცხე ანთება, გახურვება სისხლისა სნეულებისგან, жар (в крови), горячка (болезнь). // ცხელი ტაროსი, ხურშაკი მზისაგან (მატ. 20, 12; ისაი. 4, 6; ვეფხისტ. 1337), жар, зной. სახენი ამისნი: ს ი თ ბ ო, პ ა პ ა ნ ე ბ ა, ხ ვ ა რ შ ა კ ი, უ ნ ჯ უ ფ ა, ჭ რ ტ ი ა ლ ი და სხ. (იხილენ თჳსთა ადგილთა).

სიცხოველე სიცოცხლე, ცხოველობა.

სიცხოველე სითბო, მწველობა, ანუ სინათლე ცეცხლისა და სხუათა მ[ნ]თებარეთა ნივთთა. // სიცხადე, მცხინვარება, საჩინოება წერილთა ანუ ხატთა. // მდაბიონნი უხმობენ სასწაულთმოქმედებასა ხატთა და სალოცავთასა.

სიძე ქმარი ვისისამე ნათესავის ქალისა, зять. // სასიძო, დანიშნული სიძედ (ფსალ. 18, 5; მატ. 9, 15 და 25, 1 და შემდგომი), жених.

სიძვა მეძავობა, ბოზობა უმეუღლოსგან (მატ. 15, 19; გალატ. 5, 19), прелюбодеяние.

სიძვირე სიძუნწე, скупость. // ანუ ძვირობა, არა იეფობა, дороговизна.

სიძნელე საქმე გაძნელებული, გაჭირება.

სიძულილი მძულვარება (ფსალ. 24, 13 და 108, 5, კუალად 138, 21), ненависть.

სიძუნწე ხელმოჭირებულება, სიძვირე (ვეფხისტ. 62, 542, 1396), скупость.

სიწმინდე ბიწიერებისგან თავისუფლება (ფსალ. 29, 4 და 92, 6, კუალად 95, 6), святость, святыня. // სისუფთე (ნახე წმინდა) (ფსალ. 17, 24), чистота.

სიწრფელე, სიწრფოება სიმართლე, სიმარტივე (ფსალ. 9, 8 და 10, 7, კუალად 36, 37), простота, правота.

სიჭაბუკე ჟამი ახალგაზრდა ჭაბუკისა (ფსალ. 24, 7 და 42, 4, კუალად 102, 5), юность.

სიჭარბე ჭარბობა, დაძალვა ნამეტანობისგან, перевес.

სიჭრელე ვითარება ჭრელისა (იერემ. 13, 23), пестрота.

სიხარბე თჳსება ხარბისა (ვეფხისტ. 1186 და შემდგომი), жадность.

სიხარკე სიძნელე, გაჭირება (მუნვე, 1406).

სიხარული თავისუფლება ჭმუნვისგან, გრძნობა სრულებისა (მატ. 2, 10; ლუკ. 1, 14; ფსალ. 29, 5, 11), радость.

სიხაშმე წუნი, ნაკლებობა, ხაშმიანობა (2 სჯული. 15, 21), порок.

სიხვეხტე, სიხუხტე სიკუშტე, სილაღე, სისხი, ხუსტური.

სიხმელე, სიხმო სიმშრალე, თჳსება ხმელისა (მსაჯულ. 6, 39), суша, сухость.

სიხშო სიხშირე ტევრთა, ანუ სისქელე ნისლთა და ღრუბელთა, густота, гуща.

სიჯაბნე დაჩაგრულობა, მოშიშრობა, робкость.

სკა წნული საბუდარი ფუტკართა, ხოლო გამოთლილსა ძელთაგან ეწოდება როგო და სანადიროს—მადე, улей.

სკალატი ნახე სკლატი.

სკამი ხისაგან შექმნილი დასაჯდომელი ფეხებიანი (ვეფხისტ. 104, 500, 685), стул, σκαμνί; შესაკრავს და გასაშლელს ეწოდება სელი; კეთილჭრელებულს — სავარძელი; მრავალთა სასხდომსა—მერხი და მერხული; მეფეთ საჯდომსა გალავაკიანსა—დალიჭი და ტახტი; ეპისკოპოსთასა კვარცხლბეკოვანსა — ხარისხი და ამბიონი; მაღალსა სამქადაგებლოსა—კათედრა; მრავალთ სასხდომელებსა ბაქან-ბაქნად—ტჳქი, ანუ ტოგუნი და სხ. (ნახე აღსავალთან).

სკარა ფეხედი რკინა დაფანჯრული მწვადთ შესაწველი, решетка, *σκάρα*.

სკარამანგი ოქრომკედით და ჩიგინით ნაკერი რამე.

სკვინჩა (მფრ.) песчанка, птица.

სკივრი ჭურჭელი ზარდახშის გვარისა, сундук. თ. ზანდუხჩა [არაბ. -სპ.].

სკინტლი მფრინველთ განავალი სკორე (4 მეფ. 6, 25), кал, гной птиц.

სკიპტრა ფაენი, სამეფო ჯოხი (ბარუქ. 6, 13; ვეფხისტ. 45, 1546), скипетр, *σκῆπτρον*. თ. თოფუზ.

სკიფი ვეცხლის საჩხირე, ტანტრაბეჩი, зубочистка.

სკიჭი, სკიჯი, საკიჭი გამხმარი ჩამიჩი (ნახე ყურძენთან), изюм. თ. ქიშმიშ [სპ.], ს. ჩამიჩ.

სკლატი, სკალატი მაუდი, ხოლო მსხვილი ლანდრა და ნიმი, сукно.

სკორე ნეხვი, განავალი ცხოველთა (ფსალ. 82, 10 და 102, 7), гной, кал, навоз.

სკული გამონასკული, ნასკვი, узел.

სკუნა (ვასკუნი) ნახე დასკუნა. // გჳრგჳნის სკუნა (ვუსკუნი, ვისკუნი) ქორწინება, заключать брак, обвенчать, -ся.

სკუნელი (მცენ.) კუნელი.

სკუფია პატარა თავსახურავი ქუდს ქვეშეთ, скуфейка, *σκούφια*. თ. ქალფოშ, თალფაღ, არახჩინ [არაბ. -სპ.].

სლოკინი (ვასლოკინებ, მასლოკინებს) გულდამმარვის მოდგომა სასულეში, икать, икание, икота და იძულებით ხმის გამოღება.

სლჳა (ვალ, ხჳალ, ვალს, ვალთ, ხჳალთ, ვლენან; უსრ.: ვიდოდი, ხვიდოდი; სრული: ვვლე, ვლე, ვლო და სხ.) მდაბიურად სია-, რული (იქ ნახე) (ფსალ. 14, 2 და 77, 10), ходить (67, 25), шествие (მარკ. 6, 48), плавание და სხ. (ნ. სიარული).

სლჳა ზოგჯერ ჰნიშნავს ფერხთა, ფეხის გარდადგმასა, ანუ ნაბიჯსა (ფსალ. 16, 5 და 118, 133), стопа, шаг.

სმა (ვსჳამ) შესმა, დალევა სასმელთა (ფსალ. 49, 13 და 74, 8; მატ. 26, 27 და შემდგომი), пить.

სმა (ვსჳამ) დაჯდენა, დასმა, ხოლო მრავალთათჳს ითქმის დასხმა, სხმა, сажать.

სმა (მივის, ე. ი. მყავს) ყოლა, ქონება, მრავალთათჳს (სხმა ნახე), иметь кого.

სმა (ვუსვამ) წასმა, წაცხება, გლესა, ანუ ხელით გლუსუნი, мазать, красить, или гладить, тереть.

სმევა (ვასმევ, ვასჳამ) დალევინება, სასმელის მიცემა (ფსალ. 35, 8 და 59, 3; მატ. 25, 35 და შემდგომი), поить, давать пить.

სმენა (ვისმენ, მესმის) გაგონება (ფსალ. 4, 1; მატ. 11, 4 და შემდგომი), слушать, слышать. // ერთი ხუთთა საგრძნობელთაგანი (იხილე მუნ), слух. // გავაგონებ, გაგონება, მითხრობა (საქმ. 17, 20), влагать во умеса, повествовать.

სმენა (ვასმენ) სასმენელის განხმა, მინიჭება უსმისადმი (მარკ. 7, 37), творить слышащим. // დასმენა, შესმენა, დაბეზღება (ფსალ. 70, 13 და 108, 20, 29), оклеветывать, наговаривать.

სმული ნასვამი დალეული, питый.

სნატი ნატი, ანუ საფენი ძვირფასი. თ. სუზან [სპ.].

სნება გარდამდები სენი, სატკივარი, зараза.

სნექვა კუნესა ნახე.

სნეულება სენი, სატკივარი, ავადობა (მატ. 8, 17; იოან. 11, 4 და შემდგომი; ფსალ. 102, 3), болезнь, недуг.

სნეული უძლები, ავადმყოფი (მატ. 25, 36, 39 და შემდგომი; მარკ. 1, 32), больной, недужный, немощный.

სობა (ვასობ) втыкать, вонзать.

სოგმანი ქჳსა ანუ ფიცრის ნაკლების ჩასაგდები საკერებელივით.

სოვდაგარი

სოთი მოხდომილი ცხჳრი.

სოინარი სოლინარი, სტჳრნი შეწყობით შეწებულნი.

სოინჯი ნახე სოლინჯი.

სოკო (ბალ.) гриб. სახენი ამისნი: ტ რ ე დ ა, ქ ა მ ა, ფ ქ ჳ ლ ა, ყ უ რ ა, წ ე რ ო ს წ ვ ი ვ ა.

სოკო, ზოკო სენი ბოასილისა, почечуй.

სოკოფიჩხა (ბალ.) ხის ხმელი სოკო.

სოლი ძელთ გასაპობი შეშა კონუსებად გათლილი, клин, [спицы у колеса, ურმის თვლის სოლები].

სოლინარი წყალთ გასადინარი მილი, ლულა, труба водопроводная, *σωλήν*, *σωληνάρι*. თ. მილ [არაბ.].

სოლინჯი, სოინჯი (ბალ.) შავკაკალა (ისაი. 28, 25, 27), чернуха.

სომარი საწყაო, კაბიწის ნახევარი, ანუ $1^1/_2$ გრივისა (ნახე საწყაოსთან).

სონდული (მღრ.) თ. შუნდარ.

სორგა ხეზის დასახვევი ფიცარი, ანუ შეშა ფირფიტასავით.

სორეტი, სრუტი სადაც ზღჳს ტოტი დავიწროებით შევალს ხმელეთად, ანუ შეერთდების მეორეს ზღუას; ეგრეთვე მდინარეთ სივიწროვეცა სრუტია (ნახე წყალთან), пролив, залив, или рукав моря, реки и пр. თ. ბოღაზ.

სორექა ებრაულად რჩეული ვენახი (ისაი. 5, 2), избранный.

სორო მხეცთა და ნადირთ ჩასაძრომი ხურელი (იერემ. 48, 28), скважина, нора, берлога.

სოხანი (ბალ., ვეფხისტ. 73).

სოფელი ცა და ქუეყანა და სავსება მათი (ფსალ. 23, 1 და 89, 4; მატ. 24, 21), свет, мир, вселенная. // ზღუა და ხმელი, სფერა ანუ სიმრგულე ქუეყანისა (ფსალ. 49, 12; ლუკ. 2, 1), земля, вселенная. // კაცნი მკჳდრნი სოფელსა შინა (იოან. 15, 18 და შემდგომი), мир. // მხარე ქუეყანისა (მატ. 2, 12; მარკ. 6, 4; ლუკ. 2, 8), страна, отечество. // დაბა, მცირე შენობა (საქმ. 28, 7; მატ. 10, 11), весь, село, селение, деревня.

სოფიას კენჭი საროთი მიმსგავსებითა წმინდის სოფიას ტაძრისათა კონსტანტინოპოლსა შინა, რომლისაცა დახატულობა არს შეწყობილი კენჭებითა, мозаика.

სოჭი (ხე) ელატი, ნაძვი (ეზეკ. 31, 8), ель, еле.

სპა, სპანი მხედრობა, დიდი ლაშქარი (ვეფხისტ. 15 და 46), армия.

სპადა დიდი მახვილი (ნახე ლახვართან), большая шпага, *σπάθα*.

სპათარი მახვილით შეჭურვილი, меченосец, прапорщик, *σπαθάρης*, *σπαθοφόρος*.

სპანძელი ისპანახი, шпинат, *σπανάκι*.

სპარაზენი სამდგომი ნახე (შავთ. 4).

სპასალარი და **სპასპეტი** მხედართმთავარი (დავ. 33; ვეფხისტ. 40; შავთ. 19), воевода, военачальник.

სპეკალი ზოგადი სახელია თუალთა პატიოსანთა (ნახე ალრალები). თ. ჯავაირ [არაბ.]. უპირველესნი ამათნი არიან 12; ე. ი. 1. იასპი, 2. საპფირი, 3. ქალკიდონი, 4. სამარაგდე, 5. სარდონიქს, 6. სარდიონ, 7. ოქროქუა, 8. ბივრილი, 9. ტოპაზი, 10. ხრისოპრასის, 11. იაკინთე, 12. ამეტჳსტო (იხილე გამოცხ. 21, 19; გამოსლ. 28, 17 და 36, 16 და შემდგომი; კუალად ანთრაკი, აქატე, ანქჳთი, ლიგჳრონი და სხ.).

სპერე, სპერელი სარკმელი შესადგმელი რისამე.

სპეტაკი და **სპეტი** თეთრი, მოთეთრო (დაბად. 30, 35; белесый; მატ. 17, 2; მარკ. 9, 3 და 16, 5; ვეფხისტ. 493), белый.

სპილენძი წითელი რუალი (გამოს. 27, 2 და 2 მეფ. 8, 8; კუალად 1 ნეშტ. 22, 3), медь красная. თ. მის [სპ.], ს. პლინძ.

სპილენძჭური დიდი ნალარა, ქოსნალარა.

სპილო (ოთხფ.) ნახე პილო, слон.

სპობა, სპოლვა (ვსპობ) ალსპობა, მოსპოლვა, ალხოცა, ამოგდება, истреблять (წყობ. 360).

სრა სარაია, სასახლე (ნახე სახლთან) (ვეფხისტ. 326 და 386), дворец.

სრბა სირბილი (ნახე რბენა და სიარული) (ფსალ. 18, 5), течение, бег. // ცხოვრება, განგრძობა სიცოცხლისა (საქმ. 13, 25 და 20, 24), течение, путь жизни.

სრბოლა სირბილი, რბოლა (მახე სიარულში), бог, бегание.

სრევა სროლა, სისრა (ვეფხისტ. 996; ჩახრუხა. 37).

სრელა ზოლზოლი. ითქმის ბალანთათჳს და ბეწვეულთა ოთხფერხთა ანუ მფრინველთასა, полосатый.

სრეული ნასროლი, გასროლილი (ვეფხისტ. 327).

სრესა (ვსრეს) ხელით, ანუ ფერხით დათრგუნვა, განადგურება, раздавливать.

[**სრიალი**]

სროლა (ვისტრი, ვესტრი) მიტევება ქუათა, ისართა, ცეცხლის საჰურველთა და მისთანათა (ფსალ. 10, 2; ვეფხისტ. 327), стрелять.

სრვა (ვსრავ) სპობა, ხოცა (ისაი. 2, 19; ფსალ. 105, 30), сокрушать, погублять, сечь.

სრვა სენი მომსრველი (მატ. 24, 7), пагуба, моровая язва.

სრხჳლი კუ. სენი ხორცთ მძოვარი (2 ტიმოთ. 2, 17), гангрена, рак.

სრულება (ვასრულებ) შესრულება, გათავება, совершать, доканчивать.

სრულება უნაკლულოება, ანუ სავსება დასასრულისა მიმართთა (მეტაფ., § 64), совершенство.

სრული უნაკლულო, წარმატებული (მატ. 5, 48 და 19, 21; ფსალ. 138, 21), совершенный.

სრულიად ს'დ, სრულებით უნაკლულოდ, მრთლად, მრთლივ (ფსალ. 9, 6, 18, 31, 32), совсем, совершенно (ქუალად 73, 1, 3, 10, 11, 19), в конец, до конца, навсегда.

სრუტი ნახე სორეტი.

სრუტნვა (ვსრუტნი, -ნავ) ამოწოვნასავით, высасывать, всасывать.

[სხვე счастье (ნახე ბედი)].

სსვა (ვესავ) იმედოვნება, ქონა სასოებისა (ნახე სვა) (ფსალ. 2, 12 და 21, 5, 8), уповать, надеяться, полагаться.

სტადიონი სარბიელი, ანუ უტევანი, რომელია 125 ნაბიჯი, стадий.

სტავრა სირმა ოქროს ნაქსოვი (ვეფხისტ. 465 და 680).

სტამბა წიგნთ საბეჭდავი (სახლი ანუ იარაღი), книгопечатня, типография (იტალიანურისგან эстамп, რომელიც ჰნიშნავს რვალსა ანუ ხის ფიცარსა, მოჭრილსა სახეებით, დასატჳფრავად ქაღალდთა, ტილოთა და მისთანათა).

სტამნი პირფართო სარწყული (მარკ. 7, 4 და შემდგომი), чван, кувшин, *στάμνα*.

სტატირი ნახე სატირი.

სტაფილო (ბალ.) морковь.

სტევი აქლემის მატყლი (ნახე თმასთან).

სტერეონი სხეული სიზრქის მქონებელი (ღეომეტრიულად) (ნახე სხეულთან), *στερεός*.

სტერი ნახე შტერი.

სტვანვა განმსტრობა.

სტვენა (ვუსტვენ) ბაგეებით წივილი (იერემ. 25, 18), свистать, звиздание.

სტჳრი მცირე ზურნა (საკრავთან ნახე), дудка (შავთ. 94).

სტიგმა ნიშანი მართლწერისა (,) (ნახე მძიმე), запятая, *στιγμή*.

სტილი თუხტის წონა. ანუ 33 მისხალი (ნახე საწონთან), [54 золотник, ნახევარი სტილი, 27 зол.].

სტიქარონი მწუხრად საგალობელნი მუხლნი, стихиры.

სტიხარი სადიაკონო ანუ სამღუდელო კუართი, стихарь, *στιχάρι*.

სტიხი ლექსი, შაირი, იამბიკო და სხ., стих, *στίχος*.

სტიხიო, სტჳქიონნი ოთხნი ნივთნი, ანუ კავშირნი, стихия, элемент, *στοιχεῖον*. ესენი არიან: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი. მიწა არს გრილი და ხმელი; წყალი—გრილი და ნოტიო, სიგრილით ეზიარების მიწასა და ნოტიობით—ჰაერსა; ჰაერი—ნოტიო და მხურვალე, ნოტიობით ეზიარების წყალსა და სიმხურვალით—ცეცხლსა; ცეცხლი—მხურვალე და ხმელი, სიმხურვალით ეზიარების ჰაერსა და სიხმელით—მიწასა. ესრეთ არს რაჲსა მიმართობა მათი.

სტოვა მიშენებული კამარა (საქმ. 3, 11; შავთ. 39), притвор, *στοά*.

სტოლა მრავალი ნავი საომარი, ბრძოლად გამართული (შავთ. 39), флот, *στόλος*.

სტომაქი კუჭი, შინაგანი აგებულება (1 ტიმოთ. 5, 23), стомах, желудок, *στομάχι*.

სტრატილატი, სტრატილოსი მხედართმთავარი, военачальник, *στρατηγός*.

სტრატიოტი მხედარი, მოლაშქრე (მარკ. 15, 16), воин, солдат, *στρατιώτης*.

სტრატული შვიდი ჯორი (ითიკა, 4, 2). თ. ყათარ.

სტრიობა ნახე ტრიობა.

სტრიქონი, ტრიქონი ნაწერთ რიგი, строка, строчка.

სტულობა ხლტომა (მალაქ. 4, 2), взыграть.

სტუმარი კაცი მიწვეული ნადიმად, ანუ მისული სანახავად, გინა უცხოს მხარისა (ზირაქ. 29, 30; ვეფხისტ. 719), гость.

სტუმრობა პურობა, წვეულობა, სადილობა (ნახე სერთან), пиршество, угощение.

სტუმრობა (ვისტუმრებ) გამასპინძლება, დახვედრა სტუმართა სანოვაგითა (საქმ. 10, 23 და 28, 7), угощать. // (ვესტუმრები) სტუმრად მისლვა სხვასთან (ვეფხისტ. 1422), гостить.

სტურაკი, სტჳრაკოსი ხის ნაწვეთია, გუნდრუკის მსგავსი, стиракса, росной ладан, *στουράκι*.

[სტა ნახე სსვა].

სუარი უჭამური, ანუ ცუდი (იერემ. 29, 17), худой.

სუბუქი, მსუბუქი არა მძიმე, მჩატე ანუ მსწრაფლი (ისაი. 5, 26 და 19, 1), легкий.

სუდარი მკუდართ სამოსი (იოან. 11, 44 და 20, 7), убрус, сударий, *σουδάριον*, sudarium, sudariolum.

სუდაშვრივა (ბალ.) костёр.

სუთი დუმა, გავის ანაძრობი ქონი (ნახე ცხიმთან).

სუკი ხერხემლის ორსავე მხარეს შიგნიდამ გრძლად რბილი ხორცი.

სულა (ბალ.) შაქრის ლერწამი, сахарный тростник.

სულადი საზრდო, ანუ საგზალი, ნუზლი, съестные припасы.

სულგრძელება ფრიადი მოთმინება, აუჩქარებლობა, მოცდა თჳნიერ სულმოკლებისა (საქმ. 26, 3; რომაელ. 2, 4), долготерпение, великодушие.

სულგრძელი აუჩქარებელი, შომთმინო (1 თესალ. 5, 14; ფსალ. 7, 10 და 84, 15; კუალად 102, 8), долготерпеливый.

სულდგმური მფშჳნავი, სულის მქონებელი, ცოცხალი (ვეფხისტ. 117, 336 და 431), дышащий, одушевленный.

სულელი ჰკუამოკლე (ნახე გიჟთან) (ფსალ. 91, 6; მატ. 25, 2 და შემდგომი), юродивый, глупый.

სულება (ვსულებ) ენით თქულეფა, აღწბა სალაფავისა და მისთანათა.

სულთამხუთავი მდაბიონი უწოდებენ რეცა სულის ამომხდელს ანგელოსს.

სულთბრძოლა (სულთებრძვის) უკანასკნელის აღმოფშჳნვის ჟამი (ვეფხისტ. 1227), быть при последнем издыхании.

სულთქმა (სულთ ვითქუამ) კუნესა, ამოოხრვა, ამოხუნეშა (მარკ. 7, 34 და 8, 12), воздыхать, вздохнуть, восстенать (ფსალ. 6, 6 და 37, 8, 9; საქმ. 7, 34), стенание, воздыхание, вздох, стон.

სული არსება უსხეულო, გულისხმიერი, მნებებელი და სიტყვერი (იოან. 4, 24; საქმ. 23, 8), дух. // მესამე პირი წმინდისა სამებისა, რომელსაცა დაერთვიან სახელნართაულნი ესე: სული წმინდა, სული ღვთისა, სული ნუგეშინისმცემელი, ცხოველს მყოფელი და სხ. (დაბად. 1, 2; მატ. 3, 11, 16; იოან. 1, 32 და 14, 26). // სულად ითქმიან ანგელოსნიცა (ებრაელ. 1, 7, 14). // მადლი, ანუ ნიჭი სულისა წმინდისა, ზეგარდამო მოვლენილი (ისაი. 11, 2; ეფეს. 1, 17). // ზოგჯერმე დაიდების განრემზომად ხორცთა (მატ. 26, 41; გალატ. 5, 17). // სული არა წმინდა, სული ბოროტი ეწოდების ეშმაკთა (მატ. 10, 1, 12, 15 და შემდგომი; მარკ. 5, 2 და შემდგომი). // ზოგჯერმე ჰნიშნავს სამშვინველსა, ანუ სულსა მშჳნიერთა ცხოველთასა (ფსალ. 150, 6), дыхание, душа. თ. ჯან [სპ.]. ამას ჰაზრსა შინა იხმარების ასი ს უ ლ ი ზროხა ნაცულად ასი რ ქ ა ზროხა, ანუ ასი ს უ ლ ი ქათამი, ბატი და სხ. ნაცულად ფ რ თ ა (ნახე რქა და ფრთა). // სული კაცისა (ლუკ. 12, 20), ანუ თჳთ კაცი (საქმ. 2, 41 და 27, 37), душа. რამეთუ ითქმის კეთილი ს უ ლ ი, მშვიდობიანი ს უ ლ ი, ანგაარი ს უ ლ ი და სხ., ე. ი. კაცი. // კუალად სული იხმარების ნაცულად სჳნიდისისა. მაგალ., მისს ს უ ლ ზ ე დ მიმიგდია, იმან იცის და მისმა ს უ ლ მ ა, совесть. // სულნი გარდაცვალებულთანი, ე. ი. განშორებულნი მიწიერთა ხორცთაგან (გამოცხ. 4, 9 და 20, 4), души усопших. // ზოგგან ხმარებულ არს სული ნაცულად სუნისა (ლევიტ. 1, 13), вонь. // სულის დალება, ე. ი. მობრუნება (ნახე დალება; ვეფხისტ. 999), переводить дух.

სულიერი სულდგმური, одушевленный. // თავისუფალი ხორციელთა ზრუნვათაგან (1 კორ. 10, 3 და 15, 44), духовный. // სასულიეროს წოდებისა (გალატ. 4, 1), ვითარ სულიერი მამა, духовный отец. // ღვთის მოშიში, набожный.

სულისკვეთა, სულის ოხრვა ჴორხით ხმის გამოღება, აღმოოხრვა, издавать голос, звук.
სულისმობრუნება (სულს მოვიბრუნებ) შესვენება, დაჭაკანება.
სულმოკლე, **სულმცირე**, **სულსწრაფი**, **სულწასული** მოუთმენელი, ვერაფრის გამძლები (1 თესალ. 5, 14; ფსალ. 76, 3; შავთ. 67), малодушный, истерпеливый.
სულმცირე ზოგგან ჰნიშავს მსუბუქსა, ვითარ ღ[რ]უბელი სულმცირე (ისაი. 19, 1).
სულმოკლება, **სულსწრაფობა** მოუთმენლობა (ფსალ. 54, 8), малодушие.
სულუდგუნი გარდაზელილი ყველი.
[**სულუფი** ნახე ურიშა]
სუმბული (ბალ.) ნარდი.
სუნაგი ნახე მსუნაგი.
სუნდური ჯირგინი, წყალთ გასაეალი.
სუნება და **სუნვა** (ვუსუნებ, ვსუნავ) ყნოსვა, нюхать, обонять.
სუნთქვა (ვსუნთქავ) ფშჳნვა ანუ დასუნთქვა.
სუნი ვითარება ნივთთა ქეემდებარე საყნოსელისადმი (ლევიტ. 1, 13), вонь, запах (ნახე საგრძნობელთან), ხოლო იქმნების ესე სასიამოვნო, ანუ კ ე თ ი ლ ი ს უ ნ ი და უსიამოვნო, ც უ დ ი ს უ ნ ი, ანუ სიმყრალე, უწმინდურთა ცხოველთა და წარმართთა ანუ სამოსელთა მათთა ცუდსა სუნსა ეწოდება ზ ი ნ ზ ლ ი, მისსა უმეტესსა—ფ ს უ ტ ი; ნოტიოთა, სახლთა და ჰურჰელთა მძიმეს სუნსა—შ მ ო რ ი; ბამბათა და ბალანთა დაწვის სუნსა—ტ რ უ ს ი და ნ ა ტ ი ს უ ს ა ლ ი.
სუნნელება, **სურნელება** კეთილსუნიანობა, საამოვნო (დაბად. 27, 27), благовоние, благоухание.
სუნნელი, **სურნელი** კეთილსუნოვანი (ლუკ. 24, 1), благовонный, ароматный.
სურა ვეცხლის სადვინე, ანუ მცირე კოკა თიხისა.
[**სურა** ვსური, марать].
სურავანდი სენი, სატკივარი თავ-პირისა, цынгота.
სურავანდის ბალახი (ბალ.) საკურნებელი ამა სენისა, цынготная трава.
სურათი ხატი, სახე ცხოველთა ანუ ნივთთა გამოხატული, картина. თ. სურეთ [არაბ.].
[**სურაია**]
სურდო სენი ცხჳრის ნესტოთაგან ნაზლის მადენი, ანუ შემკურელი, насморк.
სურვა და **სურვილი** (მსურს, ვისურვებ) ტრფიალი, ფრიადი ნდომა, წადილი (ფსალ. 41, 1 და 83, 2; ვეფხისტ. 2), желать, желание.
სურინჯი სამხატვრო წამალი, დამწვრის ტყვიისგან გარდაქცეული ალისფერ კირად, сурик.
სურმა ანთიმონი, ანუ საგრემელი, საოლავი (ესენი ნახე), сурьма.
სურმვა (ვსურმავ, ვისურმავ) სურმით გაშავება წამწამთა, сурьмить, -ся.
სურნელი სუნნელი. // ანუ სანელებელი საჭმელთა დაფქული გახმობილთაგან კეთილსუნოვანთა ბალახთა, приправа, снадобье.
სურო (ბალ.) ჰილის გუარი, რომლისაგანცა დასწნევენ ზმილაკთა.
სურსათი მხედრობის სულადი, ანუ საგზალი, провиант.
სუსამბარი (ბალ.) სოსანი ვარდი, желтянница.
სუსტი დუნი, უძალო, უღონო, უსუსური (ვეფხისტ. 790), слабый.
სუსხვა (სუსხავს) დაზრობა სიცივისგან, ანუ დაწვა ჰინჰრისგან (ნახე დასუსხვა).
სუსხი სიცივის სიმძაფრე.
სუსხური (მთ.) დიდი იხვი.
სუფევა მაღალი მეფობა (მატ. 4, 8; ლუკ. 1, 33), царство, -вие. (ვსუფევ) (ფსალ. 92, 1 და 96, 1), царствовать.
სუფთა განწმენდილი (ითქმის ნივთთათჳს) (ნახე წმინდა), чистый.
სუფრა ტაბლათა ზედა გასაშლელი ტილო ანუ სამოსელი, скатерть.
[**სუფრაჯი** тафельдекор].
სჳლლოგიზმო მიდმოგონება, გონებით მიხდომა, აღმოჩინება (ლოღიკ. ბაუმ., § 105), умствование, умозаключение, *συλλογισμός*.
სჳნაქსარი მოკლედ მოთხრობა წმინდათა ცხოვრებისა, ანუ დღესასწაულთათჳს, синаксарий, *συναξάρι*.
სჳნდიკოსი ვექილი, მაგიერი, მოსარჩლე სასამართლოში, синдик, адвокат, поверенный, стряпчий, *συνδίκος*. // მომნათლავი, крестный отец, мать.
სჳნიდისი შეგნება, შინაგანი განსჯა საქმეთა თჳსთა, მამხილებელი გონება (იოან. 8, 9), совесть, *συνείδησις*, [სვინდისს ამხილებს].
სჳნკლიტი მაღალი სამსჯავრო, სენატი, трибун, синклит, сенат, *σύγκλητος*.
სჳნკლიტიკოსი წევრი მაღლისა სამსჯავროსი, სენატორი, сенатор, *συγκλητικός*.

სჳნტაქსი ლექსთა თხზულება (ნაწილი ღრამმატიკისა), синтаксис, *σύνταξις*.

სჳნოდი კრება, სასულიერო უმაღლესი სამსჯავრო, синод, *σύνοδος*.

სფერა სიმრგვლე, ანუ მრგვალი სხეული, ვითარ ბურთი, ანუ სფერა ქუეყანისა (შავთ. 74), сфера, шар, *σφαῖρα*.

სფირიდი პილობის ტომარა, ნათხზი, ბაიათაგან, პილთა და ხრალთა (მატ. 15, 37; მარკ. 8, 8, 20), кошница, რომლისა სახენი არიან: ზ ა მ ბ ი ლ ი, ზ ე ბ ი ნ ი ანუ ს ე ბ ი ნ ი, ზ მ ი ლ ა კ ი, ს ა რ გ ა ნ ი, ს ი რ ა და მისთანანი.

[სქდომა ნახე ხეთქა]

სქელი ნოტიო შედედებული (ზრქელი ნახე), густой.

სქესი გუარი, რაისა მიმართობა, ღონისძიება ანუ სხუაობა, сходство, соотношение, *σχέσις*. // ღრამმატიკულად სქესი ზმნათა, რომელია საზღურებითი, ბრძანებითი და სხ., наклонение глагола.

სქიმა, სქემა ნაკვეთი, სახე, вид, образ, фигура, *σχῆμα*.

სყიდვა (ვიყიდი, ვჰყიდულობ) ფრდა, მოპოვება ნივთთა საფასითა, покупать, покупка. // (ვჰყიდი) განვაპრება, განფრდა, продавать, продажа.

სყიდული ფრდილი, მოვაპრებული, ნასყიდი, покупной.

სძალი რძალი, ცოლი ძისა, ანუ ძმისა და სხ. (დაბად. 38, 24; მატ. 10, 35; ლუკ. 12, 53), невестка, ხოლო ბიძის ცოლსა ეწოდების ნ უ ს ა დ ი ა, тётка. // სძალი ეწოდების დაწინდულსა ქალსაცა (ბარუქ. 2, 23: იოან. 3, 29), невеста.

სძე, რძე მდედრთა ცხოველთა ძუძუთაგან ნადენი თეთრი ნოტიო საზრდელად ახლად შობილთა შეილთა მათთა (1 კორ. 3, 2 და 9, 7), млеко, молоко. // რძედ იწოდების რომელთამე ხილთა გულის გამონახადი, ვითარ ნუშის რ ძ ე, ხაშხაშის რძე და სხ., კუალად ნაწვეთი რომელთამე ხეთა და ბალახთა, ვითარ ლეღჳსა, რძიანისა და მისთანათა.

სძლისპირი, მდაბიურად **ძლისპირი** საგალობელნი მუხლნი რვა ხმათანი, შეთხზულნი იოანე დამასკელისგან, დართულნი თავად საცისკროთა, ანუ სერობის გალობათა, რომელთაცა ხმასა ზედა გარდაითქმიან სხუანი შემდგომნი მათნი მუხლნი, ирмос.

სძლობა, სიძე-სძლობა ნიშნობა საქორწინედ (ვეფხისტ. 530 და 1182), сватовство.

სწავება, სწავლება (ვასწავებ, ვასწავლი) მოძღურება, დარიგება (მატ. 4, 23 და 5, 2, 19; ლუკ. 20, 21), учить, поучать, научать. (ვსწავლი) წურთნა, გარდახდევინება (ფსალ. 6, 1 და 37, 1; ლუკ. 23, 16), наказывать.

სწავლა (ვსწავლობ, ვისწავებ) წურთნა თავისა თჳსისა (1 ტიმოთ. 5, 4), учиться.

სწავლა დარიგება, მოძღურება (იგავ. 23, 23; ეფეს. 6, 4), учение, поучение. // წიგნი, ანუ ხელოვნება სასწავლებელი, наука.

სწორე უმრუდო, თანასწორი, прямой. // თანასწორი, მსგავსი (ვეფხისტ. 942), равный. // მართალი, უტყუველი, справедливый, сущий.

სწორედ უმრუდოდ, თანასწორად, прямо. // მართლად, უსაცილოდ, право, правда.

სწორი მსგავსი, თანასწორი, შედარებული (მატ. 20, 12; ვეფხისტ. 942), равный, სწორს.

სწრაფა, სწრაფვა (ვისწრაფი) დაშურება, დაჩქარება (ფსალ. 30, 2 და 69, 1), ускорять. // მესწრაფების, მეშურება, მეჩქარება (ვეფხისტ. 423, 435 და 1273), торопиться.

სწრაფი აჩქარებული (ფსალ. 147, 4), быстрый, скорый, торопливый.

სწრობა (ვასწრობ, ვუსწრობ) უადრეს სხჳსა ქმნა, ანუ გაფრთხილება (მარკ. 14, 8; ფსალ. 67, 30), предворять. // მოსწრობა (ვეფხისტ. 293), успевать, поспевать.

სჯირს (ნახე ჯირვა) სენისგან შეცვულ არს (ვეფხისტ. 348), одержим болезнью. // ზნედ აქუს (ვეფხისტ. 6, 8, 696 და 941; ჩახრუხა. 83), иметь привычку, или свойственно кому. // იჯირვის, ზრუნავს (იოან. 10, 13), радит, заботится.

სხალი ნახე მსხალი (ხე), груша, дули, *ἀχλάδι*.

სხარტი, სხარტული კაპიანი ჯოხი ხმარებული მონადირეთაგან მფრინველთ სასროლად.

სხდომა (ვსხედვართ, სხედხართ, სხედან, სხენან, ვისხედით) ჯდომა მრავალთა, сидеть.

სხეპვა (ვსხეპ) კაფვა, გარდაკაფვა.

სხეპლა ოქროსა ანუ ვეცხლის თმა (ნახე ოქროსთმა).

სხეულევანი სხეულის მქონე, телесный.

სხეული ნივთი მექონი სამთა განფენილებათა: სიგრძედ, სივრცედ და სიღრმედ (ბარუქ. 6, 21), тело, დასაბამი სხეულისა არს

წ ე რ ტ ი ლ ი ურაოდენო, არა მქონი რიცხჳსა გინა საზომისა; რა წერტილი წარხიდო, შეიქმნების ხ ა ზ ი ანუ ღ რ ა მ ი, მქონი სიგრძისა უსივრცოდ, ხოლო რა ხაზი მოავლო მრგულად ანუ კუთხეებად, მაშინ საშუალი განფენილება მისი განიზომების სიგრძედ და სივრცედ, ამას ეწოდების ე პ ი ფ ა ნ ი ა, ს ა ჩ ი ნ ო, ზ ე დ ს ა ჩ ი ნ ო, ზ ე დ ა პ ი რ ი და ს ი ფ რ ი ფ ა ნ ა და რაჟამს ეპიფანია განხრქელდეს კერძოებითა და ნაკვეთებითა, მაშინ შენივთდების სხეული მწკურივი, რომელსა ეწოდების ღეომეტრიულად ს ტ ე რ ე ო, стерео, или величина геометрическая.

სხეულის მცველი კაცი შეპერვილი მეფეთა და დიდებულთა თანა მარადის მხლებელი, телохранитель.

სხვა ნახე სხუა.

სხვილი ნახე სხჳლი, მსხვილი.

სხვეპა (ვსხვეპ) მხალთ ფურჩნვა, წაგლეჯა დამკვნართა ფურცელთა.

სხივი შარავანდედი, შუქი ანუ ნათელი გარემოს მზისა და სხუათა მნათობთა, განფენილი მათგანვე, луч.

სხივილი ნახე შხივილი.

სხირპვა (ვსხირპავ) გაჭიმვა.

სხლეტა (სხლტება) უნებურად გავარდნა, ანუ ფეხის დაცურება, роняться или скользнуть.

სხლვა (ვსხლავ) ნამეტნავთა და ურგებთა რქათა მოკაფვა ხეთაგან და საკუთრად ვაზთაგან (ქებ. 2, 12), обрезывать, обрезание виноградных лоз.

სხმა (ვასხამ) ჭურჭელთაგან გამოშვება ნოტიოთა, лить, выливать, наливать.

სხმა (ვასხამ) დანერგუა მცენარეთა (იხილე დასხმა), сажать, насаждать.

სხმა (ვასხამ) მძივთ აგება ძაფზედ, ასხმა, низать.

სხმა (ვსხამ) დაჯდინება მრავალთა, დასხმა, сажать, рассаживать.

სხმა (ვისხამ) მოხვევა საკუხთა, წამოსხმა უსახლოთა საბლარდნელთა, накидывать епанчу и т. п.

სხმა (ისხამს) ბმა, მცენარეთაგან გამოღება ფურცელთა ანუ ხილთა (მარკ. 11, 13), иметь, приносить листья или плоды.

სხმა (მასხენან) ქონება ასოთა ანუ საგრძნობელთა (მატ. 25, 30; ფსალ. 113, 13 და შემდგომი), иметь.

სხმა შვილთა ყოლა ანუ შობა შვილთა (1 ტიმოთ. 5, 4, 14), иметь, или рождать детей, ზმნანი ესე მიიღებენ მრავალგუართა მნიშნველობათა ზედდადებულთაგან მარცვალთა, რომელნიცა იპოვებიან თჳსთა ადგილთა.

სხმილი (მძრ.) ნახე კრკილი, ანუ სრსვილი.

სხმული შთასხმული სავსედ, ავსებული, აღსავსე (ფსალ. 74, 8), полон, налитый, наполненный.

სხოლა შკოლა, სასწავლებელი, школа, *σχολεῖον*.

სხოლარი სასწავლებელის უფროსი, начальник над школою, ректор, *σχολάρχης*.

სხოლასტიკა საშკოლე, школьный, *σχολαστικός*.

სხოლიო, სხოლიონი შესწავება, წერილთა შინა კიდურზედ მოწერილი თარგმანი, примечание, *σχολεῖον*.

სხუა მეორე, ანუ გარჩეული მეორისაგან (მატ. 2, 12 და 19, 9; იოან. 7, 14), другой, иной.

სხუაგან სხვას ადგილს, инде, иуда.

სხვაგნით სხვის ადგილიდამ, от инуду.

სხუადასხუა უმეტესად გარჩეული, разный, различный.

სხუაობა გასარჩევი ნიშანი, разность, различие, разница.

სხუნი ჩაკიბული ხე ბაქან-ბაქნად.

სხურება (ვასხურებ) მისხმა წყლისა წვეთებად, ანუ დაწინწკლვა (ფსალ. 50, 7; ებრაელ. 13, 12), кропить, окроплять.

სხჳლბარკალი მუხლის ზედეთი თეძოდმდე (ფსალ. 146, 10), листо, лядвея.

სხჳლი, მსხჳლი ზრქელი, ანუ დიდროვან მარცულედი (ვეფხისტ. 145, 7), толстый, крупный.

სხჳრპლვა ტანზედ მუწუკთ სხმა, сыпь.

სჯა (ვჰსჯი) ჰაზრვა, მიმოგონება რისთჳსმე, судить, рассуждать, иметь суждение. // განბჭობა, გასამართლება (ფსალ. 9, 19 და 42, 1; ლუკ. 18, 3, 5), судить, -ся. // მაგიერის მიგება, ანუ დასჯა ბრალისა წილ (ფსალ. 5, 10 და 34, 1; ვეფხისტ. 830), карать.

სჯული, შჯული, რჯული და ზოგგან დაუწერიათ რჩული; კანონი, მცნება, რაჲცა ჯერ არს ქმნ.დ და რაჲ არა (ფსალ. 1, 2 და 77, 1, 5, 10), закон.

სჯულისდება განწესება, განჩინება სჯულისა, узаконение, постановление, уложение.

სჯულისმდებელი მომცემი, დამაწესებელი სჯულისა (ფსალ. 9, 20), законоположитель, законодатель.

სჯულის მეცნიერი მერჯულე, დახელოვნებული ცოდნასა შინა სჯულისასა (ლუკ. 10, 25), законоискусник, законник.

სჯულის მოძღვარი მეცნიერი სჯულისა და მასწავლებელი მისი (მატ. 22, 35; საქმ. 5, 34), законоучитель.

ტ

ასოსა ამას რომელთამე თემთა შინა ხმარობენ ნაცვლად წ, მეტადრე რაჟამს წინაშე მისსა არს ს, ვითარ: ს წ ა ვ ლ ა, ს ა ს წ ა უ ლ ი, იმერნი გამოსთქმენ: ს ტ ა ვ ლ ა, ს ა ს ტ ა უ ლ ი. მესხურად მ ა რ ტ ჳ ლ ი ნაცვლად მ ა რ წ ვ ი ლ ი, ყ მ ა რ წ ვ ი ლ ი; კულად ტ ა რ ა მ ა ნ ა — წ ა რ ა მ ა რ ა, მ ო წ მ ა ს ნ ე ა — მ ო ტ მ ა ს ნ ე ა, ძ რ ე ა — ტ რ ე ა და სხ. და ზოგჯერ იხმარების ნაცვლად ჭ, ვითარ: პ ი ტ ვ ი — ფ ი ჭ ვ ი, ფ ი ტ ი — ფ ი ჭ ი, ხ ვ ე ტ ა — ხ ვ ე ჭ ა.

ტაატი ჩჩჳლთა ხელით ტარება (ნახე სიარულში).

ტაბაკა თხლად დაჭრილი ხორცი, თევზი ანუ ხახვი და მისთანანი, ფქვილში გავლებული და მომწვარი ერბოთი ანუ ზეთით ტაფაზედ.

ტაბაკი ხის ლანკანი დიდი, მრგვალი და გაშლილი (ნახე ფუკასთან) (ვეფხისტ. 1154), поднос деревянный. ს. ტაპაკ.

ტაბარი და **ტაბარძენი** სპარსულად ორპირი ნაჯახი უნაგირზედ ჩასაკრავი.

ტაბარუკი გლეხი ახლად მოსული.

ტაბასტა სისხლის დინება ძნელად შესაწყვეტი.

ტაბასტო ლეიბი, მცირე შათქუნი.

ტაბახტა ცხენის სასის ჩამოსლვა.

ტაბელა (ბალ.) ჩადუნას ჰგავს.

ტაბიკი ულელში ჩასარჭობი მანა ხართ შესაბმელად (ნახე თავტაბიკი).

ტაბლა მაგიდა, წინდასადგმელი ფეხედი ფიცარი (მატ. 15, 27 და 21, 12; ებრაელ. 9, 2), трапеза, стол, *τάβλα, ταβλί.* // მას ზედა დაგებული სანოვაგე (ფსალ. 22, 4 და 77, 19 და შემდგომი, კულად 127, 4; საქმ. 16, 34).

ტაბლა ისარა საქანჩავის ძირის ფიცარი.

ტაბლაკი მცირე ნალარა (ვეფხისტ. 444, 1179 და 1498).

ტაბუცი სამრეცხელო ქობინა.

ტაბუცუნა ზეთით და ძმრით ზავებული მხალი, სალათა და მისთანანი.

ტაბუხი თეძოს თავის ძვალი, მოდიდო და მრგვალი, [вертлуг, соха, головка бедерной кости].

ტაგანი ანუ **ტალარი** (ნახე თალარი).

ტაგარი ახლად დაწურეილის ტკბილის ჩასადინარი აუზი საწნახელს ქვეშ (ანგია. 2, 17), подточилие.

ტაგრუცი საფლავი მაღლად ნაგები (ნახე საფლავთან), гробница.

ტაეპი ერთი მუხლი სტიხისა, შაირისა და სხ., стопа (в стихах).

ტავარა, ტავარნა ფერხთ ანაკარი ტალახი.

ტავარო ცალი პეშვი, горсть.

ტავარჯუხი ხალთა, საკიდი გუდა (ეაშკარანთან ნახე), тобоец (1 მეფ. 17, 40).

ტაიჭი (ოთხფ.) ცხენი დაკოდილი, იაბო (ნახე ცხენთან) (ვეფხისტ. 56, და 202; შავთ. 49), мерин.

ტაკება (ვატაკებ, ვეტაკები) ძგერება, ჯახება, დაჯახება, сталкивать, -ся.

[**ტაკვია** ნ. ლაჩკვაია]

ტაკვი ხელმოკვეთილის მკლავი.

ტაკუკი მომცრო ტარიანი თასი ოქროსა ან ვეცხლისა (გამოს. 25, 29, 31 და შემდგომი; ებრაელ. 9, 4), стамна, чаша, ковш.

ტალა ღამის მოდარაჯე მოგზაურთა (ნახე დარაჯასთან) (დარეჯან.).

ტალავარი საჩრდილობელი სისიკონი, ფანჩატური (ისუ. 2, 6), храмина (მატ. 17, 4), сень (მარკ. 9, 5), кров, куща.

ტალავრობა კარვობა, დღესასწაული ურიათა პასექიდამ მეშვიდეს თთვესა (იხილე დაბეჭდილს ჟამნში საკითხავი 23 სეკდემბერს), еврейский праздник кущей.

ტალანტი ძველებური ოქროსა ანუ ვეცხლის წონა, რამეთუ მაშინ დათულის მაგიერ აწონდიან საფასეთა. რომაელთა შორის ერთს ტალანტს აქუნდა 60 მნა, ხოლო ებრაელთა შორის—50 მნა. ერთი ტალანტი ოქრო ღირდა 16 ტალანტ ვეცხლად. ხოლო ერთი ტალანტი ვეცხლი აწინდელის ანგა-

რიშით იქმნებოდა 30-დამ ვიდრე 35 თუმანი ვეცხლის ფული. // სალმრთოსა შინა წერილსა ტალანტად იგულისხმების ნიჭი ანუ მადლი, ხეგარდამო უფასოდ მონიჭებული (მატ. 18, 24 და შემდგომი, კჳალად 25, 25), талант. τάλαντον.

ტალახი დაზელილი თიხა საშენებელად კედელთა და მისთანათა, глина. // საფლობი ტლაპო გზათა და შუკათა შინა წჳმის დროს, грязь.

ტალი ქჳა ცეცხლის გამოსაკვესებელი, კაჟი, სალრტილი (ნახე ქჳასთან), кремень. თ. ჩახმახტაში.

ტალო კბილის ნატეხი.

ტალიკი აბჯართ შთასადებელი ბუდე ქარქაშივით.

ტალღა ქარისგან მდინარეთ კვეთება კიდეთა ზედა (ნახე წყალთან), волна.

ტალღიანი, ტალღებიანი ითქმის ნაქსოვთათჳს, რომელთაცა ფერი ღელვიდეს, волнистая ткань, материя.

ტამაზლუხი (ოთხფ.) მოსაშენებლად შენახული ხვასტაგი.

ტამახობა, ტანახობა, ტაბახობა თამაშობა.

ტანადი ტანით შვენიერი, წამოსადეგი (ნახე ლამაზი), статный, стройный, зрачный.

ტანადობა (ვსტანადობ) კეკლუცობა, ცდა ტანის შვენიერებისა, щегольство.

ტანაჯორი (ოთხფ.) ერთის წლის ჯორი (ვეფხისტ. 441).

ტანება (ვატან) იხმარების ზედდადებულთა თანა: გატანება, დატანება და სხ.

ტანება (ვეტანები) სიხარბით ხედშევარდნა, домогаться.

ტანი გჳამი, სხეული ცხოველთა კისრითგან ვიდრე ბარკლებადმდე (ვეფხისტ. 2 და 8ა; შავთ. 49), корпус, туловище, талия. // საზომი ერთის საცმელისა, ვითარ ერთი ტანი მაუდი, სამი ტანი აბჯარი (ვეფხისტ. 1359).

ტანისამოსი, ტანთსაცმელი სამოსელი, შეკერილი საცმელად, платье, одежда.

ტანტრაბეჩი ყურთა, ანუ კბილთ საჩიჩქნელი, уховертка или зубочистка. თ. ჰილალი [არაბ.].

ტანტალი (ვტანტალებ) წანწალი, თრევა უსაქმოდ (ნახე სიარულში), шататься, таскаться.

ტანჯვა (ვსტანჯავ) გვემა, წამება, წვალება (მატ. 8, 29 და 20, 19, კჳალად 23, 34), мучить, бить. // (ვიტანჯები) წერტა, მწუხარება, განუსვენებლობა (2 პეტრ. 2, 8), мучиться.

ტაო ქუნთის გრძელი ხაო, ბოჭკო.

ტაპაკი ტაბაკი ანუ ტაფა.

ტარაბუა საშულოვე, ოთხკუთხად შექმნილი სატრიალებელი კრკალები, შულოების გამოსახვევად, вороба.

ტარაკუჭა მეტიჩარა.

ტარამანა, ტარატურა წარამარა, მატაროცი, тарабара, болтушка.

ტარაღანა (თევზ.) ცქჳრინა, უნისკარტო ზუთხი, стерлядь, sterled.

ტარბი (მფრ.)

ტარება (ვატარებ) ვლინებ, водить, таскать, гнать или посылать.

ტარი კოტა ანუ ბუნი დანისა, მახვილთა, შუბთა, ნამგალთა, ცულთა და სხჳათა იარაღთა (მსაჯულ. 3, 22), рукоять, черенок, древко. // თითისტარი, ანუ ჯარატარი (იგავ. 31, 19), вретено, веретено, [ტარის ბრუნვითა კეთება მკედთა, прясть веретеном].

ტარიგი (ოთხფ.) კრავი წლისა უბიწო (ნახე ცხჳართან) (რიცხ. 6, 14; იოან. 1, 29), агнец.

[**ტარკოტა** ნ. ლახვარი].

ტარკოში ტარიანი სასმისი.

ტაროსი დარი, ამინდი ანუ დრო (ვეფხისტ. 695, 1050; ჩახრუხა, 56), погода, година, время.

ტარსიკონი შეღებული სამოგვე (გამოს. 26, 14 და 35, 7, 23), ტყავი ვერძთა ტარსიკონი, кожи овни, очервлены, синий.

ტარტარი ტარატურა, მრავალი და ცუდი ლაპარაკი, [болтание, болтливость].

ტარტაროზი ქვესკნელი, უქვემოესი ჯოჯოხეთი, სატანჯველი ცოდვილთა (2 პეტრ. 2, 4), тартар, ад, τάρταρος.

ტარფი ბოხჩა მოთხვით ნაკერი ოქრომკედითა.

ტარხუნა (ბალ.) ტეგანი, эстрагон.

ტატაბო დიდი და ფართო ღილი.

ტატანი ვარსკვლავმორბედი, რომელიცა ღამე გამოსჩნდება და თანადვე გაქრება, блудящие или бродящие огни по ночам показывающиеся.

ტატაში (ბალ.) კუროსთავი. ს. ტატაშ.

ტაფა, ტაფაკი არა ღრმა ქჳაბი ტარიანი საგბოლველი და უმეტესად მოსაწვავი ან მოსახრაკავი სანოვაგეთა (2 მეფ. 13, 9; ლევიტ. 2, 5; ეზეკ. 4, 3), сковрада, сковорода, кастрюля.

ტაფამწუარი ტაბაკა დი მისთანანი სანოვაგენი ტაფაზედ მომწუარი.

ტაფელა სარიკაო ჯოხი.

ტაში, ტაშის ცემა შემოკურა ხელის ნებისა ნებზედ.

ტაშილი ქორთ საუზმე.

ტაშტი, ტასტი ხელსაბანი ლაგანი მეტალლისა. таз, лахань. თ. ლაგან [სპ.], ს. ტაშტ.

ტაცება (ვსტაცებ, ვიტაცებ) ძალით წართმევა, წაგლეჯა (ფსალ. 61, 10 და 103, 21), похищать, хищение.

ტაძარი სახლი სალოცავი ღვთისა (მატ. 21, 12 და შემდგომი; ლუკ. 1, 9 და შემდგომი: ფსალ. 5, 7 და 10, 4), храм. ს. ტაჭარ. // კერპთა სალოცავი (საქმ. 19, 24, 27 და .შემდგომი). // პალატი მეფეთა ანუ მთავართა, სადაცა იგინი ბჭობდენ და სამართლობდენ, ამის გამო ეწოდება ბ ჭ ე და პ რ ე ტ ო რ ი ა ც ა (იხილენ ესენი) (მარკ. 15, 16), претория.

ტაძრობა პურობა, ლხინი, ნადიმი დღესასწაულობით (იობ. 1, 4), пир.

ტახი (ოთხფ.) მამალი ღორი, ეშვი (ნახე ღორთან), кабан.

ტახტი დალიჭი, მაღალი საჯდომი მეფეთა და დიდებულთა (სკამთან ნახე) (ვეფხისტ. 47, 149; შავთ. 40), трон. // აზიურთა სახლთა შინა შეკრულნი ფიცარნი სასხდომად, диван.

ტახტისქალაქი სადაცა ხელმწიფე მარადის სცხოვრობს, столица, столичный.

ტახტრევანდი მოაბა ნახე.

ტაჯაგანი ერთგუარი მათრახი (იქ ნახე) (დიოლოღ. 2).

ტბა მცირე ზღუა (ნახე წყალთან) (ლუკ. 5, 1; ფსალ. 106, 35 და 113, 8), озеро, озеро. // ნავთსადგურსაც ეწოდება (საქმ. 27, 12 და შემდგომი), пристанище.

ტბორე ცუდი გუბე, лужа, лужица.

ტეგანი (ბალ.) ტარხუნა (ლუკ. 11, 42), пиган.

ტევანი ანუ **ტევალი** (ნახე მტევანი).

ტევება (ვუტევებ) გაშვება, დატევება, მიტევება და სხ.

ტევნა (ვსტევ, ვეტევი) დატევნა ნახე, вмещать, помещать, continere.

ტევრი (ხე) დიდი და ხშირი ტყე (ვეფხისტ. 221, 270, 424 და 1051), лес, ხოლო კორომი არს მცირე, საშუალ მინდურისა, მდგომი მრგულად; მ ა ლ ნ ა რ ი ეწოდების შამბიანსა და ხშირსა მთათა შინა; ბ უ ჩ ქ ი—დაბალსა და მცირესა, ხოლო ჯ ა გ ი და ჩ ი რ გ ვ ი—უმცირესსა; ჭ ა ლ ა—მდინარის პირთა და დაბალთა ადგილთა მდგომსა; წ ნ ო რ ი, წ ა რ ა ფ ი და მ ა რ ნ ე უ ლ ი—ტირიფისას (ნახე ესენი ტირიფთან). ხოლო სხუათა ერთგუართა ხეთა მრავლად მდგართა ბოლოდ დაერთვის მარცუალი ნ ა რ ი დასანიშნავად სიმრავლისა მათისა ვითარ ფიჭვი — ფ ი ჭ უ ნ ა რ ი, მუხა — მ უ ხ ნ ა რ ი, თხილი—თ ხ ი ლ ნ ა რ ი, ძეძვი — ძ ე ძ უ ნ ა რ ი, ჯაგი—ჯ ა გ ნ ა რ ი და მისთანანი.

ტეზი ნედლი და ცუდი შეშა.

ტენა (ვსტენ) ავსება მჭიდროდ (ვეფხისტ. 608), набивать.

ტენი ქანტი, ნოტიობა, მცირე სისველე, сырость.

ტენცაო (ბალ.) წყლის პიტნა გადარგული.

ტერევინთო (ხე) ბელეკონი, терпентинное дерево, *τερέμβινθος*.

ტერი ზოგად ქვეშ გასაშლელი და საგებელი საფენი, რომელ არიან: ორხოვა, ძოლო, ნოხი, ხალიჩა, ფარდაგი, ჯეჯიმი, ფიჩვი, ნაბადი, თაქნაბადი, თექა, ქეჩა, კილიკი, ქუნთა, ხირაული, შათქუნი, ტაბასტო ან ლეიბი, ნაალი, ჩალახეში, საბანი, ბალიში და მისთანანი.

ტერფი ფეხის ქვეშეთი სიფართოვე (დაბად. 49, 17; ვეფხისტ. 1350), пята, стопа. // ხ ო მ ი ს ტ ე რ ფ ი ფეხსაცმელითურთ, ამგუარი ხუთი ტერფი არს ერთი ნაბიჯი, ანუ ორჯელ ფეხის გარდადგმა (ნახე ბიჯი). // ტ ე რ ფ ე ბ ი მრავლობითად ეწოდების სამღუდელთმთავროსა ანუ საარხიმანდრიტოს მანტიის სამხრეებსა სხუას ფერისას, რომელიც უფროჲსე იქმნების წითელი, скрижали на мантии.

ტერფმოხილო ჩლიქებიანი ოთხფერხი (ნემეს. 1).

ტეტიქხი (მურ.) вуй.

ტიტრი სულელი (ნახე გიჟი).

ტეხა (ვსტეხ) შემუსრვა, გატეხა ერთისა, ხოლო მრავალთა მ ტ უ რ ე ვ ა, ломать. // (მტეხს) მწვარე ტკივილი, უფროჲსე ძუალთა შინა, ломить, лом, боль.

ტეხურა მძაფრი ყინუა, трескучий мороз.

ტვია (ხე) გია (ისაი. 55, 13), дрочие (?).

ტვინი ჩვილი კერძო ანუ ცხიმი თავის სარქველსა და სხუათა ძვალთა შინა, мозг.

ტვინიანი, ტვინოვანი გატენილი ტვინითა, ანუ სიმსუქნითა (ფსალ. 65, 14), тучный.

ტვირთვა (ვიტჳრთავ, მიტჳრთავს) ზიდვა. თავსდება, მიღება თჳს ზედა (მატ. 3, 11 და 8, 17, კჳალად 20, 12), нести, понести.

ტვირთი სადები ურემთა . ანუ გემთა, ეგრეთვე საზიდი ანუ საკიდი საპალნე კაცთა, გინა ხჳასტაგთა (ფსალ. 37, 4 და 8), 6: საქმ. 27, 18), бремя, груз, поклажа, ноша.

ტჳრთმძიმე დამძიმებული ტჳრთითა (მატ. 11, 28 და 23,4), обремененный.

ტვიფარი მომაღლოდ ამოჭრილი რამე საბეჭდავად, ანუ ბეჭედი, печать, эстамп.

ტჳფი ჰაერი კჳამლივით შესქელებული.

ტჳფრვა (ვსტჳფრავ) დატჳფრვა, დაბეჭდვა ტჳფარით.

ტჳქი მაღალი სასხდომელი მრავალთა, ბემი, ბემონი, ტოგუნი, амфитеатр.

ტიალი დატევებული, ოხერი, დაცარიელებული, оставленный.

ტიარა თავსაბურველი ხოირი (ეზეკ. 23, 15; დან. 3, 21), перевой, покрывало, тиара, *τιάρα*.

ტიბჟირი ჯარატარის კვირისტავი.

ტიგრი (ოთხფ.) მხეცი ვეფხის გუარი, тигр, *τίγρις*.

ტივი ძელნი ერთად შეკრულნი მდინარეზედ სატარებლად (2 ნეშტ. 2, 16), плот.

ტიზი რიკი, კოლოტის ჩხირი, [пробка винных мехов].

ტიკი და **ტიკჭორა**, ე. ი. ტიკ-ჭური (ნახე თხიერი და ჭური), бурдюк. ს. ტგკჭურ.

ტილი (მწერ.) მკბენარი ხორცთა, вошь, плоть.

ტილისმა, *თილისმა* ამაოდმორწმუნეთა წარმართთაგან მოგონილი გრძნება, რეცა ვარსკულავთმრიცხველობითა, ანუ დაწერილი შელოცვა, შეკერილი ბაზმანდთა შინა, რომელთაც შეიბმენ მკლავთა ზედა რეცა განსარინებლად ვნებისაგან და მავნეთა (შავთ. 19 და 102), талисман.

ტილო სელთა და კანაფთაგან ნაქსოვი ლარი ანუ სამოსელი (იოან. 19, 40), ряза, холст.

ტიმონი ნავთ სამართი ფიცარი, აფთიონი, მხერვალი, საჭე, პიდალიო, руль, кормило, *τιμόνι*.

ტიმპანი სალაშქრო საკრავი, ებანი ანუ ბობღანი, барабан, бубн, литавра, *τύμπανον*.

ტინი კლდე მაგარი და დაუმშხალველი (ნახე კლდესთან) (ვეფხისტ. 413 და 1016).

ტიპიკონი, **ტიბიკონი** წიგნი საეკლესიოთა ლოცვათა და საგალობელთა წესისა და განგებისა, типик, устав церковный, *τυπικόν*.

ტიპოღრაფია სტამბა, წიგნთა საბეჭდავი, книгопечатня, *τυπογραφία*.

ტირანი მძლავრი, მტანჯველი კაცთა, тиран, мучитель, *τύραννος*.

ტირილი მწუხარება, გამოჩენილი ცრემლის დენითა (მატ. 2, 18 და 8, 12; ფსალ. 6, 8), плач. სახენი ამისნი არიან: ქ ვ ი თ ი ნ ი, ქ ვ ი თ ქ ვ ი თ ი და კ ო კ ო ც ე ბ ა, არს მოუთქმელად ტირილი; ვ ა ე ბ ა და გ ო დ ე ბ ა—მოთქმით და შებანებით ტირილი; ზ რ უ ნ ი—შებანება მოტირალთაგან; გ ლ ო ვ ა—მიცვალებულთათჳს შავის შემოსა და ტირილი ხანდაზმით; ს ლ უ კ ს ლ უ კ ი—გულისამოსკუნა, ამოხვინჩვა ძლიერის ტირილისგან, ჟამად ხმის ამოუღებლობა და ვერ მობრუნება გულისა; წ უ წ უ ნ ი—უცრემლო და უგვანი ტირილი; ბ ღ უ რ ი ა ლ ი, ღ რ ი ა ლ ი და ბ ღ ა ვ ი ლ ი—ყრმათა მაღალი და ცუდი ტირილი; წ კ მ უ ვ ი ლ ი და წ კ მ უ ტ უ ნ ი — მხეცთ ლეკუთა და ღ მ უ ვ ი ლ ი—დიდთა მხეცთა ტირილი.

ტირიფი (ხე) ива. ესენი არიან ოთხგუარნი: ძ ე წ ნ ი და ნ ე რ გ ი გრძელფურცლებიანი კაცთაგან დარგული; კ ა ტ ა ტ ი რ ი ფ ა ფართოფურცლოვანი; წ ნ ო რ ი თჳთმდგარი ჭალათა და მდინარის პირთა ზედა, ხოლო მ ა რ ნ ე უ ლ ი ვენახთ შესასარავი ტირიფი, ასაკრავად სართა ზედა.

ტირისკონი ნოემბერი და ტ ი რ ი ს დ ე ნ ი დეკემბერი (ნახე თთვესთან).

ტიტა (ბალ.) тюльпан. თ. თურფანგ (?).

ტიტველი შიშველი ნახე, нагий.

ტიტი არა იხმარების, არამედ დატიტული ნახე.

ტიტიბი ბროწეულის ქერქი შავის საღებავად, корка граната для черн. краски употребляемая.

ტიტინი (ვტიტინებ) ჩჩჳლთ უბნობა, გრკჳნვა, лепетать.

ტიტლო, **ტიტული** ზედაწარწერა კაცთა ღირსებისა, титло, титул, *τίτλος*.

ტკაცანი ტაშის ხმა, ანუ ტკრციალი, ჭექა, треск.

ტკბილი სასიამოვნო გემო, ვითარ თაფლისა, შაქრისა და მისთანათა (მატ. 11, 30; იაკობ. 3, 11), сладкий. // საამო, სასიხარულო, სალხინო, საშვებელი (ვეფხისტ. 1295), сладостный.//ზოგგან ჰნიშნავს სახიერსა (ფსალ. 24, 8 და 33, 8, კჳალად. 51, 9), благий, сладчайший. // ახალი დაწურვილი მაჭარი, ანუ თჳთ ღჳნო (საქმ. 2, 13), вино, [чихирь].

ტკბილად მოუბარი სასიამოვნოდ მოლაპარაკე (ვეფხისტ. 891), сладкоречивый.

ტკბილიხკვერი მაჭარი მოდუღებული ფქვილითურთ და შესქელებული, ფელამუში, пастила из виноградного сока.

ტკენა (ვატკენ, ვიტკენ) სალმობის შექმნა დაკერითა ან წაქცევით, ушибать, -ся. // გულის ტკენა (ნახე გულის დაწვა) (ვეფხისტ. 14), одосадить, [огорчить].

ტკეპნა (ვსტკეპნი) ფეხით გაქელვა, დატეროვა (ვეფხისტ. 1271), топтать.

[**ტკეცა** сметать].

ტკეცება შეხეთქება.

ტკეცი მაშა, მარწუხი ნაკვერცხალთ ასაღები, клещи.

ტკივილი (მტკივა) ლმობა, გრძნობა სატკივრისა (ვეფხისტ. 583, 1337 და 1446), боль, болит, больно.

ტკიპი (მწერ.) მკბენარი ოთხფერხთა.

ტკრეცა ნახე ატკრეცა.

ტკრციალი და **ტკრცოლა** (ტკრციალებს) ბგერა, ჭექა, ხმა საკრავთა, ანუ მტერევისა (ვეფხისტ. 1404), издавать звук, треск.

ტლანქი ქოფიტი, გაქოფიტებული, არა სუფთად გაკეთებული, грубо отделанный, или грубая работа.

ტლაპო თხელი ტალახი, жидкая грязь.

ტლე სიცხიანის სადები წამალი ბალახთაგან.

ტლიკვი უროკო, რომელსაც არ მოედვას რა. ითქმის გ ა ტ ლ ი კ უ ლ ი, гладкий, голый.

ტლინკი ჩლიქიანთა ხვასტაგთაგან ორისავე უკანა ფეხების გაქნევა საცემად, лягать, ხოლო ერთის ფეხის ცემა არს წ ი ხ ლ ი, брыкать.

ტლოშნა (ვსტლოშნი) ლოშნა, უგვანო კოცნა (ნახე მტლაშა-მტლუში).

ტლუ ბიჭი ლუტი, რომელსაც არა აქვს ბინა და სარჩო.

ტმოშტი სამფეხი ჭურჭელი სანოვაგეთ მისართმევი (ნახე ლანკანი).

ტოგუნი ტჳქი, მაღალი საჯდომელი გარემოვლებით.

ტოილო ცხენის ფეხთ გასაბმელი (ნახე საბელთან).

ტოკვა (ვსტოკავ) კოტვა, ბარბაცი, шататься, ворочаться.

ტოლაობა თევზთა და გველთ პეპლვა (ხურაობა ნახე).

ტოლი საფერი, ანუ თანასწორი ტანითა, გინა ხნითა, ровесник, сверсник.

ტოლომა ფართო სამოსელი ბეწვიანი.

ტოლჩა სათლი, დიდი ქვაბქოთანა.

ტომარა საცალო, შთასაყრელი ხორბლისა, ფქვლისა და მისთანათა (ვაშკარანთან ნახე), куль, мешок.

ტომარი, **ტომარაკი** ქარტა, გრაგნილი, ანუ სარჩევი წიგნთა, ხანდუკი, პინაქსი, [журнал].

[**ტომბაკი** ნ. ბრინჯაო].

ტომი ნათესაობა, შთამომავლობა (მატ. 19, 28; ლუკ. 2, 4, 36; ვეფხისტ. 989), колено, поколение, *τόμος*. // ნაწილი წიგნისა, ცალკე შეკრული, том книги какой.

ტოპაზი, **ტოპაზიონ** თეთრი იაგუნდი თლილი (ნახე სპეკალი) (გამოცხ. 21, 20), топаз, *τοπάζιον*.

ტოპვა (ვსტოპავ) წყალში სლვა ფეხით (ნახე სიარულში).

ტორი დიდი ჯოხი სამეცხვარო (ნახე ჯოხთან), [посох, палица].

ტორტმანი (ვტორტმანებ) ტოკვა, ბარბაცი, шатать, -ся. // ჰაზრით დაუდგრომელობა, ორჭოფობა, колебаться.

ტორუა, **ტოროლა** (მფრ.) жаворонок.

ტოტი წინაფეხი კლანჭიანთა მხეცთა, თათი (ვეფხისტ. 699 და 1064), лапа. // დასასრული შალვართა და საწვივეთა. // სორეტი, ნაკადული, შტო მდინარეთა ანუ ზღვათა (ნახე წყალთან), рукав, залив реки, озера и т. п.

ტოლი ვეგის ჯდომა, თოხანი.

ტრაბახი კვეხნა, თავის ქება გარდამეტებით, хвастовство.

ტრამალი ვრცელი მინდორი უშენი ტიალივით (ნახე ველთან) (ვეფხისტ. 537).

ტრაპეზი მაღალი ადგილი საშუალ საკურთხეველისა, რომელსა ზედაცა აღესრულების საღვთო ჟამის წირვა, престол в алтаре, *τράπεζα, τραπέζι*. // მონასტერთა შინა საკრებულო სახლი, სადაცა დაეგების ძმათათჳს ტაბლა და მიიღებენ საზრდელსა (იგავ. 23, 1), в монастырях трапеза, столовая.

ტრბუ ცუღლუტი, вертопрах.

ტრედა (ბალ.) სოკოა ერთი.

ტრედი (მფრ., მატ. 3, 16 და 21, 12), голубь; მართვესა შისსა ეწოდების ხ უ ნ დ ი; გარეულსა—გ ვ ი ძ ი ნ ი და ქ ე დ ა ნ ი; მომცროთა—ი ნ ა გ ა, გ უ ლ ი ო და გ უ რ ი ტ ი. [ტრედის ფერი, ტრედის ფერად გათენება, рассвет].

ტრედი ხრახნილთ ქანჩი, гайка.

ტრედფილი სპილენძის როდინი. ступка медная.

ტრელება (ვეტრელები) დიდად ფერობა, прислуживаться, угождать.

ტრელი მფერებელი, ласкатель. თ. ქოვლი (?).

ტრვა მრავალთ სლუა, იტრნეს (გამოს. 16, 1), ე. ი. აღიძრნეს, воздвигошася, тронулись.

ტრიალი (ვატრიალებ, ეტრიალებ) ბრუნება, поворачивать, -ся.

ტრიზა ცხენის ფეხთაგან შესხმული ტალახი.

ტრიობა (ოსე. 4, 16) წერტა, საწერტელით ლალვა ანუ აღზრზინება, стрекать стрекалом.

ტრიონი (შავთ. 21).

ტრიქონი ნახე სტრიქონი.

ტრიხაპტონი ფართო სამოსელი, წამოსასხამი (ნახე ხიფთანი) (ეზეკ. 16, 10, 13), трихаптон.

ტროპარი ოხითა, მუხლი დღის წმინდისა წასაკითხი ქამნობათა ზედა, тропарь, *τροπάριον*.

ტროპი რიტორულად ხმარება ლექსთა, გარდაღებულსა შინა მნიშნველობასა, троп, *τροπή*.

ტრუპანი ხელის შალაფი, სადგისი.

ტრუხი ნატისუსალი (ნახე სუნი).

ტრუშული მსხვლის წნელის ღობე ორპირად (ნახე ხლუდესთან).

ტრფიალება სურვილი, გულისთქმა, აშუღობა (ზირაქ. 9, 9), похоть, амур.

ტრფიალი მქონებელი ტრფიალებისა (ოსე. 2, 10; ჩახრუხა. 45), похотник, любовник.

ტრფობა (ვეტრფი, ვეტრფიალები, ეტრფიალობ) გულის თქმით სურვილი, შეფრფენა (იგავ. 4, 6; ვეფხისტ. 966 და 1076), вожделать, влюбляться, амуриться.

ტუკი (ხე) წლის წიდნა.

ტუმბო ამოსაწოვნელი სოლინარი, насос.

ტუნქაა მცირე ჩახვი, პარკი.

ტუპკირი საწნეხელის ლასტი.

ტურა (ოთხფ.) გარეული ძაღლი, чекалка. თ. ჩაღალო.

ტურნება (ვეტურნებ) დარილი.

ტურტლი თევზთ სკორე.

ტურფა უცხოდ მოხდენილი ანუ ნაზი (ნახე ლამაზი) (ვეფხისტ. 6, 9, 37 და 1337), милый, прелестный, нежный (ქუალად 121, 337, 345, 424, 468, 610 და შემდგომი), миловидный, редкий (ქუალად 868, 1055), редкость.

ტუსალი პატიმარი.

ტუსვა (ვსტუსავ) ცეცხლის ალზედ შერუჯვა ბალნისა და მისთანათა, опалять.

ტუსვილი ეტერი გარუჯვილი ოდოში (ლევიტ. 23, 13), пряжоный клас, колос.

[ტუხის ხული]

ტუტა (ხე) ხართუთა, тутовые ягоды.

ტუტი ნაცრისა ან გუარჯილის წვენი საპნის.

ტუტუნი (ვსტუტუნებ) დუტუნი, ბუზღუნი, დრტჳნვა.

ტუფი ბოსტნის კუალი.

ტუქსვა (ვსტუქსავ) საწუართნელი რისხვა, пенять, щунять.

ტუხი ღორთ მოწოდება, чух, чух.

[ტუხინი ნ. გოხი].

ტუხტი (ბალ.) рожа, алтея, повойник (трава).

ტუჩი პირის ორნივე ბაგენი, ლაშები, рот, морда.

ტჳრთი, ტჳფარი და სხ. (იხილენ: ტვირთი, ტვიფარი და შემდგომი).

ტფილი ნახე თბილი, теплый.

ტფობა (ვატფობ, ვსტფები) თბობა, გათბობა, სითბოს მიცემა, греть, согревать, ანუ მიღება (მარკ. 14, 54, 67; იაკობ. 2, 16), греться.

ტყავი ბუნებითი გარსი, ცხოველთა სხეულსა ზედა გარემორთხმული და შემცველი ყოველთავე კერძოთა მისთა ჯეროვანითა სახითა (იობ. 2, 4; ეზეკ. 37, 6), кожа. ზოგთა აქუსთ შიშველი, ზოგთა შემოსილი ბეწვითა, ნაკრტენითა ანუ ბუმბულითა, ქიცვითა და სხ. // ესევე ეწოდების გაძრობილსაცა ტყავსა ცხოველთასა, გაკეთებულსა და მოქნილსა, გინა გაუკეთებელსა ბეწვიანად, რომელია ქ ე ჩ ხ ო (დაბად. 3, 21; ებრაელ. 11, 37), кожа, шкура. // ტყავი ეწოდების კანსაცა ხილთა და ხეთასა (ნახე ქერქი).

ტყავკაბა, ტყაპუჭი ცხურისა ანუ სხჳსა ცხოველის ტყავი მოქნილი და შეკერილი ჩასაცმელად.

ტყავკაცი ნახე კეც-ტყავი.

ტყავკორა პურთ სარეცხელი ბლის ქერქისა, მაწაწური, ოფიჯო და საძელი.

[ტყდომა (ვსტყდები) ნახე ტეხა].

ტყე (ხე) მრავალხენი მდგარნი (ნახე ტევრი) (2 სჯული. 19, 5), лес. // ხ ე-ტ ყ ე მოჭრილნი ძელნი საშენებლად მოზიდულნი, строевой лес.

ტყება გლოვა, თავსცემა (მატ. 2, 18; საქმ. 8, 2), плач, вопль.

ტყემალი (ხე) უშხუნა, გარეული ქლიავი.

ტყვე მონად შეპყრობილი მტერთაგან (ფსალ. 13, 8 და 67, 18), пленник, невольник.

ტყველვა ტაშის კურა.

ტყვენვა აფორიაქება, წარტყვენვა.

ტყვეობა ტყვედყოფა, плен, пленение.

ტყვია ბრპენი (ვეფხისტ. 5), свинец.

ტყირპი, ტყირპის დაკურა სტომაქის დამძიმება და მოჴმლა, завал желудочный.

[**ტყლაპი** ძირი ქალამნის].

ტყორცვა შორს სროლა, [бросать].

ტყუბი მარჩბივი.

ტყუვილი სიტყვა არა მართალი (ფსალ. 39, 4), ложь. ესე არს სამგუარი: სიცრუვე, სრულიად ტყუვილი; ცილი შეწამებული ან მოგონილი, მცირედ მსგავსი მართლისა; ჭორი დავარდნილი ამბავი, რომელიც სწორედ არავინ იცოდეს, არც ამბვის მომტანი სჩნდეს; კატაბანიც სიცრუვესავით.

უ

ქარაგმიანნი ლექსნი ამას ასოსა ზედა: ო́ი—უ́ი—უფალი, უ́კი, უ́კე—უკუნითი უკუნისამდე.

ასოსა უ საქცევი ო და ჳ თან იხილე ო-შინა.

ასო უ დაესხმის თავად სახელთა:

1. დასანიშნავად უკუთქმისა ანუ უქონლობისა, ამას შეუდგების ბოლოდ ო, ანუ ური, ვითარ უადგილო, უაზნო, უბედო ან უბედური, უკაცო ან უკაცური, უმამო, უდედო, უთვალო, უფეხო, უძალო ან უძლური, უძილო და სხ. ხოლო მიმღეობანი უკუთქმითნი ბოლოს მიიღებენ მარცვალსა ელი ან რი, ვითარ: უსმელი, უჭმელი, დაუდეგარი ან დაუდგრომელი, მოუსვენებელი ან მოუსვენარი, დაუწერელი და სხ.

2. ზედშესრულთა უაღრესობათისა ხარისხისაათა, რომელსაც ბოლოდ დაერთვის ესი, ვითარ დიდი—უდიდესი, მცირე—უმცირესი, მძიმე—უმძიმესი, ფართო—უფართოესი ან უფართესი და სხ.

ხოლო ზედშესრულნი სახელნი, დაბოლოვებულნი მარცვალსა ზედა ლი, ზოგჯერმე ისპობენ მას, ვითა დაკნინებულნიცა მარცუ-ლითა მო (იხილე მ), ანუ გაარსებითებულნი მარცულითა სი (იხილე ს-შინა). მაგალ., კეთილი—უკეთილესი ან უკეთესი, ტკბილი—უტკბილესი ან უტკბესი, გრძელი—უგრძელესი ან უგრძესი, ზრქელი—უზრქელესი ანუ უზრქესი და სხ.

რაოდენნიმე ზედშესრულნი იხმარებიან მხოლოდ უაღრესობითად და არა აქუსთ დადებითი ხარისხი, ვითარ უაღრესი, უპირატესი, უხუცესი, უდარესი, უზესთაესი, უარესი. ხოლო ზოგნი სრულიად არ მიიღებენ ბოლოს მარცუალსა ესი, ვითარ უპრიანია და არა უპრიანესი, ანუ უარ, უმალ, უკეთ ნაცულად უარესი, უმალესი, უკეთესი; კუალად უფრო ნაცულად უფროსად. ანუ არა მიიღებენ თავად უ და დაშთების ბოლოდ ესი, ვითარ ხუცესი.

რომელნიმე უბადონი ანუ შეურაცხნი ლექსნი განმრჩობლდებიან ასოთა ამით უ, ვითარ: ბალახ-ბულახი, ბიჭ-ბუჭები, ბრაგა-ბრუგი, რახი-რუხი, მრადი-მრუდი, მტლაშა-მტლუში, ნაჭერ-ნუჭერი, ღელე-ღულე, ჭია-ჭუა, ხილი-ხული და სხ.

უ დაერთვის ზმნათაცა, რაჟამს მოქმედება მათი მიეჩემების მესამესა პირსა, ვითარ ვიკეთებ—ვუკეთებ, ვიწერ—ვუწერ, ვიკერავ—ვუკერავ და სხ. (იხილე ასოთა თანა გ, ი და მ).

ჳ ბრჯგუ ანუ ჳ მოკლე ლექსთა შინა არს საშუალი ვ და უ. ამის გამო არა არს სრული ხმოვანი, არამედ ნახევარხმოვანი, ვერ შემადგენელი მარცულისა და ამად ხშირად ხმარობენ ნაცულად მისსა ვ. მაგალ.: გუამი—გვამი, ზღუა—ზღვა, ქუა—ქვა და სხ.

მარცუალი ჳა შეიცულების ო-ზედა (იხილე ო), უ იხმარების ზოგჯერმე ნაცულად ჳ. მაგალ.: გჳნი—გუნი, ღჳმელი—ღუმელი, ხჳმირა—ხუმირა და სხ.

უადგილო არა მქონი ადგილისა, ანუ უჯერო, безместный, или неуместный, [უადგილო ადგილს, неуместно].

უავადო მთელი, არა სნეული, безболезненный, здоровый.
უავლუსტესი რომელია უსამღთოესი, უდიდებულესი.
უაზნო უგვარდიდო, უდიდგვარო, მდაბიო (1 კორ. 1, 28), худородный, незнатный.
[უამინდო ნახე ამინდი].
უამხანაგო უმაგალითო, საუცხოვო, бесподобный, бесприкладный.
უანგარიშო უთვალავი (ვეფხისტ. 52), бесчисленный, несчетный.
უარესი ავზედ უავესი (ვეფხისტ. 789, 1289, 1291), худший.
უარი, უარის თქმა დათხოვნა, არა თანხმობა, არ გავლენა სათხოვრისა, отказ.
უარისყოფა, უარის ქმნა (უარს ვჰყოფ) განგდება, ხელის აღება (მატ. 10, 33; ვეფხისტ. 530), отвергать, отрекаться.
უარშიო გაუწყობელი, нестройный. // ურჩი, непослушный, грубый.
უარძანიკო, უარზანიკო სრულიად უმარილო, მტკნარი (ნახე არძანი).
უახაკო ნახე უჭასაკო.
უაუგო ურცხვ, უნამუსო (ვეფხისტ. 788). бессовестный, бесстыдный, предосудительный, зазорный.
უაღრესი მაღალი, აღმატებული (ნახე უმცირესთან), превосходный, высший.
უაღვირო თავდაუჭერელი, თვთნება, თავხედი, необузданный, своевольный.
უბადო ცუდი, ბედითი, низкий, подлый.
უბადრუკი უბედური (რომაელ. 7, 24; ფსალ. 136, 8), окаянный, бедный.
უბანელი არ დაბანილი, გაურეცხელი (მარკ. 7, 2, 5), неумовеный, немытый.
უბანი შუკა, ქუჩა ანუ ერთი კერძო ქალაქისა (ფსალ. 17, 42; ეზეკ. 16, 24; მატ. 6, 2 და 11, 16), стогна, улица, слобода, квартал.
უბარი უმძრახი, ვინც ემდურის ვისმე და არ ელაპარაკება.
უბე წიაღი, სამოსელთ გვერდზედ მიკერებული შთასადებელი, пазух, боковой карман. // ფსკერი ნავთა, ანუ ხომალდთა (იონა. 1, 5), дно. // ეტლთა და ურემთა შინაგანი შთასადებელი, ანუ სასხდომი, корпус экипажей, кареты, коляски и пр. // წიაღი ანუ ტოტი ზღვსა და მდინარისა, залив.
[უბედო несчастный].
[უბედურება]
უბედური არა ბედნიერი (ვეფხისტ. 839), несчастный.
უბელო შეუკაზმავი ცხენი, неоседланная лошадь.
უბინაო უადგილო, უსახლკარო, бесприютный, неимеющий оседлости. // უსაფუძველო, неосновательный, непостоянный.
უბინდო მარად ნათელი, უმწუხრო (შავთ. 54).
უბიწო უმანკო, თავისუფალი ბიწისაგან (ფსალ. 14, 2; ლუკ. 1, 6), беспорочный, непорочный.
უბნობა (ვუბნობ, ვეუბნები) ლაპარაკი, საუბრობა, говорить, беседовать.
უბოროტო განშორებული ბოროტისაგან, незлобный.
უბრალო უცხო ბრალთაგან (ფსალ. 9, 28 და 23, 8; მატ. 12, 5 და 27, 24), невинный, неповинный, чистый. // ლიტონი, არა ჩინებული, простой, незнатный.
უგბილი, უგბოლველი უმი, მოუხარშავი (გამოს. 12, 9), суровый, сырой, неварёный. // უსწავლელი, უმეცარი, თავხედი, ახირებული (შავთ. 83), невежда, упрямец.
[უგემოვნო]
უგემური ცუდის გემოსი, невкусный. // უსიამოვნო, უთავაზო (ვეფხისტ. 181, 277), неприятный, грубый, суровый. // უძლები, უქეიფო, ხაზმეზიანი (მუნვე, 1117), нездоровый.
უგვანი, უგვარო და სხ. (ნახე უგუანი, უგუარო).
უგზო უვალი, გაუვლელი (ფსალ. 62, 1), непроходимый.
უგი (ოთხფ.) უზვი, უკრავოდ მწველელი ცხუარი, яловая, дойная овца.
უგლიში ურიდი, შეუპოვარი (იერემ. 49, 4; შავთ. 6), бесстыдный.
უგონო, უგონებო უცნობო, გონებამიხდილი ან უგრძნობელი, безумный, беспамятный, бесчувственный.
უგრეხელა (ბალ.) ქეიშნა.
უგრძნობელი, უგრძნობარი არა მგრძნობელი, ანუ არა საგრძნობელი (ვეფხისტ. 89), нечувствительный.
უგუანი უმსგავსი, უხამსი, უშესაბამო, неприличный, непристойный.
უგუარო ბედითი, უბადო, უხამსი ან გაუწყობელი, безобразный, нескладный, или подлый. თ. ბეჯინს [არაბ. -სპ.].
უგულებელყოფა (უგულებელს ვჰყოფ) არაფრად მიჩნევა, დაწუნება (ფსალ. 9, 21 და 54, 1), презирать.

უგულებელს ქმნილი გულიდამ გადავარდნილი (მალქ. 2, 9), отверженн.

უგულო გულგრილი (ვეფხისტ. 10, 837 და შემდგომი), хладнокровный.

უგუნურება გონების მოკლება (ფსალ. 37, 5), безумие.

უგუნური გონებამიხდილი, დაბრმობილი გონებით (ფსალ. 13, 1 და 48, 13, 21), безумный, несмысленный.

უდაბნო, უდაბური დაბათ არა მქონებელი, უშენი, უსავანო (ფსალ. 28, 8; მატ. 3, 1, 3; იოან. 6, 31; ვეფხისტ. 1320), пустыня. // უდაბნო, მონასტერი, სავანე განშორებული შენობათაგან, пустынь, обитель.

უდარესი მდარე, სიკეთით ანუ პატივით ნაკლები სხვათა, რაასამ'რთობით უაღრესისა, низший.

უდები მცონარი, დახსნილი, მედგარი.

უდიერი ძალით შეუძლებელის მნდომი, ანუ მთხოვეელი.

უდილადოსა გაუთენებლივ (ვეფხისტ.).

უდრეკი მოუდრეკი, მაგარი, жесткий, негибкий.

უდროვო უჟამო, უშესაბამის დროსი, безвременный.

[უდროვოდ]

უებარი, უებრო მისებრის არა მქონი, უამხანაგო (ვეფხისტ. 32, 122 და 753), бесподобный, несравненный.

უელი (ბალ.) მოგრძე მარწყვ. земляника.

უენო უცოდინარი რომლისამე ენისა, ანუ კვეთილად ვერ მოლაპარაკე (ჩახრუხა. 15), безязычный, или неспособный говорить.

უეცარი ანაზდი, მოულოდნელი, нечаянный, внезапный.

უეცრად ანაზდად, невзначай, внезапно.

უვადო ხმალი чернальная сабля (ნახე ვადა), шашка.

უვალი განუვლელი, უხვედრი კაცთაგან (იერემ. 2, 6), непроходимый.

უვიცი უცოდინარი, უსწავლელი, незнаток, невежа.

უვნებო, უვნებელი უცნო ვნებისაგან, невредимый, или безвредный.

უზადო ურიიშო, მარტივი, შეურევნელი, чистый, цельный, без примеси, [чистый, святый]. / უზადო არს უიგივეო იგი. ერთი და თჳთ სრული, უნაკლულო (კავშ. 24, 14; ვეფხისტ. 1482).

უზავო დაუზავებელი, დაუმშვიდებელი (2 ტიმოთ. 3, 3), непримирительный.

[უზალთუნი]

[უზანგი ავეანდა, стремя].

უზანი, უზნის ხე (ხე).

უზარმაზარი საზარლად დიდი, огромный.

უზესთაესი უმაღლესი, უაღრესი.

უზვი (ოთხფ.) უგი, ურწანი, ბერწი ხვასტაგი (ნახე ზვევა), яловая.

უზმა, უზმო უჭმელი, დილითგან ჯერეთ საზრდელმიუღებელი (ისაი. 27, 21; მატ. 15, 31; საქმ. 27, 33), неевши, натощак.

უზომო არა მექონი ზომისა, უსაზომო (ვეფხისტ. 52, 55), безмерный.

უზრდელი, უზდელი უთავაზო, არა მექონი ზდილობისა, невоспитанный, неучтивый.

უზრდელობა, უზდელობა უთავაზობა, неучтивость.

უზრდელური, უზდელური უსაქციელო საქმე ანუ სიტყვა, неучтивый, грубый.

უზრუნველი თავისუფალი ზრუნვისაგან (მატ. 28, 14), обеспеченный.

უთავბოლოვო ურიგო, დაუწყობელი, არეული, беспутный, бестолковый, перемешанный.

[უთაური]

უთვალავი ურიცხვ, უანგარიშო (ვეფხისტ. 1 და 198), несметный.

უთვალო არა მქონები თვალთა, безглазый.

[უთმო]

უთნო უსათნოვო, უკეთილო (ისაი. 5, 23), нечестный.

უთო რკინისა ანუ თუჯისაგან შექმნილი საცეცხლე, გასაძეგვი ნაკერავთა, утюг.

უთუო უსათუო, უცილობელი, непременный, беспрекословный, безусловный.

უთუოდ უსათუოდ, მიუცილებლად (ვეფხისტ. 430), непременно, неотменно.

უთქმელი ვერ სათქმელი, თქმად შეუძლებელი (2 კორ. 12, 4), неизреченный.

უთხოვარი (ხე) ურთხელი, ულპოლველი ხე.

უიარაღო ნახე უჭურველი.

უკადრისა მოთაკილე, არაფრად მიმჩნევი რისამე ზვაობით, пренебрегающий, презирающий.

უკადრისა (ბალ.) ძაღლის ენა.

უკადრისი სათაკილო, შეუფერებელი, неприличный.

უკან მერმე, მაჰუკან, после, потом.

უკან, უკანაკერძო, უკანით ზურგით კერძო (გამოს. 26, 12, 22, 23 და შემდგომი; ისუ. 8, 2), созади, позади, назад.

უკანა ბოლონდელი, უკანასკნელი (ნახე უმცროსი და წინა) (მატ. 19, 30 და 20, 16), задний, последний.

უკანანი უკანაკერძო, задки.

უკანასკნელ ბოლოს დროს, დასასრულ (მატ. 21, 29, 32, 37), напоследок, наконец.

უკანასკნელი ნაბოლოვარი, ბოლონდელი, ბოლოს დაშთომილი (ნახე უმცროსთან) (მატ. 20, 8 და შემდგომი; შავთ. 3), последний.

უკანონო გარეგანი კანონისა, неправильный.

უკაცრავად კაცთ შეუფერებელად (იხმარების ბოდიშის მოსახდელად), виноват, извините.

უკაცრაული არ შესაფერი, უკაცრაული მოხსენება, с позволения сказать.

უკეთესი რჩეული, სხვათა ზედა მეტი სიკეთით (ნახე უმცროსთან) (მარკ. 14, 21 და 1 თესალ. 5, 20), лучший.

უკეთუ კავშირი სათუო (მატ. 7, 11 და 8, 2), ежели, если.

უკეთუმცა სრულებით სათუო (იოან. 15, 19 და შემდგომი), ежели бы, если бы.

უკეთურება სიავკაცე (ფსალ. 27, 3, 4), зло, лукавство (კუალად 49, 19 და 51, 1), злоба, злодейство.

უკეთურება (ვუკეთურებ) ავკაცობა, ბოროტის ქმნა (ფსალ. 36, 8 და 73, 3, კუალად 104, 15), лукавновать, делать зло.

უკეთური კეთილობის გარეგანი, ავი კაცი, ცუდი კაცი (მატ. 7, 11 და 13, 19), злой, лукавый (ფსალ. 14, 4 და 17, 48, კუალად 139, 1), изверг, негодяй, негодник, бездельник.

უკვე კიდეც (ლუკ. 1, 1), убо, уже.

უკიანე, ოკეანე, ოკიანე ვრცელი ზღუა გარემო ხმელეთისა მოვლებული (ნახე წყალთან), океан, ὠκεανός.

[**უკიდურება**]

უკლებელი მოუკლებელი, უნაკლულო, беспрерывный.

უკმეხი საწყენის სიტყჳს პასუხი, ანუ მიმგები.

უკმიხაგებელი გარდასახადი, სამაგიერო, воздаяние, возмездие.

უკმოქცევა გამობრუნება (ოსე. 11, 5), возвращение.

უკმოღება (უკმოვიღებ) კუალად მიღება, получать обратно, возвращать себе.

უკმოცემა, უკმიცემა მიღებულის კუალად მიცემა, отдавать обратно.

უკრძალველობა გაუფრთხილებლობა, неосторожность, невоздержность.

უკუგდება (უკუვაგდებ) უკანგარდაგდება, отбрасывать.

უკუდავა (ბალ.) მსუქანა, კლდის მოლი.

უკუდავება თავისუფლება სიკუდილისაგან (1 კორ. 16, 54), бессмертие.

უკუდავი არა ქვემდებარე სიკუდილისა, მარადარსი, бессмертный.

უკუდგომა (უკუვსდგები) განდგომა, განშორება, ანუ ღალატი, отступать, отпадать.

უკუზღვა (უკუვზღავ) მაგიერის გარდახდა, ნაცუალგება, отплачивать.

უკუთქმა (უკუვსთქუამ) განგდება წართქმისა, отрицать, отвергать.

უკუთქმითი წინააღმდგომად სათქმელი, არა დამტკიცებითი, отрицательный.

უკუნი ბნელი მიუწთომელი, რომლისაც დასასრულს თუალი ვერ მისწუდეს (ვეფხისტ. 122, 379 და 1351; ჩახრუხა. 68), тьма вечная или вечность покрытая тьмою, ანუ გონებისაგან მიუწდომელი დაუსრულებლობა.

უკუნისამდე ანუ **უკუნითი** უკუნისამდე დაუსრულებელად, საუკუნოდ (ფსალ. 5, 11 და 9, 5, 36), во век, вечно, во веки веков.

უკუნქცევა (უკუნ ვაქცევ, ვიქცევი) უკან გაბრუნება (ფსალ. 9, 3 და 113, 3, 5; მატ. 24, 18), возвращать, обращать, -ся.

უკურიდება (უკუვრიდებ) მორიდება, გზის აქცევა (ვეფხისტ. 269), устороняться.

უკუღმა, უკუღმართ ზურგით კერძო, უკანით (დაბად. 19, 17; ვეფხისტ. 137), вспять, сзади, позади.

უკუღმართი, უკუმართი არა სწორედ მავალი, ანუ სავალი (იერემ. 7, 24), задний, ფრიად ახირებული, მიბრჯნილი.

ულაყი (ოთხფ.) მამალი ცხენი, ჯორი, აქლემი, ვირი და მისთანანი, жеребец.

ულევი, ულეველი დაუცარიელებელი, უკლებელი, გამოულეველი (ვეფხისტ. 52), неистощимый, неисходимый.

ულვაში თმა ზევითთა ბაგეთა (ნახე თმასთან), усы.

ულო ძნის შესაკრავი გრძელი ყანა.

ულპოლველი უთხოვარი ხე, რომელიც არ დალპება (დაბად. 6, 14; გამოს. 25, 28 და შემდგომი), негниющий.

ულუკი მოგჳ ან ქურუმი კერპთა, რომელიცა განხილვითა დაკლულის ზვარის შინაგანთათა წინათ მოუთხრობდა მომავალთა საქმეთა, ვითარ მეზეჲე (2 სჯული. 18, 11), утробо-волхвователь.

ულუსი ბანაკი თურქთა ელის ხალხისა, улус.

ულუფა გარდაკვეთილი როჭიკი, სარჩო, საზრდო, пенсия, порция, содержание.

უმაგალითო უამხანაგო, უებარი, беспримерный, бесподобный.

უმადლო, უმადური დაუმადლებელი, არ დამხსომი სიკეთისა, неблагодарный.

[**უმალესი** (ნახე მალე)].

უმანკო შეუგინებელი გულითა, გონებითა და საქმითა, უბიწო (მატ. 10, 16), целомудренный, непорочный. // ძვირუხსენებელი (ფსალ. 24, 21), незлобивый.

უმანკოება უბიწოება, ანუ ძვირუხსენებლობა (ფსალ. 7, 8 და 25, 1, 11), незлобие, непорочность.

უმართებულო უკაცრაული, უზდელური, непристойный, неучтивый

უმართლობა უსჯულოება, უსამართლობა (იერემ. 13, 22), беззаконие.

უმარილი კალის ნაცარი, პირის სახის გასათეთრებელი, белила.

უმარილო არა მლაშე, შეუზავებელი მარილითა (მარკ. 9, 49), несолёный.

უმაღლესი высокий.

[**უმაშინო**]

უმაღლესობა ტიტული მეფეთა და მთავართა (ნახე სიმაღლე), высочество.

[**უმეტესად**]

უმეტესი უდიდესი სხვათა ზედა რაოდენობითა ანუ საქმითა (ნახე უმცირესი), наибольший, вящий.

უმეცარი უცოდინარი, უსწავლელი, неуч, невежа, неученый.

უმეცრება უცოდინრობა, უსწავლელობა (ფსალ. 24, 7), невежество, неведение.

უმეცრული გიჟური (ვეფხისტ. 213), невежеский.

უმთვარო ღამე ბნელი (ვეფხისტ. 35).

[**უმთნოობა** нечтие (იერემ. 6, 7)].

უმი, მუმი ნედლი ან მოუხარშავი (უგბილი ნახე), сырой; უმი აბრეშუმი, сырой шелк, сырец.

[**უმიზეზო**]

უმრწემესი მრწემი (უმცროსი ნახე) (დაბად. 1, 16; მატ. 2, 6; ლუკ. 15, 13), меньший, младший.

უმსგავსი, უმსგავსო უგვანი, უხამსი (ვეფხისტ. 22, 1080), безобразный, или несообразный.

უმურკუნელი გაურეცხელი (მატ. 9, 16), небеленый.

უმცირესი ნაკლები სხჳსა სიდიდითა, რაოდენობითა, ჰასაკითა, ხანითა, პატივითა და სხ. (ვეფხისტ. 204, 206), младший, меньшой; უ მ ც ი რ ე ს ი ითქმის უ დ ი დ ე ს ი ს ა დ მ ი სიდიდითა ანუ პატივითა, ხოლო უ მ რ ა ვ ლ ე ს ი ს ა დ მ ი რაოდენობითა ანუ რიცხვთა, ვითა მდაბიურად ც ო ტ ა ბ ე ვ რ ი ს ა დ მ ი; კვალად უ მ ც ი რ ე ს ი მდაბიურად უ მ ც რ ო ს ი უ ფ რ ო ს ი ს ა დ მ ი სიდიდითა, ჰასაკითა და პატივითა, ვითარ უ მ რ წ ე მ ე ს ი უ ხ უ ც ე ს ი ს ა დ მ ი, ანუ მდაბიურად პ ა ტ ა რ ა დ ი დ ი ს ა დ მ ი; კვალად მ დ ა რ ე უ კ ე თ ე ს ი ს ა დ მ ი ანუ უ მ ჯ ო ბ ე ს ი ს ა ვითარებითა ანუ სიკეთითა; ხოლო უ დ ა რ ე ს ი უ ა ღ რ ე ს ი ს ა დ მ ი ხარისხითა ანუ პატივითა და კ ნ ი ნ ი ანუ უ კ ნ ი ნ ე ს ი უ მ ე ტ ე ს ი ს ა დ მ ი რაოდენობითა და პატივითაცა. ეგრეთვე პ ი რ ვ ე ლ ი და უ პ ი რ ა ტ ე ს ი უკანასკნელისადმი ღირსებითა და წესითა.

უმძრახი ნახე უბარი, უუბარი.

უმხარკესად, უმხარკესადრე მოჴირვებით, თავსგამოდებით (ნეემ. 4), рачительно, тщательно.

უმჯობესი უკეთესი (ფსალ. 62, 3), лучший.

უნაბი (ხე) ხილია. თ. ჰუნაბ (?).

უნაგირი ჰუნეთა შესაკაზმავი ზურგზედ სადგმელი შესაჯდომად (ლევიტ. 15, 9; ვეფხისტ. 85, 1009), седло.

უნათლო მოკლებული ნათლისგან, ანუ უსინათლო (ვეფხისტ. 17), лишенный света.

უნაკლულო არ დაკლებული, სავსე ანუ სრული, полный, целый, непочатый.

[**უნაკრტენო** бесперьев].

უნანელი არ შენანებული, სინანულით განუწმენდელი, нераскаянный, неисказанный.

უნაღვლო უზრუნველი, უთაური, დაუდევნელი, беспечный, беззаботный.

[**უნაყოფო**]

უნახავი არ ნახული, უხილავი (ვეფხისტ. 477), невиданный.

უნდილი ნედლი, მკუახე, შემოუსვლელი, უდროვო, незрелый, неспелый.

უნდო მიუნდობელი, არსანდობი, ненадежный.

უნდო, უნდომი ურგები, არად სანდომი, არად სახმარი (იერემ. 49, 20), малый, непотребный, ничтожный.

უნებელი უნებურად საჭირო, აუცილებელი (1 კორ. 9, 16—17; ლუკ. 14, 18), нужный.

უნებლიეთ, უნებურად არა ჯერჩინებით, არამედ იძულებით (ნახე ნებსითი) (1 კორ. 9, 17—18), неволею, невольно.

უნებლიეთი, უნებური იძულებითი, невольный.

უნიშნო ერთფერი (დაბად. 30, 42), неназнаменанный, гладкий, без примеси цветов, без пятен.

უნკი 8 დრამის წონა (იხილე საწონთან), унций, унц, *'Ογγιά, 'Ουγγιά*.

უნჯება (ვიუნჯებ) შეკრება, შენახვა (ფსალ. 38, 6; მატ. 6, 19 და შემდგომი), собирать, сберегать.

უნჯი განძი, ლარი, სალარო, საქონელი, клад, сокровище.

უპატივოება გამოხვება პატივისაგან (ამბაკ. 2, 16), бесчестие.

უპატიური, უპატიო პატივმიხდილი (ისაი. 52, 3), бесчестный.

უპე ჰიპი (ქებ. 2, 2), пуп. თ. შიქამ [სპ.]. ს. პორტ.

უპირატესი მპირველობი, უაღრესი, ანუ პირმშო, первенствующий.

უპირო ტარი საჭურველთა, ისართა, შუბთა და მისთანათა პირდაუსხმელი.

უპირო, უპირობო კაცი პირობის გამტეხი, неустойчивый.

ქერი (ბალ.) ნათესი გაზაფხულისა, ხოლო ქრთილი შემოდგომისა (ისაი. 28, 25), ячмень.

ქერტლი თმათაგან ანაცვენი თებო ფოლაქებად.

ქერ[ქ]ეჭანა ფიჭვის ანაძრობი ქერქი.

[ქერქეჭელა]

ქერქი არს ზოგადი სახელი, ხოლო საკუთრად კანი ხეთა, кора, корка და ესრეთ კაცთა და ცხოველთა ქერქსა ეწოდება ტ ყ ა ვ ი; მფრინველთასა — კ ა ნ ი; თევზთა, გველთა და მისთანათასა — ქ ე ც ე დ ი, ქ ი ც ვ ი და ქ ე რ ქ ლ ი; კუთა, კირჩხიბთა, ლოკოკინათა

და მისთანათა—ბაკანი და კეცტყავი; სადაფთა და ზღჳს ლოკოკინათა — ნიჟარა; კვერცხთასა—ხეჭუჭი; ხეჭუჭს შინაგანსა და ტჳნთა გარემოს თხელსა კანსა—გარსი და აფსკა; ნიგოზთა, თხილთა და მისთანათასა—ნაჭუჭი; წაბლთა, წიფელთა და სხჳათასა — ხეჭბი; ყურძნის ქერქთა და სხჳათა, რაც დაიწურვის—ჭაჭა; სხჳათა ხილთა შემოთლილს ქერქს — ნაფრცქვენი; ხახჳთა, ნიორთა და მისთანათასა—ნაქურჩალი; მარცჳალთასა — კილი და ქუჩუბო; ცერცჳთა და ლობიოთასა—პარკი, ჩენჩო და ჭოტი; ხეთაგან მრთლად შენაძრობთა ზრქელთა ქერქთა ჭურჭლად შექმნილთა—ხოკი და ხოკერი; ფიჭვისას — ქერ[ქ]ეჭანა; თელათა, ცაცხჳთა და მისთანათა ლბილსა ქერქსა, რომლისაგან მოიქსოვებიან ნეჭა და სფირიდი, ანუ შეიგრიხებიან ავრიტნი, ეწოდება ლაფანი და ხრალი და შიგნით აფსკასა მათსა—ქურთენი, ქურთლი, ნაქურთენი და ნაქჳრცენი.

ქერქლი თევზთ ქიცვი, ანუ ქერტლი, чешуя.

[**ქეფხუტი** плешивый].

ქექა (ვჰქექ) თხრა მიწისა, ანუ სხჳსა რისმე დაძებნა, рыть, -ся. // (ვიქექები) ცუდი ფხანა.

ქეშაო ერთის ლაროდამ მეორემდინ გრძლად ასალები ზომა, параллельный.

ქეშაოდ, ქეშად, გეზად ქეშაოს ზომით, параллельно.

[**ქეშიკი** телохранитель].

ქეშელა ახალი მომცრო რუმბი (ნახე თხიერთან).

ქეჩა საფენი ნაბადი სუფთა და სახეებიანი (ნახე ტერი).

ქეჩო ამოზეული ჯაგრიანი ქედი ტახთა, დათჳთა, აფთართა და მისთანათა.

ქეჩხო მოქნილი ცხჳარის ტყავი ბეწვიანი (ნახე ტყავი).

ქეცი, ქეციდი ქიცვი თევზთა (ნახე ქერქი) (ლევიტ. 11, 11), чешуя.

ქეცი მქავანი სენი ძნელად საკურნებელი.

ქეჯაო მოაბა ნახე, იმგჳარია.

ქეჯიმი ცხენთ სამკაული გვერდების მოსაფარი, შეჭედილი, ანუ ნაკერი ოქრომკედითა, მოსახდომად და ომში სახმარადცა, чепрак.

ქვა, ქჳა მიწასა შინა პოვებული მაგარი ნივთი, მრავალგჳარად სახმარი (მატ. 3, 9 და 4, 3), камень. თ. ტაშ, ს. ქარ. სახენი ამისნი არიან: სილა წჳრილი ქჳა შლამისა, ვითა გაცრილი; ქჳშა უმსხოსი მისი, ფეტჳსა ან ხორბლის მარცვალთ ტოლი; კენჭი ცერცჳთა ტოლი და უდიდესი; ხჳნჭა ქჳშანარევი კენჭები; ღორღი ნამტჳრევები უდიდესი კენჭთა; რიყე ქჳა და ქჳშა მდინარეთ კიდისა; სალა ბრტყელი ქჳა, ხმარებული ვაჟთაგან სათამაშოდ, ანუ სარქველად ქოთანთა; სიპი ქჳა გლუსუნი ცეცხლში მტკრცოლელი; კოხი მქისე და ხორკლებიანი; კაჟი და ტალი ქჳა ცეცხლის მშობელი; ქარწბი ქჳა ჭიქის მსგავსი; სასრევი ქჳა მახვილთ ალესალესავი, რომლისაც სახენი საკუთრად იხილენ ლექსსა თანა სასრევი; ლოდი ქჳა დიდი და ბალავარი უდიდესი საძირკჳლად დასადები; ფილაქანი და ფიქალი ქჳს ფიცარი; არძანი კლდეთგან მოკვეთილი ლოდი, ანუ მარილის ქჳა; ბრაგა ანუ სპონდიო წყალთა შინა დაფარული კლდე; კარკარი და კარკაროვანი სალი, ქარაფოვანი და სხჳანი (ნახენ კლდესთან). // ქჳად ითქმიან აღრალებიცა და სპეკალნი (ნახენ ესენი) (ფსალ. 20, 3; ვეფხისტ. 5).

ქჳაბი კლდე გამონაკაფი (მატ. 21, 13; იოან. 11, 38; ვეფხისტ. 217, 644), вертоп, пещера.

ქჳაბი სპილენძის სადუღარი, სიავი (ნახე გუდარაკა) (მარკ. 7, 4), котел.

ქჳაბქოთანა კარდალი, ღრმა სიავი კრკალითურთ პირზედა ხელით დასაჭერად, ვითა სათლი ან ტოლჩა.

ქჳა კაპოეტი ანუ მწჳანე ზურმუხტი (დაბად. 2, 12), камень зеленый, изумруд.

ქჳაფენილი ქჳთ დაზღვევებული (იოან. 19, 13), лифостромон, каменный помост.

ქჳა ფორი ამოთლილი გობა, ორე ქჳსა.

ქჳალოჯი კაპანი, ქვიანი ადგილი.

ქვე ქვევით, ქვემო, ქვემოთ, ქვემორე (ისაი. 5, 30), на, ниже.

ქვე, ქვემცა იხმარების ლექსთა შესახამებლად (ვეფხისტ. 56, 432, 468, 537, 1229, 1230; შავთ. 77, 100), же, уже, ужебы.

[**ქვებიანია**]

ქვებუდანი ჩუმი ვერაგი, пронырливый, коварный.

ქვებურობა უძლებება, ანუ უწმინდურება.

ქვეგანხედვა, ქვეგან მხედველობა, ქვებუდანობა, ავის გულით მზერა, подсматривание, пронырство.

ქვედნაცი სტამბათა შინა ხმარებული ტყვია ჩამოსხმული თჳნიერ ასოთა ანუ ნიშანთა, გასაშორებელად ლექსთა.

[**ქვევით**]

ქვევრი დიდი კეცის ჭური ღვინის ჩასასხმელი (ნახე ჭურჭელთან).

ქვეითი ფრხივ მავალი (3 მეფ. 20, 29; ვეფხისტ. 560), пеший, пешец, [низовые].

ქვეითად ფეხით, пешком.

ქვეითობა ფეხით სიარული, пешеходство. // უცხენო ლაშქარი, пехота.

ქველთობისა მარიამობის თვე, აგჳსტო (ნახე თთვე).

ქველი კეთილი, უხვი, სახიერი (ვეფხისტ. 421, 1027, 1432, 1456; შავთ. 4), доблестный.

ქველისმოქმედი მოწყალე, კეთილისმყოფელი (ფსალ. 56, 2), благодетель.

ქველისმოქმედება, **ქველისსაქმე** მოწყალების მიცემა, მისაცემელი (მატ. 6, 1 და შემდგომი; საქმ. 3, 2), милостыня.

ქველობა კეთილობა ან უხვება (ვეფხისტ. 143 და შემდგომი; შავთ. 19), доблесть, достоинство, добродетель.

ქვემდებარე ნაწილი წინადადებისა, რომელსაცა ვსჯით (ლოღიკ. ბაუმ., § 76), подлежащее.

ქვემეხი ზარბაზანი, ფილთამეხი.

ქვემო ქვემოთ.

ქვემოთი ძირს მყოფი, შემდგომი, нижний.

ქვემორე ძირს ანუ შემდგომად (ვეფხისტ. 26), ниже сего, пониже.

ქვემძრომი (მძრ.) ქვეწარმავალი (ნახე), пресмыкающийся.

ქვენა, **ქვენა კერძო** ქვემოთი (ვეფხისტ. 28).

ქვესკნელი ულრმესი ფსკერი (ფსალ. 62, 9 და 84, 13, კუალად 87, 6), преисподняя.

ქვეყანა სოფელი, სფერა, სამკჳდრებელი კაცთა (დაბად. 1, 1; ფსალ. 23, 1), земля. // ზოგჯერ ხმელეთი განყოფილი წყალთაგან (ფსალ. 1, 4). // თემი, ერთი მხარე ანუ სახელმწიფო (ფსალ. 77, 12, 51). // საზოგადოობა კაცთა, სოფელი ესე (მუნვე, 2, 2, 10).

ქვეყნიერი ქვეყანისაგანი, ქვეყანასა ზედა მყოფი.

ქვეშე დაბლა ანუ ძირს (დაბად. 1, 9; ფსალ. 8, 6; მატ. 8, 8, 9), под, внизу.

ქვეშეთი, **ქვემოთი** ძირისა.

ქვეშსაგები, **ქვეშაგები** საფენი, ლოგინი, ანუ სარეცელი, постель.

ქვეშლეღჳსა (ბალ.) ღვივის ხავსი, плаун.

ქვეშნიგუზისა (ბალ.) подлесник, копетень.

ქვეწარმავალი (მძრ.) ქვემძრომნი, მუცლით მავალნი ქიანი, მატლნი, გველნი და მისთანანი (დაბად. 1, 20 და შემდგომი; საქმ. 10, 12), гад.

[**ქვიანი**]

ქვითინი და **ქჳთქჳთი** გოდება (ნახე ტირილთან), рыдание.

ქვითმანკიერება შირიმი, каменная болезнь.

ქვითკირი შენობა ქჳსა და კირისაგან (ვეფხისტ. 865), каменное здание.

ქვირითა თევზთ კვერცხი ახალი, ხოლო დამარილულს ჰქვიან [ხიზილალა].

ქვისა დაკრება (ქუას დავჰკრებ) დაქოლვა, განტჳნვა ქჳთა, მოკუდინება (საქმ. 7, 58 და შემდგომი, კუალად 14, 19), побивать каменями.

ქვისლი ცოლის დის ქმარი. ესრეთ უხმობენ ურთიერთსა ქმარნი ორთა დათანი, свояк, [ან ცოლის და, свояченица].

ქვიშა მომსხო სილა (ნახე ქუასთან) (მატ. 7, 26; ფსალ. 77, 27), песок.

ქვიშარი ნარდის პაიკის მარტო ჯდომა.

ქვიშნა (ბალ.) უგრეხელა, гречиха, дикуша.

ქვიჯა მცირე როდინი, отупка.

ქურივი კაცი ანუ ქალი უმეუღლოდ დაშთომილი შემდგომად მეუღლის სიკუდილისა, вдов, вдовец (ფსალ. 67, 5; მარკ. 12, 42; ლუკ. 2, 37), вдова, вдовица.

ქურიმა (ბალ.) ფეტვი ღომის მსგავსი (ვეფხისტ. 1209).

ქია (ოთხფ.) ციდამტკაველა, პითიკი, მაიმუნის გუარია.

ქიბორჯი ისარი ორპირი (ნახე ისართან).

ქილა დერგი, მცირე ქოთანი, горшок.

ქილაკი ფოხალი (ნახე კოდი).

ქილვაში წვერთაგან ულვაშთ შესადგამი, бакембард.

ქილიფთარი მნე სასმელთა ღჳნოთა, პირის მეღვინე, ключник, питейный. თ. გილიდდარ [სპ.].

ქიმი კიდური ნავთა და მისთანათა (ნაპირთან ნახე), ქიმები კართა, ქუსლი.

ქიმია სწავლა გარდადნობისა მეტალლთასა და ეგევითართა, химия, алхимия, ἀλχυμία.

ქინაქინა პერუს კუნძულსა შინა პოვებული ხის ქერქი, ციების წამლად ხმარებული, хина, лихорадочная корка, *kina*.

ქინქლა (მწერ.) წურილი კოღო, [комар, мшица].

ქინძი (ბალ.) кишнец, кориандр.
ქინძისთავი თავმრგვალი ნემსი, булавка.
ქინძის თესლი (ბალ.) (გამოსლ. 16, 14), кориандр.
ქინძმანძუკა (ბალ.).
ქირა მიზდი, გარდაკვეთილი ფასი.
ქირაობა (ვჰქირაობ) ფასით დაკვეთა რისამე ჟამად, нанимать, брать в наем, на прокат.
ქირაფქა ჯაჭვიანი აბჯარი (ნახე ჯავშანი).
ქირდვა (ვჰქირდავ) აგდება, თავსაცილი, издеваться, насмехаться.
ქისა, ქესა თეთრის შთასადებელი პარკი (ნახე ვაშკარანი), кисет, мешочек.
ქიპი, ქისტი ნახე ქიშპი და ქიშტი.
ქიტი ქაფქირი.
ქიში ჰადრაკის თამაშობაში გაქცევა მოპირდაპირისა.
ქიშმიში სკიჯი (ნახე ყურძენთან).
ქიშპი ქისპი, ინადი, ჯაბრი.
ქიშტი ბლიკვი (ნახე მუჰი), тумак, туз, тычек, вяха, удар кулаком, *χαστούκι, χαστουκιά*.
ქიშური კიჩერი, მრგვალმარცვლიანი მტევანი (ნახე ყურძენი).
ქიცვი ქერქლი თევზთა და მისთანათა (ნახე ქერქი).
ქლამინდი სამეფო მანტია (მატ. 27, 28 და შემდგომი), хламида, *χλαμύς*.
ქლეშა (ვჰქლეშ) ძლიერად ხეხა ანუ თლა.
ქლიავი (ხე) მოდიდო და მოტკბო უშხუნა შავი ან მოწითანო, слива. გუარნი ამისნი: ა ლ ი ბ უ ხ ა რ ი, დ ა მ ა ს ხ ი, ო ტ უ რ ი, ღ ო ღ ნ ო შ ო, ღ ო რ ქ ლ ი ა ვ ა, ჰ ა ნ ჰ უ რ ი.
ქლიბი რკინათ საფხეკი ჰოპოსანი, терпуг.
ქმარი კაცი, მეუღლე ცოლისა (ლუკ. 2, 36; იოან. 4, 16 და შემდგომი), муж, супруг.
ქმნა (ვიქმ) კეთება, წარმოება საქმისა (დაბად. 1, 1 და შემდგომი; მატ. 12, 2), творить, делать. // (ვიქმნები) ვნებითი ამის ზმნისა (დაბად. 1, 3 და შემდგომი), [რასა იქს (ნახე იქ), იქმნება, იქნება, может быть].
ქმნული საქმე ნაქმარი (ფსალ. 8, 6), дело, творение.
ქმრიანი, ქმროხანი დედაკაცი ქმრის მეუღლე, замужная.
ქნარი ჩანგი თითებით საკრავი (ისაი. 5, 12), гусли.
ქნევა (ვაქნევ, ვიქნევ) ჰაერში ტრიალება ანუ მოღერება მახვლისა, ხელისა, გინა კვერთხისა დასაკრავად (ვეფხისტ. 20), махать.
ქობა არშია, სამოსელთ კიდურთ სადები, кайма, опушка.
ქობინა ტაბუცი, валек.
ქობინი კარავთა, გავალაკთა, დორეულთა, ანუ ეტლთა ზედან ჩამოცმული მოოქროვილი ვაშლის სახე ანუ ყვავილედი.
ქოთანი კეცის სადუღარი (ნახე გუდარაკთან) (რიცხ. 11, 8), горшок.
ქოთაო ცხენის სენი, ყელში ქოშინი.
ქოთარედი სვეტის თავზედ მრგვალი ბულაური (2 ნეშტ. 4, 12), окружиле.
ქოთება (ვაქოთებ) ხეთქებით ქექა.
ქოლგა დიდი სამზიური (თ.).
ქოლვა (ვჰქოლავ) აქოლვა, დაქოლვა, ჩაქოლვა (ესენი ნახე) (ჩახრუხ. 40).
ქონა, ქონება (მაქუს) ფლობა, პატრონობა (მატ. 13, 12 და შემდგომი, 25, 28 და შემდგომი), иметь.
ქონგური გალავანთა და ციხეთა კედელთა ზედა დაშორებით მოვლებული თავები, зубцы на стенах и оградах.
ქონდარი (ბალ.) чабер.
ქონდაქარი კასაბი, მეხორცე ანუ მზარეული (ნახე მთავარქონდაქარი).
ქონება ქონა, ანუ საქონელი, მონაგარი მოძრავი, ანუ მამული უძრავი, имение, движимое или недвижимое.
ქონი სიპოხე ხორცთა (ნახე ცხიმთან), жир.
ქონიერი ქონებიანი, მქონებელი.
ქორაფი (ხე) ბოკვი, осокор, пиклец, [ქორაფის ისრები (ვისრამ. 24)].
ქორაფი (ბალ.)
ქორაკი ავშარა.
ქორედი სახლი სახლზედ მრავლად ნაშენი, [ხომალდის ქორედი, палуба].
ქორეპისკოპოსი უეპარხიო ეპისკოპოსი, ანუ მაგიერი უპირატესისა, მუნ არა მყოფისა.
ქორი (მფრ., ლევიტ. 11, 16; ვეფხისტ. 363, 441, 471) ястреб (იხილენ სახელნი ესე კატილ. ანტ., § 102). გუარნი ამისნი: ბურაული, გეზელი, მწყაზარი, შაბარდუხი.
ქორი ქორედი, სახლის ერდოთა ზედა შენებული სახლი (მარკ. 14, 15; ლუკ. 22, 12), горница.
ქორკანდელი მაღლა საკიდარი ხომლი, паникадило.
ქორონიკონი ნახე ქრონიკოსი.

ქორფა ჩჩვილი უსუვარი. // ახალი ბოსტნეული, მწვანილი, ხილი და მისთანანი, свежий, нежный.

ქორწილი ლხინობა სძლის მოყვანის ჟამს (მატ. 22, 2, 3 და შემდგომი; იოან. 2, 1), брак, браки (ვეფხისტ. 1422 და შემდგომი), свадьба, пиршество свадебное.

ქორწინება კურთხევა გვრგვნისა, ერთი შვიდთა ეკლესიურთა საიდუმლოთაგანი, брак, бракосочетание.

ქორწინება (ვიქორწინებ) შერთვა მეუღლისა (1 კორ. 7, 9, 28, 36, 38), браком сочетаться, вступать в брак.

ქორწინებული შეუღლვილი ქორწინებითა, დაქორწინებული (მუნვე, 10 და 33, 34), вступивший в брак.

ქორჭილა (თევზ.) окунь.

ქოსა პოპლიკი.

ქოსი სპილენძ-ჭური, ქოსნაღარა (ვეფხისტ. 711, 1450; ჩახრუხა. 74).

ქოსმენი (ოთხფ.) სასუქი ღორი (ნახე ღორთან). [ქოსნაღარა]

ქოფიტი ტლანქად შექმნილი რამე, ჯერეთ გაუწმენდელი, оболваненный, вчерне сделанный.

ქოქანიკი ქანქანა.

ქოქი (ხე) ეკალი ჩირგვიანი.

ქოში, ქოშები ქუსლიანი ფოსტლები, башмаки с высокими каблуками, [черевик].

ქოშიკი (ოთხფ.) ვაციკი, წლის ბოტი (თხასთან ნახე).

ქოშინი (აქოშინებს) გაძნელებით ფშვნვა ხველისგან ან ყელის ტკივილისა.

ქოჩაბანდი მებრძოლთაგან ციხე ქალაქთ გარემოცვა და გზის შეკვრა.

ქოჩი (ხე) შეფოთლილი ანუ ვარჯოვანი ხე (ვახუშტ. 40).

ქოჩორა (მფრ.) ქათამი ქოჩრიანი, მრგვლად ბუმბულით თავმოსილი მომაღლოდ, хохлатая курица.

ქოჩორი შემოკვეცილი ვარჯი (ნახე თმასთან). [ქოჩქოჩანი водоворот].

ქოცო მცირე ქვევრი (ნახე ჭურთან).

ქოჭი ხეთაგან შემზადებული კურტანი სახედართა კოკების შთასადგმელად, вьючное седло.

ქოხი ტალავარი, უფრორე ფიჩხით და ჩალით დახურვილი (ნახე სახლთან), изба.

ქრთამი იძულებით და უსამართლოდ მირთმეული ძღვენი საქმის გასარიგებლად (ისაი. 5, 23; ფსალ. 14, 5 და 25, 10; ვეფხისტ. 731, 752 და შემდგომი), дар, мзда, взятки.

ქრთილი (ბალ.) შემოდგომის ნათესი ქერი (ისაი. 28, 25; ანგ. 2, 17), ячмень, [мера содержащая грань].

ქრისტე ქ҃ე, ბერძულად ეწოდების ცხებულსა და სხვათა ენათა ზედა ხშირად დადებულ არს ადგილსა ც ხ ე ბ უ ლ ი ს ა ს ა (იხილე ეს ლექსი) (გოდებ. 4, 20), помазанный, помазанник. // საკუთრად მიეწერების მაცხოვარსა ჩვენსა იესოს (დან. 9, 25; იოან. 4, 42), Христос.

ქრისტიანე, ქრისტეანე ქ҃ეანე, ქრისტეს მოსავი (საქმ. 11, 26), христианин.

ქრისტიანობა სარწმუნოება ქრისტესი, ანუ საქრისტიანო.

ქრისტეს ბეჭედი (ბალ.) лютик, куричья слепота.

ქრისტეშობის თვე ტირისდენი, დეკემბერი (ნახე თთვე), декабрь.

ქრისტნება (ვქრისტნავ) მოქცევა ქრისტეანედ მირონის ცხებითა.

ქრმიხანი ნახე ქმრიანი.

ქროლა (ჰქრის) ჰაერის მოძრაობა, ბერვა ქარისაგან (მატ. 7, 25 და შემდგომი; საქმ. 27, 13 და შემდგომი), дуть, подувать.

ქრონიკოს, ქ҃კს, ქორონიკოს, ქორონიკონი ბერძულის ლექსისაგან *χρόνος*, ანუ *κρόνος*, год или время, წ ე ლ ი წ ა დ ი, ჟ ა მ ი ანუ დ რ ო ამისგან ზედშესრული მამრობითად *χρονικός*, მდედრობითად *χρονική*, უმეშვეობითად *χρονικόν*, годовый, годичный და *χρονικά*, ანუ *χρονογραφία* წელთაღწერა, ანუ მოთხრობა საქმეთა დანიშნეითურთ წელიწადთა და დროთა მათთა, летопись. ქართულად ქ҃კს უხმარიათ წელიწადთა აღსარიცხველად 532 წლის მოქცევისათჳს, რომელსა ეწოდება დ ი დ ი ი ნ დ ი კ ტ ი ო ნ ი, великий индиктион, или летоисчисление по великому индиктиону. რამეთუ რიცხჳ მ თ ო ვ ა რ ი ს მ ო ქ ც ე ვ ი ს ა 19 და მ ზ ი ს მ ო ქ ც ე ვ ი ს ა 28 განამრავლო რა ერთი მეორესა ზედა, შეიქმნების 532 წელიწადი, რომელთაცა მობრუნების შემდგომად შვიდეულის დღენი, მთოვარის განახლება, პასექის დღე, მისნი წინამავალნი და შემდგომნი დღესასწაულნი, მარხვათ აღების დღენი და სხვანი ანგარიშში თვითოეულის წლი-

სანი, იმავე შვიდეულის დღეებსა და თვეთ რიცხვებში მოვლენ, როგორც 532 წელიწადს წინათ ყოფილან. ვრცლად განმარტება ამისი იხილე ქართულის დაბეჭდილის დაბადების ბოლოს. და ვინადგან აღრიცხუა ესე წელთა ქორონიკონის ქართველთ გარდა სხუათაგან არა არს ხმარებული, ამად სათქმელ არს აქა, ვითარმედ ესე ქ რ ო ნ ი კ ო ს ი, რომელია დ ი დ ი ი ნ დ ი კ ტ ი ო ნ ი, პ ა ს ხ ა ლ ი ა, ხ ე ლ თ ა და სხუანი აღრიცხუანი დაბადების ბოლოს დართულნი გაკეთებულ არიან რომაელის მონაზონის დიონოსის მიერ. ამანვე დიონოსიმ 516 წლითგან ქრისტეს შობით შემოიღო თჳსსა დროსა წელთაღრიცხუა ქრისტესით, რომელიცა მად ჟამადმდე არა სადა იყო ხმარებული, ვითა სჩანს ისტორიათაგან. ამის გამო საგონებელ არს, ვითარმედ საქართველოსა შინა ქრონიკოსით აღრიცხუა შემოღებულ არს ქრისტესით 780 წელსა, რამეთუ, უკეთუ დართო ამას ზედა 532, შეიქმნების 1312 წელი ქრისტესით. ამ წელიწადს ერთჳერ მობრუნებულა ქრონიკონს და მეორე დაწყებულა 1313 წელსა. და კუალად უკეთუ დართო 1312 ზედა 532, შეიქმნების 1844 და შემდგომსა წელსა 1845 დაიწყება მესამე ქრონიკოსი. ამისგან სჩანს, ვითარმედ საქართველოს მეისტორიე ვახუშტი ბაგრატიონი რაჟამს აღრიცხავს უმეტეს ათორმეტისა მობრუნებასა ქრონიკოსისასა დასაბამითგან სოფლისათა, ესე აღურიცხავს თჳთ თავით თჳსით, ხოლო ნამდჳლად აღრიცხუა ესე არა იქმნებოდა უწინარეს შემოღებისა დიონოსის მიერ პასხალისა და მეტადრე უწინარეს ქრისტეანობისა.

ქრცუნი, ქრცჳნი (ოთხფ.) დედალოსი (ლევიტ. 11, 30), **ласица**, [**горностай**, ნ. ყარყუმი].

ქრცხილა ხე კეთილფურცლოვანი, ხოლო შავქერქიანს ჰქვიან შავქრცხილა.

[ქხელვა[.

ქხელი საქუსალი, გრძლად დაქსელილი ძაფები მოსაქსოვად (ვეფხისტ. 455, 789), **основа в ткани**, ხოლო სიგანეზედ შენაქსოვთა ძაფთა ეწოდება ს ა ზ ე დ ა ო, **уток**. // ქ ს ე ლ ი დედაზარდლისა, აბლაბუდა (ფსალ. 38, 12), **паутина, паучина**. // ქ ს ე ლ ი აფრისა (ნახე აფრა).

ქხენა იხილე ქშენა.

ქხეხტი ძველი ლიტრა ნახევარი.

ქხოვა (ვჰქსოვ) ქსელისა და საზედაოს შეწმასნვა, **ткать**. // ქისათა, წინდათა და მისთანათა ქსოვა ჩხირებითა, **вязать**.

ქხუვი ხამი, შეუჩვეველი, განკსუვებული (ითქმის მფრინველთათჳს), **дикий, одичалый**.

ქუა, ქუაბი და სხუანი იხილენ ქ ვ ა, ქ ვ ა ბ ი.

ქუბი (ბალ.) ჰვავი.

ქუბი (ოთხფ.) ნეზვი, დედალი ღორი.

ქუდი თავსაბურველი კაცთა ანუ ქალთა, **шапка**. // პატარა ფიცარი ამოჭრილი და დალურსმნილი კართა ზედან ქუსლთა მათთა საბრუნავად, სამხეეწლო.

ქუდუნა (ბალ.).

ქუშვით, ქუშყანა, ქუშხკნელი და სხ., ნახე ქვევით, ქვეყანა, ქვესკნელი.

ქუთი, ქუთი! ქუცი, ძაღლთ მოწოდების ხმა, **куть, куть!** *κούτζι, κούτζι!*

ქუთუთო თუალთ საფარებელი, **веко, вежа, вежди**.

ქულა გაპენტილის ბამბისგან დახვეული ბურთი სასთველად.

ქულა (მფრ.) მართვე ქორთა, შავარდენთა, არწივთა და მისთანათა (ნახე მართვესთან).

ქულა, ხულა და **ქულბაგი** დუქანი ბაზრისა, ბაზარი, **лавка, ряды** (ვეფხისტ. 605).

ქუმელი ხალის ფქჳლი, **толокно** [1].

ქუნთა ბოჭკოთი ქსოვილი საფენი (ნახე ტერი).

ქუნთრუშა ვარდკოხა, სენი წითელას გუარი, **корь (болезнь)**.

ქუნჩი კუნძული, კუთხე.

ქურა ბრძმედი, **горнило, химическая печь**.

ქურანი (ოთხფ.) რახსი, წაბლისფერი ცხენი, **бурая лошадь**.

ქურდი მპარავი, **вор**.

ქურთენი, ქურთლი ხეთ ლაფანის აფსკა (ნახე ქერქი).

ქურივი ნახე ქვრივი.

[**ქურიმა** ნ. ქვრიმა].

ქური ბეწვიანი სათბობი ორთავე ხელთა ერთად შესაცმელი, **нарукавник**, ხოლო ცალის ხელისა თათმანი და ხელჯაგი.

[**ქურსი** (არაბ.) **тандур**].

ქურუმი კერპთა მღუდელი და მისანი (შავთ. 79), **жрец, гадатель**.

ქურუხი მოქურუხებული, წარბშეჭმუხნვილი, **нахмуренный**.

ქურქუმა (ბალ.) კრკო, ზაფრანა (ქებ. 4, 14), **шафран**.

---

[1] დედანშია **толотно**. რედ.

ქურციკი (ოთხფ.) ნიამორი, გარე თხა (2 სჯული. 14, 5; ვეფხისტ. 76), серна, сайгака. თ. ჯეირან.

ქურხლი ხურხლი, ხეთა ზედა დადებული თოვლი (ნახე თოვლთან).

ქურჯნვა მჯილის ცემა (ნახე მუჭი).

ქუხეტი გრძელი ნაწლევი ანუ ფაშვი (ლევიტ. 3, 3; მალაქ. 2, 3), утроба, требуха.

ქუსლი ფეხის უკანა კერძო (იერემ. 13, 22; ვეფხისტ. 604), стопа, пятки, задняя часть ноги. // ფეხთსაცმელთ უკანა კერძო, каблуки, пятки у обуви. // მისაგდებელის კარის თავსა და ბოლოს გრძელი ქიმები, ქუდთა შინა მბრუნავენი.

ქუსტარა გრძელი რანდა, შალაშინი, скребок, струга, ξύστρα.

ქუქუნაკი კურტაკი, მოკლე ტოლომა, куртка.

ქუქუნი ცხენთა და ვირთ წიაღი (ეზეკ. 23, 20), лоно. // ანუ ხურაობა მათი (ნახე ხურაობასთან).

ქუში დაძველებული ხველა და ქოშინი.

ქუში ქურუხი, შეჭმუხვილი, დაღრეჯილი (ვეფხისტ. 10, 122, 1221), угрюмый.

ქუჩუბო მარცვალთ ჩენჩო (ნახე ქერქთან).

ქუჩულა ყუავეთ დამათრობელი წამალი.

ქუცი, ქუცი ღორთ მოწოდების ხმა (ნახე ქუთი).

ქუხილი ძლიერი ჭექა ღრუბელთა შინა, შედეგად ელჳსა შექმნილი ილექტროული ძალისგან (ფსალ. 76, 18 და 103, 7), гром.

ქუხვა (ჰქუხს) გრგჳნვა, ხმა, ბგერა ქუხილისა (ფსალ. 17, 13 და 28, 3), греметь, возгреметь.

ქუჯაო ფქვილის მოსაგროვები საგველი, метла муки.

ქშენა, ქხენა, ქშინვა (ქშინავს) გასაგონად ფშჳნვა, ქაქანი (ვეფხისტ. 970), дышать.

ქშიქში ქათამთ დასაფრთხობი ხმა.

ქცევა (ვაქცევ) დაქცევა, დარღვევა შენობათა, ломать, разрушать, [лить]. // ფრიადის დაკლების მიცემა, დაგლახაკება, разорять, причинять убыток. // მოქცევა, მობრუნება, მოტრიალება, обращать, оборачивать.

ქცევა (ვიქცევი) მიმოსლვა, ანუ მოძრაობა (დაბად. 1, 2; საქმ. 17, 28), носиться, двигаться, [ворочаться]. // ყოფა, გება, დგომა სადმე (მატ. 17, 22; საქმ. 14, 3), пребывать, находиться где.

ქცევა (ვიქცევი) მრავალგუარად განეითარდების ზედდადებულთაგან მარცუალთა, ვითარ გაქცევა, бежать, წაქცევა, падать და სხ. (იხილენ თჳსთა ადგილთა).

ქცევა (ვუქცევ) შეცუალა კილოთა გალობასა, ანუ მუზიკასა შინა, перемена тона.//გარდმობრუნება, გარდაშლა გათიბულის თივისა და მისთანათა, переворачивать.

ქცევა გუარი ცხოვრებისა საზოგადოობასა შინა, ე. ი. კეთილი ანუ ცუდი საქციელი (ვეფხისტ. 221; შავთ. 100), поведение, поступок.

ქცევა მიწისა იმერეთში საზომი სახნავის მიწისა, რომელსა აქუნდეს 30 მხარი ანუ საჟენი. სიგრძე და ეგოდენივე სიგანე, ვითა ქართლში დღიური ანუ საქცევი.

ქცეულება საქციელი, ქცევა, поведение.

ქჳთინი, ქჳრითა, ქჳშა და სხ. იხილენ ქვითინი, ქვირითა და შემდგომი.

ღ

ქარაგმიანნი ლექსნი: ღ̃ი ანუ ღ̃თი, ღ̃თაება ანუ მ̃თაება, ღ̃თმთავრობა, ღ̃თისმშობელი, ღ̃თშემოსილი, ღ̃ივსულიერი და სხ. საუფლონი ესე ლექსნი დაიწერებიან საუფლოთავე ქარაგმითა.

ვიეთნიმე, რეცა მმკაცრად შედგომილნი კანონთა ღრამმატიკისათა, განმაშიშულებელნი ლექსთა ამათ უქარაგმოდ სწერენ ნათესავობითად ღმრთისა, ზედშესრულად ღმრთიური და სხ. გარნა ესე ვითარი გამოთქმაცა არა სადა იხმარების საზოგადოდ, არამედ ითქმის ღჳთისა, ღჳთიური და სხ. სხვებრ გამოთქმა ძალუძს, ვისცა ვითარ ენებოს, გარნა უქარაგმოდ განშიშულება საუფლოთა ლექსთა წინაალმდეგ არს საზოგადოდ მიღებულისა ჩვეულებისა და უშესაბამოცა მისდა: „რომელმან დასდუა ბნელი საფარველად თჳსად“ (ფსალ. 17, 11). ესრეთ განუსჯიათ ქართველთა მთარგმნელთა და მწერალთა წმინდათა მამათა და ამად ასოსა ამას ზედა საუფლონი ლექსნი სრულიად დაწერილ არიან თჳსითა ქარაგმებითა შესაბამთა მათთა ადგილთა ზედა, წესისაებრ ლექსიკონისა.

აქა შეისწავე, რამეთუ ლათინურსა და ბერძულსა ენათაცა შინა ლექსნი: Deus, Θεός და სხუანიცა მრავალნი არა ყოველთავე შინა ბრუნვათა შეუდგებიან საზოგადოთა კანონთა, ხოლო მითოლოღიურნი Διός, Jupiter, სრულიად შეიცულებიან ბრუნვათა შინა. მაგალ.: წრ. *Ζεύς*, ნათეს. *Ζηνός* ანუ *Διός*, მიც. *Ζηνί* ანუ *Διί*, შემასმ. *Ζῆνα* ანუ *Δία*, წოდ. *Ζεῦς*, წრფ. Jupiter, ნათეს. Jovis და სხ.

კუალად შეისწავე, რამეთუ მითოლოღიასა შინა ძველთა კერპთმსახურთა ღმერთთა სახელნი დაიწერებიან ქარაგმით არა თუ ზეიდამ, არამედ ქარაგმას უსმენ ქვეიდამ, ვითარ ღ͜თი. ესე ჰნიშნავს წარმართთა კერპსა. არა უჯერო იქმნებოდა ხმარება ამისი სალვთოსა შინაცა წერილისა (იხილე ფსალ. 95, 5): „ღ͜თნი წარმართთანი ეშმაკ არიან“.

ამ ღ ასოს მაგიერ ზოგნი ხმარობენ ყ უკანონოდ (იხილე ყ ასოსა შინა).

ღა მარცვალი ესე შეერთდების სხუათა ლექსთა და განავითარებს მათ.

1. ზმნათა საეჭვოსა კითხუასა შინა, ვითარ არსღა? ე. ი. კუალადცა არს? იქმნებისღა? მოვალსღა? და სხ., еще ли? уже ли?

2. მრავალთა ზენისზედათა და კავშირთა: არღა, არღარა, уже не, более нет. ვერღარა, ნურღარა, ვიდრეღა, ჰნინღა, თუმცაღა, დაღათუ და სხ.

ღაბაბი ნიკაპის ქვეშე ჩამოზეული ნაკეცი სიმსუქნისა, борода.

ღაბუა (მფრ.) ქათამი ანუ სხვა მფრინველი ნიკაპს ქვეშ ბუმბულით მოსილი წვერის მსგავსად, ვითა თავზედ ქოჩორა, на подбородке, махнатая курица.

ღადარი დაუნდობელი, მოღალატე (ვეფხისტ. 747), изменчивый.

ღადარინელი ნახე ღაზარინელი.

ღადირი წარზიდული სერი, ქედი გორათა.

ღადო ზღუათა ღელვის ნჩქრევა, ფურთუნი (ნახე წყალთან).

ღადრობა დაუნდობლობა, ღალატი, измена.

ღავილი (ღავის) ბლურიალი, ცუდი ტირილი, [верезжить, выть].

ღავლავი (ღავლავებენ) განგაშით დრტჳნვა მრავალთაგან, ропот, шум.

ღაზარინელი, ღადარინელი ვარსკულავთმრიცხველი, ანუ მესიზმრე (ჩახრუხა. 3), [გაზარინელი].

ღაზლა მსხჳლი მკედი მატყლისა, ანუ შლილი ფერადი (ნახე ძაფი).

ღაზობა ფრიადი შური, გუაჯი (ნახე შურთან) (ვეფხისტ. 140), ревность, рвение.

ღალა რაოდენიმე ნაწილი მოსავალთა, მამულის პატრონისადმი ბეგარად მისაცემი, ვიეთნიმე უხმობენ ყალანად, поземельная подать, или сбор с урожая.

ღალატი მუხთლად შეთქმულება მოსაკლავად ვისსამე (ვეფხისტ. 418, 434), умысл, покушение на жизнь чью. // განცემა, შეურჩენლობა (კუალად 1071), (ვუღალატებ) изменять.

ღალვა (ვღალავ, ვიღალები) დაშრომა, დაღალვა სიარულით ან მუშაობით, утомлять, -ся, уставать.

ღალღა (მფრ.) ყუავის გუარია, галка, кулик.

ღამე დრო დასლჳთგან მზისათ ვიდრე აღმოსლუადმდე (დაბად. 1, 5, 16; ფსალ. 1, 2 და 18, 2), нощь, ночь.

ღამის თევა დაისი (ნახე თევა).

ღამისხმხმობელი (მფრ., ლევიტ. 11, 17) вран нощный.

ღამორა, ღამურა (მფრ.) მღამიობი, მაჩქათელა.

ღანუხობა გაზაფხულის დრო.

ღანძილი (ბალ.) ჯიშკილა, черемуха, черемша. ს. ღანძილ.

ღაპალუპი ხშირი წვიმა, გინა ცრემლთა დენა.

ღაჟო (მფრ.) ჯინხვა.

ღაჟღაჟი (ბალ.) ფურცელთ ფერადობა, ვითა ხაშხაში.

ღართი წამოსასხამი საწვიმარი ნაბადი ბოჰკოიანი, бурка.

ღარი გრძელი ხე შუა ამოჰრილი გასადინელად წყალთა (ვეფხისტ. 704), жолоб.

ღარიბი უცხო ანუ გლახაკი (ვეფხისტ. 165, 792, 812), бедный, или странник. თ. ყარიბ [არაბ.]. // ღარიბი მარგალიტი (ნახე ობოლი) (მუნვე, 1362, 1375).

ღატაკი ფრიად გლახაკი, მკდოვანი და შიშველი.

ღაფალი გაუფრთხილებელი, წარმდები, გარეწარი (ვეფხისტ. 642, 720), оплошный, опрометчивый.

ღაღადება (ვღაღადებ) ხმამაღლად ზახილი (ფსალ. 30, 33; საქმ. 19, 28), вопиять, взывать, кричать, ხოლო სახელზმნად (ფსალ. 9, 6, 12 და 26, 6; მატ. 2, 18 და

25, 6), восклицновение, клик, вопль, шум.

ღაღადისი საბავთოს საქმის მოამბე ხმამაღლად (იობ. 1, 14 და შემდგომი), вестник.

ღაწვი ლოყა (ფსალ. 31, 9; ქებ. 5, 13), ланита, щека, челюсть.

ღაჭაღუჭი და **ღაჭუნი** ხვასტაგთ ცოხნის ხმა.

ღება (ვიღებ) აღხმა ხელის მოკიდებით, брать, принимать. ზმნა ესე მრავალგუარად განვითარდების ზედდადებულთაგან მარცვალთა: ა ღ ე ბ ა, ა მ ო ღ ე ბ ა, გ ა ღ ე ბ ა, გ ა რ დ ა ღ ე ბ ა, დ ა ღ ე ბ ა და სხ. (იხილენ თჳსთა ადგილთა), ვ ა ღ ე ბ, отворять.

ღებვა (ვღებავ) დაფერადება, სხვა ფერის მიცემა, красить.

ღებილი, ღებული დაფერადებული, შეღებული (ისაი. 1, 18), багряный, крашеный.

ღებინება (ვაღებინებ) იძულება სხჳსა აღებად, заставлять брать. // (აღებინებს) პირიდამ ღებინება, წარმონთხევა საჭმელთა და ბალღამთა სტომაქიდამ წამლის მიცემითა, ან უწამლოდ, рвать, рвота.

ღელე ჩავარდნილი ადგილი მინდორზედ ანუ მთათა შორის (ფსალ. 59, 8 და 64, 13, კუალად 83, 5), юдоль, юдолие, долина.

ღელვა (ღელავს) ზღჳს ხეთქება, ფურთუნი (წყალთან ნახე), волноваться (ფსალ. 41, 7; მატ. 8, 24; საქმ. 27, 41), волна, буря. // ღელავს, ღელვიანი ითქმის ნაქსოვთათჳსცა (ნახე ტალღიანი).

ღელვა გვემული, ღელვილი შეჭირვებული ღელვისგან, обуреваемый.

ღეო ძნა მდგარი ხუთეულიდამ ოცეულადმდე.

ღერება (ვუღერებ) ნახე მოღერება (ვეფხისტ. 1393).

ღერი მცირე ნაპობი შეშისა, полено. // ხრო მცენარეთა, стебель.

ღერო ხრო ბალახთა და მხალთა (იხილე ხერი), стебель.

ღერღეტი (მეგრ.) ბატი, гусь.

ღერღვა (ვღერღ, -ღავ) ცერცჳსა და სხუათა მარცვალთა ხოშორად დალეწა საფქველზედ. // კბენა ანუ გამოხვრა ძვალთა მხეცთა და ძაღლთაგან.

ღერძი ურმის თვალთა და ბორბალთ საშუალ გავლებული ხე ანუ რკინა საბრუნავად (გამოს. 14, 25), ось.

ღეღა (ვიღეღ) გაშიშულება, გარდაღეღა.

ღვალო, ღოლო (ბალ.) конский щавель.

ღვალოშმაგა, ღოლოშმაგა (ბალ.) ღუარძლი, грыжная трава.

ღვამი, ღომი (ბალ.) просо.

ღვარი წვიმისგან მოვარდნილი წყალი (ნახე წყალთან) (ფსალ. 17, 4 და 35, 8, კუალად 123, 4; ვეფხისტ. 1400), поток.

ღვარძლი (ბალ.) ხვარბალი მაწყინარი (მატ. 13, 25 და შემდგომი), плевелы, рожки.

ღვაფი ნახე ღვიფი.

ღვაწლი ყოფა გაჭირებაში, შრომაში, ანუ ბრძოლაში (ლუკ. 22, 44 და 2 ტიმოთ. 4, 7), подвиг.

ღვაწლისამძლე გამარჯვებული ბრძოლასა შინა.

ღვედი დაწნული თასმა (ნახე საბელთან) (საქმ. 22, 25; ვეფხისტ. 1361), ремень, верви.

ღვედკაცი (ხე) ჯაშაკურა (შავთ. 60).

ღველფი ნაკვერცხალმრავალი, ანუ ნაცარი წითლად გახურვებული ნაღვერდალს ქვეშე (ნახე ცეცხლთან).

ღვერფი შეგროვებული, გროვა (ისუ. 8, 29), громада.

ღვეძლი, ღვეზელი ხმიადის კუპატი, ხორცით ან თევზით გამომცხვარი (ნახე პურთან), опреснок, пирог (3 მეფ. 14, 3).

ღვია (ხე) ეკლებიანი ხე (ისაი. 55, 13), крапива, вереск, можжевельник, зеленица.

ღვივება (ვაღვივებ) ნახე გაღვივება. // ღ ვ ი ვ ი ს ითქმის: 1. ცომისათჳს გაფუვებულისა, 2. ნაკვერცხალთათჳს, ე. ი. წითლად სჭჳრს; 3. ცხოველთ სიმსუქნისათჳს ანუ ათქჳრებისა.

ღვინისმწდე მერიქიფე, პირის მეღჳნე, ღვინის დამსხმელი და მიმრთმევი, виночерпий.

ღვინო, ღჳნოჲ ყურძნის ნაწური სასმელი (ფსალ. 4, 7; მატ. 9, 17 და შემდგომი), вино, *οἶνος*. თ. შარაბ [არაბ.], ჩახირ, ს. გინი. ახალს ნაწურს ეწოდება ტ კ ბ ი ლ ი; ჯერეთ დუღილში მდგომს — ა მ ბ ო ხ ი; დადუღებულს — მ ა ჭ ა რ ი; ცეცხლზედ ნადუღს — ბ ა დ ა გ ი; წყლით აღზავებულს — ღ ჳ ფ ი; უწყლოს — შ უ მ ი და ა რ მ უ ნ ჯ ი; გაწყალებულს — ქ ო ქ ო; ნაწნეხს ჭაჭას, რა დაალტობენ წყლითა და მეორედ გამოჭკაჯავენ, ეწოდება შ ა მ ა ნ ი; მგბარსა შაქრითა და სუნნელით ზავებულს ღვინოს — კ უ ნ დ ი ტ ი; დამჟავებულს — ძ მ ა რ ი.

ღვინობის თვე სთულისა, ოკდომბერი (ნახე თთვე), октябрь.

ღვინჯა ხვინჯა.

ღვინჭილა, ღურინჭილა (მძრ.) ужовка.

ღვიფი, ღვაფი დიდი ცჭარი მრავლად შთამოცვივნული (ნახე წვიმასთან).

ღვიძილი (მღვძავს) ფხიზლობა, უძილობა (ფსალ. 126, 1), бдоть, бодрствовать.

ღვიძლი ნაწილი ცხოველთ შიგანურისა, გულთან მდებარე, მოშავოდ წითელი (გამოს. 29, 13), печень, печенка. თ. ჯიგარ [სპ.], [ღვიძლი და, ძმა, родная сестра].

ღულარჭნილი მიმოხრილი, იკანკლედი (გამოს. 30, 3), витый.

ღულერჭი წნელი.

ღულიაპი, ღლიაპი, ღლაპი (მფრ.) მფრინველთ მართვე ჯერეთ უნაკრტენო (ნახე ლაპი).

ღურა (ვღური) დათხევა, დაღურა (ვეფხისტ. 176, 902 და შემდგომი).

ღუწა (ვიღუწი), **ღუწოლა** მომჭირნეობა, ანუ ხრუნვა (ფსალ. 39, 17 და 2 ტიმოთ. 2, 5), подвизаться, пецись.

ღვთაება არსება, ანუ თჳთება ღვთისა (რომაელ. 1, 20; ვეფხისტ. 1444), божество. // მსოფლიონი ღ ვ თ ა ე ბ ა დ, მ ღ ვ თ ა ე ბ ა დ და პ ი რ ი ღ ვ თ ი ს ა დ უწოდებენ ხელითუქმნელსა ხატსა მაცხოვრისასა, нерукотворенный образ.

ღმერთი ღ͞ი, არსება პირველსაუკუნო, უზენაესი და მხოლო მიზეზი არსთა დასაბამიერთა, რომელნიცა არსებენ მის მიერ (დაბად. 1, 1; იოან. 1, 1), бог. // ხოლო განსასხუავებლად კერპნი წარმართთანი დაიწერებიან ქვეშე დასმითა ქარაგმისათა: ღ͟თი, ღ͟თა, ღ͟თაეი, ღ͟თნი.

ღმერთმამაკაცი სახელი ესე ეკუთნვის ძესა ღვთისასა განკაცებულსა, богочеловек.

ღმერთმთავრობა განგებულება ღვთისა მიერი სოფელსა ზედა და სავსებასა მისსა, богоначалие.

ღვთითშემოსილი ღირსებული ხეგარდმოსა მადლისა, богоносный.

ღვთიანი ღვთის მოშიში, набожный.

ღვთივაღრჩეული განსაკუთრებული ღვთისა მიერ, богоизбранный.

ღვთივგანბრძნობილი ზეგარდმოთა სიბრძნითა განათლებული, богомудрый, богомудренный.

ღვთივგანცხადება, ღვთის განცხადება დღესასწაული ნათლის ღების ქრისტესისა 6 იანვარს, богоявление.

ღვთივგჳრგჳნოსანი ამაღლებული ღვთისა მიერ დიდებითა და პატივითა (ითქმის ქრისტეანეთათჳს მეფეთა), боговенчанный.

ღვთივდაცვული ზებული საფარველსა ქვეშე ღვთისასა, богоспасаемый, богохранимый.

ღვთივმიმადლებული აღსავსე ზეგარდამოთა მადლითა, წყალობითა და სიყუარულითა ღვთისათა (ითქმის ყოვლად წმინდისათჳს ღვთისა დედისა), благодатная.

ღვთივმქადაგებელი მასწავლებელი და აღმსაარებელი ცნობასა ღვთისასა, боговещатель, богопроповедник.

ღვთივსანატრელი ღვთისა მიერ დიდებული, богоблаженный.

ღვთივსულიერი მოფენილი, მობერილი ზეგარდამო ღვთისა მიერ (2 ტიმოთ. 3, 16), богодухновенный.

ღვთივშვენიერი შესაბამი ღვთისა, ანუ განშვენებული მის მიერ, боголепный.

ღვთისგარეგანი განდგომილი ღვთისაგან და სარწმუნოებისა, богоотступник.

ღვთისმბრძოლი, ღვთისმოლალე ურჩი და წინააღმდგომი ღვთისა (საქმ. 5, 39), богоборец, богопротивник.

ღვთისმეტყველება სწავლა ღვთაებისათჳს და პატივისცემისა მისისა, богословие.

ღვთისმეტყველი მეცნიერი ღვთისმეტყველებისა, ხოლო საკუთრად სახელი ესე მიეწერების წმინდასა იოანე მახარებელსა, богослов.

[ღვთისწყალობა]

ღვთისმეცნიერება ცნობა ღვთისა და მცნებათა მისთა, богопознание.

ღვთისმოყუარე, ღვთისმოყუარული ღვთიანი, მქონი სიყვარულისა ღვთისასა, боголюбец, боголюбивый.

ღვთისმოძულე, ღვთისმტერი უღვთო, ღვთის გარეგანი, богоненавистник.

ღვთისმსახური, ღვთის მოშიში განკრძალული მსახურებასა, პატივისცემასა და შიშსა ზედა ღვთისასა, благочестивый, богобоязненный.

ღვთისმშობელი დედაღვთისა, ყოვლად უბიწო ქალწული მარიამ, მშობელი ქრისტეს ღ͞ისა, богородица.

ღია გაშლილი, ანუ ახდილი, არ დახშული (ვეფხისტ. 1268), открытый, отпертый. ს. ბაც.

ღილი მრგუალი შესაკრავი (ნახე კილო) (გამოს. 26, 5; ვეფხისტ. 304), пуговка, пуговица. თ. დუგმა.

ღიპა (ბალ.) дягиль.

ღიმი, ღიმილი მცირედი სიცილის ნიშანი ბაგეთა ზედა (ვეფხისტ. 288, 560), **улыбка.**

ღინცილი სიღოდა, უბადო და უშვერი ხმიანობა (სიცილთან ნახე ესენი).

ღინწი პატარა დანა კალმის საჭრელი (ნახე დანა), перочинный нож. თ. კალამ თრაში [არაბ.-სპ.].

ღირება (ვაღირებ) ფასის დადება, ანუ შევაჭრება, შეძლევა.

ღირებული ფასიანი, ფასის მქონი, **ценный, имеющий цену, достоинство.**// ჯეროვანი, შესაფერი ფასი, **сходная цена.**

ღირვა (ღირს, ღირდა), მიღირს (ნახე), ფასი აქვს (ვეფხისტ. 885 და 894), **стоит цены.**

ღირსება (ვაღირსებ, ვეღირსები) მიმთხვევა ღირებისა (მუნვე, 524), **удостоить, -ся.**

ღირსება მართებულად გება ხარისხისაებრ, ანუ თვთ ხარისხი, მოადგილეობა, **достоинство.** // ტიტლო სამღუდელოთა, ხოლო აწინდელისაებრ მღუდელ მონაზონთა (ლუკ. 1, 75), **преподобие.**

ღირსი მართებული, ჯეროვანი (მატ. 3, 8), **достойный, надлежащий.** // ნამსახური, ღირსებისა ანუ ადგილის მქონე (მატ. 8, 8 და 10, 10, 11, 13, 37 და შემდგომი), **достойный, заслуживающий.** // მართალი, წმინდა, ანუ ტიტლო მონაზონთა (ფსალ. 29, 4 და 30, 24), **преподобный, святый.**

ღირღალი, ღირღლოვანი და ღრიღლოვანი მრადი-მრუდი, ოღრო-ჩოღრო (ისაი. 40, 4), **острый.**

ღირღიტა გუთნის მეორე პატარა გოგორა.

ღირღიტი (უღირღიტებს) დასტერება, დაცქერა, მზერა.

ღიღველი (მფრ.) ნაკრტენ-დაცვივნული მფრინველი, [**птица голая, бесперая**].

ღიღინი (ვღიღინებ) გალობა საამოს ხმით.

ღიჰა (ბალ.), [ნ. ველის ყრდელი].

ღიჭი (ხე) ბრწამლი.

ღიჯინი (ვეღიჯინები) უგვანი ვედრება.

ღლავი, ღლაბუტა (თევზ.) ლოქო, **сом.**

ღლია (იღლია ნახე) **пазуха.**

ღლაფი ღვაფი, ღეიფი ან ლაფი.

[**ღმერთი** ნახე ღვთაება].

ღმერთობა ნახე ღვთაება.

ღმეჭა (ვიღმეჭ, ვიღმიჭები) ღრეჯა, სახის ჭკნობა, **морщиться.**

ღმუვილი (ღმუვის) მხეცთ ბღუ̈რიალი (ტირილში ნახე), **выть, реветь.**

ღნიოში საძაგელი, ცუდი რამ.

ღობე ჯალჯის ზღუდე, ანუ გავლებული რამე გზის შესაკრავად (ნახე ზღუდესთან) (ფსალ. 61, 3; ისაი. 5, 5), **оплота, ограда, ограждение, [забор].**

ღოლო, ღოლოშმაგა, ღომი და სხ. (ბალ.) ნახე ღვალო და შემდგომი.

[**ღომი** просо (ნახე ქერიმა)].

ღომონიმია, ომონიმია ნახე ერთ-სახელთან.

ღომორი, ღომური 15 მოდი, ხოლო მცირე ღომური 10 მოდია (საწყაოსთან ნახე; გამოს. 16, 16), **гомор.**

ღონა, ღოჯა (თევზ.) პატარა ლოქო. [// **головач, головастик**].

ღონე ძალი, ძლიერება სხეულისა, **сила, мочь.** თ. ჯანი [სპ.]. // საშუალობა აღსასრულებელად წადილისა (ვეფხისტ. 215, 238, 245), **способ, средство.** თ. ილაჯ [არაბ.], ს. ჭარ.

ღონება (ვაღონებ, ვღონობ) ნახე დაღონება.

ღონიერი ძლიერი, ძალის მქონებელი, **сильный, могучий, силач.**

ღონიერება ძლიერება, ღონის ქონება.

ღონისძიება რაიცა მოიგონების საშუალობად, **способ.**

ღონღილი (ვღონღილებ) სნეულის სლუა (ნახე სიარულში), **брести, бреду.**

ღორდათვი (მძრ.) მიწის შავი ბობოლი.

ღორი (ოთხფ.) ცნობილი შინაური ხვასტაგი (მატ. 6, 7 და 8, 30 და შემდგომი), **свинья,** *γουρούνι, χοῖρος*. მამალს ეწოდების ეშეი ან ტახი, დედალს—ქუბი და ნეზვი, დაუკოდავს—კერატი, სასუქს—ქოსმენი, შვილთა მათთა—გოჭი და თელა, მოზდილს გოჭს—ბურვაკი.

[**ღორქლიავა** **чернослива**].

ღორღი წუ̈რილი ნალეწი ქვა და აგური (ნახე ქვასთან), **булыжник, щебень.**

ღოღვა (ვღოღავ) ძრომა (ნახე სიარულში), **ползать.**

ღოღნოშო (ხე) მრგვალი ქლიავი.

ღოჯი დიდი კბილი (ნახე კბილთან).

ღრამმატიკოსი მწიგნობარი, წერილთმეცნიერი (ისაი. 33, 18), **книгочий.**

ღრამმი უსიერცო ხაზი (ნახე სხეულთან), **черта,** *γραμμή*.

ღრანტე, ღრანტალი ღირღალი, ღრე, **ухаб.**

ღრაჭა ხრტილი, ძუალთა და რბილთ საშუალი, **хрящ.**

ღრაჭუნი (ვაღრაჭუნებ, ვიღრაჭუნებ) კბილთ ხეხება ერთიმეორეზედ, ღრჭენა, **скрежетать зубами.**

ღრე ნღრე, ფლატე და სოროებიანი ადგილი (ვეფხისტ. 201), ухаб, обрыв.

ღრედი (მეგრ.) ობარა.

ღრეკილი დაშავებული (დაღრეკილი ნახე).

ღრენა (ვუღრენ, ღრინავს, იღრინება) ჯავრობა, ღრინვა, ბრდღვინვა მხეცთა, ლომთა, ვეფხთა, ძაღლთა და მისთანათა (ვეფხისტ. 901), **рыкать, реветь, ворчать,** [მღრინავი, **собака**].

ღრეობა ხრიანცელი ანუ ღინცილი მთვრალთა.

ღრეჭა (ვიღრიჭები) კბილების გამოჩენით სიცილი, зубы скалить.

ღრეჯა (ვიღრეჯ, ვიღრიჯები) ღმეჭა, დაღრეჯა (ვეფხისტ. 940), нахмуряться.

ღრიალი (ღრიალებს) ცუდი ტირილი, ბღუვილი, ან ხმამაღლად ზახილი უკაფიო, **реветь.**

ღრიანკალი (მძრ.) მორიელი (ლუკ. 10, 19), **скорпион.** // ხოლო საზოგადოსა ხმარებასა შინა უხმობენ ფალანგასა, **фаланга.** // ნიშანი ზოდიაკოსი, რომელიცა ოკდომბერში მიითვალავს მზესა (ნახე ზოდიაკო).

ღრინვა (ღრინავს) ნახე ღრენა, **ворчать.**

ღრიპონი ბადე დიდი და გრძელი (ნახე ბადესთან).

ღრიღოლი ნახე ღირღალი.

ღრმა ძნელად შთასაწდომი, გინა მიუწდომელი (იოან. 4, 11; ფსალ. 91, 5), глубокий.

ღრუ მიწასა შინა ფუღურო, ანუ შენობათა შორის ცარიელი სოროსავით, нора, или промежутки.

ღრუბელი შესქელებული ორთქლი ზეაღწეული ჰაერსა შინა, რომელიცა გარდაიქცევის წვიმად ანუ თოვლად (დაბად. 9, 14; ფსალ. 17, 11, 12 და 96, 2; ვეფხისტ. 248), **облако, туча.**

ღრუბელი წარსახოცელი, რომელსაცა ზღვათა შინა ცხოველი რამე შეიქმს ბუდედ თჳსად და კლდეთა მიეკვრის, ვითა ხავსი, არს სხვაცა, რომელი ხეთა ფუღუროთა შიგან შეიქმნების, ვითა სოკო (იოან. 19, 29), **губа, грецкая губка.**

ღრუდო მიწათა შინა ამოთხრილნი ორმონი ერთიმეორისკენ განხვრეტილნი წყალთ გასატანად ურწყულთა ადგილთა შინა. თ. ქარიზ [სპ.]. // მდინარის კიდეთა ზედა ფშანი, ანუ თევზთ საბუნაგო ზამთარ.

ღრუტუნი გრუტუნი ან ღუღუნი.

ღრღნა (ღრღნის) ძვალთ ხვრა. // ითქმის სატკივართათჳს ძვალთა შორის ტეხისა, ანუ წჳენტისათა.

ღრძილი კბილთ ფესვის გარემო ხორცი, **десна,** *τζιτζιά.*

ღრძობა (ვიღრძობ) ფეხისა ან ხელის ძვალთა და ძარღვთ გამრუდება, **растянулась жила.** // ნახე ჩაღრძობა, წაღრძობა.

ღრჭენა (ვიღრჭენ) კბილთ ღრაჭუნი (მატ. 8, 12; ფსალ. 34, 16), **скрежотать, скрожет.**

ღრჯა ისარი მწვეტიანი (ნახე ისართან).

ღუარი, ღუაწლი, ღულარჭნილი და სხ. (ნახე ღვარი, ღვაწლი და შემდგომი).

ღუდუდი წითლად ამომჯდარი ფოლაქი მწერთ კბენისაგან, რომელიც მალე განჭქარდება.

ღუდღუდი (ღუდღუდებს) ვარვარი, ლაპლაპი, შეშათა კეთილად ნთების ხმა.

ღუზა ხომალდთა დასაბმელი დიდი კავი, **якорь.**

ღულამბარი წინამო, ხილფი (ნახე თმასთან).

ღული ხერხვით ნამგალი.

ღუმელი ღჳმელი, ფურნე პურის საცხობი.

ღუპვა (ვღუპავ, ვიღუპები) ნახე დაღუპვა.

ღურკანი ბეჭებში ამოზნეული კუზი.

ღურღური გრიალი მუცლის ტკივილისაგან.

ღუღუნი (ღუღუნებს) ღიღინი, ანუ გრუტუნი მფრინველთა, **ворковать.**

ღუწა, ღჳა, ღჳნო, ღჳმელი და სხ. (ნახე ღვწა, ღვია, ღვინო, ღუმელი და შემდგომი).

ყ

ქარაგმიანნი ლექსნი: ყ҃ი — ყ ო ვ ე ლ ი, ყ҃დ—ყ ო ვ ლ ა დ.

რომელთამე ლექსთა შინა ასოსა ამას ხმარობენ ნაცვლად ხ უკანონოდ, ვითარ მ ე ყ ს ი ე რ ი ნაცვლად მ ე ხ ს ი ე რ ი ზმნისაგან მ ა ხ ს ო ვ ს—ხ ს ო ვ ნ ა, ჴ ყ რ ი დ ე ს თავთა, ჴ ხ რ ი დ ე ს უნდა, ე. ი. მოიხრიდენ, ანუ იქნევდენ ასაგდებად (მატ. 27, 39), **кивать, покивать головою,** კვალად ხმარობენ ნაცვლად კ უკანონოდვე (ნახე ასოსა თანა კ), ანუ ნაცვლად ღ. მაგალ.: ღალა—ყ ა ლ ა ნ ი, ღარიბი—ყ ა რ ი ბ ი, ღულამბარი—ყ უ ლ ა მ ბ ა რ ი და სხ.

ყაბაჩა სპარსთა ქალთა მოკლე ქათიბი გარედამ საცმელი (ვეფხისტ. 454 და 1138 და შემდგომი), **род кацевейки.**

ყაენი ყეენი (ნახე ხანი).

ყავა იამანურის ხის მარცვალი სასმელად ხმარებული, кофе, *κοφές*.

ყავარი თხელი ფიცარი შენობათ დასახურავი, кровельная доска.

ყავარჯენი ჯოხი თავჯვარედინი (ნახე ჯოხთან), костыль.

ყათარი (ოთხფ.) სტრატული.

ყაითანი ფართო ზონარი, шнурок, гайтан, *γαϊτάνι, γαϊτανάκι*.

[**ყაისი**]

ყალანი ღალა, ბეგარა.

ყალბი რიოში, поддельный, фальшивый.

ყალიბი დარიჯაგი, форма, калибер, *καλούπι*.

ყამირი კორდი, უმუშევარი მაგარი მიწა.

ყანა (ბალ.) მოსამკელი პური, [пашня].

ყანთარი ლოღარიკი, ცალსასწორა, безмен, *καντάρι*. თ. ყანთარ [არაბ.].

ყანობირი (ბალ.) ყანები, მოსავალი პურისა (რიცხ. 20, 17; მატ. 12, 1), село, засеянное поле.

ყანჩი (მფრ.) ფასკუნჯი (2 სჯული. 14, 13), гриф, колпик, морской орел.

ყანწი ქარახსა, ღვინის სასმელად გათლილი რქა (ნახე სასმისთან), роговая чаша.

ყარაბინა თოფი მოკლე და ზრქელი (ნახე თოფთან), карабин.

ყარამფილი (ბალ.) ნახე კარიოფილა.

ყარაული დარაჯა.

ყარყატი (მფრ.) ასიდა (ეროდიო და იშხვარი ნახე) (ფსალ. 103, 17), аист.

ყარყანტო საყლაპავი ხორხი.

ყარყუმი (ოთხფ.) თეთრი ქრცჳნი (ნახე კარკუმი), горностай.

ყაურმა მოხრაკული ხორცი, рагу, *καβουρμάς*.

[**ყაყანი** крик, шум].

ყაყაჩო, ყაყაჩორა (ბალ.) გარეული ხაშხაში, мак дикий.

ყაწიმი ხმლის სამხარიღლივე, [портупей, бандалер].

ყაჭი აბრეშუმის პარკი, ბოჟი გამოხარშული, шелк-сырец.

ყაჯარი ორთუქი.

ყბა ღაწვის ძუალი, челюсть.

ყბედი მოტარტარე უშვერად და მოუღალავად, ტარატურა, болтун, болтливый.

[**ყბედობა**]

ყდა საქსოვართ გასაბამი ჯალდა. // შეკრულის წიგნის გვერდის ფიცარი.

ყევარი ორუღელი ხარი, две пары волов.

ყელვიწრო ჰურჰელი და მისთანა რამე პირთან შევიწროებული, узкогорлый.

ყელი კისრის ქვეშეთი, горло.

[**ყელსაბამი**]

ყენება (ვაყენებ) დაყენება.

ყეფა (ჰყეფს) ძაღლთ ღავღავი, კავკავი, ხმიანობა, лаять.

ყვავი (მფრ.) ворон.

ყვავილი (ბალ.) მცენარეთა სათესლეთა ფურცელნი ფერად ფერადნი, цвет. // ჰ ყ ჳ ა ვ ი ს გამოღება ყჳავილთა, გაშლა (ფსალ. 71, 16), цветы, процветать.

ყვავილი მსხმო, ბუგრი, სენი ასაჰრელი, оспа.

ყვანა (ვიყვან) ნახე აღყვანა, მიყვანა და სხ.

ყვანა სატალი, მუცლის ფაღარათობა, понос.

ყვარვა (მიყვარს) ქონება სიყვარულისა (ფსალ. 4, 2), любить.

ყვედრება (ვაყვედრი, -რებ) შეურაცხად ხსენება, ანუ ტუქსვა, მხილება (ფსალ. 14, 3 და 30, 13, კჳალად 68, 7, 9; ლუკ. 1, 25), укорять, покосить, поношение, нарекание. // დამადლება, დამუნათება, одолжать, или упрекать.

ყველა, ყველაკაჲ ყოველი (ვეფხისტ. 101 და შემდგომი), всяк, или всё.

ყველი მაგრად შედედებული რძე, сыр (იხილენ სახენი ამისნი: დ ე ლ ა მ ო ტ ი, თ ე ლ მ უ ზ ი, კ ვ ე რ ე უ ლ ი, მ ო თ ა ლ ი, ს უ ლ უ დ გ უ ნ ი, ხ ა ჭ ო).

[**ყველიარი**]

ყვერბი კერა, ცეცხლაპირი.

[**ყვერბეული**]

ყვერბული შაფართხელა, ხმიადი (დაბად. 18, 6; რიცხ. 11, 8; ეზეკ. 4, 12), потребник, опреснок.

ყვერული (მფრ.) დაკოდილი მამალი ქათმისა, каплун.

ყვითელი ფერი კვერცხის გულისა (ნახე ფერთან), желтый.

[**ყვინჩილა**]

ყვირილი (ჰყვირის) უშვერი ხახილი, კივილი, кричать.

ყივილი (ჰყივის) მამლის ხმიანობა, кикирикать, пение петуха. // კივილი, ღაღადება კაცთა (ისაი. 24, 14), вопиять, возопить.

ყინელი ტეხურა, სიცივისგან მოჰირება (ფსალ. 147, 6), мраз, мороз.

ყინვა (ჰყინავს) უჰირებს სიცივე, морозить.

ყინული სიცივისგან მაგრად შესქელებული წყალი (დან. 3, 69), ყ ი ნ ე ლ ი და ნ ე ფ ხ უ ა,

лёд и мрав; თხლად შესქელებას ეწოდება ძ გ ი ფ ი, ხოლო ზრქელსა ვიდრე კაცთა სავალად—ხ ო რ გ ი, რა ხორგი მოსქდეს და პირპირ მოჰქონდეს—თ ო შ ი და შ ლ ო- რ ი, ფსკერიდამ ამოსულს თოშს—ე ნ თ ე- ლ ი, თოვლთა ნადენს მოძგიბულს—ლ ი პ ი.

ყლაპვა (ვჰყლაპავ) შთანთქმა, глотать.

ყლორტი კლერტი, ღერი ან ზრო, стебель.

ყმა ჭაბუკი, ე. ი. ყრმა, ახალგაზდა (ვეფხისტ. 85, 87, 93, 95, 239), юноша, молодец. // მებატონის აგარაკში მოსახლე (ისაი. 44, 21), раб, подданный, крестьянин.

ყმაწვილი, ყრმაწული ყმარწვილი, ბოშვი, дитя, ребенок.

ყნოსა (ვიყნოს) სუნი, სუნება (ნახე საგრძნობელთან), обонять, нюхать.

[**ყოდალი** ნ. ისარი]

ყოველი თვითოეული, всяк (ფსალ. 38, 11 და 115, 2), всякий. // სრულიადი, ყოველივე (მუნვე, 1, 3 და 8, 6, 7, 9), весь, вся, все.

ყოვლად ყ~დ, ს~დ, ხოლო დართული ზედშესრულთა სახელთა შეიქმს მათ აღმატებითად, მაგალ., ყოვლად წმინდა, ყოვლად უბიწო და სხ.

ყოვლად დასაწველი საკვერთხი, მრგვლიად დასაწველი (ფსალ. 50, 16, 19), всесожжение.

ყოვლისა მპყრობელი ღმერთი, განმგებელი სრულიად დაბადებულთა (ოსე. 12, 5), вседержитель.

ყოვნება (ვჰყოვნი) დაგვიანება (ფსალ. 39, 17), закоснеть, медлить.

ყოლა (მყავს, მივის, მესვა, გესვა, ჰესვა) ქონა სულიერთა პირთა, иметь кого.

ყოლაოზი ნახე ყულაოზი.

ყოლბი (ვეფხისტ. 970, 972).

[**ყომრალი**]

ყორანი (მფრ.) დიდი ყუავი (3 მეფ. 17, 6), вран, ворон.

ყორე უკიროდ და უტალახოდ ნაგები ქვს კედელი (ვეფხისტ. 1280).

[**ყორჩი** телохранитель].

ყოფა, ყოფნა (ვარ, ვიყავ) ზმნა არსებითი, გება, დადგრომა (მარკ. 9, 4), быть, находиться, [ვუყავ, ქმნა, ვუყოფ, ვეყვი, ნათესაობის ქონება, иногда говор... ვარი მე, ხარი შენ ... მეყოფა, მეყო, довольно мне].

ყოფა (ვჰყოფ) ქმნა, კეთება (ფსალ. 1, 3 და 36, 3, 5), творить, делать, მეყო. // განყოფა, განწილვა, განწვალება, делить, разделять.

[**ყოფაქცევა** обхождение].

ყოფინება (ვამყოფინებ) ვაკმარებ, კმარება, საკმარად ქმნა, довольствовать.

ყოფნა (ეყოფა, ეყოფის) ეკმარება, საკმარად გება.

ყოში მაჯის სახლის პირი.

ყრა (ვჰყრი) მრავალგუარად განვითარდების ზედდადებულთაგან (ნახე: აყრა, დაყრა, გარდაყრა, მიმოყრა და სხ.). ჰ ყ რ ი დ ე ს თავთა უკანონოა, ჰხრიდეს უნდა (იხილე ხრა). წილის ყრა, метать жребий, ცეცხლსა ჰყრის.

ყრმა ჩჩვილი ვაჟი (ფსალ. 8, 2; მატ. 2, 8 და შემდგომი), отрок, младенец.

ყრმაა ქალიშვილი ანუ ქალწული (მარკ. 5, 39 და შემდგომი), отроковица, девица. // მხევალი (იერემ. 34, 1, 9, 16), раба, рабыня.

ყროყინი გოკინი (კოკინი ნახე).

ყრუ უსმი, დაკლებული სმენის გრძნობისაგან (ფსალ. 37, 13; მარკ. 7, 37), глухой.

ყუა გნდე, ნიღრი, ზურგი მახვილთა, გინა პურისა, [горбушка, спина у кожей, обух].

ყუავი, ყუავილი და სხ. (ნახე ყვავი, ყვავილი და შემდგომი).

[**ყუდება** (ვაყუდებ) ნ. აყუდება].

ყუდრო ადგილი ქარუხვედრი, [место безветренное].

[**ყუდროება**]

ყუვი ნახე აკაური.

ყულაოზი (თურქ.) გზის მაჩვენებელი (ნახე კოლაოზი) (ვეფხისტ. 967, 1364), проводник.

ყუმაში ლარი (ნახე კუმაში).

[**ყუმბარა** бомба].

ყურა (ოთხფ.) ყურდაკვეთილი ან უყურო ცხოველი.

ყურა (ბალ.) სოკოა.

ყურადღება (ყურადვიღებ) სმენა, მოსმენა, შესმენა, ყურის გდება (ფსალ. 16, 1), внушать, внимать.

ყურბელა (მძრ.).

ყურე უბე, წიაღი, ტოტი ანუ შტო ზღუათა და მდინარეთა, შესული ხმელეთად (საქმ. 27, 39), недро, залив. // მივარდნილი ადგილი ქალაქთა შინა (ლუკ. 14, 21), стогна, глухой переулок.

ყურება (ვუყურებ) ხედვა, ცქერა, ჭვრეტა, смотреть.

ყური ასო სხეულისა, მქონებელი საგრძნობელსა სმენისასა (ფსალ. 113, 14; მატ. 13, 15 და შემდგომი), ухо, уши. // ხელის მოსაკი-

დი ჰურჰელთა და მისთანათა, ушко, рукоять.

ყურიმალი, **ყურმალი** ლაწვი, გარემო ყურისა (იოან. 19, 3), ланита.

ყურიმლის ცემა სილის შემოკურა.

ყურის გდება ყურადღება, სასმენელთ მიპყრობა.

[ქურხელა ნახე მისანა].

ყურცემული მოყუასი ნაფიცი, მორჩილი (დაბად. 14, 13), союзник.

ყურძენი ხილი ვაზისა მარცულეულად მსხმო მტევანსა ზედა (რიცხ. 13, 24), виноград. სახენი ამისნი: ბუდეშური და თითა გრძელ მარცულედი; კიჩერი ან ქიშური მომრგუალო; ხარის თუალა დიდროვანმარცუალი და მრგუალი; ჩიტის თუალა წურილმარცუალი; საპერავიც შავი, ღვინის შესაღები წითლად; სკიჯი, ქიშმიში და ჩამიჩი გამხმარი ყურძენი, მაგრამ ქიშმიში საკუთრად ჰქვიან უკურკოსა; კრიკინა და რძლუამლი გარეული ანუ ველური, უმუშავარია, [ქიშური, კიჩერი, მრგუალმარცვლოვანი].

შ

ქარაგმიანნი ლექსნი: შ҃ა—შინა, შ҃დ—შემდგომად, შ҃ი—შენი, შ҃ნ—შეგვიწყალენ, შ҃ს—შორის.

ზედდადებულნი ზმნათანი: შე, შემო, შთა, შთამო, ხოლო მდაბიურად: ჩა, ჩამო, ვითარ, შესლუა, შემოსლუა, შთასლუა, შთამოსლუა, ანუ ჩასლუა, ჩამოსლუა და სხ. **შ** და **ხ** ერთბამად იხმარებიან წინაუკმოდ, ვითარ ხშირი—შხირი, ნახშირი—ნაშხირი, არამედ შემდგომი უკანონო არს. კუალად **შ** იხმარების ნაცულად ს (იხილე ასოსა თანა ს), ანუ ნაცულად **ჩ**. ვითარ, შიხაული—ჩიხაული, შაშხი—ჩაჩხი და სხ.

შაბათი ებრაულად განსვენება, ეწოდების უკანასკნელსა დღესა შვიდეულისასა (მატ. 12, 1), суббота, день субботный. // ანუ სრულიადსა შვიდეულსა, ვითა კვირა (ლუკ. 18, 12), суббота, неделя.

შაბათის გზა სჯული ურიათა არა შეუნდობდა შაბათთა შინა შორად სლუასა, არამედ სახლითგან ტაძრად მისლჳსათჳს დადებულ იყო განვლაჲ ვიდრე ათასს ნაბიჯადმდე, ესე არს შაბათის გზა (საქმ. 1, 12), путь субботный.

შაბათობა (ვშაბათობ) განსვენება, უქმობა, შენახვა შაბათისა (ლევიტ. 26, 25), праздновать субботу.}

შაბარდუხი (მფრ.) შავი ქორი, დიდი და გვარიანი.

შაბაშ! შაბაშ! შორისდებული, მოსაწონად ხმარებული (ვეფხისტ. 363, 749, 889), браво!

შაბი მარილის გუარი თეთრი ქუა, გემოთი მწლატე, ცეცხლში ადუღდება და არ დაიწვის, არამედ გამქისდება, квасцы.

შაბიამანი არჯასპი, მწუანე შაბი გესლიანი, купорос.

შაბო (ბალ.)

შადა ძაფზედ ასხმული მარგალიტი, ანუ შარადი.

შადრევანი სარაჯა.

შავარდენი (მფრ., ვეფხისტ. 471, 613), сокол.

შავბალახა (ბალ.)

შავგურემანი პირით შავმოწითლო (ნახე რუხასთან) (ვეფხისტ. 1067), смуглый, смугловатый.

შავთხილა (ხე) илем.

შავი ფერი ბნელისა (ნახე ფერთან) (ქებ. 1, 4; ზაქარ. 6, 2), враний, вороний, черный. // სამგლოვიარო ტანისამოსი (ვეფხისტ. 330 და შემდგომი), траурный.

შავი ფული წურილი ფული სპილენძისა, ვითა ვეცხლისას ეწოდება თეთრი, медные деньги.

შავკაკალა (ბალ.) სოინჯი, чернуха.

შავფურცელა (ბალ.)

[**შავცეცხლა**]

შათირი შიკრიკი.

შაქუნი დოშაკი, ნაალი, ლეიბი (ნახე ტერი), тюфяк.

შაირი ლექსი ოთხმუხლედი.

შაირობა მესტიხობა (ვეფხისტ. 19), стихотворство.

შაკიკი ნახევარ თავის ტკივილი ძლიერი, რომელიც ჟამად აეშლება.

შალალი ჩირქი, წალა, ბაყლი წყლულისა (გამოცხ. 16, 2), гной, гнойная рана, или материя из раны.

შალაფი მათხაბი, ციბრუტი ფიცრის სახვრეტი.

შალაშინი მომცრო რანდა.

შალგი (ბალ.)

შალვარი ნახე სარავარი, шаравары.

შალი ზოგად ღაზლის ნაქსოვი, шерстяная ткань. // საკუთრად სპარსული წმინდა ნაქსოვი, თავისა ან წელის სახვევი, шаль.

შალითა საბლარდნელი, წასახვევი სამოსელთა მისთანათა, чехол.

შამანი პაპის ნაწური (ნახე ღვინოსთან).

შამბი (ბალ.) მაღალი ბალახი (იობ. 40, 16; ვეფხისტ. 169; ჩახრუხა. 23, 24), ситовик, [ситовник].

შამდანი, შანდანი სასანთლე, დასადგმელი სანთელთა подсвечник, шандал, *σαμτάνι, σαντάλ.*

შამფური რკინისა ან ხის ჯოხი მწვადთა შესაწვავი, [вертел].

შანა ხატთა ზედა შებმული ფული და მისთანანი შესაწირავად. // მინდობის ნიშანი (ქართლის ცხ. ნოინთათჳს), [привесок золотой монеты на образах].

შანარი ხილთ ნაწური წვენი, сок.

შანდაკი ვაკე, ვრცელისა და ვიწროს საშუალი (ნ. მოშანდაკება).

შანთი გახურებული რკინა, ანუ სხვა მეტალლი, раскаленное железо.

შარა დიდი გზა, საქალაქო, საურმე, გატკეცილი (ნახე გზასთან) (ვეფხისტ. 20, 662), большая дорога, шоссе.

შარაგული წნელთა, ლელწამთა, ჩალათა და ეგევითართაგან წნული პურჭელი, ვითარ აშარული, გიდელი, გოდორი, კალათი, კიშტე, სკნისი, ხახალი, ხვირი, ჯინი და მისთანანი (ნახე პურჭელთან).

შარადი შადი, ნაქსოვია მძიმე (ვეფხისტ. 326, 367).

შარავანდედი მზის სხივი და ძლიერება, луч.

შარავანდი, შარავანდედი სამეფო გვრგვნი სხივებიანი, ანუ მეფობა (2 სჯული. 28, 25), корона, или царство.

შარავი შალალი ნახე.

შარბათი (სპ.) ვაჟინი.

[**შარი** შარის მოგონება, оклеветать, оговорить].

შარშან წლეულს წინათ, გავლილს წელს, в прошлом году.

შარშანდელი გავლილის წლისა (ვეფხისტ. 1302), прошлогодний.

შარშანდლიდამ, შარანდითგან გავლილის წლიდამ (2 კორ. 8, 10), с прошедшего года.

შატროვანი ნაკერი, ანუ ნაქსოვი სახეებად (ისუ. 7, 21), красный.

შაური ათი ფული (ლექსისაგან შაჰ, შაჰი, შაი), пятак.

შაფართხელა ნაცარში მცხუარი ხმიადი (ნახე პურთან).

შაქარი რომელთამე მცენარეთა და უფროჲ ინდოურთაგან გამონადუღი მარილის გუარი ნივთი, თეთრი და ტკბილი (შავთ. 58), сахар. თ.-ს. შაქარ [არაბ.].

შაქი ვეგის ჯდომა კალხზედ (ნახე ალჩუ).

შაქრიელი შაქრის პური, შაქარლამა, сахарные конфеты или сухари.

შაშალი ფართო კვესი, плоское огниво.

შაშარი სისხლის გამოსაშვები ნეშტარი, ланцет.

შაშვი (მფრ.) дрозд.

შაშრა (ბალ.) რეჰანი, базилик, трава.

შაშხანა მაჟარი (ნახე თოფი), винтовка, ружье.

შაშხი, ჩაჩხი გაპებული ცხოველი გამოსული და გამხმარი ლორად.

შეალნება მსოფლიურად მიტევება, დათმობა, შელევა, уступать.

შებედვა (შევბედავ) გაბედვა, გაბედვით შესლვა ან მოხსენება რისამე, сметь отваживаться, попытаться, решаться.

შებერვა (შევჰბერავ, შევუბერავ) პირით სამშვინველის მიდინება (იოან. 20, 22), дунуть.

შებილწება (შევაბილწებ) ბილწად შექმნა, წამურტლვა (იუდა. 1, 8, 12), осквернять.

ჩინებული მოწოდებული, მიწვეული, განჩინებული (მატ. 20, 16 და 22, 3; კჳალად 1 კორ. 1, 1, 9), званный, призванный. // პატიოსანი, უაღრესი, წარჩინებული, знатный, славный, важный, известный (ნ. გამოჩინებული).

ჩინი თუალის მხედველობა, სინათლე, [свет глаз, зрение].

ჩინი, ჩინეთი, ჩინმაჩინი ხატაეთი (ვეფხისტ. 844).

ჩინური ჩინეთით მოსული, китайский. // ხოლო საკუთრად ფაიფურის ჭურჭელი გამჭჳრვალე და საუკეთესო, ჩინელთაგან შემოღებული, фарфор.

ჩინჩილი ხისა და ბალახის ფესვები ძაფის მსგავსი (ნახე თმა და ფსკერი), волокна кореньев.

ჩინჩხვარი წვრილი ნაპობი შეშისა და ფიჩხისა, ხეშერი.

ჩიორა (მფრ.) სამამლე წიწილა (ნახე ქათამთან).

ჩირგჳ (ხე) ცუდი ჯაგი, ბუჩქი.

ჩირი ხმელი ხილი (1 მეფ. 25, 18; ვეფხისტ. 868), вязаница, сушеные фрукты.

ჩირქი მწიკული, ჟუჟლი, ანუ შალალი.

ჩიტვაშლა (ხე) жимолост.

ჩიტი (მფრ.) სირი, პეჭავი და სხვა წვრილი მფრინველი (ვეფხისტ. 735).

ჩიფჩიფი ლუღლუღი, უკაფიო ლაპარაკი უკბილოსგან.

ჩიქილა ქალთ თავის საბურავი ლეჩაქი, род вуали.

ჩიჩაგლუხარა ნახე ხარასთან, объярь.

ჩიჩვირი ნიჩვირი, სპილოს ხორთუმი, хобот.

ჩიჩინი (ვუჩიჩინებ, ვეჩიჩინები) დაჟინებით რჩევა ანუ წურთნა.

ჩიჩლათანი ხის ქერქის ქალამანი.

ჩიჩქი (მძრ.) ჩრჩილი, ჩირჩილი, моль.

ჩიჩქნა (ვსჩიჩქნი) ცუდად თხრა, ანუ ფხეკა, копать, ковырять.

ჩიჩქინური გრძელი ბადე (ნახე ბადესთან).

ჩიხაული ნახე შიხაული.

ჩლა ნაძენძი, ანუ ნაწიბური სკლატისა, სამოსლისა და სხ.

[**ჩლა** пшеницы].

ჩლინგი, ჩლუნგი ლუნგი, ბლიგჳ, ანუ ენაბრგჳნილი.

ჩლიქი ჭლიკი (ნახე ფრჩხილთან).

ჩმახვა (ვსჩმახავ) ცუდად კერვა, ანუ უბრალო წერა, გინა ტარტარი.

ჩნევა დაჩნევა, მიმჩევა, შემჩნევა და სხ.

ჩობალი მეცლის ქონის ბადე (ნახე ცხიმი).

ჩოგანი საბურთალი კავი ანუ კოჳზი ბადისა.

ჩოდოლი მცირე ქოხი გლახაკთა (ნახე სახლთან), избушка.

ჩოთირი (მეჩოთირება, ე. ი. მეგრგინება) გრგენა, ხიჩაობა.

[**ჩოლი** ნახე დუბე].

ჩოლფოტი მძიმედ ხანტი, დაშვებული, лентяй.

ჩომახი და **ჩომახტური** დიდი ტორი მეცხვარეული (ნახე ჯოათან).

ჩონგური მომცრო საზი ოთხძალი ანუ ხუთძალი (ნახე საკრავთან), [балалайка].

ჩონდორი ხის სათხრელი.

ჩონჩორიკი განავალი ცხენთა, ვირთა, ჯორთა და მისთანათა.

ჩონჩხი ფეხის ზურგი კოჭიდამ თითებადმდე, кисть ноги, [пята (ნ. ბრჭალი)].

[**ჩორთი** рысь, иноходь].

ჩოჩვა (ვაჩოჩავ) ოთხზედ სლვა (ნახე სიარულში).

ჩოჩორი (მფრ.) მართვე მწყერისა. // (ოთხფ.) მეტრეკი ვირისა (ნახე ვირი და მართვე).

ჩოხა შალის კაბა, ანუ მაუდი, сукно, *τσόχα*.

ჩრდილი აჩრდილი ნახე (ფსალ. 79, 10; ვეფხისტ. 317, 325), тень, сень.

ჩრდილო, ჩრდილოეთი კერძო ქვეყანისა, მდებარე სამხრეთის პირდაპირ (ფსალ. 106, 3), север.

ჩრდილოური ჩრდილოეთის მხარისა, северный.

ჩრჩილი (მწერ.) კრკილი, ჩიჩქი, მღილი, ჭია ბეწვეულთა და შალთა მავნებელი, моль.

ჩუდყვავილა ცუდყვავილა.

ჩული ცუდი ფიჩვი, ანუ ცხენთა და ძაღლთ სახურავი, попона, *τζουλί*.

ჩუმა გადაუმდნარი ერბო (ნახე ცხიმი).

ჩუმი ხმაამოუღებელი, молчаливый.

ჩურჩა ჩირი უფროორე მჟაველთა ხილთა კურკა ამოღებული.

[**ჩურჩნა** ნახე მჩურჩნელი, шептать].

ჩურჩული (ვსჩურჩულებ) უხმოდ ლაპარაკი ყურში, шептать.

ჩურჩხელა ჯალანა, ასხმული ნიგოზი, თხილი, ჩირი და მისთანანი მოდუღებულს ტკბილში გავლებული, колбасы из фруктов и пастилы.

ჩუსტი ფოსტალი, თხელი ფეხსაცმელი.

ჩუქება (ვაჩუქებ) მიმადლება, მიცემა უფასოდ, дарить.

ჩუჩუნი (ვსჩუჩუნებ) მცირედ გაძრვა, ფეთქა, шевелиться.

ჩუხჩუხი (ჩუხჩუხებს) ხაფხაფით დუღილი ან ჩუხჩუხი.

ჩქარა სწრაფად, скоро.

ჩქარი სწრაფი, скорый, быстрый.

ჩქერა, ჩქეფა (ჰსჩქერს, ჰსჩქეფს) ხუფხუფი (ვეფხისტ. 442), [струистое течение реки[.

ჩქლეთა (ვსჩქლეთ) დახევა, დაწურილება ხორცისა, პურისა და სხ., крошить.

ჩქმალვა (ვსჩქმალავ) მიმალვა მიუგნებელს ადგილს, прятать.

ჩქმეტა (ვსჩქმეტ) პრწკენა, წკენტა, щипать, ущипнуть.

ჩქურება (ვიჩქურებ) ოცნება, ზმანება (ნახე სიჩქურე), возмечтать, возмнить.

ჩჩვილი ქორფა, უსუარი ყმა (ნახე კაცი) (ფსალ. 8, 2; მატ. 11, 25), младенец.

ჩხაბვა (ვსჩხაბავ) ჯღაბვა, ცუდი წერა, варакать.

ჩხავილი (ჩხავის) ჩჩჳლთ ბღუჲრიალი, ან ცუდი ხმიანობა მფრინველთა, კაჭკაჭთა და მისთანათა.

ჩხაპვა, ჩხაპუნი შხაპუნი ან ჩხუპვა (ვეფხისტ. 261).

ჩხართი ფათხა, ბადის საქსოვი ჩხირი.

ჩხართვი (მფრ.) кодровник.

ჩხარუნი, ჩხერება, ჩხრიალი მეტალლთ ერთმანერთს შემოკურის ხმა (ვეფხისტ. 223, 1337), бренчать.

ჩხვერა (სჩხვერს) მუცლის გურემა ან ბკუალი.

ჩხვლეტა (ვაჩხვლეტ, ვუჩხვლეტ) გმერა შაშრითა, სადგისითა, ნემსითა და მისთანითა, колоть.

ჩხიკვი (მფრ.) ჯაფარა, капюк, пилюк.

ჩხირი მცირე მონაკერი ფიჩხისა, спичка, сучец. // ლ ე რ წ მ ი ს ჩ ხ ი რ ი ზეთის საცხები და წ ი ნ დ ი ს ჩ ხ ი რ ი საქსოვი (იხილენ თჳსთა ადგილთა).

ჩხნდე კამხალი, ონჯარი, მორევში ჩახერგილი ხეები.

ჩხორვა (ვსჩხორავ) დაზვინება დიდროვანთა ნივთთა, აჩხორვა, громоздить.

ჩხუბვა (ვსჩხუბავ, ვაჩხუბებ, ვეჩხუბები) მიზეზის მიცემა შუღლისა, ссорить, -ся.

ჩხუბი შუღლი, აშლილობა, კინკლაობა, ссора, драка, перепалка.

ჩხუპვა (ვსჩხუპავ) თხელს წყალში სლჳს ხმა, ფეხთ ჩადგმისა და ამოღებისა (ნახე სიარულში).

ც

ც იხმარების ზოგჯერ ჩ ადგილს (ნახე ჩ), ანუ ძ და წ ადგილს: განძარცვა—გ ა ც ა რ ც ვ ა, ძუნძული — ც უ ნ ც უ ლ ი, წანწალი— ც ა ნ ც ა ლ ი, წეწება—ც ე ც ე ბ ა.

ცა, ც კავშირი შეერთებითი, რომელიც ნიადაგ ბოლოს დაერთვის ლექსთა: უ ფ ა ლ ი ც ა, მ ო ხ ა ც ა, ანუ უ ფ ა ლ ი ც, მ ო ხ ა ც, ვ ს წ ე რ ც ა, ვ ჰ კ ი თ ხ უ ლ ო ბ ც ა, კ უ ა-

ლადცა, მერმეცა და სხ., и, и. // ეგრეთვე იხმარების ნაცვალსახელთა თანა და ზმნისზედათა: ვინცა, რაცა, რომელიცა, ვითარცა, როგორც, რადგანც და სხ. (ნახე ლექსსა თანა იგი).

ცა, ზეცა, ცისა, ზეცისა ზეალსახედავი, ზესკნელი, გარეშემცველი ხილულთა, დაბადებულთა (დაბად. 1, 1 და შემდგომი; ფსალ. 2, 4 და 8, 3; ვეფხისტ. 1), небо, небеса. // ზოგჯერ ჰნიშნავს ჰაერსა, ვითარ მფრინველნი ცისანი, ე. ი. ჰაერისანი (ფსალ. 8, 8). // ანუ სასუფეველსა (იოან. 3, 12, 13; ებრაელ. 12, 22, 23). // ძველებურად ცანი ცთომილთანი ეწოდების ორბიტთა მათთა (ნახე ცთომილთან).

ცალბარი საპალნის ნაოთხალი.

ცალგნით ერთ კერძო, ერთის მხრიდამ, [с одной стороны; ცალგნითი, одна половина чего (ნ. დარგი)].

ცალება (ვაცალებ, ვაცლი, ე. ი. დავაცლი; ბრძან. აცა, აცალე) დროს მიცემა (მარკ. 6, 31), дать время, срок. // (ვიცლი) მოვიცლი, მოცალება (ნახე ცლა).

ცალთუალი ორის თუალიდამ ერთის მოკლებული, одноглазый.

ცალი ორის ტოლისგან ერთი.

ცალიერი, ცარიელი მოცლილი, ანუ დაცარიელებული, порожный, пустый, незанятый. // არარას მქონებელი, უპოვარი (გამოს. 3, 21), тщий, пустый.

ცალკერძ, ცალკე და **ცალცალკე** თჳსთჳსად, განთჳსებით (ვეფხისტ. 267, 581), порознь.

ცალმოგჳ მდაბალი აზნაური, არა ჩინებული, однодворец.

ცალმხრივი ერთს მხარეს, ცალგნით.

ცალსახწორა ლოღარიკი, ყანთარი.

ცალფეხი ორთა ფერხთაგან ერთის მოკლებული, одноногий, ხოლო ნივთთათჳს უსულოთა ითქმის ცალფეხა, об одной ноге.

ცალხელი ორთა ხელთაგან ერთს მოკლებული, однорукий.

ცანდი ქუაბის საკიდარი ჯაჭვი.

ცანცალი (ცანცალება) აქა-იქ სლვა დაუდგრომელად (ნახე სიარულში).

ცანცარა, ცანცარაკი გაუსინჯავად ჩქარი, вертопрах.

ცანჭკული, ცალჭკული კენტი, нечётное число, ცანჭკულელი, чётное.

ცარიელი ნახე ცალიერი.

ცარცი თეთრი მიწა, ხმარებული სამხატვრო წამლად, мел.

ცარცვა (ვსცარცვავ) ნახე ძრცვა.

ცაცია ტაკვია, ჩალიკვა.

ცაცხვი (ხე)

ცახი ნახე ჩახი.

ცბა, ცბოლა (ვსცბი) ცთომა, გონების შეშლა, სიცბილი (იოან. 10, 20), неистовствовать, безумствовать.

ცდა (ვიცდი, ვუცდი) ლოდინი, მოცდა, ждать.

ცდა (ვსცდი) გამოცდა, გასინჯვა, განხილვა საქმისა, испытывать, попытаться.

ცდა, ცდილობა (ვეცდები, შევეცდები, ვსცდილობ) გარჯა, ღუწა, თავს გამოდება (ვეფხისტ. 27, 893), стараться, пытаться.

ცდენა (ვაცდენ) სწორის გამრუდება, ошибаться, непопадать. // ცთუნება, ურიგოს საქმეში გარევა, соблазнять. // საქმიდამ მოშლა, мешать, помешать, отвлекать.

ცეკვა ფეხის თითებით როკვა (ნახე თამაშობაში), плясать.

ცეკვანა (მწერ.) ელვანა, წყალზედ მორბენალნი შავნი პიანი.

ცელვა (ვსცელავ) ბალახის თიბვა ცელით, косить траву.

ცელი ტარგრძელი სათიბელი (1 მეფ. 13, 20), коса.

ცელქი დაუდეგარი, მოუსვენარი, резвый, шалун.

[ცელქობა]

ცემა (ვსცემ) ოდესცა ჰნიშნავს გვემასა, მაშინ არა რომელთამე დროთა შინა მიიღებს ზედდადებულთა. მაგალ.: ვსცემდი, ვეც ანუ ვსცემე, მიციეს ანუ მიცემიეს; ვსცე, ვსცემო, ვსცემდე, ეც ანუ სცემე და სხ. (1 კორ. 9, 26; საქმ. 23, 2 და შემდგომი), бить, ударять. // უცემს, უცა, კბენა გესლიანთა ცხოველთაგან, жалить, ужалить. // კუალად ითქმის მაჯა უცემს, გული უცემს, ე. ი. უფეთქს, бьет, пульс, сердце и т. п. ხოლო ზედდადებულნი მრავალგუარად შესცვლიან მნიშნველობასა ამისსა. ვითარ გაცემა, განცემა, გარდამოცემა, დაცემა, მიცემა, მოცემა, წარცემა, წარმოცემა და სხ. (იხილენ თჳსთა ადგილთა).

ცენება (სცენდების) ამოსლვა ორძილოვანთა სხეულთა, აღმოცენება, произрастать.

ცერად ირიბად, ვითა გაშლილი ცერი სალოკე თითსა თანა, наискось.

ცერეცო (ბალ.) კამა, ვინა ანისული (მატ. 23, 23), **кроп, анис.**

ცერი ზევითი უმსხოსი თითი ხელისა ანუ ფეხისა, **большой палец.**

ცერცვი (ბალ.) მარცვალი და ჯეჯილი. გარეული ცერცვი (ეზეკ. 4, 9). ნოხ **турецкий.**

ცეტი ჩერჩეტი, გამოშტერებული, **зевака.**

ციცება (ვაციცებ) ზიცუნა (ნახე სიარულში).

ციცქა (ბალ.) ნაზი. წვრილად ლობიოს გვარია, ფერით მწვანე (ნახე ლობიო).

ცეცხლაპირი კერა. სახლის საშუალ ცეცხლის ასანთები ადგილი, **огнище, очаг.**

ცეცხლი ერთი ოთხთა კავშირთაგანი, მსუბუქი, ხელმავალი, მხურვალე, მწველი და მანათობელი (ნახე სტიხიონთან) (ფსალ. 17, 8, 12 და 82, 14), **огнь, огонь.** სახენი ამისნი არიან: კვეს-კაჟისაგან გამოკრთომილსა ეწოდების წ ი ნ წ კ ა ლ ი; რა ცეცხლი ენთებოდეს და ხეალვიდოდეს—ა ლ ი; ამისსა ხეანადენსა წინწკალსა—ნ ა პ ე რ წ კ ა ლ ი; ცეცხლისგან მრავლად გამოკრთობილსა ნაპერწკალსა — ბ უ რ ჯ ღ უ ლ ი; მგზებარეთა შეშათაგან ხეალმავალსა შავსა ორთქლსა—კ ვ ა მ ლ ი, ხოლო თჳთ მათ შეშათა—მ უ გ უ ზ ა ლ ი, ნ ა გ უ ზ ა ლ ი ან მ უ გ ზ უ რ ი, მ უ გ უ ზ ი; ცეცხლად გარდაქცეულსა მუგზურსა უკომლოსა—ნ ა კ ვ ე რ ც ხ ა ლ ი; დაშრეტილს ნაკვერცხალსა გაშავებულსა—ნ ა ხ შ ი რ ი; წვრილთა მრავალ ნაკვერცხალთა—ღ ვ ე ლ ფ ი; მას ზედა შენივთებულსა თხელსა მტვერსა—ფ ე რ ფ ლ ი და თეთრად დამიწებულსა—ნ ა ც ა რ ი; რა მთათა და ველთა ზედა ცეცხლი აღეგზნას—ხ ა ნ ძ ა რ ი; საკირეთა და სადნობთა ბრძმედთა შინა ძლიერად აღგზებულსა — თ ა კ ა რ ა·

ცეხვა (ვსცეხუ) მარცვალთაგან ჩენჩოს შემოცლა ცემითა.

ცვა (ვსცავ, ვიცავ) შენახვა, დაფარვა, დაცვა, გაფრთხილება (მარკ. 6, 20; საქმ. 12, 6; ფსალ. 15, 1), **беречь, стеречь, хранить, охранять.**

ცვაფარვა საფარველი ღვთისა, ანუ მეოხება წმინდათა მისთა, **покровительство божие и его св.**

ცვალება (ვსცვალებ, ვიცვალები) გამოცვლა სხვარიგად, ანუ სხვა ფრად (ნახე ცვლა) (საქმ. 6, 14; ებრაელ. 1, 12), **изменять, переменять.**

ცვარი ნამი, დილისა ანუ სალამოს ნოტიო ჰაერიდამ ჩამოსული მცენარეთა ზედა (ნახე წვიმასთან) (ფსალ. 64, 10 და 132, 3), **роса.**

ცვილი თაფლის სანთელი, წმინდა სანთელი (ფსალ. 21, 14 და 67, 2), **воск.**

ცვიფრვა განცჳფრება, განკრთომა.

ცვლა (ვსცვლი) შეცვლა, გამოცვლა, ანუ გაცვლა, განფარდვა, **менять, променять.**

ცთენა (ვაცთენ) ცდენა გინა ცთუნება.

ცთომა (ვსცთები) შეცდენა, შეცთომა, გამრუდება გზისა, ანუ წესისა (ფსალ. 94, 10; მატ. 22, 29), **заблуждаться, ошибаться, ошибка, погрешность.** // შეცოდება, დაშავება (ეზეკ. 48, 11; მატ. 18, 35), **прольщаться, согрешать, согрешение.**

ცთომილი შემცთარი, შეცთომილი, ანუ გზადაკარგული (იგავ. 5, 6), **заблудший, заблужденный.**

ცთომილი შვიდნი ცთომილნი ვარსკვლავნი, რომელთაც ბერძელად ეწოდების პ ლ ა ნ ე ტ ი (იხილე ვეფხისტ. 954 და შემდგომი; იუდა. 1, 13), **планета, звезда блуждащая, или блуждающая.** ცთომილი ეწოდების ამათ განსარჩეველად უ ძ რ ა ვ თ ა გ ა ნ ვარსკვლავთა, რომელნიცა ნიადაგ ჰგიან ადგილთა თჳსთა შეუცვალებელად ცასა ზედა. რამეთუ პლანეტნი სცვალებენ ადგილთა თჳსთა, მიმოქცეულნი გზათა ანუ წრეთა ზედა მათთა, და გზასა მათსა ასტრონომოსნი უწოდენ ო რ ბ ი ტ ა დ. ძველისა სისტემისაებრ პტოლომეოსისა ცნობილ არიან შვიდნი პლანეტნი, რომელთაგან თჳთოეულისადმი განსაკუთრებულ არიან თჳთონი დღენი მსგეფსისანი და ამის წესისაებრ დასხმულ არიან შემდგომადსა შინა ტაბლიცასა (იხ. გვ. 435).

ხოლო ახლისა სისტემისაებრ უფ. კოპერნიკისა და შედგომილთა მისთასა, მრავლითა ასტრონომიულითა გამოძიებითა პოვნილ არიან აქამომდე 11 ცთომილნი, რომელთაცა წესი, ნიშანნი და სახელნი არიან: 1. ☿ ერმი, 2. ♀ აფროდიტი, 3. ♁ ქვეყანა,

4. ♂ არეა, 5. ⚶ ვესტა, 6. ⚵ იუნონა, 7. ⚴ პალლადა, 8. ⚳ ცერერა, 9. ♃ ზევს, 10. ♄ კრონოს, 11. ♅ ურან. ამას სისტემასა შინა მზე გამორიცხულ არს პლანეტთაგან და შერაცხილ უძრავთა ვარსკვლავთა შორის, რამეთუ თჳსსა ადგილსა ზედა ჰსდგას უძრავად, არამედ აქუს მიმოქცევაჲ გარემო ღერძისა თჳსისა და მობრუნდების 25 დღესა და 12 ჟამსა ერთგზის. გარემო მისსა თჳთოეული ხსენებულთა 11 პლანეტთაგანი მოიქცევის თჳსსა ორბიტსა ზედა აღწერილი-

	ნიშანნი და სახელნი 7 ცთომილთანი ბერძულად, გარდა პირველთა ორთა	რომაულად	არაბულად	სახელნი ორბიტთა მათთანი ქართულად	დღენი მსგეფსისა ანუ შვიდეულისანი
1	☉ მზე	სოლ	შამს	კოპიმელი	კჳრა ანუ მზის დღე
2	☾ მთოვარე	ლუნა	ყამარ	ჰირანო	ორშაბათი—მთოვარისა
3	♂ არეას	მარს	მარიხ	ჰიმჰიმელი	სამშაბათი—არეასი
4	☿ ერმი	მერკური	ოტარიდ	ცერვანო	ოთხშაბათი—ერმისა
5	♃ ზევსი ანუ დია	იუპიტერ	მუშთარ	კიმკიმელი	ხუთშაბათი—დიასი
6	♀ აფროდიტი	ვენერა	ასპიროს	მელტავრო	პარასკევი—აფროდიტისა
7	♄ კრონოს	სატურნ	ზოჰალ	ალბასტრო	შაბათი—კრონოსისა.

თა წესითა, ე. ი. ე რ მ ი, უმახლობელეს სხუათა მზისადმი. შემდგომად მისსა ა ფ რ ო დ ი ტ ი, შემდგომად აფროდიტისა ქ ვ ე ყ ა ნ ა, შემდგომად ქვეყანისა ა რ ე ა და ესრეთ შემდგომნი. რომელთამე მათგანთა ჰქონან თანამეგზავენი, რომელნიცა მოიქცევიან საკუთართა თჳსთა ორბიტთა ზედა გარემოს უმთავრესთა პლანეტთა, ესრეთ, ვითა ესენი გარემოს მზისა. მათ შორის მ თ ო ვ ა რ ე არს თანამეგზავე ქ ვ ე ყ ა ნ ი ს ა; ზ ე ვ ს ს ა ჰქონან ოთხნი თანამეგზავენი, კ რ ო ნ ო ს ს—შვიდნი და უ რ ა ნ ს—ექუსნი. მზისაგან ივასხებენ ნათელსა და სიტფოსა, ვითა პლანეტნი, ეგრეთვე თანამეგზავენი მათნი და მოქცევასა თანა ორბიტთა თჳსთა ზედა მოიქცევიან გარემო ღერძთაცა თჳსთა, ხოლო ვრცლად ცნობა ამისი, ვისცა ენებოს, ჰპოვებს იგი ასტრონომიულსა შინა ღეოღრაფიასა და უვრცელესად ასტრონომიულთა წიგნთა შინა.

ცთუნება (ვაცთუნებ) მოტყუევება (დაბად. 3, 13; მატ. 5, 29 და შემდგომი, 24, 4 და შემდგომი), **прельщать, соблазнять.**

ციაგი, ციალი მცირე რამ სხივი ანუ კაშკაში მნათობთა ცასა ზედა (ვეფხისტ. 618, 689), **мелькать, мелькание.**

ციბა, ციბაკი (ოთხფ.) ჰასაკ მცირე ძაღლი, გოშია (ნახე ძაღლთან), **пудель.**

ციბრუტი ხეთ სახურეტი გრძელი სადგისი მშვილდით სატრიალებელი. თ. მათხაბ [არაბ.], ს. შალაბ [შალაფ].

ციგა მცირე მარხილი (ნახე ურემთან), **санки.**

ციდა ცერისა და სალოკე თითის გაშლა, **пядь.**

ციდამტკაველა (ოთხფ.) ქია, მაიმუნი, ან ველური კაცი (შავთ. 60), **дикий, или обезьяна.**

ციება ცხრო, სენი ტანში შეცივებისა, **лихорадка.**//ა ც ი ვ ე ბ ს ითქმის ამ სენისათჳს. // ვ ა ც ი ვ ე ბ შექმნა რისამე ცივად, **холодить.**

ციებ-ცხელება ციება და სიცხე ერთმანეთზედ მიდევნებით (ნახე ცხელება).

ციერი, ზეციერი ცისაგანი, ანუ ცათა შინა მყოფი (ვეფხისტ. 826, 1344), **небесный.**

ცივი მოკლებული სიტფოსაგან, **холодный.**

ციკანი (ოთხფ.) თიკანი (ნახე თხასთან), **козленок.**

ცილა კვერცხის გულს გარეთი თეთრი, **белок яичный.**//ხეთა და მისთანათა გულის გარეშემო კერძო მოთეთრო (ნახე აფსკა).

ცილება (ვეცილები) ცილობა, შეცილება.

ცილი ბრალი შემოღებული ვისზედამე სიცრუვით (ლუკ. 19, 8; ვეფხისტ. 316), **обида, клевета.**

ცილის მწამებელი სიცრუვის მომგონებელი (ფსალ. 71, 4), **клеветник, кляузник.**

ცილის წამება (ცილს ვსწამებ) სიცრუვის მოწმობა, შეწამება (ფსალ. 118, 122 და 134), **клеветать.** // ცოდვა წინაალმდგომი 9 მცნებისა (მატ. 19, 18), **лжесвидетельствовать.**

ცილობა (ვსცილობ, ვიცილები) ბაასი, შებაასება, შელაპარაკება (გამოს. 18, 16), **распря, словопрение** (ლუკ. 24, 17; საქმ. 28, 22), **спорить, состязаться, рассуждать.**//(ვეცილები) დაობა, წაწავება, მითჳსება, **оспаривать, присвоивать.**

ცილობა დავა, პაექრობა ან ბაასი (იოან. 9, 16; ფსალ. 80, 8; ვეფხისტ. 57, 103), **распря, спор, пререкание.**

ციმციმი (ციმციმებს) კამკამი, მცირედ ჩამჳევლება წყალთა. // პირის სახის ღიმილი (ვეფხისტ. 1508), **улыбка.**

ცინგლი თხელი წვინტლი, **вогря.**

ცინება (ვაცინებ) სიცილის ატეხა, მიზეზის მიცემა გაცინებისა, **смешить, рассмешить.** // (ვეცინი) დაცინება, აგდება (ფსალ. 2, 4), **смеяться, посмеяться, насмехаться.**

ცისად-ცისად-გვემული სნეული მთუარესა და მთუარეზედ ბნედითა ან ეშმაკეული სამთუა-

რიოთი (მატ. 4, 24 და 17, 15), бесноватый в новомесячия, лунатик.

ცისიერი ღამით მცირითა ცის სინათლითა, ანუ ცის სინათლეზედ გარჩევა რისამე. // რაიცა შეხუდების ჰაერსა შინა, ვითარ წვიმა, თოვლი, ელვა, ქუხილი, მეხი, ტატანი, ბაკი მზისა და მთოვარისა და ეგევითარნი, метеор, феномен.

ციხკარი მოწევნა განთიადისა, გარიჟრაჟი (ნახე დილასთან) (ფსალ. 29, 5 და 64, 8, კუალად 91, 2), утро. // დილის ლოცვა (ფსალ. 62, 6 და 87, 13), заутреня.

ცისმარე დღე მარადღე (ნახე დღესთან), всякий божий день.

ცისმშვილდი მდაბიურად ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა, ბერძულად ი რ ი ს ე, ნაწვიმარზედ ღრუბელთა შორის გარდავლებული კამარა ფერად-ფერადად შემკობილი (დაბად. 9, 13, 14), дуга, радуга.

ცისნატეხი მოშავო ქუა ჰიქის მსგავსი (ისუ. 5, 2), камень острый.

ცისფერი მხიარული ანუ ღიალურჯი, небесный или голубой цвет.

ციქუა (ვსციქუ) ოხა, მეოხება, შუამდგომელობა, შუამავლობა, ანუ მოციქულობა (2 კორ. 5, 22; ეფეს. 6, 20), молить, посольствовать, апостольствовать, ходатайствовать.

ცილვი ბოსაკეცი დანა (იხილე დანასთან), складной нож.

ციყვი (ოთხფ.) მციყვი.

ციცა ნიგოზთა და თხილთა მჭადა ყუავილი.

ციცა, ციცი (ოთხფ.) კატა, кот, кошка.

ციცაბი კლდე ფრიალო ძნიად ჩასავალი (ნახე კლდესთან), утес.

ციცინათელა (მწერ.) მწერი ღამით მანათობელი, светящаяся муха.

ციცქვნა (ვსციცქნი) ნამცეცის მოგლეჯა, крошить.

ციცქნა ნამცეცი, მცირე ნატეხი, крошка.

ციცხვი დიდი კოვზი ხისა, ჩამჩა, ლაპოტი (გამოს. 25, 29; რიცხ. 4, 7), возливальник, ковш.

ციხე ნაგები სიმაგრე (ვეფხისტ. 197, 1029), крепость.

ციხოვანი მეციხოვნე, ციხის მცველი, გუშაგი.

ცლა (ვაცლი, ჰვაცლი) снимать, что чего отдирать. // дожидать, ждать.

ცლა (ვსცლი) მოცლა, დაცლა, დაცარიელება, опрастывать, опоражнивать, очищать. // (ვიცლი, მოვიცლი) საქმისგან მოსვენება, განთავისუფლება, одосуживаться, [მცალიან (ნახე ცალება)].

ცლევინება (ვაცლევინებ) დაცლევინება, ბრძანება დაცარიელებად.

ცმა (ვაცმევ, ვიცვამ) შემოსა ტანისამოსისა, одевать, -ся.

ცმა (ვაცვამ, ავაცვამ) აგება, ჩამოცმა, нидовать. // განრთხმა (ნახე ჯვარცმა).

ცმა (ვუცვამ, ვუცობ) ცობა, დაცმა, затыкать.

ცმელი გადაუმდნარი ქონი (ნახე ცხიმთან) (ფსალ. 16, 10 და 62, 5), тук.

ცმორა (თევზ.) снаток.

ცმუკვა (ვსცმუკავ) ტორტმანი, მოუსვენრად დგომა ან ჯდომა.

ცნება მდაბიურად ცნობის ნაწილი, ვითა ჭ კ უ ა და ც ნ ე ბ ა, ум и понятие.

ცნობა (ვსცნობ, ვიცნობ) გონებით ზედმიწევნილება (ფსალ. 77, 3, 7; მატ. 13, 11; ვეფხისტ. 838, 865), познавать, узнавать, познание.

ცნობილი საცნაური, შესწავლული, ნაცნობი, знаемый, известный.

ცობა (ვუცობ) ცმა, ჭურჭელთ პირის დაკრძალვა საცობით, затыкать.

ცოდვა (ვსცოდავ) სჯულის გარდახდომა, გარდასლვა ანუ შეცთომა (ფსალ. 4, 4 და 33, 22; მატ. 27, 4), грешить, согрешать, ცოდვის კითხვა.

ცოდვა საქმე სჯულის წინააღმდგომი, გარდამავლობა (ფსალ. 18, 13 და 24, 7; მატ. 3, 6), грех.

ცოდვილი ცოდვის მოქმედი (ფსალ. 1, 1, 5), грешник, грешный.

ცოდვილობა (ვაცოდვილებ) შეშფოთება, შეწუხება, ან ცუდად კეთება რისამე. // (ვსცოდვილობ) შრომა ძნელს საქმეში, უქონელად საკმაოს ღონისძიებისა.

ცოდნა (ვიცი) ბუნებითი ძალი განრჩევად ნივთთა ანუ საქმეთა (ფსალ. 9, 10; საქმ. 21, 37), знать, уметь. //სწავლულება, დახელოვნება, знание, познание, умение.

ცოთი სასწურის საჰარბავი. თ. აბრა [სპ.].

ცოლი ქალი ქმროსანი (ნახე კაცთან) (მატ. 19, 3, 5 და შემდგომი), жена.

ცოლიანი, ცოლოსანი ქმარი შეუღლვილი ქორწინებითა, женатый.

ცომი მოზელილი ფქვილი პურის გამოსაცხობად, тесто. // ზოგჯერ ხაში ანუ პურის ცომი (მატ. 16, 6 და შემდგომი, 13, 33), закваска.

ცომოვანი დამჟავებული, გალვივებული, მოდედებული, გაფოვებული პურისცომით (გამოს. 12, 19), кислый.

ცონვა (მცონის) დაზარება, სიცონილი (რიცხ. 22, 16; საქმ. 9, 38), лениться.

ცორვა (ვსცორავ) ცურვა (ვეფხისტ. 1317), плавать. // გლინვა, ღოღვა, მუცლით სლვა (ნახე სიარულში), ползать.

ცოტა მცირე, არა მრავალი (ნახე უმცირესთან) (ვეფხისტ. 267), немного.

ცოფი ბორგუნეული, უგუნური, უცნობო, შეუგნებელი (მატ. 5, 22 და 23, 17 და შემდგომი), урод, буй, несмысленный. // მსოფლიურად: სენი ძაღლთა ბრაზი, გარდამდები კაცთა ზედა და სხუათაცა ცხოველთა, მომაკუდინებელი სასტიკითა ტანჯვთა, [бешенство, которому наиболее собаки подвержены, rabies].

ცოფიანი ბრაზიანი, ცოფგარდადებული, ჩაგალ., ძაღლი, бешеный, бешеная собака.

ცოფის ჭია (მწერ.) რომელსაცა დაალევინებენ კბენილთა ცოფიანის ძაღლისგან, маслянка, шпанская муха.

ცოცვა (ვსცოცავ) ჩოჩვა, ოთხზედ სლვა ჩჩვლთა (ნახე სიარულში).

ცოცხალი ცხოველი, სულდგმური (საქმ. 9, 4), живой. // საღვთოსა შინა წერილსა ხშირად ხმარებულ არს ნაცულად მ რ თ ე ლ ი, უ ს ნ ე უ ლ ო (მატ. 9, 12; იოან. 5, 14), здравый, здоровый.

ცოცხი (ბალ.) ბალახი, რომლისაგან შეიქმონენ საგველსა. // ეწოდება თჳთ მას საგველსაცა, веник, метла.

ცოცხობანა (ბალ.).

ცოხნა (ვსცოხნი) ღეჭა, დაღეჭა, დაცოხნა, жевать. // (იცოხნის, იცოხნება) ხვასტაგთ აღმოცოხნა (ნახე ეს ლექსი).

ცრა (ვსცრი) საცერში ფქვილის გავლება გასარჩევად ქატოსგან და სხ. (ნახე აცრა, გაცრა), сеять муку.

ცრემლი ტირილისგან გარდმონადენი ცუარი თუალთა ზედა (ფსალ. 6, 6 და 79, 5), слеза.

ცრემლოვა (ვსცრემლოი) ცრემლით ტირილი, გარდმოდენა ცრემლთა (იოან. 11, 35), прослезиться.

ცრიატი დღე ღრუბელაშლილი და ცივი.

ცრინტილა მცირე სურდო ცინგლიანი, გარდამდები, насморк.

ცრუ დიდად მტყუვარი (ნახე ტყუვილთან) (ფსალ. 26, 12 და 61, 9), лживый, неправедный, обманчивый.

ცრუვება, ცრუვობა (ვსცრუვობ, ვეცრუვები) ცრუდ გამოჩენა (ფსალ. 43, 17 და 65, 2; ვეფხისტ. 835), лгать, солгать, неправдовать.

ცრუმოწამე სიცრუვით შემასმენელი (მატ. 26, 59 და შემდგომი), лжесвидетель.

ცრუწინასწარმეტყველი მაცთურებით წინამთქმელი (იერემ. 26, 11; მატ. 24, 11 და 1 პეტრ. 2, 1), лжепророк.

ცრუტი მჟავით ნამზადი მხალი.

[**ცრცნა** ნახე რუსულ-ქართულ ლექსიკონში ცუალება, ცვალება, отколупывать].

ცუარი ნახე ცვარი და სხ.

ცუდად ამაოდ, უქმად, უბრალოდ (ფსალ. 30, 6 და 34, 6, 19; ვეფხისტ. 25, 570), вотще, напрасно.

ცუდად უსაქმოდ, без дела, или занятия. // ავად, არა კარგად, худо, дурно.

ცუდად მყოფი უქმი, უსაქმო, праздный, незанятый, делом, работою и т. п.

ცუდდიდება მოგონილი დიდება, тщеславие.

ცუდვა (ვსცუდავ) აქოქლვა, ცუდად შეკერვა, шить на скорую руку.

ცუდი ამაო, ანუ ცარიელი (ფსალ. 2, 1 და 7, 4), тщетный, пустой. // ბედითი, არა კეთილი, ურიგო, худой, дурной.

[**ცუდი კაცი** ცუდკაცობა].

ცუდმავალი, ცუდმოარული უსაქმოდ მოსიარულე, праздношатающийся.

ცუდმაშურალი უბრალოდ დაღალული, გარჯილი (ვეფხისტ. 1278).

ცუდმორწმუნება ამაოდ მორწმუნება, суеверие.

ცუდყუავილა ჩუდყუავილა, სენია ყუავილივით.

[**ცუდსახიტყველი** тщесловный].

ცული, ცუალება და სხ. (ნახე ცვლა და შემდგომი).

ცულათოხი იარაღი ცალგნით სათხრელი ანუ საჭრელი.

ცული რკინის იარაღი ხეთ საჭრელი, შეშათ საპობი და ეგევითარად სახმარი (ისაი. 10, 15; ფსალ. 73, 5 და შემდგომი; მატ. 3, 10; ვეფხისტ, 1441), секира, топор.

ცულის პირა (ბალ.) ერთგუარი ცერცვია.

ცულისტარი ხე ცულის შესაცმელი (4 მეფ. 6, 5), топорище.

ცუნდრუკი ჩურჩნით ანუ თუალწარბის მოძრავობით ლაპარაკი, ძვირის ზრახუა (2 კორ. 12, 20; ფსალ. 40, 8), шептать.

ცუნცული ძუნძული მელისა და მისთანათა (ნახე სიარულში).

ცურვა (ვსცურავ) წყალში სლვა ტიტულივ, ხელთა და ფერხთ მოძრავობითა, ანუ ნავში ჯდომითა და ტარებითა მისითა (საქმ. 27, 43; ვეფხისტ. 579, 597, 629), **плавать.**

[**ცურვება** ოქროში **позлатить**].

ცური ხვასტაგთ ძუძუს ძირი, **вымя.**

ცუღლუტი ტრბუ, დაუდგრომელი საქმეზედ, **бездельник.**

[**ცუღლუტობა**]

ცუცუნა მეტად პატარა, ჩჩვილი.

ცქაფი მარდი, სწრაფი, მარჯვე ხელფეხით, ანუ ფიცხი, ახქარებული (ვეფხისტ. 644, 1155; შავთ. 33).

ცქერა (ვუცქერ) თუალის შესტერებით ჰურეტა, **глядеть.**

ცქვირინა (თევზ.) ტარაღანა, პატარა ხუთხი.

ცქვიტი მარჯვე, მარდი, ცქაფი, **проворный.**

ცქიმურა (თევზ.) წურილი თევზი, **корюшка.**

ცქიტი კენტრო, საშუალი წერტილი კარაკინისა, ანუ ფარგლისა, **центр, средоточие.**

ცხადად, ცხადივ გამოჩენით, დაუფარავად, ანუ არა სიზმრით (ფსალ. 49, 3; მატ. 6, 4 და შემდგომი), **явно.**

ცხადი გამოჩენილი, დაუფარავი, თუალითსახილველი, **явный.**

ცხავი მიწის საცერი, დიდრონთულებიანი ცხრილზედ უფრო, **грохот.**

ცხარი კაცი ფიცხელი, სასტიკი, ანუ თავხედი (იგავ. 9, 14), **продерзый, вспыльчив, горячь.** // ძალუმი, ვითარ ძმარი და მისთანანი, **крепкий,** [ცხარი ცრემლი, **горькие слезы**].

ცხება (ვსცხებ) წასმა ზეთისა, მირონისა და მისთანათა (მატ. 6, 17; მარკ. 6, 13), **мазать, помазывать.**

ცხებული უფლისა ებრაულად მესსია, ბერძულად ქრისტე. სახელი ესე მიეწერების მაცხოვარსა ჩვენსა (იხილე ქრისტე) (ლუკ. 2, 26 და 4, 18; ფსალ. 2, 2), **Христос, помазанник Господень.**

ცხებულად იწოდებიან ქრისტეანენიცა ხელმწიფენი, ვითა ზეგარდმოჲთა განგებულებითა დადგინებულნი და ცხებულნი სამეფოჲთა მირონითა ჟამსა კურთხევისა მათისასა. ეგრეთვე წინასწარმეტყველნი და ძველნი მღუდელთმთავარნი (ფსალ. 17, 50 და 104, 15).

ცხედარი საწოლი ტახტი, კრავატი (ფსალ. 6, 6 და 40, 3; მარკ. 2, 4 და 7, 4), **ложе, одр.**

ცხელა გარდამეტებული სითბო. მზისგან ანუ ვიწროობისგან, **жарко, душно.**

ცხელება სენი, რომელიც მარადღე სიცხეს მისცემს თჳსსა ჟამს, **горячка.** ხოლო უკეთუ პირველად მოვა შეციება და შემდგომად სიცხე, ეწოდების ციებ-ცხელება.

ცხელი მხურვალე ანუ დამწველი, **горячий, жаркий.**

ცხენი (ოთხფ.) ცნობილი ხვასტაგი სახმარი საჯდომად და შესაბმელად ეტლთა შინა და სხ. (ფსალ. 31, 9 და 32, 17), **конь, лошадь.** ამისსა მამალსა ეწოდების ახტა, დედალსა—ხრდალი და ჭაკი, შვილსა მათსა—კიცვი, კვიცი, ახტასა კვიცსა—ურა, ქურანი და ხრდალსა კვიცსა—ფაშატი, საჯოგედ დაუკოდელსა ახტასა—აჯილღა, დაკოდილსა — ტაიჭი და იაბო, კეთილმოსიარულეს — მერანი, თოხარიკი და იორღა, მეტობით შეკაზმულსა საჭიროებაში მოსახმარად—მარქაფა და ჯინიბი, გუარიანსა—ჰუნე და ბედაური, ფეხმაგარსა და გამძლესა—სინიბი. ეგრეთვე ფერისაებრ აქუსთ სახელნი, ვითარ: ჩალისფერს ეწოდება ხერღაგი, შუბლთეთრსა — საღარი, მეზღაპრულად მოგონილსა — რაში ანუ რახსი, ჰასაკმცირესა—გერგე და ცუდსა—ჯაგლაგი. რომელნიმე ამათ სახელთაგანნი განეკუთნებიან ვირთაცა და აქლემთა. ვითარ: ახტა, ჭაკი, ხრდალი, კიცვი. არამედ მდაბიურად კიცუსა აქლემისასა უხმობენ კოზაკად და ვირისასა—მუტრუკად და ჩოჩორად. კერძო ვირსა ანუ კარაულსა—ჯორი.

ცხენიანი ცხენზედ მჯდომი (ნახე ცხენოსანი).

ცხენის კბილა (ბალ.) ძაღლნიორა.

[**ცხენის ნალი** ნახე ვარსკულავედი].

ცხენის წამალა ხე შვენიერი, არამედ ხილი არა აქუს.

ცხენკაცი (ოთხფ.) მეზღაპრეთაგან მოგონილი ცენტავრი ანუ სირინ (ნახე იპოკენტავროს).

ცხენკეთილი რჩეულის ცხენის მქონი მხედარი.

ცხენოსანი მხედარი ცხენიანი (ეზეკ. 26, 7), **конный, кавалер.**

[**ცხვარი** ნახე ცხოვარი].

ცხვირი საყნოსელი ორღანო ცხოველთა (ფსალ. 113, 14), **нос, ноздри,** ცხვირი კლდე-

თ ა (ისუ. 15, 2), კონცხი, აკარა, мыс; ც ხ ვ ი- რ ი ხ ო მ ა ლ დ ი ს ა ქიმი, წინანი, нос у корабля; ც ხ ვ ი რ ი ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ თ ა ჰვინტი.

ცხვირის სატეხელა (ბალ.) борец, купальница, прыщевец.

ცხვირის ცემა დაცემინება (ცხვირს სცემს, აცემინებს, დააცემინა) დაცხიკვება, чихать.

ცხვირსახოცი მანდილი მოსაწმენდი ცხვირისა, носовой платок.

ცხიკვი დაცხიკვება, ცხვირის ცემა, ფრუსტუნი.

ცხიმი საზოგადოდ სიმსუქნე, სიპოხე, жир, жижа. სახენი ამისნი: ნ ა ღ ე ბ ი სძისა და მაწონთა პირს მონაგდები ცხიმი, ხოლო შედღვებულთა მაწონთაგან ახლად ამოღებულსა ეწოდება კ ა რ ა ქ ი, და ვიეთნი უხმობენ წ ი ნ წ ა ნ ა რ ი ე რ ბ ო, არამედ ერბო არს გარდადნობილი და დამარილული კარაქი, ხოლო ჩ უ მ ი არს საკუთრად სძისაგან ამოღებული კარაქი; ცხოველთ ხორცის სიმსუქნესა გარდაუმდნარს ეწოდების ც მ ე ლ ი და გარდადნობილს ქ ო ნ ი; ცხოვართა, თახჳთა და მისთანათა კუდის ცმელსა—დ უ მ ა და სხჳათა ცხოველთა გავის ცმელსა—ს უ თ ი, მუცლის ქონის ბადესა — ჩ ო ბ ა ლ ი ანუ პ ო ხ ნ ა მ ი ა; მწვადთაგან მწვეთელსა ცხიმსა, ანუ ქოთანთა და სხჳათა თიხის ჭურჭელთაგან სიცხით გამონადენსა — ჭ ე ნ ჭ ი; თევზთა ქონსა — ხ ი პ ი; მცენარეთა თესლეულისაგან და ხილთა გულისაგან, ვითარ ნიგჳზისა, ნუშისა, თხილისა და მისთანათა გამონახადსა ცხიმსა—ზ ე თ ი და ზეთის ხილისას—ზ ე ი- თ უ ნ ი ს ზ ე თ ი; მიწის ცხიმსა—ნ ა ვ თ ი.

ცხობა (ვაცხობ) იფქლისა, ქერისა და ეგევითართა ფქვილისაგან მოზელილის ცომის ცეცხლში გამოშრობა, გამოცხობა საჭმელად, печь, испекать.

ცხოვართსაბანელი ნახე პროვატიკის საბანელი (იოან. 5, 2), овчая купель.

ცხოვარი ცხოვარისა, ც ხ ჳ ა რ ი ცხჳრისა (ოთხფ.) ცნობილი შინაური ხვასტაგი (ფსალ. 8, 7), овен, овца, баран. ამისსა მამალსა ეწოდების ვ ე რ ძ ი, დედალს — ნ ე რ ბ ი, შვილთა მათთა—კ რ ა ვ ი, მოზდილს—ტ ა რ ი გ ი, წლადმდე — ბ უ წ ი და თ ო ხ ლ ი, წლის მეტს—ა ზ მ ა ნ ი და შ ი- შ ა გ ი. არამედ შიშაგი ნიადაგ ნიშნავს მამალსა; მნერბელსა—ე რ კ ე მ ა ლ ი, დაკოდილს—ჴ ე დ ი ლ ა, კაი ურუხისას— ს ა დ- გ ა მ ი, საკლავად გამორჩეულს—შ ი შ ლ ი- გ ი, მრგჳალს — ფ უ ნ ჩ ი, რქიანს—ქ ე ლ ი- ნ ი, ურქოს—ქ ო ლ ი კ ი, მელეს—ბ ა ლ ღ ი და ჟ ო ჟ ო რ ა კ ი, ბერწს უკრავოდ მწველელს—უ ზ ვ ი და უ გ ი, უჟამოდ დამაკებულს—ქ ა რ ა ბ ი ჟ ა, ярка, молодая овечка, დედაცხვარი, овца.

ცხოველი ცოცხალი, ანუ უკუდავი (ფსალ. 17, 46 და 114, 8; მატ. 22, 32; ლუკ. 24, 5), живой. // მდაბიურად ც ხ ო ვ ე ლ ი ხ ა ტ ი, ე. ი. სასწაულთმოქმედი. // სულდგმური, სულიერი, ცოცხალი (დაბად. 1, 20 და შემდგომი; ფსალ. 144, 16), живой, животный. // საჩინო, ნათლად დასანახავი, ცხადი, [явный, ბედი ცხოველი, явная судьба].

ცხოველნერგი რომელნიმე მცენარენი ზღჳსანი, გრძნობის მქონებელნი.

ცხოველობა სიცხოველე ანუ სიცოცხლე.

ცხოველსმყოფელი განმაცხოველებელი.

ცხოვნება (ვაცხოვნებ) განრინება, გამოხსნა (ფსალ. 3, 7 და 11, 1, კჳალად 68, 1), спасать. // მოცემა ღვთისაგან სიცოცხლისა, დღეგრძელობისა (მეფე. 19, 6, 9 და 118, 25, 37). // დადგინება, ანუ წჳრთნა კაცთა საქმესა ზედა საუკუნოსა ნეტარებისასა (1 კორ. 7, 16). // (ვსცხოვნდები) განრინება, მორჩენა, ანუ ცხოვრება (ფსალ. 32, 16 და 88, 48; დან. 3, 9), спасаться, жить, здравствовать.

ცხოვნებული განრინებული, ანუ დღეგრძელებული, спасенный.

ცხოვრება (ვსცხოვრებ) მდგომარეობა ცხოველისა (ფსალ. 7, 5 და 25, 9, კჳალად 26, 4), жить, житье, жизнь. // ზოგჯერ ცხოვნება (მეფე. 3, 2, 9 და 13, 7), спасение. // ც ხ ო ვ- რ ე ბ ა ს ა უ კ უ ნ ო სასუფეველი, საუკუნო ნეტარება (ლუკ. 10, 25; იოან. 4, 14, 36), живот вечный, жизнь вечная. // გარდასავალი და საქმენი ერთისა ვისიმე, ანუ მრთელისა ერისა, ვითარ ცხოვრება და მოქალაქობა ამა და ამ წმინდანისა, ანუ ქართლის ცხოვრება, жизнь, житье, жизнеописание, или бытописание.

ცხრა სამჯერ სამი, девять.

ცხრაფეხა (მძრ.) მრგჳალი კიბორჩხალა, рак круглый.

ცხრილი პაშტი, ცხავი მცირე თუალებიანი, გასაცხრილავი ხვარბალთა და სხჳათა მარცვალთა გასარჩევად ჩენჩოსგან, решетка.

// ამის მიმსგავსებით ეწოდების კინკლოსსა, цикл.

ცხრილვა (ვსცხრილავ) მარცვალთ გარჩევა ჩენჩოსგან ცხრილში გატარებით, сеять сквозь решетку.

ცხრო ციებ-ცხელების სენი მარადღე, ანუ დღეგამოშვებით, გინა ორის დღის გამოშვებით და უმეტესად (2 სჯული. 28, 22; ვეფხისტ. 576), стужа, лихорадка, песпуха.

ცხრომა (ვსცხრები) ზმნა ესე მრავალგუარად განვითარდების ზედდადებულთაგან (ნახე განცხრომა, დაცხრომა და სხუანი).

ცხუნება (ვუცხუნებ) ცეცხლთან ახლო მიტანა გასაცხელებლად.

[**ცხუარი** ნახე ცხოვარი].

ცხჳრი და სხ. (ნახე ცხვირი).

ძ

ასო ესე იხმარების ზოგჯერ ნაცულად ზ. ვითარ ზარი — *ძარი*, ზახილი—*ძახილი*, ზირა—*ძირაკი*, ზროხა—*ძროხა* და სხ. (ნახე ზ) და ზოგჯერ ნაცულად ჯ. ვითარ— აძეძი—*აჯეჯი*, ძაბუნი—*ჯაბანი*, ძახველი—*ჯახველი*, ანუ ჭ: ძენძეხი — *ჭენჭეხი*.

ძაბვა (სძაბავს, იძაბება) მცირედ გაჭიმვა, გაძაბვა.

ძაბრი ნოტიოთ შთასასხმელი ჭურჭელი პირვიწროთა შინა სასმისთა, воронка.

ძაბუნი ჯაბანი, კაცი დაშინებული, დაჩაგრული, робкий. // დაფუცუნებული, დაძრული, დაძველებული, обветшалый. // ნადები, ასუნებული (ითქმის საჭმელთათჳს). протухший, тронувшийся.

ძაგება (ვაძაგებ) ურიგოდ ხსენება, хулить.

ძაგება, ძაგვა (მძაგს) ძულვა, სიძულილი, მოძაგება (ფსალ. 5, 6). гнушаться.

ძაგძაგი (ვსძაგძაგებ) სიცივით კანკალი, თრთოლა, дрожать, продрогнуть.

ძალად ძალის დატანებით, იძულებით, უნებლიეთ, насильно, принужденно.

ძალადობა მძლავრება, насилие.

ძალაყინი, ზალყინი ძელი სანგრევი კედელთა, ანუ საკეტი კართა.

ძალი მდაბიურად ძალა, ღონე, ძლიერება, სიმტკიცე (ფსალ. 20, 1, 13), сила (28, 10), крепость (58, 9), держава. // *ძალნი* სასწაულნი, ანუ მადლი სასწაულთ მოქმედებისა (მატ. 7, 22 და 11, 20 და შემდგომი). // *ძალნი ცათანი* მხედრობა ზეცისა (მატ. 24, 29), силы небесные. // *ძალნი ანგელოსნი* მესამისა დასისანი (ნახე დასი) (რომაელ. 8, 39), силы, власти, [აგრეთვე ნიჭსა ან ტალანტსა ჰქვიან].

ძალი სიმი, ალყა მეტალლთა ანუ წელებისგან შეგრეხილი საკრავთათჳს, струна. ამისგან ითქმის: *ათძალი*, *ხუთძალი* და სხ., რაოდენიცა ექმნების საკრავთა.

ძალიანი, ძალოვანი ძლიერი, ღონიერი, ძლიერების მქონებელი, сильный, могущественный.

ძალითად და **მოქმედებითად** ლექსთა ამათ რაჲსა მიმართობა არს ესრეთ. მაგალ., კვერცხი არს მფრინველი *ძალითად* და არა *მოქმედებითად* და გამოიჩიკოს რამისგან მფრინველი, მაშინ არს *მოქმედებითად*, ანუ კაცსა აქუს მუსიკელობა *ძალითად*, ვიდრემდის ისწავებდეს მუსიკასა და რაჟამს ისწავოს, მაშინ აქუს *მოქმედებითად*. გინა რაჲცა სახეთა აქუს *მოქმედებითად*, იგი აქუს ნათესავსა *ძალითად*. მაგალ., ლექსსა შინა კაცი *ძალითად* მდებარე არს (разумеется или подразумевается), არსება სიტყუერი (კატიღ. ანტ., § 75).

ძალის დება (ძალმიძს, ძალმედვა, ძალვიდებ) შეძლება (შემიძლია, ხელმეწიფების) (მატ. 8, 2), мощи, могу.

ძალუმი ძალიანი, ძლიერი, *ძალუმი* კაცი, сильный, мощный, человек, ძალუმი ღვინო და სხ., крепкое вино и т. п. напитки.

ძარი ნახე ზარი.

ძარღვი ცხოველთა ხორცსა შინა განფენილნი სოლინარნი, ვითა ძაფნი სისხლის მოსაქცევად (ეზეკ. 37, 8), жила. // ხეთა და ქუათა შინა თჳთოფრად მიდევნებული ხაზი, жила, слой. // ლითონის ქანთა და კლდეთა შინა ერთნაირად მიდევნებული ნიშანი მეტალლისა, гряда.

ძაფი მკედი, წურილი ნასთი ბამბისა, აბრეშუმისა, ლაზლისა და მისთანათა, нить, нитка; ძაფთა შორის *შითი* არს წურილი მატყლისა, *ღაზლა* უმსხოსი და შლილი, [гарус], *აშკი* და *მავთული* რკინისა

ანუ სპილენძის ძაფი (ხოლო სხჳათა ოქრომჭედის ძაფთა სახელნი იხილენ ოქროსთმასთან).

ძაღარა ბეწვეულთ კიდურებზედ მონაკერი სხვაფერი ბეწვის არშია, опушь, опушие, опушки.

ძაღლაპურა კონჩოლი, შეურაცხებით უხმობენ ხარშოში დამბალს პურს კაცთა საჭმელსა.

ძაღლთევზა (თევზ.) ნახე ზღჳს ძაღლი და ფუკინი.

ძაღლი (ოთხფ.) ზოგადი სახელი ცნობილის შინაურის ცხოველისა (მატ. 15, 26 და შემდგომი), пес, собака; ამისსა მამალსა ეწოდების ხ ვ ა დ ი, დედალს—ძ უ და ძ უ კ ნ ა, შვილთა მათთა—ლ ე კ ვ ი, ჰასაკმცირესა—ც ი ბ ა და გ ო შ ი ა, მოდიდოს — ფ ი ნ ი ა, დიდსა და მიდამოდ მცველსა—ქ ო ფ ა კ ი, მსწრაფლსა და გჳარიანსა — მ წ ე ვ ა რ ი, ქოფაკისა და მწევრისგან ნაშობსა—ნ ა გ აზ ი, მეკჳალეს, ე. ი. ნადირთ კჳალთა მპოვნელსა—მ ე ძ ე ბ ა რ ი. არამედ სახელნი ხ ვ ა დ ი, ძ უ, ლ ე კ ვ ი ითქმის ლომთათჳსცა, მგელთა, ტურათა და მისთანათა (ვეფხისტ. 39).

ძაღლის ენა (ბალ.) უკადრისა.

ძაღლისკბილა (ბალ.) бес, кандык.

ძაღლის მწერი (მწერ., ფსალ. 77, 45 და 104, 30), песьи мухи.

ძაღლისყურძენა (ბალ.).

ძაღლნიორა (ბალ.) ცხენის კბილა.

ძაძა შავი სამოსელი სამგლოვიარო, უფროორე ლბზლის შალი (ფსალ. 29, 11 და 34, 13; მატ. 11, 21), вретище, траур, власяница.

ძახვა (ვსძახავ) ორთა ძაფთა ერთად შესთვა, сучить, кручить.

ძახველი (ხე) მძახველა, калина.

ძახილი დაძახული, შესთული (გამოს. 31, 4), сканый, сученый.

ძახილი (ვიძახი) ნახე ზახილი.

ძგერა (ჰსძგერს) გულის ცემა, ფეთქა ტკივილით.

ძგერება (ვაძგერებ, ვეძგერები) კვეთება, შეჯახება, შეხლა ძლიერი (ვეფხისტ. 1032), ударять, наступать, сталкиваться.

ძგიდე საძგიდი, გალობილი, გაფიცრული შენობათა შინა (ეზეკ. 43, 13, 17), ограждение, перегородка (ნ. ლახვარი).

ძგიფი გაძგიბული, მცირედ შეყინული.

ძე ვაჟიშვილი (ნახე კაცთან) (ფსალ. 2, 7 და 8, 4), сын. // ზოგჯერ არს სახელი საზოგადო, ვითა შვილი (ვეფხისტ. 33. 36, 118; შავთ. 3).

ძე არს ძირი ზმნათა ჰ ს ძ ე ს, მ ი ძ ს, имеется, უკუთქმითად: არ მ ო ე ძ ე ვ ა, არ მ ო ეძ ე ვ ე ბ ა, не имеется, კჳალად გ ა ძ ე ვ ებ ა, გ ა ნ ძ ე ბ ა და სხ. ხოლო მარტივად ლექსი ესე იხმარების ფრიად იშვით, ქონებისათჳს სახმართა ნივთთასა, ვითარ ნემსის ძ ე გამომელია.

ძებნა (ვეძებ) ძიება, ჩხრეკა, ცდა პოვნისათჳს (ვეფხისტ. 115 და შემდგომი), искать.

ძეგლი დიდი სვეტი მარტოდ დადგენილი ნიშნად, ანუ სამძლჳრად (დაბად. 31, 13), столб.

ძეგლის წერა ზედა წარწერილობა ძეგლსა ზედა ღირსსახსოვრისა რაჲსამე. // აღწერილი სჯულის დება, ანუ განწესება (შავთ. 79), столбописание.

ძეგვა (ვსძეგჳ) ცეხვა, ძეწკა, ბეგვა.

ძელი მოკვეთილი ხე (საქმ. 5, 30 და 1 კორ. 3, 12), древо, дерево, бревно.

ძელქჳა (ხე) ჰანდარი (დაბად. 30, 37), явор, репина.

ძელყორე ძელით და ქჳთ მოვლებული გალავანი (ნახე ზღუდესთან), забор.

ძენძეხი წვიმა და დიდი ტალახიანობა, слякоть.

ძეობა ჩჩვილთ დაბადების ჟამს ქალთ მარაქა, родины.

ძერა, ძერი (მფრ.) (ლევიტ. 11, 15; ისაი. 34, 11), сова, коршун.

ძერაბოტა (მფრ.).

ძერქორი (მფრ.) თეთრი ძერა (ლევიტ. 11, 15), сова, лунь.

ძერძერუკი, ძენძერუკი (მფრ.) ქორის გჳარია (მუნეე, 11, 17), ястреб, ивин, катаракт.

ძერწა ნახე შეძერწა (შავთ. 40).

ძეძვი ჯაგი ეკლიანი (მსაჯულ. 9. 14; ფსალ. 57, 9), терние, комочка.

ძეწკვა (ვსძეწკჳ) ცეხვა, ბეგვა, ძეგვა.

ძეწკვი წურილი ჯაჭვი ძჳირფასთა მეტალლთაგან მხრებზედ და კისერზედ ჩამოსავლები, цепочка.

ძეწნი (ხე) ტირიფის ნერგი (ნახე ტირიფთან) (ფსალ. 136, 2), вервие, ива.

ძვალი უმაგრესი ნაწილი ცხოველთა ხორცსა შორის (დაბად. 2, 23; ფსალ. 21, 14, 17), кость.

ძველი ადრინდელი. დიდის ხნისა, ანუ ნახმარი (მატ. 9. 16 და შემდგომი), ветхий, старый, древний.

ძველებური უწინდელის ჩვეულებისა, ანუ ძველის ჟამისა, старинный.

ძვილ, ძვილღა, ძვილხადამე ძლივ, ძლით (შავთ. 4), едва, насилу.

ძვინად შესაწუხებლად, წინააღმდგომად, ანტავრად (ისაი. 1, 1; ოსე. 7, 13), на, вопреки, на зло, в пик.

ძვინვა ნახე განძვინება, მძვინვარე.

ძვირი არა იეფი, ძნელად საშოვარი, იშვითი; ძ ვ ი რ ა დ—იშვით (ვეფხისტ. 567), редко, редкий, дорогой. // ძუნწი, პურადძვირი (ვეფხისტ. 921, 933), скупой, [ძვირის ლაპარაკი ვისზედმე, ძვირის თქმა, ძვირის მოხსენება].

ძვირი ბოროტი, ავი, გინა უბედურება (ფსალ. 7, 9 და 70, 13, 20, 24), зло, злоба, беда.

ძვირის ზრახუა შეთქმულება ბოროტის შესამთხვეველად (საქმ. 9. 24), умысл, злонамерение.

ძვირის მოქმედება, ძვირის საქმე ბოროტის შემთხვევა (ფსალ. 34, 17), злодеяние, злодейство.

ძვირის მოქმედი ავისა, ბოროტის მოქმედი (ლუკ. 23, 32), злодей.

ძვირის შემთხვევა (ძვირს შევამთხვევ) ბოროტის ქმნა (ნახე შეჩვენება) (საქმ. 9, 13), зло сотворить, наделать кому.

ძვირის ხსენება (ძვირს ვიხსენებ) ავის ნაქმარის მოგონება (ფსალ. 102, 9), враждовать, памятозлобствовать.

ძვირფასი მრავალფასი, ღირებული დიდძალის საფასისა, драгоценный.

ძვირხილული ავის მნახველი, შეიწრებული (ებრაელ. 11, 37), озлобленный, обиженный.

ძი მარცუალი ესე ხშირად იხმარების ლექსთა თანა: ვ ი ნ ძ ი, ვ ი თ ა რ ძ ი და სხ. ნაცულად თუ ვინ, თუ ვითარ (ნახე თუ და იგი) (ლუკ. 9, 46 და 19, 3; მარკ. 5, 14 და 15, 2, 4; ვეფხისტ. 479, 519).

ძია, ბიძია საალერსო თქმა (ნახე ბიძა), дядюшка, дяденька.

ძიბ, ძიბ ქათმის წიწილთ ხადილი цып, цып.

ძიება (ვეძიებ) ძებნა, მოძებნა (ფსალ. 4, 2; მატ. 6, 33 და 7, 7 და შემდგომი), искать. // ღრამმატიკულად ნათესავის ძ ი ე ბ ა არს ვნებული ზმნისა, страждущее, ხოლო მოქმედსა ეწოდება უ ფ ა ლ ი ზმნისა (ნახე უფალი), действующее, [ძიება, сказуемое].

ძილი ბუნებითი განსვენება ცხოველთა, რაჟამს დამაშვრალნი გარეგანნი საგრძნობელნი დროებითად დასცხრებიან თჳსისაგან მოქმედებისა (ფსალ. 75, 5; საქმ. 20, 7), сон.

ძილისპირი ნახე სძლის პირი.

ძილის შორისი, ძილის შინა სიზმარი (იერემ. 23, 25; დან. 2 ,1 და შემდგომი; იოილ. 2, 28), сон, сновидение.

ძიმწარე, ძირმწარე (ბალ.) горький корень.

[ძინია]

ძირაკი (ბალ.) ზირა (მატ. 23, 23; ისაი. 28, 25, 27), кимин, тмин.

ძირი ქვედაკერძო ნივთთა (სახენი ამისნი ნახე ფსკერთან) (ვეფხისტ. 218, 471), дно. // ფესვი ხეთა და ბალახთა (ფსალ. 79, 9; მატ. 3, 10 და 13, 6), корень. // ძირი ეწოდების დადგმულსა ზვინსა თივისასა, стог.

ძირტკბილა (ბალ.) сладкий корень.

[ძირძიდა]

ძირწითელა (ბალ.).

ძირხვენა (ბალ.) საჭმელი ძირი მხალთა და მოლთა, корень лапушный.

ძიძა დედაკაცი უცხოთ შვილთ მაწოვებელი ძირითა, кормилица.

ძლება (ვსძლებ) გაძლება, ატანა, მოჭირვება, დადგნობა, сносить, устоять. // (ვუძლებ) შეძლება, ძალის ქონა, ძალის დება (მარკ. 5, 4), мощи, могу.

ძლევა (ვაძლევ) მიცემა, давать, ხარჯს ვაძლევ.

ძლევა (ვსძლევ) მორევნა, ჯობნება, დამარცხება (ფსალ. 50, 4), побеждать, победа.

ძლეული მორევნილი, დამარცხებული, побежденный.

ძლიერება ღონიერება, ძალის ქონება (ფსალ. 19, 6 და 20, 13, კუალად 64, 6), сила, крепость, могущество. // (ვსძლიერობ) განძლიერება, გაძალიანება, ძალის მომატება (ფსალ. 9, 19), крепиться.

ძლიერი ძალიანი, ღონიერი, შემძლებელი, ძალის მქონებელი (ფსალ. 23, 8 და 70, 7), крепкий, сильный.

ძლით, ძლივ, ძლივს ძალმორევნით, ძვილ (საქმ. 27, 16; ვეფხისტ. 306), едва, на силу.

ძმა ესრეთ უხმობენ ურთიერთსა ვაჟნი შობილნი ერთის დედ-მამისაგან, ეგრეთვე დანი მათნი (მატ. 1, 2, 11 და 4, 18, 21), брат. // ეგრეთვე უხმობენ ურთიერთსა სხუანიცა კაცნი თანასწორისა ხარისხისანი.

ძმადი მაყარი, სიძის თანამხლებელი ქორწინების დროს, дружка, шафер.

ძმარი ღვინო დამჟავებული ფრიად ცხარი გემოთი (ფსალ. 19, 29 და 68, 21), оцет,

уксус, ლექსი ესე მიღებულ არს ბერძულისაგან *ζυμάρι*, რომელიც ჰნიშნავს მჟავეს პურის ცომს.

ძმარვა ნახე გულს დაძმარვა, ანუ დაძმარება.

ძმაცვა ძვირის ზრახვა (დაბად. 37, 18; ფსალ. 82, 3; ამბაკ. 2, 7), умышлять, умысел, лукавство, навет, извет.

ძმისწული შვილი ძმისა (დაბად. 12, 14 და შემდგომი), братанник, племянник, -ца.

ძმობა ერთობა ძმათა, братство.

ძმობილი ძმად ხმობილი (ვეფხისტ. 924), названный брат.

ძნა (ბალ.) მომკილის ყანის კონა, შეკრული მჳელეულთაგან, ანუ ხელეულთა (დაბად. 37, 7; ისაი. 17, 5), сноп.

ძნეულად ძნებად (მატ. 13, 30), в снопы, снопами.

ძნეული сноп.

ძნელი ძნიადი, გასაჭირი, ფრიადის გარჯის მოქენე (ვეფხისტ. 9, 27, 213), трудный, мудреный.

ძნელბედი ავბედი, ძვირხილული, злощастный, страждущий.

ძნელსუნობა მძიმე სუნი, სიმყრალე, зловоние.

ძნელოვანი საძნელო, ფრიად გაძნელებული, многотрудный.

ძნიად ძნელად, გაჭირებით, არა ადვილად (მატ. 19, 23 და 23, 4), трудно, неудобно.

ძნობა (ვსძნობ) სახიობა, ცემა სამუსიკოთა საკრავთა კეთილხმობით, ანუ გალობა (შავთ. 1), воспевать на арфе и т. п. // ძალნი სამუსიკოთა ორღანოთანი (ფსალ. 150, 4), струны.

ძოვება (ვაძოვებ) გაშვება ხვასტაგთა საძოვართა მინდორთა ზედა საკვებად (იოან. 21, 15), пасти, травить.

ძოვნა (სძოვს) ჭამა მოლთა და მდელოთა (იობ. 1, 14; იოან. 3, 7; ვეფხისტ. 1584), пастись.

ძოლო მცირე ნოხი, ხალიჩა (ნახე ტერი), ковер.

ძონძი ძველი სამოსელი დაგლეჯილი (შავთ. 32), ветхи, ветошки; ხოლო ბ ე ბ კ ი ძველზედ ძველი დაკერებული; ფ ა რ ა ტ ი ნ ი ნაგლეჯი ბებკისა; ფ ლ ა ს ი და ჯ ი ნ ჯ ი თ ი შალის ნავლეჯი.

ძინძროხი ნახე ზორზოხი.

ძოღან, ძუღან გუშინს წინ, ანუ შარშანდელს აქეთ (დაბად. 31, 2; ვეფხისტ. 373, 406, 1153), третьего дня, или с прошлого года.

ძოწეული ძოწისფერი, მეწამული (ქებ. 4, 3; იოან. 19, 5), червленый, багряный. // ამფერი სამოსელი დიდებულთა, რომელსა ჰქვიან ბერძულად პორფირი (ლუკ. 16, 19; საქმ. 16, 14), багряница, порфира.

ძოწი წითელი მარჯანი, ბროწეულის ყუავილის ფერი, коралл, монист. // ფერადი ზეზი.

ძრახვა (ვსძრახავ) განკითხვა, დაძრახვა, осуждать.

ძრობა (ვაძრობ) ამოგლეჯა, ამოძრობა, выдергивать, вытаскивать. // (ჰსძრავს) სიცივისგან დაზრობა, ზრობა (ესენი ნახე).

ძრომა (ვჰსძურები) ღოღვა, ცორვა ქვეწარმავალთა (ნახე სიარულში) (ვეფხისტ. 1294). ползать.

ძროხა (ოთხფ.) ნახე ზროხა.

ძრუა (ვსძრავ, ვიძრვი) ცუალება ადგილისა, მოძრაობა, двигать, -ся. // რწევა, რხევა, შერხევა, შერყევა, трясти, колебать, качать, -ся. // ძრვა ქვეყანისა (ფსალ. 14, 5 და 45, 2; მატ. 24, 7 და 28, 2), трус, колебание, землетрясение.

ძრცუა (ვსძრცვი, ვსძარცვავ) გაცრცვა, განძარცვა, გაკრეზა, განშიშულება, შემოცლა სამოსლისა, ანუ წარტაცება ქონებისა, грабить, ограблять.

ძრწოლა (ვსძრწი) თრთოლა, კანკალი შიშით (ფსალ. 2, 11 და 47, 7), трепетать, трепет.

ძუ დედალი მხეცი (ნახე ხვადთან) (ვეფხისტ. 39), самка зверей.

ძუა, ძუვა ცხენთ კუდის გრძელი ბალანი (ნახე თმასთან).

ძუალი, ძუული და სხ. (ნახე ძვალი, ძველი და შემდგომი).

ძუკნა (ოთხფ.) საკუთრად ეწოდების ძუსა ძაღლსა, сука.

ძულვა, ძულვება (მძულს, ვსძულობ, ვიძულებ) ძაგება, ძაგვა, საძაგლად მიჩნევა (ფსალ. 10, 5; ვეფხისტ. 10), ненавидеть.

ძუნძული (ვსძუნძულებ) დაღალულის სირბილი, ანუ სლვსა და სირბილის საშუალი. ესე ითქმის უდიდესთათჳს ცხოველთა, ხოლო უმცირესთათჳს შეურაცხებით — ც უ ნ ც უ ლ ი (ნახე სიარულში).

ძუნწი ღუნწი, წუწკი, პურაძვირი, გამოუმეტებელი, ხელმოჭირებული, скупой.

ძურწა (ბალ.) ковыль.

ძუღან ძოღან, წუხელის ანუ გუშინს წინ (2 სჯული. 19, 4, 6; ვეფხისტ. 373, 406 და შემდგომი), вчера, или третьяго дня.

ძუძუ ქალთა და ზოგად მდედრთა ცხოველთა ბუნებითი ჰურჰელი სძისა საწოვებელი შვილთა მათთა (ქებ. 4, 5; ეზეკ. 28, 9), сосец, сосцы, титьки.

[**ძუძუმწოვარა**]

ძუძუთა, ძუძუბანი უსუვარი ძუძუს მწოველი, грудной младенец, ребенок.

ძუძუმაყვალა (ხე) морошка.

ძუძუსთავი მრგუალი მეჭეჭი ძუძუთა ზედა საწოვნელი უსუართა, ანუ მოსაწველი სძისა ხვასტაგთასა, сосец, соска.

ძუძუხმტე ესრეთ უხმობენ ურთიერთსა, რომელნიცა გაზდილან ერთის ძიძისგან ძუძუს წოვებითა, თუმცა სხვადასხვას დროს (საქმ. 13, 1), совоспитанник, т. е. воспитанный с кем одною кормилицею, или имевший общую с кем кормилицу, хотя не в одно время.

ძღარბი (ოთხფ.) ნახე გძღარბი, ზღარბი.

ძღვამლი (ხე) რძღვამლი, გრძღვამლი (ნახე კრიკინა).

ძღვანება, ძღვანვა (ვუძღუანებ, ვსძღუანებ) მიძღუანება, გაგზავნა, препровождать.

ძღვენი, ზღვენი მისართმევი, ანუ გასაგზავნი სანიჭარი (ფსალ. 71, 10; მატ. 2, 11), дар, презент, гостинец.

ძღუნა (ვსძღუნი. ვუძღუნი) ძღვენის მირთმევა, შეწირვა (ვეფხისტ. 1454 და შემდგომნი; ზავთ. 1), приносить дар, дарить.

ძღობა (ვაძღობ, ვაძღებ) საზრდელის მიცემა საკმაოდ. განძღება, насыщать, накармливать.

ძღოლა (ვუძღვი, ვუძღვები) ტარება სხუათა წინ წასლვით (ფსალ. 22, 2 და 42, 3, კუალად 76, 20), водить, предводительствовать. // მოძღურება, სწავება, დადგინება ჭეშმარიტსა გზასა ზედა (მუნვე, 5, 8 და 24, 5), руководствовать, наставлять.

ძღომა (ვსძღები) საკმაოს საზრდელის მიღება, насыщаться, сделаться сыт[ым].

წ

ქარაგმიანნი ლექსნი: წ҃ა — წ მ ი ნ დ ა, წ҃ო—წ მ ი ნ დ ა ო, წ҃ე—წ ი ნ ა შ ე, წ҃წარ— წ ი ნ ა ს წ ა რ, წ҃წყლი— წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი.

ზედდადებულნი ამას ასოსა ზედა არიან: წ ა რ, წ ა რ მ ო; მდაბიურად წ ა, წ ა მ ო. კუალად წ ი ა ღ, წ ი ნ ა, წ ი ნ ა ს წ ა რ, ვითარ წ ა რ ს ლ ვ ა—წ ა ს ლ ვ ა, წ ა რ მ ო ს ლ ვ ა—წ ა მ ო ს ლ ვ ა, წ ი ა ღ ს ლ ვ ა, წ ი ა ღ ხ დ ო მ ა, წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა, წ ი ნ ა მ ს რ ბ ო ლ ი, წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი და სხ. წ იხმარების ზოგჯერ ზ და ტ მაგიერ (იხილენ ასონი იგი) და ზოგჯერ ჭ მაგიერ, ვითარ: წმახი — ჭ მ ა ხ ი, წოტი — ჭ ო ტ ი, ხიწვი— ხ ი ჭ ვ ი და სხ.

წაარება (წავაარებ) წაროწინება, მცირედ გატარება.

წაბიჯება (წავაბიჯებ) წარდგმა ბიჯისა, шагнуть, сделать шаг.

წაბლი (ხე) каштан.

წაგება ნახე წარგება (ვეფხისტ. 1057).

წაგებინება (წავაგებინებ) თამაშობაში წაღება მოპირდაპირისგან, проигрывать кому.

წაგურა (წავჰგური) მიყუანა ვისთანმე, მრავალთათჳს ითქმის წ ა ს ხ მ ა, приводить, отводить. // წართმევა, მოტაცება (ვეფხისტ. 1124, 1288), отнимать, отбирать.

წადიერება ტრფიალი, ფრიადი ნდომა, მოწადინება, охота, доброхотство.

წადიერი ფრიადის ნდომის მექონი, მოწადინებული, охотник, доброхот.

წადილი (მწადს, ვსწადნოი) სურვილი, ტრფიალი, მოწადინება (ვეფხისტ. 100), желать. // (მწადიან) განზრახვა, გულვება, დაპირება (ნახე გულისწადილი), думать, предполагать.

წავარნა ვიწრო ბილიკი კლდეთა შინა (ნახე გზასთან) (ვეფხისტ. 690).

წავი, მწავი, წვავი (ოთხფ.).

წავლა (წავიელი) მცირედ განვლა, წარვლა.

წათი ათთი, გრძელი შუბი, ანუ კეტი გამწვეტებული (მატ. 26, 47, 55), кол, дреколье.

წათხი წუთხი, მლაშე ბალღამი, ანუ შალალი.

წაკიდება (წავჰკიდებ, წავეკიდები) წაჩხუბვა (ვეფხისტ. 111, 899, 902), ссорить, подзадоривать, придирать, -ся. // (წავუკიდებ, წაეკიდება) ცეცხლის შეკეთება, подкладывать огонь, обнимать пламенем, пожаром.

წალა ზალა, თხელი შალალი, сукровица.

წალამი ვაზის ნასხლევი, хворост виноградных лоз.

წალდი პირგრძელი ცული, ცხვირიანი, ფიჩხის საკაფი, [косарь].

წალები კარავთ გასაბმელი თოკები (ნახე საბელთან).

წალეკა (წალეკავს) მოვარდნილის ღუარისა ანუ ადიდებულის მდინარის ზედ გარდაელა მშრალს ადგილზედ, потоплять, поднимать прибылою водою берега.

წალი (ოთხფ.) თიკანი, ჩებიჩი (ნახე თხასთან) (რიცხ. 28, 15), козел.

წალიკა (ბალ.) икотная трава.

წალკატი ორპირი წერაქვი მოკლეტარიანი ქუათ სათლელი.

წალკოტი (ხე) ხილნარი, ხეხილთ ბაღი, фруктовая роща.

წალო ქვეშაგებისა და ლოგინის შესანახავი ადგილი.

წამალი სამკურნალო შეზავებულება, რომელიც იქმნების ანუ შინაგან მისაღები, ანუ გარედამ დასადები სატკივართა ზედა (ვეფხისტ. 272), лекарство. // ღონისძიება ანუ საშუალობა (მუნვე, 15, 255), средство, способ. // საწამლავი საკუდინებელი, ანუ შემშლელი კაცთა (ნახე საწამლავი), отрава, порошок, зелие отравное. // წამალი სამხატურო, სალებავი ანუ ჩასაფერადებელი, краски живописные, или красильный материал. // წამალი თოფისა, დენთი, საფეთქი, порох.

წამართ, წალმართ შემდგომად, კულავ (ნახე წარმართ) (იერემ. 7, 24; ეზეკ. 39, 22; ანგია. 2, 19), далее, впредь.

წამახული გაწვეტებული, წვერგამახული, заостренный.

წამება (ვაწამებ, ვეწამები) ტანჯვა, წვალება, мучить.

წამება (ვსწამებ, ვეწამები, ე. ი. ვემოწმები) მოწმობა, დამოწმება, დაჭეშმარიტებ (ფსალ. 80, 5, 8; იოან. 3, 11), свидетельствовать, засвидетельствовать.

წამება დარწმუნება, სარწმუნოდ გამოჩენა (გამოს. 25, 10; ფსალ. 18, 7 და 118, 2 და შემდგომი), свидение, свидетельство, откровение.

წამება ცილისა (ნახე ცილის წამება).

წამებული დაჭეშმარიტებული, სათნოდ დაჯერებული, მიჩნეული (საქმ. 10, 22), свидетельствованный, одобренный.

წამებული ტანჯული, თავს მდები ვნებათა. мученик, замученный.

წამი მინუტი (ნახე ჟამი) (ვეფხისტ. 567), мин. минута.

წამი და წამწამი თუალის ქუთუთოთა მოსაკეცსა ზედა, გრძლად მოვლებულნი ბეწუნი, ანუ თჳთ ქუთუთონი (ნახე თმასთან) (ფსალ. 10, 4 და 131, 4), вежды, ресницы.

წამი და წამისყოფა (წამსვუყოფ) ნიშნება თუალის დახამხამებით, ანუ სხვა ნიშნით ლაპარაკი (ისაი. 3, 16; ლუკ. 1, 22, 62 და 5, 7; იოან. 13, 24), мигать, объясняться знаками, помизание.

წამლვა (ვსწამლავ) გრძნებით მოხიბლვა, ან შელოცვა (ფსალ. 57, 5), обаять, обаяние. // მოწამლვა, საწამლავის მიცემა, отравлять.

წამლობა (ვსწამლობ) კურნება წამლით, лечить.

წამობა (ვსწამობ, ე. ი. ვაბრალებ) ბრალობა. დაწამება, შეწამება.

წამოხადეგი კაცი ტანოვანი, შვენიერად ბრგე, статный, стройный.

წამოხახხამი საკუხი ტოლომა, ლართი და მისთანანი.

[**წამოხლუა**]

წამოფარება (წამოვაფარებ) მცირედ გარდახურვა, прикрывать.

წამოქელვა (წამოვჰქელავ) ხედგარდაველა, გალახვა (ვეფხისტ. 595).

წამოწითლება, წამოჭეხება (წამოვაწითლებ, წამოვსწითლდები) გაწითლება სირცხვლისგან, თუ მეტის სასმლისგან, покраснеть.

წამრეცი ცერად დამრეცი, отлогий, покатый.

წამურტლვა წაპილწვა, შეგინება.

წამწამი თუალის ქუთუთოთა მოსახუჭავში ოამანი (წამი ნახე) (ვეფხისტ. 5; ჩახრუხა. 92, 114), ресницы.

წამწე ხიდის კედელზედ ჯირგუალად წარზიდულნი ძელნი სიმაგრისთჳს (ნახე ხიდთან).

წანაგები თამაშობაში წაგებული, ანუ წარსაგებელი, проигрыш.

წანართმევი მოტაცებული, წართმეული, отнятый, похищенный.

წანალები გაზიდული, წაღებული, взятое, перебранное.

წანდილი კოლიო, მგბარი ხორბალი, кутья.

წანწალა ერთი ძელი წყალზედ გადებული გასავალად (ხიდთან ნახე).

წანწალი (წანწალებს) ცანცალი (სიარულში ნახე).

წანწკარი (წანწკარებს) საამოვნო ხმა წყაროთდინებისა (ვეფხისტ. 491).

წაპილწვა შებილწება, წამურტლვა.

წარამარა ცუდმოუბარი, пустомеля. // ცუდი ტარტარი, უთავბოლოვო ლაპარაკი, вздор, бредни, ахинея.

წარაფი (ხე) წვრილი და მოგრძე ჰალა ტირიფისა (ნახე ტევრი), высокорослый кустарник.

წარბი თვალთა ზედა წამოფარებულნი თმანი გრძლად და მოხრით (ნახე თმა) (ლევიტ. 14, 9; ჩახრუხა. 114), брови.

წარგება (წარვაგებ) დახარჯვა, განბნევა, წაგება, издерживать, растрачивать, проматывать.

წარგზავნა (წარვგზავნი) გასტუმრება, წარვლენა, посылать, отправлять.

წარგრაგნა (წარვგრაგნი, -ნავ) შეხვევა, წახვევა (მატ. 15, 46 და 27, 59), обвивать, свертывать.

წარდგენა, წარდგინება (წარვადგენ, -დგინებ) წინაშე ვისსამე დადგენა, მირთმევა, представлять.

წარდგომა (წავსდგები) მისლვა ვისმე წინაშე (ფსალ. 5, 3 და 63, 6), предстать, представляться. // მუხლნი ფსალმუნთანი სათქმელნი უწინარეს სამოციქულოსა და სხუათა საკითხავთა, прокимен.

წარდგინება სლვა მდინარეთა ანუ სხუათა ნოტიოთა, течение.

წარეული დაშლილი, არეული ანუ წამურტლული.

წარვლა (წარვივლი) წავლა ნახე.

წარვლენა, წარვლინება (წარვავლენ, -ვლინებ) გაგზავნა, გასტუმრება (მატ. 2, 8, 16; მარკ. 1, 2 და 11, 1), посылать.

წარზიდული ღრამი, ხაზი (ნახე სხეულთან), черта, линея.

წართვით ერთმანერთზედ მობმით, რიგზედ, სირად, рядом.

წართმევა (წავართმევ) ძალით გამორთმევა, отнимать.

წართქმა (წარვსთქუამ) დამტკიცება, утверждать, ხოლო უკუთქმა, отрицать.

წარკვეთა (წარვჰკვეთ) მოჰრა, მოკვეთა (მატ. 26, 51), отсекать. // სასოების წარკვეთა (წარვიკვეთ) წარწირვა, უიმედოდ შექმნა, отчаивать, -ся, лишиться надежды.

წარმართ, წაღმართ და წამართ (ზმნისზედა) კუალავ, შემდგომად; ვითარ დ ღ ე ი ს წ ა ღ მ ა რ თ, ე. ი. დღეის იქით, დღეის უკან (ეზეკ. 43, 27), потом, впредь, вперед, прямо, далее (ამ ადგილს შეცთომით დაუბეჭდავსთ წ ა რ მ ა რ თ თ ა, თ ა მეტია).

წარმართება (წარვემართებ, წარვუმართებ) კეთილად გამართვა, გასწორება, ხელსმომართვა, განსრულება (ფსალ. 5, 8 და 89, 17; ლუკ. 1, 79), исправлять, направлять, совершать. // (წარვემართები) წარსლვა, გზას გადგომა, отправляться. // გამართვა, კეთილად წარმატება (ფსალ. 1, 3), исправляться, успевать.

წარმართი კერპთმსახური, განშორებული ჭეშმარიტისა ღვთის ცნობისაგან (ფსალ. 2, 1, 8; მატ. 5, 47 და 18, 17), язык, язычник.

წარმატება (წარვემატები) მომატება ჰასაკითა, სწავლითა ანუ საქმითა (ლუკ. 2, 52), успевать, преуспевать (успех).

წარმდები თავხედი, განუსჯელი, წინდაუხედავი, გარეწარი (2 ტიმოთ. 3, 4), наглый.

წარმდებებით წინდაუხედავად, განუსჯელად, უჯეროდ (საქმ. 19, 36), бесчинно, опрометчиво.

წარმდინარე წყალი მიმავალი დინებით (ისაი. 3?, 25), текущий, ანუ გრძელი სამოსელი მეთრევი.

წარმოდგენა, წარმოდგინება (წარმოვადგენ, -დგინებ) წინაშე დადგინება (ფსალ. 49, 21; შავთ. 94), представлять.//დაბადება, შექმნა, წარმოება (შავთ. 89), творить, производить. // (წარმოვიდგენ) თუალთა წინ დასახვა, воображать, представлять себе.

წარმოდგომა (წარმოვსდგები) წინაშე დადგომა, წარდგენა, представляться. // შენივთება, გაჩენა, составляться, образоваться.

წარმოება (ვაწარმოებ, სწარმოებს) წარმოდგენა, წარმოდგომა, გამოსლვა, производить, -ся, проистекать.

წარმოებული და მოკლედ წ ა რ მ ო ა გამომავალი, შედგომილი.

წარმოთქმა (წარმოვსთქუამ, წარმოვიტყჳ) სიტყჳს გამოღება, წამოძახება, проговаривать, произносить.

[**წარმომადგინებელი**]

წარმოღება (წარმოვიღებ) აღება და მოტანა საიდამმე (იოან. 20, 15), брать, относить. переносить.

წარმოჩინება (წარმოვაჩინებ) აღმოჩინება, ცხადად დანახვება, доказывать (доказательство, довод).

წარმოცალიერება (წარმოვაცალიერებ) გარდმოღება, გარმოარსება (ლექსი ესე ხმარე-

ბულ არს სადღთისმეტყველოთა წიგნთა შინა განკაცებისათჳს ძისა ღვთისა, რამეთუ ღვთაება მისი უნაკლულოდ შეერთო კაცებასა და ღვთაებაცა დაადგრა უქცეველად და უნაკლულოდვე).

წარმოცემა (წარმოვსცემ) გარდამოცემა, გარდაცემა, преподавать.

წარმოწერა (წარმოვუწერ) მიწერა დარიგებისა ანუ რჩევისა, предписывать.

წარმოწერილობა მიწერილი დარიგება, предписание.

წარმოჯდომა (წარმოვსჯდები) მწოლარის წამოჯდომა (საქმ. 9, 40), сесть, привстать с постели.

[**წარმწყმენდი** губитель].

წარნაქი ნახე წერნაქი.

[**წარონინება** ნ. წაარება].

წარპარვა (წარვიპარავ) მალვით წაღება, მოპარვა (მატ. 28, 13), украсть, уносить.

წარსაგებელი ხარჯი, გარდადებული წარგებისათჳს, иждивение, издержки, расходы.

წარსადინელი ადგილი, სადაც წყალი მდინარებს (ფსალ. 1, 3), поток.

წარსლვა (წავალ) წასლვა, განშორება საიდამმე (მატ. 2, 12, 20), отходить, отправляться.

წარტაცება (წარვიტაცებ) მოტაცება, ძალით წაღება (ფსალ. 7, 2 და 49, 22), похищать.

წარტყვენა (წარვსტყვენავ) სრულიად დატყვევება, იავარქმნა, полонить, разорять.

წარქცევა (წარვიქცევ) წინ გარეკა, გაქცევა, ოტება.

წარღუნა (წარვღუნი) წყალთ მოვარდნა, ანუ მოგდება, потоплять, потоп.

წარჩინებული სახელოვანი, პატივოსანი, გამოჩენილი, знаменитый, знатный, отличный, славный.

წარცემა (წარვსცემ) წარგზავნა, მიძღუანება, препровождать, передавать. // ფერხის წამოკუჲრა (მატ. 4, 6), претыкаться, спотыкаться.

წარწერა (წარვსწერ, წარვაწერ) ზედმოწერა, приписать, надписать.

წარწერა და **ზედაწარწერა** კატიღორიულად: ნიშანი ნივთთა არა სავსე (ლოღ. ბაუმ., § 69).

წარწირვა (წარვიწირავ, წარმეწირების) განწირვა, მოკლება, წარკვეთა, აღსპობა სასოებისა, ნუგეშისა და სხ. (ფსალ. 76, 2; საქმ. 27, 20), лишаться надежды, утешения и т. п.

წარწყმენდა (წარვსწყმენდ, წარვსწყმდები) დაკარგვა, აღსპობა, ანუ გამოხვება ნეტარებისგან (ფსალ. 1, 6 და 2, 12, კუალად 5, 6 და 25, 9), погублять, погибать.

წარხდომა (წარხდების) განვლა, წარვლა, განშორება, თანაწარხდომა, თანაწარსლვა (ფსალ. 56, 1 და 89, 4; მატ. 5, 18), преходить, миновать, мимойти. // სულნი წ ა რ ხ დ ე ს სულის ამოსლვა (საქმ. 5, 5, 10), испустить дух.

წარხმა (წარვიხუამ) წაღება, ანუ თან გატანა. // (წარვუხვამ) წართმევა, წარტაცება, отнимать, отбивать.

წარხოცა (წარვხოც) შეწმენდა (ლუკ. 7, 38; იოან. 13, 5), отирать, стирать.

[**წარხრა** (წარიხრა) ნახე ალხრა (დაბად. 12, 11)].

[**წახლუა** ნ. წარსლვა].

წახმა (წავუსვამ) ნახე სმა.

წასწრობა (წავუსწრობ) გასწრობა.

წასხმა (წავასხამ) მრავალთ წატანა, ხოლო ერთისა წ ა გ უ რ ა და წ ა ყ ვ ა ნ ა.

წატანა (წავიტან, წავატან) თან წაღება, ანუ გატანება, брать с собою, или посылать с кем.

წატანება (წაეეტანები) მივარდნა, დალამუნება.

წაქანება (წავაქანებ) მოქნევა, მოღერება.

[**წაქცევა**]

წალა, წალები ჩექმა, ჩექმები, წალაწულა (ნახე წულასთან).

წაღმა, წაღმართ პირდაპირ (ნახე წარმართ) (ვეფხისტ. 77, 81).

წაღმართი უკუღმართის წინააღმდეგი, прямый.

წაღრძობა (წაიღრძობის) ბედითად სიკუდილი, ჩაღრძობა, околеть.

წაყვანა (წავიყუან) თან წატანა ვისიმე, брать с собою, уводить.

წაყრა (წავჰყრი) ცხენის პირიდამ წახსნა აღვირისა. // (წავუყრი) მოქლონთა და ურდულთ გამაგრება, დაკეტა. // (წავიყრი) წინ წარეკა, წარქცევა.

წაშვერილი წინ წაზეული, высунутый.

წაშლა (წავშლი) წერილთ გაშავება, გაუქმება, замарать, вычеркнуть писанное.

წაძინება (წავიძინებ) მცირეს ხანს ძილი.

წაჭრა (წავსჭრი, წავაჭრი) მცირედ მოკვეცა კიდურთა, обрезывать.

წახდენა (წავახდენ) წ ა ხ დ ო მ ა (წახდების) მოშლა, გაფუჭება, испортить, -ся, წავხდები.

წახნაგი, წახნაგებული თლილი, გამოქანდაკებული (იერემ. 10, 14; ეზეკ. 41, 18, 20; შავთ. 42), изваяние. грань.

წბა, წბოლა (კსწბის) ასტლეკა (მსაჯ. 7, 5), полочет, полижет.

წბილი სათაკილო, ანუ გაწბილებული, შერცხვენილი (ვეფხისტ. 459, 1295).

წდევა (ვაწდევ) ღვინის დასხმა.

წდოლა და ყრუნვა ტანში ყრუანტელის დავლა (ნაუმ. 2, 10), вострясение и воскипение.

წება (ვაწებ) დაწება. ამოწება, ამოვლება მარილში, ანუ წვენში, обмакивать. // კალმის დალტობა მელანში (ვეფხისტ. 1283).

წებება (ვაწებებ) დაკავშირება წებოთი, დაწებება, клеить.

წებო თევზთ წელები და ბუშტი გახმობილი, რომელსაც მოადუღებენ დასაკავშირებად ფიცართა და მისთანათა. ამგვარი წებო გაკეთდება ძველის ტყავების გამოხარშვითაცა, клей. // წებოდ უხმობენ რომელთამე ხეთა ნაწვეთსა ფისსაცა, ვითარ ხ ი ს წ ე ბ ო, гумми.

წედა ღვინის სასმელი ჰურჰელი (ნახე სასმისი).

წევა (ვსწევ).

წევნა (ეწევის) მიწდომა, გარემოდგომა (მოცვა. ფსალ. 68, 24), постигать, [ვეწევი, тащить; ვეწევი, досягать, доставать, догонять; უწია უბედურება, его постигла беда].

წელა თევზთ გრძელი წელები გახმობილი, რომელიც მოიხარშების საჭმელად, вязига.

წელი, წელიხა ხოლო წერილთა შინა იხმარების მრავლობითად: წ ე ლ ნ ი, წ ე ლ თ ა, სიბაკერძო მუცლისა შემოსაკრავი სარტყელთა და მისთანათა (ფსალ. 44, 3; იერემ. 13, 2; მატ. 3, 4; ლუკ. 12, 35), бедро, чресла. // ხერხემალი სუკებითურთ ბეჭებიდამ მენჯებამდე, поясница.

წელი, წელები ცხოველთ შიგანეულში გრძელი ბუშტები, ანუ სოლინარი დაკლაკნილი კუჭიდამ ვიდრე განსავალამდე, кишки.

წელი, წლიხა, წელიწადი არამედ ნათესავობითსა და მოქმედებითსა შინა ბრუნვათა არა ითქმის წ ე ლ ი წ დ ი ს ა, გარნა წ ლ ი ს ა, წ ლ ი თ ა. მაგალ.: ერთის წ ლ ი ს ა, ორის წ ლ ი თ ა. ხოლო მიცემითად: ერთს წ ე ლ ი წ ა დ ს, მოთხრ. ორმა წ ე ლ ი წ ა დ მ ა გაიარა და სხ. ესე არს 12 თთვე, ანუ 52 შვიდეული, გინა 365 დღე და 6 ჟამი. მზის მობრუნებისა (იხილე ნაკი) (დაბად. 1, 14; ფსალ. 30, 10 და 64, 10, კუალად 89, 4 და შემდგომი), год. множ. лета.

წელკავი სიბანის შეხუთვა, ან შეხმობა, წელის გაშეშება.

წელს წლეულს, ამ წელიწადს, в нынешнем году.

წენგო ნიგვზის ხეთა ზედა გამონასკუპლი კაკალი, ანუ ზქელი მწვანე გარსი მისი.

წენტილი ჟამის ნათთხალი, რუბი, ჩარექი (ნახე ჟამი), четверть часа.

წერა (ვსწერ) კალმით აღწერა წიგნთა (ისაი. 10, 1), писать. // წ ე რ ა და გ ა მ ო წ ე რ ა, ხატვა, დახატვა, გამოსახვა ხატთა. // პირს ჯვრის წ ე რ ა, დ ა წ ე რ ა, გ ა მ ო წ ე რ ა, ჯვრის გამოსახვა (ნახე ჯვარი).

წერა მდაბიურად ბედი, სვე (ნახე ბედის წერა).

წერაქვი ბლიგვი ცული ტარიანი მიწის სათხრელი ან კედელთ სანგრევი (ფსალ. 73, 6), оскорд, секира, кирка, trulla.

წერეული ხელეული, ძნეული (რუთ. 3, 7), ზჳნსა თანა წერეულისა მისისასა, со стороны скирды, стога.

წერილი ანბანი, ასოები (შავთ. 78, 84), письмена.

წერილი ქარტა, აღწერილი მელნითა და კალმითა, გინა ბეჭდის ტჳფარი (მატ. 22, 29), письмо, писание. ს ა ღ ვ თ ო წ ე რ ი ლ ი არს ძველისა და ახლისა აღთქმის წიგნნი, ხოლო თარგმანებანი მათნი და რადაცა ეკლესიათა შინა იხმარების არს ს ა ე კ ლ ე ს ი ო და მსოფლიურთა ეწოდების გ ა რ ე შ ე. ხოლო სჯულის დებასა საეკლესიოსა— ს ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი და სამოქალაქოსა— ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი. კუალად არიან წერილნი: ე ნ დ ა ლ მ ა უაღრესთაგან ხარისხის ბოძებისა; პ ა ტ რ უ ც ა გ ი მეფისგან მეფესთან მიწერილობა; რ ო ა რ ტ ა გ ი თათრულად ი ე რ ლ ა ყ ი და ო ქ მ ი შეუცვალებელი ბრძანების წერილი უაღრესთა; ს ი გ ე ლ ი მეფეთაგან მინიჭებისა, საბოძვარისა და მამულების წერილი; გ უ ჯ ა რ ი ეკლესიის შეწირულთა სოფელთა და აგარაკთა დამტკიცების წერილი; მ ა ტ ი ა ნ ე და დ ა ვ თ ა რ ი სამეუფოთა მოსახსენებელთა და ამბავთ აღწერა; ტ ო მ ა რ ი და გ რ ა გ ნ ი ლ ი გრძლად გარდაბმულთა აღწერათა წიგნი; გ ა ნ ა ჩ ე ნ ი განსაგებელთა საქმეთა, ანუ ცილობათა გარდაჰრის წერილი; დ ი ა თ ი კ ე, ანუ ა ნ დ ე რ ძ ნ ა მ ა გ ი

თჳთოეულის კაცისგან თჳსის ქონების გარიგებისა, ანუ ნათესავთა თჳსისთადმი შემდგომად თჳსსა აღსასრულებელად მიცემული დარიგება; ეპიტაფია საფლავთა ზედა წარწერილობა; სეისტატიკოსი, გუმანსარი ანუ გომახარი სამოწმო წერილი; ეპისტოლე და უსტარი მოკითხვათა და სასაქმოთათჳს მინაწერი; შეკრულობა და მუჭრაკი ხელითწერილი პირობათა დასამტკიცებელი; დივანი და ნუსხა წარსაგებელთ აღწერა; ავთრათი და ბარათი მცირე რამ ნაწერი; პიტაკი სავედრებელი ან მოხსენების წერილი უაღრესთადმი. კჳალად არიან წერილნი: გაყრილობისა, განშორებისა, სყიდვისა, გაცჳლისა, პირობისა, ამხანაგობისა და მისთანათა, გარნა სყიდვისას საკუთრად ეწოდების ნასყიდობა, ნასყიდობის წერილი და ნასყიდობის სიგელი, ანუ წიგნი მოგებისა. ამათ ყოველთა პირსა ანუ გარდაღებულსა სახესა— პაჩენისი, რომელია კოპია და თურქთა ენით სავადი.

წერნაქი, წარნაქი წითელი წამალი სამხატურო, კაბადუკიას გამოვა. ერთი უწითლესია, მეორე მქრქალი და მესამე ცუდი (იერემ. 22, 13), червлонец.

წერო (მფრ.) მწერო, журавль.

წეროხ წვივა სოკოა ერთრიგი.

წერტა (ვსწერტ, ვიწერტები) ჩხულეტა, ანუ სულის აღშფოთება, терзать, -ся.

წერტილი ნემსის წვერით ნაჩხულეტი. // კალმის წვერით დაჩნეული ნიშანი, ხმარებული წერილთა შინა განსაყოფად პერიოდთა, ანუ კერძო სიდიდისა, ურაოდენო და განუწვალებელი (ნახე სხეულთან), точка, пункт.

წერწეტი, წელწერტი ტანწერილი (ვეფხისტ. 1399).

წესვა (ვუწეს) ხმობა, ზახილი (ნახე უწესს) (მატ. 11, 16; მარკ. 10, 49).

წესება (ვაწესებ) ნახე განწესება, დაწესება.

წესი რიგი მტკიცე და უცვალებელი, მდგომარე ბუნებისა შინა, чин естества. // შემოღებული ჩვეულება ერსა შორის ძველითგან დაშთომილი (ვეფხისტ. 297, 1111), обычай, обыкновение. // ზნე ანუ ჩვეულება ერთისა განუკვეთელის პირისა (მუნვე, 567), привычка, нрав. // განწესება, რიგი, დაწყობილება (მუნვე, 333, 1000, 1058), порядок, распределение. // კანონი (გალატ. 6, 16), правило. // ეკლესიურად: რიგი მღვდელობისა (ფსალ. 109, 4; ლუკ. 1, 8), чин, ანუ განგება აღსრულებისა შვიდთა საიდუმლოთასა, ვითარ წესი ლიტურღიისა, ნათლობისა და სხ.

წესიერი რიგიანი, გარიგებული, чинный, порядочный. // მსოფლიონი უხმობენ მდარესა, ვითარ წესიერი პური, ღვინო და სხ., обыкновенный или низшего сорта.

წესნიერი, წესნარი ენკრატისი, მოწესე დედათაგანი, черница, черноризица.

წელან აწლანდელის წინ, ახლოს ხანს, давече.

წეწა (ვსწეწ) თითებით შლა, ჩეჩა მოთელილის თმისა და მისთანათა, [წეწა სელისა, брать лен].

წეწება (ვეწეწები) ცეცება, ძლით სიარული.

წეწონი დამარილული ნიგოზი.

წვა (ვსწუავ, ვიწვი) ცეცხლით აღსპობა, ბუგვა, დაწვა (ვეფხისტ. 1337), жечь.

[**წვავი** ნ. წავი].

წვალება (ვაწვალებ, ვეწვალები) ტანჯვა, არ მოსვენება, мучить, тревожить, беспокоить, -ся.

წვალება (ვსწვალებ) განყოფა, განწვალება, разделять.

წვალება განსაკუთრებული სწავლა განდგომილთა საზოგადოსაგან სარწმუნოებისა, раскол, ересь.

[**წვდა** (ვიწვდი)].

წვევა (ვაწვევ) გალჳძება, შეგონება. // ვიწვევ, ვეწვევი, და სხ. (ნახე მიწვევა, მოწვევა).

წვეთი მაღლიდამ ჩამოვარდნილი ცჳარი (ნახე წთოლა), капля.

წვეთის დაცემა (წვეთი დაეცა) ანაზდად დადგომა სისხლისა და საგრძნობელთ დადუნება, რომელსა ხშირად შეუდგების მსწრაფლი სიკუდილიცა, паралич, паралитичный удар. თ. დამლა.

წველა (ვსწველ) დედალთა ოთხფერხთა ძუძუებისგან სძის გამოწურვა, доить.

წველა შედედებული რძე, მაწონი, квашеное молоко.

წველი (ბალ.) ღერო ბალახთა და საკუთრად ხრო ოდოშთა, ფხა (მატ. 7, 3 და შემდგომი; მარკ. 4, 28), сучец, стебель.

წვენი ხარშო, მგბართა საჭმელთა (მსაჯ. 6, 19), юха, уха, суп, ζουμί, ζωμός. // გამონაწური ნოტიო რისამე, сок.

წვერი, წვერები ნიკაპის თმა (ნახე თმასთან) (ფსალ. 132, 2), борода.

წვერიანი, წვეროსანი წვერით მოსილი, წვერგამოშვებული, бородатый, с бородою.

წვერი თავი, ზენაკერძო ხეთა, ძელთა, მთათა, წურილად ატანილთა შენობათა და მისთანათა (ლუკ. 4, 29; ებრაელ. 11, 21), верх, или шпиль. // თავი და ბოლო საბელთა, მკედთა და მისთანათა. მაგალ., ორივე წვერი (ვეფხისტ. 1300, 1385), конец.

წვერიანი გამწვეტებული, остроконечный.

[**წვეტი** конец, წვეტი წალისა, носок].

წვეულობა სტუმრობა, ხადილობა (ნახე სერი).

წვივი კანჭი, ძვალი ფეხის მუხლიდამ ვიდრე კოჭადმდე (იოან. 19, 31), голень.

წვივმაგარი ფეხმაგარი (ვეფხისტ. 1010).

წვივსაკრავი ლეკვერთხი, საკვართული, ანუ ფეთმაგი, подвязка.

წვივსაცმელი სამოსელი სხვილ-ბარკალთა: საწვივე, ნიფხავი, როჰანგი, პერიკმა, შალვარი და სხ.

წვიმა ჰაერით შთამოცვივნული ცუარი ღრუბელთაგან (მატ. 7, 25, 27; ვეფხისტ. 1400), дождь. სახენი ამისნი არიან: *ცუარი* და *ნამი* უღრუბლოდ დამალტობელი ფურცელთა და მდელოთა ღამით და დილეულ შთამოსრული; *ნიჟი* ცუარის უმცირესი ნაწილი; *ღვიფი* უდიდესი მისი; *თქორი* და *ჟინჟღლი* წვიმა წურილი და ძნიად სახილველი; *თქეში* უმსხო თქორისა, ვითა აღნაცერი რაჲმე; *ფრუტი* თქეში ნისლოვანი; *ჟღმურტლი* თქეშის უდიდესი და უნისლოვანესი; *დელგმა* და *ჟუჟუნა* წვიმა დიდი და გვიან მომდარებელი; *ფოშფოში* თხელი რამე ნისლოვანი; *ისხარი* წვიმა მსწრაფლ ადრე მომდარებელი; *ღლოფო* წვიმა დიდი, დამაბნელებელი და ღვარიანი; *ქარიშხალი* მძაფრსა ქარსა თანა შეერთებული ღლოფო; *შხაპი* და *შხაპუნა* ანაზდი და ჩქარი წვიმა გერილით. ხეთა ფურცელთაგან ტკრთულსა წვიმასა და შემდგომად ქარისაგან შთამოცვივნულსა ეწოდება *ლეშხი*, *ლეშხერი* და *ჟავი* ან *ჟვავი*. რაჟამს წვიმასა ჰაერით შთამომავალსა ეკვეთოს ქარი ცივი და შეჰყინოს ცუარნი მისნი მრგულებად, მას ეწოდება *სეტყვა*, *კოხი* და *ხოშკაკალა* (სხუანი სახენი ზამთარს ჰაერით შთამოსრულთა ნოტიოთანი იხილენ ლექსსა თანა თოვლი).

წვიმვა (ჰსწვიმს) წვიმის შთამოსლვა, дождь идет.

წვიმება (ვაწვიმებ) წვიმის მოფენა (დაბად. 2, 5 და 19, 24; ფსალ. 77, 24, 27; მატ. 5, 45), дождить, одождать.

წვინტლი ცხვირის ნადენი წათხი, ნაზლა, ანუ ბალღამი. თხელს ეწოდება *ცინგლი*, ხოლო უსქელესსა და უდიდესსა — *ბოტოტი*, сопля.

წვრთნა, წვრილი ნახე წურთნა, წულილი.

წთოლა (სწთის, სწთოდა, ე. ი. სწვეთს, სწვეთდა) წვეთა, წვეთის ჩამოდენა (ფსალ. 67, 8), капать, капнуть, капуть.

წიალა (ბწერ.) ქინქლა მწერი, мошка.

წიაღ, წიაღკერძო ამიერ, პირაქეთ, გამოღმა ანუ იმიერ, გაღმა, по ту сторону, на другую сторону (მატ. 4, 15, 25 და 14, 22, კუალად 19, 1; მარკ. 3, 7 და 6, 45; იოან. 3, 6 და 18, 1), по, к, из-за.

წიაღი კალთა გინა უბე (გამოს. 4, 6; ფსალ. 34, 13; ლუკ. 16, 22; იოან. 13, 23), недро, лоно, пазуха, бок. // ზღჳს ტოტი, უბე, *ზღჳს წიაღი*, залив.

წიაღმოგუალვა წიაღსლვა, წიაღხდომა, გაღმა გასლვა (მარკ. 4, 35 და 6, 53; საქმ. 16, 9), переходить, переправляться.

[**წიაღხლუა** переходить].

წიაღყუანება გაღმა გაყვანა (ფსალ. 77, 13), проводить, переправлять.

[**წიაღხდომა** (წიაღბდა) წიაღხდის მდინარესა, перейдти реку...].

წიბო ფერცხალი, ერთი ძვალი გვერდისა, ребро.

წიგნარა ფაშვი ნაკეც-ნაკეცი.

წიგნი, წიგნაკი რაოდენიმე ფურცელი დაწერილი ან დაბეჭდილი და ერთად შეკრული (ნახე წერილთან; დაბად. 2, 4; მატ. 1, 1), книга, книжица, книжка.

წიგნი მოგებისა ნასყიდობის წერილი (იერემ. 32, 11), книга купления.

წიგნისსაცავი, წიგნთსაცავი სახლი საწიგნე, შესანახავი წიგნთა, книгохранилище, библиотека.

წიგნის ტყავი ეტრატის წიგნი, ეტრატზედ ნაწერი (2 ტიმოთ. 4, 13), книга кожная, пергаментная.

წიდა ხენჯი რკინისა და სხუათა მეტალლთა გარდადნობისგან, ანუ გამოკვერვისგან დანარჩენი რიოში, ანუ ნაცარი.

წიდნა ვაზის ნასხლევთაგან დარჩეული საუკეთესო რქები სხვაგან დასარგავად, ანუ დარგული (ეზეკ. 17, 6), розга, лоза виноградная.

წიდნვა (ვსწიდნავ) დარგვა, დასხმა წიდნებისა.

წიდოვანი უწმინდური, გინა დაშტანი.

წიდოვნება უწმინდურება (ლევიტ. 15, 19), кровотечение.

წივა ფუნე ხვასტაგთა გახმობილი საწვავად, тизяк, кизяк. თ. თაზაქ.

წივილი (წივის) ხმიანობა წიწილთა და მიმსგავსებულად მათდა სხუათაცა წურილთა ცხოველთა, пискотня, визг, визжать.// ყური მიწივის, ухо звонит.

წივწივა (მფრ.) кизяк.

წითელა სენია სახდელი, корь.

წითელი ცეცხლის ფერი, ანუ მეწამული (ნახე ფერი) (ვეფხისტ. 399), красный, червленый. // ზოგგან ხმარებულ არს ოქროს ფულის მაგიერ (მუნვე, 731, 761), червонец.

წილ ნაცულად, მაგიერ (ფსალ. 44, 16 და 108, 4, 5, 16; მატ. 2, 22 და 5, 38), за, взамен, вместо.

წილგდება, წილის ყრა განგდება წილისა, შეხვედრა წილის გდებით (ფსალ. 21, 18; მატ. 27, 35; მარკ. 15, 24), кидать, метать жребий.

წილი კერძი, ხვედრი, არშივი, ნაწილი (საქმ. 1, 26), жребий, часть, доля.

წილი ტილთ კვერცხები, гнида, гниды.

წილკავი ნემსკავი, სამკედური ძუაზედ დასხმული თევზთ სანადირო, რომლისაც კავნი არიან უფროჲ ხეთ ეკლისაგან, уда, удочка.

წინ, წინდაწინ უწინარეს, ანუ წინაშე (ფსალ. 71, 5), прежде или пред.

წინა პირის კერძო, передний (ნახე უკანა), წ ი ნ ა ნ ი წინაკერძო, передки. // პირველი, უწინდელი, უწინარესი (მატ. 20, 16; ვეფხისტ. 441, 596, 807, 827), прежний, первый, предыдущий.

წინააღდგომა (წინა აღვუდგები) პირში შებმა, არ დამორჩილება (ფსალ. 75, 7; საქმ. 7, 5), противостать, противляться, упорствовать.

წინაალმდგომი განრემზომი, დამაბრკოლებელი (საქმ. 27, 4), противный.

წინაალრჩევა თავისუფლითა ნებითა გამორჩევა, განზრახვა საქმისა (ისაი. 7, 15; დამასკ. 35), изволение, произвол, преднамерение.

წინაალრჩევით ნებსით, თავისნებად, თჳნიერ იძულებისა, по произволу, добровольно.

წინა ბეგა (ბალ.) თეთრი სატაცური ქალისა.

წინა დაგებული წინაშე დადგმული სანოვაგე (1 კორ. 10, 27; იგავ. 23, 1), предлагаемое, предложенное.

წინადადება სჯა დახატული ლექსთა მიერ (ლოლ. ბაუმ., § 75), предложение, (წინადავუდებ) მოხსენება, ანუ მოგონება საქმისა, предлагать.

წინა დაცვეთა, წინა დაცვეთილება მეტკვეთილება (რომაელ. 2, 25 და შემდგომი; გალატ. 6, 12 და შემდგომი), обрезание.

წინაკერძო მეწინავე, წინათი (ფსალ. 34, 3; ვეფხისტ. 441), передовый. // წინადამ, წინაშე (გამოს. 28, 14), сопереди, спереди.

წინამბრძოლი პირველი შემბმელი, მეწინავე, წინ მიმსლველი ბრძოლაში, авангард.

წინამდებარე ნივთი ანუ საქმე წინაშე დადებული, предлежащий.

წინამო კვეები ღაწუთა და შუბლთ დამაშვენებელი (ნახე თმასთან), пукли, локоны. თ. ზილფ [სპ.], ს. მაწაკ [მაწაკან].

წინამორბედი წინმიმავალი (ებრაელ. 6, 20), предтеча, ხოლო საკუთრად სახელი ესე მიეწერების წმინდასა იოანეს ნათლისმცემელსა.

წინამსაჯული მოცილე, მოდავე სასამართლოში (მატ. 5, 25; ლუკ. 18, 3), соперник. // წინაალმდგომი, მებრძოლი (1 პეტრ. 5, 8), супостат, противник.

წინამსრბოლნი შიკრიკნი და ფაიკნი მახეილოსან-ლახუროსანნი (4 მეფ. 10, 25), предтекущий.

წინამცველი მეწინავე მხმილავი.

წინამძღუარი ერისმთავარი, მძღუანებელი ანუ ეტიკი (დაბად. 49, 10; მატ. 2, 6), предводитель, вождь. // სამღუდელო კაცი კრებულის უფროსი, ანუ მოძღუარი (მატ. 23, 10; ებრაელ. 13, 7, 17), наставник. // ერთის მონასტრის კრებულთ უფროსი, настоятель, ხოლო შეიდთა და რვათა მონასტერთა ზედმდეგს ეწოდება მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი, благочинный в монастырях და მრავალთა მამასახლისთა ზედამდეგს — მ ო ძ ღ უ ა რ თ მ ო ძ ღ უ ა რ ი.

წინამძღუარობა (ვუწინამძღურებ) წინ გაძღოლა, გზის დანახვება (ვეფხისტ. 962, 1007), путеводительствовать.

წინაპარი უწინდელი, წინაპირველი (ანგია. 2, 4; მალაქ. 3, 4), прежний. // მრავლობითად წ ი ნ ა პ ა რ ნ ი პირველ მამანი და მშობელნი, предки.

წინახწარი წინა მავალი, უწინარესი (დაბად. 32, 20), предыдущий.

წინასწარმეტყველი ზეგარდამოთა მობერვითა და მადლითა სულისა წმინდისათა მქადაგებელი ერისადმი ნებასა ღვთისასა და მომავალთა საქმეთა (მატ. 10, 41; საქმ. 3, 22 და შემდგომი), пророк.

წინასწარმეტყველა იგივე მდედრობითად (მსაჯულ. 4, 4; ისაი. 8, 3), пророчица.

წინასწარმეტყველება თქმული წინასწარმეტყველისა, пророчество.

წინა უკმო გარემოქცევით, на оборот.

წინაშე წინ, ახლოს, პირის კერძოდ (ფსალ. 5, 8 და 9, 19. კუალად, 14, 4), пред.

წინა ძღომა წინ გაძღოლა (წინა ვუძღვი, წინ გავუძღვები) წინამძღურობა, предводительствовать.

[**წინაწარძღვანება** отправлять (მატ. 14, 22)].

წინდა შიგნითი ფეხთსაცმელი თითებიდამ ვიდრე კოჭებადმდე, ბამბისა ანუ ღაზლისგან ნაქსოვი, носки.

წინდაუხედავი განუსჯელად მოლაპარაკე, ანუ ხეტი საქმეში, безрассудный, неосмотрительный.

წინდი ნიშანი სრულიად გულსავსებისათვს ანუ დარწმუნებისა (2 კორ. 5, 5), залог. // მზევალი, заложник. // წ ი ნ დ ი და ს ა წ ი ნ დ ა რ ი ვალისთჳს მიცემული ნივთი, გირაო, залог, заклад.

წინდობა ნიშნობა, მადლის გარდახდა, ან ლოცვა წინდობისა, обручение.

წინდვა (ვსწინდავ) დანიშნვა ან დაგირავება (ნახე დაწინდვა).

წინ მოსაფენი ბოქონოცი, წელს ქვევით მოსაფარებელი მუშაკთა კაცთა ანუ დედაკაცთაგან ტანისამოსის დასაზოგავად, передник, запон.

წინსაცავი წინ სახმილავი, დარაჯა (ნაუმ. 2, 5), передняя стража.

წინ ჩამოგდება პროვლიმა, სიტყვა ასახსნელი, ანუ მოქენე ამოჩინებისა (ლოღ. ბაუმ., § 92), проблема, задача.

[**წინ წაგდება** гнать пред собою].

წინწანაქარი პირველი გამონადენი დაწურვილის ღვინისა, ან გამოხდილის არაყისა.

წინწანაქარი ერბო კარაქი.

წინწიბური ბალანთ საგლეჯი პატარა მშვილდი.

წინწილი სამუსიკო საკრავი, რომელია ორი თეფში მეტალლისა, ერთი მეორის შემოკრვით საჟღერელი (1 კორ. 13, 1; ფსალ, 150, 5; ვეფხისტ. 46, 1112), кимвал, цимбал. თ. ჯიმჯიმა [არაბ.].

წინწილი მდაბიურად წერტილი ნაწერთა შინა, точка.

წინწკალი მცირე ნაპერწკალი (ნახე ცეცხლთან) (ვეფხისტ. 335), искра, [прыск, капля].

წინწკლვა (ვსწინწკლავ) ადგილ-ადგილ სხურება შესაღებად, დაწინწკლვა, прыскать.

წინწკლი წვეთი მიხვედრებული სხურებისგან, прыск.

წიპწა ყურძნის გურკა, косточка винограда.

წირვა (ვსწირავ) შეწირვა, აღსრულება ლიტურღიისა, служить обедню.

წირვა და ჟამის წირვა ლიტურღია, ერთი შვიდთა საიდუმლოთაგანი წმინდისა ეკლესიისათა, რაჟამს მღუდელი ეზიარების თჳთ და აზიარებს ერსა, обедня.

წირვა მდაბიურად: ჰამა, ალაპი მოსახსენებლად მიცვალებულთა, поминки.

[**წირთხი**]

წირთხილი ანუ **წურთილი** კარის ამყოლი (გამოს. 12, 7, 22), обвой, косяк у дверей.

წირპლი კამში, თუალის კილოთა და წამწამთა ზედა მომდინარე ან შემხმარი წათხი, უფრორე თუალის ტკივილისგან, гной на глазах, гноетечение, *τσιμπλίασμα*.

წირპლიანი ვისაც თუალებზედ სდის ან შეხმობია წირპლი და დასწითლებია ან დასივებია თუალები ტკივილით ან ტირილით, гноеглазый, *τσιμπλιασμένος*.

წისქვილი დიდი საფქველი, მბრუნავი წყალსა ზედა ანუ ქარისგან, мельница.

წისქვილის ქვა ორი მრგუალი ქვა, რომელთაგან ზევითი ბრუნავს ქვევითსა ზედა (მატ. 18, 6; მარკ. 9, 42), жернов.

წიფელი (ხე) бук, буковое дерево.

წიფვა, წიფება არა იხმარების მარტივად, არამედ რთულად, ვითარ მ ი წ ი ფ ვ ა (მივსწიფავ), ხ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ა (ხელმეწიფების) და სხ. (იხილენ თჳსსა ადგილსა).

წიფვა (ჰსწიფს) მოწევა მოსავალთა, зреть, созревать.

წიქარა (ოთხფ.) წითელი ხროხა.

წიწაკა (ბალ.) წითელპარკებიანი პილპილი, перец красный или стручковатый.

წიწაკი ქათმის სენი, რომლითაც ენა გაუძვალდება, типун.

წიწვა (ვიწიწვი) კრძალვა, მორცხვობა, მოწიწება.

წიწიბო წიფლის ხილი, კაკალი, буковые ягоды, орешки.

წიწილა (ძჳრ.) ქათმის მართვე (ნახე ქათამი და მართვე), цыпленок.

წიწილი (მძრ.) ლაპი გველთა და სხუათა მძრომთა.

წიწინი (წიწინებს) საკრავთ ძალის ხმა, ანუ ნიავის ქროლა ნელიად, звучать, свистать.

წიწლაკიანი ლაწირაკი, მოშუღლარი, გველაძუა ბოეში, повеса, вверьк, злой мальчик.

[**წიწკნა** ковырять].

წიწმატი (ბალ.) кресс.

წიწნეული მორცხვი, მოკრძალული, დამკრთალი, დაჩაგრული (2 სჯული. 8, 9), с нищетою.

წიხლი, წიხნვა (ვსწიხნავ) ფეხის კურა, ცემა (ნახე ტლინკი) (იერემ. 9, 4; საქმ. 9, 5), лягание.

წკავილი (წკავის, წკაეწკავებს) ლეკუთ კავკავი, тявкать, визжать.

წკაპაწკუპი წკეპლით ან შოლტით ცემის ხმა, хлыстать.

წკარანი რკინისა და სხუათა მეტალთა, ანუ ჭიქის ხმოვანება, звон, звонкость.

წკენტა (ვსწკენტ) წველა ფურისა, რომელსაც რძე წყეეტით მოსდიოდეს. // (ჰსწკენტს) მუწუკის გამოკუწნესა გასასქდომად.

წკეპა (ვსწკეპ) წურილის რითმე ცემა, сечь, хлыстать.

წკეპლა წურილი ჯოხი მდრეკი (ნახე ჯოხთან), палочка, прутик, розга.

წკიპარტი ერთის თითის მეორეზედ დასხლეტით შემოკურა, щелчок.

წკიპურტანა მცირე მშვილდი.

წკირი მცირე ჩხირი, спичка.

წკმუვილი და **წკმუტუნი** წკავილი (ნახე ტირილში), визг.

წკრიალი წკარანი, звон, წკრივი (ნახე მწკრივი).

წლევანდელი ამ წლისა.

წლეულ ამ წელს, сего года, нынешним годом.

წლითი წლად ნიადაგ წლივ, ანუ ჟამითი ჟამად (ლუკ. 2, 41; იოან. 5, 4), ежегодно, по временам.

წლვა (ვსწლავ) შიგანურის გამოღება დაკლულის ცხოველისაგან, გამოწლვა, потрошить.

წმახნვა (ვსწმასნი, -ნავ) მეტად შეგრეხა, ან შეგრეხით დახლათვა.

წმატი, წმახი ქმახი, მეტად მჟავე (ვეფხისტ. 886).

წმენდა (ვსწმენდ) წარხოცა, გასუფთავება, чистить.

წმიდა უზადო, უბრძვილო, უბიწო, ურიოშო, ყოვლად სრული, თაყუანის საცემელი (ფსალ. 98, 3, 5, 9), святый, свят, ვიეთნიმე ლექსსა ამას განასხუავებენ ესრეთ: წ მ ი დ ა იხმარების საღვთოთა, ანუ საუფლოთა ლექსთა ზედა, ხოლო წ მ ი ნ დ ა კაცობრივთა, ანუ მსოფლიოთა ნივთთა ზედა და საბას მეორე ესე უთქვამს ს უ ფ თ ა დ (ფსალ. 11, 5 და 23, 4), чистый, არამედ მეტალლთათჳს ითქმის ს ი რ მ ა, ფქვილთათჳს ხ ლ ა რ ჩ ი, წყალთათჳს ა ნ კ ა რ ა. // ოდეს მოიღების კაცთა ზედა, ჰნიშნავს: ღირსი, მართალი, უმანკო (ფსალ. 17, 25 და 31, 6, კუალად 33, 9), святый, преподобный. // წ მ ი ნ დ ა (ძაფი, ნემსი და სხუანი) წურილი, თხელი, мелкий, тонкий.

წმინდა წმინდათა წ῀ა წ῀ათა, საკურთხეველი ძველის სჯულის ტაძრისა (ებრაელ. 9, 3), святая святых.

წმინდა ზეთი ნაკურთხი საცხებელად (გამოს. 30, 25), елей, помазание св.

წმინდა წყალი აიაზმა, უფრო ითქმის ნ ა კ უ რ თ ხ ი, святая вода.

წმული ნადუღის ნაცრის წვენი, უფროორე იხმარების რთულად: ნ ა ც ა რ წ მ უ ლ ი და ნ ა ც ა რ ტ უ ტ ა, щёлок.

წნელი ღულერპი, მსხვილი წკეპლა მოუგრეხელი, ან მოგრეხილი შესაკრავად ურემთა, შეშისა და სხ. (ვეფხისტ. 416), прут, прутья.

წნეხა (ვსწნეხ) ყურძნის წურვა ფეხით, ან საქაჯლით დაწნეხა, давить виноград.

წნილი ნახე მწნილი.

წნოვანი ნახე წუნიანი.

წნორი (ხე) გარეული ტირიფი (ნახე ტირიფთან).

წნვა (ვსწნავ) თხზვა, ხლათვა რიგზედ, плести.

წნული ნაწნავი, დაწნული, плетёный.

[**წოდება** (მოვაწოდებ) подавать].

წოდება (ვუწოდ, ვუწოდებ) დაძახება, ხმობა (დაბად. 3, 9 და 22, 11, 15), призывать, возвывать. // დარქმევა, სახელის მიცემა

(დაბად. 1, 5 და 2, 19 და შემდგომი; მატ. 2, 23), нарекать, называть.

წოდებული დარქმეული (ლევიტ. 23, 7), наречен, назван.

წოვა, წოვნა (ვაწოვ) სძის წუწვა, სმა ძუძუთაგან, сосать.

წოლა (ვსწევარ) დებით ან გართხმით გდება, лежать.

წონა (ვსწონ) სასწორით გამოცნობა სიმძიმისა ნივთთასა, взвешивать.

წონა საწონი, სიმძიმე, რაოდენობა ასაწონისა (ვეფხისტ. 1017), вес.

წოტი (მთრ.) პოტი, ბუკნაპო, პატარა ბუ.

წოწი (ხე) გრაკლის ფიჩხი.

წოწოლა მაღალი რამე პირამიდებრი, ანუ შაქრის თავის გუარი.

წოწოქი სქლად გამოწურვილი მჟავე საწებელი, ხოლო წუა უთხელესი, морс.

წრე მრგულად მოვლებული ხაზი, ვითა ფარგალი ანე ორბიტი, круг, круговая черта, линия, [შემოვლება წრისა, вороблениe].

წრეტა (ვსწრეტ) სრულებით გამოცლა ნოტიოთა, დაწრეტა.

[**წრთობა** калить].

წრიალა (მთრ.) უმცირესი ჩიტი, чижик.

წრიალი ხმა წკეპისა და მისთანათა (ვეფხისტ. 1404).

წრიაპი (მთრ.) სადედლე ვარია (ნახე ქათამი), молодая курица.

წრიაპი ფეხქვეშ ამოსაკრავი რკინა, რათა ფეხი არ მოუსხლტეს ფრიალოთა ზედა შავალსა, გინა სასრიალებელი ყინულთა ზედა, коньки для катания по льду.

წრიმლი წირპლი.

წრიპინი ქორთა და მიმინოთ შეშინების ხმა.

წრუწუნა (ოთხფ.) ღლაპი თაგვსა, мышенок.

წრუწუნი (ვუწრუწუნებ) ბაგეებით ხმის მიცემა ცხენთა, ქორთა და მისთანათა.

წრფელი უზაკველი, მართალი (ფსალ. 7, 10 და 31, 11, კუალად 32, 1), правый, праведный, простой, простосердечный. // ვაკე, შანდაკი (ფსალ. 26, 11; ლუკ. 3, 4 და შემდგომი), правый, гладкий, ровный.

წუა ხილთ გამონაწური მჟავე წვენი საჭმელად (ნახე წოწოქი).

წუა, წუალება, წუმთი, წუმლა და სხ. (ნახე წვა, წვალება და შემდგომი).

წუთი ჟამის ნაწილი (ნახე ჟამი), ანუ საწუთრო სოფელი, преходящий мир.

წუთლა სწრაფად, კინაღამ (ფსალ. 36, 10 და 118, 87), еще немного, едва.

წუთხი ფაქლი, სისხლიანი შალალი, струп, гной.

წული ვაჟი, მამრი შვილი (ნახე კაცი) (ლუკ. 2, 23), младенец, мужского пола.

წულილი, წურილი მწულილი, სიმსხოსგან მოკლებული, სიფრიფანა (დაბად. 41, 6), тонкий. // თხელი, ვითა ჰაერი და მისთანანი, жидкий.

წულილმოგონება გულის ზრახვა, ფიქრი (იერემ. 20, 10), помышление.

წუმპე მლურივე და ღრმა ცუდი ლაფი მახლობელ სანახვეთა და მისთანათა, тина.

წუმწუმა გოგირდის კერასი, серники.

წუნება (ვიწუნებ, ვსწუნობ) თუალში არ მოწონება, დაწუნება (ვეფხისტ. 18, 51, 594), браковать, неодобрять, неправиться. // არად მიჩნევა, გატრიზავება (მუნვე, 1284), пренебрегать.

წუნი საჩინო ნაკლებობა, порок, недостаток.

წუნიანი, წვნიანი, წნოვანი მგბარი წუნითა, похлебка.

წუნწკელა ცუდი, უპატიური, ბინძური, неряха, негодяй.

წუნწკლი, წუნწლი სველისგან ჩამომდინარე წვეთები, брызг.

წუნწუბა გოგირდი (დაბად. 19, 24; ფსალ. 10, 6), сера, жупель.

წუნწუხი ძენძეხი ან წუმპე, მწვირე.

წურბელა (მძრ.) სისხლის მწოველი ჭია (იგავ. 30, 15), пиявка, пиявица.

წურვა (ვსწურავ) მოჭირებით გამოხდა ნოტიოთა, выжимать, выдавливать, или процеживать.

წურვილი გამოხდილი ან საწურავში გატარებული (ამოს. Ꭓ, 6), процеженный.

წურთა (ვიწურთი) ხეპირება, ვარჯისი, твердить, вытверживать. // ხშირად გართვა ერთს საქმეში (ფსალ. 36, 30 და 76, 6, 12, კუალად 118, 24), поучиться, упражняться.

წურთნა (ვსწურთნი, ვსწუართავ) დაგერშა ან გახედნა, приучать, повадживать. // ტუქსვა, ან სწავლება სიტყვით გინა საქმით (ვეფხისტ. 921), учить, наставлять, упражнять или журить.

წურწუმა კუმკუმა, სპილენძის ლულიანი ხელსაბანი, рукомойник, лойка.

წულა საქალო ფეხსაცმელი სამოგვსა წინდის მაგიერ, ხოლო წალაწულა ამგჳარივე კაცთა ფეხსაცმელი.

წუწვა (ვსწუწავ) ადგილ-ადგილ დასველება წყლის შესხმით, брызгать, прыскать.

წუწი ღნიოშით გასჳრილი, დაჩნეული ბრგჳლი, пятно, брызг.

წუწიანი გასჳრილი ადგილ-ადგილ, запятнанный.

წუწკი ძუნწი, ხელმოჭირებული, скупой.//ითქმის საგიობლად, უგვანი, ცუდი, უმსგავსო, низкий, подлый, негодный.

წუწკუნი წკმუტუნი, წკავილი, ლეკვის ტირილი, визг.

წუწნვა (ვსწუწნი) ბაგეებით ამოწოვნა, высасывать.

წუწუნი (ვსწუწუნებ) ტირილის ხმით ჩივილი, ზუზუნი (ნახე ტირილთან).

წუხვა, წუხილი (ვსწუხ) ურვა, ჭმუნვა, ღონობა, განუსვენებლობა სენისგან, ზრუნვისა ანუ შეშფოთებისა (იონა. 4, 9; ვეფხისტ. 1011), грустить, тосковать, печалиться.

წყალი ერთი ოთხთა კავშირთაგანი, ნოტიო, გრილი და ადჳლად დასათხეველი (ნახე სტიხიოსთან) (დაბად. 1, 2 და შემდგომი; ფსალ. 1, 3), вода. სახენი ამისნი არიან: წყარო არს გამომდინარე სათავიდამ, მიწასა ანუ მთათა შინა; ფშანი მდინარეთ მახლობელ გამომდინარე, რომელიცა მუნითვე გამოიწურების; ვეძა წყარო მლაშე, ხოლო ფრე ჭათა, ჯურღმულთა და ლაკვთა შინა გამომდინარე და მუნვე მდგომი; ღრუდო ჯურღმულთა შინა ერთი მეორიდამ გატანილი წყალი; რა წყარონი შეჰკრბებიან და ჩაივლიან, ეწოდების ხევი და რა ხევები შეჰკრბებიან, შეიქმნების მდინარე. ზოგი ხევი დაშრება უწვიმრობისგან და წვიმის დროს მოვარდნილს წყალს ეწოდება ღჳარი და ნიაღვარი; გამდნარის თოვლის ღჳარს—ლანქერი და სეტყჳსას—ლეშტერი. სადა ხევი გინა მდინარე მაღლით კლდესა ზედა გარდმოსდის, ჰქვიან გადმომჩქერვალე და დაბალთა კლდეთა ზედა—ჩანჩქერი; სადა მდინარე ღრმად და მდოვრედ სდის, ეწოდება ლუბრმა და უფსკრული, გინა უ[illegible]ო; მდოვრესა და არა ფრიად ღრმა[illegible] და შნდო; მდინარეთ [illegible]—ფონი; [illegible]ჩანს ქვიშა—თავთხელი, ვრაქია, კბოდოვანი და მეჩეჩი; მდინარეთ კიდეს რაოდენმე განზედ ღრმად შესრული წყალი რა ტრიალებდეს—მორევი; რა ჩანჩქერი ღრმად ჩაიჭრება და ამოდუღვით ამოიჭრება, მცირეს ეწოდება გოჩქოჩანა და დიდს—ზვირთი; სადა მონიო ჩაიღჳლარჭნება—ჭევლი; სადა მდინარე განიყოფება ნაწილებად და საშუალ მათსა დაშთებიან კუნძულნი, მას თჳთოეულს ნაწილს ჰქვიან ტოტი, შტო, დილაჯი და ნაკადული; ხელოვნებით გატანილს ტოტსა მინდორთ სარწყავად, ანუ წისქვილთ საბრუნებლად—რუ და რუსხმული; სადა მრავალნი მდინარენი დასრულდებიან, მუნ შესაკრებელსა მათსა ეწოდება ზღჳა; სადა ზღჳა დავიწროვდება, ანუ ორნი ზღჳანი ურთიერთსა შეერთდებიან ვიწროვთა გარდასადინელითა, ეწოდება სრუტი, სორეტი, ხოლო დიდი ზღჳა, გარემომცველი ხმელეთისა, არს უკიანე; ზღჳათა და უკიანეთა ქარისგან აღძრჳასა ეწოდება ღელვა და ფურთუნი; ღელჳსგან აღმავალთა და ქვედაცემულთა მთათა წყლისათა—ზვირთი; ზღჳს ნაწილთა გრძლად შესრულთა ხმელად ეწოდება ტოტი ანუ წიაღი; ზღჳს კიდის ადგილთა, სადა ხომალდთა ძალუძს დგომა უშიშრად ღელჳსაგან, ეწოდება ნავთსადგური და ბერძულად ლიმენა; ზღჳათა და მდინარეთა კიდეთ წყალი რა ეკვეთებოდეს ქარისგან და აშხაპუნებდეს—ტალღა და ლადო; მცირეთა მდინარეთა შესაკრებელსა, რომელსა არა აქუს შეერთება ზღჳათა თანა—ტბა, ცუდსა და მცირესა—ტბორე; ლელწამთა და ჯაგნართა ძირსა ქვეშე მდგომსა წყალსა—ჭაობი და ჭანჭრობი, ხოლო უმცირესსა ერთს ადგილს მდგომსა—გუბე (სხუანი სახენი ჰაერით შთამოსრულთა წყალთანი, ზაფხულ ანუ ზამთარ, იხილენ ლექსთა თანა: წვიმა, თოვლი და ყინული).

წყალმანკი, წყლით მანკიერება სენი ტანსა შინა ნოტიოს განმრავლებისგან, водяная болезнь, hydrops, *ὕδρωψ*.

წყალობა (ვსწყალობ) საკუთრად ზრუნვა ბედნიერებისათჳს ვისისამე, ანუ დაზოგვა, დაფარვა ვნებისგან (ფსალ. 36, 24 და 102, 13), миловать, щадить, (ვეწყალობებ, жало-

вать, წყალობის წიგნი, жалованная грамота].

წყალობა მიტევება შეცოდებისა, ლმობიერად მიხედვა, ანუ ნიჭი ჯილდოდ კეთილისა წილ (მეფე. 24, 6 და შემდგომნი 50, 1), милость.

წყალწყალა (მთრ.) синица.

წყარო მიწით ანუ კლდით გამომდინარე წყალი (დაბად. 2, 6; ფსალ. 17, 15), источник, ключ.

წყება (ვიწყებ) ხელყოფა, დასაბამის დადება საქმისა (დაბად. 2, 3), начинать, приступать.

წყევა, წყევლა (ვსწყევ, ვსწყევლი) დარისხება, დაკრულვა, შეჩვენება (მარკ. 11, 21; იაკობ. 3, 9), клясть, проклинать (დაბად. 27, 12 და შემდგომნი; ფსალ. 9, 27 და 61, 4), клятва, злословие.

წყენა (ვაწყენ, ვიწყენ) შეწუხება, გულის დაკლება, обижать, раздражать.

წყეული დარისხებული, დაკრულვილი (მატ. 25, 41; გალატ. 3, 10, 13), проклятый.

წყვა (ვსწყავ) ნოტიოთა ანუ მარცვალთ რაოდენობის ცნობა საწყაულითა, мерять (жидкости или сыпучие вещи), мерою.

წყვედა (ვსწყვედ) მოსრვა, აღხოცა, მოწყვედა, губить, истреблять.

წყვეტა (ვსწყვეტ) გაგლეჯა, მოგლეჯა, გაწყვეტა, рвать, разрывать.

წყვილი ლუწი ან უღელი, пара.

წყინება (ვაწყინებ) წყენა.

წყლვა (ვსწყლავ) განგმერა, დაკოდვა მახვილითა, уязвлять.

წყლიანი წყალთადმი შესახვედრი ანუ წყლის მქონებელი, водяный, сочный. // რთულად: ს ი ტ ყ ვ ა წ ყ ლ ი ა ნ ი, ს ი ტ ყ ვ ა მ ა რ ი ლ ი ა ნ ი საამოდ მოუბარი, красноречивый.

წყლითმანკიერი სნეული წყალმანკით (ლუკ. 14, 2), одержимый водяною болезнию, ὑδρωπικός.

წყლით რღვნა ნახე რღვნა, წარღვნა.

[**წყლის პირი**]

წყლის ხაპანელი სიღრმიდამ წყალთ ამოსაღები იარაღი, водомот, насос. // ნიშანი ზოდიაქოსი, რომელიცა მიითვალავს მზესა იანვარში (ნახე ზოდიაქო), водолей.

წყლტუ უმქისო, უხორკლო, სადა, თანასწორე (ნახე ვაკე) (დაბად. 27, 11; ეზეკ. 26, 14), гладкий.

წყლული, წყლულება ფაქლი, დაკოდილი, დაჭრილი (ფსალ. 37, 5 და 68, 26; ისაი. 1, 6; საქმ. 16, 23), язва, рана.

წყმენდა (ვსწყმენდ) ნახე წარწყმენდა.

წყმენდული დაკარგული ან შეცთომილი (ფსალ. 118, 176), погибший.

წყნარი ნელი, ნახი, აუჩქარებელი (ჩახრუხა. 24, 60), кроткий.

წყობა (ვაწყობ) დალაგება, დაწყობა. // (ვეწყვები) შებმა, საომრად მისლვა (რიცხ. 31, 5; ზაქარ. 14, 3), брань, сражение.

წყრთა ზომა იდაყვით თითის წვერადმდე (დან. 3, 1; მატ. 6, 27), локоть.

წყრთილი ნახე წირთხელი.

წყრომა (ვსწყრები, ვეწყრები) შერისხვა, гневаться, досадовать.

წყუდევა (ვაწყუდევ) დახშობა, დაკეტა სახლში, запирать, заключать.

წყუდიადი ფრიადი ბნელი (გამოს. 10, 22), мрак.

წყურვა (მწყურის, მწყურიან) ნდომა სმისა (ფსალ. 106, 5; იოან. 4, 13 და შემდგომი), жаждать, иметь жажду.

წყურვიელი მწყურვალე, ვისაც სწყურის (ისაი. 25, 5), жаждущий.

წყურვილი სმის ნდომა (ფსალ. 68, 21), жажда.

წყურტი ჭყურტი, სენი, რომელიც მრავალს წყალს ასმევს და უფრო განახმობს.

ჭ

ქარაგმიანნი ლექსნი: ჭ̃ტი — ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი, ჭ̃ტად — ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ.

ჭ ზოგჯერ იხმარების ნაცვლად წ (ნახე წ) და ზოგჯერ ნაცვლად ჯ, ვითარ ჭინჭარი — ჯ ი ნ ჭ ა რ ი, ჭინჭველი — ჯ ი ნ ჭ ვ ე ლ ი.

ჭა ჯურღმული (ნახე მთხრებლი) (ვეფხისტ. 253), колодец.

ჭაბაკი ანუ ჭაშაკი სასმისი (იერემ. 52, 19), чашица.

ჭაბუკა ახალგაზდა ქალი (რუთ. 2, 5), отроковица (1 ტიმოთ. 5, 11), юная, молодая.

ჭაბუკი ახალგაზრდა ვაჟი (ნახე კაცი) (ფსალ. 67, 26; მარკ. 16, 5), юный, юноша.

ჭადრაკი სამორინო სამღერელი ფიცარსა ზედა ჯვარედად დაკუთხვილსა, шахмат, *ζατρίκι*.

ჭავლი დალალი, მსხვილი ნაწნავი თმათა (ნახე თმა), коса плотеная.

ჭავლი, ჭევლი მდინარის ციმციმი ჩაგრეხით (ვეფხისტ. 830), струя.

ჭაკი (ოთხფ.) ხრდალი ცხენი ანუ ვირი (ნახე ცხენთან), кобыла.

ჭაკუნტელი (ბალ.) ტკბილი ჭარხალი (ისაი. 51, 20), свекла.

ჭალა (ხე) ტევრი ანუ წალკოტი მდინარის პირისა და საზოგადოდ მინდორი, ანუ დაბალი ადგილი, რომელიც წაულეკავს მდინარესა და შემდგომად ამოსულან მას ზედა ხენი, ანუ შორის ორთა ტოტთა მდინარისათა მდებარე, რომელსაც ზოგჯერ უხმობენ ო რ თ ა ჭ ა ლ ა ს, прибрежный лес, или остров с кустарником, садами, пашнями и проч.

ჭალაკი ჭალა, გინა კუნძული (ფსალ. 71, 10 და 96, 1; ისაი. 23, 2; საქმ. 28, 1), остров.

ჭალი, ჭრჭალი, რჭალი ურმის მანა.

ჭამა (ვსჭამ) საზრდელის მიღება (ფსალ. 21, 26, 29; მატ. 6, 25), есть, кушать.

ჭამადი საზრდელი, სანოვაგე, საჭმელი (ფსალ. 106, 18; მარკ. 5, 43; იოან. 21, 5), съедное, съестное, пища.

ჭამებული (ოთხფ.) ნასუქი, ნაკვები, გასუქებული საკლავი, უსხი (ლუკ. 15, 23, 30), упитанный, откормленный.

ჭანარი (თევზ.) сазан.

ჭანგი ჭანგი მფრინველთა, ანუ მხეცთა (ნახე ფრჩხილი), когти.

ჭანგი და ჭანკი ჭმახი, წმახი, მოჭმახებული ღვინო.

ჭანდარი (ხე) ჩინარი, ძელქუა, репина, чинар.

ჭანეთი ლაზისტანი, აჭარა (ქართლის ცხ.).

ჭანი კანტი, გამხდარი, ჭნავი, тощий.

ჭანი ეწოდების ლაზთა.

ჭანჭიკი ხის ფარეში, ჭილიბი, ჭინჭილაქი, чека.

[ჭანკი]

ჭანჭრობი და ჭაობი წყლიანი ადგილი მწვანით და ბუჩქნარით დაფარული (ნახე საფლობი და წყალი).

ჭანჭური (ხე) ქლიავია ერთრიგი.

ჭაპალა, ჭაფალა (თევზ.) ნაფოტას ჰგავს, рапуха.

ჭაჭანი თასმებისგან დაგრეხილი თოკი, ღვედი ურმის სადებთა ტჳრთთა გადასაჭირებელი (ნახე საბელთან).

ჭაჭი ბანდულთა და წაღათ შესაკრავი თასმა.

ჭარბი ნამეტნავი, უფრორე წონაში.

ჭარბობა (სჭარბობს) დაძლევა, დაჭარბება წონაში, ზომაში და მისთანათა, дать перевес.

ჭარელა (ბალ.) очанка, расторг, дубровник.

ჭარი, ჭართ (მფრ., ლევიტ. 11, 16), прап, сухолапль, чайка, рыболов.

ჭარკვანა მთაზედ მიხვეულ-მოხვეული გზა, ვითა კლდეზედ წავარნა (ნახე გზასთან).

ჭარმაგი თეთრზედ შავით დაწინწკლული ფერი ბეწვეულთა (ვეფხისტ. 1345), с проседью.

ჭარმაღი ჭაღარაშერთული, седой. // მოხუცი მხნე და სიმრთელის მქონი, бодрый.

ჭარტალი ენამჭვარტალა, ცუდისა და ღნიოშის მოლაპარაკე.

ჭარხალი (ბალ.) свекла.

ჭარხლის მკლავი ფურცელი ჭარხლისა, свекловица.

ჭაუკა (ბალ.) ცუდი ფეტვი ძურძას ჰგავს.

ჭაქანი, ჭახანი ჭიქისა და მისთანათა გატეხის ხმა, треск.

ჭაღარა შავს თმაში თეთრი შერთული, седой.

ჭაღვი სათიბელი, მოლთ სამარგლავი.

[**ჭაღი** блок (ნ. საჭაღე)].

ჭაშა შუბლის ზედეთი შავი ძვალი.

ჭაშაკი (ნახე ჭაბაკი). მაგრამ ჭ ა ბ ა კ ი შეცთომას ჰგავს.

ჭაშნიკი მცირედი რაოდენობა სასმელთა გემოს გასასინჯავად, проба напитков.

ჭაჭა დაწურვილის ყურძნის დანარჩენი ჩენჩო (ნახე ქერქი), кожура виноградная, в давильне оставшаяся.

ჭაჭა იმერულად თირკმელი ან სუკი.

[ჭახანი]

ჭახრაკი საქანჩავი ხრახნილი, რომლისაც გარემოვლებულ არს ნაჭდევები საბრუნავი ტრედისა მოსაჭირებლად, ანუ მოსაშვებად, шуруп, тиски.

ჭდე დანით ანუ ცულით ამოთხრილი ნიშანი ხეზედ, насечка. // ჩხირი ამგჳარის ნიშნებითურთ საანგარიშო, бирка.

ჭდევა (ვაჭდევ) დასმა, ამოჭრა ჭდისა, насекать, делать насечку.

ჭედა (ვსჭედ, იჭედება) დალურსმვა, ანუ გამოკვერვა მეტალლთა (ისაი. 41, 7), ковать. // გამაგრება, დაჭედა.

ჭედილა (ოთსუ.) დაკოდილი ხვასტაგი, უფრორე საკლავი, холощеный скот.

ჭედილი კვერით გაჭედებული მეტალის ნივთი (ფსალ. 97, 6), кованый.

ჭევლი ნახე ჭაელი.

ჭენება (ვაჭენებ) რბოლა, გინა გაქანება ცხენით (ნახე სიარულში), скакать. // ხელის კვრა, უკუკვრა, შეტევა სილაღით (საქმ. 7, 27), отталкивать.

ჭენჯი წვეთი მწვადისა, ანუ თიხის ჭურჭელთა გახურვებისგან (ნახე ცხიმი).

ჭეო კლდე ფიქალიანი; ჭ ე ო დ ფიქალ-ფიქლად.

ჭერა (ვიჭერ, მიჭირავს) ჭირვა, დაჭერა, პყრობა, ტყრთვა, держать.

ჭერამი (ხე) абрикос.

ჭერი სართული სახლისა შიგნიდამ, ხოლო გარეგანი არს ე რ დ ო, потолок.

ჭექა ხათქი, ძლიერი ბგერა, ანუ ქუხილი მეხის ჩამოვარდნისა, треск, громовой удар.

ჭეშმარიტება ნამდვლ სიმართლე (ფსალ. 5, 9 და 11, 1), истина.

ჭეშმარიტი, ჭ'ტი სწორედ მართალი, ნამდვლი, истинный.

ჭეხა ჭექა, დიდი ძლიერი ქუხილი, громовой треск.

ჭვავი (ბალ.) სვილი, колосник.

ჭვართალი ჭარტალი, მჭვარტალი.

ჭვარტლი მჭვარტლი, კომლის მური, сажа, [копоть].

ჭვილითი ბარჯი, ხოჭი თევზთ საჭერი, багор.

ჭვინტა, ჭვინტაკა და ჭვინჭა (მფრ.) завирушка, копошлянка.

ჭვინტი ფეხთსაცმელთ წვერი ან ცხვირი.

ჭვირვა (სჭვირს, გასჭვირს) წყალთა, ბროლთა და მისთანათა საშუალ სინათლის განვლა (ვეფხისტ. 135, 410); прозрачность, проницание света.

ჭვირობა ჭვრეტა, მზერა, ხედვა, ცქერა (ეზეკ. 41, 16), проницание.

ჭვრეთა (ვსჭვრეთ) საჭვრეთლით ამოთხრა სეთა, долбить.

ჭვრეტა (ვსჭვრეტ, ვუჭვრეტ) ჭვირობა, ცქერა (ვეფხისტ. 110, 121), зреть, взирать, смотреть.

ჭია (მძრ.) ზოგადი სახელი მძრომთა, რომელთაგან წვრილთა ეწოდება ჭ უ ა, დიდთა— ბ ო ბ ო ლ ი, ხოლო მიწათა და ნეხვთა შინა მბუდრობთა და მუცლით მავალთა—მ ა ტ ლ ი, червь.

ჭიანაჭამი შეჭმული, დახვრეტილი ჭიისგან, червоточина.

ჭიანი შიგ მსხდომი ჭია მჭამელი (ითქმის სილთათჳს და მისთანათა).

ჭიანური ქამანჩით საკრავი კითარი ძალებიანი, скрипка.

ჭიაფანდურა (მძრ.) ნეხვის მზიდავი ან მაგორებელი ჭია.

ჭიაყელა (მძრ.) бзйвка.

ჭიაჭუა (მძრ.) დიდნი და წვრილნი ჭიანი მრავლად.

ჭიგო დიდი სარი, მანა შესადგმელი ვაზთა, таркал, подставка виноградных лоз.

ჭიდაობა, ჭიდება, ჭიდილი (ვსჭიდებ, ვსჭიდაობ, ვეჭიდები) რკინობა, რქენა, შებმა დასაცემად მოპირდაპირისა, бороться, борьба.

ჭიდება, ჭიდილი (ეჭიდება) გათანგვა, შეხუთვა, წვრტა სენისაგან, хватать (относительно боли).

ჭივჭავი (მფრ.) სახელი ჩიტთა ხმიანობისგან მათისა დარქმეული, чижик.

ჭივჭივი, ჭიკჭიკი (ჭივჭივებს, ჭიკჭიკებს) (ნახე ჟივჟივი), чирикать.

ჭილი (ბალ.) მაღალი მოლი, ფართო ფურცელოვანი, რომლისგან მოიქსოვების ჭილობი, სფირიდი და მისთანანი (გამოს. 2, 3; იობ. 8, 11; ისაი. 19, 6), ожика, рогоз, ситник. გვარნი ამისნი არიან: ლ ე ლ ი, შ ო ლ დ ო, ჩ ა ლ ა მ გ ე ლ ა.

ჭილები ურმის თვალთ ჭანჭიკი.

ჭილო ნიორთა და ხახვის ძირთაგან შენაძრობი ფურცელი.

ჭილობი ჭილთაგან წნული საფენი, რომლისაცა სუფთას და კეთილს ეწოდება ნ ე ჭ ა, ცუდს და მსხვილს—კ ე ლ მ ე ნ ი, рогожа.

ჭილყვავი ღალღა, ჭრელი ყვავი, галка.

ჭიმბური ნახე ჭიმური.

ჭიმვა (ვსჭიმავ) გაწევა, გართხმა, გაკავება, тянуть, протягивать.

ჭიმი კანაფის ავშარა (ფსალ. 31, 9), бразда, вожжи, [ნ. აჭიმი].

ჭიმკა იმერულად ავი, მავნე, ხოლო ქართულად ა ლ ი, леший.

ჭიმური ბრინჯი ანუ სხვა მარცვალი მოხარშული და შემდგომად ერბოში მოხრაკული, ვითა ფლავი, ხოლო აწ უხმობენ დამტვრეულს პურსა ცხიმთა შინა მოხრაკულსა.

ჭინო (მფრ.) პატარა კაკაჩა.

[**ჭინტვა** жиленио].

ჭინჭარი, ჭინჭრის დედა, ჭინჭველი (ნახე ჯინჭარი, ჯინჭველი და სხ.).

ჭინჭილაქი ჭილიბი, ურმის თვალთ ილიბი.

[ჭინჭყლი]

ჭიოტა ფრიად წვრილი მარგალიტი, мелкий жемчуг.

ჭიპი უპე (იობ. 40, 11), пуп, пупок.

ჭირვა (მიჭირავს) ჭერა, დაჭირვა, ტჳრთვა, держать. //(ვიჭირვებ, ვიჭირვი) მოჭირვება, გამძლება, მოთმენა, выдерживать, переносить. // (მჭირს) ყოფა შეწუხებასა შინა, უბედურებასა, ჭირსა, სნეულებასა და სხ. (იხილენ სჭირს) (2 კორ. 1, 6 და 4, 8; იაკობ. 5, 13; ფსალ. 30, 10 და 101, 2), скорбеть, бедствовать, страдать, быть притесняему. // ზნედ ანუ თჳსებად ქონება (ვეფხისტ. 6, 8), свойственно.

ჭირვეული ჭირის მქონები, შეწუხებული, ვნებული (ებრაელ. 11, 37), скорбящий, страждущий, бедствующий. // მდაბიურად: სიმთვრალეში მოუსვენარი, გალექებული, куролес, бурливый.

ჭირი განსაცდელი, უბედურება, მწუხარება (2 კორ. 11, 26), опасность (ფსალ. 9, 21 და 19, 1, კუალად 30, 7 და 33, 19, კუალად 114, 3), скорбь, печаль, нужда, бедствие, зло, беда. // სენი, სნეულება, სატკივარი, болезнь. // მომსრველი სენი, სნება, ჟამი, ჟამობა, чума, зараза, моровая язва.

[ჭირის ოფლი]

ჭირის უფალი მგლოვიარე, მიცვალებულის პატრონი.

ჭირნახული ნაშრომი ნამუშევარი, ნაღვაწი (ვეფხისტ. 1190, 1309), труд, приобретенное трудами. // გამოვლილი ჭირთა და შრომათა შინა (მუნვე, 1411), перенесший труд. // მსოფლიონი უხმობენ ნახნავსა და მისსა მოსავალსა, урожай.

ჭირხლი ხეთა ზედა თეთრად შეყინული ნისლი (ნახე თოვლთან), иней на деревьях.

ჭიტი ტარზედ ხვეული ნართის ჩანჩუსი.

ჭიქა კაჟთაგან გამოდნობილი ჭურჭელი გამჭვირვალე (გამოცხ. 21, 18 და შემდგომი; ვეფხისტ. 477), стекло.

ჭიჭლა მცირე სალვინე.

ჭიჭნაური აბრეშუმი (ეზეკ. 16, 13; გამოცხ. 18, 12), шелк.

ჭიჭყინა (თევზ.) ქარსალა, პლატე, წვრილი თევზი, корюшки.

[ჭიჭყნა мыть].

ჭიხვინი (ჭიხვინებს) კივნება, ხმიანობა ცხენთა მრისხანებით (ნახე ჭვიხვინი).

ჭკა (მფრ.) პატარა ჭილყვავი.

ჭკნობა, ჭნობა (ჭკნების, ჭნების) დაჭნობა, გამობა მწვანეთა მცენარეთა, вянуть.

ჭკუა გონების მახვილობა (ნახე გონი). ანდაზა: ჭკუა მოგონებაზედ ჰკიდია, ум состоит в догадливости, смотливости.

ჭკუიანი, ჭკვიანი გონებიანი (ვეფხისტ. 28), умный. // მშვიდი, მორჩილი (ნახე გიჟთან), смирный.

ჭკუტა (ხე) მომცრო ან წვრილი მსხალი.

ჭლექი, ჭლერქი სენი სიხმელისა და სიმჭლისა, ანუ თჳთ სნეული, чахотка, чахоточный.

ჭლიკი ჩლიქი (ნახე ფრჩხილი) (გამოსლ. 10, 26; ფსალ. 68, 31), копыто.

ჭმახე წმახი, მჭახე, მოქმარებული.

ჭმაჭნვა (ვსჭმაჭნი, ვსჭმუჭნავ) ცუდად დაკეცა, დახრუსტვა.

ჭმევა (ვაჭმევ), კვება, მიცემა საზრდელისა (ფსალ. 79, 5 და 80, 16), питать, кормить, напитать.

ჭმუნვა (ვსჭმუნავ) წუხვა, წუხილი, ურვა (ვეფხისტ. 107, 797, 1292), горевать, грустить.

ჭმუხვა (ვიჭმუხავ) შეჭმუხნვა, დაღრეჯა პირის სახისა. морщиться.

ჭნავი მჭნავი, ჭანი, კანტი, გამხდარი, тощий, сухощавый.

ჭნავი (ხე) მჭნავი, рябина.

ჭოგრი წვრილი ლატანი.

ჭოგრი, ჭოგრიტი შორსათვალე, დურბინდი, телескоп, подзорная труба.

ჭავილო (მფრ.) მწყერის მსგავსი, ნისკარტგრძელი, ჭანჭრობში მბუდობი.

ჭოლაური ხმალია ერთ რიგი.

ჭონი მექუდე, ქუდთ მკერავი, шапошник.

ჭოპოხანი რკინის იარაღი ხორკლიანი, საფხეკი ძვალთა ან ხეთა (ნახე ქლიბი).

ჭორი მოჳონილი ამბავი (ნახე ტყუვილთან) (ვეფხისტ. 431, 582).

ჭოროკინი სვეტის წვერზედ შემოჭდობილი ზუბანა.

ჭოროხი მდინარისგან შეყრილი ქვიშა და რიყე, ил, иловатый. // ესევე ჰქვიან საათაბაგოში მდინარესა, რომელიც ერთვის შავს ზღვასა.

ჭორტანა (ბალ.).

ჭორტიკო (მფრ.) ხოხბის ვარია.

ჭორფლი პირზედ მოშავო ფოლაქები, веснушки.

ჭოტი (ბალ.) ლობიოთა და ცერცუთა გრძელი ქერქი ან პარკი, стручки.

ჭოტი, წოტი (მფრ.) კატადუპოსანი.

ჭოჭი დაჭოჭებული, მრავლად დალურილი წყალი.

ჭოჭი, ჭოჭინა ჩჳლთ სატარებელი ფეხის ასადგმელად, ходулька. // ანუ საწოლი მათი, დაკიდებული ხოჭიჭი, люлька.

[ჭოჭმანი]

ჭრა (ვსჭრი) კვეთა დანითა, ანუ სხვითა იარაღითა (ეზეკ. 9, 8), резать, секать, сечь. // ჭიათაგან შეჭმა ნივთთა, точить.

ჭრელი ფერად-ფერადი (დაბად. 30, 39; ეზეკ. 16, 10, 13; ზაქარ. 6, 3), пестрый.

ჭრელებული იგივე (გამოსლ. 28, 15, 39), пестрящий.

ჭრიალი (ჭრიალებს) ხმა ეტლთა სლვჳსა, გინა კართა მიხურვისა, скрипеть.

ჭრიანტელი (ბალ.) წითელი მხალი მჟავე.

ჭრიჭინა, ჭიჭინა (მძრ.) сверщ.

ჭრიჭინი (ჭრიჭინებს) ჭრიალი, ანუ ხმა ჭრიჭინისა.

ჭროკინი (ჭროკინებს) სირთ ამო ხმიანობა, ჭიკჭიკი, чирикать.

ჭროლა თუალჭრელი (ნახე აღიელთან).

ჭრტიალი

ჭრტინვა (ვსჭრტინავ) ღაღადება, ზეპირობა, ხმითა წუროთა (დაბად. 24, 63; გოდებ. 2, 19), поучаться.

ჭრუვი ფუღურო ან უგულო, ვითა რქა, ძუალი, ლელწამი და მისთანანი.

[ჭუა чорвь].

ჭუკჭუკი ხმიანობა იხუთა და ბატთა ჭუჭულთა, მწყერთა და მისთანათა.

ჭულუმბური (ბალ.) ჭოროხის პირს პოვებული ბალახი, რომლისაც ხილსა აქუს კუთხოვანი გული წაბლივით, вишня жидовская.

ჭუპრა კუკი, кукла, чупра.

ჭურვილი შემოსილი საჭურველითა, შეჭურვილი (რიცხ. 31, 5), вооруженный.

ჭური საჭურველი, აბჯარი (სახენი ამისნი იხილენ ლექსსა თანა ჯავშანი) (ფსალ. 7, 12 და 34, 2), оружие. // ორღანო, ჭურჭელი (ნახე იარაღი) (საქმ. 9, 15), орудие. // კეცის ჭურჭელი (ფსალ. 2, 9), сосуд, посуда. // ჭური საკუთრად ეწოდების ღვინის ჩასასხმელთა, რომელ არიან: ქვევრი, ქოცო, ხალანი, დერგი, ლაგვინი, ლაგვინარი და თხიერიცა, რამეთუ ტიკჭორა შედგმულ არს ლექსთაგან ტიკი და ჭური; კუალად ითქმის ჭურ-მარანი, ე. ი. მარანი ქვევრებითურთ და სხუანი (სახენი ამისნი იხილენ ლექსსა თანა სადღვინე).

ჭური და ჭურჭელი მრავალთა შინა მნიშვნელობათა იხმარებიან ერთიმეორის მაგიერ, არამედ საკუთრად.

ჭურჭელი საცავი სახმართა კაცობრივთა, გინა სახლის ავეჯი (დაბად. 31, 37; ფსალ. 30,13), сосуд, посуда. სახენი ჭურჭელთანი არიან: გუდარაკი, ლანკანი, ჯამი, სადვინე, სასმისი ანუ წედა, სარწყული, ვაშკარანი, ხარდახშა, ფუკა, სფირიდი, ჭური, საწყაო, შარაგული, ტერი (თჳთოეულისა ამათგანისა სახელი იხილენ თჳსთა ადგილთა მათვე ლექსთა თანა). // კუალად ჭურჭელთა ჰქონან სახელნი ადგილთაებრ, სადაცა შემოულიათ გაკეთება მათი, ვითარ ინგლიზი, საქსონი, ქაშანური, ჩინური, რომელია ფაიფური და სხუანი. მსგავსადვე სახელნი ჭურჭელთანი დაერქმევიან მათ ნივთთაგან, რომელთაცა საცავად იხმარებიან, ვითარ სანალბე, სარძევე, საზეთე, სამარილე, საფქვილე, საშაქრე, საძმრე და სხუანი. // ჭურჭელი ეწოდების განძსა, ლარსა ანუ ხაზინასა; მაგალ., საჭურჭლე, ე. ი. სალარო; მეჭურჭლეთუხუცესი, ე. ი. მოლარეთუხუცესი (იხილენ ესენი).

ჭუტი ვეგის მეცელი (ნახე თაფი), ничка.

ჭუღელი, ჭკუღელი ლუწი ან ულეული, пара, ხოლო ცანჭკუღელი ანუ ცალჭკუღელი კენტი (ნახე ცანჭკული).

ჭუჭული (მფრ.) წიწილა, მართვე ბატთა, იხუთა და მისთანათა.

ჭუჭყი მდაბიურად ესრეთ წაუხდენიათ წერილის ენის ლექსი ჭუჭლი (იქ ნახე).

[ჭუჭყნა мять].

ჭყიტა თუალთ დიდად გახილება.

ჭყვირილი, ჭყივილი ღორთა და გოჭთ ურჩხი ხმიანობა.

ჭყურტი წყურტი.

[ჭყორი ნახე დეკა].

ხ და პ

ქარაგმიანი ლექსი: ხ—ხ ო ლ ო. ზოგჯერმე ხ იხმარების ნაცვლად ქ (ნახე ქ).
ხაბაზი არაბულად მეპურე, პურის მცხობელი, хлебник, თ. ჩორაქჩი.
ხაბაძგინი ხავიწიეით მგბარი რამე, едобной.
ხაბახუბა ნარჩევი ცუდი ხილი.
ხადალი ხალთა.
ხადანა ძონძი წიდოვანისა.
ხადილი (ვხადი) მოწოდება უალრესთა (ფსალ. 4, 1 და 19, 7, 9; მატ. 22, 43 და შემდგომი), призывать, называть.
ხადილობა წვეულობა, სტუმრობა (ნახე სერი) (ვეფხისტ. 598).
ხადუმი არაბულად საჭურისი (მუნვე, 471, 1179, 1182).
ხავედი, ხავერდი (ბალ.) მახმური. ესევე ეწოდება ფარჩასაცა, бархат, цветок или ткань.
ხავილი (ხავის) მელის ხმიანობა.
ხავიწი ფქვილი ერბოსა ანუ ზეთსა შინა მოხრაკული, ვითა ფაფა.
ხავონანი ლელენგო, ხმიადის ნაზუქი, ხაბაძგინი (ნახე პურთან) (იერემ. 7, 18), опреснок.
ხავსი, მხავსი (ბალ.) კლდეთა ანუ ხის ქერქთა ზედა გამოსული მოლი თმასავით დაუქენობელად, мох.
ხაზაზა ხავსის მსგავსია, კუთხეებიანი.
ხაზვა (ვხაზავ) ხაზების გავლება, ანუ ხატვა უფერადოდ, чертить, рисовать.
ხაზი ღრამი უსივრცო, წარზიდული უგანოდ (ნახე სხეულთან), черта, линия.
ხაზიდი (ოთხფ.) სიასამური, соболь.
ხაზინა ლარი, სალარო, განძი, казна, *χαζνές*, თ. ხაზნა [არაბ.]. // თოფისა ან ზარბაზნის ძირი, სადაც სასროლი წამალი ჩაიყრება ფალიას ქვეშ, казна у ружья, пушки и т. п. ეგრეთვე ბადის სალონე ფსკერი და მისთანანი.
ხაზინადარი სალაროს მცველი, მოლარე, казначей. თ. ხაზნადარ [არაბ.-სპ.].
ხათაია ჩინური ფარჩა ნაქსოვი მძიმედ.
ხათრითი შამბურის წვერთ სადები გრძელი ზედადგარი.
ხათუნი მოქალაქეთ ცოლი თურქთა ენით (ვეფხისტ. 1115 და შემდგომი).
ხალა, ხალხა გრძელი ლატანი ხეთაგან ხილთ - ჩამოსარევევი.
ხალათი ნახე კაბალფანჩი.
ხალამბარი მცირე ბეღელი.
ხალანი პირფართო ქოთანი.
ხალახი არაბულად გამობრძმედებული.
ხალახად ნაკერი ოქრომკედით ნაკერი, шитый золотом.
ხალბადე სამპარი ბადე.
ხალენი უნდო მაზარა ღაზლის შალისა (ებრაელ. 11, 37), милоть, епанча, ряса.
ხალვა (ვხალავ) მარცვალთ შეწვა გახურებულს კეცზედ, მოხალვა. // (ვიხალვი) მარტოობით ქმენვა (ვეფხისტ. 12, 304).
ხალვათი ფართო, შანდაკი (მუნვე, 669).
ხალვარი ნახე ხარვალი.
ხალთა დიდი ჩანთა (ნახე ვაშკარანთან).
ხალთა-გუდა ზურგზედ მოსაკიდი გუდა, сума, ранец.
ხალი დახალული მარცვალი, ხორბალი და მისთანანი.
ხალი კალატონთ საზომი შიმშა, სამართი, правило.
ხალი არაბულად ტანზედ შავი ფოლაქი, ანუ ვითა კალმახის წინწკალი, пятно.
[**ხალინდარი** ჩანთა].
ხალიხი მოწადინებული ნდომა, охота.
ხალიფა მაგიერი, ე. ი. მაჰმედისა, ეწოდებოდა ბაღდადის მფლობელს (ნახე ამირმუმლი) (ჩახრუხა. 73, 78), халиф.
ხალიჩა ნოხი, ძილო (ნახე ტერი), ковер, *χαλί*.
ხალხი მდაბალი ხალხი.
ხამანწკა (თევზ.) ნიჟარისგვარი ცხოველი (ნახე ზუმილთან), устерсы.
ხამარი ღვინის მოფარდული (ისაი. 1, 22), корчемник, виннопродавец.
ხამი უმუშავარი, უწურთნელი, ანუ ველური და მისთანანი (ვეფხისტ. 1207), ხამი სამოსელი, ე. ი. გაუთეთრებელი; ხამი მიწა, დიდს ხანს შეჭუენებული უხნავად; ხამი ცხოველი, უწურთნელი ან შეუჩვეველი; ხამი აბრეშუმი, ჩიგორგალა, გამოუხარშავი და სხ., сырец.
ხამლი ფეხთსაცმელი, მოგჳ, პერიკმა, წაღა და მისთანანი (მატ. 10, 10; მარკ. 1, 7), сапог.
[**ხამხ**]
ხამუში ჯერი მუშაობისა, ერთი პირი მუშაობა შემდგომად შესვენებისა, прием после роздыха.
ხამხა ქამხა, ოქროქსოვილი, камка золотая.
ხამხამი (ვახამხამებ) წამწამთ ძრვა.

ხანაგა საგლახაო და ობოლთ საკრებულო საჴლი (ვეფხისტ. 794, 1206), богодельня, сиротский дом.

ხანგალი ძაფის კონა ან შული საკერავთათჳს მოჰხადებული.

ხანგრძელი გრძელის ჟამისა (ვეფხისტ. 335), долговременный.

[ხანდაზმა]

ხანდაზმული დიდის ხნისა, ხანგამოვლილი, დროული, ან გამოცდილი საქმეში (მუნვე, 1313), бывалый, опытный, или давнишний.

ხანდაზმულობა დროს გატარება, დაგვიანება (ვეფხისტ. 396), замедление, мешкательство.

ხანდაკი თხრილი სიმაგრისთჳს მოვლებული, ров.

ხანი, ხნისა ჟამი, დრო (ვეფხისტ. 106, 261, 337), время. // სიშორე, სივრცე (დაბად. 32, 16; ეზეკ. 41, 6 და 43, 15), расстояние.

ხანიერი, ხანოვანი დროული, ხანდაზმული, გრძლად დადგრომილი (ვეფხისტ. 10), пожилой, или постоянный.

ხანი, ხანისა ხაღან გინა ყაენი, მონგოლთ ხელმწიფე. მაგალ., ჩ ი ნ გ ი ზ ხ ა ნ ი, გინა ჩინგიზთ ყაენი, ხოლო სპარსეთსა შინა ხ ა ნ ი ეწოდება ერისთავსა ანუ მოურავსა (ვეფხისტ. 413, 422), хан.

ხანული რძის მოზიარე მსოფლიონი დედაკაცნი, მწველელთა ფურთა პატრონნი, ორნი, სამნი და უმეტესნი, შეჰპირდებიან ერთმანერთში ნაწველის რძის სესხებასა ჯერით. ერთს კჳრას ერთს მიუზიდვენ და თჳთოეული დაისწავლის რაოდენობასა მიზიდულის რძისასა. მეორეს კჳრას—მეორეს და ესრეთ მიუზღვენ ერთიმეორესა, რომელ თჳთოეულს მოუგროვდება მოკლეს დროში საკმაო ნაწველი ერთიან შესაძლებად ერბოს გამოღებისთჳს და ეს მასესხებელნი რძისანი ერთმანერთს უხმობენ ხ ა ნ უ ლ ა დ.

ხანჩირი ერქუანთ ღვედის გარდასაბმელი თასმა (ნახე საბელთან).

ხანძარი ველთ წაკიდებული ცეცხლი (ნახე ცეცხლთან), пожар степной.

ხანჯალი სატევარი, ორპირი მახვილი გვერდზედ საკიდი, кинжал, *χαντζάρι*.

ხანჯკალა (ბალ.) ცერცვი, ლოპინარი (ნახე თერმია).

ხანხლვა (ვხანხლავ) ალანძვა, საჩქაროდ და ცუდად შეწვა.

ხაო ბოჭკო ხავერდთა, სკლატთა, ხალიჩათა და მისთანათა, ворса.

ხაო უკრიჟა, ხაოს უკრეფს აშუპება შეციევებისგან, ან დასველებისგან ცივს წყალში.

ხაპი (ბალ.) ნახე გოგრასთან.

ხაჟუჟი ჩჩვილთ ჩასალუკი წამალი.

ხარ 2 პირი აწმყობითისა ზმნისა ვარ (იქ ნახე).

ხარა აბრეშუმის ნაქსოვი ტალღებიანი უსახოდ, полуобъярь, мор, ხოლო სახეებიანი: ჩიჩაგლუხარა, объярь с цветами.

ხარაბუა (მწერ.).

ხარაბუზი (ოთხფ.) ცხენის მსგავსი ნადირი აფრიკული (2 სჯული. 14, 5), лань, сайгак.

ხარაბულა (თევზ.).

ხარაზანი ქუა წარიგებით ჩასხმული.

ხარაზი ფეხსაცმელთ მკერავი, сапожник.

ხარაკტერი ხასიათი, ვითარება, характер, качество, *χαρακτήρ*.

ხარახხა ქარახსა, დიდი სასმისი რქისა, ჯიხვის ყანწი (ნახე სასმისი).

ხარატი ხელოსანი, ხის ნივთთა მთლელი ჭახრაკით, токарь.

ხარატონი (მფრ.).

ხარაჩო საშენებელთა კედელთა ზედა მიდგმულნი ხენი და ფიცარნი სადგომად მაშენებელთა მუშაკთა, подмостки.

ხარაჯა მალი, თურქნი ესრეთ უხმობენ ხარკსა აღებულსა ქრისტეანეთაგან სარწმუნოების საზღაურად, хараджа, *χαράτζι*.

ხარბი ანგაარი, ურიდლად მოხვეჭის მცდელი (ვეფხისტ. 708), жадный, алчный.

ხარბუხა ძნელი ხველება.

ხარგა ბალნისა და ნაბდების კარავი (ვეფხისტ. 425).

ხარდანი (ხე) სარიანი ვენახი.

ხარდიორდა მოგვერდით ფუნდრუკი (ნახე თამაშობაში).

ხარება ხარებობა, დღესასწაული ყოვლად წმინდისა ქალწულის მუცლადღებისა, 25 მარტს, благовещение.

ხარება (ვახარებ) სასიხარულოს ამბვის თქმა, მითხრობა (ლუკ. 1, 19 და 2, 10), благовествовать, возвещать, обрадовать. //(ვიხარებ) მხიარულება, სიხარულით დატკბობა (ფსალ. 5, 11 და 9, 2, 14), радоваться, возрадоваться, ითქმის მცენარეთა ორძილობისათჳსცა.

ხარვალი კაბიწი ათკოდიანი (ნახე საწყაოსთან), халвар 28 пуд. 4 ф. или 100 батманов, батман же 11 1/4 или 12 фунт.
ხარვეზი ხნულში დარჩენილი კორდი.
[**ხართუთა** ნ. ყოლა].
ხარი, ჯარი (ოთხფ.) მამალი ზროხა (ლევიტ. 1, 3 და 1 კორ. 9, 9), говядо. вол. бык. ესევე არს ზოგადი სახელი სხჳათაცა დიდთა რქიანთა ხვასტაგთა, რომელთა დედალს ეწოდება ფური, ვითარ ხარკამბეჩი, ფურკამბეჩი, ხარირემი, ფურირემი და სხ. (ნახე ზროხასთან).
[**ხარირემი**]
ხარისთუალა დიდროვანი მარცვალი რისაც და უფრო ხილთა (ნახე ყურძენთან).
ხარისშუბლა (ბალ.).
ხარისჩლიქა (ბალ.).
ხარისძირა (ბალ.).
ხარისხი ქვითკირის კიბეთა ფეხის დასადგმელი, ანუ საფეხური (ნახე აღსავალი და სკამი) (გამოს. 30, 18), стояло, ступень. // მაღალი ღირსება სამღვდელოთა, ანუ საეროთა წესთა შინა, степень, сан, градус.
ხარიხა მაღალი გადებული ხე გარდასაკიდებად ტანისამოსთა და ეგევითართა, вешалка.
ხარკი სამეფო ხარჯი, დებულება, ასალები (მატ. 17, 25 და 22, 17; რომაელ. 13, 6 და შემდგომი), дань, подать.
ხარკვა, ხარკობა (ვიმხარკვე) ღუწა, გარჯა, ცდილობა.
ხარო ქვითკირის ორმო (ნახე მთხრებლთან).
ხარობა (ვხარობ, ვიხარებ) იხილე ხარება, радоваться.
ხარფუზი (ბალ.) საზამთრო. ს. ხარბუზაკ[1], арбуз, *καρπούζι*.
ხარშვა (ვხარშავ) სანოვაგეთ გბობა, варить.
ხარშო წვენი გბობილის ხორცისა და მისთანათა, ანუ მას შინა დამბალი პური.
ხარჭა ხასა, ცოლის გარდა სხვა არა სჯულიერი ცოლი (დაბად. 25, 6), наложница.
ხარხარი (ვხარხარებ) ხმამაღლად სიცილი, хохотать.
ხარჯვა (ვხარჯავ) წარგება, расходовать.
ხარჯი ხარკი, подать. // წარსაგებელი, расход. // ნარჩევი, რიოში, ჯერკვალი, ნაძირალი.
ხასა ხარჭა.

ხასი თამამი, გამბედავი, смелый. // საბატონო, ბატონის საკუთარი (ვეფხისტ. 152, 173, 330, 465, 1195), господский, государственный.
ხასიათი ნიშატი, საკუთარი თჳსება, ან ვითარება პირისა ან ნივთისა (მუნვე, 683), характер, качество, свойство.
ხატაეთი ჩინეთი, ხათაია, ჯალათაი (მუნვე. 193, 372, 382 და შემდგომი), Китай или Загатай.
ხატაველი, ხატაური ჩინეთისა, ჩინური, კიტაური (მუნვე, 465, 466, 720), загатайский.
ხატაური (ოთხფ.) ჭრელი კატა.
ხატება მსგავსება სახითა ანუ შესახედავობითა (დაბად. 1, 26 და შემდგომი), образ.
ხატი სახე გამოწერილი, გამოხატული (მატ. 22, 20), образ, изображение, икона, лик.
ხატვა (ვხატავ) გამოსახვა, გამოწერა ხატისა (ვეფხისტ. 1455), писать икону, изображать, рисовать.
ხაფანგი დიდთა მხეცთა სარეგვავი, ან სასხლეტი (მახესთან ნახე), капкан.
ხაფი კიჟინა, საშიშარი ხმა (ვეფხისტ. 285, 435). // შებმა, წინააღდგომა (მუნვე. 644, 1406; ჩახრუხა. 44).
ხაფხაფი ხუფხუფი, ჩუხჩუხი, დიდის დუღილის ხმა.
ხაღან, ხაყან ჩინგიზის ყაენი, ანუ ჩინეთის მეფე (ნახე ხანი).
ხაზარი ფალანგთ სვეტი, ბოძკინტი, ჩიბუხი, подпора, подставка.
ხაში პურის ცომი, საფუველი, закваска, дрожжи. //საკლავთ შიგანეული მოხარშული, требуха.
ხაშლამა ცივად ამოღებული მოხარშული ნაჭერი ხორცისა, თევზისა და მისთანათა უწვნოდ.
ხაშმი ადგილი სავნებელ ჰაერიანი, ანუ სენი ამგვარის ადგილისგან შემთხვეული.
ხაშმიანი დამცდელი ადგილი (ნახე სიხაშმე).
ხაშური მარილი არა კლდის ქჳსა, არამედ ზღჳსა, ტბისა, ღვინისა ან კრემორტარტარი და მისთანანი, соль морская, озерная, винная и т. п.
ხაშხაში (ბალ.) ყაყაჩორა, мак. ხოლო გარეულსა ხაშხაშსა რუსულად ჰქვიან биюк, [мак дикорастущий, papaver argemone].
ხაჭიჭორა (ბალ.) артишок.
ხაჭო რძე მტკნარად შემდგარი (ნახე დედამოტი), творог.

---

[1] ხარბუზაკ სომხურად ნესვია, ძმერუკ—საზამთრო. რედ.

ხახა ხორხი, სასას ქვეშ საყლაპავი, глотка.
ხახალი დაწნული ტაბაკი (ნახე შარაგულთან), корзинка плетеная.
ხახვი (ბალ., რიცხ. 11, 5) лук (трава).
ხბო (ოთხვ.) ზროხის შვილი (გამოს. 29, 1; ფსალ. 28. 6 და 63. 31), телец, телёнок.
ხბოშერი (ოთხფ.) რჩეული ხბო. // გინა ახალი ნოშოები ხეთა.
ხდა (ვხადი) ხადილი, მოწოდება, დაძახება, ანუ დარქმევა (ფსალ. 30, 17; ისაი. 8, 4; სოფონ. 3, 9), призывать, или называть.
ხდა (ვჴადი) ახდა, აცლა საფარებელისა დახურვილისაგან, открывать. // გამოხდა ზეთთა ანუ სასმელთა და ძისთანათა (ნახე გამოხდა), выгонять, выкуривать. // განხდა, განძება, გაგდება, изгонять. (ვიხდი) ამოღება, გაშიშვლება მახვილისა (მატ. 26, 51; საქმ. 16, 27), извлекать, обнажать, вынимать меч. // (ვიხდი, გავიხდი) განძარცვა, გაძრობა სამოსელთა, раздеваться, скидывать платье. // (ვიხდი, მოვიხდი) გარდახდა ვალისა, уплачивать, отплачивать. // მორჩენა სნებოსაგან, выздоравливать, выдерживать болезнь.
ხდევინება (ვახდევინებ) ზღევინება, გარდახდევინება, взыскивать. // განკურნება, მორჩენა, вылечивать, [ვახდევინებ ტანისამოსს, раздевать].
ხდენა (ვახდენ) გაფუჭება, მოშლა, წახდენა, портить.
ხდილი ამოღებული ან მოწუდილი მახვილი (ეზეკ. 21, 28), извлеченный, обнаженный (меч).
ხდომა (ვუხდები) მიხდომა გინა წინა-აღდგომა (2 ტიმოთ. 3, 8; ტიტ. 3, 9), противляться, спорить. // (ხუდების, ხუდა) შეხდომა, შეხვედრა, შემთხვევა, ხვედრება, რგება წილად ანუ ჯერად (ლუკ. 1, 9), доводиться, случаться, доставаться. // (ვხდები) მდაბიურად: გახდომა, შექმნა, сделаться, учиниться, стать. ანუ გახდომა, წახდომა, худеть. // უ ხ დ ე ბ ა შვენის, შვენება (შავთ. 41), пристает.
ხე ესე არს ზოგადი სახელი, რამეთუ ძირზედ მდგომისა ეწოდება ნ ე რ გ ი (დაბად. 1, 11; ფსალ. 1, 3), древо, дерево, მოკვეთილსა — ძ ე ლ ი, ძირსა მათსა — ფ ე ს ვ ი, ფესვიდამ გრძლადმდე — მ ო რ ი, მოჭრილთა ხეთა მორსა მიწაში დანარჩენსა — ჯ ი რ კ ი და კ უ ნ ძ ი (სხუანი სახელნი იხილენ გრძლასთან). გაუთლელთა ძელთა ეწოდების დ ვ ი რ ე, ლ ა ტ ა ნ ი, ო რ თ ა ყ ვ ი რ ი და სხ. გათლილთა: კ ო პ ი, ნ ა ლ ი, გ ა ს ა ყ ა რ ი და სხ., კფალად მიჭრილთა ხეთა საწვავად ეწოდება შ ე შ ა და უწვრილესსა — ფ ი ჩ ხ ი.
ხეპალახა (ხე).
ხებარდა აკაკის ხე, акация, гороховое дерево.
ხეგვიმრა (ხე).
ხედვა (ვხედავ) თვალით გარჩევა (ნახე საგრძნობელთან) (მატ. 11, 4 და 13, 13 და შემდგომი), видеть.
ხედვითი სწავლა რომელსა შინაცა უმეტეს მოცალეობს გონება (ნახე საქმითი) (ლოღ. ბაუმ., § 17), теоретические или умозрительные науки.
ხედნა (ვხედნი, -ნავ) გაწურთნა საჯდომთა ხვასტაგთა, выезжать.
ხევა (ვხევ, იხევის) გაგლეჯა, გახეთქა, рвать, раздирать, -ся.
ხევი მცირე მდინარე, ანუ ჩახრამული ღელე, მასი (ნახე წყალთან) (ფსალ. 82, 9 და 103, 10; იოან. 18, 1; ვეფხისტ. 261), поток.
ხევისბერი ერთის ხეობის უფროსი, მოურავი.
ხევნარი ხეივანი, ხეებიანი ადგილი (ისაი. 16, 9), дерева, деревья.
ხევნები ღელეები, დახრამული ადგილები (ლუკ. 3, 5), дебрь, дол.
[ხევსური]
ხეში წურილი და გრძელი ბაწარი (ნახე საბელთან).
ხეთუფალა (ხე).
ხეთქა (ვხეთქ, სქდება) გაგლეჯა, გახევა, გატეხა, გაპობა.
ხეიბარი კაცი დაშავებული, ასონაკლები, სახიჩარი, калека, увечный.
ხეივანი ხენი რიგით მდგომნი ერთპირად ანუ ორპირად, аллея.
ხელ არა იხმარების მარტივად, არამედ რთულად რიცხვთსა თანა სახელსა: ე რ თ ხ ე ლ, ე რ თ ხ ე ლ ო ბ ა ს (ნახე ხელობა).
ხელადა პატარა ლიტრა (ნახე სარწყაულთან).
[ხელამბარი ნახე ბელო**]**.
ხელადქონება (ხელად მაქვს) მზად ანუ ადგილს ქონება, иметь в наличности.
[ხელბადე ნ. ბადე**]**.
ხელბორკილი ნახე ბორკილთან (ნაუმ. 3, 10), путы.

ხელგაშლილი უხვი, გამცემი, тороватый, чивый.

[**ხელგობა** корыто].

ხელდახელ უსაშუალოდ, ხელითი ხელად (მიცემა ან გამორთმევა) (ვეფხისტ. 1724) ручно.

ხელდებული ვისმე საფარველს ქვეშ მიღებული, покровительствуемый.

ხელეული მკლეული, ერთი იღლია ყანა.

ხელეჩო პატარა ეჩო, ერთის ხელით სახმარი.

ხელზედ ხვევა (ხელზედ ვიხვევ) ფადილი, მოცდევინება, ან საქმიდამ მოშლა, волочить, таскать, отрывать от дела.

ხელთა 7 ასონი მაჩვენებელნი შვიდეულის დღეთანი 12 თთვეთა წლისათა (ნახე დაბეჭდილის დაბადების ბოლოს), вруцелетие.

ხელთგდება (ხელთვიგდებ) დაჭერა, მობოჭვა, поймать, схватить в руки.

ხელთდასხმა (ხელთდავასხამ) კურთხევა ვისიმე თავსა ზედა ხელის დადებითა, ანუ ეპისკოპოსთაგან შემოსვა სამღუდელოსა ხარისხსა ზედა (1 ტიმოთ. 5, 22; საქმ. 8, 18), возлагать руки, рукополагать. // შეპყრობა ვისიმე პატიმრად (მატ. 26, 50; საქმ. 4, 3), налагать руки, брать под стражу.

ხელთ საქმარი სამუშაო რამცა ხელით გაკეთდების, рукоделие.

ხელი სულელი (ნახე გიჟთან) (შაქთ. 34).

ხელი რიგობა, ჭამართულობა, ვითარ ერთი ხ ე ლ ი წიგნები, ორი ხ ე ლ ი ტანისამოსი და სხ. 10 перемен платья, ერთი ხ ე ლ ი საეკლესიო წიგნი, круг церковных книг.

ხელი, ჴელი მკლავის წინა კერძო მაჯითგან ვიდრე თითებადმდე (მატ. 22, 13), рука, χείρ. // სამართალი, ხელმწიფება, უფლება, ვითარ ხ ე ლ ი შემივა, иметь право, власть. რ ა ხ ე ლ ი გ ა ქ ვ ს? какое имеешь право, какое тебе дело?

ხელითქმნული ხელით ნამუშევარი, გაკეთებული (საქმ. 7, 48). // ზოგჯერ ჰნიშნავს კერპთა (ისაი. 2, 8; ფსალ. 96, 7), рукотворенный.

ხელითუქმნელი თჳნიერ ხელთა კაცობრივთა ქმნილი, გაკეთებული (მარკ. 14, 58), нерукотворенный.

ხელითწერილი ხელწერილი, მოვალეობისა ან შეკრულობის წიგნი (ლუკ. 16, 6 და შემდგომი), подписка, расписка.

ხელის ამართვა (ხელს ავუმართავ) ხელის აღებინება, ჩამორთმევა, გამობარება, отбирать.

ხელის აღება (ხელს ავიღებ) დატევება, განშორება, გაცლა, отказаться, отстать, оставить. // თ ა ვ ზ ე დ ხ ე ლ ი ს ა ღ ე ბ ა თავის გაწირვა, უიმედობა სიცოცხლისა, отчаиваться.

ხელის აღპყრობა (ხელს აღვუპყრობ) ხელის გამართვა, მომართვა, შეწევნა, подавать руку помощи, принимать кого на свою ответственность, или под покровительство.

ხელის დადება (ხელს დავსდებ) მკურნალისგან თავზედ აღება სნეულის მორჩენისა, ანუ ძლიერისგან მიღება უღონოსი თჳსსა ქვეშე საფარველსა. // ღირსისგან დალოცვა უმცროსისა თავზედ ხელის დადებით (ნახე ხელთ დასხმა).

ხელის დაფარება (ხელს ვაფარებ, დავაფარებ) დამალვა სხჳს ნაკლებობისა, прикрывать.

ხელის მიყოფა ხელყოფა, ხელხება.

ხელის მომართვა, გამართვა (ხელს მოვუმართავ, გავუმართავ) მიშველება, გაჭირებაში შეწევნის მიცემა, пособлять, снабжать, ссужать. // (ხელს მოვიმართავ, გავიმართავ) შოვნა შეწევნისა, находить пособие, поправляться.

ხელის მოწერა (ხელს მოვაწერ) დასრულება წერილისა თჳსის ხელის ჩართჳთა, подписывать, -ся.

[**ხელის ხაურავი** должность, чин].

ხელის სწრობა (ხელი უსწრობს) ხ ე ლ ი ს ტ ა ნ ე ბ ა (ხელს ვატან), ზედ შევარდნა სიხარბით, ტაცება, хватать.

ხელისუფალი მქონებელი უფლებისა, ანუ მბრძანებლობისა მოხელეობით, властитель, волостель.

ხელის ქვეშე მდგომარე ბრძანებასა ქვეშე ვისსამე, подчиненный, подвластный.

ხელისშეწყობა (ხელს შევუწყობ, შევიწყობ) გაფრთხილება, беречь, -ся.

ხელისჩართვა (ხელს ჩავურთავ) წერილთა დასასრულს მოწერა სახელისა, рукоприкладство, руку приложить.

ხელისწაყრა (ხელს წავიყრი) ხელის გატეხა, გაადვილება, გავარჯისება ხელთსაქმარისა, набивать руку.

ხელის ხლება (ხელს ვახლებ) შეხება ხელითა, прикасаться, дотрагиваться рукою.

ხელის ხდა, ხელის ყრა (ხელსა ვჰხდი, ვჰყრი) გამოყენება, მოხმარება (ვეფხისტ. 892), რა ხელი ეხდება, к чему годится?

ხელმანდილი ხელსახოცი (ვეფხისტ. 1512, 1519), платок ручный или карманный.

ხელმარჯვედ დაუგვიანებლად და რიგიანად, проворно.

ხელმახწარა ვისაც ხელი უსწრობს, ეტანება, ხარბი.

ხელმოჭირებული გამოუმეტებელი, ძუნწი. პურად ძვირი, წინაალმდეგი ხელგაშლილისა, скупой.

[**ხელმქმნილი**]

ხელმწიფე თჳთმფლობელი მეფე. ანუ მთავარი უმაღლესი (ვეფხისტ. 1, 36), государь, властитель.

ხელმწიფება უფლება, უმაღლესი მთავრობა (მატ. 9, 6 და 29, 23; იოან. 19, 10; რომაელ. 13,1 და შემდგომი), власть.//(ხელმეწიფების) შეძლება, უფლების ქონება (მატ. 5, 14 და 6, 24; მარკ. 5, 3; საქმ. 4, 16 და 11, 29), могу, имею возможность, быть в состоянии, возможность, иметь достаток.

ხელმწიფებანი ერთი ცხრათა დასთაგანი ანგელოსთა (ნახე დასი), власти, чин ангелов.

ხელმწიფობა ჟამი მეფობისა რომლისამე ხელმწიფისა, государствование. // ანუ ხარისხი მისი (ვეფხისტ. 292).

ხელნა, ხელნები მარხილთ გასაწევი ორი ლატანი, оглобли.

ხელნავი საომარი სამკლავე, ბეგთარი (ნახე ჯავშანთან), латы, [поруча].

ხელნაწერი წიგნი კალმით დაწერილი და არა სტამბაში დაბეჭდილი, рукопись, манускрипт.

ხელობა, ხელოვნება ცოდნა რომლისამე ხელთსაქმარისა, ვითარ ხუროვნობა, მკერვლობა და სხ. (საქმ. 18, 3), ремесло, художество.

ხელობა ჯერი, ხამუში, რიგობა, ვითარ ე რ თ ი ხ ე ლ ო ბ ა ანუ ე რ თ ხ ე ლ, ე რ თ ს ხ ე ლ ო ბ ა ს, ო რ ს ხ ე ლ ო ბ ა ს და სხ. (ნახე გზობა), одним разом, на один прием, на два приема и т. д.

ხელობა (ვხელობ) გაშმაგება (ვეფხისტ. 15).

ხელოვანი საქმის კეთილად გამმართველი, მარჯვე, გამოცდილი, искусный.

ხელოვანება ხელობა, ან ხერხიანობა, გამოცდილება საქმეში (ვეფხისტ. 6, 518; ჩახრუხ. 92), искусство, ремесло, наука.

ხელოვნობა (ვხელოვნობ) ვარჯისი, წურთნა, დახელოვნება, გავარჯისება (ვეფხისტ. 25), упражняться, твердить.

ხელოსანი მცოდნე ხელობისა, ხელთსაქმარისა, ოსტატი, художник, ремесленник, мастер. // ხელის უფროსი, მოხელე სოფელთა შინა, старшина.

ხელსაბამი დასტანაგი, მელევანდი, სამკლავე.

ხელსაბანი სახმარი დასაბანად ხელთა, ვითარ ტასტი და მისთანანი, рукомойный.

ხელსაფქვავი პატარა წისქვილი ხელით საბრუნებელი, ручная мельница.

ხელსაყარი სახმარი, გამოსადეგი (ნახე ხელის ხდა), пригодный.

ხელსახოცი ხელმანდილი, ხელების შესაწმენდი, платок.

ხელუხლებელი უნაკლულო, მრთელი, უხმარებელი, ან გაუხსნელი, გაუშლელი, непочатый, цельный.

ხელფურჩი ბუნებითად მეხანიკოსი, ვისცა უსწავლელად თჳსითა გონებითა ძალედვას გაკეთება ხელთ საქმართა, მაგალ., გამართვა მოშლილთა საქამოთა, აგება წისქვილთა, მანქანათა, გინა ხუროვნობა, მკერვლობა და მისთანანი, переимчивый.

ხელფურჩობა თჳსება ხელფურჩისა, переимчивость на рукоделия, механизм.

ხელქვეითი ხელის ქვეშე, ბრძანების მორჩილი, ხელმწიფების ქვეშე დაწესებული, подчиненный.

ხელყოფა (ხელვჰყოფ) ხელის მიყოფა, ხელხება დაწყება (ლუკ. 1, 1), приступать.

ხელშეუვალად უდავოდ, უცილობელად, რომ სხვას ხელი არ შეუვიდოდეს, неоспоримо, неотъемлемо.

ხელშუბა მოკლე შუბი (ნახე ლახვართან).

ხელჩართული ხელმოწერილი, рукоприкладство. // განთჳსებული გუარი წერილისა, რომელსა შინაცა გარდაიბმიან ასონი დიდროვანითა და შვენიერითა ნაკვეთებითა ურთიერთარს ესრეთ, რომელ არა ადჳლ არს წარკითხვა მათი.

ხელზარი, ხელძარი ჯინი ხელებით საზიდი.

ხელწერილი ხელით წერილი ანუ ხელნაწერი (ესენი ნახე), рукопись.

ხელხება ხელის შეხება, მიყოფა, დაწყება წერისა, приступ к делу, письму.

ხელხუნდი სინოხი (იხილე ხუნდთან), колодка ручная.

ხელჯაგი ჩასაცმელი რამე ხელთა ზედა სითბოსათჳს, рукавица, ხოლო თითებიანს ჩასაცმელს ეწოდება თ ა თ მ ა ნ ი, перчатки.

ხელჯოხიანი იასაული, ბოქოული კვერთხითურთ, палочник, или швейцар с палкою.

ხემხი მცირედ რამ ჰამადი ან ლუკმა, кроха, крошка, крупица.

ხენდრო (ბალ.) დიდი მარწყვი ან ჟოლა, малина, [клубника. რედ.].

ხენეში ცუდი, ურგები (მატ. 7, 17 და 12, 33 და შემდგომი), злой, худой, дурной, негодный.

ხენჯი მეტალლთ ნაწური წიდა, сок.

ხეობა ხევი, შენობა მოსახლეთა ერთს მდინარეზედ გაღმა-გამოღმა მიდევნებით, [селения по обеим сторонам реки].

ხერგი ტყიანთა და კალიანთა გზათა ზედა წაქცეული, გინა მდინარისგან მოტანილი ხე, ანუ განგებ გახიდული, засека.

ხერთჳსი ზღჳათა და მდინარეთ საშუალ ხმელი ჰალაკი ან კუნძული, остров.

ხერი სასანთლეთ ღერო (გამოს. 25, 31), стебель.

ხერკინა (ხე) ბელეკონი.

ხერუვიმი ერთი ცხრა დასთაგანი ანგელოსთა, რომელთაც ხატეენ მრავალთჳალად (ნახე დასი) (ფსალ. 79, 1 და 98, 1), херувим, *χερουβίμ*.

ხერხემალი ზურგის საშუალი ძვალი, რომელზედაც მოსხმულ არიან წიბონი ან ფერცხალნი გვერდთანი ორკერძო, позвонок.

ხერხი გრძელი და ფართო რკინის იარაღი, ცალს გვერდზედ დაკბილული გასაჰრელად ხეთა, ძვალთა, ქვათა და მისთანათა (ისაი. 10, 15), пила.

ხერხი ხელოვნება, ხელფურჩობა, გამოცდილება, მოხერხება, искусство, хитрость.

ხერხიანი ხელოვანი, გამოცდილი, გერგილიანი, მოხერხებული, искусный, хитрый, удобный.

ხერხიანად მოხერხებით, ხელმარჯვედ, ხელოვნებით, მანქანებით, искусно.

ხეტარი კოტა, ხმლის ტარი.

ხეტი გაუგებელი, წინდაუხედავად სწრაფი (ნახე გიჟთან).

ხეტუხტი (ხე).

[**ხეტყე** лес, дровья].

ხეშავა (ხე).

ხეშიშველა (ხე).

ხეჩა (ვხეჩ) პობა, ხლეჩა, ჩეხა, рубить, колоть.

ხეჩაკალი ბარჯი.

ხეწა ნახე ხვეწა.

ხეჭბი წაბლთ გარეგანი ბუდე (ნახე ქერქი).

ხეჭეჭური (ხე) სოფლური მსხალი წყლიანი.

ხეჭრელა (ხე) ლუკუფხა.

ხეჭუჭი კვერცხთ გარეგანი ბუდე (ნახე ქერქი).

ხეხა (ვხეხ) დრესა, ერთის მეორეზედ წასმა გასასწორებლად ან გასასუფთავებლად, тереть.

ხეხილი (ხე) ხილნარი მრავლობით მდგარი ბაღი, фруктовый сад.

ხვადაგი (ოთხფ.) იმერულად ხვასტაგი, скотина, животина.

ხვადი და ძუ (ოთხფ.) სახელნი ესე მიეწერებიან დედალ-მამალთა კლანჭიანთა მხეცთა, ლომთა, ვეფხთა, დათჳთა, მგელთა, ტურათა, მელთა, ძაღლთა, კატათა და მისთანათა, самец, самка зверей четвероногих. ხ ვ ა დ ი ლომი, лев; ძუ ლომი, львица (იობ. 40, 10; ვეფხისტ. 39).

ხვავი, ხჳავი გროვა, ზვინი მარცვალთა ანუ თესლეულთა, ворох.

ხვაიშანი, ხოიშანი, ხვარეშანი მოხმარება, შეელა, ხელის მომართვა, помощь, пособие.

ხვალ 2 პირი ზმნისა: ვ ა ლ, ხ ვ ა ლ, ვ ა ლ ს, დავდივარ (იგავ. 1, 15), ходить.

ხვალ, ხჳალე დღეის შემდგომ, მეორეს ან მომავალს დღეს (4 მეფ. 6, 28; ისუ. 4, 6; ვეფხისტ. 11), заутра, завтра.

ხვალისაგან მეორეს დღეს (მატ. 27, 62; საქმ. 10, 24), во утрий день, на утрие, на другой день.

ხვალთო (ხე) ვერხვი, ფურცელთა ზურგ თეთრი.

ხვალმე, ხოლმე ლექსი ესე იხმარების ზმნათა თანა და ჰნიშნავს გახშირებასა მოქმედებისასა, მაგალ., დავდივარ ხ ვ ა ლ მ ე, დავდიოდი ხოლმე, ვეუბნებოდი ხოლმე და სხ., бывало хаживал, бывало сказывал, არამედ სრულთა შინა დროთა არა იხმარების.

ხვანჯარი, ხონჯარი საწვიეეთ ზონარი შესაკრავი, гачник.

ხვანჯი ხლათი, დახლათული, ხრიკი, запутанность.

ხვარბალი, ხორბალი (მცენ.) პურის მოსავალთ მარცვალი (დაბად. 41, 35; ისაი. 29, 1), пшеница.

ხვართქლა (ბალ.).

ხვარშაკი ხჳარშაკი (ნახე ხორშაკი).

ხვასტაგი (ოთხფ.) მოსაშენებელი პირუტყჳ, შინაური საქონელი, საცხოვარი, скот, скотоводство.

ხვაშიადი დაფარული საქმე საიდუმლო (ვეფხისტ. 1¹, 156 და შემდგომი), тайна, секрет.

ხვება (ვახვებ) გამოხუება, გამოკლება, გამომხობა, лишать, исключать.

ხვებული გამოკლებული, უპოვარი, გამორიცხული (ფსალ. 77, 30 და 106, 9), лишенный.

ხვედა ხის ურო (მსაჯულ. 4, 21), млат, молоток.

ხვედნა ტუქსვა, დაჯაბნვა, ხედნა (სოფონ. 2, 8), укоризна.

ხვედრება (ვახვედრებ) მიხვედრება ან რგუნება, ან ხდომა (ესენი ნახე).

ხვედრი წილად ნარგები, ხვედრებული, участь. // საეკლესიოთა წიგნთა შინა სერობის საგალობელი დიდთა საუფლოთა დღესასწაულთა წინა შვიდეულისა.

ხვევა (ვახვევ) ძაფთა და საბელთა გარშემოვლება რასმე ზედა (ვეფხისტ. 99), обвивать, обвязывать (იხილენ: გახვევა, გამოხვევა, წახვევა, ხელზედ ხვევა და სხ.).

ხვევნა (ვეხვევი) მოხვევა, მიკონება, შეტკბობა (ვეფხისტ. 10), обниматься. // მიხვევნა, მრავალთაგან გარემოცვა.

ხვეზა ცომის გუნდა, პურის გამოსაცხობად (მსაჯულ. 7, 13), тесто.

ხველა ხორხით გამოხმობა, ზოგჯერ ბალღამის გამოფურთხვით ან უიმისოდ, кашель, (ვახველებ, მახველებს) кашлять.

ხვესტი ხუსტი (ნახე ხისტი).

ხვეტა (ვხვეტ) ხვეწა, ან ნიჩბით გარდაგდება (იობ. 2, 8 და 7, 5; ვეფხისტ. 1452), стругать, скребать, грести.

ხვეული ხე ანუ ძელი მოგრეხით გაზდილი, გინა პური ამგვარი, ქადა, ფოფხი და მისთანანი.

ხვეწა (ვხვეწ, -წავ) თხევა ან თლა, скоблить, стругать. // ძაფის დასუფთავება სახვეწელით. [очищать нитку].

ხვეწი მოკაკული სათლელი შიგნიდამ გამოსაჭრელად ხის ჭურჭელთა (ნახე დანასთან), долото.

ხვეწნა (ვეხვეწები) ფრიადი ვედრება, მუდარა, умолять.

ხვეჭა (ვხვეჭ) მოხვეჭა, კრეხა, უსამართლოდ შეკრება.

ხვივილი (ხვივის) ცხენთ ხმიანობა (ნახე ხვიხვინი) (იერემ. 8, 6, 16), ржание.

ხვითქი (მძრ.) კორკოდილო, ნიანგი (ლევიტ. 11, 30), крокодил.

ხვითქი ნახე ხვირთქლი.

ხვიმირა, ხჳმირა წისქვილის ქჳათა ზედა დაკიდებული ფიცრის სახორბლე ჭურჭელი ვიწრო, რომლიდამაც ნელ-ნელა ჩამოდის ხორბალი ზედ მიკრულსა კრიჭასა შინა და მუნით ზევითის ქჳს პირსა შინა დასაფქვავად.

ხვიმირი დასაფარები რამე ჭურჭელი ფანოსივით (მატ 5, 15), спуд.

ხვინჭი კენჭებიანი ქვიშა (ნახე ქვასთან).

ხვიობა კივილი, ვალალა (იერემ. 48, 39), взрыдать.

ხვიჟირი ნამტურევი, ნალეწი.

ხვიჟირი მარილი მსხვილად დამტჳრეული და დაუფქვავი ქვის მარილი.

ხვირთქლი საპნის პერული თეთრი, ანუ ამგჳარი ოფლით ცხენთა ტანისა.

ხვირი ჯინი, გინა გოდორყური, тур [корзина) და ზოგგან ხ ო ი რ ი ც დაუწერიათ ხ ვ ი რ ა დ, შეცთომა არის (იერემ. 58, 12), венец.

ხვიტი თავსქელის კომბოსტოს ძირის კერძი, вилок.

ხვიხვინი კიმანება, ხმიანობა ცხენთა ურთიერთისადმი, ხოლო ხ ვ ი ვ ი ლ ი პატრონის მიმართ საკვების ჟამს და ჭ ი ხ ვ ი ნ ი მრასხანების ხმა.

ხვლივი, ხვლიკი, ხჳლიკი მხელიკი (მძრ.) მწვანე ჯოჯო.

ხვნეშა (ვხჳნეში) ღრმად ამოკჳნესა, სულთქმა ანუ ქშენა.

ხვრა, ხრვა (ვხრავ) ღრღნა, კბილით ხორცის შემოძრობა ძვალთაგან.

ხვრელი, ხჳრელი სორო მხეცთა, ან ქჳაბი კლდეთა (ისაი. 11, 8; ებრაელ. 11, 38; ვეფხისტ. 891, 1239), нора, пещера. // ნახჳრეტი, გამოღრუტნული (მატ. 8, 20 და 19, 24), ушко, дыра.

ხვრეტა (ვხჳრეტ) საშუალ გამოფუღრვა სადგისითა და მისთანითა, განხჳრეტა, сверлить.

ხვრეტა (ვხჳრეტ) თბილთა წჳნიანთა საჭმელთა შესმა ნელ-ნელა, შეხვრეტა (ვეფხისტ. 351, 702), хлебать.

ხვრინვა (ვხჳრინავ) ძილში ხრუტუნი, ხმიანად ფშჳნვა ცხვირითა (იოან. 1, 6), храпеть.

ხზედი ნახე ხსედი.

ხიბახუბა ნახე ხაბახუბა.

ხიბლვა (ვხიბლავ) შეგრძნება, შელოცვა, შეკრვა გრძნებითა, მობირება, обвораживать.

ხიდი მდინარეზედ გადებული, ან აშენებული გასავალი ხისა, ქვითკირისა და მისთანათა, დიდი და ვრცელი (ისაი. 37, 25; ვეფხისტ. 794), мост. მომცროს ჰქვიან ბოგირი, ერთსა ხესა გადებულსა — წაწუალა, გაბმულს ხიდსა—ბონდი და წყალთა შესაყენებელსა—საგუბარი, დიდთა ხიდთა კიდურთა ზედა მიშენებულს ჯარგვალსა სიმაგრისათჳს—წამწე.

ხივილი ხავილი ანუ ჩხავილი.

ხიზანი სხვაგნით მოსული ანუ ლტოლვილი დედაწულითურთ მტერთა ანუ სენთა დარიდებით.

ხიზვა (ვხიზავ) შემდგომად გარეცხისა ქვევრთასა წაუსმენ მოდუღებულს ძროხის ქონს, ანუ გამოავლებენ შიგნიდამ, რომ არ გაჟონოს მათ შინა შთასასხმელი ტკბილი.

ხიზი ქვევრთა და ჰურთა წასასმელი ქონი ანუ ცმელი, [воловое сало, употребляемое для обмазки глиняных посуд].

ხიზილალა დამარილებული ქვირითი თევზთა, икра паюсная, *χαβιάρι*, [le caviar].

ხიზმუზი, ხაზმუზი ზერექვერედ ავადობა, хворать.

ხიზმუზიანი ხშირად მოავადე, სინდილიანი, хворный.

ხიზნვა (ვხიზნავ, ვიხიზნები) მტერთა ანუ სენთაგან ლტოლვა, დამალვა, [укрываться от неприятеля или от чумы].

ხილვა (ვიხილავ) ნახვა, განცდა, გასინჯვა ანუ ჩვენება (ისაი. 1, 1; მატ. 17, 8 და შემდგომი; საქმ. 2, 17), видение, видеть.

ხილი მოსავალი ხეთა ანუ ბალახთა (იერემ. 40, 10), овощ, ягода, фрукт.

ხილინდარი საკვესე.

ხილის ხაცავი ქოხი შესანახავი ხილთა (ისაი. 1, 8; ფსალ. 78, 2), овощное хранилище.

ხილიფა მშვილდის ჩასადები ბუდე, футляр для лука.

ხილნარი ხეხილით შემკული ადგილი, место усаженное деревьями.

ხილული ნახული, რაიცა თუალით იხილვების, видимый.

ხიმი ლერწამ-ჩალის ბაკი (ნახე ზღუდე), забор камышевый.

ხიმინჯი წყალში სახმარი მსხვილი მანა, кол, свица.

ხინდახორი ბაგა ხვასტაგთა, ясли.

ხინკალი დუმის შაშხი, გინა მას შინა მომწვარი ცომი.

ხინკილა ღომის ოგრა, суп с просом.

ხინძვა (ვხინძავ) კინძვა, პირის გადახლათვა, გადაკერვა ტომარათა და სხ., перевязывать.

ხინხილი ღინღილი, ცუდი სლვა (ნახე სიარულში).

ხინჯო თუშფალანგი, ბრინჯის გასაწური, ფლავის საწურავი, сито.

ხიპი ცუდი დანა, სატევარი და მისთანანი.

ხირაული თხელი ფიჩვი, хворость.

ხირხალი ზღუდე ლატნებისა გარემო ხნულთა ანუ კალოთა (ნახე ზღუდესთან), забор, рогатка.

ხირხიტონი ნიგოზთა და ხახვთაგან მგბარი შეჰამადი.

ხის მუშკი (ბალ.) ბობოწვერა, ხის ხავსი.

ხისტი, ხვეხტი, ხუხტი ხუსტურიანი, ურჩი, უარშიო (2 სჯული. 21, 18), грубитель, грубиян.

ხიფთანი, ხუფთანი დიდებულთ საცმელი ღილებიანი წინშესაკრავი ვიდრე ქვეით კალთებამდე (ნახე ტრიხაპტონი), кафтан, *χιτών*.

ხიშტაკი კაბის სახელთ ძირი.

ხიშტი სპადა, პირგრძელი ლახვარი (ნახე ლახვართან).

ხიჩაობა (მეხიჩავება) გრგენა, ჩოთირი, ვერ შეფერება უჩვეველისა.

ხიჩატელი ველური ხილი, კაკრა, კენკრა, კრიკინა და მისთანანი, дикие ягоды.

ხიწვი, ხიჭვი ძელთ ანაძრობი ეკალივით, заноза.

ხიხინი (გულზედ ახიხინებს) ქოშინი ანუ ხრინვა.

ხლა (ვახლი) მიხლა, მიჯახება.

ხლართვა (ვხლართავ) გაჯღაბარდვა, დახვანჯა, путать, спутывать.

ხლართი ხვენი, დანასკული ძაფი ან საბელი, узел, путы. // საჯანჯლო საქმე, запутанность, хлопоты.

ხლაპი ან ხლაპი-ხლუპი სასმელთ შეხტრეტის ხმა.

ხლარჩი სამინდო, ფქვილი საუკეთესო.

ხლდომა (ვხლდები) ხლტომა (ნახე სიარულში) (საქმ. 3, 8), скакать.

ხლება (ვახლებ) ხება, შეხება, ვახლებ. // (ვახლავარ) უაღრესთან ყოფა ან სამსახური (ნახე ბრძანება) (ვეფხისტ. 31), находиться, служить при ком, ანუ მიახლება (მუნვე. 36, 108).

ხლეჩა (ვხლეჩ) ხეჩა, გაგლეჯა, გაჩეხა, გაპება. // ზოგგან რუსთველს უხმარია პირის ანუ ბაგეების გაღების მაგიერ (ვეფხისტ. 90, 280).

ხლინგი ხრიკი, ლინგი, ფანდი, მორკინალთ ხელოვნება, ხერხი, прием. ухватка, искусство борцов.

ხლტომა (ვხლტები) ფრენით სიარული ან პენება (ნახე ხლდომა).

ხმა (ვახუამ) განხმა, გაღება, აღხმა და სხ. (ნახე). //(ვიხუამ) მიხმა, მიღება და სხ. გულის ხმა, ე. ი. გულად შეღება.

ხმა წარმოჩენილი ანუ სასმენელი ბგერა, ქვემდებარე სმენისა (ნახე საგრძნობელთან) (დაბად. 3, 8, 10 და 27, 22; ფსალ. 3, 4 და 5, 2, კჟალად 41, 4; ვეფხისტ. 1337), глас, голос, шум.

ხმალი ნახე ხრმალი.

ხმარება, ხმარობა (ვიხმარებ, ვხმარობ) ხარჯვა, წარგება რისამე საქმეზედ (ვეფხისტ. 3, 4, 892), употреблять, пользоваться. // დასაქმება, გაკეთებინება საქმისა, ან მოსამსახურება. // (ვეხმარები) შველა, შეწევნა საქმეში.

ხმაურობა (ვხმაურობ) ხმის სასმენელობა, ლაპარაკის ხმა.

ხმევა (ვიხმევ) ხმარება (საქმ. 27, 17), употреблять. // მიღება საზრდელისა ანუ სასმელისა.

ხმელეთი და **ხმელი** ნაწილი ქვეყანისა არა დაფარული წყლითა (დაბად. 1, 9 და შემდგომი; ფსალ. 65, 5 და 94, 5; ვეფხისტ. 703), суша, материк, матерая или твердая земля.

ხმელი მშრალი, უნოტიო, сухой.

ხმიადი უღვივარის ცომის ნამცხვარი: შაფართხელი, ბალაჲი და მისთანანი (ნახე პური), хлеб бесквасный.

ხმიანი ხმის მქონი, ხმოვანი, гласный.

ხმილვა (ვხმილავ, ვხუმილავ) ღამით დარაჯა (ლუკ. 2, 8), стража, стеречь.

[**ხმილი** ნახე მარწყვი].

ხმობა (ვახმობ) შრობა, გამშრალება, გახმობა, сушить.

ხმობა (ვჴხმობ) ხმის გამოღება (ფსალ. 33, 17; 113, 15 და 1 კორ. 13, 1), взывать, возвать голос. // (ვუხმობ) მოწოდება, მოხმობა, призывать.

ხმოვანი ხმიანი, ხმის გამომცემი.

ხმუწი, ხმუწვილი ტოლმეტი შესთუალთა ძაფისათა.

ხნარცვი ამოთხრილი ორმო (ნახე მთხრებელთან; 2 მეფ. 17, 18; ფსალ. 7, 14), ров.

ხნდური (ბალ.) ბაკლა, მსხვილი ცერცვი.

ხნიანი, ხნოვანი ხანიერი, ხანდაზმული, დროული, пожилой.

ხნვა, ხვნა (ვხნავ) მიწის გარდათხრა ერქუნითა დასათესად (ისაი. 28, 24), орать, пахать.

ხნული ნახნავი, მოხნული მიწა, დათესილი, ანუ ჯერეთ დაუთესელი, пашня.

ხოდაბუნი დიდი სახნავი მიწა მებატონისა, რომლისაც მუშაობა დებულებად სძესთ მის სოფლის კაცთა, ვითა ზურისა, господская или помещичья пашня.

ხოირი ნაფერტები, საქალო თავსახურავი სარადუჯი, ან დიადიმა (ნახე ხვიირი) (ივდით. 10, 3), увясло, венец (იერემ. 52, 18).

ხოიშანი ნახე ხვაიშანი.

ხოკა (ვიხოკ) ხოჰა, პირის გლეჯა (ვეფხისტ. 267, 345).

ხოკი და **ხოკერი** ხის ქერქის პურპელი (ნახე ზარდახშა და ქერქი), коробка.

ხოკო, ხოკინება ონკოლი, სენი ღორთა და კამბეჩთა.

ხოლიხი წუჭრილის თევზის სანადირო ბადე, бредень, verriculum.

ხოლე, ხოლმე, ხუალმე ნახე ხვალმე (ვეფხისტ. 729, 805).

ხოლო, ხ῀ კავშირი წმასნვითი (ფსალ. 2, 6 და 10, 3, 5; იოან. 10, 12 და შემდგომი), а, же. // ზოგგან ჰნიშნავს: მხოლოდ, ოდენ (საქმ. 11, 19), токмо, кроме.

ხომ ზმნისზედა, მდაბიურად მნიშენელი წართქმისა დასტურად; მე ხომ ვნახე ესე და ეს, ведь, т. е. ведай, знаешь. // უკუთქმითთა ზმნათა თანა ჰნიშნავს კითხვასა ნაცულად ა? ხომ არ გინახავს? ხომ არ მოსულა? ли?

ხომალდი დიდი ნავი (იხილე ნავი) (ვეფხისტ. 1026, 1307), корабль, судно. // ზოგგან უხმარიათ ნაცულად მცირისა სანდალისა (საქმ. 27, 16, 32), ладия, лодка.

ხომლი ქორკანდელი, паникадило, люстра. // ვარსკულავთ კრებული, პლიადი, плеада, утиное гнездо.

ხონი და **ხონჩა** სეფილი, გრძელი და დიდი ტაბაკი.

ხოპი ხოფი, ნავის მოსასმელი ნიჩაბი, весло.

ხორბალი ნახე ხვარბალი.

ხორგი, ხორდი დიდი ყინული (ნახე ყინულთან).

ხორთუმი დინგი ან ჩიჩვირი სპილოსი, хобот.

ხორკლი პირსა ზედა სხეულთასა მომაღლო პარტახტები ძიძიბ-ძიძიბად.

ხორკლიანი, ხორკლებიანი მქონები ხორკლებისა, шероховатый.

ხორო ფერხი, გუნდი მგალობელთა ანუ მომღერალთა, хор, клирос певчих, χορός.

ხორომი გათიბულის ბალახის ხელეული ან კონა.

ხორშა, ხორშაკი, ხვარშაკი შემწველი სიცხე მზისა (იედით. 8, 3; შავთ. 62), зной.

ხორცი სხეული (1 კორ. 15, 40), тело. // სხეული, ტანი კაცისა (დაბად. 2, 23; ფსალ. 36, 2), плоть. // სანოვაგე დაკლულთა ხვასტაგთა, მფრინველთა ანუ თევზთაგან (ფსალ. 49, 13), мясо. // ითქმის ზოგჯერმე საჭმელთა ხილთათჳსცა.

ხორციელი სხეულევანი, ხორცით მოსილი (ვეფხისტ. 132, 1236), телесный, плотский.

ხორცმეტი ტანზედ გამოსული თია, ჯირკვალი, нарост.

ხორხი სასას ქვემოთი კერძო სასულისა, გამომღები ხმათა სამუსიკოთა (ფსალ. 5, 9 და 113, 5), гортань.

ხოხროვანი აბჯარია ერთრიგი (ნახე ჯავშანთან).

ხოსროვული სპარსული ნაქსოვი დიბა.

ხოტბა მეტი ქება, იპერბოლა (ვეფხისტ. 3, 1030).

ხოფი ნახე ხოპი.

ხოცა (ვხოც, -ცავ) მოსრვა, დახოცა (ვეფხისტ. 23), убивать, истреблять. // მოხოცა, მოწმენდა, წარხოცა, утирать.

ხოშკაკალა წვრილი სეტყვა (ნახე წვიმასთან).

ხოშორი, ხუშური წვრილისა და მსხვილის საშუალი, мелкий.

ხოჭა გლეჯა ლაწუთა, ხოკა [ვისრამ. 46].

ხოჭიჭი პატარა აკვანი, ან გორგომიჭელა (ნახე ჭოჭინა).

ხოხმიკი სრული, გამართული, მზა.

ხოხობი (მთრ.) და ჭორტიკი ვარია მისი, фазан, Phasianus, Phasiana.

ხოხოშიკი ნახიჭო, ხოჭიჭვი.

ხოჯა საჭურისი.

ხრა (ვხრი, ვიხრი) მოდრეკა, მოღუნვა, მოკაკვა, მოხრა, гнуть, сгибать. // ხ რ ა თ ა ვ ი ს ა დადრეკა ანუ გაქნევა თავისა ქირდობით (ზაქარ. 13, 9; ფსალ. 21, 7 და 43, 13; მარკ. 15, 29), кивать, покивать головою. ზოგგან დაუწერიათ: ჰ ყ რ ი დ ე ს თ ა ვ თ ა — უკანონოა, ჰ ხ რ ი დ ე ს უნდა.

ხრაკვა (ვხრაკავ) ერბოთი ან ზეთით მოწვა სანოვაგეთა ტაფაზედ, жарить кушанье в кастрюле.

ხრაკი, ხრაკის გემო საჭმელთა მოხარშვის დროს, ან სასმელთა გამოხდის ჟამს ქუაბთა შინა კომლის ჩავარდნით გაუგემურება.

ხრალი ლაფანი თელათა, ძოლათა, ცაცხვთა და მისთანათა, ავრიტად დაგრეხილი, რომელთაგან მოიქსოვება სფირიდი და ეგევითარნი (ნახე ქერქთან), мочалка.

ხრამი ღრმა ხევი ფლატეებიანი.

ხრამუნი (ვახრამუნებ) ხრამახრუმი, კვნეტა ჰაგართა რათმე, გინა ხვასტაგთაგან თივის ჭამის ხმა.

ხრახტი დიდი ფურთხი ბალღამიანი პირიდამ გამოგდებული, харкотина. თხელსა ეწოდების დ ო რ ბ ლ ი, უთხელესსა — ნ ე რ წ ყ ვ ი, უსქელესსა — დ უ ჟ ი, უმეტესსა — ფ უ რ თ ხ ი, ოთხფერხთასა — ლ ო შ ქ ა რ ი.

ხრახნილი საქანჩავი, ჭახრაკი, მრგჳალად შემოჭდეული ხე ანუ რკინა სატრიალებლად ქანჩისა, რომლითაც მოუჭირებენ ან მოუშვებენ, шуруп.

ხრდალი (ოთხფ.) ჭაკი ცხენი, გინა კარაული ვირისა (ნახე ცხენთან; იობ. 1, 3), ослица.

ხრესა (ვხრეს) დრესა, ხეხებით დაწურილება ან დაჟქვა, тереть, растирать.

ხრიალი ერთმანერთზედ ხეხების ხმა ხეთა, ბალახთა და მისთანათა (ვეფხისტ. 618).

ხრიანცელი ხმიანობა მრავალთა, ხმამაღლად ლაპარაკი.

ხრიატი კრიახი, კლდიანი და ქვიანი გვერდობი.

ხრიზმოხ ძველთა კერპთმსახურთა ელლინთა ქურუმნი, ვითა მკითხავნი ან მეჭერენი წინასწარ მომასწავებელნი (შავთ. 19), оракул, χρησμός, χρησμολογία.

ხრიკი, ხრიკები მეტალლთ დუგმები შესაკრავი, крючки.

ხრიკი ნახე ხლინგი, ფანდი.

ხრილი წისქვილის ქუათა გარემოდებული რიოში ფქვილი.

ხრინვა (ხრინავს) ხვრინვა ან ხიხინი, ქშენა გულზედ.

ხრინწი ხმის წასულის სენი ხორხის გახმობისგან.

ხრინწიანი ხმა-წასული.

ხრისოლითოს ოქროს ქუა (ნახე სპეკალი) (გამოცხ. 21, 20), хрисолит.

ხრისოპრასოს ამგუარივე ქუა მწუანე (მუნვე), хрисопрас.

ხრმალი, ხმალი გრძელი მახვილი წელზედ შემოსაკრავი, ცალმხრივი პირიანი (2 სჯული. 31, 42; ფსალ. 56, 4; რომაელ. 13, 4), меч. სახენი ამისნი არიან მრავალგუარ, სხვადასხვათა თემთა შექმნილობისაებრ: გ ო რ დ ა ანუ კ ა ლ დ ი შ ი არს ძველებური, გრძელი, გახრილი, მზეველი, გლუვი, გამოფერდილი ანუ ლაროსანი. ამას ქართველნი ხმარობენ, ხოლო ფრანგნი სხუასა, რომელსა უხმობენ შ ა ბ ლ ა დ, сабля და სხუასა შ პ ა გ ა დ, шпага; ლ ე კ უ რ ი არს უვადო ხმალი, რომელსა ხმარობენ იმერნი და ჩერქეზნი, шашка, сабля черкесская, ხოლო ქ ო ლ ა უ რ ი არს კუალად სხვაგუარი. ეგრეთვე არაბნი ხმარობენ სხუასა, სპარსნი სხუასა, თურქნი და ბერძენნი სხუასა. ზოგნი დრეკილთა, ზოგნი შვეტთა, რომელნიმე ბასრთა, სხუანი რბილთა. არამედ საქებურად დადებული ესე არს, რომლისაც გუარისა იყოს ძველი არა ღულარჯნილი, სიმრუდე და მაღალდაბლობა არ აჩნდეს, ლიბრი და არა თეთრი, ბოლოს კერძოდ მცირედ მოხრილი და არა საშუალსა, ძვალთა და რკინათა მკვეთი, თჳთ უვნებელი და არა ადჳლ დაპლაგვებადი, გნდე ზრქელი და სწორე, შაშარმოკლე და სხუანი.

ხრო, ხროვა, ხროობა მხეცთ და ნადირთ ჯოგი, გროვა, ჯგუფი.

ხრონოს და **ხრონიკოს** ნახე ქრონიკოსთან.

ხრონოღრაფია ჟამთაღწერა, მატიანე, მოთხრობა, ცხოვრება, ისტორია, летопись, *χρονογραφία*.

ხრტიალი და **ხრტინვა** (ხრტიალებს, ხრტინავს) მომაკუდავის ხრინვა უკანასკნელი.

ხრტილი ღრჯა, საშუალი ძუალისა და ხორცისა, хрящ.

ხრუკვა, ხრუსტვა (ვხრუკავ, ვხრუსტავ) დაჭმუჭნვა, მობღუნძვა, ან ცუდად დაკეცა სამოსელთა, *мять*.

ხრუტუნი (ხრუტუნებს) ღრუტუნი, ხურინვა ვეფხთა, კატათა და მისთანათა.

ხრწევა *იხილე ხწევა*.

ხრწნა (ვხრწნი, ვიხრწნები) განხრწნა, დახსნა კავშირთა, დარღვევა, рушить, разрушать. // წახდენა, გარდაქცევა, გაქსუვება (2 კორ. 7, 2), тлить, истлить, разпращать, -ся.

ხრწნილება განსახრწნელი, ანუ ვითარება განხრწნადისა, тление, тленность.

ხხედი ქარცი, მქრქალი, წაბლის ფერი, ქურანი ცხენი (ზაქარ. 1, 8 და 6, 2), рыжий.

ხსენება (ვახსენებ, ვიხსენებ) მოგონება, გახსენება (ვეფხისტ. 6, 342), вспоминать.

ხსენება მეხსიერება, სახსენებელი, память.

ხსენი მშობიარის პირველი რძე, რომელსაც ჯერეთ არ აწოვებენ უსუვარსა, სანამ რიგზედ არ დადგება, [молозиво].

ხსნა (ვხსნი) შეკრულის გაშლა, გახსნა, ახსნა (მატ. 16, 19), разрешать, развязывать. // (ვიხსნი) გამოხსნა, განრინება, მორჩენა (ფსალ. 21, 4, 8, 20; მატ. 1, 21), спасать, избавлять.

ხსნილი გამოხსნილი, განრინებული, მორჩენილი (ფსალ. 106, 2), избавленный, спасенный. // ჟამი ოდესცა შენდობილ არს ჭამა ხორცისა და სხვათა, разрешение скоромного, мясоед.

ხსოვნა (მახსოვს) დასწავლა, გონებაში ქონება (ვეფხისტ. 127, 519), помнить.

ხსოვნიერი მეხსიერი, მახსოვარი, ხსოვნის მქონები, памятливый.

ხტომა (ვხტები) ხლდომა, ხლტომა.

ხტუნება (ვახტუნებ) ტარება ხტომით (ვეფხისტ. 1384).

ხუალ, ხუალამდი, ხუარბალი, ხუარშაკი და სხ. (ნახენ: ხვალ, ხომალდი, ხორბალი, ხორშაკი და შემდგომი).

ხუება, ხუედრი, ხუეზა და სხ. (ნახენ: ხვება, ხვედრი, ხვეზა და შემდგომი).

ხუვილი (ხუვის) შუვილი, ბგერა, ჩაქრიალი წყალთა ანუ ხმა ქართა, шум, шуметь.

ხუვილი (ბალ.) ოდოში, თავთავი პურის მოსავალთა (მატ. 12, 1; ისაი. 17, 5), клас, колос.

[ხუზვა გახუზვა].

ხუთგულა (ხე) ზღმარტლი.

ხუთვა (ვხუთავ) დახუთვა, შეხუთვა, დაჭერა, хватать. // დაწინდება, საწინდრად მიცემა, დაგირავება (გამოს. 22, 26), закладывать в залог.

ხუთეული, ხუთიანი ხუთნი ერთად, пяток, пятеро.

ხუთი ორი და სამი, пять.

ხუთო გესლის მკურნალი ქვა.

ხუთშაბათი მეხუთე დღე კჳრიდამ (ნახე ცთომილთან), четверг, четверток.

ხულა ქოხი (ვეფხისტ. 667), изба, избушка. // ქულბაქი, დუქანი, სავაჭროს სადები სახლი, лавка, лавочка.

ხულუნგო (ბალ.) უფხო ყანა.

ხუმარა მასხარა, შემაქცევარი, шут.

ხუმილი ღამის დარაჯობა (ნახე დარაჯა და ხმილვა).

ხუმირა ნახე ხვიმირა.

ხუმლა (ხე) შავი ხურმა.

ხუმრობა მასხარაობა, სასაცილო საქმე, шутовство, шутка.

ხუნაგი სასის გასივება, жаба в горле.

ხუნდი ფერხთ დასაკრძალავი, ზალვანი, კატარრაკატი, სინოხი ძელთაგან შექმნილი პატიმართათჳს, ხოლო ხელთასა ჰქვიან ხ ე ლ ხ უ ნ დ ი (საქმ. 16, 24), колодка.

ხუნდი (მფრ.) მართვე ტრედთა, ქედანთა, გურიტთა და მისთანათა (ნახე მართვესთან), голубенок.

[ხუნი]

ხუნტრუცი როკვა, ფუნდრუკი (ნახე თამაშობა).

ხურაობა ჟამი აღრევისა დედალ-მამალთა ცხოველთასა, ხოლო მიშვებასა მათსა აღრევად ეწოდება დ ა გ რ ი ლ ე ბ ა და ხურაობასა ცხენთა, ვირთა, აქლემთა, სპილოთა და მისთანათასა—ქ უ ქ უ ნ ი, ზროხათა, კამბეჩთა, ირემთა და ეგევითართასა — მ ა კ ი ნ ტ ა ლ ო ბ ა, ცხოვართა და თხათჳსა — ნ ე რ ბ ვ ა, ნადირთა, ღორთა და სხვათასა—კ ე რ შ ი ლ ო ბ ა, მხეცთა, კატათა და ძაღლთასა—მ ძ უ ნ ა ო ბ ა და ა მ ძ უ ნ ე ბ ა, მფრინველთასა—ა მ რ ე ზ ი და პ ე პ ლ ვ ა, თევზთა და გველთასა—ტ ო ლ ა ო ბ ა.

[ხურდა ფული]

ხურელი ხურეტა, ხუნეშა და სხ. (ნახენ: ხვრელი, ხვრეტა, ხვნეშა და შემდგომი).

ხურვა (ვხურავ) დაფარება, ანუ სახლთა ზედა დახურვა სართულთა, накрывать, покрывать. // (ვიხურავ) დაბურვა თავისა, დახურვა ქუდისა და მისთანათა, накрывать голову, надевать шапку и т. п.

ხურვება (ვახურვებ) გაცხელება მეტალლთა, калить, разгорячать.//გათბობა თონეთა და ღჳმელთა, топить, истоплять.

ხურვება სენი მხურვალებისა, ცხელება ან სახადი, жар, горячка.

ხურთი მჯილი, ქურჯნვა, ან შეკონილი ჯოხები, წკეპლები საცემად (მატ. 26, 67; მარკ. 14, 65).

ხურმა (ხე) ხუმლა არაბისტნისა, დანაკის კუდი, финик, *χουρμάδι*.

ხურო ხელოსანი, მთლელი ძელთა ანუ ქჳსა (მარკ. 6, 3), тектон, плотник (ისაი. 41, 7; ოსე. 8, 6), древоделатель, древодел.

ხუროვნობა, ხუროობა ხელობა, ცოდნა ხუროსი, плотничество, или зодчество.

ხუროთმოძღუარი ხელოვანი შენობათა, ზედამხედველი ხუროთა და მაშენებელთა (1 კორ. 3, 10; გამოს. 31, 4), архитектор, зодчий.

ხურხლი ნახე ქურხლი.

ხურჯინი დიდი აბგა, მანდიკი, მახალი (ნახე ვაშკარანთან).

ხუსტი ნახე ხისტი.

ხუსტური სიკაპასე, სიანჩხლე, გულპილწობა, გაგულისება, ჟინი, каприз, досада.

ხუტვა, ხუტილი (ვეხუტები) მოხვევნა, ჩახუტება, обнимать, объятие.

ხუფთანი ჯავშანზედ საცმელი ხიფთანი.

ხუფი სარქველი სიაეთა, ქვაბთა, ქოთანთა და მისთანათა, крыша котлов, кастрюль, мисек и т. п.

ხუფხუფი ხაფხაფი, ან ხმა ყელვიწროთა ჭურჭელთა დაცლისა.

[ხუშტი ხიშტი, ქუში, კუშტი].

ხუშური ნახე ხოშორი.

ხუჩხუჩი ჩუმი ტირილით გულის ამოსკვნა (ნახე ტირილთან).

ხუცესი ბერი, მოხუცებული ან უფროსი პატივით (მარკ. 7, 3, 5), старец, старший. // მღვდელი (იაკობ. 5, 14), пресвитер, // ხ უ ც ე ს ი და უ ხ უ ც ე ს ი იხმარების ხშირად სამნეოთა სახელთა თანა შერთჳთ: ს ა ხ ლ თ ხ უ ც ე ს ი, მ ო ლ ა რ ე თ ხ უ ც ე ს ი და სხ.

ხუცესმონაზონი მღვდელმონაზონი, მწირველი ბერი, иеромонах.

ხუწუწი ლუდუდი შალალიანი, прыщик.

ხუჭვა (ვხუჭავ) დაწუხვა, დაფახვა თვალთა, жмурить, -ся.

ხუჭუჭი ბოჭკო გრუზვილი, кудрявый, курчавый.

ხშირი, შხირი მრავალი, ზედიზედ (ვეფხისტ. 3, 948, 1493), частый.

შვა (ვხშავ) მიხურვა, დაკეტა, დაკრძალვა.
შული დაკეტილი, დაკრძალული, დახშული.

ხწევა (ვახწევ, ვეხწევი) ძლივ გამოტანა, გამოხსნა.

ხჳმირა ნახე ხვიმირა და ზარდახშა.

ჯ

ქარაგმიანნი ლექსნი ამას ასოსა ზედა: ჯ῀ი — ჯვარი, ჯ῀რცმა — ჯვარცმა. ჯ ზოგჯერ იხმარების ნაცვლად ჟ, ძ, ჭ (იხილენ ასონი ესე).

ჯაბალა ჯაჭვი ტანზედ საცმელი (ნახე ჯავშანთან).

ჯაბანი ძაბუნი, მხდალი, მოშიშარი, ან დაჩაგრული (ოსე. 7, 13), боязливый (ვეფხისტ. 395, 789, 1030), робкий, трусливый.

ჯაბნვა (ვსჯაბნავ) დაჩაგრვა, დაშინება, დაძაბუნება, страшать, обижать, нападать.

ჯაბრი ქისპი, ინადი.

ჯაგანი შეგრეხილი წკებლები ასასხმელად ხილთა, თევზთა და მისთანათა.

ჯაგარი ღორთა, დათუთა, აფთართა და მისთანათა ქეჩოსა და ზურგის ფაფარი აშვერილი, ანუ ძღარბთა ზურგის ეკალი (ნახე თმასთან), щетина.

ჯაგვა (ვსჯაგავ) ხედნა, ნიადაგ მუშაობაში ხმარება ხვასტაგთა.

ჯაგი (ხე) მომაღლო ჩირგვი, куст; ჯაგნარი ადგილი ჯაგებიანი, кустарник.

ჯაგლაგი (ოთხფ.) ცუდი ცხენი.

ჯაგჯაგი (ჯაგჯაგებს) ჩაქჩაქი (ნახე სიარულში).

ჯადაგო ჯაღანი ან შეურაცხი, ცუდი.

ჯადვარი სამკურნალო წამალია.

ჯადო გრძნება, ანუ მეზღაპრული საოცრება რამე, чародейство, или чудовище.

ჯადოიანი გრძნეული, ჯადოქარი, чародей.

ჯავაირი სპეკალი, ძვირფასი თუალი, камень драгоценный, τζαβαΐρι, τζαβαΐρικόν.

ჯავარდენი ფოლადის მასხალი, ფერად-ფერადად ტალღა, ან ზოლ-ზოლად ელვარება, булат.

ჯავარი მადნის ქუა, руда.//ანუ ჯავაირი (ვეფხისტ. 106, 683; შავთ. 49; ჩახრუხა. 95).

ჯავზი ხეხო (ხე), мускатный орех.

ჯავრი ჯაბრი, ან ზრუნვა, ნაღველი (ვეფხისტ. 237), досада, беспокойство, или забота.

ჯავრობა (ვსჯავრობ) გაგულისება, გულპილწობა, ანუ მდურვა (მუნვე, 594), досадовать, негодовать.

ჯავშანი აბჯარი, ჯაჭვი რკინისა მეომართ საცმელი (მუნვე, 435, 1406), броня, панцырь, латы. გვარნი ამისნი არიან: სამანქანი თვალებმრგუალი, სამფარეშოსანი, შიგნით ნიკარტოვანი, რბილი, გარდაგრეხით ძნიად გასატეხი; ზეიდალი მსგავსი სამანქანისა, თჳთო რიგი ჯაჭვის თვალთა (ე. ი. გრგოლთა) უფარეშო და მეორე რიგი ფარეშოსანი; ხოსროვანი მსგავსი ზეიდალისა და ქვედაპირი ღარღაროვანი; ქირაფქა მობრტყე, ჯაჭვის გრგოლებ ფარეშოვანი, რბილი, ბასრი, გარდაგრეხით ადჳლ გასატეხი; ჯაბალა მსგავსი ქირაფქისა ჯაჭვის თვალთა რომელთამე ფარეში მრგუალი, რომელთამე ეკლებრივი. ხუთგვარნი ესე ჯავშანნი იქმნებიან კუალად სხვადასხვარიგნი: რომელნიმე თვალგრძელნი, რომელნიმე თვალფართო, კუალად ფარეშით ანუ ჯვარედად. არამედ სიკეთე და სისრულე მათი არს, რათა იყოს გრძელი და ფართო, ჯაჭვის თვალნი (ე. ი. გრგოლნი) რაზმად დაწყობილ. ფარეში შვენიერ და ძნელად გასატეხი, ნოტიობაში გვიან დასველდეს, თვალნი არ აკლდეს, კალთიდამ შედევნებული უმსხო იყოს, მკერდთა და ბეჭთა უზრქელესად. ქირაფქის გრგოლი ხმალსავით იზევდეს და სამანქანისა იგრიხებოდეს, ნიკარტი ჰქონდეს გვარიანი და ღარი მოხდომილი. გარდა ამათსა კუალად პოლოტიკი არს რკინის ფიცარი მკერდთა და სხვათა სატკენთა ადგილთა მოსაკრავი ომთა შინა და ბრძოლათა; თორნი არს მრთელი რკინის პოლოტიკი ჯაჭვებით, ერთი მეორეზედ აკინძული, მთლივ ტანის ჩასაცმელი; ბეგთარი, ხელნავი და სამკლავე არიან ხელთშესაცმელნი აბჯარნი მხრებადმდე და საბარკულნი ფერხთშესაცმელნი ბარკლებადმდე; ქაშქანი არს სამხარიღლივე ჯავშანი (ხოლო თავის საბურველნი აბჯარნი იხილენ ლექსსა თანა ზუჩი).

ჯაზაირი თოფი პირფართო და გრძელი (ნახე თოფთან).

ჯაზვალი მაშტარი, ოქორა.

ჯალაბი და **ჯალაბობა** დედაწულნი, სახლეულნი (ვეფხისტ. 102, 721 და შემდგომი), семья, семейство.

ჯალათი მტარვალი, იასაული, მგვემელი შემ-ცოდეთა, палач, *τζελάτης*.

ჯალამბარი მუშა დიდთა ქვათა მაღლა ამტანი მხრებითა.

ჯალდა, ჯალადა მოსაპირებელნი ხენი დასაპე-რად ცხენის იარაღთა და მისთანათა, пяль-цы.

ჯალდანი ბარდანა, საბზევე ტომარა (ნახე ვაშ-კარანთან).

ჯალჯი (ხე) მოკაფული ეკალი კონებად შეკ-რული.

ჯამა (ოთხფ.) ხრდალი აქლემი, верблюдица.

ჯამა ნახე ჯამი.

ჯამაგირი წლითი წლად გარდაკვეთილი სარჩო, როჭიკი, жалованье.

ჯამბაზი მუშაითი, акробат, фигляр.

ჯამბარა ევანი, ერქვანთ დასაკრავი ღვედი (ნახე საბელთან).

ჯამთასი მცირე ჯამი მეტალლისა.

ჯამი პურჭელი წნოვანთა სანოვაგეთა მისართ-მევი (ვეფხისტ. 380, 477), чашка полоска-тельпая, или глубокая тарелка. სახენი ამისნი არიან: ბ ა დ ი ა, ლ ო დ ა, ლ ო დ ა-კ ი, ნ ა ლ ბ ა ქ ი, პ ი ნ ა, პ ი ნ ა კ ი, უ ს კ უ-რ ა, ფ ი ა ლ ჯ ა მ ი და სხ.

ჯამი, ჯამა ანუ **მაჯამა** ჯგუფი, ჯუმლი, ერთ-პირადი რიცხჳ, სუმმა, сумма.

ჯანდრვა (ვსჯანრი, -რავ) სამოსელთ დატკეცა მრგვალის ხეებითა, катать бѣлье.

ჯანდრის ხე მრგვალი ხეები დასაჯანდრავი.

ჯანი ძალი, ღონე, ანუ სიმრთელე (ვეფხისტ. 1105), сила, здоровье.

ჯანიანი ღონიერი, მრთელი, силач, сильный, или здоровый.

ჯანიშინი ნაიბი, მარხაპანი.

ჯანჯალი ჩაქჩაქი, ჯაგჯაგი ცხენისა. // კაცი საქმის მხლათავი, ანუ თჳთ საქმე დახლა-თული, მოუგვარებელი, проволочка, хло-поты.

[**ჯანჯაფილის** მურაბა].

ჯარა სასთველი მანქანა, самопрялка, прялли-ца. თ. ჯაჰრა.

ჯარატარი ჯაჰრით საბრუნებელი ტარი (ნახე თითისტარი), веретено у прялицы.

ჯარა, ჯაორა მკურნალი დაჭრილთა, მოტე-ხილთა, ნაღრძობთა და მისთანათა. თ. ჯარ-რაჰ.

ჯარაობა ხელოვნება ჯაორა ჰაქიმისა, хирур-гия.

ჯარბი (მძრ.) ასპიტი.

ჯარგვალი ნახე ჯირგვალი.

ჯარი მრავალკაცნი მოლაშქრენი, მხედრობა (ვეფხისტ. 440, 603), войско. // მხლებელნი დიდებულთანი (მუნვე, 474, 673).

ჯარიანობა ლაშქრობა, შეკრება ჯარისა სა-ლაშქროდ, ополчение, или поход.

ჯარიმა საზღაური, ჯურუმი, взыскание, штраф, *τζερεμές*.

[**ჯაღანი** ნ. ჯადაგო].

ჯაფა ძნელი მუშაობა, ჯაჯა, სარჯელი დასა-ღალავი.

[**ჯაშაკურა** ნ. ღვედკეცი].

ჯაშუში მსტოვარი, აეშაგი, шпион.

ჯაჭვი რკინისა და სხვათა მეტალლთაგან შექმ-ნილნი თვალნი ან გრგოლნი ერთიმეორეში გაყრილნი აბჯართა და ჯავშანთანი (ეფეს. 6, 14), броня. // შესაბორკილებელი ამგვა-რადვე შექმნილი (მარკ. 5, 3 და შემდგომი; საქმ. 12, 6, 7 და 21, 33), цепь, верига. // ცანდა, ქვაბთ საკიდარი. // ძეწკვი ანუ შიბა თვალმარგალიტით ასხმული გულზედ და მხარზედ ჩამოსავლები, რომელსა ეწო-დების მ ა ნ ი ა კ ი და ფ ა რ ღ უ ლ ი (გამოს. 28, 24 და შემდგომი), цепь, цепочка.

ჯახაჯუხი ჯახჯახი, დიდის შეხეთქების ხმა გახშირებით და ჯ ა ხ ა ნ ი ერთგზის შეხეთ-ქება.

ჯახველი (ბალ.) ძახველი.

ჯაჯა დამნაშავის კაცის ტანჯვა, пытка.

ჯგვერება ძგერება, ტაკება რისამე.

[**ჯგვლემა** რქითა, бодать, рогами, ჯგულემა (ნ. ქღულემა)].

ჯგუფი გუნდი, კრებული, ხროვა, толпа, взвод. ოთხი ჯ გ უ ფ ი წელიწდისა, ე. ი. სამ-სამი თთვე, ჯ გ უ ფ ა დ, ჯუმლად, კრებულად, დუნდგოდ, толпами.

ჯდომა (ვჰზი, ვსჯედ) საშუალ დგომისა და წოლისა, მოსვენება ფერხთა სხეულის ტარე-ბისგან (ფსალ. 49, 20 და 79, 1; ვეფხისტ. 584), сидеть. // (ვსჯდები, ვსჯდებოდი) მდგო-მარის დაჯდომა, садиться. // (ჰზის, მიზის, დამიჯდა) ღირს, მიღირს ამდენ ფასად, стоит, стало в такую то цену.

ჯებირი ლაშქართ საფარი.

ჯეკმა ნამეტნავად (ისუ. 3, 16), зело, слой (ნ. შაპი).

ჯენჯი თავის თმა საპარსი, ანუ ნაპარსი (ნახე თმასთან).

ჯენჯო ჯინჯი ქჟაბთ გარდმოსადგმელი შალი, ხელის მოსაკიდრად.

ჯერ, ჯერეთ ამ ხელად, ამ გზობას, ამ ჟამად (გამოცხ. 22, 11), еще, [ჯერ არ ვიცოდი, еще не знал, т. е. до сих пор не знал].

ჯერაკუმია შენობათა საშუალსა ეზოსა შინა კამარა შეკრული სვეტთა ზედა.

ჯერანი (ოთხფ.) ქურციკი, გარეთხა. თ. ჯეირან.

ჯერ არს სათანადო არს ანუ მართებულია (მატ. 23, 16 და შემდგომი), должен, должно.

ჯერება (ვაჯერებ) დარწმუნება, დაჯერებინება, уверять, (ვიჯერებ) დაჯერება, მინდობა, верить, (ვუჯერებ) გაგონება, დამორჩილება, слушаться.

ჯერეთ ნახე ჯერ.

ჯერი რიგი, წესი, ხვედრი, очередь, череда. // ფიცი, დარწმუნება, შეჯერება ფიცით, удостоверение.

ჯერკმა ნახე ჯეკმა.

ჯერკუალი ხენეში, ცუდი, ნარჩევი, რიოში (იერემ. 24, 2, 8; მატ. 13, 48), злой, худой, дурной, негодный.

ჯეროვანი რიგიანი, მართებული (შავთ. 57 და 95), надлежащий, приличный.

ჯერჩინება (ჯერვიჩინებ, ჯერმიჩნს) ჯეროვნად, ანუ სათნოდ მიჩნევა (2 კორ. 5, 8; ლუკ. 1, 3), благоволить, заблагорассудить.

ჯეჯილი, ჯეჯლი (ბალ.) ახლად ამოსული მწვანე მოსავალი პურისა, ქერისა და მისთანათა (მატ. 13, 26; ფსალ. 64, 10), трава, прозябение (хлебное), озимной хлеб.

ჯვარედი, ჯვარედინი ჯვარის სახე, крестообразный.

ჯვარედად, ჯვარედინად გარდიგარდმო, крест на крест, крестообразно.

ჯვარი ძელი, ზედან გარდანაჭდობი იგურდივ მეორითა ძელითა, დასამსჭვალველად სასიკუდილოთა კაცთა, ხოლო შემდგომად ქრისტეს ვნებისა მას ზედა, არს იგი თაყვანისსაცემელი ქრისტეანეთაგან (მატ. 10, 38 და 27, 32, 40), крест.

ჯვარისწერა (ჯვარს ვსწერ, დავსწერ, დავიწერ) გვრგვნის კურთხევა, ქორწინება, венчать, -ся.

ჯვარის წერა (პირს ჯვარს ვიწერ, დავიწერ) გამოსახვა მარჯვენა ხელით ჯვარისა პირზედ და გულზედ, перекреститься.

ჯვარობა მსოფლიურად დღეობა რომლისამე წმინდის სალოცავისა.

ჯვარცმა (ჯვარს ვაცვამ, ვეცემი) დამსჭვალვა, განრთხმა, მიკურა ჯვარზედ მოსაკლველად (მატ. 2?, 34 და 27, 23 და შემდგომი), распинать, -ся. // მოთმინებით დაქენჯნა ხორცთა ანუ თავისა თჳსისა სარწმუნოებისთჳს (გალატ. 5, 24 და 6, 14).

ჯვარცმა ხატი მაცხოვრისა ჯვარსა ზედა დამსჭვალვით გამოწერილი, распятие.

ჯვარცმული ტანჯული ჯვარსა ზედა დამსჭვალვითა და სიკუდილითა (1 კორ. 2, 2), распятый.

ჯვრიტინა ჭურიტინა, მცირე სასინათლო.

ჯიბე ტანისამოსთ კალთასა ზედა მიკერებული შთასადებელი, карман, τσέπη.

ჯიგანა მცირე პური ულუფისა.

[ჯიგრის ფერი]

ჯიდაო ცხენის კისრის დასასრული.

ჯილა დიდი ვეგი, [битка].

ჯილაგი გუარი, მოდგმა, порода.

ჯილავი ალვირის გრგოლი.

ჯილავდარი ჯილავის დამჭერი ცხენით მიმავალთა დიდებულთა.

ჯილდო გამარჯვებულის მეომრის სანიჭარი, награда.

ჯილეხი ძროხის მომსრველი სენი.

ჯილღა უფრთო ერქუანი.

ჯილღაო (ოთხფ.) შავმოწითლო მელი, ანუ ბეწვეული მისი.

ჯიმბუკი დიდი ლურსმანი, гвоздь.

ჯიმჯიმა წინწილი (ნახე საკრავთან).

ჯინი გოდორ-მარხილი, რომელია მარხილზედ შედგმული გოდორი, გასატანად ნაგჳსა, მიწის სასუქთა და მისთანათა, тур.

ჯინი ვიეთნიმე ხმარობენ ნაცულად ჟ ი ნ ი.

ჯინიბი (ოთხფ.) მარქაფა, იედაგი, მეტი ცხენი შეკმაზული.

ჯინჭარი (ბალ.) ჭინჭარი, თაბასარანი, крапива.

ჯინჭველი (მძრ.) ჭიანჭველა (იგავ. 6, 6), муравий, муравей.

ჯინჭველლომი (ოთხფ.) მსვენლომი (იობ. 40, 11), мравовлев.

ჯინჭრის დედა (ბალ.) волшебная крапива.

ჯინხვა (მფრ.) ლაღო, аулан.

ჯინჯიბალი ორნი ლატანნი გარდაბმულნი ძელის ასამართავად.

ჯინჯითი ჯენჯო, შალის ნაგლეჯი.

ჯინჯილი თბილისა და ცივის საშუალი.

ჯირგვალი ჯარგვალი, ძელნი მოქდობით შეკრულნი, სამკუთხედ, ოთხკუთხედ და უმეტესად ატანილნი. ზოგნი უხმობენ გ ჳ რ გ ჳ ნ ა დ ანუ კ ი დ ო ბ ნ ა დ, подпора (ნ. წამწე).

ჯირგინი სუნდური, მიწის ქვეშ გათხრილი წყალთ გასადინარი, водопроводная труба под землею.

ჯირი ჟირი, ბჟირი, ორპირად მოქნილი ტყავი ირმისა და მისთანათა, [ирха].

ჯირიში ცხენის მოსართავის ამოსაზიდი თასმა.

ჯირკველი კორძი კისერსა ანუ იღლიათა შინა (და არა ჯერკვალი).

ჯირკი, ჯირკვი მოჭრილთ ხეთ ფესვის კუნძი დანარჩენი მიწასა შინა, пень.

ჯიროლა პატარა ბეღელი.

ჯირჯვი დაჯირჯვება, დასივება, დაშუპება, ძლიერი ამოჯდომა სატკივრისა, опухоль.

ჯიტა, ჯიტი უსუართ ალერსის ლექსი, რათა შეხედოს მან მოალერსეს.

ჯიქი კერპი, ურჩი, გაუგონარი, დაუჯერებელი, უარშიო, болван, упрям, грубиян.

ჯიქი (ოთხფ.) ბაბრი, ვეფხსა ჰგავს და უდიდესია, леопард.

ჯიქი, ჯიქეთი თემია აფხაზეთის მოსამძღურე.

ჯიქურა (ბალ.) ინდოური ფეტვი.

ჯიღა ხოირი, მარგალიტით მოოქვილი ფრთა დასარჭობი თაჯზედა და სხვათა თავსახურავთა ზედა.

ჯიღა მშვილდი ტევრთა შინა მომართული მშვილდისარი, რომელსაც გამვლელი ნადირი შესძრავს და იგი დასხტება და თავს დაეცემა (ნახე მახესთან).

ჯიღოსანი, ჯიღიანი თავზედ ჯიღა რჭმული.

ჯიღური ქორთ საკისრე.

ჯიღჯიღა ქანდის უზრქესი ფურცელი სპილენძისა, თითბრისა და მისთანათა.

ჯიშქილა (ბალ.) ღანძილი, черемуха.

ჯიხვი (ოთხფ.) გარეთხა, тур, каменный баран. მამალს ეწოდება ხ ა რ ი და ვ ა ც ი რ ე მ ი, რქათ სიდიდისათჳს, დედალს — შ ჯ ა ნ ი, წალსა მათსა—დ უ რ ა დ ი.

ჯიხვის ყანწი ქარახსა.

ჯიხური ხის კოშკი.

ჯიჯინი (ვჯიჯინებ) უგვაროდ ლაპარაკი ცხვირში.

ჯიჯლიბა ინჯლიკი.

ჯმნა (ვიჯმნი) გაცლა, გაშვება, დათხოვნა, ხელის აღება (ლუკ. 14, 18 და შემდგომი), отрицаться, отрекаться. отказаться.

ჯმნული დათხოვნილი, გაშვებული (მუნვე), отреченный, отказавшийся.

ჯმუხი მოდაბლო და მკტრივად ჩასხმული კაცი.

ჯობინება (ვამჯობინებ, მემჯობინება) უკეთესად მიჩნევა, გამორჩევა, предпочитать, заблагорассудить.

ჯობნა (ვაჯობებ) მორევნა ანუ გასწრობა. успевать более пред другим. // მოგება სანაძლეოსი ან სათამაშოსი, выигрывать заклад или игру. (ვსჯობვარ, სჯობს) უკეთესია, მეტია სიკეთით (ვეფხისტ. 80, 199 და შემდგომი, 789).

ჯოგი ხროვა ნადირთა, ანუ ხვასტაგთა საძოვარზედ (ვეფხისტ. 55, 76, 441, 1365), табун, стадо. ზროხათასა ეწოდების მ რ ო წ ლ ე, მსოფლიურად — ნ ა ხ ი რ ი, ცხოვართა და თხათასა – ა რ ვ ე, აქლემთა და ღორთასა— კ ო ლ ტ ი, მხეცთასა—ხ რ ო, სხუათა ნადირთა და თევზთასა—ფ ა რ ა, მფრინველთასა—გ უ ნ დ ი, ხრდალთა ვირთასა—რ ე მ ა, არამედ ჯ ო გ ი უფრო საკუთრად ითქმის ცხენთათჳს, конский завод.

ჯოლბორდი ისართ მთლელი, [делатель стрел].

[**ჯოლლო** ნ. ლოხორა].

ჯომარდი ქველი.

ჯონჯოლი (ხე).

ჯორი (ოთხფ.) კერძოვირი (ცხენთან ნახე) (ფსალ. 31, 9; ვეფხისტ. 1009 და შემდგომი), меск, лошак.

ჯორი ზიკიპინტრი, საკრავის ძალთ ხიდი.

ჯორიხტერფა (ბალ.).

ჯორჯი მოდიდო და ფსუქთაო.

ჯორჯი გურჯი, გეორგიანი, ქართველი.

ჯოხი ხელსაპყრად გათლილი ხე, ლერწამი და მისთანანი, палица, палка, палочка. სახენი ამისნი არიან: ფ ა ე ნ ი ანუ ს კ ი პ ტ რ ა ჯოხი სამეფო და თ ო ფ უ ზ ი სპარსეთის მეფეთა; ა რ გ ა ნ ი მომსხო საბრჯენი კაცთა, მოხუცთა და უძლურთა, გინა სამღუდელოთა საპყრი ხარისხისაებრ მათისა; კ ვ ე რ თ ხ ი უწვრილესი მისი, ამგვარადვე სახმარი და ზოგჯერ საგვემელი შემცოდეთა; ს ა ხ რ ე კჳალად უწვრილესი, მოქნილი და მდრეკი, გასარეკად ხვასტაგთა და ოდესმე კაცთაცა საგვემლად სახმარი; წ კ ე პ ლ ა სრულიად წვრილი ხელსაპყრი სათამაშოდ, ან საგვემელი ბავშვთა: ყ ა ვ ა რ ჯ ე ნ ი თავჯვარედინი ან მოკავებული, დასაბრჯენი იღლიათა ქვეშე დაშავე-

ბულთა კაცთათჳს; კომბალი თავმსხვილი და მოდრეკილი მანდატურთა და ბაზიერთ საპერი; გოგუთი ამგუარივე თავმრგუალი; ტორი, ქაჩაბური და ჩომახტური მეცხვარეთ ჯოხი დიდი და გრძელი მხეცთა შესატევად; კეტი ტორის მსგავსი ასაწევად რისამე და ახარმაცი უმსხოსი მისი; ტაფელა რიკთა ან ჩილიკთა სამღერელი ჯოხი და სხარტული სანადირო წურილთა მფრინველთა და საკუთრად მწყერთა.

ჯოჯო (მძრ.) **ящерица**, მწვანე ჯოჯო, **жаба, зеленая ящерица.**

ჯოჯოხეთი ადგილი საიქიოსა შინა საუკუნოდ სატანჯველი ცოდვილთა სულთა საქმეთაებრ მათთა (ლუკ. 16, 23), **ад.**//ზოგგან ჰნიშნავს საფლავსა (დაბად. 42, 36; ფსალ. 6, 5). // უფსკრული ან ქვესკნელი (მატ. 11, 23). // მითოლოღიურად ადგილი, სადაცა წარმართნი ჰგონებდენ სამყოფსა მკუდართა სულთასა. // გაუსაძლისი ადგილი ან სახლი შფოთიანი.

[ჯოჯოხეთური]

ჯრა (ვსჯრი) გახირვა, ან დასხმა ჯგუფად, გაჯრა, მიჯრა (ვეფხისტ. 219, 474).

ჯუბა კაბაზედ ჩასაცმელი ზეიდამ გრძელი, მსხვილის სამოსლისა (მუნვე, 508, 1052).

ჯუბაჩა მოკლე ჯუბა, საცმელი ზღვათა შინა მოარულთა (მუნვე, 508, 1052).

ჯუზდანი ამიანური, პირსახლათი ქისა ბადედ ნაქსოვი (ნახე ვაშკარანთან).

ჯუმალი, ჯუმლა ჯამა, ჯგუფი, ერთპირადი რიცხჳ, **сумма.**

ჯუმლად ჯგუფად, გუნდად.

ჯუნდრუკი (ჯუნდრუკობს) ხლტომით სიარული (ნახე თამაშობასთან).

ჯურუმი ჯარიმა, დანაშაულის საზღაური, **штраф.**

ჯურღმული პა, წყალთ სავსებელი (ნახე მთხრებელი) (დაბად. 16, 14; ფსალ. 68, 15; იოან. 4, 11 და შემდგომი), **студенец, колодец.**

ჯუფთი გაჯუფთება (ჩახრუხა. 48), **запуски.**

ჯუფთი ორაგულის დოში გამხმარი შაშხად.

ჯუჯა პითიკი, ჰასაკმცირე კაცი, **карлик,** *τζουτζές.*

ჯუჯუ ქათამჳ ხადილის ხმა, ვითა წიწილთა ძიბ-ძიბ.

ჯუჯული (მფრ.) კნინობითი სახელი ქათამთა.

ჯუჯუმკალი (მწერ.).

ჯღაბარდი ხლათი (ნახე გაჯღაბარდული).

ჯღაბვა (ვსჯღაბავ) ჩხაბა, ცუდი წერა, ქაღალდის გათხაპვა.

ჯღანი გაცვეთილი ფეხსაცმელი.

ჯღარდალა (ხე) **волчие ягоды, крушина.**

ჯღიბა (მწერ.) ტკიპის მსგავსი მწერი, **овод.**

ჯღრე, ნჯღრე დამტურეული ხანდუკი, კიდობანი და მისთანანი.

ჯღრევა ნახე ნჯღრევა.

ჯღუნი, ჯღუნა ცხვირში მოლაპარაკე.

ჰ

ასო ჰ იხმარების ზოგჯერ სათვალავეთა შინა ნაცულად Ⴠ, ანუ ⴠ (იხილე შესავალსა შინა). ესევე ჰ იხმარების ზმნათა შინა, რომელთაცა პირველსა პირსა შემდგომად ვ აქუს რომელიმე ხმოვანი ასო. მაგალ., ვჰსჯი, ჰსჯი; ვჰსწავლობ, ჰსწავლობ; ვჰსწერ, ჰსწერ; ვჰგალობ, ჰგალობ; ვჰქადაგებ, ჰქადაგებ; ვჰკვეთ, ჰკვეთ და სხ. გარნა სახელზმნათა და მიმღეობათა მათთა არლა საპიროდ აქუსთ ჰ, ვითარ სჯა, სჯული, სწავლა, სწავლული, წერა, გალობა, ქადაგება, კვეთა და არა ჰსჯა, ჰსჯული, ჰსწავლა, ჰსწავლული, ჰწერა, ჰგალობა, ჰქადაგება, ჰკვეთა და სხვანი. და ამისთჳს სახელზმნანი და მიმღეობანი ასოსა ამას შინა სრულიად არა შემოტანილ არიან, რამეთუ ჰკვეთა არა არს სახელზმნა, არამედ მესამე პირი განვლილისა სრულისა დროჲსა. ეგრეთვე ჰსწავლა არს მესამე პირივე სრულის დროჲსა ზმნისაგან ვჰსწავლი.

ფრიად უკანონო არს ასოჲსა ამის დამატება თავად უცხოსა ენისა ლექსთა მათ, რომელნიცა თჳსსა ენასა ზედა არა იწერებიან ასოჲთა ჰ. მაგალ.: რომი, რომაული, ურია, ურიასტანი. მიბაძვითა სომხურის ენისათა სწერენ: ჰრომი, ჰრომაული, ჰურია, ჰურიასტანი და სხვანი. რამეთუ თჳთ ლათინურსა ენასაცა აქუს ასო ჰ, რომელია H, h, გარნა არა დაიწერების Hroma, Hromanus, Huria, არამედ Roma, Romanus, Uria და სხვანი. გარდა ამისა მრავალთა შინა ლექსთა, თჳთ სომხუ-

რისგან მიღებულთა ქართულად, დაიტოვების ასო ჰ. მაგალ,: ჰ ა ლ ა ვ ი — ალავი, ჰ ა მ ბ ა ვ ი — ამბავი, ჰ ა მ ქ ა რ ი — ა მ ქ ა რ ი, ჰ ა ს ა კ ი — ასაკი, ჰ ა ს ნ ა ფ ი — ასნაფი, ჰ ა ზ რ ი — აზრი და სხ. და თჳთ ქართულთაცა ზმნათა შინა, ვინათგან უჩინრად და მსუბუქად იხმარების ჰ. მაგალ.: ვ ჰ ს წ ე რ, ჰ ს წ ე რ შესაძლო არს თქმა ვ ს წ ე რ, ს წ ე რ და სხ. ესევითარნი ლექსნი, ქართულსა ენასა შინა მიღებულნი, უფრორე დაიწერებიან ბერძულისაებრ, ვითარ *Ἑλένη* ელენა; *Ἱστορία* ისტორია. არა ვსწერთ ლათინურისაებრ Helena ჰელენა, Historia ჰისტორია. ხოლო სხვათა ლექსთა უკეთუ ვისმე ენებოს დაწერა ლათინურისაებრ, არცა იგი არს უშესაბამო, რამეთუ ქართულსა ენასა საკმაოდ ჰქონან ასონი ორთავე მათ ენათა შემსგავსებულნი. მაგალ., უკეთუ ვინმე დასწეროს ბერძულისაებრ ლექსნი: *Ὅμηρος* ომიროს, უმიროს, *Ἁρμονία* არმონია, *Ἁρπία* არპია, *Ὁρίζων* ორიზონი. გინა ლათინურისაებრ Homerus ჰომეროს, harmonia ჰარმონია, harpia ჰარპია, horizon, -tis ჰორიზონტი. ორგვარადვე მოეზავებიან, გარნა სხვათა ენათა მიბაძვითა დაწერა: ღ ო მ ე რ ანუ გ ო მ ე რ, ღ ა რ მ ო ნ ი ა ან გ ა რ მ ო ნ ი ა, ღ ა რ პ ი ა ან გ ა რ პ ი ა, ღ ო რ ი ზ ო ნ ტ ი ან გ ო რ ი ზ ო ნ ტ ი. ესე უშესაბამო არს, რამეთუ არცა ბერძულსა, არცა ლათინურსა ენასა ზედა ესრეთ არა იწერებიან.

ჰა! ხმის გაცემა კითხვის მაგიერ, а! ась!

ჰაბა შალის წამოსასხამი თურქთაგან ხმარებული, абас, габа, *Ἀμπᾶς*.

ჰაერი ერთი ოთხთა კავშირთაგანი, წულილი, ნოტიო, მხურვალი, ცეცხლისა უმძიმესი, მიწისა და წყლის უმსუბუქესი, უფერული და ორსახე ან ორსაჩინო, რამეთუ ნათლისა და ბნელისა შემწყნარებელ არს, სამთა საგრძნობელთა ჩუენთა მსახური, რამეთუ მის მიერ ვხედავთ, გვესმის და ვიყნოსთ. ამისგამო ხმაურობისა და ალმოფშჳნვის მიზეზი არს (ნახე სტიხიოსთან) (1 თესალ. 4, 17; ვეფხისტ. 1294), воздух, *ἀήρ*, *ἀέρος*, aër.

ჰაერის მცველნი ბოროტნი სულნი ჰაერისანი, რომელთაც მდაბიონი უხმობენ ა ლ ა დ და პ ი მ კ ა დ.

ჰაეროვანი კეთილსახოვნობით მოხდომილი (ნახე ლამაზთან) (ვეფხისტ. 999; შაეთ. 4), прекрасный, *ὡραῖος*.

ჰაეროვნება კეთილსახოვნება, მშვენიერება (ფსალ. 49, 2 და 95, 6), красота, *ὡραιότης*.

ჰაერომეტრია ჰაერის მზომელობა, სწავლა ესე არს ნაწილი მათემატიკისა, *ἀερομετρία*.

[ჰავა ჰაერია].

ჰავი ნახე ავი.

ჰაზარპეტი სომხურად: ათასისთავი.

ჰაზარფეშა სომხურად ათასად სახმარი. ესე არს ვეცხლის ფიალი გრძელტარიანი, სახმარი სასმისად ანუ ჩამჩად და სხ.

ჰაზრი შინაგანი ძალი სრულებითი პსიხისა (კატილ. ანტ., § 276 და შემდგომი), мысль (ვეფხისტ. 520). // კუალად ჰაზრი არს განი (მუნვე, § 23), мысль, намерение, цель. // ფიქრი, გულის ზრახვა, размышление.

ჰაზრება (ვიჰაზრებ) გონებადმოღება, გულის ხმას მოსლევა (ვეფხისტ. 284), помыслить, придумать.

ჰაი, ჰაი განკჳრვების ხმა (მუნვე, 13, 349, 519).

ჰალავი სომხურად ძღვენი საქმროსგან გასაგზავნი დანიშნულთან.

ჰამბავი ამბავი, მოთხრობა ნაქმართა, გარდასავალთა ანუ შემთხვეულებისა რისამე (მატ. 4, 24 და 14, 1, კუალად 24, 6; საქმ. 21, 31; ფსალ. 111, 7), весть, известие, молва, слух. // ზოგჯერ ჰნიშნავს მოთხრობასა მარტივად და არა გალექსით (ვეფხისტ. 7, 16), прова.

ჰამბარი სუნნელი ინდოეთს პოვებული, амбра, эмбра, *ἄμβρα*.

ჰამქარი ნახე ამქარი.

ჰანგაარი ნახე ანგარი, ანგაჰარი.

ჰანი დედ-მამათ მშობელნი, предки, прадед или прабабка.

ჰალალალო, ჰარალო და **ჰოროველო**, ოროველო მსოფლიოთ სიმღერის ჩასართავი, გარდაქმნილი საეკლესიოს გალობისგან ა ლ ლ ი ლ უ ი ა, ვითა რუსულად аллюли, люли.

ჰალალი ალალი, თათრულად შენდობილი, სჯულიერი.

ჰარამი შეუნდობელი, არა სჯულიერი, აღკრძალული, დაშლილი ან მავნებელი.

ჰარემი სასახლე, სრა, дворец, гарем.

ჰარისა გიშრაფეთი.

ჰარჯალი ბედისწერა.

ჰასაკი ასაკი, ტანი, სიდიდე ტანისა (მატ. 6, 27; ლუკ. 12, 25 და 19, 3), возраст, рост. // საზომი კაცთა ცხოვრების ჟამისა, რომელიცა განიყოფების ხუთად: სიჩჩოებად, სიყრმედ, სიჭაბუკედ, სიმამაკაცედ და მოხუ-

ცებულებად (ნახე კაკი; იოან 9, 21), воз-
раст, совершеннолетие.

[ჰასაკოვანი]

ჰახნაფი ხელოსანთ საზოგადოობა, განსაკუთრებულად სხუათაგან, цех.

[ჰაფიზი]

ჰაჯი თურქთა ენითა მომლოცველი წმინდათა ადგილთა, ханжа, пилигрим, поклонник, χατζής.

ჰგავს ემსგავსება (ვეფხისტ. 11), походит.

ჰგამა ნახე მგამა.

ჰე დამტკიცებითი ზმნისზედა: ჰო, დიაღ, ეგრეთ, ნამდვილ, უსაცილოდ (იოან. 21, 15 და შემდგომი; საქმ. 5, 8). ей.

ჰე-ჰე იგივე განმეორებით (მატ. 5, 37 და 21, 16; იაკობ. 5, 12; შავთ. 50), ей, ей.

ჰელა ბერა, რომელსაც მოასპარეზენი და მეფენდროუკენი ორთა მხარეთაგან დანიშნვენ სასვენებელ სადგურად.

ჰიეროგლიფი ნახე იეროგლიფი.

ჰილალი ილალი, ტანტრაბეჩი, уховертка, χιλάλι.

ჰილი (ხე) ილი, კაკულა.

ჰინა, ინა (ბალ.) ბალახი ესე იხმარების წითლის საღებავად თმათა და სხ.

ჰო დიაღ, ჰე.

ჰორელი ან **ჰორლი** დიდებულთ მოაბა კამაროსან-საბურველიანი (ნახე ტახტრევანდი).

ჰოროველო მსოფლიოთ სიმღერის ხმა მუშაობის ჟამს გუთანზედ ან ურემზედ და სხვათ (ნახე ჰალალო).

ჰოროლი ანკანაკი, ორპირი და ბუნგრძელ (ნახე ლახვარი) (1 მეფ. 26, 11; ისუ. 8, 18 ეზეკ. 39, 9), копьо.

ჰორომი ფიცარი ცომის გუნდათ დასაწყობ გამოცხობადმდე.

ჰრული ნახე რული.

ჰხჩანს დაინახვების (იხილე ჩენა), видно, кажется.

ჰხჯობს უკეთესია (ნახე ჯობნა) (ფსალ. 36, 16) лучше.

ჰუმი ნახე უმი.

ჰუნე, ონე (ოთხფ.) ბედაური ცხენი გუარიან და ნაწვართი (ნახე ცხენთან) (ფსალ. 19, და 75, 6), конь.

ჰუპა ამ ლექსით უხმობენ ჩჩვლთა ხელით აზიდვასა.

ჰხამს ჯერ არს, შვენის, ხოლო პიროვნა მიხმს, გიხმს, უხმს (მატ. 3, 14 დ 6, 8, კუალად 9, 12; მარკ. 11, 3), надобно // სათანადო არს (ვეფხისტ. 10, 25), должествует, должно быть.

ჵ

ასო ესე იხმარების მხოლოდ შორისდებულთათჳს. ჵ! და ჵმე! და შემოტანილ არს მიმსგავსებითა ბერძულის უკანასკნელის ასოსათა ω, ვითა წერილ არს აპოკალიპსსა შინა 1, 8: „მე ვარ ანი და ჵე." ბერძულად ალფა და ომეღა, *Α καὶ τὸ Ω*. ამა ომეღას სახედ შემოღებულ არს ქართულად ქარაგმა საუფლოთა ლექსთა ზედა, ვითარ ღ҃თი, უ҃ი და სხ.

ჵ! შორისდებული, ნიშანი წოდებითის ბრუნვისა (ფსალ. 114, 4 და 115, 7), ჵ!. უ҃ო о Господи!

ჵ და **ჵმე!** იხმარების განკჳრვებისა ანუ შიში ზარის დამნიშნველად, ვითა ვაგლახ (ისაი 6, 5), ჵ! უბადრუკსა. о! окаянный, увы *ὤιμέ*.

შ ე ი ს წ ა ვ ე. ზოგჯერ ჵ! და ჵმე! სტიხთ შინა იქმნების ი მოკლედ, ვითა თქმულ არ ასოსათჳს ჲ. უმჯობეს საგულისხმებელა შესაძლო არს დაწერა ჰ ო ჲ, ჰოჲმე!

ჳ

ასო ესე ქართულთა ლექსთა შინა თავად არა ოდესმე იხმარების, არამედ მხოლოდ ბერძულისაგან მიღებულთა ლექსთა შინა, რომელნიცა დაიწყებიან ასოჲთა *ὑ*, ანუ ლათინურითა y, იპსილიონ.

ჳაკინთი, იაკინთი შავი თუალი ლურჯის უმქრქალესი (ისაი. 3, 23), синета, *ὑάκινθος*, Hyacinthus.

ჳდრა ჰიდრა (მძრ.) წყლის გველი ანუ ვეშაპ (ლექსისაგან *ὕδωρ*, წყალი), гидра, *ὕδρα* hydra, hydrus.

ჳდრავლიკა სწავლა მათემატიკური წყალთ მოძრავობისათჳს და ტარებისა მაშინებითა, гидравлика, *ὑδραυλική*, hydraulica.

ჳდროღრაფია იდროღრაფია, წყალთ აღწერა, водоописание, *ὑδρογραφία*, hydrographia.

ჳმნოსი ჰიმნი, სიმღერა, გალობა, სამღერელი შაირები, гимн, песнь, *ὕμνος*, hymen.

ჳპატოსი სპასპეტი, მთავარი (დან. 3, 3), ипат, консул, *ὕπατος*, ხოლო ანთჳპატი მოადგილე მისი, ანუ ნაიბი, проконсул.

ჳპერბოლა ხოტბა, ნაკვეთი, რიტორული, გარდამეტებულისა ქების დამნიშნველი, მაგალ., ქვეყანა, მადინებელი სძისა და თაფლისა, гипербола, *ὑπερβολή*, hyperbola.

ჳპოდიაკონი დიაკონის შემდეგი, კერძო დიაკონი, поддиакон, *ὑποδιάκονος*.

ჳპოდიასტოლი მართლწერის ნიშანი, რომელია მძიმე, запятая, *ὑποδιαστολή*.

ჳპოთეტიკა სათუო, თუობითი, предположительный, условный, *ὑποθετικός*.

ჳპომნიმატოსი სიმიათა მწერალი.

ჳპოსტასი გუამი, პირი, განუკვეთელი. ипостас, лицо, *ὑπόστασις*, hypostasis.

ჳპოხონდრია სევდიანობა, დაფიქრებულება, სენი მელანხოლიისა, რომელთამე ბალღამთაგან (ნახე ბალღამი), ипохондрия. hypochondria.

ჳპპოდრომი ნახე იპპოდრომი, hippodromus.

ჳპოკენტავრი ნახე იპოკენტავრო, რომელია ცხენკაცი, hippocentaurus.

ჳსსოპი (ბალ.) ნახე უსუპი. hyssopus.

ჳსტერიკა სენი დედათა, რომელსაც უხმობენ საშეილოსნოს ქარად, hysterica, ანუ არს მდედრთათჳს იგივე, რაიცა ჳპოხონდრია მამრთათჳს.

ჳფი საწონი, საწყაო სამთა მოდთა შთამტევნელი (ეზეკ. 45, 11), ефи, ephi.

ჷ

ასო ესე ჷ სრულიად უხმარ არს ქართულსა შინა საუბარსა და ნამეტნავად შემოუტანიათ წერილსაცა შინა, ვითა ითქვა შესავალსა ამის წიგნისასა.

ჶ

ასოსა ამისთჳს სწერს საბა: „ესე ჶ ქართულს ენაში ეგეოდენ სახმარი არ არის, მაგრამ სხვათა ენათა ლექსთა შინა სახმარია. თუმცა ძველს წიგნებში ეხმარათ, მაგრამ შემდგომთა მწერალთა უგულებელს ექმნათ და მისს ადგილს ფ ეწერათ და მე ისევ ახლად დავსწერეო".

ჶაბრიკა ხელთსაქმართ სამუშაეო ადგილი, ქარხანა ანუ მადანი, фабрика, *φάμπρικα*.

ჶაეტონი მსუბუქი ეტლი ახდილი, ოთხთულიანი, გინა ორთულიანი, фаетон.

ჶავორიტი მიჩნეული, შინაყმა დიდებულისა ვისმე, фаворит, наперсник. თ. ჩირაღ [სპ.].

ჶაკტორი მოსაქმე, ნოქარი ვაჭართა. фактор, агент, приказчик.

ჶალდა კაბის. კალთების ნაოჭი წელში.

ჶალში თაღლითი, რიოში, ყალბი, фальшь, фальшивый.

ჶამილია სახლი, სახლობა, დედაწულნი, фамилия. // გუარი, გუაროვნობა, ნათესავობა.

ჶანატიკოსი ცუდმორწმუნეობით გაშმაგებული, фанатик.

ჶანარი, ჶანოსი ნახე ფანარი, ფანოსი.

ჶანტაზია ძალი წარმოდგენად მუნ არა მყოფთა ნივთთა, ვითა მუნ მყოფთა და პირველთა გრძნობათა განახლებად (მეტაფ. ბაუმ., § 188), умовоображение. *φαντασία*.

ჶანტაზმა ნივთნი მხოლოდ გრძნობისაგან წარმოებულნი (მუნვე), привидение. призрак, мечта, *φάντασμα*, phantasma.

ჶანჶარონი ტრაბახი, მკვეხარა, თავმოწონი, კოხტა, фанфарон.

ჶარისეველი გარდაღებულად ჰნიშნავს კაცსა ორპირსა და მჩვენებლობით მოქმედსა რისამე, фарисей. лицемер, *φαρισαῖος*.

[ჶარისევლობა лицемерие].

ჶარჶორი ნახე ფაიფური, фарфор.

ჶასადი გარეგანი შესახედავი შენობისა, фасад.

ჶასონი ანდაზა შესაკერავთა ტანისამოსთა, გასაკეთებთა ქურქელთა და მისთანათა, фасон.

ჶატალიზმი სწავლა მათი, რომელნიცა ყოველსავე მიაჩემებენ ბედსა, ბედისწერასა და ჰარჯალასა, фатализм.

ჶებერვალი, ჶელონი ნახე ფებერვალი, ფილონი.

ჶეიერვერკი შუშხუნები და ცეცხლის სათამაშონი შესაქცევად.

ჶელდიეგირი ნემეცურად ეწოდება მონადირეს, ხოლო ესენი არიან კურიერებად, **фельдъегерь**.

ჶელდმარშალი ამირსპასალარი, ამირბარი, **фельдмаршал**.

ჶელდჶებელი როტის მწერალი უფროსთა სერჟანტთაგანი, **фельдфебель**.

ჶელდციხმეისტერი სრულიად არტილლერიის უფროსი, თოფჩიბაში, **фельдцихмейстер**.

ჶელდშერი დალაქი, მიჩენილი სასნეულოთა შინა, **фельдшер**.

ჶენიქსი (მფრ.) ვარზეი (ნახე ფინიქსი). **феникс**.

ჶენომენი უჩვეველი რამე გამოჩინება ბუნებასა შინა, ანუ ატმოსფერასა, ვითარ კუდიანნი ვარსკულავნი, ბაკნი მზისა და მთოვარისანი, ჩრდილოური ბრწყინვალება და ეგევითარნი, **феномен, знамение на небеси, явление воздушное или редкое в природе**.

ჶერზი ლაზიერი კადრაკის სათამაშოს კაცებში, **ферзь**.

ჶეტიში მკვიდრნი გვინეას კუნძულისანი ესრეთ უპმობენ თჳსთა ღმერთკაცთა, **фетиш**.

ჶეხმეისტერი მასწავლებელი ხმლის ხმარებისა, **фехтмейстер**.

ჶიალი ნახე ფიალი.

ჶიგურა ნაკვეთი, **фигура**.

ჶიზიკა, ჶისიკა ნაწილი ფილოსოფიისა, რომელია სწავლა საზოგადოდ ბუნებისათჳს და ნივთთათჳს მკოფთა ბუნებასა შინა (ლოღ. ბაუმ., § 17), **физика**, *φυσική*, **physica**.

ჶიზიკური შესახვედრი ფისიკისადმი, **физический**.

ჶიზიონომია პირის სახე, **физиогномия**, *φυσιογνωμία*, **physiognomia**. // მისნობა კაცთა ბედისა და სხვათა პირის სახის ნაკვეთებითა, **лицегадание**.

ჶილანტროპი ე. ი. კაცთმოყვარე, ვინკა გულკეთილობითა თჳსითა განმზადებულ არს კეთილის ქმნად კაცთადმი, რაოდენ ძალუძს, არა ეძიებელი მის მიერ თჳსისა შესამატისა, გინა საჭელის მოგებისა, **филантроп**.

ჶილოლოღოსი მოყვარე ენების სწავლისა და შეგებისა მათისა, **литератор**, *φιλόλογος*, **philologus**.

ჶილოსოფია ცნობა ნივთთა და მიზეზთა მათთა, რომელნი არიან, ანუ იქმნებიან (ლოღიკა ბაუმ., § 9), **философия, любомудрие**, *φιλοσοφία*.

ჶილოსოფოსი სიბრძნის მოყვარე, მცოდნე ფილოსოფიისა (ვეფხისტ. 827), **философ**, *φιλόσοφος*.

ჶინანსი სახელმწიფო ხაზინა, სალარო, **финансы**.

ჶინიკი ნახე ფინიკი.

ჶინიქტი ნახე ფინიქტი.

ჶისიკა ნახე ჶიზიკა.

ჶიხკალი მეთვალე, დამხვერავი.

ჶლაგი ხომალდის იალკანი, ნიშანი საცნობად თუ სადაურია ან ვის ეკუთნვის, **флаг**.

ჶლანგი გვერდი ანუ მხარე მხედრობისა, **фланг**.

ჶლანელი თივთიკის შალი.

ჶლეგმა ფელგამი (ნახე ბალღამი).

ჶლიგელი გვერდი, მხარე, ფრთე. // სახლის გვერდზედ მიშენებული მცირე სადგომი, **флигель**. // საკრავი ფორტეპიანის გუარი.

ჶლიგელადუტანტი ხელმწიფის მხლებელი ადუტანტი შტაბ. ანუ ობეროფიცერთაგანი, **флигельадютант**.

ჶლიგელმანი რაზმში თავს მდგომი სალდათი, რომელიც უფროსისგან ხმის მიცემით გამოვალს და დასდგების მოშორებით საჩინოს აუგილს და მისის თოფის ხმარებასაებრ სრულიადი რაზმი იქმს სამხედროს არტიკულს, **флигельман**.

ჶლორინი ოქროს ფული (ნახე ფლური), **флорин**.

ჶლოტი ხომალდების კრებული (ნახე სტოლა), **флот**.

ჶლოტილია მცირე ჶლოტი, **флотилия**.

ჶლუგერი იალკანი ამართული რამე ზედა ქარის საცნობად თუ საიდამ ჰბერავს, **флюгер**.

ჶოკუსი ცეცხლის მოსაკიდების ჰიქისგან ერთად შეკრებულნი სხივნი მზისანი, რომელსა ქვეშე დადებული ნივთი აღეგზნების, **фокус**. // მდაბიონი უხმობენ თვალთმაქცობის ხელოვნებასა.

ჶოკუსნიკი თვალთმაქცობის ხელოვანი, **фокусник**.

ჶონტანელა ნახე დუგუნი.

ჶონტანი სარაკა, შადრევანი, **фонтан**.

ჶორმა ანდაზა, დარიჯაგი (ნახე მორფი), **форма**.

ჶორრეიტერი ეტლთა შინა შებმულთა წინა ცხენთა ზედა მჯდომი და მატარებელი მათი, **форрейтер**.

ფორტეპიანო სტოლის გუარად შემზადებული საკრავი თითებითა ორმოცდაათ ძალიანი და უმეტესი, фортепиано.

ფორტიფიკაცია ნაწილი მათემატიკისა, რომელია სწავლა აგებისა სამხედროთა სიმაგრეთასა და სხვათა, фортификация.

ფორტკა, ფორტოჩკა სარკმელთ ერთის თვლის კარი გასაღები, фортка, [фор]точка.

ფორშტატი, ფურშტატი გარეთუბანი რომლისამე ქალაქისა, форштат, продместие города.

ფოსფორი ნივთი მანათი, რომელიც ანათებს მეტადრე ღამით, фосфор.

ფრასი, ფრაზი ალნაქუსი, შტილი, გუარი საუბრისა: მაღალი, მდაბიური, ღრმა და სხვანი (ნახე რთული ლექსი მეტაფრასი), фраз, штиль, слог, выражение речи, *φράσις*, phrasis.

ფრაკი მოკლე კაბა ტანთსაცმელი კაცთა, фрак.

ფრანკი ფრანცისული ფული, აბაზის სწორი, ანუ მცირედ მეტი, франк.

ფრანტი სალუქი, კოხტა, ფაქიზი, მორთვა-მოკაზმის მოყვარული, франт. ეს ითქმის ვაჟთათჳს, ხოლო კ ო კ ე ტ, კ ო კ ე ტ კ ა—ქალთათჳს. ქართულად კ ო პ წ ი ა (ნახე ლამაზთან).

ფრეგატი დრომონი, მსუბუქი და მომცრო საომარი ხომალდი, фрегат.

ფრეილენა სეფექალი გაუთხოვარი, фрейлина. // ხარისხი ქალთა სახელმწიფოს სასახლისათა შემდგომადი შტატსდამათა.

ფრიკასსე ტაფამწვარი.

ფრონტი ან **ფრუნტი** რაზმად მდგარი მხედრობა, фронт.

ფრუქტი ხილი, მოსაველი ხეთა ან მიწისა, фрукт.

ფუნდამენტი საფუძველი, საძირკველი, фундамент.

ფუნთი, ფუნტი საწონი, რომლისაც სიმძიმე არს 96 მისხალი, საქართველოს ვაჭარნი უხმობენ გ ი რ ვ ა ნ ქ ა დ, фунт.

ფურა ურემი სამხედროს ბარგისა, фура.

ფურაჟი საკვები ცხენთა, მეტადრე სამხედროთა: თივა, ბზე, ქერი, და მისთანანი, фураж.

ფურია მითოლოღიურად ბოროტნი სულნი, მტანჯველნი უკეთურთანი ჯოჯოხეთსა შინა, фурия.

ფურიერი მოხელე სასახლისა, ბინის მიმცემი სასახლისგანთა, фурьер. // როტის უნტეროფიცერი, რომლისაც მოვალეობა არს მომზადება ბინისა და საზრდელისა სალდათთათჳს, ცხენთა მათთა და სხუანი.

ფურლეიტერი არტილლერიის მეურმე, фурлейтер.

ფურმანი მეურმე, მატარებელი სამხედროს ბარგისა, фурман.

ფურნე ნახე ფურნე.

ფურშტატი ნახე ფორშტატი.

ფუტი საზომი მტკაელის ოდენი, ზოგთა თემთა შინა მეტია, ზოგგან ნაკლები და მიღებულ არს ნემეცურის ლექსისგან ფ უ ს [ინგლ. ფუტ], რომელია ფეხის ტერფი. რუსული საჟენი არს 7 ფუტი, фут, ფრანცისული ტოაზი არს 6 ფუტი. კუალად ფუტი განიყოფების 12 დუიმად. დ უ ი მ ი არს გოჯის ოდენი. დუიმი არს 12 ლინია, ერთი ლინია—12 ტერცია და სხ.

ფუტლარი ბუდე ან კოლოფი შთასადებელი და შესანახავი ძვირფასთა ნივთთა და მისთანათა, футляр.

ბოლოსიტყვა

ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონის ხელნაწერი, როგორც შესავალშიაც აღინიშნა, მშვენივრადაა შესრულებული და კარგადაც იკითხება, მაგრამ ალაგ-ალაგ მას ორთოგრაფიული სიჭრელე ეჩნევა. ყოველთვის არ არის დაცული ცალკე სიტყვათა ერთი მართლწერა, აქა-იქ სხვადასხვაგვარადაა გახსნილი ქარაგმები, ზოგჯერ ბერძნული სიტყვა გადმოცემულია ლათინური ან რუსული ტრანსკრიფციით, რამდენიმე ძველბერძნული სიტყვა—ახალბერძნული ორთოგრაფიით. რუსულ თარგმანში შეინიშნება თავისუფალი სიტყვათწარმოება ან გამოყენებულია მეტისმეტად არქაული ორთოგრაფიული ნორმები. ამას უნდა დავუმატოთ ზოგიერთი კიდევ სხვა შეუსაბამობაც, რომელიც, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება ხელნაწერში. ლექსიკონის ტექსტი ამისთანა შემთხვევებში, შესაძლებლობის მიხედვით, გამართულია და თავიდანაა აცილებული სიჭრელე. აღვნიშნავთ ამის რამდენიმე მაგალითს.

აბეზარს მოსვლას ხელნაწერში ახლდა соскучитель, ჩვენ გავასწორეთ—соскучиться (გვ. 132). ალზრზინებასთან გვქონდა подзородить, გასწორებულია—подзадорить (გვ. 142). ერვისს (მწერ.) მიწერილი ჰქონდა сипль, сиплеве. მეორე სიტყვის აზრი ნათელი არაა, ამიტომ გამოცემაში აღარ შევიტანეთ (გვ. 210). მოსაზრვას მიწერილი ჰქონდა ращет, გასწორებულია—расчет (გვ. 293), მოწლედს — любезне, გასწორებულია — любезно (გვ. 297), მწყურნებს — езеро, დავუმატეთ კვადრატულ ფრჩხილებში (კავებში) озеро (გვ. 307). მაისის შესატყვისად ერთ ადგილას ნახმარია маий, ჩვენ დავტოვეთ ამ სიტყვის თანამედროვე ორთოგრაფია—май (გვ. 265). მთხუნველის შესატყვისად ავტორის მიერ ნახმარი ორი სიტყვა кроторыя, крот დატოვებულია ხელუხლებლად (გვ. 280). სანანელი თარგმნილია ხელოვნურად წარმოქმნილი სიტყვით сожалительный (გვ. 349), მოსალოდნელი იყო достойный сожаления. მჩემებელის შესატყვისად გამოყენებულია присвоивающий (გვ. 304), ნუგეშინისცემის შესატყვისად — успокоивать (გვ. 321) და ა. შ. თანამედროვე რუსული ორთოგრაფია კი მოითხოვს присваивающий, успокаивать და ა. შ. ასეთ შემთხვევებში დატოვებულია ავტორისეული ძველი ორთოგრაფია.

ლათინური ტრანსკრიფციით გადმოცემული ბერძნული სიტყვები 'Aδámas, 'Akakia (აგრეთვე 'Aσίδωτος) გასწორებულია ასე: 'Aδάμας (ნ. ადამასი, გვ. 132), 'Aκακία (ნ. აკაკი, გვ. 134), 'Aσύδοτος (ნ. აზატი, გვ. 133) და ა. შ. ამის მიხედვით შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ნიკო ჩუბინაშვილს ახალბერძნული სიტყვები შეთვისებული უნდა ჰქონდეს არა წერილობითი წყაროებით, არამედ ზეპირად.

რამდენიმე ქართულ, რუსულ, ბერძნულ, სომხურ ან თურქულ სიტყვას მიწერილი აქვს კითხვის ნიშანი. ეს იმას გულისხმობს, რომ მოცემული სიტყ-

ვები წარმოდგენილი სახით სათანადო ლექსიკონებში არ მოიპოვება და მათი პირველი წყარო ჩვენთვის უცნობია.

ლექსიკონში შეტანილი ზოგიერთი იშვიათი სიტყვის მნიშვნელობის გასახსნელად ახლა გაცილებით უფრო მეტი მასალაა ცნობილი, ვიდრე ნიკო ჩუბინაშვილს (ან თუ გნებავთ, მის დიდ წინამორბედ საბა ორბელიანს) მოეპოვებოდა. მაგრამ ამ სიტყვათა ხმარებულობა-მნიშვნელობის შესახებ პირველ სარწმუნო ცნობებს ვპოულობთ მაინც მათ ლექსიკონებში, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, სწორად გავითვალისწინოთ მსგავსი სიტყვების გავრცელებულობა და ისტორია. ჩვენ, პირველყოვლისა, სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ ყოველი ძველი, მათ შორის ნიკო ჩუბინაშვილის, ლექსიკონის უდავო მეცნიერულ ღირსებად. ამ აზრის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ მხოლოდ ორი სიტყვის (სიმიათა მწერალი, სიმინდი) თავგადასავალს.

სიმიათა მწერალი სპეციალური ტერმინია, რომელიც, როგორც ჩანს, ძველ ქართველ მწიგნობართა წრეში შექმნილა. საბას განმარტებით, სიმიათ-მწერალი არის „წარსაგებელის მწერალი, გინა მონასმენის მწერალი“. ბერძნ. *სიმია* (σημεῖα) ნიშანია. მართალია, საბას მიხედვით *სიმიაჲ* უბრალოდ წერტილია („რომელ არს წერტილიო“), მაგრამ *წერტილი* ლექსიკოგრაფოსს აქ საწერი ნიშნის აზრით უნდა ჰქონდეს ნახმარი. საბას სწორად აქვს განმარტებული სიტყვა.

სიტყვის მნიშვნელობის გაგებაში გარკვეული სიახლე ნიკო ჩუბინაშვილმა შეიტანა. მას აღნიშნული აქვს: „*სიმიათა მწერალი* ღირსსახსოვართა საქმეთა აღმწერია, писатель достопамятностей, რამეთუ ბერძულად σημεΐωσις არს შესწავება, примечание“ (გვ. 364); ან: ჭპომნიმატოსი (გვ. 481).

საბასა და ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებათა თანახმად შეიძლება დავასკვნათ: სიმიათა მწერალი მონასმენ ღირსსახსოვარ საქმეთა საგანგებო ნიშნებით აღმწერია.

ტერმინის მნიშვნელობის უფრო ზუსტად ჩვენებას ხელი შეუწყო დიონჳსო თრაკიელის Τέχνη γραμματική-ს ნაწყვეტის ძველმა თარგმანმა, რომელიც თავის დროზე სათანადო განმარტებით გამოაქვეყნა სიმ. ყაუხჩიშვილმა. ამ ძეგლით *სიმიაჲ* წერის ერთ სახეს ეწოდება შემოკლებულად. „ამისთჳსცა რამეთუ პირველთა მათ არა აქუნდა ლიტონი, პალიდა სახელსდვეს *სიმიაჲსაგან* და პისა და ალფას წერდეს და სხუასა მრავალსა სიტყუასა სხუად სახჱდ სახელსდებდეს და წერდეს“,—ვკითხულობთ ხსენებულ ნაწყვეტში[1]. ამ ძეგლზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია: „უეჭველია, სიმიათა მწერალს ძველ ქართულშიაც მალემწერლის ანუ სტენოგრაფის აღსანიშნავად ხმარობდნენო“[2]. ივ. ჯავახიშვილმა და სიმ. ყაუხჩიშვილმა საგანგებოდ შეისწავლეს ძველ ქართულ მწიგნობრობაში გავრცელებული მალემწერლობა ანუ

---

[1] *ს. ყაუხჩიშვილი*, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი, „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე“, III, 1923, გვ. 184.

[2] *ივ. ჯავახიშვილი*, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 130.

სტენოგრაფია და სწორად განმარტეს მისი შესატყვისი ჩვენებური ტერმინი სიმიათა მწერალი[1].

ძველი ლექსიკოგრაფოსების ცნობებმა, როგორც ვხედავთ, მეცნიერებას შესაძლებლობა მისცეს დაეზუსტებინა და მართებულად ამოეცნო ტერმინის მნიშვნელობა.

დაახლოებით ამის თქმა შეიძლება სიმინდზეც. ნიკო ჩუბინაშვილს მოცემული აქვს ამ სიტყვის არა განმარტება, არამედ მხოლოდ რუსული თარგმანი — „სიმინდი (მცენ.) кукруза“ (გვ. 365). ადრე საბამაც აღნიშნა, სიმინდი მცენარეაო, მაგრამ განმარტება არც მას მოუცია. ლექსიკოგრაფოსები მის არც ხმარებულობა-გავრცელებულობას შეხებიან.

სიმინდი უძველესი ქართული სიტყვაა, რომელიც ჩვენს IX–X საუკუნეების ძეგლებში დამოწმებულია ორი წაკითხვით: სიმინდაჲ || სიმინდოჲ და სამინდოჲ || სამინდალი. „იოვანეს გამოცხადების“ თარგმანში, რომელიც X საუკუნეშია შესრულებული ექვთიმე ათონელის მიერ, იკითხება: „მიჰრონი და გუნდრუკი და ზეთი და სიმინდი და იფქლი“... (18,13)[2]; X საუკუნის მეორე ძეგლში: „მივართუ სიმინდაჲ“[3]; XIII საუკუნის თხზულებაში: „სიმინდისგან შექმნილსა“[4]... „სიმინდისა“[5]... ბიბლიის ოშკის ხელნაწერში (978 წ.) გვხვდება სიმინდოჲ (ლევიტ., 2, 1). ბიბლიის სხვა ხელნაწერებში ამ და შესაბამის ადგილას იკითხება სამინდოჲ (ლევიტ., 2, 2, 4, 5; ისაია, 1, 13; 3 მეფ., 4, 22; გამოსლ. 29, 40; დაბად., 18, 6; 40, 16...).

სამინდო ძველ ქართულში ხორბლის წმინდა ფქვილს ნიშნავდა. საბას განმარტებით, „ესე არს ზანდურის ფქვლი, რომელ არს ქლარჩი წურილად გაცრილი“. ამ განმარტებას რამდენიმედ აზუსტებს ნიკო ჩუბინაშვილი: „სამინდალი, სამინდო სემიდალი, ხლარჩი ფქვილი ზანდურისა წმინდად გაცრილი (ისაი. 1,13), семидал (ლევიტ. 2, 1), мука пшеничная“ (გვ. 346); „სემიდალი ნახე სამინდო (3 მეფ. 4,22; ეზეკ. 16, 13; გამოცხ. 18, 13), семидал, σεμίδαλι, σημίδαλι“ (გვ. 361).

ნ. მარის მოწმობით, სამინდო მნიშვნელობით იგივეა, რაც ბერძნ. „სემიდალის“: „სუფთა ხორბლის ფქვილი“[6]. და მართლაც, ბიბლიის ბერძნული, ლათინური, სლავური ტექსტების შესაბამის ადგილას, სადაც ქართულში სიმინდოჲ || სამინდოჲ დამოწმებულია, სემიდალის (σεμίδαλις), ან ხორბლის საუკეთესო ფქვილი გვხვდება. ამ ფაქტობრივ ვითარებას

---

[1] ეს მშვენიერი ქართული ტერმინი ძვიან სრულიად განდევნა უცხოურმა სტენოგრაფოსმა. სამწუხაროდ, შეტანილი არ არის „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, სადაც მას უეჭველად უნდა ეპოვნა ადგილი სხვაგან თუ არა სტენოგრაფიის განმარტებასთან მაინც.

[2] იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ი. იმნაიშვილის გამოც., ა. შანიძის რედ., „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“, 7, 1961, გვ. 27.

[3] კიმენი, I, კ. კეკელიძის რედ., თბ., 1918, გვ. 209.

[4] წიგნი სააქიმოჲ, ლ. კოტეტიშვილის რედ., თბ., 1936, გვ. 151.

[5] იქვე, გვ. 217.

[6] Н. Я. Марр, Ипполит, толкование Песни песней, ТР., V, СПб., 1901, გვ. LXVIII.

ემყარება ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვით ქართველებს ახლად შემოსული კულტურისათვის ძველი სახელი (სიმინდი) დაურქმევიათ [1].

ქართული სიმინდი ‖ სიმინდოჲ ‖ სამინდოჲ წარმოქმნილი სიტყვებია, მიღებული მინდი'საგან (მი+ნ—დ), რაც გადასახად ფქვილს ნიშნავდა. ამ ეტიმოლოგიას რამდენიმედ ართულებს წინამავალი ნ, რომელიც ისტორიულად რაღაც მორფოლოგიური ელემენტი უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასეა, პირველად ძირად დ ჩანს. ქართულად გამოიყურება სამინდალიც. მისი გარეგნულად დაკავშირება ბერძნ. სემიდალის'თან მხოლოდ იმ მოტივით, რომ ქართულში გვაქვს დიალექტური ფორმა სიმიდი, დამაჯერებლობას მოკლებულია. ი. ორბელმა თავის დროზე სემიდალი და სამინდალი უძველესი წარმოშობის იაფეტურ სიტყვებად მიიჩნია [2]. და ამ თეორიას უეჭველად ჰქონდა გარკვეული საფუძველი. ს. ჯიქიას შეხედულებით, სამინდოჲ და სიმინდი ქართულში ნასესხები სიტყვებია, ისინი ფონეტიკურად ძლიერ ახლოს დგანან არაბულ სამიდთან, თურქულში სიმიდ რომ მოგვცა [3]. სიმინდის აღსანიშნავად მსგავსი სიტყვებია გამოყენებული არა მარტო არაბულსა და თურქულში, სხვა ენებშიაც (შდრ.: არაბ. სმიდა, სამიდ; სერბ. სიმიტ; ახალბერძნ. სემიტ; ბოლგ. სიმიდ; რუმინ. სიმიტ; ალბან. სიმიტ, სემიტ). ი. ორბელის ცნობით, შესაბამისი თურქული და სპარსული ფორმები არაბულიდან მომდინარეობენ, ხოლო ახალსომხური სიმიდ, სიმიტ თურქულიდან ან არაბულიდან უნდა იყოს შეთვისებული [4].

სურათი სრული არ იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ კიდევ ერთ საგულისხმო გარემოებასაც. საქმე ისაა, რომ არაბული სამიდ (სიმიტ) და ბერძნული სემიდალის მკვლევარებს მიაჩნიათ არა შესაბამისად არაბული და ბერძნული ლექსიკის უძველესი ინვენტარის კუთვნილებად, არამედ მათ კვალს სხვა ენობრივ წრეში ეძებენ. კერძოდ ი. ორბელი ამ სიტყვათა სამშობლოდ იაფეტურ ენათა სამყაროს თვლიდა (ტერმინის იმდროინდელი გაგებით).

ძნელად წარმოსადგენია: უძველესი და უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართულ ენაში ბერძნულიდან ან არაბულიდან შემოსულიყო არაბერძნული და არაარაბული წარმოშობის სიტყვები. ეგების უფრო სავარაუდო საპირისპირო პროცესია! იქნებ ქართული იყო ის ენობრივი სამყარო, საიდანაც ამ სიტყვებმა გზა გაიკვლიეს ბალკანეთისა და მცირე აზიისაკენ! [5]

რამდენიმე სიტყვა ლექსიკონის პირველ წყაროთა დამოწმების შესახებ. ლექსიკონში შეტანილი მასალის უმეტესი ნაწილი ამოკრებილია ძველი და იმ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, გვ. 364.

[2] И. Орбели, Simitoso в идалийской надписи и σεμίδαλις, simila, similago, ЖМНП, XVIII, СПб., 1908, გვ. 529.

[3] ს. ჯიქია, შენიშვნები „სიმინდ-სემიდალის“ შესახებ, „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, XXX b—XXXI b, 1947, გვ. 444-446; შდრ.: მისივე, „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობისათვის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, V, № 2, თბ., 1944, გვ. 231 და შემდ.

[4] И. Орбели, დასახ. ნაშრ., გვ. 528.

[5] შდრ.: შრომის თემატიკა ხალხურ ნოველებში, „სტალინირის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, IV, 1957, გვ. 267—273.

პერიოდის ქართული საერო, სასულიერო, საისტორიო, ფილოსოფიური მწერლობის ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლებიდან. გამოყენებულია ხელნაწერებიცა და მაშინდელი ბეჭდური გამოცემებიც. ამიტომ წყაროთა დამოწმებაში ნაირობაა. შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ზოგი ძეგლი დამოწმებულია ბეჭდური გამოცემის მიხედვით, ზოგი ხელნაწერისა და ზოგიც ხან ბეჭდური გამოცემისა და ხანაც ხელნაწერის მიხედვით. ავტორის ძიების მეთოდის გასათვალისწინებლად ამ გარემოებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს და ამის გამო მისი დამოწმებანი გადმოღებულია უცვლელად. წყაროების სახელწოდებათა (ბეჭდური, ხელნაწერული) შემოკლებანი, თავებისა და მუხლების აღმნიშვნელი ციფრებიც დატოვებულია ხელუხლებლად. ავტორს, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონდა ხელნაწერი წყაროების, მათ შორის საბას ლექსიკონის, რამდენიმე რედაქცია, რადგან დამოწმებანი ხელნაწერთა ერთ რედაქციას ყოველთვის არ მისდევენ. ჩვენ მიზანშეწონილად არ ვცანით ავტორის არც ამ კონიექტურის შეცვლა. გავასწორეთ მხოლოდ უნებლიე შეცდომები.

ლექსიკონში შეტანილი წარმოქმნილი სიტყვები, რომლებიც საბას ლექსიკონში არ გვხვდებიან და პირველად აქ ვპოულობთ (გამოცდა, განათლება, გარდამავალი, დამატება, დებულება, ერთგული...), ავტორს უშუალოდ აღებული აქვს ან სალაპარაკო ენიდან, ან ცნობილი წყაროებიდან (დაუმოწმებლად).

ბოლოს, კიდევ ერთი შენიშვნა. ნიკო ჩუბინაშვილის დაბადების 170 წლისთავზე განხორციელდა მისი ერთი ნაშრომის — ქართული ენის ლექსიკონის — პირველი გამოცემა. სასურველია, ახლო მომავალში გამოქვეყნდეს მისივე მეორე, არა ნაკლები მნიშვნელობის მქონე, კაპიტალური ნაშრომი — „Полный российско-грузинский словарь", რომ შთამომავლობა მთლიანად გაეცნოს XIX საუკუნის პირველი ნახევრის შესანიშნავი ქართველი ლექსიკოგრაფოსის ძვირფას მეცნიერულ მემკვიდრეობას.

ა. ღ.

სარჩევი

1. ალ. ღ ლ ო ნ ტ ი—ნიკო ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონი 5—97
2. შესავალი ქართულის ლექსიკონისა . . . . 99—129
3. ლექსიკონი . . . . 131—483

ა 131
ბ 146
გ 158
დ 185
ე 208
ვ 213
ზ 217
ჱ 226
თ 226
ი 237
კ 241
ლ 256
მ 262
ნ 309
ჲ 321
ო 322
პ 326
ჟ 332
რ 333
ს 338
ტ 375
უ 381
ჳ 391
ფ 391
ქ 398
ღ 407

ყ 412
შ 415
ჩ 428
ც 432
ძ 440
წ 444
ჭ 456
ხ, ჴ 461
ჯ 474
ჰ 478
ჵ 480
ჳ́ 480
ჲ 481
ჶ 481
4. ბოლოსიტყვა 484